ეთერ კაკალაძე
ნინო ბერიძე

სასკოლო ლიტერატურული ლექსიკონი—ცნობარი

გამომცემლობა „ალიონი“
ბათუმი
2002

წინამდებარე „სასკოლო ლიტერატურული ლექსიკონ-ცნობარი“ არის დამხმარე სახელმძღვანელო და უმთავრესად მოიცავს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ფიქსირებულ თითქმის ყველა განსამარტავი სიტყვის ახსნას.

ლექსიკონში 4000-მდე ენობრივი ერთეულია, რომელთა უმრავლესობას ახლავს წყაროზე მითითება და საილუსტრაციო მასალა.

წიგნში შეტანილია სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მხატვრულ-პუბლიცისტურ და სამეცნიერო-კრიტიკულ თხზულებებში მოხსენებული იმ ისტორიულ პიროვნებათა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, რომელთაც გარკვეული მიმართება აქვთ საქართველოსთან, ქართულ მწერლობასთან. განმარტებულია აგრეთვე ფილოსოფიურ-ესთეტიკური, ბიბლიურ-მითოლოგიური ხასიათის ტერმინები, ფაქტები და ლიტმცოდნეობის ძირითადი ცნებები.

ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ქართული ლიტერატუ-რის მასწავლებლისათვის. იგი დასმარებას გაუწევს აბიტურიენტებს, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს და ლიტერატურით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი: ნაზი მიქელაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

რეცენზენტები: ელგუჯა მაკარაძე, დოცენტი
მაია ფაღავა, დოცენტი
მზევინარ ლომთათიძე, აჭარის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის გამგე

© გამომცემლობა „ალიონი“ -2002

რედაქტორისაგან

„სასკოლო ლიტერატურული ლექსიკონი-ცნობარი" განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის და წარმოადგენს დამხმარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. იგი დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე მოსწავლეებსაც საგაკვეთილო, კლასგარეშე მხატვრული, თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური ტექსტების კითხვისას. ჩამოუყალიბებს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისა და ლექსიკონით სარგებლობის ჩვევებს, გაუმდიდრებს მეტყველებას, ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებით აქტივობას და ზოგადი ცოდნის ამაღლებას.

ლექსიკონში ანბანის რიგზე გაწყობილია ის გაუგებარი სიტყვა-გამოთქმები, ისტორიულ-ფილოსოფიური ცნებები და ამა თუ იმ პიროვნების შესახებ ცნობები, რომელზედაც აუცილებელია გაკვეთილზე ყურადღების გამახვილება. სიტყვის განმარტებას თან ერთვის მაგალითები ტექსტებიდან (სადაც ამის შესაძლებლობა არის), რაც სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის ლექსიკურ ერთეულზე; მითითებულია სიტყვის წარმომავლობაზე და დამოწმებულია სხვადასხვა წყაროებით.

წიგნში შესულია აგრეთვე ცნობები არასაპროგრამო, ე. წ. „თანამგზავრი" მწერლებისა, უცხოელი ისტორიული პირებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიული მონაცემები, რომელთაც რაიმე მიმართება აქვთ ქართულ კულტურასა და მწერლობასთან, მაგ.: მ. ბროსე, გრ. ვოლსკი, ა. პუშკინი, ლ. ტოლსტოი, შ. ბოდლერი, ე. ჰემინგუეი, ე. პო და სხვ.

ლექსიკონში შეტანილია ზომა-წონის ამსახველი სიტყვები და ლიტ-თეორიის ძირითადი ცნებები.

როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურა თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე გარკვეულ კულტურულ ურთიერთობაში იყო როგორც ანტიკურ, ისე აღორძინებისა და შემდგომი პერიოდის ცივილიზებულ ერებთან. ამ ურთიერთზეგავლენის საფუძველზე ბევრი სიტყვა თუ ცნება დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში, რაც თავის მხრივ აისახა ჩვენს ლექსიკონშიც. მართალია, ზოგი მათგანი ლიტმცოდნეობის საკითხებთან ერთად შეტანილია ახალ სახელმძღვანელოებში, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ვცანით მათი დამოწმება წინამდებარე ლექსიკონში სისტემატურობის პირნციპის დაცვისა და ლექსიკონის სისრულის თვალსაზრისით, რამეთუ, რაც უფრო სრულყოფილია ლექსიკონი, მით უფრო ფასეულია იგი; ამავე დროს ზოგი ენობრივი ერთეული უფრო სრულად არის ახსნილი და ისტორიულ ასპექტში წარმოდგენილი. ამასთანავე ლექ-

სიკონში უფრო ადვილია სიტყვათა მოძებნა ვიდრე სხვადასხვა სახელმძღვანელოებში გაბნეულ სქოლიოში. სახელმძღვანელოში მოცემული გვაქვს აგრეთვე იმ უცხო სიტყვათა განმარტებებიც, რომლებიც ხშირად ფიგურირებს საინფორმაციო საშუალებებში (რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები).

ცნობარში არაა შეტანილი „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკა; ძველქართული მწერლობიდან მხოლოდ ისეთი ლექსიკური ერთეულებია წარმოდგენილი, რომლებიც მომდევნო ხანის ლიტერატურულ მასალაშიც იჩენს თავს, მაგ.: დიაკონი, ეპისკოპოსი, პიტიახში, კვართი, კაპადოკია, ატროშანი, ეპისტოლე და სხვ.

განმარტებანი და ცნობება ეყრდნობა სარწმუნო წყაროებს. სიტყვები წარმოდგენილია იმ ფორმით, როგორადაც ის ფიქსირებულია ლიტერატურაში (ზოგჯერ პარალელური ფორმითაც, მაგ.: ართურმა<ოთუორმა...)

ლექსიკონი არ მოიცავს მხოლოდ საპროგრამო ტექსტებში დამოწმებულ სიტყვათა განმარტებას, იგი სასკოლო პროგრამას სცილდება და მასში კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან მომდინარე ფორმებიც არის წარმოდგენილი. კერძოდ, ცნობილი ქართველი მწერლების: ლ. ქიაჩელის, მ. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედების მიხედვით.

ლექსიკონი-ცნობარი აგებულია ძირითადად განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების პრინციპებზე და ასახავს თითქმის ყველა სიტყვას, რაც სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ ლიტერატურულ-კრიტიკულ, პუბლიცისტურ თუ ბიბლიურ-მითოლოგიურ ლექსიკას ეხება.

ამ სახის ლექსიკონი-ცნობარი პირველი ცდაა ქართული პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური ბიბლიოგრაფიის ისტორიაში და, ვფიქრობთ, იგი მოემსახურება არა მხოლოდ ლიტერატურის მასწავლებლებსა და სკოლის მოსწავლეებს, არამედ აბიტურიენტებს, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს და ყველა განათლებულ ადამიანს. იგი გაათავისუფლებს მასწავლებელს ლიტერატურის გაკვეთილისათვის მზადების საკმაოდ რთული შრომისაგან და სამაგიდო წიგნად იქცევა.

ნაზი მიქელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი

1. (საბა) — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (I-II). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, "მერანი". 1991-1993 წ.

2. (ქეგლ) — არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 1986 წ.წ.

3. (ქსე) — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თორმეტტომეული.

4. (ქართ. ენც.) — საქართველოს ენციკლოპედია — ტ. I.

5. (უსლ) — მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა "განათლება" . 1973 წ. ;

6. (მით. ლექს.) აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1983 წ.

7. (მით.) — რწმენა, ღმერთები, ადამიანები (რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი) — აკაკი გელოვანი, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა თბ., 1990 წ.

8. (ვაჟა — მც. ლექ.) —ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, ალექსანდრე ჭინჭარაული, თბილისი, 1969, თსუ ვაჟა-ფშაველას კაბინეტი.

9. (ქ. მწ. ლექს.-ცნ.) — ქართული მწერლობა ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1984 (საქ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგია).

10. (კილ. თქმ. სიტყ. კონა) — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ალ. ღლონტი, თბილისი, გამომცემლობა "განათლება", 1984 წ.

11. (ანდ. ჭილ — ლიტთ.) — ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, ანდრო ჭილაია, თსუ გამომცემლობა, 1971 წ.

12. (ანტ. I კათ.) — თეიმურაზ ბაგრატიონის (ანტონ I კათალიკოსი) ლექსიკონი.

13. (ქ. მწ.) — ქართული მწერლობა (ოცდაათტომეული), ზ. სარჯველაძის ლექსიკონი.

14. (ბიბლ. ენც.) — ბიბლიის ენციკლოპედია, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები, საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 1998 წ.

15. (ბიბლ. მეგზ.) — ბიბლიის მეგზური, თბილისი, 1995, BIBLLO - THECA CHRISTANNA.

16. (ი. გრიშ.) — იოსებ გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გამომცემლობა "საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1986 წ.

17. (გ. ტაბ.) —გალაკტიონ ტაბიძე, თორმეტტომეული, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1966 (შენიშვნები და კომენტარები).

18. (მ. ჯავახ.) — მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი რვა ტომად, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო." თბილისი, 1970 (შენიშვნები და კომენტარები).

19. (აკ. გელოვ. სიბრძ. სიმფ) — სიბრძნის სიმფონია, აკაკი გელოვანი, გამომცემლობა "ხელოვნება", 1989 წ.

20. ("დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.) — კონსტანტინე გამსახურდია, "დიდოსტატის მარჯვენა", გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1983 წ.

21. (ი. ლორთქ.) — იოსებ ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1968 წ.

22. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია, გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1986.

23. (ნ. გრიგ. წიგნი I) — ნოდარ გრიგალაშვილი, სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები, I, თბილისი, "მერანი", 1990 წ.

24. (ნ. ლორთქ.) — ნიკო ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტომი I, სახელმწიფო გამომცემლობა "ნაკადული", თბილისი, 1982 წ.

26. გურამ შარაძე, ილ. ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება (ფოტომატიანე), ორ წიგნად, გამომცემლობა "ხელოვნება", თბილისი, 1990;

27. (გ. ლეონ.) — გიორგი ლეონიძე, "ნატვრის ხე", გამომცემლობა "ნაკადული", თბილისი, 1964 წ.

28. (ტ. ტაბ.) — ტიციან ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I., გამომცემლობა "ლიტერატურა და ხელოვნება", თბილისი, 1966 წ.

29. (გ. ტაბ.) — გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1973 წ.

30. (სასკ. სახ-ლო) — V—XI კლასის სასკოლო სახელმძღვანელოები (ქრესტომათიები).

31. (გ. ასათ., ს. სიგ. დ. ბენ., შ. რად.) — პუბლიცისტური წერილები: ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის გ. ასათიანის, ს. სიგუას, დ. ბენაშვილის, შ. რადიანის, ბ. ჟღენტის, ს. ჭილაიას.

32. (ქ. ჯავახ.) — ქეთევან ჯავახიშვილი, "მასალები "ჯაყოს ხიზნების" შესახებ".

33. სკოლაში შესასწავლი ტექსტები (საპროგრამო და კლასგარეშე): კ. გამსახურდიას, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, დ. გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, შ. რუსთაველის, გ. რჩეულიშვილის, დ. კლდიაშვილის, იოანე საბანისძის, იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულეს, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ასათიანის, ი. გრიშაშვილის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის, პ. იაშვილის, ლ. გოთუას, დ. ჭონქაძის, ბ. გაბაშვილის, რ. ინანიშვილის, ან. კალანდაძის, გ. შატბერაშვილის, ტ. გრანელის, ი. გოგებაშვილის, ა. სულაკაურის, მ. ლებანიძის, შ. ნიშნიანიძის, მ. მაჭავარიანის, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, სიმ. ჩიქოვანის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, მ. გელოვანის, ნ. დუმბაძის, ლ. ქიაჩელის, ტ. ტაბიძის, ვალ. გაფრინდაშვილის, ვ. ბარნოვის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. რობაქიძის, ო. ჭილაძის, ნ. ტაბიძის, ი. ნონეშვილის მხატვრული თხზულებები.

ᲐᲑᲐᲖᲒᲔᲑᲘ — (ქსე) ძვ. აფხაზთა ტომი. პირველად იხსენიებს არიანე ფლავიუსი (II ს.). იმ დროს ა. აფსილების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ და დაახლ. ახლანდელი ოჩამჩირის ტერიტორია ეკავათ. VI-VII ს.ს. ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და დაიკავეს ტერიტორია მდ. გუმისთიდან ბზიფამდე. სახელწოდება „აბაზგი" იმავე ფუძისაა, რაც „აფსილი" (დიალექტ. გამჟღერებული ფორმაა). ამ სიტყვისაგან მომდინარეობს ქართული „აბხაზი" — აფხაზი. (იხ. აფხაზეთის სამთავრო). „გიორგი აბაზგს უწოდებდნენ გიორგი პირველს, ბაგრატ მესამის ძეს, ბიზანტიელი და სომეხი მემატიანენი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲐᲑᲐᲖᲘ — (ქსე) ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა, შემოიღო ირანში აბას პირველმა; აქედანაა სახელწოდება ა. სწრაფად გავრცელდა მეზობელ სახელმწიფოებში, კერძოდ, საქართველოში. აბას პირველის დროინდელი ა.-ის წონა 7,8 გრამს უდრიდა და შეიცავდა 2 უზალთუნს. ა.-ის შუბლზე წარწერილი იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და დრო; ზურგზე — რელიგიური ფორმულა. საქართველოში ა.-ს ჭრიდნენ XVII ს. პირველი მეოთხედიდან XVIII ს. მიწურულამდე. ზოგჯერ დღესაც ა. ოცი თეთრის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარება.

ᲐᲑᲐᲜᲝᲖᲘᲡ ᲮᲔ — (ქსე) ძვირფასმერქნიანი მცენარე, ხე აბანოზისებრთა ოჯახისა. მის მაგარსა და შავ მერქანს იყენებენ ავეჯისა და მუსიკალურ საკრავთა წარმოებაში. (საბა) სხვათა ენაა, ქართულად ეკალმუხა ჰქვია, ნიგვზის ხის გული - მასალა მთსაპირკეთებელი. ზღაბარში „ეთერი" საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციის მიმანიშნებელია: „ისეთ სასახლეს აგიგებ, სულ მარმარილოს ქვისასა, შიგდაშიგ ფიცრებს დაგუგებ აბანოზის ხისასა"

ᲐᲑᲐᲢᲘ [სირიული „აბბა" — მამა] — (ქსე) — საეკლესიო ტიტული, რომელიც VI ს. დასაწყისში ენიჭებოდა რომის კათოლიკურ ეკლესიაში მამათა მონასტრის წინამძღვარს. ა.-ს ირჩევდნენ ბერმონაზვნები, ამტკიცებდა ეპისკოპოსი. ა. განაგებდა მონასტრისა და სამონასტრო მამულს. ზოგჯერ ა.-ად საერთოდ სასულიერო პირსაც მოიხსენიებდნენ.

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ კიტა გიორგის ძე (1870-1917) — ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პარიზში ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ხელოვნების თეორიაში. 1017 წლიდან იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის წევრი და ამიერკავკასიის განათლების კომისარი. სალიტერატურო ასპარეზზე 1893 წ.-დან გამოდის და იმდროინდელ პრესაში სისტემატურად აქვეყნებს ლიტერატურულ, კრიტიკულ წერილებს XIX-XX ს.ს. ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის საკითხებზე, თეატრალურ რეცენზიებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ წერილებს. ა.-ის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა ახალ ეტაპს ქმნის ქართული კრიტიკული აზროვნების ისტორიაში. მისმა ყოველწლიურმა

კრიტიკულმა მიმოხილვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაზე. ა.-ის ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ეტიუდები XIX ს-ის ქართული ლიტერატურის შესახებ" საფუძველი ჩაუყარა XIX ს. ქართული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას.

აბაშიძე მემედ იბრაიმის ძე — მემედ ბეგი (1873-1941). ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი პუბლიცისტი, სანჯაყბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. დაწყებითი განათლება მიიღო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების„ ბათუმის სკოლაში. მამის დახმარებით დაეუფლა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის დასაწყისში. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩავიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს". 1919-1921 წწ. რედაქტორობდა გაზ. "სამუსლიმანო საქართველოს" (მონაწილეობდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. იყო საოლქო რევკომის წევრი.) მუშაობდა სხვადასხვა პასუხისმგებ თანამდებობაზე. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნამიკ ქემალის ნაწარმოებები. ავტორია რამდენიმე მოთხრობისა. „ქოხების ყორყში ამოსული ქართული სულის / დიდო ბატონო, / ვაზის ძირებში მიმალული ქართული ენის / დიდო პატრონო, / ტაძრის ზარებში შეყუჟული ქართული სიტყვის, / დიდო ბატონო, ლოდების ძირში შემოდებული ქართული ძვლების / ძველო პატრონო, / დიდება შენი, დიდება და ცხონება შენი, / მემედ ბატონო!" („მემედ ბატონო! " — ზ. გორგ.)

აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე (1893-1955)— ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი, სანჯაყბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. სწავლა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. 1905-1908 წწ. სწავლობდა ოსმალეთში. შემდეგ დაბრუნდა ბათუმში და 1912 წ. დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი. 1913 წ.-დან მასწავლებლობდა. აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში სამხრეთი საქართველოსა და აჭარის მდგომარეობის შესახებ. ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. I მსოფლიო ომის დროს ხალხს განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზეზებს. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. 1918 წ.-დან აჭარიდან გაასახლეს.

1918-1920 წწ. იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" აქტიური წევრი. მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას.

აბგა — (ქეგლ) მხარზე გადასაკიდი ჩან-

თა. „[თქვენს მაზლს დავითს] გუშინ ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ᲐᲑᲔᲓᲘ — (ქეგლ) საგანგებოდ დამუშავებული ხის (უმთავრესად წიფლის) სოკო. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ცეცხლის დასანთებად. აბედის მისაღებად ნაცარწმენდილში გამოხარშულ სოკოს ნელთბილ ნაცარში ჩაფლავდნენ და გამოშუშების შემდეგ დაბეგვავდნენ. ტალკვესის ნაპერწკლით ადვილად ინთება, იწვის უალოდ. „ეს საბედე სოკო ხმელ წიფელს ავაჭერო“ („ხმელი წიფელი“ — ვაჟა). „შენ მკვდარსა გნახავ დავიწვი, ვითა აბედი კვესითა“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

ᲐᲑᲔᲚᲘ — (ბიბლ. ენც.) ბიბლიური პერსონაჟი. ადამის და ევას მეორე ვაჟი, კაენის ძმა. როცა აბელი წამოიზარდა მწყემსობას მიჰყო ხელი და ღმერთს მსხვერპლად ბატკანი შესწირა. ღმერთმა მოიწონა ეს შენაწირი, ხოლო კაენის ძღვენი (მიწის ნაყოფი) არ მიიღო. კაენს შეშურდა ძმისა და მოკლა იგი. „ღმერთი აბელის მსხვერპლისა კეთილად შემაწირველი“ (დ. გურ.).

ᲐᲑᲖᲘᲜᲓᲐ — (ქეგლ) ლითონის ენიანი შესაკრავი ქამრისა და მისთანა.

ᲐᲑᲘᲑᲝᲡ ᲜᲔᲥᲠᲔᲡᲔᲚᲘ — (ქსე) საეკლესიო მოღვაწე, ერთი ასურელი მამათაგანი. საქართველოში მოვიდა VI ს. II ნახევარში. მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში. შემდეგ განაგებდა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრას. ეწეოდა ფართო მისიონერულ მოღვაწეობას. გააქრისტიანა არაგვისპირელი მთიელი კახელები, ებრძოდა ცეცხლთაყვანისმცემლობას. მისმო ნეკრესის ტაძრის მახლობლად სპარსთა საგზებელი, რისთვისაც მარზპანის ბრძანებით ჩაქოლეს. დასაფლავებულია სამთავროში (მცხეთა). თხზულებებს მის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია.

ᲐᲑᲘᲠᲔᲑᲐ, ᲐᲑᲘᲠᲓᲔᲑᲐ — (ვაჟას მც. ლექს.-ნი) მოუნდება, სურვილი აღეძვრება. „ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა, რძისთვის რო აბირდებიან“ („ბახტრიონი“ — ვაჟა).

ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ — (უსლ) 1. მოსწავლე, რომელიც სკოლას ამთავრებს. 2. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი.

ᲐᲑᲝᲠᲒᲝᲕᲔᲑᲐ, ᲐᲑᲝᲠᲒᲝᲕᲔᲑᲡ — (ვაჟას მც. ლექს-ნი) აბორგებს, აღელვებს, აშფოთებს. „კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, ნათქვამის არა გვრცხვენოდეს, მსმენლის გულს აბორგოვებდეს, არავის არა სწყენოდეს“ („კაი ყმა“ — ვაჟა).

ᲐᲑᲝᲠᲘᲒᲔᲜᲘ [აბორიგენე — თავიდან, დასაბამიდან] — (უსლ) ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა, თავდაპირველი ძველისძველი ბინადარნი ამა თუ იმ ადგილისა.

ᲐᲑᲯᲐᲜᲓᲘ, ᲐᲕᲯᲐᲜᲓᲘ, ᲣᲖᲐᲜᲒᲘ — (ქეგლ) უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი რკინის რკალი. „ომში ხმალამოღებულსა აბჯანდიმც ჩამომიწყდება, წყალი უწყლოსა ალაგსა, ზღვა იყოს - ამომიშრება“ („ეთერი“ — ხალხ. ზღაპარი).

ᲐᲑᲠᲐ — (ქეგლ) დაფა, რომელზედაც გაკეთებულია წარწერები, დაწესებულების სახელწოდება, ფირნიში.

ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ [აბრაჰამ — მამა მრავალთა] — (ქსე) ებრაელთა მითიური მამამთავარი. მან, პირველმა, აღიარა ერთღმერთობა, რის გამოც წარმართი თანამემამულენი სდევნიდნენ. მან დატოვა სამშობლო და უფლის „აღთქმულ ქვეყანაში" — ქანაანში (პალესტინა) გადასახლდა. (ბიბლ. ენც.) აბრაამს და სარას შვილი - ისაკი მოხუცებულობაში შეეძინათ. ღმერთმა აბრაამს საშინელი გამოცდა მოუწყო: უბრძანა ისაკი აეყვანა მთაზე და იქ შეეწირა მსხვერპლად. აბრაამი ღვთის ნებას დამორჩილდა, მაგრამ ღვთის ანგელოზმა შეაჩერა: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას". ისაკის ნაცვლად ვერძი იქნა შეწირული. ამის შემდეგ ღმერთმა აბრაამს ყველა თავისი აღთქმა შეუსრულა. (ქსე) ბიბლიის მკვლევართა აზრით, ა. მესოპოტამიიდან (დაახლ. ძვ. წ. XIX ს.) ქანაანში გადასახლებული ებრაული ტომის მითოლოგიური განსახიერებაა, ხოლო მისი ცხოვრების ამბავი — ახალ ქვეყანაში გადასახლებული ტომის ისტორია. ყურანში ა. (იბრაჰიმი) მიჩნეულია ებრაელთა და არაბთა საერთო წინაპრად, მაჰმადის ერთ-ერთ წინამორბედად.

ᲐᲑᲠᲐᲒᲘ — (ქსე) დღევანდელი მნიშვნელობით ყაჩაღი, ავაზაკი. ქართულ ენაში ჩრდ. კავკასიიდან არის შემოსული. ა.-ობა წარმოიშვა გვაროვნული საზოგადოების რღვევის პროცესში. თავდაპირველად ა.-ს უწოდებდნენ გვარიდან განდევნილს, რომელიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა და ყაჩაღობდა. სამეგრელოსა და აფხაზეთში ა. ტყეში გავარდნილ კაცს ყაჩაღს ერქვა, რომელიც სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხთა პროტესტს გამოხატავდა. კავკასიის ომების დროს ამ სიტყვამ ახალი მნიშვნელობა (абрак) შეიძინა. აბრაგებს ეძახდნენ პარტიზანულად მებრძოლ მთიელებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ რუსეთის ჯარს და სამხედრო დასახლებებს. ა.-ებზე ბევრი ხალხური და ლიტერატურული ნაწარმოები დაიწერა (აბრაგი დათა თუთაშხია).

ᲐᲑᲠᲐᲛᲔᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) აბრაამის, ებრაელთა მამამთავრის შთამომავალი. „ესე [აბო] ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთა ისმაილისათა" („აბოს წამება"— იო. საბ.).

ᲐᲑᲠᲔᲕᲘᲐᲢᲣᲠᲐ — (უსლ) პირობითი შემოკლება სიტყვებისა წერაში. მაგ. ე. ი. — ესე იგი, იხ. — იხილეთ; სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ორი ან რამდენიმე სიტყვის შემოკლებას. მაგ. ადგილკომი — ადგილობრივი კომიტეტი.

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲐ — (ქსე) ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ. წ. II ს.-ში. ქ. კაშგარიდან ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა კავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან შავი ზღვით ბიზანტიონს და რომს აღწევდა. მეორე გზა, კაშგარიდან ირანზე გავლით, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისაკენ მიემართებოდა. ამ გზით უმთავრესად მალალ-

ხარისხოვანი აბრეშუმი გაჰქონდათ. აბრეშუმის გზის მარშრუტები სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა. VII-IX ს.ს. ამ გზით შემოტანილი საქონლით ვაჭრობას არაბთა სახალიფო უწევდა კონტროლს, შემდეგ მასზე მონღოლებმა დაამყარეს მონოპოლია. ამ გზამ მნიშვნელობა დაკარგა XVIII ს. მიწურულში, როდესაც ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს საოკეანო გზა აფრიკის შემოვლით. აბრეშუმის გზამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამ გზით შევიდა ჩინეთში მინა, ფუფუნების საგნები, გავრცელდა ზოგიერთი კულტურული მცენარე, არაბული ცხენი და სხვა. შეაღწია აგრეთვე რელიგიამ და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმი, მანიქეველობა, იუდაიზმი, ისლამი, ნესტორიანელობა). „მცხეთა, უფლისციხე, გორი, ურბნისი — ელინისტურ ხანაში ამ ქალაქებზე გადის მსოფლიოში უძველესი სავაჭრო გზა. გზა მოდის ინდოეთიდან, ან ჩინეთიდან, ან სპარსეთიდან; ამოდის კასპიის ზღვაში. მოჰყვება მტკვარს, გამოივლის ხუნანს, ბოსტანქალაქს, მცხეთას, უფლისციხეს, გორს, ურბნისს, შორაპანს, გადადის კოლხეთში ფაზისამდე" („უსახელო უფლისციხელი" — გ. რჩეულ.).

ᲐᲑᲠᲣ [სპ. — პირის წყალი] — (ქეგლ) სახელი, პატივი. იგივეა, რაც იხტიბარი (იხტიბარს არ იტეხს, ან გაიტეხს). „[ბიაშვილს] მუდამ ჰყავდა თითო სოფელი „საჭმელად". როცა ადგილი მოიჭმებოდა, ანდა აბრუ გაუტყდებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა" („ქამუშაძის გაჭირვება" — დ. კლდ.).

ᲐᲑᲠᲣᲜᲓᲘ — (ქეგლ) თაღლითური შეცვლა ერთი დებულებისა მეორეთი, ხრიკი.

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲘ — (უსლ) იდეალისტურ ფილოსოფიაში სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი (აბსოლუტური სული, აბსოლუტური იდეა). ღვთაების სინონიმია.

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ — (უსლ) არაშეფარდებითი, თავისთავადი, სრული, რაც არაფერზე არ არის დამოკიდებული. ა. ჭეშმარიტება — ჭეშმარიტება, რომელიც გვაძლევს სინამდვილის სრულ, ამომწურავ ცოდნას. „გ. ტაბიძე იყო უტყუარი, აბსოლუტური სმენის პოეტი" (გ. ასათ.). „პარტიკულარიზმი ეწინააღმდეგება საქართველოს მთლიანობის იდეას, აბსოლუტურ მონარქიას" (ს. სიგ. — ქ.ს.მ.ა.)

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲘᲖᲛᲘ [ლათ.] — (უსლ) თავისთავადი, უთუო, მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნის ერთ პირს, მონარქს; მეფის შეუზღუდავი ძალაუფლება, შეუზღუდავი მონარქია, თვითმპყრობელობა. „სულხან-საბა ორბელიანის დიდაქტიკური პრინციპი განათლებულ აბსოლუტიზმს ეყრდნობა" (სასკ. სახ-ლო).

ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ — (უსლ) აბსტრაქ-ც. ., რაიმე საგნის ან მოვლენის არსებითი ნიშნების უგულებელყოფა და არსებითი ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში. განყენება, განზოგადება.

ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ [ლათ.] — (ქსე)

უსაგნო ხელოვნება, ნონფიგურაციული ხელოვნება. პრინციპულად უარყოფს ფერწერაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში რეალური საგნების გამოსახვას. აბსტრაქტული ხელოვნების პროგრამა მთლიანად უგულებელყოფს საზოგადოებრივ და შემეცნებით ამოცანებს. ამის ნაცვლად მიზნად ისახავს „რეალობისაგან განწმენდილი“ სულიერი არსის, სუბიექტური ემოციებისა და ქვეშეცნეული იმპულსების გამოხატვას. აბსტრაქტული ხელოვნების ინდივიდუალური ტენდენციების, იდეალისტური კონცეფციის გამოვლენაა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. იგი ემყარება მხატვრული ფორმის განყენებული ელემენტების (ფერის, ხაზის, მოცულობის და ა. შ.) საშუალებით არასახვითი კომპოზიციების შექმნას; ეს კომპოზიციები ან რაციონალისტურად მოწესრიგებულია, ანდა ავტორის სტიქიურ გრძნობებსა და ფანტაზიას გამოხატავს. მასში ჩანს ილუზიური ლტოლვა სინამდვილისა და საზოგადოებისაგან აბსოლუტური თავისუფლებისაკენ (პიკასო, ა. გლეზე, კ. ბრინკუში, ჟ. არპი).

ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘ — (ქეგლ) შეუსაბამობა, უაზრობა.

ᲐᲑᲣᲡᲔᲠᲘᲡᲫᲔ ᲢᲑᲔᲚᲘ — (1190-1240) (ქსე) ქართველი მწერალი და ასტრონომი, ხიხათა (აჭარის) ერისთავთერისთავის ივანეს შვილი. ავტორი რელიგიურ-ისტორიული თხზულებისა „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი და ანდერძნი მთქუმელისაი“ და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატისა „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა“. მასვე უნდა ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოანეთა“. რელიგიურ-ისტორიული თხზულება აღწერს აჭარელი გლეხის, ხელობით კალატოზის — ბოლოკ-ბასილის სამშენებლო საქმიანობას შუარტყალში. შეიცავს აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანეს, აგრეთვე იმდროინდელი ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების მნიშვნელოვან ცნობებს. მდიდარია კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის მონაცემებითაც. ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი ვრცელი საკალენდრო ცნობარია, რომელშიც განხილულია წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემის ღირსება-ნაკლოვანებანი და მოცემულია საეკლესიო დღესასწაულთა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მზა ცხრილები.

ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ — (ქეგლ) სახნავ-სათესი მიწა ან საზაფხულო დასასვენებელი ადგილი. „გულმოცემული მეფე გიორგი აგებდა ციხე-ქალაქებს, აგარაკებსა და ეკლესიებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲐᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘ —(ქ. მწ.) აგარის, აბრაამის მხევლის შთამომავალი. არაბი. „მათ [აშოტის ძეთ] ხრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადი ქუეყანანი და განიოტნენ აგარის ნათესავთანი.“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — სასკ. გამოც.)

ᲐᲒᲐᲡᲤᲔᲠᲘ, ᲐᲰᲐᲡᲤᲔᲠᲘ — (მით.) შუა საუკუნეების ძველებრაულ თქმულებათა მიხედვით ებრაელი, რომელიც მძიმე დანაშაულის გამო ღმერთმა შეაჩვენა და საუკუნო ხეტიალი მიუსაჯა. „მარადი ურია,“ ებრაული ლეგენდის გმირი, შემდეგ სახარების ლეგენდის ცნობილი პერსონაჟი. იერუსალიმელი ხარაზი, რომელმაც გოლგოთის გზაზე მიმავალი ქრი-

ისტე დასასვენებლად თავის ქოხთან არ გააჩერა, გააგდო, დაარტყა კიდეც და თავხედურად უთხრა: „წადი, იესო, იარე სასიკვდილოდ." ქრისტემ მკაცრად შეხედა და მიუგო: „მე წავალ, მაგრამ შენ იცოცხლებ ჩემს დაბრუნებამდე." მას შემდეგ ა. განწირულია, სამუდამოდ უსახლკაროდ დაეხეტება. ბიბლიური გმირი ფართოდ აისახა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. წერდნენ გოეთე, შლეგელი, შუბარტი, ლენაუ, ჟუკოვსკი და სხვები. „აგასფერი მოდის მშიერი, მწყურვალე, ქანცგამოლეული და ზიზღით ათასი თვალი უცქერებს მას" („აგასფერი და ძეწნა"— ნ. ლორთქ.).

ᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ — იხ. ჰაგიოგრაფია.

ᲐᲒᲝᲜᲘᲐ — (ქეგლ) სულთმობრძაობა, სიკვდილისწინა მდგომარეობა. „მკითხველი მწვავედ განიცდის მორიელებისაგან დაგესლილი არსაკიძის აგონიას" (ც. სიგ.).

ᲐᲒᲣᲜᲐ — (მით.) ნუნუა, ღვინის ღმერთი, დიონისე-ბახუსის ორეული. განსაკუთრებით ცნობილია დასავლეთ საქართველოში: ლეჩხუმში, გურიაში საახალწლო სიმღერებში: „აგუნა", „ვასარა და ჩაგუნა", „რა-აგუნა", „მზე და აგუნა". ესაა რიტუალური ჰიმნი, რომელსაც ასრულებენ საწნახელზე კაკუნის აყოლებით. ლეჩხუმელი გლეხკაცი ვენახში ღვინოს გადაღვრის და იტყვის: „გაღმა ფურცელი, გამოღმა ყურძენი". აგუნასთან ამ გასაუბრების შემდეგ შინ ბრუნდება და იძინებს.

ᲐᲓᲐᲛᲘ [ებრ. ადამაჰ — წითელი მიწა] — (ქსე) იუდაისტურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში ადამიანთა მოდგმის წინაპარი. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა სამყაროს შექმნა დაასრულა იმით, რომ ა. შექმნა თიხისაგან „ხატისაებრ თვისა", სიცოცხლის სული შთაბერა და საბრძანებლად დაუმკვიდრა დედამიწა და ყოველი სულიერი. ა.-ის მითი ყურანშიც აისახა; ამიტომ ა. მუსლიმანებისათვისაც ადამიანთა წინაპარია. ა.-ის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და თქმულება, რაც აპოკრიფულ და ბიბლიის შემდგომ იუდაისტურ ლიტერატურაში გვხვდება. ა.-გან წარმოსდგება ქართული სიტყვა „ადამიანი" — ა.-ის ჩამომავალი (იხ. ევა). „მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, ნაბრძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ." („კაცია-ადამიანი?!"— ი. ჭავ.).

ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ — (მით.) ნადირთა პატრონი, დალიზე უფრო წმინდა და უმწიკვლო, პატივით გარემოსილი მფარველი დედა ქართულ მითოლოგიაში. ამა თუ იმ ადგილის სვეტის ანგელოზის მსგავსი. ხალხი ლოცვით მიმართავს: „ადგილისა დედაო, დედაო ღვთისაო, შენ დაგვიტანე ბარაქა — შეგვინახე შენი მადლით." დარგობრივი მითოლოგიის ეს კეთილი სახე, რომელიც ადამიანს უჩინოდ ემსახურება, მთელს ფშავ-ხევსურეთში სწამთ, პატივს სცემენ. ფშაველს ეშმაკებითა და დევებით სავსე ჰგონია ქვეყანა; თვითეულს ადგილს, მთას, გორას, ხევს, მისი წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც ა. დ.-ს ეძახის. სხვაგან მხოლოდ სიტყვის მასალად იხმარება. მაგ. სვანეთში მის ნაცვლად სხვა სალოცავი აქვთ: „ამ ადგილის სალოცავო ღმერთო, შენ შემეწიე." ფშაველი კი, მთაში რომ დარჩება, იმედიანად დაიძინებს — ადგილის დედა დამი-

ცავსო, დილით ნანადირევსაც აჩუქებს ხოლმე. ფშაველი და ხევსური მას მცირე კოშკს უგებენ, კვერებს მიართმევენ ბავშვების ხელით. მითები არ შექმნილა, მაგრამ საკულტო წესებში თვალსაჩინო როლს თამაშობს. „ადგილის თავსვეტის ანგელოზო, ციური შუქის მიმნიჭებელო“— მიმართვაა ლოცვებში. (ვაჟა-ფშაველა — „ხმელი წიფელი“) „ადგილის ღედაც ადღეგრძელეს ბოლოს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ადვოკატი — პირი, რომლის პროფესიაა იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეს ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებას, ვექილი. ა. უნდა იყოს ა.-თა კოლეგიის წევრი, მუშაობდეს რომელიმე იურიდიულ კონსულტაციაში.

ადიუტანტი —(უსლ) მეთაურთან ან შტაბში დანიშნული ოფიცერი, რომელიც ასრულებს სხვადასხვა დავალებას ან საშტაბო სამუშაოს.

ადიშის ანუ ოდიშის ოთხთავი — („ძველი ქართული მწერლობა“) ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი (897 წ.) ჯადაწერილია შატბერდის ლავრაში. ხელნაწერი ეტრატზეა შესრულებული, ნაწერია მრგლოვანი ხელით ორ სვეტად. 1-5 ფურცელი შემკულია მინიატიურებით. დაცული იყო ზემო სვანეთში, სოფ. ადიშში. ძეგლში დაცულია მდიდარი ლექსიკა და თავისებური გრამატიკული ფორმები. ძეგლს იცნობენ და ინტენსიურად იკვლევენ არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც (ამერიკა, ბელგია, გერმანია). 1928-1955 წ.წ. პარიზში ცალკე წიგნად გამოსცა ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა.

ადლი — (ქეგლ) სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლ. 1 მეტრს. (გადატ.) თავისი ადლით ზომავს — სხვების შესახებ თავისი თავის მიხედვით მსჯელობს. „[ლუარსაბმა და დარეჯანმა] ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამსამი ადლი მიწა?“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ადონისი — (ქსე) მცენარეულობისა და ნაყოფიერების ფინიკიური ღვთაების ბერძნული სახელი. ადონისის კულტი ცნობილია ძვ. წ. II ათასწლეულიდან. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ბუნების მარადიულ კვდომასა და განახლებასთან. მითის თანახმად, ა. მონადირე იყო და გაზაფხულზე დაიღუპა ტახთან ბრძოლაში, მაგრამ ქალღმერთმა ასტარტემ გააცოცხლა. ბერძნულ მითოლოგიაში ა. აფროდიტეს ულამაზესი მიჯნურია. ძველი ბერძნებისათვის ა. წამებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ერთ-ერთი პირველსახეა. ა. ლამაზი მამაკაცის სინონიმად იქცა.

ადრესანტი — (ქეგლ) პირი, რომელიც გზავნის წერილს, დეპეშას, ამანათს.

ადრესატი — (ქეგლ) პირი, რომელსაც ეგზავნება წერილი, დეპეშა, ამანათი.

ადრესი — (ქეგლ) წერილობითი მი-

სალმება, ჩვეულებრივ, იუბილარისადმი. „რაფიელ ერისთავის იუბილეზე მოსულიყვნენ საქართველოს ყველა კუთხიდან დეპუტატები საჩუქრებითა და ადრესებით" (ნ. გრიგ. წ. I).

ᲐᲕᲐᲖᲐ — (ქეგლ) მტაცებელი ცხოველი, ადვილად შინაურდება, ძველად იყენებდნენ ნადირობის დროს. „ერთმა ინგილომ ორი ავაზა მოუყვანა მეფეს." „ურმით მოჰყავდათ გიორგი მეფის ავაზები მონებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲘ — (ქეგლ) მძარცველი, ყაჩაღი. „ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო" (დ. გურ.)

ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ [ფრ.]— (უსლ) მეწინავე რაზმი ჯარისა, ფლოტისა. (გადატ.) საზოგადოების მოწინავე ნაწილი.

ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘᲖᲛᲘ — (ქსე) საერთო პირობითი სახელწოდება XX ს. ბურჟუაზიულ ხელოვნებაში, რომელსაც ახასიათებს კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან კავშირის რადიკალური გაწყვეტა, ექსპერიმენტულობა, ახალი ფორმებისა და გამოსახვის საშუალებებისაკენ სწრაფვა. ა. მოდერნიზმს ემთხვევა და ღრმა წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. კლასიკური ხელოვნებისაგან განსხვავებით, ა. სამყაროს არ მიიჩნევს მოწესრიგებულ, კანონზომიერ და ჰარმონიულ ერთიანობად — იგი უაზრო ქაოსად ესახება. უარყოფს რაციონალიზმს, მეცნიერულ ცოდნას. გამომხატველ საშუალებათა არსენალში დიდი როლი დაეკისრა პაროდიას, ირონიას, გროტესკს „საქართველოში ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ავანგარდისტული იყო ფუტურისტების ჯგუფი."

ᲐᲕᲐᲜᲓᲐᲡᲢᲐ [სპარ.] — (ქეგლ) თითბრის როდინი. „თაროებზე უწესრიგოდ ეყარა ეტრატის გრაგნილები, კარაბადინები, ავანდასტები. იქვე ეკიდა ეჩოები, ხუჭრეთლები და გონიო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐ [ფრ.] — (უსლ) თავგადასავალი, ჩვეულებრივ, საძრახისი; უპერსპექტივოდ, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე.

ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ [ფრ.] - (უსლ) საეჭვოდ, შემთხვევითი წარმატების იმედით საქმის წამომწყები. „როგორც ყოველ ავანტიურისტს, ფარსმანსაც რამდენიმე ხელობა ჰქონდა მომარჯვებული" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲐᲕᲐᲠᲐ [სპ.]— (ქეგლ) უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა. „მოკრძალებით მდგომ მათხოვარს ავარამ უთხრა: „დედი, რას გვაწვალებ, ან თავს რად იწვალებ?" („თავხედიანი დედაკაცი" — ნ. ლორთქ.).

ᲐᲕᲒᲐᲠᲝᲖᲘ — (ქსე) ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნეობით ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ. სწამდათ, რომ ა. მფლობელს დაიცავდა ავადმყოფობის, ხიფათისა და „ავი თვალისაგან." სახელწოდება მომდინარეობს აბგაროს მეფისაგან, რომელსაც ბიბლიის მიხედვით ქრისტემ თავისი ხელთუქმნელი ხატი აჩუქა. ა.-ის ძალის რწმენა მაგიასა და

ფეტიშიზმს უკავშირდება და როგორც გადმონაშთი, ბევრ ხალხს შემორჩა (იხ. ამულეტი). „ბევრჯერ სისხლით შეღებილა მათი ავგაროზები" („საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი" — ლ. ახალ.).

ავგიას თავლა — (მით) ბერძნულ მითოლოგიაში ელადის მეფის, მზის ღმერთ ჰელიოსის ძის — ავგიას ვეებერთელა თავლა, რომელიც 30 წლის მანძილზე არ გასუფთავებულა. ჰერაკლემ მდ. ალფეოსის და პენეოსის წყალი მიუშვა და ერთ დღეში გაწმინდა. (გადატ.) უთავბოლოდ მიშვებული საქმე, უწესრიგობა.

ავესტა — (ქსე) ირანელთა რელიგიის (ზოროასტრიზმის) უძველესი ლიტერატურული ძეგლი. ამჟამად ფარსებისა და გებრების საღვთისმსახურო წიგნი. იგი განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულს. ირანის, შუა აზიის, ავღანეთისა და აზერბაიჯანის ხალხების კულტურული, მითოლოგიური და საგმირო ეპოსის უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს.

ავიცენა — შუააზიელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი.

ავლაბარი — (ქსე) თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, რიყეს, ჩუღურეთს, ელიასა და ნავთლუღს შორის. თანამედროვე ა.-ს XI-XIII ს.ს. ისტორიულ წყაროებში „ისანი" ეწოდებოდა. სიტყვა "ა." XIV ს.-დან ჩანს დამკვიდრებული. ა.-ის მთავარი უბნები იყო სოღდებილი და მეტეხი. არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, რომ ეს ტერიტორია ძვ. წ. I ათასწლეულში ყოფილა დასახლებული. ა.-ში შემორჩენილი კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, დარეჯან დედოფლის სასახლე „საჩინო", ფორაქიშვილის დარბაზი, რამდენიმე ეკლესია და სხვა. რევოლუციური მოძრაობის დროს, იყო ცნობილი ა.-ის არალეგალური სტამბა. „შეთქმულები ავლაბრის ყაზარმაში გამოამწყვდიეს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავ.).

ავლი — (ქეგლ) ფერფლი. „თავდაბირველად ავლში გახვეული ნაღვერდალივით ღვივოდნენ [მელქისედეკის] სიტყვები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ავრეხი — (ქეგლ) უნაყოფო ვაზი.

ავრორა — (მით) ცისკრის, განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. იგი წარმოდგენილია ახალგაზრდა ფრთიანი ქალის სახით, რომელიც ოკეანიდან ადის მოელვარე ცხენებშებმული ეტლით. ა. რიჟრაჟის სიმბოლოა, შეესაბამება ბერძნულ ეოსს, ქართულ აისს. პოეზიაში, მხატვრულ მეტყველებაში იხმარება როგორც სინონიმი ალიონისა, სიმბოლო განახლებისა, მომავლის იმედისა. „ამოვდივარ! ღამის ნაკვთებს მალე გაჰკვეთს ჩემი ფრთები/ ამოვდივარ! გულის ნადებს ნუ წაგართმევს ღამის ხმები/ როს მომავლის მზის სხივები კანდელივით დამქათქათებს/ მალე, მალე, მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები/ მუდმივ რკალად

მოვედები მუდმივ თოვლით შემოსილ მთებს" („ავრორა" — გ. ტაბ.).

ავტობიოგრაფია (ბერძ. საკუთარი ცხოვრების აღწერა) — (ანდ. ჭილაია) ლიტერატურული ჟანრი, რომელიც უახლოვდება მემუარებს, მაგრამ განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ავტორის პიროვნებასა და მის სოციალურ სამყაროზე. ქართული ავტობიოგრაფიის ავტორები არიან აკ. წერეთელი („ჩემი თავგადასავალი"), ვაჟა-ფშაველა („ჩემი წუთისოფელი"). ავტობიოგრაფიულობა ახასიათებს ალ. ყაზბეგის, გ. ლეონიძის, ნ. დუმბაძის და სხვა ავტორთა ნაწარმოებებს. ავტობიოგრაფიას უწოდებენ აგრეთვე საკუთარი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების მოკლე ქრონოლოგიურ აღწერას, რომელიც განკუთვნილია ოფიციალური დანიშნულებისათვის.

ავტოგრაფი — (უსლ) 1. ვისიმე საკუთარი ხელმოწერა ან წანაწერი. 2. ავტორისმიერი ხელნაწერი ტექსტი.

ავტოკეფალია, ავტოკეფალური ეკლესია — (ქსე) დამოუკიდებელი ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც იერარქიულად ცალკე ერთეულია. ამჟამად მსოფლიოში არსებობს ალბანეთის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ბულგარეთის, ელადის, იერუსალიმის, კიპროსის, კონსტანტინოპოლის, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოს, სერბიის, ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიები. „გიორგი მერჩულე ეხება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის, თვითმმართველობის (ავტოკეფალიის), საქართველოს კულტურული და პოლიტიკური მთლიანობის საკითხებს" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" — სასკ. გამოც.).

ავტონომია — (უსლ) თვითმმართველობა, სუვერენული სახელმწიფოს ერთი ნაწილის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა — თვითმმართველობის სახელმწიფო საკითხთა დამოუკიდებელი გადაწყვეტის უფლება. გათვალისწინებულია სახელმწიფო კონსტიტუციით ან სხვა საკანონმდებლო აქტით. ა. ორი ფორმისაა: პოლიტიკური და ადმინისტრაციული.

ავტორიტეტი [გერმ.] - (უსლ) 1. ღირსება, ნდობა, გავლენა, პატივისცემა, საზოგადოებრივი სახელმოხვეჭა, ნდობისა და პატივისცემის დამსახურება საერთოდ; 2. საყოველთაოდ აღიარებული. „თავადი ილია ჭავჭავაძე არის შესანიშნავი ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე საქართველოში, — აღნიშნავდა თბილისის ჟანდარმერია საიდუმლო მოხსენებაში" (სასკ. გამოც).

ავშარა — (ქეგლ) ულაგმო აღვირი ცხენისა.

აზავერი — (ქსე) ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებენ ხოლმე (სასაპალნე ხარი). წერილობითი წყაროების მიხედვით, ადრე, შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული საოჯახო მეურნეობაში შორ გზაზე ბარგის გადასატანად, აგრეთვე მშენებლობაზე. მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანში"— „აზავრები, გააჩავრე," — ამბობს ტარიელი ხატაელებთან ომში გამარჯვებისა და ალაფის აღების შემდეგ. „ერთი ვაჭარი შორეულ ქვეყანაში სავაჭროდ გაემგზავრა, თანა ორნი აზავერნი ჰყვეს" („ქილილა და დამანა"— საბა).

აზაპბარი — (ქეგლ) ღვინის სმაში გათანასწორება შემოსწრებულისა. „მას აზაპბარი მიჟუხაჯოთ კიდევ ორწილად/ რომ წითელ ჯამში არ მალავდეს თეთრ უზალთუნებს" („ქორწილი ჩვენს უბანში"- ი. გრიშ.).

აზარმაცი — (ქეგლ) რკინის ან ხის გრძელი კეტი მძიმე საგნების ასაწევად.

„და მეც შენსავით ბრბოს ტლანქს და ზარმაცს, / ჩემი თათმანი მივეც გირაოდ; / არქიმედივით ვეძებ აზარმაცს,/ რომ დედამიწა ავაყირაო!“ („ჩემს მამას“ — ი. გრიშ.).

ᲐᲖᲐᲠᲢᲘ — (ქეგლ) ძლიერი გატაცება რაიმეთი, თავდავიწყება; აზარტით თამაში.

ᲐᲖᲐᲠᲤᲔᲨᲐ — (ქსე) ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი; ჩვეულებრივ მოოქრული და მოსევადებული. ფსკერზე ზოგჯერ ფრინველის ან ცხოველის (მტრედი, ირემი) მოძრავი ფიგურა აქვს მიმაგრებული, ტარს კი ხშირად სახოტბო ლექსიც უმშვენებს. „კასავილა გაოცებული შესცქეროდა ოქროსა და ვერცხლის ჭაღებს, ბაგრატეულ სამწდეურებს, აზარფეშებსა და ფიალებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „ბედსა რად ჰსწყევლი? რად ჰსწუხხარ? რას გარგებს სულმოკლეობა? შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება“ („აზარფეშაზე“— გრ. ორბ.).

ᲐᲖᲐᲢᲘ — (ქეგლ) განთავისუფლებული ყმა. სპარსულიდან შემოვიდა საქართველოში თავისუფალის მნიშვნელობით. უფრო გვიან „თარხნის“ სინონიმად იხმარებოდა. „ვეფხისტყაოსანში“: „ვააზატე“ — გავათავისუფლე. „[ბატონო], ცხონებულმა ბაბათქვენმა ობელაშვილებს აზატობა გვიწყალობა, გაგვათარხანა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.). „ზვიადს შეპყრობილ მოწესეთა და ბერთა აზატქმნა მოეთხოვნა უნდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲐᲖᲘᲖᲘ — (ქეგლ) ნაზი, სათუთი, ნებიერი; აზიზად გაზრდილი.

ᲐᲖᲛᲐ — ქება. იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘ [სპ.] — (ქეგლ) კეთილშობილი, ცნობილი, პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი, თავადზე დაბლა მდგომი.

ᲐᲖᲝ — (ქსე) აზონი, ლეგენდარული პირი, ალ. მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი. იხსენიება ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად ა. ქართლის მეფის შვილი იყო. მას თავისი მამის ქვეყნიდან, ქართველების პირვანდელი სამშობლოდან (იხ. არიან ქართლი) წამოუყვანია 18 სახლი (გვარი), დაუსახლებია მცხეთასა და მის მიდამოებში. ასე წარმოქმნილა ქართლის სამეფო, რომლის პირველი მეფე თვითონ ა. გამხდარა. ლეონტი მროველის ცნობით, აზონი ბერძენია, ქართველთა მტერი; ალექსანდრე მაკედონელს მმართველად დაუყენებია მცხეთაში. ქართველები ფარნავაზ მცხეთელისა და ეგრისის ერისთავ ქუჯის წინამძღოლობით აჯანყებიან აზონს, სამშობლო ბერძენთა უღლისაგან გაუთავისუფლებიათ, დაუარსებიათ ქართლის სამეფო და პირველ მეფედ ფარნავაზი დაუსვამთ.

ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘ — (ქსე) სელჩუკთა სახელმწიფოში სულთნის მემკვიდრის აღმზრდელი და მეურვე. საქართველოში ა. იყო ერთ-ერთი ვაზირი. მის ფუნქციებში შედიოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა. ათაბაგობა საქართველოში დამკვიდრდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი მსხვილი ფეოდალების გაძლიერების შედეგად. 1212 წ. ეს თანამდებობა პირველად ებოძა ივანე მხარგრძელს. ათაბაგობა დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობას. ათაბაგობასთან ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის თანამდებობაც. 1334 წ. გიორგი V-მ ეს თანამდებობა უბოძა თავის ბიძას, სამცხის მთავარს - სარგის ჯაყელს. საქართველოს დანაწილების შემდეგ ათაბაგობა — როგორც ვეზირობა, მოისპო. „ა.“

სამცხის მთავართა ტიტულად იქცა „ათაბაგად ქცეულმა ჯაყელებმა ფაშობა მიიღეს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ათანასეს ლავრა — (ქსე) მონასტერი ათონის მთაზე საბერძნეთში; დააარსა ათანასე ათონელმა 963 წელს. ათანასეს დროს ლავრაში იმყოფებოდა 120-მდე ბერ-მონაზონი, მათ შორის ქართველებიც. X ს. 80-იან წლებში აქ მოვიდნენ ქართველები - იოანე ბერი, მისი ძე ექვთიმე (ექვთიმე მთაწმინდელი) და თორნიკე ერისთავი, რომლებმაც 15 წელი დაჰყვეს აქ და სხვა ქართველებთან ერთად ააშენეს ათონის ივერთა მონასტერი. „რიცხვი არა აქვსთ, იქ ლავრა/ დაუდებელი ფასისა/ ყველაზე პირველი არის/ დიდისა „ათანასისა" („თორნიკე ერისთავი" — აკ. წერ.).

ათას ერთი ღამე — (ქსე) არაბულ ზღაპართა კრებული, რომელიც იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე. მასში მოთხრობებს, არაკებს, ზღაპრებს, ანეკდოტებს ერთ ჩარჩოში აერთიანებს შაჰრაზადას ამბავი. სასიკვდილოდ განწირული შაჰრაზადა შაჰრიარ მეფეს ღამღამობით უამბობს ზღაპრებს, განთიადისას კი ყველაზე საინტერესო ადგილას წყვეტს ამბავს, რათა თხრობა მომდევნო ღამით განაგრძოს და ამით სასჯელი აიცდინოს. „ა. ე. ღ."-ის ანეკდოტები ეხება მეფეებს, ხალიფებს, მთავრებს, მამლუქთა სულთნებს, ვაჭრებს, მდიდრებს, უბრალო ადამიანებს, მსაჯულებს, მასწავლებლებს, საჭურისებსა და სხვებს. თხზულება თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულად სრულყოფილად ითარგმნა 1967 წლიდან. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა" წარმოადგენს იგავ-არაკების კრებულს, სადაც იგავ-არაკები გაშლილია ფაბულური მოთხრობის ფონზე, მსგავსად „სიბრძნე ბალავარისა," „ათას ერთი ღამისა" (სასკ. გამოც.).

ათეიზმი — (ქეგლ) ღვთის არსებობისა და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა.

ათენა, ათჱნა პალადა — (მით. ლექს.) ბერძნულ მითოლოგიაში სიბრძნის, ხელოვნებისა და ომის ქალღმერთი, რომელიც დაიბადა ზევსის თავიდან (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება მინერვა). მისი სახელი ერქვა ქალაქ ათენს, რომელიც მის წილხვდომილად ითვლებოდა. მის სახელზეა აგებული პართენონის ტაძარი. ჩვეულებრივ, ათენას ატრიბუტებია: მუზარადი, ფარი, შუბი, აგრეთვე ბუ, ზოგჯერ გველიც (ბუ და გველი სიბრძნის სიმბოლოებია).

ათენი — (ქსე) ძველი ქალაქი-სახელმწიფო (პოლისი) ძვ. საბერძნეთში. ნეოლითის ხანიდანაა დასახლებული, მიკენურ ხანაში (მიკენის კულტურა), განსაკუთრებით ძვ. წ. XIV-XII ს.ს. იქცა მნიშვნელოვან დასახლებად, რომლის ძირითადი ნაწილი მდებარეობდა აკროპოლისის ბორცვზე და მის გარშემო.

ათირება (დიალექ.) — (ვაჟას მც. ლექსიკ.) დაჩუმება, დაშოშმინება. „ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა, რძისთვის რო აბირდებიან" („ბახტრიონი" — ვაჟა).

ათი მცნება — (ბიბლ.) ათი მითითება, დარიგება, სავალდებულო მცნება, რომელნიც ძველი აღთქმის მიხედვით იაჰვემ უქადაგა სინას მთაზე მოსეს. 1. მე ვარ უფალი შენი, ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე; 2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი —არა თაყვანი სცე მათ, არა ჰმსახურებდე მათ; 3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა; 4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი; ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყო-

ველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა. 5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა; 6. არა კაც ჰკლა; 7. არა იმრუშო; 8. არა იპარო; 9. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთითა; 10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

თავისთავად ათი მცნება სიკეთესა და ადამიანურობას ქადაგებს და მრავალ მართებულ მოთხოვნას აყენებს, წყევლის ბოროტებას: „წყეულ იყავნ, რომელმან აცდუნოს ბრმაი გზასა!“ „წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკლვად სულისა მართლისა“. „შეეწიე დავრდომილს, უქონელსა და ქვრივ-ობერს.“ „...აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“ („ქართვლის დედა“ — ი. ჭავჭ.).

ათინათი — (ქეგლ) ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი. იხ. თინათინი. „ის დიდი ათინათი ბრწყინვალებისა, რომელიც ასდიოდა ამ შესანიშნავ ქვეყანას (ბიზანტიას), ანათებდა მთელს წინა აზიას“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ათონის ივერთა მონასტერი — (ქსე) „ივერიონი“. ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა საბერძნეთში ათონის მთაზე, ქალკედონის ნახევარკუნძულზე. დაარსდა 980-983 წლებში. მისი შექმნა დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ ხელთ იგდო (979 წ.) დიდძალი ნადავლი, რომელიც ამ მონასტრის მშენებლობას მოახმარა. მონასტრის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა შედიოდა. „დიდი ეკლესია“ — გუმბათოვანი ტაძარი, საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ გადაკეთდა და დღესაც არსებობს. მონასტერი ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა გახდა. აქ აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მათი ხელმძღვანელობით X-XI ს.ს. ათონზე გაჩაღდა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, დაიწერა ორიგინალური თხზულებები, ქართულად ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები. მონასტერმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ლიტერატურის ნიმუშთა მსოფლიო სარბიელზე გატანას. აქ ითარგმნა ქართულიდან ბერძნულად „სიბრძნე ბალავარისი.“ მომდევნო საუკუნეებში მუშაობა შენელდა და ბოლოს შეწყდა. დევნა-შევიწროებას ქართველები განიცდიდნენ ჯერ კიდევ XI ს.-დან, ხოლო XII საუკუნიდან ბერძნებმა თანდათან ხელთ იგდეს სავანე. ქართველი ბერები მაინც განაგრძობდნენ აქ მოღვაწეობას. 1900 წლისათვის აქ 51 ქართველი იყო.

ათქვირება — (ქეგლ) სისხლ-ხორცით ავსება. „მოხუცი გუთნისდედა ათქვირებულ ყანას რომ შეხედავდა, სასოებით წაიჩურჩულებდა („მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“ — გ. ლეონ.).

ათშაურიანი — (ქეგლ) ათი შაურის (50 თეთრი) ღირებულების ლითონის ფული.

აია — კოლხეთის სამეფო და მისი დედაქალაქი ანტიკური ხანის ავტორების მიხედვით.

აიაზმა [ბერძ.]— (ქეგლ) ნაკურთხი წყალი. „ფიქრიავ, შენ აიაზმის წყალი და სეფისკვერი მოიტანე“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.). „და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა/ სცემდა აიაზმას ერის ცხოვრებად“ („აჩრდილი“ — ი. ჭავჭ.).

აია სოფია — წმ. სოფია, ცნობილი ტაძარი ავგუსტინეოსის მოედანზე კონსტანტინოპოლში (ამჟამად სტამბოლში). „ფარსმანმა შეაკეთა აია სოფია და რამდენიმე ტაძარი ანატოლიკში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

აიეტი — (ქსე) ძველბერძნულ მითოლოგიაში — მზის ღმერთის, ჰელიოსის ძე. კოლხეთის დიდი და სახელგანთქმული მეფე, არგონავტების თქმულების ერთ-ერთი გმირის, მედეას მამა.

აიეტი — (ქართ. ენც.) VI ს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი. ბიზანტიელების მიერ მეფე გუბაზ II-ის მოკვლასთან დაკავშირებით გამართულ ეგრისის სახალხო კრებაზე (555) ხალხს მოუწოდა ირანული ორიენტაციისათვის მხარი დაეჭირათ. მისი ეს სიტყვა კლასიკური მჭევრმეტყველების ნიმუშია.

აკადემია — (ქსე) სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების, საზოგადოებისა და სასწავლებლების სახელწოდება. წარმოდგება მითიური გმირის აკადემეს სახელიდან. ა. ერქვა იმ ადგილს ათენთან, სადაც ძვ. წ. IV ს. პლატონი ლექციებს უკითხავდა თავის მოწაფეებს. საქართველოში აკადემიის ტიპის სამეცნიერო დაწესებულებები იყო: კოლხეთის რიტორიკული სკოლა (IV ს.), გელათი, იყალთო (XII ს.).

აკადემიური ჯგუფი, ასოციაცია — (ქსე) მემარჯვენე მისწრაფებების გამომხატველ მწერალთა ერთი ფრთა XX ს. 20-30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. მასში შედიოდნენ: კ. გამსახურდია, კ. მაყაშვილი, ბ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი. ისინი გაერთიანდნენ ჟურნალების „ხომლი“ (1921 წ.), „ილიონი“ (1922 წ.), „კავკასიონი“ (1925 წ.) გარშემო. ამ ორგანოებში ხშირად იბეჭდებოდა ანტისაბჭოური თხზულებები. წინა პლანზე იყო მარადიული ხელოვნების იდეის ქადაგება (ანდ. ჭილაია).

აკვარელი — (უსლ) წყალში გახსნილი საღებავი, რომელსაც ჩვეულებრივ მცენარეულ წებოსაც ურევენ, გამოიყენება ფერწერაში. (გადატ.) „გალაკტიონის პოეზია ეს არის მსუბუქი აკვარელით შესრულებული უაღრესად დახვეწილი ფერწერა“ (გ. ასათ.).

აკვიატება — (ქეგლ) აჩემება, რაღაც აზრის ადევნება. „არსენა გიჟი არ არის, მაგრამ გლეხების ბედი კვიატივით აქვს აჩემებული“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

აკიდო — (ქეგლ) ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა.

აკიკო, აყიყო — (ქ. მწ.) წითელი ფერის ძვირფასი ქვა. „ვარდი და აყიყო ერთმანეთში აეყვავებინა (ს. ს. ორბ.).

აკლდამა — (ქსე) სამარხი ნაგებობა, ზოგჯერ ნაწილობრივ მიწაშია ჩაფლული, დაახლოებით იგივეა, რაც ძვ. სამარხავი. შეიძლებოდა აკლდამის გახსნა და შიგ შესვლა. მას ჰქონდა ეზო, ზოგჯერ კიბიანი შესასვლელი, მიცვალებულის დასასვენებელი საცხედრე და საძვალე. აკლდამაში მარხავდნენ ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებს. საქართველოში აღმოჩენილია ქართლის სამეფოს მესვეურთა, წარჩინებულთა და მა-

თი ოჯახების წევრთა მავზოლეუმის ტიპის ა. მცხეთაში, ბაგინეთში, ხორნაბუჯში, ხევსურეთში. „რამდენი სიბები აწყვაჲ! / მოსჩანს აკლდამის პირები. /გმირთა სამარეს, როგორც ხატს, / სამთხვევად დავეღირები“ („ბახტრიონი“ — ვაჟა)

ᲐᲙᲛᲔᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) დეკადენტური ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული მიმდინარეობა XX ს. პირველი მეოთხედის რუსულ ლიტერატურაში. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული AKME-დან, რაც მწვერვალს ნიშნავს. მის პარალელურად იხმარება ადამიზმი, რაც მომდინარეობს ბიბლიური პირველკაცის — ადამის სახელიდან და პირველკაცობის სიმბოლური გამოსახულებაა. აკმეისტები ქადაგებდნენ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, მისტიციზმს, ინდივიდუალიზმს. მათთვის პოეზია ხალხისა და ქვეყნის ინტერესების გარეშეა წარმოდგენილი.

ᲐᲙᲠᲝᲡᲢᲘᲥᲘ — (ანდ. ჭილ.) ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისაგან გამოდის სიტყვა ან წინადადება. ა.-ის მაგალითია „ლამბადებლის მამისა საყვარელო ძეო, / ჰლმიბყარ ხელი, რასაცა ვითხოვ, მიბოძეო! / პარ ვით ცხოვარი წყმენდილი, აწ მომიბოძეო / ჩესო, მწყემსო კეთილო, ხატთა მეცხორეო, / იიკნად ნუ გამხდი მარჯვენით კრავში გამრიეო!“ (დ. გურ.).

ᲐᲙᲢᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ, ᲐᲥᲢᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ — 1832 წლის ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების წესდება. შეადგინა ფილადელფოს კიკნაძემ. წესდებაში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის მიზანდასახულობა, წევრთა მიღების წესი, შეთქმულთა შორის დამოკიდებულების ნორმები, საიდუმლოების დაცვის ხერხი და სხვა. „არსენამ ბალახში რაღაც ქაღალდს მოჰკრა თვალი. აიღო და ჩაათვალიერა. ეს იყო „აქტა გონიერი“ — წესდება შეთქმულთა, დაწერილი რელიგიურ-მისტიკურ კილოზე, აღსავსე ლოცვებით, ფიცით და მასონური პრინციპებით და დარიგებებით — თუ რა სიფრთხილით უნდა შეენახათ მისი საიდუმლოებანი. გარდა ამისა, „აქტში“ ეწერა, რომ იესო ქრისტე შეთქმულთა შორის პირველი წევრია და რომ ამ ძმობაში მდაბიო არ უნდა იყოს არჩეული“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲐᲚᲐᲑᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც ადლი, უდრის 60,0 სმ „ეს სუფრა ხუთ ალაბზე დასწიეთ!“ „[არსენამ] ორ წამში დონური თაფლა ოციოდე ალაბით ჩამოაგდო.“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲐᲚᲐᲒᲔ — (ქეგლ) ღობეზე გადასასვლელი ადგილი, გადასაბიჯი.

ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ — (ქსე) 1. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ალაზნის ველზე. მონასტერი VI ს. შუა ხანებში დააარსა იოსებ ალავერდელმა. XI ს. კვირიკე კახთა მეფემ პატარა ეკლესიის ადგილას ააგო დიდი საკათედრო ტაძარი. შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი. მისი სიმაღლე 50 მეტრამდეა. შენობა გამოირჩევა საოცარი სიმეტრიულობით. აქ იმართებოდა დღესასწაული „ალავერდობა“ — ნაყოფიერებისა და მოსავლის აღება-დაბინავებასთან დაკავშირებული. იწყებოდა 28 სექტემბერს და გრძელდებოდა 3 კვირას. ალავერდობაზე ლამისთევით მიდიოდნენ მლოცველები (გ. რჩეულიშვილი „ალავერდობა“, აკ. წერეთელი „ბაში-აჩუკი“, ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“). 2. (ქეგლ) ღვინის სმაში — სიტყვა, რომლითაც სუფრის ერთი წევრი მეორეს სთავაზობს რაიმე სადღეგრძელოს. ალავერდი შენთანა ვარ!

ᲐᲚᲐᲕᲘ [ძვ.] — (ქეგლ) საქორწინო საჩუქარი სასიძოს მიერ საპატარძლოსთ-

ვის მირთმეული. „უთხარით ლოთებს, რომ აკურთხა მღვდელმა ალაფი, რომ ხიძეს მიხცეს ფალუხტაკი დაუხალავი" („ქორწილი ჩვენს უბანში" — ი. გრიშ.).

ᲐᲚᲐᲚᲘ — (ქეგლ) 1. მტაცებელი ფრინველი, ქორსა ჰგავს. „რა ალალმა დაჰქროლა, რა დაემართა, რამ შეაშინა." „მელქისედეკის დანახვაზე ორიათასამდე მუშა ისე გაიტვრინებოდა, ალალმა ჩამოუქროლაო ნიბლიების გროვას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.); 2. ალალი — მართალი, ღვიძლი. ალალი ლუკმა, ალალი ძმა.

ᲐᲚᲐᲛᲓᲐᲠᲘ — (ქეგლ) მედროშე, წინამძღოლი. „კ. გამსახურდია გახლდათ ქართული სიტყვის მარტვილი და ალამდარი" (ს. სიგ.).

ᲐᲚᲐᲜᲔᲑᲘ — (ქსე) ოსები, ოვსები. სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ნახევრად მომთაბარე ტომები, ძვ. წ. I საუკუნიდან დასახლდნენ ჩრდილო კავკასიაში. XIII ს. 30-იან წლებში ალანეთი მონღოლებმა დაიპყრეს. ალანების ნაწილმა კავკასიონის ხეობებს შეაფარა თავი. ამავე დროიდან დაიწყო ქართლის მთიანეთში ალანთა დასახლება. ალანთა პირდაპირი შთამომავლები ოსები არიან.

ᲐᲚᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲠᲘ — (ქსე) დარიალის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება (დარ — კარი, ალან — ოსები, დარალან — ალანთა კარი, დარიალი).

ᲐᲚᲐᲤᲘ — (ქეგლ) ვისიმე დარბევის შედეგად აღებული საქურქლე. „მარბიელ ლაშქარსაც არ უნდა აელო ალაფი" (კ. გამს.).

ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც ჭიშკარი. „ქალი დიდხანს გაჰყურებდა ალაყაფის კარებში მიმავალ ზურაბ ჩიჩუას" („დადიანის ასული და მათხოვარი" — ნ. ლორთქ.).

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ — (კავკასიისა) ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის, დაღესტნის ნაწილს, იბერიის სამეფოს საზღვრებამდე. „440 წელს ირანის შაჰმა იეზდიგერდ II-მ ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის მეთაურები სამეფო კარზე იხმო" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.).

ᲐᲚᲑᲐᲢᲠᲝᲡᲘ — (უსლ) ზღვის დიდი ფრინველი; აქვს წაგრძელებული ნისკარტი, გრძელი და წერილი ფრთები. ცხოვრობს უმთავრესად დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში. „გალაკტიონის დამძიმებულ სხეულს, გემის ბაქანზე მოსიარულე ალბატროსივით, თითქოს მართლაც ეს „მსუბუქი ზვირთები" აქანებდნენ აქეთიქით" (გ. ასათ.).

ᲐᲚᲑᲘᲝᲜᲘ — (უსლ) ინგლისის უძველესი სახელწოდება.

ᲐᲚᲒᲔᲗᲘ — მდინარე ქვემო ქართლში, ამ მდინარის ხეობა. საერთოდ, საქართველო იგულისხმება. „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი" (ხალხ.).

ᲐᲚᲓᲔ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ — (ქსე) გიორგი I-ის მეორე ცოლი, ოსთა მეფის ასული. ქმრის გარდაცვალების შემდეგ შვილთან — დემეტრე უფლისწულთან ერთად ცხოვრობდა ანაკოფიის ციხეში. ბაგრატ IV-თან შინადინასტიური ბრძოლის დროს მან და დემეტრემ ანაკოფია ბერძნებს გადასცეს. დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ ა. დ. შვილიშვილთან ერთად ოსეთში გადასახლდა.

ᲐᲚᲔᲒᲝᲠᲘᲐ — (ანდ. ჭილ.) გადაკრულად ნათქვამი სიტყვა ან სიტყვათა რიგი, რომელშიც განყენებული აზრის, ცნების თუ მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. ა.-ში ნათქვამია ერთი, ნაგულისხმევია მეორე.

ალეგორია გამოსახვის ხერხია, ტროპის სახეა; ზოგჯერ მეტაფორული ხასიათისაა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მეტაფორა მოკლეა, სხარტია, შეკუმშულია. ალეგორიაში სიტყვები და ფრაზებია საძებნი, რომელთანაც გადაკრულობაა დაკავშირებული. ალეგორიულია: ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი, ზოგჯერ სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. მაგ. ნ ბარათაშვილის „სუმბული და მწირი“, აკაკის „სულიკო“. ალეგორიულია ავადმყოფის, ნესტან-დარეჯანისა და ამირანის სახე აკაკისთან. სამშობლოსა და თვით ხალხის მოღალატე ადამიანის სახეა ნაჩვენები აკაკის ლექსში „ღამურა.“ ა.-ის მიზანია შენიღბვა.

ალემბიკი — (გ. ტაბიძე. თორმეტტომეული — 1955 წლის გამოცემა, შენიშვნები და კომენტარები) შუშის ჭურჭელია არყის გამოსახდელად. „ასრდილმა მაღალ ლურსმნებს აჰკიდა / ჩონჩხები — ძვლები მაღალ რიგებით / დაფარულია გრძელი მაგიდა/ შავი წიგნით და ალემბიკებით“ („მაგიდა ალემბიკებით“— გ. ტაბ.).

ალექსანდრე მაკედონელი — (ქსე) (ძვ. წ. 356-323 წწ) ალექსანდრე დიდი, მაკედონიის მეფე ძვ. წ. ალ-ით 336 წ-დან. ძვ. სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. 13 წლის ასაკიდან არისტოტელეს მოწაფე იყო. მთელი სიცოცხლე ომებში გაატარა შექმნა უზარმაზარი იმპერია. „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, ბიბა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ალთაფი — (ქეგლ) სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელი. „ალთაფით ჩამოიარეს და სტუმრებს ხელი დაბანინეს“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ალი — (მით.) ქართული წარმართული სარწმუნოების ცნობილი სახე, მაცდური, უნდო და საშიში აგსული. წყლის დედა. ცხოვრობს ანკარა ნაკადულებში, ტბაში, ჭაობში, დამდგარ ან მდინარე წყალში (წყლის ა.), ბნელ ტყეში (ტყის ა.), მთაში, უღელტეხილზე, თოვლში. ღამით გამოდის, ცეცხლებრ მანათობელი თვალებიდან ელვას აკვესებს. დაჯდება ქვაზე, კორტოხებზე, თმას ივარცხნის; სახე უხილავია; ვისაც ეცემა, იღუპება, ან გიჟდება (ალის დაცემა). ნ. ლომოურის „ალი“. „[კახელმა როსტიამ] იცის, რომ ალი ნამდვილი მზეთუნახავია, რომ ოქროს თმა მუხლამდე სწვდება და ვაჟკაცს ადვილად პხიბლავს და იტყუებს“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.)

ალიანსი — (უსლ) კავშირი, გაერთიანება. საერთაშორისო ა. კოოპერაციული ა.

ალიგიერი დანტე — (იხ. დანტე ალიგიერი)

ალიკაპი — (ქეგლ) ხის ალყირი.

ალიზი — (ქეგლ) საშენი მასალა, გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი აგური.

ალილო (ბიბლიური „ალილუა“-დან, ძვ. ქართ. — ჭონა) — (ქსე) ქართული საწესო ქრისტეს სადიდებელი სიმღერა, სრულდებოდა შობის წინა ღამეს; შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი, ჩამოუვლიდა ყოველ ოჯახს და სიმღერით დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღერლებს სანოვაგით უმასპინძლდებოდა (აუცილებლად უნდა გაეტანებინათ კვერცხი — სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო). ალილოს ტექსტებში („ოცდახუთსა დეკემბერსა“, „ჩიტი ლობეზე შემოჯდა“, „წისქვილს ბური დავარიგე“ და სხვა) გამოთქმული

იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი. ა. მთელს საქართველოში იყო გავრცელებული და ყველა კუთხეში თავისებურად ასრულებდნენ. სიმღერას წარმართული ჰიმნი უდევს საფუძვლად. ვარაუდობენ, რომ საშობაო და სააღდგომო სიმღერების საერთო სახელწოდება უნდა ყოფილიყო ჭონა. „ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოდ ჭონაზე, დადიოდნენ ხოლმე მომღერლები“ („ჩემი თავგადასავალი“— აკ. წერ.).

ალილუია — (ქსე) იუდაიზმში უფლის სახოტბო შეძახილი. „აქებდეთ უფალსა“ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საზეიმო საგალობელი ან მისი მისამღერი. სხვადასხვა ლოცვის დროს დასართავი სიტყვა. ქართულ ეკლესიაში იხმარება ძველი დროიდან (აქედან მოდის გამოთქმა — „ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო“). „[ექვთიმე წერეთელს] ერთი ალილუია ერთი ბოეზია ჰგონია, ორი ალილუია — ორი ბოეზია.“ (სასკ. სახ-ლო).

ალიტერაცია [ლათ.] — (ანდ. ჭილ.) ერთი და იმავე თანხმოვანი ბგერების განმეორება სალექსო სტრიქონში. იგი გამოსახვის პოეტური ხერხია, ემოციური ზეგავლენის საშუალებაა, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმაა. ა. ქმნის ლექსის კეთილხმოვანებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას და ამით მკითხველზე ახდენს ესთეტიკურ გავლენას. ალიტერაციის ოსტატური გამოყენებით ძალიან ხშირად წარმტაცი მუსიკალობაა მიღწეული. მაგ: „რა კარგი იყო ბარდნალა,/ ბარდნალელების ბორანი, ვარდებიანი ბარდნარი/ ბულბულთა ნაამბორალი“ („ბარდნალა“ — ლ. ასათ.).

ბგერების გამეორება მაშინაა პოეტური, თუ მას ახლავს ამსახველობითი ემოციური ძალა. ალიტერაციულ ლექსში ხშირად რიტმის საყრდენია ტაეპთა საწყისი სიტყვები. იგი ხშირია ქართულ ხალხურ პოეზიაში: „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი? მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი. მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა? მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.“

გალაკტიონიც ხშირად მიმართავს ალიტერაციას: „ქარი და წვიმის წვეთები ხშირი/ წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული—“

ზოგჯერ ალიტერაციულობა ერთი თანხმოვნითი ბგერის გამეორებაზეა აგებული, მაგრამ გასდევს მთელ ტაეპს: „ლეილას თვალები ელავდნენ ბნელიდან, ლედოფალს ახლავან მხევალნი მცველებად, ყვავილიც მწველია ლეილას ხელიდან, დალალნი დაშლილან ელვარე გველებად“ (პ. იაშვ.).

ა. შეიძლება იყოს პროზაულიც. თანხმოვანი ბგერების კანონზომიერი გამეორება, რომლებიც მუსიკალურ ჟღერადობას გადმოსცემენ, ალიტერაციულ ხასიათს ღებულობს. ა. რიტმული პროზის ძირითად კომპონენტად გვევლინება (ვ. ბარნოვის, შ. დადიანის, კ. გამსახურდიას და სხვათა თხზულებებში). „ქორისფერი ქორედები ცის სილურჯეს მიბჯენოდნენ თხემებით, არწივები ფრთხებოდნენ ჯვარისმტვირთველის ჯორის თქარუნზე.“ „ლაზისტანის ზღვა ღელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში.“ „ცხრატბის ერისთავის მეუღლეს ცხრა ღამე არ გაუთევია ქმართან.“ „ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განაცვალებ, შორენა.“ „ბნელში დაბუდებულ ბუს მარტვე ბნელს უჩიოდა ხილნარში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ალიყური — (ქეგლ) სილა (სახეში შემოკვრა). ალიყურს აჭმევს — სილას გააწნავს.

ალმანახი — (ანდ. ჭილ.) არაბული სიტყვაა და ნიშნავს დროს, საზომს. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა კალენდარს, რომელსაც თან ერთვოდა სხვადასხვა შინაარსის შენიშვნები, ცნობები, მოთხრობები, ლექსები. ა. თანამედროვე

მნიშვნელობით წარმოადგენს ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებულს, რომელიც გამოდის არაპერიოდულად. ა.-ის სახით ქვეყნდებოდა სენტიმენტალიზმის, რომანტიზმისა და რეალიზმის დიდ წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწარმოებები.

ᲐᲚᲝᲒᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] – (უსლ) ლოგიკის საწინააღმდეგო, შეუსაბამობა. „რათა მოჩვენებითი ალოგიზმი დაეფარა, მწერალმა საერთოდ უარყო ტერმინი „ისტორიული“ (ს. სიგ.).

ᲐᲚᲢᲠᲣᲘᲖᲛᲘ [ლათ.]– (ანდ. ქილ.) უანგარო ზრუნვა სხვათა სიკეთისათვის, კეთილდღეობისათვის, მოძმეთა დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამომჟღავნება. ეს ცნება უპირისპირდება ეგოიზმს. ტერმინი ა. მხატვრულ აზროვნებაში გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ადამიანისადმი ღრმა სიყვარულით არის ამეტყველებული ქართული მხატვრული სიტყვა და ეს გრძნობა ათბობს ჩვენი მწერლების მრავალფეროვან შემოქმედებას, უპირატესად პროზას – ბელეტრისტიკას დასაბამიდან დღემდე. ამდენად ა. თვისებაა დიდი მწერლებისა.

ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ [ფრ.] – (უსლ) ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა, მესამე შესაძლებლობის არარსებობა. „ზღაპრის გმირები ქვაზე წარწერას კითხულობენ და სიკვდილისა თუ სიცოცხლის, ბედნიერებისა თუ უბედურების ალტერნატივის, არჩევანის წინაშე დგებიან“ (ნ. გრიგალ. წიგნ. 1).

ᲐᲚᲣᲖᲘᲐ – (ანდ. ქილ.) მხატვრულ ნაწარმოებში ანდაზად ქცეული ისეთი გამოთქმა, რომელიც მიუთითებს რომელიმე ისტორიულ ან ლიტერატურულ გმირზე, ლიტერატურულ ან ყოფაცხოვრებით ფაქტზე. ალუზიას უწოდებენ აგრეთვე ისეთ გამოთქმას, რომელშიც იგულისხმება რომელიმე ისტორიული პირი ან მოვლენა, რომლის დასახელება არ უნდათ რაიმე მოსაზრებით. რუსთაველის სტროფი ალუზიის კლასიკური ნიმუშია, სადაც ღმერთი არაა პირდაპირ დასახელებული, თანაც ამით მორიდებაა გამოხატული: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,/ ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,/ ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,/ მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. (უსლ) რიტორიკული ხერხი, გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის, ან ლიტერატურული ნაწარმოებისა. „[კ. გამსახურდია] ლამობს ისტორიულ ალუზიათა პარალელურად, მითოსური ლანდები გამოჩნდეს“ (ს. სიგ.).

ᲐᲚᲥᲘᲛᲘᲐ [არაბ.] – (უსლ) შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება; ეძიებდა ბუნებაში არარსებულ „ფილოსოფიურ ქვას“, რომლის საშუალებითაც უბრალო ლითონები უნდა გადაექციათ ოქროდ და ვერცხლად, განეკურნათ ყველა ავადმყოფი და სხვა. „იდუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲐᲚᲧᲐ [არაბ.] – (ქეგლ) 1. წრე, რკალი, ალყად მდგომი ხალხი. 2. გარემოცვა, ბლოკადა. ციხე-სიმაგრე ალყაში მოექცა. „ალყა დაშალეს“ 3. იგივეა, რაც ქნარის სიმი. „ბედმა უთხრა კაცს: ახალ ალყას ვაბამდიო“ („მუშა კაცი და ბედი“– საბა). 4. ალყად დაჭრა, რგოლებად, წრეებად დაჭრა ხახვისა. 5. საგულე მაშხლებისათვის. „მეჭურჭლეთა სამაშხლე ქინი და ალყა შემოზიდეს დარბაზში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.). აქ საგულე მაშხლებისათვის. (საბა) აბრეშუმის ძალი.

ალჩუ — (ქეგლ) სათამაშო კოჭის ზე-და, ოდნავ ამოღებული მხარე. ალჩუზე დაუჯდა კოჭი — კარგად წაუვიდა საქმე.

ალ-ჰაქიმი — (ქსე) არაბი ხალიფა XI ს. (ფატიმიდების დინასტიიდან) დრუ-ზებმა ღმერთად გამოაცხადეს იგი. ერთ მშვენიერ დღეს გაქრა და სექტანტებმა ირწმუნეს: ცად ამაღლდაო (შეად. ილია ანტიოქელი) „ალ-ჰაქიმმა რელიგიური ომი გამოაცხადა ქრისტიანთა წინააღმდეგ“ („დი-დოსტატის მარჯვენა“ —კ. გამს.).

ამალეკი — (ბიბლ.) ეგვიპტესა და ქანაანს შორის მცხოვრები ხალხი. „ის [დავით წინასწარმეტყველი] ებრძოდა ამალ-ეკთა და აქ ეს [თეიმურაზ I] — თათარ-ლეკთა“ („ბაში-აჩუკი“— აკ. წერ.).

ამარტი — (ქეგლ) ძვირფასი ქვა, ქარვა ერთგვარი, ეშმი (იაშმა), იასპი მოწითალო ან ჭრელი კვარცის სახეობა. „გესხნეს ხალები, მაკრძალები ამარტის ველ-ად“ („ტანო ტატანო“— ბესიკი).

ამაღლება — (ბიბლ. ენც.) ქრისტეს დღესასწაული, მართლმადიდებლურ ეკ-ლესიაში ერთ-ერთი თორმეტთაგანი. აღინიშნება აღდგომის მე-40 დღეს, მკვ-დრეთით აღდგომის შემდეგ იესო ქრის-ტე ორმოცი დღის განმავლობაში ეცხა-დებოდა თავის მოწაფეებს, რის შემდე-გაც ცაში დაბრუნდა. როდესაც ელეონ-ის მთა'ზე მაცხოვარი უკანასკნელ დარ-იგებებს აძლევდა, მათ დაინახეს, რომ „ამაღლდა იგი და ღრუბელმა მოაფარა მათ თვალს“.

გაოცებულ მოწაფეებს ორი ანგელოზი წარმოუდგა და უთხრა: „გალილეველო კაცებო, რას შეჰყურებთ ზეცას. ეს იეს-ოა, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეც-ად, კვლავ მოვა, როგორც ზეცად. აღ-მავალ იხილეთ. ამაღლებიდან მიწა'ზე დაბრუნებამდე იესო ღმერთთან, ანუ თავის მამასთან იმყოფება ციური დი-დებით — მთელ სამყაროზე მეუფებაში“.

ამბარი, ამბრი — (ქსე) ცვილისებრი ქარვისფერი სურნელოვანი ბალზამი; უმეტესად მიიღება ამბრის ხისაგან (ან ვეშაპი გამოყოფს). პარფიუმერიაში სუნამოს ფიქსატორად იყენებენ. „დიდი საქმე იყო პატრონამდის ისე მიგეღწიათ, რომ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყო-ლებინათ“ („კაცია ადამიანი?!“— ი. ჭავჭ.).

ამბიონი — (ქეგლ) ეკლესიაში სა-კურთხევლის წინ ამაღლებული ადგი-ლი, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ.

ამბიცია — (ანდ. ქილ.) გადაჭარბე-ბული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა, საერთოდ ყოყოჩობა, თავმოწონეობა. მწერლობაში ხმარობენ გადატანითი მნი-შვნელობით, ზოგჯერ დაცინვითაც, მაგ. „ფსევდო-პოეტში იმდენად იზრდება ამბიცია, რომ ეჩვენება, თითქოს ვარსკვლავები მისთვის ციმციმებენ ცაზე.“ (აკ. გაწერ.).

ამბოქარი — (ქეგლ) უმამულო, უსახ-ლკარო, ბოგანო. „დღე არ გაჟა, რომ ტყის ამბოკარებმა გული არ გაიღელონ და ერთმ-ანეთს მეათეჯერ არ გაახსენონ თავიანთი ვინაობა და თავგადასავალი“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ამბოხი — (ქ. ეწ.) 1. [ძვ.] ბრბო. „მოვიდ-ოდა წმიდისა მას თანა ამბოხი მრავალ დე-დებისა და მამებისაჲ“ („შუშანიკის წამება“ — ი. ცურტ.). 2. თანამედროვე ქართულში მნი-შვნელობა გაფართოვდა; აჯანყებულ ბრბ-ოს ნიშნავს.

ამილახვარი, ამირახორი — (ქსე) შტალმაისტერი, მეჯინიბეთუხუცესი ქართული კარის გარიგებისა (ამირ — უფროსი, ახორი — საჯინიბო). ერთმა ზედგინიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (გიორგი XI), რომ ღამით მოკვლას უპირებდნენ. მეფე არ უჯერებდა. ზედ-

განიძე თავისი სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გადასარჩენად დაწვა მეფის ლოგინში, რომელშიაც იმავე ღამეს მოკლეს და აკუწეს შეთქმულთა. ამ თავდადებისათვის ზედგინიძის გვარეულობას მეფემ მისცა ამილახვრობა, მისი შთამომავალნი არიან ამილახვარნი. „აჰა, ერთგული ამილახვარი, თავდადებითა მეფისთვის მკვდარი“ („სადღეგრძელო“– გრ. ორბ.).

ამინ [ძვ. ებრ.-ბერძნ.] — ჭეშმარიტად.

ამინაშატი — წმინდანის გამოსახულება, ჩამოსხმული ლითონისაგან. ჩამოსხმული ილეკროს ხატი. (საბა) ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთმაშად. „[მელქისედეკმა მეფეს მიართვა] ძვირფასი ხატი ამინაშატისა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ამირა, ომირა — (საბა) დიდი დესპანი, ელჩი, მოციქული. (ქსე) მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. ა. ვალდებული იყო ხალიფასთვის ან სულთნისათვის წარედგინა ხარკი და მონა-სპანი. 1121 წლამდე, ე. ი. დავით აღმაშენებლის მიერ ტფილისის საქართველოსთან შემოერთებამდე, ტფილისის საამიროს განაგებდა ვინმე ბანუ-ჯაფარის დინასტია. „ამ მაგალითით დაშინებული თბილისელი ამირაც გატვრინული იყო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ამირანი — (ქსე) უძველესი წარმართული ქართული ეპოსის „ამირანიანის“ მთავარი გმირი. ბერძნული პრომეთეს ორეული, დალისა და მონადირე დარჯელანის შვილი. დაახლ. 3500 წლის წინ შექმნილი საკაცობრიო მაშვრალის ტიპი, სიკეთის სიმბოლო. ბაადურის, კოპალას, ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის, აბესალომის, ასფურცელას და სხვა ეროვნულ გმირთა გვერდით ა.-ს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მის ამბავში ბევრია ზღაპრული ელემენტი, მაგრამ თავისი არსით ა. მითიური გმირია.

ამირბარი — (ქეგლ) სახელმწიფოს საზღვაო ფლოტის უფროსი (ადმირალი).

ამირეჯიბი [არაბ.] — (ქეგლ) ერთ-ერთი დიდი მოხელე საქართველოს მეფის კარზე, წესრიგის მეთვალყურე პურობის და დარბაზობის დროს.

ამირეჯიბი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ირაკლის ძე — დაიბადა თბილისში, 1921 წელს. ქართველი მწერალი, რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1992 წ.) სამწერლო ასპარეზზე შედარებით გვიან გამოვიდა. რეპრესიების გამო კარგა ხანს მოწყვეტილი იყო სამშობლოს და ლიტ. მოღვაწეობას. მისი უმთავრესი ნაწარმოები, რომელმაც ერთბაშად მოუტანა აღიარება და ჩააყენა საუკეთესო ქართველ მწერალთა რიგში, არის ვრცელი რომანი „დათა თუთაშხია“. (1973-1975 წ.წ.), რისთვისაც უმდიდრესი და მრავალფეროვანი მასალა სწორედ სამშობლოსაგან იძულებითმა მოწყვეტამ მისცა. ესაა სამართლიანობის, ადამიანობის, მაღალი ზნეობისა და მოყვასისათვის თავგანწირვის მაღალი იდეალების შესანიშნავი მხატვრული განსახიერება. რომანის მხატვრულ რეალობას XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის ისტორიული სინამდვილე განსაზღვრავს, მაგრამ წიგნი არ არის ისტორიული ჟანრის ნაწარმოები. მასში ისტორიული სინამდვილე კი არაა მხატვრულად აღდგენილი, არამედ ისტორიის წარმმართველი ხასიათია წარმოჩენილი. ამავე

დროს, ეს არის ხაზგასმით თანამედროვე ნაწარმოები, რომელშიც დგას ჩვენი თანამედროვეობისა და თანამედროვის უმწვავესი ზნეობრივი პრობლემები. ამ რთული რომანის ჟანრობრივად რომელიმე სახეობისათვის მიკუთვნება არ ხერხდება. თავისი მნიშვნელობით იგი სცილდება ქართული რომანის ტრადიციულ ფარგლებს. რომანის პროტაგონისტი დათა თუთაშხიას პროტოტიპიც ჩვენი თანამედროვეა, ტრაგიკულ გარემოებათა გამო გააბრაგებული კაცი. კონკრეტული პიროვნების ბედი რომანისტისათვის იქცა უდიდესი განზოგადების საფუძვლად — თავისუფალი პიროვნების მიერ სამართლიანობის არსის ძიების, ბოროტისა და კეთილის დაპირისპირების, სიყვარულით ბოროტების დამარცხების ჩვენების საწყის ბიძგად. დათა იმედია მაშვრალთათვის. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა წიგნს რომანის ორი მთავარი გმირის — დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას მკვეთრმა, კოლორიტულმა სახეებმა. მათ ორთაბრძოლაში კეთილისა და ბოროტის მარადიული დაპირისპირების მთელი ტრაგიზმია წარმოჩენილი. დათა თუთაშხია ძლიერი, გონიერი და აქტიურად მოქმედი პიროვნებაა. თანამედროვე ხელოვნების გმირთა ფონზე იგი კონტრასტულად გამოირჩევა სწორედ თავისი იდეალური სულიერი სიმაღლისა და მოქმედების დაუოკებელი პათოსის გამო. ძლიერი პიროვნებაა მუშნი ზარანდიაც. ზოგი შემფასებლის აზრით, იგი უფრო ტრაგიკულია, ვიდრე დათა თუთაშხია.

ჭ. ამირეჯიბმა თანამედროვე ქართულ რომანში დაამკვიდრა პარაბოლური სტილი; სეთურის სახე და შესაბამისი ეპიზოდი ჩვენში დიქტატორული ეპოქის, მისი მმართველობის მოდელის მძაფრი კრიტიკაა. რომანი დაწერილია შესანიშნავი ენით, გმირთა ენობრივი დახასიათებანი ზუსტია და შთამბეჭდავი. 1978 წ. რომანის მიხედვით, ავტორისავე სცენარით რეჟისორებმა: გ. ლორთქიფანიძემ და გ. გაბესკირიამ გადაიღეს შვიდსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი. „დათა თუთაშხია“ ითარგმნა და გამოიცა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ამირსპასალარი — (ქეგლ) ძვ. საქართველოში მთავარსარდალი. „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა“ (რუსთ.).

ამირჩქარი — (ქეგლ) მალემსრბოლთა. შიკრიკთა წინამძღოლი. „ამირჩქარმა ჩრდილოეთისაკენ გაქუსლა ცხენი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ამლაყი — (ქეგლ) ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი.

ამორალიზმი — (უსლ) მორალის, ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფა, ზნეობრივი პრინციპების უარყოფა. უზნეობა. ამორალური საქციელი.

ამორძალი — (ქსე) იგივე ამაძონები. მითური მეომარი დამპყრობელი ქალების მოდგმა, რომელიც მძლავრ სამხედრო სამეფოს შეადგენდა აზოვის ზღვის სანაპიროზე, სკვითიაში, თრაკიაში, ლიბიაში, აფრიკაში, მცირე აზიაში. დოინტის ველზე სამი ქალაქი ჰქონდათ. ამ მეომარ ქალთა ხამეფოს ცენტრი იყო თემისკირა, ქალაქი მცირე თერმოდონტზე კაპადოკიაში. სძაგდათ მამაკაცები, თავიანთ ქვეყანაში არ აჩერებდნენ. გვარის გასაგრძელებლად წლის გარკვეულ დროს— გაზაფხულზე, თებერვალსა და მარტში იწვევდნენ მეზობელი ქვეყნებიდან მამაკაცებს, შეუღლების შემდეგ უკანვე უშვებდნენ. ახალშობილ ვაჟს მამას უგზავნიდნენ, ან კლავდნენ: გოგ-

ონებს იტოვებდნენ, ზრდიდნენ მამაც მეომრებად. ყმაწვილქალობაშივე ამოწვავდნენ მარჯვენა ძუძუს, ან ორივეს, რათა უფრო თავისუფლად ეხმარათ მშვილდი, ორპირი ნაჯახი, ხელშუბი, ნახევარმთვარის მოყვანილობის ფარი, სამკერდე ღვედით დაკიდული ხმალი. „ამაძოს“ ბერძნულად უმკერდოს, უძუძუოს ნიშნავს. ზოგი ძველ კოლხ ქალთა ტომად აცხადებს, რაც სილამაზის, თავისუფლებისა და მეომრული სულისკვეთების თვალსაზრისით ბევრ საგულისხმო შეხედულებას გვაძლევს. ქართული ერთადერთი ენაა, რომელზედაც ამაძონს სხვა სახელი აქვს — ა. მათი სახელი ეწოდა ამაზონს — ამერიკის უდიდეს მდინარეს. არსებობს გადმოცემა, რომ ამაზონის ჯუნგლებში დღესაც არსებობს ინდიელ ამაძონთა ტომი, რომელიც მამაკაცებს წელიწადში ერთხელ, ორი კვირით იწვევს თებერვალში. ამაძონი — ა. ხატოვნად მამაც მეომარ ქალს ნიშნავს. „პირველად ხატობის დროს ნახა მეფე გიორგიმ შორენა. ფხოვურ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ამპლუა — (უსლ) გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ მსახიობის თავისებურებებს, მის სასცენო ხელოვნებას.

ამრეშებული — (ქეგლ) მრეში, წაბლისფერი. სიმწიფეში შესული პურის ყანები. „ნინიამ ზეგარდიდან დახედა სავსე მინდორს, ამრეშებულ ყანებს“ („მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“ — გ. ლეონ.).

ამულეტი — (უსლ) რაიმე ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნე ადამიანები თან ატარებენ, ვითომდა ავადმყოფობის, „ავი თვალის“, თუ სხვა რამ უბედურების' თავიდან ასაცილებლად. ავგაროზი.

ამური — (მით) სიყვარულის ღვთაება, იგივეა, რაც კუპიდონი, ბერძნული ეროსი. გამოსახავდნენ მშვილდ-კაპარჭით აღჭურვილ ფრთოსან ყრმად. „ამბობენ: ამურებს ვერ დაემალები, / თუნდ იყო პირველი და დიდი პოეტი“ („ღელავდნენ“ — გ. ტაბ.).

ამფიბრაქი — (ანდრ. ჭილაია) მეტრულ ლექსთწყობაში სამმარცვლიანი ტერფი, რომელშიც გრძელი მარცვალი მოთავსებულია ორ მოკლე მარცვალს შორის. მისი გრაფიკული სქემაა ∪–∪.

ამფსონი — (ქეგლ) ამყოლი, თანამესუფრე. ფსონი — მონაწილეთა მიერ თანაბრად გაღებული ხარჯით გამართული ნადიმი. „მექორწილე ამფსონი“ (ლ. გოთ.).

ამქარი — (ქეგლ) ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება შუა საუკუნეების ქალაქებში. „ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი“ (ი. გრიშ.).

ანათემა [ბერძ.] — (ქსე) საეკლესიო დაწყევლა, შეჩვენება, განკვეთა, უდიდესი სასჯელი საქრისტიანოში უფლის სახელით: წყრომა, რომლის წინაშეც თვით იმპერატორები ცახცახებენ. ანათემის გამოტანის უფლება ჰქონდა საეკლესიო კრებას, კათოლიკურ სამყაროში — პაპს. იყო დაშინების საშუალება, რელიგიური ფანატიზმის გაღვივების ღონისძიება. ა. გამოუცხადეს სპინოზას, ს. რაზინს, ე. პუგაჩოვს, მრავალ მეცნიერს, მოღვაწეს. 1910 წ. პატრიარქმა ტიხონმა ა. გამოუცხადა საბჭოთა წყობილებას. ამჟამად ანათემას მიმართავს ვატიკანი. „ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“ („ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს“ — გ. ტაბ.).

ᲐᲜᲐᲙᲠᲔᲝᲜᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ – (ანდ. ჭილ.) ლირიკული ჟანრის მხიარული შინაარსის ნაწარმოები, რომელიც აგებულია ხორციელი სიყვარულის, ღვინისა და უდარდელი ცხოვრების თემაზე. ბერძენი მწერალი ანაკრეონტი ძვ. წ. VI ს. II ნახევარში უმღეროდა ღვინოს, სუფრას, სიყვარულის ვნებას, თავისუფალ ცხოვრებას. ა. პ.-ის ნიმუშებია: გრ. ორბელიანის „ლოთებო, ნეტავი თქვენა“, „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“, „ღვინო, დუდუკი, ქალები“, ვაჟას „დამისხი, დამალევინე“ და სხვა.

ᲐᲜᲐᲚᲔᲑᲘ [ლათ.] – (ქსე) საისტორიო თხზულებათა უძველესი სახე, წლების მიხედვით აღნუსხული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიული ამბები, მატიანეები, „წელიწდეულები.“

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲐ – (უსლ) სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘ – (ქეგლ) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ხელისუფლებას, სახელმწიფო-პოლიტიკური ორგანიზაციის ყოველგვარ ფორმას. ქადაგებს პიროვნების ე. წ. აბსოლუტურ თავისუფლებას. ანარქისტი — ამ მიმდინარეობის მიმდევარი. „ყოფილი სემინარიელი ანარქისტი იორამ სოფლის შარაზე მოაბოტებს“ („სოფლის შარაგზაზე“ — გ. ლეონ.).

ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲐ [ბერძ.] – 1. მღვდლის ზედა სამოსი, ფართო და გრძელი. „ახალგაზრდა მორჩილს კოჭებამდე დაშვებული გახუნებული ანაფორა მტვრით აქვს გასვრილი“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.). 2. პოეზიაში ერთი და იგივე ბგერის, სიტყვების, ფრაზების, რითმების, სინტაქსურ-რითმული წყობის კანონზომიერი განმეორება სტრიქონის დასაწყისში. „ან ცას ღიმილით რად გავსცქეროდი, ან რად გიჭერდი შუქს მოკამკამეს, ან „მესაფლავეს“ ვისთვის ვმღეროდი, ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“ („მერი“— გ. ტაბ.).

ᲐᲜᲐᲥᲠᲝᲜᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) ისტორიული ფაქტის შეუსაბამო გადასმა, ისტ. აღმოჩენის თუ შემთხვევის სხვა ხანაში გადატანა, ერთი საუკუნის ამბების სხვა საუკუნისადმი მიწერა საეროთოდ. ქრონოლოგიური შეუსაბამობა (მაგ. დ. ჭონქაძის „სურამის ციხეში“, აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკში“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, საქართველოს რუსეთთან შეერთება მეფე ერეკლემ თითქოს მხოლოდ კრწანისის ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა). როგორც გამოსახვის ხერხი, ხშირია ხალხურ თქმულებებში (მაგ. ამირანის მონათვლა ქრისტე-ღმერთის მიერ)...

ᲐᲜᲑᲐᲜᲗᲥᲔᲑᲐ [ლათ. - აბეცედერიები] — (ანდ. ჭილ.) ისეთი ლექსი, რომლის ტაეპთა დასაწყისში, ან ტაეპში სიტყვათა პირველი ასოები ანბანის რიგზეა დალაგებული. იგი ხშირად აკროსტიქული ხასიათისაა (იხ. აკროსტიქი). ანბანთქება გავრცელებული იყო XVII-XVIII ს.ს. ქართულ პოეზიაში. „ანო ალვისა, ბანო ბროლ-ვარდო, განო ნარევით ნაყოფად ესხეს. /დონო დავწამე, ვარდსა შევწამე სიტურფე თურე მისგან ესესხეს/ ენო ედემსაც. /ვინო ვინ ნახა, ზენო, ზნედ სჭირდეს სხვაგანც ვის ესხეს“ (თეიმურაზ I). სიტყვობრივი ანბანთქების ნიმუშია: „Ადამ ბრმა გველით Და ევა მერა ზოგაეენ Თმენასა, Იმ ძრულმან Ლახვრად მიაგო ნებით Ორბირი ჟღერასა“ (დ. გურ.).

ᲐᲜᲒᲐᲠᲘ — (ქ. მწ.) ხარბი. ანგარება —გამორჩენის, პირადი სარგებლობის მიყოლა.

ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ [ბერძ.] — (ბიბლ.) ეს სიტყვა „მაცნეს“, „მოამბეს“ ნიშნავს. ბიბ-

ლიაში ასე ეწოდებათ ზებუნებრივ არსებებს, რომლებიც გარს ეხვევიან ღვთის საბრძანებელს. ცაში ისინი ღმერთს სცემენ თაყვანს, მიწაზე კი მოქმედებენ როგორც ღვთის მაცნეები, რომლებიც ადამიანებს მის დანაბარებს აუწყებენ და თანაც ეხმარებიან.

ბიბლიაში ანგელოზებზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ ორი მათგანის — გაბრიელისა და იერემიას სახეებია მოხსენიებული. (უსლ) 1. ციური არსება, შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის, ზებუნებრივი, „უხილავი სამყაროს“ უხორცო ფრთოსანი იუდაიზმში, ისლამსა და ქრისტიანობაში. ანგელოზებია: სერაფიმები, ქერუბიმები, მთავარანგელოზები. 2.(გადატ.) კეთილი ადამიანი. „ანგელოზს ეპირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე თვალებით მიწას დაშყურებდა“ (გ. ტაბ.).

ანდამატი — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც მაგნიტი. ანდამატივით იზიდავს. 2. (ძვ.) იგივეა, რაც ალმასი. „შავთა დროთ ვერა შესცვალეს ჩ.ს გული ანდამატისა“ (გრ. ორბ.).

ანდერსენი ჰანს ქრისტიან (1805-1875) — (ქსე) დანიელი მწერალი. თავისი ცხოვრების მძიმე გზა აღწერა ნაწარმოებში „ზღაპარი ჩემი ცხოვრებისა“. ანდერსენის ზღაპრებსა და ამბებს ახასიათებს ღრმა ჰუმანიზმი, ხალასი იუმორი. ა. თავისი ზღაპრების მკითხველებად გულისხმობდა ბავშვებსაც და დიდებსაც. პატარებს იგი სთავაზობდა სათავგადასავლო ზღაპრულ ამბებს, ხოლო მოზრდილებს — იმდროინდელი ზნეობის კრიტიკას („დიდი კლაუსი და პატარა კლაუსი“, „თოვლის დედოფალი“, „მწვანე ცეროდენები“, „ბატი გედები“).

ანდერძის აგება, წესის აგება — (ბიბლ.) ანდერძის აღსრულება, ლოცვა, პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენიებლად, ქრისტიანის დაკრძალვის დღეს მორწმუნეთა თხოვნით. „ოძელაშვილს ანდერძი აუგეს“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ანდრია — (ბიბლ.) ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული, პეტრეს ძმა, მეთევზე; პირველი მიიწვია ქრისტემ, რისთვისაც ეწოდა „პირველწოდებული“. იყო მცოდნე და მჭევრმეტყველი, ქადაგებდა მაცხოვრის მოძღვრებას ბალკანეთში, სკვითებთან, შავი ზღვის სანაპიროზე. რომის მაგისტრატმა ჯვარს აცვა ჯვრის ფორმის ძელზე („ანდრიას ჯვარი“). საეკლესიო გადმოცემით, ანდრიამ მოიარა საქართველო (კლარჯეთი, სამცხე, ქართლი, სვანეთი, დიდაჭარა, აფხაზეთი, ოსეთი), გაუვლია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, პონტოდან ნიკოფსიამდე, სადაც დაუტოვებია მოციქული სიმონ კანანელი, ყოფილა ტრაპიზონშიც, ჩამოუტანია აწყურის ღვთისმშობლის ხატი. ჯვარზეც განაგრძო ქადაგება. ღვთის განგებით საქართველოში ჩამოსული ანდრიას ხსენების დღეა 30 ოქტომბერი. „გრ. ორბელიანს სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გადასცეს უმაღლესი ჯილდო — ანდრია პირველწოდებულის ორდენი“ (სასკ. სახ.-ლო).

ანეკდოტი — (უსლ) მოკლე სასაცილო ამბავი, შეთხზული გასართობად. მაგ. მოლა ნასრედინის ანეკდოტები.

ანეული — (ქეგლ) ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.

ანექსია — (უსლ) სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის, ან მისი ნაწილის ძალდატანებით შეერთება (მიტაცება). „ამა თუ იმ ერის ანექსია ხდება მაშინ, როცა ერი კარგავს საკუთარი მამულის შეგრძნებას“ (ნ. გრიგ. წ. 1).

ანთიმოზ ივერიელი — (ქსე) ერისკაცობაში ანდრია (1650-1716), რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი, ვლახეთის მიტროპოლიტი. წარმოშობით ქართველი. ოსმალებმა მოიტაცეს საქართველოდან. სტამბულში ტყვეობიდან გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა. მის კარზევე მიიღო განათლება. იცოდა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა. მთელი მოღვაწეობა მიუძღვნა მან რუმინეთის ეროვნული კულტურის განვითარებას. დიდი წვლილი შეიტანა რუმინეთის სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. მის მიერ დაარსებულ სტამბაში მისივე ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა წიგნები. მას ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური თხზულება. ა. ი-მა მოაჩუქურთმა მის მიერვე ბუქარესტში აგებული მონასტრის („ანთიმოზის მონასტერი") მთავარი კარი და სარკმლები, რომელთა ორნამენტში ქართული სტილი შერწყმულია რუმინულთან. ა. ი-ის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის I სტამბის (1709 წ. დაარსება და იმავე წელს ქართულად სახარების დაბეჭდვა. ა. ი.-ს ანტიოსმალური ორიენტაციის გამო უთანხმოება მოუვიდა რუმინეთის მთავართან, რის გამოც იგი შეიპყრეს, აჰყარეს სასულიერო ღირსება (დაუბრუნეს ერისკაცობის სახელი — ანდრია) და მიუსაჯეს სამუდამო ექსორია სინას მთაზე. მაგრამ გზაში თანმხლებმა იანიჩრებმა მოჰკლეს და მისი გვამი მდინარეში ჩააგდეს.

ანთოლოგია [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) პოეტური შემოქმედების თაიგული, საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. ხშირად — აფორიზმების, მხატვრული მახვილსიტყვაობის, სახოვანი მეტყველების ნიმუშების კრებული. ანთოლოგია ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის საუკეთესო ძეგლთა კრებულია: „ქართული ლიტერატურის ანთოლოგია", „ქართული პოეზიის ანთოლოგია."

ანთრაქსი — (ქ. მწ.) ძვირფასი თვალი.

ანთროპოლოგია — (უსლ) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებს. „კონსტანტინე გამსახურდიას აინტერესებდა პერსონაჟთა ანთროპოლოგიური ტიპიც, რასის პრობლემა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ანისი — (ქსე) ძვ. სომხეთის სატახტო ქალაქი. აწ უკვე მკვდარი ქალაქი. სომეხთა მეფის სენა ქერიმის სიკვდილის შემდეგ ბაგრატ IV-ს უნდა რგებოდა (ბაგრატის დედა მარიამი სენა ქერიმის ასული იყო), მაგრამ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ აიძულა სომხეთის მეფე იოანე II-ის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიისათვის გადაეცა ქალაქი. 1040 წელს მიხეილ პაფლაგონმა წარგზავნა ლაშქარი ანისს, მაგრამ სომხებმა უკუაქციეს იგი. 1065 წელს მალიქში სულთანმა აიღო ანისი. ბოლოს ქურთ ამირას აბულ სევარს მიჰყიდეს იგი სელჯუკებმა. ბაგრატ IV ამაოდ ეცადა ანისი აეღო. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა წაართვა ანისი სელჯუკებს.

ანკეტა — (უსლ) ფურცელი, რომელზედაც სხვადასხვა კითხვაა ჩამოწერილი გარკვეული ცნობების შესაგროვებლად.

ანომალია — (უსლ) საერთო წესისაგან გადახვევა, წესის დარღვევა.

ანონიმი — (ანდ. ჭილ.) ნაწარმოები, რომლის ავტორი არ ჩანს, უცნობია. ანონიმური შეიძლება იყოს არა მარტო ცალკეული ნარკვევი, ლექსი, მოთხრო-

ბა, წერილი, სტატია, არამედ დიდი ნაწარმოებიც. „ჩვენ გვყავდნენ აგრეთვე წიგნის დიდებული ანონიმები, რომლებიც ხელსაც კი არ აწერდნენ უზარმაზარ მანუსკრიპტებს“ (გ. ლეონ.).

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ — (უსლ) მოკლე წინასწარი განცხადება მომავალი სპექტაკლის, კონცერტის და მისთ. შესახებ.

ᲐᲜᲝᲢᲐᲪᲘᲐ — (უსლ) წიგნის, ცალკეული ნარკვევის, სტატიის და სხვა ხასიათის სამეცნიერო ნაშრომის შინაარსის შეკუმშულად გადმოცემა. ანოტაცია ხშირად შეფასებასაც ვარაუდობს.

ᲐᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲖᲛᲘ — (უსლ.) შეურიგებელი წინააღმდეგობა ერთმანეთის საპირისპირო ძალებსა და ცენტრს შორის. „ანტაგონიზმი ერთსა და სიმრავლეს შორის წარმოშობს დიქტატურას“ („დილოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ᲐᲜᲢᲔᲝᲡᲘ — (მით.) ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი გმირი, ზღვის ღმერთ პოსეიდონისა და მიწის ღმერთ გეას შვილი, რომელიც უძლეველი იყო ვიდრე მიწას (თავის დედას) ეხებოდა; დაამარცხა ჰერაკლემ, რომელმაც აიტაცა ჰაერში და ისე დაახრჩო. „ჰერაკლე და ანტეოსი.“

ᲐᲜᲢᲘᲗᲔᲖᲐ [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) სტილისტიკური ხერხი მხატვრულ ლიტერატურასა და ორატორულ ხელოვნებაში. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მკვეთრად კონტრასტული, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების, განცდების, მოვლენებისა და პერსონაჟთა თვისებების დაპირისპირება: „ხან უგნური ვარ — ხან ბრძენი“. ა. სათაურებშიც გამოიყენება — „ომი და მშვიდობა“, „ვერაგობა და სიყვარული“.

ᲐᲜᲢᲘᲗᲔᲖᲘᲡᲘ — (ანდ. ჭილ.) პოეტური ფიგურა, სტილისტიკური ხერხი, რომელიც საპირისპირო დებულებებით, ცნებებითა და სახეებით გამოხატავს სინამდვილეს. ანტითეზისი სინამდვილის სურათების მსგავსება-განსხვავებულობის ჩვენების ხერხით ენათესავება კონტრასტს, შედარებას. მხატვრულ მეტყველებაში ანტითეზისი ხელს უწყობს მეტყველების მოსწრებულობას, მოხდენილობას, ლაკონიურობას, აზრის სხარტად და ემოციურად გადმოცემას. მაგ: 1. „ქატო იქა, ფქვილი - აქა, ქირი - იქა, ლხინი - აქა.“ 2. „ხან უგნური ვარ, ხან - ბრძენი, ხან მიწისა ვარ, ხან - ცისა.“

ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲘ — (უსლ) სიძველეთა მცოდნე, მოყვარული და შემგროვებელი; ძველებური, იშვიათი ნივთებით, სურათებით, წიგნებით და ა. შ. მოვაჭრე. ანტიკვარული — ძველებური, იშვიათი.

ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ — (ანდ. ჭილ.) ძვ. ბერძნული და რომაული ლიტერატურის აღმნიშვნელი ცნება ლიტმცოდნეობაში. ანტიკურობა თავისთავად ძველზე, უძველესზე მიუთითებს. ეს ტერმინი საბერძნეთისა და რომის მიმართაც პირობითია, რადგანაც ძველი შეიძლება იყოს არა მარტო ბერძნული და რომაული ლიტერატურა, არამედ სხვაც: ჩინური, არაბული, ინდური, ქართული, სომხური. ამიტომ ქართული სიტყვაკაზმული და საისტორიო მწერლობის განხილ.ვასას ხშირად იხმარება ცნება — ანტიკური საქართველო. შესაბამისად გვექნება ანტიკური (უსლ), რაც სილამაზითა და მოხდენილობით ანტიკურ ქანდაკებებს მოგვაგონებს (სახის ან სხეულის ნაკვთები).

ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲐ — არაბეთის, სირიის ძველი სახელწოდება. თანამედროვე ქალაქი ანტანტია, რომელიც მდებარეობს იერუსალიმიდან ჩრდილოეთით, თურქე-

თისა და სირიის საზღვარზე. დაარსებულია ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავრის მიერ, თავისი მამის პატივსაცემად. „ფარსმანს აგონდება საშინელი მოგზაურობა ანტიოქიის ურწყულ მიწაზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამ.).

ᲐᲜᲢᲘᲞᲐᲗᲘᲐ – (უსლ) არაკეთილგანწყობილება, სიძულვილი, ზიზღი ვისიმე მიმართ (სიმპათიის საპირისპირო).

ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲔᲑᲘ – (უსლ) ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის, თვისებების, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები. „ჯაყო ანტიპოდია ესთეტიური თეიმურაზისა“ („მასალები „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ“– ქ. ჯავახ.).

ᲐᲜᲢᲘᲡᲔᲛᲘᲢᲘᲖᲛᲘ – (უსლ) ებრაელებისადმი სიძულვილი (იხ. სემიტები).

ᲐᲜᲢᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔ – (ბიბლ.) ქრისტეს მთავარი მოწინააღმდეგე, რომელიც სამყაროს მოევლინება „მეორედ მოსვლისას“ და რომელსაც ქრისტე დაამარცხებს.

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ (შუა ეგვიპტე, დაახლ. 250-358 წ.წ.) – (ქსე) წმინდანად წოდებული ქრისტიანი, განდეგილი. დაიბადა შეძლებული ქრისტიანის ოჯახში, ქონება გლახაკებს დაურიგა და 20 წლისა წითელი ზღვის ახლოს, უდაბნოში დასახლდა. ქრისტიანული ეკლესია მას მონაზვნური ცხოვრების ფუძემდებლად მიიჩნევს. უწოდებენ „მონაზვნობის მამას.“

ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘ ზურაბ ნაზარის ძე (1820-1854) – (ქსე) ქართველი დრამატურგი. 1851 წელს ჩაერიცხა გ. ერისთავის თეატრის დასში და დაიწყო პიესების წერა. ჩვენამდე 7 პიესამ მოაღწია: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „ხევსურთა ქორწილი“, „ქოროღლი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა.“ ა. აგრძელებს გ. ერისთავის რეალისტურ ტრადიციებს. თავადაზნაურთა და ვაჭართა გვერდით მან სცენაზე გამოიყვანა გლეხობა, ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები - მეზურნეები, საზანდრები, „შარლატანები“. ანტონოვი ასახავს „ძველი“ და „ახალი“ თაობის ბრძოლას, დასცინის უნიათო ყალბ პატრიოტიზმს, ცხოვრებისაგან განდგომილ ლიტერატორებს. მოხდენილმა სცენებმა, სხარტმა რეპლიკებმა, ხალისიანმა ხალხურმა იუმორმა პიესათა ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე და პოპულარობა განაპირობა. ზოგი პიესა დღემდე შემორჩა ქართულ სცენას. „გიორგი ერისთავის შემდეგ ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდნენ ზურაბ ანტონოვი და ივანე კერესელიძე“ (საკ. სახ.-ლო).

ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ ანა (1885-1967, მოსკოვი) – (ქსე) რუსი მწერალი. დაამთავრა მარიამის ქალთა სასწავლებელი ყარსში. მონაწილეობდა ამიერკავკასიის 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. 1918 წელს თბილისში მისი ინიციატივით შეიქმნა „არტისტერიუმი“, სადაც გაერთიანდნენ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ლ. გუდიაშვილი. საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნითაა დაწერილი ისტორიული რომანი „დიდი მოურავი.“ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა რომანი „გიორგი სააკაძე.“ ნაწარმოებში მაღალმხატვრული ოსტატობით არის გამოძერწილი გიორგი სააკაძის გმირული სახე. ამ რომანის საფუძველზე შეიქმნა ამავე სახელწოდების ქართული მხატვრული ფილმი.

ᲐᲜᲢᲝᲜ I (1720-1788) – (ქსე) ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ქართ-

ველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს კათალიკოსი. მწერალი, მეცნიერი, ვახტანგ VI-ის ძმის იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის ვაჟი. მამის გარდაცვალების შემდეგ იზრდებოდა თელავის სასახლეში ერეკლე II-თან ერთად. მიიღო ფართო განათლება, დიდი საერო კარიერისათვის ამზადებდნენ. დანიშნული საცოლე ამილახვრის ასული თბილისში შემოსულმა შაჰ-თამაზმა წაჰგვარა, რამაც თავზარი დასცა ა.-ს. ჯერ დავით გარეჯას შეეხიზნა, შემდეგ იმერეთში გადავიდა, ერთხანს რუსეთშიც იყო. 1738 წელს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში. 1744 წელს საქართველოს კათალიკოსად აირჩიეს. აქედან დაიწყო მისი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. მტკიცედ შეუდგა ნიადაგშერყეული და შევიწროებული ქართული ეკლესიის გაძლიერებას. აღადგინა გაპარტახებული ეკლესია-მონასტრები. მძაფრად ილაშქრებდა სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ. დაიწყო სწავლა-განათლებისა და სასტამბო საქმის მოწესრიგება. იგი ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო. დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე-მისიონერებს, ამით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, კათოლიკობა დასწამეს და „მწვალებლად“ აღიარეს. 1755 წელს კათალიკოსობიდან გადააყენეს. ამის შემდეგ რუსეთს გაემგზავრა, მაგრამ ერეკლე II-მ რუსეთიდან დააბრუნა იგი. ა.-ის უშუალო მონაწილეობით მომზადდა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი.

ა. ხელს უწყობდა კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიის და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას. მკვიდრ ნიადაგზე დააყენა განათლების საქმე. ერეკლე II-თან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი (თბილისში, გორსა და თელავში). მან თვითონვე მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს. „ქართული ღრამატიკა“ პირველი სრული სასკოლო გრამატიკაა, სადაც მიუხედავად უცხო ენების გრამატიკათა გავლენისა და შეცდომებისა, რომელთაც ა. ვერ ასცდებოდა იმდროინდელი ენათმეცნიერული აზროვნების პირობებში, ავტორი განსაცვიფრებელი ინტუიციით ამჩნევს და აღნუსხავს ქართული ენისათვის ნიშანდობლივ მნიშვნელოვან მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს. მანვე დაწერა ფიზიკის პირველი სახელმძღვანელო, რომლითაც თვითონ ასწავლიდა ფიზიკას თბილისის სემინარიაში (მის ლექციებს ერეკლე II-ც ესწრებოდა).

ა. ღრმად იყო განსწავლული ბუნებისმეტყველებაშიც. მან მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში. ხელი შეუწყო კლასიკური ხანის ტრადიციების აღორძინებას. „წყობილსიტყვაობაში“ განხილულია რუსთაველის, პეტრიწის, სარგის თმოგველის, ჩახრუხაძის, სულხან-საბა ორბელიანის მემკვიდრეობა. ეს ნაშრომი ქართული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველი მცდელობაა. ენციკლოპედიურ ნაშრომში „სპეკალი“ თავისებურად არის მორიგებული ეკლესია და ფილოსოფოსთა მოძღვრება, განხილულია არისტოტელეს, პლატონის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, მაქსიმე აღმსარებლის, პროკლესა და პეტრიწის შეხედულებები. „კატილორია - სიმეტრე“ მან ლოგიკის სახელმძღვანელოდ გამოიყენა. ა.-ის „ღვთისმეტყველება“ 4 ტომად გადმოკეთებული უნდა იყოს ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიიდან. ალსან-

იშნავია მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა. ქართველი წმინდანებისადმი მიძღვნილ იამბიკოებში იგი ავითარებს სამოქალაქო მოტივებს. მისი ქადაგებები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა გამოირჩევა მხატვრული ოსტატობით. მასვე ეკუთვნის „მოკლე ისტორია საქართველოსი“, „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“ და ნათარგმნი „ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა“.

ა. შეეცადა საქართველოში დაენერგა სამი სტილის თეორია, რომლის თანახმადაც „მაღალ მატერიაზე“ მაღალი სტილით უნდა ეწერათ, ისტორიული თხრობა „საშუალო სტილს“ მოითხოვდა, საყოფაცხოვრებო მოვლენები — „დაბალ სტილს“. თვითონ ყოველთვის „მაღალი სტილით“ წერდა. მის თხზულებათა ენას იოანე პეტრიწის გავლენა ეტყობოდა. მან მრავალი მოწაფე აღზარდა, მიმდევართა მთელი სკოლა, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ანტონ I-ის მეტყველების ნიმუშია: „ესე საზღვარდებულება არს კაცთა ვიეთმე სამღვდელოთა, თავხედთა და ყოვლად უმეცართა ჩვენ შორის, რამეთუ ვისაც იგი მეცნიერების მიმართ გამოაჩენენ თუ რასამე, ქარსა ბორბალსა აღიდგენენ მას ზედა და საჭესა ცხოვრებისასა გაუტეხენ და მისცემენ ღელვათა წარმატებად უფსკრულთა“ (მეშურნე თანამედროვეთა ვერაგობაზე იგივე აწუხებდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: "რა ნათესავი ქართველთა აღზევდების," შეუტევენო („სიბრძნის სიმფონია“ — აკ. გელოვანი). „[დათუნას] ახალგაზრდა მოძღვარი ფილადელფოსი ნიკო ნოვგოროდში გადასახლებულმა ანტონ კათალიკოსმა გაიწვია და დათუნამაც ნირი შეიცვალა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ანტონ ქუთათელი — (ქსე) საქართველოს საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე XII-XIII საუკუნეებში, ეპისკოპოსი, „დიდად განთქმული სათნოებითა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით.“ იგი მონაწილეობდა თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში.

ანფასი — (უსლ) პირისახე ან საგანი წინა მხრიდან (პროფილის საწინააღმდეგო).

ანშლაგი [გერმ.] — (უსლ) თეატრში, კინოში და მისთ. გამოკრული განცხადება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ სანახაობაზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

ანჩისხატი — (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში, VI ს. სამნავიანი ბაზილიკა. XVII ს-ში განიცადა რეკონსტრუქცია. „ყმაწვილებმა დადვეს პირობა ყოველ საღამოს შეყრა რიყეზედ, ანჩისხატის ჩასწვრივ და იქ დროების გატარება“ („სურამის ციხე“ — დ. ჭონქ.).

ანჯამა — (ქეგლ) ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად.

აპათია — (უსლ) ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა. „მარგომ ხელის გაუნძრევლად მისცა თავი სრულ აპატიას, გულგრილობას“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.). „ძლიერ შიმშილს ოჯახის მამა ძლიერ აპათიაში ჩაუგდია. აპათიაში და არა დეპრესიაში“ (ნ. გრიგალ. — ტ. I).

აპელაცია — (უსლ) სასამართლოს განაჩენის, ან გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში. („აპელაციის მცოდნე“ — ა. წერ.).

აპეური — (ქეგლ) ურმის ტაბიკების გადასაბმელი თოკი. „ზედ უღელი დაადვა,

ტაბიკებს აჟურები მოუჭირა და მერმე უღელზე ახტა"—(„არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

აპნისი — იანვარი.

აპოთეოზი [ბერძ] — (ანდ. ჭილ.) 1. ძვ. საბერძნეთსა და რომში რომელიმე გმირის ან მეფის გაღმერთება. 2. თეატრალური წარმოდგენის, კონცერტის, სახალხო სანახაობის საზეიმო დამთავრება, წარმტაცი ბოლო ნაწილი. ყურადღების მიმპყრობი, მაღალი შთაბეჭდილების მომგვრელი სურათი დრამატული ნაწარმოების ან სპექტაკლის ბოლოს. ა. პოეზიაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. „რა არის ლექსი, თუ არ გრძნობის აპოთეოზი?!" (ალ. აბაშ.).

აპოკალიფსი (აპოკალიფსისი) [ბერძ] — (ანდ. ჭილ.) ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის ბოლო ნაწილი, იოანეს გამოცხადება, რომლის შინაარსი შეიცავს მისტიკურ წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასასრულზე. ა. ხელოვნებაში წარმოდგენილია, როგორც მომავალი უბედურების გამომხატველი სურათები.

ეს ცნება იხმარება საშინელისა და ჯოჯოხეთურის გადმოცემის სიმბოლურ მინიშნებად: „არის სიჩუმე ბნელი, ცხედარი,/ მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა, / აპოკალიფსის მძაფრი მხედარი,/ ვინც ქაოსებში შემოაჭენა" („გეძებდი ყველგან" — გ. ტაბ.). ა. 22 თავისაგან შედგება. ასახულია ქვეყნის მომავალი ათასწლოვანი სიმშვიდის, სამყაროს დასასრულის, განკითხვის დღის, ცათა სასუფევლის დამკვიდრების და სხვა. ავტორი უცნობია, ვარაუდით იოანე მოციქულს უნდა დაეწერა ნერონის დროს (იგივე იოანე მახარებელი, იოანე ღვთისმეტყველი). ა. („იოვანეს გამოცხადება") დაწერილია 67 წლის ივნისსა და 68 წლის აპრილს შუა და წინ უსწრებს სახარება ოთხთავსა და ებისტოლეებს. პატმოსის ქალაში იოანე ღვთისმეტყველს გამოეცხადა უცნაური და საზარელი ხილვა. სამყაროს იდუმალება დაბეჭდილია „ბეჭდითა შვიდითა". თითო ბეჭდის ახსნა'ზე გამოდის თითო ცხენი (სპეტაკი, წითელი, შავი, მწვანე და ა.შ.), რომელთაც მოაქვთ ნგრევა, სისხლისღვრა და სიკვდილი. ზღვიდან ამოდის საზარელი ურჩხული. მას ათი რქა და შვიდი თავი აქვს. „იოვანეს გამოცხადება" არის წინასწარმეტყველება იმ რისხვისა, მეორედ მოსვლისა, რომელიც წარმართებს თავს დაატყდებათ. ახალი აღთქმის ეს ბოლო წიგნი ქართულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს 975-977 წლებში. „კ. გამსახურდია ბიბლიური მითებიდან ყველაზე ხშირად აპოკალიფსს ეხება" (ს. სიგ.). „იხევა ბოძზე გამოფატრული, აპოკალიფსის მწვანე მერანი" („ტფილისის სასაკლაო" — გ. ლეონ.).

აპოკრიფი [ბერძ. - საიდუმლო, დაფარული] — (ქსე) საეკლესიო მწერლობაში ისეთი თხზულება, რომელიც თემატურად ენათესავება ეკლესიის მიერ დაკანონებულ „საღმრთო წერილის" წიგნებს, მაგრამ განსხვავდება მათგან სიუჟეტური ჩანამატებითა და თავისებური ახსნა-განმარტებით. ა.-ების წყარო იყო მკითხველთა ცნობისმოყვარეობა — გაეშალათ და გაეგრძელებინათ საღმრთო წიგნებში მოცემული ეპიზოდები. ა.-ები ეკლესიაში საჯაროდ, ყველასათვის წასაკითხად არ იყო მიღებული. აქედანაა ამ წიგნების სახელწოდება — დაფარული, საიდუმლო. ა.-ები ძლიერ პოპულარული გახდა და გავლენას ახდენდა ხალხურ სასულიერო პოეზიაზე. ასე წარმოიშვნენ სასულიერო ლექსები და თქმულებები: აბრამის ლექსი, იობის ლექსი, სოლომონ ბრძენის ლექსი, თქმულება იესო ქრისტეზე,

წმინდა გიორგისა და ელიაზე, ადამ და ევას ცხოვრება, ენოქის წიგნი და სხვა.

აპოლოგია [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) 1. შექება; 2. ბრალდებულის სიტყვიერი ან წერილობითი დაცვა. სიტყვა აპოლოგეტი ლიტერატურაში არაპირდაპირი მნიშვნელობით დღესაც იხმარება და აღნიშნავს რომელიმე მოძღვრების, ან პიროვნების ზომაზე მეტად, გადაჭარბებულად შექებას. „ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

აპოლონი [ბერძ.]— (ანდ. ჭილ.) პოეზიის, მუსიკის, საერთოდ ხელოვნების ღმერთი ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში. აპოლონს ხატავენ წარმტაცი სილამაზის ახალგაზრდის სახით. ამიტომ მხატვრულ ლიტერატურაში ლამაზი ჭაბუკის მეტაფორად იქცა. ა. პოეტური შთაგონების წყაროდ არის მიჩნეული. „მე აპოლონის მადლით ცხებული ელიზავეტას ვუმღერდი წყნარად" (ა. იაშვ.).

აპოლონიოს როდოსელი — (ქსე) ძველი ბერძენი პოეტი და მეცნიერი. მას ეკუთვნის ეპიკური პოემა „არგონავტიკა", რომელიც არგონავტების თქმულებაზეა აგებული. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად იაზონის მეთაურობით ელინთა ლაშქრობას აია კოლხეთში. მან დიდი მხატვრული ძალით ასახა კოლხთა მეფის ასულის მედეას სულიერი ბრძოლა, რომელმაც სატრფოსათვის სამშობლო გასწირა. ამით ა. რ.-მა პირველმა გააფართოვა ეპოსის ჩარჩოები და ხელი შეუწყო ბერძნული რომანის დაბადებას. „არგონავტიკა" შეიცავს მრავალ ძვირფას ცნობას ძველი ქართველი ტომების — ხალიბების, ტიბარენების, მოსიკანების შესახებ. მასში მოხსენიებულია ქუთაისი, აღწერილია აია კოლხეთი, გადმოცემულია საგულისხმო თქმულებები ოქროს საწმისზე, სპილენძისჩლიქებიან ხარებზე. დაცულია ცნობები სტუმარმასპინძლობის წესსა და სხვა ჩვეულებებზე.

აპოსტროფი — (ქეგლ) მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება ჩვეულებრივ, გამოტოვებული ხმოვნის ადგილას. მაგ. ჟანა დ'არკი, „მე დ' იმან უნდა ვიომოთ" (ვაჟა-ფშაველა).

აპოსტოლი [ბერძ. — დესპანი, ელჩი, შუამავალი] — (ბიბლ.) მოციქული. ქრისტეს რჩეული მოწაფეები, უახლოესი თანამგზავრები, მისი „კოლეგიის" 12 წევრი, პირველი ქრისტიანული თემობის ბირთვი: პირველად სვიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრია, ძმა მისი, იაკობ ზებედესი და იოანე, ძმა მისი; ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზვერე, იაკობ ალფესი და ლიბეოს, რომელსა ეწოდა თადეოზ, სვიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა გასცა იგი. ესე ათ-ორ-მეტნი წარავლინნა იყო".

აპოხტი — (ქეგლ) შესანახად გახმობილი ხორცი (უმეტესად ფრინველის).

არაბობა — (ქსე) არაბებისაგან საქართველოს დაპყრობა VII-IX საუკუნეებში. „უფლისციხე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს არაბობის დროსაც" („უსახელო უფლისციხელი" — გ. რჩეულ).

არაგვი — (ქსე) მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. მთიულეთის (თეთრი არაგვი) და გუდამაყრის (შავი არაგვი) მცხეთასთან ერთვის მტკვარს. ა.-ის ხეობაში გადის საქართველოს სამხედრო გზა. იშვიათი სილამაზის ბუნება ხშირად შემოქმედთა

შთაგონების წყარო გამხდარა (ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვ.).- „თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას უნდა“ („ანანურთან“ — ტ. ტაბ.).

არაგვისპირელი შიო (შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილი (1867-1928) — (ქსე) ქართველი მწერალი. დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის ღამთავრების შემდეგ სწავლობდა ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში. „საქართველოს განთავისუფლების ლიგაში“ აქტიური მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ჯერ ვარშავის, შემდეგ ქუთაისის ციხეში იჯდა. 1905 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. სამშობლოში დაბრუნდა და დაიწყო ბეითლად მუშაობა. მწერლობაში დაამკვიდრა ფსიქოლოგიური ჟანრის ნოველა, ესკიზი, სურათი; შეეხო თავისი ეპოქის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს. დაგვანახა ცხოვრების სიმწარე. მისი პირველი ნოველა „ესაა ჩვენი ცხოვრება“ 1889 წელს დაიბეჭდა. მისი ნაწარმოების თემატიკა მრავალფეროვანია: პატრიოტიზმი („ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, „მიწაა!“), ჩაგრული ხალხის ბრძოლა („სამარცხვინო ბოძთან“, „მიჯაჭვული ამირანი“), გლეხების მძიმე მდგომარეობა („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „ჩემო შვინდავ“, „მამას მიწა მიყაყარეთ“). რომანებიდან აღსანიშნავია „გაბზარული გული.“

არამეელები — (ბიბლ. ენც.) რამდენიმე სახელმწიფოს საერთო სახელწოდება სამხრეთ სირიაში, განსაკუთრებით დამასკოში. არამეული დამწერლობა.

არამი [არაბ. — ჰარამ — აკრძალული, ტაბუდადებული] — (ქსე) უსამართლო, უკანონო, რაც არ ეკუთვნის, არ ერგება. „არამ სიცოცხლე უშენოდ“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

არარატი — (ბიბლ. ენც.) მთიანი ქვეყანა, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა წარღვნის დამთავრების შემდეგ. აშურულ წარწერებში ურარტუ ეწოდება. ძირითადად თანამედროვე სომხეთს ემთხვევა.

არგანი — (ქეგლ) გრძელი საბჯენი ჯოხი უძლურთა დასაყრდნობად. „მელქისედეკს ორკაპიანი არგანი ეჭირა ხელში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). (ქ. მწ.) იყენებდნენ აგრეთვე დამნაშავეთა დ:!ასჯელად (საცემად); ა.-ის კვრა — ა.-ით ცემა.

არგნოსანი — (ქ. მწ.) ვისაც ხელში არგანი უჭირავს, ხელჯოხიანი, ხელარგნოსანი — პოლიციელი-მანდატურნი. „მეფემ უბრძანა მანდატურთწინამდგომს და მან არგანი დაადგო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

არგონავტები — (ქსე) არგოს ნაოსნები, ელინთა რჩეული გმირები, რომელთაც კარგად შეკრული არგო (ნავი) გამართეს და კოლხეთს გამოილაშქრეს, რათა ოქროს საწმისი ძალით ან ნებით საბერძნეთში წაეღოთ. ეს მოხდა ტროას ომამდე. არგონავტების მითი იმდენად ძველია, რომ თვით ჰომეროსი შთააგონა, რათა შეექმნა „ილიადა“ — ასე ვარაუდობენ მაღალ პოეტურ რანგში აყვანილი ცნებებისა და სიუჟეტური დეტალების საფუძველზე, რომელთა პირველადობა აშკარაა. ყველაზე სრულად და კარგად ეს ამბავი აპოლონიოს როდოსელმა აღწერა. „არგონავტიკაში“ ესაა ელინისტური ხანის ბერძნული ლიტერატურის შედევრი.

არდაგი — (ქ. მწ.) ტილო, სუდარა, ფარდა. „მარინეს ყოველ დღე არდაგით მო-

ა

აქვს ბეგქონდარა და ლინძილი, სოკო და კვერცხი" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

არე — (ქეგლ) 1. მხარე, მიდამო, არემარე. 2. გარკვეული ადგილი განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რისამე მოქმედება (თვალთახედვის არე); 3. კიდე (წიგნისა, რვეულისა), არშია. (საბა) ოთხნი დრონი წელიწადისა — წელიწადის დრო. „მოწეული იყო არე გაზაფხულისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

არეოპაგი — (ქსე) 1. ხელისუფლების ორგანო ძვ. საბერძნეთში, ათენში. წარმოიშვა გვაროვნული წესწყობილების ეპოქაში უხუცესთა საბჭოს სახით. იკრიბებოდა აკროპოლისის მახლობლად მდებარე არესის ბორცვზე. ა. იყო არისტოკრატიის, მოგვიანებით ოლიგარქიის დასაყრდენი. იგი ძირითადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ახორციელებდა. 2. (გადატ.) გარკვეული უფლებამოსილების მქონე ადამიანების შესაკრები ადგილი, სამსჯავრო. „ზედ გზაზე, ლობესთან დიდი ფშატის ძირას, სოფლის არეოპაგზე იჯდა ქალთა სინედრიონი" („ნატვრის ხე"— გ. ლეონ.).

არესი — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში ომის ღმერთი. ზევსისა და ჰერას შვილი (რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება მარსი). [ცხენებს] არესი ჩასცლოდათ გვამში"

არვე —(ქეგლ) თხის ჯოგი. „მხედრებმა ჰოროლები აძგერეს სამეფოის სპათა, თხების არვესავით წინ წაიგდეს ოვსები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

არზა — (ქეგლ) წერილობითი თხოვნა ან საჩივარი. „ეგზეკუციის მიყვანას მამათქვენი მეხვეწებოდა და არზაც კი მიართვა ერმოლოვს" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ართურმა — იხ. ოთურმა.

არიან-ქართლი — (ქსე) ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო მატიანე „მოქცევაი ქართლისაჲს" მიხედვით. ამ წყაროს ცნობით (ძვ. წ. 356-323), ალ. მაკედონელის მიერ თითქოს მცხეთაში მმართველად დატოვებული მისი ერთ-ერთი სარდალი აზო არიან-ქართლის მეფის შვილი იყო. აზო წასულა მამის ქვეყანაში — „არიან-ქართლად", იქიდან წამოუყვანია საკუთარი სახლი (ე. ი. გვარი) და 18 სახლი „მამამძუძეთა" (აღმზრდელთა). წამოუღია არიან-ქართველთა ღმერთების გაცისა და გას კერპები და მცხეთაში დასახლებულა. ამ თქმულებაში ჩანს სხვადასხვა თქმულებების გამოძახილი, ხოლო ქართველთა გადმოსახლების ამბავი ახლანდელი ქართლის მიწა-წყალზე ეხმაურება ძვ. სომხურ მწერლობაში (მოსე ხორენელთან) დამოწმებულ გადმოცემას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართველთა გადმოსახლების შესახებ სპარსეთის იმპერიის უკანასკნელი მეფის დარიოს სატრაპის მითრიდატეს მეთაურობით.

როგორც ჩანს, ქართველთა ერთი, სხვებისაგან განსხვავებული ნაკადის შემოსვლა მცხეთის რეგიონში გვიანანტიკურ-ადრელინისტურ ხანში, ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან. ამ ნაკადის თავდაპირველი ადგილსამყოფელი (არიან-ქართლი) ისტ. საქართველოს სამხ.-დასავ. მხარეში უნდა ყოფილიყო, რომელსაც უფრო ჩრდილოეთით მოსახლე ქართველი მოსახლეობა „არიან-ქართველს" ანუ, რაც იგივეა, „ირანის ქართლს" უწოდებდა. ეს რეგიონი მართლაც უშუალოდ იყო მოქცეული აქემენიდური ხანის ირანის შემადგენლობაში. ქართველთა ამ გადმოსახლების შესახებ ცნობაში მცირე აზიის აღმ. ნაწილში დამ-

კვიდრებული მესხების (მუშქების) ქართველური ტომების ერთი ნაკადის გამოძახილს ხედავს მესხეთისა და შემდეგ ქართლის ცენტ. რაიონების მიმართულებით, რომელთაც აქტიური როლი შეასრულეს ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებაში.

ᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ – (უსლ) სანსკრ. ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომებისა და ხალხების (ინდოელების, ირანელების) საერთო სახელწოდება; XIX ს.-დან მოყოლებული იხმარებოდა საერთოდ ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების აღსანიშნავად. ფაშისტურ გერმანიაში ამ სიტყვას მიენიჭა ტენდენციური ანტიმეცნიერული მნიშვნელობა.

უძველესი ძეგლების მიხედვით, ინდოირანელი ხალხები (მეზობელი ან დაპყრობილი ხალხისაგან განსასხვავებლად) თავის თავს უწოდებდნენ „არიელებს," რაც ნიშნავს სრულუფლებიან ადამიანებს). „[საქართველოში] დომხალივით არეულან არიელი და სემიტი, აზია და ევროპა, სლავი თუ თურანი“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ [ბერძ.] – (ანდ. ჭილ.) უმაღლესი წოდება, პრივილეგირებული ფენა, რომელიმე კლასის თუ ჯგუფის დაწინაურებული ნაწილი ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში. „ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამომავლობით მაღალ არისტოკრატიულ წრეს განეკუთვნებოდა.“

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ – (უსლ) ქცევის დახვეწილი მანერები, გარეგნული მოხდენილობა, თავაზიანობა, მეტყველების სინატიფე, სალონური თავდაჭერა, რომელიც მწერლობაში ნაჩვენებია არა მარტო პერსონაჟის ქცევით, არამედ მეტყველებითაც. „ვერსალის სასახლემ, ლუდოვიკო XIV-ის კარმა და ბუალოს „პოეტიკით“ დაკანონებულმა მწერლობამ ტონი მისცა ა.-ს, იმდროინდელი მოწინავე ქვეყნების სასახლეებსა და ლიტერატურას“ (სასკ. სახ-ლო).

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲔ [ძვ. წ. 384-322]– (ქსე) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, პლატონის მოწაფე, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი. ხელოვნების თეორია პირველად ა.-ს ფილოსოფიაში გამოიყოფა, როგორც ცალკე დისციპლინა („პოეტიკა“, „რიტორიკა“). ხელოვნება ა.-ს აზრით, არის სინამდვილის მიბაძვა. ხელოვანი მიბაძვის საშუალებით იწვევს ჩვენში სიამოვნებას. ხელოვნება შემეცნების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ არაა არც ბრმა მიბაძვა, არც უბრალო აღწერა, იგი შემოქმედებაა. ხელოვნება იმას აღწერს, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ პოეზია ისტორიაზე, ე.ი. საერთოდ ემპირიულ ცოდნაზე უფრო ფილოსოფიურია, ანუ უფრო ახლოა პირველმიზეზთა ცოდნასთან. ხელოვნების პროდუქტი თავისუფლების პროდუქტია ხელოსნობის შედეგისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელ საგნებს ქმნის. ესთეტიკური ტკბობით ადამიანის კათარზისი — განწმენდა — სწორედ ჩვენს ბიოლოგიურ არსებობაზე, პირადულ „მე“-ზე ამაღლებას და საერთო საკაცობრიო პოზიციაზე დადგომას ნიშნავს. აქედან ცხადია, ესთეტიკური ტკბობა არსებითად განსხვავდება იმისაგან, რასაც ჩვეულებრივ სიამოვნებას უწოდებენ.

ᲐᲠᲘᲤᲐᲜᲐ – (საბა) მოყვასთან საჭმელად შემოკრება. (ქეგლ) ერთმანეთში შეგროვილი ფულით პურის ჭამა, ქეიფი. „სუფრის მეორე მხრივ მასპინძელი გლეხები ჩამწკრივებულიყვნენ, რომელთაც გუშინ საარიფანო გაშოიღეს და ეს ძმური

სადილი მოამზადეს." („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

არიფი [არაბ.] — (ქეგლ) ამხანაგი, ტოლი თანამესუფრე. „უსენ არიფი მეფისა მეფეცა მისი მდომელი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ა.-ის წარმოდგენილი გააზრებიდან გაჩნდა ქართულ მწერლობაში ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონი".

„არიფიონი" — (ქსე) ქართველ მწერალთა დაჯგუფება, 1927 წელს ჩამოყალიბდა, მათი ლიტერატურული კრებული „არიფიონი" გამოვიდა 1928 წელს. კრებულის ლიტერატურულ განცხადებას ხელს აწერდნენ: ვასილ გიორგაძე, პეტრე ქავთარაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი. გ. ქიქოძის განმარტებით, „არიფი" თანამესუფრეს ნიშნავს, ა. კი შეზარხოშებული ადამიანების კავშირია. „ჩვენ ვთვრებით არა ღვინით, არამედ ურთიერთშთაგონებით და შემოქმედებით." „არიფიონს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრული მეტყველებისა და აზროვნების კულტურას, ქართული სიტყვისა და თქმის დაწმენდას და ადამიანობის კულტურის გამნტკიცებას" (სასკ. სახ-ლო).

არმაზი — (ქსე) ნაქალაქარი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთის გასწვრივ. უზენაესი წარმართული ღმერთი ქართულ მითოლოგიაში. ცისა და მიწის სასტიკი მეუფე, რომლის განთქმული კერპი მცხეთის მთაზე იყო აღმართული. აქ უნდა ყოფილიყო საკერპო ორმუზდისა, რომლისგანაც ამ ადგილს შერქმევია — ა.-ის ციხე. „ამიტომაც გვიინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო— ამირას გავაგდებდით ტფილისიდან, არმაზსა და ზადენს აღვადგენდით—" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

არმაღანი — (ანდ. ჭილ.) ძვირფასი ძღვენი, საჩუქარი, ძალიან საგულისხმო მინართმევი. ეს ცნება მწერლობაში იხმარება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ზოგჯერ ა. ნაწარმოებთა კრებულის თუ ანთოლოგიის აღმნიშვნელია. რუსთაველთან ეს სიტყვა ასეა წარმოდგენილი: „ესე ღმრთისა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუგვრია, მივუტანოთ არმაღანად, დაგვიმადლებს მეტად დია;" „მეც ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად" („ბედი ქართლისა"— ნ. ბარათ.).

ი. გრიშაშვილმა თავისი ლექსების კრებულის ერთ განყოფილებას „ა." უწოდა. „ა." არის აგრეთვე აღმოსავლური მწერლობის ნიჭიერად შედგენილი კრებული.

არმური — (ქეგლ) ნისლი, ოხშივარი. ~ „სიტყვამ ხელ-ფეხი შეისხა და განმოინთხა ქაღალდზე, როგორც ნათელი მითი საუკუნოთა არმურიდან გადმონაყონი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

არნადი — (ქეგლ) კალოზე ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი. „ზაალი უნდილად აბოტებდა და მოკიჟულ თვალებს ადევნებდა ყმებს, რომელნიც გალეწილ მოსავალს არნადებით აგროვებდნენ და ფიწლებით ანიავებდნენ" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

არსენალი — (ქსე) სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი. „არსენალად გადაქცეული ჯაყო თემურაზის მაშველს გარს უვლიდა" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

არსენ დიდი საფარელი (830-837)— (ქ. მწ. ლექსიკ.-ცნობარი) პაგიოგრაფი,

ისტორიკოსი, საეკლესიო მოღვაწე (კათალიკოსი). იყო სამცხის დიდი ფეოდალის მირიანის შვილი. ექვსი წლისა დაამკვიდრეს ხანძთის მონასტერში, სადაც სასულიერო აღზრდა-განათლება მიიღო. ოცდაათი წლის არსენი მამამისმა ქართლის კათალიკოსად განაწესებინა, რაც არაკანონიერად მიუჩნევია ქართლის ეპისკოპოსთა ერთ ნაწილს. მათ მხარი დაუჭირა გუარამ მამფელმა. ამ საკითხის გამო ჯავახეთში საეკლესიო კრება მოიწვიეს. კრებაზე არსენს მიემხრო გრიგოლ ხანძთელი და იგი ქართლის კათალიკოსად დაადგინეს. მას სიკვდილამდე ეპყრა ეს ხარისხი. „მცხეთის გვირგვინი დაუჭკნობელი" — ასე მოიხსენიებს მას საისტორიო მწერლობა

არსენ იყალთოელი – (ქსე) XI-XII ს.ს. ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი. წყაროებში იხსენიება ვაჩესძედ. წარმოშობით იყალთოდან. განათლება მიიღო ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში. მან თარგმნა და ერთ კრებულში მოათავსა ბიზანტიელ მწერალთა სხვადასხვა ნაშრომი, მათ შორის იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა." მან თარგმნა აგრეთვე „დიდი სჯულის კანონი", გიორგი ამარტოელის „ხრონოღრაფი" და სხვა. მასვე ეკუთვნის სასულიერო ხასიათის იამბიკოები, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია „ვინ ნაჭარმაგევი მეფენი." ა. ი.-ს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში. ამ სახელმძღვანელოს იხსენიებს ანტონ I. ა. ი. მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაში რელიგიურ-დოგმატური საკითხების გადასაწყვეტად.

არსუკიძე – (ქსე) (1029) ქართველი ხუროთმოძღვარი, მცხეთის სვეტიცხოვლის აშენებელი. მისი სახელი ამოკვეთილია ორგან: ტაძრის აღმ. ფასადზე შუა თაღის ქვემოთ, მედალიონებში და ჩრდ. ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ გამოსახულებით. წარწერა ასეთია: „ხელი მონისა არსუკიძისაჲ, რათა შეუნდვეთ." ტაძარი აგებულია 1010-1029 წ.წ. უეჭველია ა.-მ გამოიყენა ძველი (V-VI ს.ს.) სვეტიცხოვლის ცალკეული ნაწილები და ფრაგმენტები, მაგრამ არსებითად სრულიად ახალი დამოუკიდებელი ნაწარმოები შექმნა, რაც მოწმობს მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ სიმწიფეს და თვით არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას და ოსტატობას. ა. უნდა იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელიც.

არტალა – (ქეგლ) საკლავის უკანა მუხლის ქვეითი ნაწილი. ამ ნაწილისაგან დამზადებული შეჭამანდი. „არტალაზე როგორა ხარ?" „ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, — ერთ სახელმწიფოდა ჰღირს." („კაცია-ადამიანი?!"— ი. ჭავჭ.).

არტანუჯი — ძველქართული ქალაქი, ამჟამად თურქეთს ეკუთვნის. „აშოტ კურაპალატმა განაახლა ციხე არტანუჯი" („გრ. ხანძთელის ცხოვრება").

არტაშანი — (საბა) ძვალთშესაკრავი, გათლილ ხეთა მაგარი საბყრობელი. „საჯინიბოში გაჯოხილებს ხორეშანი და ფიქრიაც შეჰყვნენ, მალამო, წყალი და არტაშანები შეიტანეს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

არტახი — (ქეგლ) ქსოვილის გრძელი და ფართო ნაჭერი, რომლითაც ბავშვს აკვანში აკრავენ.

არტეზიული – (უსლ) არტეზიული

წყლები — მიწისქვეშა წყლები, რომლებიც მოქცეულია წყალშეუღწევ ფენათა შორის სხვადასხვა სიღრმეზე. განიცდის ბუნებრივ წნევას და ჭაბურღილის გახსნისას ამოდის მიწის ზედაპირზე. (გადატ.) „სულის არტეზიული ხვეულები, სიღრმე კ. გამსახურდიასთან გამოვლენილია ტოტემებისა და სიმბოლურ პიბოსტასთა სისტემაში" (ს. ხიგ).

არტემიდა — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონის ტყუპისცალი, ზევსისა და ლეტოს ქალიშვილი; ცხოველებისა და ნადირობის (ქალწულობისა და მშობიარობის) მფარველი ქალღმერთი. რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება დიანა. მისი სახელობის ტაძარი ეფესოში მსოფლიოს 7 საოცრებათაგანია.

არტიკულაცია — (უსლ) სამეტყველო ორგანოების მოქმედება ან მდგომარეობა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმის დროს.

არფა — (ქეგლ) სიმებიანი საკრავი. წარმოადგენს ხის სამკუთხედ ჩარჩოს, რომელშიც ვერტიკალურად არის გაბმული სიმები.

არქაიზმი [ბერძ. არხაოს — ძველი]— (უსლ) ხმარებიდან გასული სიტყვა (ან შესიტყვების ფორმა). მხატვრულ მეტყველებაში მოძველებული სიტყვების ხმარება.

არქეოლოგია [ბერძ.] — (უსლ) მეცნიერება, რომელიც ძველი ხალხების კულტურასა და ყოფაცხოვრებას სწავლობს შემონახული ნივთიერი ძეგლების მიხედვით (ასეთი ნივთების მოსაპოვებლად არქეოლოგები აწარმოებენ გათხრებს).

არქეტიპი — (უსლ) რისამე პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა. „კ. გამსახურდია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სისხლის მისტერიას, შემკვიდრეობით. პრობლემას, რომლის მიხედვითაც ქმნის არქეტიპის მხატვრულ სისტემას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

არქიელი — (ქეგლ) იგივეა, რაც მღვდელმთავარი. „გიორგის ბერძნული ლაპარაკიც სძაგდა, ამიტომაც დაღვრემილი უსმენდა ბიზანტიელ არქიელებს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

არქივი [ლათ.] — (უსლ) დაწესებულება, სადაც ინახება წერილობითი ძეგლები და ისტორიული საბუთები. „მ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია „არსენა მარაბდელის" 1932 წლის ცალკე გამოცემის ავტორისეული კორექტურა" („არსენა მარაბდელის" შენიშვნები და კომენტარები).

არქიმანდრიტი — (ქეგლ) დიდი მონასტრის წინამძღვარი, ებარქიის მონასტრების ზედამხედველი. „მერჩულეს ცნობით, არქიმანდრიტი გრიგოლი საგანგებოდ ზრუნავდა, რომ ტაო-კლარჯეთში ეკლესიებს მტკიცე კავშირი ჰქონოდათ ერისმანეთთან" (სასკ. გამოც.).

არქიტექტურა — (ანდ. ქილ.) ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, ხუროთმოძღვრება, მშენებლობის ხელოვნება, ნაგებობის სტილი.

არღანი — (ქეგლ) მექანიკური სამუსიკო საკრავი, წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც მხარზე იკიდებენ ღვედით. უკრავენ ტარის ტრიალით. იგივეა, რაც ორგანი

არშია — (ქ. ეწ.) ქსოვილის, ტანსაცმლის (კაბის ან სხვა) კიდეზე შემოვლებული განსხვავებული სახის ზოლი. „დაკარიელებულ ფორნზე წითელი არშიებით და კუწუბოებით შემოვლებული დიდი კარავი გამოჩნდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

არშინი — (უსლ) ძველებური რუსუ-

ლი სიგრძის საზომი, უდრის 16 ვერშოკს (71,12 სმ), იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. „დილაზე რომ ერთი არშინი ჩითი ერთი მილიონი ელირებოდა, საღამოზე ორი მილიონი გახდებოდა" („ჯაყოს ხიზნები"). „თურმე ზოგან არსენას არშინი აღარ არშინობდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

არშუშა — (ქსე) ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის მთავარი (პიტიახში V ს. შუა წლებში. ქართული და სომხური წყაროების ცნობით, იგი ყოფილა კაცი „ჭკვიანი და გამომრჩეველი", მშობლიური კულტურის, ქრისტიანული ეკლესიის მოამაგე. დაახლ. 450 წელს, ამიერკავკასიაში მაზდეანობა რომ გაევრცელებინათ, ა. ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დიდებულებთან ერთად ირანში შაჰ იეზდიგერდ II-ის კარზე გაიწვიეს. აქ მისი რჩევით ამ სამი ქვეყნის თავკაცებმა ფორმალურად უარყვეს ქრისტიანობა და აღიარეს მაზდეანობა, რათა თავიანთი ქვეყნები აოხრებისაგან ეხსნათ. ამის შემდეგ შაჰმა ა. ერთხანს მძევლად დაიტოვა. ჩანს, არშუშა თანაუგრძნობდა სომხეთის 450-451 წ. წ. აჯანყებას. მის კარზე თავი შეაფარეს და კარგი განათლება მიიღეს მისი ქვისლის, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანლის ჰმაიკ მამიკონიანის ვაჟებმა.

არჩივი —(ქეგლ) ვისიმე, რისამე წილი, კერძი. „მეც ჩემი არჩივი დავითრიე."

არხეგოს [ბერძ.] — (უსლ) თავადი, ბელადი, მბრძანებელი. „ქიაბერი „არხეგოსის" სახელწოდებითა და ოქროს მუზარადით დააჯილდოვა კეისარმა" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ასალი — (ქეგლ) ცხენის ზურგზე და გავაზე გადასაფარებელი ხალიჩურად ნაქსოვი ან აპლიკაციებით გაწყობილი ქსოვილი. „[დადიანის ასულმა] ტაიჭს ასალათ წითელი, ოქრომკედით ნაქარგი ხავერდი ეფინა, თოქალთოთ — ვეფხის ტყავი" („დადიანის ასული და მაიჩოყარი" — ნ. ლორთ.).

ასასი — (ქეგლ) ღამის დარაჯი. „მარაბდელმა [დილმელი თანდილა] ხეზე მიაბმევინა და ასასად თავისი ძაღლი მიუჩინა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ასთენიური —(უსლ) სხეულის აგებულების ერთგვარი ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია არაპროპორციული, ვიწრო, სუსტად განვითარებული გულმკერდი: კ. გამსახურდიას პერსონაჟთა უმრავლესობა გამხდარია ასთენიური.

ასიმილაცია — 1. რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხებში; 2. ერთი ბგერის სრული ან ნაწილობრივი დამსგავსება მეორე, მეზობელ ბგერასთან. 1. „სპარსელი და თურქი ასიმილატორები შეეცადნენ აღმოეფხვრათ და მოესპოთ მდიდარი ქართული ენა" (სასკ. სახ.-ლო).

ასკერი — (ქეგლ) თურქი ჯარისკაცი. „როცა სანიტრები იგვიანებდნენ, მაშინ სარდაფში ჩაუში და ასკერი ჩამოდიოდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ასკეტიზმი [ბერძ. - ვარჯიში, წვრთნა] — (ქსე) ადამიანთა ცხოვრების წესი, რომელიც ზნეობრივი სრულყოფის მისაღწევად ამ ქვეყნისაგან განდგომას, მიწიერი სურვილებისაგან უკიდურეს თავშეკავებას, სხეულის დათრგუნვას გულისხმობს. თითქმის ყველა რელიგია ა.-ს ზნეობრივ იდეალად აცხადებს. ეკლესია აკანონებს ა.-ს; ადამიანის თვითგვემას სისტემატურ სახეს აძლევს. ტანჯვა არის ქრისტიანობის უმაღლესი მცნება. თვითონ ისტორია ქრისტიანო-

ბისა კაცობრიობის ტანჯვის ისტორიაა („სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი"). რელიგიური ა. არის უარის ითქმა არა მარტო ამქვეყნიურ სიამოვნებაზე, არამედ ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაზეც. საქართველოში ასკეტური მწერლობის განვითარებას ხელი შეუწყეს ასურელმა მამებმა. „გრიგოლ ხანძთელმა ახლად აგებულ ეკლესია-მონასტრებში ზედმიწევნით ასკეტური, „ბრძენთაგან განუკითხველი" წესები დაამკვიდრა" (სასკ. სახლო); „მელქისედეკ კათალიკოსს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ეკლესიათა მშენებელსა და უებრო ასკეტს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ასკილი — (ქ. მწ.) ტყის (ველური) ვარდი.

ასლანი — (ქ. მწ.) ფულის ერთეულია. ჰოლანდიურ დუკატს საქართველოში ასლანსაც უწოდებდნენ. „სავაჭრო ერთს კაცს მიჰყიდე და ერთი რიგი ფასი აიღე ან ფლური, ან სულ მარჩილი, ან ასლანი"; „ბურსელმან ვაჭარმან უბრძანა მსახურთა: მისისა ფასისა სულ ასლანი ვერცხლი შეკრეს" („ვაჭარი და მტრედი" — ს. ს. ორბ.). იხ. დუკატი.

ასომთავრული — (ქეგლ) უძველესი ქართული დამწერლობა, მეცნიერებაში მრგლოვანად წოდებული.

ასონანსი [ფრ.] — ხმოვანი ბგერების განმეორება სალექსო სტრიქონში. ა. აძლიერებს ლექსის მუსიკალობას, შინაარსის სიცხადეს. ა.-ის ძალა უფრო დიდია სილაბურ ლექსებში, როცა სალექსო სტრიქონი უპირატესად მარცვალთა რაოდენობას ემყარება. ასეთ ვითარებაში ასონანსი ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის გარდა რიტმული საყრდენის როლსაც ასრულებს: „მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია"; „არა კაცსა არ იახლებს საუბრად და შემაქცევრად" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.). „რომ მაპოვნინა მე შენზე რითმა, რომ ასონანსი ღიროდეს რადმე" („საახალწლო ეფემერა" — გ. ტაბ.).

ასოციაცია —(უსლ) 1. ადამიანების ან ორგანიზაციების გაერთიანება, კავშირი; ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია. 2. ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით. „მიწაზე გადაულილი გრიგალი იწვევს ჰალიკალითუსის ასოციაციას" („მთვარის მოტაცება"— კ. გამს.).

ასპინძის ბრძოლა — (ქსე) (1770), ქართველთა ბრძოლა ოსმალეთის ლაშქართან ერეკლე II-ის სარდლობით რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. საქართველოში შემოსულ რუსთა საექსპედიციო რაზმს, რომელსაც ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალთა ძალების ნაწილი უნდა მიეზიდა, ერეკლე II-მ შესთავაზა რუს-ქართველთა ერთობლივი ძალებით ახალციხეზე გალაშქრება. მისი მიზანი იყო მესხეთის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. რუსთა სამხედრო რაზმს (1200 კაცი) გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა. ქართველთა ლაშქარს (7000 კაცი) — ერეკლე II. ამ ბრძოლაში ერეკლე მეფემ უდიდესი სტრატეგიული ნიჭი გამოამჟღავნა, რის გამოც მასზე ლეგენდები დადიოდა. ოსმალ-ლეკთა 8-ათასიან კორპუსს მტკვარზე გადმოსვლის საშუალება მისცა, ღამით კი მალულად გადაახერხინა ხიდის თავხეები („ისრები"), ამით მტერს უკან დასახევი გზა მოუჭრა. გამარჯვებულმა ქართველებმა ხელთ იგდეს ტყვეები, დროშები, ცხენები, დიდძალი იარაღი (ეს საბრძოლო მანევრი აკ. წერეთელმა გამოიყენა „თორნიკე ერისთავში").

ᲐᲡᲞᲘᲠᲝᲖᲘ — (ქ. მწ.) ვენერა, აფროდიტე (ცდომილი).

ᲐᲡᲞᲘᲢᲘ — (საბა) გველია ფრიად გესლიანი. „მეფის გულში ირეოდნენ სიტყვები ხან გოლეულივით ტკბილი, ხან ასპიტივით შხამიანი“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲐᲡᲢᲐᲛᲘ — (ქეგლ) რკინის პატარა ნიჩაბი ცომის (ან ნაცრის) ასაღებად.

ᲐᲡᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ — (ქსე) საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც VI ს-ში მოსულა საქართველოში სირიიდან. წყაროებში იხსენიებიან „ათორმეტნი“, ან „ათსამეტი ასურელი მამანი.“ სინამდვილეში ისინი მეტნი იყვნენ. მათი საქართველოში მოსვლის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. საქართველოში მათი წამოსვლის მოთავე და ხელმძღვანელი იოანე ზედაზნელი ყოფილა. პირველად ქ. ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა, შემდეგ, VI ს. შუა ხანებში იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებით, ბოლოს კი აბიბოს ნეკრესელი. გარდა ზემოთ დასახელებულებისა თვალსაჩინო ა. მ. იყვნენ: შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი, ანუ ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, აგრეთვე პიმენი, ნათანე და იოანე.

ასურელმა მამებმა აღმ. საქართველოში მრავალი მონასტერი ააშენეს, წარმართულ მოსახლეობასა და ჩრდ. კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გაავრცელეს და საქართველოს დაუქვემდებარეს. მათი საქმიანობა ხელს უწყობდა და ნიადაგს უმზადებდა ეანმათავისუფლებელ ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ. მათ მიერ დაარსებულმა სამონასტრო ცენტრებმა ხელი შეუწყვეს უდაბურუკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას. ამავე დროს ეს ცენტრები ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ. ა. მ.-ს უკიდურესი ასკეტიზმი ახასიათებდა. მათ მიმდევრები ვერ გაიჩინეს საქართველოში. ქართული ასკეტიზმი უფრო ზომიერი იყო, ბერძნულს წააგავდა (თეთრი და შავი სამღვდელოება).

ᲐᲢᲘᲚᲐ — ჰუნების (თურქთა ტომები) უკანასკნელი ბელადი. „გლარავდნენ მუცელს მწარე აფთრებით/ ნუგზარ, ატილა და ტამერლანი,/ იხევა ბოძზე გამოფატრული /აპოკალიფსის მწვანე მერანი“ („ტფილისის სასაკლაო“— გ. ლეონ.).

ᲐᲢᲐᲕᲘᲖᲛᲘ [ლათ.] — (უსლ) 1. ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენა, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისათვის. 2. საერთოდ რისამე გადმონაშთი. „ვითომ ქართველები ბუნებით წარმართები იყვნენ და ვითომ ჩვენში ყოველთვის მძლავრად სჩქეფდა წარმართობის ატავიზმი“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘ — (მით.)1. ბერძნული მითოლოგიის გმირი. ჰომეროსთან ტიტანი: „ვერაგი, ზღვის სიღრმეთა მცოდნე, ცისა და დედამიწის გამყოფი სვეტების მზიდავი.“ გადმოცემით იგი მიემხრო ღმერთებთან მებრძოლ ტიტანებს. ამიტომ ზევსმა დასაჯა: უბრძანა თავით და ხელებით შეეკავებინა ცის თაღი. 2. (არქიტ.) — მამაკაცის ქანდაკება, რომელსაც ეყრდნობა შენობის, კარიბჭის, აივნის და სხვათა სახურავი. ჩვეულებრივ დგას კედელთან და სვეტთან. გავრცელდა XVII-XIX ს. ს. დასაწყისის არქიტექტურაში.

ატმოსფერო [ბერძ.]– (უსლ) ჰაერის გარსი, რომელიც დედამიწას არტყია. 2. (გადატ.) გარემო პირობები, ვითარება. 3. აირისებრი სხეულების წნევის საზომი ერთეული (ქეგლ).

ატრიბუტი – (ქსე) 1. გრამატიკაში მსაზღვრელი სიტყვა (განსაზღვრება), რომელიც განსაზღვრავს არსებით სახელს და ახასიათებს მას. 2. (ქეგლ) რისამე დამახასიათებელი ნიშანი. „სილამაზე არის მხოლოდ ხორციელების ატრიბუტი და ის დროებითია, წარმავალია“ (შ. რადიანის XIX ს-ის ლიტერატურა).

ატროშანი – (ქ. მწ.) ცეცხლთაყვანისმცემლობა, ზოროასტრიზმი, მაზდეანობა. „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“ („შუშანიკის წამება“– ი.ცურტ.).

აუდიენცია – (უსლ) ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ.

აურვებინა – მეურვე (მზრუნველი) გახადა რისამე.

აფერისტი [ფრ.] – (ქეგლ) ყალთაბანდი, თაღლითი, მატყუარა.

აფერუმ [სპ.] – (ქეგლ) შორისდებული, გამოხატავს მოწონებას -ყოჩაღ! ბარაქალა! აფერუმ შენს საქმეს! აფერუმ მის ვაჟკაცობას! „აფერუმ, დედაკაცო!“ („ბაშიაჩუკი“– ა. წერ.).

აფთარი – (ქ. ძვ.) მძორის მჭამელი მტაცებელი ცხოველი.

აფთი – (ქ. ძვ.) ბრტყელი და გრძელი მახვილი, ხმალი.

აფრა – (ქეგლ) იგივეა, რაც იალქანი. ა.-ს აუშვებს, იგივეა რაც აფრას, იალქანს აუშვებს. (გადატ.) „პა, შენებურად აფრა არ აუშვა ახლა“ („ოთარაანთ ქვრივი“ – ილ. ჭავჭ.).

აფროდიტე – (უსლ) ძველბერძნულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი, რომელიც დაბადებულია თურმე ზღვის ქაფიდან. ა.-ს შესატყვისია რომაულ მითოლოგიაში ვენერა. ტერმინი ა. მხატვრულ ლიტერატურაში იხმარება სილამაზის, სიტურფისა და სიყვარულის მისანიშნებლად. (იხ. ვენერა მილოსელი). „ქოსა და დაღრეჯილი მამაკაცებიც ერიენ მათ შორის – ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად რომ ირყევიან, ისეთები.“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

აფორიზმი – (ანდ. ქილ.) მოკლედ და მხატვრულად გამოთქმული ბრძნული აზრი, მაღალგონიერი ჩანაფიქრის სხარტი გამოსახვა, რომელშიც განზოგადებულია ხალხური სიბრძნე. ა. უმეტესად პოეტურია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ (შ. რუსთაველი). „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაუცხვდების“ (დ. გურ.). „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ (აკ. წერ.). „სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა“ (ვაჟა-ფშაველა)

ა. შეიძლება იყოს პროზაულიც: „თუ წუთისოფელს ერთხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.“ „დაუდურ:ა მაჭარს სარქმელი არ დაეხურება.“ (ილ. ჭავჭავაძე).

აფხაზები – (ქსე.) (აფსუა) აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა. იხ. აბაზგები, აფხაზეთის სამთავრო.

აფხაზეთის სამთავრო – (ქსე) ფეოდალური სამთავრო XVII-XVIII ს.ს. დასაწყისში, დას. საქართველოში. საქართველოს სამეფოს სამთავროებად დაშ-

ლის დროს (XV ს. II ნახევარი) აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. XVI ს. ბოლოდან აფხაზმა ფეოდალებმა შერვაშიძეების მეთაურობით იწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რომელიც XVII ს. დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით. საზღვარი იყო მდ. კოდორი. აფხაზი ფეოდალები სამთავროს გასაფართოებლად ებრძოდნენ დადიანებს, ცდილობდნენ დაჰპატრონებოდნენ სამეგრელოს მიწა-წყალს მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. ბოლოს აფხაზებმა საზღვარი მდ. ენგურამდე გადასწიეს.

XVII-XVIII ს.-ის მთავარ ზეგნაყ შერვაშიძის შვილებმა აფხაზეთი ერთმანეთში დაინაწილეს. როსტომს ერგო ტერიტორია მდ. ბზიფსა და კოდორს შორის, ჯიქეშიას — კოდორსა და ღალიძგას შუა (აბჟუა), ყვაბუს — ღალიძგასა და ენგურს შუა, რომელსაც შემდგომ სამურზაყანო ეწოდა (სახელწოდება წარმოდგება ყვაბუს შვილის მურზაყანის სახელისაგან). ფორმალურად ა. ს. იმერეთის სამთავროში შედიოდა. სამთავროს სათავეში ედგა მთავარი (აფხაზურად „აჰ“), · მისი რეზიდენცია იყო ლიხნში. ა. ს. იყოფოდა რამდენიმე ოლქად: ბზიფი, საძნი, გუმა, აბჟუა, სამურზაყანო და წაბალდალი. აფხაზ მთავარსა და უფლისწულებს თავადების გარდა ყმა-ვასალებად ჰყავდათ აზნაურებიც. XVI ს.-ში აფხაზეთი, ისე როგორც მთელი დას. საქართველო, ოსმალთა გავლენა-ბატონობის სფეროში მოექცა და ხარკს უხდიდა მას. ოსმალეთი სრულ დამორჩილებასა და ასიმილაციას ისახავდა მიზნად. თანდათანობით ვრცელდებოდა ისლამი. თურქი დამპყრობლებისა და ადგილობრივი ფეოდალების გარკვეული ნაწილის წყალობით გავრცელდა „ტყვის სყიდვა.“ დიდძალი აფხაზი ჭაბუკი და ქალწული იყიდებოდა სკურჩასა და სოხუმში. აფხაზი ხალხი აქტიურად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. 1733 წელს ოსმალთა მრავალრიცხოვანმა ჯარმა გააპარტახა სამეგრელოსა და აფხა'ზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამან გამოიწვია საყოველთაო-სახალხო აჯანყება. აფხაზებმა დაამარცხეს ოსმალთა ჯარი და განდევნეს ქვეყნის უდიდესი ნაწილიდან. 1010 წელს რუსეთთან შეერთების შემდეგ აფხაზეთი გათავისუფლდა ოსმალეთისაგან. აფხაზური ენა შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ, აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფში.

აქატი, აგატი — სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქვა — აყიყი, იამანი.

აქილევსის ქუსლი — (მით.) აქილევსი ჰომეროსის „ილიადას“ ერთ-ერთი გმირი. დედამ — ზღვის ქალღმერთმა თეტიდამ ა. წმინდა მდინარე სტიქსში აბანავა, უძლეველი და იარაღისაგან უვნებელი რომ ყოფილიყო ბრძოლის დროს, მაგრამ ჩააყირავა ისე რომ ქუსლზე ეკიდა ხელი. ამიტომ სხეულის ეს ნაწილი — ქუსლი, ჯადოსნური წყლით დაუსველებელი, ხელშეუხებლობას, იარაღის მიუკარებლობას ჩრკლებული დარჩა. ეს ამბავი გაიგო ტროას გმირმა პარისმა, ბრძოლის დროს ისარი ქუსლში მოახვედრა აქილევსს და განგმირა იგი. აქედან გამომდინარე გამოთქმა გადატ. მნიშვნელობით რაიმე სუსტ ადგილს აღნიშნავს. (მსგავსი მითიური დეტალი ქართულ ეპოსშიც აისახა, მაგ. „ამირანში“, როცა ამირანს ვამარის მამა შეებრძოლა, ყამარმა მამა გაწირა და ამირანს ასწავლა: „ამირან, ცოლ-დედამკვდარო, ომი ვერ იცი კილოსა, მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა

შემომკარ რბილოსა, ძარღვები დააწყდებიან, დაეცემიან ძიროსა“ („ამირანი“ – ხალხ.).

ᲐᲥᲡᲔᲚᲑᲐᲜᲢᲘ – (უსლ) [გერმ.] სამხრე, საბეჭური, მარჯვენა ან იშვიათად მარცხენა მხარზე მისაბნევი ლითონის ბუნიკებიანი ზონარი, დაწნული ოქრომკედის, ვერცხლის ან ფერადი ძაფისაგან. რევოლუციამდელ რუსულ არმიაში გენერლების, ოფიცრებისა და ადიუტანტების ფორმის ნაწილი. ამჟამად ატარებენ უცხოეთის ზოგიერთ არმიაში და საპატიო ცერემონიების დროს. „არლოვს ჟანდარმის მუნდირი ჩაეცვა და აქსელბანტი ჩამოეკიდნა“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲘ [ფრ.] – (უსლ) 1. საგნის თანმხლები დეტალი. მაგ. ტანსაცმლის: კოსტუმს დამთავრებულ სახეს აძლევს ხელთათმანი, ხელჩანთა, პალსტუხი და სხვა. 2. თეატრში ბუტაფორიის ან რეკვიზიტის საგნები. 3. სახვით ხელოვნებაში გამოსახულების მეორეხარისხოვანი დეტალი.

ᲐᲥᲡᲘᲝᲛᲐ [ბერძ.] – (უსლ) დებულება, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვს.

ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ (უსლ)– 1. თავისებური წარმოთქმა, უნებური დამახინჯება ამა თუ იმ ენის ბგერისა იმის მიერ, ვისთვისაც ეს ენა არ არის მშობლიური. 2. ხმის აწევა სიტყვის რომელიმე მარცვალზე, მახვილი. 3. რაიმე აზრის, იდეის გახაზვა სტატიაში. „საიდან მოდის ასეთი ტოტალური მელანქოლიისაკენ მიდრეკილება და რატომაა აქცენტირებული იგი ჯ. გამსახურდიას პერსონაჟების ხასიათში?“ (ს. სიგ.).

ᲐᲥᲪᲘᲐ [ფრ.] – (უსლ) 1. ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას კაპიტალისტურ წარმოებაში და აძლევს მას მოგებაში მონაწილეობის უფლებას. აქციების გამოშვება – აქციების კურსი. 2. რაიმე ეკონომიური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება.

ᲐᲚᲐᲚᲘ – (ქეგლ) ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანების და მისთ. ქარავანი.

ᲐᲚᲐ-ᲛᲐᲞᲛᲐᲓ-ᲮᲐᲜᲘ – (ქსე) ირანის გამგებელი 1794-დან, ხოლო შაჰი – 1796-დან. საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც თბილისის ამაოხრებელი (1795 წ.) „პატარა კახი ალა-მაჰმადხანს უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს“ („ბედი ქართლისა“- ნ. ბარათ.)

ᲐᲚᲐᲛᲘ [ბერძ. სიყვარულით, პატივით მიღება-გაცილება, ძმური ტრაპეზი]– (ქსე) მიცვალებულთა მოსახსენიებელი პურის ჭამა, სერობა, განკუთვნილი ეკლესია-მონასტრის კრებულისათვის. საწყისს იღებს ადრინდელი ქრისტიანობიდან, როცა ეკლესიის წევრები საღამოობით სერობაზე იკრიბებოდნენ (სიმბოლურად ეს იყო „საიდუმლო სერობის“ მოგონება). ამ დღეს ასრულებდნენ ზიარებას, არჩევდნენ საეკლესიო და საზოგადოებრივ საქმეებს. მოგვიანებით ა. ეკლესია-მონასტრების გამდიდრების წყარო გახდა, რადგან ხდებოდა ყმების, მამულების, ფულის და სხვათა შეწირვა, რომელიც აღწერილია ალაპების წიგნში. ა.-მა თანდათან დაკარგა დემოკრატიული ხასიათი და მდიდართა ღრეობად იქცა. ამიტომ მისი გამართვა ტაძარში აიკრძალა მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ. 2. (ქეგლ) წიგნი, სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები და სხვა. 3. იგივეა, რაც ქელეხი. სერი, მოსახსენებელი, სერობა. ქრისტეს უკა-

ნასკნელი სერობის მოსაგონებელი სადამო წირვის დროს მღვდელი ახსენებს განსვენებულებს, რომლებიც სააღაპო რვეულში უწერია. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეს ხდება მეცხრე, მეორმოცე დღეს, ნახევარი წლის და წლისთავზე მოსაგონებლის გარდაცვალებიდან. ეკლესიის მოძღვრებით ღმერთი შეისმენს ლოცვას და შეუმსუბუქებს ხვედრს განსვენებულთა სულს. „[უსაქმო კაცს] მოუვიდა მეზობლის კაცი. მამა მოჰკვდომოდა და აწვიეს: მოდი მიტირეთ და აღაპიც მიჭამეთ" („უსაქმო კაცი" — საბა). „ცხედარიც მიპატიოსნეს, აღაპ-ქელეხის წესებით" („ხარი" — შ. ნიშნ.).

ᲐᲚᲐᲯᲘ — (ქ. მწ.) სიგრძის საზომი ერთეული. „სამი მილი ერთი ალაჯია", „მილი არს ათასი ბიჯი" (საბა). ე. ი. 3000 ბიჯი.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ — (ბიბლ.) ქრისტიანული რელიგიის მიხედვით იესო ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომის" აღსანიშნავი მთავარი ქრისტიანული დღესასწაული. იგი მოძრავია და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს. (ბიბლ. ენც.) იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ქრისტიანული რწმენის ქვაკუთხედია, „ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და თქვენ კვლავ ცოდვებში ხართ" — წერდა პავლე მოციქული. მოციქულებმა თავად იხილეს აღდგომის შემდგომაც. პავლე ჩამოთვლის იმ ადამიანებს, ვინც გაცოცხლებული ქრისტე ნახა. ერთ ღამეში სუსტი და სულმოკლე მოწაფეების მცირე ჯგუფი უშიშარი ადამიანების დასად გადაიქცა, რომლებიც მკვდრეთით აღმდგარი უფლის ძალით ქადაგებდნენ და სასწაულებს ახდენდნენ.

ის, ვინც ქრისტიანი ხდება, თავის სიცოცხლეს უერთებს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის სიცოცხლეს. როგორც ყველა სხვა ადამიანს, მორწმუნესაც შეხვდება ფიზიკური სიკვდილი, მაგრამ მომავალში მათ ელოდებათ ახალი სიცოცხლე, რომელიც ურთიერთობაში იქნება ქრისტესთან. ქრისტიანები სასოებენ არა სულის უკვდავების იდეას (იხ. ბერძნული ფილოსოფიის იდეა) არამედ მთლიანად ადამიანური პიროვნების აღდგომას ახალ და მშვენიერ სხეულში.

ᲐᲦᲕᲡᲔᲑᲐ — (ქ. მწ.) ავსება, შესრულება, აღდგომა. „აღივსებოდა მეექვსე იგი წელი". „და ვითა მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან მონთაჯს" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.). აღუსების ზატიკი — ძვ. ქართულში აღვსება იგივეა, რაც აღდგომის დღესასწაული. იხ. ზატიკი.

ᲐᲦᲖᲔᲕᲐᲜᲘ — (ქსე) თურქეთის დასახლებული პუნქტის ყალიზმანის ძველი ქართული სახელწოდება. „აღზევანს მივალ მარილზედ, მარილს მოვიტან ბროლსაო..." (ხალხ.).

ᲐᲦᲕᲘᲠᲘ — (ქსე) ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. შედგება ლითონის ლაგამისა და თასმებისაგან. ლაგმის რგოლებში გაყრილია სადავეები და გვერდითი თასმები, რომლებზეც მიბმულია საცხვირე და საშუბლე. გვერდით თასმებს ზემოთ მიკერებული აქვს ყურებზე გადასაცმელი და ყელისქვედა თასმები. ა.-ის თასმები ბოლოში კვანძითაა შეერთებული. სადღესასწაულოდ ა.-ის თასმები შემკული იყო ვერცხლის ნაირნაირი ღილებით — ბეპლებით. „ქალის თეთრ ხელებს გველივით ეხვეოდა აღვირის შავი თასმები" („დადიანის ასული და მათხოვარი" — ნ. ლორთქ.).

ᲐᲦᲗᲥᲛᲐ (პირობა) — (ბიბლ.. ენც.) ა. ძირითადი მნიშვნელობა ბიბლიაში იერემიას სიტყვებითაა გამოხატული: „მე ვიქნები მათი ღმერთი, ისინი კი ჩემი ხალხი იქნება". ღმერთი განსაკუთრებულ

ურთიერთობას ამყარებს ადამიანებთან და თან გალდებულებასაც კისრულობს დაიცვას თავისი ხალხი, სანაცვლოდ კი მათგან მორჩილებას მოელის. ბიბლიაში ნახსენებ აღთქმათა უმრავლესობა დადებულია ადამიანსა და ღვთაებას შორის, მაგრამ ძველ ა. იმავდროულად ლაპარაკია ადამიანებს შორის დადებულ აღთქმაზეც.

თავად ბიბლია ორი დიდი აღთქმისაგან შედგება — „ძველი“ და „ახალი“ აღთქმა. ძველი ა. დაიდო სინას მთაზე, როდესაც ღმერთმა თავის ხალხს ათი მცნება უანდერძა — ეს ცხოვრების ძირითადი წესებია ძველ ა. საუბარია სხვა ა.-ზეც. მაგ. ა. (პირობა), რომელიც დადებულ იქნა ნოესთან, რომ ამიერიდან წყლით არასოდეს გაანადგურებდა სოფელს. ამას მოჰყვა აბრაამთან დადებული ა., რომელსაც ღმერთმა აღუთქვა, რომ მის შთამომავლებს მისცემდა მიწა-წყალს, რომელიც მათი სამკვიდრებელი გახდებოდა. ღვთის მიერ თავის რჩეულ ხალხთან დადებული ეს აღთქმა განახლებულ იქნა სინას მთაზე.

უკვე ძველ ა-ში ნაწინასწარმეტყველევი ახალი ა. ღმერთსა და ადამიანს შორის დაფუძნებულია მაცხოვრის სიკვდილზე. თავად იესო ლაპარაკობდა ამის თაობაზე თავის უკანასკნელ სერობაზე: „ეს სასმისი ახალი აღთქმაა ჩემს სისხლში“.

ᲐᲦᲚᲣᲛᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც „პარადი“, დღესასწაული.

ᲐᲦᲛᲡᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ — (ბიბლ.) ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდევრობა.

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ — (ქ. მწ.) ცოდვების აღიარება, გამხელა (მღვდლისთვის ზიარების წინ). „ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს.“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.). „მამამზემ იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲐᲦᲡᲐᲧᲐᲚᲘ [თურქ.] — (ქეგლ) პირველყოფილი თემური წყობილების დროს — გვარის თავი, უხუცესი, მოგვიანებით მამასახლისი, აგრეთვე დარბაისელი, პატივსაცემი ადამიანი, ამქრის საპატიო წევრი (თეთრწვეროსანი), უსტაბაშის თანაშემწე. „ზურაბ და ერეკლემ „აღსაყალებს“ ამ მიწურში მოუყარეს თავი“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲐᲦᲢᲧᲘᲜᲔᲑᲐ — (ქეგლ) რაიმე ძლიერი განცდით შეპყრობა, აღგზნება. „რაფიელ ერისთავის იუბილემ ჩვენში, ახალგაზრდებში, დიდი ეროვნული აღტყინება გამოიწვია“ (ნ. გრიგალ. ტ. I).

ᲐᲧᲐᲚᲝ — (საბა) ესე არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკვლთა გამრეცხი, მიწის საპონი.

ᲐᲧᲘᲠᲝ — (ქეგლ) 1. მცოცავღეროიანი მცენარე, ისხამს გრძელყელიან გოგრას, რომელსაც ჭურჭლად ხმარობენ. 2. ამ მცენარის ნაყოფი (გოგრა). „[მიწისძვრამ] სვეტიცხოველი აყიროსავით მოაძროს იქნება“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). (საბა) კვახი, გოგრა, ხაპი არს აყიროს მსგავსი უყელო, სასმისად იქმენ, რომელ არს კოში.

ᲐᲨᲣᲠᲛᲐ-ᲧᲐᲬᲘᲛᲘ — (ქართ. კილ.-თქ. სიტ. კონა) ვერცხლის ბალთები ერთმანეთზე აკინწლული; გულზე ასასხმელი ძეწკვები.

ᲐᲨᲘᲧᲘ, ᲐᲨᲘᲙᲘ — (საბა) მიჯნური, სატრფო. ტრფიალსა ჰქვიან.

ᲐᲨᲝᲚᲚᲐᲜᲘ, ᲐᲨᲐᲚᲚᲐᲠᲘ — უსირცხვილო, ბიჭური საქციელის ქალი. „ჩვენებიანთ თამრო აშალლარაა ნამდვილი“ (ს. მენთეშ.). — მეტისმეტად თამამი (ალბათ იგივე ითქმის ვაჟზეც). (ქართ. კილ.-თქ.

სიტ. კონა). „და ჟით აშოღლანს ეტმასნება ქალი აყხორცი“ (ი. გრიშ.).

აშპაშხანა – („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“) თათრების სასადილო. „აშპაშხანისკენ, სადაც კლდის ქიმზე დგას ნარიყალა, ჯავრით მზირალი“ („აშპაშხანა“ – ი. გრიშ.).

აშრიალა – (საბა)საქორე ბადე. „მიმინო ჩამოუქროლებს ჩიტს. დააცხრება თუ არა, გვიმრის ქვეშ დამალული მონადირე აშრიალს წამოაცმევს თავზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

აშოტ I დიდი, კურაპალატი – (ქსე) ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. IX ს.-ის 20-იან წლებამდე იყო ქართლის ერისმთავარი. სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. ა. ამ ადგილების მფლობელი და ვასალი გახდა ბიზანტიისა. მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის ბატიფი. განაახლა და რეზიდენციად გაიხადა ციხესიმაგრე არტანუჯი. მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. ამ დროიდან ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მთლიანად გადაინაცვლა აქ, რის გამოც ქართლის ისტორიის ამ ხანას პირობითად ტაო-კლარჯეთის ან „ქართველთა სამეფოს“ პერიოდიც ეწოდება. ა. მოკლეს შინაგამცემლებმა. მისმა მემკვიდრეებმა, რომლებიც „ქართველთა მეფეებად“ იწოდებოდნენ, სათავე დაუდეს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. „ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა ხელმწიფემან კურაპალატმან დაიპყრა, მრავალნი ქვეყანანი და აღაშენა ციხეი არტანუჯისაი საცხოვრებლად დედოფლისა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – გ. მერჩ.).

აშუღი – (ანდ. ჭილ.) [არაბ.] სახალხო პოეტი, მუსიკოსი, იმპროვიზატორი, საკუთარი ლექსებით საკრავ ინსტრუმენტზე მომღერალი. საქართველოში ა.-ური პოეზია განვითარდა XVII-XVIII ს. ს. გარდა მოხეტიალე აშუღებისა იყვნენ სამეფო კარის აშუღები. აშუღური პოეზიის წარმომადგენელია ცნობილი აშუღი საიათნოვა, იეთიმ გურჯი, ბესარა და სხვ. ი. გრიშაშვილი აღნიშნავს: „ჩვენი აშუღები, ორიოდეს გამოკლებით, არასოდეს არ წერდნენ; ისინი თავიანთი გონების ფირფიტაზე ზეპირად ატარებდნენ მთელი საუკუნის გონებრივ საუნჯეს. ძველი თბილისის ქუჩებში ხშირად ისმოდა სიმღერა, რომელსაც მოჯადოებული გამვლელები სულგანაბული უსმენდნენ.“

აჩაჩა ურემი – (ქსე) ქართული ხალხური ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა. იყენებდნენ ყოველგვარი ტვირთის გადასაზიდად საქართველოს მთაგორიან, ძნელად სავალ ადგილებში. (საბა) „ერქუანი, ულლის ხარის სახვნელი, გუთანი“.

აჩუხჩი – (ქ. მწ.) თავლის მოხელე. მაცნე სამეფო ამალისა. „ნადირობისას დაწინაურდნენ აჩუხჩი და ზარდახნის უხუცესი“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

აჭარა – (ქსე) საქართველოს ისტორიული პროვინციის სახელწოდება. როგორც გეოგრაფიული სახელი, აჭარა პირველად „სომხურ გეოგრაფიაში“ (VII ს.) იხსენიება. აჭარა ადრე დასახლებულ პუნქტს ერქვა. შემდეგ კი მთელ ხევზე გავრცელდა. არსიანის, შავშეთის და აჭარა-გურიის ქედებით შემოზღუდული ეს ხევი გოდერძის უღელტეხილის მახლობლად იწყება და მდ. ჭოროხზე ეშვება. ლეონტი მროველი (XI) აჭარას მეფე ფარნავაზის მიერ (ძვ. წ. III ს.) დაარსებულ ოძრხის (გვიანდ. ოცხე, ახლანდელი აბასთუმნის მიდამოები) საერისთავოში გულისხმობდა. როგორც

ცალკე საერისთავო აჭარა პირველად X ს. შუა წლებშია დადასტურებული საქართველოს გაერთიანების ხნიდან აჭარის ერისთავთა რეზიდენცია ხიხანშია. ამ დროიდან ხიხათა ერისთავთერისთავები აბუსერისძეები იყვნენ.

ხიხათა ერისთავთერისთავების ბედი საქ-ოს სამეფოს ხელისუფლების ბედზე იყო დამოკიდებული. საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ (XV ს. II ნახ.) აჭარას კარგა ხანს ეცილებოდნენ საათაბაგო და საგურიელო. ამ ცილობას ზღვარი ოსმალეთმა დაუდო 1578, როდესაც აჭარა თვითონ მიიტაცა და ცალკე სანჯაყად აქცია. ქართველობა არასოდეს შერიგებია ამ მარცხს და 1878 აჭარა — საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას (რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომი).

საისტორიო ტრადიციები აჭარასა და მთელ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ე. წ. მოციქულთა ხანაში გულისხმობდა და მას ქრისტეს მოწაფეებს (ფილიპე, სიმონ კანანელი, ანდრია პირველწოდებული, მარკოზ და სხვა) მიაწერდნენ. შუა საუკუნეებში აჭარა ორ ებარქიაში იყო გაერთიანებული: ზემო მხარე („დანდალოს ზეითი") ტბეთის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ქვემო მხარე — ქუთათისისაში. ოსმალთა მფლობელობის ხანაში აჭარაში გავრცელდა ისლამი, ქართული საეკლესიო დანაწილება მოიშალა და შეცვლილი სახით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნების შემდეგ (1917 წ.) აღდგა (ბათუმ-შემოქმედის ებარქია). 1921 წლიდან მიეცა ავტ. რესპუბლიკის სტატუსი.

ახალი აღთქმა (ქსე) — „საღვთო წიგნების" კრებული, ბიბლიის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია იესო ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა. ახალი აღთქმის წიგნების (სულ 27) პირველი ნაწილია „ოთხთავი", ანუ 4 სახარება. - მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი; მას მოსდევს „საქმე მოციქულთა", „კათოლიკე ეპისტოლენი," „ეპისტოლენი წმ. მოციქულ პავლესნი" და „გამოცხადება იოანესი", ანუ „აპოკალიფსისი." ა.ა-ის შედგენა ახ. წ. I ს. II ნახევარში დაიწყო და გრძელდებოდა მთელი საუკუნე: ყველაზე ადრინდელი ნაწილია „გამოცხადება იოანესი" ანუ „აპოკალიფსისი," რომელიც ბერძნულ ენაზე შეიქმნა. ვარაუდობენ, რომ ქართულ ენაზე ახალი აღთქმის წიგნები IV ს. II ნახევარში ითარგმნა. სახარება („ევანგელე") ი. ცურტაველს აქვს მოხსენიებული „შუშანიკის წამებაში". იხ. ძველი აღთქმა.

ახალუხი — (ქეგლ) საგულე, ქართული ხალხური კოსტიუმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. მამაკაცები ახალუხს პერანგზე, ჩოხის ქვეშ იცვამდნენ, ქალები კი კაბის შიგნით. ღილ-კილოებით შესაკრავი გრძელი სამოსელი. „ოტია, გამოწყობილი ყავისფერ ჩოხაში, სატინის წითელწინწკლებიანი ახალუხით, ნათხოვარი ცხენით ჩავიდა ბიაშვილთან." „ქამუშაძის გაჭირვება" — დ. კლდ.).

ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე (1886-1937) — (ქსე) ქართველი რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქ. სახალხო არტისტი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი. თბილისის საოპერო სტუდიაში დადგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". 1923 წ. კ. მარჯანიშვილმა მიიწვია თბილისის რუსთაველის სახ. თეატრში. შემდეგ იყო ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ა. ერთ-ერთი ინიციატორი იყო მსახი-

ა

ობთა კორპორაცია „დურუჯის“ დაარსე-ბისა (1924 წ.). იგი იყო კ. მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი — ს. შანშიაშვილის „ანზორი“, შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები“, შ. დადიანის „თეთნულდი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“ და სხვა. ა.-ის შემოქმედებაში ვლინდება თანამედროვე თეატრის ამაღლებული სული, ჰეროიკა. როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტი“, შეიწირა 1937 წლის რეპრესიებმა.

ახო — (ქეგლ) საყანე გაკაფული. „ახოში ქედნების გუნდი წამოიშალა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ახუნდი [სპარს. — მასწავლებელი]— მღვდლის მოწაფე. „[აღმოსავლეთ საქართველოში] მღვდელმთავრების მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძღვრებად — მოლა-ყადები“ („ბაში-აჩუკი“— აკ. წერ.).

აჯა — (ქეგლ) ხვეწნა, მუდარა, ვედრება. მოაჯე-მახვეწარი, „მიაჯეთ“ - შემახვეწეთ.

აჯამი [არაბ.]— (ქეგლ) რეგვენი, ბრიყვი. „[კაკოს ბატონი იყო] ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი“ („კაკო ყაჩაღი“- ი. ჭავჭ.).

აჯილღა — მამალი ცხენი, ცხენის კურო. „გამოექცა მგლისფერი აჯილღა ორ ვაჟკაცს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

აჯილა — (ქეგლ) ჩადრი, ჩადრიანი მანდილოსანი. ქალთა მოსაფარებელი ზეწარი. „უთხრა: შენ თავსა იკითხავს აჯილოსანი ქალია“ („ვეფხისტყაოსანი“— შ. რუსთ.).

აჰურამაზდა — (ქსე) უზენაესი ღვთაება ზოროასტრულ რელიგიაში, კეთილი შემოქმედი საწყისის განსახიერება; აჰურამაზდა, რომელმაც შექმნა ნათელი სამყარო, ცხოველები, მცენარეები და ადამიანები, წარმოედგინათ ტახტზე მჯდომი ადამიანის მსგავსი ფრთოსანი არსების სახით. ორმუზდის ძველი სპარსული სახელი. „დიდი ღმერთია აჰურამაზდა, რომელმან ეს მიწა შეჰქმნა, რომელმან ის ცა შეჰქმნა, რომელმან კაცი შეჰქმნა, რომელმან სიამენი შეჰქმნა კაცათვის“ („გველის პერანგი“ — გრ. რობ.).

ბ

ბაბილონი [ბერძ. — ღმერთის კარიბჭე] — (ქსე) ძველი ქალაქი შუამდინარეთში ევფრატის სანაპიროზე. ახლანდელი ერაყის მახლობლად. დააარსეს შუმერებმა ძვ. წ. III ათასწლეულში. ხამურაბის მეფობის პერიოდში (ძვ. წ. XVIII ს.) ქალაქში შეიქმნა ახალი არქიტექტურული ანსამბლი გრანდიოზული სასახლეებითა და ძლიერი თავდაცვითი სიმაგრეებით. ძვ. წ. 331 წ. ქალაქს ალექსანდრე მაკედონელი დაეუფლა, რომელმაც ბ. სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა. „კათალიკოსი მოჰყვა, თუ როგორ წასწყმიდა ამ ცოდვამ ათინა და რომი, თებე და ბაბილონი“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ბაბილონის გოდოლი — (ქსე) ძვ. ებრაული მითის თანახმად, მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს სენაარის მიწაზე (მესოპოტამია) ქალაქისა და ისეთი კოშკის აგება, რომელიც ცას მისწვდებოდა. ადამიანის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ ენა და გაფანტა მთელ დედამიწაზე. დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი

(სახელწოდებას ლეგენდა უკავშირებს ძვ. ებრ. სიტყვას ბალალ — არევა). მითში თავისებურად აისახა ბაბილონის ზიკურათების (სატაძრო-რელიგიური დანიშნულების გიგანტური შენობები) მშენებლობა და მასში სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის მონაწილეობა. (გადატ.) უწესრიგოდ მოფუსფუსე ბრბო, აურზაური, არეულობა. „ყოთა გოდოლთ მშენებელნი, გავხდით ენაშერეულნი“ („დავითიანი“ — დ. გურ.).

ბაგინეთის მონასტერი — (ქსე) დედათა მონასტერი, რომლის ნანგრევები მდებარეობს მცხეთის მახლობლად. ბაგინეთი, ბაგონი — სომხურია და ქართულად ბოტონი ჰქვიან (საბა). ბაგინეთის მთა ანუ ბომონების კერპების მთა. „კათალიკოსის მოსაყდრის — რაჟდენის საიდუმლო ბრძანებით ბაგინეთის სადედო მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს კვეტარის ერისთავის კოლონკელიძის ასული — შორენა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბაგრატიონები — (ქსე) სამეფო დინასტია საქართველოში (IX ს. — 1801 წ.). ბაგრატიონები წარმოშობით ძველი ქართული პროვინციის — სპერის მკვიდრნი იყვნენ. დინასტიას დასაბამი მისცა ტაო-კლარჯეთის ერისმთავარმა აშოტ I დიდმა. იგი ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი გახდა. ტაო-კლარჯეთის, ანუ ქართველთა სამეფოს ბაგრატიონები ორ მთავარ შტოდ — ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად იყოფოდნენ. ტაოს ბაგრატიონებიდან პირველი, ვინც ქართველთა მეფის წოდება მიიღო — ადარნასე II კურაპალატი იყო. შემდეგში ქართველთა მეფის წოდებას მხოლოდ მისი მემკვიდრეები ატარებდნენ. ამ შტოს ეკუთვნოდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. ბაგრატიონების კლარჯეთის შტო XI ს. დასაწყისში ამოწყდა. საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია ბაგრატიონი მეფეების: დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ისა და თამარის დროს. XV ს. II ნახევრიდან ბაგრატიონები ქართლში, კახეთსა და იმერეთში მეფობდნენ. 1658 წლიდან ქართლის სამეფო ტახტს დაეუფლნენ ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს წარმომადგენლები. ამ შტოს საფუძველი ჩაეყარა 1512 წელს.

კახეთის ბაგრატიონების სამეფო შტოს ფუძემდებელი იყო გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს. ბაგრატიონების ამ შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ II (1744 წ.) ქართლის მეფე გახდა, ხოლო მისი შვილი ერეკლე — კახეთისა. 1762-დან ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე იყო. ამ შტოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წ. 28. XII) შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთს შეუერთდა (1801 წ.). „სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართველებმა აფხაზს მეძახოდნენ, ხოლო აფხაზები — „ქართველების მსტოვარს“ ბაგრატოვანს, ლაზს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ვახუშტი (1696-1757 წ. წ.) — (ქ. მწ) პოეტი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, გეოგრაფოსი. თავდაპირველი განათლება მიიღო მამის — ვახტანგ VI-ის კარზე, დეკანოზ იასე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით; განისწავლა როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურაში. ვარაუდობენ, რომ თბილისში ევროპული განათლებაც უნდა მიეღო, ყოველ შემთხვევაში ლათინური კარგად იცოდა. იყო ქართლის პოლიტიკური ცხოვ-

რების მონაწილე. ვახტანგ მეფეს ეხმარებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარების ნორმალიზაციის საქმეში. 1724 წ. ვახუშტი, ვითარცა ვახტანგ VI-ის ამალის წევრი, რუსეთს გაემგზავრა, მოსკოვში დასახლდა და ხელი მიჰყო ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში, რის გამოც მისი სახელი ვარაყით გამოუყვანიათ უნივერსიტეტის მარმარილოს დაფაზე. მოსკოვშივე გარდაიცვალა, დასაფლავებულია დონის მონასტერში. „—ქართველნი სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველმოყვარულნი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა“ (ვახუშტი).

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ პეტრე ივანეს ძე — ყიზლარის, ახლანდელი დაღესტნის (1765-1812 წ. წ.) თავადი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი (1809 წ.), 1812 წლის სამამულო ომის გმირი, ვახტანგ VI-ის ძმის — იესეს შვილიშვილის შვილი. მისი ბაბა, ალექსანდრე ყიზლარში დასახლდა, მამა ივანე რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. 17 წლის პეტრე ბაგრატიონმა სამხედრო სამსახური დაიწყო კავკასიის მუშკეტერთა პოლკის სერჟანტად. მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1787-1791 წ. წ. რუსეთ-ოსმალეთის ომში თავი გამოიჩინა ოჩაკოვის სიმაგრის აღებაში. 1799 წ. თავისი პოლკით მონაწილეობდა სუვოროვის ლაშქრობებში იტალიასა და შვეიცარიაში. ყველა დიდ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. მეთაურობდა ავანგარდს. საფრანგეთთან 1805 წ. მან 8-ათასიანი რაზმით შეაჩერა ფრანგთა 30-ათასიანი ორი კორპუსი და რუსეთის ჯარი ალყაში მოქცევას გადაარჩინა. ამ ბრძოლისათვის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო. 1812 წლის ომის დაწყებისას ბაგრატიონმა ოსტატური მანევრითი ბრძოლებით უკან დაიხია, ნაპოლეონის ჭარბი ძალების დარტყმებს აერიდა და უვნებლად მიიყვანა არმია სმოლენსკში. ბოროდინოს ბრძოლებში იგი სარდლობდა რუსეთის არმიის მარცხენა ფრთას, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული ფრანგების მთავარი დარტყმა. მტრის 7 იერიში მოიგერია. გამოიჩინა განსაკუთრებული სიმტკიცე და სიმამაცე, მაგრამ მძიმედ დაიჭრა და ბრძოლას გამოეთიშა. გარდაიცვალა სოფ. სიმში, დაკრძალეს იქვე. 1839 წ. კი გადაასვენეს ბოროდინოს ველზე.

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲡᲙᲘ — გიორგი კონსტანტინეს ძე (იხ. მუხრან-ბატონი).

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ III — (ქსე) (X ს. 60-იანი წლების დასაწყისი — 1014 წ.) გაერთიანებული ფეოდალურ საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატიონი, გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი. ტაოს მეფეთა მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი. X ს. დასაწყისიდან შიდა ქართლს „აფხაზთა“ მეფეები ფლობდნენ. 70-იან წლებში შინაფეოდ. ომების შედეგად აფხაზთა სამეფო დასუსტდა. დაიწყო ბრძოლა ქართლისათვის (პოლიტ. ცენტრი უფლისციხე). 975 დავით III კურაპალატი ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დახმარებით დაეუფლა ქართლს და აქ გააბატონა თავისი შვილობილი ბაგრატ III, რომელსაც მცირეწლოვანობის გამო თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა. ბაგრატის დედა „აფხაზთა“ მეფის შვილი იყო. 978 წელს დავით III-მ და

იოანე მარუშისძემ ბაგრატ III აფხაზეთში გაამეფეს. 980 წ. როცა სრულწლოვანი გახდა ბაგრატ III-მ ხელში აიღო სამეფოს მართვა-გამგეობა. მისი უმთავრესი ამოცანა იყო ქვეყნის გაერთიანება. 989 წ. ბ. III-მ დაამარცხა გაერთიანების პოლიტიკის მოწინააღმდეგე კლდეკარის ერისთავი რატი რატის ძე ბაღვაში და შემოიერთა კლდეკარის საერისთავო. 1000 წელს გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ბ. III-მ, როგორც მემკვიდრემ, შემოიერთა ტაოს ჩრდილო ნაწილი: შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი. ამ დროიდან ბ. III „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტულს ატარებდა. 1010 წელს ბ. III დაიკავა კახეთ-ჰერეთი. ბოლო წლებში ილაშქრა საქართველოს მოსაზღვრე რანის (არანის) მფლობელ ფადლონის წინააღმდეგ და აიძულა იგი ხარკი ეხადა და საქართველოს მეფის მტერთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა ეკისრა. გაერთიანებისა და ერთმეფობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ბ. III ზოგჯერ უკიდურეს ღონისძიებებსაც მიმართავდა. მან თავისი ნათესავები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები, სუმბატი და გურგენი, ბაგრატ არტანუჯელის ძენი სადარბაზოდ მიიწვია ფანასკერტში, შეიპყრო და თმოგვის ციხეში დაამწყვდია, სადაც გარდაიცვალნენ. ბ. III-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. მისი მეფობის დროს აგებულ იქნა ცნობილი ძეგლები — ბედიის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა და სხვ. XI ს. ქართველი მემატიანე ბ. III-ს „დიდ მეფეს“ უწოდებს. გარდაიცვალა ტაოში, ფანასკერტის ციხესიმაგრეში. დაკრძალულია ბედიაში. „განა მამამზემ და ზვიადმა არ წაიღეს ბაგრატის გვამი ბედიაში დასამარხავად?!“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბაგრატ IV (1018-1072) — (ქსე) საქართველოს მეფე 1027 წლიდან. გიორგი I-ის და დედოფალ მარიამის უფროსი შვილი. 1022-1025 წლებში მძევლად იყო კონსტანტინოპოლში. ბ. IV-ისა და მისი სამეფო კარის უმთავრესი ამოცანა იყო სახელმწიფოს დაცვა ბიზანტიელი და თურქსელჯუკი დამპყრობლებისაგან, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა წინააღმდეგობის დაძლევა და საქართველოს ერთიანი სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება.

ბ. IV-მ იბრძოლა თბილისის, ანისისა და ანაკოფიის დასაბრუნებლად. მას ოპოზიციაში ედგა ლიპარიტ IV ბაღვაში.

ბ. IV-მ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევა. მის დროს მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროს და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბ. IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურასა და სწავლა-აღზრდას. მისი მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობა გაშალა. ბ. IV გარდაიცვალა ქართლში. ანდერძის თანახმად დასაფლავებულია ჭყონდიდში.

ბაგრატ V — (ქსე) საქართველოს მეფე 1360 წლიდან, დავით IX-ის ძე. ქართულ საისტორიო მწერლობა ბ. V-ს „დიდის“ სახელით იხსენიებს. თათარ-მონღოლთა შემოსევის შემდეგ ბ. V-ის ხელისუფლება მაინც მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა. მისი მეფობის პერიოდში შავი ჭირი მძვინვარებდა. ამას დაემატა 1386 წელს თემურ-ლენგის დიდძალი ლაშქრის შემოსევა. მტერმა დაატყვევა მთელი ოჯახი. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, 1393 წელს, გარდაიცვალა.

ბადაგი — (ქეგლ) შესქელებული ყუ-

რძნის წვენი (ტკბილი), შესანახად მოდუღებული. „შენი ტუჩები ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას“ (გ. ლეონ.).

ᲑᲐᲓᲐᲚᲘ – (ქეგლ) ტოლი, სწორი. მაგიერი, ნაცვლად. „ნაალაფევი ლოდსატყორცნებისა და ტარანტასების ბადალების გაკეთებას ჰპირდებოდა ყარსმანი გიორგის“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲑᲐᲓᲐᲮᲨᲐᲜᲘ – (ქსე) ბადახშანური ლალი, იგივე ბადახში – ძვირფასი ლალი ბადახშანის მხარიდან. მხარე საშუა. აზიაში, სადაც წარმოებდა მისი მოპოვება. ქართლში, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი აღნიშნავს, შემოსულა ბადახში. „ბროლ ბადახშისა თლილისა, მას მიჯრით მიწყობილისა“ („ვეფხისტყაოსანი“ – შ. რუსთ.).

ᲑᲐᲓᲘᲐ – (ქსე) საწვნე ჭურჭელი – ჯამფილა, დიდი და ღრმა, ქუსლიანი ჯამი, უმეტესად ლითონისა, აგრეთვე თიხისა და ხისა. (საბა) ბადია არს ჯამი ყოველთა უდიდესი, ვინათგან ნადიმთა შინა მით მოიღებდნენ წნოვანსა მენადიმეთათვის მისალებად და მუნით განიყოფენ. „ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე“ („ოთარაანთ ქვრივი“— ილ. ჭავჭ.).

ᲑᲐᲓᲘᲨᲘ – (ქეგლ) შვილიშვილი. „ასეთი კაცის ბადიში – პატარა ზაალი ამოდენა ხალხს უბრალოდ ვერ დაენახვებოდა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲑᲐᲕᲚᲘ – (ქეგლ) დასავეში ქორ-შევარდნის პირველად დაჭერილი ფრინველი. „სწორედ იმ დღეს პირველი ბავლი გაეგდოთ გიორგისა და გირშელს მიმინოებისათვის“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲑᲐᲖᲐ [ფრ.] – (უსლ) რისამე საფუძველი, საყრდენი.

ᲑᲐᲖᲐᲖᲘ [არაბ. „ბაზაზ“ – მეწვრილმანე] – (ქსე) ფართლეულის, ჩითეულ-ფარჩეულის ვაჭარი ძველ საქართველოში. ბაზაზხანა – ფართლეულის სავაჭრო. „[თეიმურაზ ხევისთავი] ორიოდე გირვანქა ბურის გულისათვის ვინმე ბაზაზის დუქანში ორ საათს იჭაჭებოდა, იხვეწებოდა, სტყუოდა და ფიცულობდა“ („ჯაყოს ხიზნები“ – მ. ჯავახ.).

ᲑᲐᲖᲘ – (ქეგლ) შევარდენი, ქორი, გავაზი.

ᲑᲐᲖᲘᲔᲠᲘ – (ქეგლ) ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშავი მწვრთნელი და მეთვალყურე. „ბაზიერებმა და მარეკებმა ერისთავების მიერ მორთმეულ ცხენებს ხმლით დააყრევინეს თავები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲑᲐᲖᲘᲔᲠᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ – (ქსე) სამეფო კარზე სანადირო უწყების უფროსი გვიანფეოდ. საქართველოში. მას ემორჩილებოდა ბაზიერი, ტყის მცველი.

ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲐ [ბერძ.] – (ქსე) გეგმით სწორკუთხედის ფორმის უგუმბათო შენობა, რომელსაც შიგნით სიგრძივი მიმართულებით სვეტების ან ბურჯების რიგი სამ ან ხუთ ნაწილად ყოფს. აფსიდით დაბოლოებული შუა ნავი ცალფერდა სახურავებით დახურულ გვერდითა ნავებზე განიერი და მაღალია. სინათლე შემოდის კედლების ზედა ნაწილში დაყოლებული სარკმლებიდან. საქართველოში ბაზილიკა გავრცელებული იყო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზილიკური ნაგებობებია ბოლნისის სიონი, ურბნისი, ხაშმი, ანჩისხატი, წყაროსთვალი. „კონსტანტინე არსაკიძეს ერთი საკანი მიუჩინეს ძველი ბაზილიკის ნანგრევებს გადაღმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲑᲐᲖᲘᲡᲘ [ბერძ.] – (უსლ) საზოგად-

ოების ეკონომიკური წყობა მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე; საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა; ყოველ ბაზისს აქვს თავისი შესაფერი ზედნაშენი (პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი).

ბაზმა [ძვ.] – (ქეგლ) ზეთის პატარა სანათი, ლამპარი, ხატის წინ ასანთებად. „ფიქრიამ სასადილო დარბაზი გაანათა: თორმეტსანთლიანი ქაღი და ორი ხუთსანთლიანი შანდალი აანთო, ბაზმასაც მოუკიდა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბათმანი — (ქსე) საწყაო და წონის ერთეული ირანში, ოსმალეთში, რუსეთსა და კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. იყენებდნენ აბრეშუმის, მარცვლეულის, ფქვილის და სხვათა ასაწონად და საწყაოდ. საქართველოში გავრცელებული იყო ირანული ბათმანი (საშ. 3 კგ.) და ოსმალური ბათმანი (საშ. 7,3 კგ.). ოსმალურ ბათმანს აღმ. საქართველოში თილანი ეწოდებოდა. ბათმანის წონა ცვალებადი იყო, იტევდა დაახლ. 8 კგ. (ნახევარი ფუთი) მარცვლეულს, ფქვილს. „ბეკინა სამანიშვილის სიმდიდრეს წარმოადგენდა ორმოცი ჩაფი ღვინო და ათიოდე ბათმანი ლობიო“ („სამანიშვილის დედინაცვალი“ — დ. კლდ.) „ვირის ქირა, ერთი ბათმანი სიმინდი ჩემია, ხომ?“ („მე ვხედავ მზეს“ — ნ. დუმბ.).

ბათუმი — (ქსე) საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი და საკურორტო ადგილი. მსხვილი ნავსადგური შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი.

ქალაქის მიდამოებში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (გორა, სადაც XI ს.-ში „თამარის ციხე“ აიგო) ადასტურებს, რომ მიდამოები ადამიანების მიერ ათვისებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე. ადრინდელ ანტიკურ ხანაში აქაურ მოსახლეობას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ძვ. ბერძნები ამ პუნქტს „ბათუსის“ სახელით იცნობდნენ (პირველად მოხსენიებულია არისტოტელესთან). მომდევნო ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები ამ სახელით მხოლოდ მდინარეს იხსენიებენ. რომის იმპერატორ ადრიანეს დროს (ახ. წ. II ს.) ბ.-ის ტერიტორიაზე რომაელთა სამხედრო სადგური იყო. სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით ბ. დაწინაურებული იყო, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა. ბ.-ის ციხის გარშემო სოფლის ტიპის დასახლება იყო. XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისში ბ. ოდიშის მთავრებს — დადიანებს ეკუთვნოდა. საქართველოს სამეფოს სამთავროებად დაშლის შემდეგ გურიელების სამფლობელო იყო, მაგრამ ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს. 1609 წელს მამია გურიელმა გაანადგურა ოსმალთა გარნიზონი, მიუხედავად ამისა, ოსმალები დაეუფლენ ბათუმს. ვახუშტის მიხედვით, XVIII ს.-ში ბ. მცირე ქალაქი იყო, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა. ბერლინის ტრაქტატით 1878 წელს ბ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1878-1886 წლებში ბ.-ის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (უცხოური საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგურად), რამაც ხელი შეუწყო ქალაქის ზრდას. 1883 წ. ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანის, ნავსადგურის რეკონსტრუქციისა და ბა-

ქოსთან ნავთობსადენი მილით დაკავშირების შედეგად (1897-1907) ბ. შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. 1918 წ. ბ. ინგლისელმა ინტერვენტებმა დაიკავეს. 1920 წ. ინგლისელებმა დატოვეს ქალაქი. მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით, 1921 წელს ბ. თურქებმა დაიკავეს, მაგრამ 19 მარტს ქალაქში წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ და იგი აჭარის ასსრ დედაქალაქი გახდა.

ბაიათი [არაბ.] — აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი. ანდ. ჭილაიას განმარტებით, ბ. ზოგის აზრით თურქული სიტყვიდანაა წარმომდგარი; ბაიათ - შვიდეული. აღმოსავლური სალექსო ფორმა, ოთხტაეპოვანი, რვა სტროფიანი ლექსი, ტაეპი შვიდმარცვლიანია. I, II და IV ტაეპი გარითმულია ერთმანეთთან; III ტაეპი გაურითმავია. ასეთი ლექსი ფეხს იკიდებს XVIII ს.-ში. მელნის ტბისა მორევსა მზე მშვენებით მორევსა,/ ჩემის სევდის სალბუნსა/ თავის ხელით მორევსა" (ბესიკი). „გულმან მითხრა: ადეო,/ რაღად მოიცადეო?/ თუ არა იქ, ვით იქნა,/ რაც რომ დაიქადეო?" (დ. გურ.) „ყოველგვარი „მუხამბაზი," „ჯანყუში" და „ბაიათი" სპარსულ-ოსმალურია" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ბაირამ-ნავროზობა [არაბ]— (ქ. მწ.) ახალი წლის დღესასწაული.

ბაირახტარი [სპ.] — (ქეგლ) მებაირაღე, მედროშე.

ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788-1824) — (ქსე) ინგლისელი პოეტი. დაიბადა გაღარიბებული დიდგვაროვანი არისტოკრატის ოჯახში, სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში. ლექსების პირველი კრებული „მოცალეობის საათები" 1807 წ. გამოვიდა. სატირაში „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველნი" (1809) დაგმო ინგლისელ რომანტიკოსთა რეაქციული ტენდენციები. 1811 წ. გამოაქვეყნა პოემა „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის" პირველი ორი ქება. ამ პერიოდშივე გამოვლინდა ავტორის სიძულვილი ლონდონის არისტოკრატიისადმი. ინგლისის მაღალ საზოგადოებასთან დაწყებული კონფლიქტი ოჯახური დრამითაც გართულდა. ბ. გაემგზავრა ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ იტალიასა და საბერძნეთში. 1823 წ. მონაწილეობდა საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. აქ იგი ავად გახდა და გარდაიცვალა.

ბაირონის დიდი პოპულარობა „ჩაილდ ჰაროლდის" გამოქვეყნებით დაიწყო. პოემის გმირი, იმედგაცრუებული ახალგაზრდა არისტოკრატი მალე იქცა სინამდვილის წინააღმდეგ ამბოხებული პიროვნების სინონიმად. პოემაში ისმის პროტესტი არსებული სოციალური წყობილების მიმართ. ბ. სოციალური მოუწესრიგებლობისა და ეროვნული ჩაგვრის მიზეზებს ზნეობის დაცემასა და უმეცრებაში ეძიებს. ბ. თავისი ყოვლისმომცველი მელანქოლიური განწყობილებით ე. წ. „მსოფლიო სევდის" გამომხატველი პოეტია. ტრაგიკულმა მსოფლაღქმამ თავი იჩინა აღმოსავლური პოემების ციკლში („გიაური", „აბიდოსელი სარძლონი", „კომისარი", „ლარა", „კორინთის ალყა", „პარიზიანა"). ლექსების ციკლში „ებრაული მელოდიები", დრამატულ პოემებში: „მანფრედი," „მისტერია," „კაენი", „მაზეპა", „სარდანაპალი", „ორი ფოსკარი", დაუმთავრებელ რომანში ლექსად „დონ ჟუანი" — ასახულია ინდივიდუალისტი პიროვნების ამბოხება მსოფლიო სოციალური სისტემის წინააღმდეგ.

ბ. რომანტიზმის პროგრესული ფრთის უდიდესი წარმომადგენელია. მისმა პოეზიამ წარმოშვა თავისებური მიმდინარეობა, რომელსაც „ბაირონიზმი" ეწ-

ოდა. რუსეთში ბ.-ის შეამბოხე განწყობილებას ეხმაურებოდნენ: კ. რილეევი, ა. პუშკინი, განსაკუთრებით მ. ლერმონტოვი. საქართველოში ბ.-ს ენათესავება ნ. ბარათაშვილი თავისი რომანტიკულ-ლირიკული განწყობილებითა და ინტონაციით. მის პირველ მთარგმნელთა შორის არიან ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. „მყინვარი დიდ გოეთეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონს" („მგზავრის წერილები" — ი. ჭავჭ.).

ბაკალეა [რუს.-არაბ.] — (ქსე) საბაყლო საქონელი: (საოჯახო საქონელი) ბურღული, ფქვილი, მაკარონი, საფუარი, ზეთი, შაქარი, მარილი, ჩაი, ყავა, სანთებელი, ტკბილეული. აგრეთვე: საპონი, სარეცხი ფხვნილი, ასანთი. „გრიგოლ ორბელიანის ცხედარს მიუძღოდა მრავალი გვირგვინი. წინ მიჰქონდათ ქალაქის ხალხის — ბაყლების გვირგვინი წარწერით: „შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა."

ბაკალავრი — (ქსე) პირველი სამეცნიერო ხარისხი ბევრ ქვეყანაში. საფრანგეთში ბაკალავრის ხარისხი 1808 წლიდან წარმოადგენს საშუალო განათლების დასრულების მოწმობას და იძლევა უნივერსიტეტში შესვლის უფლებას.

ბაკენბარდი — (უსლ) ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე გამოპარსული წვერი.

ბაკი — (ქეგლ) საქონლის დასამწყვდევი ადგილი, ირგვლივ მოზღუდული უსახურავო; ურმების დასაყენებელი ეზო-ყურე ქალაქში. „ბეტრემ წისქვილის ქვები ურემზე დადო და ბაკში მიიტანა" („სარჩობელაზედ" — ი. ჭავჭ.).

ბაკმი — (ქეგლ) მკრთალი შუქი, შარავანდი მთვარისა და ზოგჯერ მზის გარშემო. პოემაში „ვეფხისტყაოსანი" პერსონაჟთა სახის ბრწყინვალებას გადმოსცემს „ტანსარო, პირბაკმიანი", ან „პირბაკმული" - ნათქვამია ტარიელის შესახებ.

ბალადა (ფრანგ.) — (ანდ. ჭილაია) ლირიკულ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები ისტორიულ-ლეგენდარული შინაარსისა, საგმირო ხასიათის სიუჟეტიანი ლექსი.

ბალადის სამშობლო საფრანგეთია. იგი ფართოდ გავრცელდა ესპანეთსა და იტალიაში, სადაც ის ცეკვა-სიმღერით სრულდებოდა. ბალადამ მრავალი ცვლილება განიცადა და წმინდა ლიტერატურულ ჟანრად გადაიქცა. ქართული ბ.-ის ნიმუშებია: ხალხური „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა", „ხოგაის მინდი", „თავფარავნელი ქაბუკი." ი. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა", აკ. წერეთლის „გორის ციხე", ვაჟა-ფშაველას „ამირანი", „ბაკური". დღეს ბ.-დ მიჩნეულია საგმირო ხასიათის მცირე ფორმის სიუჟეტიანი ლექსიც.

ბალავარი — (ქეგლ) გათლილი ლოდი, საძირკველში კედლის საყრდენი. საერთოდ საძირკველი. „დანგრეულ ბალავრებზე მარტო შთენილა ბუხრისთავები მოჩანს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). „[illegible]რო-ბაბა ნასაყდრალთან ჩავიდა, სანთელი მიუნთო ბალავარს" („მექორწილე ამფსონი"— ლ. გოთ.).

ბალანსი — (ქეგლ) შემოსავალ-გასავლის თანხათა შეფარდებითი ნუსხა.

ბალარჯი [ძვ.] — (ქეგლ) 1. ცომის საფუარი; 2. ცუდად გამომცხვარი პური (ქერისა).

ბალასტი — (ქეგლ) ზედმეტი, უსარგებლო რამ რკინის ან სხვა რაიმესი.

ბალდახინი — (ქეგლ) მდიდრულად მოკაზმული ჩარდახი მიცვალებულის გასასვენებლად. „მიცვალებული სახელოვანი წევს ბალდახინზე გამოწყობილი" („იყო ვექილი ფრიად მართალი"— გ. ტაბ.).

ბალზამი – (უსლ) ზოგი მცენარის სქელი სურნელოვანი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთებს, იყენებენ მედიცინაში და ტექნიკაში (იგივე შტახსი, მუშკი, მუსკუსი).

ბალთა – 1. (ქეგლ) სარტყლის შესაკრავი ან სამკაული, რომელსაც საჩხვლეტი არ აქვს, უენო აბზინდა. ქამრის ბალთა. 2. (ქსე) სოფელი ორჯონიკიძესთან (ვლადიკავკაზი) მისვლამდე. ალთას და ბალთას, იტყვიან როდესაც რაიმე საქმეში (ან ნათქვამში) შეუსაბამობაა (რადგან ალთა საქართველოს უკიდურესი სამხრეთია, ხოლო ბალთა უკიდურესი ჩრდილოეთი). „ერთი ალთას გაიძახის და მეორე ბალთას მიიწევს" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.).

ბალზაკი ონორე დე (1799-1850)– (ქსე) გენიალური ფრანგი მწერალი. ავტორი საქვეყნოდ ცნობილი რომანების: „გობსეკი", „ეჟენი გრანდე", „მამა გორიო", „შაგრენის ტყავი" და მრავალი სხვა. ბ. მამამ გლეხური გვარი ბალსა არისტოკრატულ დე ბალზაკად გადაიკეთა და დასახლდა პარიზში. ბ. სწავლობდა ჯერ პანსიონში, შემდეგ კოლეჯში, სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს ლიტერატურაზე. მან ოჯახს განუცხადა, რომ მისი მოწოდება იყო ლიტერატურა. განმარტოვდა მანსარდაში და წერას შეუდგა.

ბ.-მა მოასწრო 85 რომანისა და მოთხრობის დაწერა. დატოვა 50-მდე თხზულების მონახაზი, შექმნა 2000-მდე პერსონაჟიანი ეპოპეა. მთელი საზოგადოება შექმნა, რომელთა ცხოვრების ფილოსოფია შეაგროვა ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფიდან. „ადამიანური კომედია" ბ.-მა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" საპირისპიროდ შეარქვა თავის ქმნილებას. მან აქ მხატვრული ასახვის ობიექტად მოგვცა ამქვეყნიურობა, ე.ი. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება და მისი მხატვრული სინთეზი.

თავისი შემოქმედებით ბალზაკმა სათავე დაუდო მსოფლიო ლიტერატურაში რეალიზმს. მის შემოქმედებაში შეინიშნება ქართული თემატიკით დაინტერესების კვალი. „ოქროსფერთვალება ქალიშვილი", „უცხო შედევრი", რომელიც ითარგმნა ქართულად XX ს-ის 30-იან წლებში.

ბალღამი – (საბა) ფელგამი, თელგამი. 1. წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი სითხე. 2. ნარწყევი, ნაღველი; 3. (გადატ.) ღვარძლი, გესლი, ბოროტება.

ბალმონტი კონსტანტინე (1867-1942)– (ქსე) რუსი პოეტი, ერთ-ერთი პირველი რუსი სიმბოლისტი; იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 1917 წელს. აქვეყნებდა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, წერილებს, ლექსებს. მან დიდი როლი შეასრულა რუსულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა (შელლი, ჯ. ბაირონი, უ. შექსპირი, უ. უიტმენი, ე. პო და სხვა) თარგმნაში. 1913 წელს იგი უორდროპისეული თარგმანით გაეცნო „ვეფხისტყაოსანს" და აღტაცებული დარჩა, სამჯერ ესტუმრა საქართველოს; სწავლობდა ქართულ ენას. რუსეთის მრავალ ქალაქში წაიკითხა ლექციები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. დაწერა სტატიები: „შ. რუსთაველი და მსოფლიოს სხვა გენიოსები, როგორც მიჯნურობის მომღერალნი", „წმ. ნინო", „ჯეჯილი", „რუსთაველი", „სალამი კავკასიას." „ვეფხისტყაოსანი" ბ.-მა თარგმნა 1915-1917 წლებში. ეს იყო პოემის პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე.

ბანა – (ქსე) საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიული ტაოს ტერიტორ-

იაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანას მარჯვენა ნაპირას. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია „ფანაკის“ სახელწოდებით. VII ს. შუა წლებში აქ ააშენეს დიდი ტაძარი. ადარნასე II-ის დროს დაარსდა ბანას საეპისკოპოსო, ხოლო ტაძარი გადაკეთდა. ზოგჯერ ბანა მეფეთა სამყოფი იყო. X-XI ს.ს. აქ მოღვაწე ზაქარია ბანელის თაოსნობით ბევრი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა. ბანას ტაძარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია.

ბანალური — (ქეგლ) სიახლეს, ორიგინალობას მოკლებული, გაცვეთილი. მაგ. ბ. ხუმრობა.

ბანგი — (ქეგლ) ოპიუმი, გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი.

ბანდეროლი — (უსლ) საფოსტო გზავნილი, რომელსაც ქაღალდი აქვს შემოკრული.

ბანდული — (ქეგლ) ლანჩადაწნული ფეხსაცმელი. მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირი წვრილი ღვედით აქვს დაწნული „ქაქმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა, — უპასუხა ონისემ თანამგზავრს“ („ხევისბერი გოჩა“—ალ. ყაზ.).

ბანი — 1. ხმის შეწყობა (საბა). სიმღერის შესაწყობი ხმა. 2. სახლის (ბრტყელი) სახურავი, ერდო. „ეთერი ბანზე შემოდგა“ (ზღაპარი „ეთერი“).

ბანიანი სახლი — (ქსე) ხალხურ არქიტექტურაში გავრცელებული მიწური სახურავით — ბანით გადახურული ერდოიანი სახლი. მოყვანილობის მიხედვით ორ ტიპად იყოფა — გვირგვინიანი და ბრტყელბანიანი. კონსტრუქციული თავისებურების — ერდოდან განათების გამო შესაძლებელია ბ. ს.-ს ორივე მხრიდან მიეშენოს სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა — ბოსელი, საბძელი, სათონე, მარანი. ბ. ს. ძირითადად გავრცელებულია აღმ. საქართველოში, აგრეთვე, კავკასიის, მცირე და შუა აზიის ზოგიერთ ხალხში. „[იოსება] ზამთარში ფეხშიშველი გამოვიდოდა თავიანთი ბანიანი სახლიდან, დაიჭერდა მჭადის ნატეხს, დაჯდებოდა და თან მღეროდა“ („უშიშარი ბიჭი იოსება“ — რ. ინან.).

ბანოვანი — (საბა) დედათა თავადი, დედოფალი. „რად პყვედრი კაცსა, ბანოვანო, ბირუმტკიცობას“ („რად პყვედრი კაცსა“ — ნ. ბარ). (ქეგლ) პრივილეგირებული წოდების ქალი, ქალბატონი, დარბაისელი ქალი.

ბაში — (ქეგლ) ტვირთის ხარკი სახელმწიფოში შეტანილსა და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე.

ბარაბა — (ბიბლ. ენც.) მკვლელი და მეამბოხე, იესოს დაპატიმრების დროს ბარაბა სატუსაღოში იჯდა. პასექის დღესასწაულის საპატივცემულოდ რომაელებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომელიმე ტუსაღის განთავისუფლება. იუდეას რომაელმა პრეფექტმა პილატე პონტოელმა იუდეველებს შესთავაზა უდანაშაულო იესოს გათავისუფლება, მაგრამ რელიგიური ბრალდებისაგან წაქეზებულმა ბრბომ ბარაბას გათავისუფლება მოითხოვა. მკვლელი გაათავისუფლეს, ხოლო იესო ჯვარს აცვეს.

ბარათაშვილი მამუკა (XVIII ს.) — (ქ. მწ.) პოეტი, ვახტანგ VI-ის ამალის წევრი. საქართველოდან გარდახვეწილი; ცხოვრობდა ჯერ ასტრახანში, შემდეგ — მოსკოვში. ჩაბმული იყო რუსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილთა ლიტერატურულ საქმიანობაში, მონაწილეობდა რუსეთის მთავრობის დიპლომატიურ მისიებში.

ბ.-მა 1731 წ. დაწერა ჩვენამდე მოღწეული ქართული თეორიულ-ლიტერატურული ნაშრომი, პოეტიკის სახელმძღვანელო „ჭაშნიკი," ანუ „ლექსის სწავლის წიგნი." წიგნის I ნაწილი ზოგად საკითხებს შეიცავს, II-ში კონკრეტული ნიმუშების მოხმობით განხილულია ქართული ლექსის სხვადასხვა ფორმა და საზომი. ავტორი პოეზიის უტილიტარულ კონცეფციებს მიჰყვება, პოეზიის უმთავრეს ღირსებად დიდაქტიკას მიიჩნევს. მისი აზრით, პოეზიამ უნდა დანერგოს სიკეთე კეთილის ჩვენებით და არა ბოროტების განქიქებით. ლექსის სრულყოფისათვის საჭიროა „ღრამატიკისა და რიტორიკის" დაუფლება, პოეტს მოეთხოვება „სიტყვის სიმარჯვე" და „ცოდნა." „ჭაშნიკში" აუგად არის მოხსენიებული პოეტები, რომლებსაც „თათრის ზღაპრები გაულექსავთ მსმენელთ საზიანოდ და მთქმელთ სააუგოდ." პოლემიკა მიმართულია სპარსოფილთა წინააღმდეგ.

ბარაკი [ფრ.] — (უსლ) 1. დროებითი საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა. 2. საავადმყოფოს განცალკევებული შენობა გადამდები სნეულებით დაავადებულთათვის. „კოცონები ენთო ბარაკების წინ" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ბარამიძე ალექსანდრე — (ქსე) ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი). მისი კვლევის ობიექტი ძირითადად XI-XVIII ს.ს. ქართული სასულიერო მწერლობაა. მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა რუსთაველს, ჩახრუხაძეს, შავთელს, თეიმურაზ I-ს, ს. ს. ორბელიანს, დ. გურამიშვილს, ბესიკსა და სხვა. მან ერთ-ერთმა პირველმა გაარკვია „ამირან-დარეჯანიანის" ორიგინალობის საკითხი, „რუსუდანიანის" ლიტერატურული წყაროები. იკვლევდა ქართულ-სპარსული ლიტერატურის ურთიერთობებს. ბ.-ს დაწერილი აქვს ფუნდამენტური ნაშრომი „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიების შესახებ და ნაშრომი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა." აკადემიკოს კ. კეკელიძესთან ერთად ავტორია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის სრული კურსისა.

ბარბარობა — წმ. ბარბარეს დღესასწაული, აღინიშნება 4 დეკემბერს (რწმ.[illegible], ღმერთები, ადამიანები — აკ. გელოვანი). ქრისტიანული წმინდანის ბარბარეს (ბარბალეს) დღესასწაული. ხალხური წეს-ჩვეულების თანახმად, 4-8 დეკემბერს (ძვ. სტილ.) ბარბარეს თაყვანს სცემდნენ როგორც ავადმყოფთა მკურნალსა და მფარველს. კათოლიკურ ქვეყნებში მიაჩნდათ ცეცხლისა და ქარიშხლისაგან მფარველ წმინდანად და მის სახელზე ზარებს სწირავდნენ, აგრეთვე, იმ ხელოსანთა მფარველად, რომელთაც მუშაობისას თოფის წამლის გამოყენება სჭირდებოდათ. 2. ქართველების ერთ-ერთი უძველესი საახალწლო დღესასწაული. ქართული ბ. წინაქრისტიანული ხანის წარმოდგენებსაც შეიცავს.

ღვთაება ბარბალეს ატრიბუტს წარმოადგენს წრიული საგნები და სხვა სოლარული ემბლემები. მორწმუნე ქართველებს იგი წარმოდგენილი ჰყავდათ რ. გორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების, დედური ძალების მფარველ ქალ-ღვთაებად. ბარბარობა ითვლებოდა ზამთრის მზებუდობის დღეობად. მასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა რიტუალი, ლოცვავედრება: რძის ფაფა, ხაჭაპურები, ლობიოს და ნიგვზის გულიანი ჯვარდასმული ტაბლები. ე. წ. საბარბალო ტაბლები და სხვ. ბარბარობის ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო მეკვლეობა.

ბარბაროსი [ბერძ.] — (ქეგლ) ველური ადამიანი, კულტურის მტერი, მოძალადე. „არლოვი მართლა ბარბაროსი როდია. ის ირგვლივ გაბნეულ ხელოვნების უამრავ ძეგლს ხარბად სჭამს თვალებით“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბარბარიზმი [ბერძ.] — (ანდ. ჭილაია) ნაციონალურ ენაში უცხო სიტყვების უადგილო ხმარება, მშობლიური ენისათვის შეუსაბამო, საჭიროების გარეშე უცხო სიტყვების შემოტანა. ბ.-ის გამოყენების სხვადასხვა მომენტი აღინიშნება: 1. როცა მწერალი ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომელთა შესატყვისი არაა მშობლიურ ენაში. მაგ. კალოში, პალტო, კოსტუმი, სამოვარი და სხვა; 2. როცა მწერალი იყენებს ინტერნაციონალურ საერთაშორისო ხმარების სიტყვებს. მაგ. სოციალიზმი, რადიო, ექსპერტი, ელექტრონი. 3. როცა დაცინვის მიზნით ხმარობს ამა თუ იმ უცხო სიტყვას; ამ ნიადაგზე ბ. იუმორისტული ინტონაციის მატარებელია. მაგ.: 1. „რა ჯაკეთეთ, რას ვშვრებოდით? „На плечо“-ბა გვასწავლეთო, მთავრობას ვეხვეწებოდით.“ 2. „შემაწუხე ამდენ კითხვით, პოჟალუსტა, დამეხსენი.“

ილიას მიერ გამოყენებული ბ. დაცინვაა, მხილებაა. ასევე დამცინავი ხასიათისაა აკაკის „აბელაციის მცოდნე“: „ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანციმანცია.“ უცხო სიტყვის ხმარება აუცილებელიც არის ზოგჯერ, თუ ენაში არ მოიპოვება შესაბამისი სიტყვა, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია, როცა მწერალი ხმარობს უადგილოდ ბ.-ს. ბ. დასაშვებია ლიტერატურაში, როცა ის იხმარება გმირის დასახასიათებლად, საერთო. კოლორიტის დასაცავად (გ. ერისთავის „გაყრა“). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული ენის სიტყვათა მარაგში ბევრია უცხო წარმოშობის სიტყვა, მაგრამ იგი გაქართულებულია. მაგ. უნივერსიტეტი, პროფესორი, რომანი, ლირიკა და მრავალი სხვა.

არც ერთი ენობრივი კოლექტივი არ არის დაზღვეული უცხო ენის ელემენტების გამოყენებისაგან, მით უმეტეს, როცა ახალი საგანი ან მოვლენა ჩნდება. ამიტომ როცა უცხო სიტყვა საჭიროების მიხედვით არის ნახმარი, ის ბარბარიზმი არ არის და კი არ ვნებს, არამედ ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს ნაციონალურ ენას.

ბარბითი [ძვ.] — (ქეგლ) ჩონგური, ერთგვარი სიმებიანი საკრავი. „ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“ („ვეფხისტყაოსანი“— შ. რუსთ.).

ბარდა სკლიაროსი — ბიზანტიელი ფეოდალი XI ს. მან ამბოხი მოაწყო ბასილი II-ის წინააღმდეგ. კეისრის დასახმარებლად გამოვიდა ქართველთა ჯარი თორნიკე ერისთავის ხელმძღვანელობით. „ბარდა სკლიაროსის შემუსვრისას ძელიცხოველი წინ უძღოდა თურმე თორნიკე ერისთავს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბარდა ფოკა — ბიზანტიელი ფეოდალი, რომელმაც მოაწყო აჯანყება იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის წინააღმდეგ. „განდგომილი ბაქარ ჩორჩანელი სარდალს ბარდა ფოკს მიემხრო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბარელიეფი [ფრ.] — (უსლ) სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ამობურცულია ბრტყელ ზედაპირზე თავისი სავარაუდო მოცულობის ნახევარზე ნაკლებად. „ქართული წარმართობის გამოძახილიც ცხადდებოდა კედლების ბარელიეფში“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ბართლომეს ღამე — (ქსე) ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც მოაწყვეს კათოლიკებმა პარიზში წმ. ბართლომეს ღამეს, 1572 წლის 24 აგვისტოს. „ბართლომეს ღამე" მეტაფორული გამოთქმაა, რომელიც წმინდა ბართლომედან მოდის და ნიშნავს საშინელ წამებას: ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს ბართლომე ნათანელს გადმოცემის მიხედვით ცოცხლად გახადეს ტყავი („ბიბლიის მეგზური" — თბ. 1995). ბ. ღ. იქცა რელიგიური ფანატიზმის და მუხანათობის სიმბოლოდ. „დაიწყო ბართლომეს ღამე, — თქვა ბაბუამ და თავი ჩაქინდრა" („ძაღლი" — ნ. დუმბ.). „15 საუკუნე გიკლავდა დღეისს ქალაქი ფენიქსო ყრუ ღამეები ვართოლომეის" („15 საუკუნე"— გ. ტაბ.).

ბარიერი [ფრ.] — (უსლ) 1. ზღუდე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ. 2. რისამე, რაიმე მოქმედების შემაფერხებელი გარემოება.

ბარიკადა — (უსლ) ქუჩაში ჩახერგილი დიდი საგნებით შექმნილი დაბრკოლება ბრძოლის საწარმოებლად.

ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარიას ძე (1856- 1934) — (ქსე) ქართველი მწერალი. დაიბადა სოფელ კოდაში, მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იქვე მასწავლებლობდა. 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ისტორიული განყოფილება. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. მისი პირველი რომანია „ისნის ცისკარი". ბ. ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელია. მისთვის ისტორიული მოვლენების ასახვა თვითმიზანი არ არის, მწერლის ყურადღების ცენტრშია ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ბ.-სათვის ღმერთი — კეთილი და ნათელი აბსოლუტი — არის სამყაროს პირველმიზეზიც და განვითარების საბოლოო მიზანიც. ამ ქვეყანას ღმერთი სიყვარულისა და მშვენიერების სახით ევლინება; სიყვარული ღვთაებრივია და ამდენად უკვდავი; სიყვარულის დათრგუნვის ცდა მარცხით მთავრდება (რომანები — „მიმქრალი შარავანდედი", „ტრფობა წამებული"). მშვენიერება მატერიალურია, მაგრამ ისწრაფვის ღვთაებრივისაკენ და საბოლოოდ ღმერთს უერთდება (მოთხ. „ძვირფასი თვალი"). ბ.-ის მიზანია კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის წარმოდგენა. მისი აზრით, სამყაროს თუმცა კი ღვთის ნება განაგებს, მაგრამ „განგების რჩეულს", „რაინდს კეთილსა", ე. ი. დიდ პიროვნებას ძალუძს წარმართოს ქვეყნის შინაგანი ძალები კეთილის გამარჯვებისათვის. მწერლის იდეური ჩანაფიქრი დიდ ისტორიულ ძვრებს („ტრფობა წამებული", „არმაზის მსხვრევა", „გიორგი სააკაძე") ან შემთხვევით ისტორიულ ცნობებს („მიმქრალი შარავანდედი", „დედოფალი ბიზანტიისა", „ცოდვა სიჭაბუკისა") ემყარება. ზოგჯერ სიუჟეტი მთლიანად გამოგონილია, მხოლოდ ფონია ისტორიული („ისნის ცისკარი").
ბ.-ის პროზის რიტმულობა, რამდენადმე ხელოვნური სინტაქსური წყობა, ძვ. ქართული მწერლობისა და ხალხური ზეპირმეტყველების მარაგით გამდიდრებული ლექსიკა განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის სამწერლო სტილს. ბ.-ის ნარკვევებსა და წერილებში გაშუქებულია ქართული მითოლოგიისა და საგმირო ეპოსის საყურადღებო საკითხები. მისი ნაწარმოებები მრავალგზის არის გამოცემული; თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.

ბაროკო [იტალ. ღვლარჭნილი] — (ქსე) ევროპის ხელოვნების სტილი. წა-

რმოიშვა XVI ს. II ნახევარში და XVIII ს. შუა წლებამდე ბატონობდა (განსაკუთრებით არქიტექტურაში). იგი გამოირჩევა დეკორატიული წვრილმანების სიჭარბით. ბ.-ს თვისებებია: გრანდიოზულობა, ჰიპერბოლურობა, დინამიკურობა. ხშირად მრუდხაზოვანი და უცნაური მოხაზულობისაა შენობის გეგმაც. ქანდაკებები დინამიკურია, თითქოს საყრდენს მოკლებულია. მხატვრობაში ხშირია სურათების დიაგონალური კომპოზიციები. გრანდიოზული სანახაობა რომ შექმნას, ბ. ხშირად მიმართავს ქანდაკებისა და მხატვრობის სინთეზს. საერო შენობები, საეკლესიო ხუროთმოძღვრება, სათეატრო დარბაზების ბომპეზური ინტერიერი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს (ქუჩები, მოედნები, ბაღ-პარკების არქიტექტურა, კიბეები, შადრევნები, კასკადები). მხატვრობასა და ქანდაკებაში მთავარია მითოლოგიურ-რელიგიური, ალეგორიული სიუჟეტები, საზეიმო პორტრეტი, რომელშიც ხაზგასმულია გამოსახული პირის პრივილეგირებული საზოგადოებრივი მდგომარეობა. ხელოვნების საგნად ბ. მხოლოდ „მაღალ“ თემებს მიიჩნევს, ხოლო საყოფაცხოვრებო ჟანრს უღირსად თვლის.

ბარონი – (უსლ) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში თავადაზნაურული ტიტული, გრაფზე დაბალი. „ბარონი მიუნჰაუზენი“. „შეთქმულების შესახებ ალ. ჭავჭავაძემ პირველად მხოლოდ მთავარმართებელ ბარონ როზენისაგან შეიტყო“ (სასკ. სახ.-ლო).

ბარჟა – (უსლ) სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს. კარჭაპი.

ბარტყულა – (ქეგლ) ერთგვარი თავსაბურავი ბერ-მონაზვნისა, ნაჭრის ქუდი. „[ახალგაზრდა მორჩილმა] კეტი მოიმარჯვა, რადგან იცოდა, რომ ძაღლები ბერის ანაფორას, ბარტყულსა და გრძელ თმებს ძალიან ემტერებოდნენ“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

ბარძიმი – (ქ. მწ.) ფეხიანი მაღალი ჭურჭელი, რომელსაც ეკლესიაში ხმარობენ ზიარების დროს. ბარძიმ-ფეშხუმი. (ფეშხუმი – ლითონის თეფში, რომელსაც აგრეთვე ზიარების დროს ხმარობენ).

ბასიანი – (საქ. ენციკ. ტ. I) მდებარეობს ოლთისის სამხრეთით, არაქსის სათავეებთან. სომხეთის სამეფოს დაქცევამდის ეს მხარე ებყრა ქართველ ბაგრატიონებს (დავით კურაპალატმა ბიზანტიას გადასცა იგი). 979 წელს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბასილი II კეისარმა დავით III დიდ კურაპალატს სამხრეთ ბ. და ზემო ქვეყნები უბოძა. ბასიანში დაარსდა ქართული საეპისკოპოსოები. ბიზანტიურ წყაროებში ბ. იბერიად მოიხსენიება, ხოლო მისი მკვიდრნი იბერებად.

1001 წელს ბ. ბიზანტიამ მიიტაცა. გიორგი I-ის (1014-1027 წ. წ.) ცდა, შემოეერთებინა ბ. უშედეგოდ დამთავრდა. ბიზანტიის იმპერიამ შეინარჩუნა სადავო ბ. მის გასათავისუფლებლად იბრძოდა დავით აღმაშენებელი. XII ს-ში ბ. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებშია. აქ ილაშქრა გიორგი III-მ თურქთა თარეშის აღკვეთის მიზნით, ხოლო შემდეგ თამარმა. 1203 წელს აქ სასტიკად დაამარცხეს რუმის სულთანი და მისი მოკავშირეები. XIII ს-ის II ნახევრიდან ბ. სამცხე-საათაბაგოს ეკუთვნოდა და ჯაყელთა სახასოს შეადგენდა. „ბასიანის ომიდან უვნებლად გამობრუნებულმა მეფე გიორგიმ კათალიკოსი გაუგზავნა ბასილს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ბ

ბასილა [ძვ.] — (ქეგლ) საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა. „მახსოვს, საახალწლო თონეში ჩემთვისა და ჩემი ძმებისათვის ცხვებოდა ნაზუქთან ერთად ბასილა, პურის გუთანი...“ („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“ — გ. ლეონ.).

ბასილ კეისარი — ბასილი II ბულგართმმუსრველი, ბიზანტიის იმპერატორ რომან მეორის და მიკიტნის ქალის ანასტაზო ფეოფანეს ვაჟი. ბიზანტიის იმპერატორი 956 წლიდან. მას საფრთხე შეუქმნა სამხედრო ფეოდალურმა არისტოკრატიამ ბარდა სკლიაროსის მეთაურობით. აჯანყების ჩაქრობაში ბიზანტიას დავით კურაპალატი დაეხმარა ქართველთა 12-ათასიანი ჯარით, რომელსაც იოვანე-თორნიკე ერისთავი სარდლობდა. სამაგიეროდ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ 979 წ. დავითს ვრცელი სამფლობელო უბოძა. X ს. 80-იანი წლების ბოლოს ბასილი II-ს კვლავ აუჯანყდნენ მსხვილი ფეოდალები ფოკა ბარდას მეთაურობით. ამჯერად დავით კურაპალატი აჯანყებულებს მიემხრო. დავითის გარდაცვალების შემდეგ მოღონიერებულმა ბასილი II-მ დაიპყრო ტაო და ტერიტორიაზე ძლიერი სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები დააარსა. დიდ წარმატებას მიაღწია მან არაბების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. საბოლოოდ დაიმორჩილა ბულგარელებიც. ბულგარეთში ჩადენილი სისასტიკის გამო შეარქვეს ბულგართმმუსრველი. 15 ათას ბულგარელს თვალები დასთხარა ცეტინიუმთან. „ბაგრატ მესამეს ახლად მიღებული ჰქონდა კურაპალატის ხარისხი, ამაზედაც ერთგულებდა ბასილი კეისარს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბასკები — (ქეგლ) უძველესი ხალხი პირენეის მთებში და ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (ესპანეთსა და საფრანგეთში). წარმოადგენენ ხეთურ-იბერიული წრის ხალხთა გადმონაშთს.

ბასრობა [ძვ.] — კიცხვა, ლანძღვა, დაცინვა.

ბასტიონი [ფრ.] — 1. ძველებური ციხე-სიმაგრის წინგამოწეული ნაწილი ხუთკუთხედის ფორმისა. 2. ბურჯი, დასაყრდენი, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ მოწინააღმდეგეს. „აზნაურებს ქორსატეველას ბასტიონში გაეხიზნათ დედაწულნი.“ „მამამზემ ბასტიონზე აღამართინა ჯვარი.“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბატალური ჟანრი, სცენა — (ქსე) სახვითი ხელოვნების ჟანრი, ასახავს ომსა და სამხედრო ცხოვრებას. მთავარი ადგილი უჭირავს ბრძოლის სცენებს (აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავში“ ბრძოლა მდინარე ჰალისის პირას); ბ. ჟ. გამოყენებულია „ვეფხისტყაოსანში“, „ბაში-აჩუკში“, „ელგუჯაში“, „ხევისბერ გოჩაში“. მისი მიზანია გადმოსცეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მომენტი, ბრძოლის პათოსი, მებრძოლთა გმირობა, გახსნას საომარი მოვლენის ისტორიული არსი. ბ. ჟ. უმეტესად სახვითი ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი.

ქართველ ბატალისტთა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია გიგო გაბაშვილის „ხევსურთ ბრძოლა“, „შატილის დაცვა“, ვ. სიდამონ — „ერისთავის „კრწანისის ბრძოლა“, „გიორგი სააკაძე მარაბდის ბრძოლის შემდეგ“.

ბატასინი — (საბა) ფრინველების გვარი ბატისნაირთა რიგისა (გარეული ბატი, იხვი). „ერთი ბატი და ბატასინი“ (საბა).

ბატონები — (ქეგლ) ასე უწოდებდნენ ბავშვთა გადამდებ დაავადებას (წითელას, ქუნთრუშას, ყვავილს, ყივანახველას). წითელა ბ., დიდი ბ.

ბატონიშვილი ალექსანდრე (1770-1844) — (ქსე) ერეკლე II-ის ძე. 1801 წ. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ იბრძოდა მეფობის აღდგენისათვის და ეს ბრძოლა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. 1801 წლიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე იყო ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. „იქ მთიულები შეყრილიყვნენ ბატონიშვილის ალექსანდრეს თაოსნობით, რათა წინ აღდგომოდნენ რუსების მოძრაობას“ („ელგუჯა“ — ა. ყაზბ.).

ბატონიშვილები ფარნაოზ და იულონ — ერეკლე II-ის ძენი, ხელმძღვანელობდნენ 1804 წ. მთიულეთის აჯანყებას, რომელიც ხელისუფლებამ 1805 წ. ჩაახშო. ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და გადაასახლეს ვორონეჟში. „იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებს ცოტა რამე ხალხი მისდგომოდა. იმათ აელოთ თავზედ რუსების გარეკა... მაგრამ ამ ცის ჩამოწყრევის დროს რაი ერთობა ექნებოდათ? ისინიც ერთურთს სჭამდნენ და გლეჯდნენ თურმე. ამ უკანასკნელ დროს იმერეთისაკენ ყოფილიყვნენ, იულონი იქ დაუჭერიათ და ფარნავაზი კი გაქცეულა სადმე...“ („ელგუჯა“ — ალ. ყაზბ.).

ბატონყმობა — (ქსე) ფეოდალიზმის ეტაპი, როცა ყველაზე სრულადაა განხორციელებული ფეოდალის სრული საკუთრება მწარმოებელზე. ბატონყმობის ძირითადი თვისებაა გლეხის თავისუფლებისა და მოქალაქეობრივი უფლებების უკიდურესად შეზღუდვა: გლეხის მიწაზე მიმაგრება, ფეოდალის უფლება გლეხის წასვლის შემთხვევაში მისი იძულებით უკან დაბრუნებისა, მისი გაყიდვისა მიწიანად, ზოგან უმიწოდ, ბეითალმანის (უპატრონო ქონება) უფლება, მისი ფიზიკური დასჯა, უძრავი ქონების გასხვისების უფლების წართმევა, ფეოდალის ადმინისტრაციისა და სამართლისადმი დაქვემდებარება და სხვა.

ქართველობში ბატონყმობა მხოლოდ ფეოდალსა და გლეხის დამოკიდებულების აღმნიშვნელ ცნებად XIX ს-ში იქცა. მანამდე კი ის „ფეოდალიზმის“ სინონიმი იყო. ბატონყმობა ფეოდალიზმის ის ეტაპია, რომელმაც შეცვალა პატრონყმობა. სიტყვა „პატრონი“ (სენიორი) გაბატონდა IX ს-ში (მანამდე იხმარებოდა „უფალი“). „ბატონი“ წყაროებში XV ს-დან გვხვდება. რაც შეეხება „ყმას“, იგი თავდაპირველად მხოლოდ ბავშვს, ყრმას აღნიშნავდა. შემდეგში მიეცა სოციალური მნიშვნელობა. თუ ყმა ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა, იგი თავის პატრონზე ვასალურად იყო დამოკიდებული, ხოლო თუ მწარმოებელთა წრიდან იყო — მაშინ გლეხურად.

ბაქმაზი [თურქ.] — (ქეგლ) შესანა- 1 :მოდუღებული სქელი წვენი (პამიდვრის, ყურძნის, თუთის და სხვა).

ბაქრაძე აკაკი (1928-1990) — (საქ. ენც.) ქართველი კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. ავტორია წერილებისა, რომელშიც ეხება ქართული ლიტერატურისა და კინოს ისტორიას, თეატრისა და კინოხელოვნების საკითხს — განიხილავს თანამედროვე ქართული მწერლობის აქტუალურ პრობლემებს. იკვლევს ვაჟა ფშაველას, კ. გამსახურდიას და დ. შენგელაიას თხზულებათა მითოლოგიურ ძირებს „მითოლოგიური ენგადი“, „ფიქრი და განსჯა“).

ბაღდადი — 1. აბრეშუმის დიდი ხელსახოცი. ქალაღაია. ლარაია. ქალის თავსაბურავი: „მაღალი ტანის. გაშლილ პირისახეზე ბაღდადით თავმოხვეული იყო ბე-

სარიონის ცოლი ბელაგია“ („სოლომან მორბელაძე“—დ.კლდ.). „მერმე როსტომიც წამოდგა, მაგდანას თეთრი ბაღდადი მოახვია და დაბრუნდა. („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.). 2. ქალაქი აზიაში; 3. რაიონული ცენტრი.

ბაღვაში — (საქ. ენც. ტ. I) მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო IX-XII ს.ს. საქართველოში, არგვეთის (ზემო იმერეთი) ძვ. მფლობელები. გვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, ბაღვაშები ლაზურ-ჭანური წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. წყაროებში ზოგჯერ იხსენიებიან სახელწოდებით ლიპარიტები. IX ს-ის 70-იან წლებში გვარის უფროსმა ლიპარიტ ბაღვაშმა დავით I კურაპალატი იუფლა, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა, გუარამ მამფალის კუთვნილი ქვეყანა (თრიალეთი) დაიპყრო და შექმნა კლდეკარის ძლიერი საერისთავო. მის შთამომავლებს ერისთავთერისთავის ტიტული ჰქონდათ. ბაღვაშების II შტოს წარმომადგენლები იყვნენ რაჭის ერისთავები. კლდეკარის ბაღვაშები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სამეფო-სამთავროთა ბრძოლაში პირველობისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. ხშირად ატარებდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკას; ისინი ოპოზიციაში ედგნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს, ეწეოდნენ დიდ სამშენებლო და ლიტერატურულ საქმიანობას. დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა, ბაღვაშების მამული არგვეთში გელათს შესწირა. „ერთი მიზნისაკენ ორმა წარსდგა ნაბიჯი — ბაგრატოვანმა და ბაღვაშმა, მაგრამ მეფე იმარჯვებს“ („დავით აღმაშენებელი“ — კ. გამს.).

ბაღლინჯო — (საბა) დიდი ზომის ტილია. „ისეთი კიჟინა უნდა ასტეხოთ, რომ ასი კაცი მაინც ეგონოსთ. მანამდე კი ბაღლინჯოსავით დაიმალებით“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ბაყალი — იხ. ბაკალეა.

ბაცანკალი — (ქ. მწ.) ხის ტახტზე ბალიშის მისადები ადგილი, სასთუმალი (ხის მუთაქა, ხშირად მოჩუქურთმებული).

ბაჩანა (1868-1928)— (ქსე) რაზიკაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე. ვაჟა-ფშაველას ძმა, პოეტი, გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა სოფლებში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 80-იან წლებში. განიცდიდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და თავისი ძმის — ვაჟას გავლენას. მისი შემოქმედების თემატიკას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა. ლექსები: „ნატვრა“, „ტყვის სიმღერა“, „მუხა“, „ვინა სთქვა საქართველოზე“ და სხვ. სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით გადმოსცემდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობას („ოცნება პატიმრისა“, „გზააბნეული“). პოეტი მთიელთა ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი წეს-ჩვეულების დრომოჭმულობას ამხელს პოემა-რომანში „წაწლობა“.

ბახალა — (ქეგლ) ბარტყი ყვავისა, ყორნისა, ჭილყვავისა.

ბახტრიონის ბრძოლა (1659) —(ქსე) ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების გმირული ეპიზოდი. ისტორიოგრაფიაში მცირე ცნობებია შემორჩენილი ამ ბრძოლის შესახებ, ზეპირსიტყვიერებაში კი მდიდარი მასალაა დაცული. აჯანყებულთა თავდასხმა ბახტრიონის ციხეზე, სადაც ყიზილბაშთა მთავარი ჯარი იდგა, როგორც ჩანს, ღამით, მტრისთვის მოულოდნელად მოხდარა. აჯანყებულები ამავე დროს თავს

დაესხნენ ალავერდის მონასტრის გალავანში გამაგრებულ ყიზილბაშებს და სასტიკად დაამარცხეს ორივე ციხის მრავალრიცხოვანი გარნიზონი. ფაქტიურად ამან გადაწყვიტა აჯანყების წარმატება. ბ. ბ.-ში მთავარი როლი კახეთის მთიელებმა, თუშ-ფშავ-ხევსურებმა შეასრულეს. ქართული ფოლკლორი ადიდებს ბრძოლის მონაწილე მთიელ გმირებს — თუშ ზეზვა გაფრინდაულს, ხევსურ ნადირა ხოშარაულს, ფშაველ გოგოლაურს. ამ ბრძოლას ვაჟა-ფშაველამ მიუძღვნა პოემა „ბახტრიონი“. ამ ბრძოლის ეპიზოდებია გამოყენებული აკ. წერეთლის რომანში — „ბაში-აჩუკი“.

ბახუსი — (უსლ) რომაულ მითოლოგიაში ღვინის, დროსტარებისა და მხიარულების ღმერთი. ბახუსი ბერძნულ დიონისეს კულტს შეესაბამება. „უომრად მოწყენილი აზნაურები ბახუსისა და აფროდიტეს წყალობასაც დასჯერდნენ ბოლოს“ „ბახუსს ავაზამ აწოვაო ძუძუ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ბაჯაღლო — (ქეგლ) 1. წმინდა ოქრო, რომელსაც მოწითალო ფერი გადაჰკრავს. 2. ასეთი ოქროს ფული. „არსენას სიტყვა ბაჯაღლოს სჯობია“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ბაჯაჯღანა — დაბალი, სქელი და უშნო ადამიანი. „სოფელ ვაშლოვანში კარგა ხნიდან სავაქროდ დაიარებოდა ორი ბაჯაჯგუნა ლეკი“ („იავნანამ რა ჰქმნა?!“— ა. გოგებ.).

ბე — (ქეგლ) თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხდიან გარიგების პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფად. „გძელაძეს სუტ-კნეინასთვის ხუთი თუმანი ბე მიეცა და თხუთმეტსაც დაჰპირებოდა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ბებძი — ძონძი, ნაკერებიანი (იხ. დაბებკილი).

ბეგარა — (ქეგლ) 1. ყმების ვალდებულება უსასყიდლოდ (და თავისი ხარჯით) ემუშავათ ბატონის (ან სახელმწიფოს) სასარგებლოდ. 2. ყმების (ან ქვეშევრდომების) ვალდებულება გადაეხადათ ფულადი ან ნატურალური გამოსაღები.

ბეგი — (ქსე) თურქეთში და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყანაში: მემამულე, ფეოდალი, ბატონი. („ბატონის“ მნიშვნელობით იხმარება სახელის შემდეგ. მაგ., დავით-ბეგი) „ფაშები, ხოჯები და ბეგები ხარბად ჰგლეჯენ ამ ოქროს და [სპარსეთის ელჩს] სამაგიეროდ ყველაფერს ჰპირდებიან“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბედია — (ქსე) ძველისძველი ტაძარი ოდიშში, X-XI ს.ს ბაგრატოვანთა საძვალე. სამონასტრო კომპლექსის ცენტრში დგას ტაძარი. სამხრეთის კედელზე გამოსახულია ქტიტორი — ბაგრატ III (ეკლესიის მოდელით ხელში). ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV ს.ს. განეკუთვნება. „განა მამამხემ და ზვიად ერისთავმა არ წაიღეს ბაგრატის გვამი ბედიაში დასამარხავად?“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ბედითი — ამაო, ტყუილი, ფუჭი, ლიტონი. „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია“ („ვეფხისტყაოსანი — შ. რუსთ.).

ბედნიერება — (ქეგლ) დიდი სიხარულისა და კმაყოფილების განცდა — ლხენა, ნეტარება, ყოველგვარი სიკეთითა და სიხარულით სავსედ ყოფნა.

ბედისწერა (ფორტუნა) — (ქსე) ყისმათი, სვე, ხვედრი, მოირა, ზებუნებრივი ძალა, ბედის წინასწარი განსაზღვრულება, გარემოება, რაც ადამიანის ცხოვრებას გარდუვალი „წერის“ სახით განაგებს, გარდუვალია და თვით ღმერთებს აძრწუნებს. ღმერთის ნების, „მო-

სავლის" წინაშე უძლურია მოკვდავი. ბერძნები და რომაელები ბედისწერას გარდუვალ უსაშველო ზებუნებრივ ძალად თვლიდნენ (ბედისწერის მსხვერპლია ოიდიპოსი, გრძნეული მედეა). ბრმა ბედის ძლიერება სწამდათ არამარტო ბერძნებს (ჰომეროსი, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, დემოსთენე), არამედ ძველ კოლხებს. ქართველთა წარმოდგენით, ადამიანის შობისთანავე ცაზე მისი ბედის ვარსკვლავი ჩნდებოდა, მისი მოწყვეტა სიკვდილს იუწყებოდა. ყრმას ბედის განჩინება შუბლზე ეწერებოდა. „არსაკიძეს და შორენას განსხვავებული ეტლი არგუნა ბედისწერამ" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ბედსვიანობა — იღბლიანობა, კარგი ბედის მქონეობა.

ბედუინები — მომთაბარე არაბი მესაქონლეები (უპირატესად მეაქლემეები) წინა აზიასა და ჩრდილო აფრიკაში. ევროპულ ლიტერატურაში ბედუინს უწოდებენ აგრეთვე ნახევრად მომთაბარე არაბებს, რომლებიც მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. „მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე". (გ. ტაბ.)

ბეთანია — (ქსე) ბ. სოფელი იყო იერუსალიმის სიახლოვეს. იქ ცხოვრობდა იესო ქრისტეს საყვარელი ოჯახი — ლაზარე და მისი დები, რომლებთანაც მაცხოვარს უყვარდა ყოფნა. აქ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა ლაზარე. ქართველებმა ერთ უმშვენიერეს ტაძარს, თამარ მეფის დროს აგებულს, სახელად ბ. უწოდეს.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი აგებულია XII-XIII ს.ს. მიჯნაზე. მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით, ვერის ტყიან ხეობაში. რესტავრირებულია XIX ს-ის ბოლოს. ტაძარი მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა და გუმბათის ყელი გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. ტაძარში დაცულია კედლის მხატვრობა, რომელიც გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით. გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი-ლაშას პორტრეტები შესრულებულია თამარის სიცოცხლეში, გიორგი-ლაშას თანამოსაყდრედ გამოცხადების ხანაში, 1207-ის ახლოს. ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთათანიის ეკლესიაში"— გრ. ორბ., ასევე გ. ტაბიძის ლექსი „წამყე ბეთანიისაკენ".

ბეთლემი [ებრ. ბეთ — სახლი, ლემ — პური] — 1. პალესტინის მცირე ქალაქი იერუსალიმის სამხრეთით, სადაც დაიბადა მაცხოვარი იესო ქრისტე. „სამოელი მივიდა ბეთლემში და ქალაქის უხუცესებს გამოეცხადა" („ბიბლიური მოთხრობები"). 2. (ქსე) გამოქვაბული ხევში (ყაზბეგის რ-ნი), მყინვარწვერის მასივზე. მწვერვალიდან განშტოებული ბ.-ის ქედზე, ზღვის დონიდან დაახლ. 4100 მ-ზე. ბ. გამოკვეთილია ციცაბო მოწითალო ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300 მ სიმაღლეზე). ბ. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა." გამოქვაბული გამოიკვლია 1940 წელს ქართველ მთამსვლელთა ჯგუფმა ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. გამოქვაბულში ასასვლელად გამოქვაბულის კარიდან გადმოკიდებული იყო 5,5 მ სიგრძის ჯაჭვი. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება რკინის ფირფიტებით შეჭედილი ბ.-ის კარი, ჯაჭვი, X-XI ს.ს. ვერცხლის ხატი, სპილენძის შანდალი, საეკლესიო ინვენტარი. მონაცემებით, ბ.-ის კედელზე

ამოკვეთილი წარწერების ფრაგმენტები X-XI ს.-ით თარიღდება. ბ.-ის შესახებ ხალხში შემონახული თქმულება საფუძვლად დაედო ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“ — „და იმ ცინულში გამოთლილს ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“.

ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან (1770-1027) — (ქსე) გერმანელი კომპოზიტორი. დაიბადა ფლამანდიური წარმოშობის კარის მუსიკოსის ოჯახში. ადრევე ისწავლა კლავესინზე, ორღანზე, ვიოლინოსა და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრა. ბ.-მა მალე მოიპოვა აღიარება, როგორც ვენის საუკეთესო პიანისტმა და კომპოზიტორმა. 27 წლისას დაეტყო სიყრუის ნიშნები. დაავადება სწრაფად ვითარდებოდა, რაც კომპოზიტორისათვის მძიმე სულიერ ტრავმად იქცა.

ბ.-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ამოძრავებდა გენიალური შემოქმედებითი ნიჭი, მგზნებარე მეამბოხე ტემპერამენტი და უდრეკი ნებისყოფა. ბ.-ის ქმნილებებში სრულყოფილად გამოიხატა 1789 წ. საფრანგეთის რევოლუციის იდეური და ემოციური სულისკვეთება და მისწრაფება, რის გამოც ბ.-ს საფრანგეთის რევოლუციის „მუსიკალური სინდისი“ უწოდეს. ბ. ძირითადად სიმფონიური მუსიკის სფეროში მოღვაწეობდა. მის ცხრა სიმფონიაში ნათლად აისახა კომპოზიტორის ევოლუციის სრული სურათი, მკაფიოდ გამოჩნდა ბ.-ის შემოქმედების რომანტიკული ხასიათი. „ვუსმინოთ ცაზეგს ხევის ბეთჰოვენს აგუგუნება კაიშაურის“ („მე კავკასიის ქედების მთხოვენ“— გ. ტაბ.).

ბეითალი — (ქეგლ) იგივეა, რაც ვეტერინარი.

ბეითალმანი — (ქ. მწ.) უპატრონო ქონება.

ბელგა — (ქეგლ) ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული ხასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირთმეული იმის ნიშნად, რომ ცოლად ირთავს. ნიშანი. „როსტომმა ჩაგდანას ბელგა მისცა და დღეის იქით დანიშნულები არიან“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბელეტრისტიკა [ფრ.] — (ანდ. ქილაია) მწერლობა, მხატვრული პროზის ყველა სახის განმაზოგადებელი შინაარსის გამომხატველი ცნება; ბელეტრისტია ის მწერალი, რომელიც წერს რომანებს, მოთხრობებს, ნოველებსა და სხვა პროზაული სახის ნაწარმოებებს. ბელეტრისტი და პროზაიკოსი სინონიმური ცნებებია. ბელეტრისტი ბელეტრისტულ ნაწარმოებთა ავტორია. „ილია ჭავჭავაძე იყო პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი“ (სასკოლო საბ.-ლო).

ბელზებელი — (ქ. მწ.) ეშმაკეული. („ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის დაბნედის გამო ნათქვამია: „მეყნი მოასხნეს სენითა, სთქვეს გამბელზებელითა“ — ეშმაკეულისაგან არის ცთუნებული, დაავადებულით).

ბელი ანდრეი (1880-1934)— (ქსე) რუსი მწერალი, სიმბოლიზმის თეორეტიკოსი. პირველი კრებული „ოქრო ლაჟვარდში“ 1904 წელს გამოქვეყნდა. მისი სიმბოლისტური მრწამსის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა კანტის, შოპენჰაუერის, სოლოვიევის იდეალისტურმა ფილოსოფიამ. მისი განსაკუთრებული თხზულებებია ლექსთა კრებული „ფერფლი“, რომანი „პეტერბურგი“, თეორიული შრომები „სიმბოლიზმი“, „რიტმი, როგორც დიალექტიკა“ და სხვა. ორჯერ იყო საქართველოში, თავისი შთაბეჭდილებანი და შეხვედრები ქართველ პოეტებთან აღწერილი აქვს წიგნში „ქარი კავკასიიდან“ (1928 წ.).

ბელიაშვილი აკაკი (1903-1961) — (ქსე) მწერალი, დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის დროს აქვეყნებდა პატარა მოთხრობებს. მისი სატირულ-იუმორისტული მოთხრობები ასახავს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას 30-იან წლებში („მეზობლები", „უცნობი", „ქსენოფონტეს გასაჭირი" და სხვა). მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" და „ოქროს ჩარდახი". აღზრდის პრობლემებს ეძღვნება რომანი „უღელტეხილი", „ვეფხვია ხალიბაური", „შვიდკაცა". მისი სცენარებით შეიქმნა ფილმები: „ქაჯანის ხეობის საუნჯე", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან".

ბენგალიის ცეცხლი — (უსლ) პიროტექნიკური ნარევი, რომელიც იწვის კაშკაშა, თეთრი ან ფერადი ალით. „ლიცლიცებს ბენგალიის ცეცხლივით მომწვანო შუქი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ბენეფისი — (უსლ) წარმოდგენა, გამართული მისი ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად. „„დარისპანის გასაჭირი" თავის საბენეფისო საღამოზე დადგა ცნობილმა მსახიობმა ვალერიან შალიკაშვილმა" (სასკოლო სახ.-ლო).

ბერბარი [ძვ.] — (ჭ. მწ.) საცეცხლური.

ბესიკური — ქართული ლექსის საზომი. დამკვიდრებული ბესიკის მიერ XVIII ს-ში, თოთხმეტმარცვლედი ორი ცეზურით: „ტანო, ტატანო/ გულწამტანო,/ უცხოდ მარებო" (ბესიკი).

ბერდანა — (უსლ) ძველებური ერთსატენიანი შაშხანა. (ი. ჭავჭავაძე ასეთი თოფით იქნა მოკლული).

ბერთა — (ქსე) ქართული კულტურის კერა ძველ კლარჯეთში. მონასტერი დაარსდა VIII-IX ს.ს. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს. აქ შემორჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთი სავარაუდოს ხდის, რომ ბერთაში სასწავლებელი არსებობდა. იგი მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. ცნობილია ბერთის ორი ოთხთავი. ერთი (X ს.) დაცულია აშშ-ში, ქ. ნიუტონში, მეორე (XII ს.), რომელიც ბეშქენ ობიზარს ოქროჭედურ ყდაში ჩაუსვამს (თბილისი, ხელნაწერთა ინსტიტუტი). ოსმალებმა კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ ბერთის მონასტერი მეჩეთად გადააკეთეს.

ბერიკაობა — (ქსე) ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი. ბერიკაობა განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს. ბერიკაული წარმოდგენები საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და ახალი შინაარსით თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათი კონკრეტული მოქმედებით განსახიერება და სიტყვიერი მასალით ხორცშესხმა მთლიანად ბერიკების ნიჭზე და უნარზეა დამოკიდებული, დროთა განმავლობაში ბერიკებმა დატოვა საკულტო-რელიგიური დანიშნულება. ბერიკების მრავალი სიუჟეტი შეიცავს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის სურათებს. თავადების, ეკლესიის მსახურთა, მოსამართლეთა საქმიანობის მამხილებელ სცენებს. ჩვენამდე მოღწეულია ბერიკების 100-ზე მეტი სიუჟეტი. მათი უმეტესობა კომიკური და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. ბერიკები სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. „გირშელი იგონებდა სიყრმეს, ვერძების ბრძოლას, ბერიკაობას, ქონას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). „თვითონ ელიზბარიც გატაცებით ბერიკაობდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.)

ᲑᲔᲠᲜᲡᲘ რობერტ (1759-1796) — (სიბრძნ-ის სიმფონია — აკ. გელოვანი) შოტლ-ანდიელი ლირიკოსი, სატირიკოსი, მდ-იდართა და უნიჭო მქირდავთა რისხვა, თავისუფლების და ძმობის მქადაგებელი, შექმნა პოეტური სახე „ჯონ-ქერის მარ-ცვალი". დაწერა მრავალი ეპიგრამა, სი-მღერა, ბალადა. მას ეკუთვნის ცნობილი ლექსი: „კაცი გარ და ქუდი მხურავს/ ქედს არ ვუხრი არავის, / თუ არავის ვემონები / არც ვბატონობ არავის."

ᲑᲔᲠᲬᲘ — (ქ. მწ.) უნაყოფო, არამშობე-ლი (საქონელი). „აგერ ბერწი ხაზარულა შე-ვამჩნევიე შარშანწინ, ახლა ვეხვეწები მოქერი-მეთქი და არ შვება" („ხაზარულა" — ნ. დუმბ.).

ᲑᲔᲠᲬᲘᲡᲬᲣᲚᲔᲑᲐ — (ქ. მწ.) შობა, აღ-ორძინება.

ᲑᲔᲥᲗᲐᲠᲘ — (საბა) მორკინული საც-მელია საომარი. (ქეგლ) ჯაჭვის პერ-ანგი მეომრისა. „ძილშიაც ეცვა ქართველს ბექთარი სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი" („ჯაჭვგაუხდელი"— გრ. აბაშ.).

ᲑᲔᲦᲔᲚᲘ — (ქსე) მშრალი თაველის, მარცვლეულის და ფქვილის შესანახი ნა-გებობა, უმთავრესად ხისა. ბეღელი სა-ქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვა-დასხვა სახელითაა ცნობილი: სვანეთში — ხულა, სამეგრელოში — ბაღ-ბულა და ა. შ. „იყო წინათ სიმინდი, ბეღელიც იყო, ახლა მართლა ნაბეღლავი გახდა ჩვენი სოფელი" („მე ვხედავ მზეს" — ნ. დუმბ.).

ᲑᲔᲩᲘ — (საბა) გაშტერებული.

ᲑᲔᲭᲕᲐ — (ქეგლ) ქსოვა, ძაფების მიყ-ვანა ერთმანეთთან ბეჭით (საქსოვი იარ-აღია), მბეჭველი, მქსოველი. „კაცი ჯა-ბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭვე-ლსა" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ᲑᲖᲔ —(ქეგლ) [მურის] ყანის ნალეწი.

ᲑᲖᲔᲙᲐᲚᲘ —(ქეგლ) ხის პატარა, საბავშვო მშვილდი.

ᲑᲖᲧᲛᲔᲕᲐᲚᲘ — (ქ. მწ.) ბუჩი. „კაკლის წინ იყო მოზრდილი ბუჩი" („კაცია-ადამი-ანი?!"— ილ. ჭავჭ.).

ᲑᲖᲝᲑᲐ — (ქეგლ) საეკლესიო დღესა-სწაული (იერუსალიმში ქრისტეს შესვ-ლის დღე). მოდის აღდგომის წინა კვი-რას.

ᲑᲘᲑᲚᲘᲐ [ბერძ.] — (ბიბლიის მეგზუ-რი) „ბიბლია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პაპირუსის ლერ-წამს (ბიბლუს). პაპირუსი ძველად სა-წერ მასალად გამოიყენებოდა. ბერძნულ წიგნს სწორედ მან დაუდო სახელ-წოდება. (ქსე) იუდაისტური და ქრის-ტიანული რელიგიების „საღვთო" წიგ-ნების კრებული; შედგება ძველი და ახ-ალი აღთქმისაგან. ქრისტიანობა ცნობს ბ.-ის ორსავე ნაწილს, იუდაიზმი კი მხოლოდ ძველ აღთქმას. ძველი აღთ-ქმის დიდი ნაწილი (39 წიგნი) დაწე-რილია ძველ ებრაულ ენაზე. პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიულ დოკუმენ-ტებს, მითებისა და ლეგენდების ჩან-აწერებს, იურიდიულ დოკუმენტებს, კუ-ლტებთან დაკავშირებული რიტუალებ-ის ამსახველ ტექსტებს, რელიგიური და ლირიკული პოეზიის ნიმუშებს. ბ.-ის მეორე ნაწილი — ახალი აღთქმა დაწე-რილია ბერძნულად. „ქართული სალიტე-რატურო ენის დახვეწისა და განვითარებისა-თვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბიბ-ლიის თარგმანებს" (სასკ. სახ-ლო).

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ [ბერძ.- „ბიბლ"- წი-გნი და „გრაფია" - აღწერა] — (უსლ) მე-ცნიერული და პრაქტიკული საქმიანო-ბის დარგი, რომლის ამოცანაა ბეჭდვით და ხელნაწერ ნაწარმოებთა შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათი პრო-პაგანდა. „ბუკინისტი მუდმივ გამალებით დაეძებდა თეიმურაზისათვის ბიბლოგრ-

აფიულ იშვიათობას" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ბივრილი, ბივრიტი —(ქ.ეწ.) ძვირფასი თვალი (ცისფერი). „ხოლო წმინდანმან ნინო პპოვა ბივრიტი თუალი კერპისაი და წამოიღო და წარვიდა საყოფლად თჳსად" (წმ. ნინოს ცხოვრობა".)

ბიზანტიის იმპერია — (ქსე) სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. შეიქმნა IV ს-ში, რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად და არსებობდა XV ს-მდე. ძვ. ბერძნული კოლონიის „ბიზანტიონის" დედაქალაქი კონსტანტინოპოლი დააარსა იმპერატორმა კონსტანტინე I-მა 324-330 წლებში ბიზანტიის ადგილას (აქედან მოდის სახელმწიფოს სახელწოდებაც, რომელიც შემოიღეს რენესანსის მოღვაწეებმა იმპერიის დაცემის შემდეგ). ბიზანტიის ისტორიას ჩვეულებრივ კონსტანტინოპოლის დაარსებიდან იწყებენ.

საქართველოში ბიზანტიას საბერძნეთს ეძახდნენ, ბიზანტიელებს ბერძნებს, იონებს და პრომებს. ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ ბერძნები, სირიელები, კოპტები, სომხები, ებრაელები, მცირე აზიის ელინიზებული ტომები, თრაკიელები, გუთები, სლავები, არაბები, პაჭანიგები და სხვა. წამყვან როლს იმპერიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ბერძენი მოსახლეობა ასრულებდა. სახელმწიფო ენა IV-V ს. ს.-ში ლათინური იყო, ხოლო VII ს-დან — ბერძნული. „ტეგრი გვიწალდია, ისე გვიზარდია, რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად" („ოდესმე დიდი ცოფილა საქართველო"— მ. ლებ.).

ბიზნესი [ინგლ. — საქმე, კომერციული საქმიანობა] — (ქსე) კაპიტალიზმის პირობებში კომერციული საქმიანობა გამდიდრების მიზნით.

ბილინგვა — (ქსე) ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ორენოვანი ტექსტი, შესრულებული მყარ მასალა'ზე (ქვა, თიხა, ფირფიტა). ბილინგვის მნიშვნელობა განუ'ზომელია არა მარტო წარწერაში დადასტურებული საინტერესო ისტორიული ცნობების მოწოდების მხრივ, არამედ რომელიმე უცნობი ენის გამოსაცნობად და დამწერლობის გასაშიფრავად. მეცნიერებას დიდი დამსახურება გაუწია ეგვიპტურმა ბ.-მ. სამ ენაზე შესრულებულ წარწერას ტრილინგვას უწოდებენ.

ბილწი — (ქეგლ) არაწმინდა, ზიზღის მომგვრელი.

ბირდაპირი — (ქეგლ) ხერხი, რომლითაც ორი პირისპირ მდგომი კაცი ხერხავს; განის ხერხი. (აქ გადატ.) „თეიმურაზი ებრძვის დაავადებულ ეჭვიანობას, მაგრამ იგი უფრო ღრმად უძვრება, ახრჩობს და ბირდაბირით პხერხავს იმის გულსა და სულს" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ბირკა — (ქეგლ) ზოგიერთი ბალახის ნაყოფი შემოსილი კაუჭიანი ეკლით. „ბერის ტანისამოსი ეცვა მხედარს, სავსებით ამოგანგლული ბირკა'ში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ბირკვილი — (კუთხ.) რიკული, მოაჯირი. „თავი თეთრ ბეჭლებიანი ბლონდით წაგეკრა, გიხედებოდა აივნის ბირკულზე დაყრდნობა" („ბებრები" — ნ. ლორთქ.).

ბირჟა [ლათ. - საფულე] — (ქსე) მასობრივი, ერთგვაროვანი საქონლის, ფასიანი ქაღალდების, ან უცხოური ვალუტის რეგულარულად მოქმედი საბითუმო ბაზრის თანამედროვე განვითარებული ფორმა. სავაჭრო საგნების შესაბამისად არსებობს სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟა. „ბოლოს თეიმურაზი გატკებნილ გზას დაადგა და

ერევნის ბირჟაზე გავიდა“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ბისონი [ბერძ. — წმინდა სელი] — (უსლ) 1. ძვირფასი წმინდა ქსოვილი; მზადდებოდა აბრეშუმისებრი ძაფისაგან, რომელსაც გამოყოფენ ზღვის ერთგვარი ლორწოვანი მოლუსკები. 2. ამ ქსოვილის სამოსი, რომელსაც მეფეები და მღვდელმთავრები იცვამდნენ ძველად. (ქსე) ძველი და ახალი აღთქმის წიგნების მიხედვით თეთრი ან სხვადასხვაფრად შეღებილი (მეწამული, მუქწითელი, იისფერი, ყვითელი) ძვირფასი ქსოვილი და მისგან დამზადებული სამოსი. ძველ ებრაელებს და ეგვიპტელ მდიდრებს ეცვათ. ხმარობდნენ მუმიების შესახვევად.

ბ.-ს ბიზანტიაში იცვამდნენ იმპერატორები და სახელმწიფოს საერო და საეკლესიო მაღალი მოხელეები — პატრიარქები, ეპისკოპოსები. ბ. საქართველოშიც სამეფო სამოსის შემადგენელი ნაწილი იყო. იგი ადრიდანვე ეცვათ ეკლესიის უმაღლეს საჭეთმპყრობელთ — კათალიკოს-პატრიარქებს. ეპისკოპოსებს „სამეუფო ბისონით შემოსვის უფლება“ მხოლოდ XVIII ს-ში ებოძათ. კათალიკოსი ან ეპისკოპოსი ბ.-ით იმოსება მხოლოდ მღვდელმსახურების დროს, მაგრამ მხარზე უსათუოდ შემოხვეული ან გადაფენილი აქვს ომფორი, როგორც წირვის შესრულების უფლების ნიშანი. მისი გამოსახულება შემორჩენილია კედლის მხატვრობაში. ბ.-ის ქსოვილად ქართულ წყაროებში მოიხსენიება: სკარამანგი, ზეზი, ოქსინო, ოქროქსოვილი, სტავრა, დიბა და სხვა. ბ.-ით შემოსვისას მისი ფერი და შემკულობა დამოკიდებულია წირვა-ლოცვის ხასიათზე. მაგ. აღდგომას იცვამდნენ ბრწყინვალე ბ.-ს, ვნების კვირაში — შავს და ა. შ.

შენიშვნა: „ვეფხისტყაოსანში“ ბისონი ედემის ბიბლიური მდინარეა. პოემაში მასთან შედარებულია ცრემლი: „ცრემლი სდის ვითა ბისონი“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.). „[ბერმა] კნეინა ხორეშანის მიერ ბისონით მოქარგული დაფარნა იპოვა და უბეში ჩაიჩარა.“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბისტი [სპარს.] — 1. (საბა) სპილენძის ფული, წვრილი შავი ფული. 4 ფოლი ანუ აბაზი, 4 შაური ანუ 20 თეთრი. ბისტი — ბეწვი — სიმცირის მიმანიშნებელია. „შევედ ქალაქად. მშიერი ვიყავი. ხუთი ბისტის ხორცი მინდოდა მეყიდნა“ („ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“— საბა). „[ბატონო], ამას იქით მარაბდელებს ბისტის ოდენა ლალასაც აღარ გამოართმევ“ („არსენა მარაბდელი — მ. ჯავახ.).“ „მერმე და ბისტი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). 2. (ქეგლ) თეთრი ლაქა თვალის გუგაზე — ლიბრი.

ბიულეტინი [ფრ.] — (უსლ) 1. მოკლე ოფიციალური ცნობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის შესახებ. 2. ზოგი პერიოდული გამოცემის სახელწოდება. 3. დროებით შრომისუუნარობის ფურცელი. 4. გარკვეული ფორმის ფურცელი, რომელზედაც დაბეჭდილია ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში ასარჩევი კანდიდატების სია — საარჩევნო ბ.

ბიუროკრატი — (უსლ) თანამდებობის პირი, რომელიც თავისი მოვალეობის, ან საზოგადოებრივი დავალების მთავარ ყურადღებას აქცევს ფორმალურ მხარეს (საქმის საზიანოდ). „მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები ოფიციალურ მიმოწერაში აღნიშნავდნენ განათლების დაბალი დონის შესახებ საქართველოში.“ „გ. ერისთავის კომედიებში მთელი სისრულით არიან წარმოდგენილი ბიუროკრატი მოხელეები და გაქნილი მსახურნი“ (ასკ. სახ.-ლო).

ბიუროკრატიზმი — (უსლ) 1. ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა,

რომლის დროსაც ქვეყანას მართავენ ხალხს მოწყვეტილი და გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი მოხელეები. 2. ფორმალური დამოკიდებულება საქმისადმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტა.

ᲑᲘᲣᲡᲢᲘ – (უსლ) 1. ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს (სახესა და გულმკერდს). 2. ქალის გულ-მკერდი.

ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – (უსლ) 1. სახელმწიფოს, დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთისათვის. ხარჯთაღრიცხვა. 2. ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები.

ᲑᲘᲩᲔᲠ ᲡᲢᲝᲣ ჰარიეტ ელიზაბეთ (1011-1896 წ.წ.). – (ქსე) ამერიკელი მწერალი ქალი, ამერიკულ ლიტერატურაში რეალიზმის ფუძემდებელი. 13 წლის ასაკიდან მასწავლებლობდა. 30-იან წლებში დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. პოპულარობა მოუტანა სამხრეთის ზანგების ცხოვრების ამსახველმა რომანმა „ბიძია თომას ქოხი“, რომელიც საუკეთესო საბავშვო წიგნად ითვლება დღესაც. მისი ნაწარმოებებია: „დრედი, საზარელი ჭაობის ამბავი“, „კუნძულ ორის მარგალიტი“, „ჩვენ და ჩვენი მეზობლები“ და სხვა.

ᲑᲘᲚᲘ – (ქეგლ) მსხვილი და გრძელი განზე გაშვერილი ულვაში, წვერნარევი. „ფუ, შენ ჩემო ულვაშ-ბილო“ („ქართლის ქორო“– დ. გურ.).

ᲑᲘᲬᲘ – (ქეგლ) ზნეობრივი მანკი, შერყვნილება, ბიწიერება. „მაგრამ [არსენას] საამისო ბიწი არ შესწევდა და მისი სული არასოდეს არ ჩადიოდა ბნელ ჯურღმულში“ („არსენა მარაბდელი“– მ. ჯავახ.).

ᲑᲚᲔᲤᲘ – (უსლ) უსაფუძვლო ტრაბახი, რისამე მოგონება, შეთხზვა ვისიმე მოტყუების მიზნით.

ᲑᲚᲘᲜᲓᲐᲟᲘ – (უსლ) მტკიცე ნაგებობა, რომელიც იცავს მეომრებს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლისაგან.

ᲑᲚᲝᲙᲐᲓᲐ – (უსლ) 1. ქალაქის, სიმაგრის, არმიისა და სხვათა გარემოცვა მტრის ჯარების მიერ. 2. მტრის ჯარების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით.

ᲑᲚᲝᲙᲘ ალექსანდრე (1000-1921 წ.წ.) – (ქსე) რუსი პოეტი. პოეზიამ ადრე გაიტაცა. განიცადა სოლოვიოვის მისტიკური ფილოსოფიისა და პოეზიის გავლენა, რამაც იგი სიმბოლიზმამდე მიიყვანა. პირველი კრებული „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ (1904 წ.) გამსჭვალული იყო სიმბოლისტური მისტიკით, უაღრესად განყენებული რომანტიზმით, „მსოფლიო სულის“ ძიებით.

ბ.-ის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მის პოეზიას იმთავითვე კარგად იცნობდა და აფასებდა ქართველი საზოგადოებაც. „თორმეტნი“, „სკვითები“ თარგმნა ვ. გაფრინდაშვილმა. ბ.-ის გარდაცვალებას ეხმაურება გ. ტაბიძის ლექსი „ეს ოცნება არის ჭრელი,“ ტ. ტაბიძის წერილი-ნეკროლოგი, ბ. იაშვილის ლექსი „ელენე დარიანის წერილი ანა ახმატოვას.“ აღსანიშნავია გ. ლეონიძის მოგონება ავტობიოგრაფიულ ნარკვევში და ს. ჩიქოვანის წერილი „ალექსანდრე ბლოკი.“

ᲑᲚᲝᲜᲓᲘ [ფრ.] – (ქეგლ) აბრეშუმის თხელი ბადურა ქსოვილი (იხმარებოდა ძველად); ბლონდის ლეჩაქი. „შორენას ვამქვირვალე ბლონდი ებურა პირზე სითვით ამოქარგული“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.). „შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით, ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებით?“ („შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“– გ. ტაბ.).

ბეო — (ქეგლ) დიდი მუწუკი.

ბნედა — (ქეგლ) ქრონიკული ნერვული დაავადება. დამახასიათებელია შეტევები, რომლის დროსაც ავადმყოფს გონება ეკარგება და კრუნჩხვა მოსდის. ეპილეფსია, ავი ზნე. „მაიორს ბნედა დაემართა, ბალახზე დაეცა და სუფთა მოლი დუჟით და გესლით მორწყო“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ბობღანი —(ქეგლ) დაფი, დოლი.

ბოგანო — (ქსე) გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. ბოგანოდ ითვლებოდა უვენახო, მცირემიწიანი, ეკონომიურად ხელმოკლე გლეხი. ამის გამო იგი არ იხდიდა ძირითად საბატონო გადასახადებს. „[არსენას] ამას წინათ გზაზე შიშველი ბოგანო შეხვდა, შეეცოდა, ჩოხა გაიხადა და ჩააცვა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ბოგირი — (ქეგლ) ხის პატარა ხიდი. „ცხენოსნები გასულან ეხლა რომ ბოგირი არი ქუსნოს წყალზე“ („ანდერძი“ — რ. ინან.).

ბოდლერი შარლ (1821-1867) — (ქსე) ფრანგი პოეტი. მისი ესთეტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს სტენდალმა, ფლობერმა, ედგარ პომ. მისი ლექსი „აბელი და კაენი“ ფრანგული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშია. 1857 წელს გამოსცა ლექსების კრებული, რომელსაც დაარქვა „ბოროტების ყვავილები.“ კრებულში გატარებულია პოეტის საბოლოო ესთეტიკური მრწამსი: ცხოვრებაში ბოროტება ბატონობს და ხელოვნებამაც ეს ფაქტი უნდა ასახოს. ბ. მრავალგზის აღნიშნავდა, რომ „ბოროტების ყვავილები“ შემთხვევითი ლექსებისაგან შედგენილი კრებული კი არ არის, არამედ ერთიანი კონცეფციით შექმნილი წიგნი. „ბოროტების ყვავილები“ კონტრასტის პრინციპითაა აგებული, მასში დაპირისპირებულია სიცოცხლისა და სიკვდილის, სპლინისა და იდეალის თემები. ბოდლერი მტკივნეულად აღიქვამს მისი თანამედროვე საზოგადოების სიმახინჯეს მაშინაც, როდესაც გამოსავალს ვერ ხედავს და რჩება პირდაპირი და უკომპრომისო. „იყო შარლ ბოდლერი: მწარე და ძვირფასი / თრობის საათია, ღვინის საათია,/ ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე/ — რომელი საათია?“ „იყო საღამო ზანტი, მე კი გადავშლი ბოდლერს, დაე მრთინავი ლანდი მიქანებდეს ფოთლებს“ (გ. ტაბ.).

ბოზბაში — (ქეგლ) ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი, შეზავებული დაკეპილი დუმით, ხახვითა და ქინძით. „არა, გეთაყვა, ბოზბაში სჯობია“ („კაცია-ადამიანი?!“— ილ. ჭავჭ.).

ბოიკოტი — (უსლ) პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ხერხი — ცალკეულ პირებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფოებთან ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა. ბოიკოტის გამოცხადება.

ბოკაჩიო ჯოვანი (1313-1375) — (ქსე) იტალიელი მწერალი, რენესანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების „დეკამერონის“ ავტორი. ბ.-მ თავის შემოქმედებაში გააცოცხლა ფრანგული და იტალიური ნოველების ნიღბები, შექმნა დიდვაჭრების, ხელოსნების, მღვდლების, ბედნიერი თუ უბედური მიჯნურების სამყარო, რომლის მთავარი მამოძრავებელი ღერძი სიყვარულია. „დეკამერონის“ მრავალი ნოველა ნამდვილი ზნე-ჩვეულების კომედიაა. ზოგიერთი ნოველა გადაამუშავა ჩოსერმა, შექსპირმა, ლაფონტენმა, ლესინგმა, მიუსემ და სხვ. ანტიასკეტური ტენდენციის გამო „დეკამერონს“ დევნა დაუწყეს, დაწვეს და „აკრძალულ წიგნთა ინდექსში“ შეიტ-

ანეს. მაგრამ იგი მაინც იქცა მთელი კულტურული კაცობრიობის საკუთრებად. ბ.-ს ნამუშევრებიდან აღსანიშნავია თხზულება „ღმერთების გენეალოგია“, პოემა „ყორანი“, „ღვთაებრივი კომედიის“ 17 ქების კომენტარი. „დეკამერონის“ ნოველები ქართულად თარგმნა თედო სახოკიამ, 1928 წ.

ბოლნისის სიონი — (ქსე) ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობა. წარწერის მიხედვით აგებულია 478-493 წლებში მობირკეთებულია ფირუზისფერ-მომწვანო ტუფის სუფთად გათლილი კვადრატებით. ბოლნისის სიონის წარწერა ქართული წერისა და ენის უძველესი ნიმუშთაგანია. ერთ-ერთი წარწერა აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის თავზე. მედალიონშია ჩასმული ჯვრის გარშემო და ასე იკითხება: „ქრისტე დაგით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაჳყანისმცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე.“ ივ. ჯავახიშვილმა წარწერა V ს. დამლევითა და VI ს. დასაწყისით დაათარიღა. შემდგომი წარწერა არის ჩრდილო მარცხენა კარის თავზე გადებულ ქვაზე, რომელიც ჩამოტეხილია. იგი საშუალებას იძლევა მიახლოებით აღვადგინოთ ნაკლული ტექსტი: „[შეწევნითა წდ]ისა სამებისაჲთა ოც წლი(სა) პეროზ მეფი[სა ზეობისა დახი] [დვა საფუძველი] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუტმეტ წლი[სა შემდგომად] [განხეშორა ვი]ნ აქა შინა თაყვანისცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა] [მაშ ცნებულსა დ თ ეპისკოპოსსა ხელოცის იგიცა ღ-ნ შეიწყალენ.“ წარწერა დაცულია აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მის ადგილას კი იმიტაციაა ჩასმული.

მესამე წარწერა ჩრდილო მარჯვენა კარის თავზეა და ეხება კარის შებმის ამბავს. „შეწევნითა ქრისტესითა მე ფარნ— და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცავად სულთა ჩუენთათჳის.“ წარწერები შესრულებულია მთავრულით (მრგლოვანით), ენობრივად — ხანმეტობა. (ძვ. ქართული მწერლობის I პერიოდის მიმოხილვა). „არ ჩანს ურმები მოჩარდახული ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე“ (ი. გრიშ.).

ბოლშევიზმი — (ქსე) რევოლუციურ-პროლეტარული მოძრაობის და კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნის თეორია და ტაქტიკა, რომელიც შეიმუშავა ლენინმა. ემყარება რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდილებას. „პკრეფდა ჯაყო ღალას და ახალ ხმაზე გაიძახოდა: ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობაო“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.). „ეს ზღვა ასე შორს ბოლშევიკებს ხომ არ გადაუწევიათ?“ („თავადის ქალი მაია“— ლ. ქიაჩ.).

ბომონი, საკერპე — (ქსე) საკურთხეველი ანტიკური ხანის ბერძნულ ტაძარში, მსხვერპლის შესაწირი ადგილი. იგი დამკვიდრდა ქრისტიანულ რელიგიაში და აქაც მიუთითებს სამსხვერპლოსა და სამლოცველო ადგილზე. სიტყვა ხშირად იხმარება მხატვრულ ლიტერატურაში როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით და სიმბოლურად მიუთითებს სალოცავ ცერემონიალზე. ზოგჯერ იგი ტანჯვისა და ნაღვლის აღმნიშვნელია. „მიუვალ მთებში წარმართული ბომონები ჰქონდათ მუხოვანებში აღმართული და იქ ლოცულობდნენ თავად.“ — „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს ხაფასოდ: თუ მთელი ჯანი არ

შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲑᲝᲛᲝᲜᲓᲘ [ფრ.] — (უსლ) „უმაღლესი“ არისტოკრატიული და ბურჟუაზიული საზოგადოება.

ᲑᲝᲜᲓᲘ — (ქეგლ) ბაგირებზე დაკიდებული ხიდი მდინარეზე.

ᲑᲝᲠᲐ — (ქეგლ) მოზრდილი მტაცებელი ფრინველი, ძერას მსგავსი. „სარკმლიდან შემოსულ უსუსურ ნათელს დაუჩრდილავს ბორას ნისკარტივით მოღრეკილი ხიფრიფანა ცხვირი [ფარსმანისა]“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲑᲝᲠᲐᲜᲘ — (ქეგლ) 1. ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავი, ზედ დაგებული ფიცრებით — მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად და ტვირთის გადასაზიდად (მოძრაობს ნაპირებს შორის გაჭიმულ ბაგირზე გამობმული.) 2. სპეციალური გემი, რომლითაც სრუტეებზე, ზღვებზე გადაჰყავთ რკინიგზის ვაგონები და ავტომობილები. „[დარდიმანდი] დილმის ბორანთან მოწყდა ადგილიდან და გაქენდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.). — „რა კარგი იყო ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი“ („ბარდნალა“— ლ. ასათ.)

ᲑᲝᲠᲓᲘᲣᲠᲘ — (უსლ) ქვის ფილების ზოლი, რომელიც გაკეთებულია ქუჩის ან გზის ნაპირების გასწვრივ ტროტუარების, გაზონებისა და მისთანათა გამოსაყოფად.

ᲑᲝᲠᲔᲜᲐ — (ქსე) XI ს.-ის ქართველი პოეტი ქალი. მას მიეკუთვნება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნი — დახვეწილი რითმებით გაწყობილი იამბიკო, წარწერები მარიამ ღვთისმშობლის ხატის ზურგზე (დაცულია სვანეთში). ჰიმნის ბოლო, მეხუთე ტაეპში თვით ავტორია მოხსენიებული: „ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირისნაგალი.“ ზოგი მკვლევარი მას ბაგრატ IV-ის მეუღლედ, ბორენა დედოფლად მიიჩნევს. გამოთქმულია აზრი, რომ იამბიკოს ავტორია არა XI ს-ის მოღვაწე პოეტი ქალი, არამედ ცოტნე დადიანის მეუღლე, რომელიც XIII ს.-ში ცხოვრობდა.

ᲑᲝᲠᲘᲝ [ბერძ.] — (ქეგლ) ძლიერი, ცივი ქარი (ჩრდილოეთისა). „მსუსხე ბორიო ოდნავ აქანავებდა ხეთა კენწეროებს.“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲑᲝᲠᲯᲦᲐᲚᲘ — იხ. სვასტიკა.

ᲑᲝᲢᲘ — (ქეგლ) მამალი დაუკოდავი თხა. „[ოსება] სამანოდ მიმავლებს ბოტივით წარვგვიძღვებოდა ალუბლების „მოსალამაზებლად“ („უშიშარი ბიჭი ოსება“ — რ. ინან.)

ᲑᲝᲥᲐᲣᲚᲘ [თურქ.] — მეფის რუსეთში — პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი (ქალაქში) ან მაზრის ნაწილი (სოფელში). სასამართლო ბოქაული — სასამართლოს აღმსრულებელი. „გამწარებულ ბავლოს ბოლოს ბოქაული შემოაკვდა და გავარდა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲑᲝᲦᲐᲖᲘ — (ქეგლ) ნავსადგური. „ერთი ალიბიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოღაზით“ („პირველი ნაბიჯი“ — გ. წერ.).

ᲑᲝᲧᲕᲘ — (ქეგლ) ხის ქერქისაგან დამზადებული ჭურჭელი. „მეღვინე ლაშქარა გოჩაშვილს ჭანდარის ქვეშ ჭურჭლის ჯარი შეუქუჩებია: ჩაფები, ხელადები, ბოყვები და ტიკები“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲑᲝᲫᲐᲚᲘ — (საბა) ისარი ორპირი. „ერისთავებმა ისრებიც მოართვეს მეფეს, მსხვილნი ბოძალნი დიდ ნადირთათვის“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲑᲝᲪᲛᲐᲜᲘ — (უსლ) საზღვაო ფლოტში უმცროსი მეთაური (ზემდეგი), რომელსაც ევალება გემზე წესრიგის

დამყარება და სისუფთავის დაცვა, სახომალდო სამუშაოების ხელმძღვანელობა და სხვა. „წითელ კრეისერს „მრისხანედ“ წოდებული ბოცმანი კუზმა ქელგა ახლდა“ („პაკო აძბა“ — ლ. ქიაჩ.).

ბოჰემა — (ქსე) სიტყვა უკავშირდება შუა საუკუნეებში ბოჰემიიდან გამოსულ მოხეტიალე ხალხს. ხელოვანთა გარკვეული წრე, დეკლასირებულ ღარიბ ინტელიგენტთა ჯგუფი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ბ. შეიძლება იყოს როგორც ინტელიგენტური, არისტოკრატიული, ასევე ხელოსნური, ქალაქური. ი. გრიშაშვილის „თბილისის ბოჰემაში“ აღწერილია თბილისის ხელოსან-ამქართა უდარდელი, ბოჰემური ცხოვრება. ზოგჯერ ბოჰემური ცხოვრების ჩვენება გარკვეულ ადგილს იჭერს ამა თუ იმ ქვეყნის პოეზიაში და ხშირ შემთხვევში მისი წარმომადგენელნი უმღერიან უდარდელსა და უწესრიგო ცხოვრებას. საქართველოშიც წარმოიშვა ე. წ. ყარაჩოღული პოეზია თბილისის ხელოსნებისა, რომელთაც ახასიათებდათ ერთგვარი მსუბუქი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, გაშმული ლხინი, ქეიფი, უდარდელობა, დემოკრატიული მისწრაფებანი. ბოჰემურ-ყარაჩოღული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია: ჰაზირა, ბეჩარა, იეთიმ გურჯი.

ბჟიტი — (ქეგლ) იგივეა, რაც ჭუჭული. „ბჟიტის ნაკრტენიყით უსუსური წვერი ამოსვლოდა ყმაწვილს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.)

ბრგვნილი — ბლუ. ენაბლუ

ბრილიანტი [ფრ.] — (უსლ) ძვირფასი ქვა, მრავალწახნაგად თლილი ალმასი.

ბრინჯაო — (ქეგლ) სპილენძის შენადნობი სხვა ლითონებთან, ჩვეულებრივ კალასთან და ტყვიასთან. ბრინჯაოს ხანა — კაცობრიობის ხანა — კაცობრიობის განვითარების ხანა, როდესაც იარაღს ბრინჯაოსგან აკეთებდნენ. ბრინჯაოს ფერი — მუქი ოქროსფერი (ამბობენ მზეზე გაშავებულ კანზე). „და ბრინჯაო — ბავშვის ტანი მზეზე ბრწყინავს“ („ზღვა წყნარია, ნამეტანი“ — გ. ტაბ.).

ბრძე, პრძე — (ქეგლ) ღვინის ობი. „ხაბით ამეიღე, შვილო, ხაბით, ბრკე ბევრი არ შეპყვეს“ („ქამუშაძის გაჭირვება“ — დ. კლდ.).

ბროსე მარი ფელისიტე (1802-1880 წწ.) — (ქსე) ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. კოლეჯში სწავლობდა ჩინურ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ ხელი მოჰკიდა ქართულს და სომხურს. შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, აგრეთვე ქართული ენის და გრამატიკის სახელმძღვანელოები. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. ბ.-მ შემწეობას უწევდნენ სენ მარტინი და პეტერბურგში მცხოვრები თეიმურაზ ბატონიშვილი (მიწერ-მოწერით). 1837 წ. რუსეთში მიიწვიეს და აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. აქ წაიკითხა ლექციების კურსი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ. 1847-1848 წ.წ. იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა და პეტერბურგში წიგნად გამოაქვეყნა. ფრანგულად თარგმნა და 7 ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „ისტორიის“ ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი კომენტარებითურთ. 1861 წელს მან გამოსცა საბუთები რუსეთ-საქართველოს ურთიერ-

თობის შესახებ. ბროსეს 200-ზე მეტ ნაშრომში თავმოყრილია დიდძალი კრიტიკულად შემოწმებული მასალა. მან გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია და მისი წყაროთმცოდნეობის ბაზა, წამოჭრა და დაამუშავა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი.

დიდი წვლილი შეიტანა ბ.-მ ქართული ენასა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. 1834 წელს პარიზში გამოსცა „ქართული ენის თვითმასწავლებელი“, რომელსაც ახლავს საილუსტრაციო მასალა თარგმანებითურთ. თავის გრამატიკაში ითვალისწინებს ანტონ I-ის, მაჯოს, დავით ბატონიშვილის გრამატიკებს და განხილვისას ქართულ ტექსტებს ემყარება. ბროსე პირველი სპეციალისტია, რომელმაც სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხი განეხილა გრამატიკულ მოვლენათა ჩვენებების მიხედვითაც. არაერთი მნიშვნელოვანი ნარკვევი უძღვნა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ძეგლებს („ვეფხისტყაოსანი“, „რუსუდანიანი“, „ომანიანი“), გააშუქა საკითხი ქართული „რაინდული რომანის“ თავისებურებების შესახებ. ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა იმ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებები, რომლებსაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს შესახებ. ბროსეს სახელთან დაკავშირებულია მთელი ეტაპი ევროპულ ქართველოლოგიაში. მისი მემკვიდრეობა მტკიცედ შევიდა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში.

ბრუსი — (ქ. მწ.) პრუსი, პრუსიელი. „ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა დაგვახვია რეტი“ („ქართლის ჭირი“— დ. გურ.).

ბრძამი — (ქსე) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ქასრას გვარისა, მთიან რაიონებში ყველგან გვხვდება. განსაკუთრებით დამახასიათებელია სუბალპური სარტყლისათვის, კარგად ამაგრებს ღორღიანებსა და ნაშალებს.

ბრჭე — (ქ. მწ.) მსაჯული, ბრჭობა — განსჯა, სამართლის ქმნა.

ბუალო დებრეო ნიკოლა — (ქსე) ფრანგი პოეტი, ლიტერატურის თეორეტიკოსი. ბუალოს ლიტერატურული მრწამსი — ამაღლებული სტილისა და ანტიკური ავტორებისათვის უპირატესობის მინიჭება მჟღავნდება პოემაში „საწიგნე.“ ბ. გამოეხმაურა პოლემიკას, რომელიც ცნობილი იყო „ძველებისა და ახლების დავის“ სახელით. ბ.-ს საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებია „პოეტური ხელოვნება“ (1874), რომელშიც განზოგადებულია ფრანგული კლასიციზმის ესთეტიკური პრინციპები. მშვენიერი ბ.-სათვის იგივეა, რაც გონიერი, ლოგიკური. იგი აღიარებდა, რომ მხატვრული გემოვნება უცვლელია ისტორიის მანძილზე. მშვენიერების იდეალს ძველმა ბერძნებმა მიაღწიეს და თანამედროვე მწერლებმა უნდა მიჰბაძონ მათ. ბ.-ს პოეტიკამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ ლიტერატურაზე. „კლასიციზმის ყველაზე დიდი თეორეტიკოსი ბუალო იყო“ (სასკ. სახ.-ლო).

ბუგრიანი — (ქეგლ) ბილწი, მუწუკიანი. გადატ. ქაჩალი, ქეციანი, უხეირო.

ბუდიზმი — (ქსე) მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული რელიგია. მის შემქმნელად ითვლება სიდჰარა გაუტამა, რომელმაც შემდეგ მიიღო ბუდას სახელი. ბ. წარმოიშვა ძვ. წ. VI-V ს.ს. ჩრდილო ინდოეთში. ბ. ამქვეყნიურ ცხოვრებას ტანჯვად მიიჩნევს, უარს აცხადებს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ქადაგებს პასიურობასა და მოთმინებას. ბუდიზმის ძირითადი დოქტრინაა მოძღვ-

რება „ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტების“ შესახებ, რომელთა მიხედვით ცხოვრება ბოროტება და ტანჯვაა. ამიტომ იგი სთავაზობს მორწმუნეებს „ხსნის კეთილშობილურ რვამაგ გზას.“ ბუდიზმის ხსნის გზაა ნირვანა — ამქვეყნიურობისაგან სრული განდგომა და გარდაცვალების შემდეგ სულის ახალ სხეულში შესვლა. „ფრიად გამიტაცა იტალიის შუასაუკუნეთა ისტორიამ. ამას ყოველივეს ერთოდ ინდური ლიტერატურისა და საერთოდ ბუდიზმისადმი აღძრული ინტერესი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ბუდეშური — (ქ. მწ.) ვაზის ჯიში, თეთრი, მოგრძო მარცვლები.

ბუდრუგანა — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც ჯიხური, საყარაულო. 2. (გადატ) პატარა. „ჩირიკს ერთი ბუდრუგანა ვენახი ჰქონდა“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“ — გ. ლეონ.).

ბუდუარი — (უსლ) მდიდართა სახლებში ძველად ქალის ლამაზად მოწყობილი სასტუმრო ოთახი ახლობლის მისაღებად.

ბუზმენტი — (ქეგლ) ოქრომკედის ყაითანი. სირმის ფართო ზონარი. „ლუკრისამა განიზრახა გულში, შეიკეროს ბრტყელის ბუზმენტებით ჩოხა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ილ. ჭავჭ.).

ბუკეფალი (**ბუცეფალი**) [ბერძ. „ხარისთავა“] — (უსლ) ალექსანდრე მაკედონელის მიერ გახედნილი ლეგენდარული ცხენის სახელი.

ბუკი — (საბა) საყვირია დიდი. „ატყდა ბუკის ცემა მეფის ნაკრძალში“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ბუკინისტი — (უსლ) ნახმარი ან ძველი, ჩვეულებრივ, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე ან შემგროვებელი — ბიბლიოფილი. „[ექვთიმე] ერთ დროს ბუკინისტობდა. მას მუდამ ჰქონდა სავსებით იშვიათი ძველი წიგნები და სურათები“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს. — შესავალი).

ბუკლეტი — (უსლ) მხატვრულად გაფორმებული რამდენიმე გვერდიანი წიგნაკი.

ბულგაკოვი მიხეილ (1891-1940) — (ქსე) რუსი მწერალი. სატირული მოთხრობების პირველი კრებული 1925 წ. გამოაქვეყნა. ბ.-ს ეკუთვნის პიესები: „ზოიას ბინა“, „მეწამული კუნძული.“ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა „თეატრალური რომანი“, „ოსტატი და მარგარიტა.“ მწერლის ინტერესთა სფერო მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკას მოიცავს. მისი შემოქმედების ძირითადი თემაა პიროვნების პასუხისმგებლობა და მოვალეობა ხალხის, სამშობლოს წინაშე.

ბულვარული რომანი — (ანდ. ქილ.) ეპიკური ჟანრის დიდტანიანი ნაწარმოები, რომლის შინაარსს ქმნის: გამრთობი ეფექტი, სენსაციური ბოროტმოქმედება, ქურდის მოხერხებულობის ემოციური ჩვენება, აღვირახსნილი ცხოვრება, მახინჯი ფორმის სასიყვარულო თავგადასავალი, საროსკიპოთა ცხოვრების აღწერა, პორნოგრაფია, პროსტიტუცია, ეროტიზმი.

ბუმბერაზობა, ბუმბერაზობით — 1. (ვაჟას მც. ლექსიკონი) ძალმომრეობა, უტიფრად ქცევა. „ეკლებენ საქართველოსა, ბუმბერაზობით დადიან“ („ბახტრიონი“— ვაჟა). 2. დიდი, ვეებერთელა.

ბუმერანგი — (უსლ) ავსტრალიელი და ზოგი სხვა ტომის სატყორცნი იარაღი — ერთგვარი მოხრილი ჯოხი, რომელიც გატყორცნის შემდეგ (თუ მიზანს ვერ მო-

ხვდა), უკან ბრუნდება. ლიტერატურაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით.

„ბუნების კარი" – (ქსე) ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი მირველი სა-კლასო საკითხავი წიგნი ქართულ ენაზე. მისივე „ქართული ანბანის" („დედაენის") გაგრძელება, გამოვიდა 1860 წელს. ელემენტარულ-ენციკლოპედიური ხასიათის საკითხავი წიგნია. სასარგებლო ცოდნას იძლევა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ამ ერთგულმა სახელმძღვანელომ დიდი როლი შეასრულა ქართული ენისა და კულტურის განვითარების საქმეში.

„ბუნებისათვის კაცისა" – (ქსე) ბერძენი ფილოსოფოსის ნემესიოს ემესელის ანთროპო-ფსიქოლოგიური თხზულება. ბერძნულიდან თარგმნა იოანე პეტრიწმა. ნაშრომში განხილულია ადამიანის ანატომიური ფიზიოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ავტორი არსებითად მატერიალისტია. მისი აზრით, სამყარო, საგანი, არსებობს თავისთავად ობიექტურად. ადამიანის ფსიქოლოგიურ დაავადებათა მიზეზია ტვინის რომელიმე ნაწილის დაზიანება. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა ძვ. საქართველოს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო ბიოლოგიის ცოდნის განვითარებაზე.

„ბუნებითი შვილი" – (ქსე) კანონიერად შერთულ ქალთან გაჩენილი შვილი (სამართლის ისტორია). ნახსენებია ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებაში." იქვე კანონიერად შერთული ქალის მნიშვნელობით გვხვდება ბუნებითი ცოლი.

ბუნი – (ქეგლ) დროშის ან შუბის ტარი, იგივეა რაც ბუნიკი. „ქვეით გაისმა ლოდებზე მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარათ" („ბახტრიონი" – ვაჟა).

ბუნიკი – (ქეგლ) რისამე ბოლოზე წამოსაცმელი ამოღრუებული საგანი (ჩვეულებრივ ლითონისა). – სათიხარი ხანჯლის, ქარქაშის ბ.

ბუნიობა – (ქსე) დღეღამტოლობა, დროის ის მომენტი, როდესაც მზის ცენტრი გადაკვეთს ცის ეკვატორს. ბ.-ის დღეს ყველგან (გარდა პოლუსებისა) მთელ დედამიწაზე დღის და ღამის ხანგრძლივობა თითქმის ტოლია. როდესაც მზის ცენტრი სამხრეთ ნახევარსფეროდან ჩრდილოეთისაკენ მოძრაობისას გადაკვეთს. – ეწოდება გაზაფხულის ბ. ხოლო დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოძრაობას – შემოდგომის ბ. გაზაფხულის ბ. 20 ან 21 მარტსაა, ხოლო შემოდგომის ბ. – 23 სექტემბერს.

ბუნტი – (უსლ)ამბოხება, აჯანყება.

ბურნუთი [თურქ.] – (ქეგლ) წვრილად დაფქული და გაცრილი საყნოსი თამბაქო; საბურნუთე – ასეთი თამბაქოს ჩასაყრელი.

ბურნუსი – (ქ. მწ.) წამოსასხამი.

ბურსა (ბრუსა) – (ქსე) ქალაქი ჩრდ.-დას. თურქეთში. ბურსა დაარსა ძვ. წ. II ს. დასაწყისში ბითინიის მეფე პრუსია II-მ და პრუსა უწოდა. ოსმალ-თურქებმა თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად აქციეს, ხოლო დედაქალაქის სტამბულში გადატანის შემდეგ ბურსა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად დარჩა. „ის იყო ხვარსთა მმართველი, სკლიაროს ერქვა სახელი, თითქმის ბურსამდე მოადგა, ხმელეთით გზების შემკვრელი" („თორნიკე ერისთავი" – ა. წერ.).

ბურჟუაზია – (უსლ) კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასი, რომლის ხელშიც არის სამუშაო იარაღი და საწარმოო საშუალებანი და რომელიც იყენებს დაქირავებულ შრომას. „მას შემდ-

ბ

ეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზია იკიდებს ფეხს, ლიტერატურაში თავს იჩენს ახალი მიმართულება — სენტიმენტალიზმი" (სასკ. სახ.-ლო).

ბუტაფორა, ბუტაფორია — (უსლ) 1. მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილი ყალბი საგნები — ნამდვილი, გასაყიდი საქონლის ნაცვლად. 2. თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები, ნამდვილს მიმსგავსებული. „მიდის ოპერა „ლაკმე" — ბუტაფორიის შეხლა! განა ეს არის საქმე? მეც სულ სხვას ვფიქრობ ეხლა" („ქიანურები"— გ. ტაბ.).

ბუში — (ქეგლ) ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილი.

ბუხრის ქუდი — (ქსე) ცხვრის ტყავის (კრაველის) მაღალი ან დაბალი ცაჩადგმული ქუდი. სახელწოდება უნდა მიეღო ქ. ბუხარის მიხედვით, საიდანაც შემოდიოდა საქუდე კრაველი.

ბჭე — (ქეგლ) 1. ძველ ქართულ სამართალში — სადავო საქმეების გამრჩევი, მოსამართლე, მედიატორე; 2. დიდი კარი შესასვლელი; სასახლის ბჭენი.

გ

გაბრიელ ეპისკოპოსი — (ქსე) (ერისკაცობაში — გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე) იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში, მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, საზოგადო მოღვაწე. 1839 დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1842-დან სწავლობდა ქ. ფსკოვის, ხოლო 1844-დან ქ. პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში, რომელიც დაამთავრა 1845 წელს. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. 1845-1858 წწ. მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას; პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლად. 1851 წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1856 წელს ოჯახური ტრაგედიის (მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი) გამო მღვდელ-მონაზვნად ეკურთხა. 1850 წელს დაინიშნა დავითგარეჯის არქიმანდრიტად, შემდეგ კი (1858-1860 წ. წ.) — გორის ეპისკოპოსად.

გ. ე. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი და საპატიო წევრი. საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სახელმწიფო სკოლა. მისი ინიციატივით ქუთაისში დააარსეს ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. 1850 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა გ. ე.-ს ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" (რუსულ ენაზე), რომელიც რუსეთის სემინარიებში დიდხანს სასწავლო სახელმძღვანელოდ იხმარებოდა. ნ. დობროლიუბოვმა სპეციალური რეცენზიაც გამოაქვეყნა ჟურნალ „სოვრემენნიკში" (1859 წ.), სადაც გაბრიელის ნაშრომს ფსიქოლოგიის სხვა სახელმძღვანელოთა შორის უპირატესობა მისცა. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში გაბრიელი იდგა იდეალიზმის პოზიციებზე, მის ნააზრევში მატერიალიზმის ელემენტებიც შეიმჩნეოდა. ცნობილია გაბრიელის ზეპირად წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი, გამოცემული ქართულ (1865 წ., ტ. 1-2; 1904-1905 წ. წ.), რუსულ (1893 წ.) და ინგლისურ (1867 წ.) ენებზე.

გ. ე. იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების დარგში, წინ აღუდგა იანოვსკი-ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებას, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრული განდევნა

სკოლებიდან. 1822 გაილაშქრა მუხრან ბატონის (მუხრანსკი) წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერის მიერ პატარა ერების და მათი ენის გაქრობა-ასიმილაციის გარდუვალობას. გაბრიელი მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას. იგი დასაფლავებულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში. „ქართული ეკლესიის მოღვაწეთა შორის დაუვიწყარია სახელი გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა" (ნ. გრიგ. ტ. I).

ᲒᲐᲔᲜᲐᲗᲘ — გელათი.

ᲒᲐᲔᲥᲡᲕᲘᲡ (ᲒᲐᲥᲡᲕᲐ) —(ქ. მწ.) შეექსოვება, გაუშინაურდება. გაქსუება — გათავხედება, ძალიან გაშინაურება.

ᲒᲐᲕᲐ — (ქეგლ) ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი კუდამდე. „ერთმა თავსა დაუაროს, ორმა გავკრათ გავას ხელი" (ხალხური).

ᲒᲐᲕᲐᲖᲘ — (ქეგლ) 1. მტაცებელი ფრინველი ერთგვარი. „ცაში ირაოდ ხედნის გავაზებს" („მარიჯანი" — ი. გრიშ.) „აღარ აჩხერებს ქვიშათა კლდით კლდეზე მხტომი გავაზი" („არაგვს" — ვაჟა), 2. (საბა) ირმის რქის ძირი. ესე არს საჩრდილობელი ნაქსოვთაგან თავს ზეით საფარი ნაქსოვთაგან ანუ სხვათა რისაგანმე. „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი/ მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა/ ატმის ხესავით აფეთქებული/ და მოქნეული გავაზივითა" („სალაღობო" — ლ. ასათ.).

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ — (საბა) ესე არს წელიწადთა ნათხალი, სამნი თვენი: მირკანი, იგრიკა, ვარდობისა.

ᲒᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘ — (ქსე) 1. ანტილოპების ქვეოჯახის ჩლიქოსანთა საერთო სახელწოდება. ცხოვრობენ ჯოგებად, იკვებებიან ბალახით. დარბიან ძალიან სწრაფად. მისი სახეობაა ქურციკი. ლექსში ქურციკის — სწრაფი მორბენალის მნიშვნელობითაა გამოყენებული. 2. აღმოსავლეთ ხალხების პოეზიის სალექსო ფორმა. „ერთგვარად მიიტანს ამ სახის ლოცვისთვის ზმანებამტკივანი: გაზელებს — მგოსანი სასახლის, ხელთათმანს — სასახლის მდივანი" („შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში" — გ. ტაბ.).

ᲒᲐᲖᲘ — 1. (ქეგლ) ლითონის ორტუჩა ხელსაწყო, რომელიც იხმარება რისამე ამოსაძრობად. 2. (ქ. მწ.) ბრჭყალი (ცხოველისა ან ფრინველისა). „გაზით გაართვა კალთანი ჯაჭვისა ჯავშანისანი" „ლექსი ვეფხისა და მოყმისა"— ხალხ.).

ᲒᲐᲖᲣᲚᲣᲥᲔᲑᲣᲚᲘ — (ქეგლ) გამდიდრებული და კეთილი ცხოვრებით მეტისმეტად კმაყოფილი.

ᲒᲐᲗᲮᲣᲜᲕᲘᲚᲘ — (ქ. მწ.) გასვრილი, გათხუპნული.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ (1748-1821) — (ქსე) ქართველი მეცნიერი, ლიტერატორი, პედაგოგი, მთარგმნელი, დიპლომატი. მკვლევართა აზრით, გ. რ. გვარად ბარათაშვილი, ან ბარათაშვილ-თაყაიშვილი იყო. დაამთავრა თბილისის სემინარია. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დიპლომატიურ საქმიანობაში. 1870 წ. დაამთავრა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია და დაბრუნდა საქართველოში. ხელმძღვანელობდა სასულიერო სემინარიას. 1782 წ. მისი ინიციატივით გაიხსნა თელავის სემინარია, რომლის რექტორიც იყო. ერეკლე II-ის პოლიტიკის მიმდევარი, რუსეთის მეფის კარზე საქართველოს ინტერესებს იცავდა. 1799-1808 წ.წ. სარატოვისა და პენზის ეპარქიების ეპისკოპოსია, 1800 წლიდან გარდაცვლებამდე — ასტრახანის მთავარეპისკოპოსი. იგი არის ავტორი სამასზე მეტი ნათარგმნი და ორიგინალური ნაშრომისა. აღსანიშნავია ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის" წინათქმა (იამბიკოდ) და „ღვთისმეტყველების" საძიებელი. გ. რ.-ის „ღრამატიკა" წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკის პირველ ნაბეჭდ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე. იგი ძირითადად ანტონ I-ის „ქართულ ღრამატიკას" მისდევს, მაგრამ მისგან მაინც განსხვავდება. გ. რ.-ის ორიგინალური ნაშრომი „საქართველოს ისტორია" და მისი შესანიშნავი გამოსვლები თბილისსა და თელავში ორატორული მჭევრმეტყველების ნიმუშად არის მიჩნეული.

გაკოტრება — (ქეგლ) ქონების დაკარგვა, გაღატაკება (გადატ.) იდეური გაღატაკება. „სანამ არსენა იქვე სადმე ტრიალებდა, გლეხები დიდ-პატარამდე ქუდმოგლეჯილი მორბოდნენ სავაჭროდ და მედუქნეს ერთ საათში აკოტრებდნენ" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.). „[თეიმურაზს] ტფილისში მოუთმენლად ელოდნენ მჭლე გაზეთი, კოტრი კოოპერატივი..." („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

გალერეა [იტალ.] — (უსლ) 1. გრძელი მომიწული დერეფანი, რომელიც შენობის სხვადასხვა ნაწილს აერთიანებს. 2. სპეციალური შენობა, მუზეუმი, სადაც გამოფენილია სამხატვრო ხელოვნების ნაწარმოებები („სამხატვრო გალერეა", „სურათების გალერეა"). 3. შუშაბანდი 4. დიდი რიგი, წყება (ტიპებისა, პორტრეტებისა). „გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმო ამბავია" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

გალიაკი — (ქ. ეწ.) დარბაზი. „არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა" („შუშანიკის წამება"— ი. ცურტ.).

გალილეა — (მხარე, ოლქი, ქვეყანა) ეწოდებოდა ჩრდილოეთ პალესტინას, სადაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა იესო ქრისტემ. „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია/ თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი/ და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია/ მე ტფილისი ავირჩიე ბებერი" (გ. ტაბ.).

გამდელი — (ქეგლ) ძიძა.

გამეორება — (ქსე) პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გ., ლექსის სტრუქტურის მაორგანიზებელი. მეტრულ-რიტმულ გ-თა სისტემაში შედის: ტერფი, ცეზურა, ანაკრუზა, კლაუზულა, საზომი (ტაეპი), რეფრენი (მისამღერი). ენობრივ გ.-ს მიეკუთვნება ძირითადად ბგერების გ. (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა), სიტყვის ძირის გ. (მაგ. „მზე აღარ მზეობს ჟამითა, დარი არ დარობს დარულად" („ვეფხისტყაოსანი" - რუსთ.), სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გ. „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ" - (გ. ტაბ.).

გამიკმარავს — (ქ. ეწ.) გამიცუდებს, არ მოიწონებს, არაფრად ჩააგდებს. „თვით იქნების გასაკმარი, ვინც ამ სწავლას გამიკმარავს" („დავითიანი" — დ. გურ.).

გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს ძე (1939-1993) — (საქ. ენც. ტ. I) საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1991 წ. მიანიჭა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის დაუცველად). მწერალ კ. გამსახურდიას შვილი. დაამთავრა თსუ დას. ევროპული ენებისა და ლიტ.-ის ფაკულტეტი. ზ. გამსახურდიას სამეცნიერო ინტერესთა სფერო მოიცავს რუსთველოლოგიის, ესთეტიკის, კულტურის ისტორიის, საზღვარგარეთის ლიტ-სა და სხვა პრობლემებს. თხზულებები: „იგავები და ზღაპრები", ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა", „საქართველოს სულიერი მისია", „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" და სხვა. თარგმნა ო. უაილდის, უ. უიტმენის, შ. ბოდლერისა და სხვათა ნაწარმოებები.

ზ. გამსახურდია ქართული ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე იყო. ხელმძღვანელობდა დისიდენტურ გამოცემებს, რამდენჯერმე იყო რეპრესირებული. მრავალპარტიულ არჩევნებში გამსახურდიას ბლოკის გამარჯვების შემდეგ 1990 წლის ნოემბრიდან იგი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1991 წლის მაისიდან საქართველოს პრეზიდენტი. გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს უმრავლესობის საქმიანობაში მათ მიერ არჩეულმა სახელმწიფოებრივი და ეკონ. მშენებლობის კურსმა მალე გამოიწვია ოპოზიციის გააქტიურება. 1991 წლის დეკემბერში თბილისში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის. 1992 წლის იანვარში შეწყდა პრეზიდენტის

ინსტიტუტისა და უზენაესი საბჭოს ფუნქციონირება.

გამსახურდია კონსტანტინე (1891-1975) –(საქ. ენც.) მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წ.). დაიბადა შეძლებული აზნაურის ოჯახში. ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზიის წარჩინებით დამთავრებისთანავე მიავლინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში; ამ წლებში იმოგზაურა იტალიაში, მცირე ხნით ჩამოვიდა საქართველოში და 1914 წ. კვლავ გაემგზავრა გერმანიაში, სადაც მიუნხენის უნივერსიტეტში გერმანული ფილოსოფიის და ლიტერატურის შესწავლას შეუდგა. 1918 წელს ჩამოვიდა საქართველოში და მონაწილეობა მიიღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ნატანების ფრონტზე. იმავე წელს დააარსა ჟურნალი „პრომეთე". 1919 წელს კვლავ დაბრუნდა ბერლინში. დაამთავრა უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორის წოდებით და დაბრუნდა სამშობლოში. აქედან დაიწყო მისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გ. ტაბიძესა და ლ. ქიაჩელთან ერთად რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს", გაზ. „ქართულ სიტყვას". დააარსა საკუთარი გაზეთი „საქართველოს სამრეკლო", ჟურნ. „ალიონი". 1922 წლიდან სათავეში ჩაუდგა „აკადემიური მწერლობის კავშირს". გ-ს პირველი ლექსები და კრიტ. წერილები დაიბეჭდა 1909 წელს ქუთაისში. გერმანიაში ყოფნის დროს მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა ექსპრესიონისტულმა მსოფლმხედველობამ. აქედან მოყოლებული, მისი ლირიკა განიმსჭვალა სამყაროს განახლების ექსტაზური გრძნობით („ორი სონეტი გრაფ ცეპელინისადმი", „ემილ ვერჰარნისადმი", „ბერლინი", „ქრისტე პარიზში 1919 წელს", „მარია სტელა", „ნოემბრის ქარი" და სხვა). 1924 წელს გამოქვეყნდა გ-ის პირველი წიგნი – ექსპრესიონისტული ნოველების კრებული „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ". ამ ნოველებში არსებითია „სულის აქტივიზმი", გამოხატული „სიტყვის აქტივობით". ადამიანის პიროვნების გაუცხოების პრობლემა ექსპრესიონისტული უკიდურესობითაა დასმული რომანში „დიონისოს ღიმილი". მკვეთრად გამოხატული ესთეტიზმი და ნიცშეანიზმის გავლენა ამჩნევია ნოველებს „პორცელანი", „ლელა", „ქალის რძე". ბევრად აქტუალური და მნიშვნელოვანია მცირე ზომის ექსპრესიონისტული ნაწარმოებები: „ფოტოგრაფი", „ტაბუ", „მშვენიერება", „დიდი იოსები", რომელთაც მძაფრი სოც.-ეროვნული თვალსაზრისი ასაზრდოებს. ავტობიოგრაფიული სიმძაფრით შექმნილი „ხოგაის მინდიას" ძირეული აზრი, ეთიკური გაორება და სულიერი დრამის სათავეები მეტად ახლოს ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა ეროვნ. კონცეფციასთან. 1924 წელი მძაფრი პოლიტიკური თარიღია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მისი გამოძახილია რომანი „დიონისოს ღიმილი". „სული ომს უცხადებს თვითმპყრობელ მატერიას, სული ილაშქრებს რეალური ფაქტების წინააღმდეგ" – ასეთია რომანის მიზანსწრაფვა. „მთვარის მოტაცებაში" მთელი სიმწვავითაა დასმული პრობლემა ინდივიდის კულტურის შეუთავსებლობისა ახალ კოლექტივისტურ ნებასთან. წარმოსახულია ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მთელი სირთულე: ავტორმა გვიჩვენა რევოლუციურ გარდაქმნათა დრამატული არსი. სტიქიის დარმა შემოტევამ მძლავრად შეძრა საქართველოს ისტორიის არსებობის საფუძვლები და დადგა უკიდურესი გამოცდის დრო. რევოლუციის სტიქიამ მიზანში ამოიღო ქვეყნის ათასწლოვანი ტრადიცია, ყოფა, აღმსარებლობა, ეროვნული კულტურის განუმეორებლობა. გაიმარჯვა ფართო მასების უკიდეგანო სტიქიამ. მწერალს უნდოდა ეჩვენებინა ის, რაც დამარცხდა, რამაც ცხოვრების უკანა პლანზე გადაინაცვლა და რასაც სამუზეუმო ექსპონატის როლი მიუჩინეს. 30-იანი წლების დამდეგისათვის ეს იყო ჭეშმარიტად მოქალაქეობრივი გმირობა. მწერალი აგონებდა მკითხველს, რომ დამარცხებული წარსულის ხელაღებით იავარყოფას საკუთარი სახის წაშლა და ისტ. უსახურობა მოჰყვება, რომ ეკლესი-

ის ბოსლად ქცევა პროგრესის ნიშანი სრულებითაც არ არის. მთავარი პერსონაჟი თარაშ ემხვარი ვერ ურიგდება წარსულმოშლილი სამშობლოს შვილობას. გ-ს ისტორიული რომანებია „დიდოსტატის მარჯვენა“. ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, დაუმთავრებელი რომანი „თამარი“.

1955 წ. გამოქვეყნდა „ვაზის ყვავილობა“. 1932 წ. გოეთეს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოაქვეყნა „გოეთეს ცხოვრების რომანი“. თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. განსაკუთრებულ შესწავლას ითხოვს 10-20-იანი წლების პუბლიცისტიკა: „ტროიანული ცხენი“. „ველიკორუსები და არარუსები“, „პოეზიის დღე“, „გათრებული საქართველო“, „ეროვნული ყრილობისათვის“, „საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ“, „ძმები ხართ თუ მტრები“, „სპილენძის მხედარი განსაცდელშია“, „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“, „ვინ არის შოვინისტი“, „პასუხი“, „სიტყვები ქართველი ერისადმი“ და სხვა.

განათლვა — საკლავის სისხლის სხურება (განწმენდის მიზნით).

განბორება — (საბა) კეთრი. კეთრის სნეულება. „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოკვ. რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა“ („შუშანიკის წამება“ — ი. ცურტ.).

განგი [განაგა - მდინარე] — (ქხე) მდინარე ინდოეთში და ბანგლადეშში. იგი წყლიანობით მესამეა მსოფლიოში ამაზონისა და კონგოს შემდეგ. „განგის პირას/ მწირთა ლოცვას თუ შესცქეროდა/ მეც მათ შევსცქერ/ აი, ჩემს წინ განგი“ („რუსთაველის ნაკვალევზე“ — ი. აბაშ.).

განკითხვის დღე — (ბიბლ. ენც) მეორედ მოსვლის დღე, როცა მოხდება ხალხთა საყოველთაო გასამართლება, როდესაც ყველას პასუხი მოეთხოვება თავისი საქმიანობისათვის.

განსაწმედელი — (მით.) სულთა სალხინებელი, შავეთი, სულეთი. (საბა) რომელ არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი (იხ. სალხინებელი).

განტევება — (საბა) გაშვება.

განტევების ვაცი — (ქეგლ) იტყვიან ადამიანზე, რომელსაც აკისრებენ პასუხისმგებლობას, სთხოვენ პასუხს სხვის მაგივრად. „მართალია, ამას ცენზორი აკეთებდა, მაგრამ იგი განტევების ვაცი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი დამნაშავე“ (ნ. გრიგ. წ. I).

განჩინება — (საბა) განწესება, განაჩენი, სამართლის დასკვნა.

განცხრომა — მხიარულება, მოლხენა. (საბა) თამაშობა, ხუმრობა და ლხინი.

განხეთქილების ვაშლი — (მით.) მითიური ოქროს ვაშლი ზედწარწერით „უმშვენიერესს.“ განხეთქილების ქალღმერთმა ერიდამ შეაგდო პელევსისა და თეტიდას ქორწილში, განრისხებულმა იმით, რომ თვითონ არ დაპატიჟეს. ქორწილში იმყოფებოდნენ რჩეულნი: ჰერა, ათენა და აფროდიტე. რომელს უნდა რგებოდა ერიდას ვაშლი? დავის გადასაწყვეტად ტროის მეფისწულს პარისს მიმართეს. აფროდიტემ მსაჯული დაიმარტოვა და აღუთქვა: ულამაზეს ქალს შეგრთავო, რითაც ვაშლი დაისაკუთრა; სამაგიეროდ პირისს დაეხმარა, რომ მენელაოსის ტურფა მეუღლე ელენე ტროაში წაეყვანა. ამას მოჰყვა დიდი განხეთქილება და ტროას ომი, რაც მხოლოდ მეათე წელს დასრულდა — ქალაქის დანგრევით. გ. ვ. — იქცა ხატოვან გამოთქმად, არევ-დარევის, დაპირისპირების საბაბის მნიშვნელობით.

განჯინა — (ქეგლ) კედელში დატანებული კარადა. „ხონჩოებით გაივსო კარადები და განჯინები“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.). „კედელში ჩატანებული მუხის ფართე განჯინები, ისიც ხარატით ნაკეთიები, სავსეა მყრალი ლოგინებით, ჯაგრით

და მატყლით“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.)

ᲒᲐᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ — (ლიტ. თეორ.) ტროპის სახე. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. „სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა/ დაფიქრებულის სახითა“. „დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“. „ქარი ქვითინებს— ღრუბელთა/ ზარი თქვეს შესაზარები“ (ვაჟა). უსულო საგანი გაპიროვნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. გაპიროვნება ძალიან ახლოსაა მეტაფორასთან. განსხვავება ისაა, რომ გაპიროვნებაში ერთი საგნიდან მეორეზე გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები. გაპიროვნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ხალხურ სიტყვიერებაში. გაპიროვნების კლასიკური ნიმუშებია ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთის წყარო“, „ჩხიკვთა ქორწილი“.

ᲒᲐᲠᲐ — (ქეგლ) ქსლის იარაღი — ძაფებს შუა გასაყრელი მრგვალად გათლილი გრძელი ჯოხი. „აიხსენ გველისპირული/ დიაცთ გადუგდე ცხემლადა/ ფარი — ქსლის ჩასაბეჯავად/ ხირიმ — გაუღვან გარადა/ დამბაჩა გამაადგებისთ საპრუნლად, თითისტარადა“ („ალუდა ქეთელაური“— ვაჟა).

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ — (ქსე) ქრისტეს ჯვრიდან ჩამოხსნის სცენა, ეპიზოდი. ეს პროცესი ასახულია ნახატზე, რომელსაც „გარდამოხსნა“ ჰქვია. „დედაკაცები მდუღარე ცრემლით სტიროდნენ, ისე როგორც ქრისტეს გარდამოხსნაზე“ (გ. ლეონ.). „ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგგრაგნეს, ტილოში გაგახვიესო“ (დ. გურ.).

ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘ ჯუზეპე (1807-1882)— (ქსე) იტალიის სახალხო გმირი, გენერალი. XIX ს. იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. გამოდიოდა იტალიის „ქვემოდან“ გაერთიანების პროგრამით. 1834 წ. მის მიერ მოწყობილი შეთქმულება ჩაიშალა. იგი იტალიიდან გაიქცა. დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. 1848 წ. დაბრუნდა იტალიაში, შექმნა მოხალისეთა რაზმი და მონაწილეობდა ავსტრია-იტალიის ომში. 1859-1860 წ.წ. იტალიის რევოლუციის დროს სარდლობდა „წითელხალათიანთა“ ლეგენდარულ „ათასეულს.“ სიცილიაში დაამყარა რევოლუციური დიქტატურა, გაატარა გლეხებისათვის სასარგებლო მრავალი ღონისძიება. ტრიუმფით შევიდა ნეაპოლში. ეს იყო რევოლუციური გზით იტალიის „ქვემოდან“ გაერთიანებისათვის სახალხო ბრძოლის ყველაზე დიდი წარმატება.

გ.-ის თავდადებულმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის უდიდესი ზემოქმედება მოახდინა განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი სახელი თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა გ. XIX ს.-ის საქართველოში. (ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ბ. უმიკაშვილს სურდათ იტალიაში წასვლა და გ.-ის რაზმში ჩაწერა). „ილია ჭავჭავაძემ თავისი ლექსი „მესმის, მესმის“ მიუძღვნა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ჯუზეპე გარიბალდის“ (სასკ. სახ.-ლო).

„ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲐ“ — (ქსე) ქართული სამართლის ძეგლი, მეფის ხელისუფლებისა და სამეფო კარის წესდებულება. შედგენილი უნდა იყოს XIV ს.-ში. ჩვენამდე მოაღწია XVII ს. ერთ-ერთმა ხელნაწერმა. ძეგლი იპოვა და პირველად გამოსცა ე. თაყაიშვილმა. ძეგლში აღნუსხულია ვაზირთა და სხვა მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, აღწერილია ვაზირობისა და დარბაზობის წესრიგი, აგრეთვე დიდი დღესასწაულების წესები. მის მიხედვით, მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოებული; იგი ღვთის სწორია. ამის გამომხატველია სასახლეში მიღებული წეს-ჩვეულებები — მეფის მორთვა-მოკაზმვა, საპატიო პირთა მიღება და სხვა. ძეგლის მიხედვით, მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. „გარიგებაში“ წარმოდგენილი ეს გაღმერთება მეფისა ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეის გამოძახილია. ძეგლის მიხედვით დარბაზს იწვევდნენ: „დიდის წესითა“ — განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად (მეფის ტახტზე ასვლა, ომის გამო-

ცხადება, ზავის დადება, კანონის მიღება), ანდა დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს, უცხოელი სტუმრების აუდიენციისას; ხოლო „უმცროსითა წესითა“ — სავარაუდოდ, სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

ძეგლში მოცემულია მაშინდელი მთავრობის — სავაზიროს მუშაობის განაწესი. სავაზირო პროგრესული დაწესებულება იყო და მისი სხდომები მტკიცედ იყო რეგლამენტირებული. როცა სავაზიროს მეფე ესწრებოდა, მაშინ სხდომა მას მიჰყავდა. ჩვეულებრივ კი სავაზიროს თავმჯდომარე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო. ადგილისა და პატივის მიხედვით სხდომაზე ვაზირები ასეთი თანრიგით იყვნენ წარმოდგენილი: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი. სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე სათათბირო ხმის უფლებით ამილახორი (ამირსპასალარის თანაშემწე), ამირეჯიბი (მანდატურთუხუცესის თანაშემწე) და მწიგნობარი, რომელსაც სავაზიროს დადგენილების დაწერა ევალებოდა. ძეგლში წარმოდგენილია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, უმაღლესი სასამართლო დაწესებულება, ე. წ. სათჯახო კარი, რომლის თავმჯდომარე იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, მოძღვართმოძღვრის ინსტიტუტი, რომლის შესახებ არც ერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს რაიმე ცნობა. „ადრე მოსწყინდა მეფეს დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲒᲐᲠᲘᲔᲚᲘ — (საბა) ფრინველია.

ᲒᲐᲠᲛᲘᲐᲜᲣᲚᲘ [ძვ.] — (ქეგლ) უცხო წარმოშობისა, უცხოური, გადამთიელი. ილია ამბობს: „მე ოსტროვები, ლინიები და სხვა გარმანული სიტყვები დავძრახე.“

ᲒᲐᲠᲡᲘᲐ ᲚᲝᲠᲙᲐ ფედერიკო (1898-1936) — (ქსე) ესპანელი პოეტი და დრამატურგი. პირველი წარმატება მუსიკაში მოიპოვა. პოეზიაში დასძლია მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის გავლენა, დიდი ადგილი დაუთმო ფოლკლორულ მასალას, პოეტიკასა და ტრადიციებს, რომელთა მეოხებით თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ესპანურ კლასიკურ-რეალისტურ ლიტერატურაში. გ. ლ.-ს შემოქმედებაში განუყოფელ ერთიანობაშია დრამატურგია, მხატვრობა და მუსიკა. ხშირად იგი თვითონვე იყო მხატვარ-დეკორატორი, კომპოზიტორი და რეჟისორი. მისი დრამატურგიული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „მარიანა პინედა“, „სასწაულმოქმედი მეწაღე ქალი“, „სისხლიანი ქორწილი“, „დონ პერლიმპლინის სიყვარული“, „ბერნარდა ალბას სახლი.“ პროგრესული და ანტიფაშისტური განწყობილების გამო მას ფაშისტები სასტიკად გაუსწორდნენ — ვერაგულად მოკლეს გრენადის ქუჩაში (1936 წ.). მისი პიესები იდგმება ქართულ სცენაზე: „სისხლიანი ქორწილი“ (1973 წ.) და „ბერნარდა ალბას სახლი“ (1976 წ. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში).

ᲒᲐᲢᲠᲘᲖᲐᲛᲔᲑᲐ — (ქეგლ) არად ჩაგდება, გაწბილება. (საბა) კარგი სიტყვა რომ წაუხდინოს მტერობით.

ᲒᲐᲣᲞᲝᲮᲐᲕᲡ — (ქ. მწ.) ცხიმს (ერბოს, დუმას) წაუსვამს, წაცხებს (დარბილების მიზნით). „დედამ ხაცვლები დამირეცხა, ნაბადი დამიკერა, ტყავი გამიპოხა“ („პატარა მწყემსის ფიქრები“ — ვაჟა).

ᲒᲐᲤᲘ — (ქ. მწ.) სიმღერაში მელანქოლიური ჰანგი. „ყოველგვარი „მუხამბაზი“, „ჯანყუში“ და „ბაიათი“, „შიქასტა“ და „მუსტაზადი“, „გაფი“ და სპარსულ-ოსმალური ყაიდები მილეული სულის უღონო ამონაბერს და ბალღის სლუკუნს ჰგავდა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲒᲐᲤᲝᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ — (ქ. მწ.) გაშმაგებული. „აღა-მაჰმად-ხან მოევლინა მსწრაფლ ქართველთა ჯართა, გაფოთრებული ეძიებდა მას.“

ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲣᲚᲘ ზეზვა — (ქსე) ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1659) გმირი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ხალხური პოეზიის მიხედვით ზ. თუშების ბელადი ყოფილა. მისი მეთაურობით ქართველ მთიელთა რაზმები თავს ესხმოდნენ კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანებს (ულუსებს) და დიდ ზიანს აყენებდნენ. ზ.-ის რაზმი

პირველი გადავიდა აჯანყების დროს ბახტრიონის ციხის გალავანზე, დახოცა კარიბჭის მცველნი და ქართველთა ჯარი ციხეში შეუშვა. ციხის აღების შემდეგ გ. თავისი რაზმით დაედევნა გაქცეულ მტერს და ჩაება ალვანის ველზე გამართულ ბრძოლაში, რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. როდესაც თავადაზნაურობა ჩამოშორდა აჯანყებას, გ. თორღვას ციხეში გამაგრდა და იქედან ესხმოდა თავს ყიზილბაშებს. მტერმა ღალატით შეიპყრო ზეზვა. ერთხანს ტყვედ ჰყოლიათ თბილისში, შემდეგ კი სიკვდილით დაუსჯიათ. „სადა გყავთ, თუშნო, ზეზვაი, რად არ მაჩვენებთ იგალითა, მე დ იმან უნდა ვიომოთ, ნაქებ რო არი მკლავითა" („ბახტრიონი" — ვაჟა).

ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ვალერიან იოანეს ძე (1888-1942) — (ქსე) ქართველი პოეტი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობისას წერდა ლექსებს. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1915 წ. გ. „ცისფერყანწელების" ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1919-1924 წ.წ. რედაქტორობდა ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებს".

ᲒᲐᲤᲮᲐᲕᲔᲑᲐ — (ქეგლ) ფხიანს გახდის, კარგად გალესავს. „[ალუდამ] ისხა იარაღები, გააფხავიდის ხმალიო" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ᲒᲐᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛ — (ქ. მწ.) წარმართ ქართველთა კერპები. „თარამმა შეიცნო იდუმალებათა და წინაპართა კერპები" („მთვარის მოტაცება" — კ. გამს.).

ᲒᲐᲬᲑᲘᲚᲔᲑᲐ — (ქ. მწ.) უარის თქმა სათხოვარზე, იმედის გაცრუება, გამტყუნება.

ᲒᲑᲝᲑᲐ — (საბა) ხარშვა; გბოლვილი — წვნიანი შექამანდი (ცერცვთა, ბრინჯთა, მხალთა და მისთანა). „მელქისედეკი ოსპის გბოლვილს შეექცეოდა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲒᲒᲚᲘᲡ — (საბა) გეზრუნების, გრჯის. „ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუდეს" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.).

ᲒᲔᲐ — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: მიწისა და მიწისქვეშეთის ქალღმერთი; მისგან წარმოიშვა ყველაფერი, მათ შორის ღმერთები და ადამიანები. აქედან მომდინარეობს ქართველთა სახელწოდება — გეორგიანელები, რაც მიწათმოქმედს ნიშნავს.

ᲒᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ — (ანდ. ფილ.) ძვ. ბერძნული გადმოცემით, გედი ერთხელ მღერის სიცოცხლეში და ისიც სიკვდილის წინ. ამ ფრთიან გამონათქვამს იყენებენ როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე სიტყვაკაზმულ მწერლობაში „მსურს დავიფერფლო, ვით ცეცხლი წმინდა და ეს იქნება გედის სიმღერა" (ვ. გაფრ.). „გედის სიმღერა" უკანასკნელი თქმის, უკანასკნელი მოქმედების სიმბოლურ მინიშნებად გადაიქცა. „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად, ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა" („მე და ღამე" — გ. ტაბ.).

ᲒᲔᲔᲜᲐ, ᲒᲔᲔᲜᲘᲐ [ბერძ.] — (ანდ. ფილ.) ჯოჯოხეთური ცეცხლი, არსთა დამღუპველი. უნდა იყოს წარმოშობილი იერუსალიმის მახლობლად მდებარე მინდორველის სახელწოდებიდან, სადაც შეწირულ ბავშვებს სწვავდნენ თურმე კოცონზე. ამიტომაც ეს სიტყვა ცეცხლის მოკიდების, ალის მოდების, დიდი ტანჯვა-წამების სიმბოლურ მინიშნებად გადაიქცა. „ქადაგად დავარდნილი კათალიკოსი განკითხვის დღის გეენით აშინებდა თავის მრევლს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲒᲔᲚᲐ — (ქეგლ) ხის ან რკინის კეტი, ცეცხლის საჩხრეკი.

ᲒᲔᲚᲐᲖᲘ — (ქეგლ) ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა. „[ჩიკოტელა ტრაბახობდა:] არ გინახავთ ჩვენს ეზოში გელაზები?" („ჩარიკა და ჩიკოტელა" — გ. ლეონ.).

ᲒᲔᲚᲐᲥᲜᲣᲠᲘ — (ქეგლ) კალმახის ერთგვარი ჯიში, რომელსაც გელაქნურის (სევანის — გოგჩის) ტბაში იჭერდნენ.

ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲐ — 1. (უსლ) გვარის, ტომის ისტორია; საგვარეულო ნუსხა. 2. ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ცალკეული გვარების ისტორიას და ადგენს საგვარეულო ნუსხებს.

3. ცხოველთა ან მცენარეთა გვარების წარმოშობა. „ისტორიაში იშლება სულის გენეალოგიური ხის ფესვები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

გენეზისი — (უსლ) წარმოშობა, წარმოქმნა. „ნ. მარი ცალმხრივად აშუქებდა ქართული კლასიკური საერო მწერლობის გენეზისის საკითხებს" (სასკ. სახ-ლო).

გენერალი [ფრ.] — (უსლ) უმაღლეს მეთაურთა და უფროსთა წოდებულება არმიაში (გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი და არმიის გენერალი). „1841 წელს ალ. ჭავჭავაძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება" (სასკ. სახ.-ლო).

გენეტიკა — (უსლ) წარმოშობასთან დაკავშირებული ბიოლოგიური მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმების მემკვიდრეობასა და ცვალებადობას.

გენი — ორგანიზმის მემკვიდრეობითობის მატარებელი თვისება.

გენია — (უსლ) უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი. გენიოსი — ამ ნიჭის ადამიანი. „ბარათაშვილის ადრინდელ ლექსებში უკვე მოისმის გენიოსის ფრთების მოძრაობა" (შ. რადიანი, XIX ს. ქართ. ლიტ.).

გენიალური — (უსლ) გენიით, უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული.

გენოციდი [ლათ. — ვკლავ, ვხოცავ] — (უსლ) მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი და ეროვნული (რელიგიური) მოტივებით; ითვლება ერთ-ერთ უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის ისტორიაში (აფხაზეთში ქართველთა გენოციდი).

გეორგიევსკი — (ქსე) ქალაქი, სადაც 1783 წლის 24 ივლისს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ტრაქტატი.

გერბარიუმი, ჰერბარიუმი — (უსლ) სპეციალურად შეგროვებული და გამხმარი მცენარეების კოლექცია. „თეიმურაზი ყოველგვარ ბალახ-ბულახს, ხავსს, ქარაგოზასა და მცენარეულობას აგროვებდა. ახმობდა და ამბობდა, გერბარი უნდა შევადგინოო" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

გერგილი — (საბა) საქმის მარჯვედ მქმნელი. (საპირისპიროა — უგერგილო).

გერგეტი, გერგეტოსი — (მით.) წყევლის ალაგი ატიკაში, ტროადაში. გერგეტის მყინვარი და ამავე სახელწოდების სოფელი საქართველოშიც არის, ყაზბეგის რაიონში. გერგეტის ტაძარში (XIVს.) ხალხის საკრებულო იმართებოდა, ბერძნული აგორას მსგავსი. იქვე იყო ციხე გერგეტული. ადგილის ხასიათი და სიძველე იძლევიან საფუძველს ვარაუდისას, რომ აქ საქმე საერთო ეტიმოლოგიურ ძირთან გვაქვს. ამას ადასტურებს ნახევრადწარმართული სარიტუალო ცეკვა გერგეტულა, რაც სამების ეკლესიასთან სრულდებოდა (სართულიანი ფერხული).

გერი — (საბა) თან მიყოლილი შვილი ცოლისა ან ქმრისა.

გერმა — (საბა) ფრინველის თიუთიკი, ბუმბული.

გეტერა, ჰეტერა [ბერძ. — მეგობარი ქალი, ხასა] — (ქსე) ძვ. საბერძნეთში განათლებული, გაუთხოვარი ქალი, რომელიც თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. პირველად გამოჩნდნენ კორინთოში აფროდიტეს სატაძრო პროსტიტუციასთან დაკავშირებით. სოლონის კანონების შემდეგ მათ ათენშიც შეაღწიეს და სულ მალე ჭკვიანმა, განათლებულმა, ლამაზმა გ.-ებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ სახლში თავს იყრიდნენ თვალსაჩინო, ცნობილი ათენელები, რის გამოც გ.-ები გარკვეულ პოლიტიკურ გავლენასაც აღწევდნენ და პატივისცემით სარგებლობდნენ. გ.-ებიდან ცნობილი იყვნენ: ასპასია, ლაისი და ფრინე. „ღამის ლეგენდა დაჰქრის, დაკურავს, ჩანგის სიმების მოისმის ჟღერა, თაღლავიწყების სავსე მორევში დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე გეტერა" („გეტერა" — გ. ტაბ.).

გეში — (ქეგლ) 1. დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევი ნიშანი, კვ-

ალი. 2. ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება. „ძაღლმა გეში აიღო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

გეჯა — (ქეგლ) მოკლე მორი, რომელსაც გული ამოთლილი აქვს და იხმარება ცხოველებისათვის წყლის ან საჭმლის ჩასასხმელად. ხის დიდი გობი. „საკლავები და თაფლით სავსე გეჯები გამოეგზავნა კოლონკელიძეს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

გვამი — 1. მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი. 2. (ძვ.) სხეული, ორგანიზმი. 3. (ძვ. წიგნ.) პიროვნება, პირი, ადამიანი. „წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.). „ქორბუდიანი ირმები თვალისმომჭრელი სისწრაფით მიჰქროდნენ წყვილად, თითქოს ეროსი ჩასვლოდათ გვამში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

გველისპირული — ხმლის, ფრანგულის ეპითეტია (ვაჟას მცირე ლექსიკონიდან). „აიხსენ გველისპირული, დიაცთ გადუგდე ცხემლადა“ („ალუდა ქეთელაური“ — ვაჟა).

გვემა — ტანჯვა, წამება.

გვირისტი — (ქეგლ) მჭიდროდ ნაკერი.

გზირი — (საბა) სხვათა ენაა, ქართულად შულტა ჰქვიან. გ. არს ქალაქთა და დაბათა გამგეთა უდარესი და სახლითი სახლად მავალი, რომელსა ეწოდების შულტა. — (ქეგლ) ძველად სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი, მის განკარგულებათა შემსრულებელი, შიკრიკი. („მაოხრებელი გზირი“— ს. ს. ორბ.).

გიდელი — (ქეგლ) წნელისა და ტკეჩისაგან მოწნული უყურო, მოგრძო, პირგანიერი და ძირწაწვეტილი ჭურჭელი, რომელსაც ხეზე ჩამოსაკიდად კავი აქვს გაკეთებული. იხმარება მაღალი ყურძნის და ხილის კრეფისას ხილის ჩასაყრელად, ხიდან ჩამოსაშვებად და გადასატანად.

გიდი [ფრ.] —(უსლ) პირი, რომელიც ახლავს ტურისტებს, ექსკურსანტებს და აჩვენებს მათ ქალაქის ან მხარის ღირსშესანიშნაობებს. მეგზური.

გილგამეშის ეპოსი — (ქსე) ასურულ-ბაბილონური ლიტერატურის ძეგლი. დღეისათვის ცნობილი პირველი ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ეპოსი მსოფლიო მწერლობაში. საფუძვლად დაედო ძველი შუმერული თქმულებები ურუქი I-ის დინასტიის (ძვ. წ. II ათასწ. დასაწ.) მეფის გილგამეშის შესახებ: მეტ-ნაკლები სისრულით შემორჩენილია ხუთი თქმულება. ეპოსის მოტივთაგან უმნიშვნელოვანესია მეგობრობა გილგამეშსა და ველურობიდან ცივილიზებულ ადამიანამდე ამაღლებულ ენქიდუს შორის. ენქიდუ ათვინიერებს გილგამეშის უხეშ ბუნებას, მაღალი ზნეობისაკენ უბიძგებს მას და ბოლოს თავისი სიკვდილით ცხოვრების აზრზე დააფიქრებს. გილგამეშის შემდგომი ბედი დაკავშირებულია სიცოცხლის ძიებისა და უკვდავების ძიებასთან, რაც მას მიიყვანს უთანაფიშთისთან, საყოველთაო წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ კაცთან (ეპოსში ჩართულია წარღვნის ვრცელი ეპიზოდი.) გ. ე. გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ეპოსის გამოძახილმა თითქმის ახ. წელთაღრიცხვის მიჯნამდე მიაღწია. ეპოსი ნათარგმნია თითქმის ყველა ენაზე. ქართულად არსებობს საში დამოუკიდებელი თარგმანი. „გილგამეშისებრ მსოფლიო სევდას ქართულ სევდად აგრძელებს თარაშ ემხვარი, მზექაბუკი და ხოგაის მინდია“ (ქართული სიტყვის მარტვილი და ალამდარი“ — ს. სიგ.).

გილიოტინა [ფრ.] — (ქსე) სიკვდილით დასჯის იარაღი. შემოიღეს საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს ექიმ გილიოტენის წინადადებით. წარმოადგენს კადონის დამაგრებულ ორ ვერტიკალურ სვეტს, რომელთა შორის სამკუთხედის ფორმის მოძრავი ბასრი ნაჯახის პირია ჩაბმული. ნაჯახი მთელი ძალით ეცემა და თავს კვეთს მსჯავრდებულს.

გიმნაზია [ბერძ.] — (უსლ) 1. სატანვარჯიშო მოედანი, შემდეგ სკოლა, სა-

დაც იკრიბებოდნენ ფილოსოფოსები, მეცნიერები. 2 საშუალო სასწავლებელი. კლასიკური გიმნაზია — სასწ. დაწესებულება, სადაც რეალური სასწავლებლისაგან განსხვავებით ასწავლიდნენ კლასიკურ ენებს (ბერძნულსა და ლათინურს). „კეთილშობილთა სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა" (სასკ. სახ-ლო).

გირვანქა — (ქეგლ) ძველებური წონის ერთეული, უდრის 96 მისხალს, ანუ 409,5 გრამს. „ლუსკუმიანად ცხრა გირვანქა იყო ძელიცხოველი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

გიორგი I (998-1027 წ.წ.) — (ქსე) საქართველოს მეფე 1014-დან, ბაგრატ III-ის ძე, გამეფებისთანავე დიდგვაროვანი აზნაურები აუჯანყდნენ მცირეწლოვან მეფეს და ჰერეთ-კახეთი საქართველოს ჩამოაშორეს. გ. I-მა ისარგებლა იმით, რომ 1014-1018 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ბულგარეთს ეომებოდა, გადალახა ბიზანტიის საზღვარი და ტაო დაიბრუნა. 1019 წ. ბასილიმ ბულგარეთთან ომი დაამთავრა და გ. I-ს სადავო ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. 1021 ბიზანტიის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები რამდენჯერმე დამარცხდნენ (შირიმნის ბრძოლა 1021 წელს და საქართველო-ბიზანტიის ომები XI ს.). გ. I იძულებული გახდა თრიალეთში გადასულიყო, სადაც მაშველი ჯარი დახვდა, კეისარი მოერიდა ომს და ახალი ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. გიორგი I-მა დაზავება სცადა დროის მოგების მიზნით, რათა ომი გაეახლებინა წართმეული მიწების დასაბრუნებლად. გ. I-მა კავშირი დაამყარა კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ნიკიფორე ფოკასა და ქსიფესთან, მაგრამ აჯანყება დამარცხდა და გამომჟღავნდა მასში ქართველთა მონაწილეობაც. კეისარმა გ. I-ს კვლავ მოსთხოვა სადავო ტერიტორიების დაცლა. საქართველოს მეფემ კვლავ განაახლა საზავო მოლაპარაკება, თან ისევ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ ბიზანტიამ დაასწრო ომის დაწყება. თავდაპირველად უპირატესობა გიორგი I-ის მხარეზე იყო, მაგრამ ქართველები საბოლოოდ დამარცხდნენ. 1022-1023 გ. I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებს. სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიიტაცა, ტახტის მემკვიდრე ბაგრატი სამი წლის ვადით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. საქართველომ დაკარგა ე. წ. დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა. გ. I ემზადებოდა რევანშისათვის. დიდ საომარ ოპერაციებთან ერთად მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები, მის მეფობაში აიგო მცხეთის სვეტიცხოველი, მოიჭრა ქართული თეთრი, რომელზეც ეწერა — „მეფეთმეფე გიორგი — მესიის მახვილი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

გიორგობა — (ქსე) ქრისტიანული წმიდანის გიორგი კაპადოკიელის სახელობის დღეობა. საეკლესიო კალენდრის მიხედვით 23 აპრილს (6 მაისი) და 10 (23) ნოემბერს. ხალხური გ. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებით იმართებოდა: ქართლში — გერისთობა, უსანეთობა, ატოცობა; კახეთში — ალავერდობა, თეთრი გ.; სამეგრელოში — ილორობა და სხვა. გადმოცემით საქართველოში არსებობდა წმ. გიორგის სახელობის 363 ტაძარი და სამლოცველო (ლეგენდის მიხედვით, წმ. გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული გაანაწილა, ქვეყანაზე მიმოაბნია და ყველგან სადაც ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა.). გიორგობას საფუძვლად უდევს მცენარეული სამყაროსა და ნადირთა მფარველის — ფალოურის, მოკვდავი და აღდგენილი ღვთაების თაყვანისცემა. მომდევნო ხანაში ამ ღვთაებას ელვისა და ჭექა-ქუხილის გამგებლისა და მსაჯულის ფუნქციაც დაეკისრა, ხოლო იკონოგრაფიულად ცეცხლოვანი ატრიბუტებით აღჭურვილი მეომარი ღვთაების სახით ჩამოყალიბდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით (ლაშარი, ლომისი, ხახმატი) მოიხსენიებდნენ მას. კულტმსახურებისას მიღებული იყო ზვარაკის შეწირვა: კლავდნენ მამალს, ცხვარს, ხარს. წირვის შემდეგ იკვლებოდა შეწირული საქონელი ან ფრინველი, იმართებოდა პურობა, რომელიც ხშირად რამოდენიმე დღე გრძელდებოდა. სამეგრელოში 23 აპრილის ღამეს ათევ-

ინებდნენ სუჯუნის ტაძარში საპატიო კაცს, რომელიც მეორე დილით წმიდანის „ნებას“ აცნობდა ტაძართან შეკრებილ მორწმუნეებს (იხ. წმ. გიორგი).

გიორგი რუსი — (ქსე) იხ. იური ანდრიას ძე.

გიორგობისთვე — (ქეგლ) ნოემბერი.

გირაო — (საბა) სხვათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვიან. (ქ. მწ.) წინდი — ვალის უზრუნველსაყოფად კრედიტორისათვის დროებით (ვალის გასტუმრებამდე) ჩაბარებული მოძრავი ან უძრავი ქონება.

გიშერი —(ქ. მწ.) შავი ფერის მინერალი, მისგან კეთდება აგრეთვე სამკაული. (გადატ.) ძალიან შავი (თვალ-წარბი, თმა).

გლეხი — (საბა) მოსახლე მდაბიო. (ქეგლ) ადამიანი, რომლის ძირითადი საქმიანობაა მიწის დამუშავება.

გლადიატორი [ლათ. გლადიუს — მახვილი, ხმალი] — (უსლ) ძველ რომში პროფესიონალი მებრძოლი (მონა, სიკვდილმისჯილი პირი, სამხედრო ტყვე და სხვა). საჯარო სანახაობების დროს გ.-ები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს (ან მხეცებს).

გლეტჩერი [გერმ.] — (უსლ) ყინულის მასა, რომელიც წარმოიქმნება მარადთოვლიან მთებში და სიმძიმის ძალის გავლენით თანდათანობით ეშვება ქვევით, დაბლობებში; ხევის მყინვარი. „მეხი გავარდა და შორეულ/ მიჩუმდა ისევ რისხვა ერთჯერი/ გათავდა ბრძოლა ცოფმორეულ/ სადაც ღრუბლების იდგა გლეტჩერი“ („რა საჭიროა სიტყვები, მჯერა“— გ. ტაბ.).

გლისპი — ანჩხლი, კაპასი.

გლობალური [ფრ.] — (უსლ) 1. საერთო, მთლიანი, ერთად აღებული. 2. რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს. მაგ. გ. პოლიტიკა, გ. ომი, გ. საკითხები და სხვა. „ჩვენი დრო გლობალური პროცესების დროა, არაფერი ადგილობრივი არ არსებობს — არც ომები, არც სახელმწიფო გადატრიალებები, აღარც სოციალური ძვრები. სიტყვა „ლოკალურმა“ დაკარგა აბსოლუტური მნიშვნელობა“ („საუკუნის პოეტები“— გ. ასათ.).

გმირი — (საბა) კაცი არს დიდი, საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, და ბუმბერაზი — უმცირეს მათსა, უდიდეს და უმხნეს ჩვენსა. სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა. ახლა: ბრძოლასა და შრომაში თავდადებული, მამაცობითა და გამბედაობით გამოჩენილი, სიძნელეთა ვაჟკაცურად დამძლევი; ომის, მხატვრ. ნაწარმოების მ. „გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება“ (გრ. ორბ.).

გნოლი — (ქეგლ) კაკბის მსგავსი გარეული ფრინველი. „კურდანებიდან გნოლი აფრინდა, ცაბარდოს გული გადაიარა“ (გ. ლეონ.).

გობელენი — (ქსე) ხელით ნაქსოვი ხალიჩა-სურათი. ვიწრო გაგებით პარიზის ერთ-ერთი მანუფაქტურის მიერ დამზადებული ნაწარმი. მანუფაქტურა მოთავსებული იყო XV ს.-ის ცნობილი მღებავების გ.-ების სახელოსნოს შენობაში. მათი სახელი ეწოდა შემდეგ მანუფაქტურასაც და მის ნაწარმსაც. გ.-ს ამზადებდნენ შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფით, ქსოვდნენ ხელით.

გობი — (საბა) ძელთაგან ამოთლილი ჭურჭელი, დიდი თეფში. „მამიდამ კოთხო გობის გვერდით დადგა და მკლავები დაიკაპიწა“ („მე ვხედავ მზეს“ — ნ. დუმბ.).

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840—1912) — (ქსე) ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. დაიბადა ვარიანში ღარიბი მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს კი — კიევის სასულიერო აკადემიაში. გ. თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავ-

ლებლად, ხოლო 1868 წელს — მის ინსპექტორად დაინიშნა. ამავე დროს აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი მეთაურობდნენ. გ.-ის პროგრესულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წ. იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მოხსნეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიუძღვნა. გ. დაუღალავად იბრძოდა სახელმწიფო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის საქართველოში. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. განსაკუთრებით დიდია გ.-ის ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და საქმიანობაში.

გ.-ის პედაგოგიური მოღვაწეობა ქართული კულტურის წიაღში საზღვარგარეთისა და რუსული პროგრესული პედაგოგიური მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითად გადამუშავების შედეგად აღმოცენდა. მისთვის მთავარი პრინციპი იყო ხალხურობის პრინციპი, რომელიც გულისხმობდა ერის ინტერესების შესაბამის სახ. განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებას და მშობლიურ ენაზე სწავლებას. გოგებაშვილმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპად — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება. პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა განხილულია გ.-ის შრომებში: „ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფით იცნობება“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „ბუნების კარი“, „დედა-ენა“, „რუსსკოე სლოვო“, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწყებით კლასებში ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელოები.

1940 წელს გ.-ის 100 წლისთავი აღინიშნა და მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. „ქართული პედაგოგიკის კლასიკოსად სამართლიანად არის აღიარებული იაკობ გოგებაშვილი“ (სასკ. სახ.-ლო).

გოგი და მაგოგი — (ქსე) იუდეურ, ქრისტიანულ მითოლოგიაში ორი ველური ხალხი, ეზეკიელის წინასწარმეტყველებით ისინი შორეულ მომავალში ჩრდილოეთიდან მოვლენ ისრაელთა შესამუსრავად. აპოკალიფსში კი მათი შემოსევა მოსალოდნელია „განკითხვის დღის“ წინ. ბიბლიაში მაგოგი ევრაზიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში მცხოვრები ტომების სახელია. გოგი, როგორც მაგოგის ხალხთა ბელადის სახელი, პირველად ძველი აღთქმის უფრო გვიანდელ ტექსტებში ჩნდება. გოგი და მაგოგი ყურანშიც იხსენიება, როგორც ორი ველური ტომი, რომელიც „დედამიწის უკიდურეს წერტილში“ ცხოვრობს და რომელსაც სატანა მიუძღვის წინ. „ალექსანდრე პატრონიშვილის ორგულივ განუწყვეტლივ გროვდებოდა ყველა მოძულე რუსისა, გოგისა და მაგუგის, რომელიც დაყინებით და შეუპოვრად მოალაჯებდა სამხრეთისაკენ“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

გოდოლი — (საბა) კოშკი მაღალი, ციხე. მაღალი კოშკი, ზოგჯერ ზღუდე გალავნიანი. „ბოლოს გამოჩნდა ქორსატეპელას ციხე-დარბაზი და საბრძოლო გოდოლები“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.). „ა ლა გოდოლთ მშენებელნი, გავხდით ენაშერეულნი“ (დ. გურ.).

გოდორი — (ქსე) წნელით, ზოგჯერ ტკეჩით მოწნული მაღალი ყურიანი, მრგვალი ან ოთხკუთხედი ჭურჭელი. იყენებენ ხილის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, საქონლის საკვების და სხვათა გადასაზიდად.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) — (ქსე) გამოჩენილი განმანათლებელი, თავისი ხალხის ეროვნული სიამაყე, უდიდესი გერმანელი. მისი ნაწარმოებებია: „ფაუსტი," „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი." მან შრომა გამოაცხადა კაცობრიობის უკეთესი მერმისის ერთადერთ საშუალებად. ამასვე ქადაგებდა ი. ჭავჭავაძე „აჩრდილში". გოეთეს მხატვრული შემოქმედების სირთულემ და მსოფლმხედველობრივმა წინააღმდეგობამ ის გამოიწვია, რომ იგი ცხოვრებისაგან განზე გამდგარ „ოლიმპიურ ღმერთად", წვრილმან მოსაქმე ფილისტერად გამოაცხადეს. გ.-მ არ მიიღო 1789 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. საფრანგეთის რევოლუციის მოსმენაც არ უნდოდა. ახალგაზრდა ილიამ, რომლის იდეალი მოძრაობა იყო, მიუღებლად ჩათვალა გ.-სებური განზე გადგომა საზოგადოებრივი ორომტრიალიდან. „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს" („მგზავრის წერილები"— ი. ჭავჭ.).

გოთუა ლევან (1905-1973 წ.წ.) — ქართველი მწერალი. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი." მწერალს დაუმთავრებელი დარჩა ისტორიული რომანი „მითრიდატე." ისტორიულ თემაზეა შექმნილი მოთხრობები: „კრწანისის სევდა", „ხანძთის ზარი", „უგზო ქარავანი", აგრეთვე რომანი „ლეკვი ლომისა", მოთხრობები: „ნისლი ნატახტარის ტყეში", „ფიქრები თოკის კიბეზე", „ფრესკის მეორე დაბადება." გ. ავტორია დრამებისა: „მეფე ერეკლე", „უძლეველნი", „დავით აღმაშენებელი", „სამსახეობა რაინდისა", რომლებიც იდგმებოდა ქართულ სცენაზე. სკოლაში ისწავლება „მექორწილე ამფსონი".

გოლგოთა [ბერძ. - თავის ქალა] — (უსლ) გორაკი პალესტინაში, იერუსალიმის ახლოს, სადაც სიკვდილით სჯიდნენ და სახარების მიხედვით ჯვარს აცვეს ქრისტე. 2. (გადატ.) სატანჯველი ადგილი; ტანჯვა („გოლგოთაზე ასვლა"). „დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო" (დ. გურ.). „მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი შენი დამიფარავს მთაწმინდა" („დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია"— გ. ტაბ.). თეიმურაზმა იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავი ნისლით დაბურული, ჯერ არც კი მოსჩანდა" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

გოლი, გოლეული — (საბა) თაფლის ნაკვეთი, თაფლის ხვეზა, მთელი თაფლი. (ქეგლ) ფიჭიანი თაფლი. „მეფის გულში რიალებდნენ სიტყვები ხან გოლეულივით ტკბილი, ხან ასპიტის გესლივით მწარე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

გომიჯი — (ქეგლ) უსაფუძვლო და უმარილო მრგვალი პური ნალვერდალში გამომცხვარი. „[გიორგისა და გირშელს] ენატრებოდათ, სეფექალებისაგან თავმობეზრებულებს, ქარცემული ლოყების კოცნა, გომიჯივით მკვრივი ძუძუების სრესა" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

გომორა — (ბიბლ. ენც) ერთი იმ ხუთ ქალაქთაგანი, რომელსაც კვდარი ზღვის სამხრეთი ნაწილი ფარავს. გ. სოდომთან ერთად განადგურებულ იქნა სტიქიური უბედურებით მისი მაცხოვრებლების მიერ ჩადენილი ცოდვების საზღაურად. ბიბლიაში სოდომისა და გ.-ის მაგალითი ემსახურება ღვთის მიერ თავისი ხალხის გაფრთხილებას, რომ ცოდვის წილ ისინი სასამართლოს და სასჯელს დაიმსახურებენ.

გომური — (ქეგლ) იგივეა, რაც გომი. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სახაფხულო (მიწური) სადგომი. „შენ გომუ-

რის მაგივრად ხულაში დაგამწყვდევ" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

გონიო —1. (ქეგლ) სწორკუთხა სახაზავი, მკუთხავი, იხმარება სადურგლო მშენებლობის საქმეში სწორი კუთხეების გამოსაყვანად. „იქვე ეკიდა ეჩოები, საჭრეთლები და გონიო" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). 2. (ქსე) სოფელი და ციხესიმაგრე აჭარაში, შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ჭოროხის შესართავთან. ბერძნულ-რომაულ წყაროებში ცნობილია აფსარუნტის სახელით. გონიოს ციხე XII ს-ის შემდეგდროინდელი სახელწოდებაა. II ს-ში აქ რომაელთა ხუთი კოჰორტა იდგა. იგი ამ პერიოდში კარგად გამაგრებული და კეთილმოწყობილი ციხე-ქალაქი ყოფილა. 1547 წელს ოსმალებმა დაიკავეს. 1878 — სან-სტეფანის ზავით აჭარასთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა. ციხე გეგმით დიდი ზომის სწორკუთხედია (იქნებ აქედან წარმოსდგება ადგილის სახელწოდებაც?). ყოველ მხარეს თითო ჭიშკარი აქვს. გალავანი -18 კოშკითაა გამაგრებული. ნაგებია გათლილი ქვით.

გონჯი — (ქეგლ) მეტისმეტად ულამაზო, მახინჯი.

გორგასალი — იხ. ვახტანგ I გორგასალი.

გორგონები [ბერძ.] — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: სამი ფრთიანი ქალი-ურჩხული, რომელთაც თავზე თმის მაგივრად გველები ახვევიათ. მათი შეხედვა ყველა სულდგმულს აქვავებს.

გორდა — (ქსე) მოკლე, უვადო მოხრილი და დრეკადი ხმალი, რომელსაც შუაში ერთი ფართო, ხოლო ყუისკენ დამატებითი ორი ვიწრო ღარი გასდევს. აქვს თავისებური დამღა — ხმლის ყუაზე გამოყვანილია ტალღოვანი რკალები ან ხმლის პირზე ორი მოპირისპირე, დაკბილული ნახევარრკალი. რკალის ბოლოები სამმარცვლოვანი ნიშნებით აქვს დაწინწკლული (გადმოცემის თანახმად ბრძოლებში მონაწილეობის ან მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად). გ. ფართოდ იყო გავრცელებული და საბას სიტყვით: „ამას ქართველნი ჰყვარობენ." საქართველოში გავრცელებულია როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი იტალიელ ოსტატთა ნახელავი გ. ხმლები. „დაჰკანგებულხარ, გორდაო, დაგობებია ქარქაშა" („ჩივილი ხმლისა" — ვაჟა.).

გოქჩა, გოგჩა [თურქ. ლურჯი წყალი] — (ქსე) სევანის თურქული სახელწოდება. ქართულ წყაროებში მეტწილად ცნობილია როგორც გელაქუნის ტბა, გელაქუნის ზღვა („გოგჩა" — ალ. ჭავჭ.).

გოტიკა [გერმ.] — (უსლ) ხუროთმოძღვრული სტილი გვიან შუა საუკუნეებში ევროპაში; დამახასიათებელია მაღალ, წვეტიან ნაგებობათა სიმსუბუქე, ისრისებური თაღები, გამჭვირვალე და ფერადი მინის სიუხვე.

გოჯი — (ქეგლ) ძალიან მცირეს ნიშნავს. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. იხმარებოდა სიგრძის საზომად. დაახლ. 4 სმ. „ოდესღაც, რუსობამდე, ამგვარ ნადიმზე ეს მანძილი ერთ გოჯსაც არ უდრიდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

გრაალი [გერმ. — ჯადოსნური ფიალა] —(მით) ყოვლისშემძლე, სასწაულმოქმედი თასი ქრისტეს სისხლით (იგივე ღვინით) სავსე. საშუალო საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის თანახმად მაცხოვარი საიდუმლო სერობის

დროს ხმარობდა წმინდა გრაალის თასს, რომელშიაც მისმა ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმათელმა შეაგროვა მისი განგმირული გვერდიდან გამონადენი სისხლი. ლეგენდის მიხედვით ეს თასი დაცული იყო ინგლისში, ზღაპრულ (ლიდიის) კოშკში და მას იცავდა მისთვის საგანგებოდ შეწირულ რაინდთა კორპორაცია. ეს ლეგენდა საფუძვლად დაედო საშუალო საუკუნეთა რიგ რაინდულ რომანებს („პარციფალი" და სხვა).

სამხრეთ საქართველოში ინახებოდა მისი ანალოგი და მისი ყოვლისშემძლე მითიური ძალა იფარავდა საქართველოს ხილული თუ უხილავი მტრებისაგან. პოეტი გ. ტაბიძე სწორედ ამ ყოვლისშემძლე ძალას, გრაალს ევედრება, რომ დაიფაროს ფრთებით მისი სატრფო, მისი სიყვარული.

გრაალის კოშკები, ლიდიის საძრეკლო, სადაც ინახებოდა თასი — ანგელოზების ფეხქვეშ დაიმსხვრა მრისხანე და დაუსვენებელი დროის წყალობით. „გრაალის თასი ბარძიმია, რომელიც სიმბოლურად გამომხატველია სიწმინდის, სულიერების. გრაალი სიმბოლოა ღვთისმშობლისა. გრაალის მცველნი იცავენ ქვეყნის სულიერებას, გრაალი თავის მხრივ მფარველია ქვეყნისა.

როგორც ოჯახისათვის კერია, კერის ქვა არის სიმბოლო სითბოსი, სიყვარულის, ბედნიერების და მისი დაკარგვა ოჯახის იავარქმნის მაუწყებელია, აგრეთვე გრაალი მთელი ერის კერიის ქვაა" (ნ. გრიგ. წ. I).

ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲘ — (ქეგლ) მილის მსგავსად დახვეული ხელნაწერი (ქაღალდი, ეტრატი, პაპირუსი).

ᲒᲠᲐᲓᲐᲪᲘᲐ — (თანდათანობით ამაღლება (იხ. გამეორება)), სტილისტიკური ფიგურა, მხატვრული სტილის გამომხატველობით საშუალებათა აზრობრივი თუ ემოციური გაძლიერება ან შესუსტება (მაგ. „მაშინღა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმობილა"). გრადაციის ორი სახეობა არსებობს: აღმავალი (კლიმაქსი) და დაღმავალი (ანტიკლიმაქსი). შეიძლება გამოყენებული იქნეს სტროფული ან სიუჟეტური კომპოზიციის ხერხად: „თხა და ვენახი", „რწყილი და ჭიანჭველა"; იგი ხშირად უკავშირდება ანაფორას. ი. ჭავჭავაძის „განდეგილის" დასაწყისი, აგრეთვე „არსენა მარაბდელში": „არსენამ მოზვერს რქებში ხელი ჩასჭიდა, ჩასჭიდა და ისე მოსწია, ასე მოსწია..." „გააპე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი..." („მერანი" — ნ. ბარათ.).

ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐ [ფრ.] — (უსლ) 1. რისამე მაგარი მასალის (ლითონის, ხის, ქვის გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ან ამოჭრილი ნახატი. 2. ასეთი ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე.

ᲒᲠᲐᲛᲘ [ფრ.] — (უსლ) წონის ერთეული ზომათა მეტრულ სისტემაში: უდრის ერთი კუბური სანტიმეტრი წყლის წონას.

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲝᲑᲐ [იტალ.] — (ქეგლ) ძალიან დიდი, დიდებული, დიადი. „ილია ჭავჭავაძეს „განდეგილში" ხატოვანი პოეტური სახეებით აქვს წარმოსახული კავკასიონის ბუნების გრანდიოზულობა" (სასკ. სახ-ლო).

ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘ ტერენტი (1897—1934 წ.წ.) — (ქსე) ნამდვილი გვარი კვირკველია. ქართველი პოეტი. წალენჯიხის სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა თბილისს, მუშაობდა რკინიგზაზე კონდუქტორად, შემდეგ რედაქციაში შიკრიკად, ექსპედიტორად, კორექტორად. იგი სულიერად დაავადდა და ბოლო ოთხი წელი საავადმყოფოში გაატარა. გამოსცა წიგნები: „პანაშვიდები", „სამგ-

ლოყიარო ხაზები“, „სულიდან საფლავები“, „ტერენტი გრანელი“ (ამავე სახელწოდების ერთდროული გაზეთი). თავისებურმა ცხოვრებამ, ბოჰემურმა ყოფამ გრანელის პოეზიაში უნუგეშობის, მარტოობის, განწირულობის თემატიკა განაპირობა. რეალობის ასახვას მან მისტიკურ-რელიგიური ხილვები დაუპირისპირა, ადამიანურ სიხარულს — მწუხარებისა და სიკვდილის აპოლოგია.

გრაფიკა [ბერძ. — ხაზვა, ხატვა,] — 1. ხაზებით, შტრიხებით (უსაღებავოდ) ხატვის ხელოვნება. ასეთი ხელოვნების ნიმუშები. 2. (ლინგვ.) ხელნაწერი ან ნაბეჭდი ნიშნების მოხაზულობა; ცოცხალი მეტყველების გამოხატვა წერითი ნიშნებით (ასოებით).

გრაცია [ლათ.] — (მით.) ძველ რომაელთა ერთ-ერთი ქალღმერთი, განსაცვიფრებელი სილამაზის, თვალტანადობისა და უჩვეულო მიხვრა-მოხვრის ასული. მოხდენილობა, გრაციოზულობა. „ნატიფი გრაცია, მღელვარე ემოციურობა, ამაღლებული ინდივიდუალური შთაბეჭდილება — ასეთია გ. ტაბიძის „ატმის ყვავილების“ დამახასიათებელი მხარე“ (სასკ. სახ.-ლო).

გრენადერი [ფრ.] — (უსლ) ევროპის ქვეყნებსა და მეფის რუსეთის არმიებში რჩეული ჯარისკაცი, რომელიც გაწვრთნილი იყო ხელის გრანატის ტყორცნაში; შემდეგში ჯარისკაცი ან ოფიცერი რჩეული ქვეითი ან კავალერიული ნაწილებისა. „გრიგოლ ორბელიანი, მართალია, გუშინ გრენადერთა პოლკის პორტუპეიუნკერი იყო და დღესაც მხოლოდ პრაპორშჩიკია, სამაგიეროდ არტილერისტია“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

გრიბოედოვი ალექსანდრე სერგეის ძე (1795-1829 წ.წ.) — (ქსე) რუსი მწერალი და დიპლომატი. დაიბადა მოსკოვში, მემამულის ოჯახში. 1812 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში. ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში, იცნობდა პუშკინს და დეკაბრისტებს. 1822 წლიდან მსახურობდა თბილისში ჯერ მთავარმართებელ ერმოლოვთან, შემდეგ პასკევიჩთან. დაუახლოვდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას. განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს. 1827 წ. მიანდეს ოსმალეთთან და ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვა. 1828 წ. დანიშნეს რუსეთის რეზიდენტად ირანში. იმავე წელს შეირთო ნინო ჭავჭავაძე. 1829 წ. თეირანში აჯანყებულებმა მოკლეს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

გ.-ის მთავარი თხზულებაა კომედია „ვაი ჭკუისაგან“. მის სახელთანაა დაკავშირებული გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ცდა. „კომერციული ბანკის“ დაარსება. მასვე ეკუთვნის აღამაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის განახლების პროექტი. საქართველოსთანაა დაკავშირებული გ.-ის მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი. „წვერ-ულვაშგაპარსულ გრიბოედოვს ლურჯი ფრაკი აცვია, მკერდზე ერთი ორდენი ჰკიდია, კისერი მაღალ საყელოში აქვს ჩამძვრალი და ცივი თვალები ქალებისაკენ მიურბის. მან მასპინძლის ცამეტი წლის ნინოს მურილიოს მადონა დაარქვა და თვალიც დაადგა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

გრიგოლ ბაკურიანის ძე (1086 წ.) — (ქსე) XI საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ბიზანტიის იმპერიის ჯერ აღმოსავლეთის, შემდეგ დასავლეთის დომესტრიკოსი, სევასტოსი, ძე ერისთავთერისთავ ბაკურიანისა.

მისი სამშობლო — იმიერ ტაო, დავით დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის პოლიტიკურ საზღვრებში მოექცა. გ. ბ. სხვადასხვა დროს მსახურობდა სომხეთში, იბერიასა და სირიაში. იყო კარისა (ყარსის) და თეოდოსიოპოლის (კარნუქალაქი) განმგებელი. ალფა-არსლანის შემოსევების დროს (1072-1073) ანისის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. საქართველოს მეფე გიორგი II-ს გადასცა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა. 1081 წ. მისი ხელშეწყობით ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც ტახტი ალექსი I-მა კომნენოსმა დაიჭირა. 1083 წელს გ. ბ.-მ პეტრიწონში (ბაჩკოვო, ბულგარეთი) დააარსა ქართველთა მონასტერი (პეტრიწონის მონასტერი), რომელსაც დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება დაუმკვიდრა. მონასტერს შეუდგინა „ტიპიკონი“ ანუ წესდება, რომელიც XI ს. II ნახევრის საქრთველოს, ბულგარეთისა და საბერძნეთის ისტორიის საყურადღებო წყაროა. გ. ბ. დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში.

ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲣᲚᲘ კალენდარი — (უსლ) წელთაღრიცხვის სისტემა („ახალი სტილი“), რომელიც შემოღებული იქნა 1582 წელს პაპ გრიგორი XII-ის დროს, იულიუსის კალენდრის (ე. წ. „ძველი სტილი“) ნაცვლად.

ᲒᲠᲘᲤᲘ [გერმ.] — (ქსე) 1. სიმებიან-ხემიანი საკრავების ყელზე დაწებებული ხის ფირფიტა, რომელზეც დაკვრის დროს თითით აბჯენენ სიმს. 2. ბეჭედი, შტამპი თანამდებობის პირის ხელმოწერით: ასეთი ხელმოწერის ანაბეჭდი. „გრიფით „საიდუმლო“).

ᲒᲠᲘᲤᲝᲜᲘ [ბერძ.] — (უსლ) 1. ანტიკურ მითოლოგიაში ფანტასტიკური ცხოველი; აქვს ლომის ტანი, არწივის ფრთები და არწივის ან ლომის თავი; ლომარწივი. 2. სვავი. „ფრთოსანი ლომები შეპბმია გვირგვინის გარშემო ურთიერთს, კუდაშვერილ გრიფონს ხახაში გაურჭვია ტერფი კაცისა“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲒᲠᲝᲢᲔᲡᲙᲘ [ფრ.— უცნაური, უჩვეულო] — (ანდ. ჭილ.) გამოსახვის სატირული ფორმა, ადამიანის სახის სასაცილოდ, მახინჯად წარმოდგენის, აბუჩად აგდების ტენდენციით დახატვის ხერხი ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

გროტესკში მოცემულია უცნაური, უარყოფითი, საშინელი, საშიში, უჩვეულო — საერთოდ სინამდვილის ნაკლოვანი მხარის გაზვიადებულად, დამამცირებლად ჩვენება. ილ. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძეს გროტესკული იერი დამკრავს.

ᲒᲠᲝᲨᲘ [რუს.] — (უსლ) 1. მეფის რუსეთში: სპილენძის ფული — ორკაპიკიანი. 2. ძალიან ცოტა ფული, კაპიკი.

ᲒᲠᲣᲖᲐ — (ქეგლ) ხშირი და ხუჭუჭა თმა. „[კუჭატნელის] წინ გრუზა კაცი იდგა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ, ᲒᲠᲫᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐ — მისნობა, ჯადოქრობა.

ᲒᲠᲫᲜᲔᲣᲚᲘ — (ქეგლ) 1. ჯადოქარი, მისანი, კუდიანი. 2. გადატ. მომხიბლავი, მომაჯადოებელი. „მარტო იგინი გრძნეულნი“ („ბაზალეთის ტბა“ — ილ. ჭავჭ.).

ᲒᲣᲓᲐ — (ქსე) ოთხში ამოღებული თხის, ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული პარკი, ჩვეულებრივ ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი. თხის ტყავის გ.-ს შიგნიდან კუპრავდნენ და სალვინედ იყენებდნენ. გუდით გადაპ-

ქონდათ აგრეთვე წყალი, ზეთი, ცხვრის ტყავს გ.-ს ყველის გამოსაყვანად და შესანახად იყენებდნენ. Ⴑ „შენი ბრძანება შევასრულე, არსენჯან! მამაშენს ერთი თალარი ხორბალი, ერთი გუდა ყველი და ერთი ქილა ერბო გავუგზავნე“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

გუდანის ჯვარი — (ქსე) წარმართული ღვთაება და მისი სახელობის სამლოცველო ხევსურეთში. ხევსურულ სადიდებელთა ტექსტებში მოიხსენიება სალვთო ბერი ბაადურის სახელით. ითვლებოდა ხევსურეთის საკულტო ცენტრად. გ. ჯ.-ში ხდებოდა საერთო საქმეების განსჯა-გადაწყვეტა (მტერზე გალაშქრება, დაზავება, ძნელად მოსაგვარებელი საქმის გარჩევა, ჩვეულებითი სამართლის რჯულის კოდექსის დაცვა ან შეცვლა, წლის მანძილზე მოსალოდნელ ამბავთა წინასწარ შესატყობად ქადაგის დასმა და ა. შ.). იგი ძირითადად მოლაშქრე ღვთაებად მიაჩნდათ. მიეწერებოდა თავისი საყმოს დაცვა-პატრონობა. (ლაშქრობის წინ ხევსურები გუდანში სვამდნენ ქადაგს და მისი მეშვეობით გუდანის ჯვარს შეეკითხებოდნენ ლაშქრობის საქმეს. — ვაჟა-ფშაველა). „არა მჭირს არა რჯულძაღლო ყმასა გუდანის ჯვრისასა“ (ვაჟა).

გუდასტვირი — (ქსე) ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი. საქართველოში გავრცელებულია მისი რამდენიმე სახეობა: ქართული და რაჭული გ., აჭარული და მესხური ჭიმონი (ჭიბონი) და ფშაური სტვირგუდა. სახალხო დღესასწაულებზე გ.-ის თანხლებით სრულდება მრავალი ცეკვა და სიმღერა. აჭარაში ჭიბონს ნადის დროსაც უკრავდნენ.

გუდიაშვილი ლადო (ვლადიმერ) — (ქსე) ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. მრავალი ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი, მათ შორის რუსთაველის სახელობის პრემია (1968). სწავლობდა თბილისში კავკასიის საზოგადოების ნატიფი ხელოვნების, ფერწერისა და ქანდაკების წამახალისებელ სკოლაში. 1914 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა მისი პირველი ნახატები. 1917 წელს მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ექსპედიციაში — გაეცნო ქართულ ძეგლებს. იღებდა ფრესკების პირებს; 1919 მონაწილეობდა რესტორან „ქიმერიონის“ მოხატვაში (თბილისი). მონაწილეობდა გამოფენებში პარიზში, ბელგიაში, ამერიკაში. მისი ნამუშევრები შეიძინეს კერძო კოლექციონერებმა. გ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა მონუმენტურ დეკორაციულ მხატვრობას. აქტიურად მონაწილეობდა წიგნების, თეატრებისა და კინოს მხატვრულ გაფორმებაში. გუდიაშვილი ეკუთვნის იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელთა მიზანი ხელოვნებაში იყო ეროვნული ფორმის ძიება. დიდი გავლენა მოახდინა მასზე ქართულმა კედლის მხატვრობამ და მინიატურამ.

გ.-მა შექმნა ისტორიულ პირთა და თანამედროვეთა პორტრეტები: „ნიკო ფიროსმანაშვილი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ბექა და ბეშქენ ოპიზრები“, „თამარ ციციშვილი“, „ნინო გუდიაშვილი“, „აკად. დ. უზნაძე“, „ნათელა ახვლედიანი“; ადამიანის ნათელი და ბნელი საწყისების ამსახველი ჟანრული სცენები: „ბოროტი ოჯახი“, „ფლიდი ცოლი“, „ახალი და ძველი“, „ვეფხის მკურნალი.“ ქართველ მხატვართაგან გ.-მა პირველმა დაასურათა და გრაფიკულად გააფორმა „ვეფხისტყაოსანი“ (1934). მას ეკუთვნის ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე

სიცრუისას“ დასურათებაც. ზ. თავის ნახატებში ხან სადღესასწაულო, ამაღლებულ „ზღაპრულ“ განწყობილებას ქმნის, ხან ფსიქოლოგიურად ღრმასა და დრამატულს, ხან გროტესკს. გამოირჩევა დახვეწილი და დასრულებული კომპოზიციით, დეკორატიულობითა და ორნამენტულობით. ზ.-ის შემოქმედებამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. გამოცემულია მისდამი მიძღვნილი მრავალი ალბომი და წიგნი.

ᲒᲣᲕᲔᲠᲜᲐᲜᲢᲘ [ფრ.] – (უსლ) ბავშვების აღმზრდელი ქალი (უცხოელი) თავადაზნაურულ ან ბურჟუაზიულ ოჯახებში. „შემდეგ ერთმა გუვერნანტმა ქალმა თერთმეტი წლის კატო გამოიყვანა და ინგლისურ ენაზე ბაირონის ლექსი წააკითხა“ („არსენა მარაბდელი“– მ. ჯავახ.).

ᲒᲣᲕᲔᲠᲜᲘᲝᲠᲘ – ბავშვების აღმზრდელი მამაკაცი.

ᲒᲣᲗᲐᲜᲘ [ფრ.] – (ქეგლ) 1. მიწის სახნავი იარაღი, რომლის ძირითადი ნაწილებია: სახნისი, საკვეთი და ფრთა. „შენი ჭირიმე გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა“ (ხალხური). 2. შვიდვარსკვლავიანი კრებული (ხომლი). „გუთანი გადავიდა ცაზე“ („დიდოსტატის მარჯვენა – კ. გამს.).

ᲒᲣᲗᲜᲘᲡᲓᲔᲓᲐ – (ქეგლ) ძველად – მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს გუთანს უკან მისდევდა და ხელით აწესრიგებდა მის გეზს, ხვნის სიღრმეს და სხვ. („გუთნისდედა“ ი. ჭავჭ.).

ᲒᲣᲚᲐᲜᲨᲐᲠᲝ – (ქ. მწ.) „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით: ფატმანის ქვეყანა, იგივე ზღვათა სამეფო (შდრ. სპარსული „გულან-შაჰრ“ – ვარდების ქალაქი).

ᲒᲣᲚᲖᲘᲓᲔᲑᲐ – გულისრევა.

ᲒᲣᲚᲘᲐᲛᲘ – არაბული ჯარების უფროსი. „ფარსმანი ცხენდაცხენ შესტაკებია სახელოვან სტრატეგებსა და გულიამებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

ᲒᲣᲚᲥᲐᲜᲓᲐ – (ქ. მწ.) მოოქროვილი ყელსაბამი. „ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი, / რომ ახ, ნეტავ, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი“ („შენი ყელი“– ი. გრიშ.).

ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘ – (ქეგლ) კონუსისებური ან ნახევარსფერული თაღი, რომლითაც გადახურულია რაიმე შენობა (ჩვეულებრივ, ეკლესია).

ᲒᲣᲜᲓᲐ-ᲚᲐᲮᲝᲡᲢᲐᲙᲘ – (ქსე) თმისა და წარბ-წამწამის შესაღები ხალხური კოსმეტიკური საშუალება. ამზადებენ გუნდის ხის (კვიპაროსი) გირჩისა და მინერალ ანთიმონიტისაგან. გუნდის ხის ნედლ გირჩს ღადარში წვავდნენ, ფხვნიდნენ და შავ საღებავს იღებდნენ (ზოგჯერ მას გამხმარ შავ ბალახსაც ურევდნენ). ლახოსტაკის მისაღებად ანთიმონიტს სპილენძის ქვაბში წვავდნენ (ნამწვავს ლილაქვასაც უწოდებდნენ). გუნდის ფხვნილს გახსნიდნენ თბილ წყალში, შიგ გაქნიდნენ ლახოსტაკს და სადაფის ნიჟარაში ან ავანდასტაში მოლესავდნენ. ლახოსტაკი საღებავის შემაკავშირებლის როლს ასრულებდა. საღებავი რომ კარგად მიეღო, წარბ-წამწამზე ჯერ მცენარეულ ზეთს ისვამდნენ, შემდეგ ძვლის, ლითონის ან ხის სასურმე ჩხირებით მოიხატავდნენ. ძილის წინ ზედმეტ საღებავს თბილი წყლით იშორებდნენ. გუნდა-ლახოსტაკი, როგორც კოსმეტიკური საშუალება იხსენიება ძველ „მზითვის წიგნში.“ 1. „გუნდა-ლახოსტაკით შეფერილი წარბ-წამწამებით შავმა თვალებმა გამოანათეს და ხანდაზმულობის ფერუმარილით შეფერილ სახეზე მოუთმენლობა დაეტყო“ („თავადის ქალი მაია“ – ლ. ქიაჩ.). 2. „იმ ჭრელ ბოხჩაში [ფუფალას] ფერუმარილი ულაგია,

გ

გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთი" (გ. ლეონ.).

ᲒᲣᲜᲓᲠᲣᲙᲘ — (ქსე) სურნელოვანი საკმეველი, ფისი, რომელიც სწრაფად მაგრდება ჰაერზე. მიიღება სტირაქსის ხისა და ტოტების წვენისაგან. შეიცავს ვანილდარიჩინმჟავას. სასიამოვნო სუნი აქვს, იყენებენ პარფიუმერიაში და მღვდელმსახურების დროს. — (საბა) ესე არს საკმეველი სურნელი. კვალად თეთ-რი საკმეველი, რომელი მოიღეს ძღვნად შობას მოგვთა. „და ვით გუნდრუკსა სამად-ლობელსა შენდა აღკმევენ სუნნელებასა" („შემოღამება მთაწმინდაზე"— ნ. ბარათ.).

ᲒᲣᲜᲓᲠᲣᲙᲘᲡ ᲙᲔᲔᲕᲐ — 1. ხოტბის შე-სხმა. 2. პირფერობა.

ᲒᲣᲠᲖᲘ [სპ.] — 1. ფოლადის ძველებური საომარი იარაღი კომბალივით; კვერთხი. 2. ხელში სატრიალებელი სპორტული იარ-აღი ამავე მოყვანილობისა.

ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘ (მაგისტროსი) — (ქსე) ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგ-ენელი, მეფეთა მეფე 994-1008 წ. წ. ქართ-ველთა მეფის ბაგრატ II-ის ძე და გაერთ-იანებული საქართველოს მეფის ბაგრატ III -ის მამა. ცოლად ჰყავდა აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული გურანდუხტი. გ.-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართ-ველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში. ეხ-მარებოდა ბაგრატ III-ს მეამბოხე ერი-სთავების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ამიტო-მაც არ მიყვარდა ბაბაჩემი მაგისტროსი" („დი-დოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ მამია დავითის ძე (1836-1891) — (ქსე) ქართველი პოეტი. ფსე-ვდონიმი „ფაზელი". აღიზარდა გურიის მთავართა სასახლეში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. ლექსების წერა სიყმაწვილეში დაიწყო. „ფარვანა" პი-რველი ლექსია. განიცადა რომანტიკ-ოსთა და თერგდალეულთა გავლენა. სა-ზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული მძიმე ტკივილები და მელანქოლია აისახა მის შემოქმედებაში. გურიელის პოეზიის ძირითადი თემა პატრიოტიზმია. ჰუმან-იზმითაა განმსჭვალული მისი ცნობილი ლექსი „ადამიანი." „დაე იცვალოს გარე-მოება, თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს 'ზიანი, თიით ნუ იცვლები! მოვა დროება, გიცნობენ რომ ხარ ადამიანი!"

ᲒᲣᲯᲐᲠᲘ — (ქსე) დიდი სიგელი. უმე-ტესად მეფისაგან ნაბოძები საბუთის ზოგადი სახელწოდება, რომელიც ქარ-თულ დიპლომატიაში XV ს.-დან შემოვ-იდა. XVIII ს.-ში გ. და სიგელი ერთ ტერმინად — სიგელ-გუჯრად გაერთი-ანდა. „თეიმურაზმა თავისი სახლის ქერის თავზე სამი ყუთი აღმოაჩინა დამპალ და ჩრჩილ-ნაჭამ გუჯრებით" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

დ

ᲓᲐᲑᲐ — (ქეგლ) ქალაქის ტიპის პატა-რა დასახლება.

ᲓᲐᲑᲐᲡᲛᲣᲚᲘ — ბასმით (საღებავით) აჭ-რელებული. „მაშ, არ გინდა ჩითის მხიარული კაბა ჩაიცვა, იმ ღლით ახალი ბაღდადი დაიხვი-რო, დაბასმული ლეჩაქი, ვარაყიანი?" (გ. ლეონ.).

ᲓᲐᲑᲐᲚᲘ [არაბ.] — (ძგ.) ტყავის გამო-მყვანი, მომქნელი.

ᲓᲐᲑᲔᲑᲙᲘᲚᲘ — დახეული, დაგლეჯი-ლი. „მამამზემ გაიხადა თავისი დაბებკილი წამოსასხამი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲐᲑᲔᲥᲓᲣᲚᲘ – (ქ. მწ.) კანონიკური; ის, რასაც ეკლესია იღებს. „ახლისა სჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზებირით იცოდა" („გრ. ხანძთელის ცხოვრება"– გ. მერჩ.).

ᲓᲐᲓᲐᲘᲖᲛᲘ– უკიდურესი ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში (1914-1924 წწ. დასავლ. ევროპაში) დადა უაზრო სიტყვაა, შემთხვევითი თავმოყრა ბგერებისა. დადაისტის აზრით ინტელექტი, მეხსიერება არცაა საჭირო, რადგან ცხოვრებაში არაფერია ისეთი, ჩასაფიქრებლად ღირდეს. პოეტური სიტყვის გასაფორმებლად დადაისტები ეძებენ უაზრო სიტყვებს, ნეოლოგიზმებს. სიტყვაში აზრი კი არაა საინტერესო, არამედ ბგერების შერწყმა.

ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ შალვა (1874-1959) – (ქსე) ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე, საქ. სახალხო არტისტი. დაიბადა ცნობილი მწერლისა და საზ. მოღვაწის ნიკ. დადიანის ოჯახში. განათლება მიიღო შინ მოწვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. 1893 წლიდან მსახიობმა დაიწყო ქუთაისის თეატრში. ცნობილია მისი პიესები „მღვიმეში", „როს ნადიმობდნენ", „გუშინდელნი", „კაკალ გულში", თეთნულდი", „ნაპერწკლიდან", „გიორგი რუსი", რომანი „გვირგვინების ოჯახი", მოგონებათა წიგნი „რაც გამახსენდა", აგრეთვე მრავალი მოთხრობა, ნოველა, ლიტ.-კრიტ. და პუბლ. წერილი და თარგმანები. ქართული თეატრის სცენაზე აქტიურად იდგმებოდა მისი პიესები. თავად კი 200-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული. „შალვა დადიანის პიესა „თეთნულდი" გამოხატავდა ძველი, პატრიარქალური ტრადიციების კვდომას" (სასკ. სახ.-ლო).

ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ცოტნე – (ქსე) საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XIII ს-ის I ნახევარში. 1245 მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება. მონღოლებმა შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს. გამოტეხვის მიზნით ისინი მცხუნვარე მზეზე დასხეს. ცოტნე დადიანი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას, მაგრამ როდესაც მან შეთქმულების მონაწილეთა ამბავი გაიგო, ნებაყოფლობით გაიზიარა ამხანაგების ხვედრი. ამ გმირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველთა სიმართლეში და ყველანი გაათავისუფლეს.

ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲐ – დასვენება, გაჩერება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ (1073-1125) –(ქსე) ქართველი ერის ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა არა მხოლოდ როგორც სწორუპოვარმა მეფემ და პოლიტიკურმა მოღვაწემ, არამედ როგორც დიდმა ჰუმანისტმა და პოეტმა. 16 წლის ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე და 36 წლის მანძილზე ბრძნულად უძღვებოდა სახელმწიფოს საქმეს. მას გაპარტახებული სამეფო ჩაბარდა, მაგრამ თავისი გონივრული პოლიტიკისა და ბრწყინვალე სტრატეგიის წყალობით იგი პოლიტიკური და ეკონომიკური სიმტკიცის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. დ. ა.-მა საქართველო გაათავისუფლა უცხო დამპყრობლებისაგან, დაიხსნა მაჰმადი-

ანთა ტყვეობაში მყოფი დედაქალაქი — თბილისი, გააფართოვა სამეფოს საზღვრები, განამტკიცა როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო შინაგანაწესი. დ. ა.-მა შექმნა მრავალეროვანი სახელმწიფო, სადაც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები. ააშენა გელათის ტაძარი, სადაც დააარსა აკადემია, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცენტრი. დაწერა პოეტური აღსარება „გალობანი სინანულისანი“. მას დასავლეთში და აღმოსავლეთში იცნობდნენ, როგორც უძლიერეს ხელმწიფეს, უზენაესის მიერ საქრისტიანოს მხსნელად მოვლინებულს. დ. ა. ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. დასაფლავებულია გელათში — ანდერძის მიხედვით („ფეხი დამადგით“ — ა. კალან.).

დავით გარეჯა — (ქსე) ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიური და კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი; მდებარეობს თბილისის სამხ.-აღმ.-ით 60-70 კმ-ზე, ისტორიულ კუთხეში, გარეჯის კლდოვან მთებში. დაარსებულია VI ს. I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის — დავითის მიერ. იგი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს (იხ. ასურელი მამები), რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით.

დავითის ლავრას სხვა მონასტრებიც მიემატა; მათმა რიცხვმა თორმეტს მიაღწია.

დ. გ.-ს მშენებლობამ მწვერვალს XII-XIII ს.ს. მიჯნაზე მიაღწია. აქ გამომუშავდა მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა. იგი მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა მონასტრებისაგან. აქ უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად თავი იჩინა დიდებულებამ, გრანდიოზულობამ, ინტერესმა ფართო, თავისუფალი სივრცისადმი. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ეკლესიებისა და სატრაპეზოების მოხატულობა; განსაკუთრებით ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, საქართველოს მეფეთა პორტრეტები.

დ. გ. განათლების მძლავრი კერა იყო. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: დემეტრე I, ონოფრე მაჭუტაძე, ს. ს. ორბელიანი, გაბრიელ საგინაშვილი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი და სხვა. ისინი ეწეოდნენ შემოქმედებით შრომას; ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, დახმარებას უწევდნენ კულტურის სხვა კერებს. აქ დაცული იყო ხელნაწერთა მდიდარი ფონდი. „ზაალის ბრძანებით ოძელაშვილი საკალმასოდ მოსულ ბერს გაჰყვა და ყოველგვარი ნუზლი ხუთი ურმით ჩაუტანა გარეჯის უდაბნოში“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

დავითნი — ფსალმუნთა წიგნი. „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი“ („გრ. ხანძთელი“ — გ. მერჩ.).

დავითი [ებრ. — საყვარელი] (ძვ. წ. X ს.-ის მიწურული, დაახლ. 950 წ.) — (ქსე) იუდეველთა და ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე, ბეთლემელი იესეს ძე. ბიბლიის მიხედვით დ. მწყემსი ყოფილა.

მწყემსობის დროს მან შვიდსიმიანი საკრავი-ქნარი გააკეთა და მშვენივრად უკრავდა მასზე. ღვთის სადიდებელ ვედრებას იგი ლექსად თხზავდა და ქნარის თანხლებით მღეროდა (დავითის საგალობლები თავმოყრილია ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში, რომელსაც „დავითნი" ანუ „ფსალმუნნი" ეწოდება). დ.-მა გააერთიანა და გააძლიერა სამეფო და დედაქალაქად იერუსალიმი აირჩია; იგი რელიგიურ ცენტრად გამოცხადდა. ამ მიზნით აქ „კიდობანი იგი შჯულისაი" გადმოასვენა. დ.-ის მიერ დაარსებულმა დინასტიამ ძვ. წ. 586-მდე იმეფა. თავის შვილს სოლომონს მან დაუტოვა ძლიერი სახელმწიფო. რელიგიური ტრადიცია დ.-ს მიაწერს „ფსალმუნთა" (ქართული „დავითნი") შედგენას: „ანგელოზთაგან იკრთოდა მუნ დავითის ქნარი, და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!" („ებოვე ტაძარი"— ნ. ბარათ.). „კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში. ის კი ავიწყდებოდა, რომ ის ებრძოდა ამალეკთა და ეს თათარ-ლეკთა" („ბაში-აჩუკი"— აკ. წერ.).

დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა — (ქსე) მიწა-წყალი, რომელიც ტაოს მეფის დავით III-ის ანდერძის თანახმად ბიზანტიის იმპერიას უნდა გადასცემოდა და რომლის გამოც შემდეგში ხანგრძლივი ომი ატყდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. დავით III-ის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა იმიერ ტაო ჩრდილო-ბასიანითურთ. 979 წელს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბიზანტიის ხელისუფლებამ დავით III კურაპალატს გადასცა „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი, რაჲთა თავისა სიცოცხლესა აქონდინ" (გიორგი მთაწმინდელი). ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნების სამემკვიდრეოდ შენარჩუნების მიზნით დავით III დაუკავშირდა იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა ბასილი კეისრისათვის პატიება ეთხოვა და დათანხმებულიყო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიის იმპერიას შეერთებოდა.

დავითფერული — (ქსე) სწორი, პირბასრი, დრეკადი, სამლარიანი ხმალი. ამზადებდნენ საუკეთესო ფოლადისაგან. ფერად „ლიბრი" (მოლურჯო) იყო. გორდასთან ერთად ერთ-ერთ საუკეთესო, „ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებლო" ხმლად ითვლებოდა მთელს საქართველოში და ძვ-რად ფასობდა.

დავით სოსლანი — (ქსე) თამარ მეფის მეორე ქმარი. თამარმა იქორწინა მასზე 1187 წელს დიდუბის სასახლეში. წყაროს ცნობით, დ. ს. იყო თამარის მამიდის რუსუდანის „გაზრდილი" და „თვისი" („თვისი" უფრო გავრცელებული აზრით აღნიშნავდა ნათესავს, სხვა მოსაზრებით — ქვეშევრდომს, ვასალს; ასევე „გაზრდილს" ჰქონდა ორი მნიშვნელობა: გაზრდილის და ვასალობის). მემატიანე ახასიათებს, როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ სასიამოვნო გარეგნობის კაცს. დავით სოსლანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში. როგორც თანამეფე, სოსლანი სახელმწიფოს გამგებლობაშიც მონ-

აწილეობდა. მეცნიერთა აზრით, დავით სოსლანი იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი I-ისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესაგან (იხ. ალდე დედოფალი). ვახუშტის ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რომელიც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა; იქ იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დ. ს. მისი შთამომავალი იყო. მას ბაგრატიონად მიიჩნევს „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც."

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ (1745-1824) — (ქსე) დავით ალექსის ძე მესხიშვილი, ქართველი მეცნიერი, მწიგნობარი, პედაგოგი, კალიგრაფი. ერეკლე II-ის კარზე მდივან-მწიგნობარი იყო და გაიოზ რექტორთან ერთად ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს. იყო თელავის სემინარიის რექტორი. ეწეოდა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას. სემინარიაში ასწავლიდა გრამატიკას, თეორიულ ფიზიკას, ეთიკას. მაგრამ ოფიციალური სასწავლო გეგმები არ აკმაყოფილებდა. ფართოდ გაშალა სემინარიაში საგანმანათლებლო მუშაობა. ავტორია მრავალი სახელმძღვანელოსი. შეადგინა ხელნაწერთა სიები — კატალოგი. ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. ეტყობა ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის გავლენა. იგი დახვეწილი და ნაყოფიერი კალიგრაფი იყო. მის მიერ არის გადაწერილი ქართულ სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია. „მიმართვას ხელს აწერდნენ მეფის ძე იოანე, ეშიკაღას-ბაში მაყაშვილი, მეთვარი თარხნიშვილი, თელავის სემინარიის რექტორი დავითი" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ᲓᲐᲕᲚᲐᲗᲘᲐᲜᲘ — (ვაჟა) დავლათის, იღბლის მქონე, სვებედნიერი. „ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ᲓᲐᲖᲠᲒᲐ — (საბა) მოყინვა, ყინვისაგან მოწვა. დაზრობა ყინვისაგან დამწვარი. „ცივის მთქნარებით გაორთქლილ გარემოს ნაადრევი ზრობის ფერი გადაპკვრია" („თავადის ქალი მაია" — ლ. ქიაჩ.).

ᲓᲐᲗᲕᲝᲣᲚᲘ — (ქეგლ) საფრთხობელა საცეხვავის დარი, დათვების დასაფრთხობლად აგებული. „დაქანცულ აქლემებსავით აკანტურებდნენ ეს ახმახი დათვოულები თავს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲐᲚᲐᲚᲘ — (საბა) 1. თმები დაწნული, ზურგისა კერძ გადაშვებული. გრძელი ნაწნავი. „დალალი დაიშალა ბირმშვენიერმა შორენამ" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). 2. შუამავალი, შუაკაცი ვაჭრობაში, იგივე, რაც მაჭანკალი. 3. ფეხზე მოვაჭრე. „თეიმურაზს გარკვეული ხელობა არ ჰქონდა, ამიტომ დალალობას მიჰყო ხელი" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

ᲓᲐᲚᲐᲥᲘ — (საბა) ვარსამი, თავის მპარსველი, პარიკმახერი. „იქ სოფლის დალაქს სახას ხელსაწყო გამოეტანა და მარაბდელებს წვერს პპარსავდა" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ᲓᲐᲚᲘ — (მით.) კლდის ტურფა ქალი. ნ. ცირობის ქალღმერთი სვანურ მითოლოგიაში; ნადირთა და მთაში ასულ

მონადირეთა ბედის განმგებელი. იგი უძველესი ქალღმერთია. ფრიად ხორციელი, ვნებიანი და მოსიყვარულე დედა. ხიბლავს გამორჩენილ მონადირეებს, სიყვარულის ქსელში ახვევს და წყალობას არ აკლებს, მაგრამ თუ უღალატა, გასცა და გაამხილა, არ დაინდობს — ზვავს გაატანს, ან კლდეზე გადაჩეხავს. დალის სიყვარული ნადირობაში წარმატების საწინდარია. კარგ მონადირეზე იტყვიან დალი ჰყავსო.

სვანური მითების მიხედვით დალი ზის კლდის ქიმზე და ოქროს სავარცხელით ოქროს თმას ივარცხნის, მღერის ან ჩივის, მოსთქვამს. მონადირე გამოივლის, დალი ოქროს ნაწნავს გადმოუშვებს და მონადირეს აიყვანს, დაიახლოვებს. როგორც ვნებიანი ქალღმერთი, დალი ნიმფებსა და აფროდიტეს მოგვაგონებს. დალისა და დარჯელანის შვილია ჩვენი ეროვნული გმირი, ამირანი. იხ. ამირანი.

ႣႠႫႡႠ — (უსლ) ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარის ან ზღვის ნაპირზე მდებარე ადგილების დასაცავად წყლის გადმოხეთქვისაგან, ჯებირი (აკეთებენ ელ. სადგურების წყალ|საცავებზე). „ბარს ედები, ცას ედები წყალს დაღარულს დამბებით“ („ომნიბუსით“— გ. ტაბ.).

ႣႠႫႼႷႠႪႭႡႤႡႠ — (ვაჟა) ხატის სახელით დალოცვა, ვინმესათვის ხატის წყალობის გამოთხოვა. „ვის ამწყალობებენ ალუდავ, ამა კურატით შავითა“ („ალუდა ქეთელაური“ — ვაჟა).

ႣႠႬႨႤႪႨ — დანიელ წინასწარმეტყველი. (ბიბლ. ენც.) ყმაწვილი ებრაული წარჩინებული გვარიდან, რომელიც ბაბილონის ტყვეობაში მოხდა. დ. ყველაფერში ღმერთს ემორჩილებოდა, მკაცრად იცავდა რა იუდეველთა წესებს, მან უარი თქვა სამეფო ულუფაზე, რამაც დასუსტების ნაცვლად ერთგვარად გაამაგრა მისი ფიზიკური ძალა. ღმერთმა დ.-ს უჩვეულო სიბრძნე მიანიჭა — მან იწ¬ნასწარმეტყველა ბაბილონის სამეფოს დაღუპვა. ბაბილონი მართლაც დაიპყრეს სპარსელებმა. სპარსელების მეფობის დროს დ. მნიშვნელოვან სახელმწიფო მოღვაწედ რსება. შურიანმა დიდკაცებმა მის წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება, მაგრამ იგი ღმერთმა იხსნა განსაცდელისაგან. „[მელქისედეკმა] უბრძანა ეზოსმოძღვარს, დაბადება უკითხეო მეფეს, განსაკუთრებით დანიელი, თავი მეოთხე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „[გრიგოლ ხანძთელი] თავით თვისით დანიელ წინასწარმეტყუელისა სიტყუასა იტყვნ, ვითარმედ: „პური გულის სათქუმელი არა ვჭამო““ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“— გ. მერჩ.).

ႣႠႬႲႤ ალიგიერი (1265-1321)— (ქსე) იტალიელი პოეტი. მისი ცხოვრების უმთავრეს ფაქტებს მისივე ნაწარმოებებიდან ვიგებთ. წარმოშობით იგი რომაელ მოქალაქეთა მაღალი ფენიდან ყოფილა. სწავლობდა ბოლონიის უნ-ტის იურიდ. ფაკ.-ზე. გაეცნო არისტოტელეს ეთიკას, ციცერონის რიტორიკას, ჰორაციუსის პოეტიკას, ანტიკურ მწერლობას. სცოდნია რამდენიმე ენა; დაუფლებული ყოფილა თეოლოგიას და მეცნიერების სხვა დარგებს.

ლირიკ. კრებულით „ახალი ცხოვრება“ Ⴃ.-მ ახალი ეტაპი დაიწყო .ტალიის

ლიტერატურაში. ამ ქმნილებაში პირველად გამოჩნდა პოეტის მიჯნურის ბეატრიჩეს სახე, რომელიც ბოლომდე გაჰყვა დ.-ს შემოქმედებას. მაგრამ ბეატრიჩე ისე ჰგავს ხატვას, ოცნებას, წარმოსახვას, რომ პოლემიკის საგნად იქცა მისი რეალურად არსებობის ფაქტი. „ახალი ცხოვრება" ავტობიოგრაფიული და ამავე დროს ღრმად ალეგორიული ხასიათის თხზულებაა, რომელშიც ავტორი გადმოსცემს თავის დიდსა და წმინდა სიყვარულს. ბეატრიჩე გაღმერთებულია: იგი არის პოეტური სახეც, ესთეტ. ფორმაც, ამქვეყნიურიც და ღვთაებრივიც. ამ ლირიკულ კრებულში წარმოსახული მიწიერი და ზეციური ცხოვრების შეპირისპირება, სიყვარულის ამაღლებული იდეა, დანტესეული სიმბოლიკა და ალეგორია სრულად გაიხსნა გენიალურ პოემაში „ღვთაებრივი კომედია". დ.-მ მას კომედია უწოდა. „ღვთაებრივი" პოეტის სიკვდილის შემდეგ დაუმატეს ეპითეტად.

ნაწარმოების სიუჟეტ. ქარგა ასეთია: 1300 წელს, ცხოვრების შუაგზაზე პოეტს გზა დაეკარგება უსიერ ტევრში, ხედავს მზის სხივებით განათებულ გორაკს, მაგრამ მისკენ მიმავალ გზას გადაუღობავს სამი მხეცი: ჯიქი, ლომი და ძუ მგელი. მხსნელად მოევლინება ვერგილიუსის ლანდი (ვერგილიუსს სულიერ მასწავლებლად მიიჩნევდა), რომელიც მეგზურობას უწევს მას. ვერგილიუსის მეშვეობით პოეტი შეიცნობს ცოდვასა და შეცდომებს; ჯოჯოხეთში იგი ხედავს ბოროტების ყოველგვარ გამოვლინებას და სასჯელს მათ გამო, ხოლო სალხინებელში შეიცნობს აღსარებისა და მონანიების მდგომარეობას. მიწიერი ცოდვებისა და შეცდომებისაგან განწმენდილ პოეტს ვერგილიუსი წარუდგენს ახალ მეგზურს ბეატრიჩეს (რწმენის, სიყვარულისა და სიკეთის განსახიერება). ვისი მეშვეობითაც დ. იხილავს სამოთხეს.

დ.-ს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა მთელ ევროპულ ლიტერატურაზე. „ღვთაებრივი კომედია" მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. იგი ქართულად თარგმნეს კ. გამსახურდიამ და კ. ჭიჭინაძემ. „ვით სამოთხიდან ალიგიერი მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული" („სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში"— გ. ტაბ.).

ᲓᲐᲝᲙᲔᲑᲐ — შეკავება, მოთოკვა. „ჭიაბერის გამოხედვაში მამამზემ დაოკებული ბოღმა შენიშნა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲐᲠᲐᲘᲐ (ძვ.) — (ქეგლ) აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმის მანდილი. „დარაიას თეთრი ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული [ზონდოს]" („თავადის ქალი მაია"— ლ. ქიაჩ.).

ᲓᲐᲠᲐᲑᲐ — (ქეგლ) ფიცრის დასაკეცი საფარი ფანჯარაზე, ან კარზე. იყენებდნენ სავაჭროს ან სახელოსნოსათვის. „ქალმა დარაბები დახურა" („დადიანის ასული და მათხოვარი" — ლ. ქიაჩ.).

ᲓᲐᲠᲐᲜᲘ — (საბა) კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი სამალავი. (ქ. მწ.) ნაპრალი, გამოქვაბული.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ — ძველებური ქართული საცხოვრებელი სახლი, რომლის დამახასიათებელია დედაბოძი და გვირგვინი. „მგზავრებმა იმ ალაგას ჩაიარეს, სადაც არს-

ენას დარბაზი იდგა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

დარბაზის ერი — (საბა) სანკლიტიკოსი — ტაძრეული, დარბაზის ერი, დარბაისერი, რჩევის მოქმედნი ტაძრეული, რომელ არს დარბაისელი — დარბაზის ჩინებული. დარბაისელი — დიდებული. „მყისვე მოიხმო მეფემ დარბაზისერნი წინაშე თვისსა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

დარიჩინი — ტროპიკული მარადმწვანე მერქნიანი მცენარე, რომლის ტოტების გამხმარი სურნელოვანი ქერქი იხმარება სანელებლად.

დარუბანდი, დერბენდი [სპარს. კარი, ბანდზღუდე] — (ქსე) ჩორი, ქალაქი დაღესტანში კასპიის ზღვის სანაპიროზე; ნავსადგური, რკინიგზის სადგური მაჰაჩყალა-ბაქოს ხაზზე. „შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი დარუბანდიდან მოტანილ კარებს“ („ვინა სთქვა?“ — ს. ჩიქ.).

დასაბამი — (ბიბლ, ენც.) სამყაროს შექმნის დასაწყისი, პირველსაწყისი. (საბა) პირველმქმნელი, გინა პირველქმნილი. ჩვენში ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ითვლიდნენ, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი წინაპრები დათარიღებისას იყენებდნენ ბიზანტიურ სისტემასაც, რომლის მიხედვითაც ეს პერიოდი 5508 წლით განისაზღვრებოდა. (იხ. წელთაღრიცხვა). „ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ასდამეორესა წელსა, ქორონიკონსა ოთხმეოცდაერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრება ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა, დასაბამითგან გარდასულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოცდამეათოთხმეტსა წელსა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — გ. მერჩ.). „ასე ყოფილა ჟამის დასაბამიდან“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

დასადაგი [ძვ.]— დასაწვავი.

დასი [ძვ.]— გუნდი, კრებული.

დასტაქარი, დოსტაქარი — (ქეგლ) იგივეა, რაც ქირურგი. „ჩქარა მუხათში აირბინე და დოსტაქარი ზაქრო ბაჯიაშვილი მარაბდაში ჩამოიყვანე“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

დასტური (ძვ.) — 1. (ქეგლ) ფშავხევსურეთში ხატის მსახური, რომელსაც ლუდის ხარშვა ევალებოდა სალოცავში. იგი დეკანოზს ეხმარებოდა აგრეთვე საკლავების დაკვლასა და ხორცის განაწილებაში. „ხუცმა ყელი გამოღადრა მსხვერპლს. დასტურმა ჯამი გაავსო ცხელი სისხლით“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.). 2. თანხმობა, დათანხმება. დასტურს აძლევს — ნებას რთავს.

დასტურის წიგნი — (საბა) ფარმანი.

„დასტურლამალი“ — ვახტანგ VI-ის კანონთა კოდექსი. „მახსოვს მოხუცი ჭადარი და ძველი დასტურლამალი“ („მივარდნილი ალვანი“— გ. ტაბ.).

დაუნჯებული — (ქეგლ) განძად დაგროვებული რამ, შენახული (განძი, სიმდიდრე, საუნჯე).

დაურვება — (ქეგლ) მოვლა. გაწმენდა, დასუფთავება, მზრუნველობა. „შენ მაშინ გულისტკივილით დაგვიურვე“ („სახჩობელაზედ“ — ი. ჭავჭ.).

ᲓᲐᲣᲠᲬᲧᲔᲑᲐ — (საბა) იხ. ყველიერი.

ᲓᲐᲣᲯᲓᲝᲛᲔᲚᲘ [ძვ.]— (ქეგლ) საეკლესიო საყვედრებელის შესხმა, რომლის შესრულების დროსაც დაჯდომა არ შეიძლება. „საზებირო ლოცვებს ვიტყოდით და ზედაც დაუჯდომელს მივაბამდით“ („ჩემი თავგადასავალი“— აკ. წერ.).

ᲓᲐᲤᲐᲠᲜᲐ — მღვდელმსახურეთა ჭურჭლის (ბარძიმ-ფეშხუმის) გადასაფარებელი ნაქარგი. „ბერმა კნეინა ხორეშანის მიერ ბისონით მოქარგული დაფარნა იბოვა და ჯიბეში ჩაიჩარა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲓᲐᲤᲜᲐ — (საბა) ბერძნულია, ქართულად რაფინდი ჰქვიან. (ქეგლ) მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, აქვს სურნელოვანი ფოთლები, იყენებენ საჭმლის სანელებლად. დაფნის ტოტი დიდების ნიშანია ლიტერატურასა და ხელოვნებაში. „უპირველესად მომანიჭეს დაფნა მეფეთა, იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა“ („მარტოობა“ — გ. ტაბ.).

ძველი ბერძნები და რომაელები მარადმწვანე დაფნის ტოტების გვირგვინით ამკობდნენ, აჯილდოებდნენ პოეტურ თუ სხვა შეჯიბრებაში გამარჯვებულს. პირველ რიგში იმპერატორებსა და სარდლებს. თავდაპირველად კი ღმერთების გამოსახულებას.

დაფნის გვირგვინით პირველად შეამკეს იულიუს კეისარი, აზიაში ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნების გამო.

ᲓᲐᲦᲕᲚᲐᲠᲭᲜᲘᲚᲘ — დაგრეხილი. „და ხმალმანცა დაღვარჭნილმან უვარყო ქარქაში თვისი“ („ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა“).

ᲓᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲐ — მოფერება. „დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი“ (ა. კალან.). „არსაკიძე მიეპარა მიმინოს, დაუყვავა, ბრჭყალებიდან წერო გამოაცალა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲓᲐᲧᲘᲕᲜᲔᲑᲐ — შერცხვენა.

ᲓᲐᲧᲛᲣᲜᲕᲔᲑᲐ — შეჩერება, შედგომა, საგონებელში წასვლა, დადუმება.

ᲓᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲘ — განმდგარი, განდეგილი. „მაგრამ რა ღმერთი გასწყრომია დათუნას! ახლაც გულმშვიდია დაყუდებულივით“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲓᲐᲨᲕᲠᲔᲑᲐ — (ქეგლ) დიდ შრომას გასწევს, დიდად გაირჯება, დაიღლება.

ᲓᲐᲨᲜᲐ — (საბა) მოკლე ხმალი, გინა ქსლის საბექავი. (ქეგლ) მოკლე, სწორი ხმალი. „დუელი უნდა შემდგარიყო დაშნით“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲓᲐᲨᲠᲔᲢᲐ — (ქეგლ) დაშრობა, გაქრობა.

ᲓᲐᲩᲐᲠᲓᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘ — (ქეგლ) ჩარდახით დახურული (ურმები). „არ ჩანს ურმები მოჩარდახული ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე“ (ი. გრიშ.).

ᲓᲐᲫᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ — (ქსე) ძმად გაფიცვა ორ მეგობარს შორის, ძმური კავშირის განმტკიცება. ხელოვნური ნათესაობის დამყარებით. გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნის ხალხებში. გვხვდება ძველ საქართველოშიც, განსაკუთრებით მთაში. არსებობდა დ.-ის სხვადასხვა წესი: საკლავით დ. — ძმად გაფიცვის მსურველები რომელიმე დღეობაზე ხატში (სალოცავში) გაყიდოდნენ ნა-

თესავთან ერთად. ხევისბერი მათ დალოცავდა და საკლავის სისხლს ორივეს აპკურებდა; სისხლის გაზიარებით დ. — შინ, ან რომელიმე დღეობაზე თითებს გადაიჭრიდნენ და ერთმანეთზე მიადებდნენ; ფიცვერცხლის ჭამით დ. — არყით, ან ღვინით სავსე თასებში ვერცხლს ჩააფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და გამოცვლიდნენ; ტყვიების გაცვლით დ. — ერთმანეთში ტყვიებს გაცვლიდნენ. დ.-ის ყველა ამ წესის შესრულებისას აუცილებელი იყო ერთგულების ფიცის დადება. აღნიშნული წესები აღნიშნულია მხატვრულ ლიტერატურაშიც (ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, კ. გამსახურდია). ქალ-ვაჟს შორის და-ძმად გაფიცვაც სათანადო რიტუალის შესრულებით აღინიშნებოდა. რძით სავსე თასებში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და შესვამდნენ. და-ძმად უფრო ხშირად დედისერთა ქალები და ვაჟები იფიცებოდნენ.

ᲓᲐᲬᲐᲚᲘᲙᲔᲑᲐ — მწკრივად წასვლა. „ცაში შემოწალიკდნენ წერონი" (გ. ლეონ.). „მგლებმა წალიკი დაკრეს".

ᲓᲐᲬᲘᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ — (ქეგლ) დაგირავებული.

ᲓᲐᲬᲘᲜᲓᲕᲐ — (ქსე) ქალის საცოლედ დანიშვნა (იხ. ნიშნობა). დაწინდული — დანიშნული.

ᲓᲐᲭᲐᲨᲜᲘᲙᲔᲑᲐ — (იხ. ჭაშნიკი) საკვები და გემოვანი პროდუქტების, მათი ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის (თამბაქოსა და ღვინის) შეფასება მხედველობით, ყნოსვით, გემოთი (აქედანაა ჭაშნაგირი).

ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ [ფრ.] — (ქსე) აზრთა გაცვლა-გამოცვლა კრებაზე, თათბირზე, კამათი, ბაექრობა.

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ — (ქეგლ) 1. პირველი გამოსვლა სცენაზე, სამოქმედო ასპარეზზე; 2. ჭადრაკის თამაშის დასაწყისი.

ᲓᲔᲒᲠᲐᲓᲐᲪᲘᲐ — (ქეგლ) თანდათანობით დაქვეითება, დაცემა, გადაგვარება. „რეაქციული რომანტიზმი გამოხატავდა დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატიის შეხედულებებს" (სასკოლო სახ.-ლო). „ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ᲓᲔᲒᲣᲡᲢᲐᲪᲘᲐ [ფრ.] — (ქეგლ) რაიმე პროდუქტის გემოს გასინჯვა მისი ღირსების, ხარისხის გამოსარჩევად. დაჭაშნიკება.

ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐ — მშობლიური ენა; ენა, რომელსაც მშობლებისაგან ითვისებს ბავშვი, როგორც ურთიერთობისა და აზროვნების იარაღს; სამშობლო ქვეყნის ენა, იმ ხალხის, ერის ენა, რომელსაც ადამიანი მიეკუთვნება.

ᲓᲔᲓᲐᲞᲐᲠᲓᲚᲘ — ობობა.

ᲓᲔᲓᲐᲛᲫᲣᲫᲔ — აღმზრდელი (იხ. მამამძუძე). „დალალებდაგლეჯილი დედამძუძე კიოდა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲔᲕᲘ — (ქსე) ქართული ხალხური ზღაპრის პოპულარული პერსონაჟი, ადამიანის მსგავსი ფანტასტიკური არსება, ტანად დიდი და ღონიერი, ზოგ-

ჯერ მრავალთავიანი (3, 9, 100-თავიანი); განასახიერებს ბოროტ ძალას. დევი მზეთუნახავებს იტაცებს და ქვესკნელში მალავს.

ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲘ — (უსლ) პირი, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამსახური, ან თავი აარიდა ჯარში გაწვევას. „დეზერტირები რუსულ ღმერთს პატიცულობდნენ, მაგრამ მაინც არ დაუჯერეს."

ᲓᲔᲖᲘ — (ქეგლ) 1. ყანწის მსგავსი რქოვანი გამონაზ:რდი, რომელიც უვითარდება ფეხზე ზოგ.ერთი ფრინველის მამალს. 2. ლითონის რკალი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზე ცხენის საჩხვლეტად, გასარეკად. „[ვარდანი] ცალ დეზს ატარებდა მარჯვენა ფეხზე." „დეზი პკრა თავის ულაყს გიორგიმ. ხევის სიღრმეში შეაგდო იგი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). „სოლომანი გულამღვრეული მოაჩაქჩაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა ბირუტყვს" (დ. კლდ.).

ᲓᲔᲙᲐᲑᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ — (ქსე) რუსი რევოლუციონერები, რომლებიც 1825 წ. დეკემბერში აჯანყდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. დეკაბრისტების მოძრაობა განაპირობა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევამ. დეკაბრისტების მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული 1812 წ. სამამულო ომთან, რომელმაც საზოგადოებაში უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ნიკოლოზ I სასტიკად გაუსწორდა მათ ჩამოხრჩობითა და გადასახლებით. 5 დეკაბრისტი (პესტელი, რილეევი, კახოვსკი, მურავიოვ-აპისტოლი და ბესტუჟევ-რიუმინი) ჩამოახრჩვეს. ნაწილი ციმბირში გადაასახლეს, ნაწილი კი — კავკასიაში. ასე მოხვდა საქართველოში სხვებთან ერთად ალ. გრიბოედოვი. დეკაბრისტებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ რომანტიკოსებს, 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებს. გრ. ორბელიანმა თარგმნა კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარება." „ბერმა დეკაბრისტების აჯანყების ამბავი გაიგო, სიარულის მაგიერ სირბილი დაიწყო" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ, ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲘᲖᲛᲘ — (უსლ) ბურჟუაზიულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში (XIX ს. დასასრული და XX ს. დასაწყისი) ანტირეალისტური მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი, ფორმალიზმი, საზოგადოებისაგან განდგომა. აღიარება პრინციპისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის." „დეკადენტური სკოლის გავლენა ფართოდ იკიდებს ფეხს ქართულ ლიტერატურაშიც" (სასკოლო სახ.-ლო). „მსოფლიო სევდა", რომელიც რომანტიზმის არსია, შემდეგ გადმოედოთ დეკადენტებსა და მოდერნისტებს" (ქ. ს. მ. ა.-ს. სიგ.).

ᲓᲔᲙᲐᲜᲘ — (ქსე) ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში. დეკანი პასუხს აგებს ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის ხარისხზე.

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ — (ქსე) 1. საეკლესიო იერარქიაში — უფროსი მღვდელი, ქართულ მონასტრებში მღვდლებისა და მგალობლების უფროსი. მონასტრის

წინამძღვრის შემდეგ პირველი პირი. 2. ალმ. საქართველოში ხატის მსახური, რომელიც სახატო რიტუალს (დროშებისა და ხატების გამოსვენება, დალოცვა, მსხვერპლის შეწირვის წესი) ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა. „ყველისციხის პატრონი გაოცებული შესცქეროდა ფხოველთა დეკანოზებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.)

დეკლამაცია — (უსლ) დეკლამირება — ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებით კითხვა, მხატვრული კითხვა.

დეკლარაცია [ლათ.] — (უსლ) 1. ოფიციალური საზეიმო გამოცხადება რაიმე აქტისა, კანონისა, ძირითადი პრინციპებისა მთავრობის ან პარტიის სახელით; თვით დოკუმენტი, რომლითაც ასეთი აქტი, კანონი არის გადმოცემული. 2. საფოსტო დოკუმენტი, რომელიც ახლავს საზღვარგარეთ გასაგზავნ ფულს ან ფასიან ქაღალდს.

დეკორი [ფრ.] — დეკორატიული ელემენტების (სამკაულების) ერთობლიობა, სისტემა.

დელგმა — დიდი წვიმა, კოკისპირული. „ღამეა ბნელი, დელგმაა, ზანზარებს მთა და ბარიო" (ვაჟა).

დელიბოში — გიჟი ლამაზი. „თეიმურაზმა და ალექსანდრემ ოთხი მხლებელი გაიყოლეს და დილაადრიან დილიბოზებით დიღმის გზას გაუდგნენ" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

დელიკატური [ფრ.] — (ქეგლ) 1. თავაზიანი, ზრდილობიანი (საქციელი). 2. ის, რაც ფრთხილსა და წინდახედულ, სათუთ მოპყრობას მოითხოვს.

დემაგოგია — (ქსე) ხალხის მოტყუება ცრუ დაპირებით, მლიქვნელობითა და განზრახ დამახინჯებული ფაქტებით.

დემოკრატია [ბერძ.] — (უსლ) სახელმწიფო მმართველობის ფორმა, პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. „სულხან-საბა ავითარებს დემოკრატიული აღზრდის პრინციპებს" (სასკ. სახ-ლო).

დემონი [ბერძ.] — (უსლ) 1. ქრისტიანულ მითოლოგიაში: ავი სული, ეშმაკი. 2. ბერძნულ მითოლოგიაში: კეთილი ან ავი სული. „ისე ნაზია ეს მოგონება, როგორც დემონის ფრთების შეხება" (გ. ტაბ.) „ფარსმანის ამორალურ ბუნებაში მეტყველებს არა დემონური, არამედ სატანური ძალა, რომელიც ეგოისტურ ვნებათა დაცხრომას ლამობს ტანჯვის მეშვეობით" (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

დენდი [ინგლ.] — ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებაში ნატიფად, მოდაზე ჩაცმული მამაკაცი, ფრანტი. „ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი, — დენდობა და რაინდობა..." („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

დეპრესია — (უსლ) ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოიხატება სულიერი დაძაბუნებით.

დერბი — სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი. „დოღის პირველობა — ქართული დერბი — ყოველ წელს დიღმის მინდორზე სწყდებოდა" (არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

დერგი, ხალამი, ქილა — თიხის მოზრ-

დილი ჭურჭელი, აქვს ქვევრის მოყვანილობა; იყენებენ ძირითადად ყველისა და მწნილის შესანახად (იხ. ხალამი) „მამიდამ დერგიდან ერთადერთი ყველი ამოიღო" („მე ვხედავ მზეს" — ნ. დუმბ.).

ᲓᲔᲠᲕᲘᲨᲘ [არაბ.] — ღარიბი მუსლიმანი მოხეტიალე ბერი. „გახდი დერვიში, უსამშობლო გლახაკთაგანი" — და ყარისმანმა დერვიშობა დაიწყო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲔᲠᲪᲘᲙᲘ — (ქ. მწ.) თერძი, ჩოხა-ახალუხის მკერვალი. „კოჭი-ბროლამ, ერთი დერციკის ცოლმა გადმომცა შუამთის მონასტრის საიდუმლოებები" („ბაში-აჩუკი"— აკ. წერ.).

ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ — (ქეგლ) დიპლომატიური წარმომადგენელი, ელჩზე უფრო მცირე რანგისა. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში წარგზავნილი საგანგებო პირი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებით — ელჩი. „ღამე თავის დესპანებს გზავნიდა ბაღში." „ მაისის მიწურულში ბიზანტიაში ჩავიდნენ დესპანები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘ — (ქეგლ) მონათმფლობელურ მონარქიებში — უმაღლესი მმართველი, რომლის ხელთ იყო განუსაზღვრელი უფლებები. 2. თვითნება ადამიანი, რომელიც სხვებს აიძულებს მის ნებაზე იქცეოდნენ, სხვის სურვილს არაფრად აგდებს; ტირანი. „სასულიერო სემინარიის მოსწავლეები მოითხოვდნენ შოვინისტი და დესპოტი მასწავლებლების დათხოვნას" (თ. ს. ს.).

ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘᲖᲛᲘ — (ქსე) შეუზღუდველი ხელისუფლება, თვითნებობა, რომელიც ახშობს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მისწრაფებას. „ახალი თაობის წარმომადგენელნი ამხელდნენ თვითმპყრობელობის დესპოტიზმს."

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ლიტერატურა — (უსლ) ავანტიურისტულ-სათავგადასავლო რომანი, მოთხრობა, რომელშიც აღწერილია დეტექტივის (მაძებრის) თავგადასავალი და უპირატესად მკვლელობა, ბანდიტიზმი. იდუმალებით მოცული ბოროტმოქმედების გახსნის პროცესი და ამის შესატყვისად გამოირჩევა ჩახლართული, საინტერესო, მძაფრსიუჟეტური ნაწარმოები.

ᲓᲔᲤᲝ დანიელ (1660-1731) — (ქსე) ინგლისელი მწერალი. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა პამფლეტებით. მისი ნაწარმოებები ძირითადად სათავგადასავლო ჟანრისაა. აღიარება მოუტანა რომანმა „რობინზონ კრუზო." მან ამ ნაწარმოებით მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში. იგი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულად თარგმნა 1086 წ. მ. ჯაჯანაშვილმა.

ᲓᲕᲘᲠᲔ — (საბა) დირე, საძირკვლის ძელი. „თეიმურაზმა ძლივს გადააბიჯა დირეზე" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.). (გადატ.) „ამოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ᲓᲕᲠᲘᲢᲐ — (ქეგლ) საყველედ რძის შესადედებელი მასალა. (გადატ.) დვრიტა დადება — წარმატების, სიკეთის ხელშემწყობ ძალად იქცევა; განვითარდება, ბარაქა, დოვლათი შეემატება, გამდიდრდება. აქ: ძირი, ფუძე, საძირკველი. „იქნებ ჩემმა ქვეყანამ მომთვისოს კიდეცა. რადგან ჩემში მა-

ინც და მაინც ჩემი ქვეყნის დვრიტადაა ჩადებული" („მგზავრის წერილები"— ი. ჭავ.) (აქ დვრიტა უფრო ძარღვია, გენია, სასიცოცხლო არტერიაა).

ᲓᲘᲐᲓᲔᲛᲐ [ბერძ.] — (უსლ) ძვირფასი თვლებით გაწყობილი თავსახვევი ან გვირგვინი — უზენაესი ქურუმების (მეფეების) ხელისუფლების ნიშანი. 2. ქალთა ძვირფასი სამკაული — ლია გვირგვინი. „დრომ მას დიადემა კრძალვით შეუხვია" (გ. ტაბ.).

ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ [ბერძ.] — (ქსე) მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმსახურთა იერარქიაში მესამე ჩინი ადრეული ქრისტიანობის ხანაში. დიაკონი თემის სამეურნეო საქმიანობას უძღვებოდა. მოგვიანებით ეპარქიის მართვაში ეპისკოპოსის თანაშემწე და ეპისკოპოსსა და სამწყსოს შორის შუამავალი იყო. XIX ს. II ნახ.-დან საეკლესიო იერარქიის ქვედა საფეხურზე იმყოფებოდა.

ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც კილო, კილოკავი.

ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲖᲛᲘ — სალიტერატურო ენაში ნახმარი დიალექტური სიტყვა ან გამონათქვამი.

ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) ფილოსოფიური მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონების შესახებ.

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ — (ქეგლ) საუბარი ორ ან მეტ პირს შორის.

ᲓᲘᲐᲛᲑᲔᲒᲘ — უფროსი მოსამართლე, მსაჯული.

ᲓᲘᲐᲞᲐᲖᲝᲜᲘ — (უსლ) 1. სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთობლიობა, რომლებიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან ხმისათვის. 2. (გადატ.) ზომა, მოცულობა (ცოდნისა, მოქმედებისა, ინტერესებისა).

ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲐ [ბერძ.] — (ქსე) ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოს გარეთ ცხოვრება, რასაც იწვევდა იძულებითი გადასახლება, გენოციდის საფრთხე, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება. თავდაპირველად იყენებდნენ პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამშობლოდან განდევნეს; შემდეგ კი გავრცელდა სხვა ეთნოსზე (სომხები, ირლანდიელები, ჩინელები).

ᲓᲘᲐᲪᲘ [ძვ.] — ქალი. „დიაცი ვარ, მაგრამ მამიჩემის თვალების დათხრას არ შევარჩენ მეფე გიორგის" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲘᲑᲐ [სპარს.] (ძვ.) — (ქეგლ) იგივეა, რაც ფარჩა. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. „დროს არ უყვარს დიდხანს დგომა და ყვავილებს აცლის დიბას" („ცელი კივის"— გ. ტაბ.).

ᲓᲘᲓᲐᲥᲢᲘᲙᲐ — (უსლ) პედაგოგიკის ნაწილი — მოძღვრება სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ. სკოლაში სწავლების თეორია. „სიბრძნე სიცრუისას" წიგნს დაჰკრავს ძლიერი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი იერი" (სასკ. სახ-ლო).

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ (1121) — (ქსე) ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშ-

ენბლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან).

1121 წ. აგვისტოს შუა რიცხვებში მუსლიმანთა ლაშქარი თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორში განლაგდა. ლაშქარს სათავეში ედგა ანტიქართულად განწყობილი ომის მთავარსარდალი ილღაზი. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარი 300 ათასი მეომრისაგან შედგებოდა (ფრანგი გოტიე 600 ათასს ასახელებს) და ბევრად აღემატებოდა საქართველოს ლაშქარს (40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი მეომარი). ლაშქარს დავით აღმაშენებელი სარდლობდა. მისი ბრძანებით ხევის ვიწრო შესასვლელი ხეთა ხორგებით შეუკრავს და უკანდასახევი ერთადერთი საშუალებაც მოუსპია.

1121 წ. 12 აგვისტოს დ. ბ. დაწყებულა. ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს ტაქტიკური ხერხისათვის მიუმართავს. როცა ორივე მოწინააღმდეგე ლაშქარი საომრად გამწკრივებულა, საქართველოს მხედრობის 200 ცხენოსანი მტრის რაზმისაკენ გაჭრილა. მუსლიმანთა ლაშქრის სარდლობას ისინი მეფის მოღალატეები ჰგონებია და დაუბრკოლებლად შეუშვია თავის განლაგებაში. მოულოდნელად მხედრებს იარაღი უშიშვლებიათ და მტრის მეომრებს დარევიან. გაბედულმა ხერხმა მტერი დააბნია. საქართველოს ლაშქარმა მტრის ფალანგებს ორი მხრიდან შეუტია. ქართველმა ლაშქარმა გაიმარჯვა. მტერმა დიდი ზარალი ნახა. ბუნებრივია, ბევრი ქართველი მოლაშქრე შეეწირა ამ ბრძოლას, მაგრამ მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით ისე მცირე ყოფილა, რომ ამაზე არც ერთი ისტორიკოსი არ ლაპარაკობს. პირიქით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აცხადებს, რომ საქართველოს მეფემ „თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლად." დ. ბ.-ის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ 1122 წ. დავით აღმაშენებელმა საქართველოს თბილისი შემოუერთა და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. დ. ბ.-ში გამარჯვებამ ბოლო მოუღო თურქ-სელჩუკთა ბატონობას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. „ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდგორალო, ნაშამქორალო" (მ. მაჭავ.).

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘ – იხ. ფაშიზმი.

ᲓᲘᲓᲝᲔᲑᲘ – (ქსე) ერთ-ერთი ტომი კავკასიაში. დიდოელები – (ჯეეზები) დაღესტნის მცხოვრები ხალხი.

ᲓᲘᲓᲠᲝᲐ – (ქეგლ) წყალდიდობა. „ბოლოს დაიწყო მდინარეების საგაზაფხულო დიდროაი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ᲓᲘᲓᲣᲑᲔ – (ქსე) ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონი. დ.-ს ეძახდნენ იმ მინდორს, სადაც ეხლა არის ნემენცის კოლონია, მუშთაიდის ბაღი და მინდორი ავჭალისაკენ. წარმოდგება სახელწოდებისაგან „დიდი უბე", ე. ი. დიდი ვაკე, დაცემული ადგილი. ამ მიდამოების ძველი სახელწოდებაა „ცხენის ტერფი" (VI ს.). დ. XII ს.-ში გვხვდება, როცა მემატიანე მეფე თამარისა და დავით სოსლანის ქორწინებისა და შამქორის ბრძოლის (1195) შემდეგ აქ

გამართულ სახალხო ზეიმს აგვიღწერს. დ.-ში იდგა თამარ მეფის ერთ-ერთი სასახლე (სადაც შედგა მისი მეორე ქორწილი) და კარის ეკლესია. „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი“ („სადღეგრძელო“— გრ. ორბ.).

ᲓᲘᲕᲐᲜᲘ (ძვ.) — სასამართლო.

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ, ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ — (უსლ) მხატვარ-კონსტრუქტორი, ტექნიკური ესთეტიკის სპეციალისტი, რომელიც აპროექტებს თანამედროვე, მოხერხებულ, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ანსამბლებს, ინტერიერებს, ავეჯს, ყოველდღიურად სახმარ ნივთებს.

ᲓᲘᲗᲘᲠᲐᲛᲑᲘ [ბერძ.] — (უსლ) 1. (ქსე) ანტიკური საზეიმო ლირიკის ჟანრი. ხალხური ორგიული ჰიმნი, სახოტბო ლირიკული ლექსი, რომელიც მიმიკური მოძრაობით სრულდებოდა კორინთში, მეტწილად რთველის დროს, ნაყოფიერების ღმერთის დიონისეს პატივსაცემად. დ.-ის შესრულებისას გუნდს გამოეყოფოდა წამომწყები. შემდგომში დ. საფუძვლად დაედო ანტიკურ ტრაგედიას. (გადატ.) გაზვიადებული აღფრთოვანება, ქება, ხოტბა (იტყვიან „დითირამბებს უგალობსო“).

ᲓᲘᲚᲔᲒᲘ — (ქეგლ) საპყრობილე. ციხე-კოშკი, რომლის ძირა ნაწილი გამოყენებული იყო საპყრობილედ. „შესაძლოა ქიაბერი და თალაგვა მცხეთაში ჰყავდეთ, დილეგში სადმე, — ფიქრობდა მამამზე ერისთავი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲓᲘᲚᲔᲛᲐ [ბერძ.] — (უსლ) მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია. ისეთი ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა. „სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრმა დილემამ სრულიად ბუნებრივი გამოსავალი ჰპოვა ლადო ასათიანის ლექსში“ („საუკუნის პოეტები“— გ. ასათ.).

ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲝᲑᲐ — (ქსე) მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე დარგში საქმიანობა სპეციალური მომზადების, სათანადო ცოდნის გარეშე; მოყვარულობა. დილეტანტი — ზერელედ მცოდნე, მოყვარული.

ᲓᲘᲚᲘᲟᲐᲜᲡᲘ [ფრ.] — (ქეგლ) მრავალადგილიანი დახურული ეტლი მგზავრების გადასაყვანად და ფოსტის გადასაზიდად (გავრცელებული იყო ძველად), ომნიბუსი.

ᲓᲘᲚᲛᲐᲯᲘ — მთარგმნელი.

ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) რაიმე მოვლენის, ცვალებადობის, განვითარების მიმდინარეობა (დინამიკური ზმნები). დინამიკური — რაც გამოირჩევა მოძრაობის, მოქმედების სიჭარბით. (დინამიკური სიუჟეტი, ცეკვა და ა. შ.) „[ხევისბერ გოჩაში] მოქმედების შეუნელებელი დინამიკა მკითხველს აიძულებს, შეუნელებელი ინტერესით მიჰყვეს სიუჟეტის განვითარებას“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲓᲘᲜᲐᲠᲘ [ლათ.] — (უსლ) ძველად ვერცხლის ან ოქროს ფული ევროპისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. 2. ძველ საქართველოში ოქროს ფული მისხლის წონისა; პერპერა.

3. ამჟამად ფულის ერთეული ერაყში, იუგოსლავიაში, ალჟირში, ტუნისში; წითელი ფული ირანში. „ანტიოქიის პატრიარქმა დაჰკარგა ათი ათასი ოქროს დინარი, ხარკად შეწირული ათას ქართული სულისათვის" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ႣႨႬႠႱႲႨႠ — (ქსე) ერთი და იმავე გვარის მეფეები, რომლებიც თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს ტახტზე მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე (მაგ. საქართველოში — ბაგრატიონები, რუსეთში — რომანოვები, საფრანგეთში — ვალუები და ბურბონები). „სულხან-საბა გრძნობდა, რომ ქვეყნის მთავარი უბედურება იყო შინაური აშლილობა, ფეოდალური კინკლაობა, დინასტიური ქიშპი" (სასკოლო სახ.-ლო).

ႣႨႭႬႨႱႤ [ბერძ.] — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში ღვინისა და დროსტარების, მხიარულების ღმერთი. (რომაულში — ბახუსი, ქართულში — აგუნა). „დიონისეს კულტის მიმდევარია კონსტანტინე სავარსამისძე „დიონისეს ღიმილში" (ქ. ს. ძ. ა. — ს. სიგ.).

ႣႨႭႬႨႱႤ ႠႰႤႭႮႠႢႤႪႨ (პეტრე იბერი) (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) — (ქსე) I ს. მოღვაწე, ათენის არეოპაგის წევრი, ქრისტიანობის მიღების შემდეგ — ათენის ეპისკოპოსი. სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც V ს. II ნახ.-ში არეოპაგიტული კორპუსის სახელწოდებით ცნობილი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულების ავტორობა მიაწერეს. საქართველოში Ⴃ. Ⴀ.-ს აღრიდანვე იცნობდნენ. მის სახელთან დაკავშირებული თხზულებანი მთლიანად თარგმნა ქართულად და კომენტარები დაურთო ეფრემ მცირემ. „ბრძენი Ⴃ."-ს კვალს ადასტურებს რუსთაველის მიერ სიკეთის საკითხის მონისტური გადაწყვეტილება: „ამა საქმეს მემოწმების დიონისე ბრძენი, ეზროს."

ႣႨႭႱႩႳႰႤႡႨ [ბერძ.] — (უსლ) ზევსის შვილები. ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის ტყუპი შვილები (მოკვდავი კასტორი და უკვდავი პოლიდევკე), რომლებიც მონაწილეობდნენ არგონავტების ლაშქრობაში, ითვლებოდნენ მოგზაურთა, სტუმართმოყვარეობისა და ცხენოსანთა შეჯიბრების მფარველად.

ႣႨႭႱႩႳႰႨႠ — ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე (ახლანდელი სოხუმის ადგილზე). დააარსეს ბერძენმა მოახალშენეებმა, მილეტელებმა ძვ. წ. VI ს.-ში. Ⴃ. მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობდა მარილით, პირუტყვით, ცვილით, პურით, მონებით. ახ. წ. I ს.-ში რომის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ამ დროს აშენდა ციხესიმაგრე, რომელშიც რომაელთა მუდმივი გარნიზონი იდგა, ქალაქს კი სებასტოპოლისი ეწოდა. Ⴃ.-ის აყვავების ხანა იყო II-III ს.ს. მისი დაქვეითება IVს.-დან იწყება. ციხესიმაგრე არსებობდა VI ს.-მდე. ზღვის ნაპირის დაწევისა და ზღვის შემოჭრის შედეგად Ⴃ.-ის ნანგრევები ამჟამად სოხუმის ყურის ფსკერზეა.

ႣႨႭႴႨႦႨႲႤႡႨ — (ქსე) ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს ორ ბუნებას — ადამიანურსა და ღვთიურს. მისი საპირისპიროა მონოფიზიტობა. როგორც დოქტრინა, გაფორმდა ქალკედო-

ნიის საეკლესიო კრებაზე 451 წ. აქედან ქალკედონობა მეორე სახელწოდებაა, საიდანაც ახალი ქრისტოლოგიური განმარტება მიიღო: ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური. ქართული ეკლესია დვინის საეკლესიო კრებაზე (506) ჩაება მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე ქრისტოლოგიურ პოლემიკაში და მონოფიზიტებთან შემრიგებლური პოზიცია დაიკავა. VII ს.-დან ქართული ეკლესიის მრწამსი დიოფიზიტურია.

დიპლიპიტო — (ქეგლ) საკრავი; შედგება ერთმანეთზე გადაბმული ორი სხვადასხვა ზომის თიხის ქილისგან, რომლებსაც პირზე ტყავი აქვს გადაკრული. უკრავენ ორი მოკლე ჯოხით.

დიპლომი — (ქეგლ) მოწმობა სასწავლებლის დამთავრების, ან რაიმე წოდებულების მინიჭების შესახებ; მოწმობა რაიმე კონკურსში გამარჯვების აღსანიშნავად.

დიპლომატი — (ქეგლ) პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა.

დიპლომანტი — (ქეგლ) სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს.

დირე — (ქეგლ)გათლილი ძელი, დადებული სახლის ნაწილის (კედლის, სვეტის) საძირკვლად, ან სარტყლად. იხ. დვირე. „თეიმურაზმა მოწყვეტილი ფეხები კარის დირეზე ძლივს გადაათრია" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

დისერტაცია [ლათ.] — მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც საჯაროდ იცავენ სამეცნიერო საბჭოს წინაშე კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დისიდენტი [ლათ.] — (უსლ) 1. პირი, რომელიც არ აღიარებს ქვეყანაში გაბატონებულ სარწმუნოებას; რჯულგანდგომილი. 2. არსებული პრაქტიკის უარმყოფელი, მოწინააღმდეგე.

დისკრიმინაცია — (ქსე) სახელმწიფოში განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის იმ უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა მოქალაქეებს. დ. შეიძლება ხდებოდეს მოქალაქეთა რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სქესის, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის და სხვათა მიხედვით. დამახასიათებელია ექსპლუატატორული საზოგადოებისათვის. დ.-ს განიცდიდნენ ქალები, ეროვნული უმცირესობანი, რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები (ინდიელებისა და ზანგების დ.).

დისკუსია — (ქეგლ) აზრთა გაცვლა-გამოცვლა სადავო საკითხებზე; კამათი, პაექრობა.

დისონანსი [ფრ.]— (უსლ) 1. კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეხამება. 2. (გადატ.) ისეთი რამ, რაც არ ეწყობა, არ ეგუება რაიმე ერთიანს, შეხმატკბილებულს; შეუწყობლობა. 3. ლექსთწყობაში არასრული, არაზუსტი რითმა. არაზუსტი რითმის ისეთი სახეობა, როცა მახვილიანი ხმოვნები განსხვავებულია: „ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა ქალარა გულის ზმანება ავი, ჩაწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია — ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი" (გ. ტაბ.).

ᲓᲘᲡᲞᲣᲢᲘ — (ქეგლ) საჯარო ბაექრობა, კამათი რომელიმე საკითხის, პრობლემის გარშემო.

ᲓᲘᲡᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ — (ქსე) ჰარმონიის დარღვევა; შეუთანხმებელი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

ᲓᲘᲣᲛᲐ ალექსანდრ (მამა) (1802-1870)— (ქსე) ფრანგი მწერალი. რესპუბლიკის გენერლის შვილი. მუშაობდა კლერკად სანოტარო კანტორაში. 1825 წელს გამოაქვეყნა ვოდევილი „ნადირობა და სიყვარული." 1829 წელს დაიდგა დ.-ს დრამა „ანრი III და მისი სასახლე," რომელმაც პრაქტიკულად დაამკვიდრა რომანტიკოსთა გამარჯვება კლასიციზმის ეპიგონებთან ბრძოლაში. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა სათავგადასავლო და ისტორიულმა რომანებმა: „იზაბელა ბავარიელი," „სამი მუშკეტერი," „ოცი წლის შემდეგ," „გრაფი მონტე-კრისტო," „დედოფალი მარგო," „ქალბატონი დე მონსორო." დ.-ს ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდია. მრავალი პიესისა და რომანის გარდა, მას ეკუთვნის მემუარები, მოგზაურობის ჩანაწერები, რომელთა შორისაა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

ᲓᲘᲣᲛᲐ ალექსანდრ (შვილი) (1824-1895) — ფრანგი მწერალი; ფრანგული აკადემიის წევრი. მისი პირველი ლექსების კრებული იყო „ახალგაზრდობის ცოდვები." სახელი გაუთქვა რომანმა „ქალი კამელიებით", რომელიც შემდეგ გადააკეთა პიესად „მარგარიტა გოტიე" (რომლის სიუჟეტზე ჯ. ვერდიმ შექმნა ოპერა „ტრავიატა"). დ. რომანში თანაუგრძნობს ი. კურტიზან ქალს, მაგრამ მომდევნო ნაწარმოებებში ამ სოციალურ ტიპში ხედავს მრავალი საზ. ბოროტების მიზეზს.

საქართველოში დ.-ს იცნობდნენ მის სიცოცხლეშივე. 1895 წ. ახალსენაკში გამოქვეყნდა ნ. ბადრიძის მიერ თარგმნილი „მარგარიტა გოტიე." რომანი დიდი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის სახ. თეატრში.

ᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲪᲘᲐ — რაიმე მთელის დაყოფა, დანაწევრება მრავალგვარ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილებად. „თაობათა შორის ბრძოლა ნათლად ახასიათებდა ქართველ ინტელიგენციაში დაწყებულ დიფერენციაციის პროცესს" (სასკ. სახ.-ლო).

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ — (ქეგლ) განუსაზღვრელი ხელისუფლება, რომელიც ემყარება გაბატონებული კლასის ძალას.

ᲓᲘᲥᲪᲘᲐ [ლათ.] — (ქეგლ) მკაფიო, გარკვევით წარმოთქმა სიტყვისა თუ სიტყვის მარცვლებისა, წარმოთქმის მანერა (ლაპარაკის, დეკლამაციის დროს).

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ — აწინდელი ნაქალაქევი, ძველთაძველი ქალაქი მაშავერას ნაპირად. „ექვთიმეს ეს ყველაფერი დმანისის, უფლისციხისა და გელათის სანახებში ჰქონია ნაპოვნი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲝᲑᲘᲚᲝ — იგივეა, რაც მაღლარი (დაბლარის საპირისპირო) ვენახი.

ᲓᲝᲑᲠᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲘ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — (ქსე) (1836-1861) რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. ნ. ჩერნიშევ-

სკისთან ერთად იყო რუს რევოლუციონერთა მეორე თაობის („სამოციანელების“) ბელადი. საქართველოში Დ.-ს ბევრი თაყვანისმცემელი, მოწაფე და პროპაგანდისტი ჰყავდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ქართველ სამოციანელთა („თერგდალეულთა“) შორის. როცა ი. ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა და „თერგდალეულებს“ სათავეში ჩაუდგა, მან თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში 1863 წ. დაბეჭდა დ.-ის სტატია. ქართველი მოღვაწეები გატაცებით კითხულობდნენ, ავრცელებდნენ და თარგმნიდნენ Დ.-ის კრიტიკულ წერილებს, სტატიებს. Დ.-ს თარგმნიდნენ: რ. ერისთავი, ა. ცაგარელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური. Დ.-ის შემოქმედებამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე.

ᲓᲝᲒᲛᲐ [ბერძ.] – (ქეგლ) დებულება, რომელიც დასაბუთებული არ არის და რომელსაც ბრმად, უკრიტიკოდ იღებენ. რელიგიური რწმენისა და ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილების საფუძველზე უკრიტიკოდ მიღებული დებულება (დოქტრინა), რომელიც ურყევ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული ყველა დროისათვის. „[ფარსმანი] მარიამის უხრწნელობის დოგმას აპამპულებდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

ᲓᲝᲒᲛᲐᲢᲘᲙᲐ – (ქსე) ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგი, მოძღვრება საღვთისმეტყველო დოგმების შესახებ. მასში გადმოცემულია ქრისტიანობის ფილოსოფიური არსი. Დ. წარმოიშვა წარმართობის, იუდაიზმისა და მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

Დ. ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. დოგმატიკური თხზულებები თარგმნეს X-XII ს. ს. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა. მანვე თარგმნა და შეადგინა ორიგინალური კრებული „დოგმატიკონი,“ რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართულ მწერლობაზე. XVII-XVIII ს.ს. საქართველოში იწერებოდა „კატეხიზმოს“ ტიპის სახელმძღვანელოები. მათ შორის მნიშვნელოვანია ს. ს. ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრება“ („სამოთხის კარი“).

ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ სოლომონ ივანეს ძე (1805-1836) – (ქსე) ქართველი განმანათლებელი, ფილოსოფოს-ლირიკოსი, ჟურნალისტი. 1822 წ. დაამთავრა თბილისის სას. სემინარია, 1827 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს დაბრუნდა თბილისში. 1828 წ. იყო გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ქართული გამოცემის რედაქტორი. 1832 წ. დეკემბერში დააპატიმრეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, 1834 წ. გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ჭლექით გარდაიცვალა.

Დ.-ის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუს. მოწინავე აზროვნებამ, განსაკუთრებით

დეკაბრისტებმა. კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს.

დიდი ღვაწლი მიუძღვის Დ.-ს ქართული ენის გარმატიკისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. 1830 წ. დაიბეჭდა სასკოლო გრამატიკა სათაურით „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა.“ წიგნის მიზანია გამართული წერა-კითხვისა და სწორი მეტყველების სწავლება. მასში შეტანილია: მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია. Დ.-ის გრამატიკა გამოირჩევა მასალის მწყობრი და თანმიმდევრული განხილვით, ნათელი მსჯელობით, მკაფიო დებულებითა და დახვეწილი ტერმინოლოგიით. Დ. იყო ბელეტრისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. „რიტორიკაში“ განხილულია მხატვრული პროზის თეორიის საკითხები, სტილისტიკისა და მეტყველების კულტურის საკითხები. Დ.-ის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა,“ რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი,“ ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდაა. ავტორი ასაბუთებს ქართული მწერლობის თვითმყოფადობას. Დ.-მა დატოვა მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა (წერილები ი. ხელაშვილისადმი, ფილად. კიკნაძისადმი, ანა დედოფლისადმი, ოქროპი ბატონიშვილისადმი). „ტფილისის უწყებანის“ ქართულ გამოცემას ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი. ჟურნალში იბეჭდებოდა ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებები“ (საკ. სახ.-ლო).

ႣႭႩႳႫႤႬႲႨ — რისამე დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი, რაიმე უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. დოკუმენტური — დოკუმენტებით დამოწმებული, დოკუმენტებზე დამყარებული (ლიტერატურა, ფილმი). „არქივში დაცული დოკუმენტური, ფოლკლორული თუ სხვა სახის მასალა ნათელყოფენ, თუ როგორ მუშაობდა მ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელისათვის“ საჭირო ფაქტების შეგროვებაზე“ („არსენა მარაბდელის“ შენიშვნები და კომენტარები).

ႣႭႪႠႡႨ — (ქეგლ) 1. წისქვილის ქვა. 2. ბანიანი სახლის სათვალე — სანათური. 3. ქვითკირის კედელში დატანებული უკარო განჯინა (ქვეშაგების შესანახიდ).

ႣႭႪႡႠႬႣႨ [სპარს.] — (ქეგლ) 1. თეთრი ფერის თხელი, რბილი ქსოვილი; იგივეა, რაც ჩალმა. 2. (გადატ.) საბრძოლო მუზარადი, ჩაბალახი. „დოლბანდიანი ჯარები სიკვდილის პირით მოდიან“ (გ. ლეონ.)

ႣႭႪႨ — ბატკნის მოგებისა და გოჭების დაყრის დრო. „ცხვარს ვუვლი, შენი ჭირიმე, დოლი დაიწყო“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ႣႭႫႤႱႲႨႩႨ [ლათ.] —(ქსე) მაღალი სამხედრო თანამდებობა ბიზანტიაში. XI ს. ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ დასავლეთის Დ. იყო ქართველი ერისთავთერისთავის ბაკურიანის ვაჟი გრიგოლ ბაკურიანის ძე. „ბიზანტიელი დომესტიკის ლაშქარი კვლავ შემოესია პალებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ႣႭႫႨႬႨႰႤႡႳႪႨ (დომინანტი) — (უსლ) გაბატონებული, ძირითადი, უპირატესი.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ – (ქეგლ) მეოცნებე ადამიანი, რომელიც უნაყოფო ბრძოლას ეწევა თავისი წარმოსახვითი დაბრკოლებების გადასალახავად, ფანტაზიური იდეალების განსახორციელებლად. (ესპანელი მწერლის სერვანტესის ცნობილი გმირის სახელის მიხედვით.

ᲓᲝᲜ ᲟᲣᲐᲜᲘ, დონ ხუანი – (ქსე) ძველი ესპანური ლეგენდის პერსონაჟი; მსოფლიო ლიტერატურაში სასიყვარულო ფათერაკებით გართული, მრუში და მაცდური რაინდის პოპულარულ სახედ იქცა. სევილიის ქრონიკა მოგვითხრობს, მეფის კარისკაცმა დონ ჟუან ტენორიომ როგორ გაიტაცა კომანდორის ასული და როგორ მოკლა მამამისი. თავად დონ ჟუანის სიკვდილი (იგი ბერებმა მოკლეს შურისძიების მიზნით) კომანდორის ძეგლის სასწაულმოქმედებას მიაწერეს. დ. ჟ.-ის სახემ შემდეგში ახალი სახე შეიძინა – გადაიქცა მეამბოხე ინდივიდუალისტად. დაუკავშირდა ამა თუ იმ ეპოქის სოც.-მორალურ პრობლემატიკას (მოლიერი, ბაირონი, პუშკინი, მოცარტი) არშიყობას გადაგებული მამაკაცი – მუსუსი; ესპანური თქმულებისა და ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების გმირი. კ. გამსახურდიას გიმნაზიაში ხუმრობით „დონ ჟუანი" შეარქვეს.

ᲓᲝᲠᲐᲜᲘ – (ქეგლ) მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზები თავმოყრილი არიან (იხ. ჯილე).

ᲓᲝᲠᲘ – (ქეგლ) ზურგის მისაყუდებელი ან საჯდომი ბალიში. „ქვეშაგებს თვალი მოჰკრა გიორგიმ, დორებს, საჟენებს..." („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲓᲝᲡᲢᲐᲥᲐᲜᲘ – დიდი ჭიქა.

ᲓᲝᲡᲢᲘ [სპარს.] – (ქეგლ) ამხანაგი, მეგობარი. „ოძელაშვილს ყველგან ჰყავდა დოსტი და მეგობარი" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.).

ᲓᲝᲡᲢᲝᲔᲕᲡᲙᲘ თეოდორ მიხეილის ძე (1821-1881)– (ქსე) რუსი მწერალი. დაიბადა ექიმის ოჯახში. დაამთავრა პეტერბურგის სამხ.-საინჟ. სასწავლებელი. პირველივე ნაწარმოებმა („საბრალო ადამიანები") გაუთქვა სახელი. განიცდიდა ბელინსკისა და სოციალისტ-უტოპისტთა გავლენას. 1849 წ. დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ სიკვდილი შეუცვალეს ციმბირის კატორღით. კატორღის შემდეგ სალდათად გაამწესეს. მხოლოდ 1859 წ. დართეს ცენტრალურ რუსეთში დაბრუნების ნება. მისი ნაწარმოებებია: „ბიძის სიზმარი," „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი," „ბარათები მკვდარი სახლიდან." ციმბირში ფიზიკურმა და ზნეობრივმა ტანჯვამ ვერ ჩაკლა მასში ადამიანისადმი რწმენა. პირიქით, გაუმძაფრა ბრძოლის სურვილი. დ.-ის მთავარი რომანებია: „დანაშაული და სასჯელი," „იდიოტი," „ეშმაკნი," „ყმაწვილი," „ძმები კარამაზოვები." დ. ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა; ძმასთან ერთად გამოსცემდა ჟურნალებს: „ვრემია," „ეპოხა," „გრაჟდანინ," რომლებშიც ბეჭდავდა „მწერლის დღიურს." დ.-ის შემოქმედებაში ჩანს ტრაგედია პიროვნებისა, რომლის ადამიანური ღირსება შებღალულია უსამართლო საზოგადოების მკაცრი კანონებით. დ. ცდილობს შეუნარჩუნოს ადამიანს რწმენა საკუთარი შესაძლებ-

ლობისადმი და არ წაართვას მას მომავალი: „ადამიანებს, — ამბობს იგი, — შეუძლიათ იყვნენ მშვენიერნი და ბედნიერნი, და არ დაკარგონ დედამიწაზე ცხოვრების უნარი. მე არ მინდა და არ შემიძლია დავიჯერო, რომ ბოროტება შეიძლება იყოს ადამიანის ნორმალური მდგომარეობა." „დიდ მწერალ დოსტოევსკის ასეთი ანდერძი აქვს დატოვებული: მშვენიერება დაიხსნის ქვეყანასო. ეს ანდერძი უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც კი წასაკითხავად აიღებს წიგნს" (რ. ინანიშვილის ბიოგრაფია — სასკ. სახ-ლო).

ᲓᲝᲨᲐᲙᲘ [თურქ.] – (ქეგლ) ბუმბულის სქელი ლეიბი. „ჯვალოს ძონძები ეკიდა კედლებზე. დაფხრეწილი მუთაქები და დოშაკები ეგდო კუთხეში" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ᲓᲝᲨᲘ — (ქეგლ) ზუთხის, ორაგულის და ზოგი სხვა ლორად გამოყვანილი გვერდი. „მიზეზ-მიზეზ დოშს მარილი აკლიაო." „[ლუარსაბს] თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა" („კაცია-ადამიანი?!"— ილ. ჭავჭ.).

ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ გურამ პეტრეს ძე (1939)— (ქსე) ქართველი მწერალი. დაამთავრა თსუ-ს ისტორიული ფაკულტეტი. პირველი მოთხრობები „პირველი კონცერტი" და „თანამგზავრი" ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა 1961 წელს. Დ. ავტორია მოთხრობების კრებულისა: „ნაბიჯი," „მხიარული ბორცვი," „საქმე," „მოთხრობები" და რომანისა — „სამოსელი პირველი."

ᲓᲠᲐᲒᲣᲜᲘ — (უსლ) მეფის რუსეთისა და ზოგი სხვა ქვეყნების არმიებში ჯარისკაცი ან ოფიცერი ისეთი კავალერიული ნაწილებისა, რომლებიც განკუთვნილნი იყვნენ ქვეითად და ცხენდაცხენ საბრძოლველად. „ზაალის შვილი დავითი, დრაგუნთა მუნდირში ჩაქედილი, ღრმად იყო დაჯერებული, რომ მწოლიარე ზეზემდგომელზე უფრო კარგად მფერიხო" „არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.). „ალ. ჭავჭავაძემ დატოვა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი და გადავიდა გრენადერთა პოლკში" (სასკ. სახ.-ლო).

ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘ [ბერძ.] — (ქეგლ) ზღაპრული ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი — გველეშაპი.

ᲓᲠᲐᲛᲐ — (ანდ, ჭილ.) 1. დიალოგებად დაწერილი სცენაზე წარმოსადგენად განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ასახულია მძაფრი კონფლიქტი, ძლიერი განცდები. 2. ცხოვრებაში მომხდარი მძიმე შემთხვევა, რაც ზნეობრივ ტანჯვას იწვევს; ოჯახური დრამა. ფართო გაგებით ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის თავისებურებაა სინამდვილის მხატვრული ასახვა უშუალო მოქმედებით, დიალოგის და მონოლოგის ფორმით. ლირიკისაგან განსხვავებით, Დ. განასახიერებს არა მწერლის შინაგან განცდებს, არამედ მისგან მკვეთრად განრიდებულ, გაობიექტურებულ სინამდვილეს. ეპოსისაგან განსხვავებით, Დ.-ში სინამდვილე წარმოისახება და სიუჟეტი ვითარდება არა თხრობის გარეთ, არამედ პერსონაჟთა მოქმედების მეშვეობით. არისტოტელეს აზრით, ესაა ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით („პოეტიკა"); ავტორი ჩანს მხოლოდ რემარკებში. Დ.-ს საფუძვლად უდევს მძ-

აფრი ცხოვრებისეული კონფლიქტი, რომლის გარშემო კონცენტრირებულია მთელი მოქმედება.

დ.-ის ჟანრებია: კომედია, ტრაგედია, დრამა (ვიწრო გაგებით), ვოდევილი, ფარსი; დ.-ის პირველწყაროდ მიიჩნევენ ღვთაება დიონისესადმი მიძღვნილ საკულტო ცერემონიალს, საიდანაც ძვ. წ. VI-V ს. ს. ჩამოყალიბდა ტრაგედია და კომედია. ანტიკური დ.-ის განვითარების მწვერვალია ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიები, არისტოფანესა და მენანდრეს კომედიები. ანტიკური დ.-თვის დამახასიათებელი იყო მოქმედების, ადგილისა და დროის მკაცრი რეგლამენტაცია, რაც კლასიცისტებთან კანონიკურ პრინციპად იქცა.

დ. ვიწრო გაგებით დრამატურგიის ერთ-ერთი ჟანრია. იგი წარმოიშვა XVIII ს.-ის ევროპაში ე. წ. მესამე წოდების სოციალური და ესთეტიკური პრინციპების შემუშავებაში. (ლესინგი, დიდრო — „ნათან ბრძენი," „უკანონო შვილი") ტრაგედიისაგან განსხვავებით იგი ასახავს კონკრეტულ ყოველდღიურ ცხოვრებას, ოჯახურ თუ საზოგადოებრივ კონფლიქტს. დ.-ის გმირები არ არიან ისეთი დიდი საკაცობრიო მიზნებისა და იდეალებისათვის მებრძოლნი, ძლიერი ნებისყოფისა და ვნებების ადამიანები, როგორც ტრაგედიის პერსონაჟებია. ამიტომ აქ მოქმედება არ ვითარდება მძაფრი და ტრაგიკული კოლიზიებით. იგი ნაკლებად ექსპრესიულია, უფრო მშვიდია. დ. წარმოსახავს კომიკურ ეპიზოდებსა და სიტუაციებსაც, მაგრამ კომედიისაგან განსხვავებით მასში მაინც სერიოზული ტონი ბატონობს. დ. არ იფარგლება ცალმხრივი განვითარებით; იგი უფრო შუალედური ჟანრია.

დრამა, დრამი — (ქსე) ფულისა და წონის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი შემოსულია სასანიანთა ირანიდან, სადაც, თავის მხრივ, შევიდა ბერძნულიდან (დრაქმა). 1. ვერცხლის ფული 20-25 კაპიკის (თეთრი) ღირებულებისა. 2. წონის ერთეული, დაახლოებით 3,5 გრამი.

დრამატურგია — (ქეგლ) დრამატულ ნაწარმოებთა შექმნის ხელოვნება. დრამატულ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

დრაჰკანი [სპარს.]— (საბა) ფლური, ესე არს ოთხი გრამის წონა ოქრო. (უსლ) ძველებური ოქროს ფულის ერთეული; იწონიდა 1 მისხალს (4,26 გრ.). იჭრებოდა ბიზანტიაში.

დროგი [რუს.] — (ქეგლ) იგივეა, რაც ფორანი.

დრომონები — (საბა) ეს ნავი ხუთასექვსასთა მებრძოლთა შთაიტევს და მეტთა. ხუთასი კაცის შთასაჯდომელი. უდიდეს-უდიდესი ნავნი არიან: ხომალდი და დრომონი — სამარი ნავი. „საომარ ხომალდებსა და დრომონებს აგებსო მეფე გიორგი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

დროშკა — მსუბუქი, ოთხთვალა ღია ეტლი.

დრტვინვა — (ბიბლ.) აღშფოთება, უკმაყოფილების გამოხატვა.

დრუზები — არაბთა ერთ-ერთი ტომი. „მხოლოდ მაშინ დაშვიდდა ალ-ჰაქიმი,

როცა დრუზების სექტამ ღმერთად გამოაცხადა იგი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲠᲣᲜᲒᲘᲚᲝ — მარმარილო.

ᲓᲠᲣᲜᲒᲐᲠᲘ — ბიზანტიური ფლოტის უფროსი.

ᲓᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘ — (უსლ) მცდარი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ორ, ერთმანეთისაგან საწინააღმდეგო საწყისს — მატერიალურსა და იდეალურს.

ᲓᲣᲒᲣᲜᲘ — (საბა) სხვათა ენაა, რომელსა ხორცთა ზედა დაისმენ კაცნი წათხისა სადინებლად. ჩირქის გამოსაწყავი საშუალება. „ცადს თურე ქარი სჭირდა და ორსავ ბარკალზე შავნით დუგუნები დაესხა" („ვირად ცნობილი ყადი"). დუგუნი ოსმალურ ენაზე — ქორწილს ნიშნავს.

ᲓᲣᲓᲣᲙᲘ — (ქსე) ხის ჩასაბერი საკრავი ინსტრუმენტი. შედგება ლულის, მიდაკის ხუფისა და რეგულატორისაგან. ცხრათვალა სალამური.

ᲓᲣᲔᲚᲘ [ფრ.] — (ქეგლ) ძველად ორთაბრძოლა რაიმე იარაღით, გარკვეული წესების დაცვით. დუელში გამოიწვია.

ᲓᲣᲔᲢᲘ [იტალ.] — (ქეგლ) მუსიკალური ნაწარმოები ორი შემსრულებლისათვის; ასეთი ნაწარმოების შესრულება ორი პირის მიერ. აბესალომისა და მურმანის დუეტი.

ᲓᲣᲘᲛᲘ — (ქსე) სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით ერთი გოჯი.

ᲓᲣᲙᲐ — (საბა) ფრანგულად — თავადი. კონსტანტინე დუკა. „ალ-ჰაქიმი და ფარსმანი მაშველი ჯარით ზურგში მოექცნენ ბიზანტიელ დუკას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲓᲣᲙᲐᲢᲘ [იტალ.] — (ქსე) ჯერ ვერცხლის, შემდეგ ოქროს ფული დასავლეთი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. რუსეთში დ.-ს ჭრიდნენ და მას ეწოდებოდა ჩერვონეცი, იწონიდა 3,6 გრ. XV-XVIII ს. ს. საქართველოში ხმარობდნენ ვენეციურ, ჰოლანდიურ, უნგრულ დ.-ებს, რომელთაც უწოდებდნენ ფლურს; ჰოლანდიურ დ.-ს — ასლანსაც.

ᲓᲣᲛᲐ — (ქეგლ) ცხვრის ქონიანი დიდი კუდი. „გაბოი სხვენზე აძვრა სამწლიანი დუმა ჩამოიღო" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ᲓᲣᲛᲑᲣᲚᲘ — საყვირი. — (ქსე) ძვ. საქართველოში გავრცელებული საკრავი. (საბა) მცირე ნაღარა.

ᲓᲣᲟᲘᲜᲘ [რუს.] — (ქეგლ) თორმეტი ცალი (ერთგვარი საგნებისა).

ᲓᲣᲠᲐᲯᲘ — (ქეგლ) მცირე ზომის ლამაზი გარეული ფრინველი ქათმების ოჯახისა; აქვს მეტად გემრიელი ხორცი. იყო გავრცელებული მდ. ივრისა და ალაზნის ხეობებში. ამჟამად აკლიმატიზაციის შედეგად დურაჯი მცირე რაოდენობით გვხვდება საგარეჯოს რაიონში, ივრის ნაპირებზე. ბინადრობს არხების, ტბების, მდინარის პირას ხშირ ლელქაშში, ლერწამსა და მაყვლიანში. დ.-ზე ნადირობა აკრძალულია. „დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული" (გ. ლეონ.).

დ

ᲓᲣᲠᲑᲔᲚᲘ — (კილ.-ოქე. სიტყ. კონა) კისრის ავადმყოფობა, ძნელად მოსარჩენია. „ლამის საქონელიც გავვიწყდეს და ჩვენც დურბელმა გაგვაწყვიტანოს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲓᲣᲠᲑᲘᲜᲓᲘ — (საბა) — სხვათა ენაა, ქართულად შორსსათვალე. ჭოგრიტი ჰქვია. „ჭოგრი მოკვდა, თემურ ველარ ადგება, დურბინდი კი ცოცხალია ხალხის თავში" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ᲓᲣᲠᲫᲣᲙᲘ — ჩრდ. კავკასიური ტომები.

ᲓᲣᲥᲐᲠᲓᲘ — (საბა) მაკრატელი. (ქ. ეწ.) ცხვრის საპარსი დიდი მაკრატელი.

ᲓᲣᲚᲐᲑᲘ — (ქეგლ) ცემენტისა და სხვა შემკვრელი ნივთიერების (კირის, ქვიშის) წყალთან შერევით მიღებული სქელი მასა; იყენებენ მშენებლობაში. „სასახლის კედლებს იმიტომ არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, რომ ძველის დუღაბზე რკინის წერაქვიც ჩლუნგდება და ილუნება" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

ᲓᲣᲨᲛᲐᲜᲘ [სპარს.] — (ქეგლ) მტერი. „რომ შესძლებოდა, დუშმანი, ძირფესვიანად მოგვთხრიდა."

ე

ᲔᲑᲐᲜᲘ — (ქსე) უძველესი ქართული მრავალსიმიანი საჩუსიკო საკრავი. ი. ჯავახიშვილის აზრით ე., ჩანგი და ქნარი სინონიმებია. იგი ხშირად გვხვდება ლიტერატურულ წყაროებში (რუსთაველი, შავთელი).

ᲔᲑᲒᲣᲠᲘ — (საბა) მაღლით მხედველი დარაჯი. „იქვე ახლოს კლდე ახლოვდებოდა, სადაც ნიადაგ არსენას მქრელთვალა ებგურია ასვეტილი" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.)

ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ — (ქსე) ისტორიულად ძვ. ებრაელებიდან მომდინარე ხალხის საერთო ეთნიკური სახელი. იგივე ურიები, რაც უნდა მომდინარეობდეს მოსეს თანამხლები ებრაელის სახელიდან — ური (ნათელი, სინათლე), რომელიც უფალმა აღავსო სიბრძნით, რომ გაეკეთებინა კარავი და მოწმობის კიდობანი. სახლობენ სხვადასხვა ქვეყანაში. მორწმუნე ე. მისდევენ იუდაიზმს. ძვ. წ. I ათასწლ. ებრაული სახელმწიფოები იყო ისრაელის სამეფო და იუდეველთა სამეფო. პირველი დაიპყრო ასურეთმა ძვ. წ. 722 წ., მეორე კი — ბაბილონმა ძვ. წ. 506 წ. ამ დაპყრობებმა განაპირობა ე.-თა განსახლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოში ე. უძველესი დროიდან, უმთავრესად დაბებსა და ქალაქებში, ხელოსნობისა და სააღებმიცემო ცენტრებში ცხოვრობენ. ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა ე.-ის მოსვლის პირველ ტალღას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს (ძვ. წ. VI ს.). ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედვით კი ე.-ის მოსვლას მცხეთაში სპეციალისტები ძვ. წ. 100 წლით ათარიღებენ. უეჭველია, რომ ელინისტურ ხანაში ქართლის ქალაქებში

(მცხეთა, ურბნისი) უკვე არსებობდა „უბანი ჰურიათა." ამ უბნებში ცხოვრობდნენ ებრაელების ეთნიკურ-რელიგიური თემები, რომლებსაც თავისი საკულტო ცენტრები — „ბაგინი ჰურიათა" (სინაგოგა) ჰქონდათ. სწორედ ასეთი ბაგინის მსახური და იუდაიზმის მიმდევარი ყოფილა ქრისტიანად მოქცევამდე წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული აბიათარ მღვდელი. ამ თემების ცხოვრების კვალი ქართულში აღმოჩენილ ძვ. ებრაულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც ასახულა. ისტორიულად ქართველი ე.-ის სოც.-ეკონ. და უფლებრივი მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც ქართველი მოსახლეობისა. აქ მათ არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა, ანტისემიტიზმის გამოვლინებანი. 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. (იგივე ურიები, რაც უნდა მომდინარეობდეს მოსეს თანმხლები ებრაელის სახელიდან — ური (ნათელი, სინათლე), რომელიც უფალმა აღავსო სიბრძნით, რომ გაეკეთებინა სადღესასწაულო კარავი და მოწმობის კიდობანი. „მაშინ ნაბუქოდონოსორის მეფემან აოტნა ურიანი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდნენ ქართლსა ზედა" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ეგერი [გერმ.] — (ქსე) 1. პროფესიონალი მონადირე, რომელიც ქირით მუშაობს სამონადირეო მეურნეობაში, ემსახურება მოყვარულ მონადირეებს და თვალყურს ადევნებს ნადირობის კანონების დაცვას. 2. ზოგი ქვეყნის არმიებში: განსაკუთრებული მსროლელი ნაწილების ჯარისკაცი.

ეგზარხოსი — (ქსე) ძველ საბერძნეთში: თანამდებობა ქურუმთა წოდებაში. 2. სახელმწიფოში მაღალი წოდების იერარქი, რომელიც მართავს ადმინისტრაციულ-ეთნიკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას 1811 წ. მოჰყვა საქართველოს საეგზარხოსოს დაარსება. ეგზარხოსის თანამდებობა გაუქმდა 1917 წელს, როცა ქართველმა სამღვდელოებამ აღადგინა ავტოკეფალია. „მოკლულ ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს, სამგლოვიარო სიტყვით გამოსვლისას, ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა არა მარტო მკვლელი, არამედ სრულიად ქართველი ერი" („წიგნი მოწამეთა"— ლ. სანიკიძე, სტ. „დიმიტრი ყიფიანი").

ეგზეკუცია — (ქეგლ) დამსჯელი რაზმების ჩაყენება მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილ სოფლებში (ცარიზმის დროს). „გლეხობაში დათარეშობდნენ მამასახლისი და მისი ხელქვეითები ეგზეკუციის ხარჯებისათვის" („სიმონა"— ეგ. ნინ.).

ეგზემპლარი — (ქეგლ) ერთგვაროვანი საგნების ცალკეული ნიმუში. „ამ ეგზემპლარში შემდეგ რომანის ავტორსაც შეუტანია შესწორებები".

ეგზეგეტიკა — (ქ. მწ. — ლექსიკონი — ცნობარი) სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტებას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ სასულიერო მწერლობაში. X ს-მდე უთარგმნიათ გრიგოლ ნოსელის „კაცის შესაქმისათვის", იოანე ოქროპირის „განმარტებაჲ პავლე მოციქულის ეპისტოლეთაჲ" და სხვა.

ეგზისტენციალიზმი [ლათ.] – (უსლ) მიმართულება თანამედროვე ფილოსოფიაში; მისი ძირითადი თემაა პიროვნების ბედიღბალი თანამედროვე სამყაროში, რწმენა და ურწმუნობა, სიცოცხლის აზრის დაკარგვა და შეძენა.

ეგზოტიკა [ბერძ.] — (ქსე) უცხო ქვეყნების ბუნების, ყოფის, კულტურის უჩვეულო, ხშირად წარმტაცი თავისებურება, იერი. „მადამ ფონ სტაუნს ეგზოტიკური ჩაცური აბრეშუმის ტანისამოსი ძლიერ შვენოდა" („დიონისოს ღიმილი" — კ. გამს.).

ეგნატაშვილი ბერი (XVIII ს.) – (ქ. მწ.) ისტორიკოსი, ვახტანგ VI-ის „სწავლულთა კაცთა" კომისიის წევრი. როგორც ცნობილია, „ახალი ქართლის ცხოვრება" (XIV-XVII ს.ს. ისტორიული ამბები) ვახტანგისაგან შეყრილ „სწავლულ კაცთა" მიერ შედგენილი კოლექტიური ნაშრომია. ივ. ჯავახიშვილი ბ.-ის შესახებ წერდა: „ის ან კომისიის მეთაური და ხელმძღვანელი იქნებოდა, ან მისი მდივანი და საერთო ნამუშევრის და კვლევაძიების აღმწერელი."

ეგოიზმი [ფრ.] — (ქეგლ) საკუთარი ინტერესების საზოგადოებრივზე წინ დაყენება, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა. (ლათ. ეგო — მე) ეგოისტი ჰქვია ისეთ კაცს, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ზრუნავს, სხვათა ბედი არ აწუხებს. „აშკარად ჩანს, რომ ზოგი ფეოდალი სამშობლოზე მაღლა პარტიკულარულ, ეგოისტურ მისწრაფებებს აყენებდა" (საქ. სახ-ლო).

ეგოცენტრიზმი — (ქსე) ფილოსოფიური და ეთიკური პრინციპი, რომლის მიხედვით ინდივიდუმი, „მე" — არის სამყაროს ცენტრი. ფილოსოფიაში ე.-ს მივყავართ სუბიექტურ იდეალიზმამდე, რომლის წარმომადგენლები ან უარყოფენ ობიექტურ სამყაროს, ან იგი მიაჩნიათ სუბიექტის აქტივობის შედეგად.

ეთიკაში ე. უკიდურესი ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გავლენის ფორმაა. ეგოცენტრიზმის პრინციპები ფართოდ აისახა ა. შოპენჰაუერისა და ფ. ნიცშეს მოძღვრებაში. შოპენჰაუერი პიროვნების ნების აბსოლუტურ შეუზღუდველობას მოითხოვდა, რამაც განსაზღვრა ძლიერი პიროვნების ნიცშესეული კულტი და რასაც დაეფუძნა ფაშიზმის იდეოლოგია.

ეგრი, ეგრისი — (ქსე) 1. ფართო მნიშვნელობით — დას. საქართველოს ძვ. ქართული სახელწოდება. იგივეა, რაც კოლხიდა და ლაზიკა (ეგრი მომდინარეობს თარგამოსის მერვე შვილის ეგროს-ის სახელიდან).

ედემი — (ქსე) 1. ბიბლიური ტრადიციით ადამიანის პირველსამყოფელი (სამოთხე). ძვ. ქართულ წყაროებში ე.-ს აქ აღნიშნავად იხმარება სამოთხე და მტილი. 2. (გადატ.) მადლით მოსილი ულამაზესი ადგილი დედამიწაზე.

ედილის წყალი [ძვ.] – (ქ. მწ.) მდ. ვოლგა.

ევა [ძვ. ებრ. ხავა სიცოცხლე] – (ბიბლ.) იუდაისტურ, ქრისტიანულ და შემდგომ მუსლიმანური მითოლოგიის მიხედვით, ადამიანთა მოდგმის წინაპრის — ადამის ცოლი, პირველი ქალი და „ყველა სულიერის დედა." ძველი აღთ-

ქმის მიხედვით, ღმერთმა ე. შექმნა ადამის ნეკნიდან და ადამთან ერთად ედემში დაასახლა. აქ ე. გველმა შეაცდინა და აკრძალული ხის „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ნაყოფი იგემა და ადამსაც შეაჭამა. განრისხებულმა ღმერთმა ადამი და ე. სამოთხიდან განდევნა და სამუდამოდ დასწყევლა ადამიანთა მოდგმა. ე.-ს სახელთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და თქმულება, რაც აპოკრიფულ და ბიბლიის შემდგომ იუდაისტურ ლიტერატურაში გვხვდება. იხ. ადამი. „მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, ნაბრძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ევანგელე — (ქ. მწ.) სახარება. „[შუშანიკი] წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელჱ თჳისი“ („შუშანიკის წამება“ — ი. ცურტ.).

ევოლუცია [ლათ.] — თანდათანობითი, უწყვეტი ცვლილებების პროცესი, რომელსაც უნდა მოჰყვეს თვისებრივი ცვლილება. „[დიმიტრი ყიფიანს] სწამდა ადამიანის გონების ურთულესი შემეცნებითი შესაძლებლობანი და მის კვალობაზე მეცნიერების ევოლუციური თუ რევოლუციური სასწაულები“ („წიგნი მოწამეთა“— ლ. სან.).

ევრიკა [ბერძ.] — (უსლ) სიხარულის, კმაყოფილების გამომხატველი წამოძახილი რისამე აღმოჩენის, რისამე მიხვედრის დროს (გადმოცემით ეს წამოძახილი „ევრიკა“ (ვიპოვე) აღმოხდა არქიმედეს, როდესაც მან აღმოაჩინა ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონი).

ევრიპიდე (480-406 ძვ. წ) დიდი ბერძენი ტრაგიკოსი, ბრწყინვალე სამეულის წევრი. „მედეას“ ავტორი (მან პირველმა გამოიყვანა მედეა შვილების მკვლელად).

ევრისტიკა [ბერძ.] — (უსლ) გამოკვლევისა და სწავლების ხერხები, რომელთა მიხედვითაც ჭეშმარიტება უნდა გამომჟღავნდეს სათანადო მისახვედრი კითხვების დახმარებით.

ევსტათი მცხეთელი — (ქსე) ქრისტიანობისათვის წამებული სპარსელი VI ს. საქართველოში. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში.“ თხზულება ასახავს სპარსელი ქრისტიანი ჭაბუკის წამების ამბავს. შეთხზულია უცნობი ქართველი მწერლის მიერ. თხზულების ავტორი მოწამის თანამედროვეა. იგი განსწავლული მწერალი ჩანს, კარგად იცნობს მოწამეთა აქტებს და ანტიმაზდეანურ პოლემიკურ ლიტერატურას. სპარსელი მოგვის შვილი, ქრისტიანთა თანამგრძნობი გვირობანდაკი გამოქცევია სპარსეთში ატეხილ ქრისტიანთა დევნას და 541 წ. ქ. განძაკიდან ქართლში (მცხეთაში) ჩამოსულა. მონათვლის შემდეგ ეწოდა ევსტათი. სპარსელებმა დაასმინეს არაერთხელ, მარზაპანმა ვეჟან ბუზმირმა მას ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა. ე.-მ მოთხოვნა უარყო და დაუსაბუთა ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა მაზდეანობაზე. ქრისტიანობის ერთგულებისათვის მას თავი მოჰკვეთეს 550 წ.

ევფემიზმი — (ქეგლ) უხეში, შესაზარი ან უხერხული სიტყვის შეცვლა — შერბილება უფრო მისაღები თავაზიანი ფორმით. ამგვარად მიიღწევა თავისებური

პერიფრაზი („მეზიზღებით"||თქვენი ნახვა არ მინდა, გაეთრიეთ || გაბრძანდით; მაკე || ორსული || ფეხმძიმე, ნიფხავი || საცვალი და ა. შ.)

ევფონია — (ქეგლ) კეთილხმოვანება.

ევქსინის პონტო — (ქსე) შავი ზღვის უძველესი სახელწოდება. ძვ. წ. VI ს-მდე ეწოდებოდა აქსინოს პონტოს (არასტუმართმოყვარე ზღვა).

ეზრა (ათონელი) — (ქსე) X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი. მიქელ მოდრეკელის ჰიმნოგრაფიულ კრებულში დაცულია ექვთიმე პალესტინელის სადიდებლად შეთხზული მისი საგალობელი, რომლის კიდურწერილობა ასე იკითხება: „ეზრა. ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი მირვან, ამენ." შესაძლებელია იგი იყოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნახსენები ეზრა, X ს-ის ჰიმნოგრაფი „დირსნი ანჩელი მამამთავარი, ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი". „ამა საქმეს მემოწმების დიონისე ბრძენი ეზროს" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ეთაკილება — (ქეგლ) სასირცხოდ, სათაკილოდ მიაჩნია.

ეთერი [ბერძ.] — (უსლ) 1. წინათ ნავარაუდევი გაზისებრი ნივთიერება, რომელიც თითქოს ავსებდა მსოფლიო სივრცეს და რომლის საშუალებითაც ვრცელდებოდა სინათლე და ელექტრომაგნიტური ტალღები (ამჟამად ეს შეხედულება უკუგდებულია). 2. გარემომცველი საჰაერო სივრცე; ჰაერი, სადაც ვრცელდება რადიოტალღები (რეკლამა —„ეთერშია საქართველოს ტელევიზია"). 3. ქართული ზღაპრის გმირი. „ვითა ეთერი მზეთუნახავი საყვარლის შლოცე თრთის და კანკალებს" („თორნიკე ერისთავი" — ა. წერ.). „ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი, ნანაობს ქარი და მინანაობს" („ატმის ყვავილები"— გ. ტაბ.). „ეს ღრუბლები, ეს ზეთისხილისფერი მთები ისეთი გამჭვირვალენი იყვნენ, სადაცაა მოეშვებიან მიწას და გაიქნებიანო ეთერში" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ეთიკა [ბერძ.] — (ქეგლ) 1. მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ. 2. ყოფაქცევითი ნორმების ერთობლიობა, გარკვეული საზოგადოებრივი წრის მორალი, ზნეობა.

ეთნიკური [ბერძ.] — (უსლ) ამა თუ იმ ტომთან ან ხალხთან დაკავშირებული.

ეთნოგრაფია [ბერძ.] (უსლ) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოფა-ცხოვრების ნივთიერ და სულიერ კულტურას. „1880 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა დაბეჭდა ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი „მოხევეები და მათი ცხოვრება" (სასკ. სახ.-ლო).

ეიფორია — (ქსე) აღგზნებული, მხიარული განწყობილება, კმაყოფილების, კეთილდღეობის გრძნობა, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ მდგომარეობას; ჩნდება ალკოჰოლის, მორფინის მცირე დოზების ზემოქმედების და სხვა მიზეზების შედეგად.

ეკატერინე დადიანი (ქსე) სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, ალ. ჭავჭავაძის ასული. 1838 წ. ცოლად გაჰყვა დავით დადიანს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შვილის ნიკოს სრულწლოვნებამდე რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ყირი-

მის ომი დროს ოსმალების თავდასხმისაგან იცავდა სამთავროს. პირადად მონაწილეობდა მტრის რაზმებზე თავდასხმაში. 1856 წ. მიიწვიეს პეტერბურგში, სადაც დიდი პატივით მიიღეს და მიანიჭეს „სტატს დამის“ წოდება და წმ. გიორგის მედლით დააჯილდოეს. 1857 წ. სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. მთავრობამ ეს მომენტი სამთავროს გაუქმებისათვის გამოიყენა. სამეგრელოს მმართველად გენერალი კოლუბიაკინი დაინიშნა. ეს, ფაქტობრივად, სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება იყო. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ე. დ.-მა სამეგრელოში გაატარა. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. ე. დ.-მა შემოუნახა შთამომავლობას ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და პოემა „ბედი ქართლისას“ ავტორისეული ხელნაწერი.

ეკბატანა — ქალაქი ირანში, ამჟამად ჰამადან; ოდესღაც საზაფხულო რეზიდენცია ირანელი მეფეებისა. გადმოცემის მიხედვით, იგი დაარსებულია სემირამიდას მიერ. „მე იმ ვარდს ვგულისხმობ, გლახუნა, ეკბატანას ბაღში რომ ჰყვავის ხოლმე სულ პირველად, ვარდობის თვეში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ეკვდერი, ეგვტერი [ბერძ.] — (ქსე) 1. მცირე სამლოცველო სახლი; კერძოდ, კარის სამლოცველო; ეკლესიაზე მინაშენი ან მახლობლად ცალკე აგებული მცირე ეკლესია — სამწირველო. შუა საუკ. საქართველოში ეკლესიებზე მიშენებული ე.-ბი უმთავრესად დიდ ფეოდალთა კერძო სამწირველო-ეკლესიები და იმავე დროს ამ ფეოდალთა საგვარეულო სასაფლაო იყო.

XV ს.-დან ე.-ს ეწოდება აგრეთვე „საწინამძღვრო.“ „ძველი მასალა მხოლოდ ეკვდერებს უნდა მოხმარდეს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ეკლესია — (ბიბლ. ენც) ეკლესია არის იესო ქრისტეს მორწმუნეთა ერთობლიობა ახალ აღთქმაში „ეკლესია“ მიემართება ყოველთვის ადამიანებს და არასოდეს — შენობებს, როგორც ეს ჩვენს დროში ხდება ხოლმე. სინამდვილეში ქრისტიანებს რამდენიმე თაობების მანძილზე უბრალოდ არც კი ჰქონიათ შენობები, რომლებიც სპეციალურად მათთვის იქნებოდა აგებული

იესო დაჰპირდა პეტრე მოციქულს, რომ ის გახდებოდა ეკლესიის საძირკველი.

ახალი აღთქმა გვიმტკიცებს, რომ ყველა, ვისაც იესო ქრისტე სწამს, მიუხედავად მისი ეროვნულობისა, ღვთისაგან გამორჩეულ ხალხს და მის ეკლესიას ეკუთვნის. უფალი გამორჩეულ ხალხს და მის ეკლესიას ეკუთვნის. იგი ამზადებს მათ: თავისი დაბრუნების დღისათვის, იესო ქრისტესა და მისი ხალხის დიდი „საქორწილო ნადიმისათვის“. (ქსე) 1. ძველ საბერძნეთში სახალხო კრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება. ე. სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო იყო. 2. რელიგიური ორგანიზაცია, სარწმუნოებისა და კულტის ერთიანობაზე დამყარებული ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება. 3. ქრისტიანული რელიგიის საკულტო შენობა-ნაგებობა ღვთისმსახურებისათვის, დროთა განმავლობაში მსოფლიოს ხალხებმა შექმნეს გეგმის, შიდა სივრცისა და გარეგნული სახის მხრივ განსხვავებული, ადგილობრივ

სამშენებლო ტრადიციებთან შეხამებული სხვადასხვა ტიპის საეკლესიო ნაგებობა. ე. შედგება საკურთხევლის (ორიენტირებულია აუცილებლად აღმოსავლეთისაკენ) და მლოცველთა დარბაზისაგან. იგი შეიძლება იყოს ცენტრალური ან წაგრძელებული გეგმით, გუმბათოვანი, უგუმბათო, (ბაზილიკა, ერთნავიანი ანუ დარბაზული) და სხვა.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲔ — (ქსე) ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, სავარაუდოდ ნიშნავს „შესაკრებელში მქადაგებელს." ავტორად ტრადიციულად სოლომონ მეფე მიიჩნევა, მაგრამ წიგნი შექმნილია ბევრად უფრო გვიან, დაახლ. ძვ. წ. III ს.-ში. შედგება 12 თავისაგან. სენტენციებისა და აფორიზმების კრებული „სიბრძნის ლიტერატურის" ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. ავტორის აზრით, ცხოვრება ამაო და წარმავალია, ამაოა სიმდიდრე, შრომა, შვება, ბრძენსაც და უგუნურსაც სიკვდილი ელის. ავტორი თავის სკეფსისით გამსჭვალულ სენტენციებში ქადაგებს ამქვეყნიური წარმავალი ცხოვრებით დატკბობას. ე. ქართულად ნათარგმნია „ოშკის ბიბლიაში" (978).

ᲔᲙᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ, ᲔᲙᲚᲔᲥᲢᲘᲖᲛᲘ — (უსლ) სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, თეორიათა, იდეურ მიმართულებათა ნებისმიერი, უპრინციპო შეერთება. „გ. ტაბიძის შემოქმედება გაწმენდილია იმ გარეშე, შემთხვევითი ელემენტებისაგან, რომელთაც თავის დროს ერთგვარი ეკლექტიზმის ნიშნები შემოიტანეს მის პოეტიკაში" (გ. ასათ.).

ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ — (უსლ) ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ [ბერძ.] — (უსლ) მომჭირნეობით ხარჯვა რისიმე, მომჭირნეობა; ასეთი ხარჯვის შედეგად მიღებული სარგებლობა. „ეკონომიურად შევიწროებული თავადაზნაურობა თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას ყმა გლეხობის გაძლიერებული ექსპლუატაციით ცდილობდა" (სასკ. სახ.-ლო).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ — (უსლ) მოცემული საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. მაგ. სოციალიზმის ეკონომიკა, კაპიტალიზმის ეკონომიკა. 2. ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება, მეურნეობის მდგომარეობა. მაგ. მრეწველობის ეკონომიკა. 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მეურნეობის რომელიმე დარგის საფინანსო-მატერიალურ მხარეს.

ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ — (ქეგლ) ერიდება, ეხათრება.

ᲔᲚᲐᲓᲐ — საბერძნეთი. ელინი — ბერძენი. „ანგელოსების ფიგურებიდანაც გამოსჭვიოდა ელინური სიშიშვლე და მშვენება ხორცისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). (მხედველობაშია ძველ ბერძენთა თაყვანისცემა ადამიანის ფიზიკური სრულყოფისადმი, რაც ყველაზე კარგად შიშველ ფიგურებში ჩანდა).

ᲔᲚᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ — დრეკადი, მოქნილი.

ᲔᲚᲔᲒᲘᲐ [ბერძ] — მუსიკალური საკრავის თანხლებით შესრულებული სამგლოვიარო მოთქმა, სამგლოვიარო სიმ-

ღერა ძველ საბერძნეთში. ელეგია ანტიკურ პოეზიაში გაფორმდა, როგორც წუხილის გამომხატველი ლირიკული ნაწარმოების სახეობა. ეს წუხილი შეიძლება იყოს: ა) პირადული; ბ) საზოგადოებრივი; ამიტომ ელეგიაც მრავალგვარია: ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური, პატრიოტული, სატრფიალო, საგმირო და სხვა. ილ. ჭავჭავაძის ლექსი „ელეგია" პატრიოტული სახეობისაა.

ელია — (მით) ქართული წარმართული ღვთაება, წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის განმგებელი. ხალხური წარმოდგენით, იგი ცაზე ეტლით დასრიალებს, ბრმა არის და ზოგჯერ უადგილო ადგილას დაუშენს სეტყვას. ამიტომ სეტყვის ღრუბელი რომ გამოჩნდებოდა, თოფის სროლასა და ზარების რეკვას ატეხდნენ: ელია გაიგონებს, მიხვდება, აქ სოფელია და გაგვეცლებაო. ქრისტიანობამ ვერ შეძლო ე.-ს კულტის მოსპობა; მხოლოდ ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი შესძინა მას. ხალხმა წარმართული ღვთაება დაუკავშირა ცად ამაღლებულ ბიბლიურ წინასწარმეტყველ ელიას (წმ. ელია), აგრეთვე წვიმისა და ჭექა-ქუხილის განმგებელს, რომლის ხალენი (ტყავის მოსასხამი), ლეგენდის მიხედვით, უფლის კვართთან ერთად საქართველოში ჩამოუტანიათ. ზოგის წარმოდგენით ელია ეშმაკეულია და როგორც ბრმა და სასტიკი ძალა, სეტყვით ანადგურებს ყანებს, ებრძვის ხატებს და ანგელოზებს, მეხს უშენს მათ „დასაბრძანებელ" მაღალ ხეებს. ამ ღვთაების დღესასწაული — ელიაობა იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქობულეთის რაიონში მდებარეობს ელიას ციხე). „ტაროები ვინც არ დააწტვრიოს, ელიას მადლი გაუწყრეს" („ცაციტუს ქურდი" — ს. მგალ.).

ელიზიუმი — (მით. ლექს.) რომაელთა ელიზიუმი, „ინზულე ფორტუნა ატორუმ" — იგივეა, რაც ელისეს მინდვრები — მიცვლებულთა სამკვიდრო, ნეტარი სამეფო, საიქიოს ის ნაწილი, სადაც მარადიული გაზაფხულია და მხოლოდ ღირსეული ადამიანების სულები ხვდებიან. მდებარეობდა შორეული დასავლეთის კუნძულებზე, ოკეანის მიღმა, უდაბნოს იქით. მოსამართლე განსჯის, ვინაა იქ მოხვედრის ღირსი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, იქ იმყოფებიან: ორფეოსი, აქილევსი, ზევსთან შერიგებული ტიტანები, კეთილი გმირები. საამო სიო ქრის იქ წლიდან წლამდე და სამჯერ ილებენ მოსავალს, უზრუნველად ცხოვრობენ და დარდი არ იციან. დაახლოებით იგივეა, რაც ქრისტიანული სამოთხე. ელიზიუმი ესაა, ბედნიერი მხარე, „სად მდინარებენ მშვიდად კაცის უნაღვლო დღენი,/ არ იცის თაესხმა, ქარბუქი და ზამთრის სიცივე:/სადაც საამო ზეფირის ხმა გაისმის ოდენ,/სადაც უგზავნის ოკეანე ნეტართა სულებს (ოდ. 4, 565-8); ნეტართა კუნძულები. ქართული ელიზიუმი — მთაწმინდის პანთეონი. „და მოძრაობდა ღამის მნათობთა აღელვებული ელიზიუმი" („აკაკის ლანდი"— გ. ტაბ.).

ელინიზმი — (უსლ) 1. ეპოქა, როდესაც აყვავებული იყო შერეული ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა (ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის დაშლიდან (324 წ.) რომის მიერ საბერძნეთისა და აღმოსავლეთის დაპყრობამდე). „ა. გამსა-

ხურდია ეტრფოდა, იდეალად სახავდა ანტიკურ საჯანსაღეს, ელინური ცხოვრების წესს, წარმართულ ბუნებრიობას.“ (ქ. ს. & ა. – ს. სიგ.).

ᲔᲚᲘᲢᲐ [ფრ.] – (უსლ) 1. საზოგადოების ზედა ფენა, „რჩეული“ საზოგადოება.

ᲔᲚᲘᲤᲡᲘᲡᲘ – (ანდ. ქილ.) პოეტური ფიგურა, სტილისტიკური ხერხი, როცა წინადადებაში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე სიტყვა (რომელიც ჩვეულებრივ, ნაგულისხმებია კონტექსტით, ან სამეტყველო სიტუაციით), ფართოდაა გავრცელებული როგორც ზეპირ საუბარში, ისე მხატვრულ მეტყველებაში. მაგ: „სიკვდილსა გლოვა ეჩდება/ მკვდარ ძმას – ტირილი დისაო/ ტყესა – ხარ-ირმისა ნავურენნი / ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო/ ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი ხელში – ნატეხი ხმლისაო, / ომს – ლხინი გამარჯვებულთა და დამარცხება მტრისაო“ (ვაჟა). ელიფსისი შეიძლება იყოს პროზაულიც. ამ მხრივ საინტერესოა კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“: „რა იქნებოდა უვარსკვლავოდ ცათა სილურჯე, რა იქნებოდა უჯიხვებოდ კავკასიონი? შავი არაგვი – უკალმახო, ქარი – უსუნთქო, გველი – უშხამო, თევზი – უფხო, მგელი – უკბილო, ძროხა – უცურო, ჯიხვი – ურქო და ორბი – უფრთო, ვეფხი – უქანგო, დღე – უსინათლო, მზე – უსხივო, ხმალი – უვადო, ხევსური – ფარხმალაყრილი?“

ᲔᲚᲩᲘ – (ქ. მწ.) ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში დიპლომატიური მისიით წარგზავნილი პირი, წარმომადგენელი. ს. ს. ორბელიანი იყო საქართველოს ელჩი ევროპაში. „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“ („საბა“ – მ. მაჭ.).

ᲔᲛᲐᲜᲡᲘᲞᲐᲪᲘᲐ [ლათ.] – (ქეგლ) განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან, უფლებრივად გათანასწორება. ქალთა ემანსიპაცია.

ᲔᲛᲑᲐᲖᲘ [ბერ.] – (ბიბლ.) ნათლისღების რიტუალისათვის განკუთვნილი ქვის, ლითონის ან ხის ჭურჭელი კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებში. მღვდელი ბავშვს სამჯერ ჩაუშვებს ემბაზში ისე, რომ წყალმა დაუფაროს ტანი. „ემბაზით აღმოშობილი,“ ან „ემბაზის შვილი“ ნიშნავს მონათლულს, ქრისტიანს, „ემბაზით მშობელი“– ნათლიას. (გადატ.) „ივრის თვალსამოთხე ნაპირები იყო ჩემი ყრმობის ემბაზი“ („ჩვენი ქერამი“– გ. ლეონ.).

ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ – (ქეგლ) რაიმე ცნების პირობითი გამოსახულება. თეთრი მტრედი მშვიდობის ემბლემაა.

ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ – (ქეგლ) სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლება (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზნით) 2. სხვა ქვეყანაში ცხოვრება ასეთი გადასახლების შედეგად. ემიგრაციაში ყოფნა ემიგრანტი – ასე გადასახლებული პირი. „უმეთაუროდ დარჩენილმა ქართველმა ემიგრანტებმა 1783 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს“ (საკ. სახ.-ლო).

ᲔᲛᲘᲡᲐᲠᲘ – (უსლ) პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით. „[ალექსანდრე ბატონიშვილი] მაინც

ათობით პგზავნიდა ემისრებს“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲔᲛᲝᲪᲘᲐ [ფრ.] — (უსლ) ადამიანის გრძნობა, განცდა, სულიერი მღელვარება (შიში, სიხარული, განრისხება). „რომ-ანტიკოსების შემოქმედებაში გაძლიერე-ბულია ემოციური ელემენტი.“ (შ. რადი-ანის XIX ს. ქართ. ლიტ.-რა).

ᲔᲛᲞᲘᲠᲘᲣᲚᲘ — (უსლ) 1. ადამიანის გამოცდილება, გარეშე სამყაროს აღქმა გრძნობის ორგანოების საშუალებით; 2. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ თვლის გამოცდილებას, გრძნობად აღქმას, სათ-ანადოდ ვერ აფასებს ან სრულიად უარყოფს თეორიულ განზოგადებათა და ლოგიკური აზროვნების მნიშვნელობას. „სიყვარული და შხამი საშინელი ემპირიული ერთიანობაა“ (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ).

ᲔᲜᲐᲛᲭᲔᲕᲠᲘ — (ქ. მწ.) მჭევრმეტყველი, კარგი მოლაპარაკე.

ᲔᲜᲒᲐᲓᲘ — ბაღვენახოვანი ოაზისია მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. მისი ვენახები სატრფოს მეტაფორული სახეა „ქებათა ქებაში“ (გრ. რობაქიძე — „ენგადი“).

ᲔᲜᲒᲘᲩᲐᲠᲘ — იხ. იანიჩარი.

ᲔᲜᲓᲠᲝ — (ქეგლ) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილს, აქვს შავი წვნიანი ნაყოფი; მისი ფესვებისაგან წითელ საღებავს (ენდრო-სფერს) აკეთებენ. „ენდროსფრად შეღებნენ დურაჯისფერი ქულები ცაზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ [ბერძ.] — ძლიერი გატ-აცება ამა თუ იმ საქმიანობაში; აღფრ-თოვანება, აღტაცება. შრომითი ენთუზია-ზმი.

ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ — (ქ. მწ.) სექტემბრის ქართული ხალხური სახელწოდება. სექ-ტემბერი (ლათ. შვიდი) კალენდარული წლის მეცხრე თვე (იულიუს კეისრის მიერ კალენდრის რეფორმის გატარე-ბამდე — მეშვიდე). წარმართული კალ-ენდრით ახალწლისა. „ენკენისთვის მთვარი-ან ღამეს მუხნარისის საბრძოლო გოდოლიდან გუშაგმა შენიშნა მხედარი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) თავმოყრილი ცნობები ცოდნის ყველა, ან რომელიმე ერთი დარგის ლექსიკონის სახით. „ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების მრავ-ალფეროვნება და გონებრივ ინტერესთა სიფართოვე ატარებს ნამდვილ ენციკლოპედ-იურ ხასიათს“ (შ. რადიანი, XIXს. ლიტ.-რა).

ᲔᲝᲡᲘ, აისი — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: განთიადის ქალღმერთი (რომაულში — ავრორა).

ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐ — (ქეგლ) საეკლესიო ადმინ-ისტრაციული ოლქი, რომელსაც ეპისკ-ოპოსი განაგებს.

ᲔᲞᲘᲒᲝᲜᲘ [ბერძ.] — (უსლ) რაიმე მიმართულების მიმდევარი, რომელსაც აკლია ორიგინალურობა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა. „დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის გარეშე ყოველივე ეპიგ-ონობაა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა). „გ. ტაბიძემ შესძლო ქარ-თული ლექსის განთავისუფლება იმ მოძვე-ლებული მაღალფარდოვნებისა და მშრალი

რაციონალიზმისაგან, რაც XIX საუკუნის პოეზიის ეპიგონთათვის იყო დამახასიათებელი („საუკუნის პოეტები" — გ. ასათ.).

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲐ — (უსლ) 1. მოკლე, სატირული ლექსი. 2. ძველ საბერძნეთში: ძეგლზე, შენობაზე, სარუქარზე და მისთ. გაკეთებული წარწერა პროზად ან ლექსად. „ალ. ქავქავაძე ზოგჯერ მიმართავს ეპიტაფიას, ეპიგრამას" (სასკ. სახ.-ლო).

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤᲘ — (უსლ) თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა, გამონათქვამი; ერთგვარად გამოხატავს ნაწარმოების ძირითად იდეას. „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო" — ხალხური.

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ — (უსლ) ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ძველ წარწერებს; წარწერათმცოდნეობა (ეპიგრაფიკუ ული ძეგლები).

ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ — (უსლ) 1. ცალკეული შემთხვევა, მომხდარი ამბავი. ბრძოლის ეპიზოდი. 2. რაიმე მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტი. სცენა, რომელსაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

ᲔᲞᲘᲗᲐᲚᲐᲛᲐ [ბერძ.] — (უსლ) ძველ საბერძნეთსა და რომში საქორწილო სიმღერა ან ლექსი. ეპითალამური ხასიათისაა პ. იაშვილის ლექსი „ქორწილი" — „ქორწილი ხარობს და სხივოსნობს ნეფე ძვირფასი/ ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო/ ნეფემ დედოფალს მიაწოდა ნეფური თასი/ ქორწილი ხარობს და სხივოსნობს ნეფე ძვირფასი". ასეთივე ხასიათისაა ქართული ხალხური სიმღერები: „მაყრული", „საქორწინო სუფრაზე სამღერი".

ᲔᲞᲘᲗᲔᲢᲘ [ბერძ. — ზედდართული, დამატებული] — მხატვრული განსაზღვრა, პოეტური განმარტება, საგნისა და მოვლენის თვისების ემოციური წარმოსახვა.

ეპითეტი მხატვრული საშკაულია, საგნისა და მოვლენის პოეტური ჩვენებაა, მისთვის ნიშანდობლივია სურათოვნება, ხატოვნება. გრამატიკულად ეპითეტი ზედსართავი სახელია. მაგ. ანკარა წყალი, მშვენიერი დილა, ფირუზი ცა, ობოლი მარგალიტი და სხვა, მაგრამ შეიძლება მეტყველების სხვა ნაწილითაც გამოისახოს.

ეპითეტი გამოსახავს მწერლის დამოკიდებულებას გმირთან. ეს დამოკიდებულება კი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი: ა) მაქებარი, ამამაღლებელი. ბ) მაძაგებელი, დამამცირებელი. 1. „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი პირმცინარი" (ჩახრუხაძე). 2. „სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ქუქყიანი..." („კაცია-ადამიანი?!" — ილ. ჭავჭ.).

ᲔᲞᲘᲙᲣᲠᲔᲘᲖᲛᲘ — (უსლ) ბერძენი მატერიალისტისა და ათეისტის ეპიკურეს (ძვ. წ. 341-270 წ.წ.) ფილოსოფიური მოძღვრება. 2. მსოფლმხედველობა, რომელიც შეიქმნა ამ მოძღვრების დამახინჯებული განმარტების ნიადაგზე — თითქოს იგი სიცოცხლის აზრს ხედავდეს ხორციელი ინსტინქტების დაკმაყოფილებასა და განცხრომით ცხოვრებაში. 3. მისწრაფება გრძნობების დაკმაყოფილებისადმი, ნებიერი ცხოვრებისადმი. „ფილოსოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გვპირდება" (დ. გურ.).

ეპიკური — ეპოსის დამახასიათებელი, ეპოსის შესაფერისი, ეპოსთან დაკავშირებული.

ეპილეფსია — (უსლ) ქრონიკული ნერვული დაავადება; დამახასიათებელია შეტევები, რომლის დროსაც ავადმყოფს გონება ეკარგება და კრუნჩხვა მოსდის. ავი ზნე, ბნედა.

ეპილოგი [ბერძ.] — (უსლ) ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი. „ვეფხისტყაოსნის" ეპილოგი.

ეპისკოპოსი [ბერძ.] — (უსლ) ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი სასულიერო წოდებულება.

ეპისტოლე — (ქსე) წერილი. ეკლესიის ხელმძღვანელთა სამწყსოსადმი და ურთიერთმიმართვის ფორმა. მაგ. პავლეს ეპისტოლე.

ლიტერატურაში ეპისტოლე არის სტილისტური ხერხი, რომელიც ხშირად გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებში თხრობაში ჩართული სახით. მაგ. ნესტანის წერილი ტარიელისადმი „ვეფხისტყაოსანში".

ეპისტოლური ლიტერატურა — (ქსე) გამოჩენილი სახელმწიფო, საზოგადო, კულტურის, მეცნიერებათა და ხელოვნების მოღვაწეთა ან კერძო პირთა წერილები. რომაულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო „მიმართვანი" მითოლოგიური გმირებისათვის (ოვიდიუსი). ე. ლ.-ს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, მისი მეოხებით იხსნება ხელოვანის შემოქმედებითი პროცესის ესა თუ ის საინტერესო მხარე. ე. ლ.-ის საუკეთესო ნიმუშებია ციცერონის, ბაირონის, პუშკინის, დოსტოევსკის წერილები. აგრეთვე ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის და სხვათა პირადი წერილები.

ეპისტროფი — (ქსე) პოეტური ფიგურა, რიტორიკული ხერხი; ერთი და იგივე სიტყვის, გამოთქმის, ფრაზის გამეორება აზრის გამოსაკვეთად და ემოციის გასაძლიერებლად (იხ. პოეტური გამეორება). „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,/ ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,/ ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,/ სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?" (გ. ტაბ.)

ეპიტაფია — (ქსე) ძველ საბერძნეთში საფლავზე წარმოთქმული სიტყვა, მოგვიანებით კი — წარწერა საფლავის ქვაზე. ზოგჯერ საფლავის ქვაზე წარწერილი ლირიკული ლექსი (ხალხური „თამარ მეფის ეპიტაფია"). არსენ იყალთოელის „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია": „რომ ნაქარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,/ თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს, /თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს, / აწლა ათსა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს".

ხშირად ე. სატირული ხასიათისაა. მაგ. ალექსანდრე მაკედონელისადმი მიძღვნილი ე.: „ამ საფლავში ჩაეტია ის, ვისაც მთელი დედამიწა ემატარავებოდა."

ეპოლეტები [ფრ.] — (უსლ) ოფიცრის, გენერლის საპარადო სამხრეები, ბოლოებში მოქრგვალებული, ფოჩებიანი — ბუზმენტიანი (მეფის რუსეთისა და ზოგი უცხო ქვეყნის არმიებში). „მაიორმა მითხრა: წადი, ალექსანდრე მოჰკალიო... ათას

ოქროსაც ჩაგითვლით და ჯვარსაც და ებოლეტებსაც მოგცემთ.“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲔᲞᲝᲞᲔᲐ — (უსლ) 1. დიდი ებიკური ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია მნიშვნელოვანი ისტორიული ამბები. 2. დიდი მნიშვნელობის ამბები, ღირსშესანიშნავი თავგადასავალი (დიდგორის ეპოპეა).

ᲔᲞᲝᲡᲘ [ბერძ.] — (უსლ) 1. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი (ლირიკისა და დრამისაგან განსხვავებით) — რომანი, მოთხრობა და სხვა. 2. ხალხური საგმირო სიმღერები, პოემები, თქმულებები.

ᲔᲠᲐᲢᲝᲡ — (უსლ) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში: ერთი ცხრა მუზათაგანი; პოეზიის მფარველი (იხ. მუზები).

ᲔᲠᲒᲐᲡᲘ — (ქეგლ) ორმოცდაათი. „მეფეს ნაბრძანები აქვს, ერგას გამოცდილ ქვის მთლელებს მიგიჩენთო“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲔᲠᲓᲝ — (ქეგლ) 1. ბანში (იხ. ბანი, 2 მნიშვ.) შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; სარკმლისა და საკვამური დანიშნულება აქვს. 2. იგივეა, რაც ბანი; „ციხის ოთხივე გოდოლი, გოდოლების ერდოები, ციხის დარბაზის ეზო ხალხით იყო გაჭედილი“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ I — (ქსე) ნაზარალი-ხანი, ქართლის მეფე 1688-1703 წლებში, თეიმურაზ I-ის ძის — დავითის შვილი. ე. I სიყმაწვილიდან რუსეთის სამეფო კარზე იყო და ცნობილია ნიკოლოზის სახელწოდებით. 1662 წ. საქართველოში ჩამოვიდა და კახეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1674 წ. ირანის შაჰის მოთხოვნით ირანში გაემგზავრა. კახეთის სამეფო ტახტზე გამეფების პირობად შაჰმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. ე. I ერთხანს უარზე იყო, მაგრამ ბოლოს მიიღო და ნაზარალი-ხანის სახელით შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა. გადაყენებული მეფე გიორგი XI იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილიყო. ბოლოს გიორგი XI-ე ირანის შაჰის ნდობა მოიპოვა და 1703 წ. შაჰმა მას ქართლის სამეფო დაუმტკიცა, ხოლო ე. I კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ შაჰმა იგი ირანს მიიწვია, ხოლო კახეთის მეფედ მისი ძე — დავითი გამოგზავნა. ე. I ირანში დარჩა და იქ გარდაიცვალა.

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II 1720-1798, — (ქსე) 1744-1762 წ. წ. კახეთის, 1762-1798 წ. წ. ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე. ე. II აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. დედამისი — თამარი ვახტანგ VI-ის ასული იყო, ხოლო მამა — თეიმურაზ II — კახთა მეფის დავით II-ის (იმამ-ყული-ხანი) ძე. 1744 წ. თეიმურაზ II ქართლში გამეფდა, ე. II კი — კახეთში. XVIII ს. 40-იანი წ. წ. მიწურულისათვის ნომინალურად ირანის ვასალი ქართლ-კახეთი ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ე. II-მ და თეიმურაზ II-მ ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ თბილისი ირანელებისგან გაათავისუფლეს, თავიანთ ბატონობას დაუკავშირეს და დახარკეს განჯისა და ერევნის სახანოები. თეიმურაზ II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1762) ქართლ-კახეთში ერთმეფო-

ბის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ე. II-მ ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. შეზღუდა თავნება თავადები და გააუქმა ზოგიერთი სათავადო (არაგვის, ქსნის); დაასახლა უცხოელ დამპყრობთა შემოსევების შედეგად მოოხრებული რაიონები. გაატარა ბატონყმური ურთიერთობის რეგლამენტაცია ფეოდალთა შეზღუდვის მიზნით, ილვწოდა უცხოელ მოსახლშენეთა მოზიდვისა და სამეფო საკუთრების გაზრდისათვის. გამოსცა კანონი (1785), რომლის ძალითაც ტყვეობიდან თავისი სახსრებითა და ინიციატივით დაბრუნებულ გლეხს თავისუფლება ენიჭებოდა, შექმნა და გაამრავლა თავისუფალი მიწათმფლობელ-მოლაშქრეთა ფენა, შექმნა მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუდმივი ჯარი. აღადგინა საკუთრების ქალაქური წესი (1770). აკრძალა ოსმალ-ყიზილბაშობის დროს განახლებული ყმათა უმამულოდ ყიდვა და ტყვეებით ვაჭრობა, დარაზმა ხალხი ტყვეთა გატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სახელმწიფოებრივი წყობილების გადასახალისებლად, ე. II ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავდა მრეწველობისა და კულტურის განვითარებისათვის, რის შედეგადაც გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები (შაქრის, მინის, შალის, იარაღის), სამთამადნო წარმოება (ახტალის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის); მანვე განაახლა ზარაფხანა, დააარსა სემინარიები; მეფის ირგვლივ შეიკრიბა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა დასი, გახშირდა წიგნების ბეჭდვა, XVIII ს. 80-იანი წლებიდან ე. II-ის სამეფო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს, გაფორმდა 1783 წ. რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი (გეორგიევსკის ტრაქტატი). ე. II-ს მიაჩნდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომ წინსვლას, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ვითარება მალე შეიცვალა, დიდი სახელმწიფოები კვლავ გაერთიანდნენ და დაიწყეს ბრძოლა ამიერკავკასიის დასაუფლებლად. გამწვავდა მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც. ერთმანეთს ექიშპებოდნენ ფეოდალები, სამეფო კარზე გაჩაღდა ინტრიგები, მრავალრიცხოვანმა ბატონიშვილებმა დაარღვიეს სამეფო დომენის მთლიანობა, ყველაფერი ეს კი გადაულახავ სიძნელედ გადაეღობა ქვეყნის განახლება-გაძლიერების გეგმებს, რომელიც ე. II-ს ჰქონდა. ამას ზედ დაერთო ირანელთა შემოსევა და თბილისის აოხრება 1795 წ. (კრწანისის ბრძოლა). ე. II-მ დიდი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. ხალხმა მას სიყვარულით „პატარა კახი“ უწოდა. ე. II-ის პიროვნება, მისი საქმეები ფართოდ აისახა ქართველი ხალხის შემოქმედებაში. მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ერესი — (უსლ) მწვალებლობა, რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს. 2. გაბატონებუ-

ლი ან საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებისაგან, წესისაგან განდგომა, გადახვევა, ცდომილება (იხ. მწვალებლობა).

ერეტიკოსი — ერესის მიმდევარი.

ერი — (ქსე) 1. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოქმნილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის საფუძველზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა. 2. ხალხი, საზოგადოება (საპირისპირო — სამღვდელოება). „მაინც გადარჩა, და გადარჩა ის, როგორც ერი" („რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს" — გ. ტაბ.).

ერისთავი — (ქსე) (ძვ. ქართ. „ერი"— ხალხი, ჯარი და „თავი" — უფროსი, გამგებელი) სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელი ძვ. საქართველოში.

ე. სათავეში ედგა სა-ე.-ო ქვეყნის ფეოდალურ იერარქიას, ის იყო პატრონი სიუზერენი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ყმა-ვასალი აზნაურები. ე. იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი სა-ე.-ოში, სა-ე.-ო ჯარის სარდალი. მას ჰქონდა სასამართლო ხელისუფლება, ჰკრებდა სახელმწიფო გამოსაღებებს და სა-ე.-ო გადასახადს. მას ჰქონდა საკუთარი კარი, ხელისუფლების ინსიგნიები (დროშა, ბეჭედი, საყურე, განსაკუთრებული სამოსელი). ისევე, როგორც ყველა დიდ ფეოდალს, ე.-საც ჰქონდა საგვარეულო მონასტერი და თავისი ციხე-დარბაზი. ე.-ებად საგანგებო ცერემონიალით აკურთხებდნენ ხოლმე.

ერისთავი დავით (1847-1890) — (ქ. მწ.) დრამატურგი, პოეტი, პუბლიცისტი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გ. ერისთავის შვილი. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, პეტერბურგის სამკურნალო აკადემიაში, იმოგზაურა ევროპაში და 1871 წელს სამშობლოში დაბრუნდა, ეწეოდა კრიტიკულ-პუბლიცისტურ საქმიანობას. სახელი გაუთქვა დრამამ „სამშობლო," რომელიც 1882 წ. დაიდგა ქართულ სცენაზე. ავტორმა ფრანგი დრამატურგის სარდუს დრამა „ფლანდრია" ქართულ ნიადაგზე გაშლით სრულიად გაათრიგინალურა. დრამის მთავარი დედააზრია სამშობლოს სიყვარულისა და თავგანწირვის გრძნობა. მის პირველ დადგმას შეურაცხმყოფელი წერილით გამოეხმაურა იმდროინდელი შავრაზმული პრესა, რამაც კანონიერად ალაშფოთა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ი. ჭავჭავაძემ „დროებაში" მოათავსა ცნობილი წერილი „კატკოვის პასუხად."

ერისთავი რაფიელ (1824-1901) — (ქ. მწ.) პოეტი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი, საზოგადო მოღვაწე, არაგვის ერისთავთა შთამომავალი. მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მიმოხილვები, წერილები და ნარკვევები იბეჭდებოდა რუსულ პრესაში. რ. ერისთავი ერთ-ერთი ინიციატორი იყო ქართული მუზეუმის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების, ქართული პროფესიული თეატრის დაფუძნებისა. თავმჯდომარეობდა თეატრალურ საზოგადოებას, იყო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი პირველი კომისიის ინიციატორი და მონაწილე.

რ. ერისთავის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პატრიოტულ თემატიკას (წერილები — „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე“, „ვარძია“; ლექსები — „მოძმეთადმი“, „დედაენა“, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“; პოემები — „ასპინძის ომი“, „თამარიანი.“). განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი — „სამშობლო ხევსურისა“, რომელმაც იშვიათი პოპულარობა მოიხვეჭა და რომელიც დღემდე მიჩნეულია ქართული პოეზიის შედევრად.

ი. გოგებაშვილთან ერთად რ. ერისთავი ითვლება ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად. მან თვალსაჩინო ამაგი დასდო ქართულ დრამატურგიასა და თეატრს. მისი პიესები: „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უძლავრესია“, „ადვოკატები“, „ბრილიანტი“, „მბრუნავი სტოლები“, „სადილი მარშლისას“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ არ სცილდება ქართული თეატრის რეპერტუარს.

რ. ერისთავს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების საქმეში. გამოსცა კრებული „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“, „ქართული სახალხო პოეზია“ და „ქართული გამოცანების კრებული“.

რ. ერისთავი მუშაობდა ლექსიკოლოგიაშიც. მისი რედაქტორობით პირველად გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. აქვს გამოცემული სხვადასხვა ტერმინოლოგიის ლექსიკონები. მუშაობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.

ᲔᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ — საერო, არასასულიერო წოდების პირი, სამოქალაქო პირი.

ᲔᲠᲙᲔᲛᲐᲚᲘ — (ქეგლ) მამალი ცხვარი, ვერძი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ — ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის გამიზნული მოძრაობა.

ᲔᲠᲝᲡᲘ — (მით. ლექს.) (ტექსტის ლექს.) ძველბერძნული ღმერთი სიყვარულისა პენიასა და პოროსის ვაჟი. რომაელთა ამური, კუპიდონი, ოქროს ფრთოსანი ლამაზი ბიჭუნა, სიყვარულის ძველი ღვთაება, სამყაროს საწყისი, ბუნების შემოქმედებითი ძალების ღმერთი, ქაოსისა და ურანოსის, ან ქაოსისა და გეას, თუ კრონოსის შვილი; ან კიდევ ზევსისა და აფროდიტეს, ზეფირისა და ირიდას, არესისა და აფროდიტეს ძე. ამ ვერსიების სიმრავლეშიც კი ერთგვარი დაფარული სიბრძნეა ჩაქსოვილი; თითქმის ყველა რანგისა და ხასიათის ღმერთები ჩაურევიათ ბერძნებს სიყვარულის ღმერთის შექმნაში, რადგან სიყვარული საყოველთაო უზენაესი მადლია, რაც აკავშირებს, იმონებს და ახალისებს ციურ და მიწიერ ძალებს. თეოგონიაში ეროსი პირველი აქტიური შემოქმედი ძალაა. ძველია ეროსი, როგორც თვით სიცოცხლე. „შურით აღვსილი ეროსი ფაფარში მისწვდენოდა ცხენების რემას.“ „მოუთმენელი გახდა არსაკიძე როგორც ეროსი — სულწასული დედისა და უჯიათი მამისაგან წარმოშობილი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲔᲠᲝᲢᲘ — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: სიყვარულის ღმერთი. ეროტიზმი — გადაჭარბებული სქესობრივი ალგზნე-

ბულობა, მეტისმეტი ვნებიანობა. ეროტიკა — ვნებიანობა. ცნება გაჩნდა ეროსისაგან.

ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐ — (უსლ) დიდი განსწავლულობა, ღრმა ცოდნა მეცნიერების ამა თუ იმ დარგისა. „კ. გამსახურდია, როგორც ერუდიტი მწერალი, ჩინებულად იცნობდა ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურას" (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

ᲔᲠᲥᲕᲐᲜᲘ — (ქეგლ) გუთანი, გუთნის სახელური. „ქოსა და დაღრეკილი მამაკაცები ჭირის დღესავით ხძაგთ დიაცებს, რადგან მათი მკლავები ხმალს ვერ მოიქნევენ, ერქვანს ვერ გამართავენ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲔᲡᲐᲕᲡ [ძვ.]— (ქ. მწ.) იმედი აქვს. „იყო დიდვაჭარი, რომელი ღმერთსა არა ესვიდა" (საბა). „ამის მეტს არას ეტყოდი ესევდით ღმერთს ზეციერსო". „ვაიმე, ჩემო სავსავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო" (დ. გურ.).

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნებისა და საერთოდ მშვენიერების შესახებ. „საშოციანელებმა ლიტერატურასა და ხელოვნებაში შემოიტანეს ახალი ესთეტიკური პრინციპები" (სასკოლო სახ.-ლო).

ᲔᲡᲐᲘᲐ — (მით. ენც.) ბიბლიური წინასწარმეტყველი. მისი ბაგეები ღვთის სიტყვებით მეტყველებდნენ. მისი წინასწარმეტყველებანი იუდას ხალხს უმძიმესი დრო-ჟამის გადატანაში შველოდა. იგი ამბობდა: ებრაელებს თავისი ურჩობის გამო მრავალი ტანჯვა-წამების გადატანა მოუწევთ, მაგრამ დადგება დღე, როცა ღმერთი გაანადგურებს მათ მტრებს და თავის ხალხს ტყვეობიდან გამოიხსნისო. ესაიამ იწინასწარმეტყველა აგრეთვე მესიის მოსვლა.

ᲔᲡᲙᲘᲖᲘ [ფრ.] — (ქეგლ) წინასწარი მონახაზი, წინასწარი ჩანაწერი, წინასწარი გეგმა. ესკიზი შეიძლება იყოს სრულიად დამთავრებული პატარა მოთხრობა თუ ნოველა.

ᲔᲡᲞᲔᲠᲐᲜᲢᲝ — (ქეგლ) ერთ-ერთი ხელოვნური საერთაშორისო ენა. „[მარქსისტებს] ეროვნული ენის მაგივრად შემოაქვთ ახალი ენა ხმარებაში — ესპერანტო, რომელიც მისცემს საშუალებას ადამიანებს ერთმანეთთან დაახლოებაში" (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲔᲡᲡᲔᲘ [ინგლ.] — (უსლ) თავისუფალი ფორმის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა პრობლემები.

ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ — (ქეგლ) გუნდური შეჯიბრება სირბილში. ხის პატარა ჯოხი, რომელსაც შეჯიბრის დროს ერთი ეტაპის გავლის შემდეგ გადააწოდებს თავისი გუნდის მეორე მორბენალს, მოცურავეს თუ სხვა. საყურადღებო ცნობის სასწრაფო გადაცემა ერთის მეორისათვის და ასე ბოლომდე. ესტაფეტა მწერლობაში უფრო ხშირად იხმარება გადატანით.

ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘ — (ქეგლ) 1. ზომის ზუსტი ნიმუში, რომლითაც მოწმდება ხმარებაში არსებული საზომი ხელსაწყო-იარაღები; შაბლონი, რისამე საზომი.

ᲔᲢᲘᲛᲝᲚᲝᲒᲘᲐ — (ქეგლ) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, მის შედგენ-

ილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას. „ერთხელ კიდევ გადავიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“, რამდენიმე ეტიმოლოგიური ლაფსუსი და შეცდომა გავასწორე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ —კ. გამს.).

ᲔᲢᲘᲛᲝᲜᲘ — (ქეგლ) ამოსავალი სიტყვა, რომლისგანაც წარმოიშვა მოცემული სიტყვა.

ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲘ — (უსლ) 1. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ნიშანი, რომელზედაც ნაჩვენებია სახელწოდება, ფასი და სხვა. იარლიყი. 2. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში, და ა. შ. 3. თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების კრებული. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში. „კეთილშობილი ეთიკეტი და ტრადიციები „მოწინააღმდეგესთან“ ბრძოლაში ამტკიცებს ჩვენი ხალხის წინაპართა ძლიერებისა და კულტურის მაღალ დონეს“ (ნ. ლორთქიფანიძის „რაინდების“ შესახებ). „ადრე მოსწყინდა მეფეს „ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲔᲢᲘᲙᲘ — (ქ. მწ.) გზის მაჩვენებელი. „[ძმადნაფიცები] ისე მიდიოდნენ ხევხუევებით უგზოდ და საცალფეხო კლდოვანი ბილიკებით, თითქოს წინ ვიღაც ეტიკი მიუძღოდათ“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲔᲢᲘᲣᲓᲘ — (უსლ) 1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოები — წინასწარი მონახაზი, რომელიც ნატურიდან არის შესრულებული. 2. ლიტერატურული, ფილოსოფიური ან მეცნიერული ნარკვევი. 3. სავარჯიშო მუსიკალური პიესა. „ლიტერატურული ეტიუდი“ ან „კრიტიკული ეტიუდი.

ᲔᲢᲚᲘ — (ქ. მწ.) 1. ცთომილი, ვარსკვლავი, ბედის ვარსკვლავი, ბედი, ბედისწერა. 2. ტრანსპორტი. „სიონის ქუჩა ცხენებითა და ეტლებით იყო სავსე“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲔᲢᲠᲐᲢᲘ — (ქეგლ) საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა; პერგამენტი, ეტრატის გრაგნილი. (საბა) ტყავის ქაღალდი. „გაეღვიძა მეფეს და ნახა, ხელთია ეტრატი ჰქონდა“ (საბა).

ᲔᲣᲚᲘ — (ქეგლ) უთვისტომო, უნათესავო, უპატრონო.

ᲔᲤᲔᲛᲔᲠᲐ [ბერძ.] — (უსლ) ფრთოსანი მწერი, რომელიც მხოლოდ ერთ ან რამდენიმე დღეს ცოცხლობს, მედღეურია. (გადატ.) ხანმოკლე. ეფემერული — რამე სწრაფმავალი, არამყარი, არარეალური, მოჩვენებითი. „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები ჰქროდნენ ეფემერულად და ფერადი ქარებით— სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული“ („ეფემერა“ — გ. ტაბ.).

ᲔᲤᲠᲔᲛ ᲤᲔᲠᲓᲘ — (ქ. მწ.) ასტროლოგიური წიგნი, ეფუთი.

ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ — (ლექს. ცნობ.) (XI ს.) მეცნიერი, მწიგნობარი, მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო სკოლის გამგრძელებელი და განმავითარებელი. მისი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ ვიცით. ვარაუდობენ, რომ გვარად კარიჭისძე იყო. დაიბადა XI ს.-ის I ნახ.-ში.

განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო. სრულყოფილად შეისწავლა ბერძნული ენა და ლიტერატურა. XI ს. 60-იანი წლების დამდეგს უკვე თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად. მოღვაწეობდა მცირე აზიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე, სადაც იმხანად ქართველმა ბერ-მონაზვნებმა ძლიერი სალიტერატურო სკოლა შექმნეს. როგორც ჩანს, შავი მთა სიკვდილამდე არ დაუტოვებია. 1091 წ. ახლო ხანს შავი მთის კასტანას მონასტრის წინამძღვარი იყო. 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტები მას უკვე მიცვალებულად მოიხსენიებენ. ე. მ. დიდად განსწავლული ფილოსოფოსი იყო.

ეფუდი — 1. (საბა) ეფუდისა სახელი გადმოითარგმნების უწყებად და ახსნად. ხოლო სახე იყო მისი მოთხოვით მტკაველედი, ქსოვილი ოქრომკედითა ფერადითა და საშუალ მისა იყო სახე ვარსკვლავისა ოქროსაგან წმიდისა, ამიერ და იმიერ ორნი სამრაგდენი თვალნი, რომელთა ზედა ეწერა ექვს-ექვსი სახელი. ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა. მასზედა იკითხვიდნენ და მით უწყის უფალმან. ეფუდი არს არონის მკერდზე საკიდი ერთ მტკაველი სიგრძე-განი, რომელშიც ისხდა 12 თვალი; მით სცნეს ბრძანება უფლისა. 2. თეოსოფიური წიგნი სომხეთსა და საქართველოში ფრიად გავრცელებული (იხ. ეფრემ ვერდი). „საქართველოში ბერები ეფუდს იმოწმებდნენ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ექვთიმე ათონელი (დაახლ. 955-1030) — (ქ. მწ.)საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, ფუძემდებელი და უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ათონის ქართული სალიტერატურო სკოლისა. დაიბადა სამხრეთ საქართველოში, დიდგვაროვანთა ოჯახში. მამამისი ბერად იყო აღკვეცილი იოანეს სახელით. პატარა ექვთიმეს თავი გამოსთხოვა იმპერატორს, მონასტერში (ოლიმპოს მთაზე) წაიყვანა და იქ ექვთიმეს სახელით ბერად აღკვეცა. მანვე გაწვრთნა ექვთიმე ქართულსა და ბერძნულ ღვთისმეტყველებაში. მამამ დაუსახა მიზნად საღვთისმეტყველო ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნა ბერძნულიდან ქართულად: „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა აწ იღვაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან.“

965 წელს მამა-შვილი ათონის მთაზე ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა. 983 წელს ქართველებმა დაამთავრეს ათონის მთაზე საკუთარი სავანის — ივერიის ღვთისმშობლის მონასტრის მშენებლობა. ამ მონასტრის წინამძღვარი, მამის გარდაცვალების შემდეგ ექვთიმე ყოფილა.

ექვთიმემ დიდად გაითქვა სახელი. იყო ივერიონის წინამძღვარი და ათონის დიდი ლავრის „სულიერი ეპიტროპი“. იგი მხოლოდ ფორმალურად არ ასრულებდა ამ დიდ მოვალეობას. ათონის მთის ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ აქტებს ექვთიმე ხელს აწერს ბერძენთა დიდი ლავრის იკონომისის ტიტულითაც. როგორც ცნობილია გზად მიმავალი გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ივერიის მონასტერში ათონის მთაზე.

ექვთიმეს საქმიანობაში უმთავრესი იყო მისი ლიტერატურული საქმიანობა. მან საგრძნობი კვალი დააჩნია ბიზანტიურ ლიტერატურას. ბერძნულ ენაზე წერდა ორიგინალურ ლიტერატურულ თხზულებებს. მან ქართულიდან ბერძნულად თარგმნა შუა საუკუნეთა ქრისტიანული მწერლობის ორი უბრწყინვალესი ძეგლი „სიბრძნე ბალავარისი“ და „აბუკურა“. ამ დამსახურებამ განაპირობა ის რომ ადრევე ითარგმნა ბერძნულად გიორგი ათონელის „ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“.

ექვთიმე ათონელი წმინდანად შერაცხა არა მხოლოდ ქართულმა ეროვნულმა ეკლესიამ, არამედ ბერძნულმაც. მისი თარგმნილი ლიტერატურა სასულიერო მწერლობის ყველა დარგს მოიცავს. იგი ცდილობდა მკითხველისათვის განზავებული და განმარტებული დედანთან დიდი სიზუსტით მიახლოებული ტექსტები მიეწოდებინა. მისი შრომა განაგრძეს გიორგი მთაწმინდელმა, ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა. ამ მთარგმნელთა ღვაწლმა ქართული ლიტერატურა გვერდში ამოუყენა ბიზანტიურ მწერლობას.

ექსკურსი – (უსლ) ძირითადი საკითხისაგან გადახვევა გზადაგზა წამოჭრილი სხვადასხვა საკითხების გასაშუქებლად; წიაღსვლა.

ექსორია ქმნა – (ქ. მწ.) განდევნა. მოკვეთა.

ექსპანსია – (უსლ) იმპერიალისტური სახელმწიფოს ან მონოპოლისტური გაერთიანების გავლენის სფეროს გაფართოება, ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ სწრაფვა.

ექსპედიცია [ლათ.] – (ქეგლ) ადამიანთა ჯგუფის გამგზავრება რაიმე სპეციალური მიზნით, საგანგებო დავალებით. სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიცია რუსთაველის ნაკვალევზე.

ექსპლუატაცია – (ქეგლ) წარმოების საშუალებათა მესაკუთრის მიერ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება, ყვლეფა. „ეკონომიურად შევიწროებული თავადაზნაურობა თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას ყმა გლეხობის გაძლიერებული ექსპლუატაციით ცდილობდა“ (სასკ. სახ-ლო).

ექსპოზიცია – (უსლ) ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც აღწერილია ძირითადი მოქმედების წინარე ვითარება. 2. მუსიკალური ნაწარმოების პირველი ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია მთავარი თემები. 3. ხელოვნების ნაწარმოებთა სამუზეუმო ექსპონატების, მრეწველობის პროდუქტების და სხვა გარკვეული სისტემით განლაგება დასათვალიერებლად; გამოფენა.

ექსპონატი – (უსლ) საგანი, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე.

ექსპრესია – (უსლ) რაიმე განცდის, გრძნობის გამოხატვის ძალა, გამომხატველობა. „დიდოსტატის მარჯვენაში“ სადა მეტყველებით. მიღწეულია ენობრივი ექსპრესია“ (სასკ. სახ-ლო).

ექსპრესიონიზმი – (უსლ) მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურ-

აში, რომელიც წარმოიქმნა XX ს.-ის I ნახევარში; მისი მიმდევრები თავიანთ ძირითად ამოცანად თვლიდნენ მხატვრის შინაგან სამყაროს, მისი სუბიექტური შემოქმედებითი განცდების ასახვას.

ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ [ლათ.] — (ქეგლ) სახელდახელოდ (წარმოთქმის, შესრულების მომენტში) შეთხზული ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები (რაფ. ერისთავის ექსპრომტი „ოთარაანთ ქვრივზე“). „ჯიბეებიც და უბეებიც შაირით აქვთ გამოტენილი, ექსპრომტით სალმუნობა კი არსენას, მარინეს და „ლაყე-ბიჭს“ ეხერხებათ“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲘ [ბერძ.] — (უსლ) უკიდურესი ავადმყოფური აღტაცება, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტყინება. „რელიგიურ ექსტაზში შესული ბორდოხანი სტიროდა და ტანისამოსის კალთებს უკოცნიდა კათალიკოსს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲔᲥᲡᲢᲔᲠᲜᲘ — (უსლ) პირი, რომელიც სასწავლებელში არ ირიცხება და ისე აბარებს გამოცდებს.

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲕᲐᲒᲐᲜᲢᲣᲚᲘ [ფრ.] — (უსლ) საყოველთაოდ მიღებული წესებისათვის, ნორმებისათვის შეუფერებელი; არაჩვეულებრივი, უცნაური, ახირებული.

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲖᲛᲘ [ლათ.] — (უსლ) უკიდურესი შეხედულებებისა და ზომების მომხრეობა (უპირატესად პოლიტიკაში).

ᲔᲩᲝ — (ქეგლ) ხის სათლელი იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი (ნაფოტებს ისვრის მთლელისაკენ). (გადატ.) „კაცი განა ეჩო არის, სულ თავისკენ მიითვლიდესო“. ეჩო კაცი — თავკერძა, ეგოისტი. „ღვთისავარი გუთანს მართავდა და ეჩო უკანასკნელად უნდა მოესვა“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲔᲨᲐᲤᲝᲢᲘ [ფრ.] — (უსლ) ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზედაც სიკვდილით სჯიდნენ.

ᲔᲨᲕᲘ — (საბა) ღორის ტახი. (ქეგლ) კბილი, რომელიც მოთავსებულია საჭრელ და ძირითად კბილებს შორის; ზოგ ცხოველს (ტახს, სპილოს) იგი ორივე მხარეს გარეთ გამოშვერილი აქვს. „[ერისთავებმა საახალწლოდ მეფე გიორგის მიართვეს] ერთი თავიც ველური ეშვისა საგსებით მოოქროვილი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — მ. ჯავახ.).

ᲔᲨᲙᲐᲦᲐᲑᲐᲨᲘ (ᲔᲨᲘᲙᲐᲦᲐᲑᲐᲨᲘ) — (ქ. მწ.) მეფის კარზე წესრიგის განმგებელი, დაცვის უფროსი. მეფის საგანგებო საქმეთა მოხელე, საპოლიციო აპარატის ხელმძღვანელი. „ვინც ადრე ამილახვრობას, ამირეჯიბობას, ეშიკაღაბაშობას და ამირბარობას არად აგდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა“ („ბაში-აჩუკი“ — აკ. წერ.).

ᲔᲯᲘ [ძვ.] — (ქეგლ) მანძილის საზომი ერთეული, დაახლ. 4-5 კმ. „ქორსატევლამდე ექვსიოდე ეჯი უკლდათ, როცა მამაშზე ერისთავი დიდი ამალით შემოხვდა წინ“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ გამს.). (საბა) სამი მილი ერთი ეჯია და სამი ათასი ბიჯი.

ᲔᲯᲘᲑᲘ — (საბა) 1. მეფის მაგიერ მოლაპარაკე. 2. მეჯვარე, მეფის პირველი მაყარი ქორწილში და რიგის მიმცემი. „გაუმარჯოს, ეჯიბო, შენს მეფეს“ („ჩხიკვთა ქორწილი“). „და ეჯიბი კი სულ ღრიალებს: „სად არის ზურნა! / ღვინო და ზურნა! სხვა დღეს ნეფეს არა უნდა რა“ („ქორწილი ჩვენს უბანში“ — ი. გრიშ.).

ვ

ვადა — 1. დროის განსაზღვრული მონაკვეთი: რისამე შესრულებისთვის დანიშნული დრო. 2. მახვილის, ხმლის, ხანჯლის და მისთ. ტარი. ხმალი ვადაში გადუტყდა.

ვაზირობა — (ქ. მწ.) რჩევა, თათბირი.

ვაკანსია — (უსლ) დაუკავებელი ადგილი (დაწესებულებაში). თავისუფალი ადგილი — ვაკანტური ადგილი.

ვალალება — ვაება.

ვალი — (ქეგლ) 1. სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებული საქონლის საფასური თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი; 2. მოვალეობა. მამულიშვილური ვალი. მოეთხოვება, ევალება; ვალში არ დარჩება — სამაგიეროს სიკეთეს გაუწევს; 3. (ვალი) ასე ეძახდნენ ირანში ქართლ-კახეთის მეფეებს, რომელნიც მათთან დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. „[თეიმურაზ-ხან], მართალია, სპარსეთის ვალად ითვლები, მაგრამ ესეც თქვენსავე საკეთილდღეოდ“ („ბაშიაჩუკი“— აკ. წერ.)

ვამპირი [ფრ.] — (უსლ) ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ხალხის ცრუ რწმენით: მიცვალებული, რომელიც ღამღამობით დგება საფლავიდან და მძინარე ადამიანებს სწოვს სისხლს. ~ შეუბრალებელი, სასტიკი ადამიანი.

ვანდალიზმი — (ქსე) მატერიალურ ფასეულობათა და კულტურის ძეგლთა განადგურება; ბარბაროსობა. სახელი წარმოდგება ძველი გერმანული ტომის — ვანდალებისაგან, რომელიც V ს. შუა წლებში რომის იმპერიას შეესია, გაძარცვა რომი და გაანადგურა აუარებელი კულტურის ძეგლი.

ვანი [ძვ.] — (ქ. მწ.) სახლი, ბინა, სამყოფი, სადგომი. „[ეპისკოპოსი] კაცისა ვისამე ზოგნი ვანად მისრული იყო („შუშანიკის წამება“).

ვარაყი [არაბ.] — (ქეგლ) ოქროს თხელი ფენა ნივთებზე გადაკრული შესამკობად. ოქროსფერი საღებავით შესრულებული შემკულობა (წიგნის ყდისა, წარწერისა). „ჯაყოს ზედიზედ გამოჰქონდა ოქროს ვარაყიანი სურათები, ატლასის სავარძლები“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ვარდობისა — (ქ. მწ.) მაისი. ქართული წარმართული კალენდრით, კალენდარული წლის მეხუთე თვე. სახელწოდება მოდის ძვ. იტალიური მიწის ქალღმერთ მაიასაგან, რომელსაც მაისის პირველ დღეს ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ.

ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე (1072-1067) — (ქსე) ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სემინარია, ყაზანის სასულიერო აკადემია, პედაგოგად მუშაობდა სიმფეროპოლის სას. სემინარიაში, თბილისის სხვადასხვა სკოლაში, ცხინვალისა და გორის პედ. ინსტიტუტებში. 1094 წ.-დან მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში. ვ.-ს მონოგრაფიები, ლიტ.-კრიტ. წერილები და ნარკვევები ეხება ცურტაველის, ჩახრუხაძის, რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებას. მასვე ეკუთვნის სახელმძ-

ღვანელო „სიტყვების თეორია," მემუარული ჟანრის „მოგონებები" და სხვა.

ვარიეტე — (უსლ) მსუბუქი ჟანრის, ე. წ. „მცირე ფორმის" თეატრი, რომლის სპექტაკლში შეხამებულია სასცენო ხელოვნების სხვადასხვა სახეობა.

ვარსაკი — (ქ. მწ.) დალაქი. „მხამს გიტყებდე (უნდა გტიროდე) მეფის ბილით, ვარსამისა სავსე მჯიღო" („ქართლის ჭირი"— დ. გურ.).

ვარშამანგი — (ქ. მწ.) ტიარა, ერთგვარი ქუდია მღვდელთმთავართა. „ციმციმებდნენ ვარშამანგის ალმასები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ვარცლი — (ქსე) ცომის მოსაზელი ხის ჭურჭელი, მოგრძო და ღრმა, ორივე მხარეს წაშვერილი თავი აქვს. ვ. შეიძლება მთლიანი მორისაგან იყოს გამოთლილი ან ნაჭრებისაგან შეკრული. ვ.-ის ხის საფარებელს ორომი ეწოდება. ვ.-ის თავებზე ამოგუნდავებული ცომი ორომზე გადააქვთ და ისე აკრავენ თონეში. ზოგან ვ. წისქვილის ხვიმირს ეწოდებოდა.

ვარძია — (ქსე) კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი. XII-XIII ს. ს. ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი; მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რ-ნში, მ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. სამონასტრო ანსამბლი შეიქმნა 1185-1203 წ. წ. აკურთხეს 1185 წ. 15 აგვისტოს, თამარის მეფობის ხანაში. ვ. არაერთხელ აოხრდა და გაიძარცვა დამპყრობლების მიერ. 1938 წ. იგი მუზეუმნაკრძალად გამოცხადდა. კლდის უბის სიღრმეში ჩასმულია ტაძარი-მონასტერი მონაზონთა საცხოვრებლითა და საზოგადოებრივი პალატებით. მონასტერში 420 სათავსია, 25 მარანი, 185 ქვევრი. აქ მთლიანად და ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული — ოთახი, „სადარბაზო" საკრებულო — მცირე ეკლესიით, თამარის ოთახი, სალხინო (მარნით) და სხვა. გვირაბები მომარაგებული იყო წყლით. მთავარი ეკლესიის მახლობლად, სიღრმეში ბუნებრივი წყაროა, ამასთანავე 3,5 კგ. მეტრი სიგრძის წყალსადენის ტრასა. ვ. არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით; ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოხატულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები. აგრეთვე ქართლის ერისთავი რატი სურამელი, რომლის თაოსნობითაც მოიხატა ტაძარი.

ვასალი [ფრ.] — (უსლ) შუა საუკუნეებში დას. ევროპაში მემამულე, ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე (სიუზერენზე). 2. ვისიმე ხელქვეითი, დამოკიდებული პირი; დამოკიდებული სახელმწიფო. „ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები / თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები" („ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო!" — მ. ლებ.).

ვასაძა — (ქ. მწ.) ხის პატარა მწვანე ბაყაყი.

ვატიკანი — (უსლ) კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული

ცენტრი; ამ ეკლესიის მეთაურის — რომის პაპის რეზიდენცია. წარმოადგენს ცალკე სახელმწიფოს ქ. რომის ცენტრში (ტერიტორია — 44 ჰა, მოსახლეობა — 1000 სული).

ვაცი — (საბა) მამალი თხა.

ვაშკარანი — (საბა) ესე ზოგადი სახელი არის ყოველთა შთასადებელთა: გვალაგთა, ტომარათა, ველავარკთა, მანდიკთა, მახალთა, მახალაკთა, შულდაკთა, ხალთასა, ჩახვსა, ბალანტსა... ჭურჭელი." „მელქისედეკმა ჯვარის მტვირთველს ვაშკარანების გახსნა უბრძანა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ვახტანგ VI (1675-1737) — (ქ. მწ.) სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი, მწიგნობარი, განმანათლებელი. აღიზარდა მდიდარ კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების სამეფო კარზე. მის აღზრდას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ცოდნის სიყვარულთან ერთად მოქალაქეობრივ იდეებს უნერგავდა. ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ქართლის გამგებლად (ჯანიშინად) ყოფნის პერიოდი (1704-1712) ამ ხანში ქართლი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გზაზე შესამჩნევად დაწინაურდა. სწორედ ამ პერიოდში (1709) ვახტანგის უშუალო თაოსნობით დაარსდა პირველი ქართული სტამბა და ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი" და სასულიერო მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. ქართლის გამგებლად ყოფნის დროს ჩაუდგა ვახტანგი სათავეში „ქართლის ცხოვრების" ახალი რედაქციის შედგენის საქმეს; სწავლულ კაცთა კომისიამ ქართულ და უცხო საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით დაწერა ახალი საუკუნეების (XIV-XVII ს.ს.) ისტორია და შეიმუშავა „ქართლის ცხოვრების" ახალი რედაქცია. ჯანიშინობის დროს შეადგინა ვახტანგმა კანონთა კრებული, დაწერა სამართლის წიგნი, შექმნა ცნობილი „დასტურლამალი", მაგრამ მის მოღვაწეობას გზა გადაუღობა ირანის შაჰმა, სპარსეთში დაიბარა, რჯულის გამოცვლა მოსთხოვა და უარის გამო ქირმანს გადაასახლა. 1719 წელს ქართლში დაბრუნებულმა განაგრძო ადრე დაწყებული საქმიანობა, მაგრამ წარმატების მიღწევა ძალზედ ძნელდა."

მრავალმხრივი და ნაყოფიერია ვახტანგის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა. მან დაუდო სათავე რუსთველოლოგიას. „ვეფხისტყაოსნის" 600-მდე სტროფის ვახტანგისეულ კომენტარებში აღძრულია რუსთველოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები.

ვახტანგმა თავისი სიტყვა თქვა ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში. იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" საბოლოო სრულყოფაში.

ვახტანგ I გორგასალი (დაახლ. V ს. 40-იანი წ.წ. — 502 წ.) — (ქსე) ქართლის მეფე, პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი. „გორგასალი" (სპარსულად — „მგლისთავა") იმიტომ შერქმევია, რომ მუზარადზე მგელი ჰქონია გამოსა-

ხული. იბრძოდა ქართლის განთავისუფლებისთვის ირანელთა უღლისაგან, ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, შეუზღუდველი სამეფო ხელისუფლებისათვის. V ს. 60-იან წ. წ. ვ. I-მა დაიწყო მზადება ირანელთა განდევნისათვის. მან პირველ რიგში მოახდინა ეკლესიის რეორგანიზაცია — ეპისკოპოსთა ნაცვლად კათალიკოსობა დააწესა. გააცხოველა კავშირი კონსტანტინოპოლთან. ააშენა ახალი და გაამაგრა ძველი ციხეები და ქალაქები. დიდი მშენებლობები ჩაატარა უჯარმასა და თბილისში. თბილისში აპირებდა იგი დედაქალაქის გადატანას, რაც განახორციელა მისმა შვილმა დაჩიმ. ვ. I-მა ხელთ იგდო კავკასიონზე გადმოსასვლელები, რომლებიც მანამდე ირანელებს ეჭირათ. 80-იანი წლების დასაწყისში ირანელებს გაურთულდათ მდგომარეობა შუა აზიაში. ამით ისარგებლა ვ. I-მა და 482 წ. დაიწყო აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, ვ. I-მა მოაკვლევინა ქართლის ოპო'ზიციონერი ფეოდალი ვარსქენ პიტიახში. აჯანყებული ქართველები ბრძოლის პირველ ეტაპზე დამარცხდნენ. მაგრამ ირანელებს ცუდად წაუვიდათ საქმე შუა აზიაში, მოკლეს თვით შაჰი პეროზი. ამან ირანელები აიძულა ზოგი რამ დაეთმოთ აჯანყებულთათვის. ვ. გ.-მა სიცოცხლე შესწირა ირანელებთან ბრძოლას (მოსყიდულმა მონასპამ იცოდა, რომ ჯაჭვის პერანგი გარღვეული ჰქონდა და ესროლა მოწამლული ისარი; ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა იგი). დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფე ლეგენდარულ ეროვნულ გმირად იქცა. XI ს. ისტორიკოსი ჯუანშერი თავის მხატვრულ-ისტორიულ წიგნში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ აქებდა და ადიდებდა მას. „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა. ალბუზზე ფეხი შედგა დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“ (ხალხური).

ვახტანგ VI-ის სტამბა – (ქსე) პირველი ქართული სტამბა. დაარსდა 1708-1709 წ.წ. თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირას, სპეციალურად აგებულ შენობაში. სტამბის გამმართველად ვახტანგ VI-მ მოიწვია რუმინეთიდან ანთიმოზ ივერიელის (იხ. ანთიმოზ ივერიელი) ნამოწაფარი, უნგროვლახელი ოსტატი მ. იშტვანოვიჩი. პირველი წიგნი, რომელიც აქ დაისტამბა, იყო „სახარება.“ 1709-1712 წ.წ. დაიბეჭდა 11 დასახელების წიგნი, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „სწავლულ კაცთა“ მიერ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა,“ ვახტანგ VI-ის რედაქციითა და რეკომენდირებით. 1713-20 წ.წ. სტამბაში დაიბეჭდა სულ 5 წიგნი. ვახტანგ VI-ის ქირმანში გადასახლების გამო წიგნების გამოცემა შეწყდა.

1721-1722 წ.წ. კვლავ განახლდა სტამბაში ბეჭდვა. დაიბეჭდა ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი „ქმნულების წიგნი,“ ანუ „აიათი,“ „ჟამნი.“ სულ სტამბაში დაიბეჭდა 19 დასახელების წიგნი, რომელთა ბეჭდვისა და გამოცემის ხარისხი ისეთივეა, როგორც ევროპულ სტამბებში გამოცემული წიგნებისა.

სტამბას ჰქონდა რამდენიმე ფორმის შრიფტი: ქართული, ხუცური (ასომთავრული, ნუსხური), მხედრული, ბერძნული და ლათინური. ერთსა და იმავე დროს იყენებდნენ როგორც შავს, ისე წითელ საღებავს. წიგნებში ჩართულია სურათები, გრავიურა. ტექნიკური შესრულების ყოველი მხარე — კარგი ქაღალდი, ჩინებული აკინძვა და შეკაზმვა იმდროინდელი ხელოვნების შედევრია. სტამბაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ოსტატები: ნ. ორბელიანი, იგივე ნ. თბილელი, (ს. ს. ორბელიანის ძმა), გერმანე მღვდელმონაზონი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვანი.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) — იხ. ბაგრატიონი (ბატონიშვილი ვახუშტი)

ვახში — (ქეგლ) სესხის მეტად დიდი სარგებელი ან სარგებლის სარგებელი. „ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი მაგათ არ ემართათ და ვახში" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ვახტი [გერმ.] — (ქეგლ) მორიგეობა გემზე. ენთუზიაზმით მუშაობა რისამე აღსანიშნავად.

ვეზირი [არაბ.] — (ქსე) ვაზირი, მინისტრებისა და დიდმოხელეთა ტიტული მრავალ მუსლიმანურ სახელმწიფოში. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სულ 6 ვ. იყო: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი.

ვენერა — 1. რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი. 2. დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლო მყოფი პლანეტა. ჩვეულებრივ ჩანს გათენებისას და მზის ჩასვლის შემდეგ, როგორც კაშკაშა ვარსკვლავი; ცისკრის ვარსკვლავი.

ვენერა მილოსელი — (მით. ლ.-ნი) ბერძენთა აფროდიტეს ზუსტი რომაული ასლი. მწერლობაში და ხელოვნებაში მათ არც კი არჩევდნენ: ზოგი ვენერას უწოდებს, ზოგი — აფროდიტეს. აქედანვეა ვენერიული სნეულებები. ვენერას ბრწყინვალე ტორსი რომის ხელოვნების ნიმუშია (თავი და მკლავები მოტეხილი აქვს, ესაა „შერშელის ვენერა," III ს. ქანდაკების ასლი). სასწაულით გადარჩა საკირეში დაწვას (სხვა ნიმუშები ცეცხლში ჩაყარეს და ბარბაროსულად გაანადგურეს XIX ს.-ში, როცა მიწაში შემთხვევით აღმოაჩინეს). ლამაზი, წარმტაცი ქალი, სილამაზის იდეალი (ჯორჯონეს ვენერა — ღვთაებრივი, ციური სილამაზის განსახიერება). „ელადა, ელადა... აქ სული ატარებს თვის მსუბუქ სამოსელს ასეთი სინათლით შუბლი უელავდა ვენერა მილოსელს" („შიშველი"— გ. ტაბ.).

1035 წ. ივნისში გ. ტაბიძე პარიზშია კულტურის დაცვის პირველ მსოფლიო ანტიფაშისტურ კონგრესზე. კონგრესს ესწრებიან გამოჩენილი მწერლები: ანრი ბარბიუსი, ლუი არაგონი, ანდერსენი, ანა ზეგერსი. კონგრესზე სიტყვა წარმოთქვა გალაკტიონმა. პარიზმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პოეტზე. იგი ათვალიერებს ლუვრს — მსოფლიოს ამ განთქმულ მუზეუმში, სადაც თავმოყრილია ყველა დროისა და ეპოქის ხელოვნების შედევრები: ვენერა მილოსელი, მიქელანჯელოს „მონები", ლეო-

ნარდო და ვინჩის „მონალიზა" („ჯოკონდა"), გალაკტიონს მთელი დღეები გაუტარებია იმ დარბაზში, რომელიც დათმობილი აქვს ვენერა მილოსელის ქანდაკებას. ეს ძეგლი ასეული წლების მანძილზე თვლემდა მიწაში, ერთი უბრალო შემთხვევისას მილოსელმა გლეხმა იპოვა 1820 წ. და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩს მიჰყიდა ექვსი ათას ფრანკად. ამ უკანასკნელმა ქანდაკება მიართვა ლუი XVIII-ს, რომელმაც მას ლუვრში მიუჩინა ბინა.

პოეტი მოხიბლულია მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ტიციანის, რემბრანდტის, რუბენსის, ვანდეიკის, მურილიოს, დელაკრუას და სხვათა შედევრებით. ამიტომ მის პოეზიაში ხშირად შეხვდებით მათ სახელებს: „ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე"; „ასეთი სინათლით შუბლი უბრწყინავდა ვენერა მილოსელს" და სხვა.

ვერნი ჟიულ (1828-1905) — (აკ. გელ. „სიბრძნის სიმფონია") გამოჩენილი ფრანგი მწერალი საქვეყნოდ ცნობილი სათავგადასავლო-ფანტასტიკური რომანის ავტორი („კაპიტან გრანტის შვილები", 80000 კმ წყლის ქვეშ", „მოგზაურობა მთვარეზე"). ბევრი მისი ვარაუდი დრომ გაამართლა.აქვს შესანიშნავი სამტომეული „გეოგრაფიულ მოგზაურობათა და აღმოჩენათა ისტორია".

ვერონეზე პაოლო (1528-1588) — (ქსე) (ნამდვილი გვარი კალიარი) ვენეციელი ფერმწერი, გვიანდელი აღორძინების წარმომადგენელი. კარგად შეისწავლა მიქელანჯელოს ნახატები, რაფაელისა და კორეჯოს კომპოზიციები, ტიციანის მიღწევები კოლორიტის დარგში. 1550-იან წ.წ. ჩამოყალიბდა ვ.-ს დამოუკიდებელი მხატვრული სტილი, რომელსაც ახასიათებს ნახატის არისტოკრატიზმი და სხივიანი, ვერცხლისფერი ტონით გამსჭვალული სუფთა ფერების შეხამება. ვ. ძირითადად მონუმენტურ-დეკორაციული ფერწერის ჟანრში მუშაობდა. ვენეციის საერო და საკულტო შენობების კედლებსა და პლაფონებს ამშვენებს მისი დიდი ზომის მრავალფიგურიანი კომპოზიციები, რომლებიც ხშირად ვენეციის რესპუბლიკის დიდების და სამხედრო ტრიუმფებისადმია მიძღვნილი. მისი ნამუშევრებია: „ქორწილი კანაში," „მოგვთა თაყვანისცემა," „მადონა ყრმასთან და წმინდანებთან ერთად," „ქრისტეს დატირება" და სხვა. „წყვილი ცხენები, ეტლი სწრაფი, ზრუნვა მზიანი, რაღაც სხვაგვარი. მოსვლა ფერების „ვერონეზი და ტიციანი და ნიაღვარი" („არდაბრუნება" — გ. ტაბ.).

ვერლენი პოლ — (ქსე) ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის წარმომადგენელი, განათლებით იურისტი. პირველივე ლექსში „ბატონი პრუდომი" უკვე შეინიშნებოდა ბურჟუაზიული ცხოვრებისადმი სიძულვილი, რამაც განაპირობა ბოჰემური ცხოვრებისადმი სწრაფვა. ვ.-ის შემოქმედება ჩამოყალიბდა პარნასელთა ესთეტიკის, რომანტიზმისა და განსაკუთრებით შ. ბოდლერის გავლენით. განსაკუთრებით გამოირჩევა კრებული „წმინდა სიყვარულის წიგნი," „უსიტყვო რომანსები." მან არტურ რემბოსა და მალარმესთან ერთად დაიწყო სიმბოლისტური პერიოდი ფრანგულენოვან ლიტ-

ერატურაში. მისი ლექსი „პოეტური ხელოვნება" სიმბოლიზმის მანიფესტად იქნა აღიარებული. ვ.-ის პოეზიას გამოძახილი ჰქონდა ქართველ ცისფერყანწელთა შემოქმედებაში. ბ. იაშვილმა ერთ-ერთი სონეტი მიუძღვნა. მისი პოეზიით დაინტერესება შეიმჩნევა გ. ტაბიძესთან: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას" („ქიანურები").

ვერლიბრი — (ქსე) ლექსის ერთ-ერთი სახეობაა. აგებულია უპირატესად ინტონაციურ საფუძველზე და ყურადღება არ ექცევა ტაეპში მარცვალთა რაოდენობასა და მახვილს. თავისუფალი ლექსი, ქართულ პოეზიაში ვერლიბრის კლასიკური ნიმუშია გ. ტაბიძის „ჯონ რიდი." ამ ფორმის ლექსებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა სიმბოლისტ პოეტთა შემოქმედებაში. მაგრამ იგი ვერ ეგუება ქართული ლექსის ბუნებას. ქართული ლექსისათვის რითმა მარტო გარეგნული სამკაული კი არაა, არამედ იგი მუსიკალური ჟღერადობის მიმცემია, ლირიკული ნაწარმოების კომპოზიციურად შეკვრის ძირითადი ელემენტია. სინტაქსური მოწესრიგებულობის ტონის გამომხატველია. ვ. ქართულ პოეზიაში აალორძინა ბესიკ ხარანაულმა.

ვერსი — (ქეგლ) ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,06 კმ-ს. „აქედამ ქვეშემდე სამოცი ვერსი იქნება" („ნამწყემსარი მოგონებანი"— ა. ყაზ.).

ვერსია [ლათ.] — (უსლ) რაიმე ფაქტის ამბის ერთ-ერთი ახსნა ან გადმოცემა (რამდენიმედან), ვარიანტი.

ვერშოკი — (უსლ) სიგრძის ძველებური რუსული საზომი (არშინის 1/16 ნაწილი) უდრის 4.4სმ-ს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ვერძი — (ქეგლ) მამალი ცხვარი, ერკემალი.

ვერჰარნი ემილ (1855-1916) — (ქსე) დიდი ბელგიელი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი. წარმოშობით ფლამანდიელი. წერდა ფრანგულ ენაზე, შედიოდა ლიტ-ულ წრეში „ახალგაზრდა ბელგია". პირველ კრებულში „ფლამანდიელი ქალები" (1883) აიდეალებს სოფლურ ყოფას, ფიზიკურ ძალას, საღ აზროვნებას, ადამიანის შერწყმას ბუნებასთან. მეორე კრებულში „ბერები" (1886) გამოვლინდა მისი მტრული დამოკიდებულება რელიგიური ფანატიზმისადმი, პოეტურ ტრილოგიაში „საღამოები", „მარცხი", „შავი ჩირაღდნები" — ქალაქის ცხოვრება აყვანილია ღრმა სოც. ფსიქოლოგიურ სიმბოლომდე, მასში გამოჩნდა პოეტის სულიერი კრიზისი, არარაობის სიცარიელის ყოფნას აბსურდულობის მძაფრი შეგრძნება სიკვდილის ნგრევის, ხრწნის მოტივები. ამავე პერიოდში პოეტმა შექმნა ღრმა ლირიზმით აღბეჭდილი ლექსების ციკლი „ადამიანი საათები", „ნაშუადღევის საათები", „საღამო ჟამის საათები". 90-იან წლებში დაინტერესდა სოციალური პრობლემებით, რაზაც იგი გაათავისუფლა ღრმა პესიმიზმისაგან. ამის შემდეგ შეიქმნა ლექსთა კრებულები: „მინდვრები ბოდავენ", „ქალაქი რვაფეხა" და დრამა „ალიონი". ვერჰარნი ფრანგულენოვან პოეზიაში თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ [ლათ.] – (უსლ) 1. დიდხანს ნამსახური ომგადახდილი მეომარი. 2. დიდი გამოცდილების მქონე ძველი მუშაკი.

ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘ – (ქეგლ) საქონლის ექიმი, ბეითალი.

ᲕᲔᲥᲘᲚᲘ – იგივეა, რაც ადვოკატი.

ᲕᲔᲥᲡᲘᲚᲘ – იგივეა, რაც თამასუქი. სათანადოდ გაფორმებული ხელწერილი, რომელიც შეიცავს ვალდებულებას – გადაიხადონ გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში. „ბესარიონმა უნდა მისცეს ქაიხოსროს ორმოცი თუმანი ფულადი, ოცი თუმანი ვექსილი" („სოლომან მორბელაძე"– დ. კლდ.).

ᲕᲔᲫᲐ – (ქეგლ) მინერალური წყალი (მჟავე ან მლაშე), ბუნებითი. „მონადირე ჰყვებოდა, როგორ დააფრთხო ვეძაზე ნამარილევი ირმები" („დვინჯუა"– გ. ლეონ.).

ᲕᲘᲚᲐᲘᲔᲗᲘ [არაბ.] – (ქეგლ) მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

ᲕᲘᲠᲖᲔ ᲨᲔᲡᲛᲐ – (ქსე) გამაწბილებელი სასჯელის სახეობა ძვ. საქართველოში. წყაროებში იხსენიება V ს.-დან. დამნაშავის ვ. შ. და საჯაროდ ტარება მძიმე სასჯელად ითვლებოდა. მისი მიზანი იყო დამნაშავისათვის მორალური ტანჯვის მიყენება. ასე სჯიდნენ პირველ ყოვლისა გაბატონებული ზნეობის დამრღვევთ – მრუშებს, ავხორცებს და მუცლის მოშლაში მხილებულთ; აგრეთვე ხელმწიფის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილეებს. ვ. შ.-ს საჯაროდ XX ს.-მდე იყენებდნენ.

ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲘ [იტ.] – (ქეგლ) პირი, რომელიც სრულყოფილად არის დაუფლებული თავისი ხელოვნების ტექნიკას (უპირატესად მუსიკოსი). „თეიმურაზი მაჯამის ნამდვილი ვირტუოზია" (ძვ. ქართ. ლიტ. ისტ. – კეკელიძე-ბარამიძე).

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐ – (უსლ) ერთგვარი თამაშობა, პასუხის გაცემა კითხვებზე ცოდნის სხვადასხვა დარგიდან.

ᲕᲘᲪᲔ – (უსლ) რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს მოადგილეს, შემცვლელს, მაგ. ვიცე-პრეზიდენტი.

ᲕᲜᲔᲑᲐ – (ქეგლ) 1. ძლიერი გრძნობა, უზომო გატაცება. 2. ძლიერი, თავშეუკავებელი ხორციელი მისწრაფება, ხორციელი სიყვარული. ვნებათა ღელვა – ვნებათა მოზღვავება, დიდი ღელვა. „ვნების სიმძაფრე შენებაშაა და არა აშენებულით ტკბობაში" (გ. რჩეულ.). „არსაკიძემ ინანა თავისი პირველი ვნება ამ „უსირცხვილო" სიძის დიაცის მიმართ". „ადამიანურ ვნებათა დაოკებისაკენ მოუწოდებდა კათალიკოსი მრევლს" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ – (ბიბლ.) დიდმარხვის ბოლო კვირა. აღდგომის წინა სადღესასწაულო დღეები, რომელთაც ეკლესია მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) მოსაგონებლად. ეკლესია დაჰეჯითებით ამტკიცებს იმ დღეებში მარხვის აუცილებლობას (დიდი ორშაბათი, როცა იესომ დაწყევლა უნაყოფო ლეღვი; დიდი სამშაბათი, ტაძარში ახალი მოძღვრება იქადაგა; დიდი

ოთხშაბათი, როცა მოწაფეებმა სერობა მოუწყვეს; დიდი ხუთშაბათი, როცა თვითონ გაუმართა მოციქულებს სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო; დიდი პარასკევი, როცა აწამეს; დიდი შაბათი, როცა დაკრძალეს.) „აგონდება ფარსმანს მხიარული ლამპრობა ვნების კვირაში“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ვოდევილი [ფრ.]— (უსლ) ერთ ან ორმოქმედებიანი მსუბუქი კომედია, რომელშიც სასიმღერო კუპლეტებია ჩართული.

ვოლსკი გრიგოლ (1860-1909) (ფსევდონიმი — უმწიფარიძე) — (ქსე) ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 80-იანი წლებიდან ექიმად მუშაობდა ბათუმში, სადაც მისი თაოსნობით საავადმყოფო აშენდა. ნაყოფიერად იღვწოდა საზოგადოებრივ სარბიელზე დ. კლდიაშვილთან და ი. მესხთან ერთად. დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის მოსახლეობის გათვითცნობიერებასა და კულტურულ პროგრესში. ხელმძღვანელობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აჭარის განყოფილებას. მისი წერილები და თარგმანები იბეჭდებოდა გაზეთებში: „დროება,“ „ივერია,“ „შრომა,“ ნოვოე ობოზრენიე,“ „კვალი,“ „მოამბე,“ „ნობათი.“ წერდა უმწიფარიძის ფსევდონიმით. მისთვის პოეზია ჩაგრულთა ფარია („ჩემო მუზავ“), პოეტი ვერ ურიგდებოდა უსამართლობას, სწამდა უკეთესი მერმისის („მეგობარს,“ „ელეგია,“ სიზმარი,“ „როს საუკუნოდ დავბრუნდე,“ „შენ გეტრფი მარად“ (რომანსი), მოთხრობა „თორნიკეს დარდი“). თარგმნა ჩეხოვის მოთხრობები, ანდერსენის ზღაპრები, ი. ჭავჭავაძის, შ. არაგვისპირელის, ეკ. გაბაშვილის მოთხრობები. გარდაიცვალა ბათუმში.

ვოლტერი (მარი ფრანსუა არუე) — (ქსე) ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, 1746 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი. დაიბადა მდიდარი ბურჟუის ოჯახში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეაშფოთა მმართველი წრეები. ჩასვეს ბასტილიის ციხეში პრინც — რეგენტ ფილიპ ორლეანელზე დაწერილი სატირის გამო. პირველი ნაწარმოებიდან („ოიდიპოს მეფე“) მოყოლებული, ვ. ცდილობდა შეერყია ფეოდალიზმის იდეოლოგიური საფუძველი. რადიკალურად განაწყო თანამედროვენი. თავისი ბასრი სატირის გამო იგი კვლავ ჩასვეს ბასტილიაში, შემდეგ კი გაასახლეს საფრანგეთიდან ინგლისში. აქ დაწერა „ორლეანელი ქალწული,“ „მაღალი წრის კაცი,“ „მსჯელობანი ადამიანის შესახებ.“ ქმნიდა მებრძოლ, ლამის პოლიტიკურ პუბლიცისტიკასთან გათანაბრებულ მოთხრობებს. ყველაზე მეტად გამოჩნდა ვ.-ის განმანათლებლური ტენდენციები რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ სატირაში „მემნონი, ანუ ადამიანური სიბრძნე,“ „ზადიგი ანუ ბედი,“ „კანდიდი ანუ ოპტიმიზმი.“ საქართველოში ვ.-ის იდეები გავრცელდა XVIII ს-ში ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა „ალზირი.“ „პროცესია ასე მიდიოდა, — წერს ი. მეუნარგია ნ. ბარათაშვილის

ბიოგრაფიაში ტატოს დასჯის შესახებ. — წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორის დარაჯი „როზგით“. ადვილი წარმოსადგენია, რაც ღღე დაადგებოდა 14-15 წლის ვოლტერს თავის სატირისათვის.“

ᲕᲝᲚᲣᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ — (უსლ) 1. იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ყოველივე არსებულის, მთელი სინამდვილის განვითარების საფუძველს ნებისყოფა წარმოადგენს, უარყოფს ობიექტურ კანონზომიერებას და აუცილებლობას. 2. იდეალისტური მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, რომელიც ფსიქიკური ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს არა გონებას, არამედ ნებისყოფას.

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘ მიხეილ სიმონის ძე (1702-1056) — (ქსე) თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ ფელდმარშალი. 1044-54 წ. წ. კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიაში მთავარსარდლობის დროს ვ. ერთდროულად ემსახურებოდა კავკასიის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, მაგრამ ამას აკეთებდა მოქნილად, მეთოდურად, უბიძგებდა კულტურული ღონისძიებებით. მის დროს აღდგა ქართული თეატრი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში. ვ. მეფის უერთგულესი მსახური იყო. სხვა მოხელეთაგან გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, განათლებითა და გარკვეული ლიბერალიზმით. „მეფისნაცვლის თანამდებობაზე იმპერატორმა 1844 წელს დანიშნა მოხელე მიხეილ ვორონცოვი“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲕᲠᲣᲑᲔᲚᲘ მიხეილ ალექსანდრეს ძე — (ქსე) რუსი ფერმწერი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მოიარა ევროპა. იგი მიმართავდა შუა საუკუნეების ეპოქის რომანტიკას, ანტიკურ მითოლოგიასა და რუსულ ზღაპრებს. ახასიათებდა შემოქმედების მრავალფეროვნება, ამაღლებული რომანტიკული სტილისა და ეროვნული ფორმების ძიება. მის ნამუშევრებში ვლინდება მოდერნის სტილი: „ფაუსტი,“ „დილა,“ „პანი,“ „შეღამება,“ „იასამანი.“ საეკლესიო თემაზე აქვს ხატები „სულიწმინდის მოფენა.“ შექმნა ლერმონტოვის ნაწარმოებების ილუსტრაციები, ვ. ბრიუსოვის პორტრეტი. 1900 წ.-დან მისი შემოქმედება იძენს ტრაგიკულ ხასიათს. იზრდება მსოფლშეგრძნების დრამატიზმი და ფორმათა ექსპრესია. 1902 წ. სულიერად დაავადდა და დაბრმავდა. „არც კი გიცნობდი, არც კი მენახე/ ისე გხატავდა თამარს ვრუბელი („ანანურთან“ — ტ. ტაბ.).

ᲕᲣᲐᲚᲘ [ფრ.] — (უსლ) 1. ქალის ქუდზე მიმაგრებული მსუბუქი ქსოვილის ან ბამბის ნაჭერი, რომელიც სახეს ფარავს; პირბადე. 2. მსუბუქი, გამჭვირვალე ქსოვილი.

ᲕᲣᲚᲒᲐᲠᲘᲖᲛᲘ — (ანდ. ჭილ.) გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, რომელიც შეიცავს უხეშ სიტყვებს, არალიტერატურულ გამოთქმებს. ლიტერატურაში იხმარება დახასიათების

ვ

სიმახვილისათვის, პერსონაჟის მეტყველების კულტურის დასაცავად. მაგ. „აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზე, შე ოყრაყო... რისთვის გასხია ხელ-ფეხი მაგ მუტრუკ ტანზედ“ („ოთარაანთ ქვრივი“ — ი. ჭავჭ.).

ვულგარული [ლათ.] — (ქეგლ) 1. უხეში, უხამსი (ქცევა); 2. უკიდურესად გაუბრალოებული, გაყალბებული.

ვუნდერკინდი [გერმ.] — (უსლ) არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვი.

ზ

ზაალ არაგვის ერისთავი — (ქსე) უმეფობის ხანაში ფაქტიურად განაგებდა კახეთს. 1633-1660 როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ბრძოლის დროს ზაალი თეიმურაზ I-ის მხარეზე იყო. თეიმურაზის დამარცხების შემდეგ როსტომს შეურიგდა და ირანის შაჰისაგან საერისთავო დაიმტკიცა. ზაალი იყო კახეთის 1659 წ. ანტიირანული სახალხო აჯანყების საერთო ხელმძღვანელი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ეურჩებოდა ქართლის მეფეს ვახტანგ V-ს, რომლის წაქეზებითაც მოკლეს საკუთარმა ძმისწულებმა. „მეორე დილით ალრე გამოსულიყო ზაალ აივანზე და ქალებს გადაჰყურებდა“ („ბაში-აჩუკი“— აკ. წერ.).

ზაბოლოცკი ნიკოლოზ (1903-1958)— (ქსე) რუსი პოეტი, შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (სიკვდილის შემდეგ). ზ. ერთ-ერთი გამოჩენილი მთარგმნელია. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პოეზიის თარგმნაში. მან რუსულ ენაზე თარგმნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი,“ დ. გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ნაწარმოებები. აგრეთვე გრ. აბაშიძის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილისა და სხვათა ლექსები.

ზადენი — (ქსე) ქართველთა წარმართული ღვთაება; ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი. არსებობს მოსაზრება, რომ მცირეაზიურ-ხეთური წარმოშობისათვის ზ.-ის სახელი ერქვა აგრეთვე, ახლანდ. სოფ. წიწამურთან აგებულ ციხეს, სადაც ქართლის მეორე მეფემ ფარნაჯომ აღმართა ზ.-ის კერპი.

ზადი — (საბა) კნინი რამ შერყვნილება, ნაკლი. „წვრილმანი ზადი შენობისა ნისლს დაეფარა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). (ქეგლ) 1. ნაკლი, წუნი. უზადო — უნაკლო. 2. უკმაყოფილების განცდა, წყენა (სიტყვა „გულ“-თან ერთად). მაგ. მისი ნათქვამი გულში ზადად ჩარჩა.

ზავი — (ქეგლ) 1. შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. 2. უომარი, მშვიდობიანი ცხოვრება; მშვიდობიანობა. მტკიცე და ხანგრძლივი ზავი. ზავს შეკრავს — ზავს დადებს.

ზავთი [არაბ.] — (ქეგლ) 1. ძლიერი ხმა, დიდი, ყამაყრუებელი ხმაური. მაგ. ზვავი ზავთით დაეშვა. 2. წყრომა, რისხვა, აღშფოთება. 3. მრისხანე, შემზარავი შესახედაობა.

ზავთიანი (ძვ.) — სახელოვანი, ძლიერი, ომახიანი, რიხიანი.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი — (ქსე) XV ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი. საციციანოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. მის სახელთან არის დაკავშირებული საციციანოს კულტურული დაწინაურება. ყინწვისის მონასტრის განახლება და ეკვდერის მშენება. ავტორია სამედიცინო ძეგლისა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი." წიგნში განხილულია თეორიული და პრაქტიკული მედიცინის საკითხები.

ზათქი — (ქ. მწ.) დიდი ხმის გამოცემა.

ზაკვა (ძვ.) — (ქეგლ) მზაკვრობა. ცბიერება. „სად ცილი, ზაკვა, ძულებადა ხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა" („განდეგილი" — ი. ჭავჭ.).

ზამში [პოლ.] — (ქეგლ) ირმის, თხის ან მისთ. საგანგებოდ დამუშავებული რბილი, ცალმხარეს ხაოიანი ტყავი. ზამშის ფეხსაცმელი (თალათინი, ნატი, ტარსიკონი).

ზანდუკელი მიხეილ (1889-1968) — (ქსე) ქართველი პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტ.-ფილ. ფაკ.-ი (1913). თბილისში მასწავლებლობდა; ლექციებს კითხულობდა თსუ-სა და პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტში, ქუთაისისა და თელავის პედ. ინსტიტუტებში.

ზ.-ს დიდი წვლილი მიუძღვის XIX ს. ქართული ლიტერატურის შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. მისი სამტომიანი ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა" რამდენჯერმე გამოიცა. აღსანიშნავია ზ.-ის გამოკვლევები: „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში," „თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში," „ვაჟა-ფშაველა," „ილ. ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა," „შიო არაგვისპირელი," „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა."

ზანდუკი — (ქეგლ) 1. (ძვ.) სარჩევი (წიგნისა). 2. იგივეა, რაც სკივრი. კიდობანი. „[თავსაფრიანმა დედაკაცმა] გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთ ზანდუკში ჩაალაგა ყოველივე ხელსადები" („თავ'აფრიანი დედაკაცი"— ლ. ქიაჩ.).

ზანზალაკი — (ქეგლ) პატარა ზარი. „ჟღრიალებენ ზანზალაკები, ფრუტუნებენ ჯორები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ზარადი, მუზარადი — (საბა) ზუჩი, მუზარადი, ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ჩაბალახი. „მუზარადიან შენს ქმარს შემოეხვდი, თავი შუაზე გადამიჩეხა" („ყივჩაღის პაემანი" — გ. ლეონ.).

ზარათუსტრა — (ქსე) ძვ. სპარსული რელიგიის რეფორმატორი — ზოროასტრიზმის დამაარსებელი და წინასწარმეტყველი. მეცნიერებაში დადგენილია, რომ ზ. ისტორიული პირია. ავესტაში არის ცნობები მის გვარზე, ქალიშვილსა და მეგობრებზე. ზ.-ს ცხოვრებ-

ისა და მოღვაწეობის დრო ზუსტად არ არის ცნობილი. ვარაუდობენ ძვ. წ. X ს. და VI ს. I ნახევარს შორის პერიოდს. მკვლევართა აზრით, ზ. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ირანში. ზოროასტრული ტრადიციით კი მისი სამშობლო აზერბაიჯანია. დასაშვებია, რომ ზ. იყო არიული რელიგიის ქურუმი. გათების მიხედვით ზ.-ს მოძღვრებას მის სამშობლოში წარმატება არ ჰქონია. იგი გაქცეულა და თავი შეუფარებია ქავი (მეფე) ვიშტასპას კარზე, რომელმაც მიიღო ახალი რელიგია და ხელი შეუწყო მის გავრცელებას. „მცირე ავესტაში" ზ. უკვე მითიურ პიროვნებად, ღმერთკაცად გვევლინება.

ႦႠႰႠႴႨ —(ქეგლ) საფასურით ფულის დამხურდავებელი.

ႦႠႰႠႴႾႠႬႠ [არაბ.-სპარს.] — (ქეგლ) 1. სახლი, სადაც ზარაფი ფულს ახურდავებდა და სესხად აძლევდა. 2. სახლი, სადაც ფულს ჭრიან. „[მეფე გიორგის] ზარაფხანაში მოჭრილ თეთრზე ასე ეწერა: „მეფეთ მეფე გიორგი — მესიის მახვილი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ႦႠႰႡႠႡႨ — (ქ. მწ.) ოქროს ძაფით ნაქსოვი.

ႦႠႰႣႠႾႠႬႠ — (საბა) საბჯრო სახლი, საჭურვლის საცავი, სადაცა უმჯობესთა საუნჯეთა, კიდობანთა დასდებენ. „ზარდახანის მოლარემ ალვირი მიართვა [მეფე გიორგის]" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). (ქსე) არსენალი, სამხედრო საჭურვლის საწყობი, სადაც ინახავდნენ სამხ. აღჭურვილობას, ცხენის აღკაზმულობას და სხვა.

ႦႠႰႣႠႾႸႠ [სპარს.] — (ქეგლ) პატარა ყუთი ან კოლოფი ძვირფასი ნივთების შესანახად.

ႦႠႰႦႫႨႱ ႫႭႬႠႱႲႤႰႨ — (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფ. ზარზმაში, ადიგენის რაიონში. დაუარსებია სერაპიონ ზარზმელს (VIII-IX ს. ს.ძ, რომლის ცხოვრებაც აღწერილია ბასილი ზარზმელის ცნობილ თხზულებაში. ადრინდელი შენობა, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია, მარტივი ნაგებობა ყოფილა. ეხლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV ს. ზარზმის ტაძარი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ფასადთა მორთულობისა და ჩუქურთმების შესრულების მხრივ მაღალ დონეზე დგას. მნიშვნელოვანია კედლის მხატვრობაც. ზარზმის მონასტრის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. „შენი დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა" („შენ ისე ღრმა ხარ" — ა. კალან.).

ႦႠႰႨ — (ქსე) 1.სამგლოვიარო გუნდური სიმღერა-ტირილი. დაკრძალვის დღეს ჯერ ოჯახში და შემდეგ სასაფლაოზე ცალ-ცალკე ასრულებდნენ ქალები და მამაკაცები. გუნდის ერთ-ერთი წამყვანი იწყებდა უსიტყვო მოთქმას, ხოლო სხვები ბანს აყოლებდნენ. შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებს მოზარეთა საკუთარი გუნდი მოჰყავდათ, თან მიჰქონდათ დიდი კელაპტარი ან სიცოცხლის ხის სიმბოლო. ყველაზე სრულად ზ. სვანეთის ეთნოგრაფიამ შემოგვინახა. წყაროებით დასტურდება ზ.-ით გლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; მას ბანს, ან ზრუნს უწოდებდნენ. მაგ. სვიმონ ჩოფიკაშვილის

დატირება ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში", ესმას დატირება გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში," ქიაბერის დატირება (ზრუნი) „დიდოსტატის მარჯვენაში." „ძუუმტეები ტირილითა და ზარით ეახლნენ ბორდოხანს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.). 2. (ქ. მწ.) შიში. „ზარი . მეეს შესაზარები" (ვაჟა).

ზარიფი – (ქ. მწ.) კეკლუცი. კოხტა.

ზარმელი – (ქართ. კ/თქ. ლ.-ნი) გურიაში, ზ/აჭარაში, მესხეთში – სადილის შემდეგ პურის ჭამა ვახშმობამდის, სამხარი. „ნასადილევს და ზარმელისას, მწუხრისას და დაწოლის წინ მუდამ უნდა ელოცნა მას" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ზარნაშო – (ქეგლ) (ძვ.) დიდი ბუ. „უცბად ზარნაშომ დაიკივლა, მაგრამ ზარნაშოს ხმა წრომის წივილმა შესცვალა" („ბაში-აჩუკი" – ა. წერ.).

ზარნიში [სპარს.] – (ქეგლ) ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე, ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული; მოოქროვილი ვარაყი. „[ქალმა] მიქვრიტანები ამოალაგა ოქროთი მოზარნიშებული" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.). „ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა დაზარნიშული ფარია" („ბახტრიონი"– აკ. წერ.).

ზარქაში – (ქ. მწ.) ოქროსა და ვერცხლის სირმა.

ზატიკი, ზატიკობა – 1. (საბა) ძვ. დღესასწაული, გამოხსნა, გინა განთავისუფლება; (ქსე) დაკავშირებულია ებრაელების ეგვიპტიდან განთავისუფლების მოგონებასთან. 2. აღდგომის დღესასწაული; აგრეთვე სააღდგომო საგალობელთა კრებული, გაგრძელება დიდი მარხვის საგალობლებისა – მარხვანისა. კ. კეკელიძის აზრით: „ზ. წარმოსდგება „აზატისაგან," რაც „თავისუფალ დღეს" ნიშნავს, ე. ი. დღესასწაულს.

ზაუეი – იხ. ჭკუის მიღმური.

ზაფრა – (საბა) თურქთა ენაა, ქართულად მწითური ნაღველი ჰქვიან. (ქეგლ) 1. ღვიძლის, (ნაღვლის ბარკის), ავადმყოფობა, რომლის დროსაც ადამიანი ყვითლდება. „ზაფრა დაემართა." 2. ბოღმა, ჯავრი, ნაღველი. „ზაფრა აეშლება – დარდი, ბოღმა მოერევა. (გადატ.) გაავდება, გაბოროტდება. ზაფრა ეცემა – ძალზე შეშინდება, ელდა ეცემა.

ზაქი – (ქეგლ) კამეჩის ნაშიერი. „მამა ფეხდიდას სამოცი ზაქი დაუდიოდა" (გ. ლეონ.)

ზაჰესი – აბრევიატურაა: ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგური. „მატარებელი ზაჰესის ხიდზე გადადის" („უსახელო უფლისციხელი").

ზეგარდმო – (ქ. მწ.) მაღლიდან, ზეციდან. ზეგარდმო ნიჭით ცხებული – ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული. „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა" („ვეფხისტაოსანი" – შ. რუსთ.).

ზედაზენი – (ქსე) მდებარეობს მცხეთიდან ჩრდ.-აღმ. არაგვის პირად. გადმოცემის მიხედვით ეს სახელი წარმომდგარა კერპის „ზადენის" სახელწოდებიდან. „წვებოდა ღამე ზედაზენისა და სარკინეთის მთებზე" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ᲖᲔᲓᲐᲨᲔ (ზედაშისა) (ძვ.) — (ქეგლ) წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის წესის შესრულებისას. საეკლესიო დღესასწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო. „მაშ, რათ არის ნაკურთხი ზედაშე?“ (გ. ლეონ.).

ᲖᲔᲓᲜᲐᲨᲔᲜᲘ — (ქეგლ) (ფილოს.) ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიკური წყობილების საფუძველზე წარმოშობილი ამ საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი. „ბაზისი და ზედნაშენი.“ „[მარქსისტები ამბობდნენ: სულიერი, ეროვნული და ყოველგვარი კულტურა ქონებრივი კულტურის ზედნაშენიაო“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

ᲖᲔᲕᲡᲘ — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი; ღმერთი ცისა, ქუხილისა, ელვისა და წვიმისა; ითვლება ღმერთებისა და ადამიანების მამად და მეუფედ (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება იუპიტერი). „შემოქმედი ზევსს ემსგავსება, რომელიც აჩენს ახალ-ახალ ღვთაებებს“ (ქ. ს. მ. ა. — ს. სოგ.).

ᲖᲔᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ — (საბა) ზეზი არს ორფერი ძაფი, ძაფი და სირმა ერთად შერთული — სირმა და აბრეშუმი, ოქრომკედი, ოქროს ძაფი, სირმა და ძაფი ერთად. (ქ. მწ.) ოქროქსოვილი, ბისონი. „მამამზემ თვალი გადაავლო ქაბერისეულ სამოსს ზეზისას“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ — (ქსე) ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლო. მართლმადიდებლური ეკლესიის წესდებით ზეთით აკურთხებდნენ მძიმედ დაავადებულ მორწმუნეს. ნაკურთხ ზეთს ავადმყოფს წაცხებდნენ 7 სხვადასხვა ადგილას, რაც მორწმუნეთა წარმოდგენით განკურნავს მას და გაათავისუფლებს ცოდვებისაგან. ზ. ძ.-სათვის იხმარება წითელღვინოგარეული ზეითუნის ზეთი. კათოლიკურ ეკლესიაში ზეთით აკურთხებენ მომაკვდავს.

ᲖᲔᲜᲐ (ზენაარი) (ძვ.) — (ქეგლ) 1. ზევითა, ზედა. 2. (პოეტ.) ზეციური ძალა, ღმერთი. ზ. გაუწყრეს — ღმერთი გაუწყრეს. ზ. ქარი — დასავლეთის ქარი (აღმ. საქ.-ში); — აღმოსავლეთის ქარი (დას. საქ.-ში).

ᲖᲔᲞᲘᲠᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ — (ქეგლ) ხალხური მხატვრული შემოქმედება, თაობიდან თაობაში ზეპირად გადმოცემული.

ᲖᲔᲠᲓᲐᲕᲘ [სპარს.] — (ქეგლ) ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი. „ზერდავით რვალიანითა“ („ბახტრიონი“— ა. წერ.).

ᲖᲔᲡᲙᲜᲔᲚᲘ — (ქეგლ) ზეცა. ქვესკნელის საპირისპირო (ზესკნელი, სკნელი და ქვესკნელი).

ᲖᲔᲤᲘᲠᲘ —(უსლ) ძველ საბერძნეთში დასავლეთის თბილი ქარის სახელწოდება.

ᲖᲕᲐᲠᲐᲙᲘ — (ქეგლ) 1. (ძვ.) მსხვერპლად შესაწირავი საკლავი. 2. ~ მსხვერპლი. ზვარაკად შეწირვა.

ᲖᲕᲘᲐᲓᲘ — (ქეგლ) მედიდური, ქედმაღალი, ამაყი, ამპარტავანი. ზვიადი გამოხედვა. ზვიადი მთები.

ზ

ზიარება — (ბიბლ.) ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი 7 საიდუმლოებათაგანი. მორწმუნის მიერ პურის და ღვინოს მიღება, როგორც ქრისტეს ხორცისა და სისხლისა (ასე აუხსნა მოციქულებს საიდუმლო სერობაზე). ამით თითქოს ხდება ცოდვების გამოსყიდვა, რადგან პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა. „განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება" („სილაქვარდე, ანუ ვარდი სილაში" — გ. ტაბ.). „ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია („კაცია-ადამიანი?! —ილ. ჭავჭ.).

ზიკურათი — (უსლ) საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი ძველ მესოპოტამიაში (ბაბილონსა და ასირიაში).

ზილი — წვრილი ხმა გალობაში. „დუმბო და ზილი დაახშო რკინამ" („გამოთხოვება ძველ თბილისთან"— ი. გრიშ.).

ზილფი — (საბა) ქალთა თმა, კავი, ნაწნავი, კულული. (გადატ.) დახვეული, დაკულულებული. „ტანო, ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო, ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო" (ბესიკი). „მე ეს ნისლი დაზილფული..." („ხელთათმანის ღილი" — ი. გრიშ.).

ზირა — ერთწლოვანი მცენარე. აქვს სურნელოვანი ნაყოფი, რომელსაც ხმარობენ საჭმლის საკმაზად და პარფიუმერიაში. „იმ ჭრელ ბოხჩაში [ფუფალას] ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო" („ნატვრის ხე" — გ. ლეონ.).

ზიჩი მიხაი — (ქსე) უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. 1847 წ.-დან ცხოვრობს პეტერბურგში. 1858 წ.-დან საიმპერატორო კარის მხატვარია. 1881-1882 წ.წ. ცხოვრობდა კავკასიაში. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკის დარგში. დაასურათა მ. ლერმონტოვის „დემონი." 1881 წ. ზ. თბილისში ჩამოვიდა, სადაც მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თხოვნით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს 14). „ვეფხისტყაოსნის" საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია. აღნიშნული ნამუშევარი (ამჟამად ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში) მხატვარმა ქართველ ხალხს გადასცა უსასყიდლოდ. ზ.-ის „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები თავის დროზე დიდი მხატვრული მოვლენა იყო. ზ.-მა ქართულ თემაზე კიდევ რამდენიმე ტილო შექმნა: „ქართველი ქალის პორტრეტი," „იკორთის მონასტერი."

ზმა — (ანდ. ჭილ.) ქართული ტერმინია. ზ. წარმოადგენს წინადადებაში სიტყვას, რომელიც შედგენილია ერთი სიტყვის ბოლო მარცვლებისა და მეორე მომდევნო სიტყვის პირველი მარცვლებისაგან. მიღებული იყო ძვ. საქ-'ში სახუმაროდ, დროს სატარებლად, როგორც სახე მოსწრებული და მახვილი გამოთქმისა. ზმური იუმორი იდეურ მიზან-აზრსაც შეიცავდა. ზ. იმპროვიზაციული მეტყველების სახეც იყო და ითქმოდა ექსპრომტად. ზ. იყენებდნენ პოეტები ცენზურის თვალის ასახვევად. ასეთია მაგ. აკ. წერეთლის ლექსი „იმერული ნანინა" — „ის რაც იყო, აღარ არის, / შეიცვლება დღეს თუ ხვალე. / გზატკეცილი დაგიხვდება / თიამას ვენაცვალე!"

(ოიამა იყო იაპონიის ჯარის მთავარსარდალი რუსეთ-იაპონიის ომის დროს). „მაღლით წვიმა მოდიოდა, ნაბადმა ვერ დამფარაო, დამასველა მან თავიდან ფეხებამდე მასხარაო" („თორნიკე ერისთავი"— აკ. წერ).

ზოგადსაკაცობრიო — (ქეგლ) რაც მთელს კაცობრიობას ეხება, მთელი კაცობრიობისათვის საერთოა. „ნ. ბარათაშვილმა საუკეთესო ეროვნულ შემოქმედებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა" (ასკ. სახ.-ლო)

ზოდიაქო — (უსლ) თორმეტი თანავარსკვლავედი, რომლებიც განლაგებულია დიდი წრის (ეკლიპტიკის) გასწვრივ და რომელთა გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში. ზ.-ს ნიშნებს უპირატესად ცხოველების სახელები აქვთ.

ზოლა ემილ (1840-1902) — (ქსე) ფრანგი მწერალი, სიღარიბის გამო პარიზის ლიცეუმი ვერ დაამთავრა. ჯერ რომანტიზმის გავლენას განიცდიდა („სასიყვარულო კომედია"), რომანები: „კლოდის აღსარება", „გარდაცვლილის ანდერძი", „მარსელის საიდუმლოება", მაგრამ ყველაზე მეტად ზოლა ლიტერატურის რეალისტურ ტრადიციებს მიჰყვებოდა. ოღონდ ამ ტრადიციების თავისებურ განვითარებას მის თანამედროვე ეტაპზე იგი „ნატურალიზმს" უწოდებდა (ეს ტერმინი მან პირველად რომან „ტერეზა რაკენის" წინასიტყვაობაში იხმარა) ზოლა დიდად იყო დაინტერესებული დარვინიზმით. თავისი ნატურალიზმის თეორია ჩამოაყალიბა ნაშრომებში „ექსპერიმენტული რომანი," „რომანისტ-ნატურალისტები", „ნატურალიზმი თეატრში" და სხვა. მისი რომანები ღირსშესანიშნავი მოვლენაა ფრანგული რეალიზმის განვითარების გზაზე: „პარიზის სტომაქი", „აბატ მერეს შეცოდება", „ნანა", „ქალთა ბედნიერება", „მიწა", „ადამიანი-მხეცი", „ფული"; ტრილოგია — „სამი ქალაქი"; ტეტრალოგია — „ოთხი სახარება" და სხვ. ზოლას გავლენა განიცადა მსოფლიოს მრავალმა მწერალმა.

ზონა — სპარსულად მშვენიერს ნიშნავს და სპარსელებიც ასე ეძახდნენ საქართველოდან წაყვანილ ქალებს. „აბა, რა სახსენებელია ხარკად სამოცი ზონა ახალგაზრდა ქართველი ქალი?" („ბაში-აჩუკი" — ა. წერ.).

ზუალი — (ქ. მწ.) პლანეტა სატურნი. კრონოსი.

ზუბუნი — (ქსე) მამაკაცის მოკლე ახალუხი; სახელო და საგულე მოოქროვილი ჰქონდა. იკვრებოდა ლითონის ან ძაფის ღილებით, საზაფხულო ზ. უსახელო იყო, ხოლო საზამთრო — სახელოებიანი და დაბამბული. იცვამდნენ გურიაში, აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, ლაზეთსა და სამეგრელოში.

ზუთხი — (ქეგლ) მსხვილი თევზი. აქვს გემრიელი ხორცი. მისი ქვირითისაგან ამზადებენ ხიზილალას. „შესანიშნავი ზუთხი და ზურგიელი პილპილითა და ნიგვზით იყო შეზავებული" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ზურგიელი — (ქეგლ) ზუთხის, ორაგულისა და ზოგიერთი სხვა თევზის ზურგის ანაჭერი, დამარილებული და მზე-

Ⴆ

ზე გამომშრალი. „მამამზე თავად აწვდიდა კათალიკოსს ხან ზურგიელს, ხან ქანარს, ხან მურწას“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ႦႳႰႫႳႾႲႨ — (ქსე) გამჭვირვალე მწვანე ფერის ქვა; პირველი კლასის ძვირფასი ქვა. მსხვილი (5 კარატზე დიდი), უდეფექტო მუქი კრისტალები ალმასზე ძვირად ფასობს. ამჟამად ზ.-ს ხელოვნურადაც ამზადებენ.

ႦႳႰႬႠ — (ქსე) აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ჩასაბერი საკრავი. საქართველოში ამზადებდნენ უმთავრესად გარგარის ან კაკლის ხისაგან. „და ეჯიბი კი სულ ღრიალებს: „სად არის ზურნა! ღვინო და ზურნა! სხვა დღეს ნეფეს არა უნდა რა!“ („ქორწილი ჩვენს უბანში“ — ი. გრიშ.).

ႦႳႹႨ — (ქეგლ) მეომრის რკინის ქუდი. მუზარადი. „ზუჩიანი, თორიანი მხედრები ქვევით მიაჯირითებდნენ ცხენებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ႦႶႳႰႡႪႨ — (ქეგლ) კარის ქვეშ გადასასვლელზე დადებული დირე; იატაკის ის ნაწილი, რომელიც გასდევს მიხურულ კარს. კარის ზ., ზ.-ზე გადააბიჯა.

ႦႶႳႣႤ — (ქ. მწ.) გალავანი. „და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალასი ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა“ („ბედი ქართლისა“ — ნ. ბარათ.).

Ⴇ

ႧႠႡႠႾႨ — (ქეგლ) 1. ხის დიდი ლანგარი. 2. გარკვეული ზომის საწერი ქაღალდის ფურცელი. 3. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული — ფორმა

ႧႠႡႳႬႨ — (ქ. მწ.) ჯგუფი, გუნდი. „შორიდან რომ შევხედათ ქალებისათვის, მაშინვე იფიქრებდით, რომ ძიძაა იმათ თაბუნს არ ეკუთვნოდა“ („ხევისბერი გოჩა“ — ალ. ყაზ.)

ႧႠႢႭႰႨ რაბინდრანათ (1861-1941) — (ქსე) ინდოელი მწერალი და მოაზროვნე. აღსანიშნავია Ⴇ.-ის, როგორც რეჟისორის, მსახიობის, კომპოზიტორის მოღვაწეობა. 67 წლისა ხატვამ გაიტაცა; შექმნა 3000-ზე მეტი სურათი და ესკიზი. იყო ბრწყინვალე ორატორი და პუბლიცისტი. ეხმაურებოდა ინდოელთა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ავტორია პუბლიცისტური წერილების 20 ტომიანი კრებულისა. Ⴇ.-ის მემკვიდრეობა ძალზე მდიდარია. 14 წლისამ გამოაქვეყნა პირველი ლექსი. 1083 წ. გამოვიდა მისი პირველი რომანი „ბუნების შურისძიება;“ შემდეგ კრებული „მწუხრის საგალობლები,“ „ცისკრის საგალობლები,“ „სიმღერები და სურათები,“ „დიეზები და ბემოლები,“ „სატრფოს ხატება,“ „ოქროს ნავი.“ 1010 წ. გამოაქვეყნა „გიტანჯალი,“ რომლის თარგმანს ბენგალიურიდან ინგლისურ ენაზე ნობელის პრემია მიენიჭა. Ⴇ.-ის ნაწარმოე-

ბები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ᲗᲐᲕᲐᲓᲘ — (ქეგლ) (ძვ.) დიდგვაროვანი ფეოდალური წრის, უმაღლესი წოდების წარმომადგენელი. (ქ. მწ.) თვითონ, უფროსი. „ყოველსა ლაშქარსა ზედა თავადი არს" („ამირანდარეჯანიანი").

ᲗᲐᲕᲐᲜᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც სხვენი (აქ მეტაფორაა). „იგორა თვითმოძრავმა ქურმა, იგორა, ვიდრე აია სოფიას ჯვარი არ გამოჩნდა ზეცის თავანში" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). „და სუფრას ზეცის თავანზე გავშლი" („მელოდე" — მ. გელ.).

ᲗᲐᲕᲖᲔᲒᲐᲓᲐᲡᲐᲒᲓᲔᲑᲘ — (ქართ. კილო-თქმათა ლ.-ნი) ქორწილის დროს ნეფე-პატარძლის მისალოცი, საჩუქარი. „ნეფე-პატარძალს სუფრაზე, ცხვირის წინ ულაგებდნენ თავზეგადასაგდებს: პატარა სარქეს, მოოქრულ სათითურს, ძეწკვს, თითბრის ტაშტს და ა. შ." („თავსაფრიანი დედაკაცი"). იხ. ბირისსანახავი.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ — (ს. გაჩეჩ.) ისეთი ლექსი, რომლის ტაეპში ტერფების ან მარცვალთა თანაბრობა დარღვეულია.

ᲗᲐᲕᲚᲐ — (ქსე) საჯინიბო.

ᲗᲐᲕᲛᲝᲗᲜᲔᲝᲑᲐ — (ბიბლ.) საკუთარი თავის მოწონება, ამპარტავნობა. თავმოყვარეობა. „მეფესთან დამოყვრება ახალ ასპარეზს აღუთქვამდა თავმოთნე ერისთავს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲗᲐᲕᲜᲘ — (ქსე) სარგებლით (პროცენტით) გასესხებული ფულის ძირითადი თანხა, რომლის მიხედვით განისაზღვრება სარგებლის რაოდენობა და ზოგჯერ სარგებლის განაკვეთიც. „გლეხები ანგარიშობდნენ: ნახევარიც რომ ახლა გამოვიტანოთ, სწორედ თავნზე გამოვალთ, ველარც ხელმწიფისას გადავიხდით და ჩვენც მშივრები დავიხოცებით" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲗᲐᲕᲡᲔᲓᲔᲑᲘ — (ქ. მწ.) შუამდგომელი, თავდები, მკისრებელი. „ღმერთი იყოს შენი თავმდები".

„ᲗᲐᲕᲤᲐᲠᲐᲕᲜᲔᲚᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲘ" — (ქსე) ქართული ხალხური ბალადა. პირველად 1882 წ. ჩაიწერა. გავრცელებულია უმთავრესად აღმ. საქართველოში. ბალადა მოგვითხრობს „წყალგალმა" მცხოვრები ქალისა და თავფარავნელი ჭაბუკის სიყვარულის ამბავს: ღამით ჭაბუკი მიცურავს სატრფოსაკენ, ქალის მიერ ანთებული სანთელი გზას უნათებს; „ავსული ბებერი" აქრობს სინათლეს. ვაჟი წყალში იხრჩობა. ვ. კოტეტიშვილის აზრით, ბალადა მოარულ სიუჟეტზეა აგებული.

ᲗᲐᲗᲐᲠᲐ — (ქეგლ) ყურძნის ტკბილისა და პურის ფქვილისაგან დუღილით გაკეთებული ფაფისებური საჭმელი, რომელშიც, ჩვეულებრივ, ჩურჩხელებს ავლებენ. ფელამუში.

ᲗᲐᲚᲐᲗᲘᲜᲘ [სპას.] — (ქეგლ) 1. თხელი და რბილი ტყავი, ხავერდოვანი ზედაპირის მქონე (ზამში). თალათინის ხელჩანთა. „მარაბდის ბატონს ქვინტიანი თალათინის ჩექმები ჩაეცვა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲗᲐᲚᲐᲠᲘ — (ქსე) 1. საბალო-საპარკო მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა. 2.

ცაზით გადახურული საჩრდილობელი, ფანჩატური.

ႧႠႪႾႨ — (ქეგლ) შავი, სამგლოვიარო ფერი. ასეთი ფერის ტანსაცმელი. თ. კაბა. თ. ჩოხა. თ. ბური. „თალხი პეპლები ცეკვავდნენ შუქის გარშემო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ႧႠႫႠႰႠႸႥႨႪႨ მიხეილ (თამარათი მიქაელ) — (ქსე) ქართველი ისტორიკოსი და საზ. მოღვაწე. დაიბადა ახალციხეში, 1878 წ.-დან სწავლობდა კონსტანტინოპოლში პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელში. სწავლობდა ესპანეთში, საფრანგეთში. გაეცნო პარიზის სამეცნიერო ცხოვრებას. მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებში, მუზეუმებში. 1888 წ. დაბრუნდა საქართველოში. ცარიზმის მოხელეებმა 1890 წ. გააძევეს საქართველოდან. 1891 წ. ჩავიდა რომში და სწავლა განაგრძო სას. აკადემიაში. მიიღო ღვთისმეტყველის დოქტორის წოდება. დიდი გამოხმაურება ჰპოვა მისმა ნაშრომებმა ევროპის სამეცნიერო წრეებში. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას. ტრაგიკულად დაიღუპა. 1970 წ. მისი ნეშტი გადმოასვენეს საქართველოში. დასაფლავებულია დიდუბეში. „ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა შორის თამარაანთ გვარი ყველაზე განათლებული და შეძლებული იყო. უფროსი — მიხეილი მღვდელი და მასწავლებელი იყო" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ႧႠႫႠႰႨ — (ქსე) საქართველოს მეფე 1184 წ.-დან, გიორგი III-ის ასული. 1178 წ. გიორგი III-მ თანამოსაყდრედ აკურთხა. 1184 წ.-დან, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, ერთმმართველი გახდა. მისი გამეფებისთანავე არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა დაკარგული პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. უპირველეს ყოვლისა თ. მათ ხელახლა აკურთხეს მეფედ, რითაც ხაზი გაუსვეს თავიანთ უფლებებს. 1185 წ. გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა თ.-ს მისი სურვილის წინააღმდეგ შერთო ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური (გიორგი). ორნახევარი წლის შემდეგ თ. განქორწინდა და იური საქართველოდან განდევნეს. დაახლ. 1189 წ. (ან 1187) იქორწინა დავით სოსლანზე, რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი — ლაშა და რუსუდანი.

მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები თ.-ის წინააღმდეგ აწყობდნენ აჯანყებებსა და შეთქმულებებს, მაგრამ მეფე სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს.

XII ს. 90-იანი წლებიდან საქართველომ ფართო ფრონტით შეუტია სელჩუკებს. 1195 წ. შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს; 1203 წ. დაამარცხეს რუმის სულთნის — რუქნადინის ლაშქარი (ბასიანის ბრძოლა); 1201-1203 წ.წ. აიღეს სომხეთის ქალაქები ანისი და დვინი, რის შედეგადაც სომხეთის ჩრდ. და ცენტ. ნაწილი საქართველოს შეუერთდა. 1204 წ. აიღეს ყარსი. იმავე წელს შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელიც შემდეგ საქართველოს პოლიტ. გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1210 წ. დალაშქრეს ირანი.

თ.-ის მეფობის დროს საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ: ალმ. ში-

რვანი და რანი, ჩრდ. ქაშაგეთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ხუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი. XII ს. დასასრულსა და XIII ს. დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. თ.-ის მეფობის პერიოდში ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა: აშენდა გზები, ხიდები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები. მის დროსაა აგებული ბერთუბნის, ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვა. თ. მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის ცენტრებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მფარველობას უწევდა მეცნიერებს, პოეტებს, ხელოვანთ. ეკლესიამ თ. წმინდანად შერაცხა. ისტორიკოსები, პოეტები და ფუნჯის ოსტატები ხოტბას ასხამენ მას. თ. იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად. ძვ. საქართველოს მოღვაწეებიდან ყველაზე მეტი პოემა, ლექსი, ლეგენდა თ.-სადმია მიძღვნილი (ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“). „ქალო, ქართველთა სულისდგმავ, / ქალო, ქართველთა დედაო / მოწყალედ გვექმენ ქართველთა, / ჩემო ლამაზო დედაო“ („დიდი თამარი“ — ვაჟა).

ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲥᲘ — (ქსე) ფასიანი ქაღალდის სახეობა, ვექსილი. ხელწერილი, რომლითაც კისრულობენ განსაზღვრულ ვადაში, გარკვეული თანხის გადახდას. „შენ თამსუქი მამეც და ფულს მე გიშოვი!“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ᲗᲐᲛᲣᲖᲘ — (ბიბლ. მეგზ.) სემიტების ღვთაება, ბერძნულ ადონისს შეესატყვისება.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲘᲜᲐᲮᲔ — (ქეგლ) სხვებთან ერთად სუფრასთან მჯდარი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲡᲐᲧᲓᲠᲔᲝᲑᲐ — (ქსე) ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვითაც მეფეს მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე აჰყავდა სამეფო ტახტზე თანახელმწიფედ. თ.-ის წესი და თვით მეფის მიერ მემკვიდრის დანიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბიზანტიაში. თ. არსებობდა XI-XIII ს.ს. საქართველოში. მაგ., დავით აღმაშენებელმა „თჳსითა ხელითა დასუა საყდარსა თჳსსა ძე თჳსი დიმიტრი.“ თამარსაც გიორგი III-მ თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲪᲮᲔᲓᲠᲔ — (ბიბლ.) მეუღლე („ცხედარი“ საწოლს ნიშნავდა ძველად). „გვიმსახურე მე და ჩემი უბედური თანამეცხედრე“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲗᲐᲜᲐᲜᲐᲓᲔᲑᲘ — (ქ. მწ.) ვალი. „თანანადებთა გარდვიხდით, მივსცემთ, რაცა გვძეო“ (დ. გურ.).

ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲐ — (ქეგლ) (ძვ. საუბ.) 1. თათარი, თურქმენი, მომთაბარე ტომი თურქმენთა. 2. თარაქამა ხარი — ერთგვარი ჯიშის ტანდიდი ხარი. „მოჰქრის ურა ცხენი მონღოლური დაღით, ზედ შავი თარაქამა ვერ უსწორებს ალვირს“ („მეცამეტე საუკუნე“— გ. ლეონ.).

ᲗᲐᲠᲔᲨᲘ — (ქ. მწ.) მარბიელი; დასარბევად, ასაკლებად გაგზავნილი ლაშქარი, რაზმი. დარბევა, აკლება, აოხრება.

ᲗᲐᲠᲗᲘ — (ქსე) მტკვრის ზუთხი.

თ

„თარით თქმულა თევზების მეფედ და არა ორაგული!" — დაიჩემა ლუარსაბმა" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

თარი — (ქსე) უძველესი სიმებიანი საკრავი. გავრცელებულია კავკასიაში სიმებს აჟღერებენ მიზრაფით (ძვლის ან რქის ფირფიტა). ვირტუოზული საკრავია, მასზე დიდ რთულ ნაწარმოებებსაც ასრულებენ. „დახანძრებული წევს იგერია მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს" („ღამე ივერიისა"— გ. ლეონ.).

თარფეული, თარფი (ძვ.) — (ქეგლ) 1. მოწნული თაბახი, 2. სხვადასხვა ხილით სავსე თაბახი. „ახალ-ახალი თარფეული, დილის ცვარმომცვარული ხილი თვალს იტაცებდა" (გ. ლეონ.).

თარხანი [არაბ.]— (ქსე) 1. გადასახადებისაგან თავისუფალი და გარკვეული პრივილეგიების მქონე პირი, რომელსაც ეძლეოდა თარხნობის, ანუ შეუვალობის სიგელი. იხმარებოდა აზატის სინონიმადაც. თ.-ობას ანიჭებდნენ როგორც თავადაზნაურს, ეკლესია-მონასტრებს, დიდვაჭრებს, ისე გლეხებს. როსტომ მეფემ გ. სააკაძის შვილს იორამს უბოძა თ.-ობა. ამის შემდეგ მისი შთამომავალი თარხნიშვილებად იწოდებოდა, რაც გათავადებას ნიშნავდა. 2. გადასახადისაგან განთავისუფლებული ყმა. „ცხონებულმა პაპათქვენმა ოძელაშვილებს აზატობა გვიწყალობა, გაგვათარხანა" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

თარჯ-თომარი [არაბ.] — (ქ. ეწ.) გვირგვინ-თომარი, სამეფო გვირგვინი. „თარჯ-თომრიანი ჯილოანი გაგვიხადა, ქმნა უჯილო" (დ. გურ.) იხ. თომარი.

თაქნაბადი — (ქ. ეწ.) საუკეთესო ნაბადი.

თაღლითი — (ქ. ეწ.) არანამდვილი, ყალბი, იმიტაცია.

თაფლუჟი — (ქ. ეწ.) მაგარი სასმელი.

თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე (1863-1953) — (ქსე) ქართველი მეცნიერი, საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი, პროფესორი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკ. გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნ.-ტის ისტ.-ფილ. ფაკ.-ტი. XIX ს. 90-იანი წლებიდან მუშაობა დაიწყო საქ. სიძველეთა შეკრებისა და მათი მეცნიერულად დამუშავებისათვის. მან დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნ.-ტის დაარსებაში; იყო უნ.-ტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, არქეოლოგიის კათედრის გამგე. 1921-1945 წლები ემიგრაციაში გაატარა საფრანგეთში, სადაც მეთვალყურეობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულობას. მისი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო ამ საგანძურის დაცვა მეტად ძნელ პირობებში. იგი საქართველოში დაბრუნდა ამ განძთან ერთად. ემიგრაციის წლებში ინტენსიურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა, აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს: „არქეოლოგიური ექსკურსიები," „ხელნაწერთა აღწერილობანი." თ.-მა აღმოაჩინა და მეცნიერული კომენტარით გამოაქვეყნა ქა-

რთული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება.“

თ.-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში. მან კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გამყიდველებს. განძის უმეტეს ნაწილს თავი მოუყარა და საბოლოოდ კავკ. მუზეუმში დააბინავა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თ.-ის 1907 წლის არქეოლოგიურ მოგზაურობას სამხ. საქართველოში. 1917 წ. მოწყობილ ექსპედიციაში შესწავლილი იქნა ხახულის, იშხნის, ოშკის, ექეჯის და სხვა ტაძრები. აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გაარკვია მანამდე ლიტერატურაში უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი. თ.-ის არქეოლ. მოგზაურობამ დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში. ნაშრომი — „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ — დაჯილდოებულია რუსეთის საიმპერატორო არქეოლ. საზოგადოების დიდი ოქროს მედლით (1911 წ.).

ᲗᲐᲮᲩᲐ [არაბ.-სპარს.] — (ქსე) სახლის შიდა კედელში დატანებული პატარა ნიში ან კარადა (უკარო და თაროებიანი) ჭურჭლის, სურსათისა და საოჯახო ნივთების შესანახად.

ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ — იხ. იოსებ თბილელი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ — (ქსე) დაარსების იდეა საგლეხო რეფორმის პერიოდში წარმოიშვა. ინიციატორი იყო ცნობილი საზ. მოღვაწე, თბილისის გუბერნიის მარშალი დ. ყიფიანი. მანვე შეიმუშავა ბანკის წესდების პროექტი, მაგრამ მთავრობამ არ დაამტკიცა. 70-იანი წლებიდან საადგილმამულო ბანკის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თერგდალეულებმა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. მათი შეხედულებით, ბანკი ქართველთა კონსოლიდაციის, მისი თვითმოქმედების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. ი. ჭავჭავაძემ შეიმუშავა ბანკის წესდების ახალი პროექტი, რომელიც მოწონებული იქნა და 1074 წ. დაამტკიცა იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ჭავჭავაძე. საკრედიტო ოპერაციები ბანკმა 1075 წ. დაიწყო. თბილისის ბანკის მოგების ნაწილს (45%, 35%) იყენებდნენ ქართული საზოგადოების კულტ. საჭიროებისათვის. ბანკი მოგების ანარიცხებით აფინანსებდა ქართულ გიმნაზიას და წინამძღვრიანთკარის სოფლის მეურნეობის სკოლას. სისტემატურ დახმარებას უწევდა ქართულ თეატრს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ.-ბას, რუსულ და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტებს; საგრძნობ თანხას ხარჯავდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე. ი. ჭავჭავაძემ, რომელიც ბანკს 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, იგი გადააქცია დიდი დიაპაზონის საკრედიტო და საქველმოქმედო საზოგადოებად. 1905 წ. ბანკის ძირითადი კაპიტალი იყო 579 ათასი მანეთი. ბანკმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს სოც., ეკონ. და კულტ. განვითარების საქმეში. „თბილისის სათავადაზნაურო ბანკს განაგებდა პირველდასელთა მეთაური ილია ჭავჭავაძე“ (ნ. გრიგალ.— წიგნი I).

თ

თბილისის სასულიერო სემინარია — (ქსე) გაიხსნა 1817 წ., ახლანდელი ხელოვნების მუზეუმის შენობაში. შედგებოდა რიტორიკის ორი — ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასისაგან. სწავლობდნენ რუსულ ენასა და ლიტ.-რას, რუსულ და მსოფლიო ისტორიას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ლოგიკას, მათემატიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას; ღვთისმეტყველების კლასში — ეკლესიის ისტორიას, ძვ. სლავურ ენას. სწავლების ექვსივე წელს სწავლობდნენ ლათინურ, ბერძნულ, გერმანულ, ფრანგულ ენებს და პედაგოგიკას. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ ემუშავათ სოფლის სამრევლო სკოლების მასწავლებლად და გაეგრძელებინათ სწავლა სას. აკადემიასა და უნ.-ტში. სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ბ. იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი, თ. ჟორდანია, ი. გოგებაშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ. სემინარიაში სულის შემხუთავი იეზუიტური რეჟიმი იყო დამკვიდრებული. ურთიერთდასმენა, ჯაშუშობა, დასჯის დამამცირებელი მეთოდები. მოსწავლე ახალგაზრდობას არსებული წყობილების წინააღმდეგ განაწყობდა. 1886 წ. მოსწავლე ი. ლაღიაშვილმა ხანჯლით განგმირა რეაქციონერი რექტორი ჩუდეცკი, რომელსაც მანამდეც რამდენჯერმე სცემეს. 1893 წ. მოეწყო სემინარელთა საპროტესტო დემონსტრაცია. მოსწავლეები მოითხოვდნენ სემინარიაში გამეფებული რეჟიმის აღკვეთას, ქართული ენის სწავლების აღდგენას, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებას, შოვინისტი და დესპოტი მასწავლებლების დათხოვნას. ჟანდარმერიამ დემონსტრაცია დაშალა, სემინარია დროებით დახურეს. სემინარიამ იარსება 1917 წ.-მდე.

თებერმალი — სურწყუნისი.

თევდორე კველთელი — (ქსე) თევდორე მღვდელი, ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. 1609 წ. ოსმალთა ჯარი ქართლში შეიჭრა და ცდილობდა გზა გაეკვლია მეფის ბანაკისაკენ. ოსმალებმა სოფ. კველთის მღვდელი შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. თ. კ.-მა მტერი სხვა მიმართულებით გაიტყუა და დააშორა ისინი ცხირეთის ციხეს, სადაც მეფის ბანაკი იდგა. ბოლოს ოსმალები მიუხვდნენ განზრახვას და წამებით მოკლეს. თ. კ.-ს თავგანწირვამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და საშუალება მისცა მეფე ლუარსაბ II-ს მომზადებული დახვედროდა მტერს (ა. კალანდაძე, „თევდორე“).

თეზა, თეზისი — (უსლ) 1. ლოგიკაში: დებულება, რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს. „ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებული უნდა იქნეს როგორც ერთგვარი ტეზა ან ანტიტეზა რომანში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). 2. თეზისები — მოხსენების, ლექციის და მისთ. მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი.

თეთნულდი — (ქსე) მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. ენგურის სათავეებში (შ. დადიანის პიესა „თეთნულდი“).

თეთრი – (ქ. მწ.) ვერცხლის ფული.

თეთრი ლექსი – (ქსე) გაურითმავი ლექსი. ლექსის სტრიქონთა დაბოლოებანი, რომლებიც ჩვეულებრივ გარითმულია, თ. ლ.-ში ბგერითი თანხმიერობის თვალსაზრისით ცარიელია, „თეთრია." ვერლიბრისაგან განსხვავებით, თ. ლ. მეტრულად მოწესრიგებულია. ურითმობა მხოლოდ რითმიანი ლექსის ფონზე აღიქმება. ამიტომ იმ სალექსო სისტემების მიმართ, სადაც რითმა საერთოდ არ გამოიყენება, ამ ტერმინის ხმარება მართებული არ არის. თ. ლ. განსაკუთრებით კარგად ეგუება დრამატ. ნაწარმოებთა სპეციფიკას. ევროპაში ამ ფორმის გავრცელება შექსპირის პიესებს უკავშირდება. ქართულ პოეზიაში თ. ლ.-ის კლასიკური ნიმუშია შექსპირის პიესების ი. მაჩაბლისეული თარგმანები, გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე."

თეთრონი – (ქეგლ) (პოეტ.) თეთრი ცხენი. „ბადრო, მათხოვე თეთრონი" (ხალხური – „ამირანი").

თეიზმი – (უსლ) რელიგიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს, რომ არსებობს განსაკუთრებული გონიერი პიროვნება – ღმერთი, რომელმაც შექმნა ქვეყანა და განაგებს მას.

თეიმურაზ II (1700-1762) – (ქსე) კახეთის მეფე-გამგებელი, ქართლის მეფე. მოქნილი საგარეო პოლიტიკით შეძლო ქართლისა და კახეთის შემომტკიცება. კახეთში თავისი შვილი ერეკლე II გაამეფა, თვითონ კი ქართლი დაიჭირა და ამ გზით ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. თ. II 1745 წ. ძვ. ქართული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ, თუმცა ქართლ-კახეთი ირანთან ჯერ კიდევ გასალურ დამოკიდებულებაში იყო. მისი გაერთიანება და ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა დიდი მიღწევა იყო საქართველოს გზაზე. თ. II-მ ერეკლე მეფესთან ერთად დაიწყო ბრძოლა დაღესტნელი ფეოდალების თავხედობის წინააღმდეგ. საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო. 1760 წ. გაემგზავრა რუსეთს დახმარების სათხოვნელად ჯარით ან ფულადი სესხის სახით. რუსეთი ამ დროს შვიდწლიან ომში იყო ჩართული და ვერ გამოეხმაურა თ. II-ის წინადადებას. თ. II გარდაიცვალა პეტერბურგში; დასაფლავებულია ასტრახანის მიძინების ტაძარში.

თ. II აღორძინების ხანის მწერალია. იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია პოემა „დღისა და ღამის გაბაასება," ანუ „სარკე თქმულთა." დღისა და ღამის გაბაასების ფონზე ავტორი გვაძლევს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს. ეხმაურება არჩილ II-ის თხზულებას „საქართველოს ზნეობანი."

თ. II-ის ლექსებში გამოხატულია ქრისტიანული განწყობილება. პოეტის ლიტერატურული მრწამსის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია მისი „გაბაასება რუსთაველთან." თ. II აღიარებს „მართლი' თქმის" პრინციპს. მას ეკუთვნის „ხილთა ქება," ანბანთქებები, კიდურწერილობა. სპარსულიდან თარგმნა „თიმსარიანი."

თეკლე ბატონიშვილი (1776-1856) – (ქსე) ქართველი პოეტი, ერეკლე II-ის

ასული. გათხოვილი იყო ვახტანგ ორბელიანზე. პოეტების ვ. და ა. ორბელიანების დედა. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისთვის გადაასახლეს ქ. კალუგაში. Ⴇ. ბ.-ის ლექსებში გამოხატულია ძველი დიდების დაკარგვით გამოწვეული სევდა. პოეტი უჩივის უბედობას და პატიმრის მძიმე ხვედრს.

ႧႤႪႢႠႫႨ — (საბა) თელგამი, ბალღამი, ბელგამი. ნაღველი. ჩირქი. „მამამზე ერისთავმაც იფარა ხელისგული, მაგრამ ვერაფერი დაინახეს მისმა თელგამიანმა თვალებმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ႧႤႫႠ [ბერძ. — ძირითადი აზრი] — (ქსე) მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ საგანთა, ცხოვრებისეულ მოვლენათა წრე. სხვა თვალსაზრისით Ⴇ. გულისხმობს მწერლის მიერ ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემასაც, რომელიც თხზულების შინაარსს კრავს და იდეურ-ემოციურ მთლიანობად აქცევს. Ⴇ. თვალსაჩინო ხდება სიუჟეტის მეშვეობით. Ⴇ. ნეიტრალურია, ამიტომ შესაძლებელია ერთი და იგივე Ⴇ. სრულიად სხვადასხვა მსოფლმხედველობის მწერალმა დაამუშაოს მხატვრულად. (უსლ) 1. საგანი, საკითხი, რომელსაც ეხება თხრობა, გამოკვლევა, საუბარი და მისთ. 2. ქართული ენის გრამატიკაში: ზმნის ნაწილი, რომელიც უცვლელია რომელიმე სერიის ფორმებში.

ႧႤႫႨ — (ქეგლ) 1. (ისტ.) ქვეყნის ნაწილი, მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ერთად მცხოვრები მოსახლეობა; სოფელი; საზოგადოება. დიდ Ⴇ.-ად ცხოვრება. გურიის Ⴇ. 2. (ისტ.) საქართველოს მთიანეთში ერთი გვარი მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავის წეს-ჩვეულებები. ფშაველთა Ⴇ., Ⴇ.-ის დროშა. 3. (ძვ.) იმერეთში — ერთად თავმოყრილი, ერთად შეყრილი ხალხი (სალაპარაკოდ, დროის გასატარებლად, ღრეობაზე). 4. რევოლუციამდე: უმცირესი ადმინისტრაციული ერთეული მაზრის შემადგენლობაში. თემის ადმასკომი. 5. წინარე ისტ. ხანაში — ძირითადი სოც. ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოო საშუალებებს. „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა“ („ვაჟა“).

ႧႤႫႨႣႠ — (ქსე) მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ქალღმერთი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. ურანოსისა და გეას ასული, ზევსის ცოლი. Ⴇ. წინასწარმეტყველი იყო და კაცთა მოდგმას ზევსის ნება-სურვილს აუწყებდა. Ⴇ.-ს გამოსახავდნენ თვალახვეულს, სიუხვის რქითა და სასწორით ხელში. ხშირად იურისტებსა და მოსამართლეებს Ⴇ.-ს მსახურს უწოდებენ. „მთავარმართებლის ბრძანებაცა და გუბერნატორის თხოვნაც თემიდას მსახურებმა კანონად ვერ მიიჩნიეს“ (ნ. გრიგალ. — წიგნი I).

ႧႤႫႳႰႪႤႬႢႨ (1336-1405) — (ქსე) (ევროპ. — „ტამერლანი“) ხოჯა-ილგარი, შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი, გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის თარაღაის შვილი. სახელი გაითქვა შინაომებში. 1362 წ. ფეხში დაიჭრა და ამის გამო „თემურ ლენგი“ (ტაჯიკურად „კოჭლი თემური“) შეარქვეს.

Ⴇ. Ⴊ.-ის სახელმწიფო წარმოადგენდა ფეოდალურ სამფლობელოთა კონგლო-

მერატს. Თ. Ლ. დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნ. და ტექნ. განვითარებას. დაპყრობილი ქვეყნებიდან მოჰყავდა ოსტატები და აგებდა სასახლეებს, მეჩეთებს, მავზოლეუმებს. მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო სამარყანდი.

Თ. Ლ.-ის ლაშქრობები გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სისასტიკით. 1386-1403 წ. Თ. Ლ. რვაჯერ შემოესია საქართველოს და უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის შემდგომ განვითარებას. კაცთმოძულე (მიზანთროპი) ჯალათი სადაც გაივლიდა, ყველგან ნანგრევები რჩებოდა. „რკინის ლენგის," „კოჭლი რკინაკაცის" მზერა უფერული და უსიცოცხლო იყო. ისტორიკოსები წერდნენ, რომ მას ერთხელაც არ გაუღიმია 30 წლის განმავლობაში. Თ. Ლ.-ს უყვარდა პირამიდების შენება არა ჩვეულებრივი ლოდებით, არამედ ადამიანთა თავის ქალებისაგან. ბაღდადი რომ აიღო ჩოფურა ქერა ხეიბარძა Თ. Ლ.-მა, ადამიანთა ძვლებისა და თავებისაგან 120 პირამიდა ააგო. მრავალი ასეთი პირამიდა ააშენა ინდოეთში. Თ.-ის ტახტის ქვეშ მოქცეული იყო „მცირე პირამიდა," დამარცხებულ მბრძანებელთა თავებისაგან ნაგები (აირაპეტოვი, „ჯანმრთელობა, ემოციები, სილამაზე") „საარაკო ლანგ-თემურმა მხოლოდ აქ [საქართველოში] იგრძნო თავისი კოჭლობა, როცა ამ პატარა „ქვეყნის ქვაკუთხედს" წამოჰკრა ფეხი" („პაში-აჩუკი" — აკ. წერ.). „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახება" (გ. ლეონ.).

ᲗᲔᲝ — (ქეგლ) ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობდნენ. „ძაღლი თეოზე მყეფარი."

ᲗᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ [ბერძ.] — (ქსე) საეკლესიო მოძღვრება ღვთისა და მისი ატრიბუტების, რელიგიური დოგმატების, საღვთო წერილის, საეკლესიო გადმოცემების, რელიგიური ზნეობის, მორწმუნეთა და სამღვდელოების ცხოვრების წესებისა და ნორმების შესახებ. (ქეგლ) იგივეა, რაც ღვთისმეტყველება და ბერძნულად „ღვთის სიბრძნეს" ნიშნავდა.

ᲗᲔᲝᲡᲝᲤᲘᲐ — (ქსე) მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვით მისტიკური ჭვრეტის გზით შეიძლება ღვთის შემეცნება და ურთიერთობა „მიღმა სამყაროსთან." გავრცელებული შეხედულების მიხედვით Თ. არის რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება.

ᲗᲔᲠᲒᲓᲐᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘ — (ქეგლ) ასე უწოდებდნენ XIX ს. 60-იანი წ.წ. ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც რუსეთში მიიღეს განათლება და საქართველოში გადმოიტანეს იმდროინდელი პროგრესულ-დემოკრატიული იდეები. იხ. სამოციანელები.

ᲗᲔᲠᲛᲝᲜᲘ — (ქ. მწ.) ტკბილი შაქარწყალი. „სასმელად უძღვენ თერმონი, არ ცუდად დასანთხეველად" (დ. გურამ.).

ᲗᲔᲤᲔ — (ქსე) გორა. „ირაკლის რაღაც გამოჩნდა, აჰა, მთაც კიდობანისა".

ᲗᲔᲯᲘᲠᲘ — (ქ. მწ.) ფარდა. შირმა. თეჯირ-ოთაღი — კარავი.

ᲗᲔᲯᲚᲘᲨᲘ, ᲗᲔᲯᲚᲘᲡᲘ — (ქ. მწ.) აღმოსავლური თერთმეტმარცვლიანი (სპარსული) სასიმღერო ლექსი.

ᲗᲕᲐᲚᲗᲛᲐᲥᲪᲘ — (ბიბლ.) ცბიერი, მზაკვარი, ფლიდი.

თ

თვითაღზრდა — (ქსე) ადამიანის შეგნებული და სისტემატური მოქმედება საკუთარი დადებითი თვისებების განსამტკიცებლად და უარყოფითის დასაძლევად. მისი ფორმები და მეთოდებია თვითკრიტიკა, თვითდარწმუნება, თვითიძულება, თვითგანწყობა.

თვითმპყრობელობა — (ქსე) მონარქიული მმართველობის ფორმა რუსეთში, როცა უზენაესი ხელისუფალი იყო მეფე-იმპერატორი, რომელიც ატარებდა მემამულეთა კლასის დიქტატურას. მეფის ხელისუფლება შეუზღუდავი იყო. (ქეგლ) თვითმპყრობელი — შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი. „ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი“ („სიყვარულო, ძალსა შენსა“ — ა. ყაზბ.).

თვინიერი — (ბიბლ.) წყნარი, უწყინარი, მორჩილი.

თიბათვე — (ქეგლ) ივნისის ქართული ხალხური სახელწოდება. „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ (გ. ტაბ.).

თივთიკი — (ქეგლ) 1. თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის და ზოგი სხვა ცხოველის წვრილი და ნაზი ბალანი, ამოსული მქისე ფაცახის ქვეშ. 2. ამ ბეწვისაგან დამზადებული ქსოვილი. თ.-ის ჩოხა. თ.-ის ყაბალახი.

თითბერი — (საბა) ყვითელი სპილენძი ბუნებითი.

. **თილისმა** [არაბ.] — (ქეგლ) 1. რაიმე პატარა ნივთი, რომელსაც ზებუნებრივი რწმენით თითქოს ადამიანისათვის ბედნიერების, წარმატების, გამარჯვების მოტანა შეუძლია. 2. იგივეა, რაც ჯადო, ავგაროზი. „ლაჟვარდით გათოვლილი და ვერცხლით ნათილისმარი“ („ეს მშობლიური ქარია“ — გ. ტაბ). „თილისმაც უნდა პქონდესო ხნიერობის წინააღმდეგ მაიას“ („თავადის ქალი მაია“ — ლ. ქიაჩ.).

თინათინი — (საბა) სარკითა თუ მისთანა რითამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს. „და მზის თინათინს დაჩრდილავდი თვალთა ციალით“ („შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“— ი. ნონ.).

თირთიმები (თითრმები) — გულქანდაზე ჩამოკიდებული პეპელას ფრთების მსგავსი ოქროს სიფრიფანები („ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა“ — ი. გრიშ.). „დიაცმა მოვის პერანგები ამოალაგა მარგალიტის თირთიმებით დამშვენებული“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

თმაგარდატევებული — (ქ. მწ.) თმებჩამოშვებული. „... და მოჰყავდათ წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული“ („შუშანიკის წამება“ — ი. ცურტ.).

თმობა — (საბა) მოთმენა. „მისმინეთ ვით მაქვს ჭმუნვათა თმობა.“

თომარი — (ქ. მწ.) თავსაბურავში შესარჭობი ძვირფასი თვლებით შემკობილი ფრთა. იხ. ჯიღა. „ეგ თომარ-ჯიღა ვინ დაგხურაო?“ („მელი მძღვრად“ — საბა.).

თორი — (ქეგლ) (ძვ.) თორნი — სხეულის დასაფარავი ჯავშანი. „განუსაზღვრელად უყვარს ჭაბუკს [ფარსმანს] თორის გადაცმა, მუზარადის თავზე დახურვა“ „დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

თორნიკე ერისთავი – (ქსე) ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი გამშენებელი, ტაოელი დიდებულის ჩორჩანელის ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე. ერთხანს ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში მოღვაწეობდა. 979 წ. თ. ე.-ს ბიზანტიის სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. თ. ე. პირველად ბერობას იმიზეზებდა და უარობდა. მაგრამ შემდეგ ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი რისხვის თავიდან ასაცილებლად დათანხმდა. დავით კურაპალატმა თ. ე.-ის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი მხედარი, რომლებმაც სძლიეს სკლიაროსს და ხელთ იგდეს ნადავლი. ბიზანტიის ხელისუფლებამ დაპირების თანახმად თ. ე. დაასაჩუქრა ნადავლით. ნაწილი ამ სიმდიდრისა მან ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტერს მოახმარა. 900 წლის ახლო ხანებში თ. ე.-ს ბიზანტიის კეისარმა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერის წოდება უბოძა). თ. ე.-ს შეკვეთით გადაწერილია ოშკის ბიბლია.

თოქალთო [სპარს.] – (ქსე) ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ დასაფენი ქეჩა, რომელსაც ზემოდან ტყავი აქვს გადაკრული. თ.-ს მეუნაგირეები ამზადებდნენ. „დეიდა [ჩახტაურა] თოქალთოს უქსოვდა შალიას“ (გ. ლეონ.). „მურასა ოქროთი შეჭედილი უნაგირები, მშვლის ბეწვის თოქალთოები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

თოფი – 1. (საბა) ცეცხლის სასროლი, ხელმეხა. 2. (ქეგლ) მთლიანი ქსოვილი, ბრტყლად დახვეული; ქსოვილის ზომის მსხვილი ერთეული. სამი თ. ჩითი.

თოხლი – (ქეგლ) ცხვარი ერთი თვის ასაკიდან წლამდე. „ვიდრე ერთს გამოსწველიდეს დედა, რომელიმე თოხლი შეუვარდება ჯიქანში შაქს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

თრიაქი – (ქ. მწ.) ოპიუმი. ხაშხაშის მოუმწიფებელი რძიანი წვენისაგან მოპოვებული ნარკოტიკული ნივთიერება. „როცა ფარსმანი თრიაქით დათვრებოდა, მოურიდებლად ხითხითებდა და მარიამის უხრწნელობის დოგმას აბამბულებდა („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

თულუხი [თურქ. – ტიკი] – (ქსე) წყლის საზიდავი რუმბი. ამზადებენ ხარის ან კამეჩის ტყავისაგან, რომელსაც სახელოსავით ჰქონდა მიკერებული წყლის ჩამოსასხმელი. იტევდა 4-5 ფუთ წყალს და ყულფებით იყო დამაგრებული ცხენის ან სახედრის კეხზე. წყლის მზიდავს თულუხჩი ან მეთულუხჩე ერქვა. მეთულუხჩეებს კარიკარ ამგვარი გუდებით დაჰქონდათ წყალი. ეს წესი მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისს მოისპო. „[მარმარილოს წყაროსთან] მეეტლენი რიგის გამო მეთულუხეებს და პატარა ბიჭებს ედავებიან“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

თუმანიანი ოვანეს (1869-1923) გამოჩენილი სომეხი პოეტი, პროზაიკოსი, მოღვაწე, სიცოცხლის მეტი წილი

თბილისში გაატარა. იყო სომეხ-ქართველთა მეგობრობის მქადაგებელი. აქვს არაერთი მოძღვნილი ნაწარმოები: „შერიგება“, „საქართველოს სული“, „საქართველოს პოეტებს“. შორს იდგა უნიათო ნაციონალისტებისაგან, რომელთაც შუღლი და სხვათა შექმნილი კულტურული ღირებულებების მითვისება ჰქონდათ მიზნად ქცეული. „ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო პოეტი ქართველი — ორმაგად პოეტი“ - ამბობდა იგი.

ႧႳႰႨႬႿႨ — (ქ. მწ.) ფორთოხალი. ლიმონი.

ႧႳႰႫႠႬႨႻႤႤႡႨ — (ქსე) უძველესი დროიდან ცნობილი ხალხურ მკურნალთა საგვარეულო; ძირითადად ზემო იმერეთის სოფ. შორაპნიდან იყვნენ. განსაკუთრებული წესით დამზადებული მალამოთი მკურნალობდნენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, სიდამწვრეს და სხვ. მკურნალობის მეთოდს გადასცემდნენ მემკვიდრეობით. ცნობილია, რომ 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს დაჭრილი პოეტის — ალ. ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან მოიწვიეს თურმანიძე. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიელი 'სახალხო გმირი ჯ. გარიბალდი ფეხის ამპუტაციას გადაარჩინა და განკურნა საქართველოდან მოწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თ. რუსეთის არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად. „სულზე მიუსწრო თურმანიძემ ავადმყოფს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ႧႳႶႨ — (ქსე) ცხენის ძუა ან ტიბეტური ხარის იაკის კუდი, თურქთა ძველი ტოტემური ემბლემა. მოოქროული სპილენძის ან ძვლის ბურთულით დაბოლოებული ხის გრძელ ტარზე მიბმული ცხენის ძუა. თუღი ოსმალეთის სახელმწიფოს დიდ მოხელეთა უფლებამოსილებისა და სამხედრო წოდების ნიშანი იყო. ზოგჯერ თუღი თავსაბურავზეც ჰქონდათ დამაგრებული. თუღის სინონიმებია ბუნჩუკი, სურღუჯი. „არზრუმის სარასკირი სამთუღიანი ქოსა-ფაშა და ახალციხის ორთუღიანი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი ბასკუვიჩზე უფრო დიდი სარდლები არიან“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ႧႳႶႳႬႨ — (ქეგლ) ცხენის ჯიში ერთგვარი. თეთრი ცხენი. „ჩემს თეთრს თუღუნს არვინ გასცვლის შენს შავს არაბზეო“ (დ. გურ.).

ႧႾႤႫႨ — (ქეგლ) 1. ზედა ნაწილი, თავი. 2. თავის ქალის ზედა ნაწილი. თხემით ტერფამდე, იგივეა, რაც თავიდან ფეხებამდე. „ჭაბუკმა მეორე ბორცვის თხემამდე მიაღწია და გაუჩინარდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ႧႾႨႤႰႨ — (ქ. მწ.) ტიკი.

ႧႾႨႪႠႫႳႰႤႡႨ — 1. ფეხებქვეშ ამოსაკრავი გრძელი და ბრტყელი ძელები თოვლზე სასრიალოდ, სასიარულოდ. 2. რკალად შეკრული თხილის ან სხვა რისამე ტოტები გარდიგარდმო თოკით ან წნელით გახლართული; მთაში ხმარობენ დიდ თოვლში სასიარულოდ.

ႨႠႡႭ – (ქეგლ) დაკოდილი ცხენი, ლაფშა. „იჯდა თორიანი გოლიათი ჩალისფერ იაბოზე" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ႨႠႢႳႬႣႨ [არაბ.] – (ქეგლ) ძვირფასი ქვა წითელი ან ლურჯი ფერისა.

ႨႠႣႢႠႰႨ [სპარს.] – (ქ. მწ.) 1. სახსოვარი. საწელიწადო იადგარი. 2. (ქსე) სასულიერო პოეზიის კრებული, საეკლესიო საგალობელთა წიგნი, ქართული ლიტურგიის კრებული, რომელშიც თავმოყრილია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დაწესებული სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულთა და ხსენებათა საგალობლები. კრებული იწყება შობით და თანმიმდევრულად მთელი წლის დღესასწაულთა საგალობლებს შეიცავს. კალენდარული თანმიმდევრობა დარღვეულია მარტსა და აპრილში, რადგან აქ ჩართულია დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი დღესასწაულების საგალობლები. Ⴈ. ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების საწყისებთან დგას და თავისი დროის უნივერსალურ საგალობელ კრებულს წარმოადგენს. დაწერილია ე. წ. „წყობილი სიტყვით," რიტმიკა დამყარებულია შინაარსობრივად შეკრულ ტაეპთა „რიცხვედობაზე". ყოველ გალობას თან ახლავს თავისი მუსიკალურ-რიტმული მოდელი – ძლისპირი. ცნობილია მიქაელ მოდრეკილის „Ⴈ", გრიგოლ ხანძთელის მიერ შედგენილი „საწელიწადო Ⴈ". „აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა" [გრ. ხანძთელი] დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწადოჲ იადგარი".

ႨႠႣႢႠႰ ႣႠႳႣႨ – (ქსე) XV ს. ენციკლოპედიური ხასიათის ქართული სამედიცინო ძეგლი (ავტორია დავით XI - დაუთ ხანი). მოიცავს იმდროინდელი მედიცინის თითქმის ყველა საკითხს. წიგნის ზოგად ნაწილში მოკლე ანატ.-ფიზიოლოგ. მონაცემების შემდეგ დეტალურადაა განხილული ჰიგიენისა და დიეტიკის საკითხები და დიაგნოსტიკური საშუალებები. აღწერილია პროფილაქტიკისა და მკურნალობის წესები, ძილისა და სიფხიზლის, სქესობრივი ჰიგიენის საკითხები; განხილულია საკვები პროდუქტებისა და მათი სამკურნალო საშუალებების თვისებები. თანმიმდევრულადაა განხილული იმ დროს არსებული მედიცინის თითქმის ყველა დარგი: პირველ რიგში ნერვული და ფსიქიატრიული დაავადებანი; თვალის, ყურის, კბილის, სახსრებისა და კანის სხვა ორგანოთა დაავადებები, ციებცხელება, მოტეხილობა, სიდამწვრე და ა.შ. თითქმის ცველა დაავადება ცალცალკეა დახასიათებული, აღწერილია აგრეთვე კლიმატურ-ბალნეოლოგიური და სხვა ბუნებრივი ფაქტორების სამკურნალო გამოყენება.

ႨႠႣႭႬႨ [ბერძ.] – (ქეგლ) 1. ბაწაწინა მგალობელი ფრინველი მთიულების ოჯახისა. 2. იგივეა, რაც ბულბული.

ႨႠႥႠႰႵႫႬႨႪႨ – (ქ. მწ.) დარბეული, გაძარცვული, აოხრებული. იავარყოფს – აოხრებს, აიკლებს, გაანადგურებს. „უცხოობაში გადახვეწილ დავითის დაქცეული და იავარქმნილი სამშობლოსაკენ მიუწევდა გული" („მეფობა დავითისა" – ბიბლიური მოთხრობები).

ႨႠႻႨႬႧႨ – (ქართ. მწერ.) მოლურჯო

ფერის ქვა. („იაკინთე და მანანა" – დ. გურ.).

ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ – (ბიბლ.) ებრაელი ხალხი.

ᲘᲐᲙᲝᲑᲘ – (ქსე) ბიბლიის მიხედვით ისრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქი, ისააკის ძე. თორმეტი ძე ჰყავდა, რომლებიც შემდგომ ისრაელიტთა თორმეტი ტომის მამამთავრები გახდნენ. იაკობმა არაერთხელ მოატყუა თავის ტყუპისცალი ძმა ესავი, რის გამოც იაკობი გაიქცა ბიძასთან. გზადმიმავალმა სიზმრად ნახა ცად აღმავალი კიბე, რომელზეც ანგელოზები ადი-ჩამოდიოდნენ კიბეზე მდგარმა ღმერთმა იაკობს აღუთქვა, რომ: „ეს მიწა შენთვის და შენი შთამომავლობისათვის მიბოძებია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება, შენთან ვარ და ყოველთვის დაგიფარავ, არ მიგატოვებ ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს".

ერთხელ სამშობლოში გამგზავრებულ იაკობს უჩვეულო ამბავი შეემთხვა. მთელი ღამის განმავლობაში მას „ვიღაცა" ერკინებოდა. იაკობმა არ გაუშვა ეს „ვიღაცა" მანამდე, სანამ მისგან ლოცვა-კურთხევა არ მიიღო. ღმერთმა იაკობს ახალი სახელი შეარქვა – ისმაელი", რაც ღმერთთან მებრძოლს ნიშნავს. „ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲘᲐᲛᲐᲜᲘ – (ქეგლ) ძვირფასი ქვა – აყიყი.

ᲘᲐᲛᲑᲘ – (ქსე) ძვ. ბერძნულ ლექსთწყობაში: ორმარცვლიანი ტერფი, რომლის პირველი მარცვალი მოკლეა (უმახვილო), მეორე – გრძელი (მახვილიანი). Ი.-ით იწერებოდა უმეტესად გამკილავი შინაარსის ლექსები.

ᲘᲐᲛᲑᲘᲙᲝ [ბერძ.] – (ქეგლ) ძვ. ქართულ სასულიერო პოეზიაში – ხუთმუხლიანი და თორმეტმარცვლიანი; ჩვეულებრივ, ურითმო ლექსი.

ᲘᲐᲜᲘᲩᲐᲠᲘ, ენგიჩარი [თურქ.]– (ქეგლ) პრივილეგირებული ქვეითი ჯარი სულთნის თურქეთში XIV-XIX ს.ს; პირველ ხანებში დგებოდა ბავშვობაში ტყვედ წაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან. „როცა 1820 წელს სულთანმა ახმედ მესამემ ორმოცათასამდე ენგიჩარი შემუსრა, ქართველ ენგიჩართა ნაწილმა ახალციხეს მიაშურა" („არსენა მარაბდელი" – მ. მ. ჯავახ.).

ᲘᲐᲜᲙᲘ – (უსლ) ამერიკელების (ამერიკის მკვიდრთა) მეტსახელი, რომელიც მათ ევროპელებმა შეარქვეს.

ᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ კირილე პეტრეს ძე – 1870-1901-იან წლებში კავკასიაში სახალხო განათლების მზრუნველი. მან სრულიად განდევნა ქართული ენა სასწავლებლიდან, ებრძოდა ყოველივე ქართულს. მეგრელთა „ინტერესების დამცველად" მოგვევლინა და შეადგენინა მეგრული ანბანი. „ილია ჭავჭავაძე იბრძოდა შავრაზმელ კატკოვისა და იანოვსკის წინააღმდეგ (წერილი „კატკოვის პასუხად").

ᲘᲐᲠᲓᲘ [ინგლ.] – (უსლ) ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 3 ფუტს (91 სმ).

ᲘᲐᲡᲐᲛᲜᲘᲡᲤᲔᲠᲘ — (ქეგლ) მოწითალო იისფერი.

ᲘᲐᲡᲐᲣᲚᲘ [თურქ.] — (ქეგლ) რევოლუციამდე პოლიციის მოხელე სოფელში. (ქ. მწ.) შიკრიკი.

ᲘᲐᲡᲞᲘ [სპარს.] — (ქეგლ) ძვირფასი ქვა მოწითალო ან ჭრელი კვარცის ნაირსახეობა; ეშმის ქვა. „ტაძრის ქუბეს გალავნის ქონგურების ნაჩრდილები ისე ხატავდნენ, როგორც გიშრისა და იასპის აგურებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲘᲐᲢᲐᲒᲐᲜᲘ [თურქ.] — (ქეგლ) მოკლე მოღუნული ორპირი მახვილი. „ხვალ ნახავთ, სისხლით აივსება წყაროზე ტაგანი და ვერცხლით ნაჭედი იატაგანით..." („მეცამეტე საუკუნე" — გ. ლეონ.)

ᲘᲐᲤᲔᲢᲘ — (ქსე) ძვ. აღთქმის მიხედვით, ნოეს ერთ-ერთი ძე, რომელიც მამასთან და ძმებთან ერთად გადაურჩა წარღვნას. Ი. და მისი ძმები — სემი და ქამი — იყვნენ მსოფლიოს ხალხთა მამამთავრები.

ᲘᲐᲤᲣᲮᲘ — (ქ. მწ.) თაფლისაგან შემზადებული ლელანგო, ნამცხვარი. „ფხოვური იაფუხები ეყარა ტაბლაზე" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ პაოლო ჯიბრაილის ძე (1894-1937) — (ქსე) ქართველი პოეტი. სწავლობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ ანაპის გიმნაზიაში. რედაქტორობდა ჟურნალ „ოქროს ვერძს". პარიზში სწავლობდა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. 1915 წ. დაბრუნდა ქუთაისში და სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად ქართველი სიმბოლისტების — „ცისფერყანწელების" ჯგუფი დააარსა. რედაქტორობდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებს". პირველი ლექსი „ღმერთო, ღმერთო" თერგდალეულთა პატრიოტული ლირიკის ინერცია იყო. შემდეგში ე. წ. „ახალ პოეზიას" ნაზიარები პოეტი ახალ გამომსახველობით ხერხს ეძიებდა. ფართოდ იყენებდა სიმბოლისტურ სკოლათა გამოცდილებას. სამყაროს დასასრულის აპოკალიფსური მოლოდინი, გაორება და სულის მიუსაფრობა გადმოსცა მან ლექსებში: „ფარშევანგები ქალაქში", „წითელი ხარი", „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ". Ი.-ს ადრინდელი ლირიკის გმირი „ბრბოსაგან" განდგომილი პოეტი-დენდი ოცნებებისა და ქიმერების ტყვეობაში იყო („ვალერიან გაფრინდაშვილს", „ავტოპორტრეტი", „ტიციან ტაბიძე"). ლიტერატურული მისტიფიკაციის მკაფიო ნიმუშია ლექსთა ციკლი „ელენე დარიანის დღიურები". ელენე დარიანი მისი ფსევდონიმია. შემოქმედებითი ევოლუციის პროცესი რთული და მტკივნეული აღმოჩნდა მისთვის. საბოლოოდ დათმო „წმინდა ხელოვნების" სამსახური ლექსებში „პოეტი და ადამიანი", „პოეზია, როგორც აფრის ტკაცუნი", „მაგიდა — ჩემი პარნასი". Ი. ქართული ვერსიფიკაციის ნოვატორი, ტრიოლეტებისა და სონეტების გარდა ოსტატურად დაეუფლა თავისუფალ ლექსსაც. ნატიფი ბგერწერა, გაუცვეთავი პოეტური ტროპები, ე. წ. „ახალი რითმები", ზომიერად გამოყენებული ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები ამდიდრებდნენ მის პოეტურ პალიტრას. Ი.-ს

ეკუთვნის მოთხრობები: „ფერადი ბუშტები", „სამი ტკივილი"; ლიტერატურული წერილები; ა. პუშკინის, კ. ბალმონტის, ვ. მაიაკოვსკის, შ. ბოდლერის, ა. რემბოს, ო. უაილდის და სხვათა თხზულებათა თარგმანები. ლექსების პირველი კრებული 1955 წ. გამოიცა, ხოლო თხზულებათა პირველი ვრცელი კრებული — 1959 წ.

ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘ — (ქეგლ) თუშების, ფშაველებისა და ხევსურების ძვ. წარმართული ღვთაება (იხ. კობალა და იახსარი). „გველისფერი წმ. გიორგი — იახსარი მტრად მოიკიდაო მეფე გიორგიმ" („დიდოსტატის მარჯვენა"—კ. გამს.).

ᲘᲐᲰᲕᲔ — (ქსე) იუდაისტური რელიგიის უზენაესი ღვთაება. ი.-ს პირველად იუდას ტომის მფარველად მიიჩნევდნენ.

ᲘᲐᲰᲘᲐ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲔᲚᲘ (980-1066) — (ქსე) იბნ საიდ იბნიაჰია ალ-ანტაქი, ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი და ექიმი. შეადგინა „მსოფლიო ისტორია". მასში საინტერესო ცნობებია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ კეისარ ბასილი II-ის დროს. კერძოდ, დავით III-ის კურაპალატად დანიშვნა; ტაოს გადასვლა ბიზანტიის ხელში, მისი დაბრუნება გიორგი I-ის მიერ და ქართველთა მეფის კავშირი ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან ბიზანტიის წინააღმდეგ ერთდროული ლაშქრობის მოსაწყობად, ამ მოლაპარაკების დაშლა, ბასილის ხელახლა ლაშქრობა საქართველოში 1020 წ; ბიზანტიის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დროებით დაბრუნება და სხვა.

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ, ᲘᲕᲔᲠᲘᲐ — (ქსე) აღ. და სამხ. საქართველოსა და ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. გვიანდ. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში „ივერია" იხმარებოდა მთელი საქართველოს აღსანიშნავად. ამასთან აღმ. საქართველოს უწოდებდნენ ზემო ივერიას, ხოლო დას. საქართველოს — ქვემო ივერიას. ამ სახელწოდების წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი გაჩნდა უცხოენოვან (ბერძნულ) გარემოში, ელინისტურ ხანაში. ზოგი მას ქართულ „იმერს" უკავშირებს (იქითა მხარე) და მიიჩნევს დას. საქართველოში ლიხსიქითა ან მესხეთის მთებსიქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად.

ბერძნებთან ი.-დ ცნობილი ქვეყანა ადგილობრივ „ქართლად" იწოდებოდა. ელინისტური ხანიდან ი. მუდამ ერთ გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს (სახელმწიფოს) აღნიშნავდა, რომელიც აღმ. და სამხ. საქართველოს ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. ამ ტერიტორიაზე უმეტესად აღმოსავლურ-ქართული ტომები (ქართები - იბერები) სახლობდნენ. „საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ყმებია ჩვენი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲘᲑᲜ- [არაბ.] — (უსლ) ნაწილაკი, რომელიც წინ დაერთვის მამის სახელს ან საგვარეულო სახელს და უდრის ქართულ „ძე"-ს. (არაბული ენის გავლენის ქვეყნებში). მაგ. აჰმედ-იბნ-აბდულაჰ — აჰმედ — ძე აბდულაჰისა. „ფარსმანმა შეიპყრა აბუბექარ-ისმაილ იბნ ალ-აშარი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

Ⴈ

იბნ-სინა, აბუ ალი იბნ სინა (980-1037) (ლათინიზებული — ავიცენა) — (ქსე) ფილოსოფოსი, ექიმი, პოეტი. მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში. ისლამის რელიგიის ჩარჩოებში შეძლო ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების კრიტიკულად ათვისება და თავისი დროის მთელი ცოდნის სისტემატიზაცია. მისი მთავარი შრომაა ფილოსოფიური ენციკლოპედია, რომელიც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკასა და მეტაფიზიკას.

ი-ს. ქადაგებდა მეცნიერებისა და განათლების სიკეთეს. სპარსულ რობაიებში მწარედ დასცინის თანადროული ცხოვრებისა და ორთოდოქსული ისლამის მანკიერ მხარეებს. ი-ს.-ს უმნიშვნელოვანესი სამედიცინო თხზულებაა „სამკურნალო მეცნიერების კანონი“.

იბსენი ჰენრიკ (1828-1906) — დიდი ნორვეგიელი დრამატურგი, პოეტი, პიროვნების მადიდებელი, არსებული სინამდვილის მრისხანე კრიტიკოსი, ავტორი პიესებისა: „ბრანდი“, „პერ გუნტი“, „ჰედა გაბლერი“, „მშენებელი სოლნესი“.

იგავ-არაკი — (ა. ჭილაია) ეპიკურ-ლირიკული ჟანრის ნაწარმოები, ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის თხზულება, რომლის გმირებია ცხოველები, მცენარეები, მაგრამ იგულისხმებიან ადამიანები. ამ ჟანრისათვის დამახასიათებელია ნართაული, გადაკრული თქმა, ალეგორიულობა, ი.-ა. შეიძლება იყოს როგორც პროზაული, ისე ლექსითი. პირველის მაგალითია ს. ს. ორბელიანის იგავ-არაკები, მეორისა — ლაფონტენის, კრილოვის, აკ. წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებები. ი-ა.-ს ლიტერატურაში ხშირად ეზოპეს ენას უწოდებენ, რადგან ამ ჟანრის ფუძემდებელი იყო სახელმოხვეჭილი ბერძენი მწერალი ეზოპე. მსოფლიოში დიდი მეიგავეები არიან: ეზოპე, ფედრა, ლაფონტენი, ს. ს. ორბელიანი, კრილოვი. ი-ა.-ში ორი მომენტია საყურადღებო: ა) ერთ შემთხვევაში ნაწარმოების დედააზრი დასკვნის სახით აფორიზმითაა წარმოდგენილი; ბ) შინაარსი დაფარულია ცხოველის სახეში, შეიძლება ადამიანის სახეშიც. ავტორის აზრი ამოსაკითხავია, ამოსაცნობია, ამიტომაც ი-ა.-ს მეტაფორული იერი დაჰკრავს.

იგავი — დამრიგებლობითი ხასიათის მცირე ალეგორიული თხრობა. იგავ-არაკისაგან განსხვავდება იმით, რომ მისი შინაარსი ხშირად რეალურია და შესაძლებელი.

იგნორირება [ლათ.] — (უსლ) უგულებელყოფა.

იდალგო [ესპ.] — (უსლ) ესპანეთში აზნაური („დონ კიხოტი“).

იდეა [ბერძ.] — (ქეგლ) 1. პრინციპი, დებულება, რითაც ხელმძღვანელობენ თეორიულ მსჯელობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქმიანობაში; შეხედულება, თვალსაზრისი. 2. მნიშვნელოვანი აზრი, განზრახვა, ჩანაფიქრი. 3. ნაწარმოების მთავარი აზრი. (უსლ) ცნება, წარმოდგენა, რომელიც ასახავს სინამდვილეს ცნობიერებაში და გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი.

იდეალი [ფრ.] — (ქეგლ) უმაღლესი

მიზანი ადამიანის მოქმედებისა, მოღვაწეობისა, მისწრაფებისა. (უსლ) რისამე სრულყოფის განსახიერება. „ეს არის კონფლიქტი ადამიანის იდეალსა და შესაძლებლობას შორის." „დიდოსტატის მარჯვენაში ეროვნული იდეალების ჯვარის მტვირთველია გიორგი მეფე" (სასკ. სახ.-ლო).

ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ — (უსლ) იდეალიზება, ვისიმე ან რისამე იმაზე უკეთ წარმოდგენა, წარმოჩენა, ვიდრე სინამდვილეშია. ვინმესთვის ან რაიმესთვის იდეალური თვისებების მიწერა, გაიდეალება.

ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ — (უსლ) მიმართულება ფილოსოფიაში, რომლის მიხედვითაც იდეა, ცნობიერება, სული არის პირველადი, ხოლო მატერია, ბუნება, ყოფიერება — მეორადი (საპირისპირო — მატერიალიზმი). 1) სუბიექტური Ი. უარყოფს ობიექტურ რეალობას და ამტკიცებს, რომ საგნები და მოვლენები არსებობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში. 2) ობიექტური Ი. ამტკიცებს, რომ ყოველივე არსებულის საფუძველი არის სამყაროს მიღმა „ობიექტურად" არსებული „აბსოლუტური იდეა," „მსოფლიო სული," არამატერიალური საწყისი (საბოლოო ანგარიშში — ღმერთი).

ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲡᲢᲘ — (ქეგლ) იდეალიზმის მიმდევარი.

ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ — (ქეგლ) რაც იდეალს წარმოადგენს, ამაღლებული, საუკეთესო, სრულყოფილი, სამაგალითო.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ — (უსლ) გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის და მისთ. იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რაც ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში — ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში. „კონსერვატიულ-რეაქციული იდეოლოგიის დამცველი მამები არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს" (სასკ. სახ.-ლო). „ბიზანტიისათვის ქრისტიანობა ეროვნულ იდეოლოგიად იყო გარდაქმნილი" (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

ᲘᲓᲘᲚᲘᲐ [ბერძ.] — (უსლ) 1. მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია სოფლის მცხოვრებთა (მწყემსთა, მიწათმოქმედთა და მისთ.) უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში. 2. (გადატ.) მყუდრო, უშფოთველი, აუმღვრეველი ცხოვრება (ხშირად ითქმის ირონიით). „ფარსმანის მეხსიერებაში განსაკუთრებით მძაფრად ჩარჩა ყრმობის იდილია" (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

ᲘᲓᲘᲝᲛᲘ [ბერძ.]— (ქეგლ) გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებს. მაგ. ყურს დაუგდებს, ტანს აიყრის. (ქსე) იდიომატური გამოთქმა — ფრაზეოლოგიზმი, შესიტყვება, რომელიც სემანტიკურად ცალკე სიტყვის ფარდია: „ფეხები გაფშიკა" — მოკვდა; „გული გაუსკდა" — შეეშინდა. Ი.-ები მომდინარეობს ჩვეულებრივი შესიტყვების გადატანითი ხმარებიდან. „ფეხს ითრევს" ნიშნავს: იმდენად ნელა და უნდომოდ მიდის, რომ ნაბიჯის გადადგმისას ფეხის ზევით აწევაც კი ეზარება და თრევით მიაქვს. გადატანითობა თვალსაჩინო არაა, თუ იდიომატურ გამოთქმაში მონა-

წილე სიტყვა დღეს აღარ იხმარება: გამოთქმა „სიქის გაცლა“ შეიცავს არაბულ სიტყვას — სიქა, რაც ნიშნავდა შტამპს ლითონის ფულზე (ან სხვა ნივთზე). სიქის გაცლა იყო ბევრი ხმარებით ისე გაცვეთა, რომ შტამპი აღარ ემჩნეოდა ზედ. ბუნებრივია, ამ გამოთქმის მნიშვნელობაა „დამქანცველი მუშაობა.“ Ი. ჩვეულებრივ, სტილისტურად მკაფიოდ შეფერილი გამოთქმაა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მეტყველება.

ᲘᲔᲒᲝᲕᲐ — (უსლ) იხ. იაჰვე.

ᲘᲔᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘ (იეთიმ იბრაჰიმის ძე დაბლიშვილი — 1875-1940) — (ქსე) ქართველი სახალხო მომღერალი-მელექსე, თბილისური აშუღური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. 1905-07 წ.წ. რევოლუციის დროს ბაქოს ნავთის სარეწებში მუშაობდა. მონაწილეობდა მუშათა დემონსტრაციებში, რისთვისაც 4 წელი პატიმრობაში გაატარა. 1895 წ.-დან თხზავდა ლექსებს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. პოემა „ანაბაჯის ლექსი“, ლექსთა კრებული „ახალი მგოსანი და სიმღერები“, „იეთიმის ახალი ლექსები“, „ტანგო“ და სხვა ი. გრიშაშვილმა და ა. თევზაძემ გამოსცეს რჩეულში „რჩეული ლექსები“. Ი. Გ.-ის ლექსები უმთავრესად სიმღერის სახით ვრცელდებოდა, რომლებსაც თვითონვე ქმნიდა და ასრულებდა. მის პოეზიაში ასახულია ქალაქის მუშების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და გლეხობის მისწრაფებანი, სიმართლის იდეალები და თბილისური ბოჰემის განწყობილება.

ᲘᲔᲖᲘᲓᲔᲑᲘ — (ქეგლ) ქურთები, რომლებიც გარკვეულ რელიგიურ სექტას ეკუთვნიან (იეზიდი — ქალაქი სპარსეთში).

ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲘ — (უსლ) 1.კათოლიკური ეკლესიის ყველაზე უფრო რეაქციული ორდენის, ე. წ. „იესოს საზოგადოების“ წევრი. (იეზუიტთა ორდენი შექმნა XVI ს. ეგნატე ლოილოამ.) 2. (გადატ.) ითქმის ფარისეველ, ვერაგ, ორპირ ადამიანზე, რომლისგანაც ყოველგვარი სისაძაგლეა მოსალოდნელი. „თბილისის სასულიერო სემინარიაში სულისშემხუთავი იეზუიტური რეჟიმი იყო დამკვიდრებული“ (სასკ. სახ-ლო).

ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) წესი — თანამდებობრივად (წოდებრივად) უმდაბლესის დაქვემდებარება უმაღლესისადმი. „გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმო ამბავია“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ (625-505 წ. წ. ჩვ. წ.) — (ბიბლ.) უდიდესი იუდაელი წინასწარმეტყველი. წლების განმავლობაში იუდაელი ხალხი ღმერთს არ ემორჩილებოდა, მის რჯულს არღვევდა. იერემია მოვლენილი იყო იუდაელთა გასაფრთხილებლად — თუ ისინი მრუდ გზაზე სიარულს არ მოიშლიდნენ, მათ მიწა-წყალს უცხო ხალხი დაეპატრონებოდა, ხოლო მათ ბაბილონში წაასხამდნენ ტყვედ. ხალხი ვერ ჩაწვდა წინასწარმეტყველის ნათქვამს. Ი. Წ.-ის პირით იუდეის ქვეყანას და მის სატახტო ქალაქს ეს წინასწარმეტყველება, როგორც ვიცით, ზუსტად შესრულდა.

გადმოცემის თანახმად ი. წ.-მა თავისი მოწიერი მოღვაწეობა დაასრულა მოწამეობრივი სიკვდილით. იგი ჩაქოლეს.

იერემიას გოდება — (ბიბლ.) იერემიადა — მოთქმა, გოდება, ჩივილი, წუწუნი. „ძველი აღთქმის" ერთ-ერთი წიგნი, რომელშიც წინასწარმეტყველი იერემია დასტირის ოდესღაც ბრწყინვალე ქალაქის იერუსალიმის დამხობას და იავარქმნას. ეს ტირილი, ეს გოდება იმდენად ძლიერად ზემოქმედებს მკითხველზე, რომ „იერემიას გოდება" მოარულ გამოთქმად იქცა. „ვაი მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ხვდეს, სამშობლოის თავისის დარღვეულ გოდოლთა და ნაციხართა შორის" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

იეროგლიფი [ბერძ. — წმინდა ნიშნები ქვაზე ამოკვეთილი] —(უსლ) 1. იდეოგრაფიული დამწერლობის ფიგურული ნიშანი, რომელიც გამოხატავს ცნებას, მარცვალს ან ბგერას. ასეთი ნიშნისაგან შედგება ჩინური, ძვ. ეგვიპტური, ხეთური და სხვ. დამწერლობა. 2. (გადატ.) ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი.

იერუსალიმი — (ბიბლ.) ებრაელთა სახელმწიფოს ძველი დედაქალაქი. მას წმინდა ქალაქი უწოდეს; აქ ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. იქვეა ქრისტეს საფლავი. „ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავალამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდექ, იერუსალიმს მინდა წავიდეო" („მელი მოძღვრად"— საბა).

იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია — (ქსე) იერუსალიმის ქართული სავანის — ჯვრის მონასტრის სიძველეთა შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიცია 1960 წ. ოქტომბერ-ნოემბერში ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ძვ. ქართული წყაროების მონაცემებით, მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოხატული უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის პორტრეტი. ი. ს. ა.-მ მიაგნო ფრესკის ადგილს (ადრე ტ. გაბაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, ა. ცაგარელის აღწერილობით), რომელიც მთლიანად შავი საღებავით იყო დაფარული. საღებავის ზემოთა ფენის მოშორების შემდეგ შესაძლებელი გახდა ფრესკის მთლიანად აღდგენა. მასზე გამოხატულია ორი წმინდანის — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის — წინაშე მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი საერო ტანსაცმელში გამოწყობილი შოთა რუსთაველი. აღდგა ფრესკის წარწერაც, რომელიც მანამდე წყაროებში ზუსტად არ იყო ფიქსირებული: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვეს ღმერთმან, ამინ". პოეტის გამოსახულების ქვემოთ მინაწერია: „რუსთაველი". ექსპედიციამ ფრესკის ფერად ფოტოებთან ერთად საქართველოში ჯვრის მონასტრის სხვა ფოტომასალაც ჩამოიტანა. შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი თავისი სიძველითა და მნიშვნელობით უნიკალური მონაპოვარია პოეტის ბიოგრაფიისათვის.

იესო ქრისტე — (ბიბლ. ენც.) იესო ეწოდა ღვთის ძეს, რომელიც განკაცდა. იგი ნიშნავს „მხსნელს", „მაცხოვარს". „ქრისტე" ბერძნული თარგმანია სიტყვისა „მესია" (ებრ. „მაშიახ") „ცხებული".

ეს არ არის საკუთარი სახელი, არამედ ტიტული უკანასნელი დრო-ჟამის მეფისა, რომლის მოლოდინიც ებრაელობას ჰქონდა.

იესო „დავითის ძე", როგორც ადამიანი იესო იყო დავით მეფის შთამომავალი. ანგელოზმა, რომელმაც გვაუწყა იესოს შობა, დედამისს უთხრა, რომ ღვთის ნებით მისი ძე მეფე უნდა გახდეს, ისევე, როგორც თავის დროზე „დავითი, მისი მამა". ეს ტიტული გვიჩვენებს, რომ იესო იყო სწორედ ის, ვისშიაც განხორციელდა ებრაელი ხალხის იმედები.

იესო „ძე კაცისა" — ხშირად ასე უწოდებს თავისთავს თავად იესო. გამოთქმა ნასესხებია დანიელი წინასწარმეტყველის წიგნიდან. დანიელმა ომის ხილვაში ნახა ის, ვინც ადამიანივით გამოიყურებოდა, მაგრამ ფლობდა ძალმოსილებას, რომელიც ღვთაებრივი ძალმოსილების ტოლფასი იყო. „მისი ხელმწიფება — ამბობს დანიელი, — საუკუნო ხელმწიფებაა. ბიბლია გვასწავლის, რომ იესო ნამდვილი ადამიანი იყო, როგორც ძე კაცისა. ის მოვიდა იმისათვის, რომ ადამიანებს მომსახურებოდა და თავისი სიცოცხლე მათ გამოსახსნელად მიეცა. კაცის ძის ხვედრია მრავალი ტანჯვა აიტანოს... და მოკლულ იქნეს და მესამე დღეს აღდგეს. როგორც კაცის ძემ, იესომ სძლია ცოდვასა და სიკვდილს და კვლავ უნდა მოგვევლინოს „დიადი ძალითა და დიდებით".

იესო, „ძე ღვთისა", როცა მდინარე იორდანიაში ნათელს იღებდა, ციდან ხმა მოისმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე". მთის მწვერვალზე სამ მოწმესაც მოესმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მას უსმინეთ." ამ სიტყვების მნიშვნელობა ახსნილია იოანეს სახარებაში. იესო არის „მხოლოდ შობილი ძე ღვთისა", „მე და მამა ერთი ვართ" — თქვა იესომ. ის მამასთან იყო ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე, ისინი ერთნი არიან საუკუნოდ.

ჰქონდა რა ღვთიური ბუნება და ამასთანავე თავისუფალი იყო ცოდვისაგან, იესომ შეძლო სრულებით გამოესყიდა მთელი მსოფლიოს ცოდვები ყველა დროისათვის. და ჩვენ ამჟამად „გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე — მართალი იესო ქრისტე"

სახარებაში იესო ხშირად იხსენიება როგორც „უფალი". მისი ყოველდღიური მნიშვნელობით „ბატონი". ქრისტიანები საჯაროდ აცხადებენ„იესო ქრისტე არის უფალი!"

იეღოვისტები — (ქსე) იეღოვას მოწმეები — უაღრესად რეაქციული რელიგიური მიმდინარეობა, სექტა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში. 1931 წელს ეწოდათ „იეღოვას მოწმეთა" სექტა. მისი პრეზიდენტი ითვლება იეღოვას მოადგილედ დედამიწაზე, აქვს ძალაუფლება. ფლობს უფასო პრესას, რადიოს, ორგანოებს. ამყარებს მკაცრ წესრიგს. სწამთ მხოლოდ იეღოვა, რომლის ნების ამსრულებელიც არის ქრისტე. მათი რწმენით, ერთმანეთს ებრძვის ორი საწყისი: იეღოვა და სატანა (ლიუციფერი). საბოლოოდ ლიუციფერი დაიღუპება. არ სწამთ სულის უკვდავება, არც სამოთხე. 144000 იეღოვისტი ნეტართა რანგში ავა, სხვას დაღუპვა ელ-

ის. ი.-ის რწმენით 1914 წ.-მა ეკვე მოუვლინა ქვეყანას სატანა. მოვიდა ქრისტეც, ასე რომ, მეორედ მოსვლა უკვე იყო და უნდა ველოდეთ საყოველთაო დალუპვას, ცეცხლს, წარღვნას.

ᲘᲕᲔᲠᲘᲝᲜᲘ — იხ. ათონის ივერთა მონასტერი.

ᲘᲕᲠᲘᲗᲘ — (უსლ) დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო ენა, რომელიც წარმოადგენს ძველ ებრაულს, საგანგებოდ აღდგენილს.

ᲘᲡᲘᲓᲐ — (უსლ) ეგვიპტურ მითოლოგიაში: ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი, ეგვიპტის ყველა ფარაონის ღვთაებრივი მშობელი. წარმოდგენილია ძროხისთავიან ქალად.

ᲘᲚᲐᲝ — (ქ. მწ.) ავადმყოფობის სახელია, ნაწლავების გადანასკვა. „ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მსგავსთა სენებსა" („სწავლა მოსწავლეთა" — დ. გურ.).

ᲘᲚᲐᲯᲘ [არაბ.] — (ქეგლ) ღონე, ძალა, არაქათი. ი. გაუწყდა — ძალღონე გამოელია. ძალიან გადაიღალა.

ᲘᲚᲘᲐᲓᲐ [ბერძ. — „სიმღერა ილიონზე" (ტროაზე)] — (უსლ) ძვ. ბერძნული ეპიკური პოემა, რომელსაც ჰომეროსს მიაწერენ; მასში მოთხრობილია ტროის ომის მეათე (ბოლო) წლის ამბები (იხ. ჰომეროსი).

ᲘᲚᲘᲐ II — (ქსე) (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1977 წ.-დან. 1958 წ. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია, 1960 წ. სას. აკადემია. 1959 წ. ბერად აღიკვეცა თბილისში. იმავე წლიდან ბერმონაზონია ზაგორსკის მონასტერში. შემდეგ იღუმენი. 1963 წ-დან შემოქმედის ეპისკოპოსი, შემდეგ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. 1963-1972 წ.წ. მცხეთის სას. სემინარიის რექტორი. 1960 წ. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია — „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია". 1970 წ. აირჩიეს მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. მონაწილეობდა მშვიდობის დაცვის რამდენიმე ფორუმში.

„ᲘᲚᲘᲝᲜᲘ" — (ქსე) ქართული ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი 1922-1923 წ.წ., თბილისი. სცემდა მწერალთა ჯგუფი, რედაქტორი — კ. გამსახურდია. დაბეჭდილია კ. გამსახურდიას, ვ. გორგაძის, დ. აგლაძის, ა. ჭუმბაძის, ს. ფაშალიშვილის და სხვა პუბლიცისტიკა და ლიტერატურული სტატიები.

ᲘᲚᲣᲖᲘᲐ — (უსლ) 1.სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა გრძნობათა მცდარობის შედეგად. 2. (გადატ.) განუხორციელებელი იმედი, ოცნება. „ნამდვილობის მაქსიმალური ილუზია, ზღვარის წაშლა ნაოცნებარ სახესა და ცხოვრებას შორის არის კ. გამსახურდიას მიზანი" (ქ. ს. მ. ა — ს. სიგ.).

ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ [ლათ.] — (უსლ) ნახატებით, სურათებით გაფორმება, დასურათება წიგნისა, ჟურნალისა. 2. ნახატი, რომელიც ნაწარმოების შინაარსთან

არის დაკავშირებული. 3. რისამე დასამტკიცებლად, ასახსნელად მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში.

იმამი — (უსლ) 1. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი. 2. მაჰმადიანური სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც უპყრია საერო და სასულიერო ხელისუფლება. 3. მეჩეთში მლოცველთა ხელმძღვანელი საერთო ლოცვების დროს.

იმერეთის აჯანყება — (ქსე) 1819-1820 წ.წ., ანტიკოლონიური სახალხო აჯანყება ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. მრავალ ჩაგვრასა და სისასტიკეს დაერთო აქაური ეკლესიის მოსპობაც. საეკლესიო საქმეებს რუსი მიტროპოლიტი ფეოფილაქტე განაგებდა, რომელმაც მეტისმეტი სიმკაცრით აჯანყება გამოიწვია იმერეთში. ფეოფილაქტე ტფილისში გაიქცა. აჯანყების შტაბის ალაგი გასცეს. მეთაურები დააპატიმრეს და ათი მათგანი ჩამოახრჩვეს. აჯანყება ულმობელი ზომებით იქნა ჩახშობილი.

იმიტაცია — (უსლ) ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება (ვისიმე ან რისიმე ხმისა, მიხვრა-მოხვრისა). 2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული რამე. მაგ. ტყავის ი., მარგალიტის ი.

იმიჯი [ინგლ. სახე, იერი, გარეგნობა] — სტერეოტიპად, შაბლონად ქცეული იერი, წარმოდგენა, შეხედულება ვინმეზე ან რამეზე, ამა თუ იმ პიროვნებაზე შექმნილი, დამკვიდრებული საზოგადოებრივი აზრი.

იმპერატორი [ლათ.] — (უსლ) 1. მონარქის უმაღლესი ტიტული. 2. რომში მხედართმთავრის საპატიო ტიტული. „მეფისნაცვლის თანამდებობაზე იმპერატორმა 1844 წელს დანიშნა მოხელე მიხეილ ვორონცოვი" (სასკ. სახ.-ლო).

იმპერია — (უსლ) 1. მონარქისტული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას. 2. მსხვილი იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფო. „ალ. ჭავჭავაძე დააჯილდოვეს იმპერიის უმაღლესი ორდენით" (სასკ. სახ.-ლო).

იმპერიალიზმი [ლათ.] — (ქეგლ) კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური; მისთვის დამახასიათებელია მსხვილი მონოპოლიების ბატონობა, ბრძოლა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ახალი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების მოსაპოვებლად. სხვისი ტერიტორიებისათვის და სხვა ხალხების ექსპლუატაციისათვის, რაც იწვევს აგრესიულ ომებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის.

იმპერიალისტი — (უსლ) მსხვილი კაპიტალისტი, რომელიც იმპერიალიზმის პოლიტიკას მისდევს.

იმპრესიონიზმი — (უსლ) მიმართულება ხელოვნებაში, რომელიც შეიქმნა მე-19 ს. მეორე ნახევარში საფრანგეთში. ცდილობდა გადმოეცა მხატვრის უფაქიზესი სუბიექტური განცდები, წუთიერი შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი. მხატვარ კ. მანეს ნახატის სახელწოდების მიხედვით, რომელიც ექსპონირებული იყო პარიზის გამოფენაზე 1874 წ. „იმპრესიონიზმისა და რეალიზმის ორგანული შერწყმის შედეგად არის მიღებული ნიკო ლორთქიფანიძის მწერლური

თავისებურება" („ნიკო ლორთქიფანიძე" – ტ. ტაბიძე). (ანდ. ჭილ.) მხატვრული ლიტერატურის მიზანია წარმოგვიდგინოს არა საგანი, არამედ საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილება. ძირითადი ამოცანაა რამდენიმე შტრიხით ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა მკითხველზე, მაყურებელზე. ზოგჯერ საინტერესოა არა ცხოვრება მთლიანად, არამედ ფრაგმენტები ამიტომაც იმპრესიონისტებისათვის მთავარი ჟანრებია ლირიკული თავისუფალი ლექსი, ლირიკული პროზა, უინტრიგო ეტიუდი, ესკიზი, ნოველა. „განა უფლება არ აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარს – მკითხველს? მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია. მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული, თავთავის ადგილზე პპოვოს. მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორიოსამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დახვეწა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს" („უიალქნოდ" – ნ. ლორთქ.).

ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ [ფრ.] – (უსლ) ლექსის, მუსიკალური ნაწარმოების სახელდახელოდ შეთხზვა და მაშინვე შესრულება. სახელდახელოდ, წინასწარ მოუმზადებლად მოწყობა რისამე.

ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲘ – (უსლ) შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას. „ხელოვანის იმპულსები სრულად რეალიზდება არსაკიძის ბუნებაში"

ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘ [ლათ.] – (ქეგლ) 1. ორგანიზმის თვისება არ დაავადდეს ამა თუ იმ გადამდები სნეულებით, შეუვალობა. მყარი Ი. 2. ამა თუ იმ პიროვნების ხელშეუხებლობა, მასზედ ზოგიერთი კანონის მოქმედების არგავრცელება. დიპლომატიური Ი.

ᲘᲜᲐ [არაბ.]– (ქეგლ) ტროპიკულ აზიასა და აფრიკაში გავრცელებული ბუჩქი ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა; მისი ფოთლებისაგან ამზადებენ საღებავს, რომელსაც ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვათა შესაღებად. ბაღის Ი. დეკორატიული მცენარე, გავრცელებულია ჩვენს ბაღებში. მისგან ამზადებენ მოწითალო საღებავს. „წვერი ინით შეეღებათ" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ᲘᲜᲐᲮᲐᲓ ᲓᲐᲡᲮᲓᲝᲛᲐ – (ბიბლ.) სუფრასთან სხდომა. ინახად ჯდომა – წამოწოლა.

ᲘᲜᲒᲘᲚᲝ – (ქეგლ) ქართველები, რომლებიც ცხოვრებენ საინგილოში. ამჟამად შედის აზერბაიჯანის ტერიტორიის ფარგლებში. „ერთმა ინგილომ ორი ავაზა მოუყვანა მეფეს" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ პავლე (დაბ. 1893 წ.) – (ქსე) ქართველი ლიტერატურათმცოდნე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტ.-ფილ. ფაკ.-ტი. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ინიციატორი. 1924-25 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „კავკასიონს," 1928 წ. დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი." 1936-38 წ.წ. იყო „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" რედაქციის განყოფილების გამგე.

Ი.-ს ნაშრომი „ძველქართული სასუ-

ლიერო პოეზია" ქართული სასულიერო პოეზიის ძეგლთა შესწავლისა და გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. ი.-ს ფუნდამენტურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე" (1954 წ.) ფაქტობრივად განხილულია V-X ს.ს. მთელი ქართული სასულიერო პოეზია. ი.-მ ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი" და ორი მონოგრაფია რუსთაველზე; მონოგრაფიები: „ნოკოლოზ ბარათაშვილი", „აკაკი წერეთელი", „ილია ჭავჭავაძე." მისივე რედაქტორობით გამოიცა გ. მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა", „ჩვენი საუნჯის" VI ტომი.

ინდივიდუალური [ფრ.] — (უსლ) 1. გარკვეული ინდივიდუმისათვის დამახასიათებელი, რაც ცალკეულ პიროვნებას გამოყოფს სხვებისაგან. 2. რითაც ერთპიროვნულად სარგებლობენ კერძო პირები. 3. ცალკეული პირის მიერ წარმოებული, შესრულებული, არაკოლექტიური.

ინდიფერენტიზმი — (უსლ) ინდიფერენტული, გულგრილი, განურჩეველი დამოკიდებულება რაიმესადმი. „„დიდოსტატის მარჯვენაში" რელიგიურ ფანატიზმს ცვლის ინდიფერენტული მიმართება ნაზარეველისადმი" (ქ.ს.მ.ა. — ს. სიგ.). „გლეხობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეროვნულ ტრადიციებს, მაგრამ ერის ბედისადმი საყოველთაო ინდიფერენტიზმი და გულგრილობა აღარც მისთვის იყო უცხო გრძნობა" (ნ. გრიგ. წიგნი I).

ინდულგენცია [ლათ.] — (უსლ) ცოდვების მიტევების სიგელი, რომელსაც კათოლიკური ეკლესია რომის პაპის სახელით იძლევა განსაკუთრებული დამსახურებისათვის, უფრო ხშირად კი ყიდის.

ინკვიზიცია [ლათ.]— (უსლ) XII-XIX ს.ს. კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა ერეტიკოსებს. 2.(გადატ.) ტანჯვა, წამება. ინკვიზიტორი — 1. ინკვიზიციის სასამართლოს წევრი, ინკვიზიციის მსაჯული. 2. ითქმის ისეთ ადამიანზე, რომელსაც შეუძლია სხვა ტანჯოს, აწამოს. „ინკვიზიციის ეპოქაში უნიჭიერესი მწერლებიც „იძულებული იყვნენ ხარკი გაეღოთ" (ნ. გრიგ. წიგნი 1).

ინკოგნიტო [ლათ.]— (უსლ) 1. თავისი ვინაობის გაუმჟღავნებლად, ფარულად. 2. პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას და სხვის სახელს ასახელებს.

ინკრუსტაცია [ლათ.] — (უსლ) რაიმე საგნის ზედაპირზე ჩაჭდევებული ძვლის, სადაფის, ლითონის და მისთ. სამკაულები (სახეები, ფიგურები).

ინსტინქტი — (უსლ) 1. ცხოველური ორგანიზმის თანდაყოლილი მიდრეკილება, მიზანშეწონილი, მაგრამ არაცნობიერი მოქმედებისადმი შინაგანი ან გარეგანი გარემოს შეცვლის საპასუხოდ, ალღო. 2. შეუგნებელი, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესაკენ.

ინსტრუქცია — (უსლ) სახელმძღვანელო მითითებანი რისამე შესასრულებლად; საჭირო წესების კრებული.

ინსცენირება — (უსლ) 1. ლიტერატურული ნაწარმოების გადაკეთება თეატრში ან კინოში დასადგმელად. 2. სცენაზე გათამაშება რაიმე ლიტერატუ-

რული ნაწარმოებისა. 3. მოწყობა, გათამაშება.

ინტელექტი [ლათ.]– (ქეგლ) ადამიანის აზრობრივი უნარი, გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონე.

ინტელიგენტი – (უსლ) ინტელიგენციის წარმომადგენელი. პირი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა (მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, მწერალი, მხატვარი, მსახიობი და სხვა). განათლებული, კულტურული ადამიანი. ინტელიგენცია – (ქეგლ) საზოგადოების სოციალური ფენა, რომელიც შედგება გონებრივი შრომის მუშაკებისაგან, იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ განათლება და სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ინტელიგენტური – ინტელიგენტისათვის დამახასიათებელი, ინტელიგენტის შესაფერისი. ი. გარეგნობის ადამიანი.

ინტერიერი [ფრ.]– (უსლ) 1. შენობის შიგნითა ნაწილი, არქიტექტურულად და მხატვრულად გაფორმებული. 2. ნახატი, რომელზედაც ასახულია შენობის ნაწილი (ლუარსაბის სახლ-კარის აღწერა). (საპირისპიროა – ექსტერიერი, ფასადი).

ინტერმეცო [იტალ.] – (უსლ) მცირე ინსტრუმენტული პიესა თავისუფალი ფორმისა, ზოგჯერ დამოუკიდებელი საორკესტრო ნომერი ოპერაში. კ. გამსახურდიას „ლირიული ინტერმეცო“.

ინტერპოლაცია – (უსლ) 1. რაიმე ნაწარმოების ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორია ნანუჩა ციციშვილი.

ინტერპრეტაცია [ლათ.] – (უსლ) 1. რისამე აზრის ახსნა, განმარტება. 2. თავისებური შემოქმედებითი შესრულება რაიმე მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოებისა, როლისა.

ინტიმური [ფრ.] – (ქეგლ) უაღრესად პირადული, ადამიანის გრძნობებთან, სულიერ სამყაროსთან, სიყვარულთან დაკავშირებული. 2. შინაურული, მეგობრული, გულითადი. „ყველაფერს ჰქონდა თავისი სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავალი“ („ჯაყოს ხიზნები“ – მ. ჯავახ.).

ინტონაცია [ლათ.] – (ქეგლ) ხმის ტონის აწევ-დაწევა წარმოთქმისას.

ინტრიგა – (ქეგლ) ფარული მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად.

ინტუიცია [ლათ.] – (უსლ) მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო სტიქიური გრძნობა, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალღო. „მწერალს, მხატვარს თავისი ინტუიციის წყალობით უკეთ ეხერხება სინამდვილის შეცნობა“ (შ. რადიანი, XIX ს. ქართ. ლიტ.-რა).

ინფანტერია [იტალ.] – (უსლ) ქვეითი ჯარი. ი.-ის გენერალი – მეფის რუსეთში ქვეით ჯარში გენერლის უმაღლესი ჩინი. „გრ. ორბელიანმა მიიღო ინფანტერიის გენერლის ხარისხი“ (სასკ. სახ.-ლო)

ინციდენტი – (უსლ) უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა, შეხლა-შემოხ-

ლა. „ვახშმობისას მომხდარი ინციდენტის გამო ვარსქენმა საშინლად გვემა შუშანიკი" („შუშანიკის წამება" — სასკ. გამოცემა).

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲔᲚᲘ — (ქსე) ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი, ბერძნული პატრისტიკის სისტემატიზატორი. დაიბადა არაბი ქრისტიანის ოჯახში. საეკლესიო და სასულიერო განათლება მიიღო სიცილიელი სამხ. ტყვე კოზმასაგან, რომელთანაც ერთად ბერად შედგა იერუსალიმში, საბას მონასტერში, სადაც გააჩაღა სალიტერატურო მოღვაწეობა. შეაჩვენეს ხატთაყვანისმცემლობისათვის. მისი მთავარი ფილოსოფიური შრომაა „წყარო ცოდნისა".

ლიტერატურის ისტორიაში ი. დ. შევიდა, როგორც გამოჩენილი პოეტი, საეკლესიო საგალობლების ავტორი. ი. დ.-ის მრავალი თხზულება ქართულად თარგმნეს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, რომლის თარგმანითაც უხვად უსარგებლია სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონის" შედგენის დროს.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲖᲝᲡᲘᲛᲔ — (ქსე) X ს. ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. მის შესახებ მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. სინას მთის ქართული ხელნაწერების ანდერძთ-მინაწერებიდან ჩანს, რომ მოღვაწეობდა პალესტინაში: ჯერ საბაწმინდის ლავრაში, ხოლო X ს. 70-იან წლებიდან — სინას მთაზე. ი. ზ.-ს ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობელნი იადგარნი". ორიგინალურ თხზულებათაგან აღსანიშნავია ცხოველი პატრიოტიზმით გამსჭვალული საგალობლები „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულსა ენისაჲ" და „ქართულისა ენისათჳს". იგი ცნობილია, როგორც ხელნაწერთა „განმაცხოველებელი", „შემმოსელი", „მომგებელი" და ტექსტის „მჩხრეკალი."

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ — (ქსე) სახარების თანახმად, იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწრმეტყველა. ცხოვრობდა უდაბნოში, ამხელდა საზოგადოების ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისაკენ. მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე იესო ქრისტე მდ. იორდანეში. იოსებ ფლავიუსის ცნობით, ი. ნ. ჰეროდე I-ის თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის ჰეროდიას საამებლად ი. ნ. საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. ი. ნ.-ის კულტი ქრისტიანობაში უფრო ადრინდელი ებრაული სექტიდან უნდა შემოსულიყო. ი. ნ. თემა აისახა ხელოვნებაში. „მარშან იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘ — (ქსე) XI-XII ს.ს. ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით, იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ XVIII ს. მწიგნობარნი იუწყებიან, რომ სამცხიდან იყო დიდგვაროვანი ჩამომავლობისა. ახალგაზრდობაში სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ბიზანტიური რენესანსის წარ-

მომადგენლები: მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. 1083 პეტრიწონის მონასტერში გადასახლდა. ერთ ხანს შავ მთაზე ეფრემ მცირესთან იყო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა გელათის აკადემიას. ი. პ.-ის ფილოსოფიური მემკვიდრეობა წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებით („განმარტება პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონიუსისა ფილოსოფიისად"). თარგმნა ორი თხზულება არისტოტელესი: „ტოპიკა" და „განმარტებისათვის"; ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა," პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი".

ი. პ.-მა შექმნა ლიტერატურული სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე. მან დიდი გავლენა მოახდინა ძვ. ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტორიო მწერლობაზე; განსაკუთრებით კი ანტონ I-ის ლიტერატურულ სკოლაზე. „კ. გამსახურდიას მუდამ აინტერესებდა იოანე პეტრიწის უცნაური გოტიკა" (ს. სიგ.).

იობი, იობის მოთმინება — (ბიბლ.) „ძველი აღთქმის" ერთ-ერთი წიგნი. „იობი" მოგვითხრობს ღვთის რჩეული კაცის იობის თავგადასავალს. მას მრავალი უბედურება გადახდა თავს, მაგრამ არ შედრკა, სულით არ დაეცა, უფალს საყვედური არ აკადრა, უდრტვინველად მოითმინა უძნელესი ჭირი. მოთმინების საზღაურად ღმერთმა თავად მოუვლინა მას ყოვლის მპყრობელი ძალმოსილება და სიბრძნე, განკურნა და დაუბრუნა მას სიმდიდრე და ბედნიერება. „იობის მოთმინება" მოარული გამოთქმაა; ისეთ ვინმეზე იტყვიან, ვინც მშვიდად და დიდსულოვნად ითმენს ძნელბედობას. „უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა მომთმენი ჭირსა" (დ. გურ.).

იოგები — 1. (ქეგლ) ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც აერთებს ჩონჩხის ცალკეულ ნაწილებს, სხეულის ცალკეულ ორგანოებს. „ტყუილად როდი მატარებდნენ ჩემი ბებერი იოგები." „უცნაურად მოწყდა არსაკიძე იოგებში" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). 2. (უსლ) ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თვითჭვრეტისა და თვითგვემის გ'ზით შეიძლება ზებუნებრივ ძალებთან, ღვთაებასთან შეერთება.

იოსებ თბილელი (გვარად სააკაძე) — (ქსე) ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი, თბილისის მიტროპოლიტი, გიორგი სააკაძის ძმისწული. მის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული პატრიოტული ებოსის თვალსაჩინო ძეგლს — პოემა „დიდმოურავიანს", რომელიც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველი გმირული ებოპეაა. ი. თ. „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი გამგრძელებელია (დაურთო 67 სტროფი).

იოსები — (ქსე) ბიბლიური პერსონაჟი, იაკობისა და რახილის პირმშვენიერი და საყვარელი ძე. შურიანმა ძმებმა იოსები მონად მიჰყიდეს ვაჭრებს, რომლებმაც იგი ეგვიპტეში წაიყვანეს. იქ ი. ჯერ საპყრობილეში მოხვდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფარაონის

კარზე აღზევდა და მამა და ძმები ეგვიპტეში მიიწვია. Ი.-ის სიკვდილის შემდეგ ებრაელები ეგვიპტეში მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და მონობისაგან თავის დასაღწევად მოსეს წინამძღოლობით ქანაანში დაბრუნდნენ. თქმულება Ი.-ზე გამოძახილია ებრაელთა ისტორიაში მომხდარი მიგრაციებისა. Ი.-ის თქმულების ცალკეული სიუჟეტები დამუშავებულია მხატვრულ ლიტერატურაში. ქართულში აღსანიშნავია „იოსებზილიხანიანის" ანონიმური ვერსია და თეიმურაზ I-ის ამავე სახელწოდების პოემა.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ პლატონ ეგნატეს ძე (1809-1875) — (ქსე) ქართველი ისტორიკოსი. დაამთავრა პეტერბურგის სას. აკადემია. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით შემდეგ მუშაობდა თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. 1849 წ. იმოგზაურა საბერძნეთში, მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. Ი. იყო ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი, აქტიურად თანამშრომლობდა და კორესპონდენციებს გზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. მჭიდროდ იყო დაკავშირებული მარი ბროსესთან. მსოფლმხედველობით იდეალისტი იყო. მისი აზრით, ისტორიულ პროცესს წარმართავდა უზენაესი განგება. Ი.-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძვ. ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. გამოსცა ჩახრუხაძის „თამარიანი", შავთელის „აბდულმესიანი", იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი", ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა", ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა". იგი ანტონ I-ის სკოლისა და ენობრივი პოზიციის მიმდევარი იყო. „მამებისა" და „შვილების" ბრძოლის დროს Ი. „მამათა" ბანაკს ემხრობოდა. ძვ. თაობის წინააღმდეგ „გამოცანებში" (1871 წ.) ი. ჭავჭავაძემ სხვა მოღვაწეთა შორის Ი.-ც გაკენწლა. „ცნობილმა მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა გამოსცა ქართული კალენდარი" (სასკ. სახ.-ლო).

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ოტია (დაბ. 1930 წ.) — (ქსე) ქართველი მწერალი. თხზულებებს აქვეყნებს 1954 წ.-დან. მოთხრობების პირველი კრებულია „კარის მეზობლები". არის ნოველების, რომანების, პიესების, კინოსცენარების ავტორი. რომანებში „ვარსკვლავთცვენა", „ტყვეთა ტყვე", „შავი და ცისფერი მდინარე" მთავარია ომის თემა. ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაზეა გამახვილებული ყურადღება რომანში „იყო ერთი ქალი". ავტორია ათამდე პიესისა, რომელთაგან რამდენიმე დაიდგა საქართველოსა და საკავშირო თეატრების სცენაზე („ადამიანი იბადება ერთხელ", „როცა საყვარელი მოვა", „სანამ ურემი გადაბრუნდება", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი") ავტორია კინოსცენარებისა „ჩქარი მატარებელი", „მალე გაზაფხული მოვა", „თეთრი ქალიშვილი". მისი ცალკეული ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

ᲘᲝᲢᲐ — (საბა) ხაზი, წვრილი ჭიქის მძივი. (გადატ.) ძალზე მცირე. აქედან „ერთის იოტის წამისად", ე. ი. სულ მცირე დროში.

ᲘᲠᲐᲝ — (ქეგლ) 1. ნარნარად, მდოვრად ფრენა (დიდი ფრინველისა). 2. დიდი

გარეული ფრინველი ერთგვარი. „მაგრამ თუ გრძნობა გაიასკეცა, ცაში ირაოდ ხედნის გავაზებს" („გრიშაშვილს" — მარიჯანი).

ირეალური [ლათ.] — (უსლ) სინამდვილეში არარსებული, არარეალური.

ირიგაცია [ლათ.] — (უსლ) მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა. „როგორ გასწავლო ირიგაცია?" („გაყრა" — გ. ერისთ).

ირისე — (საბა) ცის მშვილდი, ცისარტყელა. „დიდრონი ალმასების მანიაკი ირისეს დარად უთიმთიმებდა ყელის გარშემო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ირონია — (ქსე) ბერძნულ სტილისტიკაში ფარული დაცინვა, როცა დადებითი შინაარსის შემცველი სიტყვა ან გამონათქვამი საპირისპირო მნიშვნელობას იძენს. ი.-ს ჩვეულებრივ ტროპად მიიჩნევენ, ზოგჯერ კი სტილისტიკურ ფიგურას აკუთვნებენ. ი. იუმორის, გროტესკის, სატირის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. როცა ი. მწარე, ბოროტ დაცინვად იქცევა, მას სარკაზმს უწოდებენ. დაცინვის ირონიული ფორმისათვის დამახასიათებელია დამცინავის თავშეკავებულობა, სიმშვიდე, სერიოზული ტონი, გარეგნულად გამოხატული პატივისცემაც კი. „ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზე, ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა" (ი. ჭავჭ.)

ისააკიანი ავეტიკ (1875-1957) — სომხეთის სახალხო პოეტი, ოსტ::ტად წოდებული, აკადემიკოსი, ლაურეატი („სიმღერები და ტკივილები", „აბულალა მაარი", „მჰერი", „ჩემს სამშობლოს").

ისარი — (საბა) სარჩა (ხარჩა), ქიბორჯი, ბოძალი, პოლოტიკი, ჩუგლუგი, წათი, შუბი. ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაჲ. ხოლო განიყოფებიან სხვა და სხვა სახელებითა: ფრთე-დაბალი და პირ-წვრილი, რომელსა ყიჩაღნი და თურქნი იყენებდნენ, არს საყალნო; ზომიერი ისარი, ფრთემობრტყე და პირ-მობრტყე არს სარჩა; მისგან უგრძესი პირ-დიდი და ფრთემაღალი არს ქეიბური; ისარი სარჩის მსგავსი პირ-განპებული მოპცრო არს ქიბორჯი; ისარი ქეიბურის მსგავსი პირ-დიდი განპებული არს ბოძალი.

(შენიშვნა: კ. გამსახურდია სარჩას ნაცვლად იყენებს ხარჩას — „ხარჩა და ქიბორჯი")

ისარლოვი (ისარლოვი) ლუკა (1814-1893) — პოეტი, ჟურნალისტი, რეაქციონერი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის უმცროსი ცენზორი და მდივანი 1881-1888 წ. წ.-ში.

ისლამი [არაბ. — მორჩილება, უფლის მონობა) — მაჰმადიანობა, (რწმენა, რელიგია, ადამიანები) მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგია (ქრისტიანობა, ისლამი, ინდუიზმი, ბუდიზმი, იუდაიზმი). ჩაისახა VII ს. არაბეთში პატრიარქალურ თემური წყობილების შეცვლისას. სარწმუნოება თითქოს გაანდო ალაჰის ნებით მთავარანგელოზმა ჯიბრაილმა (გაბრიელმა) წინასწარმეტყველ მაჰმადს, ნახევრად ისტორიულ პიროვნებას. ისლამის მთელი მოძღვრება გადმოცემულია ყურანში და შეიცავს 7

დოგმას: რწმენა ერთიანი ღმერთისა და ანგელოზებისა, რომელიც ასე ფორმულირდება: „არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მაჰმადია მისი მოციქული". იგი ყოველი მუსლიმანის თვითშეგნების საფუძველია და მისი წარმოთქმა აუცილებელია ყოველი მუსლიმანისათვის; ასევე აუცილებელია ხუთგზის ლოცვა, რამაზანის თვეს მარხვის დაცვა, აუცილებელი ქველმოქმედება, მექაში მოლოცვა, სარწმუნოებისათვის ბრძოლა-ჯიჰადი. Ი.-ის დღესასწაულებია ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მევლუდი და სხვა. რელიგიის განვითარება აღნიშნულია სუნაში. Ი. დაიყო 2 მიმდინარეობად: სუნიზმი და შიიზმი. Ი. ცდილობს შეეგუოს ახალ ვითარებას, მეცნიერულ მიღწევებს. მისი მიმდევრები არიან ძირითადად შუა აზიაში, ამიერკავკასიაში, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. სუნიტები არიან ოსმალები, არაბები და სხვა; შიიტები — სპარსელები. „უფრო ადვილი იყო მაჰმადის და ქრისტეს მორიგება, ვიდრე სუნებისა და შიების" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.). „აღორძინებული ისლამი ბიზანტიის სამანებს აწყდებოდა („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს).

ᲘᲡᲛᲐᲘᲢᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) არაბი. მუსლიმანურ-შიიტური სექტის მიმდევარი. იხ. იაკობი

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) ებრაელთა ქვეყანა. ხშირად ატარებს ებრაელის მნიშვნელობას. (ბიბლ. ენც.) მიწაწყალი, რომელიც დაკავებული ჰქონდა აბრაამის შთამომავალთა 12 ტომს, სოლომონ მეფის სიკვდილის შემდეგ მისი სახელმწიფო გაიყო და სახელწოდება „ისრაელი" შერჩა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს. იხ. იაკობი.

ᲘᲡᲠᲘᲛᲘ — (ქეგლ) მკვახე, უმწიფარი ყურძენი. ისრიმისფერი, მკვახე ყურძნისფერი. „გიორგი მეფემ ხმალივით შეაგება მზერა მამამზის ისრიმისფერ თვალებს." „დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს).

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) 1. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა, ადამიანთა საზოგადოების წარსული. ამა თუ იმ ქვეყნის (მხარის, ხალხის) წარსული ცხოვრება (საქართველოს Ი.). 2. მეცნიერება, რომელიც სწავლობს საზოგადოების (ან ბუნების), კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. მუსიკის Ი., Ი.-ის სახელმძღვანელო. 3. რისამე განვითარების პროცესი. ავადმყოფობის Ი.

„ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲛᲐᲜᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲗᲐᲜᲘ" — (ქსე) საქართველოს მეფე-თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის თხზულება (XIII ს.), რომელშიც აღწერილია თამარისა და მისი მამის გიორგი III-ის ისტორია. ძეგლის ავტორი უცნობია. სხვადასხვა დროს მის ავტორად ვარაუდობდნენ სხვადასხვა ვინმეს. ავტორი განათლებული პიროვნებაა. თხზულება დაწერილია მაღალფარდოვანი ენით; პირველხარისხოვანი ქართული ისტორიული ძეგლია.

ᲘᲣᲓᲐ ᲘᲡᲙᲐᲠᲘᲝᲢᲔᲚᲘ — (ქსე) ბიბლიური პერსონაჟი. ქრისტეს 12 მოწაფეთაგანი. მან 30 ვერცხლად გასცა იესო ქრისტე და შეაპყრობინა იუდეველთა მღვდელმთავრებს, რომელთაც ქრისტე ჯვარს აცვეს. იუდა ეამბორა

ქრისტეს. რითაც მტერმა შესძლო მისი ამოცნობა. აქედან მოდის გამოთქმა იუდას ამბორი და საიდუმლო სერობა. ქრისტეს შეპყრობის შემდეგ, როცა იუდამ თავისი ნამოქმედარი გააცნობიერა, მიცემული ფული დააბნია და თავი ჩამოიხრჩო. იგი ისტორიული პიროვნება არ არის, შექმნილი სახეა. მოღალატე კაცის სინონიმად იქცა. „მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა" („ბედი ქართლისა"— ნ. ბარათ.)

იუდეველები — (უსლ) თავდაპირველად: იუდეის (პალესტინა) მცხოვრებნი, შემდეგ საერთოდ ებრაელები. (ბიბლიური პატრიარქის იუდას სახელის მიხედვით, რომელიც ითვლება მითიურ წინაპრად).

იუველირი — (ქ. მწ.) ოქრომჭედელი.

იულიუსის კალენდარი — (უსლ) ძველი სტილით წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც შემოღებული იქნა რომის იმპერატორის იულიუს კეისრის დროს (46 წ. ჩვენს ერამდე); მოქმედებდა ახალი სტილის შემოღებამდე (იხ. გრიგორიანული კალენდარი).

იუმორი [ინგლ.] — (ქეგლ) უწყინარი დაცინვა; რაიმე ნაკლის კომიკურად, სასაცილოდ წარმოდგენა. იუმორისტი — იუმორისტული ნაწარმოების ავტორი ან შემსრულებელი. იუმორისტული — იუმორის ხასიათისა, იუმორის შემცველი. იუმორისტული ჟურნალი, იუმორისტული მოთხრობა.

იური ანდრიას ძე — (ქსე) გიორგი რუსი, საქართველოს მეფის თამარის პირველი ქმარი, ნოვგოროდის მთავარი 1172-1175 წ.წ., სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი. ბოიართაგან ანდრია ბოგოლუბსკის მოკვლის შემდეგ ი. ა. ნოვგოროდიდან გააძევეს. ნოვგოროდის მატიანე 1175 წ.-ის მერე მას აღარ იხსენებს. 1185 წელს ი. ა. ძ. აბულასანის წინადადების საფუძველზე საქართველოს სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით საქართველოში მოიწვიეს თამარის თანამეცხედრედ. ი. ა. საქართველოში ჩამოსვლის უმალ ფეოდალური შინაკლასობრივი ბრძოლების ქარ-ცეცხლში მოექცა. ი. ა.-ს, როგორც მეფე-ქმრის ფუნქცია მკვეთრად იყო განსაზღვრული და ძირითადად ლაშქრის მეთაურობით ამოიწურებოდა. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, რუსი უფლისწული უზნეო გამოდგა, ამის გამო განაშორეს თამარს და საქართველოდან გააძევეს. ი. ა. თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. მასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს, რომელთა შემწეობითაც გაღვივდა აჯანყება. თამარის ლაშქარმა დაამარცხა აჯანყებულები. ი. ა. ამჯერად უვნებლად გაუშვეს. მან მეორეჯერაც სცადა საქართველოში შემოჭრა, ტყვე და ნადავლიც „აიღო" და გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად „გადაიხვეწა".

იურისპრუდენცია — (ქეგლ) 1. იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა, სამართალმცოდნეობა. 2. იურისტთა პროფესიული მოღვაწეობა, სასამართლო პრაქტიკა.

იფანი — (ქსე) კოპიტი, ფოთოლმცვენი ხეების გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. იფნის სახრე.

იფქლი — (ქეგლ) შემოდგომაზე ნათესი ხორბალი. „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი" (დ. გურ.)

ႨႵႤႣႬႤ — (ქ. მწ.) გველი. იქედნური სიცილი — დამცინავი, გველური სიცილი. „მიწაზე დაეცა გველის თავი, პირი დააბჩინა და იქედნურად იცინის“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ႨႶႳႫႤႬႨ [ბერძ.] — (ქეგლ) მონასტრის წინამძღვარი.

ႨႷႠႪႧႭ — (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი თელავის ჩრდ. 7-8 კმ-ზე. დააარსა ერთ-ერთმა ასურელ მამათაგან ზენონმა VI ს.-ში. Ⴈ. კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო. ჩვენამდე მოღწეულია აქაური ხელნაწერები. აქ გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს აკადემია დაუარსებია. კომპლექსისაგან შემორჩენილია სამი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა, მათ შორის აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები. ეკლესიათაგან მთავარია VIII-IX ს.ს. ფერისცვალების ეკლესია „ღვთაება“, რომელიც აგებულია იმ ადგილას, სადაც დაკრძალული იყო ზენონი. აკადემიის გეგმით წაგრძელებული შენობა რიყის ქვით არის ნაშენი; პირველი სართული 2 ოთახისაგან შედგება, მეორე კი მთლიანი დარბაზია, როგორც ჩანს, სამეცნიერო შეკრებათათვის იყო განკუთვნილი.

Ⴈ.-ს აკადემია იყო უმაღლესი სასწავლებელი XI-XII ს.ს. საქართველოში. მონასტრის ეზოში შემორჩენილი საერო ტიპის შენობების ნანგრევები ამას ადასტურებს. ნანგრევებში ჩანს კათედრის ფუძე. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკადემიის შენობის მსგავსი. პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც გელათიდან გადმოსულა. ქართულ აკადემიებში სწავლება ძირითადად ტრივიუმკვადრიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა (ტრივიუმი — შუა საუკუნეებში დას. ევროპაში სასწავლო საგნების ერთ-ერთი ციკლი, რომელშიც შედიოდა გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა, ხოლო კვადრიუმის ციკლი იყო 4 საგანი: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია) ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა და მევენახეობა-მეღვინეობა. „იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა“ („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ — მ. ლებ.).

ႨႸႾႠႬႨ — (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრი; მდებარეობს ტაოში მდ. ოლთისის მარჯვენა ნაპირზე (ახლა თურქეთის ფარგლებშია). თავდაპირველი ეკლესია ნერსე ეპისკოპოსმა ააშენა, არაბების მიერ დანგრეული და მიტოვებული კი IX ს. I ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. საბოლოო სახე ტაძარმა 1032 წ. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო. Ⴈ.-ს ტაძარი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და ხარისხით თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. ზოგიერთი ნუსხის მინაწერი მოგვითხრობს იშხნელ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობაზე.

ႨႹႵႨႧႠႣ — (ქ. მწ.) უეცრად, მოულოდნელად, მყის.

კ

კაბა — (ქეგლ) ტანსაცმელი. ქალის სამოსელი მთლიანი, კალთებიანი გრძელი სამოსელი (ქალისაც და კაცისაც). „მას ტანსა კაბა ემოსა“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

კაბარე — (უსლ) პატარა რესტორანი ესტრადითურთ, სადაც იმართება სხვადასხვა წარმოდგენები. „თეატრებია დიდი, პატარა ბრწყინავს კაბარე...“ („აღმოსავლეთი“— გ. ტაბ.).

კაბადონი — (ქეგლ) 1. (ძვ.) დაწერილი ფურცლის ცალი პირი; (საბა) გვერდი. 2.ცის კაბადონი — ცის კამარა. „ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს“ (გ. ლეონ.).

კაბდო — (ქეგლ) ხელნებიანი ფიცარი, რომელზედაც ფარცხი გამოებმება და რომელიც ბელტებს ამტვრევს, ხნულს ასწორებს. „უწინდელი გათხუვნილი დარჩა კაბდო აღარ გარცხეს“ (დ. გურ.)

კადეტი [ფრ.] — (უსლ) რევოლუციამდელ რუსეთში: კადეტთა კორპუსის მოსწავლე. კადეტთა კორპუსი — დახურული ტიპის სამხედრო საშუალო სასწავლებელი, რომელშიც თავად-აზნაურთა შვილებს ამზადებდნენ ოფიცრებად. „რუსეთის მთავრობამ თავადაზნაურთა შვილები რუსეთის კადეტთა კორპუსებში გაგზავნა გასარუსებლად“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

კადნიერება — (ქეგლ) მეტისმეტი სითამამე, თავხედობა. „ხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება“ („ბედი ქართლისა“ — ნ. ბარათ.).

კაენი — (უსლ) იტყვიან მოღალატე ადამიანზე, კაცისმკვლელზე (ადამის შვილის კაენის სახელის მიხედვით, რომელმაც ბიბლიური გადმოცემით მოკლა თავისი ძმა აბელი). იხ. აბელი. „შეგებრალება თვითონ კაენიც თუკი პოეტის პქვია სახელი“ (გ. ტაბ.) „კაენსა და იუდას რომ გაემარჯვნათ, ხალხი ორივეს კაენობას და იუდობას აპატიებდა“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

კაეშანი — (ქეგლ) დარდი, ნაღველი, სევდა.

კავალერი [ფრ.]— (უსლ) 1. მამაკაცი, რომელიც ართობს ქალს საზოგადოებაში; მამაკაცი, რომელიც ცეკვავს ქალთან; ქალის მოტრფიალე, თაყვანისმცემელი მამაკაცი. 2. ორდენებით დაჯილდოვებული პირი. მაგ., ოთხი ორდენის კავალერი. ტიციან ტაბიძის წერილი „მარტოობის ორდენის კავალერი“ (აქ მეტაფორა).

კავალერია — (უსლ) ცხენოსანი ჯარი. მსუბუქი კავალერია. მსუბუქად შეიარაღებული მხედრები, რომლებიც ისხდნენ სპეციალურად შერჩეულ ძალიან სწრაფ ცხენებზე (მაგ. ჰუსარები მეფის არმიაში)

კავეული, კავეულობა — (ქეგლ) რკინისაგან დამზადებული სხვადასხვა წვრილი ნაკეთობა (კავი, კაუჭი, საკეტი, კლიტე). რკინა-კავეულის მაღაზია.

კავკასი — (ქ. მწ.) ვლადიკავკაზი. იგივე ძაუჯიყაუ, მოზდოკი. ორჯონიკიძე. ჩრდ. ოსეთის დედაქალაქი.

კავი — (ქეგლ) 1. მიწის სახვნელი ძველებური იარაღი. 2. კავები — საფეთქლებიდან ლოყებზე ჩამოშვებული და-

ხვეული თმა (თავდახურული ქალისა). „ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო“ („ტანო ტატანო“ — ალ. ქაჯ.).

ᲙᲐᲕᲨᲐ — (ქეგლ) თეთრფეხა ცხენი. „ახსოვს ფარსმანს ბაბა სუმბატის ფეხკავში იაბო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.)

ᲙᲐᲖᲛᲣᲚᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ — (ქეგლ) სიტყვაკაზმული მწერლობა, მხატვრული ლიტერატურა, ბელეტრისტიკა.

ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ [ბერძ.] —(ქეგლ) ქართულ ეკლესიაში უმაღლესი საეკლესიო პირის წოდებულება. „თორმეტი გამოცდილი მსტოვარი გაატანა სპასალარმა კათალიკოსს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „შედი, მარტოა კათალიკოსი“ („თორნიკე ერისთავი“ — აკ. წერ.).

ᲙᲐᲗᲐᲠᲡᲘᲡᲘ [ბერძ. განწმენდა] — (ქსე) ესთეტიკური განცდის არსის აღმნიშვნელი ტერმინი ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში და ესთეტიკაში. მაგ. პითაგორეიზმი მუსიკას მიიჩნევდა სულის განწმენდის საშუალებად, პლატონის აზრით კ. ათავისუფლებდა სულს სხეულებრივი განცდისაგან. არისტოტელე ხაზს უსვამდა ტრაგედიისა და მუსიკის აღმზრდელობით და განმწმენდ მნიშვნელობას, მათი საშუალებით ადამიანი თავისუფლდება აფექტებისაგან. ზ. ფროიდი ამ ტერმინით აღნიშნავდა ფსიქოთერაპიის მეთოდს.

ᲙᲐᲗᲐᲙᲛᲔᲕᲔᲚᲘ [ბერძ.] — (რწმენა, ღმერთები, ადამიანები) მოუნათლავი, ქრისტიანული წესით მოსანათლავად გამზადებული. გარკვეულ დროს იტყოდნენ: „კათაკმევelნო, განვედით ეკლესიიდან“, რამაც ზოგადი მნიშვნელობა მიიღო. კათაკმევლობაში დარჩენილი ნიშნავდა მოუნათლავად დარჩენილს. „მაზრის უფროსს მხოლოდ თავადაზნაურობა, სამღვდელოება და მოქალაქენი აირჩევდნენ, ყმები კი კათაკმეველნი არიან და ისევ ყმებად დარჩებიან“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) 1. მაღლა დადგმული მაგიდის მსგავსი ვიწრო დგამი (სიტყვის წარმოსათქმელად, ლექციის წასაკითხად). 2. უმაღლეს სასწავლებელში — მეცნიერების რაიმე დარგის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლიობა. საქართველოს ისტორიის კ.

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲑᲐ, ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲪᲘᲖᲛᲘ — (რწმენა, ღმერთები, ადამიანები) ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობა, შტო, რომელიც საგრძნობი განსხვავებით უპირისპირდება მართლმადიდებლურ და პროტესტანტულ ეკლესიებს. თავიდანვე აცხადებს თავს მსოფლიო მასშტაბით საქრისტიანოს მეთაურად (რამდენადაც ქრისტეს სამოციქულო ტახტი მის ცენტრში — რომშია). ჯერ კიდევ IV ს.-ში მოხდა დიდი გათიშვა დას. კათოლიკურ და აღმ. მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის. მრავალმხრივი წინააღმდეგობა გაღრმავდა და ბოლოს მოხდა სრული გაყოფა (1054 წ.). მათი წესების, დოგმების, შეხედულებათა განსხვავება გამოიწვია დას.-სა და აღმ.-ს შორის არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განსხვავებებმა, პირველობისაკენ მისწრაფებამ. კათოლიკურმა ეკლესიამ ღვთაებრიობის შარავანდედით

შემოსა ფეოდალური წყობილება. ფუფუნებით, იერარქიით, მბრძანებლური სიმკაცრით, თუმცა ეს სულაც არ ეწყობა ქრისტეს სათნო პიროვნებისა და კაცთმოყვარულ ცნებებს. კათოლიკური ეკლესიის საყრდენია ბიბლიის ლათინური თარგმანი „წმ. გადმოცემა". მთავარი განსხვავება, პირჯვრის გამოსახვისა და ზოგი სხვა ფორმალური განსხვავების გარდა ისაა, რომ კათოლიციზმის გაგებით სამების დოგმაში სულიწმინდის მოფენა (გამოსვლა) ხდება მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთისაგან, მართლმადიდებლები კი ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ მამისაგან მოდის. ქ. დიდად ზრუნავს საეკლესიო დისციპლინისათვის, ქადაგებს ხსნას მხოლოდ ღვთისმსახურთა შემწეობით (ინდულიგენციებით ვაჭრობა, ინკვიზიციის სისასტიკე, სულის სახსნელად რომ სხეულს აწამებს). ვატიკანის ყრილობამ დაამტკიცა რომის პაპის უცოდველობის ახალი დოგმა. აქვს ცენტრალური იერარქიული ორგანიზაცია, დისციპლინა, დიდი ზეგავლენა და თანხები, უზენაესი ორგანოები, ბერთა ორდენების მტკიცე კავშირი. ყოველნაირად ამართლებს ბურჟუაზიულ წყობილებას; ქადაგებს მშვიდობას, გამანადგურებელ იარაღს კრძალავს, ლოიალურია. „ქართულ ორთოდოქსულ ეკლესიას საბა თითქოს შეუჩვენებია კათოლიკობაში გადასვლისა და კათოლიკე პატრების მოყვანის გამო" (სასკ. სახ-ლო).

ქათხა — (ქეგლ) ხის მოზრდილი სასმისი. ღვინის კათხა.

ქაიშაური — (ქსე) ადგილია არაგვის ხეობაში, სადაც 1004 წლისათვის საგუშაგო იყო რუსებისა და მთიულეთის აჯანყებულები დაეცნენ. „ჟუსმინო ცახჰეგს — ხევის ბეთპოვენს, აგუგუნება კაიშაურის" („მე კავკასიის ქედები მთხოვენ" — გ. ტაბ.). (ამ ლექსით პოეტი გამოხატავს თავის პოზიციას ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვაზე). იხ. მთიულეთის აჯანყება.

ქაქაბაძე დავით ნესტორის ძე (1889-1952) — (ქსე) ქართველი ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის უნ.-ტის ფიზ.-მათ. ფაკ.-ტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. გაეცნო რუსულ და დასავლეთევროპულ მხატვრობას და დაიწყო ძვ. ქართული ხელოვნების კვლევა (ნატურიდან დახატული პეიზაჟები, ავტოპორტრეტები, პორტრეტები). რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად ქ.-მ შექმნა კუბისტური ხასიათის სურათებიც („დასაფლავება იმერეთში", „ავტოპორტრეტი"). შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლი, რომელშიც მოცემულია იმერეთის ბუნების განზოგადებული სახე. მხატვრულად გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი: ზ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", „კოლმეურნის ქორწინება", შ. დადიანის „ნინოშვილის გურია", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი", პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი". დ. რონდელის ფილმი „დაკარგული სამოთხე". ქ. არის ქართული თეატრის დეკორაციული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების მქონე მოაზროვნე მხატვარი.

ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ პოლიკარპე მალხაზის ძე (1093-1072) — (ქსე) ქართველი დრამატურგი. 1911 წ. დაასრულა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. პირველი ნოველაა „ბრძენი მოქანდაკე“, პიესა „გზაჯვარედინზე“. დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელშიც გვაჩვენა მძაფრი ისტორიული ქარტეხილების ფონზე შემთხვევით ამოტივტივებული გაიძვერა მედროვის ყვარყვარეს მხატვრული სახე. ქართული ფოლკლორის გმირის ნაცარქექიას ნიღბით აღჭურვილი ყვარყვარე ზოგადსაკაცობრიო ტიპიც არის. კ.-ის პიესებია: „შეხვედრა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“; ისტორიული პიესა „კახაბრის ხმალი“; დრამატული პოემები „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“, „მეფე ბაგრატ მეშვიდე“; ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული“. პიესა „ყვარყვარე თუთაბერის“ მიხედვით გადაღებულია ფილმი „ყვარყვარე“. „უნიჭიერესი ქართველი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ დღესაც წარმატებით იდგმება თეატრში“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲗᲘ — (ქეგლ) ჩიტების საჭერი მახე ერთგვარი; მისი მთავარი ნაწილია სასხლეტიანი რკალი, დაჭიმულ ღვედზე დამაგრებული.

ᲙᲐᲚᲐᲛᲑᲣᲠᲘ [ფრ.] — (ა. ჭილ.) ერთნაირი ბგერადობის, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის მქონე მოსწრებული სიტყვების თამაში, ფორმალურ მსგავსებაზე აგებული სიტყვა-ფრაზები, გონებამახვილური სხარტი თქმანი (მაჯამა, ზმა, ხალხური გამოცანა). მაგ.: „აბლი-ბაბლი ოქროს ტახტი, დღით ავიდე, ღამით დავდგი.“ „ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ცელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.“

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐ — (ქეგლ) ასე უწოდებენ ახალ წელს გურიაში. „შემოდიოდა ჩვენში კალანდა“ (ა. კალან.).

ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘ — (ქეგლ) ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურისა და მისთანა შენობას. „თარხნიშვილმა იმედიანად შეავლო თვალი თავისი კალატოზის მხარბეჭს“ („საჯილდაო ქვა“— გ. შატბერ.).

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ — (ქსე) 1. მილი, რომლის შიგნით (სიგრძის გასწვრივ) განლაგებულია 3 სარკული ფირფიტა ერთმანეთისადმი 60^0-იანი კუთხით. მილის ერთი ბოლო დახურულია მქრქალი მინით, რომელზედაც დაყრილია სხვადასხვა ფერის მინის ნამსხვრევები, მეორე ბოლო კი მრგვალხვრელიანია და სახურავი აქვს. ამ ხელსაწყოს ტრიალით სარკეებს შორის მოქცეული ფერადი მინის ნატეხებისაგან იქმნება სხვადასხვაგვარი ლამაზი, სიმეტრიული სახეები. 2. (გადატ.) მოვლენის, შთაბეჭდილების, სახეებისა და სხვა სწრაფი ცვლა. (დ. კლდიაშვილის შემოქმედების პერსონაჟთა კალეიდოსკოპი)

ᲙᲐᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) ლამაზად წერის ხელოვნება. „დათუნა ბრწყინვალე მწიგნობარია, რიტორი, კალიგრაფი“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.)

ᲙᲐᲚᲙᲘ [ფრ.] — (ქეგლ) 1. გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი ნახაზების

პირის გადასაღებად — ლიფი. 2. სხვა ენის ნორმების მიხედვით ნაწარმოები სიტყვა ან შექმნილი გამოთქმა. (მაგ., მაციფარი — ХОЛОДИЛЬНИК).

კალმასობა — (ქეგლ) (ისტ.) პურის (სურსათ-სანოვაგის) მოგროვება კალოებზე ჩამოთხოვნით ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ. — (ქ. მწ.) სათხოვრად სიარული, ჩამოვლა. „ბერი გზადაგზა კალმასობდა, ესე იგი მათხოვრობდა, მონასტრისათვის შესაწირავს აგროვებდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

„კალმასობა" — (ქ. მწ.) იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილი) დიდად პოპულარული ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება (1013-1020), რომელსაც ავტორი „ხუმარსწავლას" უწოდებს. სამოგზაურო ჟანრი გამოყენებულია კომპოზიციურ ხერხად. თხზულების მთავარი გმირი იოანე ხელაშვილი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში „საკალმასოდ" (მონასტრისათვის პურისა და ღვინის შესაგროვებლად), ხვდება სხვადასხვა გარემოში, ესაუბრება ცალკეულ პირებს. ასე გვაცნობს ავტორი საქართველოს იმდროინდელ ვითარებას, აღწერს ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას. „კალმასობაში" ნათლად ჩანს განმანათლებლური ტენდენციები. საქართველოს დაუძლურების მიზეზად ავტორს ქვეყნის გათიშულობა, განათლების მოშლა და მორალურ-სარწმუნოებრივი სისუსტე მიაჩნია. „კალმასობაში" ავტორი ავითარებს „კეთილი მეფის" იდეალს. ლიტერატურული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა „კალმასობის" ორი თავი.

კალმუხი — (ქეგლ) ცხვრის ტყავის ქუდი ერთგვარი; კალმუხის ქუდი. „დურმიშხანი ელოდა ყირიმიდან საქუდე კალმუხის ტყავებით" („სურამის ციხე").

კალო — (ქსე) პურეულის სალეწი ადგილი. კ.-ს უმთავრესად მართავდნენ სწორ, გაშლილ ადგილზე, ძველად მიწური სახლის ბანზე. კ.-ზე პურს ლეწავდნენ კევრით, ქვის დაკბილული მორგვებით, ან შინაურ საქონელს გადაატარებდნენ; კევრში უმეტესად ხარებსა და კამეჩს უბამდნენ. გალეწილ ხორბლის ხვავს ჯერ ცხავში ატარებდნენ, შემდეგ ცხრილში და გაცრილული ხორბალი სახლში გადაჰქონდათ ან ორმოებსა და ხაროებში ინახავდნენ. „ქვის კარებიდან იწყებოდა კარგა მოზრდილი კალო" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

კამარა — (ქ. მწ.) თაღი, კამარედი — თაღოვანი. „თაღებმა კამარა შეკრეს." „დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

კამარილია — (უსლ) სასახლის კარისკაცთა ჯგუფი, რომელიც თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენს სახელმწიფო საქმეებზე პირადი გამორჩენის მიზნით. „სულხანი საოცარი გულახდილობით აღწერს სასახლეების კამარილიას, მლიქვნელობას, საზეიმო პირფერობას" (სასკ. სახ.-ლო)

კანანახი ([illegible]) გალობის დამწყები (გადატ.) „ცუდის, ტყუილის მოზღაპრე სიცრუის კანანახია" (დ. გურ.).

კანდელი — (ქსე) ქრისტიანულ ეკლესიაში „სამსახურებელი სიწმინდის" ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი. ეკლესიის ჭერზე ჯაჭვით ჩამოკიდებული

ლამპარი, რომელშიც ზეთი ანთია; ზოგ ეკლესიაში არის ქორკანდელი — სასანთლეთა წრე, ერთ საკიდზე დაკიდებული რამოდენიმე კანდელი. ალაპებში უთითებდნენ ხოლმე — რომელი ხატის წინ უნდა აენთოთ კანდელი სააღაპე პირთათვის და რამდენი ზეთი უნდა დაეხარჯათ. (ქეგლ) სანათი, ლამპარი. ზეთის კანდელი.

ᲙᲐᲜᲘᲑᲐᲚᲘ [ფრ.] — (უსლ) 1. კაციჭამია, ველური. 2. სისხლისმსმელი ადამიანი, ბარბაროსი.

ᲙᲐᲜᲙᲔᲚᲘ — (ქეგლ) ეკლესიაში ჩარჩოებიანი ტიხარი (ჩვეულებრივ ხატებით შემკობილი), რომელიც გამოყოფს საკურთხეველს. „ბიბინებდნენ კანკელის წინ სანთლები“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲓᲐ — (უსლ) რამდენიმე ქვემეხის ხშირი სროლა ერთდროულად. „მოდის მსოფლიო ომი და კონონადა ქუხის“ („ქარი არხევს იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში“— გ. ტაბ.).

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ — (ქეგლ) საეკლესიო კანონებიდან, წესებიდან გამომდინარე.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ — ერქვა იმ დღეს, როცა გუთანს პირველად გაიტანდნენ ხოლმე მინდორში. „ხვალ კანონის დღეა და პირველი გუთანი უნდა გავიტანოთ“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲙᲐᲜᲭᲘ — (ქეგლ) ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოჭებამდე. ცხვრის კანჭი. „[ბოზბაში] სჯობია, თუ ზემოდანაც კარგი კანჭი ადევს“(„კაცია-ადამიანი?!“— ი. ჭავჭ.).

ᲙᲐᲜᲯᲐᲠᲘ — (ქეგლ) გარეული ვირი.

ᲙᲐᲞᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) კლდოვანი ადგილი, მთის კლდოვანი ფერდი, ვიწრო და გრძელი საფალი.

ᲙᲐᲞᲐᲓᲝᲙᲘᲐ — (ბიბლ. ენც.) რომის პროვინცია აღმოსავლეთ მცირე აზიაში. კაპადოკიიდან იყვნენ წმინდა ნინო და პეტრე მოციქული.

ᲙᲐᲞᲐᲠᲘ — (ვაჟა — მც. ლექს.) ბურახის მსგავსი მომჟავო და შუშხუნა სასმელია (კვასი). „ვაჟა-ფშაველას ასული თამარი იგონებს: ხშირად მამაჩემს კაპარიც არ ჰქონდა, რომ დაელია დაღალულს“ (სასკ. სახ.-ლო)

ᲙᲐᲞᲐᲠᲭᲘ — (ქეგლ) ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრების ქარქაში.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ — (უსლ) ღირებულება, რომელიც დაქირავებული მუშების ყვლეფით უქმნის მფლობელს ზედმეტ ღირებულებას. 2. იგივეა, რაც კაპიტალიზმი. 3. თანხა, ფული, ფასეულობა, ქონება, სიმდიდრე. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი მომჭირნეობით ცდილობს კაპიტალის დაგროვებას“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ [ფრ.] — საზოგადოებრივი წყობილება, როდესაც წარმოების საშუალებანი ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომლებიც იყენებენ დაქირავებული მუშების შრომას მოგების მისაღებად. „XIX ს.-ის 40-იან წლებში საქართველო კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲚᲘᲣᲛᲘ [ლათ.] — მაღალი ბორცვი რომში, რომლის გარშემო იყო

სასახლეები და მუზეუმები. აქვე იმართებოდა აღლუმი, რელიგიური ცერემონიალი — მსხვერპლის შეწირვა. რომის იმპერატორს ადრიანეს ქართველი მეფე ფარსმანი მოუწვევია თურმე ძ.-ის დღეობაზე ჩვ. წ. 138 წელს. ფარსმანმა მონაწილეობა მიიღო დიდ რელიგიურ ცერემონიალში — ძ.-ზე შესწირა მსხვერპლი და მას უდიდესი პატივი მიუზღეს. ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ქანდაკება აღმართული იქნა მარსის ტაძარში.

ᲙᲐᲞᲘᲢᲣᲚᲐᲪᲘᲐ [ლათ.] — (უსლ) 1. საომარი მოქმედების შეწყვეტა და თავის აღიარება დამარცხებულად. 2. უკან დახევა სიძნელეთა წინაშე; თავისი პოზიციების დათმობა.

ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ [ფრ.] — (უსლ) ახირებული სურვილი, უცნაური აჩემება, ჭირვეულობა. „უთუოდ ეს იყო გარდაუვალი კაპრიზი ისტორიის ნემეზისისა, რომ ის შესანიშნავი სამეფო დაამხეს ველურებმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა)

ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ — (ქეგლ) 1. ძველებური წიგნი, შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურნალ საშუალებათა შესახებ. 2. ასტროლოგიური, საწინასწარმეტყველო წიგნი. (გადატ.)- ვისიმე კარაბადინში წერია — ასე ფიქრობს ვინმე. „სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ“ („კაცია-ადამიანი?!“— ი. ჭავჭ.).

ᲙᲐᲠᲐᲙᲣᲚᲘ — უფრო სწორია „ყარაკული“; იხ. კრაველი.

ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ — (ქსე) სოფელი გორის რაიონში, შიდა ქართლის ვაკეზე; მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა, სოფლის ძველი სახელია ნაქარმაგევი. აქ იყო საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები, მთების ლურჯი კამარა — უცხო სამოთხეები?“(„გაგონდება თუ არა“— გ. ტაბ.).

ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘ — (უსლ) 1. გადამდები სნეულებით დაავადებულთა დროებითი იზოლაცია ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად. 2. სანიტარული პუნქტი, სადაც სინჯავენ ეპიდემიით დაავადებულ პირებს, გემებს, საქონელს. „ალ. ქავჭავაძე მუშაობდა საკარანტინო ზონის უფროსად“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲐᲠᲐᲣᲚᲘ — (ქ. მწ.) ძვ. ვირი. „ნახატის შიდა ფონზე აქლემები და კარაულები მოჩანდნენ“. „უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულთა!“ („წამება“ — ი. ცურტ.).

ᲙᲐᲠᲐᲞᲐᲜᲘ — (ქეგლ)სახლის უკედლო დერეფანი. „[ჩიკოტელას] ერთხელ სიზმრად ენახა, რომ თავის სახლის კარაპანში მარილის ქვის ყორეები ელაგა“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“ — გ. ლეონ.).

ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲘ — (უსლ) კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო ხარისხი (პაპის შემდეგ პირველი).

ᲙᲐᲠᲔᲢᲐ [იტალ.] — (ქეგლ) დახურული ორთვალა რესორებიანი ეტლი.

ᲙᲐᲠᲗᲐᲒᲔᲜᲘ — (ქსე) ძველი ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვისპირეთში. ჩრდ. აფრიკის ტერიტორიაზე (ახლანდელი ტუნისის ყურე) ძვ. წ. IX

საუკუნის ბოლოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, სავაჭრო კოლონიათა ფართო ქსელმა განამტკიცა კართაგენის ბატონობა ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო გზებზე და იგი გადაიქცა ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ, რომის ძალაუფლების მეტოქედ. ებრძოდა ბერძნებს, პირენეის ქალაქებს. 149-146 წ.წ. რომაელებმა ალყა შემოარტყეს კართაგენს და მიწასთან გაასწორეს. განადგურდა ხელოვნების ნიმუშებიც. „სამუდამოდ აღიგავა დედამიწის ზურგიდან და კაცობრიობის ხსოვნიდან ასიოდე ერი. გაიხსენე ფინიკეთი, კართაგენი..." („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ [იტალ.]— (ქეგლ) 1. რაიმე საქმიანობა, პროფესია. არტისტული კ. 2. საზოგადოებრივ საქმიანობაში მოღვაწეობით მიღწეული მდგომარეობა. „კ. გამსახურდია ბავშვობაში სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა" (ქ. ს. მ. ა.— ს. სიგ.).

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐ — (ქსე) სახვითი ხელოვნების ჟანრი (უმთავრესად გრაფიკული), მხატვრული ტიპიზაციის საშუალება, რომელშიც კრიტიკულადაა ნაჩვენები ცხოვრებისეული მოვლენის ან პიროვნების ნეგატიური მხარეები. ყოველივე ამის საჩვენებლად გამოყენებულია შარჟისა და გროტესკის ხერხები. ფართო გაგებით კ. არის გამოსახულება, რომელშიც შეგნებულადაა შექმნილი ეფექტი, გაერთიანებულია რეალური და ფანტასტიკური, გადაჭარბებული სიმძაფრით არის გადმოცემული ადამიანის ფიგურის, სახის, ჩაცმულობის, ქცევისა და სხვა სახასიათო ნიშნები (ცნობილია გიგლა ფორცხალავას კ.-ები).

ᲙᲐᲠᲜᲘᲖᲘ [გერმ.]— (უსლ) ჰორიზონტალური შვერილი შენობის, კედლის (ან კარის, სარკმლის) თავზე. „ყინვის ლოლუები სცვიოდნენ სამრეკლოს გუმბათის კარნიზებიდან" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ.გამს.).

ᲙᲐᲠᲝᲨᲜᲐ — (ქეგლ) ვითომ მორცხვი და კეკელა, უშნო და მანჭია ქალი. (დ. კლდიაშვილის პიესის „დარისპანის გასაჭირის" პერსონაჟის მიხედვით.)

ᲙᲐᲠᲢᲣᲖᲘ — (უსლ) ერთგვარი საჩიხიანი (წინსაფრიანი) ქუდი მამაკაცისა. „ბატონს ქართულ კაბა-წუღებზე რუსული თეთრი კარტუზი დაეხურნა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲙᲐᲠᲭᲐᲞᲘ — (ქეგლ) მოზრდილი განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად. „ნავსადგურში ორიოდე ძირგამომპალი კარჭაპი ეხახუნებოდა ერთმანეთს" („რკინის თეატრი" — ო. ჭილ.).

ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲘᲔᲢᲐ — (უსლ) [ესპ.] ესპანეთში (აგრეთვე იტალიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში) გავრცელებული სარტყმელი მუსიკალური საკრავი; წარმოადგენს ხის ორ ფირფიტას ერთმანეთთან ზონრით შეერთებულს; რიტმული ტკაცუნით აყოლებენ სიმღერასა და ცეკვას; ჯიმჯიმი, სატკრციალო.

ᲙᲐᲡᲢᲐ [პორტ.] — (უსლ) კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის განკერძოებულობას და წოდებრივ, პროფესიულ თუ სხვა სახის პრივილეგიებს. „რენეგატთა კასტის შესაქმნელად უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის მოყვრის ღიმილით შენიღბული მტერი" (ნ. გრიგ. წიგნი I).

კასტელი ქრისტეფორე — (ქსე) იტალიელი მისიონერი პატრი. საქართველოში ჩამოვიდა 1628 წ. პატრ ანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად. ისინი მივიდნენ ქ. გორს თეიმურაზ I-თან. 1634 წ. შემოქმედელი ეპისკოპოსის მაქსიმე მაჭუტაძის მიწვევით გურიაში გადავიდნენ, 1640 წ. — ოდიშში. ამის შემდეგ დაბრუნდა იტალიაში. საქართველოში ყოფნის დროს მან მრავალი ჩანახატი გააკეთა. ორი ალბომიდან ერთი გზაში გემზე დიდი ღელვებისას დაიღუპა; მეორე კი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა. მის ჩანახატებში დაცულია გიორგი სააკაძის, თეიმურაზ I-ისა და სხვათა სურათები.

კატაბა [ძვ.]— (ქ. მწ.) ტყუილი, სიცრუე. „მართლად არს, არ კატაბანი".

კატაკლიზმი [ბერძ.]— (უსლ) გამანადგურებელი გადატრიალება; კატასტროფა.

კატაკომბა — (უსლ) [იტალ.] ძველ რომსა და სხვა ქალაქებში მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი ვრცელი გალერეები, კორიდორები, სადგომები, სადაც პირველ ხანებში თავს აფარებდნენ დევნილი ქრისტიანები.

კატალოგი [ბერძ.] — (უსლ) რაიმე საგნების (წიგნების, ხელნაწერების, სურათების, სამუზეუმო ექსპონატების და სხვა) სია, რომელიც გარკვეული წესით არის შესრულებული.

კატამონი — პატარა გორაკია ჯვრის მონასტერთან, სადაც ალბათ, ღრმად მოხუცებული ქართველი მოღვაწენი შემოდგომის მზეს უკანასკნელად შეპხაროდნენ. („ხმა კატამონთან" — ირ. აბაშიძე)

კატეპანი — (ქ. მწ.) ბიზანტიის ჯარის უფროსი, ან პროვინციის გამგებელი. ქართული ქრონიკით „კატაპანი." „წარჩინებული სტრატეგები და კატეპანები ბრძოლის ველზე დასტოვეს ბიზანტიელებმა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) — რუსი პუბლიცისტი და გამომცემელი. რედაქტორობდა ჟურნალ „Русский вестник" და „Московские ведомости"-ის, რომელშიც 1882 წ. დაიბეჭდა მტრული წერილი თბილისის თეატრების დადგმებზე, გამასხარავებული იყო ქართველი ინტელიგენციის საამაყო დადგმა — დ. ერისთავის „სამშობლო". კ.-ის წინააღმდეგ დაიწერა მრავალი წერილი. იგი ცნობილია, როგორც თვითმპყრობელობის გესლიანი აგენტი. ილიამ კ.-სა და მის დამქაშებს მაბეზღართა რაზმი უწოდა. „ილია ჭავჭავაძე იბრძოდა შავრაზმელ კატკოვისა და იანოვსკის წინააღმდეგ" (წერილი „კატკოვის პასუხად"— სასკ. სახ.-ლო)

კატორღა — (ქეგლ) პატიმრობა, შეერთებული მძიმე იძულებით სამუშაოებთან. „მეფის მთავრობამ კუზმა კილგას ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის უვადო კატორღა მიუსაჯა" („პაკო ამბა" — ლ. ქიაჩ.).

კაფია — (ქსე) ქართული ზეპირმეტყველების პოეტური ჟანრი, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რომელიც ექსპრომტად გამოითქმება. (ქეგლ)

მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი, მუნასიბი.

ᲙᲐᲤᲘᲠᲘ, ᲙᲘᲐᲤᲘᲠᲘ – (მ. ჯავახ. – შენიშვნები და კომენტარები) გიაური, ღვთის უარმყოფელი, ურჯულო, ქრისტიანი, ან საერთოდ არამუსლიმანი. „მართლმორწმუნე „სალამ ალეიქუმს" მხოლოდ თავისიანებისათვის იმეტებს, კაფირისათვის კი „ალაჰ სახსალან" ან „ხოშ გელდი" აქვს შენახული" („არსენა მარაბდელი" – მ. ჯავახ.).

ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘ – (ქ. მწ.) ლეგენდარული ქართველი გმირი (თამარის დროს), განსახიერება გმირობისა, ძლიერებისა, მამულიშვილობისა და ბატიოსნებისა. „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერად" („ქართლის ჭირი" – დ. გურამ.).

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ (1615) – (ქსე) კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შევიწროვებული კახეთის მოსახლეობა შესაფერის მომენტს უცდიდა აჯანყების დასაწყებად. აჯანყება 15 სექტემბერს ალავერდობას დაიწყო. მას სათავეში ედგნენ ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ტაძარში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. შაჰ აბას I-მა აჯანყების ჩასაქრობად 15 ათასიანი არმია გაგზავნა ალი-ყულიხანის სარდლობით. ყიზილბაშობასთან მყოფი ქართველები მტერს თეიმურაზ I-ს ლაშქრის მოძრაობის გზას უმალავდნენ, ხოლო სპარსელთა ჯარის გეგმებს აჯანყებულებს ატყობინებდნენ. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა და 5-6 ათასი კაცით დაამარცხა მტრის ლაშქარი.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ (1659 წ.) – (ქსე) კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. კახეთის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად სპარსელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს კახეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება და იქ მომთაბარე ტომთა (ულუსების) ჩასახლება. ყიზილბაშებმა დაიწყეს კახეთში ციხეების აგება (ბახტრიონი, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს), რომელთა გარნიზონებს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. კახეთის ტერიტორია ორად გაყვეს. კახეთის ბარში 80 ათასამდე თურქმანი ჩაასახლეს. კახეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დაიწყო სახალხო მოძრაობა, რომელშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაება. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ზაალ არაგვის ერისთავი. უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარ ერისთავი. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის, გოგოლაურის მეთაურობით. ქართველები გაერთიანებული ძალით თავს დაესხნენ ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს და მთლიანად ამოწყვიტეს იქ გამაგრებული თათრები. შემდეგ გაანადგურეს კახეთის სხვა ადგილებში მყოფი თათრები. შაჰი იძუ-

ლებული გახდა ხელი აელო თავის გვემაზე. ზაალ არაგვის ერისთავი მტრის დავალებით თავისივე ძმისწულებმა მოკლეს, მისი შვილები კი შაჰს გაუგზავნეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და ელიზბარ ერისთავი შაჰს მიუვიდნენ და პატიება ითხოვეს. შაჰმა ისინს იმ ტომებს გადასცა, რომელთა თანამოძმენი კახელებმა გაჟლიტეს. გმირები წამებით დახოცეს. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. აჯანყების მოთავე მთიულებს ხალხმა მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა. ამ ამბებისადმია მიძღვნილი ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი" და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი". კ. ა.-ის შედეგად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა, მაგრამ სპარსელთა ბატონობის საბოლოოდ მოსპობა ვერ მოხერხდა. განთავისუფლებისათვის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. კ. ა.-ის გმირები გრიგოლ ორბელიანს აქვს მოხსენიებული თავის პოემა „სადღეგრძელოში".

კახპა — გარყვნილი, მეძავი ქალი. „უყურე კახპა ქალასა, / ქმარი ისჩია მამასა" („ამირანი" — ხალხ.).

კბოდე — თხრილის ან მდინარის კიდე, ცერაღმად შემართული. „დედაკაცის ყოვილზე კაკბები კრიახით— გადაიხვეწნენ კბოდედან" („დიდოსტატის მარჯვენა"- კ. გამს.).

კევრი — (ქსე) პურეულის სალეწი იარაღი ტრაპეციის ან სამკუთხედის ფორმისა. შეკრულია გათლილი ფიცრებისაგან. კ.-ის ძირი ქვით ან ქვითა და რკინით არის მოკოხილი (რკინა ჭრიდა, ქვა კი ბუდიდან მარცვალს ფშვნეტდა). კ.-ში აბამდნენ ხარს ან ცხენს და კალოზე ატარებდნენ, სადაც გასალეწი პურეული იყო გაშლილი. (გადატ.) „ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი" (დ. გურამ.).

კეთილშობილი — (ქეგლ) 1. ზნეობრივად ფიქიზი, დიდსულოვანი, კაცთმოყვარე, პატიოსანი. კ. ადამიანი. ასეთი ადამიანის შესაფერი. კ. საქციელი, კ. სურვილი. 2. დახვეწილი, ფაქიზი, ნატიფი. სახის კ. ნაკვთები. 3. (ძვ.) თავადი ან აზნაური. კ.-თა სასწავლებელი. 4. ლითონები — ოქრო, ვერცხლი, პლატინა.

კეთრი — (ქეგლ) კანის მძიმე გადამდები სნეულება, ითვლება უკურნებლად. „კეთრი აღმოაჩნდა ეზოსმოძღვარს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.). „მკვდარს აღუდგენდა, კურნავდა კეთროვანს, წყალმანკიერსო" (დ. გურამ.).

კეისარი — (ქეგლ) იმპერატორის ტიტული ძველ რომში. „მიეც კეისარს კეისრისა." (ქ. მწ.) თვითმპყრობელი, უმაღლესი გამგებელი, მეფეთა-მეფე.

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1870-1962) — (ქსე) ქართველი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, საქ. სსრ აკად. აკადემიკოსი, საქ. მეცნ. დამს. მოღვაწე. სწავლობდა თბილისის სას. სემინარიაში, დაამთავრა კიევის სას. აკადემია. მასწავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში. იყო თბილისის სას. სემინარიის რექტორი და თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 წ.-დან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძვ. ქართული ლიტერატურის კათედრას, იყო სიბრძნისმეტყველების ფაკ.-ის დეკანი. ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს, განაგებდა რუსთაველის სახ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. მისმა ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პრესტიჟი მთელს მსოფლიოში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველ მეცნიერთა აღზრდაში.

ᲙᲔᲚᲐᲞᲢᲐᲠᲘ – (ქეგლ) დიდი სანთელი. „გალმა დანთილი სანთელს გამოღმა კელაპტარობდა“ („თავფარავნ;ული ქაბუკი“– ხალხ.).

ᲙᲔᲚᲝᲑᲓᲐ – (ქ. მწ.) კოჭლობდა. „[მამამზე] ძლივს ჩოკელანობდა ცალკერძ სახლთუხუცესის მხარსა, ცალკერძ შინდის ჯოხს დაყრდნობილი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.)

. **ᲙᲔᲜᲢᲐᲕᲠᲘ, ᲪᲔᲜᲢᲐᲕᲠᲘ** – (მით. ლ-ნი) თესალიელ ცხენკაცთა მძლავრი მოდგმა, ტყი' ა და გამოქვაბულთა დემონი. არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი. „ცაცხვები დგანან შენს სამლავთან, ვით ცენტავრები მათ სიბნელეში, ნისლიანი და უეცარი“ („მგლოვიარე სერაფიმები“– გ. ტაბ.).

ᲙᲔᲜᲩᲮᲐ – (ქეგლ) თავის ქალა. „მაღლა დაგიცდა ბეჩაო კენჩხას არა სჭრის ძვლისასა“ („ალუდა ქეთელაური“, ვაჟა).

ᲙᲔᲠᲐᲢᲘ – (ქეგლ) დაუკოდავი ღორი. 1. „[გლახაკმა იფიქრა]: მამლების ფულით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად გავყიდიო“ („გლახაკი და ქილა ერბო“– საბა).

ᲙᲔᲠᲔᲝᲜᲘ – (ქ. მწ.) ცვილის დიდი სანთელი. კელაპტარი.

ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ ივანე (1829-1892) – (ქსე) ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი. 1050 წ. დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. 1851 წ. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა მიიწვია ზუგდიდში შვილების აღმზრდელად. 1052 წ.-დან დაიწყო საგამომცემლო მოღვაწეობა, მეთაურობდა ქართულ დრამატულ დასს. 1057 წ. აღადგინა და გამოსცა ჟურნალი „ცისკარი“. წერდა ლექსებს: „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ და „ჩემო თვალის სინათლევ“ პოპულარულ ლექსებად იქცა. „გიორგი ერისთავის შემდეგ ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდნენ ზურაბ ანტონოვი და ივანე კერესელიძე.“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲔᲠᲞᲘ – (ქეგლ) 1. წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ. ვინმესთვის თაყვანსაცემი პიროვნება. (ქ. მწ.) ადამიანის, ან სხვა რამის გამოსახულება (ქანდაკება), რომელიც წარმართებს ღმერთად მიაჩნიათ. „ფხოველებს ბორცვებზე ბომონები აღუმართავთ კვლავ, ღამეები უთევიათ, კერპებისათვის ძენი და ასულნი შეუწირავთ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲙᲔᲡᲝᲜᲘ [ფრ.] – (უსლ) 2. (არქიტ.) მხატვრულად გაფორმებული კვადრატული ან მრავალკუთხოვანი ჩაღრმავება ჭერზე, თაღის შიგნითა ზედაპირზე. „ეკლესიის შიგნით ოთხივე კესონში გამოსჭვიოდა პელინური სიშიშვლე და მშვენება ხორცისა“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

ᲙᲔᲤᲐ – (ქეგლ) ადამიანის თავის უკანა ნაწილი. ქუდი კეფაზე მოიგდო.

ᲙᲔᲮᲘ — (ქეგლ) 1. უნაგირის ხის ჩონჩხი. სახედარს კეხი დაადგეს. 2. ამოზნექილი, მაღალი ადგილი ადამიანის ცხვირის ზურგისა.

ᲙᲕᲐᲠᲘ — (ქეგლ) ფიჭვის (ან ნაძვის) ანახეთქის ფისიანი ნაჭერი, სანთელივით იწვის (ძველად სოფელში ხმარობდნენ გასაშუქებლად.) „მკვარი აანთეს და საბმელშიც შეიხედეს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲙᲕᲐᲠᲗᲘ — (ქსე) 1. სამოსელი. 2. ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდელმსახურების დროს მედავითნის, დიაკვნისა და ეპისკოპოსის ჩასაცმელი (სტიხარი). მიჩნეულია ქრისტეს სამოსლის სიმბოლოდ. 3. ქრისტეს სამოსელი — კვართი საუფლო — საქართველოში ითვლება სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთ მთავარ სიწმინდედ, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმიდან ჩამოიტანეს მცხეთელმა ებრაელებმა და დამარხულია მიწაში სვეტის ქვეშ. (ქეგლ) იგივეა, რაც პერანგი. ქრისტეს კვართი.

ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ — (ქეგლ) ძეგლის, ქანდაკებისა და მისთ. საფუძველი. „არცთუ ოდესმე გაბედავდა არსაკიძე ტაძრის აგებას უკვარცხლბეკო ვაკეზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲙᲕᲔᲠᲔᲥᲡᲘ — (ქ. მწ.) დიაკვნის სათქმელი ლოცვა.

ᲙᲕᲔᲠᲗᲮᲘ — (ქეგლ) 1. საგანგებო ჯოხი, რომელიც ხელთ ეპყრა დიდი თანამდებობის ზოგ პირს როგორც ნიშანი ძალაუფლებისა (კვერთხი — სკიპტრა).

ᲙᲕᲔᲠᲘ — (ქეგლ) 1. რკინის პატარა ურო, ჩაქუჩი. კვერი დაჰკრა, დაამოწმა. ნათქვამი დაადასტურა. 2. პატარა, ბრტყელი, მრგვალი პური. კვერი გამოაცხო.

ᲙᲕᲔᲡᲘ — (ქეგლ) ფოლადის ნაჭერი, რომლითაც ტალზე (კაჟზე) ჩამოკვრით ცეცხლს აჩენენ — კვეს-აბედი. კაჟიანი თოფის ჩახმახიანი ნაწილი, რომელიც კაჟს ხვდება და ნაპერწკალს აჩენს.

ᲙᲕᲔᲢᲐᲠᲐ — (ქსე) ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ მაგისტრალზე. კახეთის სამთავროს ერთ-ერთი ცენტრი. კ.-ის გრანდიოზული ნანგრევები მაღალ მთაზეა და გარს არტყია რიყის ქვით ნაგები გალავანი, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები, ციხე-სიმაგრის აღმ.-ით აკროპოლისია, რომელშიც სასახლე და ეკლესიაა განლაგებული. გეგმით ჯვარისებრი ეკლესია X ს. I ნახ.-ს მიეკუთვნება. ხუროთმოძღვარს ყოველგვარი მორთულობის და ჩუქურთმების გარეშე შეუქმნია კომპოზიციურად მოქნილი ნაწარმოები. „კვეტარის ერისთავს თალაგვა კოლონკელიძეს ძალით უთაყვანებია ფხოველნი და დიდონი" („დიდოსტატის მარჯვენა" —კ. გამს.).

ᲙᲕᲘᲜᲘᲮᲘ — (ქეგლ) თავის სარქველი, თხემი. „სახეზე და მკერდზე არსენას ბრწყინვალე მზის შუქი აწვა და იგი ოდნავ წინ წამოწეული კვინიხით დაჩრდილულ თვალებს უფრო მეტად უმუქებდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.)

ᲙᲕᲘᲞᲐᲠᲝᲡᲘ — (ქსე) მარადმწვანე წიწვოვანი ხე. აქვს სწორი ტანი და პირამიდული ვარჯი. საქართველოში

ალვის ხესაც ეძახდნენ. ეს სახელი დაერქვა საქართველოში მაზდეანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. ალვის ხის პირამიდული ვარჯი კარგად ესადაგებოდა მარადმწვანე კ.-ს, როგორც მაზდეანური სარწმუნოების ემბლემას. „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არი?" („ისევ ეფემერა" — გ. ტაბ.).

კვირა — (ქსე) შვიდდღიანი დროის შუალედი, რომელშიც თითოეულ დღეს საკუთარი სახელწოდება აქვს. შვიდდღიანი კვირა პირველად ძვ. აღმოსავლეთში შემოიღეს. ახ. წ. I ს.-ში რომში დაკანონდა და ევროპაში გავრცელდა. კვირის დღეებს ციურ სხეულთა სახელწოდებანი შეარქვეს, მაგ., შაბათს — სატურნის დღე, კვირას და დანარჩენებს შესაბამისად — მზის, მთვარის, მარსის, მერკურის, იუპიტერის, ვენერას დღეები. ორშაბათი — მთოვარისა, სამშაბათი — თარხონისა, ოთხშაბათი — ჯამალისა, ხუთშაბათი — მთიებისა, პარასკევი — ობისა, შაბათი — მორიგისა, კვირა — მზისა.

კვირაცხოვლობა — (ქეგლ) ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული პირველ კვირას აღდგომის შემდეგ. „სწორედ კვირაცხოვლობის ნაშუაღამევს შვიდი თოროსანი რაინდი მოადგა არაგვის კარის საბრძოლო გოდოლებს" („დიდოსტატის მარჯვენა" —კ. გამს.).

კვირაძალი — (ქეგლ) კვირა დღის წინა საღამო, შაბათსაღამო. „მცხეთაში ჩასვლის კვირაძალში შემთხვევით გავიგე ექვთიმეს ადგილსამყოფელი" („დიდოსტატის მარჯვენა"—კ. გამს.).

კვირიაძე — (ქეგლ) იგივეა, რაც კვირა.

კვირიკობა — (ქეგლ) (ძვ.) ხატის დღესასწაული ივლისის ერთ-ერთ ორშაბათს.

კვირისთავი — (ქეგლ) 1. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი სამძიმი (რგოლი) თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად. 2. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი. „გაბრიელის ნაბადი კვირისთავამდის არ მიწვდენია გოლიათ გირშელს" („დიდოსტატის მარჯვენა" —კ. გამს.).

კიდობანი — (ქეგლ) ფეხებზე მდგარი სახურავიანი დიდი ყუთი (გამომცხვარი პურის, სურსათ-სანოვაგის შესანახად). ნოეს კ. — ბიბლიური კიდობანი გადმოცემით დახურული დიდი ნავი, რომლითაც ნოემ ადამიანები და ცხოველები წარღვნას გადაარჩინა. „ირაკლის თაფაც გამოჩნდა, აჰა მთაც კიდობაანისა" („სადღეგრძელო" — გრ. ორბ.).

კიკნაძე ფილადელფოს (1794-1833) — (ქსე) ქართველ თავადაზნაურთა 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. 7 წლისა მამამ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარა სასწავლებლად. სწავლის პერიოდში მშობლები გარდაეცვალა. 1826 წ. იყო ნიჟნი ნოვგოროდში. 1828 წ. დაბრუნდა საქართველოში და შეეხიზნა ჯერ ფერისცვალების და შემდეგ შუამთის მონასტერს. კ.-მ შეადგინა შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება „აკტი გონიერი". ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერდა ლექსებს.

კილოკი — (ძვ.) (ქ. მწ.) მატყლის ქსოვილი.

კილიტი, კილიტა — (ქეგლ) 1. ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი. იხმარება სარკეების წარმოებაში, ტყავზე სატვიფრად და სხვა. 2. მაწაწინა თხელი თვლები მბრწყინავი ლითონისა; იხმარებოდა ხელსაქმეში (საქარგავად) თირთიმები.

კილო — (ქეგლ) 1. ლილის შესაკრავი ჭრილი ტანსაცმელზე — სალილე, თასმისა ან დაგრეხილი ძაფისაგან გაკეთებული ყულფი ლილზე გადასაცმელად. 2. ქუთუთოს კიდე, თვალის ჭრილის კუთხე, ქუთუთოების შესაყარი. „[ქალმან და ყმაწვილმან] არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა“ (დ. გურ.) 3. ენის რომელიმე დიალექტი.

(შენიშვნა: კილო — ნათქვამის ელფერი: „თავადის ქალმა ორაზროვანი ხმის უსირცხვილო კილოს ისეთი ავხორციანი გამოხედვა დაატანა“ („თავადის ქალი მაია“).

კილოკავი — (ქეგლ) ამა თუ იმ ენის რომელიმე კილოზე უფრო მცირე ერთეული (მაგ. ქვემოიმერული, გარეკახური).

კირითხურო — (ქეგლ) იგივეა, რაც კალატოზი. „ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

კიმენური ტექსტები — მწერლობის განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას მხოლოდ გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა (ის ეკლესიებში უნდა ეკითხათ), იწერებოდა ე. წ. კ. ტ., რომლებიც გამოირჩეოდნენ სიმცირითა და ერთგვარი „ესთეტიკური ნაკლულობით“, სიმშრალით. მათში მხოლოდ იდეოლოგიური მომენტი იყო აქცენტირებული საგულდაგულოდ. დაახლ. X ს.-დან, მაშინ როდესაც მორწმუნე ადამიანის ლიტერატურული გემოვნება ყურადღებული იქნა, იწერება ე. წ. მეტაფრასტული ტექსტები, რომლებშიც მხატვრულ მხარეს არანაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე იდეოლოგიურს. კიმენურ რედაქციებს ამ დროიდან გადაამეტაფრასტებდნენ ხოლმე და არსებობდა ერთი და იგივე ნაწარმოების კიმენური და მეტაფრასტული რედაქციაც.

კიმილია — (ქ. მწ.) საგანძური. (მეკიმილე — საგანძურის მფარველი, მფლობელი).

კინამო — (ქ. მწ.) დარიჩინი.

კინოვარი — (უსლ) 1. წითელი ფერის მინერალი. 2. ამ მინერალისაგან დამზადებული საღებავი, რომელსაც ხმარობენ მხატვრობაში. სინგური.

კინტო და ყარაჩოღელი — კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა. ყარაჩოღელი დარბაისელია, რაინდი, პატიოსანი, გულმართალი.

კინტო თვალმაქციერია და გულხენეში. იგი ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა. ყარაჩოღელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, ბრგე, მხარბეჭიანი.

ყარაჩოღელი და კინტო ჩაცმულობითაც განსხვავდებიან. ყარაჩოღელი ანუ ყარაჩოხელი შავჩოხიანს ნიშნავს. მაშასადამე, ყარაჩოღელს აცვია შავი შალის

ჩოხა, გრძელკალთებიანი, მოკლენაოჭიანი და ორჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზე მოვლებულია ბუზმენტი ბრტყელი ჩაფარიში. შიგნიდან აცვიათ წითელი აბრეშუმის დოშლუღგადაკერებული და გულამოჭრილი პერანგი. ზედ შავი ატლასის ან სატინის წვრილ ნაოჭიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი შავი შალისაგან იკერებოდა. თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ამ შარვლის ფართე ტოტები შიგნიდან ჰქონდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში. საშინაოდ იცვამდნენ ქოშებს, საგარეოდ ყაფალიან წაღებს. მათი სამკაული იყო ვერცხლის გობაკებიანი ქამარი; ქამარში მწვანე ბაღდადი, გალიბანდის ქუდი, წელში ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის ქისა წეკოთი.

კინტო ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს. კინტოს აცვია ჩითის პერანგი, წინწკლებიანი და მაღალსაყელოებიანი, რომელსაც შესაკვრელი გვერდზე აქვს, მარცხნივ. საყელოზე 4 ღილი აკერია, მაგრამ საკინძე მუდამ ჩამოხსნილი აქვს. აცვია შავი ნაშურის ახალუხი, ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ხშირად ფარფარი გააქვს. თავზე ქეჩის ქუდი ან „კოზიროკიანი შაპკა“, ფეხზე უქუსლო ჩუსტები (საგარეოდ გარმონისებური ე. წ. დაწყობილი ჩექმები); გულზე საათი ძეწკვით, წელზე აბრეშუმის სარტყელი ან ვერცხლის ვიწრო ქამარი, ქამარში უბრალო ხელსახოცი; ჩოხას სულ არ ხმარობენ.

ყარაჩოღელის ხმა ტკბილია და შთამბეჭდავი, კინტოს ხმა — ხრინწმოკიდებული და ხმელი;

ყარაჩოღელის მიხვრა-მოხვრა მტკიცეა, კინტოსი — ოკრობოკრო;

ყარაჩოღელი თვით ქმნის სიტყვის შედევრებს, კინტო ამ სიტყვებსაც ამახინჯებს;

ყარაჩოღელების სასმისი იყო ჩინური ჯამი, თიხის ფიალა, აზარფეშა და ვერცხლით შეჭედილი ხის კულა. კინტომ არც კი იცის ამ ჭურჭლის სახელები. იგი უარყოფს ქამრიან ჭიქებსაც კი და უცხოელი ბოჰემისტების მიბაძვით ღვინოს ქალის ტუფლიდან სვამს. კინტო ნამარდია, ყარაჩოღელი — ჯომარდი. კინტო მუშტარს ათასგვარ უდიერ და უასაკო სიტყვას ეუბნება, ყარაჩოღელის სიტყვა-პასუხი კი ჭკუის სალესავია.

ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობაა. იგი იმ დროის მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით ქალაქი ტფილისი სინტეზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა. კინტო კი შექმნილია შორეული ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. თბილისში ნელნელა იჭრება ცივილიზაცია. თბილისი ევროპიელდებოდა. იცვლებოდა თბილისი და ამასთანავე, რასაკვირველია, ისპობოდა და ითქვიფებოდა ყარაჩოღელთა ჯილაგიც. აი, რას წერდა ილია იმდროინდელ „გადაგვარებულ“ თბილისზე: „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკრება და სურვილი სურვილსა, ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ველარ დაგვინახავს, თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო“.

კირთება — (ქეგლ) (ძვ.) მძიმე მონობა. „შორენა მიდიოდა ქედმაღალი და გულმართალი, ამაყად მიჰქონდა ბედისაგან დაკისრებული კირთება („დიდოსტატის მარჯვენა"— კ.გამს.).

კირიონ II — იხ. საძაგლიშვილი გიორგი.

კირმანეული თეთრი — (ქ. მწ.) კირმანეული: ფულის ერთეულია; უდრიდა ორ შაურს. „მოვიდა კაცი ერთი და მოსცა თითოსათვის (ცხოვარი) ხუთ-ხუთი კირმანეული."

კირჩხიბი — (ქეგლ) იგივეა, რაც კიბო, ივნის-ივლისის ზოდიაქო. „არცა კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

კინწი — (ქ. მწ.) კისერი. (აქედან მოდის „კინტო". იხ. კინტო.) კინტოებს კინწით დაჰქონდათ ტვირთი.

კლარჯეთი — (ქსე) მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში; მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლანდ. თურქეთის ტერ.-ია). კ.-ში შედიოდა მურღულის, ეგრისის, არტანუჯის, ნიგალის და სხვა ხევები. სახელწოდება კ. მოდის დაბა კ.-დან, რომლის უძველესი ცენტრია ციხე თუხარისი. კლარჯეთს განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, რომლის რეზიდენცია V ს. II ნახ.-დან არტანუჯის ციხე უნდა ყოფილიყო. მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ფართო კულტ. აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო; ააშენა ეკლესია-მონასტრები, დააარსა საეპისკოპოსო. კ. ამავე დროს გახდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი. VIII ს. აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, IX ს.-ის დასაწ. მეფე აშოტ I-მა დიდმა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული მხარე აღადგინა და დასახლა. ამავე დროს აქ დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. XII-XIII ს. ს. ფართოდ გაიშალა კულტ. საგანმანათლებლო საქმიანობა. იგი განთქმული იყო ეკლესია-მონასტრებით, რომელთაც კ.-ის თორმეტ უდაბნოს უწოდებდნენ. XVI ს. კ. ოსმალებმა მიიტაცეს.

კლასიკოსი — (ქეგლ) დიდი მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი, მეცნიერი, რომლის შემოქმედება საყოველთაოდ აღიარებულია და სანიმუშოდ არის მიჩნეული. ქართული ლიტერატურის კ.-ები.

კლასიკური — (ქეგლ) 1. კლასიკოსების მიერ შექმნილი (კლასიკური პოეზია, ლიტერატურა), მუსიკა. 2. სანიმუშო, საუკეთესო, ტიპობრივი (კლასიკური მაგალითი, ნიმუში, შრომა) 3. ძველბერძნულ და რომაულ კულტურასთან დაკავშირებული — ანტიკური (კლასიკური ენები, ფილოლოგია, გიმნაზია). „ბუნებასთან რომანტიკური დამოკიდებულების კლასიკური ნიმუშია ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას" (სასკ. სახ.-ლო).

კლასიციზმი — (ა. ჭილაია) ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XVII ს. საფრანგეთში, ევროპისა და რუსეთის ლიტერატურაში. ანტიკური ანუ კლასიკური ლიტერატუ-

რისა და კულტურის შესწავლისა და წაბაძვის იდეამ ხელი შეუწყო აზრს საფრანგეთი წარმოედგინათ საბერძნეთად, ვერსალი — ათენად, ვერსალის არისტოკრატია — ბერძენ და რომაულ გმირად. ფრანგული და რომაული ლიტერატურის ყურადღების ცენტრში არიან ბერძენი და რომაელი მწერლები, ბაძავენ ანტიკური ლიტერატურის ძეგლებს. წასაბაძადაა მიჩნეული არა მარტო ფაბულა, სიუჟეტები, სახეები, არამედ არისტოტელესა და ჰორაციუსის პოეტიკაც. მიზანია მსგავსად კლასიკურისა, შეიქმნას მაღალმხატვრული, სანიმუშო ნაწარმოები, აქედან — კ.

კ.-ის ესთეტიკა ჩამოაყალიბა ფრანგმა პოეტმა და ლიტერატურის თეორეტიკოსმა ბუალომ პოემაში „პოეტური ხელოვნება". ბუალო მიუთითებს — წაბაძეთ სასახლეს, შეისწავლეთ ქალაქი. ბუალოს თეორიის საყრდენია: მეფე, სასახლე, არისტოკრატია, ქალაქი, ბურჟუაზია, მესამე წოდება. ქართულ ლიტერატურაში კ.-ს ადგილი არ ჰქონია. „კლისიცისტი მწერლის ფანტაზია შებორკილია დოგმებით. კლასიციზმის ყველაზე დიდი თეორეტიკოსი ბუალო იყო." (სასკ. სახ.-ლო).

კლასობრივი — კლასებთან დაკავშირებული, გარკვეული კლასისათვის, მისი იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი. კლასობრივი ბრძოლა. „აჯანყებები იღებდა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს" (სასკ. სახ.-ლო).

კლერიკალი — (უსლ) ვინც სასულიერო წრეს, სამღვდელოებას ეკუთვნის, რომელიც ცდილობს ეკლესიის გავლენის გაძლიერებასა და განმტკიცებას. „ვეფხისტყაოსნის" პოპულარობა და მისი დევნა კლერიკალებისაგან" (სასკ. სახ.-ლო).

კლიროსი [ბერძ.] — (უსლ) ეკლესიაში: ამაღლებული ადგილი მგალობელთათვის (კანდელის წინ). „კლიროსიდან მოისმოდა სულზე უტკბესი გალობა" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

კნინი — (ქ. მწ.) მცირე.

კობზარი [უკრ.] — (უსლ) უკრაინაში სახალხო მომღერალი; კობზის დამკვრელი (კობზა — საკრავი ინსტრუმენტი).

კოდი — (ქეგლ) 1. ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულამოღებული მორისაგან. იხმარება მარცვლეულისა და ფქვილის, აგრეთვე რძის ნაწარმის შესანახად. საფქვილე კ. რძის საწველი კ. 2. ხის მოგრძო ჭურჭელი წყაროსთან ჩადგმული. კ.-ის წყარო — წყარო, რომელსაც კ. უდგას და წყალი შიგ გამოდის. კ.-ის წისქვილი — პატარა წისქვილი, რომელსაც აბრუნებს კ.-ში დაგროვილი წყალი; ბუჭულა. 3. მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა (4-5 ფუთი). 36 კგ. ზომა-წონის ერთეული, მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო. „ერთ დღეს მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე, გვერდებზე ხელი მიუტყაპუნა და ასწია" („მე ვხედავ მზეს" — ნ. დუმბ.). 4. პირობითი აღნიშვნების ან სიგნალების სისტემა, რომელთაც იყენებენ რაიმე ცნობის გადასაცემად ტელეფონით, ტელეგრაფით და სხვა. 5. (გადატ.) გენეტ. კოდი. „მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ არის თავად ავტორი, როგორია მისი გენების კოდი, რომელსაც ციტოპლაზმა შიფრავს" (ქ. ს. მ. ა.)

ᲙᲝᲗᲮᲝ — (ქეგლ) ჩანახის მსგავსი ხის ჭურჭელი მარცვლეულის საწყაო (იციან გურიაში). „გადაირბინე, ბიჭო, მინასთან და თხოვე ამ ორშაბათამდე კიდევ გასესხოს ერთი კოთხო ფქვილი!“ („მე ვხედავ მზეს“ — ნ. დუმბ.).

ᲙᲝᲙᲐᲠᲓᲐ — (უსლ) ლითონის მრგვალი ან ოვალური ნიშანი ფორმის ქუდზე. კოკარდიანი ქუდი.

ᲙᲝᲙᲔᲢᲝᲑᲐ — (ქ. მწ.) კეკლუცობა, კოკეტი ჰქვია ისეთ ქალს, რომელიც ყველანაირი საშუალებით ცდილობს თავი მოაწონოს საზოგადოებას თავისი გარეგნობითა და მანერებით.

ᲙᲝᲚᲘᲖᲘᲐ — (ქსე) მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედ პირთა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მისწრაფება. ეს წინააღმდეგობა გვხვდება ეპოსსა და დრამაში. დათიკოსა და გაბოს გამწვავებული ურთიერთობა „გლახის ნაამბობში“, ტრაგიკული დაპირისპირება მთავარი გმირებისა შექსპირის „ოტელოში“, „ჰამლეტში“.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ — (უსლ) 1. ქვეყანა, რომელიც დაპყრობილია იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ და ეს უკანასკნელი ყვლეფს მას. 2. დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობლებით დასახლებული ადგილი, ახალშენი. „თერგდალეულები“ იბრძოდნენ თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ [იტალ.]— (ქეგლ) 1. ფერების შეხამება, რომელიც სურათის საერთო იერს (ნათელს, ბნელს) ქმნის. 2. (გადატ.) დამახასიათებელი იერი (ეპოქისა, ქვეყნისა, ადგილისა). აღმოსავლური კ. ადგილობრივი კ. კოლორიტული — 1. კოლორიტის მქონე. 2. (გადატ.) მკაფიოდ გამოხატული, დამახასიათებელი. მსახიობმა კოლორიტული სახე შექმნა. თავისებური ელფერი. „დ. კლდიაშვილი განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტის მწერალია“ (გ. ტაბ.).

ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ — (უსლ) [ფრ.] ძალიან დიდი, უზარმაზარი. „რუსთაველის პოეზიას კოლოსალური შთამაგონებელი ძალა ჰქონდა“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲝᲚᲢᲘ — (ქეგლ) 1. ღორის ჯოგი. 2. შედედებული სისხლი.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ — (ქსე) დასავლეთი საქართველო. კოლხიდას მოიხსენიებენ ჰომეროსი, სტრაბონი, ევრიპიდე, ქსენოფონტი და სხვა ბერძენი პოეტები და ისტორიკოსები.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ [ბერძ.] — (ქეგლ) მხიარული სიუჟეტის მქონე დრამატული ნაწარმოები, რომელშიც სასაცილოდ არის გამოყვანილი რაიმე უარსაყოფი საზოგადოებრივი (ან ყოფა-ცხოვრების) მოვლენა.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ [ლათ.] — (ქეგლ) 1. რაიმე ტექსტის, დებულების ახსნა-განმარტება, შენიშვნები. წიგნს ბოლოში დართული აქვს კ.-ები. 2. განმარტებითი ხასიათის შენიშვნები რისამე შესახებ. პრესის კ.-ები.

ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ [ფრ.] — (უსლ) ვაჭარი. „ანრი დიუნანი იყო ახალგაზრდა ჟენეველი კომერსანტი“(კლ.-გარ. ლიტ. „შ. თ. შ.“).

ᲙᲝᲛᲚᲘ — (ქეგლ) 1. სოფელ ადგილას მცხოვრები ცალკე ოჯახი, — მოსა-

ხლე. სოფელში 150 კ.-ია. „[ლუარსაბს] ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი" („კაცია-ადამიანი?!"— ჭ. ჭავჭ.). 2. იგივეა, რაც კვამლი.

კომპეტენტური [ლათ.] — (უსლ) 1. რაიმე დარგის, რაიმე საკითხის სათანადოდ მცოდნე. 2. ცოდნაზე დამყარებული, საფუძვლიანი, ავტორიტეტული. 3. კომპეტენციით აღჭურვილი, სრულუფლებიანი. კ. ჟიური.

კომპლექსი — (უსლ) საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება. „კ. გამსახურდიასთან პიროვნების კულტი „ძალაუფლების ნების" კომპლექსს უკავშირდება" (ქ.ს.მ.ა. — ს. სიგ.).

კომპოზიცია [ლათ.]— (ქეგლ) 1. მუსიკალური ნაწარმოების შექმნა; ასეთი ნაწარმოების შექმნის თეორია. კ.-ის კლასი. 2. ლიტერატურაში და სახვით ხელოვნებაში — ნაწარმოების მხატვრული აგებულება. სკულპტურული კ.

კომპრაჩიკოსები [ესპ.] — (უსლ) ესპანეთში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში XIII-XVII ს. ს. ადამიანები, რომლებიც იტაცებდნენ ან ყიდულობდნენ ბავშვებს, ამახინჯებდნენ მათ და შემდეგ ყიდდნენ მდიდარ სახლებში ან ბალაგნებში ხუმარებად (ვ. ჰიუგო „კაცი, რომელიც იცინის").

კომპრომისი [ლათ.]— (უსლ) ურთიერდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება. კომპრომისზე წასვლა. „შუშანიკი უკომპრომისო გადაწყვეტილებას იღებს — მიდის სასახლიდან" (სასკ. სახ-ლო)

კომუნიზმი — (უსლ) 1. კომუნისტების წარმოდგენით უმაღლესი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომლიც დამყარებულია წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებაზე: იქმნება სოციალისტური რევოლუციის გზით. აქვს განვითარების ორი ფაზა. 2. კომუნისტური ფორმაციის მეორე, უმაღლესი ფაზა. უკლასო საზოგადოება, რომლის პრინციპია: თითოეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით.

კომუნა [ფრ.]— (უსლ) 3. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (XVIII ს. ბოლოს) პარიზსა და სხვა ქალაქების მიერ შექმნილი რევოლუციური თვითმმართველობა. პარიზის კ. — 1071 წ. პარიზში აჯანყებულ მშრომელთა მიერ შექმნილი რევოლუციური მთავრობა, რომელიც წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველ ცდას (ი. ჭავჭავაძე, „1071 წლის 23 მაისი").

კომუნიკაცია — (უსლ) ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება. 1. (ლინგ.) ენის საშუალებით აზრების გადაცემა, ურთიერთობა.

კონდოტიერი [იტალ.] — (უსლ) 1. იტალიაში (XIV-XV ს. ს.) დაქირავებული რაზმის წინამძღოლი. 2. ითქმის ადამიანზე, რომელიც მზადაა იბრძოლოს ყოველგვარი საქმისათვის თუ სათანადო გასამჯელოს მისცემენ. „ფარსმან სპარსი წინაპარია საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილი უსამშობლო კონდოტიერებისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). „პირველ გზას ირჩევდნენ სპარსეთის

ხალიფებს დანატრებული კონდოტიერები, რომელნიც თეირანში გარბოდნენ და თანამ-ემამულეთა დაბეზღებით კარიერას იკეთებდნენ" (ქ. გამს. „ცისკარი" 1950, №2).

ᲙᲝᲜᲕᲝᲘ [ფრ.]– (უსლ) ბადრაგა: შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ტყვეები, პატიმრები და სხვა გადაჰყავს ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთი რაზმის წევრი.

ᲙᲝᲜᲙᲐ [რუს.]– (ქეგლ) (ძვ.) საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული; გავრცელებული იყო ტრამვაის შემოღებამდე. ასეთი რკინიგზის ვაგონი.

ᲙᲝᲜᲙᲘᲚᲐ – (ქეგლ) ურმის თავქვეშ შესაყენებელი კეტი. „კონკილაზე აყენებული ურმები" („სარჩობელაზედ"– ილ. ჭავჭ.).

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ [ლათ.] – (უსლ) რეალურად არსებული, საგნობრივად განსაზღვრული, ზუსტი, თვალსაჩინო, ხელშესახები (საპირისპირო – აბსტრაქტული).

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ – (უსლ) მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლად რაიმე ასპარეზზე. „ხელოსნები, რომლებმაც ვერ გაუძლეს ფაბრიკების კონკურენციას, იძულებული გახდნენ შეერთებოდნენ ქალაქის მუშებს."

ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲖᲛᲘ [ლათ.] – (უსლ) ყველაფერი ძველის, დრომოჭმულის დაცვა, კონსერვატიული რწმენა. კონსერვატიული – სიახლისა და პროგრესისადმი მტრული დამოკიდებულება. კონსერვატორი – 1. კონსერვატიული შეხედულების ადამიანი. 2. ინგლისის კონსერვატიული პარტიის წევრი. „ქართველ რომანტიკოსთა კონსერვატიული ნაწილი მხოლოდ ძველის აღდგენაზე ოცნებობდა" (სასკ. სახ.-ლო).

ᲙᲝᲜᲡᲞᲘᲠᲐᲪᲘᲐ [ლათ.]– (უსლ) სისტემა და მეთოდები, რომლებსაც იყენებს არალეგალური ორგანიზაცია თავისი მუშაობის საიდუმლოდ შესანახად. საიდუმლოს მკაცრად დაცვა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ [ლათ.] – (უსლ) სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წყობილებას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპს, მოქალაქეთა ძირითად უფლებას.

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ [ლათ.]– (უსლ) 1. სპეციალისტის რჩევა რაიმე საკითხის შესახებ. 2. მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის გაწეული დახმარება საგნის უკეთ შეთვისების მიზნით. ამისათვის მოწყობილი მეცადინეობა. 3. დაწესებულება, სადაც სპეციალისტები რჩევა-დარიგებას იძლევიან გარკვეულ საკითხებზე. იურიდიული კ. ქალთა კ.

ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲘ – (უსლ) წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა.

ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲐ [იტალ.] – (უსლ) 1. საქონლის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე. 2. თვით ფარულად

გადატანილი საქონელი. „ვისაც ნავი ჰყავდა და ღამით შინიდან გამოსვლისა არ ეშინოდა, კონტრაბანდას მისდევდა“ („რკინის თეატრი“ — ო. ჭილ.).

კონტრევოლუცია — (უსლ) ექსპლუატატორული კლასების ბრძოლა მზარდი რევოლუციის ჩასახშობად, თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, აგრეთვე გამარჯვებული რევოლუციის მონაპოვართა მოსასპობად და რევოლუციამდელი წეს-წყობილების აღსადგენად. „საბჭოთა მთავრობამ კუზმა-მრისხანე კონტრევოლუციის წინააღმდეგ თავდაუზოგველი ბრძოლისათვის დააჯილდოვა“ („ჰაკი აძბა“ — ლ. ქიაჩ.).

კონფორმიზმი [დათ.] — (უსლ) — ერთგვარობა უძრაობა, შეთანხმებულობა; „კონფორმიზმის შემგუებლობის სენი მთელ ქვეყანას მოედო“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

კონფლიქტი — (უსლ) მოპირდაპირე ძალთა, საწინააღმდეგო ინტერესთა შეხედულებათა შეხლა-შემოხლა, სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება. „ბარათაშვილის სევდა იმ კონფლიქტის შედეგია, რომელიც წარმოიშვა მწარე სინამდვილისას“ (სასკ სახ.-ლო).

კონცეფცია [ლათ.] — (უსლ) 1. შეხედულებათა სისტემა; მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგება. 2. ნაწარმოების, თხზულების ძირითადი აზრი. „გ. ტაბიძის შესახებ ლიტერატურათმცოდნეობაში ჩამოყალიბდა რამდენიმე კონცეფცია“ (გ. ასათ.).

კოოპერატივი — იგივეა, რაც კოოპერაცია. „ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში“ („თავსაფრიანი დედაკაცი“ — ნ. ლორთქ.).

კოოპერაცია [ლათ.] — (უსლ) 1. შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი მონაწილეობს ერთსა და იმავე (ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ) შრომის პროცესში. 2. მასობრივი საწარმოო, სავაჭრო და მისთ. გაერთიანება, რომლებიც იქმნება მისი წევრების (მეპაიეების) სახსრებით. „ორი თვის შემდეგ ნაშინდარშიც გაიხსნება სკოლა და კოოპერატივი“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.). (ტექსტში ზოგჯერ დამახინჯებულადაა გამოყენებული — „კაპრატივი“.)

კოპალა და იახსარი — (მით. ლ.-ნი) კოპალა — (ძვ.) ხევსურთა და ფშაველთა წარმართული ღვთაება. მხართეთრი, დევთა და ქაჯთა რისხვა. „კოპალე ბერის“ ბრძოლა დევებთან აღწერილია მრავალ ხალხურ ლექსში და თვით ვაჟას პოეზიაში. კოპალამ დახოცა ცხრა ძმა დევი და მათი მამა. ამ ბრძოლაში კოპალას თან ახლავს იახსარი. კოპალა ქართულ მითოლოგიურ სახეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი სახეა და ნახევრად ღმერთია. კოპალა და იახსარი ღვთისშვილები არიან, მაგრამ ადამიანთა შორის ტრიალებენ ბერძენთა ღმერთების მსგავსად, ებრძვიან მავნეს. მათ მრავალ ლექსში უმღერის მთის ხალხი.

კოპი — (ქეგლ) ქალის ქართული თავდასახურავის შემადგენელი ნაწილი: ატლასში (ან სატინში) შეკერილი ბამბის ნახევარრკალი, რომელსაც დებდნენ ჩიხტის შიგნით — მასზე ქინძისთავებით ლეჩაქის დასამაგრებლად. იხ. ჩიხტი-კოპი.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ [გერმ.] — (უსლ) 1. გაზეთის, ჟურნალის და მისთ. თანამშრომელი, რომელიც ადგილებიდან უგზავნის ცნობებს. 2. პირი, რომელსაც ვინმესთან მიწერ-მოწერა აქვს. წევრ-კორესპონდენტი — სამეცნიერო საზოგადოების ან დაწესებულების, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რომელსაც არა აქვს ნამდვილი წევრის ყველა უფლება.

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ [ლათ.]— (უსლ) 1. შესწორების შეტანა რაიმეში. კორექტორი — სტამბის ან გამომცემლობის მუშაკი, რომელიც შესწორებას აკეთებს.

ᲙᲝᲠᲘᲤᲔ [ბერძ.] — (უსლ) 1. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე. 2. ძველ ბერძნულ ტრაგედიაში: გუნდის ხელმძღვანელი. ქართული კრიტიკული რეალიზმის კორიფეები არიან — ილია, აკაკი, ვაჟა.

ᲙᲝᲠᲙᲝᲢᲘ — (ქეგლ) ნაყვით კანგაცლილი ხორბალი, რძეში ან წყალში მოხარშული და ერბოთი (ან ნიგვზით) შეზავებული. „ბატონო, მცირეოდენი კორკოტი მაინც ინებეო“ — ეხვეწებოდა [არსაკიძეს] ნონაჲ“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.)

ᲙᲝᲠᲝᲛᲘ — (ქეგლ) ჯგუფად მდგარი ხეები.

ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛᲘ — (უსლ) რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას და ეროვნულ სუვერენიტეტს; ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწესების იდეას. კოსმოპოლიტი — ადამიანი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებს არც ერთ ეროვნებას. „ფარსმანი უთვისტომო კოსმოპოლიტია“ „დიდოსტატის მარჯვენა“ — კ.გამს.) „სოციალ-დემოკრატია ეწეოდა კოსმოპოლიტიზმში გადასული ინტერნაციონალური ენების პროპაგანდას“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲙᲝᲢᲐ — (ქ. მწ.) ხმლის ვადა.

ᲙᲝᲢᲠᲘ — (ქეგლ) (ძვ.) ვალის გადახდის უნარდაკარგული, — გაკოტრებული. ვისაც მთელი ქონება დაეკარგა. „გამდიდრებული ვაჭრები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, ერთმანეთს აკოტრებენ“ (სასკ. სახ-ლო).

ᲙᲝᲤᲝ — (ქეგლ) ურმის, მარხილის და მისთ. ჭალებზე გარდი-გარდმო ჩამოცმული ფიცარი. ეტლში — მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი. „ურმის კოფოზე შეისროლა ნამიანი თვალები გლეხმა“ („თავადის ქალი მაია“— ლ. ქიაჩ.)

ᲙᲝᲨᲘ — (ქეგლ) ხის ან გოგრის ჭურჭელი თასივით. იხ. აყირო.

ᲙᲝᲨᲙᲘ — (ქეგლ) 1. წვრილი და მაღალი ციხე. სვანური კ. 2. მაღალი ნაგებობა სხვადასხვა დანიშნულებისა. საყარაულო კ. 3. ასეთი ნაგებობა შენობის თავზე (სილამაზისათვის). ბელვედერი.

ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲘ [ფრ.] — (უსლ) 1. საზარელი, შემაძრწუნებელი სიზმარი, — მაჯლაჯუნა. 2. საშინელი, საზარელი რამ. „ადრე დააწვა გიორგის ჭაბუკურ მხრებს ომში დანთხეული სისხლის კოშმარი“ „დიდოსტატის მარჯვენა“ — კ.გამს.)

ᲙᲝᲬᲝᲚᲘ — (ქ. მწ.) ნაწნავი.

ᲙᲝᲭᲘ — (ქეგლ) გათლილი ძელი, სახლის მობირდაპირე კედლების თავზე გარდიგარდმო გაბმული ჭერის ფიცრების დასაკრავი; ასეთივე ძელი იატაკის ფიცრის დასაჭედი. „ახლა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კიდეს, სვეტები, კოჭები, კაკუტები, ლატნები, ხარიხები და ძელები“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲘ — (ბიბლ.) ბიბლიური პერსონაჟი, რომელსაც ღმერთი შეეყარა უდაბნოში, იაკობმა ვერ იცნო იგი და შეექიდა „და წიაღ მოიკრიბა იაკობ ყოველივე, რაიცა იყო მისი და დადგა იგი მარტო მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე.“ ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი. იხ. იაკობი.

ᲙᲝᲥᲝᲑᲘ — (ქეგლ) პატარა ქოთანი. „ბუხრის წინ გაჩაღებულ მაყალზე ლითონის კოქობები იდგნენ“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲙᲝᲮᲢᲐᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ — (ქსე) ქართველ დიდებულთა შეთქთმულება მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ დაახლ. 1245 წ. ჯავახეთში. მონაწილეობდნენ ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელი, თორელი, სარგის თმოგველი და სხვა. შეთქმულება გამომჟღავნდა. მონღოლებმა შეიპყრეს ქართველი დიდებულები და წარუდგინეს ანისში მყოფ მონღოლ ნოინს. დაკითხვაზე შეთქმულებმა განაცხადეს, რომ კოხტასთავში (ისტორიული ციხე-სიმაგრე სამხ. საქ.-ში ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე, ახლანდ. ასპინძის რნი) მონღოლებისათვის მისაცემი ხარკის საქმის მოსაგვარებლად შეიკრიბნენ. მონღოლებმა არ დაიჯერეს და ნოინის ბრძანებით გაშიშვლებული შეთქმულნი მოედანზე მცხუნვარე მზის ქვეშ მხარგაკრულნი დასხეს, თან ყოველდღე ეკითხებოდნენ შეკრების მიზეზს და სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ ქართველი მთავრები ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდნენ. დატყვევებული შეთქმულები თავგანწირული საქციელით იხსნა ცოტნე დადიანმა (ა. წერეთელი, „ნათელა“).

ᲙᲝᲰᲝᲠᲢᲐ — (უსლ) 1. ძვ. რომში: ქვეითი ჯარის რაზმი, რომელიც შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს. 2. (გადატ.) საერთო იდეებით, მიზნებით მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი.

ᲙᲠᲐᲕᲔᲚᲘ — (ქეგლ) 1. ბატკნის, კრავის მატყლი. 2. ხუჭუჭბეწვიანი ტყავი ზოგი ჯიშის ახალდაბადებული ბატკნისა, — კარაკული. კრაველის ქუდი.

ᲙᲠᲐᲮᲘ [გერმ.]— (უსლ) 1. გაკოტრება. 2. სრული, მთლიანი მარცხი. (ქეგლ) სრული და ერთბაში დამარცხება, დამხობა რისამე, — მარცხი. ანტიხალხურმა რეჟიმმა კ. განიცადა.

ᲙᲠᲔᲓᲝ [ლათ.]— (უსლ) მრწამსი, რწმენა, მსოფლმხედველობა. „იმპრესიონისტების შემოქმედებითი კრედო შეიძლება გამოიხატოს გოეთეს ცნობილი სიტყვებით: „შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარ!“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲙᲠᲔᲖᲘ — (უსლ) იტყვიან უთვალავი სიმდიდრის მქონე პირზე. ლიდიის (მცი-

რე აზიაში) ლეგენდარული მეფის სახელის მიხედვით. „კრეზი თავისი სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის [გუთნისდედა] მაშინ, როცა უბრძანებს მეხრეებს ხარების გარეკვას" („სურამის ციხე" — დ. ჭონქ.).

კრეისერი — (უსლ) [ჰოლ.] დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი არტილერიით, ტორპედოებით, ნაღმებით. „სოხუმის ნავსადგურში ჩამომდგარ კრეისერ „შმიდტის" მისაგებებლად მოტორიან ნავს მიჰყავდა რამდენიმე კაცი" („ჰაკი აძბა"— ლ. ქიაჩ.).

კრეტსაბმელი — (ქეგლ) (ძვ.) კარის ფარდა. „თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდე შუა ხიესო" (დ. გურამ.).

კრიალოსანი [ბერძ.] — (ქეგლ) ზონარზე ასხმული მძივი (ქარვისა, გიშრისა); ხელში მარცვალ-მარცვალ ათამაშებენ ხოლმე თავის გასართობად, გულის გადასაყოლებლად. „აივნის თავში ტახტზე იჯდა ფეხმორთხმით დარბაისელი მოხუცი, ზაალ ერისთავი და კრიალოსანს ათამაშებდა" („ბაში-აჩუკი" — აკ. წერეთ.)

კრივი — (ქეგლ) 1. სპორტის სახეობა — ორი კაცის მუშტებით ბრძოლა (სპეციალური ხელთათმანებითა და განსაკუთრებული წესების დაცვით). 2. საერთოდ, მუშტებით ცემა (ერთმანეთისა), — მუშტი-კრივი. „კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა, ეს ადათები ძველთაგან თქმული" (ი. გრიშ.).

კრიზისი [ბერძ.]— (ქეგლ) 1. მძაფრი გარდატეხა, ერთბაში ცვლილება. სულიერი კ. დაავადების კ. მწვავე მდგომარეობა, რომელიც გარდატეხას წინ უსწრებს. 2. საქონლის პერიოდული ჭარბწარმოება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. იწვევს წარმოების შეკვეცას, წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებასა და უმუშევრობის ზრდას. ეკონომიკური კ. — იგივეა, რაც კრიზისი (მნიშვ. 2).

კრიკინა — (ქ. მწ.) ველური ვაზი, უსურვაზი.

კრილი — (ქეგლ) ხმელი ხის ჩრჩილი. „იყო საღამო გრილი/ თივას ნამავდა ცვარი / სახლს აწვალებდა კრილი / და კრიალებდა მთვარე" („ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფოქრიანია" — გ. ტაბ.).

კრილოვი ივანე (1769-1844) — შესანიშნავი რუსი მოიგავე, ხალხური სიბრძნით ნაკვები. თამამად შეიძლება მისი დაყენება ეზოპეს, ლაფონტენის, ლესინგის გვერდით. თითქმის ყოველი იგავის თავში და ბოლოში აფორისტული სტრიქონებია.

კრიმინალური [ლათ.] — (ქეგლ) სისხლის სამართლის ხასიათისა, სისხლის სამართალთან დაკავშირებული. კ. შემთხვევა.

კრინი — (ქეგლ) სიმღერაში ერთ-ერთი წვრილი ხმა, ზილზე უფრო მაღალი, თქმული ხმის აუწევლად.

კრინოლინი [ფრ.] — (უსლ) განიერი კაბა (ქვედატანი), რომელსაც შიგ დატანებული ჰქონდა ფოლადის მავთულები; მოდაში იყო XIX ს.. 60-70-იან წლებში (ქართულად „ხაბარდას" ეძახდნენ).

„ორივე [ქალბატონი] თავდაუხურავი იყვნენ და კრინოლინის განიერი „ხაბარდა“ ეცვათ“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

კრიპტოგრაფიული — (უსლ) ბირობითი, საიდუმლო ნიშნებით წერა. „[მონასტერში ჩხრეკის დროს] ქერში პროკლამაციები და კრიპტოგრაფიული წერილები იპოვეს“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

კრიტერიუმი [ბერძ.]— (უსლ) ნიშანთვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრავენ, რისამე კლასიფიკაციას ახდენენ; საზომი.

კრიტიკა [ბერძ.]— (უსლ) 1. რისამე განხილვა ღირსებისა და ნაკლის გამოსარკვევად, შეფასების მიზნით. 2. უარყოფითი მსჯელობა რისამე შესახებ, ნაკლოვანებებზე მითითება. 3. მეცნიერული შემოწმება, გამოკვლევა; რისამე უტყუარობისა, რაიმე ტექსტის ანალიზი. 4. ლიტერატურული ჟანრი, მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა ნაწარმოების გარჩევისადმი. კრიტიკოსი — ლიტერატორი, რომელიც რაიმე ნაწარმოების, ვისიმე შემოქმედების კრიტიკას ეწევა. „ბატონყმური წყობილების მძაფრი კრიტიკა ილია ჭავჭავაძემ მოგვცა მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ (სასკ. სახ.-ლო).

კრიტიკული რეალიზმი — იხ. რეალიზმი. 1. „აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა კრიტიკული რეალიზმი.“ 2. „ქართულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა კრიტიკული რეალიზმი“ (სასკ. სახ-ლო).

კრიშნა — (ქსე) (სიტყვასიტყვით — ბნელი, შავი) ღვთაება ინდუიზმში. თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთ ვიშნუს განსახიერებას. ეპიკურ ლეგენდებში — ბრძენი, დამრიგებელი, მეომარი, ბოროტ სულთა დამმარცხებელი; მოგვიანებით, შუა საუკუნეებში ღვთაებრივი მწყემსი. კ.-ს კულტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუიზმში. ლეგენდები კ.-ს სიყვარულზე მწყემსი გოგონების მიმართ უძველესი დროიდან გამოიყენება ინდურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

კრიჭა — (ქეგლ) 1. ზევითა და ქვევითა ყბა ერთად, — პირი. ავადმყოფს კ. გაუხსნეს და წყალი დაალევინეს. 2. პატარა ღარი, წისქვილის ხვიმირის ძირში მიკრული — ხორბლის (მარცვლეულის) სადენად დოლაბში. კ. გაეხსნება — ლაპარაკს შეძლებს, ხმას ამოიღებს. კ.-ში უდგას (ჩაუდგება) — ჯიბრში უდგას (ჩაუდგება); კრიჭაში დგომა — წინააღმდეგობის გაწევა. „კვირა არ გავიდოდა, რომ შეიარაღებული ჯაყო გორის ან ცხინვალის ხელისუფლებას კრიჭაში არ ჩასდგომოდა“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

კრული — (ქეგლ) (ძვ.) დაწყევლილი, შეჩვენებული. „კრულ იყოს მისი სახელი ვინც მთა გასცვალოს ბარზედა“ („ღამურა“— ა. წერ.).

კრწანისის ბრძოლა — (ქსე) 1795 წ. მოხდა. აღა-მაჰმად ხანს 70 ათასი მებრძოლი ჰყავდა. ერეკლე მეფეს ვარაუდით 55-60 ათასი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ 7 ათასიც ძლივს შეკრიბა — ბრძოლის დასაწყისში 5 ათასიღა დარჩა — 2000 ამერელი და 3000 იმერელი. ქართ-

ველები დამარცხდნენ და ქალაქი დასთმეს, რომელიც სპარსელებმა საშინლად აიკლეს. აღა-მაჰმად ხანმა მთელი სამეფო და კერძო ქონება ხელთ იგდო, დაანგრევინა სასახლეები, აბანოები, თოფხანა და ზარაფხანა, სტამბა და სხვა. მცირე ხნის შემდეგ 30 ათასი ტყვე წაიყვანა და წავიდა. მან ვერ მიაღწია პოლიტიკურ მიზანს, ვერ გადაიბირა საქართველო და 1798 წ. ხელახლა წამოვიდა საქართველოზე, მაგრამ მუღანლოს ველზე ჰპოვა სიკვდილი. ორმა ნატყვევარმა ფარეშმა, გამუსულმანებულმა ქართველმა ანდრია მცხეთელმა და ლეკმა საფარამ მოჰკლეს.

ქუბასტი — (საბა) ლეჩაქი.

ქუბიზმი — (უსლ) უკიდურესი ფორმალისტური მიმართულება სახვით ხელოვნებაში, რომელიც რეალური სამყაროს საგნების გამოხატულებას ცვლიდა გეომეტრიული ფიგურების (კუბის, კონუსის და მისთ.) კომბინაციებით.

ქუბო — (ქ. მწ.) 1. თაღიანი, გადმოხურული ტახტრევანი ძველ საქართველოში ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი (საბა). 2. მიცვალებულის ჩასასვენებელი ჭურჭელი (თანამედროვე ქართულში სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა).

ქულა — (ქეგლ) ღვინის გრძელყელიანი, მრგვალმუცლიანი სასმისი უმთავრესად ხისა, აგრეთვე აყიროს (გოგრა — კოში) და ლითონის (ვერცხლი, სპილენძი). კულის ყელის ხვრელი პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება და სმის დროს რაკრაკა ხმას გამოსცემს. ხმიანი სასმისი სუფრაზე სალაღობოდ იხმარებოდა. ზოგჯერ მოჭედილი იყო ვერცხლის ჭედური ფირფიტებით. აყიროს კულას კი გიშრით ამკობდნენ (იხ. აყირო.). კოში — ხისა და გოგრის თასი (საბა). „შე დაჭირების კულაო, მოდი დაგვეხსენ სულაო" (ხალხ.).

ქულაკი [რუს.]— (უსლ) ღარიბი გლეხების, მოჯამაგირეების შრომით გამდიდრებული მესაკუთრე გლეხი; ბობოლა. „გლეხობიდან წარმოიშვა ცარიზმით ზურგგამაგრებული კულაკური ზედაფენა" (სსკ. სხ.-ლო).

ქულაოზი (ყულაოზი) — (ქ. მწ.) მეგზური, გზის მაჩვენებელი, ეტიკი. (იხ. ეტიკი).

ქულმინაცია — (უსლ) უდიდესი აღმავლობის ან უდიდესი დაძაბულობის მომენტი რისამე განვითარებაში. (ა. ჭილაია) მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. მოქმედების განვითარების უმაღლესი წერტილი. ის მომენტი ნაწარმოებში, რომლის ზევით მდგომარეობის დაძაბულობა, ამბის განვითარება ვერ ავა. ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში" კ.-ა ალუდას მიერ ხევისბერის წინაშე მოზვრისათვის თავის მოკვეთა საჯაროდ. კ. იქნება ილ. ჭავჭავაძის „განდეგილში" ის ადგილი, როცა განდეგილის ტრაგიკული განცდები საკოცნელად დახრის ფაქტითაა გამოწვეული, ამის შემდეგ კვანძი იხსნება. კ. ის საფეხურია სიუჟეტის განვითარებაში, რომლის შემდეგ წინააღმდეგობა ვერ გართულდება, ბრძოლა ნელდება, იხსნება კვანძი, ეშვება ამბის განვითარების ხაზი და ნა-

წარმოების შინაარსი ფინალისაკენ მიემართება.

ᲙᲣᲚᲢᲘ [ლათ.]— (უსლ) 1. რელიგიური მსახურება ღვთაებისადმი. კულტის მსახურნი — სასულიერო პირნი, სამღვდელოება. 2. თაყვანისცემა: ვისიმე ან რისამე გაღმერთება. — (ქსე) 1. პატივისცემა; თაყვანისცემა. სილამაზის კ. წინაპართა კ. პიროვნების კ. „ერთიან კულტს უნდა შეემჭიდროებინა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი“ (საქ. გამოცემა). „რომანტიკოსებმა შემოიტანეს ლიტერატურაში ბუნების კულტი“ (შ. რადიანი — XIX ს. ქართ. ლიტ.-რა).

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ [ლათ.]— (უსლ) 1. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში; ამ მიღწევათა გამოყენების უნარი ბუნების ძალთა დასამორჩილებლად, წარმოების გასაზრდელად. 2. რომელიმე ხალხის ან საზოგადოებრივი კლასის ასეთ მიღწევათა დონე გარკვეულ ეპოქაში. 3. სამეურნეო ან გონებრივი მოღვაწეობის რაიმე დარგის განვითარების დონე, ხარისხი. მაგ., შრომის კ., მეტყველების კ. 4. განათლებულობა, ნაკითხობა, ზრდილობა. 5. განათლებული ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცხოვრების პირობების ერთობლიობა. მაგ., ყოფა-ცხოვრების კ.

ᲙᲣᲚᲣᲮᲘ — (ქეგლ) (ისტ.) ღვინის საბატონო გადასახადი. „კულუხს, კოდის ბურს, გადასახადსა ერთიორადა მოგართმევთ შენა“ („კაკო ყაჩაღი“ — ილ. ჭავჭ.).

ᲙᲣᲛᲘᲡᲘ [თურქ.] — (ქეგლ) ცხენის (აგრეთვე აქლემის) რძისაგან დამზადებული სასმელი.

ᲙᲣᲜᲙᲣᲚᲘ, კუნკულა — (ქ. მწ.) ბერის ქუდი.

ᲙᲣᲞᲘᲓᲝᲜᲘ [ლათ.] — (უსლ) რომაულ მითოლოგიაში: სიყვარულის ღმერთი, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ მშვილდოსანი ფრთოსანი ბიჭუნას სახით.

ᲙᲣᲞᲚᲔᲢᲘ [ფრ.] — (უსლ) 1. ლექსის, სიმღერის სტროფი. 2. კუპლეტები — სატირული ან იუმორისტული ხასიათის სიმღერა საჭირბოროტო თემებზე.

ᲙᲣᲞᲠᲘ — (ქეგლ) ფისისებრი შავი ნივთიერება, რომელსაც ხის ან ქვანახშირის მშრალი გამოხდით იღებენ. „ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია“ („რომელი საათია?“ — გ. ტაბ.).

ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ [ფრ.] — (ქეგლ) კოშკის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს და ასრულებს რაიმე პატარა სამუსიკო ნაწარმოებს. კრემლის კ.

ᲙᲣᲠᲐᲢᲘ — (ქეგლ) გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, — კურო, ბუღა. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ როგორც კარგი ნასუქი კურატი“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ᲙᲣᲠᲐᲞᲐᲚᲐᲢᲘ — (ქსე) IV-V ს. ს. ბიზანტიის საიმპერატორო კარის მოხელე, სასახლის დაცვის უფროსი. ითვლებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (იმპერატორის შემდეგ) კეისარსა და ნოველისიმუსთან ერთად. კ.-ობას თავდაპირველად ანიჭებდნენ

იმპერატორის ოჯახის წევრებს, ხშირად — ტახტის მემკვიდრეებს. ამ დროს კ. ჯერ კიდევ რეალური სამოხელეო მოვალეობას ასრულებდა. VIII ს. საპატიო ტიტული გახდა, რომელსაც უმაღლეს არისტოკრატიულ წარმომადგენლებს ანიჭებდნენ; IX ს.-დან უცხოელი ხელისუფლებიც და ბიზანტიელებიც კ.-ობას გარკვეული დამსახურებისათვის იღებდნენ. XI-XII ს.ს. კ.-მა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, XII-XIV ს. ს. მეორეხარისხოვან ტიტულად იქცა, ხოლო XV ს. საერთოდ აღარ მოიხსენიებოდა. კ.-ის ტიტული IX ს.-დან ენიჭებოდათ იბერიის (თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს) მეფე-მთავრებს. პირველი კ. მათ შორის იყო აშოტ I (IX ს.), შემდეგ კ.-ობა მუდმივად ეძლეოდათ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებს, XI ს.-დან საქართველოს მეფეებს (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II). დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტიური ტიტული და მას შემდეგ იგი ქართველ მეფეებს აღარ უტარებიათ. „ბაგრატ მესამეს ახლად მიღებული ჰქონდა კურაპალატის ხარისხი, ამადაც ერთგულებდა ბასილი კეისარს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ — (ქეგლ) (ეკლ.) 1. სასულიერო პირის (მღვდლის და მისთ.) მიერ დალოცვა (ადამიანისა, ხალხისა, სუფრისა და სხვა) ჯვრის გადასახვით. წყლის კ. 2. საეკლესიო წესების შესრულებით დამტკიცება (მაგ., მღვდლად, მეფედ). კურთხეული — (ბიბლ.) დალოცვილი.

ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲘ [ფრ.]— (უსლ) უცნაური, სასაცილო ამბავი, შემთხვევა. „მრავალი კურიოზით, სასაცილო წვრილმანით არის აღსავსე ოტიასა და სონიას პირველი შეხვედრის სცენა“ („ქამუშაძის გაჭირვება,“ დ. კლდ.).

ᲙᲣᲠᲝ — (ქეგლ) 1. დაუკოდავი ხარი, — ბუღა. 2. ~ (დამც.) ვაჟი, საყვარელი ქალისა. 3. (ასტ.) ზოდიაქოს ნიშანი, რომელსაც წლიური მოქცევის დროს მზე გაივლის აპრილში. „ფარსმანს აგონდება კალმახის ფაცერები, საძოვრებიდან მობრუნებული კუროების ბღავილი“(„დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲙᲣᲠᲢᲐᲙᲘ — (ქეგლ) მოკლე ზედა ტანსაცმელი. მოსწავლის კურტაკი.

ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲘ — (ქეგლ) 1. ტვირთის საზიდავი კეხი (სახედრისა) ვირისა. 2. საზურგე ადამიანის მიერ ტვირთის საზიდავად. კურტნის მუშა.

ᲙᲣᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ [ფრ.] —(უსლ) მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა (ძველ საბერძნეთში — გეტერა). „დურმიშხანმა გაჰყიდა სიმდიდრისათვის თავისი თავი, როგორც ერთმა კურტიზანთაგანმა“ („სურამის ციხე“ — დ. ჭონქ.).

ᲙᲣᲠᲢᲣᲐᲖᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ — (უსლ) შუა საუკუნეებში დას. ევროპაში ლიტერატურა, რომელშიც შექებულია რაინდული პატიოსნება, სიყვარული და მისთ. კურტუაზიული სიყვარული — კ. ლ.-ში აღწერილი რაინდული სიყვარული.

ᲙᲣᲡᲢᲐᲠᲣᲚᲘ — (უსლ) არა ფაბრიკული, შინამრეწველური. „მუშას გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი როგორც სამიწა-

თმოქმედო შრომასთან, ისე კუსტარულ ხელოსნურ წარმოებასთან“ (სასკ. სახ.-ლო)

ᲙᲣᲡᲢᲝᲡᲘ — (ქ. მწ.) დარაჯი, ზედამხედველი. „ექვთიმე ხან ზუგდიდის კუსტოსად იყო“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს. — შესავალი).

ᲙᲣᲢᲐᲚᲘ — (ქეგლ) ხელადა, ხის ჭურჭელი ტუჩიანი — წყლისათვის „ჩავიცვამ ბამბა-ბუმბასა, ავიღებ კოკა—კუტალსა („ეთერიანი“ — ხალხ.).

ᲙᲣᲢᲘ — (ქ. მწ.) საპყარი, დავრდომილი. კუტი პური—დაცემული პური. „მაგისთანა პური მარტო იმათ თონეში ცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს“ („ოთარაანთ ქვრივი“ — ი. ჭავჭ.)

ᲙᲣᲨᲢᲘ — (ქ. მწ.) მრისხანე სახის, მკაცრი გამომეტყველების მქონე, გამწყრალი, გაბრაზებული. „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი სიწმინდის მადლით გადაპფენოდა“ („განდეგილი“ — ილ. ჭავჭ.).

ლ

ᲚᲐᲑᲐ — (ქეგლ) რქებდახრილი ხარი — ბელეშა. „ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“ („გუთნისდედა“— ი. ჭავჭ.).

ᲚᲐᲑᲐᲓᲐ — (ქეგლ) გრძელი ზედა სამოსელი, ხალათი. იგივეა, რაც საწვიმარი.

ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ — (უსლ) 1. ბერძნულ მითოლოგიაში მრავალი დახლართული შესასვლელისა და გამოსასვლელის, აუარებელი ოთახის შემცველი, ძნელად გასაგნები შენობა, რომელიც დედალოსმა აუგო მეფე მინოსს კუნძულ კრეტაზე. 2. რთული, დახლართული განლაგება ქუჩებისა, შენობებისა და მისთ. 3. იტყვიან რთულ, დახლართულ, ძნელად თავგასართმევ მდგომარეობაზე.

ᲚᲐᲕᲒᲐᲠᲓᲐᲜᲘ — (ქეგლ) 1. შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული არშია — კარნიზი. 2. კლდის კიდეზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი. „არსაკიძე ათვალიერებდა ლავგარდანების ჩუქურთმებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲚᲐᲕᲠᲐ [ბერძ.] — (უსლ) ზოგი დიდი მამათა მონასტრის სახელწოდება. ათანასეს ლავრა საბერძნეთში, ათონის მთაზე.

ᲚᲐᲖᲐᲗᲘ — ეშხი, მოლხენა.

ᲚᲐᲖᲐᲠᲔ — (ბიბლ. ენც.) მართას და მარიამის ძმა, ცხოვრობდა ბეთანიაში, როცა ლაზარე ავად გახდა, დებმა იესოს მოსაყვანად კაცი გაგზავნეს, თუმცა იესოს ეს ოჯახი ძლიერ უყვარდა, ის დაგვიანებით, ლაზარეს სიკვდილის შემდეგ მოვიდა მხოლოდ, მართა იესოს მიეგება და უთხრა: „აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა“. იესომ უპასუხა: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“. იესო მტირალ ქალებთან

ერთად გამოქვაბულს მიადგა, რომელიც აკლდამის მაგივრობას ეწეოდა. მან გადააგორებინა მიფარებული ლოდი და დაიძახა: „ლაზარე გამოდი“ და სუდარაში გახვეული ლაზარე გამოვიდა. ამ სასწაულის მხილველებმა ირწმუნეს იესო, ამიტომ მღვთელმთავრებმა და ფარისევლებმა გადაწყვიტეს მისი და ლაზარეს მოკვლა. „ბორდოხანი ევედრებოდა კათალიკოსს, აღმიდგინეო ჩემი საყვარელი შვილი ისე, როგორც ქრისტემ ლაზარე“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

ლაზარობა – ამინდის გამომწვევი რიტუალი, რომელიც სხვადასხვა სახით გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ძლიერი გვალვის ან წვიმის დროს ქალები ამზადებდნენ თიხის თოჯინას, დაატარებდნენ სოფელ-სოფელ და მღეროდნენ ლაზარეს საგალობელს. დამხვდურები ჩამომვლელებს წყალს გადაასხამდნენ ან ნაცარს მიაყრიდნენ, იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდის გამოთხოვა უნდოდათ. ჩამოვლისას ისინი აგროვებდნენ სხვადასხვა სანოვაგეს, თოჯინას წყალში გადააგდებდნენ და საერთო სუფრას გამართავდნენ. 1. „ახ, ლაზარე, ლაზარე, ლაზარ მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა, ღმერთო, მოგვეც ტალახიო, აღარ გვინდა გორახიო“. 2. „მეწინავე მონაზონს თეთრ ტილოში გახვეული თიხის ლაზარე მიჰქონდა.“ „ფეხშიშველა დიცები გალობდნენ ლაზარეს, მდინარეში ხატები მიჰქონდათ საბანაოდ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ –კ. გამს.).

ლაზარეთი [ფრ.]– (უსლ) სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო.

ლაზები – (ქსე) ჭანები, ქართველთა ტერიტორიული ჯგუფი, წარსულში ერთ-ერთი ქართველური ტომი. ცხოვრობენ ძირითადად თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, მცირე რაოდენობით აჭარაში, მდ. ჭოროხის აუზში და სამეგრელოში ენგურის შესართავთან (ანაკლია), ლაპარაკობენ ქართველური ჯგუფის ზანური ენის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. რელიგია – მუსლიმანობა. თურქეთში, მიუხედავად ძალდატანებითი გათურქებისა, შეინარჩუნეს თავისი ენა და კულტურა. მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, თევზჭერას. ძველთაგანვე განთქმული ნაოსნები იყვნენ. „ლაზები იყვნენო პირველი ქრისტიანენი საქართველოში“. „საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ჩვენი ძმებია“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

ლათაია – (ქეგლ) არაკი, იგავი, ანეკდოტი. მიკიბულ-მოკიბული, მიდებ-მოდებული, მოჩმახული ამბები. მოჰყვა ლათაიებს.

ლათინური – (უსლ) ძველი რომის ისტორიასთან, კულტურასთან დაკავშირებული. მაგ., ლ. ენა, ლ. შრიფტი. ლ. ამერიკა – შუა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო სახელწოდება. სახელი დაერქვა იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო ენებია რომანული ენები, რომლებიც განვითარდნენ ლათინურიდან.

ლაინი – (ქეგლ) შინ ნაქსოვი ბამბის თხელი ქსოვილი, ჩვეულებრივ, მუქ ლურჯად შეღებილი – მუქი ლურჯი ფერი. ლაინისფერი, ანუ მუქი ლურჯი.

„ლაინისუერ მთებზე ალაგ-ალაგ ათოვდა ხასხასა სითეთრე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲚᲐᲘᲡᲢᲘ არტურ — (ქსე) გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. სწავლობდა ბრესლაუს უნ-ტში, 1881 წ. დაინტერესდა აღმოსავლეთის ქვეყნებით, კერძოდ, საქართველოთი. ლ.-მა დაიწყო ქართული ენის შესწავლა, დაუკავშირდა ქართველ მოღვაწეებს: ნ. ნიკოლაძეს, დ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. მეუნარგიას და სხვ. 1882 წ. პოლონურ პრესაში გამოქვეყნდა ლ.-ის წერილი „ქართველებისა და სომხების ლტოლვა განათლებისაკენ“, ხოლო 1883 წ. გერმანულ პრესაში — „მივიწყებული ლიტერატურა“. 1884 წ. ლ.-მა ი. ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვე დაჰყო საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი „საქართველოს ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“ (1885 წ.), რომელიც პოლონურ ენაზე გამოიცა. ლ. საქართველოს შესახებ წერდა: „ღმერთს დაუბერტყია უხვი კალთა ამ ქვეყანაში“; „გამაოცა ქართული ენის ღროთა და კილოთა სიუხვემ“. 1885 წ. ლ. კვლავ ესტუმრა საქართველოს და ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას (გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიპციგში, 1890 წ.) 1887 წ. გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე.

ᲚᲐᲙᲝᲜᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] — (ა. ჭილაია) ღრმააზროვანი მოკლე თქმა, გულში ჩამწვდომი შეკუმშული პოეტური ფრაზა, მოხდენილი მოკლესიტყვაობა საერთოდ. ლ. სიტყვის დაზოგვით აზრის მოსწრებულად გამოხატვის საშუალებაა. ტერმინი ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარის ლაკონიის სახელიდან შემოვიდა ლიტერატურაში. ლაკონიელებს჻ჰყვარებიათ აზრობრივად შეკუმშვა და მოსწრებული თქმა. ერთმა ლაკონიელმა დედამ ომში მიმავალ შვილს ფარი მისცა თურმე ხელში და ასე უთხრა: „ამით ან ამაზეო“, — რაც გამოხატავდა იმას, გაიმარჯვე ან მოკვდიო. ასეთივე გამონათქვამებია: „მივედ, ვნახე, დავამარცხე“; ან სუვოროვის წერილი დედისადმი: „ცოცხალი ვარ, ჯანმრთელი და ვმსახურობ“.

ᲚᲐᲚᲐ — (ქეგლ) გამზრდელი (მამაკაცი) „ძვირს უხსენებდეს მშობელთა, ლანძღავდეს თავის ლალასა“ (დ. გურ.)

ᲚᲐᲚᲕᲐ — (ქეგლ) შუღლი, ცილობა, ჩხუბი.

ᲚᲐᲚᲘ — (ქეგლ) ძვირფასი წითელი ფერის ქვა. „[ზაალის] ლალის დიდი ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲚᲐᲛᲑᲐᲚᲝ — ლამბალური ადგილია თბილისთან ახლოს, „თბილისში სავაჭრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა (ამ სახელიდან წარმოსდგება მ. ჯავახიშვილის მოთხრობის „ლამბალო და ყაშას“ პერსონაჟის სახელი). „აქ მოდიოდა ყოველგვარი საქონელი და სურსათ-სანოვაგე: მანგლისიდან კარტოფილი, ლამბალურიდან — კარაქი“ („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ — ი. გრიშ,).

ᲚᲐᲛᲘᲧᲚᲐᲞᲘᲐ — (ქეგლ) ჭაობის ფრინველია ერთგვარი. წერო. „კარგი

ვაჟკაცია გირშელი, ლამიყლაპიას რომ არ მიაგავდეს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘ – (ქ. მწ.) პატრუქიანი სანათი.

ᲚᲐᲜᲩᲐ – (ქეგლ) სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა. „უხალისოდ მიედინებოდა შავჩოხიანების ბრბო, ლანჩების ერთობლივი ტკაპატკუპი ისმოდა თემშარაზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს).

ᲚᲐᲜᲓᲝ [ფრ.] – (უსლ) ძველებური ოთხადგილიანი ეტლი (გადასახდელი ზედის მქონე).

ᲚᲐᲝᲙᲝᲝᲜᲘ –(უსლ) ძველ ბერძნულ ეპოსში აპოლონის ქურუმი, ტროელი გმირი, რომელსაც ტროას დაცვისათვის მის ორ ვაჟთან ერთად ორი უზარმაზარი გველი მიუსიეს. ამ სიუჟეტზეა შექმნილი სკულპტურული ძეგლები.

ᲚᲐᲞᲘ – (ქეგლ) ფრინველის ბარტყი. „ხოხბის ლაპისფერი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲚᲐᲞᲘᲓᲐᲠᲣᲚᲘ [ლათ.] – (უსლ) სტილი, რომელიც მოკლედ, სხარტად და ამავე დროს მკაფიოდ გამოხატავს აზრს, გრძნობას (ასეთი სტილი ახასიათებს ძველი რომაული ძეგლების წარწერებს). (ა. ჭილაია) აზრის სხარტად, მოკლედ და მკაფიოდ გამოხატვა, დახვეწილი მეტყველება. ტერმინს სხარტი თქმის სიმბოლური მნიშვნელობით ხმარობენ ლიტმცოდნეობაში.

ᲚᲐᲠᲘ – (ქსე) 1. (ძვ. ქართ.) ძვირფასეულობა, განძეულობა. აქედანვე – სალარო, სადაც მას ინახავდნენ. ლ. საერთოდ ორგვარია: 1. ძვირფასი, ანუ პატიოსანი ქვები, ოქრო-ვერცხლი და მათი ნაკეთობანი; 2. ტექსტილური ნაწარმი, აბრეშუმისა და შალის (მატყლის) ქსოვილები, „კერულნი და უკერულნი“. განძი, ძვირფასი ქსოვილები, ფარჩეული. 2. ჩონგურის ან ფანდურის სიმი; 3. გაჭიმული თოკი (ბაწარი, ძაფი), სხვადასხვა დანიშნულებისა, სწორი გზა ან სხვა რაიმე. „ლარივით სწორი ტანი ჰქონდა ბონდოს, შუაში წელთან გადანასკვული“ („თავადის ქალი მაია“– ლ. ქიაჩ).

ᲚᲐᲠᲜᲐᲥᲘ – (საბა) ესე არს მსგავსად კ.ღობნისა შემზადებული ფიცართაგან ანუ ქვათაგან შთასასმელად კაცთათვის, ხოლო ვიეთნი მკვდართათვისცა შეამზადებენ ქვათაგან. კუბო, ლუსკუმა.

ᲚᲐᲡᲢᲘ – (ქეგლ) წნელის ბრტყელი წნული, ჩელტი. ლასტის კარი. „ლასტის ჯებირი გაარღვიეს ირმებმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს).

ᲚᲐᲢᲐᲜᲘ – (ქეგლ) წვრილი და გრძელი ძელი.

ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ [ლათ. - დაფნის გვირგვინოსანი] – (ა. ჭილაია) ასე უწოდებდნენ ძვ. საბერძნეთსა და რომში სახალხო დღესასწაულზე პოეტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, რომელთაც დაფნის გვირგვინით ამკობდნენ. სC.ჭყვა ლავრა – დაფნისაგან წარმოსდგება. გარკვეულ საუკუნეებში დას. ევროპაში ერქვა კარის პოეტს. დღეს ლ.-ს ეძახიან იმას, ვინც მიიღო პრემია საზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის.

ლაზარო — (ქეგლ) ადგილი შენობის ირგვლივ, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს. „[მამამ] ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაზაროში გაყარა"(„ტრაგედია უგმიროდ"— ნ. ლორთქ.).

ლაფონტენი ჟან (1621-1695) — დიდი ფრანგი მეიგავე, პოეტი, დრამატურგი. ცნობილია იგავთა 12 წიგნით, თარგმნილია მრავალ ენაზე.

ლაფსუსი [ლათ.]— (უსლ) უნებლიე შეცდომა. „კიდევ ერთხელ გადავიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა" და რამდენიმე ეტიმოლოგიური ლაფსუსი გავასწორე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ლაფშა — (ქეგლ) დაკოდილი ცხენი, იაბო. „ანალიფის ლურჯი ლაფშა ამ სამ დღეში მომგვარეო" („გამზრდელი"— აკ. წერ.).

ლაქაში — (ქეგლ) ჭაობის მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარე. აქვს გრძელი ხაზური ფოთოლი, იკეთებს ხავერდოვან, წაბლისფერ თავთავს (КАМЫШ). „[გიორგის] ეუცნაურა გარემო, თვალუწვდენელი ლაქაშები იყო ირგვლივ" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ლაყაფი — (ქეგლ) ლაპარაკი, ლაყბობა.

ლაშარი — (ქეგლ) ფშავის მთავარი სალოცავი. ლაშარის ჯვარი, წმინდა გიორგის სალოცავია, ხოლო გიორგი ლაშამს უკავშირდება (სიტყვაში „ლაშარობა"-ს რ ჩართვია „თამარობა"-ს ანალოგიით.)

ლაში — (ქეგლ) ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, მგლის, ძაღლის) ტუჩი. (გადატ.) დიდი და უშნო ტუჩი ადამიანისა. „მგლებმა ცეცხლივით ანთებული ლაშები უცრო დაალეს" („ამოდის, ნათდება" — გაგა).

ლაციცება — (ქეგლ) მიალერსება, მიფერება („ლანდებთან ლაციცი"— კ. გამს.).

ლაქანი — (ქეგლ) წნელისაგან მოწნული საწოლი, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული. „ჯოყოლამ თავის ლაქანი დაუთმო სტუმარ ზვიადაურს" (სასკ. სახ-ლო).

ლახოსტაკი (გუნდა-ლახოსტაკი) — (ქეგლ) თმის წარბებისა და წამწამების სალებავი, მუხის კაკრა (იხ. გუნდა-ლახოსტაკი).

ლახტი — (ქეგლ) გრძელი უტარო მათრახი, რომელსაც ძველად ბრძოლაში იყენებდნენ საცემრად. „საარაკო იყო მათი ლახტის ცემა" („ბაში-აჩუკი"—აკ. წერ.).

ლმობა — (ქ. მწ.) ტკივილი. „ლმობითა ვხედავ ძველთწარმავალთა მოხუცთა, ვაჟთა, ქალთა" („ვისაც გსურთ"— ალ. ჭავჭ.).

ლეგენდა — (ანდ. ჭილ.) ხალხურ თქმულებებზე აგებული ფანტასტიკური ამბავი, ძნელად დასაჯერებელი, არარეალური შინაარსის თხრობა. ლეგენდარული შეიძლება იყოს როგორც ამბავი, ისე რომელიმე გმირი, ისტორიული პირი. მაგრამ დაუჯერებელი ამბავი და მოქმედება, მხატვრული სამოსით წარმოდგენილი, შემეცნებით და ესთეტიკურ მნიშვნელობას ღებულობს და მკითხველზე დიდ ემოციურ გავლენას ახდენს. ილ. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა", აკ. წერეთლის „გოგია მეჩონგურე". „ამბავი თბილისის დაბადებისა".

ლეგიონი — (უსლ) 1. ძველ რომში: საჯარისო შენაერთი. 2. მხედართა რაზმი, იგივეა, რაც პოლკი. „ამ ხიდზე გაუვლიათ რომაელთა ლეგიონებს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ლედი — (უსლ) დიდ ბრიტანეთში ლორდის ან ბარონეტის მეუღლე; გათხოვილი ქალი.

ლევიათანი — (საბა) ითარგმნების: მეფე წყალთა, ვითარმედ წელზეით კაცი და ბოლო თევზთა-მქონებელი იყოს კაცითევზი. (უსლ) ბიბლიური გადმოცემით ზღვის უზარმაზარი ურჩხული. „შენ — დაგეშილი დედალი ორბი, შენ — დაგრაგნილი ლევიათანი" (გ. ლეონ.).

ლეიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმ (1646-1716) — (ქსე) გერმანელი ფილოსოფოსი, აკადემიის პრეზიდენტი. 1676 წ.-დან სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე მუშაობდა ბიბლიოთეკარად ჰანოვერის ჰერცოგთან. იყო მათემატიკოსი (გამოიგონა დიფერენციალური გამოთვლები), ფიზიკოსი (იწინასწარმეტყველა ენერგიის შენახვის კანონი), გეოლოგი, ბიოლოგი, ისტორიკოსი. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". — ლეიბნიცი, — ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას" ეპიგრაფის ავტორი.

ლეიბორისტი — (უსლ) ინგლისის რეფორმატორული მუშათა პარტიის წევრი.

ლეიტმოტივი, ლაიტმოტივი — (ანდ. ჭილ) მწერლის შემოქმედების ან რომელიმე ნაწარმოების მთავარი მოტივი, შემოქმედების მხატვრული ჩანაფიქრის ძირითადი საფუძველი, მთავარი საყრდენი, რომელიც არაერთხელ მეორდება. მაგ., ა. წერეთლის შემოქმედების ლ.-ია ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილის სხვადასხვა კუთხით ჩვენება; ხალხის ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ლეკები — (ქსე) დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდება: ძირითადად იგულისხმებოდნენ დაღესტნის სამხრეთში (საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე) მცხოვრები დაღესტნელი ტომები.

ლეკური — (ქეგლ) 1. ლეკების დამახასიათებელი, ლეკებში გაკეთებული — ნაბადი, ქამარ-ხანჯალი. 2. ქართულის (ცეკვის) ძველებური სახელი. 3. უვადო ხმალი.

ლელანგო — (ქ. მწ.) ნამცხვარი, ნაზუქი. საპასექო ლელანგო — სააღდგომო ნამცხვარი. „სწორედ ფარსმანს შეხვდა ის ლელანგო, რომელშიც პაწია ქლიბი შეეტანა ქართველ ბერს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ლელი — (ქეგლ) წყლისპირა წვრილღეროიანი მცენარეა, წვრილი ლერწამი. ლელიანი — ის ადგილი, სადაც ლელი ხარობს. „ესროლა ლელიანში ჩამჯდარ წეროს გიორგიმ" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ლელო — (ქ. მწ.) 1. ძველებური ბურთის თამაში ერთგვარი: ორ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშენი ცდილობენ ბურთის გატაცებას და მოწინააღმდეგის ლელოზე გატანას. 2. ამ თამაშში —

ადგილი, სადაც ბურთი უნდა გაიტანონ. ლელოს გატანა — მიზნის, გამარჯვების მიღწევა. „ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო" („მშობლიურო ჩემო მიწავ"— გ. ტაბ.).

ლემი — (ქსე) ზოომორფული დროშა, რომელიც დაცულია სვანეთში სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში (მესტიის რ-ნი). გამოჰქონდათ ზაფხულის დღესასწაულზე, ხილიშზე. „ლ". ხის ტარიანი იყო. ტარს ჩამოცმული ჰქონდა ვერცხლის შუბისებრი თავი, რომელზეც წმინდანთა გამოსახულებები და ასომთავრული წარწერა იყო ორივე მხარეზე. კერავდნენ აბრეშუმის ქსოვილისაგან, უკეთებდნენ ვერცხლის ყბებს, კბილებსა და ენას. თავზე აკერებდნენ ყურებს, თვალები და ცხვირი გამოჰყავდათ ვერცხლისფერი სირმით. დროშას, კუდის ჩათვლით 2,4 მ სიგრძე ჰქონდა. სწრაფი მოძრაობისას ჰაერით ივსებოდა და ცხოველის ფორმას იღებდა.

ლენინიზმი — (უსლ) ვ. ი. ლენინის მოძღვრება, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებასა და კონკრეტიზაციას იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების პირობებში.

ლეონარდო და ვინჩი (1452-1519)— (ქსე) იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, მეცნიერი და ინჟინერი, აღორძინების ხანის იტალიის კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. გლეხი ქალისა და შეძლებული ნოტარიუსის უკანონო შვილი. მრავალმხრივი ცოდნა ბუნებისმეტყველებასა და ტექნიკაში ლ. დ. ვ.-მა საკუთარი დაკვირვებებითა და მეცადინეობით შეიძინა. იგი ექსპერიმენტულად სწავლობდა ადამიანის სხეულის ანატომიურ აგებულებას, პროპორციებს, მოძრაობას. იკვლევდა ფრინველთა ფრენის მექანიზმს. პირველი სურათები XV ს. 70-იან წლებში შექმნა: „ხარება", „ბენუას მადონა". 1480 წ. მას საკუთარი სახელოსნო ჰქონდა. მისი სურათებია: „მოგვთა თაყვანისცემა", „წმ. იერონიმე", „საიდუმლო სერობა", „მონა ლიზა" („ჯოკონდა"), „იოანე ნათლისმცემელი". ლ. დ. ვ.-ს ფლორენციაში ყოფნისას ერთგვარი შეჯიბრება მოუხდა მიქელანჯელოსთან. უნდა მოეხატათ პალაციო ვეკიოს დიდი დარბაზი.

ლ. დ. ვ.-ის შემოქმედება ახალი მაღალი საფეხურია რენესანსის ხელოვნების განვითარებაში. იგი ღრმად დაუპირისპირდა შუა საუკუნეთა მისტიკურ-დოგმატურ აზროვნებას. თუმცა მისი სურათები რელიგიურ თემაზეა, მაგრამ მას უპირველესად აინტერესებს ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანი თავისი ფიზიკური სილამაზითა და სულიერი სიღრმით. ლ. დ. ვ.-ის დამსახურებაა, რომ ადამიანი იქცა აღორძინების ხანის ხელოვნების უმთავრეს ობიექტად. ადრინდელ მხატვართა ნამუშევრებისათვის დამახასიათებელ კონტურთა სიმკვეთრე შუქისა და ჩრდილის შეუმჩნეველი გადასვლით შეცვლა. „შენი ღიმილი... ლეონარდო და ვინჩის ხელის მე არ მინახავს გაჟრენა და გაუკვდავება" („შენი ღიმილი" — გ. ტაბ).

ლეონტი მროველი — (ქსე) XI ს. ქართველი მოღვაწე, რუისის ეპისკ-

ობოსი. იხსენიება 1066 წ. დათარიღებულ წარწერაში, რომელიც 1957 წ. ქართლის მახლობლად სოფ. თრეხვში აღმოაჩინეს; აგრეთვე — როგორც მთავარეპისკოპოსი, ათონის ერთ-ერთ ხელნაწერში და ამჟამად პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ XI ს. ხელნაწერში.

ლერმონტოვი მიხეილ (1814-1841) —(სიბრძ. სიმფ. — აკ. გელ.) დიდი რუსი პოეტი რომანტიკოსი, მისმა პოეტურმა გენიამ და მეამბოხე ბუნებამ ადრევე მიიპყრო ხალხისა და იმპერიის მესვეურთა ყურადღება. 23 წლისამ დაწერა მრისხანე ლექსი პუშკინის დუელში დაღუპვის გამო, შეუპოვრად დაესხა თავს „ტახტის გარშემო შეკრებილხროვას", რომელმაც იმსხვერპლა პოეტი. ამისათვის გადაასახლეს კავკასიაში, იყო თბილისში, არაერთხელ შეეხო ქართულ თემას („მწირი", „ჩვენი დროის გმირი", „დემონი", თამარის სახის თავისებური დამუშავება) 27 წლისა დუელში მოკლა ვინმე მარტინოვმა. იმპერიამ ლერმონტოვის მკვლელს მიუსაჯა... მონანიება.

ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729-1781) — (ქსე) გერმანელი მწერალი, განმანათლებელი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებელი. მნიშვნელოვანია ლ.-ის ნაშრომები: „ლაოკოონი ანუ პოეზიასა და მხატვრობას შორის არსებული საზღვრების შესახებ", „მსჯელობანი იგავ-არაკის თაობაზე", „ანტიკვარული შინაარსის წერილები". ი. ჭავჭავაძე ლ.-ს იხსენიებს „სახელოვან გერმანელ კრიტიკოსად", „მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულ გერმანელად", ხოლო მის „ლაოკოონს" — „სახელოვან თხზულებად" (პიესის გმირი სცენაზე აღტაცებით იმეორებდა: „როგორ, პრინც ირაკლის ამბავი არ გსმენია, ადამიანო? ვხედავ, გაზეთებსაც ისევე იშვიათად კითხულობ, როგორც ბიბლიას. მაშ, შენ არ გაგიგონია პრინცი ერეკლე? მამაცი ადამიანი, რომელმაც სპარსეთი შემუსრა და დღეს თუ ხვალ ოტომანთა დინასტიაში შეიჭრება? — არა, ჯარისკაცი ვიყავი და ჯარისკაცად მინდა დავრჩე. მივდივარ, რომ პრინც ირაკლის დროშის ქვეშ დავდგე და ერთი-ორჯერ თურქებზე გავილაშქრო...") ლ.-ის პიესებიდან ქართულ სცენაზე დაიდგა „ემილია გალოტი", „ნათან ბრძენი".

ლექსთწყობის სისტემები — წყობილსიტყვაობის ორგანიზაციის ძირითადი წესები, ლექსის რიტმული ელემენტების აღნაგობა საერთოდ. ძირითადი სისტემებია: მეტრული, სილაბური, ტონური და სილაბურ-ტონური.

1. მეტრული წყობა ახასიათებდა ძველბერძნულ და ლათინურ ენებს; აგრეთვე არაბულს, სპარსულს, მას ანტიკურსაც ეძახიან. ანტიკური ლექსის რიტმი გამოიხატებოდა არა მარტო მარცვლობრივ ერთეულთა წარმოთქმის დროს თანაზომიერებით, არამედ ამასთან ერთად მელოდიური თანაზომიერებითაც (კილო, ტემპი, ტემბრი). ამ მელოდიურობის წყარო იყო გრძელი და მოკლე მარცვლების თანაზომიერი წყობა. ანტიკურ ლექსს მღეროდნენ. პოეტი ამავე დროს მომღერალიც იყო. იგი უძველესი ლექსთწყობაა. 2. სილაბური ლექსთწყობა — აქ რიტმულ ერთეულად მიღებულია არა მარცვალთ გამოთქმის ხან-

გრძლივობა, არამედ მარცვალთა რაოდენობა. აქედანაა სახელწოდებაც (სილაბური — მარცვლოვანი). სილაბური ლექსის ჩამოყალიბებამ ლექსი დააშორა სიმღერას და თანდათან წმინდა სამეტყველო-სასაუბრო ხასიათი მიიღო (ბიზანტიური იამბიკოები). რიტმული ერთეულების შეცვლამ გამოიწვია რითმის გაჩენა. რითმა სილაბური ლექსის დამახასიათებელი ელემენტია. სილაბური ლექსთწყობა ამჟამად ყველაზე გავცელებულია რომანულ ენებში. 3. სილაბურ-ტონური ლექსთწყობა მიღებულია იმ ენებში, რომელთაც სიტყვის ამა თუ იმ მარცვალზე მახვილი ახასიათებს. ასეთი ლექსის რიტმის საყრდენია მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი განმეორება (რუსული, გერმანული) აქ რიტმის ამოსავალი მახვილია და მახვილთა შორის მარცვალთა თანაბარი რაოდენობა.

ქართული ლექსი სილაბურურ-ტონურია, რადგან იგი სალექსო სტრიქონში ძირითადად ემყარება მარცვალთა რაოდენობას, მაგრამ გარკვეულ როლს ასრულებს მახვილი, ტონი. ქართული ლექსის ზომა და სახეობა მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ხასიათდება: ოცმარცვლოვანი, თექვსმეტმარცვლოვანი, ათმარცვლოვანი, რვამარცვლოვანი, შვიდმარცვლოვანი, თხმარცვლოვანი და ა. შ.

ლეყევო — (ქეგლ) დამდგარი წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე ლორწოვანი მასა.

ლიბერალი — (უსლ) 1. ლიბერალიზმის მომხრე, მიმდევარი. 2. ვინც ლიბერალიზმს იჩენს, ვინც უარყოფით მოვლენებს ჩქმალავს, ურიგდება. 3. ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა სიტყვახმარებაში — მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი. „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“. — ილია გრ. ორბელიანის მისამართით რომ ამბობდა, მე-3 მნიშვნელობას გულისხმობდა. „გრიგოლ ორბელიანი ახალ თაობას უსაყვედურებს ცრუ ლიბერალიზმს“ (სასკ. სახ-ლო).

ლიბო — (ვაჟა) საძირკველი „ლიბოდათხრილი კოშკები“ (გ. ლეონ.).

ლიდერი — (უსლ) 1. მეთაური, ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიისა; 2. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი.

ლიზღება — (ქ. მწ.) ცბიერი ალერსი. ლიზღი — თავხედი, უტიფარი (ლირწი).

ლიმონა — 1204 წ. ქ. ლიმონას დაპყრობა ქართველების მიერ. „თვით სულ იმონა, კიდე ლიმონა“.

ლინგვისტიკა [ფრ.] — (უსლ) მეცნიერება ენის შესახებ; ენათმეცნიერება.

ლინჩის სამართალი — (უსლ) ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრბოს მიერ დასჯა (ცემა-წამება, მოკვლა) გამოძიებისა და გასამართლების გარეშე (ვინმე პლანტატორის რასისტ ჩარლზ ლინჩის გვარის მიხედვით.)

ლიონიძე სოლომონ ანდრიას ძე — (ქსე) ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი, დიპლომატი, მჭევრმეტყველი. იზრდებოდა თელავში, სადაც დაეუფლა სომხურ, სპარსულ, თურქულ და რუსულ ენებს. XVIII ს. 80-იანი

წლებიდან 1801 წ.-მდე იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარის მსაჯული, მდივანბეგი. იღვწოდა საქართველოს სოც.-პოლიტ. და კულტ. პროგრესისათვის. სპარსულ-ოსმალური ძალადობისაგან ქვეყნის ხსნის პირობად მიიჩნევდა პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს გაერთიანებასა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ამ იდეის განსახორციელებლად აუცილებლად მიაჩნდა რუსეთთან კავშირის განმტკიცება. აქტიურად მონაწილეობდა 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებაში. ცნობილია ლ.-ის მჭევრმეტყველური ეპისტოლიები და სამგლოვიარო სიტყვები, განსაკუთრებით კი ერეკლე II-ის გარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვა: „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარისა ღირსისა“ (1798 წ.). თხზულება შეიცავს ერეკლე II-ის ხოტბას, გამოირჩევა ღრმა იდეური შინაარსით, ამაღლებული ტონით, მოხდენილი შედარებებით. იგი დარბაისლური ქართულის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. „დიდი ოსტატობით გვიხატავს ნ. ბარათაშვილი მეფის მსაჯულს — სოლომონ ლიონიძეს“ (სასკ. სახ.-ლო).

ლირა [ბერძ.] — (ანდ. ქილ.) დასამღერებელი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც სრულდებოდა პოეტური ნაწარმოები, აქედან — ლირიკა. სიტყვა „ლ.“ ლიტერატურაში იხმარება როგორც პოეტური შთაგონების სიმბოლო. ქართულში ლ.-ის სინონიმია ჩანგი. ამიტომაც ვამბობთ — პოეტის ლ., პოეტის ჩანგი.

ლირიკა — (ანდ. ქილ.) ლირასთან დაკავშირებული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი გვარი, უსიუჟეტო და მკრთალსიუჟეტიანი ლექსითი ნაწარმოები. ლირიკულ ნაწარმოებში სინამდვილე განსახიერებულია პოეტის მიერ მიღებული შთაბეჭდილებებით. გადმოცემულია ადამიანის ცალკეული განცდა, გრძნობა, აზრი, განწყობილება. ეს განცდა კონკრეტულ-ინდივიდუალურია, მაგრამ განზოგადებული, ტიპური. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჰკარგავდა საქვეყნო მნიშვნელობას და კერძო, პირადულის, ინტიმურის დონემდე დაეშვებოდა. ნ. ბარათაშვილის „საყურე“, რომელიც ერთი შეხედვით პირადულია, ინტიმური ცხოვრების ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს თითქოს, მაგრამ ეს პირადული იმ სიმაღლემდეა აყვანილი, რომ ყველა ადამიანის სატრფიალო განცდას ეხმაურება. ლ.-ში მეტყველების ფორმა ყოველთვის ლექსითია. სიუჟეტის მაგივრობას შემოქმედის განწყობილება ასრულებს. ლ.-ში გადმოცემულია ცალკეული განცდები, განწყობილება, შთაბეჭდილება. ლირიკული გმირი უპირატესად თვითონ ავტორია. ლირიკული ჟანრის ნაწარმოებებია: ჰიმნი, ელეგია, ოდა, ეპიგრამა, ეპიტაფია, სატრფიალო ლირიკა; ლირიკული მომენტი შეიძლება ჩართული იყოს ეპიკურ ნაწარმოებში, როგორც ლირიკულ გადახვევა. ლირიკული ხასიათის შეიძლება იყოს პროზაული ნაწარმოებიც. (ვაჟას — „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „ფესვები“, „მთანი მაღალნი“).

ლირიკული გმირი — (ანდ. ქილ.) ადამიანური მისწრაფებების, აზრის, იდ-

ეების, იდეალების, გრძნობების, განცდების და განწყობილებების გამომხატველი პოეტურ ნაწარმოებში, როცა ყოველივე ამის გამომხატველი თვით ავტორია. არა მარტო ლირიკაში, არამედ სხვა ჟანრშიც ლირიკულ გმირად ავტორი გვევლინება. პოეზიაში უპირატესად ლირიკული გმირი არის თვით ავტორი. საილუსტრაციოდ საკმარისია ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძისა და სხვათა პოეზია.

ლირში, ლირწი — (ქეგლ) თავხედი, ურცხვი, უტიფარი. ლირწი — იგივე მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანშიც" გამოიყენება (და აჭარულ დიალექტშიც). „ხოგნი ითმენდნენ იმის ლირფობას" („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" — ლ. არდაზ.).

ლიტანია [ბერძ.] — (ქეგლ) სავედრებელი ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიდნენ. იმართებოდა დიდი დღესასწაულის (ან საერთო განსაცდელის) დროს. „უვლიდნენ ტაძრებს კელაპტრებითა, გახშირდა საღმრთო ლიტანიობა" („თორნიკე ერისთავი" — აკ. წერ.).

ლიტაო — (ქეგლ) სწორად აზრდილი უტოტებო ხე. (გადატ.) მარტოსული, ობოლი. „ნინუცი, ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტაო, არავინა მყავს გულშემატკივარი! — კანკალებდა სახეცრემლიანი ფუფალა" („ნატვრის ხე" — გ. ლეონ.).

ლიტერატურა — (ანდ. ჭილ.) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და პირველად ნიშნავდა ასოს, ანბანს, ნაწერს საერთოდ. მაგრამ ცნების პირველი გააზრება შეიცვალა და დღეს ეს სიტყვა გულისხმობს აზრის მეცნიერული და მხატვრული გამოსახვის ფორმას. მხატვრული ლ. სიტყვის ხელოვნებაა. მის შინაარსს ქმნის ადამიანის ცხოვრების ისტორია. მხატვრული ლ. მეცნიერებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სინამდვილეს სახეებით წარმოგვიდგენს, მაგრამ ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია სინამდვილის ყველა დეტალი, ადამიანის სულის მოძრაობის ყველა ნიუანსი აჩვენოს. ლ.-ს აქვს გამოსახვის ისეთი საშუალება, როგორიცაა სიტყვა, რომლითაც ხერხდება ცხოვრების ყველა სფეროს ფართოდ და სრულყოფილად ჩვენება. ხელოვნების სხვა დარგები შეზღუდულია ფერით, ხაზით, ბგერით, ქვით თუ ხით. მხატვრულ მეტყველებას შეუძლია აჩვენოს არა მარტო ეპიზოდი, არამედ მთლიანი ისტორია ადამიანის ცხოვრების, საზოგადოების.

ლიტერატურის თეორია —(ქსე) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ლიტერატურის სტრუქტურის ზოგად კანონებს, მხატვრული მეთოდის, სტილის, ჟანრისა და სხვა საკითხებს.

ლიტერატურის ისტორია — (ქსე) მეცნიერება, რომელიც კონკრეტ. ლიტ. ზეპირი და წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე აშუქებს ისტ.-ლიტ-ლი პროცესის ობიექტურ კანონზომიერებას.

ლიტერატურის კრიტიკა — (ქსე) სწავლობს და აფასებს თანამედროვე ლიტ-ულ ნაწარმოებებს.

ლიტერატურული მიმდინარეობა — (ანდ. ჭილ.) იდეურ-მხატვრულ თავ-

ისებურებათა ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს განსაზღვრულ მწერალთა ჯგუფს, ქმნის ლიტერატურული მიმდინარეობის შინაარსს. ცნობილია, რომ ყოველ მწერალს თავისი მსოფლმხედველობა, სურვილი და მისწრაფება აქვს. ერთ იდეურ პოზიციაზე მდგარი ერთგვარი ესთეტიკური შეხედულების მქონე მწერლები ერთ მხატვრულ-სტილისტიკური მიდრეკილების ჯგუფს ქმნიან. ამ ჯგუფის წევრებს აქვთ თავისი დამახასიათებელი თავისებურებანი, საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობა, მაგრამ ამავე დროს საერთო განმსაზღვრელი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობაც ახასიათებთ. ამ ნიადაგზე შეიქმნა ლიტერატურული მიმდინარეობანი: ფრანგული კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, ნატურალიზმი, ხალხოსნობა; დეკადენტობის სხვადასხვა დაჯგუფებანი: სიმბოლიზმი ფუტურიზმი, აკმეიზმი, დადაიზმი, კუბიზმი და სხვა. მაშასადამე, შემოქმედების მეთოდს, რომელიც რომანტიზმითა და რეალიზმითაა წარმოდგენილი საერთოდ, უწნდება მიმდინარეობანი. მაგ., რომანტიზმს — ნეორომანტიზმი, დეკადენტობა და მისი დაჯგუფებანი, რეალიზმს — ნატურალიზმი, ხალხოსნობა, ლ. მ. და ლიტერატურული მიმართულება ხშირად ერთნაირი შინაარსის შემცველი ცნებებია. ისინი ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გამიჯნულა.

ლიტოტესი [ბერძ.] — (ლიტ. თეორია) ტროპის სახე, ჰიპერბოლის საპირისპირო ფორმა, გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, რომელიც საგნებისა და მოვლენების დამცირებისა და დაპატარავებას ემყარება, რითაც ხშირად მხატვრული ეფექტი მიიღწევა. 1. „სუტკნეინა ისე მოიკუნტა, ისე მოიკუნტა, რომ მუშტისოდენა გახდა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.). 2. „ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმაჭამა ეყოფა“. (ლიტეტოსი) „სადილად ბუღა-კამეჩი, გახშმად არც სამი ეყოფა“ (ჰიპერბოლა) („ამირანი“ ხალხ.).

ლიტრა — (ქეგლ) 1. სითხის საზომი ერთეული =1 000სმ^3; 2. თიხის პატარა, ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი. „ლ.-ს ეუბნებოდნენ, კოკავ შენ გესმოდესო“. ძველებური წონის ერთეული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული. უდრიდა 1-4 კგ-ს. „ცოლსა დიდი ცოში უნდა ასი ლიტრა საფანელიო“ (ლიტრა აღვირი, ლიტრა მარილი). ლ. ძველ ქართულში სხვადასხვა საგნების საზომია. მაგ. საბას განმარტებით ნ ლიტრა ერთი მეტრია.

ლიტურგია — (ანდ. ჭილ.) მღვდელთმსახურება, ქრისტიანული წირვის შესრულების ცერემონიალის წესები. ლიტურგიკა კი მოძღვრებაა მღვდელთმსახურების კანონების შესახებ. საერთოდ ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ჟანრია. იგი შეიძლება იყოს როგორც ლექსითი, ისე პროზაული. ჰიმნოგრაფია საერთოდ.

ლიუციფერი — (უსლ) ქრისტიანულ მითოლოგიაში: ეშმაკი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ბოროტების ღვთაება, სატანა. „ჩახმახის წუთი / ბნელ სიჯრცეში აშლილი ბოლი, შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი:/ლიუციფერი: — ვინ არის ეს ქალი,/ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ (გ. ტაბ.).

ლიქნა – (ქეგლ) მლიქვნელობა, მო-ფერება. „მამამზე ლიქნიდა კათალიკოსის წინაშე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ლიცენცია პოეტური [ლათ.] – (ანდ. ჭილ.) პოეტური თავისუფლება, თვით-ნებობა რითმის ან გრამატიკული კანონების მიმართ. ლიცენცია პოეტიკურ სტილის-ტიკაში ცნობილია როგორც პოეტის თა-ვისუფლება – მკაფიო პოეტური გამოსახვის მიზნით დაარღვიოს ლოგიკურ-აზრობრივი, გრამატიკული და სტილისტური ნორმა. ამ საფუძველზე შექმნილი სახე ინარჩუნებს მხატვრულობას, ემოციურობას. 1. „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყივის“. (ი. ჭავჭ.) 2. „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდა“ (ი. ჭავჭ.) 3. „ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკივანი“. 4. „მე დ' იმან უნდა ვიომოთ ნაქებ რო არის მკვლავითა“ (ვაჟა). ე. ი. აპოსტროფიც პოეტური ლიცენციაა.

ლოგიკა [ბერძ.] – (უსლ) 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. 2. მსჯელობისა და დასკვნათა თანმიმდევრულობა. 3. შინაგანი კანონ-ზომიერება. „მძიმე ცხოვრება ხალხს აიძულებდა ებრძოლა უკეთესი მერ-მისისათვის. ასეთი იყო ცხოვრების ლოგიკა“ (სასკ. სახ.-ლო). „ყველაფერ ამის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ ახალ (XX) საუკუნეს სამარცხვინო ზეიმით შევხვდით“ (ნ. გრიგ. – წიგნი I).

ლოგოპედია [ბერძ.] – (უსლ) მეც-ნიერება მეტყველების სხვადასხვა ნაკლსა და მათი მკურნალობის შესახებ.

ლოიალური [ინგლ. – „ერთგული“] – 1. არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე. 2. რაც ასეთ ერთგულებას გამო-ხატავს. მაგ., ლოიალური დამოკიდე-ბულება. 3. ვინც წესიერად, კეთილსინ-დისიერად ექცევა ვისმე ან რასმე. „[მაშ, ჯაყოს] გამოუცხადე ლოიალობა და ერთგულად იმსახურე“ („ჯაყოს ხიზნები“ – მ. ჯავახ.). „ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა ყორონცოვის ლოიალური პოლიტიკა ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებნა“ (სასკ. სახ.-ლო).

ლოკალური – (უსლ) განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი. ადგი-ლობრივი (გლობალურის საპირისპირო) „დიდოსტატის მარჯვენას“ ცალკეული სახე ან საგანი ჩნდება და ქვეყნის სივრცეში, ხანაც ლოკალური გარემოს ხილვადობას ამკვეთრებს“ (ს. სიგ.).

ლომისი – (ქსე) წინაქრისტიანული ღვთაება მთიულეთში. მისი სახელობის სალოცავებია ქსნისა და არაგვის წყალ-გამყოფ ქედზე. დღესასწაული იმართებოდა აღდგომის მე-7 კვირას. ლომისს ევედ-რებოდნენ შვილიერებას., თვალის სინათ-ლეს, მიწისა და საქონლის ნაყოფიერებას. ლომისის სახით თაყვანს სცემდნენ საწი-ნამძღვრო ჯვარს, რომელიც ტარზე იყო დამაგრებული და ოთხსავე ბოლოზე ბურ-თები ჰქონდა მიმაგრებული. ლომისის კულტი ქრისტიანობის ხანაში წმ. გიორგის სახელს უკავშირდება. „ლომისის მადლმა, მიწაა!“ (შ. არაგვ.)

ლოპიანა – გრიგოლ ორბელიანის მეგო-ბარი, პროფესიით მეთევზე, რომელსაც ყოველ დილით „ცოცხალი“ მოჰქონდა მასთან. ზოგიერთნი ლოპიანას ორბელიანის ადიუტანტსაც უწოდებდნენ. ლოპიანა განთქმული მოკრივე ყარაჩოღელი იყო. „ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის, ვის რათ უნდა ლოპიანა ვინ

ლ

არის?“ („მუხამბაზი“ – გრ. ორბ.). „ნოვღოროდის ლიბერალო, ლოპიანას მომღერალო...“ (ა. წერ.)

ᲚᲝᲞᲘᲜᲐᲠᲘᲡᲤᲔᲠᲘ – (ქეგლ) იგივეა, რაც ხანჭკოლა (ერთი ან მრავალწლოვანი პარკოსანი მცენარე), ცერცვი. ლოპინარი. „[განმგეთუხუცესი] ზანტად აფახულებდა ლოპინარისფერ თვალებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.)

ᲚᲝᲠᲓᲘ [ინგ.] – (უსლ) ინგლისის უმაღლეს თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული.

ᲚᲝᲠᲘ – (ქეგლ) ღორის ხორცი დამარილებული და ბოლში გამოყვანილი. „სოფელში ჩაგზავნილი მორჩილნი ლორს მოახელებდნენ და სჭამდნენ ჩუმად“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲚᲝᲠᲜᲔᲢᲘ – [ფრ.] – (უსლ) სახელურიანი დასაკეცი სათვალე (მოდაში იყო თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეებში). „და ლორნეტის ორი მინა ისე ხარბად მზვერავს...“ (ი. გრიშ.).

ᲚᲝᲠᲤᲘᲜᲝ – ქვის ფიცარი, ქვის ფილა, სახურავის (ან სასაფლაოს) ლორფინები. „ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს“ („გამოთხოვება“ – ი. გრიშ.)

ᲚᲝᲢᲑᲐᲠᲘ – (ქეგლ) მომღერალია გუნდის ხელმძღვანელი. „ფილადელფოსმა ნარჩევი რიტორიკული მჭევრობით ხოტბა შეასხა ზაალს და დანარჩენებს ლოტბარივით დაუქნია ხელი“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.)

ᲚᲣᲕᲠᲘ – (ქ. მწ.) მეფეთა სასახლე საფრანგეთში. „მაგრამ ღიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან, როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს ჯიოკონდა“ („შენი ღიმილი“ – გ. ტაბ.).

ᲚᲣᲙᲐ – (ბიბლ. ენც.) ლუკას სახარებისა და მოციქულთა საქმეების ავტორი, პროფესიით ექიმი, პავლე მოციქულის მეგობარი, როგორც თვითმხილველმა აღწერა პავლეს მრავალი საქმიანობა. ლუკამ მოციქულებისა და პირველქრისტიანებისაგან გაიგო იესოს ცხოვრების მრავალი წვრილმანი და ქრისტიანული ეკლესიის წარმოშობის ამბები.

ᲚᲣᲛᲑᲐ – (საბა) საჭედარი ცხენისა თუ ფეხსაცმელისა, ნალი. „გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა... ვერცხლის ლუმბა“ („მოხუცი გუთნისდედის, „სიკვდილი“ – გ. ლეონ.).

ᲚᲣᲡᲙᲣᲛᲐ – (ქ. მწ.) (ძვ.) ბუდე ჯვრისა, ან ხატისა, ან სარკოფაგი. ზანდუკი, კიდობანი, საფლავი, კუბოს ლარნაკი: რაიმეს შესანახი სკივრი, ყუთი. „ძელიცხოვლის ჯვარი მიართვა [მელქისედეკმა მეფეს] პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ლუსკუმაში ჩადებული“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲚᲣᲢᲘ – (საბა) კაცი უსახლკარო. „ლუტი ძმები“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

მაგია — (უსლ) ჯადოქრობა, მისნობა.

მაგისტრი — (უსლ) 1. რევოლუციამდელ რუსეთსა და საზღვარგარეთის ზოგ ქვეყანაში: სამეცნიერო ხარისხი; ამ ხარისხის მქონე პირი. 2. შუა საუკუნეებში ბერ-მონაზვნური ორდენის ან მეთაურის ტიტული. ამ ტიტულის მქონე პირი.

მაგისტრალური — (უსლ) მთავარი, ძირითადი. მაგისტრალური ხაზი, თემა.

მადრიგალი — (უსლ) პატარა ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივ მიძღვნილი ქალისადმი, გავრცელებული სალონურ პოეზიაში XVIII-XIX ს. ს. „თეთრი ფიფქები მახვევია მადრიგალებად“ (გ. ლეონ).

მადევარი — (ქეგლ) მონადირე ძაღლი ნადირის ფრთხობისა და ცეფით მორეკვაში გაწაფული.

მაზანდა, (ნიხრი, ტარიფი) — (ქეგლ) რისამე ფასი კერძო ბაზარში (ამა თუ იმ დროს). „ოსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ იმისმა ბატონმა ღალისა და მაზანდისა არაფერი იცოდა“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

მაზარა — (ქეგლ) მოსასხამი, მანტია.

მაზდეანობა, მაზდეიზმი — (უსლ) ძველი სპარსელების რელიგია — ცეცხლთაყვანისმცემლობა (უმაღლესი ღვთაება აჰურა-მაზდას სახელიდან). იხ. აჰურამაზდა.

მათე (ლევი) —(ბიბლ. ენც.) ერთი 12 მოციქულთაგანი. პირველი სახარების ავტორი. იგი ქრისტესთან შეხვედრამდე მებაჟე იყო და ლევი ერქვა, როდესაც ქრისტემ უთხრა მას „გამომყევიო“, ისიც გაჰყვა და არასოდეს მიუტოვებია მოძღვარი.

მათარა —(ვაჟა) სასმისი ქამარზე დასაკიდი ტყავის ან ალუმინის ჭურჭელი. „ჰა, ვაჟო, ცოტანი შესვენ. აჰა, დაიჭი მათარა“ („ბახტრიონი“ — ვაჟა).

მათლაფა — (ქეგლ) ღრმა თეფში წვნიანისათვის. „ლუარსაბს თვალწინ წარმოუდგა მაორთქლავი მათლაფა ლაკაშჩაყრილი ბოზბაშისა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.)

მათუსალა — (ქ. მწ.) „ძველი აღთქმის“ პერსონაჟი, რომელმაც 960 წელს იცოცხლა. მათუსალას ხნისა არისო — იტყვიან ძალიან დიდი ხნის ადამიანზე.

მაიაკოვსკი ვლადიმერ (1893-1930) — (აკ. გელ. „სიბრძნის სიმფონია) დიდი რუსი პოეტი და ტრიბუნი, საქართველოში დაიბადა (ბაღდადი — მაიაკოვსკი), თავს ქართველად თვლიდა, იცოდა ქართული — სოციალისტური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელია.

მაია წყნეთელი — (ქსე) XVIII ს. II ნახევრის ქართველი სახალხო გმირი, მათე ყაჩაღად წოდებული. გვარი ცნობილი არაა. ზეპირსიტყვიერი ცნობით, მ. წ.-თვის ბატონს შეურაცხყოფა მიუყენებია, ამის გამო მამამისს თავი ჩამოუხრჩვია, დედა კი შიმშილით მომკვდარა. შურისძიების გრძნობით გამსჭვალულ, კაცურად ჩაცმულ მ. წ.-ს ერეკლე II-ის კარზე დაუწყია სამსახური. მას ავჯერ მ-ბატონეების მიერ ყიზილბაშებზე გაყიდული ქალ-ვაჟი გაუთავისუფლებია. მე-

ბატონეთა დაბეზღებამ აიძულა ყაჩაღად გავარდნილიყო. დაღუპულა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მ. წ.-ის თავგადასავალი აისახა ქართულ ფოლკლორში, აგრეთვე თეატრსა და კინოში.

მაკედონია — (ბიბლ. ენც.) მხარე ჩრდილოეთ საბერძნეთში.

მაკლერი [გერმ.]— (უსლ) შუამავალი სავაჭრო, საბირჟო საქმეში. „ვაჭრობაში ფეხი მოვიკიდე, მაკლერობით უნდა გავათავო ჩემი სიცოცხლე" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

მაკედონელი — იხ. ალექსანდრე მაკედონელი.

მალარმე სტეფან — (ქსე) ფრანგი პოეტი. სიმბოლიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსი და წარმომადგენელი. ლიტერატურულ ასპარეზზე 1062 წ. გამოვიდა. 1866 წ. მისი 10 ლექსი დაიბეჭდა კრებულში „თანამედროვე პარნასი". მ.-ს შემოქმედების პირველ ეტაპზე, 80-იან წლებში, შეიმჩნეოდა მკვეთრი დეკადენტური გავლენა, მოვლენათა იმპრესიონისტული აღქმა, პოეტური სახის სიმბოლისტური სტრუქტურა, აგრეთვე, არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა. ლექსებში ხშირად დარღვეულია გრამატიკული ნორმები, უარყოფილია პუნქტუაცია. გვხვდება მოულოდნელი ინვერსიები, აქცენტირებულია ლიტ. გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სულიერი განწყობილებანი. მ.-ს პოეზიას საქართველოში XX ს. დასაწყისშივე იცნობდნენ. მისმა შემოქმედებამ თავისებური გავლენა მოახდინა გ. ტაბიძეზე, „ცისფერყანწელებზე" — პ. იაშვილზე, ვ. გაფრინდაშვილზე, ტ. ტაბიძეზე. ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" ტ. ტაბიძე წერდა, ევროპული ფუტურიზმი მალარმეს საქმეს აგრძელებსო, ხოლო ლექს „ავტოპორტრეტში" არ ფარავდა თავის გატაცებას მ.-ს პოეზიით. აღფრთოვანებით მოიხსენიებს მ.-ს პ. იაშვილი თავის ტრიპტიქის პირველ ლექსში „მალარმე". მ.-ს ლექსებს თარგმნიდნენ შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე. 1019 წ. ქუთაისში „მეოცნებე ნიამორებში" გამოქვეყნდა მ.-ს ლექსები და პროზაული ნაწარმოებები.

მალახიტი — (ქეგლ) მწვანე ფერის მინერალი.

მალაყად — (ქეგლ) თავდაყირა.

მალთუსიანელობა — (უსლ) რეაქციული თეორია, რომლის მიხედვითაც ყველა სოციალური უბედურების (შიმშილი,სიღატაკე და სხვა) მიზეზია მოსახლეობის მეტისმეტად სწრაფი ზრდა და არა კაპიტალისტური სისტემა (ინგ. ბურჟუაზიული ეკონომისტის მალთუსის გვარის მიხედვით).

მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე — (ქსე) რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1089 წ.), საზოგადო მოღვაწე, მწერალი. პეტერბურგის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ (1037 წ.) პრაპორშჩიკის ჩინით დაინიშნა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. მ. იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი

და სხვა. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „გუთნის დედა“, „ივერია“, „დროება“, „მოამბე“. მ. იყო ნ. ბარათაშვილის თანამედროვე და მეგობარი. „ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი მოგვითხრობს იმდროინდელი თბილისის შესახებ“ (სასკ. სახ.-ლო).

მამითადი – (საბა) ნადი ყანისათვის. „ახ, ველარ დავსცემ კარავსა მკაში, უნდა ვიმალო მე მამითადში“ („გაყრა“ – გ. ერისთ.).

მამული – (ქსე) 1. მამაპაპეული, წინაპრებისაგან მიღებული უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა. ნაწარმოებია სიტყვისაგან „მამა“ (ანალოგიური წარმოშობისა იყო დედული, სიტყვისაგან „დედა“). შუა საუკუნეების ქართულში განსაზღვრავდა წინაპრებისაგან გადმოცემულ ნივთს, ქონებას, მხარეს, ქვეყანას, საძვალობელოს, ალათს, სარწმუნოებას და სხვ. მაგ., „მამული ქვეყანა“ – მემკვიდრეობით მიღებული მიწა; „მამული შჯული“ – მამაპაპეული სარწმუნოება; „ხრმალი მამული“ – წინაპართა ხმალი; „მხარე მამული“ – წინაპართა მხარე; „მამული სამკვიდრებელი“ – წინაპართა საცხოვრებელი ქვეყანა და სხვა. 2. სამშობლო. მსაზღვრელი სიტყვიდან მ. იქცა დამოუკიდებელ არსებით სახელად და შეითვისა საზღვრული სიტყვის ცნებაც – წინაპართა ქვეყანა, ე. ი. სამშობლო. ასეთი მნიშვნელობით მ. იხმარებოდა არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ ბურჟუაზიულ ეპოქაშიც, ზოგჯერ კი იხმარებოდა თანამედროვე ქართულშიც. ი. ჯავახიშვილის აზრით, მ. „საგვარეულო მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა IX-X ს. ს.-დან.“ „მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდები?“ („გაზაფხული“ – ი. ჭავჭ.).

მამლუქი, მამელუქი [არაბ.] – (უსლ) 1. შუა საუკუნეებში ეგვიპტეში: თურქი და კავკასიელი (ქართველი, ჩერქეზი და სხვა) ტყვე-მონებისაგან შემდგარი სულთნის პირადი გვარდიის ჯარისკაცი. (კ. თათარიშვილი „მამლუქი“) მამლუქებმა 1250 წ. დაიპყრეს ეგვიპტის ტახტი და შექმნეს თავისი დინასტია; განადგურებელი იქნენ 1811 წ.) 2. ცხენოსანი გვარდიელი ნაპოლეონ ბონაპარტის პირად დაცვაში (ეგვიპტეში ლაშქრობის დროს).

მამონა – (ქეგლ) ფულის ან სიმდიდრის ღმერთება. ანგარებასა და სიძუნწესაც აღნიშნავს.

მამფალი – (ქსე) ფეოდალურ საქართველოში „პატრონის“ შესატყვისი ტერმინი, ფეოდალი მთავრების სახელწოდება; მიღებულია „მამა“ და „უფალი“ სიტყვების შეერთებით. მისი გაჩენა მეტყველებაში გამოწვეული იყო სათანადო ცვლილებებით სოც. ცხოვრებაში – სიტყვა „უფალმა“ (მიწის, ადამიანთა და სხვ. მფლობელი) ფეოდალი მესაკუთრის, მისგან დამოკიდებულ ადამიანზე მზრუნველი „მამის“ და „პატრონის“ შინაარსიც შეიძინა. გუარამ მამფალი – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

მანანა [ბერძ.] – (უსლ) ბიბლიური ლეგენდის მიხედვით: საკვები, რომელიც ზეციდან უცვიოდათ ებრაელებს უდ-

აბნოში სვლის დროს. „ღვთისმშობელმა ჰრქუა: იწამეთ, ვინ ცით გვიწვიმა მანანა ქვეყნად უმამოდ ქალწულსა ძე მარწებინა, მანანა“ (დ. გურამ.).

ᲛᲐᲜᲐᲣᲠᲘ — (ქეგლ) მანავისა („ღვინოს სმიდეს მანაურსა“).

ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც მარწუხი, მჭედლის იარაღი. ქანჩი, მოსაჭერი. „ოდეს სული ამომგლიჯონ, შენკენ მისწი მანგანითო“ („დავითიანი“ — დ. გურამ.)

ᲛᲐᲜᲒᲘ — (ქ. მწ.) 1. მარგალიტი. „ტანი ალვა — პირი მანგი“. 2. მთვარე, პირი მანგი — მთვარის სახისა, მოელვარე.

ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲣᲠᲘ — (ქსე) საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე ფეოდალურ საქართველოში. მ.-ები მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სავაზირო შენობის დაცვა სხდომის დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვა. მ. თავის სამოხელეო ნიშანს — არგანს ატარებდა. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მ.-ის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები ბოქაული და იასაული. „ესე არს ხელარგნოსანი, მეფეთ გარე მდგომი“. (საბა) „მანდატურთწინამდგომი მთავარი ტახტის წინაშე მიდგა“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲣᲠᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ — (ქსე) მანდატურების უფროსი, საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ფიქრობენ, რომ მ., როგორც ნდობით აღჭურვილი მოხელე, მეფის სამზარეულოსაც განაგებდა. მ.-ის საგანგებო სამოხელეო ნიშანი იყო ოქროს ჯოხი, ე. წ. „სამანდატურო არგანი“. მ. იყო ერთ-ერთი ვაზირი (იხ. ვეზირი) და თავისი პატივით ამირსპასალარს უტოლდებოდა. ზოგჯერ შეიძლებოდა, რომ ეს ორი თანამდებობა ერთ პირს ჰქონოდა. მანდატურების გარდა მ.-ს ემორჩილებოდნენ ამირეჯიბი, განმგეთუხუცესი და სხვა მოხელეები. XVII ს. მ.-ობა ეშიკაღასბაშის თანამდებობით შეიცვალა. „ალექსანდრე ქავქავაძეს ბავშვობიდანვე უბოძეს მანდატურთუხუცესობა“ (საკ. სახ.-ლო).

ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲐᲢᲔᲑᲘ — (ქეგლ) აქეთ-იქით ხურჯინივით გადაკიდებაზე იტყოდნენ. „მხედრები ხან მარჯვნით, ხან მარცხნით მანდიკურად გადაეკიდებოდნენ ცხენებს“ („ბაში-აჩუკი“ — აკ. წერ.).

ᲛᲐᲜᲔᲠᲐ — (უსლ) მოქმედების, ქცევის თავისებურება, ჩვევა, თავის დაჭერის წესები, ყოფაქცევის ნორმები. „გერმანელი არისტოკრატი რაინდები ისეთ ველურ მანერებს ამჟღავნებდნენ, როგორც სატახტო ქალაქში შემთხვევით ჩამოხეტებულნი მთიელნი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲛᲐᲜᲔᲟᲘ — (უსლ) სპეციალური დანიშნულების დიდი შენობა საცხენოსნო ხელოვნების დასაუფლებლად; ცირკის არენა.

ᲛᲐᲜᲔᲣᲚᲘ — (ქეგლ) დაბალი ხე, ან ბუჩქი ტირიფების გვარისა; მის ტოტებს ხმარობენ გოდრებისა და კალათების დასაწნავად. „ყვავილებითა და მანეულის შტოებით მორთული იყო მწვანე ეტლი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მანია [ბერძ.] — (უსლ) ადამიანის ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც მთელი მისი გრძნობა და გონება, რაიმე ერთი იდეისაკენ არის მიმართული. მაგ., განდიდების მანია. (გადატ.) ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი.

მანიაკი — (ქ. მწ.) ძვირფასთვლიანი ყელსაბამი საყელო მოთვალულ-მომარგალიტებული. (საბა) ფარღული. „შორენას ალმასების მანიაკი ეკიდა ყელზე". („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მანიფესტი [ლათ.] — (უსლ) 1. უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამო. 2. პოლიტიკური პარტიის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობითი საპროგრამო მიმართვა. 3. რომელიმე ლიტერატურული ჯგუფის შემოქმედებითი პრინციპების წერილობითი გადმოცემა. „1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერა მანიფესტს" (სასკ. სახ.-ლო).

მანიქეიზმი, მანიქეველობა — (უსლ) რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც III ს. წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში; წარმოადგენდა ქრისტიანობისა და მაზდეანობის ელემენტების ნარევს.

მანსარდა — (უსლ) საცხოვრებელი სადგომი — სახლის სხვენზე დაქანებული სახურავის ქვეშ.

მანსვეტაშვილი იაკობ — (ქსე) ქართველი ჟურნალისტი, მწერალი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, სწავლობდა პეტერბურგის უნ.-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ.-ზე. 1886-90 წ.წ. ი. ჭავჭავაძის „ივერიის" მუდმივი თანამშრომელი იყო. წერდა ფელეტონებს, კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს, პატარა მოთხრობებსა და ნარკვევებს „ალექსანდრიძის", „დონ-იაგოს", „ბარელის" და სხვა ფსევდონიმით. თანამშრომლობდა ჟურნალ „ჯეჯილსა" და „მოამბეში". იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მდივანი. საინტერესოა მ.-ის „მოგონებანი" (1936 წ.), რომელშიც აისახა XIX ს. 70-80-იანი წ.წ. მნიშვნელოვანი ისტ.-სოც. და კულტ.-ლიტ. მოვლენები. ავტორმა პირუთვნელად და მოხდენილად დაახასიათა თავისი დროის ბევრი საზ. მოღვაწე.

მანუსკრიპტი — (ქსე) მხატვრულად გაფორმებული ძვ. ხელნაწერი. „ძვ. ქართული მხატვრული და ისტ. მწერლობა მდიდარია გემოვნებით შესრულებული მ.-ით." ამჟამად ეს ტერმინი იხმარება ისტორიოგრაფიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, აგრეთვე ძვ. ქართული მწერლობის ხელნაწერ ძეგლთა მიმართ. „დაისტამბება თუ არა წიგნი, მერმე ყოველივე ინტერესი მეკარგება მანუსკრიპტის მიმართ" („დიდოსტატის მარჯვენა" — ბოლოსიტყვა).

მანუფაქტურა — (უსლ) ხელით შრომა, ხელსაქმე. საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი. „1800-900-იან წლებში მოხდა სამრეწველო გადატრიალება, ანუ მანუფაქტურიდან ფაბრიკებზე გადასვლა" (სასკ. სახ.-ლო).

მანტია — (ქსე) ტანისამოსის ზემოდან სახმარი ფართო, უსახელოებო, გრძე-

ლი წამოსასხამი მეფეთა, რომის პაპისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავართა საზეიმო ტანსაცმელი; ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., დიდი ბრიტანეთი) მოსამართლეთა, ადვოკატთა, საზეიმო შემთხვევებში კი უნივერსიტეტების, პროფესორების (დოქტორების), სამეცნიერო საზ.-ების და აკადემიის წევრთა ოფიციალური სამოსელი.

მანქანებაჲ — (ქეგლ) ხერხი, ხრიკი, სივერაგე. (ძვ.) „და რაღაცა მანქანებით იგი ისევ მართლდებოდა" (აკაკი).

მარაბდის ბრძოლა — (ქსე) 1625 წლის ივლისში მოხდა. ეს იყო უდიდესი ბრძოლა სპარსეთ-საქართველოს ხანგრძლივი და გააფთრებული ომისა. ჯერ ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სპარსელებს მიეშველა ერევნის ბეგლარბეგი დიდი ცხენოსანი რაზმით. ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. სპარსელებმა ამ ბრძოლაში 10 ათასი მეომარი დაჰკარგეს, ქართველებმა — 12 ათასი. ომი 2 წელიწადს გაგრძელდა და მას შემდეგ დასრულდა, როცა გიორგი სააკაძე ოსმალეთში გადაიხვეწა.

მარანი — (ქსე) ღვინის დასაყენებელი და შესანახი ნაგებობა. „საღვინე სახლი". მ. იფარავს ღვინოს ზამთარში ყინვისაგან, ზაფხულში — სიცხისაგან. ქართლ-კახეთში მ. მოქცეულია საცხოვრებლის კომპლექსში — ორსართულიანი ქვითკირის სახლების პირველ სართულზე. „ლუარსაბს მარანიც ჰქონდა წალმით დახურული" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

მარაქა — (ქეგლ) ადამიანთა კრებული; ქალთა ჯარი ლხინში (საბა). მარაქაში გაერია.

მარგალიტი — (საბა) მარცვლისებური ძვირფასი თვალი თეთრი, შავი ან ყვითელი ფერისა; წარმოიშვება ზოგიერთი მოლუსკის სხეულში, ხმარობენ სამკაულად. (გადატ.) მეტისმეტად კარგი, ძვირფასი ან საუკეთესო რამე ან ვინმე. „მარგალიტების სალარო ჩემი უფსკრულის გულია" („დამსეტყვე, ცაო" — ვაჟა).

მარეძი — (ქეგლ) (ძვ.) დიდ ნადირზე ნადირობისას, ჯერგას დროს მხეცთა დამაფრთხობლად ტყეში შეგზავნილი მონადირე, რომელიც ღრიანცელით და დაფდაფების ცემით მოდენის ხოლმე ნადირს. „მთების კალთებზე შემოსეულმა მარეკებმა ასტეხეს დაფდაფების ცემა". „ბაზიერებმა და მარეკებმა ერისთავების მიერ მორთმეულ ცხენებს ხმლით დააყრევინეს თავები" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

მარზპანი — (ქ. ეწ.) მხარის მმართველი.

მართვე — (ქ. ეწ.) ნაშიერი ზოგიერთი ფრინველის (ბუს, არწივის, ფუტკრის). „წიგნი კი არა ჩვენთა მართვეთა სიტყვა, ხიმღერა ხალისიანი" („თუ დედა ერით არ ხარ გაზრდილი" — ი. ნონეშ.).

მარი ნიკოლოზ (ნიკო) 1864-1934 — (ქსე) დაიბადა ქუთაისში, ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა — ქართველი 1884 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1890 წ. პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკ.-ტი. 1891 წ.-დან ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. მუშაობდა სტრასბურგის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში.

ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად გაემგზავრა 1898 წ. ექსპედიციაში ათონის მთაზე. 1902 წ. სინას მთაზე ივ. ჯავახიშვილთან ერთად. 1930 წ.-დან იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.

მ.-ს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური ფილოლოგიის განვითარებაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. გამოაქვეყნა „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები", „ჭანურის გრამატიკა", „ძველი ქართული სალიტერატურო ენა", „ქართული ენა", რიგი საყურადღებო წერილებისა სვანური ენის შესახებ. მ.-მა დიდ ამაგი დასდო ქართულ სასულიერო და საერო მწერლობისა და კულტურის საკითხთა შესწავლას ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელი ცხოვრება" (1911 წ.), იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიულ შესწავლას. ბრწყინვალე გამოკვლევები უძღვნა ქართული კლასიკური საერო მწერლობის ძეგლებს. პირველმა გამოსცა გამოკვლევებითა და კომენტარებითურთ „აბდულმესიანი", „თამარიანი", გააშუქა „ამირანდარეჯანიანთან", ვისრამიანთან", „შაჰნამესთან", „რუსუდანიანთან" დაკავშირებული ქართულ-სპარსული და ქართულ-არაბული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები.

მ.-მა საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საკითხების, რუსთაველის იდეოლოგიისა და მისი ეპოქის შესწავლას. გამოსცა პოემის პროლოგისა და ეპილოგის ტექსტები. დიდია მ.-ის დამსახურება საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაშიც. მას ეკუთვნის „საქართველოს ისტორია" რუსულ ენაზე. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. ქართული ენა თავისი შინაგანი თვისებებით ისეთია, რომ თამამად შეიძლება ამოუდგეს მსოფლიოში დიდად გავრცელებულ ენებს" — ამბობდა იგი.

მარიამ დედოფალი — (ქსე) XI ს. პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს მეფე გიორგი I-ის მეუღლე, ვასპურაკანის მეფის სენაქერიმ II-ის ასული, ბაგრატ IV-ის დედა. მ. მცირეწლოვანი ბაგრატის მეფობის დროს აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. შეეცადა ბოლო მოეღო დაუცხრომელი შინაფეოდალური ბრძოლებისათვის, რითაც სარგებლობდა ბიზანტია და ცდილობდა მიწები წაეგლიჯა საქართველოსათვის. 1030 წ. კონსტანტინოპოლში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა იმპერატორ რომანოზ III არგირთან. მ. კონსტანტინოპოლში ყოფნისას დიდ დახმარებას უწევდა ათონის ივერთა მონასტერს; იგი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მონასტრის ალაპებში გათანაბრებულია ათონის ივერთა მონასტ-

რის მაშენებლებთან. ბიზანტიაში ყოფნისას მ. დაემოწაფა გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც იგი მონაზვნად აღკვეცა. 1057 წ. მ. საქართველოში დაბრუნდა. იგი ფიქრობდა ქვეყნის კულტურულ აღორძინებაზე, გიორგი მთაწმინდელს იწვევდა საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად. მ. ცოცხალი იყო ბაგრატ IV-ის გარდაცვალების (1072 წ.) შემდეგაც. 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში იგი მიცვალებულად იხსენიება. „მარიამ დედოფალი სომეხთა მეფის ხენაქერიმის ასული იყო“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მარიონეტი [ფრ.] — (უსლ) თეატრალური თოჯინის სახეობა, რომელსაც ამოძრავებენ მის თავსა და ხელ-ფეხზე გამობმული ძაფებით. (გადატ.) ადამიანი, მთავრობა, სახელმწიფო, რომელიც ბრმად, უსიტყვოდ ასრულებს სხვის ნებასურვილს.

მარიხი — (ქეგლ) 1. მარსი, ძველრომაული ღმერთი ომისა. 2. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება. „ვიდრე მარიხი ჩაქრებოდა ცაზე, მემაშხალენი დახოცეს სრულიად“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მარიჯანი (1890-1978) — (ქსე) ნამდვ. სახელი და გვარი — მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე (ტყემალაძე). ქართველი პოეტი. 1916 წ. გამოაქვეყნა პირველი კრებული „ლექსები“. მ.-მა თარგმნა ს. მიხალკოვის, კ. ჩუკოვსკის, მ. ალიგერის, ა. ტოლსტოის საბავშვო თხზულებები; მანვე ი. გოგებაშვილთან ერთად თარგმნა მოლიერის „ტარტიუფი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“.

მარკოზი და იოანე — (ბიბლ. მეგზ., 1995) სახარების ერთ-ერთი თავის ავტორი. ყველი ქრისტიანული გადმოცემა მარკოზ მოციქულს უწოდებს პეტრე მოციქულის „მთარგმანებელს“ (განმმარტებელს) იმ აზრით, რომ მარკოზმა შთამომავლობას გადმოსცა უფალი იესოს სიტყვანი და საქმენი ისე, როგორც მიიღო პეტრესაგან. მარკოზის სახარება შედგენილია რომში, ბერძნულ ენაზე. მარკოზთან ყველგან ვლინდება იესოს მზადყოფნა ემსახუროს სხვებს. იესოში მოციქული მარკოზი გვიჩვენებს ღვთის ძის ღვთაებრივ სიმშვიდეს, რომელიც სიყვარულით იმარჯვებს.

იოანე — მეოთხე სახარების ავტორი. იოანე, რომელიც მოწმე იყო მაცხოვრის მთელი მიწიერი მსახურებისა და რომელსაც იესომ ჯვარზე სულის ამოსვლის დროს დაავალა მარიამზე ზრუნვა. სხვა მახარებლებისაგან განსხვავებით იოანე უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების აღწერას (იოანესვე ეკუთვნის ახალი აღთქმის ერთ-ერთი ნაწილი „გამოცხადება“). „ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებაზე— ოდესმე მათ გამოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე“ („თავსაფრიანი დედაკაცი“ — ნ. ლორთქ.).

მარსელიეზა — (უსლ) ფრანგული რევოლუციური სიმღერა (შეიქმნა 1792 წ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს), რომელიც შემდეგ იქცა საფრ-

ანგეთის ეროვნულ ჰიმნად; სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის სამხედრო ინჟინერს რუჟე დე ლილს. „ლექს „ხანჯალს“ „ქართული მარსელიოზას“ სახელი ჰქონდა შერქმეული“ (სასკ. სახ.-ლო).

მარტი, მირკანი — (ქსე) კალენდარული წლის მესამე თვე (31 დღე-ღამე). სახელი ეწოდა ძვ. რომაელთა ღმერთის — მარსის პატივსაცემად. ძვ. ქართული წარმართული კალენდრით — მირკანი (მიჰრაკანი). „ისევ მირკანი.../ ამეტყველებს, სულს ჩაუდგამს გარემოსა/ გული მიხარის... / ფერად ცვავილებს ველზე მოფენს, / გაშლის მირკანი“ („მერცხალთ გვახარონ“-ა. კალან.).

მარტვილი — (ქ. მწ.) წამებული, მარტვირი ბერძნულია და ნიშნავს მოწამეს. მარტვილობა — წამება. შუშანიკის მარტვილობა, აბოს მარტვილობა. მარტვილი საბასთან ყმაწვილს, ვაჟს ნიშნავს: „დიდებულს ერთს რვის წლის მარტვილი ჰყვანდა, უხაროდა“ („განშორებული და მარტვილი“ — საბა.)

მარულა — (ქეგლ) ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე, დოღი. „ადრე ძიძიშვილები მარულაზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს, მაშინ არაბიაზე არზაყანი იჯდა, ხოლო თარაში — დარდიმანდზე“ („მთვარის მოტაცება“ — კ. გამს.).

მარუშისძე ივანე (იოანე) — (ქსე) დას. საქართველოს დიდი ფეოდალი X ს., აფხაზთა მეფის მოხელე — ქართველი ერისთავი X ს. 70-იან წლებში. მან 978 წ. დავით III კურაპალატს შესთავაზა ან თვითონ შემოერიგებინა ქართლი, ან თავისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე დაესვა მის გამგებლად. დავითმა, მართლაც, ქართლის გამგებლად დასვა ბაგრატი. მ.-ს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა საკუთარი ფეოდალური და სამოხელეო ინტერესები: ქიშპი ქართლის გამგებლობისათვის „ქართლის უფლებთან“ — ტბელებთან და კახეთის ქორეპისკოპოსთან. 978 წ. მ.-მ ბაგრატი, როგორც აფხაზთა მეფის შვილიშვილი დედის მხრიდან, აფხაზთა (დას. საქართველოს) მეფედ დასვა. ამით მან პროგრესული როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში, ხელი შეუწყო ამ პროცესის დაჩქარებას. „საქართველოს დიდმა პატრიოტმა იოანე მარუშისძემ უფლისციხე გადასცა დავით კურაპალატს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მარქაფა — სათადარიგო ცხენი. (საბა) ჯინიბი, მეორე ცხენი აკაზმული, გვარიანი და კეთილი ცხენ-ჰუნე და ჯინიბი, რომელ არს მარქაფა. „აბჯრის მტვირთველებმა მარქაფა შეაგებეს ზვიადს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მარქსიზმი — (უსლ) მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, ჩაგრული და ექსპლუატირებული მასების რევოლუციის შესახებ, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ [კარლ მარქსის გვარის მიხედვით, რომელიც ფრიდრიხ ენგელსთან ერთად ფუძემდებელია მეცნიერული კომუნიზმისა]. „80-90-იან წლებში საქართველოში ფეხს იკიდებდა და ვრცელდებოდა მარქსიზმი“ (სასკ. სახ.-ლო).

მარღია – (ქეგლ) მარღი, ულამაზო თეთრი (ითქმის თვალების შესახებ), თვალთეთრი. „მარღია კამეჩს მიუგავდა ის ერთადერთი თვალი და სახე [სადირას]". („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

მარჩბივი – (საბა) ტყუპი (პორონკ.) „ფარსმანის თავის გარშემო შემოგრაგნილი ჩალმის ტოტები ისე იხატება ნაჩრდილევში, როგორც მარჩბივი რქაი სატანისა" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

მარჩილი – (ქსე) ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში (სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის „მარჩელოს" სახელწოდებიდან). გავრცელდა XVI-XVII ს. ს. როგორც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიდან" ირკვევა, XVIII ს. მ. 12 შაურს ანუ 3 აბაზს შეადგენდა. „ერთი გლახაკი თავის სახლში იჯდა და ინატრა: ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცი და თუ ან ერთი აკლია არ ვინდომებო" („გლახა და მდიდარი" –საბა).

მარწუხი – (ქ. მწ.) რკინის იარაღი, რომელიც შედგება ორი, ერთმანეთთან მარჭვალით გადაბმული ღერძისაგან. ხმარობენ რაიმეს მოსაჭერად, გახურებული რკინის დასაჭერად.

მარჯანი – (ქ. მწ.) მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა.

მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე (1072-1933) – (ქსე) ქართველი საბჭოთა რეჟისორი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1931). განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში, სადაც ხშირად მონაწილეობდა სასკოლო წარმოდგენებში. მ. პირველად გამოვიდა 1094 წ. ქუთაისის დრამატულ დასში, რომელსაც კ. მესხი ხელმძღვანელობდა. ამავე წლის 27.11 დებიუტი ჰქონდა თბილისის სცენაზე, შეასრულა ერეკლეს როლი ა. წერეთლის დრამატულ პოემაში „პატარა კახი". 1097 წ. მ. გაემგზავრა რუსეთში და მსახიობობდა სხვადასხვა ქალაქში.

1922 წ. მ. საქართველოში დაბრუნდა და საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრს. იმავე წელს რუსთაველის თეატრში დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", რომელიც ქართული თეატრის განახლებას დაედო საფუძვლად. 1928 წ.-მდე სათავეში ედგა რუსთაველის თეატრს. აქ მან დადგა ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში", გ. ერისთავის „გაყრა", ჟ. მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო", შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები", „ჰამლეტი" და სხვები. 1924-28 წ.წ. მ. მოღვაწეობდა ქართულ კინოში. გადაიღო ფილმები: „ქარიშხლის წინ" (1924), „სამანიშვილი დედინაცვალი" (1924), „ამოკი" (1927), „კრაზანა" (1920), „კომუნარის ჩიბუხი" (1920).

1928 წ. ქუთაისში დააარსა დრამატული თეატრი მეორე სახელმწიფო თეატრის სახელწოდებით. მეორე სეზონის შემდეგ (1928-1930) თეატრი თბილისში გადავიდა. მ. ხელმძღვანელობდა ამ თეატრს გარდაცვალებამდე (გარდაცვალების შემდეგ, 1933 წ. თეატრს მ.-ის სახელი ეწოდა). აქ მ.-მა დადგა: ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" (1928), ბ. შოუს „წმინდა ქალწული" (1920), ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" (1920), შ. დადიანის „კაკალ გულში" (1928), კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა" (1920), ბ. კაკაბაძის

„ყვარყვარე თუთაბერი“ (1929), გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ“ (1930), პ. შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930), ი. ოლეშას „სამი ბღენძი“ (1931), ე. კალაძის „სახლი მტკვრის პირას“ (1931), ა. ფინოგენოვის „შიში“ (1932), შექსპირის „ოტელო“ (1932), ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1933) და სხვა. მ.-მა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგა: რ. ვაგნერის „ლოენგრინი“ (1924), დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1932), ზ. ფალიაშვილის „დაისის“ (1924), ჯ. როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1931) და სხვა. მ.-ის სახელი მინიჭებული აქვს აგრეთვე ყვარლის სახალხო თეატრს. სოფ. ყვარელში, მ.-ის სახლში გახსნილია მემორიალური მუზეუმი. დაწესებულია მ.-ის სახელობის პრემია. „აკაკის დახმარებით ქართულ სცენას შეეძინა თეატრის დიდი რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი“ (სასკ. სახ.-ლო).

მასკარადი — (უსლ) გასართობი საღამო, მეჯლისი, რომლის მონაწილეებს უკეთიათ ნიღბები და აცვიათ განსაკუთრებული (ეთნოგრაფიული, ზღაპრული და სხვ.) ტანისამოსი. „თავად თავქუდილაძის ქალები მოდებს აჰყოლოდნენ, არ იკლებდნენ ბალებს, პიკნიკებს და მასკარადებს“ (პირველი ნაბიჯი“ — ნ. წერ.).

მასონი [ფრ.]— (უსლ) მიმდევარი რევოლუციურ-ფილოსოფიური მიმდინარეობისა, რომელიც შეიქმნა XVIII ს. ინგლისში და შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში საიდუმლო საზოგადოების სახით. (ქსე) ფრანკ მასონი (ინგ. თავისუფალი კალატოზი) — თავდაპირველად კალატოზთა ქვისმთლელთა ამქრული გაერთიანება, შემდეგში კი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი, მისტიკურ-რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა. მასონობა არის ერთგვარი ზერელიგიური, ზეეროვნული და ზესახელმწიფოებრივი მოძრაობა, რომელიც არ გამოხატავს რაიმე სიმპათიას და არ თანაუგრძნობენ არც ერთ სოციალურ თუ პოლიტიკურ სისტემას, ერთმანეთს „ძმებს“ უწოდებენ. ღმერთს კი „სამყაროს დიდ არქიტექტორს“.

დღესდღეობით მსოფლიოში რვა მილიონი მასონია, რომელთაგან ექვსი მხოლოდ აშშ-სა და ბრიტანეთშია.

მატერია — (უსლ) ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. 2. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ბუნების ფიზიკური სხეულები. მაგ., მ.-ის აგებულება. 3. ქსოვილი. „არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამქვეყნად“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მატერიალიზმი — (უსლ) მეცნიერულ-ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც, წინააღმდეგ იდეალიზმისა, მიაჩნია, რომ მატერია, ბუნება, ყოფიერება პირველადია, ხოლო იდეა, ცნობიერება, სული — მეორეული, რომ არსებობს ობიექტური სამყარო ცნობიერებისაგან, აზროვნებისაგან დამოუკიდებლად და რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი შეცნობადია. დიალექტიკური მ., ისტორიული მ. მატერიალისტი — მატერიალიზმის მიმდევარი.

მატრიარქატი [ბერძ.-ლათ.] — (უსლ) პირველყოფილი გვაროვნული

წყობილების ადრეული პერიოდი, როდესაც გვაროვნული ჯგუფები იქმნებოდა ქალის ხაზით ნათესაობის საფუძველზე და ქალს ეჭირა გაბატონებული მდგომარეობა.

მაუზერი – (უსლ) ერთგვარი ავტომატური პისტოლეტი. „ჯაყოს თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდა“ („ჯაყოს ხიზნები“ – მ. ჯავახ.).

მაქმანი – (ქეგლ) სახეებიანი თხელი ბადურა ქსოვილი, ხმარობენ ტანსაცმლისა და თეთრეულის მოსართავად.

მაქსიმალიზმი – (უსლ) რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წამოყენება, გადაჭარბებულობა. მაქსიმალური – ყველაზე დიდი, უდიდესი (საპირისპირო – მინიმალური).

მაფრაშა – (ქეგლ) ფარდაგის მსგავსი ქსოვილისაგან ან რბილი ტყავისაგან შეკერილი განიერი ოთხკუთხიანი ტომარა; ხმარობდნენ ლოგინისა და ტანისამოსის გადასატანად. „კიბეებზე ჩამოპქონდათ ფარდაგები, მაფრაშები და ზანდუკები“(„დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

მაღნარი – (ქ. მწ.) მაღალი ტყეტყე მთაში.

მაღრიბი – (ქ. მწ.) დასავლეთი.

მაყარი – (ქ. მწ.) სასიძოს ან სასძლოს მიმყოლი, მხლებელი ქორწილში.

მაყალი – (ქეგლ) ნახშირის გასაალებელი თავღია ღუმელი (გადასატანი). „ბუხრის წინ გაჩაღებულ მაყალაზე ლითონის კოჭობები რაზრაზებდნენ“ („დიდოსტატის მარჯვენა“– კ. გამს.).

მაშალა – (ქეგლ) ღმერთმა ინებოს.

მაშია – (ქეგლ) ფეხსაცმელი, ქოში.

მაშრიყი – (ქ. მწ.) აღმოსავლეთი. „ორასი წელიწადია თურმე მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულულსა!“ („კაცია-ადამიანი?!“ – ი. ჭავჭ.).

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – (ქსე) ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე; ქართველ „სამოციანელთა“ წარმომადგენელი, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე, ახ. ქართ. სალიტ. ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ძვ. ფეოდალის იმ დროისათვის უკვე გაღარიბებულ ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახშივე მიიღო; საფუძვლიანად გაეცნო ქართ. ფოლკლორსა და კლასიკურ მწერლობას. 1863 წ.-დან თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. იმ დროისათვის ქართული ენა იდევნებოდა, მაგრამ ცნობილი მწერალი და პედაგოგი ბ. უმიკაშვილი მოსწავლეებს, მათ შორის მ.-ს ქართ. კულტ. სიყვარულს უღვივებდა, აგროვებინებდა ქართ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ავარჯიშებდა მხატვრულ თარგმნაში. ჩვენამდე მოღწეულია მ.-ის გიმნაზიაში სწავლის დროის შესრულებული თარგმანი ანტ. ლიტერატურიდან, რაც მხატვრულობით და ქართული ენის ღრმა ცოდნით გამოირჩევა. 1870 წელს მაჩაბელმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია; საფუძვლიანად შეისწავლა უცხო ენები. იყო პეტერბურგში დრამატული წრის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1873 წ. მ. დაუახლოვდა ქართ. სათავადაზნაურო ბან-

კის საქმეებზე პეტერბურგში ჩასულ ი. ჭავჭავაძეს, მასთან ერთად 1874-ში თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, 1879 წ. მ. დაბრუნდა საქართველოში და ნაყოფიერ შემოქმედებით და საზ. მოღვაწეობას შეუდგა. ამავე წლიდან ქართ. პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტ.-პუბლიც. წერილები და თარგმანები. მ. აქტ. მონაწილე იყო ყველა იმ საზ. წამოწყებისა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თეატრალური საზოგადოება, სასკოლო კომიტეტი, სათავადაზნაურო ბანკი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია და სხვა). იგი იყო შ. რუსთაველის პოემის 1888 წ. გამოცემის რედაქტორი; დიდი დახმარება გაუწია პოემის ილუსტრატორს უნგრელ მხატვარს მ. ზიჩის, აგრეთვე მარჯორი უორდროპსა და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს. მანვე რუსი კომპოზიტორის მ. იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით დაწერა ლიბრეტო ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

მ. 1879 წ.-დან „ივერიის“ აქტ. თანამშრომელი, ხოლო 1882-1883 წ.წ. რედაქტორი იყო.

შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმანებმა მ-ს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართ. ლიტ. ისტორიაში. ეს იყო ახალი სიტყვა ქართ. მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. მ-ის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ (1892), „ოტელო“ (1888), „მაკბეტი“ (1892), „რიჩარდ III“ (1893), „იულიუს კეისარი“ (1896), „ანტონიოს და კლეოპატრა“ (1898), და „კორიოლანოსი“ (1898), გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, შექსპირისეული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით. მძიმედ დასნეულებული მ. 1898 წ. 26 VI გამთენიისას, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. „ივანე მაჩაბელმა თარგმნა უილიამ შექსპირის ტრაგედიები“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲛᲐᲪᲜᲔ — (ქ. მწ.) მოამბე, შიკრიკი. „მაცნე მოიდა შატილსა, ქისტებმა მოგვცეს ზიანი“ („ალუდა ქეთელაური“ — ვაჟა).

ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ — ქრისტე. გადამრჩენი, ცხოვრების მოქმედი (საბა).

ᲛᲐᲬᲧᲕᲔᲠᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) აწყურის ეპისკოპოსი.

ᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲘ — (ქსე) მექორწინე მხარეთა საქმის მომგვარებელი, შუამავალი, რომელიც გასამრჯელოს მიღების პირობით დასაქორწინებელთა, უმთავრესად ვაჟის ოჯახის დავალებებს ასრულებდა.

ᲛᲐᲮᲕᲨᲘ — (ქეგლ) სვანეთში უფროსი, ხელმძღვანელი. მახვშის სავარძელი (სითაკანი).

ᲛᲐᲮᲚᲐᲡ — (ქეგლ) დანანების შორისდებული, აფსუს!

ᲛᲐᲯᲐᲛᲐ — (ანდ. ჭილ.) სპარსულია და ნიშნავს კრებულს. მაჯამის მცნება ორი გაგებით იხმარება: 1. მაჯამა, როგორც მხატვრული ლიტერატურის თავისებური ჟანრი, ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია თეიმურაზ პირველის მიერ. იგი წარმოადგენს ლექ-

სების კრებულს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სათაურისა და შინაარსის ლექსებს; 2. მაჯამა, როგორც რითმა, ომონიმებს ემყარება. გარითმული სიტყვები ფორმით ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა სიტყვების გამომხატველია.

მაჯამური რითმის სათავეა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ მაჯამური რითმის ცნობილი ოსტატი მაინც თეიმურაზ პირველია. ამიტომ თვლიან მას მაჯამის მამად. „ვიწყო წერა მაჯამისა.“ „მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი“ — ი. გრიშაშვილი, „ტრიოლეტები შეითან ბაზარში.“ „მაჯამური ლექსის სტრიქონი ბოლოვდება ომონიმებით“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲛᲐᲯᲐᲒᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) მეტყავის იარაღი; ტყავის მოსაქნელი რკინა. მარწუხი. „მაჯაგანით ჩასვეს ლოდი კედელში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲛᲐᲯᲣᲜᲘ — (საბა) ტკბილი სასმელი.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘ (დაახლ. 570-632) — (ქსე) მუჰამედი, ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმანური ტრადიციის და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული, უდიდესი წინასწარმეტყველი. მ.-ის შესახებ თანამედროვეთა ცნობები არ შემონახულა. პირველი ბიოგრაფია მხოლოდ VIII ს. დაწერა იბნისჰაკმა. მ. წარმოშობით იყო წარჩინებული, მაგრამ გაღარიბებული ბანუჰაშიმის გვარიდან, კურაიშთა ტომიდან. მ. არაბეთსა და მის ფარგლებს გარეთ გაეცნო იუდაისტურ, ქრისტიანულ მონოთეიზმს და სხვა რელიგიურ, პოლიტიკურ მოძღვრებას. მდიდარი მექელი ვაჭრის ქვრივზე ხატიჯეზე ხელსაყრელმა ქორწინებამ მ.-ს საშუალება მისცა მთელი დრო დაეთმო თავისი რელიგიურ-ეთიკური პრობლემებისათვის. გადმოცემის მიხედვით, დაახლ. 609 წ. (ან 610) რამადანის თვეში, ჰირის მთაზე (მექის ახლოს) მთავარანგელოზმა ჯიბრაელმა (გაბრიელმა) მ.-ს უკარნახა წმინდა წიგნი „ყურანი“ და დაავალა ხალხისათვის მისი გაცნობა. მ. ახალი მოძღვრებით მკაცრად ილაშქრებდა წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ. მ. თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა და იძულებული გახდა მომხრეებითურთ გადასულიყო ისრიბში (მედინაში). 630-631 წ.წ. მუსლიმანებმა მ.-ის მეთაურობით დაიმორჩილეს მექა. შემდეგ კი არაბებმა სხვა რაიონებზეც გაავრცელეს ძალაუფლება. მ. გახდა მისივე შექმნილი პირველი ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს მეთაური. მ. დასაფლავებულია მედინაში. მ.-ის აკლდამა არის მუსლიმანთა მეორე წმინდა ადგილი ქააბის შემდეგ.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐ — (უსლ) რელიგია, რომელიც არაბული გადმოცემის მიხედვით დააარსა წინასწარმეტყველმა მაჰმადმა VII ს.-ში. ისლამი, მუსლიმანობა. იხ. ისლამი, მუსლიმანი.

ᲛᲑᲔᲥᲕᲔᲚᲘ —(ქ. ეწ.) (ძვ.) მქსოველი.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ — (ქ. მწ.) თავმდაბალი, მშვიდი, მორჩილი. „ნეტარი გრიგოლი იყო მდაბალი გულითა და გლახაკი სულითა, მშუდრო ქცევითა და მოწყალე გონებითა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“— გ. მერჩ.).

მდაბიური — (ქ. მწ.) სოფლური.

მდივანი — (ქ. მწ.) მწერალ-მწიგნობარი.

მდადე — (ქსე) მდადი, პატარძლის მაყარი ქალი ქორწილში, „დიაცი სძლის მაყარი" (საბა) მ.-ს ირჩევდნენ ნათესავთა და ახლო მეგობართა წრიდან. ევალებოდა საქორწილო რიტუალის განმავლობაში პატარძალთან ყოფნა და მისი უშუალო მფარველობა. ზოგან მის ფუნქციაში შედიოდა ქორწილის ღამეს ნეფე-დედოფლისათვის ლოგინის გაშლა, დილით კი — ალაგება. მ. დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც ქალის, ისე ვაჟის ოჯახში.

მდოგვი — (ქეგლ) 1. ერთწლოვანი მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა; აქვს ყვავილები და ცხიმით მდიდარი ცხარე თესლი. 2. ამ მცენარის თესლისაგან დამზადებული ცხარე საწებელი. „მდოგვის ფესვებივით წვრილი ძარღვები მიიკლაკნებოდნენ მელქისედეკის სახეზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მეგრელი დუტუ (დიმიტრი თომას ძე ხოშტარია (1867-1938) — (ქსე) ქართველი მწერალი. ა. ერისთავ-ხოშტარიას მეუღლე. 1893 წ. დაამთავრა ოდესის უნ.-ტის იურიდ. ფაკ.-ტი. იყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ჰუმანისტურ-რეალისტურ ტრადიციათა მიმდევარი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1886 წ., მოთხრობების პირველი კრებული — 1892 წ. მისი ლირიკა ძირითადად პატრიოტული ხასიათისაა. ლექსებისა და მოთხრობების გარდა ეკუთვნის პოემები, იგავ-არაკები, პუბლიცისტური წერილები, რუსულ და ევროპელ კლასიკოსთა თარგმანები. მისი პოპულარული ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ". „ყველა ქართველმა ბავშმა ზეპირად იცის. თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენი მოზარდი თაობის ეროვნული ერთიანობის შეგნების ჩამოყალიბებაში იგი ახლაც ერთობის ჰიმნად გაისმის და გვეხმარება პარტიკულარიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში" (გრ. აბაშ.) (1902 წ.) ეს ლექსი და მოთხრობა „ქინაქინა" შესულია ი. გოგებაშვილის „დედაენაში" და „ბუნების კარში".

მედგარი — (საბა) მცონარი და მიუძლურებული, მარადის ძვირისა დამმარხველი. მსოფლიოთა ენითა მზაკვრად ითქმის. სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს ნიშნავს ძლიერს, შეუპოვარს, მედგარს.

მედეა — (მით.) კოლხთა მეფის აიეტის და ქალღმერთ ჰეკატეს ასულმ, მზის ღმერთის ჰელიოსის შვილიშვილი, გრძნეული კირკეს ძმისწული, იაზონის და მერე ეგეოსის მეუღლე, „მსოფლიოს უდიდესი ჯადოქარი", ექიმი, ბალახთა და წამალთა მესაიდუმლე, მედიცინის დედამთავარი, რომლის სახელიც დაედო ძირად სიტყვა „მედიცინას".

მედეას მარად მიმზიდველი და შემაძრწუნებელი, მშვენიერი და სადავო სახე არგონავტების მითის ერთგვარი ღერძია, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ამ ერთ-ერთი უდიდესი ბერძნული ეპოპეის გმირთა მოქმედება. მედეას დახმარების წყალობით წაიღეს ოქროს საწმისი და წავიდნენ მშვიდობით ბერძ-

ენი გმირები, რომელთაც უდავო დაღუპვა ელოდათ.

კოლხეთს ჩასული იაზონი აიეტის სასახლეში მივიდა. იაზონზე შეყვარებული მედეა ჯადოსნურ მალამოს აძლევს მას, რომლის შეშწევნითაც ის უძლეველი გმირი ხდება და ასრულებს აიეტის უმძიმეს დავალებებს. ასევე დრაკონისაგან მედეამ გადაარჩინა არგონავტები. მტკიცე პირობით თან მიჰყვება იაზონს და არ აზიარებს მის სარეცელს, ვიდრე მეფე ალკინიეს მოთხოვნით ეს აუცილებელი არ ხდება. იაზონს და მედეას ეყოლათ ორი ვაჟი — მერმეროსი და ფერეტოსი. იოლკოსში ჩასულ იაზონს გრძნეული ცოლი ჩამოაცილებს ბიძას — პელიასს, რომელმაც პირობა დაარღვია და ძმისწულს ტახტი მაინც არ დაუთმო. მედეამ ტახტის მიმტაცებელნი მისსავე ასულებს დააკეპვინა. ხალხმა იაზონი და მისი მეუღლე განდევნა.

კორინთოში ჩასული აზონს მეფე კრეონტის ასული გლავკე შეუყვარდა. მედეა იძულებულია ერთხელ კიდევ მიმართოს ჯადოქრობას. მოწამლულ სამოსს უგზავნის გლავკეს.

საბოლოოდ იაზონისაგან უარყოფილი მედეა კლავს შვილებს (ევრიპიდეს ვერსიით), რათა საბოლოოდ მოუკლას გული მოღალატე ქმარს.

მითის მიხედვით, მედეა საბოლოოდ კოლხეთს დაბრუნდა, შეურიგდა მამას, დაუბრუნა ტახტი. ისტ. წყაროებით იქ იყო ძველად საგართია, საქართი, ე. ი. საქართველო, სადაც თაყვანს სცემდნენ არმაზს გაცს და გაიმს.

მედიატორი — (უსლ) მომრიგებელი, შუაკაცი.

მედიუმი — (უსლ) სპირიტების ცრურწმენით პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან" ამყარებს ურთიერთობას. შუამავალი ადამიანებსა და „სულებს" შორის. იხ. სპირიტიზმი.

მევახშე — იხ. გახში.

„მეველე" — იხ. მიქელაძე დავით.

მეზვრე — (ქეგლ) ვენახის (ზვრის) მომვლელი. „მეზვრემ მწვანილი მოიტანა" („კაცია-ადამიანი?!" - ი.ჭავჭ.).

მეთულუხე — თულუხით წყლის მზიდავი. იხ. თულუხი.

მეითარი — (ქსე) მეფის მსახური გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ვახუშტის განმარტებით, მ. ეჯიბის მსგავსი მოხელეა. მ. მეფესთან დაახლოებული საპატიო პირი იყო. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის" მიხედვით მას „შიგნით, გარეთ ბატონთა გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქვს". მ-ის ხელთ იყო მეფის ტანისამოსი. იგი ხელმძღვანელობდა მეფის მომსახურებას. „სპილენძის დაფდაფებს სცემდნენ მეითარები და მარეკები" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ.გამს.) მეძაღლე (კ. გამს. „დიდოსტატის მარჯვენას" სასკოლო გამოცემის ლექსიკონი)

მეინახე — (ქ. მწ.) თანამესუფრე. „[კასაგილას] აოცებდა მეინახეთა მდუმარება სრული" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ.გამს.)

მეკიმილე — საგანძურის დამცველი (კიმილია — საგანძური)

მეკობრე — (ქეგლ) ზღვის ყაჩაღი.

მელანქოლია — (უსლ) ფსიქიკური

აშლილობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მოდუნება, ნაღვლიანობა. ნაღვლიანი განწყობილება, სევდა, კაეშანი. „მელანქოლია შეეყარა გიორგის, კაცთმძულვარება შეებარა მის გულს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

მელოდრამა [ბერძ.]— (უსლ) 1. დრამა შეერთებული სიმღერასა და მუსიკასთან. 2. დრამატული ჟანრი, რომელიც გამოირჩევა გაზვიადებული ემოციურობით, მორალურ-დამრიგებლური სენტენციებით.

მემუარები [ფრ.] — (უსლ) ლიტერატურული ნაწარმოები, რომლითაც გადმოცემულია ავტორის მოგონებები პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა ამბის, მოვლენის შესახებ. მაგ. დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

მემორანდუმი [ლათ.] — (უსლ) 1. დიპლომატიური დოკუმენტი, რომლითაც გადმოცემულია მთავრობის თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე. 2. რაიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი ან ახსნა-განმარტებითი ცნობა. „როცა საჭიროება მოითხოვდა, შესაფერი მოხსენების ან მემორანდუმის შედგენას მას [თეიმურაზ ხევისთავს] მიანდობდნენ ხოლმე“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

მენტალიტეტი — ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი ეროვნულ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება. „ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკას ერის სიღრმისეული ფსიქოლოგიური ასპექტები და, ზოგადად, მენტალიტეტი განსაზღვრავს“ (ალ. თარხნ.).

მენშევიკები, მენშევიზმი — (უსლ) ანტიმარქსისტული, წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტული მიმდინარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. რეფორმის ნაირსახეობა. იხ. ბოლშევიზმი.

მენცარი, მეცარი —(საბა) ტყუვილი ბებლის მცნობელი. ბებლი — გრძნების მოქმედი. გრძნება — ეშმაკთ მოქმედება //ეშმაკის მონობა. იგივე კუდიანი, მჩხიბავი გრძნეული. „დაფრთხნენ კუდიანები, მზაკვრები, და მესიაკონები და ღამის მთავართან — დიდ მენცართან გაიქცნენ“ („თავადის ქალი მაია“ — ლ. ქიაჩ.). „უბელო მგელზე იჯდა მენცარი და კუდიანების ფერხულს მართავდა“ (იქვე).

მეორე დასი (ახალი ახალგაზრდობა) — (ქ. მწ.) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენელთა ჯგუფი გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის ინიციატივით ჩამოყალიბებული 1869 წელს. სოციალური საფუძველი და თეორიული წყაროები ძირითადად პირველდასელების (თერგდალეულების) იყო, მაგრამ იგი „მესამე წოდების“ კლასობრივ და ეროვნულ-უტოპიურ-სოციალისტური იდეების უფრო თავგამოდებული დამცველი იყო. „მეორე დასის“ წარმომადგენლებს, რომელთა სამოღვაწეო პროგრამა ბურჟუაზიული ხასიათისა იყო, თერგდალეულთა გეგმები აღარ აკმაყოფილებდათ. თუმცა აღიარებდნენ თავადაზნაურობის ქონებისა და დაწესებულების გამოყენებას ხალხის ინტერესებისათვის, გადაჭრით უარყოფდნენ

მათ კლასობრივ მეთაურობას და წარმმართველ ძალად მშრომელ, განათლებულ, ასოციაციებში გაერთიანებულ წვრილ მესაკუთრეებს მიიჩნევდნენ. „მეორე დასის“ აქტიური წევრები იყვნენ: ბ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, მათ ემხრობოდა აკაკი წერეთელი.

მერანი — (ქ. მწ.) კარგი ცხენი, ბედაური.

მერდინი — (ქეგლ) შინ დამზადებული აბრეშუმის თხელი ქსოვილი; ამ ქსოვილისაგან შეკერილი ქალის კაბა, ან თავსაფარი. კუთხური მნიშვნელობით წმინდა საცერი, სამტკიცი. „ბალღებიანი დიაცები გადმოდგებოდნენ, აფრიალებდნენ თეთრ მერდინებს შორიდან“ („დავით აღმაშენებელი“ — კ. გამს.). „ქალაუ შენმა მერდინმა ჰაერში გაიფრიალა“ (ხალხური). გამერდინებული, გამტკიცებული ფქვილი.

მერემე — ცხენის ჯოგის მეთვალყურე, მეცხენე. მერემეთუხუცესი. „გიორგი მეფეს უკან გამოუდგნენ მერემეთუხუცესი და ბაზიერნი...“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.)

მერკანტილიზმი — (უსლ) XVI-XVIII ს. ს. ევროპის სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკური მოძღვრება და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის კეთილდღეობა თითქოს დამოკიდებულია არა წარმოების განვითარებაზე, არამედ სხვა ქვეყნებში საქონლის გატანაზე და ამ გზით ფულის დაგროვებაზე. (გადატ.) გამორჩენის სურვილით წვრილმანი ანგარიშიანობა, ვაჭრული ანგარებანი. „ცივილიზაციის პირობებში, სულიერებაზე ზრუნვას მერკანტილური დამოკიდებულებები და უსულგულო ათეიზმის პირმშო — სიცარიელე ენაცვლება“ (ჟურნალი „ქართული ლიტერატურა“).

მეორედ მოსვლა — (ქსე) ქრისტიანული რჯულის მოძღვრებაში ქვეყნის მხსნელის, მესიის (იესო ქრისტე) მეორედ მოვლინების რწმენა. „მ. მ.“-ის დროს მორწმუნეთა აზრით ქრისტე ამ ქვეყნად მოაწყობს სამსჯავროს. „მ. მ.“-ის რწმენა ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა სახარებისეული მითები იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ყველაზე ადრინდელ ქრისტიანულ წიგნებში [„გამოცხადება იოანესი (აპოკალიფსი) და „დიდაქე“] ქრისტეს „მ. მ.“ ესმოდათ პიროვნულ მოვლინებად, მაგრამ უკვე სახარებებში ეს ამბავი გაგებულია როგორც „მ. მ“. ქრისტეს „მ. მ.“, სახარების მიხედვით, უნდა მომხდარიყო ერთი თაობის მანძილზე, მაგრამ ვინაიდან ეს წინასწარმეტყველება არ აღსრულდა, „მ. მ.“-ის სახარებისეულმა თარიღმა გადაიწია. „მ. მ.“-ის დოგმატს ეკლესიის მსახურნი იყენებდნენ მორწმუნეთა დასაშინებლად და რელიგიური ფანატიზმის გასაღვივებლად.

მეორედ მოსვლის, ანუ განკითხვის დღის, წინ დადგება ჟამი, როცა „ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლისმოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმინდურნი, არამოყვარულნი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, უფრო გუ-

ლისთქმის ამყოლნი, ვიდრე ღმერთის მოყვარენი. ასეთ ზნეობრივ კატასტროფას მოჰყვება ანტიქრისტეს მოვლინება, რომელიც იმძლავრებს ადამიანებზე 1260 დღეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლა. იგი დაამარცხებს სატანას და განიკითხავს ადამიანებს, მაგრამ „იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არცა ძემ, არამედ მხოლოდ მამამ“ (მათე. 24.36).

მერიმე პროსპერ (1803-1870)— (ქსე) ფრანგი მწერალი. საფრანგეთის აკადემიის წევრი 1844 წ.-დან. დაიბადა მხატვრის ოჯახში. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ.-ტი. იგი იმთავითვე დაუახლოვდა ლიბერალურ წრეებს, მხარს უჭერდა პროგრესულ რომანტიკოსებს. მის პიესებში გამოჩნდა დიდი ცხოვრებისეული სიმართლე, ბუნებრიობა, გრძნობათა, განწყობილებათა უშუალო და ნათელი გამოხატვა, სადა, დახვეწილი ენა, რომანში „შარლ IX-ის ცხოვრებისეული ქრონიკა“ (1829 წ.), რომელშიც მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე გმირთა წარმოჩენა იდეალიზაციის გარეშე. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მ.-ის ნოველებმა „მატეო ფალკონე“ (1829 წ.), „ტამანგო“ (1829 წ.), „არსენ გიიო“ (1844 წ.), „კარმენი“ (1845 წ.), „ცისფერი ოთახი“ (1866 წ.) და სხვა.

მერიქიფე — იხ. მწდე.

მეროქიკე, როჭიკი — იხ. როჭიკი.

„მესამე დასი“ — (ქსე) პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. შეიქმნა 1892 წ. დეკემბრის დამლევს. ე. ნინოშვილისა და მ. ცხაკაიას ინიციატივით ზესტაფონში გამართულ მარქსისტულად განწყობილ ინტელიგენტთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ი. კაკაბაძე, დ. კალანდარიშვილი, ე. ვასაძე, რ. კალაძე, ა. წითლიძე, ი. კვიცარიძე. კრებამ უარყო ნ. ჟორდანიას მიერ შედგენილი ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათის პროგრამის პროექტი და მიიღო ამ დროს ვარშავაში მყოფი ფ. მახარაძის წერილობითი წინადადება „მ. დ.“-ის პროგრამის შემუშავების შესახებ. კრების უმრავლესობის აზრით, ამ პროგრამას საფუძვლად უნდა დასდებოდა მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი პრინციპები.

1894 წ. 8 მაისს ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე ჯგუფის სახელით სიტყვები წარმოთქვეს ს. ჯიბლაძემ, ლ. დარჩიაშვილმა და სხვ. აქვე გ. წერეთელმა, რომელსაც ი. ჭავჭავაძის ჯგუფი პირველ დასად, ხოლო ნ. ნიკოლაძის ჯგუფი მეორე დასად მიაჩნდა, ამ ჯგუფს „მ. დ.“ უწოდა. ამ სახელწოდებამ მალე მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და საქართველოს სოციალ.-დემოკრატიის სინონიმი გახდა. „მესამედასელები“ თანამშრომლობდნენ ლეგალურ გაზეთ „კვალში“, რ-იც 1898 წ. დასაწყისიდან მთლიანად მათ ხელში გადავიდა და ისინი ხელს უწყობდნენ მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. „მესამე დასის“ მწერლობამ მთავარ ეროვნულ ძალად მუშათა კლასი გამოაცხადა“ (სასკ სახ.-ლო).

ᲛᲔᲡᲐᲬᲝᲚᲔ — (ქსე) მეფის საწოლის მომსახურე და მცველი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. როდესაც მეფე სადმე გაემგზავრებოდა, მას „შვიდივე შუბოსანი“ მ. მცველად მიჰყვებოდა. მ.-ები მესაწოლეთუხუცესს ემორჩილებოდნენ. მესაწოლეთუხუცესი ემსახურებოდა მეფეს მისი ჩაცმა-მოკაზმვის დროს. იგი მსახურთუხუცესის უწყებაში შედიოდა და თავისი პატივით ოდნავ ჩამორჩებოდა მოლარეთუხუცესს.

ᲛᲔᲡᲔᲠᲘ — (ქეგლ) მიჯრით ჩარჭობილი სარების ღობე. „თქვენ, უჰქველია, დაინახავდით მესრის იქეთ, ეზოში მოფუსფუსე, შავად ჩაცმულ ქალს“ („თავსაფრიანი დედაკაცი“ — ნ. ლორთქ.)

ᲛᲔᲡᲘᲐ — (ქსე) ქრისტე. იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ძე ღვთისა, მხსნელი, რომელიც გამოგზავნილია უფლის მიერ ქვეყნად ბოროტების აღმოსაფხვრელად და ათასწლოვანი მეუფების დასამკვიდრებლად. მ. არის კაცობრიობის მხსნელი პირველქმნილი ცოდვისაგან და არა ეკონომიკური და პოლიტიკური უბედურებისაგან. იგი ერთხელ უკვე იყო ცოდვილ დედამიწაზე და თავისი მოწამეობრივი სიკვდილით გამოისყიდა ადამიანთა ცოდვა, შეარიგა ხალხი ღმერთთან, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, აუცილებელია მ.-ის „მეორედ მოსვლა“ და მარადიული „ღვთის სამეფოს“ დამყარება. მოძღვრება მ.-ზე, მესიანიზმი, გავრცელებულია არა მარტო იუდაიზმში და ქრისტიანობაში, არამედ სხვა რელიგიებში (მაგ. ისლამში). „მეფეთ მეფე გიორგი მესიის მახვილი“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲛᲔᲡᲘᲐᲙᲝᲜᲘ — (მით.) შესაძლოა ეს იყოს მესკაცების ფონეტიკურად სახეშეცვლილი ფორმა. მესკაცს კი სამეგრელოში უწოდებენ ტყის ჯადოქარს, რომელსაც თხის გარეგნობა აქვს და მოულოდნელად შეუძვრება ლაჯებში მონადირეს, ზურგზე შეისვამს და ელვასავით თორმეტ მთას გადაატარებს, შემდეგ კი შიშისაგან დაზაფრულს უკანვე დააბრუნებს. „დაფრთხენ კუდიანები, მზაკვრები, მესიაკონები“ („თავადის ქალი მაია“ — ლ. ქიაჩ.).

ᲛᲔᲡᲠᲝᲞ ᲛᲐᲨᲢᲝᲪᲘ — (ქსე) სომეხი სწავლული, განმანათლებელი, სომხური ანბანის შემქმნელი. შეისწავლა სომხური ენის ბგერითი სისტემა და 405-408 წ.წ. შექმნა ანბანი. თავის მოწაფეებთან ერთად სირიულიდან სომხურად თარგმნა ბიბლიის ნაწილი. მ. მ.-ის ბევრი მოწაფე შემდგომში ცნობილი მწერალი გახდა.

ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲔ — (ქსე) გუდასტვირის დამკვრელი, მომღერალი, მელექსე.

ᲛᲔᲡᲢᲘ — (ქეგლ) ხშირად ერთად იხმარება „წუღა-მესტი“ — მაღალყელიანი უძირო ან უყელო საძირიანი მეშის ფეხსაცმელი.

ᲛᲔᲡᲢᲠᲝᲚᲐᲑᲝᲑᲐ — (ქ. ეწ.) (ძვ.) ვარსკვლავთმრიცხველობა.

ᲛᲔᲡᲢᲣᲔᲠᲔ — (ქ. ეწ.) „სტუმართა მოურავი“ (საბა).

ᲛᲔᲡᲮᲘ სერგეი (1845-1883) — (ქსე) ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1858-1863 წ.წ. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში,

1863-1867 წ.წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკ.-ზე. 1876 წ. ქუთაისს დაუბრუნდა, სადაც რამდენიმე ხანს სახელმწიფო ქონებათა გამგებლობის მდივნად მუშაობდა. 1878 წ. აპრილში მ. გაზეთ „დროების" რედაქტორად მიიწვიეს; გაზეთი მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების კერად აქცია. მ., ისევე როგორც ქართველი „სამოციანელები", მხატვრულ ლიტერატურასა და პერიოდულ პრესას ხალხის სამსახურში აყენებდა, ლიტერატურაში თავგამოდებით იცავდა რეალიზმს, როგორც მხატვრულ მეთოდს. 1873-1874 წ.წ. მ. პარიზში იმყოფებოდა. მ.-მა დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, მშობლიური ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში. მის პუბლიცისტურ, კრიტიკულ და ბიბლიოგრაფიულ წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მ. სხვა ქართველ პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად იბრძოდა დემოკრატიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის განათლებაში.

მეტამორფოზი [ბერძ.] — (უსლ) რისამე ერთი ფორმის სხვა ფორმად გადაქცევა; სახეცვალება, გარდაქმნა. „აღიარებულია, რომ თარაშ ემხვარი არის კონსტანტინე საყარსამიძის სახის ახლებური მეტამორფოზა" (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

მეტანია — (ქ. მწ.) მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ლოცვა-ვედრების დროს. „მეტანიით, სასოებით და ცრემლით ლოცულობს თეიმურაზი" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

მეტაფიზიკა — (უსლ) 1. შემეცნების მეთოდი, რომელიც დიალექტიკისაგან განსხვავებით მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად, როგორც ერთხელ, ისე სამუდამოდ მოცემულთ, უარყოფს საგნებისა და მოვლენების შინაგან წინააღმდეგობას. 2. იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც განიხილავს ცდის მიღმურ მოვლენებს (ღმერთს, სულს და მისთ.). მ. ანუ ფიზიკის შემდეგ — ასე უწოდეს არისტოტელეს ფილოსოფიურ თხზულებებს, რომლებიც მოთავსებული იყო მისი ფიზიკის ტრაქტატების შემდეგ. „უკვდავია მხოლოდ მეტაფიზიკური ბოდვა და მისტიკური ზღაპარი" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

მეტაფრასი — (უსლ) შესწორებული და გავრცობილ-შევსებული საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოები, უპირატესად ჰაგიოგრაფიული ჟანრისა. გადაკაზმული, გადაკეთებული.

მეტაფრასტი — (უსლ) 1. ლიტერატურული ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმომცემი, მთარგმნელი. 2. კომენტატორი.

მეტრაპეზე — (ქ. მწ.) მზარეული, მნე.

მეუდაბნოე — (ქ. მწ.) დაუსახლებელ ადგილას მყოფი ბერი. „ოდესღაც ტაძარს, იმ გაუქმებულს მეუდაბნოე შეჰკედლებია" („განდეგილი" — ი. ჭავჭ.).

მეუნარგია იონა (1852-1919) — (ქსე) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, სა-

ზოგადო მოღვაწე. სწავლობდა მარტვილის სას. სემინარიაში, რომლის უკანასკნელი კურსიდან 1874 წ. გარიცხეს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, ერთხანს ჟენევასა და პარიზში სწავლობდა. საქართველოში 1878 წ. დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საზ.-კულტ. ცხოვრებაში. მ. იყო „ვეფხისტყაოსნის" 1888 გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და კომისიის მდივანი. მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული თარგმანი ფრანგულ ენაზე (ამჟამად დაკარგულად ითვლება) და პოემის მოკლე შინაარსის რუსული თარგმანი. განსაკუთრებულია მ.-ს ღვაწლი XIX ს. ქართული ლიტ.-ის ისტ. შესწავლაში. მან დაამკვიდრა ჩვენს ლიტ.-მცოდნეობაში ახალი, ე.წ. ბიოგრაფიული ჟანრი, რომლის მიზანი, მ.-ის სიტყვით, ქართველ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა „ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაა".

ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ერთ-ერთი თანამებრძოლი, იგი თვითმხილველი და თანამონაწილეა XIX ს. დიდი კულტ.-ისტ. მოვლენებისა. წერილებში ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძისა და სხვ. შესახებ მ.-მ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა ქართველ მწერალთა მხატვრული თავისებურებები.

მეფე ლირი — უილიამ შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის" მთავარი პერსონაჟი. ინგლისის მეფე, ქალიშვილების — გონერილას, რეგინას და კორდელიას მამა. მან მოხუცებულობისას არასწორად გაუნაწილა შვილებს თავისი სამეფო, რისთვისაც დაისაჯა. (უფროსი ქალიშვილებისაგან უარყოფილი). „და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული" („მერი" — გ. ტაბ.)

მეფისტოფელი — (უსლ) ძველი გერმანული ლეგენდის მიხედვით: ბოროტი სული, დემონი (გამოყვანილია გოეთეს „ფაუსტში" და ბევრ სხვა ნაწარმოებში)

მეფსალმუნე — (ქ. მწ.) ფსალმუნების გამომთქმელი, საგალობლების გამომთქმელი. მედავითნე. დავით — ებრაელთა მეფე, რომელსაც მიეწერება ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის — ფსალმუნის ავტორობა.

მექა — (ქსე) ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე, დღევანდელ საუდის არაბეთში. ისეთივე წმინდა ქალაქია მუსლიმანთათვის, როგორც იერუსალიმი — ქრისტიანთათვის. „სანამ ათ წელიწადს მიუსჯიდნენ, დღეში ნამაზლიკს — პაწია ხალიჩას — ხუთჯერ გაიშლიდა, პირს მექასკენ მიიბრუნებდა და სალოცავს ბუტბუტით იტყოდა ხოლმე" („მართალი აბდულა" — მ. ჯავახ.).

მეყსეულად — (ქეგლ) სწრაფად, მაშინვე.

მეში — (ქეგლ) ცუდი ხარისხის ცხვრის ტყავი, მეშის ქალამანი.

მეშჩანი [რუს.] — (უსლ) 1. ადამიანი, რომელსაც წვრილმესაკუთრული ინტერესები, ვიწრო თვალსაზრისი აქვს. 2. რევოლუციამდელ რუსეთში ქალაქის წვრილ ვაჭართა, ხელოსანთა, წვრილ მოსამსახურეთა და მისთ. წოდება. ~ წვრილი ინტერესებისა და შეზღუდული გონების ადამიანი.

მეჩეთი — (ქეგლ) მუსლიმანთა სამლოცველო სახლი.

მეცენატი — (უსლ) მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი, რომაელი პოლიტიკური მოღვაწის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველობდა განთქმულ პოეტებს — ვირგილიუსს, ჰორაციუსს და სხვებს. „უანგარო ქართველ მოღვაწეთა შორის უნდა გვახსოვდეს ისეთი დიდი ქველმოქმედისა და მეცენატის სახელი, როგორიცაა დავით სარაჯიშვილი" (ნ. გრიგ. — ტ. I).

მეცნიერი — მცოდნე. „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

მეძაობა — (ქ. მწ.) მრუშობა, გარყვნილება.

მეწამული — (ბიბლ.) მუქი წითელი ფერი, სისხლისფერი. „დღე დადგა უტყვი და უჩვევი, მეწამულ ბილიკზე ვდგევი" („ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" — მ. ფოცხ.). „მზე ცეცხლმოდებულ, მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე (ტ. ტაბ. — ბიოგრ.).

მეჭურჭლე — (ქ. მწ.) მნე.

მეჭველი — (ქ. მწ.) ეჭვის მქონე, ომში შემდრკალი, შეშინებული.

მეჭურჭლეთუხუცესი — (ქსე) გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ვეზირი — სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მეჭურჭლეთა უფროსი. ტერმინი „მ." ქართულ საისტორიო წყაროებში XII ს.-დან გვხვდება, მაგრამ უეჭველია, რომ მ.-ობა გაცილებით ადრეც არსებობდა. („ხელმწიფის კარის გარიგებაში" მ. „ძველ ვეზირად იხსენიება.) მ. განაგებდა საჭურჭლეს, რომელშიც ფული და სანიადაგოდ სახმარი და სახარჯი ქონება ინახებოდა. მას ჰყავდა თავისი ნაცვალი, ანუ მოადგილე. მ.-ს ემორჩილებოდნენ საჭურჭლის მუქიბი და მუშრიბი. როგორც ფინანსთა მინისტრს, მ.-ს საჭურჭლისა და მისი მოხელეების გარდა ექვემდებარებოდნენ აგრეთვე „ძველი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო" და „ქალაქის აშირანი". მ. დიდი და საპატიო („საპატიო") ვეზირი იყო და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობდა. იგი მსახურთუხუცესთან ერთად ვეზირთა მეორე ჯგუფში შედიოდა. მ.-ს თავისი სამოხელეო ბეჭედი ეძლეოდა. ზოგჯერ შეიძლებოდა, რომ მას ერისთავთერისთავის, სპასალარის ან სხვა თანამდებობაც სჭეროდა.

მეხამლე — (ქ. მწ.) ფეხსაცმლის მკერავი. „ჩემი ნათხრობი, ყველას, ბაგრატ უფლისწულსა და უკანასკნელ მეხამლესაც უამბე, პიპა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მეხრე — (ქეგლ) ხარების გამრეკავი. გუთნის მ. დღის მ., რომელიც დღისით აძოვებდა გუთნის ხარ-კამეჩს, ხვნის დროს კი უღელზე იჯდა და ერეკებოდა. ღამის მ., რომელიც გუთნის ხარ-კამეჩს აძოვებდა ღამით. „მეხრე შემოხვდა ერთი, ტალახში ამოგანგლული, გზა ჰკითხა გიორგიმ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მეჯაღაგე — ტყავის დამმუშავებელი. დაბალი. (საბა) მეჯღანე. მეხამლე,

ფეხსაცმლის მკერავი. „ისე უნდა იყვირო, როგორც წყლისა და თაფლის გამყიდველები ყვირიან ქაიროში, რათა მეჯადაგეებმა და მეხამლეებმა გაიგონონ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მეჯინიბე — (საბა) ჯინიბის მატარებელი. მეცხენე.

მეჯლისი — (უსლ) 1. დიდი წვეულება; საცეკვაო საღამო; ბალი. 2. ირანსა და თურქეთში საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი.

მზახალი, მძახალი — (ქეგლ) ერთ-ერთი მეუღლის მშობელი მეორე მშობლის მიმართ. „გაზაფხულზე მამამზე და თალაგვა დამძახლდებოდნენ და საერთო ძალით შემოეწყობოდნენ უელისციხეს".

მზებუდობა — (ქეგლ) ზაფხულის მზებუდობა — წლის დრო, როდესაც ყველაზე გრძელი დღეა და ყველაზე მოკლე ღამე, 21-22 ივნისი, ზამთრის მზებუდობა — პირიქით, 21-22 დეკემბერი.

მზვაობარი — (ქ. მწ.) ზვიადი, მედიდური. „ჩიკოტელა უსალმო, ცომრალი, ცადაღრუბლული კაცი იყო, მზვაობარი" („ჩიორიკი და ჩიკოტელა"— გ. ლეონ.).

მზვარე — (ქ. მწ.) მზიანი, უჩრდილო ადგილი. „მუზარადები ელავდნენ მზვარეში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მზითევი — (ქსე) ქონება, რომელსაც ქალს მისი ოჯახი გათხოვებისას ატანდა ქმრის ოჯახში. მ.-ის მოცულობა და შემადგენლობა დამოკიდებული იყო ქალის ოჯახის სოც.-ეკონ. მდგომარეობაზე, მემკვიდრეობის წესზე. საქართველოში მ. რაოდენობა აღირიცხებოდა წერილობით საბუთში — მ.-ის წიგნში, რომელსაც ქორწილში დამსწრეებს აცნობდნენ. შემორჩენილ მ.-ის წიგნებში მოხსენიებულია: „საყდრის იარაღი" (ხატი, ჯვარი), სასულიერო და საერო წიგნები, სამკაულნი და საუნჯენი, საპირფარეშო იარაღი, „აბანოს იარაღი", ტანსაცმელი, ლოგინი, „სუფრის იარაღი", „სამზარეულოს იარაღი" და ა. შ. ზოგჯერ მ.-ში ფულსაც ატანდნენ, ხოლო დიდგვაროვანთა ასულებს ამალასაც აყოლებდნენ (გამზრდელს, პირისფარეშს, მერიქიფეს, მოლარეს, მედროშეს, მხლებელ-მოახლეს) (იხ. ვ. ბარნოვის „მიმქრალ შარავანდედში" თინათინის მზითევი).

მზითვად სხვა ქონებასთან ერთად მამულსაც ატანდნენ. ქალის გამზითვებას საქართველოს ბარში უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე მთიანეთში. მთიელები მ.-ში ატანდნენ საქონელს, რასაც სათავნო ერქვა. მ.-ის მიცემა ხდებოდა ქორწილის წინ ან ქორწილში (დარეჯანის მზითევი „კაცია-ადამიანში?!"; შორენას მზითევი „დიდოსტატის მარჯვენაში"; თავსაფრიანი დედაკაცის მზითვის სია; ქართველი ქალის მზითვის სია ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის" მიხედვით). საინტერესოა უმზითვობის პრობლემა დ. კლდიაშვილის მიხედვით.

მზირი — (საბა) ჩასაფრებული მზვერავი. ყაზახი, გინა ჯაშუში, გინა მსტოვარი. „მზირმა მზირობა არ გვიყოს თავს არ მოგვხვიოს წყალება" („ბახტრიონი"— ვაჟა).

მთავარმართებელი — (ქსე) რუსეთ-

ის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის უმაღლესი ხელისუფალი კავკასიაში 1801-44 წ.წ., 1882-1904 წ.წ. მ. იყო ამავე დროს კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის მთავარსარდალი. პასუხისმგებელი იყო მინისტრების წინაშე. ექვემდებარებოდნენ ქართლ-კახეთის, იმერეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდ. კავკასიის მმართველები. 1844-1882 წ.წ. მ. მეფისნაცვალმა შეცვალა. 1882-1904 წ.წ. მ.-ის თანამდებობა აღადგინეს 1905-1907 წ.წ. ისევ მეფისნაცვლის თანამდებობით შეიცვალა.

მთაწმინდა — (ქსე) მამადავითის მთა, პლატო, თრიალეთის ქედის აღმ. შტოქედის დაბოლოება (შედის თბილისის ფარგლებში); სიმაღლე 770 მ. აგებულია ზედაეოცენური ქვიშაქვებითა და თიხებით. სახელი მიიღო ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის — ათონის მთის (იხ. ათონ-ივერიონი) მიხედვით. გადმოცემით, მთის აღმ. კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას — დავითს (იხ. დავით გარეჯელი). IX ს. აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. მის ადგილას 1542 წ. ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა წმ. დავითის მონასტერი ააშენეს. ახლანდ. ეკლესია აგებულია 1871 წ. აქვეა მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია (აგებულია 1809 წ.). ეკლესიასთან მისასვლელი გზა გაიყვანეს 1817 წ. XIX ს. დასაწყისამდე მ. ტყით იყო შემოსილი. ახლანდ. ტყე ხელოვნურია. პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც საავტომობილო და საბაგირო გზით უკავშირდება ქალაქს; გაყვანილია ფუნიკულიორი. მ.-ის აღმ. კალთაზეა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. მთაზე დგას სატელევიზიო ანძა.

მთვარეული — (ბიბლ.) ავადმყოფი, რომელიც მძინარე დადის და უცნობლად იქმს სხვადასხვა საქმეს. „შორენა წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „მთვარეულივით ქანაობდა თავადის ქალი, ისე მიდიოდა“ („თავადის ქალი მაია“ — ლ. ქიაჩ.).

მთვარის ხელთაი —(ქ. მწ.) ასტროლოგიური წიგნი. „ფარსმანი „მთვარის ხელთაის“ სწერდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“—კ. გამს.).

მთიები — (ქეგლ) ცისკრის ვარსკვლავი.

მთიულეთის აჯანყება — (ქსე) 1804 წ., ანტიკოლონიური და ანტიბატონყმური აჯანყება, აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შედეგად გამოწვეული უკმაყოფილების გამო. ბატონყმური გადასახადებით ისედაც შევიწროებულ საქართველოს გლეხობას კოლონიური პოლიტიკის სიმძიმე დააწვა. ჯარების შენახვა და მათი სამსახური სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ამას ემატებოდა მოხელეთა თვითნებობა და უსამართლობა. 1804 წ. დასაწყისში ჩრდ. კავკასიიდან ჯარის გადმოსვლისას გზისპირის მოსახლეობა გამოაძევეს სახლებიდან და აუტანელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე გზის გაწმენდა-შეკეთება დაავალეს. ცარიზმის მოხელეები უხეშად ექცეოდნენ მოსახლეობას, უწიოკებდნენ

ოჯახებს, გაწეული სამუშაოებისათვის გასამრჯელოს არ უხდიდნენ.

1804 წლის მაისში მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებული მთიულები პირველად თავს დაესხნენ კაიშაურის საგუშაგოს და 17 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაწყვიტეს. ამის შემდეგ აჯანყებულები ანანურსა და დუშეთს შემოერტყნენ, გაემართნენ სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩასაგდებად. მთიულებს მიეხმარნენ გუდამაყრელები, ქარელის, ხანდოს, ფშავ-ხევსურეთისა და თრუსოს მცხოვრებნი. აჯანყებულებმა მოციქულები გაუგზავნეს იმერეთში მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს და აჯანყებაში მონაწილეობა სთხოვეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოვიდნენ ქსნის ერისთავები, რომელთაც რუსეთის ხელმწიფემ ცოტა ხნის წინ დაუბრუნა ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ყმამამულები. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ. მათი მიზანი იყო გაუქმებული სამეფო ხელისუფლების აღდგენა. 24 ივნისს აჯანყებულებს თავს დაესხა რუსთა რაზმი, რომელსაც თავადი გიორგი ამირეჯიბი მეგზურობდა. 3 აგვისტოს მოხდა შეტაკება, რომელიც აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა.

აჯანყება ქსნის ხეობასაც მოედო. აქ გლეხები დაერივნენ თავიანთ მებატონეებს და აიკლეს. 20 აგვისტოს დუშეთში დაწვეს ყაზარმა. სექტემბერში რუსეთიდან გამოგზავნეს დამატებითი ჯარები, მათ ყოველი მხრიდან შეუტიეს აჯანყებულებს. ბრძოლას გენერალი ციციანოვი ხელმძღვანელობდა. მთავრობის ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ მთიულეთის აჯანყების მონაწილეებს, დაახმატიმრეს 300-ზე მეტი კაცი, შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს ფარნაოზ ბატონიშვილი (ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი", „ალ. ყაზბეგის „ელგუჯა").

მიგრაცია, მიგრირება – (უსლ) ადამიანების, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

მიდიური ცეცხლი – ზოროასტრული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრი იყო მიდია. მიდიელთა ტომების მთავარი ღმერთი აჰურამაზდა – ცეცხლის ღმერთი. (ცეცხლს სცემდნენ თაყვანს). აქედან მოდის მიდიური ცეცხლი – მგზნებარე ცეცხლი (იხ. მოგვი). „[ფარსმანმა] მიდიური ცეცხლი ესროლა, ლოდსატყორცნს ხანძარი გაუჩინა, ალ-პაქიმთან მიბრუნდა კვლავ" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

მიზანსცენა – (უსლ) მსახიობებისა და დეკორაციების განლაგება სცენაზე წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში.

მიზგითი – (ქ. მწ.) მეჩეთი. „უმშვენიერესი მიზგითები აგო ქაიროში ფარსმანმა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

მისდი – ქირა. (საბა) ასაღები რამ, სარგო.

მიზრაფი – (ქეგლ) თარის დასაკრავი წკირია. (გადატ.) „მე თბილისის ფოლკლორის ანასხლეტი მიზრაფი" (ი. გრიშ.).

მითი და მითოსი [ბერძ.] – (უსლ) 1. ძვ. ხალხური თქმულება ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და

სიცოცხლის წარმოშობაზე. 2. მითების ერთობლიობა. მითების შემსწავლელი მეცნიერება. მითოლოგია. 3. მონაჭორი, ტყუილი რამ.

მითრა – (უსლ) უმაღლეს სასულიერო პირთა (დამსახურებულ მღვდელთა) მაღალი მრგვალი თავსარქმელი, რომელსაც იხურავენ მღვდელმსახურების დროს. (საბა) მიტრა – მღვდელმთავრის გვირგვინი.

მიკელანობდა – (საბა) მკელობელი. კოჭლი. „მამამზე ძლივს მიკელანობდა სახლთუხუცესსა და შინდის ჯოხს დაყრდნობილი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

მიკიტანი – (უსლ) სამიკიტნოს პატრონი და დახლიდარი. „მიკიტნის ქალი იყო ბასილი კეისრის დედა, ამიტომაც უცხო არ იყო მისთვის ბილწსიტყვაობა" (კ. გამს.).

მიკრისის სენი (ნეკრესის ქარი)– სახსრების ტეხა, რევმატიზმი. „[ციის კარები] ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო" („კაცია-ადამიანი?!" – ი. ჭავჭ.).

მილი – 1. სიგრძის საზომი ერთეული. ფრანგულად ათასი ნაბიჯი. (საბა) სამი მილი ერთი ეჯი არს. „სერო მიუსელლაჰ: ადგილი სალოცავი", მაღალი სერიდან ველი: სიგრძით თხუთმეტი მილი და სიგანით ცხრა" („გველის პერანგი", გრ. რობაქ.). 2. სადენი ღარი.

მილიონი – (საბა) მილიონი და მილი ლათინურია. მილი არს ათასი, ხოლო მილიონი – ბევრის-ბევრი.

მილიტარიზმი – (უსლ) 1. შეიარაღებისა და ომისათვის მზადების რეაქციული პოლიტიკა, რასაც ადგანან იმპერიალისტური სახელმწიფოები. 2. აგრესიული სამხედრო წრეების პოლიტიკური ბატონობა.

მიმიკრია [ინგ.]– (უსლ) ზოგი სახეობის ცხოველებისა და მცენარეების თავდაცვითი შეგუება – ფორმით ან ფერით დამსგავსება გარემო საგნებთან, სხვა ცხოველებთან და მცენარეებთან. მხატვრობაში თვალშესაქცევი მსგავსება დახატული ფიგურებისა. მაგალითად მცენარე ან ყვავილია დახატული და მნახველს ფრინველად მოეჩვენება. „...როზეტებსა და ჩუქურთმებში ოსტატური მიმიკრიით ჩახლართული იყო დაწყვილებული გველების ხატებანი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

მიმრქუეელი – (ძვ.) ნათლია.

მინა – მინანქარი. ემალი, (საბა) ჭიქა არს ფერადი ელვარედ შემზადებული ილეკროთა ზედა მხატვრულად ქმნად შემზადებული. (ქეგლ) 1. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა, რომლითაც ფარავენ ლითონის საგნებს – ემალი. 2. თეთრი, მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილი. „ამჭვირვალდა მშობლიური კამკამა ცა, ლურჯად მინანქრული" (გ. ლეონ.).

მინერვა – (უსლ) რომაულ მითოლოგიაში: სიბრძნის, შემოქმედებითი ნიჭისა და საერთოდ ხელოვნების მფარველი ქალღმერთი, მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის მფარველი მუზა (ბერძ. მითოლოგიაში შეესაბამება ათენა).

მინიატურა – (ქსე) პატარა ზომის, დახვეწილი და ფაქიზი ხელნაწერით

შესრულებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოები. ტერმინი „მ“ ზოგიერთი ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოების მიმართაც იხმარება: კომპოზიციურად და შინაარსობრივად დასრულებული უმცირესი ზომის ლიტ. თხრობითი ჟანრი, სადაც მოქმედება და თხრობა ვითარდება დინამიკურად და ლაკონურად. თავისი სტრუქტურით იგი ნოველაზე მარტივი და შეზღუდულია. ქართ.ლიტ.-ში ცნობილია ნ. ლორთქიფანიძის, ს. ცერცვაძის და შ. დადიანის მ.-ები. მოკლე მოთხრობა, პიესა, ვოდევილი, ინტერმედია, სკეტჩი, ქორეოგრაფიული, მუსიკალური საესტრადო სცენა და ა. შ. მინიატურული ნაწარმოებებით იქნება მ.-ების თეატრის რეპერტუარი. „[ვარდისახარმა გადმოიღო] სახარება და ფსალმუნი ფერადი მინიატურებით დამშვენებული“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მინორი — (ქსე) რბილი, დუნე წყობა; კილო, რომელიც ხასიათდება სევდიანი ხმოვანებით (მაჟორის საპირისპირო).

მიონი — (ქ. ეწ.) გრძნეული, ეშმაკი. „ფარსმანისაგან ათასგზის სმენოდა გიორგის: გრძნეულნი, მიონნი უხვდებიანო მონადირეებს ქალებში, მშვილდ-ისარს გაუჩხიბავენო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მირაჟი [ფრ.] — (უსლ) ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა, როდესაც ჰორიზონტთან ჩნდება დედამიწაზე არსებული საგნების ცრუ გამოსახულებანი. 2. (გადატ.) მოჩვენებითი რამ.

მირგოროდი — (ქსე) ქალაქი უკრაინაში, პოლტავის ოლქში, მდ. ხოროლის ნაპირზე. 1741 წ. ვახტანგ VI-ის ამალის ქართველებმა, მათ შორის დავით გურამიშვილმა, მიიღეს მამული. 1743 წ.-დან დროგამოშვებით ცხოვრობდა მ.-ში, სადაც 1760 წ. საბოლოოდ დაფუძნდა. აქ შეიქმნა გურამიშვილის ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი. პოეტი დაკრძალულია მ.-ის მიძინების ეკლესიის სასაფლაოზე. 1949 წ. 1 აგვისტოს, დ. გურამიშვილის ხსოვნის დღეს, მის საფლავზე დაიდგა ძეგლი.

მირიადი — (უსლ) ურიცხვი, უთვალავი. სხივმირიადი — სხივოსანი.

მირიან III — ქართლის მეფე IV ს. მისი მეფობის დროს, 337 წლის ახლო ხანაში, ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მ. III უნდა იყოს IV ს. რომაელი ისტორიკოსის ამიანე მარცელინუსის თხზულებებში მოხსენიებული იბერთა (ქართლის) მეფე მერიბანი, რომელსაც რომაელებმა, როგორც თავიანთ მოკავშირეს, უხვი საჩუქრები გაუგზავნეს, რომ ირანელებს არ მიემხრობოდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, იგი ქართლის მეფე ლევის ძეა. „ქართლის ცხოვრება“ კი მას მიიჩნევს პირველი სასანიანი შაჰის შვილად, რომელიც ერისთავებმა მოიყვანეს უძეოდ გარდაცვლილი მეფე ასფაგურის ასულის ქმრად. ეს ცნობა შეიძლება შეთხზული იყოს პირველი ქრისტიანი მეფე მ. III-ისთვის ღირსეული წინაპრების გამოძებნის მიზნით. „მეფე მირიან ბრწყინავს ნათელით“ („სადღეგრძელო“— გრ. ორბ.).

მირქანი — იხ. მარტი.

მოროდი, გაამორადებს — (ქეგლ) (კუთხ.) სიმინდის მეორედ გათოხნა.

„[მხენელი] დახნავს, დაფარცხავს, დასთესს, გამარგლავს, გაამორადებს...“ („დაგვიანებული ყვავილები“ — ნ. ლორთქ.).

მირონი [ბერძ.] — კურთხეული ზეთი. „ოფლისა, საკმეველისა და მირონის სუნი ერთმანეთში არეულიყო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). (ქსე) — მცენარეული სურნელოვანი ზეთი, იხმარება ქრისტიანულ ეკლესიაში მირონცხების (მონათვლის) საიდუმლოს შესრულების დროს, ტაძრისა და წმინდა ტრაპეზის კურთხევისას, აგრეთვე მეფის კურთხევაზე. გადმოცემის თანახმად, საქართველოში წმ. მირონი გადმოდიოდა მცხეთაში იმ ხიდან, რომელიც იესო ქრისტეს მიწაში დაფლულ კვართზე იყო ამოსული. შემდგომში იმ ადგილზე სვეტიცხოვლის ტაძარი აუგიათ. ამჟამად მირონს ამზადებენ 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან (ზეითუნის ზეთი, თეთრი ღვინო, საკმეველი, სხვადასხვა ყვავილის, ვარდის ზეთი და სხვა). მ. მზადდება ყველა დამოუკიდებელ ეკლესიაში. ეს არის ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანი. მ.-ის ხარშვა იწყება აღდგომის წინ, დიდ ორშაბათს და 3 დღეს გრძელდება. მ.-ს აკურთხებს პატრიარქი საპატრიარქო ტაძარში, საზეიმო წირვის შესრულების დროს. საქართველოში მ.-ს აკურთხებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი („გრ. ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისას).

მირქმა — (ძვ.) აყვანა (ყრმის მირქმა — ახალშობილის აყვანა).

მისაქციერი — ადგილია მცხეთის მახლობლად, ჩრდილოეთით. „შეუვალი ტყეებით იყო დაბურული საფურცლისა და მისაქციერის სანახები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მისია — 1. საგანგებო, საპასუხისმგებლო დავალება, დანიშნულება, როლი. 2. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა დესპანის მეთაურობით. 3. სპეციალური დანიშნულებით წარგზავნილი დიპლომატიური დელეგაცია (აქედან მომდინარეობს მისიონერი).

მისიონერი [ფრ.] — (უსლ) ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი რელიგიური პროპაგანდის გასაწევად და სხვა სჯულის მორწმუნეების მოსაქცევად. კათოლიკე მისიონერები საქ-ში.

მისრატული — (ქ. მწ.) მსახური, ცხენთა მომვლელი.

მისტერია [ბერძ.] — (უსლ) 1. ანტიკურ ქვეყნებში (საბერძნეთი, რომი) საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება. 2. შუა საუკუნეების დას. ევროპაში: დრამა, რომელსაც ჰქონდა ბიბლიური სიუჟეტი. „ჯენეტი და სავარსამიძე აპოკალიფსურმა მისტერიამ დააახლოვა“ („ტაია შელიას მისტერიები“ — კ. გამს.). „ტემპერამენტი და სისხლის მისტერია ამოძრავებს პერსონაჟთა ვნებებს“ (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

მისტიკა — (უსლ) რწმენა, რომლის მიხედვითაც ადამიანს თითქოს შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს საიქიოსთან; ზებუნებრივი ძალების რწმენა. 2. (გადატ.) იდუმალი რამ. მისტიციზმი — მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა, მი-

დრეკილება მისტიკისადმი. „ქრისტიანული მისტიციზმიდან ილტვოდა ქვეყანა და რენესანსის დილა თვალს ახელდა“ (ს. სიგ.).

ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ — (ძვ.) წონის ერთეული 4,25 გრამი. „ენაგადმოგდებული მწიგნობარი ნახევარმისხლიანი ბეჭდის გასაყიდად დილიდან საღამომდე ბაზარში დალასლასებს“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ [ბერძ.] — (ქეგლ) მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება. „კ. გამსახურდიას ერთი წინაპარი, სახელად პავლე, თბილისის მიტროპოლიტი ყოფილა XVIII ს-ის მიწურულს“.

ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝ ბუონაროტი (უფრო სწორია მიკელანჯელო; სხვაგვარად — მიქელანჯელო დი ლოდოვიკო დი ლიონარდო დი ბუონაროტი სიმონი (1475-1564) — (ქსე) იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი და პოეტი. მ.-ს შემოქმედებამ განსაზღვრა XVI და მომდევნო საუკუნეთა ევრ. ხელოვნების განვითარების გზები, თავის მხრივ მასში აისახა ადამიანური, ჰეროიკული პათოსით აღსავსე მაღალი აღორძინების იდეალები და ამასთან თავი იჩინა გვიანი აღორძინების ჰუმანისტური მსოფლმხედველობის კრიზისის ტრაგიკულმა შეგრძნებამ. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ჯოტოს, დონატელოს, მაზაჩოს, იაკობო დელა კვერჩასა და ანტიკური პლასტიკის ზეგავლენით. „მადონა კიბესთან“, „კენტავრების ბრძოლა“ (ორივე მარმარილო, დაახლ. 1490-1492), ჯგუფური კომპოზიცია „პიეტა“ (1498-1501, წმ. პეტრას ტაძარი, რომი), 1501 წ. მ. ფლორენციაში დაბრუნდა. 1501-04 წ.წ. შექმნა „დავითი“, რომელიც გმირული ძალის სიმბოლური განსახიერებაა. 1505 წ. პაპმა იულიუს II-მ მ. მიიწვია და დაავალა პაპის საფლავის ძეგლის შექმნა. სამუშაო გაგრძელდა, პროექტი მრავალჯერ შეიცვალა და ნაგებობა მხოლოდ 1546 წ. დასრულდა. ამ მონუმენტისათვის მ.-მ რამოდენიმე ფიგურა შექმნა, მათ შორის „მოსე“. მ.-ს მოსე უდიდესი ტემპერამენტისა და ძალის ტიტანური პიროვნებაა. საფლავის ძეგლისათვის შექმნა მან აგრეთვე მონის ორი ფიგურა (ე.წ. „ამბოხებული მონა“, „მომაკვდავი მონა“). მ.-ს, როგორც ფერმწერის, შესაძლებლობა გამოჩნდა ვატიკანში სიქსტის კაპელის ჭერის მოხატულობაში. ჭერის ფართობი ლუნეტების ჩათვლით 600 მ² მოხატულობა, მასშტაბის მონუმენტურობის გარდა, ჩანაფიქრითაც გრანდიოზულია; იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. აქ წარმოდგენილია მთელი სამყარო, ადამიანის ყოფა, მისი პირველი ნაბიჯებიდან. მ.-მ მოხატულობის ისეთი სტრუქტურა შექმნა, რომ მხატვრობის ურთულესი კომპოზიციური სქემა ძალიან ადვილი აღსაქმელია. მსოფლიო მხატვრობის ისტორიაში არც ერთი ნაწარმოები ისეთი ძალით არ იძლევა საშუალებას, თვალი გავადევნოთ მხატვრის მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციას, როგორც ეს მოხატულობა. მის პლასტიკურ აქტივობას და მკვეთრ ინდივიდუალობას ბადალი არ ჰყავს. ეს არის მხატვრული სინთეზის მაგალითი. არსად ასე ორგანულად არ არის ერთმანეთში არქიტექტურა და ფერწერა.

ფრესკები აღიქმება ფიზიკური და სულიერი სილამაზის, ადამიანის ძალის განუსაზღვრელობისა და შემოქმედებითი შესაძლებლობის სიდიადის ჰიმნად, ცხოვრების უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. მ. ქანდაკებასა და ფერწერასთან ერთად გაიტაცა არქიტექტურამ და პოეზიამ. უკანასკნელ წლებში მ.-მ საკუთარი საფლავისათვის შექმნა „ქრისტეს დატირება“, მაგრამ ქანდაკება თვითონვე გაანადგურა (დამტვრეული ნაწილები შეკრიბა და დაასრულა ტ. კალკანიმ). მ.-ს ნაგებობებმა ნიადაგი მოუმზადა ბაროკოს. მ.-ს სიცოცხლეში ლექსები არ გამოუქვეყნებია. გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმისშვილმა ბუონაროტი უმცროსმა შეკრიბა მ.-ს პოეტური ნაწარმოებები, დახვეწა და 1623 წ. გამოაქვეყნა. ყურადღებას იქცევს მიქელანჯელოს პოლიტიკურ-სატირული ლექსები; მისთვის უცხო არ იყო განყენებული თემებიც და ასკეტური განწყობილებაც. გ. ტაბიძე პოეზიის მესიას უწოდებდა მიქელანჯელოს. „ვერ შეამჩნიეს მზეთა ტიტანი / ახალი დროის დიდი მესია“ („ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს“— გ. ტაბ.).

მიქელაძე დავით („მეველე“) (1843-1918) — (ქ. მწ.) ლიტერატორი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, „შვილთა ბანაკის“ წარმომადგენელი. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, პარიზში. დააარსა სტამბა 1864 წ., იყო „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი, რედაქტორი და გამომცემელი. 90-იან წლებში განაგებდა „ივერიას“, იყო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრი, შემდეგ — დირექტორი. „მეველე“ თავის პუბლიცისტურ წერილებში ააშკარავებდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს, იხილავდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებს. ამხელდა შოვინისტებს. დიდ ყურადღებას უთმობდა განათლების საკითხებს, ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა და მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას მოითხოვდა. ლიტერატურულ წრეებში ავითარებდა პრინციპს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. „მესხი, მეველე, მელიქ-ალები“ („პასუხი შვილთა“ — გრ. ორბ.).

მიშერი — (ქ. მწ.) უმაღლესი ხარისხის თაფლი, გოლეული. „მირთმა ხამს მართ მიშერისა“ („ვეფხისტყაოსანი“— შ. რუსთ.).

მიცკევიჩი ადამ (1798-1855) — („სიბრძნის სიმფონია“ — აკ. გელ.) გენიალური პოლონელი პოეტი ნოვატორი, რომელმაც თავისი შემოქმედებითი ძალმოსილება თავისი ერის თავისუფლების საქმეს შესწირა. რუსეთში განდევნილობის დროს გაიცნო პუშკინი და დეკაბრისტები. რევოლუციური რომანტიზმის მშვენებაა „ფარისი“.

მიწური — მიწაში გაკეთებული სადგომი, ბინა.

მიჭრიტანა — (ქეგლ) სარკე. „ქალმა მიჭრიტანები ამოალაგა ოქროთი მოზარნიშებული“ („დიდოსტატის მარჯვენა“—კ. გამს.).

მიხაკი — ყარამფილი, კინამო. (საბა) კინამო არის ყვავილი სუნნელი, ეგვიპ-

ტეს მოვა; მძინარს კაცს რა პირსა დაადვა, გულისა პასუხს წარმოიტყვის, რა ცხელთა რაშიმე შთადვა, ანუ აბანოთა შეიტანო, გააგრილებს, ხრწნილებისა მიერ შობილსა მატლსა უჩინო პყოფს.

მკათათვე — ივლისი.

მკალია — (საბა) მკალი, კალია, მხლტომელი მკალია. „მკალია დასცის ცანებსა" (დ. გურამ.).

მკედი — (საბა) მსხვილი ძაფი.

მკრეხელი — (საბა) ეკლესიის სახმართ მპარავი, მძარცველი გინა საფლავთა მდებარისა მკვდართა განმძარცველი. ქურდი. შემდეგში სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა. (ქეგლ) ღვთის გმობა, უღვთო საქმე, სარწმუნოების შეურაცხყოფა, მწვალებელი. „თუ ჩვენი კერპები გახსენეთ და იმათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: მკრეხელი, მწვალებელი და მსტოვარი" („დიდოსტატის მარჯვენა"—კ. გამს.).

მნათე — (ქეგლ) ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობასაც შეადგენს სანთლების ანთება, ზარების რეკვა და მისთ. „მოხუცი მნათეს ჩიტჩიტი მიჩნეულია უმაღლეს ჭეშმარიტებად" („დაგვიანებული ყვავილები," ნ. ლორთქ.).

მოარული — (ბიბლ.) საყოველთაოდ გავრცელებული. მოარული სიუჟეტი.

მოგვი — (ქეგლ) 1. ცეცხლმსახურთა ქურუმი (მაზდეანი). „ციხეში ყოფნისას შუშანიკმა შეიტყო, რომ მისი შვილები გადასულიყვნენ მოგვთა სარწმუნოებაზე (მაზდეანობაზე)" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.). 2. ვარსკვლავთმრიცხველი, გრძნეული, მისანი. „პატრონი ჩვენი მოგვია და თუცა ხმელთა ვლიდე, სამისნოთა სცნობა" (საბა). „აღმოსავლეთიდან მოსული მოგვები კი იუწყებოდნენ ებრაელთა წიაღში კაცობრიობის ძლიერი მეუფის, ღვთის შობას" („წმინდა ნინოს ცხოვრება"). 3. ძვ. ქართულში: მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ჩექმა. „ორნი დაშნანი იქით და აქეთ მოგვშიგან ესხნიან" („ამირანდარეჯანიანი").

მოდრეკილი მიქაელ — X ს-ის უდიდესი და უნიჭიერესი ქართველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა არა მარტო ორიგინალური ჰიმნები, არამედ სხვადასხვა ჰიმნოგრაფ ავტორთა საგალობლების კრებული. „მოდრეკილი" ნიშნავს მორჩილს, დაცუდებულს ან მარტო მყოფს, ბერს. „ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი, რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი" („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო" — მ. ლებ.).

მოვი, მოვის პერანგი — (ქეგლ) აბრეშუმის რბილი საპერანგე ქსოვილი. „წითელი მოვის პერანგი მორევისავით ეფინა" („თავფარავნელი ჭაბუკი"— ხალხ.) .

მოზარე — (ქ. ეწ.) მოთქმით მოტირალი. „უცხო კაცისა მოზარე"— ეაჟა,

მოზაიკა [ფრ.] — (უსლ) სურათი ან სახე, რომელიც შედგენილია ცემენტის ფენაზე დამაგრებული ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ფერადი კენჭების, სხვადასხვა ფერის მინის, მარმარილოს, ემალის და მისთანა პატარ-პატარა ნაჭრებისაგან.

მოთალი — ერთგვარი ყველი (დაფერჩხვნილი). „მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიქრელებენ სუფრასა" (გრ. ორბ.).

ᲛᲝᲗᲮᲔ — (საბა) კოლოფი, გინა სკივრი. „[კაცს] უბეთა ერთი მოთხე ედვა, ამოიღო...“ („მაგისტროსი კეისრისა“—საბა).

ᲛᲝᲘᲡᲗᲕᲚᲘᲡ — (ქ. მწ.) მოკრეფს თავისთვის. „ოდეს მოისთვლის მტევნებსა“ (დ. გურ.).

ᲛᲝᲘᲡᲠᲐ — (ქ. მწ.) ამოწყდა, განადგურდა. „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად ტრამლადა“ (დ. გურ.)

ᲛᲝᲘᲠᲔᲑᲘ — (მით.) ბედისწერის, სიკვდილისა და უბედურების საშინელი ქალღმერთები,იგივე ერინიები, ჩვეულებრივ მრავლობითში იტყვიან, რადგან სამნი არიან. თვით სიტყვა „მოირა“ ნაწილს ნიშნავს, ე. ი. სიცოცხლის ნაწილს, რასაც ეს ავი ქალღმერთები განაგებენ და წყვეტენ.

თავდაპირველად მოირა უფრო მარტივი ვინმე იყო, უბრალო ბედის მწერალი ან გამგებელი. მერე სახე თანდათან გართულდა. „მე ბერძნულმა მოირამ დამიწერა არც შენ და არც შენმა საყვარელმა ვერ პპოვოთ ქვეყნად სიამოვნებაო“ („მოირა“ — ნ. ლორთქ).

ᲛᲝᲚᲐ — (ქ. მწ.) მუსლიმანთა სასულიერო პირი. „ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი ლეკთა მოლამა“ (დ. გურამ.)

ᲛᲝᲚᲐᲦᲣᲠᲘ — (ქ. მწ.) შავი და ყვითელი ბუმბულით შემოსილი მგალობელი ფრინველი. გულყვითელა.

ᲛᲝᲚᲘᲔᲠᲘ (ნამდვილი სახელი და გვარი ჟან ბატისტ პოკლენი) (1622—1673) — (ქსე) ფრანგი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი. საუკეთესო პიესებადაა აღიარებული „ტარტიუფი“, „დონ ჟუანი“, მაღალი კომედიის კლასიკური ნიმუშა „მიზანთროპი“, „გააზნაურებული მდაბიო“, „სკაპენის ოინები“, „ძუნწი“; მ.-ის შემოქმედებას საქართველოში XIX ს. გაეცნენ. მისი „სკაპენის ოინები“ თარგმნა ა. წერეთელმა. ივანე ერისთავმა (გ. ერისთავის ძმა) თარგმნა და გ. ერისთავმა თეატრში დადგა მ.-ის პიესა „უნებლიედ ექიმი“. არვიცაშვილის თარჯმანის მიხედვით დაიდგა „კრიჟანგი“ („ძუნწი“); 1901 წ. გამოქვეყნდა ივ. მაჭავარიანის თარგმანი „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა“. 1924 წ. რუსთაველის სახ. თეატრში დაიდგა „გააზნაურებული მდაბიო“, 1920 წ. —„ძუნწი“, ხოლო 1943 წ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა დადგა „ვითომდა ავადმყოფი“.

ᲛᲝᲚᲝᲙᲜᲔᲑᲘ [რუს.] — (უსლ) წარმომადგენლები ერთ-ერთი რელიგიური სექტისა, რომელიც შეიქმნა რუსეთში XVIII ს.; უარყოფენ მართლმადიდებელი ეკლესიის წესებსა და დოგმებს (თბილისში მოლოკნების ბაზარი). „სამმა მალაკანმა აბდულ ქერიმს დაბეჯითებით დაადო ხელი“ („მართალი აბდულა“— მ. ჯავახ.).

ᲛᲝᲛᲐᲥᲪᲔᲕᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) მომრჯულებელი, გამქრისტიანებელი.

ᲛᲝᲛᲐᲮᲕᲐ — (ქ. მწ.) გალესვა.

ᲛᲝᲛᲧᲛᲐᲠᲘ — დიდად მომშეული (საბა). „მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნიდა და თან აყვედრიდა, რა ღორულად ჭამო“ (ს. ს. ორბ.).

ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ — (საბა) გარჯილობით ნაშოვნი. შრომით შენაძენი.

ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲝᲑᲐ — (ქსე) სოციალურ-

რელიგიური ჯგუფი, რომლის წევრები ვალდებულნი არიან განუდგნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, უარი თქვან ქონებაზე, ქორწინებაზე, გაწყვიტონ ნათესაური და სოც. კავშირები და დაემორჩილონ მკაცრ დისციპლინას. ბერები (უმრავლესობა) აუცილებლად მონასტერში უნდა ცხოვრობდნენ. მ.-ის ეთიკის ძირითად მომენტს წარმოადგენს ლოცვა და ფიქრი ღმერთზე. ქრისტიანობაში მ. III-IV ს. ს. გაჩნდა, თავდაპირველად განდეგილობის სახით, შემდეგ (IV ს.-დან) სამონასტრო ფორმით. „ხანძთის ბერ-მონაზვნობამ გრიგოლი არქიმანდრიტად დაადგინა" (გ. მერჩ.).

მონარქი, მონარქია – (უსლ) სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი (მეფე, იმპერატორი, სულთანი). სახელმწიფო, რომელსაც მმართველობის ასეთი სისტემა აქვს. „XIII საუკუნეში დაიშალა ფეოდალური მონარქია, თავი იჩინა ფეოდალურმა პარტიკულარიზმმა" (კეკელიძე-ბარამიძე).

მონასპა – (ქსე) სამეფო გვარდია ფეოდალურ საქართველოში. დააარსა დავით აღმაშენებელმა. მ.-ში 5000 მხედარი „მონა", ანუ მეფის პირად სამსახურში მყოფი რჩეული პროფესიონალი მეომარი შედიოდა. მ. მეფის მცველი კორპუსი იყო, რომელიც ხშირად საგარეო მტრების წინააღმდეგ საპასუხისმგებლო სამსახ. ოპერაციებსაც ატარებდა. მოლაშქრეები მუდამ მეფესთან ან სასახლესთან იმყოფებოდნენ და მეფის წყალობით ცხოვრობდნენ. დავით აღმაშენებელი დიდად აფასებდა „მონებს", რომლებიც მისი ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდნენ ფეოდალურ ოპოზიციასთან ბრძოლაში. ცხადია, მონები არ იყვნენ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ არ ჰქონდათ სოც. თავისუფლება, იყვნენ მეფის ყმები. XII ს. განმავლობაში „მონათა" უმრავლესობა ყმა-მამულით იქნა შეწყნარებული და ქართველ ფეოდალთა რიგებს შეერია. „დიდოსტატის მარჯვენაში" მონასპა – ტყვეების, მუშახელის მნიშვნელობითაა ნახმარი.

მონასტერი – (საბა) ლათინურია, ქართულად სამზრუნველო ჰქვიან, მონაზონთ საკრებულო. – ბერ-მონაზონთა საეკლესიო-საადგილმამულო რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა. განსხვავებით ეკლესიისაგან, რომელიც მხოლოდ ტაძარია, სამლოცველოა, მონასტერს აქვს შემდეგი ნიშნები: 1.შენობათა კომპლექსი, ერთობლიობა: ა) ეკლესია; ბ) საგანმანათლებლო ფუნქციის შენობა; გ) სამეურნეო დანიშნულების სადგომი; დ) საცხოვრებელი, საძინებელი ბინა. 2. აქვს მიწის ნაკვეთი; 3. იგება დასახლებიდან დაშორებით.

მონოგამია – (უსლ) ქორწინების ფორმა, რომლის დროსაც მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი და ქალს – მხოლოდ ერთი ქმარი (საპირისპიროა – პოლიგამია).

მონოგრაფია – (უსლ) ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი რომელიმე თემა ან საკითხი. „ნ. ბარათაშვილის იუბილესთან დაკავშირებით დაიწერა მონოგრაფიები" (სასკ. სახ.-ლო).

მონოთეიზმი – (უსლ) რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს; ერთღმერთიანობა. საპირისპირო – პოლითეიზმი.

მონოლითური – (უსლ) მონოლითი – მთლიანი ქვის ლოდი. მთლიანი ქვისაგან გამოთლილი საგანი, მონოლითური, რაც მონოლითს, მთლიან ქვას წარმოადგენს. (გადატ.) შემჭიდროებული, ერთსულოვანი.

მონოლოგი – (უსლ) ვრცელი სიტყვა, რომლითაც დრამატული ნაწარმოების (აგრეთვე სხვა ლიტერატურული ნაწარმოების) პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს. (ჰამლეტის მონოლოგი) ანდუყაფარის მონოლოგი გ. ერისთავის „გაყრაში", ოთარაანთ ქვრივის მონოლოგი („ორი თვალი") და სხვა.

მონოპოლია – (უსლ) 1. რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, რაც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს. 2. უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში. 3. მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანება, რომელიც წარმოიშვება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე მეურნეობის რომელიმე დარგში გაბატონებისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

მონოფიზიტები [ბერძ.] – (უსლ) 1. ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას – ღვთიურს (საპირისპირო– დიოფიზიტები).

მონუმენტური, მონუმენტალური – (უსლ) 1. რაც სიდიდით შთაბეჭდილებას ახდენს; გრანდიოზული. მაგ., მ. შენობა. 2. (გადატ.) ღრმაშინაარსიანი, საფუძვლიანი. მაგ., მ. გამოკვლევა; მ. ფერწერა – არქიტექტურასთან დაკავშირებული ფერწერა, უმთავრესად კედლის ფერწერა. „სახელმწიფური შეკვეთის შედეგია ყველაზე უფრო მონუმენტალური ქმნილებანი მსოფლიო კულტურისა: ეგვიპტური პირამიდები, ანტიური ხელოვნება, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს. – ბოლოსიტყვა).

მონუმენტი – (ქსე) ქანდაკებასა და არქიტექტურაში დიდი ზომის ძეგლი, რომელიც ეძღვნება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, გამოჩენილ მოღვაწეს (მემორიალური ნაგებობანი).

მონუმენტურობა – (ქსე) მხატვრული ნაწარმოების თვისება, რომელიც ამაღლებულის ესთეტიკურ კატეგორიას ენათესავება. იგი ემსახურება ზამომხატველ.-პლასტ. ფორმაში გმირულ-ჰეროიკული მოვლენის ასახვას. მ. შეიძლება გამომჟღავნდეს სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებში, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია მონუმენტური ხელოვნებისათვის. მ., როგორც მხატვრული სახის თვისება არ უნდა გავაიგივოთ „მონუმენტურის" ცნებასთან.

მონუსხვა – (ქ. მწ.) ჰიპნოზირება, მოჯადოება. „[არსაკიძეს] უნდოდა ეჩვენებინა მეფისათვის, თუ როგორ ემარჯვებათ ცხენის მონუსხვა ლაზებს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

მონღოლთა ბატონობა საქართველოში — (ქსე) XIII-XIV ს. ს. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად დამყარებული რეჟიმი, გულისხმობს მმართველობის ორგანიზაციას, სამხედრო ბეგარას, საგადასახადო სისტემას, ხარკს და დამპყრობთა სახელით ფულის მოჭრას. მონღოლები პირველად 1220 წ. გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებთან. 1220-1221 წ.წ. სამჯერ შეებრძოლნენ ქართველებს, სამივეჯერ დაამარცხეს, მაგრამ უკანვე გაბრუნდნენ. 1235 წ. მონღოლები კვლავ მოვიდნენ საქართველოში. ქვეყნის მესვეურებმა ამჯერად ბრძოლის პასიური ტაქტიკა აირჩიეს. ცალკეულ მხარეთა გამგებლები და სახელმწიფო ვეზირები ჯერ ციხეებში შეიკეტნენ, მერე კი მტერს დანებდნენ. მეფე რუსუდანმა დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან დახმარების მიღება სცადა და წერილით მიმართა რომის პაპს, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ ის დამპყრობლებს შეუთანხმდა და ცნო მონღოლთა ყაენის უზენაესობა. საქართველოს ყოველწლიურად 50 ათასი პერპერის გადახდა და მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება დაეკისრა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, უმეფობის ხანაში, მონღოლებმა საქართველო დაყვეს დუმნებად, რომელთა სათავეში დააყენეს ქართველი ერისმთავრები. მათ დუმნის ტერიტორიაზე ხარკი უნდა აეკრიფა და მონაწილეობა მიეღოთ დამპყრობელთა ლაშქრობებში. ხარკის სიმძიმით გაბეზრებულმა ქართველმა მთავრებმა აჯანყების მოწყობა გადაწყვიტეს (იხ. კოხტასთავის შეთქმულება). XIV ს. მეორე ათეულში, როცა ილხანთა ტახტზე მცირეწლოვანი აბუ საიდი იჯდა, გიორგი V-მ ენერგიული მოქმედებით თანდათან დაიმორჩილა მთავრები და ერისთავები. 1320 წ. მან ისარგებლა ილხანთა კარზე ამტყდარი არეულობით, მონღოლთა ლაშქარი საქართველოდან განდევნა და ხარკის მიცემა შეუწყვიტა, რომლის ოდენობა 120 თუმანსა და 2 ათას დინარს შეადგენდა. ამიერიდან ქვეყანა ფაქტობრივად განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან, თუმცა ფორმალურად კვლავ ილხანთა ვასალად ითვლებოდა.

მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოში მეურნეობა მოიშალა, ქალაქები და სოფლები დაიცალა და გავერანდა, მოსახლეობა ბრძოლებში გაწყდა ან გაიქცა. ვაჭრობა, ალებმიცემობა ჩაკვდა, სახელოსნო წარმოება დაეცა. ქვეყანა დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა (ძვ. ქართული მწერლობის III პერიოდის მიმოხილვა).

მოპასანი გი დე (სრული სახელია ანრი რენე ალბერ გი) (1850-1893) — (ქსე) ფრანგი მწერალი. მოღვაწეობდა XIX ს. 70-80-იან წ.წ. მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში. განიცადა შოპენჰაუერის ფილოსოფიის გავლენა. იყო გ. ფლობერის მეგობარი და მოწაფე. მისი მეშვეობით დაუახლოვდა ე. ზოლას. ბევრი რამ ისწავლა ი. ტურგენევისგან. მის შემოქმედებაში თვალსაჩინოა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და კულტურის უარყოფა.

მორალი [ლათ.] — (უსლ) 1. იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთ-

იერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში; ზნეობა. 2. ზნეობრივი დასკვნა, ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც რაიმესაგან გამომდინარეობს. მაგ., იგავის მორალი. მორალური — 1. მორალთან დაკავშირებული. 2. მაღალზნეობრივი, ეთიკური.

ᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ — სწრაფი.

ᲛᲝᲠᲓᲐᲚᲘ [სპარს. — მოჰრდარი — ბეჭდის მცველი]— (ქსე) მეფის ბეჭდის მცველი XVII-XVIII ს. ს. საქართველოში. მ. მეფის „მისანდო და ხვაშიადის შემნახავი“ იყო. მას ევალებოდა მეფის მიერ გაცემულ საბუთზე ბეჭდის დასმა და პატრონისათვის ჩაბარება. ამისათვის მ. საბუთის პატრონისაგან საბუთის გასამრჯელოს ღებულობდა. მ. სახლთუხუცესს ექვემდებარებოდა. XVIII ს. II ნახევარში ორი სამეფო მ. იყო (ქართლისა და კახეთისა); მ. დედოფალსაც ჰყავდა. „პატარა ზაალი შვილისშვილია დიდი ზაალის — ერეკლე მეფის ეშიკაღასის, მორდალის, მდივანბეგის“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

ᲛᲝᲠᲓᲣᲝᲑᲐ — ძიძიშვილობა, ძუძუმტეობა. „მორდუობა და სტუმართმასპინძლობა ბათუს ღრმა რწმენით ხელშეუხებელია“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲛᲝᲠᲘᲒᲔ — (ქსე) უზენაესი ღმერთი ფშავსა და ხევსურეთში. ხალხური რწმენით იგი მეშვიდე ცაში სუფევს და აწესრიგებს ქვეყანას. იგი მეშვიდე დღის, შაბათის, სახელწოდება იყო (იხ. კვირა)

ᲛᲝᲠᲫᲘᲜᲐᲚᲘ —(ქ. მწ.) მოჭიდავე.

ᲛᲝᲠᲩᲘ — (ქ. მწ.) ნორჩი, ახალმოზარდი, შტო, ამონაყარი. „სახის მისებრივ სხვა მორჩი ქვეყნად არ დაიბადება მე მისის ხილის ჭამითა პირი არ გამიმწარდება“ (დ. გურ.).

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ — (ქ. მწ.) მონასტრის მსახური. „ქერა კულულიანმა მორჩილმა ოსპის წვენი მიართვა კათალიკოსს“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲛᲝᲡᲐᲕᲘ — (ქეგლ) იმედიანი, ღვთის მორწმუნე, იმედის მქონე.

ᲛᲝᲡᲐᲧᲓᲠᲔ — (ქ. მწ.) ეპისკოპოსი. ქრისტეს მოსაყდრე. „მამამზე დიდი ამალით შემოეგება ქრისტეს მოსაყდრეს“.

ᲛᲝᲠᲥᲛᲐ — (ქ. მწ.) გაძლიერება, გამდიდრება. განცხრომა, გაბედნიერება. „მოსამართლე და მოწყალე, მორქმული, გამგებიანი“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

ᲛᲝᲡᲔ — (ქსე) ბიბლიის მიხედვით, ძვ. ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი. უცხოვრია ძვ. წ. XIII ს. ეგვიპტის ფარაონის ბრძანებით ყველა ახალშობილი ებრაელი ყრმა უნდა დაეხრჩოთ, მაგრამ მ. სასწაულებრივ გადარჩენილა და ფარაონის ასული აღუზრდია. მოგვიანებით იძულებული გამხდარა, რომ ეგვიპტიდან გაქცეულიყო და ცოლად არაბი ქალი შეურთავს. იაჰვეს მოწოდებით მას უნდა ეხსნა ისრაელის ძენი ფარაონის მონობისაგან (ე.წ. ეგვიპტიდან) და აღთქმულ ქვეყანაში (ქანაანში) დაესახლებინა. დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ებრაელები მ.-ს წინამძღოლობით გზას გადგომიან. მ.-ს სინის

მთაზე ყოფნის დროს ისრაელები ღმერთის განდგომიან და ოქროს კერპის კულტი აღუდგენიათ, რის გამოც იაჰვეს მათთვის „აღთქმულ ქვეყანაში“ შესვლა 40 წლით გადაუდვია და სინის უდაბნოში ხეტიალი მიუსჯია. იაჰვეს მ.-სთვის გადაუცია ქვის ფილები „ათი მცნებით“. მეცნიერები იკვლევდნენ მ.-ს პიროვნების ისტორიულობის საკითხს, მაგრამ ბიბლიურ მითოლოგიაში მ. დღემდე ყველაზე ბუნდოვან პერსონაჟად რჩება. იუდეველებთან, მუსლიმანებთან, ქრისტიანებთან მ. წინასწარმეტყველია. მ.-ს ცხოვრების ეპიზოდები მრავლად არის გამოყენებული მხატვრულ ნაწარმოებებში (პერუჯინო, ბოტიჩელი, მიქელანჯელო, რაფაელი, რუბენსი, რემბრანდტი) „არამედ მიხსენ ვით მოსეს შუა განუპეო“ (დ. გურ,). „მოსემ ებრაელ ხალხს უწინამძღვრა და მონობიდან გამოიყვანა. ყოველ ერს უნდა ჰყავდეს თავისი მოსე, თავისი მხსნელი, გნებავთ მესია“ (ნ. გრიგ. წ. I).

მოსკოვის ქართული ახალშენი — (ქსე) ქართულ კოლონიას საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნის შუა წლებში, როდესაც რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა ქართველი უფლისწული ერეკლე დავითის ძე, შემდგომში ერეკლე I, ნაზარალ-ხანად წოდებული. მისი ამალის ზოგიერთი წევრი სამუდამო საცხოვრებლად დარჩა მოსკოვში.

ახალშენი დაარსდა სოფელ ვსესვიატსკოეში, რომელსაც ზოგჯერ სესენტკას უწოდებდნენ (ამჟამად მოსკოვის ფარგლებშია მოქცეული). XVII საუკუნის ბოლოს მოსკოვში დასახლდა მეფეამიერი არჩილ ბაგრატიონი, რომელიც აქ ცენტრალური ფიგურა იყო (აქ დასრულდა „არჩილიანის“ შედგენა, დაიწერა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, შეიქმნა ვახუშტი ბაგრატიონის ღრმამეცნიერული ნაშრომები, დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „ფსალმუნი“). ქართველები შემოქმედებით-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ პეტერბურგში, ასტრახანში, ვლადიმირში, ყიზლარში, კრემენჩუგსა და მირგოროდში, მოზდოკში, რიაზანში, პერმში, სევასტოპოლში და სხვაგან.

მოტივი — (ქსე) ლიტერატურაში, მხატვრული ტექსტის უმარტივესი, განუყოფელი აზრობრივი ერთეული. რამდენიმე მ.-ის კომბინაცია შეადგენს სიუჟეტს. ტერმინი „მ.“ იხმარება აგრეთვე პოეტური ჩანაფიქრის, მწერლის იდეური გააზრების მთავარი საფუძვლის მნიშვნელობით. აქ მ. ერთგვარად ენათესავება იდეას. იდეა პრობლემის გადაწყვეტას, მწერლის ტენდენციის გამოვლენას გულისხმობს, მ. გადაწყვეტს, მწერლის იდეური მიდრეკილების გამოვლენას. ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეროვნული მ. სხვადასხვა კუთხით ვლინდება. ეროვნულ მ.-ზეა აგებული „მგზავრის წერილები“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“. ეს საერთო მოტივი იდეურ გადაწყვეტაში იჩენს თავს და კონკრეტდება. ამიტომ ერთია მ., მეორეა მისი იდეური გადაჭრა. მ.-ის მნიშვნელობა დამოკიდებულია არა საკუთრივ მის აზრზე, არამედ მხატვრულ კონსტრუქციაში მის როლზე.

მოურავი — (ქსე) ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძვ. საქართველოში. მ. ასრულებდა სამეურნეო, ად-

მასრულებელ და სასამართლო ფუნქციებს. იგი იყო მებატონის მამულების მმართველი, პროვინციის, ქალაქის, სოფლის (თემის) გამგე.

მოფონება — (ქ. მწ.) შვების მიცემა; დარდის, ტვირთის შემსუბუქება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" — (ქსე) ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულება. ცნობილია შატბერდული და ჭელიშური რედაქციები. შატბერდის კრებული, რომელიც აღმოაჩინა (1888 წ.) და გამოაქვეყნა (1890 წ.) ე. თაყაიშვილმა, გადაწერილია X ს. 70-იან წლებში შატბერდის მონასტერში იოანე ბერაის ხელმძღვანელობით. ჭელიშის კრებული (მიაკვლიეს 1903 წ. ჭელიშის მონასტერში) შედგება ორი ნაწილისაგან. I ნაწილში, რომელსაც „ქრონიკას" უწოდებენ, მოკლედ არის გადმოცემული ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX ს.-მდე; II ნაწილი, რომლის სახელია „ნინოს ცხოვრება", მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორიას გადმოგვცემს (იხ. „ნინოს ცხოვრების" რედაქციები).

მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს (1756-1791) — (ქსე) ავსტრიელი კომპოზიტორი. დაიბადა კომპოზიტორის ოჯახში. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ფენომენალური მუსიკალური ნიჭი. 4 წლისა უკრავდა კლავესინზე. 6 წლისამ დაწერა პირველი ნაწარმოები (11 წლისამ პირველი ოპერა). 7 წლის მოცარტი თავის დასთან ერთად საგასტროლოდ იყო ევროპის ქვეყნებში. მ.-ის ყველაზე განთქმული ნაწარმოებებია: ოპერები „მოტაცება სერალიდან", „ფიგაროს ქორწინება", „დასჯილი გარყვნილი ანუ დონ ჟუანი", „ჯადოსნური ფლეიტა", „ასე იქცევა ყველა ქალი", „ტიტუსის ლმობიერება", 7 უკანასკნელი სიმფონია, „რექვიემი". იგი ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელია. მ.-ის მოღვაწეობამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა საოპერო ჟანრში. იგი იყო ნოვატორი ხელოვანი, ამავე დროს ემყარებოდა წარსულის ყველაზე ჯანსაღ ტრადიციებს. მ.-ის ოპერების მხატვრულ ღირებულებას განაპირობებს არა მარტო მათი იშვიათი მელოდიური სიმდიდრე, არამედ დრამატურგიული სრულყოფილება. თანამედროვეებმა მ.-ს „მუსიკის შექსპირი" უწოდეს. „და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით" („შერიგება"— გ. ტაბ.).

მოციქულები — (ქსე) სახარების მიხედვით, იესო ქრისტეს რჩეული 12 მოწაფე, მისი მუდმივი თანამგზავრები და ქრისტეს ამაღლების შემდეგ ქრისტიანულ საზოგადოებათა მეთაურები. მ. იყვნენ: პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფესის ძე, თადეოსი, სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი. როდესაც იუდამ იესო ქრისტე გასცა და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო, დანარჩენმა თერთმეტმა მოციქულმა მის ნაცვლად კენჭისყრით აირჩია იესო ქრისტეს 70 მოწაფეთაგან ერთი — მატათი. მ. მოღვაწეობდნენ იერუსალიმში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოში ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს. სვიმონ კანანელი საქართველოში ეწამა და ახალი ათონის მთაზე დაუკრძალავთ. მ.-ის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ხელოვნებაში. გადატანითი მნიშვნელობით მ. ეწოდება რომელიმე იდეის, მოძღვრების თავგამოდებულ მიმდევრებს. „მას უცნაურს მეცნიერნი ათორმეტნი უდგნენ მცველად ამად რომე მისი სექმე მათ სმენოდათ უფრო ვრცელად“ („უკვდავების წყაროს იგავი“— დ. გურ.).

ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲐ – (ქსე) სოფელი ტყიბულის ტერიტორიაზე, იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. წყალწითელის მარჯვენა მხარეს. სოფლის მიდამოებში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სამონასტრო ანსამბლი — უგუმბათო ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და სამეურნეო ნაგებობანი. თავდაპირველად აქ მცირე ზომის ეკლესია მდგარა, რომელშიც VIII ს. მურვან-ყრუს მიერ ნაწამები მთავრების დავითისა და კონსტანტინეს ნეშტი დაუსვენებიათ. X ს. ბაგრატ III-ს ეკლესია განუახლებია და უფრო მოზრდილი შენობა აუგია. თანამედროვე სახე მონასტერმა XIX ს.-ში მიიღო. „ფეხით მოიარა გელათი და მოწამეთა“ („თავსაფრიანი დედაკაცი“ — ნ. ლორთქ.).

ᲛᲝᲬᲕᲐᲠᲗᲕᲐ – (ქ. ეწ.) დასწავლა (საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწვრთნა).

ᲛᲝᲯᲐᲜᲚᲔ – (ქ. ეწ.) მეამბოხე, აჯანყების მონაწილე.

ᲛᲝᲰᲘᲙᲐᲜᲔᲑᲘ – (უსლ) ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი, ამჟამად ამოწყვეტილი ტომი. (გადატ.) უკანასკნელი მ. – იტყვიან რაიმე გამქრალი ჯგუფის უკანასკნელ წარმომადგენელზე (ეს გამოთქმა ხმარებაში შემოვიდა ამერიკელი მწერლის ფენიმორ კუპერის რომანის „უკანასკნელი მოჰიკანის“ წყალობით).

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲕᲘ – (ქსე) ძვ. ქართული ლიტერატურული კრებული, სადაც თავმოყრილია საუფლო და წლის დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილი საკითხები. სახელწოდება, რომელიც პირველად დადასტურებულია „სინურ მრავალთავში“ (864 წ.), შეერქვა „ოთხთავის“ ანალოგიით. მ.-ის ბერძნული მოდელია „პანეგირიკონი“, რომელიც შეიცავს ქრისტესა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიებს. აღსანიშნავია: უძველესი მ.-ის ფრაგმენტი. „სინური მრავალთავი“, „უდაბნოს მრავალთავი“, „სვანური მრავალთავი“, „პარხლის მრავალთავი“, „კლარჯეთის მრავალთავი“ და სხვა.

ᲛᲠᲔᲕᲚᲘ – (ქეგლ) მორწმუნე მოსახლეობა, რომელსაც მომსახურეობას უწევს ერთი ეკლესია. „მელქისედეკი იშვიათად ეჩვენებოდა მრევლს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲛᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ლადო – (ქსე) ქართველი მწერალი. აღსანიშნავია „იყალთოელი ბიჭები“, რომანი „ყაბახი“. ისტორიულ თემაზე შექმნილი მოთხრობები (კრებული „მოთხრობები“, 1974 წ.) და რომანი „ოლოლები“ (1982 წ.).

ᲛᲠᲔᲨᲘ – იხ. ამრეშებული. „მთვარე

გადმოსულიყო ღრუბლის საფარველიდან მრეში ტალებით დატვირთული საგსებით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ.გამს.).

მრუმე — (ქეგლ) ბნელი. „სვეტიცხოვლის წიაღში იწყება საუკუნე რიცხვით მეათე თავისი მრუმე ღამეებითა და იდუმალებით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მრუში — (ბიბლ.) ბილწი, გარყვნილი, ცუდი ყოფაქცევის ადამიანი. ცოლქმრობის წესის გამტეხი. „განა თეიმურაზმა ჯაყოს ნახასარს, ქუქუიან ნამრუშალს უნდა შეუნარჩუნოს ხევისთავის სახელი?" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

მრჩობლედი — (ქეგლ) იგივეა, რაც წყვილი (მარჩვიბი).

მრწემი — (ქეგლ) უმცროსი. „[ფანასკერტელის ქალს] ცხრატბის ცოტა-ერისთავის უმრწემესს ვაჟს, დაჩის შევართვევინებთო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მსგეფსი — (ქ. მწ.) ერთი კვირა, კვირიაკე.

მსოფლიო — (ძვ.) საერო. (ქეგლ) მთელი ქვეყანა, დედამიწა. „არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლავდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაჲსა" („გრ. ხანძთელის ცხოვრება" — გ. მერჩ.).

მსოფლიოს შვიდი საოცრება — იხ. შვიდი საოცრება.

მსოფლმხედველობა — (ქეგლ) შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროს და მის კანონზომიერებაზე. ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე. (მატერიალისტური და იდეალისტური მ.)

მსტოვარი — (ქეგლ) მზირი, მზვერავი, ჯაშუში. „სწორედ წინა დღით მსტოვრებს უცნობებიათ აქ მოთხრობილი მისთვის" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

მსხემი — (საბა) მსხემი არს, რომელ უმკვიდროსა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს, ხოლო მწირი იგივეა ოღონდ გვიანად წარმავალი (დროებით თავშეფარებული). უბინაო კაცი, მწირი, უცხო, ადრე წარმავალი (ჩუბინაშვილი).

მტარვალი — მოხელე, ქალაქის მოსამსახურე. საბას განმარტებით — ბოქაული. სიტყვამ შეიცვალა მნიშვნელობა — (ქეგლ) შეუბრალებელი, ულმობელი, დესპოტი, ტირანი.

მტერ-დაცემული — (ქ. მწ.) ავზნიანი, ეპილეფსიით შეპყრობილი.

მტილი — (ქ. მწ.) ბოსტანი. „მტილი დახშული და წყარო დაბეჭდული."

მტკაველი — (ქსე) სიგრძის საზომი ერთეული საქართველოში XIX ს.-მდე; სიგრძე გაშლილ ცერსა და ნეკს შორის, უდრიდა 2 ციდას — 25,3 სმ.

მუდამი — (კილოთქმათა სიტყვის კონა) დაუსვენარი, მუშა კაცი. „ცხარობს მუდამივით მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე მელიტონი" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

მუდრეგი — (ქეგლ) უპატრონო, ოხერი, ტიალი. „მართალია, ყველანი მუდრეგები ვართ, მაგრამ დოსტები და ძმებიცა ვართ" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

მუეძინი — (ქსე) მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთიდან სალოცავად მოუწოდებს მუსლიმანებს. „მუეძინი სალვთო სურებს კითხულობდა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

მუზარადი — (ქსე) დამცავი თავსახურავი. საბრძოლო მ. თავდაცვის სხვა საშუალებებთან ერთად უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამზადებდნენ ხისაგან, არყის ხის ქერქისაგან, წნელებისა და ტყავისაგან. უძველესი ლითონის მ. (სპილენძის, ოქროსი) აღმოაჩინეს მესოპოტამიაში (ძვ. წ. III ათასწლ.). ბრინჯაოსა და რკინის მ.-ს ხმარობდნენ ძვ. საბერძნეთსა და რომში.

მუზაფარი — (ქეგლ) მუჟუჟი. მოხარშული და ძმარში ჩადებული ხორცი ან თევზი.

მუზები, მუზა — (ქსე) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში თავდაპირველად სიმღერის, მოგვიანებით კი პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთები. ასახელებენ 9 მ.-ს: კლიოს (ისტორიის), მელპომენეს (ტრაგედიის), თალიას (კომედიის), ევტერპეს (მუსიკის, ფლეიტის), ტერფსიქორას (ცეკვის), კალიოპეს (ეპიკური პოეზიის), ურანიას (ასტრონომიის), ერატოს (სატრფიალო პოეზიის), პოლიჰიმნიას (ჰიმნის, მიმიკის) და მათ ზევსისა და მნემოსინეს (მეხსიერების) ასულებად მიიჩნევენ. მ. ოლიმპზე ცხოვრობდნენ და მონადიმე ღმერთებს სიმღერით ატკბობდნენ. მ.-ის კულტი მთელ საბერძნეთში იყო გავრცელებული. მათდამი მიძღვნილ ტაძრებს მუსეიონები, მუზეუმები (მუზებისათვის განკუთვნილი ადგილი, მუზების ტაძარი) ეწოდებოდა. პლასტიკურ ხელოვნებაში მ.-ს გამოსახავდნენ როგორც ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც დახვეწილი, ზეშთაგონებული სახეები აქვთ. მ.-ის სახეებს ვხედავთ ს. ბოტიჩელის, ჯ. ტინტორეტოს და სხვათა შემოქმედებაში. (უსლ) 1. პოეტის შთაგონების წყარო. 2. პოეტური შემოქმედება მისი დამახასიათებელი თავისებურებებით. „მუზები დიახაც მიელტვიან უღრან ტყეებსა და უკაცურ მთებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მურიდი — (საბა) მიბარვით კაცის მკვლელი. (უსლ) მუსლიმანებში: პირი, რომელიც ვალდებულია მონა-მორჩილი იყოს თავისი მოძღვრისა (შეიხის ან იმამისა) და ფანატიკურად სძულდეს ყველა „ურჯულო“, ე. ი. არამუსლიმანი. მიურიდიზმი — ისლამის ყველაზე უფრო მებრძოლი რეაქციული მიმდინარეობა, რომელიც რელიგიის მთავარ დოგმად აღიარებს ყველა არამუსლიმანის ულმობელი გაჟლეტის იდეას. „ვერ უძლებენ მთები მურიდების ყიჟილს“ („მეცამეტე საუკუნე“— გ. ლეონ.).

მუნათება — (ქ. მწ.) ყვედრება, დამადლება.

მუნასიბი — (ქსე) (ძვ. ქართ.) ექსპრომტი (ი. ჭავჭავაძის ტერმინოლოგიით „სახელდახელო“), მოკლე, ჩვეულებრივ რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი, წარმოთქმული ან დაწერილი უცებ, წინასწარმოუფიქრებლად რაიმე კონკრეტული შემთხვევის გამო. ცნობილია პ. იაშვილის მ.-ები. მ. განსაკუთრებით

გავრცელებულია ფშავში, სადაც დღეისათვის შენარჩუნებულია ზეპირი პოეტური იმპროვიზაციის ტრადიციები. იქ მას კაფიას უწოდებენ.

მუნი — (ქსე) ქეცი, მღერი, კანის გადამდები დაავადება, რომელსაც ახასიათებს ძლიერი ქავილი. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ანტისანიტარიული პირობები. (აქ გადატ.) „თეიმურაზს ხელმეორედ აუვარდა ენის ქავილი და ლაყბობის მუნი“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

მუმია [არაბ.] — (უსლ) გახრწნისაგან დაბალზამებით (ან ბუნებრივად) დაცული ადამიანის გვამი (ან ცხოველის ლეში). გვამების მუმიებად ქცევა განსაკუთრებით გავრცელებული იყო ძვ. ეგვიპტეში. (ჩვენში ფრაზეოლოგიაა: „მუმიასავით შევინახავ“ — მოვუვლი.) „ძველი ეგვიპტელები პირამიდებს აგებდნენ და შიგ ფარაონის მუმიებს ინახავდნენ“ (ქ. ს. მ. ა. — ს. სიგ.).

მუმლი — (ქეგლ) წვრილი მწერი ერთგვარი, — ქინქლა. „მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო, მუმლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“ (ხალხ.).

მუნიციპალიტეტი — (უსლ) ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობის ორგანო ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

მურაზი — (ქეგლ) ნდომა, სურვილი, წადილი. მურაზს ეწია. ვისიმე გულის მურაზი — ვინმესთვის რჩეული, ძვირფასი. „ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი, მაგრამ ქვრივ რითმას არ გავყვები არასდროს ქმარად“ („ტრიოლეტები შეითანხმაზარში“ — ი. გრიშ.). აქედანაა: ბუმურაზი და უმურაზო.

მურასა — 1. მოოქვილი, მშვენიერი. (საბა) სპარსთა ენაა, ქართულად მოოქვილი ჰქვიან. 2. წმინდა, თეთრი თორნის გრძელი პური. „გემრიელია თქვენი მურასა-ლავაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მირჩევნია“ („ბაში-აჩუკი“ — ა. წერ.).

მურდახილი (მუდახილი) — (ძვ.) (ქ. მწ.) ჩუქურთმა, ბარელიეფი.

მურვა — (ქ. მწ.) წვა.

მურვან ყრუს შემოსევა — (ქსე) საქართველოში 735-736 წ.წ. არაბების ლაშქრობა სარდალ მურვან II იბნ მუჰამადის (ქართული წყაროებით მურვან ყრუ) მეთაურობით საქართველოს საბოლოო დამორჩილების მიზნით. მურვანს დიდძალი ლაშქარი ჰყავდა. მან მთელი კავკასიის დაპყრობა შეძლო. ჯერ ქართლი ააოხრა (მოსახლეობა მთებში გაიხიზნა), შემდეგ სამცხეში გადავიდა და დას. საქართველოში შეიჭრა. ტყვედ იგდო არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე, რომლებმაც არ მიიღეს მაჰმადიანობა. ამის გამო მურვანმა ისინი წამებით დახოცა.

შემდეგ ეგრისის სიმაგრეები დაანგრია, დაიპყრო ცხუმი და მიადგა ანაკოფიას. მურვანმა აფხაზეთი ვერ აიღო. წყალდიდობამ დიდად დააზარალა მურვანის ლაშქარი. მტერმა უკან დაიხია. მურვანის სისასტიკისა და დაუნდობლობის გამო ქართველმა ხალხმა მას „ყრუ“ შეარქვა. მურვანის შემოსევას მძიმე შედეგი მოჰყვა: „იქმნა მას ჟამსა

გარყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე" (ჯუანშერი). ლაშქრობის შემდეგ არაბებმა ქართლში თავისი მოხელე-ამირა დანიშნეს. ამის შემდეგ არაბებს აღარ ულაშქრიათ და მთელი ნახევარი საუკუნე კმაყოფილდებოდნენ იმ ხარკით, რომელსაც ქართლის ერისთავები უგზავნიდნენ.

ᲛᲣᲠᲘ [ბერძ.] — (საბა) ესე არს შტახსისა ნაწუერთა უზრქესი სუნნელი. (უსლ) სურნელოვანი ფისი, რომელსაც შეიცავს ზოგიერთი ტროპიკული ხის კანი (არის სამხრეთ არაბეთში). იყენებენ პარფიუმერიასა და მედიცინაში. (ბიბლ.) მეფეთა საცხებელი სურნელება. „მოგვებმა ჩვილ იესოს მიართვეს ოქროს გუნდრუკი და მური." „საკმეველისა და მურის სუნი სდიოდა ირგვლივ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲛᲣᲠᲬᲐ — (ქეგლ) თევზია. „გ. ლეონიძე იგონებს: „რა კარგი იყო იჯრის მურწა, ნაფოტა, ქანრი" (სასკ. სახ-ლო).

ᲛᲣᲡᲐᲤᲘ — (ქ. მწ.) ყურანი (მაჰმადიანთა მთავარი სალოცავი წიგნი).

ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲘ, ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲘ [არაბ. — მორჩილი, ერთგული, თავდადებული] — (ქსე) პიროვნება, რომელიც აღიარებს ისლამს. მუსლიმი — მაჰმადიანთა სჯულის მიმდევარი.

ᲛᲣᲡᲙᲣᲡᲘ — (უსლ) ზოგი მცენარის სქელი სურნელოვანი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთებს, იყენებენ მედიცინასა და ტ..ქნიკაში (ბალზამი). იხ. შტახსი, იგივე მუ..კი. „გამობრუნდა გახარებული ფარსმანი უკ. ნ: შემრჩებაო ათასი შუშა მუსკუსი, სტავრა, ოქსინო და არაბული შტახსი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ᲛᲣᲡᲢᲐᲖᲐᲓᲘ — (ქსე) სპარსული პოეტიკის მიხედვით თოთხმეტმარცვლიანი სალექსო ფორმა, რომლესაც ყოველ სტრიქონს ან ბაიათს მოსდევს მოკლე დანამატი მისამღერი. ამ უკანასკნელს (მისამღერს) დამოუკიდებელი რითმა აქვს. მისამღერის დამატებითი ნებისმიერი სალექსო ფორმა შეიძლება მუსტაზადად გადაიქცეს. ეს სალექსო ფორმა იხმარება გარდამავალი ხანის ქართული პოეზიაში. ქართულ პოეზიაში მ.-ებით ცნობილი არიან ალ. ჭავჭავაძე და ბესიკი. მ. იგივე მუხამბაზია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლექსის შინაარსეულ კილოს (მუხამბაზი სატრფიალო-სამიჯნუროა, ხოლო მ.-ს ახასიათებს სევდიანი შინაარსი. „ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არიენით, / ილმენით გულნი, ქირნახულნი შეგვიწყნარენით, / უცხონი თემით, სოფლის ცემით, გავიგარენით. / უქკნობნი ვარდნი ამა დარდით დავიბძარენით, / არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იქმარენით!" (ბესიკი).

ᲛᲣᲢᲠᲣᲙᲘ — ვირის კვიცი, ნაშიერი. „ავტირდი გალახულ ბავშვივით ამხელა მუტრუკი" („მე გხედავ მზეს" — ნ. დუმბ.).

ᲛᲣᲤᲐᲠᲐᲮᲘ — (საბა) იაგუნდის მაჯუნი. სევდის, ნაღველის გამქარვებელი წამალი.

ᲛᲣᲤᲗᲘ — ღვთისმეტყველი, ყურანის მცოდნე. სასულიერო თანამდებობაა და

დაახლოებით მართლმადიდებელთა არქიმანდრიტს უდრის. „ქოსა ფაშამ ახალცოხელი მუფთი, ბატრი მიხეილი მიუგზავნა პასკევიჩს და ორი კვირით დაზავება სთხოვა“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲛᲣᲥᲐᲤᲐ — საპასუხო, სამაგიერო.

ᲛᲣᲦᲐᲛᲘ — გულისნადები. „თეიმურაზი სწუხდა, რომ მუღამი, გულისნადები არ შეუსრულდა“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲛᲣᲧᲐᲛᲐ — მუსიკალური ჰანგი.

ᲛᲣᲧᲠᲘ — ყურანის მკითხველი, მოლა.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ — (ქსე) რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების არჩევითი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის დროს. 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ — მშრომელთა ხელისუფლების ორგანოები (ლ. ქიაჩელი — „ჰაკი აძბა“).

ᲛᲣᲨᲐᲘᲗᲘ — (ქეგლ) თოკზე მოსიარულე ჯამბაზი. „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაოთად მზრდიდიან, მასწავლეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან“ („ვეფხისტყაოსანი“— შ. რუსთ.).

ᲛᲣᲨᲐᲘᲠᲐ — (ანდ. ჭილ.) საერთო აღმოსავლური ტერმინია და ნიშნავს პოეტურ შეჯიბრებას, პოეტურ პაექრობას.

ᲛᲣᲨᲐᲛᲑᲐ — (ქეგლ) ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაკეთებულია წყალგაუვალი ნივთიერებით (სანთლით, პარაფინით). მ.-ის სუფრა. მ.-ის ჩანთა.

ᲛᲣᲨᲗᲐᲠᲘ — (ქსე) პლანეტა იუპიტერი („ვეფხისტყაოსანში“).

ᲛᲣᲨᲗᲐᲘᲓᲘ მირ-ფეთე-აღა სეიდ თავრიზელი — (ქსე) ირანის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე, შიიტების სექტის მეთაური, წარმოშობით აზერბაიჯანელი, თავრიზის მუჯთაჰიდი. თბილისში დასახლდა და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გააშენა ბაღი — მუშთაიდის ბაღი.

ᲛᲣᲨᲙᲔᲢᲔᲠᲔᲑᲘ [ფრ.] — (ქსე) ქვეითი ჯარის სახეობა XVI-XVII ს.ს. შეიარაღებულნი იყვნენ მუშკეტებით (მუშკეტი — ძველებური პატრუქიანი მსხვილკალიბრიანი თოფი) ალ. დიუმას „სამი მუშკეტერი“.

ᲛᲣᲨᲙᲘ [სპარს.] — (უსლ) მეტად სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ირმების ოჯახის ამავე სახელწოდების ცხოველის სათესლე ჯირკვლებიდან, იყენებენ პარფიუმერიაში, მედიცინაში. „ხორცს გიფშვის მუშკის სუნია, სულს აგდის ნატისუნია“ („რეული“ — დ. გურ.).

ᲛᲣᲪᲚᲘᲗᲛᲔᲖᲚᲐᲞᲠᲔ — მკითხავი. (საბა) მუცლით-მეზღაპრე არს ეშმაკთ მკითხავი, მონა მუცლით გამომეტყველი, გინა ულუკი, გინა მკვდრის ძვლითა თუ რითაც მისანი. „მუცლითმეზღაპრენი ქოთქოთებდნენ ეკლესიის კარიბჭესთან და მეორედ მოსვლას უქადაგებდნენ ხალხს“. „მე ხმლით სიკვდილი დამითქვა მუცლითმეზღაპრემ“ („დიდოსტატის მარჯვენა“— კ. გამს.).

ᲛᲣᲮᲐᲛᲑᲐᲖᲘ [არაბ.]— (ქეგლ) ლექსთწყობის ძველებური ფორმა — ხუთხუთტაეპიანი, ხუთი სტროფისაგან შემდგარი ლექსი. — (ქსე) მუხამასი, სპარსულ პოეტიკაში მუსამათის (ძაფზე

ასხმული მარგალიტი) ტიპის სატრფიალო სალექსო ფორმის სახეობა. ყოველი სტროფი შედგება 5 სტრიქონისაგან. ქართულ პოეზიაში გავრცელდა XIV-XVII ს.ს. და სამიჯნურო ანაკრეონტულ ლექსს ეწოდა (ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიური", აკ. წერეთლის „მუხამბაზი"). მ.-მა, როგორც აშუღური პოეზიისა და სიმღერის ნიმუშმა საქართველოში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. განსაკუთრებით გავრცელდა თბილისელ ყარაჩოღელთა წრეში. სრულდებოდა საზისა და თარის თანხლებით (საიათნოვა, სკანდაროვა, გივიშვილი, იეთიმ გურჯი და სხვა) „მუხამბაზის ხმაზე" თქმულმა ლექსებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ზოგიერთი მათგანი პროფესიულ მუსიკაშიც დამკვიდრდა (ზ. ფალიაშვილის „თავო ჩემო", ა. კერესელიძის „გინდ მეძინოს", მ. ბალანჩივაძის „აღმართ-აღმართ"). აღსანიშნავია, რომ მ.-ის ბრწყინვალე შესრულებისათვის ბესიკმა ირანის შაჰისაგან ბრილიანტებით მოჭედილი თარი მიიღო, ხოლო ერეკლე II-მ საიათნოვას „მუხამბაზის" ქართული შესრულებისათვის ხალათი უბოძა.

მუხთალი — (ქეგლ) გაუტანელი, ცრუ, ვერაგი, მოღალატე. მ. ბედი (ფიგურალური მიმართულება).

მუხრანბატონი გიორგი კონსტანტინეს ძე (1821-1877 — მუხრანი — პარიზი) — (ქსე) ცარიზმის მოხელე. 1853 წ.-დან მრჩეველი კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოში, 1855 წ.-დან მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და მეფისნაცვლის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი. მისი მტკიცებით კაცობრიობის პროგრესი გულისხმობდა მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებასა და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზაციების" შექმნის აუცილებლობას. მისი აზრით, პატარა ხალხები განწირული იყვნენ და მათ არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა, ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. პატარა ხალხისათვის დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება-შერწყმა ნიშნავდა საკუთარი ენის დაკარგვას. მცირე ხალხების ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისაკენ არა მარტო უიმედოდ მიაჩნდა, არამედ მავნედაც. მისი ეს შეხედულებანი მკაცრად გააკრიტიკეს მოწინავე ქართ. საზოგადოების წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ („გამოცანები"): „კოხტაა და ლობემძვრალა, პატარა და ჩამომხმარი, ცხვირნისკარტა, ნიკაპ-წვეტი, უცამური, განს გამდგარი. ჭკვით და გულით მოცვეთილა, ქვეყანაზედ უქმად გდია, თვით მაღლა ზის, — ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდია"; ა. წერეთელმა („ღამურა", რომელიც ჯერ ზღაპრის სახით დაიწერა, შემდეგ კი ლექსად), ს. მესხმა, ბ. უმიკაშვილმა, ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ და სხვებმა. ალინიშნა, რომ ცარიზმის ამ ერთგული მსახურის შეხედულებები იყო რუსეთის დამპყრობლური, რეაქციული ეროვნული პოლიტიკის თეორიული დასაბუთება და გამართლების ცდა.

მუჰაჯირები, მუჰაჯირობა [არაბ. მუჰაჯირ — გადასახლებული, ემიგრანტი] — (ქსე) მუსლიმანური ტრადიციით მუჰაჯირები იყვნენ მაჰმადის მიმ-

დევრები, რომლებიც 622 წ. მასთან ერთად გადასახლდნენ მექადან მედინაში. მუჰაჯირობა — კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX ს-ში მუჰაჯირობა დაიწყო კავკასიაში ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან და I მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. დაკავშირებული იყო რუსეთ-ოსმალეთის ომებთან 1877-1878 წ.წ.

მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზგები, აბაძეხები, ჩერქეზები, ყუბანისპირელები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, ოსები, აფხაზები და სამხრ. საქართველოს მუსლიმანი ქართველები. ოსმალეთი ცდილობდა მუჰაჯირების დასახლებას იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში. აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე. რუსეთს სურდა მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში. განთავისუფლებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის. დაიწყო გაძლიერებული პროპაგანდა. სოც. ზედა ფენებს ეშინოდათ, რომ ისინი სოც. და პოლიტ. პრივილეგიებს დაკარგავდნენ და ოსმალეთში გადასახლება ხსნის ერთ-ერთ გზად მიაჩნდათ. სასულიერო წრეები მორწმუნეებს ჰპირდებოდნენ, რომ რუსეთი მათ რელიგიურ რწმენას შეურაცხყოფდა, ძალად გააქრისტიანებდა, ხოლო თურქი ემირები არწმუნებდნენ შევიწროვებულ მთიელებს, რომ ერთმორწმუნე ოსმალეთი მათ ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა. მუჰაჯირობას ხელი შეუწყო ცარიზმის ანტი ხალხურმა პოლიტიკამ. მას შემდეგ, რაც ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს შეუერთდა ისტორიულად ქართული პროვინციები ამ ტერიტორიის მოსახლეობას უფლება ეძლეოდა 3 წლის განმავლობაში გაეყიდა თავისი ქონება და თურქეთში გადასახლებულიყო. სულ წავიდა 150 ათას სულზე მეტი. ქართველთა მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის შესაწყვეტად და გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად.

თურქეთში გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურიდან უვარგისი გემებით გადაჰყავდათ, ნაწილი სახმელეთო გზით ურმებით მიდიოდა თურქეთისაკენ. მრავალი მათგანი გზაში იმსხვერპლა ეპიდემიამ, შიმშილმა, სიცივემ; თურქეთის ხელისუფლებამ მუჰაჯირებს უვარგისი, შეუფერებელი ადგილები მიუჩინა. ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირები მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკან დაბრუნება მოითხოვეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი შემოშვება აკრძალა.

მქენები — (ქ. მწ.) (ძვ.). მხვეწნელი.

მქრქალი — (ქ. მწ.) ფერნაკლული, ღია ფერისა.

მქცევლობა — (ხელოვნური ფორმა) დაქანცვა, გაპარტახება, აოხრება. „სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ“ (ალ. ჭავჭ.).

მქისე — (ქეგლ) 1. ხეშეში, უხეში, ტლანქი. 2. (გადატ.) მკაცრი, უსიამოვნო ხმა. მძიმე, მყრალი (სუნი). „რა მქისე ხმაურობაა, რა საზარელი გრიალი!“ („სტუმარ-მასპინძელი“ — ვაჟა). 3. უკმეხი, უსია-

მოვნო ლაპარაკი. მკვახე, ტლანქი, უხეში, უზრდელი.

ᲛᲦᲐᲛᲘᲝᲑᲘ – (ქეგლ) იგივეა, რაც ღამურა.

ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ – (ქსე) ეკლესიის მსახური. ძვ. აღთქმაში ეკლესიის მსახურები 3 ხარისხად იყოფოდნენ: ლევიტელი, მღვდელი და მღვდელმთავარი. მოციქულთა დადგენილების თანახმად მ.-ის ხელდასმა (კურთხევა) ხდება ეპისკოპოსის მიერ საღმრთო ლიტურგიის დროს. მართლმადიდებელ ეკლესიაში მ.-ს ევალება ქადაგების წარმოთქმა, წირვა-ლოცვა და რელიგიური წესების შესრულება. მ.-ს მხოლოდ ერთხელ აქვს ქორწინების უფლება. მღვდლობა – ქრისტიანობის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს რიტუალი ასე სრულდება: ეპისკოპოსი წარმოსთქვამს განსაკუთრებულ შელოცვას და ხელს ადებს მღვდლად საკურთხებელ ადამიანს, – ამგვარად მასზე გადადის განსაკუთრებული მადლი და იგი იქცევა ღვთის მსახურად (დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი). აქედან მოდის ხელთდასმა (ბიბლიური დავითის მირონცხების მსგავსად).

ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲚᲘ შიო (ნამდ. გვარი – ქუჩუკაშვილი) (1866-1933) – (ქსე) ქართველი საბავშვო მწერალი.

მ.-ს ეკუთვნის გადმოკეთებული და ორგინალური ზღაპრები: „რწყილი და ჭიანჭველა", „ყვინჩილა და ფისო", „ოქროს თავთავი", „ძუნწი". პოეტური ენის სისადავე, ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე მ.-ს ანათესავებდა ერთი მხრით აკ. წერეთლის სკოლის პოეტებთან, მეორე მხრით კი ვაჟა-ფშაველასთან.

ᲛᲧᲕᲐᲠᲘ – (ქ. მწ.) (ძვ.). ბაყაყი.

ᲛᲧᲕᲘᲠᲐᲚᲝᲑᲐ – (ქეგლ) დრო, როდესაც ხარირემი ყვირილით მოუხმობს ფურირემს. ირმის გაჭრავლების პერიოდი, სექტემბერ-ოქტომბერი. „წრეულს მყვირალობის დროს გაგვექცა ნებიერას დედა" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.). „რასა ყვირიან ირმები/ ჩას მთასა ყარაიასა?!" („მყვირალობა" – გ. ლეონ.)

ᲛᲧᲘᲤᲔ – (ქეგლ) ადვილად გასატეხი.

ᲛᲩᲔᲣᲜᲐᲕᲘ – (ქ. მწ.) უტყვი, უენო.

ᲛᲩᲮᲘᲑᲐᲕᲘ – (ქეგლ) გრძნეული, ჯადოქარი. „ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი [ფარსმანი] იყო, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მჩხიბავი" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

ᲛᲪᲕᲠᲔᲕᲐ – (ქ. მწ.) დაკრეფილში ნარჩენების მოგროვება, მოკრეფა.

ᲛᲪᲜᲔᲑᲐ – (ქეგლ) ზნეობრივი ხასიათის რელიგიური გამონათქვამი. (გადატ) ვინმესთან რაიმე სახელმძღვანელო დებულება. იხ. ათი მცნება.

ᲛᲪᲝᲜᲐᲠᲘ – ზარმაცი, ზანტი.

ᲛᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ – (ძვ.) ცხედარი, საწოლი, სარეცელი. (აქედან: თანამეცხედრე, მეუღლე). სიტყვამ შეიცვალა მნიშვნელობა. ეხლა მიცვალებულს ნიშნავს.

ᲛᲪᲮᲔᲗᲝᲑᲐ, ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲚᲝᲑᲐ – (ქსე) რელიგიური დღესასწაული, იმართებოდა და იმართება მცხეთის კათედრალურ ტაძარში, სვეტიცხოველში, 14 ოქტომბერს (ახ. სტილით). დაწესებულია ტაძარში ამართული საკულტო სვ-

ეტის (სვეტიცხოველი) და ქრისტეს კვართის სადიდებლად. ამ დღეს იმართება დიდი წირვა და მრავალი მლოცველი მოდის ეკლესიაში. ლეგენდის მიხედვით, ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. იგი ელიოზ მღვდელმა (რაბინმა) მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი გულზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და კვართითურთ დაასაფლავა. საფლავზე ამოსულა მშვენიერი ხე, რომელიც ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხუროებს. მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი, მათ შორის ერთი, სახილველად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაფლული. ამ ლეგენდის ძირითადი იდეა — სვეტიცხოველის სასწაულმოქმედება, წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია ცხოვრების ხის უძველეს მოტივთან.

მწდე — (ქეგლ) ღვინის დამსხმელი, მერიქიფე. „თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი“ („მემკვიდრის აღზრდა“— საბა).

მწე — (ქ. მწ.) შემწე, მშველელი, მომხმარე.

მწევარი — სანადირო ძაღლი, გაქცეულ ნადირს ადვილად ეწევა. „ძახილი მომწევა“ (საბა).

მწვალებლობა — (ქსე) მკრეხელობა, ერესი. რელიგიური მიმდინარეობანი ქრისტიანობაში, რომლებიც გვერდს უვლიდნენ ყოველდღიურ საეკლესიო დოქტრინას დოგმატიკისა და კულტის საკითხებში (მაგ. ფარსმან სპარსის ცინიზმი მარიამის უხრწნელობისა და ანგელოსთა შესახებ (ნემსის წვერზე რამდენი ანგელოზი დაეტევა). „მწვალებელნი და მკრეხელნი მომრავლდნენო მცხეთაში — ქადაგებდა ეპისკოპოსი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

მწვირე — ჭუჭყი. (საბა) მყრალი ლაფი. „[მაგისტროსმა] ნახა ფოლორცში მწვირე დგას და შიგ საპყარი გლახა ეგდო“ („მაგისტროსი კეისრისა“— საბა).

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი — (ქსე) პირველი ვეზირი ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით 1103-04 წ.წ. დავით აღმაშენებელმა გააერთიანა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობა. მწიგნობართუხუცესი განსხვავდებოდა ყველა სხვა სადარბაზისკარო თანამდებობისაგან. იგი მონაზონი იყო და არ იჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას. იგი მთლიანად მეფის ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ თავგამოდებით უჭერდა მხარს მის გაძლიერებას.

მწიდვნელი — (ქ. მწ.) მწიდნავი, მცენარის ტოტის გადამწვენელი და მიწაში ჩამფლველი იმ მიზნით, რომ ფესვები გაიკეთოს. „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა“ (დ. გურ.).

ᲛᲬᲘᲙᲕᲚᲘ – (ქ. ეწ.) ჭუჭყი, უსუფთაობა. სიბილწე, ზნეობრივი უწმინდურობა (საპირისპიროა უმწიკვლო).

ᲛᲬᲘᲠᲘ – (ქეგლ) 1. უნაყოფო, მოუსავლიანი ნიადაგი. 2. (გადატ.) უცხოეთიდან გადმოხვეწილი, უთვისტომო, უნათესავო. უცხო მგზავრი. გადატ. ღარიბი, უქონელი. 3. უხარისხო მონაზონი — მორჩილი. მსხემი. „უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა იმყოფებოდეს და გამოიზრდებოდეს“ (საბა). ლერმონტოვის „მწირი“, ნ. ბარათაშვილის „სუმბული და მწირი“.

ᲛᲬᲙᲚᲐᲠᲢᲔ – (ქ. ეწ.) მწარე, მჟავე.

ᲛᲬᲣᲮᲠᲘ – (ქეგლ)1. საღამო, ბინდი, შეღამება. 2. საღამოს ლოცვა. დარეკავს მწუხრის ზარი. „მწუხრის ლოცვაზე მიიჩქაროდა მლოცველთა ბრბო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ –კ. გამს.).

ᲛᲬᲧᲐᲖᲐᲠᲘ – (ქეგლ) მეტად ლამაზი, მოხდენილი, მშვენიერი (ფაქიზი). (საბა) „შავსა და წითელსა საშუალი“.

ᲛᲭᲔᲕᲠᲘ – (ქეგლ) მჭევრმეტყველი. (საბა) ესე არს თვითო სახენი გვარნი მეტყველებისანი (რომელსა ელლენებრ ეწოდების რიტორი, ხოლო ქართულად ბასილიკონი).

ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ – (ქეგლ) ნათლად, ლამაზად ლაპარაკი, ორატორობა, რიტორობა. „სოლომონის სიტყვა ერეკლე მეფის დაკრძალვის დროს ქართული მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშად ითვლება“ (სასკ. სახ.-ლო).

ᲛᲭᲣᲜᲕᲐᲠᲔ – (ქეგლ) მწუხარე, ნაღვლიანი. „ყინწვისის მჭმუნვარე ანგელოზი“.

ᲛᲮᲐᲛᲡ – (ქ. ეწ.) (ძვ.) მმართებს, შემეფერება, ჯერ არს ჩემთვის. იხ. ხამს.

ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘ – (ქსე) დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV ს.ს. საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ თამარისა და ლაშა-გიორგის დროს. სამეფო კარზე არსებული 5 უხუცეს-ვაზირის „ხელიდან“ — ამირსპასალარისა, მანდატურთუხუცესისა, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა მხარგრძელებისა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებს ეპყრათ. მ. მსხვილი მემამულეები იყვნენ (ლორე-ტაშირი, გაგი, თმოგვი, კაენი, შამქორი).

ᲛᲮᲐᲠᲘ – (საბა) სიგრძის საზომი ერთეული — ოთხი წყრთა ერთი მხარი არს, ორთავე ხელთა სრულად გაწვდა

ᲛᲮᲐᲠᲙᲕᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ – (ვაჟას მც. ლექს.) ზოგ არწივს ფრთებზე თეთრი ნიშანი აქვს. მას „მხარკვერიანს“ ეძახიან. აქედან „მხარკვერიანი კარგი ვაჟკაცის ეპითეტად იხმარება. „მეორე ხომ'არეული, არწივი მხარკვერიანი“ („ბახტრიონი“ — ვაჟა)

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ – (ქეგლ) 1. ისეთი (ქმნილება, ნაწარმოები), რომელშიც სინამდვილე მოცემულია სახეებში. მ. ლიტერატურა. მ. ნაწარმოები. მ. ფილმი. 2. ხელოვნებასთან, ხელოვნების რაიმე დარგში მოღვაწეობასთან დაკავშირებული. 3. რაც ხელოვნების მოთხო-

ვნილებებს ესთეტიკურ გემოვნებას უპასუხებს. ესთეტიკური, ლამაზი. საღამოს მხატვრული განყოფილება. მ. ტანვარჯიში. წიგნის მ. გაფორმება. მ. კითხვა. მ. მეტყველება. მ. სახე (საპირისპიროა — არამხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო).

მხატვრული კითხვა – (ქსე) ლიტერატურული ნაწარმოების (ლექსი, პროზა, პუბლიცისტიკა), დრამატული ნაწყვეტის მხატვრული წაკითხვა, შესრულება. საესტრადო ხელოვნების ჟანრი.

მხატვრული მეტყველება – (ქსე) მეტყველების სტილისტური სახესხვაობა, სიტყვის ხელოვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი; მისი ფორმა. ემოციური და სახეობრივი მეტყველება. მ. მ. ახდენს კონკრეტული საგნებისა და მოვლენების ყოველმხრივ წარმოსახვას. მხატვრულ ნაწარმოებში ყოველი სიტყვა, იქნება იგი პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი, კონტექსტში ახალ ელფერსა და მნიშვნელობას, ახალ კონკრეტულ აზრობრივ-ემოციურ ჟღერადობას იძენს.

მხატვრული სახე – (ლიტ. თეორ.) მხატვრულად გამოსახული ადამიანური ცხოვრების სურათი, ისტორია. ხელოვნება სახეებით აზროვნებაა, ამიტომ სახეობრიობა ხელოვნებისა და ლიტერატურის სასიცოცხლო თვისებურებაა. ხელოვნებაში, ლიტერატურაში სინამდვილის შეცნობა ხდება სახეებით, მხატვრულად, ემოციურად. მწერალი ხატავს სინამდვილეს, ნაჩვენებია ტიპი — ადამიანის ცხოვრების განზოგადებული სურათი, ხასიათი, პორტრეტი, ადამიანის გარეგნობის ინდივიდუალური აღწერა, პეიზაჟი — ბუნების სურათი, ყველაფერი ეს გამოსახულია ექსპრესიული მეტყველებით.

ლიტერატურისმცოდნეობაში სახის ცნება გულისხმობს მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის პოეტურ წარმოსახვას, სინამდვილის ემოციურად გადმოცემას, თვალსაჩინოდ ჩვენებას; სახე უპირატესად მოიცავს ამბებისა და მოვლენების და გამომსახველ საშუალებათა ერთობლიობას. იგი ზოგჯერ გმირითაა განხორციელებული. სინამდვილე, მწერლის პოეტური ჩანაფიქრი, იდეური ტენდენცია მჟღავნდება პერსონაჟის ქცევაში, მოქმედებაში, ხასიათში, თვისებაში. ი. ჭავჭავაძე წერდა: „ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს; ჩვენ საზოგადო ჭირზე ვწერთ.“ თუმც ილიას ლუარსაბი კონკრეტული პიროვნებაა, მაგრამ მის სახეში გამოსახულია საზოგადო თვისებები ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილისა. თუ ნაწარმოების გმირის სახე, სურათი გმირის ინდივიდუალურ გარეგნულ ნიშნებს შეიცავს, ასეთი სახე პორტრეტია, მაგრამ თუ ის ინდივიდუალური შინაგანი თვისების შემცველიცაა და სხვებსაც ემსგავსება ზოგიერთი შტრიხით, საქმე გვაქვს ხასიათთან. თუ რომელიმე გმირი, პერსონაჟი ამ ინდივიდუალურ პირ-

მ

ადულ ნიშნებთან ერთად მთელი საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ხასიათს, თვისებებსა და სულისკვეთებას გამოხატავს, მას ტიპი ეწოდება, სახე ტიპიურია. ასეთი ტიპიური სახეებია: ლუარსაბ თათქარიძე, ჯაყო, თეიმურაზ ხევისთავი.

ამგვარად, მ. ს.-ის ცნება რამდენიმე აზრითა და ფორმით გამოიყენება. სახე — ტიპი, სახე — ხასიათი, სახე — სურათი, სახე — პეიზაჟი, სახე — ლირიკული, ეპიკური, დრამატული, სახეობრივი მეტყველება — ყველა ეს ერთ მთლიანობაში გვაძლევს ხელოვნებისა და ლიტერატურის თვისებას — სინამდვილის ემოციურად ჩვენების ფორმას, ცხოვრების პოეტურად წარმოსახვას.

მხევალი — (ქეგლ) ნაყიდი ან ნაშზითვი ქალი; ტყვე ქალი; მოახლე, ხელზე მოსამსახურე ქალი. მხევალის მნიშვნელობით იხმარება შიმუნვარიც. მონა ქალი, ხარჭა.

მხევლობა — (ქ. მწ.) დამონება. „შეუწყალოდ მხეცებრ კაცთა მხევლობენ" („ვისაც გსურთ" — ალ. ქავქ.).

მხცე (მხცით), მხცოვანი — (ქ. მწ.) ჭაღარა; ჭაღარით მოსილი ადამიანი, ხანდაზმული, საპატიო, დამსახურებული პიროვნება. „პშვენოდა შორენას მშვენიერი მხცით შემკული თმა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნ

ნაბადი — (ქსე) მოთელილი მატყლისაგან დამზადებული, წინ გახსნილი მთლიანი წამოსასხამი. XIX ს. ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ეროვნული კოსტიუმის ელემენტი. აქვს მთლიანი ზურგი და კალთები, ღრმად ამოღებული ყელი და განიერი მხრები. მზადდება მოკლე ან გრძელი, მსუბუქი ან მძიმე, დაბალ ან მაღალხაოიანი. „ხტუმრებმა შუაში ჩაიყენეს ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი პქონდა წამოსხმული" („ხევისბერი გოჩა" — ალ. ყაზბ.).

ნაბიჭვარი — (ქსე) ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი ძვ. საქართველოში. ნაბიჭვრის მნიშვნელობით „ბუში", „ბიჭი", „ცოდვისშვილი", „მხევლიშვილი". ნაბიჭვარი კანონიერ, ანუ ბუნებით შვილს უპირისპირდებოდა. ყმა ქალის ნ. მის ბატონს ეკუთვნოდა. „დიდებულისა შექმნილ" ნ.-ს აზნაურობა ენიჭებოდა. ნ. არ ითვლებოდა თავისი მშობლების უძრავი ქონების მემკვიდრედ.

ნაბული — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც განაბული. 2. ნადირობაში — ძაღლის შედგომა და განაბვა მსხვერპლზე თავდასასხმელად. მეძებარმა ნაბული გააკეთა. „ლეკმა ჯუმბერი ხალამომდის არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს აადევნა" („ხიზრულნე ხიცრუისა" — ხაბა).

ნაბუქოდონოსორი — (ქსე) 1. ბაბილონის სამეფო დინასტიის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელი; 2. ნაბუქოდონოსორ II ახალბაბილონური სამეფოს

ქალდეური დინასტიის მეორე მეფე. ძვ. წ. 597 წ. აიღო იერუსალიმი და დაანგრია იგი. იერუსალიმის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონში გადაასახლა. მის დროს ბაბილონეთი გაძლიერდა. ქ. ბაბილონში აიგო არაერთი სასახლე და ტაძარი, გაშენდა ცნობილი ბაბილონის კიდული ბაღები, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად მიიჩნევენ. „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან აოტნა ურიანი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდნენ ქართლსა ზედა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნაგრამი — (ქეგლ) შთამომავლობა, მოდგმა. „ღმერთმა გაგიმარჯოს ქალბატონო დარეჯან შენი ნაგრამიანად" („ხაზარულა" — ნ. დუმბ.).

ნადავლი — (ქეგლ) ომში ნაშოვნი ქონება (გადატ). „ავაზა კისერში მისწვდენოდა ნადავლს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნადი — (ქეგლ) მუშები, რომლებიც უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ მეზობელს ყანაში; მამითადი (დას. საქ.-ში — ნადი, აღმ. საქ.-ში — მამითადი; ნადური სიმღერები). „გაშენა ღმერთმა ნადო!" („თავხაფრიანი დედაკაცი" — ნ. ლორთ.).

ნავროზი [სპ.]—(საბა) სხვათა ენაა, ქართულად ბუნიობა ჰქვია. ახალი წლის დღესასწაული მაჰმადიანებში (21 მარტი).

ნავტიკი — (ქეგლ) ტიკებზე, რუმბებზე გამართული მცირე ტივი.

ნაზარეველი — (ბიბლ.) (ქრისტეს სინონიმია) ლეგენდის მიხედვით ქრისტეს დაბადების ადგილის — ნაზარეთის სახელწოდებიდან. „გუმბათიდან ყოველივე ამას გადმოსცქეროდა ხამხჭვალიანი ნაზარეველი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამ.).

ნაზირი [არაბ.]— (ქეგლ) — სასახლის ზედამხედველი, სამეფო კარის დიდი მოხელე, მმართველი, ვეზირი.

ნაზუქი — (ქეგლ) რძეში მოზელილი, კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური. ნამცხვარი, ლელანგო.

ნათან ბერძენი — (ბიბლ.) ებრაელთა მეფის — სოლომონის აღმზრდელი.

ნათელი დაუსაბამო, ნათელი დაუღამებელი (ბიბლ.)— ქრისტე.

ნაიალაღარი — (ქეგლ) იალაღზე ნამყოფი, ნასუქი (საქონელი). „ხარს ვგევარ ნაიალაღარს" (ვაჟა).

ნაიბი [არაბ.] — (ქსე) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი დაღესტანში შამილის დროს.

ნაკაშიძე პეტრე — (ქ. მწ.) ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის მეგობარი. 1860 წ. კანდიდატის ხარისხით დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი და დაინიშნა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული სიტყვიერების კათედრის უფროს მასწავლებლად. პარალელურად მოსკოვის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულ ენას — ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ

მოძრაობაში. მას დიდად თუასებდა ი. ჭავჭავაძე (უძღვნა პოემები „ქართლის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული.)“

ᲜᲐᲙᲕᲔᲡᲔᲑᲘ — (ქსე) პუბლიცისტური შინაარსის იუმორისტული ჟანრი, მოკლე, გონებამახვილური, მოსწრებული ხუმრობა. ნ.-ის უმრავლესობა მომხდარი ფაქტის ანარეკლია, რომელსაც ახლავს მკვეთრი და გამიზნული, იუმორით სავსე სატირა, სიტყვა ნ. პირველად ილ. ჭავჭავაძემ იხმარა და მანვე დაამკვიდრა იგი ქართულ მწერლობაში. ცნობილია „აკაკის ნაკვესები შეკრებილი და გამოცემული თედო სახოკიას მიერ“.

ᲜᲐᲙᲠᲢᲔᲜᲘ — (ქეგლ) ფრინველის ბუმბული. „ბჟიტის ნაკრტენიეით უსუსური წვერი მოხავდა ვაჟს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამ.).

ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘ — (ქეგლ) მჭედელი, რომელიც მუშა საქონელს ან ცხენს ნალს აკრავს. „მამა მყავდა ხარაზი და ნალბანდობას რა მრჯიდაო“ („ნალბანდი მგელი“ — ა. წერ.).

ᲜᲐᲚᲘᲐ — (ქეგლ) იგივეა, რაც სასიმინდე. „პატარა სახლი, როგორც ნალია, თეით სახახლეზე იდუმალია“ („ფაცხა— მეგრული, ოდა — გურული“ — გ. ტაბ.).

ᲜᲐᲛᲐᲖᲘ [არაბ.] — (უსლ) მუსლიმანთა ლოცვა, რომელსაც დღეში ხუთჯერ ასრულებენ.

ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ [რუს.]— (ქეგლ) მეფისნაცვალი.

ᲜᲐᲛᲣᲡᲠᲔᲕᲘ — (ჭ.ეწ.) ნამსხვრევი, ნატეხი, ნარჩენი

ᲜᲐᲜᲐ — (ქსე) 1. ძვ. მცირეაზიული ქალღმერთაება, რომელმაც ნუშის თუ ბროწეულის მარცვლის სახით მუცლად იღო მოკვდავი და აღდგენილი ჭაბუკი ღვთაება ატისი. ნანასა და ატისის კულტის მრავალი ელემენტი, კერძოდ, უბიწოდ ჩასახვა, პურითა და ღვინით ზიარება, ტანჯული ძე, თავისებურად შეითვისა ქრისტიანობამ. 2. ქართველთა ქალღვთაება, ღვთაებათა დედა, მზის ერთ-ერთი უმთავრესი ჰიპოსტასი, რომლის კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში ნ., როგორც ბუნების დედური ძალების განმასახიერებელი, წარმოდგენილი ჰყავდათ ლამაზი ქალის სახით, რომელიც უმღეროდა აკვანში მძინარე ყრმას. იგი განაგებდა მიწის ნაყოფიერებას, ბუნების კვდომა-აყვავებას. ითვლებოდა სიყვარულის მფარველად. მისი სახელი დღემდე შემოგვინახა ქართულმა „იავნანამ“. ქრისტიანობის ხანაში ნ.-ს კულტის მრავალი ელემენტი დაუკავშირდა ღვთისმშობელ მარიამს. საქართველო რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნად ითვლებოდა, ესეც ნანას ძლიერი კულტის გავლენა უნდა იყოს.

ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ — (ქსე) ქართლის მეფის მირიან III-ის მეუღლე. ქართლის საისტორიო ტრადიციის თანახმად ნ. დ.-მა, პირველმა, აღიარა ქრისტიანობა მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ იხსნა უკურნებელი სენისგან. ამ სასწაულს დიდი გავლენა მოუხდენია მეფესა და ხალხზე და ხელი შეუწყვია ქართლის გაქრისტიანებისთვის.

ᲜᲐᲜᲓᲐᲣᲠᲘ — (ბიბლ) სასურველი.

საყვარელი. „ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ნაგებრებოდე" („წაწალი" — ვაჟა).

ᲜᲐᲜᲘᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ — (ქეგლ) ვინც ძალიან უყვართ, მეტისმეტად სანატრელი, საყვარელი, ნანინანატრი შვილი.

ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲔ (1769-1821) — (ქსე) საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული, საფრანგეთის იმპერატორი. კორსიკელი წვრილი აზნაურის, ადვოკატის კარლო ბუონაროტის შვილი. სწავლობდა პარიზის სამხედრო სკოლაში, ბუნებრივი ნიჭი, ფენომენური მეხსიერება და არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა შესაძლებლობას აძლევდა ნაპოლეონს საფუძვლიანად აეთვისებინა თავისი საუკუნის ცოდნა. იტალიაში ლაშქრობის დროს მან გამოავლინა არა მარტო მხედართმთავრული, არამედ სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ნიჭი. ამ ლაშქრობამ მას დიდი პოპულარობა მოუტანა. 1799 წ. ბურჟუაზიის გავლენიანი წრეებისა და არმიის დახმარებით ნაპოლეონმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა — დაამყარა დიქტატურა რესპუბლიკის საფარქვეშ. „ნაპოლეონი იყო კ. გამსახურდიასთვის ნიცშეანური ზეკაცის ყველაზე სრულქმნილი რეალური სახე" (ქ.ს.მ.ა. — ს. სიგ.).

ᲜᲐᲠᲒᲘᲚᲔ [სპარს]— (ქეგლ) აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა: შედგება წყლის ჭურჭლის, ტყავის მილისა და ჩიბუხისაგან. „მეფემ თირაქი გადმოიღო და ნარგილე გააჩაღა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ გამს.).

ᲜᲐᲠᲒᲘᲡᲘ — (ქ. ეწ.) ყვავილია. „თვალთა ნარგისი დამდაგისი" (ბესიკი).

ᲜᲐᲠᲓᲘ — (ქეგლ) ერთგვარი სათამაშო, შედგება ბრტყელი და მოგრძო გადასახსნელი ყუთისაგან. წყვილი კამათლისა და 30 კოჭისაგან. „მეფესა ეხე ამბავი უჩას, ვითა მღერა ნარდისა" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ᲜᲐᲠᲗᲘ — (ქეგლ) რაც დართეს, დართული (მატყლი, ბამბა, აბრეშუმი).

ᲜᲐᲠᲘ — (ქეგლ) 1. ეკალი, ეკლებიანი ბალახი, გავრცელებულია მინდვრებში, მდელოებზე, ნათესებში. სხვისი ხელით ნარის გლეჯა — სხვისი ხელით ბნელი, რთული საქმის კეთება. 2. უბრალო, უქვეშაგებო საწოლი. „დამფრთხალიყვნენ ნარებზე მწოლარენი" (დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐ [სპარს. — ციტადელი, შიდაციხე] — (ქსე) თბილისის ციხის — კალას გვიანდელი სახელწოდება. (ნარინკალა — ნარინის ციხე) „დგას ნარიყალა ჯავრით მზირალი" (ი. გრიშ.).

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ — (ქეგლ) პატარა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი, ცხოვრებისეული ფაქტები. „ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები."

ᲜᲐᲡᲘ — (ქ. ეწ.) ცუდი, უვარგისი (თვალად ნასი); ულამაზო, უშნო.

ᲜᲐᲢᲐᲛᲐᲚᲘ — (ქსე) ძვ. ქართული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა: 1. შთამომავალს, ნათესავს, თვისტომს; 2. ეზოგარემოს, კარ-მიდამოს, სამკვიდრო ად-

გილ-მამულსა და სამფლობელოს. ნ. ნაოხარის, ნასახლარის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. წყალობისა თუ ბოძების იურიდიული ფორმულის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა. „დანიმკვიდრეთ საბოლოვოდ სოფელი გოროვანი... ყოველის მათის სამართლიანის სამძლავრითა და ნატამალითა“ 3. სულ მცირე ნარჩენი რისამე, ნასახი, სიცოცხლის ნატამალი არ ეტყობოდა. — მცირე ნაშთი. „მელქისედეკმა დალოცვებულო ხიზრაზის ნატამალი დაიჭირა მის ციხეურ თვალებში“ (დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲜᲐᲢᲘᲡᲣᲡᲐᲚᲘ — (ქეგლ) მატყლის, ბამბის და მისთ. ნამწვის სუნი, ნარუჯალი. „ხორცს გიუშვის მუშკის სუნია, სულს აგდის ნატისულია“ („რეული“ — დ. გურ.).

ᲜᲐᲢᲘᲤᲘ — (ქეგლ) ლამაზად გამოკვეთილი, მშვენიერი, მოხდენილი, ფაქიზი, ნატიფი თითები.

ᲜᲐᲢᲘ, ᲜᲐᲢᲐ — (საბა) თალათინი, მოქნილი ტყავი. „მეფემ ბალდიეით აიყვანა ხელში შორენა და ნატებით მორთულ ტახტზე დააწვინა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲜᲐᲢᲣᲠᲐ, ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ — (უსლ) 1. ბუნება; 2. ბუნებრივი, ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, იღებენ და სხვა. 3. ბუნებრივი პირობები, ადგილი, სადაც წარმოებს კინოს გადაღება; 4. საქონელი, პროდუქტები და მისთ. როგორც ფულის ნაცვლად გადასახადი საშუალება.

ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘ — (უსლ) ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ანტირეალისტური მეთოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სინამდვილის ზერელე გამოხატვა, მხატვრული განზოგადების შეუფასებლობა და უარის თქმა იმის სოციალურ-პოლიტიკურ, მორალურ და ესთეტიკურ შეფასებაზე, რასაც იგი გამოხატავს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სინამდვილის გარეგნულ მხარეს. მისი ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოცემას (ანდ. ჭილ.). ნატურალიზმის მეთოდმა ლიტერატურა აქცია ცხოვრების სტატისტიკურ ჩვენებად. მხატვრული განზოგადება, ტიპურობა და სოციალური რიგის მოვლენები დაჩრდილა. ხელოვნებას, ლიტერატურას მეცნიერების ფუნქცია დააკისრა ძალაუნებურად და შეასუსტა მხატვრული სახის ჩვენება. წინ წამოიწია საბუნებისმეტყველო კვლევის მეთოდი. ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ ფოტოგრაფიულ ასლწერად იქცა. ნატურალიზმი რეალიზმის დამახინჯების, დაქვეითების გამოხატულება იყო, რამდენადაც იგი ხელს იღებდა სინამდვილის განზოგადებაზე, ცხოვრების კრიტიკულ შეფასებაზე. „ნატურალიზმის ფუძემდებელი და კლასიკოსი იყო ემილ ზოლა“ (რომანი „კაცი მხეცი“). „გ. ტაბიძემ მოლცე ხაუკუნის დასაწყისში თითქმის მთლიანად დახძლია მდარე ნატურალიზმად გადაგვარებული რეალისტური პოეტიკა“ (გ. ასათ.).

ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — (ქსე) მეურნეობის ტიპი, რომლის დროს შრომის პროდუქციები იწარმოება თვით მწარმოებლის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა ბაზარზე გასაყიდად. ნ. მ. აღმოცენდა და

გაბატონდა საზ.-ბის განვითარების იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შრომის საზ. დანაწილება, გაცვლა და კერძო საკუთრება. „XVI-XVIII საუკუნეებში გაბატონებული იყო კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა" (კეკელიძე-ბარამიძე).

ნატურმორტი [ფრ.] — (უსლ) ნახატი, სურათი, რომელზედაც გამოსახულია უსულო საგნები: ყვავილები, ხილი, ნანადირევი, გაწყობილი სუფრა და სხვა.

ნაუნჯი — (ქ. მწ.) გადანახული, რჩეული.

ნაუფლისწულევი — (ქ. მწ.) უფლისწულის პირადი ქონება.

ნაფაზი [არაბ.]— (ქეგლ) თამბაქოს ბოლის ფილტვებში ჩაშვება, ჩაყლაპვა და ამოშვება. „ნაფაზს აკეთებს."

ნაქცევი — (ქ. მწ.) ნანგრევი.

ნაღარა — (ქსე) დიდი ზომის დიპლიპიტოა. იგი შედგება ორი მოზრდილი ჭურისაგან, რომელზედაც თხის, ნუკრის, ან მოზვრის ტყავია გადაჭიმული. ნ.-ის ორივე ჭური ქვევით დაგრძელებულია ქვევრის მსგავსად. საცემლად მრგვალთავიან მაგარ ჯოხებს იყენებენ. ნ.-ს უკრავდნენ სახალხო ზეიმსა და დღესასწაულებზე, ქორწილის, სამგლოვიარო ცერემონიების და სამხედრო ლაშქრობების დროს. „დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა" (ნ. ბარათ.).

ნაღდი — (ქეგლ) ისეთი (ფული), რომელიც ნამდვილად აქვთ ხელზე. ნაღდი ფული. (გადატ.) ნამდვილი, უტყუარი.

ნაყროვნება — (ქ. მწ.) ღორმუცელობა.

ნაცარქექია — (ქეგლ) ქართული ზღაპრების ცნობილი პერსონაჟი — უღონო და უქნარა (ზღაპრის დასაწყისში ზის და ნაცარს ქექავს), რომელიც მოხერხებით დევებსაც კი სჯობნის. (გადატ.) ზარმაცი, უქნარა ადამიანი.

ნაცვალი — (ქსე) გვიანფეოდალურ საქართველოში ადმ. პოლიციის მოხელე.

ნაციზმი — (ქეგლ) გერმანული ფაშიზმი.

ნაციონალიზმი — (უსლ) 1. რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების წაკიდება სხვა ეროვნებასთან. „„თერგდალეულთა" პატრიოტიზმი არ ვარდება ნაციონალიზმსა და შოვინიზმში" (სასკ. ხახ.-ლო). 2. მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. „[სოციალ-დემოკრატები] იბრძოდნენ ადამიანთა გონებიდან ნაციონალიზმის აღმოსაფხვრელად. ამიტომ ნაციონალიზმი დღემდე რჩება სალანძღავ ცნებად. ეს მაშინ, როცა, ნაციონალიზმი არის უაღრესად ადამიანური გრძნობა და მას არაფერი აქვს საერთო შოვინიზმთან" (ნ. გრიგ. ტ. I). ნაციონალური — ეროვნული. იხ. შოვინიზმი.

ნაციონალისტი — 1.ნაციონალიზმის მიმდევარი; 2. ნაციონალიზმის

მომხრე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე.

ნაძლევი — (ქეგლ) სანაძლეო, რაიმეზე კამათისას ორ მხარეს შორის დადებული პირობა, რომლის ძალითაც გამტყუნებულმა უნდა გადაუხადოს რაიმე მას, ვინც მართალი აღმოჩნდება.

ნაწვერალი — (ქეგლ) 1. მომკილი ყანის ნაშთი — ნამჯა; 2. მინდორი, რომელზედაც ჯერ კიდევ არის მომკილი პურეულის, ან მოთიბული ბალახის ნაშთი. ნაწვერალის მოხვნა.

ნაჭა — (ქეგლ) შუა ცეცხლის ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი — საკიდარი. „დარბაზის ღირედან ნაჭაა ჩამოშვებული" („ვიგონებ ყრმობასა" — ნ. ტაბ.)

ნაჭარმაგევი — (ქსე) ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუასაუკუნეების საქართველოში, ახლანდ. სოფ. კარალეთის (გორის რ-ნი) ადგილზე. წყაროებში მოხსენიებულია X ს.-დან ნაჭარმაგევთან არის დაკავშირებული. ბევრი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენა: 1110 წ. ნაჭარმაგევში შეყარა დავით აღმაშენებელმა ლაშქარი, როცა თრიალეთში თურქ-სელჩუკთა შემოსევა აცნობეს. დემნა უფლისწულის დამარცხების შემდეგ ნ.-ში შეიკრიბა დარბაზი და გიორგი III თავის თანამოსაყდრედ თამარი გამოაცხადა; აქვე წარსდგა თამარის წინაშე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული მისი ყოფილი მეუღლე იური ანდრიას ძე. აქ შეყარა მეფე რუსუდანმა ლაშქარი ჯალალედინის წინააღმდეგ გასალაშქრავად. შემდეგში ნ.-ის სამეფო რეზიდენცია თანდათან დავიწყებას მიეცა.

ნახირი (ქსე) მსხვილი, რქოსანი საქონლის ჯოგი.

ნახლი — (ქ. მწ.) ერთგვარი ძვირფასი ქსოვილი.

ნახჭი შერისსა — (ძვ.) (ქ. მწ.) ფეხსაცმელი.

ნებელობა — (ქსე) 1. ნებისყოფა: ადამიანის ერთ-ერთი ფსიქიკური ფუნქცია, რომელიც გამოიხატება თავის ქცევამოქმედების დაუფლებაში, განზრახვის თანახმად მოქმედებაში; 2. შეგნებული სწრაფვა რაიმე მიზნის განხორციელებისაკენ, თავისი გადაწყვეტილების შესრულების უნარი. „ქ. გამსახურდიამ განსაკუთრებული ხიბლი გააყოლა ზეჯიშის გამომხატველ, ძლიერი ნებელობის, უფლის მეტოქე პიროვნებებს". „ძლიერი ნებელობის გამომხატველია გიორგი მეფე „დიდოსტატის მარჯვენაში"" (ხახკ. ხახ-ლი).

ნები — (ქეგლ) ხელის გული თითებიანად.

ნებსით — (ქეგლ) ნებით, თავისი სურვილით. ნებსით თუ უნებლიეთ — თავისი სურვილის მიხედვით თუ მის მიუხედავად.

ნეგატივი — (ქეგლ) 1. გამოსახულება შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე ან ფირზე, რომელზედაც თეთრი ნაწილები შავადაა გამოსახული, ხოლო შავი ნაწილები — თეთრად. 2. ნეგატიური — უარყოფითი (პოზიტიურის საპირისპირო).

ნეზვი — (ქსე) ქუხი, დედალი ღორი, თხა, ან ცხვარი. „ნეზვებს თავი დაუხრიათ" („დაგვიანებული ყვავილები" — ნ. ლორთქ.).

ნეიტრალიტეტი [გერმ.] — (უსლ) დავაში ან ომში მიუმხრობლობა. „შვეიცარია 1815 წლიდან ატარებდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას" (კლ-გარ. ლიტ.-რა „შ. თ. ჩ.").

ნეკერი — (ქეგლ) კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები.

ნეკერჩხალი — (ქეგლ) ფოთლოვანი ხე; აქვს სამ-ხუთნაკვთიანი ფოთლები. „შემოდგომაზე ძალზე ლამაზია, განსაკუთრებით წითელი ნეკერჩხალი, ნაირფერი ფოთოლი და ნაყოფი" (რ. ინან.).

ნეკრასოვი (1821-1877) — დიდი რუსი პოეტი რევოლუციონერ-დემოკრატი, ნოვატორი.

ნელსაცხებელი — (ქეგლ.) სურნელოვანი საცხებელი. საერთო სახელწოდება სხვადასხვა კოსმეტიკური ზეთისა.

ნემეზისი — (უსლ) შურისძიება (ნემეზიდა//ნემესიდა — ბერძნ. მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთის სახელიდან). „ეს იყო გარდაუვალი კაპრიზი ისტორიის ნემეზისისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნეო [ბერძ.] — (უსლ) რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ახალს; მაგ., ნეოლითი, ნეორეალიზმი, ნეოლოგიზმი.

ნეოლოგიზმი — (უსლ) ენაში ახლად გაჩენილი სიტყვა ან გამოთქმა.

ნეორომანტიზმი — (ანდ. ჭილ.) რეალური რომანტიზმის ახალი სახით აღორძინების, რეალიზმის წინააღმდეგ მიმართული იდეური შინაარსის გამომხატველი მიმდინარეობა ლიტერატურაში. იგი წარმოიშვა XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში. ნეორომანტიკოსები იცავდნენ ე. წ. „წმინდა ესთეტიზმს" და ყოველგვარ მორალურ-საზოგადოებრივი არტახებიდან თავისუფალი ლიტერატურის იდეას ქადაგებდნენ. ლიტერატურული ასახვის ობიექტად მიჩნეულია რეალობის მიღმა სამყარო, რომელიც შემოიჭრება ხოლმე სინამდვილეში. ამიტომაც ნეორომანტიკული ნაწარმოების შინაარსს ქმნის ფანტასტიკურობა, უჩვეულო სიუჟეტი, გმირის ავანტიურისტული თავგადასავალი, ღრმა ფსიქოლოგიზმი, უცნაური, მოულოდნელი გარდაქმნები ადამიანის ცხოვრებაში.

სიმბოლისტებმა, დეკადენტებმა საერთოდ სცადეს ხელოვნებისა და ლიტერატურის მოწყვეტა ცხოვრებისაგან და მისტიციზმის სფეროში გადატანა, ირეალობის წინ წამოწევა. ამ ესთეტიკური მრწამსით ისინი გამოვიდნენ როგორც ნეორომანტიკოსები. ამ ნიადაგზე ნ.-ის ცნება ხშირად ფარავს სიმბოლიზმისა და დეკადენტობის ცნებას, იწოდება მოდერნიზმადაც. „გ. ტაბიძე იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში ნეორომანტიკული მიმართულების დამწყები" (გ. ასათ.).

ნ.-ის წარმომადგენლები არიან ფილოსოფიაში — ნიცშე, დრამატურგიაში — იბსენი, მეტერლინკი, პოეზიაში — ბოდლერი, ვერლენი, პროზაში — ედგარ პო, კნუტ ჰამსუნი და სხვა. აბსოლუ-

ტური მცდარობაა ქართულ ლიტერატურაში ალ. ყაზბეგისა და ვაჟა ფშაველას ნეორომანტიკოსებად მიჩნევა.

ნეპტუნი — (უსლ) რომაული ღვთაება, ზღვაოსნობის, მეცხენეობის მფარველი ძლიერი მამაკაცი.

ნერსე II — (ქსე) ქართლის ერისმთავარი VIII ს. II ნახევარში. ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძე. 772 წ. ნერსე II ხალიფა მანსურმა ანტიარაბული საქმიანობისათვის ბაღდადში გაიწვია და საპყრობილეში ჩასვა. ხალიფა მაჰდიმ გამეფებისთანავე გაათავისუფლა და დიდი პატივით ქართლში გამოისტუმრა. 5 წლის შემდეგ ნერსე კვლავ შეებრძოლა არაბებს, შემდეგ თავისი მხლებლებით ხაზარებთან გაიქცა, რადგან მათი დახმარების იმედი ჰქონდა. ხაზართა ხაკანმა პატივისცემით მიიღო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე, ჩანს, უარი უთხრა. შემდეგ ნ. II აფხაზეთში გადავიდა, სადაც ცოლ-შვილი ჰყავდა გახიზნული. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას ქართლის ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დაენიშნა. ნერსემ ამირასაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა ითხოვა. ხაზარებისაგან მიტოვებული ნ. II არაბებისათვის საშიში აღარ იყო და როგორც კერძო პირი, ქართლში დაბრუნდა. ნ. II-ს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული მისი არაბი მსახურის აბოს ტრაგიკული თავგადასავალი („აბო ტფილელის წამება" — ი. საბანისძე).

ნესესერი [ფრ.]— (უსლ) საგზაო ფუტლარი, რომელშიც ათავსებენ თავის მოვლისათვის, ტუალეტისათვის საჭირო ნივთებს. „მარგო ჯაყოს ახწაელიდა და ნესესერის თირაღსაც ათხოვებდა" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ნესტარი — (ქსე) დედალი ფუტკრის ორგანო, რომლითაც ის იცავს თავს (ჩხვლეტს) და რომლითაც კვერცხებს დებს. (გადატ.) „მოგიხვდა, ჩემო მოხევევ, რა ნესტარიაცა ხარ ნაჩხვლეტი" („მგზავრის წერილები"— ილ. ჭავჭ.).

ნეფერტიტი —(ქსე) ძვ. ეგვიპტის დედოფალი ფარაონ ამენჰოტეპ IV-ის ცოლი. რელიგიური გადატრიალების შემდეგ მიიღო სახელი ნეფერ-ნეფერუატონი (ბრწყინვალეა მშვენიერება ატონისა"). გათხრებისას ნაპოვნია მისი სკულპტურული პორტრეტები.

ნექტარი — (უსლ) 1. ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების სასმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ სიახალგაზრდავესა და სილამაზეს ანიჭებს მათ; 2. სიამოვნების მომგვრელი მეტისმეტად კარგი რამ (გადატ. პოეტ.); 3. ტკბილი წვენი, რომელსაც ყვავილები გამოყოფენ.

ნეშო — (ქეგლ) ფოთლებიანი ხის შტო, ან ფოთლები (მოკრეფილი, ჩამონაცვენი). ნეშოთი თავდაცობილი დოქი.

ნიამი — არაქათი, ქანცი, ძალა. ნიათგამოცლილი — არაქათგამოცლილი. „გოგონა რომ წაიყდოდა, გერონტი ნიათგამოცლილი ჯდებოდა" („მირანდუხტი" — რ. ინანიშ.).

ნიამორი — კლდის თხა, ქურციკი. შინაური თხის ერთ-ერთი წინაპარი.

ვაცს ხმლისებურად უკანგადაზნექილი და გვერდებიდან შებრტყელებული რქები აქვს, რომელთა სიგრძეა დაახლ. 130 სმ, ბინადრობს ძნელად მისადგომ კლდოვან ფერდობებზე.

ნიველირება — (უსლ) განსხვავების მოსპობა, გათანაბრება. „რუსეთის კაპიტალიზმი ანიველირებდა საქართველოს ადგილობრივ თავისებურებებს (ხასკ. ხახ-ლო).

ნიზამი განჯელი (1141-1203)— (ქსე) აზერბაიჯანელი პოეტი, ჰუმანისტი. წერდა სპარსულ ენაზე. მას ეკუთვნის ლირიკული ლექსების კრებული და 5 პოემა: „საიდუმლოებათა საგანძური", „ხოსროვ და შირინი", „ლეილი და მაჯნუნი", „შვიდი მზეთუნახავი" და „ისქანდერნამე". ნ. გ.-ის თხზულებების პერსონაჟთა გალერეა მრავალფეროვანია. პოემა „საიდუმლოებათა საგანძური" 20 დიდაქტიკური ხასიათის საუბრისაგან შედგება და მასში მოცემულია მწერლის ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებანი, ხოლო პოემებმა — „ხოსროვ და შირინი", „ლეილი და მაჯნუნი", „შვიდი მზეთუნახავი" — მთელი ეპოქა შექმნეს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში.

ნიკე — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: გამარჯვების ქალღმერთი. გამოხატავდნენ ფრთებიანი ქალის სახით, რომელსაც თავზე გვირგვინი ადგას და ხელში პალმის ტოტი უჭირავს (რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება ვიქტორია).

ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ — 1585-1658) — (ქ. ეწ. ლექს.) ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი. 8 წლისა სწავლა-განათლების მისაღებად გაგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძ. სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იქვე აღიკვეცა ბერად. 1625 წ. თეიმურაზ I-ის დავალებით დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ევროპაში. რომში ყოფნისას (ირბახმა-ჩოლოყაშვილმა) აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ბეჭდვითი წიგნის გამოცემაში. 1629 წ. მისი დახმარებით ჩამოისხა ქართული ანბანი. შემუშავდა და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი — პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. შემდეგ „ლოცვანი" ქართულ ენაზე. 1629 წ. საქართველოში დაბრუნდა, მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი გახდა. 1632 წ. ირბახი-ჩოლოყაშვილი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის უახლოესი თანამშრომელია და მისი ფართო პოლიტიკური გეგმების სულისჩამდგმელი.

1643-1649 წ. წ. კვლავ იერუსალიმშია ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად. 1650 წ. საქართველოში დაბრუნდა; ლევან II დადიანის ხელშეწყობით საქართველოს კათალიკოს პატრიარქი გახდა. 1657 წ. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა ვამეყ დადიანმა მის მოწინააღმდეგეთა შორის ჩოლოყაშვილიც შეიპყრო და საპყრობილეში მოათავსა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. თანამედროვენი მას უწოდებენ ბრძენსა და ფილოსოფოსს, რიტორს, „ღირსსა ყოველისა სიკეთისა" (ძვ. ქართული

მწერლობის IV პერიოდის მიმოხილვისას).

ნიკოლაძე იაკობ (1876-1951) – (ქსე) ქართველი მოქანდაკე, თანამედროვე ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი. თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორი. სწავლობდა მოსკოეში სტროგალიოვის სამხატვრო-სამრეწველო სკოლაში, ოდესის სამხატვრო სკოლაში, პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. პარიზში ცხოვრებისას მუშაობდა როდენის სახელოსნოში. აქ მუშაობამ დიდი კვალი დააჩნია მის ნამუშევრებს: „ქარი“, „ჩრდილოეთის ასული“, „მოცეკვავე“, „სალომე“, ნ.-ის პირველი დიდი მონუმენტური ნამუშევარი იყო ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“ (შეუქმეთეს მთლიანი ფიგურა, დაიდგა 1913 წ. მთაწმინდის პანთეონში. ამის შემდეგ რამდენიმე საფლავის ძეგლი და მთლიანი ფიგურა შექმნა, მაგრამ იგი მაინც ძირითადად პორტრეტისტი იყო).

ნიკოლაძე ნიკო (1843-1928)– (ქსე) ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე, ნ. ჩერნიშევსკის მოწაფე და თანამებრძოლი. მონაწილეობდა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ძველ და ახალ თაობას შორის გამართულ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში. სასწავლებლად პარიზში წავიდა. 1880 წლიდან მეორე დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბეში“. 1894-1912 წ. წ. არჩეული იყო ფოთის ქალაქისთავად. 1920 წ. იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც ქიათურის მანგანუმის საექსპორტო საზ.-ბის დელეგაციის მეთაური. 1924 წ. დაბრუნდა საქართველოში. დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტ. კრიტიკის განვითარების საქმეში. მანვე მოგვცა ი. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედების ღრმა ანალიზი. ნ. მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მეთვალყურეობდა თბილისის წყალსადენის, ფოთის ნავსადგურის, ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, გროზნო-ფოთის ნავთობსადენის და სხვა პროექტებს.

ნიკორწმინდა – (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, გუმბათოვანი ტაძარი, მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში. დასავლეთის შესასვლელის წარწერის მიხედვით იგი აუგიათ ბაგრატ III-ის დროს 1010-1014 წ. წ. ინტერიერში შემონახულია XVII ს. ფრესკები გვიანდელი ხანის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად. გათლილი ქვითა და დამუშავებულია უწყვეტი თაღებით. ასეთივე თაღებით არის დამუშავებული 12-სარკმლიანი გუმბათის ყელი. ტაძარი უხვად არის შემკული მდიდრული ჩუქურთმებით. დიდი ადგილი უჭირავს მრავალფიგურიან სცენებს („ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვარის ამაღლება“) – წმინდანების ფიგურებს, რეალურ და ფანტასტიკურ ცხოველებს. სარკმლებს ირგვლივ შემოუყვება ჩუქურთმიანი არშიები. 1634 წ. შენობა განუახლებია იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს. ტაძრის ეზოში აღმართული სამ-

სართულიანი სამრეკლო XIX ს. II ნახევარშია აშენებული. „მაქეს მკერდს მიდებული ქნარი როგორც მინდა, ჩემთვის დიდებული ხხივი გამობრწყინდა, მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა და ციიი დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა" („ნიკორწმინდა" — გ. ტაბ.).

ნიკოფსია — (ქსე) ისტორიული ციხე-ქალაქი შავი ზღვის პირას, ქ. ტუაფსეს (კრასნოდარის მხარე) ჩრდ. დას. 47 კმ-ზე. ნანგრევები შემორჩენილია დაახლ. 30 მ სიმაღლის კედელზე. პირველად მოხსენიებულია V ს. ანონიმ ავტორთან. მემატიანე ფლავიუს არიანეს (II ს.) ცნობით აქ უფრო ადრეც ყოფილა ქალაქი ძვ. ლაზიკეს სახელწოდებით. XVI ს.-დან თანდათან გამოეთიშა საქ. პოლიტ. და კულტ. გავლენას. გვიანდ. ფეოდ. ხანაში იგი უკვე ნაქალაქარია. „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაჭენებული და გამოჭენებული" („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო" — მ. ლებან.).

ნიობე — იხ. შარავანდედი.

ნიმფა — (უსლ) ბერძნული მითოლოგიაში: მეორეხარისხოვანი ქალღმერთი, რომელიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებს.

ნინო, წმ. ნინო — ქრისტიანობის გამავრცელებელი და მქადაგებელი საქართველოში (IV ს. 30-იანი წ.წ.). წარმოშობით კაპადოკიელი ბერძენი. გადმოცემით ნ.-ს მამა იმპერატორ მაქსიმილიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურ·.სათვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და — სუსანა. ბოლოს ბერად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზარეულოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნ. იმპერ. კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენეს და სხვა ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ ნ. საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისაგან („ნასხლავისაგან") გაკეთებული ჯვარი. ნ.-ს ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მას მეტსახელად „ტყვესაც" ეძახდნენ, როგორც უცხოელ, უთვისტომო ადამიანს. ნ.-ს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ ნ.-ს რჩევით მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან. სამისიონერო მოღვაწეობა განუგრძია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდელოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთში ასულა და წილკნელები, ქართლელები, ფხოველები და ერწოთიანეთლებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ის ავად გამხდარა და სოფ. ბოდბეში გარდაცვლილა. იქვე დაუსაფლავებიათ. წმ. ნინოს ხსენების დღედ ეკლესიამ 14 (27) იანვარი დააწესა. „მიდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოპქონდა ხანატრელი ვაზის ჯვარი" („წმინდა ნინო" — ა. კალან.).

ნ

ნინოწმინდა — (ქსე) სოფელი საგარეჯოს რაიონში. შემორჩენილია გალავანშემოვლებული სამონასტრო კომპლექსი — ტაძარი, აგურის ოთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.). მიტროპოლიტ საბა მუსიშვილის ორსართულიანი სასახლე და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. ტაძარი საყურადღებო ძეგლია. დიდგუმბათიანი ტაძარი გეგმით ვარსკვლავისებრი ნაგებობა იყო. იგი მრავალჯერ შეკეთებულა. საბოლოოდ დაინგრა 1824-1848 წ. წ. მიწისძვრის დროს. ნინოწმინდის სამრეკლო სიდიდით ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში. მონასტერში მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები: არსენ ნინოწმინდელი, მიტროფანე ნინოწმინდელი, იოანე ნინოწმინდელი, საბა ტუსიშვილი და სხვა. „ნინოწმინდა — პალატები მეფეთა" (გ. ლეონ.).

ნირვანა — (უსლ) ბუდისტების მისტიკური მოძღვრების მიხედვით: უდიდესი ნეტარება, რომელსაც აღწევენ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებათაგან სრული განთავისუფლებით. ამ მოძღვრების მიხედვით სიკვდილი არის უდიდესი ნეტარება და მარადიული ყოფა. „გარინდება, ნირვანა, პასიურობა, ბედის მორჩილება — აი, იმ ხალხის მომავალი, რომელსაც რწმენა და იმედი მოშლილი აქვთ" („მახალები ლექციისათვის" — მ. ჯავახ.).

ნირი — (ქეგლ) იგივეა, რაც ნიხრი, მაზანდა, წესი. (გადატ.) განწყობილება, ელფერი, ნირი წაუხდა.

ნიუანსი [ფრ.]— (უსლ) ოდნავ შესამჩნევი ცვლილება, განსხვავება რამეში; რისამე ელფერი.

ნიში [ფრ.] — (უსლ) კედელში შეღრმავებული სათავსი, ჩვეულებრივ რისამე (ვაზის, ქანდაკების) დასადგმელად. „თაფლის სანთლები ლიცლიცებდნენ ნიშებში" („დიდოსტატის მარჯვენა" —კ. გამს.).

ნიშაბური — (ქსე) ქალაქი ჩრდ.-აღმ. ირანში. ნიშაბურის მახლობლად არის ფირუზის საბადო — „ნიშაბურის ფირუზი". ნ.-ის გარეუბანში არის ომარ ხაიამის აკლდამა.

ნიშატი — (საბა) ეს არის ბუნებითი ძალა, რომელსაც არაბნი ხასიათს უწოდებენ. „სანაცვლოდ ჯაყოს დაგუბებული ჰქონდა ხიცოცხლის ნიშატი" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ნიშნიანიძე შოთა — (1929) ქართველი პოეტი, რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის, გ. ტაბიძის სახ. პრემიის ლაურეატი. 1953 წ. დაამთავრა თსუ. 1981 წ.-დან საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანია. ნ.-ის ლექსები იმთავითვე გამოირჩეოდა ქართული პოეზიის დემოკრ. ტრადიციების ერთგულებით და თანამედროვეობის პრობლემათა გაბედული გააზრებით. ლექსთა კრებულებმა: „კალე-თესე", „ზეთისხილის რტო", „მზე და ჩრდილი", „ხიდები", „მზე შუბის ტარზე", „ეპიკური ექო", „გადასახედი", „ერთტომეული" პოეტს საყოველთაო აღიარება მოუხვეჭა. ნიშანდობლივია ნ.-ის პოეზიის ფერწერულობა, ფრაზის ენერგიულობა,

ნათელი და ლაპიდარული პოეტური მეტყველება, მხატვრული კონკრეტულობა და მტკიცე კომპოზიცია. პატრ. პათოსით, ფილოსოფ. პრობლემების თავისებური, ორიგინალური გააზრებითა და პოლემიკური განწყობილებით გამოირჩევა მისი ლექსები „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „მგლური კანონის ბალადა“, „ბიჭები“, „შეის ძახვილი“, „სიტყვა თანამედროვეებს“, „ამორძალები“, „ხარი“ და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ნიშნობა — (ქსე) დანიშვნა, დაწინდვა, დაბელგვა, ვაჟის მიერ ქალის საცოლედ დაბევება. წესი იყო ვაჟის მიერ საცოლისათვის რაიმე ნივთიერი ნიშნის (წინდი, ნიშანი, ბელგა) მიტანა. მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ასევე ვაჟის ოჯახს, რომელიც ვალდებული იყო ადგილობრივი წესჩვეულების შესაბამისად ქალის ოჯახისა და საპატარძლოსათვის მიერთმია საჩუქრები და ძღვენი (პირველ რიგში სანიშნო ბეჭედი).

ნიცშე ფრიდრიხ — (ქსე) გერმანელი ფილოსოფოსი, ირაციონალისტი და ვოლუნტარისტი, პოეტი, ბაზელის უნ.-ტის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი. სულიერად დაავადდა და მოღვაწეობა შეწყვიტა. „კ. გამსახურდია გიმნაზიის წლებში ფრ. ნიცშემ გაიტაცა, რამაც იგი ჯერ გერმანული ენის შესწავლამდე და შემდეგ გერმანულ კულტურამდე მიიყვანა. სავსებით ყმაწვილს უთარგმნია მისი „ასე ამბობს ზარატუსტრას“ პირველი თავები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — ბოლოსიტყვა — ხ. ხიგ.).

ნიცშეანელობა — (ქსე) იმპერიალიზმის ეპოქაში რეალისტური, ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ქადაგებს უკიდურეს ინდივიდუალიზმს, „ზეკაცის“ კულტს. ფაშისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი წყარო (მე-19 ს. გერმანელი ფილოსოფოსის ფ. ნიცშეს სახელის მიხედვით).

ნისრი — (ქეგლ) სხვადასხვა საქონელზე დაწესებული ფასები, სხვადასხვა გადასახადის ნორმები. ტარიფი.

ნიჰილიზმი — (უსლ) 1. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა. 2. მე-19 ს. 60-იან წლებში რუსეთში: რაზნოჩინული ინტელიგენციის წრეში გაჩენილი მიმართულება, რომელიც უარყოფითად ეკიდებოდა თავადაზნაურული წოდების ტრადიციებს.

ნობელის პრემია — (ქსე) ყოველწლიური საერთაშორისო პრემია. სახელი ეწოდა მისი დამაარსებლის, შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ა. ბ. ნობელის პატივსაცემად. ნობელის ანდერძის მიხედვით მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ კაპიტალს უნდა შეედგინა ნობელის პრემიის ფონდი. პრემია ენიჭებოდა რასის, ეროვნების, სქესის და სარწმუნოების განურჩევლად კანდიდატებს ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის. ნ. პ. შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზედაც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი თან-

ხის ჩექისაგან. თანხის ოდენობა განისაზღვრება ნ. პ. ფონდის შემოსავლით (როგორც წესი 30-70 ათასი ამერიკული დოლარი). ანდერძის შესაბამისად ნ. პ. მინიჭების უფლება აქვს სტოკჰოლმის სამეფო მეცნიერებათა აკადემიას (ფიზიკისა და ქიმიის დარგში), კაროლინის სამეფო სამედიცინო-ქირურგიულ ინსტიტუტს სტოკჰოლმში (ფიზიოლოგიასა და მედიცინაში) და შვეციის აკადემიას სტოკჰოლმში (ლიტერატურის დარგში). ნორვეგიაში ნ. პ.-ს ანიჭებს (მშვიდობის განმტკიცებისათვის) ნორვეგიის პარლამენტის მიერ დანიშნული ნობელის კომიტეტი. ნ. პ.-ს ანიჭებენ ცალკეულ პირებს და მხოლოდ ერთხელ (თუმცა არის გამონაკლისიც, მაგ. მ. სკლოდოვსკაია-კიურიმ მიიღო ორჯერ 1903 და 1911 წ. წ.). ნ. პ.-ის გაცემის საზეიმო ცერემონიალი იმართება სტოკჰოლმში და ოსლოში ყოველი წლის 10 დეკემბერს – ა. ნობელის გარდაცვალების დღეს, რომელიც ნობელის დღედაა გამოცხადებული. ნ. პ.-ის მინიჭება დაიწყო 1001 წ-დან ნ. პ. მიენიჭა: (ფიზიკისა და ქიმიის დარგში). ვ. რენტგენს, მ. პლანკს, ა. აინშტაინს, ნ. ბორს, ე. რეზერფორდს, ე. ფერმის, ი. პავლოვს, რ. კოხს, ი. მეჩნიკოვს, ა. ფლემინგს; რ. თაგორს, რ. როლანს, ა. ფრანსს, ბ. შოუს, თ. მანს, ჯ. გოლზუორის, ე. ჰემინგუეის, ა. კამიუს და სხვა (ლიტერატურის დარგში); ფ. ნანსენს, მ. კინგს (მშვიდობისათვის).

ნოე – (ქსე) ბიბლიური ტრადიციის მიხედვით ადამის მეათე შთამომავალი, კაცი მართალი და უცოდველი, კაცთა მოდგმის მხსნელი, მსოფლიო წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი. როდესაც ადამიანები ღვთის რწმენას განუდგნენ, ღმერთმა დასასჯელად საშინელი წარღვნა მოუვლინა კაცობრიობას. ნოეს ისტორია მოთხრობილია ბიბლიაში – ღვთის შთაგონებით ნოეს აუგია კიდობანი, რომელშიც ჩაუსვამს ცოლი, შვილები (სემი, ქამი, იაფეტი) „და ყოველი წმინდა პირუტყვისაგან შვიდ-შვიდი მამალი და დედალი, უწმინდური პირუტყვისაგან ორ-ორი“(დაბ. 7. 2) ღმერთმა შთააგონა აგრეთვე ნოეს: „ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამიანი“ (დაბად. 9.6). თანახმად ბიბლიური ლეგენდისა ნოეს კიდობანი წარღვნის შემდეგ ჩერდება არარატის მთასთან.

ნოემბერი – (ქსე) ტირისკონი, გიორგობისთვე, აგრეთვე ქინკობისთვე.

ნოვალისი ფრიდრიხ (ფრიდრიხ ლეოპოლდ ფრაიჰერ ფონ ჰარდენბერგი) 1772-1601 – დიდი გერმანელი რომანისტი, პოეტი და პროზაიკოსი, მარადიული ღამის ჯადოსნური ქვეყნის მომღერალი, რომანტიზმის წინასწარმეტყველი. ადრეული რომანტიზმის რეაქციული ფრთის წარმომადგენელი („ჰიმნები ღამეს“, „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი“). 29 წლისა ჭლექით დაიღუპა, სატრფოს უდროოდ დაღუპვით დაღდასმული.

ნოვატორი – (ქეგლ) სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში. „ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას ახასიათებს დიდი ნოვატორული თვისებები“ (შ. რადიანი – XLX ს. ქართ. ლიტ-რა).

ნოველა – ნოველა იტალიური სიტყვაა და ქართულად ახალს ნიშნავს. მცირე ფორმის პროზაულ თხზულებას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, მხოლოდ ერთ მომენტს ასახავს და გამოირჩევა მოულოდნელი ფინალით. ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“.

ნონეშვილი იოსებ (1918-1980) – (ქსე) ქართველი პოეტი, რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1981 წ. – სიკვდილის შემდეგ). დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ.-ტი. იყო სხვადასხვა გამომცემლობათა რედაქტორი („ნიანგი“, „დილა“, „ლიტერატურული საქართველო“), მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

ნ.-ის პოეზია ორგანულადაა დაკავშირებული ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებთან. იგი მოიცავს სატრფიალო და სამოქალაქო მოტივებს, გამოირჩევა განცდათა სიმდიდრე-სინატიფით და მგზნებარებით. მისი ლექსისათვის დამახასიათებელია პოეტური ემოციურობა, ექსპრესიულობა, მხატვრულ სახეთა სისადავე და ეფექტურობა. შემოქმედების დასაწყისში სჭარბობდა სატრფიალო ლირიკა: „საუბარი ნაძვებთან“, „ფრთხილად იყავ“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „რას მიყურებ“. 40-იანი წლებიდან მისი პოეზია იმსჭვალება სამშობლოს სიყვარულის თემატიკით. ისტორიული წარსული, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის თემა მისი პოეზიის მთავარი თემაა: „ქართვლის დიდება დავიცვათ“, „სატევარი“, „ჩუქურთმის მჭრელის ეპიტაფია“, „შემოდგომა თბილისში“, „ელადის ყვავილები“, პოეტური ციკლები სომხეთსა და ყაზახეთზე; პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“. ნ.-ის ბევრი ლექსი სიმღერად გავრცელდა. პოეტის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ნოსტალგია [ბერძ.] – (ქსე) „სამშობლოს სევდა“, სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო (ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „გული“). „ახალი დროის შეყვარებულმა ქალ-ვაჟებმა თამარისა და თარაშის სახელები ოცნებისა და იდუმალების სამოსელში გახვიეს, როგორც ნოსტალგია დაკარგულზე, როგორც მონატრება“ (ქ. ს. მ. ა. – ს. სიგ).

ნოქარი – (ქეგლ) დაქირავებული გამყიდველი სავაჭროში, მაღაზიაში. მსახური. „რუსეთის ხელმწიფემ აქ იმისთვის კი არ გამოგზავნა ჯარი, რომ ნოქრად დაგდგომოდით“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

ნუგზარ არაგვის ერისთავი – (ქსე) არაგვის ერისთავი XVII ს. I მეოთხედში. მისი ასული რუსუდანი ცოლად ჰყავდა გ. სააკაძეს. 1603 წ. აუჯანყდა კახეთის მეფეს და ქართლის მეფის გიორგი X-ის ქვეშევრდომი გახდა. 1612 წ. გ. სააკაძესთან ერთად ირანში გაიქცა, მაგრამ მალე შაჰის ნებართვით სამშობლოში დაბრუნდა. იგი მკაცრი მეთოდებით ცდილობდა ბატონყმურ ურთიერთობათა დანერგვას მთაში (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“).

ნუში — (ქსე) მცენარეთა გვარივარდისებრთა ოჯახისა. ნუშის მწიფე თესლი (ნუშის გული) შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს და შეფერილობით თეთრია (რძის ფერი). „შორენას ნუშის გულივით თეთრი ხელები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნუცუბიძე შალვა (1888-1969) — (ქსე) ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი, საქართველოს მეცნ. აკად. აკადემიკოსი. თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი, იყო მისი პრორექტორი, უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტ. ისტორიის კათედრის გამგე. ხელმძღვანელობდა საქ. განათლების კომისარიატთან არსებულ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზ.-ბას. თსუ-ში ნ.-ის მიერ 20-იან წლებში დაარსებული სემინარები იქცა ფილოსოფიური აზროვნების კერად, სადაც აღიზარდნენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები: მ. გოგიბერიძე, კ. მეგრელიძე, ს. წერეთელი, კ. ბაქრაძე, ა. ბოჭორიშვილი. 1906 წ. იგი სწავლობდა პეტერბურგის უნ-ის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ზე ფილოსოფიის განხრით. ნ. გააშუქა „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ახლებურად გადაწყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი. განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. ნ.-ის აზრით „ვეფხისტყაოსანი" ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. ნ.-სის დასაბუთებით „ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული. ცნობილია, ნ.-ის გამოკვლევა ბერძნული „ბალავარიანის" ქართული წარმოშობის შესახებ.

ნუზლი — (ქეგლ) საგზალი, სურსათი. „ზაალის ბრძანებით ოძელაშვილი ხაკალმახიდ მოსულ ბერს გაჰყვა და ყოველგვარი ნუზლი ურმით ჩაუტანა გარეჯის უდაბნოში" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ნუმიზმატიკა — (ქსე) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველ მონეტებსა და მედლებს. „მოხუცი ამჟამად ნუმიზმატიკით ყოფილა თურმე გატაცებული" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ნუნა — (საბა) „ფრჩხილთ გარემო ტყავი". „ფრჩხილთა გიყვარეს ლერწამი, ნუნები აგატკივესო" („მოთქმა ხმითა თავებოლო ერთი" — დ. გურამ.).

ნუნუა — (ქეგლ) ღვინო. „თითონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვეთ დაანება" (ალ. ჭავჭ.).

ნუსხური — (ქეგლ) ძვ. ქართული დამწერლობა, რომელიც გავრცელებული იყო IX-XI ს. ს. წარმოადგენს ასომთავრულის (მრგვლოვანის) შემდგომ განვითარებას; XI-XII ს. ს. მისგან განვითარდა თანამედროვე დამწერლობა — ე. წ. მხედრული.

ნუღლი — (ქეგლ) დაშაქრული ნუშის გული. „ხათარეშოდ გახულ რაზმელებს მრავლად მოჰქონდათ ყინვა-შაქარი და ნუღლი" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲝᲐᲖᲘᲡᲘ [ბერძ.] — (ძველ) ადგილი უდაბნოში, სადაც წყალი მოიპოვება და მცენარეულობა ხარობს. „როცა ეგვიპტიდან გამოვიქეცი, ვეფხი შემეფეთა ოაზისებში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲝᲑᲐ — (ძველ) (ძვ.) დღეობა. ვისიმე სახელის, ან დაბადების დღე. „დღეს ობაა... ო, ღმერთმანი".. („ხელთათმნის დიდი" — ი. გრიშ.). (ბარბარობა, ნინოწმინდობა, ილიაობა და სხვა)

ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲘ [ბერძ] — (ძველ) ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ზევით კენ თანდათანობით გაწვრილებულ სვეტს.

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ, ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ — (ძველ) 1. ჩვენს გარეშე და ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სამყარო, მატერიალური სინამდვილე; 2. მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისამე მოქმედება, ყურადღება. 3. საწარმო, დაწესებულება, მშენებლობა, როგორც რაიმე მნიშვნელობის ერთეული./4. მიუკერძოებელი.

ᲝᲑᲘᲕᲐᲢᲔᲚᲘ [რუს.] — (ძველ) ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას და ცხოვრობს მხოლოდ წვრილმანი პირადი ინტერესებით (ლუარსაბ თათქარიძეზე ითქმის) — (უსლ) აქვს მეშჩანური შეხედულებები. „ტალახიანი ჰაერი, ქარბიანი, მგმობი ნათელის / ტირის თვალები ობივატელის" („ჯონ რიდი" — გ. ტაბ.)

ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ [ლათ.] (უსლ) შენობა, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი ასტრონომიული ან გეოფიზიკური დაკვირვებისათვის; სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ასეთ დაკვირვებებს აწარმოებს. „თბილისში მოაწყო ფარსმანმა პირველი ობსერვატორია" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.)

ᲝᲓᲐ — (ძველ) სახოტბო ლექსი, რომელშიც შექებულია რომელიმე ისტორიული ამბავი. ძვ. საბერძნეთში საზეიმო ლირიკული ლექსი, რომელსაც ასრულებდა გუნდი.

ᲝᲓᲔᲜ — (ძველ) მარტო, მხოლოდ. „მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი" (ნ. ბარათ.).

ᲝᲓᲘᲡᲔᲐ — (უსლ) 1. ძვ. ბერძნული ეპიკური პოემა, რომელსაც ჰომეროსს მიაწერენ (დაახლ. IX ს. ძვ. წელთაღ.). მასში მოთხრობილია ტროას ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში მომავალი ოდისევსის თავგადასავალი; 2. (გადატ.) იტყვიან თავგადასავლებით, შემთხვევებით აღსავსე ხანგრძლივ ხეტიალზე.

ᲝᲓᲘᲡᲔᲕᲡᲘ — (უსლ) ძვ. ბერძნული ეპოსის „ილიადასა" და „ოდისეას" გმირი, კუნძულ ითაკის მეფე.

ᲝᲓᲘᲨᲘ, ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘ, ᲝᲓᲘᲨᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) მეგრელი.

ᲝᲕᲐᲪᲘᲐ — (უსლ) მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

ᲝᲗᲣᲠᲛᲐ — (ძველ) ართურმა — საბავშვო თამაშობა ერთგვარი, მიყოლებით წაკუზულ ამხანაგებზე რიგრ-

იგობით გადახტომა. „კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა...“ (ი. გრიშ.).

ოიდიპოსი — (ქსე) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში თებეს მეფე, თებეს მეფის ლაიოსისა და იოკასტეს ძე. მისნების წინასწარმეტყველებით ო.-ს უნდა მოეკლა საკუთარი მამა და დედა შეერთო ცოლად, რის გამოც ლაიოსმა დასაღუპავად გაწირა ახალშობილი შვილი და კითერონის უშვილო მეფეს პოლიბეს მიჰგვარა აღსაზრდელად. მოწიფულმა ო.-მა დელფოს ორაკულისაგან შეიტყო თავისი საზარელი მომავალი და მისნობის აღსრულების შიშით მიატოვა აღმზრდელნი, რომელთაც მშობლებად თვლიდა. გზად შემოაკვდა მამა ლაიოსი; თებეს მისადგომებთან სფინქსის გამოცანა ამოხსნა და ქალაქი, თურმე ურჩხულისაგან იხსნა. მადლიერმა თებელებმა მეფედ მიიღეს და ლაიოსის ქვრივი, საკუთარი დედა, შერთეს ცოლად, ვისგანაც შეეძინა ორი ქალი — ანტიგონე და ისმენე, და ორი ვაჟი — ეტეოკლე და პოლინიკე. მრავალი წლის შემდეგ, როცა ო.-მა შეიგნო მის მიერ ჩადენილი ცოდვა, მან დაითხარა თვალები და ქალაქი დატოვა. ერთგული ქალიშვილის, ანტიგონეს თანხლებით მივიდა კოლონს, სადაც მეფე თეზევსმა შეიფარა. იქვე გარდაიცვალა. ო.-ის მითი დამუშავებული აქვს სოფოკლეს თავის ორ ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“ და „ოიდიპოსი კოლონში“. აგრეთვე რომაელ ფილოსოფოსს სენეკას „ოიდიპოსი“. „ბედისწერის მიერ დევნილმა სიმბოლისტებმა სასოწარკვეთით გონსგადამცდარი ოიდიპოსის მსგავსად საკუთარი ხელებით დაითხარეს თვალები“ (გ. ასათ.).

ოკუპაცია [ლათ.] — (ქეგლ) სხვა ქვეყნების ტერიტორიის დროებითი დაკავება ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ.

ოლარი [ბერძ.} — (ქეგლ) მღვდლის სამოსის ნაწილი — ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი. „და თეთრ ოლარებს აელვარებს“ (გ. ტაბ.)..

ოლე — (ქეგლ) 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას; 2. ახოში სანიმუშოდ დატოვებული ხე (ან ბუჩქი). „შენ ლიახვის კლდეზე დგახარ, ძველი მოსასხამით, — ოლე, ოლე, მარტოხელა, დღისითა და ღამით“ („ოლე“ – გ. ლეონ.).

ოლთისი — ძვ. ქართული ქალაქი, ამჟამად თურქეთს ეკუთვნის. „დამარცხებულმა მეფემ გული აიცრუა ძელიცხოველზე, გზაში ოლთისი დასწვა და უკუიქცა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ოლიმპიელი — (ქსე) ბერძ. მითოლოგიაში: ოლიმპის მთაზე მცხოვრები ღმერთი. (გადატ.) დარბაისელი, მშვიდი, დინჯი ადამიანი. „გალაკტიონის ლექსების სიმაღლე ოლიმპიურ სიმშვიდეს აღარ გულისხმობს, იგი დრითა ქარიშხლიანი სუნთქვითაა გარემოცული“ (გ. ასათ.).

ოლიმპი, ოლიმპო — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების კრებული [საბერძნეთის იმ მთის სახელწოდებიდან, რომელიც მითოლოგიის მიხედვით ღმერთების სამყოფელი იყო.}.

ოლიმპიური — (უსლ) რაც გამოირჩევა სიდიადით, დიდი აღუშფოთველობით — ოლიმპიური სიმშვიდე.

ომარ ხაიამი, ღიას ალ-დინაბულ-ფათჰ იბნ იბრაჰიმ ნიშაბური (დაახლ.1048-1122) — (ქსე) სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი. ო. ხ.-ს ეკუთვნის არაბულ ენაზე მეცნიერული, სხვადასხვა დარგში დაწერილი მრავალი ტრაქტატი. მათემატიკის ისტორიკოსთა რწმუნებით ევროპის მათემატიკური აზროვნება 6 საუკუნეს მოიგებდა, დროზე რომ გასცნობოდა ო. ხ.-ის ალგებრულ ტრაქტატებს. ასტრონომიულ სფეროში ო. ხ.-ის სახელთან არის დაკავშირებული მსოფლიოში უზუსტესი კალენდარული სისტემის შემუშავება, რომლის განხორციელება ვერ მოხერხდა ძირითადი დამკვეთის მალიქ-შაჰის გარდაცვალების გამო. ფილოსოფიაში ო. ხ. გვევლინება არისტოტელესა და იბნ სინას იდეების გამაგრძელებლად და განმავითარებლად.

ომნიბუსი — (ქსე) მგზავრების გადასაყვანი ცხენებშებმული მრავალადგილიანი ეკიპაჟი. პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. პირველად პარიზში გაჩნდა. XIX ს. 20-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა დას. ევროპის ქვეყნებში („ომნიბუსით" — გ. ტაბ.).

ომფორი — (ქ. მწ.) სამღვდელმთავრო წამოსასხამი. „ელავდა ოქრომკერდი კათალიკოსის ომფორზე" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ოპერა [ბერძ.]— (ქეგლ) თეატრში შესრულებული მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი პირნი მღერიან ორკესტრის თანხლებით. მაგ., ოპერა „დაისი", „აბესალომ და ეთერი".

ოპიზა — (ქსე) VIII საუკუნის ძეგლი, მონასტერი, ძვ. ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა სამხ. საქართველოში, ისტ. კლარჯეთში (ახლა თურქეთის ფარგლებშია). ო.-ში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი, ილარიონ ოპიზარი, ოქრომჭედლები — ბექა და ბეშქენ ოპიზრები. იგი უძველესი მონასტერთაგანია, სადაც იყო გამოსახული აშოტ კურაპალატის პორტრეტი.

ოპოზიცია [ლათ.] — (უსლ) 1. ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება; თავისი შეხედულების ან პოლიტიკისათვის; 2. რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციის და მისთ. შიგნით არსებული ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას.

ოპონენტი [ლათ.] — (უსლ) პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების, რისიმე დასაბუთების წინააღმდეგ. ოფიციალური ოპონენტი — პირი, რომელიც წინასწარ არის დანიშნული დისერტაციის დაცვაზე, სამეცნიერო დისპუტზე გამოსასვლელად.

ოპტიმიზმი [ფრ.] — (ქეგლ) ყველაფერში კარგის, ნათელი მხარეების

დანახვა; მხნე განწყობილება, მომავლის რწმენა (პესიმიზმის საპირისპირო).

ᲝᲠᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) სამყოფელო, ქაჯ-ანეზა. „ადამიანის ორანი რომ იყრძნო ნად-ირმა — მხარმარჯვნით გაუხვია" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ [ლათ.] —(ქეგლ) ვინც საჯაროდ სიტყვას წარმოთქვამს, ვისაც საჯაროდ სიტყვის თქმა ემარჯვება. მჭევრმეტყველი, ენამჭევრი (იხ. მჭევრმეტყველი).

ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული (1800-1870) — (ქსე) დავით ორბელიანის მეუღლე. 1831 წ. გაზაფხულზე .შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის წევრი გახდა. მისი ბინა შერჩეული იყო წევრების ადგილად, სადაც უნდა დაეხოცათ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი. შეთქმულების გაცემის შემდეგ დაუწესეს მკაცრი კონტროლი. ო.-ს სახელგანთქმული სალონი ჰქონდა, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები: ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, დ. ყიფიანი და სხვა. სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ თბილისში ჩამოსული უცხოელები. ო.-მა მონაწილეობა მიიღო ჟურნალ „ცისკრის" დაარსებასა და მუდმივი ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებაში. „დიდი სახელი მოიხვეჭა 30-40-იან წლებში მანანა ორბელიანის სალონმა. მანანა ორბელიანის სალონში გადაწყდა ქართული თეატრისა და ჟურნალ „ცისკრის" დაარსების საკითხი" (სახკ. სახლი).

ᲝᲠᲑᲘ — (ქსე) ფრინველთა გვარი შავარდნისებრთა რიგისა. ბუდობს კლდეებზე, ხევებსა ან ბორცვებზე. ვერტიკალურად აღწევს 3400 მ. ძვ. ქართულში არწივია. „ორბი რო ბუდობს, ჩანჩქერი გადმოჰქუხს ბროლისწყლიანი" („სამშობლო ხევსურისა" — რაჟ. ერისთ.).

ᲝᲠᲒᲐᲜᲘ [ბერძ.] — (ქეგლ) კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი; აქვს მილების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერველით იჭირხნება. იგივეა რაც ორღანი.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ — (უსლ) პირი, რომელიც რისამე ორგანიზაციას ახდენს, ვინც რისამე ინიციატორია. პირი რომელსაც ორგანიზატორული მუშაობის უნარი აქვს. „გრიგოლი ხანძთელი იყო ორგანიზატორი სამონასტრო მშენებლობისა."

ᲝᲠᲒᲘᲐ [ბერძ.] — (უსლ) 1. თავაშვებული, წრეგადასული დროსტარება, ქეიფი. 2. ძვ. საბერძნეთსა და რომში ღვინისა და მხიარულების ღმერთის — დიონისეს (ბახუსის) დღესასწაული.

ᲝᲠᲓᲔᲜᲘ [ლათ.] — (უსლ) 1. სხვადასხვა ხარისხისა და სახელწოდების ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოებს სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისათვის. 2. კათოლიკე ბერების საზოგადოება, რომელსაც გარკვეული წესდება აქვს. მაგ., იეზუიტთა ორდენი. 3. შუა საუკუნეებში კათოლიკე რაინდთა საზოგადოება ნახევრად სასულიერო ხასიათისა. 4. ზოგიერთი საიდუმლო საზოგადოების სახელწოდება. მაგ., მასონთა ორდენი.

ორთაყვირი — (ქეგლ) ტივის ხოჯი წყალში მოსასმელად. „სიმონა ტყეში ორთაყვირებს სთლიდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ორთითი — (ქეგლ) ორკაპიანი ფიწალი, იხმარება თივის, ბზის, ძნის ასაღებად.

ორთოგრაფია {ბერძ.} — (უსლ) ამა თუ იმ ენის სიტყვათა წერის წესების საყოველთაოდ მიღებული სისტემა; მართლწერა.

ორთოდოქსი, ორთოდოქსული [ბერძ.] — (უსლ) რაიმე მოძღვრების, შეხედულების განუხრელად მიმდევარი, თანამიმდევრული. — „როგორც ცამეტმა ასირიელმა მამამ საქართველოში დასთესეს ორთოდოქსი ქრისტიანობა, ისე ცისფერყანწელებმა ნამდვილი პოეზია" — წერდა ტ. ტაბიძე. „ქართულ ორთოდოქსალურ ეკლესიას საბა თითქოს შეურიგენებია კათოლიკობაში გადასვლისა და კათოლიკე პატრების მოყვანის გამო" (სასკ. გამოცემა).

ორთომელი — (საბა) დიდი სასმისი, ორშომელი. დიდი სირჩა, ორდოქიანი.

ორთოეპია — (უსლ) სისტემა წესებისა, რომელიც განსაზღვრავს სწორ, ლიტერატურულ წარმოთქმას; მართლმეტყველება.

ორიგინალი, ორიგინალური [ლათ] — (უსლ) დედანი. 1. დამოუკიდებელი ქმედების შედეგად შექმნილი; არანათარგმნი, არანასესხები, არამიბაძვითი, თავდაპირველი ავტორისეული ნაწარმოები; 2. რაც ან ვინც სხვას არ ჰგავს: თვითმყოფი; 3. თავისებური, არაჩვეულებრივი. „შუშანიკის წამება" ქართული ორიგინალური მწერლობის უძველესი ძეგლია" (სასკ. გამოცემა).

ორიენტალისტი, ორიენტალისტიკა [ლათ.] — (უსლ) იმ მეცნიერებათა ერთობლიობა, რომლებიც სწავლობენ აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას, ეკონომიკას, ენებს, ლიტერატურას, ხელოვნებას და სხვ., აღმოსავლეთმცოდნეობა.

ორიენტაცია [ფრ.]— (ქეგლ) 1. სივრცეში ადგილმდებარეობის გარკვევა. 2. გარემომცველ პირობებში, გარემოებებში გარკვევა. 3. მოქმედების წარმართვა გარკვეული მიმართულებით. სწორი პოლიტიკური ორიენტაცია. „ბედი ქართლისას" ძირითადი საკითხია საქართველოს ორიენტაციის გარკვევა" (სასკ. სახ-ლო).

ორლესული — (ქეგლ) 1. ორპირიანი, ორმხრივ გალესილი (მახვილი, ხანჯალი). 2. ორაზროვანი (სიტყვა)

ორმუზდი [ბერძ.]— (უსლ) ძვ. სპარსულ რელიგიაში: სინათლისა და სიკეთის ღვთაება. იხ. აჰურამაზდა.

ორნამენტი [ლათ.] — (უსლ) მხატვრული, გრაფიკული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების ან სტილიზებული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებათაგან, ჩუქურთმა.

ორიონი — (ქ. მწ.) თანავარსკვლავედი.

ოროველა — (ქეგლ) გუთნისდედის

და მეხრეების სიმღერა. „ამ წუთშიც ისევ მომესმის ჩვენი კალოს ხევდიანი ოროველა" (გ. ლეონ.).

ႭႰႭႪႨ (ჰოროლი) — (ქეგლ) შუბი ერთგვარი.

ႭႰႴႤႭႱႨ — (ქსე) მითიური ბერძენი პოეტი, მომღერალი და მუსიკოსი. მუზა კალიოპეს ძე და ნიმფა ევრიდიკეს ქმარი. ტრადიცია მას მიაწერს მუსიკალური ხელოვნების შექმნას და ხალხში დანერგვას.

მონაწილეობა მიუღია არგონავტების ლაშქრობაში. თავისი ღვთაებრივი სიმღერით ორფეოსი ხიბლავდა არა მარტო ადამიანებს და ცხოველებს, არამედ ქვებს, კლდეებს, მდინარეებს. ქართველი ორფეოსია ავთანდილი მთავარი გმირი. „კლდით ქვანიცა გამოსხდიან" („ვეფხისტყაოსანი" — შ, რუსთ.).

ႭႰႶႠႬႨ — (საბა) „საკრავია საბერველიანი". იხ. ორგანი.

ႭႰႶႭႡႤ — (ქეგლ) სოფლებში გზა, რომელსაც ორივე მხარეს ღობეები მიჰყვება.

ႭႰႸႨႫႭ — (ქეგლ) აყიროსაგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად. (იხ. აყირო) „ორშიმო რომ გამიტყდა, რითი ამევიღო ღვინო? — აწრიალდა ოტია" („ქამუშაძის გაჭირვება"— დ. კლდ.).

ႭႰႼႱႭႫႤႪႨ — (საბა) ნავი.

ႭႰႝႭႴႨ — (ქეგლ) მერყევი, ეჭვიანი, არამტკიცე ადამიანი.

ႭႰႾႭႥႨ, ႭႰႾႠႭ — (ქეგლ) ორიხრივ ხაოიანი (ნოხი, საყენი). „ორხოვით, ფარდაებითა და ნატებით მორთულ დარბაზში შეიყვანეს კათალიკოსი" („დიდოსტატის მარჯვენა" კ. გამს.).

ႭႱႠႬႠ — (ბიბლ.) აღტაცებული მისალმების გამომხატველი ებრაული სიტყვა, დაახლოებით „ვაშას" მსგავსი. „თავშიშველი მონები უკან მისდევდნენ მელქისედეკს და გალობდნენ ოსანას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ႭႱႨ — (ქსე) ჩრდ. და სამხ. ოსეთის ძირითადი მოსახლეობა. ლაპარაკობენ ოსურ ენაზე, რომელიც განეკუთვნება ინდოევრ. ენათა ოჯახის ირანულ ენათა აღმოსავ. ჯგუფს. ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძვ. წ. VIII-VII ს. ს. დაიწყო, როცა კავკასიაში გამოჩნდა სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები, რომლებიც შეერივნენ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას და მოახდინეს მათი ენობრივი ასიმილაცია. X-XIII ს.ს. შეიქმნა ოსეთის ძლიერი ფეოდალ. სახელმწიფო. XIII-XIV ს. ს. თათარ-მონღოლთა შემოსევის შედეგად ბარის მოსახლეობამ კავკასიონის ქედის ხეობებში გადაინაცვლა და ჩამოყალიბდა თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორის საზოგადოებები. იმავე ხანებში დაიწყო ოსების დამკვიდრება კავკასიონის სამხ. კალთებზე და გამოიყო ოსი ხალხის სამხ. შტო. ო. ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებას და ცალკეულ სათავადო სახლებს.

VI ს.-დან ოსეთში გავრცელდა ქრისტიანობა. XVII-XVIII ს. ოსეთის მცირე ნაწილმა მიიღო ისლამი. ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მეც-

ხოველეობაა. მისდევდნენ ნადირობას და მეფუტკრეობას (ალ. ყაზბეგი „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“).

ႭႱႫႠႪႭႡႠ – (ქსე) ქართული ისტორიული წყაროებიდან და ლიტ-ში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის აღმნიშვნელი ტერმინი. სამცხ-საათაბაგოში. ოსმალებმა XVI ს.-დან ახალციხის საფაშო დააარსეს. აღწერეს სამცხე-საათაბაგო და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. დამპყრობლები ძალდატანებით ავრცელებდნენ ისლამს, სდევნიდნენ ყოველივე ქართულს. ქართველი ხალხის მედგარი ბრძოლა გაოსმალების პროცესის წინააღმდეგ საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა.

ႭႱႫႠႬႤႡႨ, ႭႱႫႠႪႤႡႨ – (ქსე) ოსმალეთის სულთნების დინასტია. დააარსა ოსმან I ბაზიმ.

ႭႱႮႨႱ ႢႡႭႪႥႨႪႨ – დაბალი, ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე (რუს. чиВица). (საბა) წვნიანი შეჭამანდი (ცერცვის, ბრინჯის, მხლის) „მელქისედეკი ოსპის გბოლვილს შეექცეოდა ხის კოვზით“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ႭႲႠ – (ქ. მწ.) (ძვ.) მტვერი, ნაცარი. „ისხმოდეს მისთვის ოტასა“ შეწუხების ნიშნად თავზე ნაცარს იყრიდნენ.

ႭႲႤႡႠ – გადახვეწა, გაქცევა (საბა) „მადევრები იმ ხევში შემოაბრუნებენ ოტებულ ნადირს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ႭႲႠႰႨႣႨ – (ქსე) მერკური (პლანეტა).

ႭႴႭႰႲႨ – (უსლ) ლითონზე შესრულებული გრავიურა ამოჭრის გზით არის მიღებული; ასეთი გრავიურის ანაბეჭდი. („ოფორტი“ – გ. ტაბ.).

ႭႵႰႭႫႩႤႣႨ – (ქსე) აბრეშუმის ან ბამბის ძაფთან შეგრეხილი ოქროს ან ვერცხლის ძაფი, რომელსაც ძვირფასი ქსოვილებისა და სამოსელის საქარგავად იყენებდნენ.

ႭႵႰႭႱ ႱႠႼႫႨႱႨ – (ქსე) ბერძნ. მითოლოგიაში ტყავი (ბეწვი) ვერძისა, რომელმაც ორქომენოსის (ელადა) მეფის – ათამასის ქალ-ვაჟი ჰელე და ფრიქსე განარიდა ავ დედინაცვალს და აიის ქვეყანაში ანუ კოლხეთში გადახვეწა. მეფე აიეტმა შეიფრდომა ფრიქსე (მისი და ჰელე გზაში დაიღუპა, ჩავარდა ჰელეს პონტის სრუტეში), ვერძი მსხვერპლად შესწირა ზევსს, „დევნილთა მფარველს“, ხოლო მისი ოქროსბეწვიანი ტყავი ე. წ. ოქროს საწმისი არესის ჭალაში ჩამოჰკიდა და დარაჯად მარად ფხიზელი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული მიუჩინა. თ. ს. ელადაში დააბრუნეს არგონავტებმა, რომელნიც ამ მიზნით გაგზავნა კოლხეთში იოლკოსის მეფემ – პელიამ. იხ. არგონავტები.

ႭႵႰႭႺႳႰႥႨႪႨ – (ქ. მწ.) მოვერცხლილი ან მოოქროვილი.

ႭႵႱႨႬႭ – (ქეგლ) ოქროს ქსოვილი, ხავერდი, მისი ფარდაგი. ფარჩა. „გირშელს ოქსინოს ჯუბანი ეცვა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ႭႵႲႭႫႡႰႨႱ ႱႭႺႨႠႪႨႱႲႳႰႨ ႰႤႥႭႪႳႺႨႠ – (ქსე) რევოლუცია, რომელიც 1917 წ. 25 ოქტომბერს (ახ. სტ.

7 ნოემბერი) მოახდინა რუსეთის პროლეტარიატმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. „ეს მოხდა სოხუმში, 1910 წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა“ („პაკი აბბა“— ლ. ქიაჩ.).

ოყა — (ქეგლ) ძველებური წონის ერთეული, უდრის 3 გირვანქას ანუ დაახლოებით 1200 გრამს.

ოყრაყი — (ქეგლ) დიდი, უშნო ტანის, ტლანქი კაცი. აყლაყუდა — მეეტლის ოყრაყული შესახედაობა („მგზავრის წერილები“).

ოჩანი — (ქეგლ) ურჩი, ზარმაცი, ჯიუტი (მუშა, პირუტყვი).

ოჩოკოჩი — (ქეგლ) ძველი ქართ. ხალხური თქმულების მიხედვით მავნე არსება, ტყის კაცი.

ოჩოპინტრე — (საბა) ცრუ მონადირენი, ნადირთ წინამძღვრად იტყვიან. „მოხუცმა ჯიხვებს შურით გააყოლა თვალი და კიდევ ერთხელ შეეხვეწა ნადირობის ღმერთს ოჩოპინტრეს ჯიხვის თავი“ („მოხუცი მონადირე“ — გ. რჩეულ.). (გადატ.) რეგვენი, ხეპრე, გაუთლელი. „ვიღაც ოჩოპინტრე გლეხი წამომდგარა, მთელი თვეობით პირდაუბანელი“ („ბიუროკრატის ჩივილი“ — ვაჟა).

ოჩოფეხა — (ქსე) ჭაობიან ადგილებში გასასვლელი მოწყობილობა. შედგებოდა წყვილი კაუჭიანი ჯოხისაგან, რაზედაც შემდგარი კაცი გადიოდა გუბეებსა და ტალახში. ო.-ს მსოფლიოს მრავალი ხალხი იყენებდა. გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა ო.-ს საქართველოში იყენებდნენ ხალხური დღესასწაულებისა და კარნავალების დროს. „ყეენობაშიც“ იხმარებოდა. ო. ხისაგან ქოშებსაც ერქვა. „პირდაპირ იდგა ოჩოფეხებზე შემდგარი ქოხი“ („ყაყიტას ჭური“ — ხ. მგალ.).

ოჩხი — (ქეგლ) ქვებით შემოზღუდული ორმო მდინარეში. თევზის დასაჭერი წნული, ფაცერი, „ოჩხის ამოღება“ — ფაცერით თევზის ამოღება, დაჭერა. „გიორგელი იგონებდა თავის სიყრმეს, ყერძების ბრძოლას, ბერიკაობასა და ქონას, ოჩხის ამოღებას („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ოწინარი — (ქეგლ) ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა — მაღალი ბოძი, რომლის თავშიც გაყრილია მოძრავი ასაწევ-დასაწევი ძელი.

ოძელაშვილი არსენა — (ქსე) არსენა მარაბდელი. ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხი. თავად ზაალ ბარათაშვილთან კონფლიქტის გამო ტყეში გაიქრა. იგი ვერ ურიგდებოდა გლეხობის ჩაგვრას, ყმებით ვაჭრობას, ყმების გაჩუქებას, მზითევად გატანებას და სხვ. ებრძოდა კოლონიური პოლიტიკის გამტარებელ ჩინოვნიკებს, ჩარჩვაჭრებს. ო. ძალიან პოპულარული იყო საქართველოს და მის მოსაზღვრე მხარეში. ხელისუფლებამ მის შესაპყრობად რაზმი გაგზავნა, შემდეგ ფარსადან ბოდბისხეველის ღალატით შეიპყრეს, მაგრამ მალე ტყვეობას თავი დააღწია. ო.-ის ანტიფეოდალური პროტესტი გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა. პოლიცია სასტიკად დევნიდა. ერთხელ მცხეთის მახლო-

ბლად მარტო მიმავალი რუსი ჯარის ნაწილებს წააწყდა და მოკლეს. ხალხური გადმოცემის მიხედვით ო.-ის მკვლელი არის გიორგი კუჭატნელი. ო.-ის სახელი ხალხმა უკვდავყო. მისსავე სიცოცხლეში შეიქმნა ხალხური „არსენას ლექსი". სახალხო მგოსნები და მომღერლები მის სადიდებელ ლექსებსა და სიმღერებს საჯაროდ ასრულებდნენ. ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ლეონიძე, მ. ქიაურელი) უკვდავყო თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი.

ᲝᲮᲠᲐᲜᲙᲐ [ბერძ.] — (უსლ) მეფის რუსეთში საიდუმლო პოლიციის ორგანო, ფართოდ იყენებდა პროვოკაციულ მეთოდებს რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲝᲮᲭᲐᲜᲘ — (საბა) 1. ბოლოს ეწოდების სომხურებრ (დასასრული, ბოლოს მოღება), რომელი ქართულადაც გვარისაებრ ენისა სომხურსათა დაუცთ. (სულხან საბას ლექსიკონში ბოლოში დართული უცხო სიტყვების მიხედვით თურქულია — „ახირზამანი", რაც ქართულად ქვეყნის დასასრულს უნდა ნიშნავდეს). ბნელი დასასრული, ბოლო. „ქარაფებიდან იღვრებოდა წყალი, ჰქუხდნენ მშვენიერი ჩქერალები ფხოვის მთებისა, მაგრამ ოხჭანი იდგა მთებში" („დიდოსტატის მარჯვენა" - კ. გამს.).

Პ

ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ — (ქეგლ) წინასწარშეთანხმებული შეხვედრა სატრფოებისა. — (ქ. მწ.) პირობა, შეთანხმება. „ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა" (გ. ლეონ.). „შეყრის პაემნად 9 ოქტომბერი დასთქვეს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲞᲐᲓᲠᲔ — (უსლ) კათოლიკებში მღვდელი.

ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ [ბერძ.] — (ქეგლ) პათოსით აღსავსე, ამაღელვებელი, მგზნებარე. პ. სიტყვა, პ. ტონი. „თეიმურაზის სატრფიალო პათეტიკა ხელოვნურია, მწიგნობრულად მშრალი, რიტორიკული" (სახკ. ხახ-ლო).

ᲞᲐᲗᲝᲡᲘ — (ქეგლ) აღფრთოვანება, აღმაფრენა, აღგზნება, მგზნებარება. „შუშანიკის წამება" მაღალიდეური და მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებია" (სახკ. ხახ-ლო).

ᲞᲐᲚᲐᲜᲘ — (საბა) აქლემის კურტანი (იხ. საპალნე).

ᲞᲐᲚᲐᲢᲘ — (ქ. მწ.) დარბაზი, სასახლე. „აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი" (ალ. ჭავჭ.). „აკურთხა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და ყოველი ეზო და პალატი" („შუშანიკის წამება"— ი. ცურტ.). „ნინოწმინდა... პალატები მეფეთა" („ნინოწმინდის ღამე" — გ. ლეონ.).

ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ [ბერძ.] – (ქეგლ) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველი ხელნაწერების გარეგნულ მხარეს (ასოთა მოხაზულობას, საწერ მასალას), დამწერლობათმცოდნეობა.

ᲞᲐᲚᲔᲙᲐᲢᲘ, ᲞᲐᲚᲐᲙᲐᲠᲢᲘ – (საბა) მონაზონთ სამოსელი, ფართო და ნაოჭებიანი, წმინდის ბასილის მოგონილი. ძვირფასი წამოსასხამი. „შუშანიკს ანტიოქიის მღვდელმთავარმა გამოუგზავნა პალეკატი" („შუშანიკის წამება"– ი. ცურტ.).

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐ – (ქსე) ისტორიული ოლქი დას. (წინა) აზიაში. ძვ. წ. III ათასწლ. აქ ჩამოსახლდნენ ქანაანელთა ტომები. სახელი „პალესტინა" მოდის ძვ. ებრ.-ფილისტიმელებიდან, რომლებმაც პ.-ს სანაპირო ზოლი დაიპყრეს ძვ. წ. XII ს. პ.-ის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში შეიქმნა ისრაელ-იუდეველთა სამეფო, რომელიც ძვ. წ. 020 წ. ორ სამეფოდ გაიყო — ისრაელის სამეფოდ და იუდეველთა სამეფოდ. 1947 წ. 29 ნოემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით პ.-ის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო — არაბული და ებრაული.

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ – (ქსე) იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ იუდეის უდაბნოში 1952 წ. აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერები მიჩნეულია უძველესად დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის. შესრულებულია მოზაიკით იატაკზე. დაწერილობა ასომთავრულია წარწერა სამია, ამათგან ერთი მოღწეულია დაუზიანებლად, დანარჩენი 2 — ფრაგმენტების სახით. პირველი წარწერა თარიღდება VI ს.-ით, კერძოდ, 532-552 წ. წ. შორის, მეორე და მესამე წარწერა შესრულებულია გაცილებით ადრე: წარწერაში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციისა და პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით V ს. I ნახევრით ათარიღებენ, ე. ი. ეს წარწერა ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის სიონის ცნობილ წარწერას, პალესტინის ქართულ წარწერას ირკვევდნენ გ. თარხნიშვილი და გ. წერეთელი.

ᲞᲐᲚᲘᲛᲤᲡᲔᲡᲢᲘ – (ქსე) ხელნაწერი (ჩვეულებრივ ეტრატი), რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად. ეტრატი ძვირი ჯდებოდა, ამიტომ გამოუსადეგარ ტექსტს რეცხავდნენ, მაგრამ ნაწერი ისე იყო ტყავში ჩამჯდარი, რომ ძველი ტექსტის კვალი მაინც არ ქრებოდა და ქვედა ნაწერის ამოკითხვაც შესაძლებელი იყო. ჩვენამდე მოღწეული ქართული პ.-ების რაოდენობა 4500 ფურცელს აღწევს. პ.-ების აღმოჩენა და მათი ამოკითხვა ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ჩვენამდე მოაღწია V-VI ს. ს. წერილობითმა ძეგლებმა, რომელიც დღეს ცნობილია ხანმეტი პ.-ების სახელით. ქართული პ.-ები დაცულია საზღვარგარეთაც ოქსფორდის ბიბლიოთეკაში, კემბრიჯის უნ-ტის და ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ᲞᲐᲚᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ [ბერძ.]– (ქსე) სიტყვა, ფრაზა ან ლექსი, რომელიც

წაღმა და უკუღმა ერთნაირად იკითხება. მაგ.: „ატამი ითესა, ასეთი იმატა" (ხალხური). ძვ. ქართულში მას „წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი" და „შებრუნებული ლექსი" ერქვა. გვხვდება ე. წ. აღორძინების ხანის ქართველ პოეტებთან: ონანა მდივანი (ქობულაშვილი), ვახტანგ VI და სხვა. თანამედროვე ქართულ პოეზიაში პ.-ის 32 ნიმუშია. „აი რა არის მზის ხიზმარია, აირეეთ, ივერია... აი დროშა, აშორდია, აერებია ხიბერია" (გ. ტაბ.).

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ — (ქ. მწ.) ფერთა შეხამება.

ᲞᲐᲛᲞᲣᲚᲐ — (ქეგლ) — ვინც სხვის გასართობად მასხარაობს და იმანჭება — ტაკიმასხარა. „ის სალდათი დედაკაცი ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და მთელი საათი ახტუნავებდნენ პამპულასავით" („კაცია-ადამიანი?! — ი. ჭავჭ.).

ᲞᲐᲛᲤᲚᲔᲢᲘ — (ქსე) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირული თხზულება, ძირითადად პუბლიცისტური ხასიათისა, მიმართულია საზოგადოების გარკვეული წრის, ცალკეულ პირთა, ან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის წინააღმდეგ. ქართულ მწერლობაში პ.-ის ნიმუშია გ. ორბელიანის „პასუხი შვილთა", ილ. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი", „გამოცანები", „კიდევ გამოცანები", „აკაკის „ფარისეველი", „რუსეთუმე" და სხვა. „აკაკი წერეთელმა გრიგოლ ორბელიანის წინააღმდეგ ზედიზედ დაწერა მეტად მახვილი და გესლიანი პამფლეტები" (ხახკ. ხახ-ლო).

ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ — (ქსე) საეკლესიო მღვდელმსახურება, ლოცვა მიცვალებულთათვის, სრულდება მიცვალებულის დაკრძალვამდე და დაკრძალვის შემდეგ მე-0, მე-20, მე-40 დღეს, აგრეთვე დაბადებისა და გარდაცვალების დღეს, წლისთავზე, ანგელოზის დღეს. საეკლესიო პ.-ის პარალელურად გავრცელებულია სამოქალაქო პანაშვიდი სამგლოვიარო პროცესიებით, მიტინგით, საპატიო ყარაულით კუბოსთან.— წირვა-ლოცვა მიცვალებულთათვის. ხალხის თავმოყრა მიცვალებულის პატივსაცემად, მისი ხსოვნის აღსანიშნავად. „პანაშვიდის გათავების უმალ ერისთავებმა იწამეს კლარჯული ძელიცხოველის ნაწილი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲞᲐᲜᲐᲪᲔᲐ — (უსლ) უებარი საშუალება, „ყველაფრის განმკურნებელი" (ქალღმერთის სახელი). 1. თავდაპირველად ყველა სენის სარგო წამალი, რომელიც თითქოს ალქიმიკოსებს ჰქონდათ. 2. (გადატ.~) უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს.

ᲞᲐᲜᲓᲝᲠᲐ — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: მშვენიერი ქალი, რომელსაც ზევსმა მისცა ადამიანის ყველა უბედურებით სავსე ყუთი; ცნობისმოყვარეობის გამო მან ახადა ყუთს თავი და განთავისუფლებული უბედურებანი მოედვნენ ქვეყანას. აქედან: „პანდორას ყუთი" — ყოველგვარი უბედურების წყარო. „ვაჟას ერთი ტყავის ხავული ჰქონდა, რომელსაც „პანდორას ბოხჩას" ეძახდა. ამ სავულეში აგროვებდა გაგონილ-ნაწერილ ამბებსა, თუ დაუბეჭდავ ნაწარმოებებს" (ხახკ. ხახ-ლო).

პანთეონი [ბერძ.] — (ქსე) 1. ძვ. საბერძნეთსა და რომში ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი; 2. სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ; 3. რომელიმე პოლითეისტურ რელიგიაში ყველა ღმერთის ერთობლიობა.

საქართველოში 1920 წ. ალ. გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე თბილისში მთაწმინდაზე მამა დავითის ეკლესიის ეზო ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პ-ად. თბილისში გამოჩენილ მოღვაწეთა და მეცნიერთათვის კიდევ არის დიდუბისა და საბურთალოს პ.

პანთურქიზმი — (ქსე) ნაციონალშოვინისტური იდეოლოგია, რომლის თანახმად თურქულ ენებზე მოლაპარაკე ყველა ხალხი, პირველ რიგში თურქულენოვანი მუსლიმანები თითქოს ერთ ერს წარმოადგენენ და თურქეთის მეთაურობით უნდა გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოდ.

პანთეიზმი — (ქსე) ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს ღმერთის არსებობას და აიგივებს მას სამყაროსთან. პ-ის მიხედვით ღმერთი ბუნებაშია და ბუნება — ღმერთში. ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი საგნებში.

პანი — (ქსე) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყისა და ჭალების ღვთაება, მონადირეთა, მწყემსთა, მეთევზეთა მფარველი. მითების თანახმად მხიარული ღმერთი ნიმფებთან ცეკვავს, მღერის და სალამურს უკრავს, მაგრამ განმარტოებაც უყვარს, საშინელი სანახავია. ბანჯგვლიანსა და რქიანს ადამიანის სახე, თხის ჩლიქები, წვერი და კუდი აქვს, ხმა ზარდამცემი (აქედან მოდის გამოთქმა „პანიკური შიში"). „ახე გამოდიოდა: პანის ხალამური და გუგულის ხმა უხმობდნენ გაზაფხულს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

პანიკა — (ქეგლ) თავზარდაცემა, აფორიაქება. იხ. პანი.

პანისლამიზმი — (ქსე) რელიგიურპოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომ ისლამი უზრუნველყოფს მის მიმდევართა ზეეროვნულ, ზეკლასობრივ ერთობას, რომ ხალიფას მეთაურობით მუსლიმანთა პოლიტიკური გაერთიანება ყველა სხვა სახელმწიფო და პოლიტ. გაერთიანებაზე მნიშვნელოვანია. პ. ჩამოყალიბდა XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში (ჯადიდიზმი).

პანო [ფრ.] — (უსლ) 1. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი და რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა; 2. ასეთი ადგილის შესავსები სურათი.

პანტა — (ქ. ეწ.) გარეული მსხალი, ან ვაშლი. „ღვთიხავარი დამპალ პანტახავით მოუგდებს მეორე თვალსაც მტერს, თუ საქირო იქნება" („არსენა მარაბდელი" — მიხ. ჯავახ.).

პანტომიმა — (უსლ) უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნ-

ობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ. არსებობს პანტომიმის თეატრი.

„ᲞᲐᲜᲩᲐᲢᲐᲜᲢᲠᲐ“ – (ქსე) ინდური იგავ-არაკების კრებული. შედგენილია დაახლ. III-IV ს. ს. უცნობი ავტორის მიერ. თავდაპირველად გამიზნული იყო მეფის შვილებისათვის, ასწავლიდა ცხოვრებისეულ სიბრძნეს. VI ს. ფალაურ ენაზე „პ.“ დაედო საფუძვლად „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით ცნობილ არაბულ ვერსიებს. თარგმანი გავრცელდა ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

ქართული თარგმანი უკავშირდება არაბულიდან სპარსულ ენაზე გადმოტანილ ქაშეფისეული ვერსიის დამუშავებას – „ანვარე სოჰაილის“. იგი სპარსულიდან სიტყვასიტყვით უთარგმნია ვახტანგ VI-ს, ხოლო გაუმართავს ს. ს. ორბელიანს.

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ – (ქ. მწ.) პანსიონი, დახურული სასწავლებელი, სადაც მოსწავლეებს ეძლეოდათ ბინა და საჭმელ-სასმელი. „40-იანი წლებიდან თბილისში გაიხსნა კერძო პანსიონები“ (სასკ. სახ-ლო).

ᲞᲐᲞᲘ [ლათ.<ბერძ. – მამა] – (უსლ) რომის პაპი – კათოლიკური ეკლესიის მეთაური.

ᲞᲐᲞᲘᲠᲣᲡᲘ [ბერძ.] – (ბიბლ. ენც.) მცენარე, რომელიც ნილოსის დელტის ჭაობებში ხარობდა და მისი ღეროებისაგან ამზადებდნენ ქაღალდს ძველ მსოფლიოში: წვრილ ზოლებად დაჭუცმაცებულ ღეროვანს ხის მაგარ ზედაპირზე ორ ფენად დააწყობდნენ. დაწნეხვის შედეგად მიიღებოდა ფურცლები, რომელსაც გრაგნილებად ახვევდნენ. ბიბლიის დიდი ნაწილი თავდაპირველად პაპირუსზე იყო დაწერილი. პაპირუსისგანვე ამზადებდნენ ნავებს, კალათებს.

ᲞᲐᲟᲘ [ფრ.] – (უსლ) 1. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: ახალგაზრდა აზნაური (ვაჟი), რომელიც მსახურად ედგა ფეოდალს ან მეფეს და რომელიც გადიოდა რაინდობისათვის მზადების პირველ საფეხურს. 2. პაჟთა კორპუსის აღსაზრდელი. პაჟთა კორპუსი – მეფის რუსეთში: თავადაზნაურთა საშუალო სამხედრო სასწავლებელი. „ალ. ჭავჭავაძე ჩარიცხეს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში“ (სასკ. სახ-ლო).

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲐ – (უსლ) 1. რომელიმე სიტყვის ფორმათა ტაბულა, როგორც ბრუნების ან უღლების ნიმუში. (ლიტ. თეორ.) 2. ლიტერატურის, ან საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან აღებული შედარება, რაიმე ფაქტიური ვითარების დასამტკიცებლად, პირველი სახეებისა თუ მაგალითის ჩვენება, საიდანაც მომდინარეობენ სხვები. პ. ნიმუშს ან მაგალითს ნიშნავს. ლიტერატურაში პ.-ებს ერთნაირი თემის ან სიუჟეტის სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებას ვუწოდებთ. „ხიდი“ და „კიბე“ ღვთისმშობლის პარადიგმაა დ. გურამიშვილის ლექსის სტრიქონში „ხიდო, წიაღ-მყვანებელო, კიბევ, ცათამდის მწვდომელო“. „ვაჟას ევროპული პარალელების ძიებისას შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის შემოქმედებას მიადგა, როგორც ისტორიულ პარადიგმას“. „დიდოსტატის მარჯვენის“ სიუ-

ქეტის ერთ-ერთი ღერძია დატყვევებული ხელოვანისა და ტირანი მეფის პარადიგმა" (ხ. სიგ.)..

პარადოქსი – (ქულ) რაც საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, აზრს უპირისპირდება. „ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიეს ფარსმან ხპარსის პარადოქსებმა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამ.).

პარაკლისი – (ქეგლ) საეკლესიო მღვდელმსახურება, საევედრებელი ან სამადლობელი ლოცვა. სრულდება მრევლისათვის. არსებობს სხვადასხვა პარაკლისი: ახალი წლის, მოგზაურთათვის, სწავლის წინ, გვალვის დროს, ავადმყოფობისათვის და ა. შ. „მეორე დღეს ხამშეიდობო პარაკლისი გადაიხადა მელქისედეკმა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამ.).

პარალელიზმი – (ქსე) ლიტერატურაში დამოუკიდებელი, თანაბარი მნიშვნელობის მოვლენების, საგნების, სიტუაციების შედარება-დაპირისპირება, რაც გამოიხატება ტექსტის მოსაზღვრე მონაკვეთში ერთი და იმავე ან მსგავსი ლექსიკურ-სინტაქსური კონსტრუქციების, თემატურ-სიუჟეტური ხაზის, რიტმული წყობისა და სხვა განმეორებით. განასხვავებენ სინტაქსურ პ.-ს, კომპოზიციურ პ.-ს, რიტმულ პ.-სა და სხვა. პ. ემსგავსება შედარებას, მაგრამ შედარებისაგან განსხვავებით მისი შემადგენელი ნაწილები ყოველთვის ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. მაგ. „მოპკიოდა, ქარი ღრუბლებს მოპკიოდა/ და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი/ მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა/ და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი" (ა. კალან.).

ჩვეულებრივ პირდაპირი პ.-ის გარდა არსებობს უარყოფითი პ.-ც, რომლის პირველი ნაწილი უარყოფითი შინაარსისაა. მაგ. „ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას, ნუ ვინ ჩივის თავის უთვისტომობას, ხაბრალოა მხოლოდ ხული ობოლი..." (ნ. ბარათ.).

პარაფრაზი – (ქსე) ლიტერატურული ნაწარმოების, ტექსტის, ან მისი ნაწილის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით; სხვათა სიტყვების ახლებური განლაგება, გამოყენება. შინაარსის შეცვლილად გადმოცემა. სახარებისეული იგავის პარაფრაზია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ათი ქალწული" (გადმოცემულია მაცხოვრის მეორედ მოსვლა).

პარეხი – (ქსე) ძვ. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, მონასტერი შუა საუკ. საქართველოში, ქვეყნის სამხ. დას. ისტორიულ კლარჯეთში მდ. კარჩხალის ხეობის კლდოვან მასივში (ახლანდ. თურქეთის ტერ-ზე). IX-X ს.ს. პ. გარკვეულ როლს ასრულებდა სამონასტრო და კულტ.-ლიტ. ცხოვრებაში. პარეხელ მოღვაწეებს დაუწერიათ ამ სავანის დამაარსებლის „მიქელ პარეხელის ცხოვრება", რომლითაც ბასილი ზარზმელს (X ს.) უსარგებლია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" წერისას. ცნობილია აგრეთვე მწიგნობარი ილარიონ პარეხელი (IX-X ს. ს. მიჯნა), რომელსაც დიდი პატივით იხსენიებს გიორგი მერჩულე. პ.-ის სამონასტრო ანსამბლიდან შემორჩენილია მთავარი ტაძრისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები.

პარაძიმენონი – (ქ. ეწ.) მესაწოლთუხუცესი (ბიზანტიის იმპერიის კარზე

მაღალი თანამდებობის პირი). „დაღონდა პარაკიმენონ კარისკაცებში პირველი" („თორნიკე ერისთავი").

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ – (ქევლ) სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

ᲞᲐᲠᲜᲐᲡᲘ – (უსლ) ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა საბერძნეთის ერთ-ერთი მაღალი მთის Parnasos-ის სახელის მიხედვით, სადაც ძვ. ბერძნების წარმოდგენით, აპოლონი და მუზები ცხოვრობდნენ. გადატანითი მნიშვნელობით ლიტერატურა'ში იგი იხმარება როგორც შემოქმედის ძნელად მისაღწევი საფეხურის მინიშნება, პოეტური ნიჭის გაფურჩქვნის სიმბოლო, პოეზიის სამყარო საერთოდ. „ჩვენთვის ლიტერატურა არც თვითგართობაა არც სხვისა გასართობი, იგი არც პარნასია განდეგნილობისათვის" („ჩვენი მიწა" (წერილი) – მ. ჯავახ.).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐ – (ქსე) 1871 წ. პირველი რევოლუცია და მუშათა კლასის პირველი მთავრობა, რომელიც შეიქმნა პარიზში 1871 წ. 18 მარტს. იარსება 72 დღე. პ. კ. იყო რევოლუციურ-სოციალისტური, პროლეტარული ხასიათის მოძრაობა, რომლის ისტორიულ მისიას შეადგენდა მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლება. („1871 წელი, 23 მაისი – პარიზის კომუნის დღე" – ი. ჭავჭ.).

ᲞᲐᲠᲝᲓᲘᲐ – (ქსე) ლიტ.-მხატვრ. იმიტაცია ცალკეული ნაწარმოების, ავტორის, ჟანრის, ლიტ. მიმართულების სტილისადმი კომიკური მიბაძვა მისი დაცინვის, დაკნინებისა და დისკრედიტირების მიზნით. პ.-ის ავტორი ორიგინალის ფორმას ახალი კონკრეტული შინაარსით ავსებს და ამით აღწევს ნაწარმოებების პაროდიულობას. პ.-'ში იყენებენ დაცინვის როგორც იუმორისტულ, ისე სატირულ ხერხებს. იუმორისტული პ.-სათვის ნიშანდობლივია ორიგინალისადმი შედარებით უწყინარი დამოკიდებულება. სატირული პ. კი პირიქით, ხასიათდება მწვავე სარკაზმით. პ.-ს მიმართავდნენ ძვ. საბერძნეთში, შემდგომ განვითარდა ევროპა'შიც (შექსპირი, დეფო, სვიფტი, სერვანტესი); ქართ. ლიტ-ში პ.-ის ნიმუშია ა. წერეთლის ლექსები: „დედამ რომ შვილი გაზარდოს", „რუსეთუმე", „ფარისეველი", „ფარშევანგი"; ილ. ჭავჭავაძის „ქართველი სტუდენტების სიმღერა" , „ბედნიერი ერი", „რა ვაკეთეთ, რას ვ'შვრებოდით", „გამოცანები", „კიდევ გამოცანები", „კაცია-ადამიანი?!"

ᲞᲐᲠᲝᲚᲘ {ფრ} – (უსლ) დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრა'ზა, რომელსაც იყენებდნენ თავისიანების გამოსაცნობად სამხედრო სამსახურ'ში ან კონსპირაციულ ორგანიზაციებში.

ᲞᲐᲠᲝᲛᲘ – (ქ. მწ.) ბორანი.

ᲞᲐᲠᲝᲜᲘᲛᲘᲐ – (ლიტ. თეორ.) ბგერობრივად მსგავსი, მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვები, რომლებსაც შეცდომით ერთიმეორის მაგივრად ხმარობენ. მათ ლექსიკური პარონიმები ჰქვიათ. მაგ. სიტყვების: საცოლე (გოგო) და საცოლე (ვაჟი), ან მევალე (ვალის მიმცემი) და მევალე (ვალის ამღები). არსებობს სემანტიკური პარონიმებიც, რომლებიც ბგერობრივად გან-

სხვადდებიან, მაგრამ სემანტიკურად, შინაარსით უაღრესად მსგავსნი არიან. ალტერნატივისა და დაცემის, ან ზიზღისა და სიყვარულის აღრევა — სემანტიკური პარონიმიაა.

პარონომაზია — (ლიტ. თეორ.) ერთი და იმავე ზმნის ორი სახით, ორი ფორმით, უმეტესად უპირო და პირიანი ფორმით გამოყენება წინადადებაში, რაც მხოლოდ ერთი ცნების გააზრებას იწვევს. იაკობ ცურტაველი ზომიერად იყენებს პარონომაზიულ კონსტრუქციას. მაგ. „დიდითა ტირილითა ვტიროდით", „უკუეთუ ჭამით ჭამოს", „წასვლით კი წავიდა, მაგრამ ვაი ასეთ წასვლას".

პარტიკულარიზმი [ლათ. — ნაწილობრივი, ცალკეული] — (უსლ) სახელმწიფოს ზოგი ნაწილის მისწრაფება განცალკევებისაკენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ. „გიორგი მეფე იბრძვის ფეოდალური პარტიკულარიზმის აღსაკვეთად" (ს. ხუ.).

პარხალი — (ქსე) ძვ. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი ისტ. ტაოში, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის „პარხალისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთების ალმ. კალთაზე (ახლ. თურქეთის ტერიტორიაზე). პ.-ის ეკლესია ააგო დავით III კურაპალატმა. ამ პერიოდში შატბერდის მონასტერში მოღვაწე იოანე ბერაიმ გადაწერა და პარხალს შესწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში პ.-ის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ძეგლი ბაზილიკურია. ფასადთა ჩუქურთმები აქ უკვე გარკვეულ როლს თამაშობს. შემკობილია გრეხილით მორთული ჯვრებით, ეკლესიის კედელზეა უამრავი წარწერა, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ის პირნი, ვინც იღვაწა ძეგლის შესამკობად. ოსმალთა მიერ სამხ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ბაზილიკა მეჩეთად გადააკეთეს.

პასაჟი [ფრ.] — (უსლ) 1. დახურული გალერეა, რომლის ორივე მხარეს არის მაღაზიები და რომელსაც ჩვეულებრივ აქვს გასასვლელები პარალელურ ქუჩებზე; 2. მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, მუსიკალური ფრაზა, რომელიც ხასიათდება ნოტების სწრაფი მონაცვლეობით; 3. (მოძვ.) ცალკეული ადგილი წიგნის, სტატიის, სიტყვისა და მისთანა ტექსტებში; 4. (სპორტ.) ცხენის ერთგვარი რიტმული მოძრაობა ჩორთის დროს; 5) კინოსცენარში: მცირე მნიშვნელობის მქონე სცენა შემსრულებელთა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისა. „მოკლედ, ძუნწად, მაგრამ მეტყველად მოხაზული პასაჟები მრავლადაა გაფანტული ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებში" (სახკ. სახ-ლო).

პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე — (ქსე) რუსი სამხედრო მოღვაწე, გენ. ფელდმარშალი, გენ. ადიუტანტი. 1826 წ. ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, 1827 წ.-დან კავკასიის მეფისნაცვალი. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ჯარების მთავარსარდალი, ხელმძღვანელობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობას, რის შედეგადაც პოლონეთის მეფისნაცვლად

დაინიშნა. ატარებდა ეროვნული ჩაგვრისა და რუსიფიკაციის კურსს. უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის დროს სარდლობდა რუსეთის არმიას („არსენა მარაბდელი").

პასკვილი – (ლიტ. თეორ.) ცილისმწამებლური ხასიათის სატირული ნაწარმოები, მიმართული რომელიმე პიროვნების, საზოგადოებრივი მოვლენისა ან ორგანიზაციის წინააღმდეგ. სიტყვა „პ."-ის წარმოშობა დაკავშირებულია ამავე სახელწოდებით რომში არსებულ ქანდაკებასთან – პასკვილთან, რომელზედაც XVI-XVIII ს. ს. ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე დაწერილ შეურაცხმყოფელ ანონიმურ ლექსებს თუ წერილებს ჰკიდებდნენ. პ. ლიტერატურაში დამკვიდრდა როგორც სატირული ხასიათის ნაწარმოების ერთ-ერთ სახეობის შინაარსის გამომხატველი ტერმინი.

პასტორალები – (უსლ) ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა. ასეთ ნაწარმოებს ლიტერატურაში ბუკოლიკურსაც უწოდებენ, ამ თვალსაზრისით ქართ. ლიტ.-ში საინტერესოა დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი". პასტორალური შეიძლება იყოს მთელი ნაწარმოები, ჩართული ეპიზოდი, სცენა დრამაში, ოპერაში და სხვ. მაგ. ნ. ლორთქიფანიძის „დაგვიანებული ყვავილების" ეპიზოდი, სადაც აღწერილია სოფლის მყუდრო ცხოვრება: „მზე ჩადის. ფრინველები იბუდებენ. ვერძები რქებგადაყრილი უსაქმოდ დადიან. ნეზვებს თავი დაუხრიათ. კრავებიც კი უფრო ეალერსებიან ძუძუს, ვიდრე სწოვენ. ყველა კმაყოფილია... და მწყემსიც.

პასტორი – (უსლ) პროტესტანტების მღვდელი.

პატენტი – (უსლ) 1. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე; 2. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლებას.

პატერიკი – (ქსე) ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გარკვეული ტიპის კრებულთა საერთო სახელწოდება. შეიცავს სამონასტრო მოღვაწეობის, ცნობილი ასკეტების „ცხოვრებას" და ამავე დროს ბრძნულ აფორისტულ გამონათქვამებსა და სენტენციებს რელიგიურ თუ ზნეობრივ თემებზე. პ. ითარგმნა სხვადასხვა ენებზე. ქართულად პ.-ს „მამათა ცხოვრება" ან „სამოთხე" ეწოდა. მნიშვნელოვანია იოანე მოსხის „ლიმონარი".

პატიჟი – (ქ. მწ.) (ძვ.) სასჯელი, ტანჯვა. „აწ პატივს ვხედავ და პატიჟისა გან მეშინის" („გრ. ხანძთელის ცხოვრება").

პატრი, პადრი – (ქ. მწ.) მამა, კათოლიკე მღვდელი. „ქართულ ორთოდოქსულ ეკლესიას საბა თითქოს შეუწყენებია კათოლიკობაში გადასვლისა და კათოლიკე პატრების მოყვანის გამო" (სახკ. ხაბ-ლი).

პატრიარქატი – (ქეგლ) პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ფორმა, მატრიარქატის მომდევნო სა-

ფეხური, რომლის დროსაც საშეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცი იყო გაბატონებული. „თქვენი ხალხი პატრიარქატს ჰგავდა. ვიდრე ხნულში თამაშობს" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.).

პატრიარქი – (ქეგდ) რომელიმე ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური. უმაღლესი სასულიერო პირი.

პატრიოტიზმი [ბერძ.] – (ქსე) სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, მისთვის თავდადება, აქტიური მონაწილეობა მისი კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, სულიერი და მატერიალური კულტურის განთავისუფლებისათვის. ნამდვილი პატრიოტი გულისხმობს სხვა ხალხების, მათი კულტურისა და ინტერესების პატივისცემას. იგი უპირისპირდება ნაციონალიზმს. „აკაკი წერეთლის განმარტებით: „პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი ჰქვია იმ კაცს, ვისაც თავისი სამშობლო, მამული უყვარს, მიუხედავად პირადი სარგებლობისა, სურს თავისი ქვეყნის ბედნიერება... ეძებს ბედნიერების მოპოვებას და დამქვიდრებას" (სახკ. სახ-ლო).

პატრონყმობა – (ქსე) ფეოდალური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინი X-XV ს.ს. საქართველოში. მიღებულია ორი სიტყვისაგან: პატრონი და ყმა. აღნიშნავდა ურთიერთობას ფეოდალებსა და ყმა-გლეხებს შორის, აგრეთვე ურთიერთობას თვით ფეოდალთა შორის. X ს.-მდე პ.-ს შესატყვისი ცნება იყო „უფალმონობა", ხოლო XV ს.-დან ბატონყმობა.

პატრუჯი (ქეგდ) დაგრეხილი ბამბის ძაფი, წვერი ან საგანგებოდ დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ლამპაში, სანთელში, ნავთქურაში და მისთ. გამოიყენება წვისათვის და განათებისათვის.

პაუზა – (ქსე) შესვენება მეტყველებაში. ლექსში არსებობს პ.-ის ორი სახეობა: აზრობრივი (ლოგიკური) და რიტმული. აზრობრივი პ. ყოველგვარ მეტყველებაში გვხვდება, რიტმული – მარტოოდენ ლექსებში. რიტმული პ. აძლევს სიტყვას ინტონაციურ დამოუკიდებლობასა და მეტყველებას – ემოციურობას. „– ის არა...ქალი ნანს... იქ ცხოვრობს ვიღაც... – ხელების მეუფეხელმწიფე მიდის...– ეს კაცი... თეთრ ნავზე...ვინ უნდა იყოს? – ქარიშხი, ქარიშხი – ხელები მიჰყავს..."

პაუსტოვსკი კონსტანტინე (1892-1968) – (ქსე) რუსი მწერალი. ავტორია რომანტიკული სულით გაჟღენთილი მრავალი ნარკვევისა, მოთხრობისა და რომანისა. ბევრს მოგზაურობდა. 2 წელი ცხოვრობდა საქართველოში (ფოთი, სოხუმი, ბათუმი, თბილისი). ქართულ სინამდვილეს უძღვნა 23 ნაწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია მოთხრობები და ნარკვევები: „წერილები ბათუმიდან", „ზამთარი ბათუმში", „ქართველი მხატვარი", „მტკვარში გადახტომა", „სად იპოვეს ოქროს საწმისი", „ნახტომი სამხრეთისაკენ" და სხვა.

პაციფიზმი [ლათ. – დამწყნარებელი]– (უსლ) ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც ილა-

შქრებს ყოველგვარი ომების, მათ შორის სამართლიანი (ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური) ომების წინააღმდეგ.

ᲞᲐᲨᲢᲐ — (ქ. მწ.) ძვ. დიდი, ბევრი, საკმაო, კაიძალი. „მევლო პაშტაი ხანია" („ვეფხისტყაოსანი"—შ. რუსთ.).

ᲞᲔᲒᲐᲡᲘ — (უსლ) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ფრთოსანი მერანი.

ᲞᲔᲓᲐᲜᲢᲘ {იტალ.} — (უსლ) ადამიანი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქმის გარეგნულ მხარეს, წვრილმანებს, განუხრელად იცავს ფორმალურ წესებს და ამასვე მოითხოვს სხვებისაგან, ასოკირკიტა, ფორმალისტი. „ხულხან-ხაბა უარყოფს ტექსტის პედანტურ სიტყვა-სიტყვით თარგმანს" (ხასკ. ხას-ლო).

ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ [ფრ.]— (ლიტ. თეორ.) ბუნების სურათის, ადგილმდებარეობის სანახაობის, რომელიმე მხარის საერთო ხედის დახატვა ხელოვნებაში, ლიტერატურაში. ლიტერატურული პ. განსხვავდება ფოტოგრაფიული პ.-საგან. სამხატვრო ესკიზისაგან იმით, რომ ლიტ. პ. არა მარტო ასახავს ბუნების ამა თუ იმ კუთხეს, არამედ აჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას ამ მომენტისადმი. მხატვრ. ლიტ-ში პ. სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს მიზნობრივად. ყურადღებას იპყრობს შემდეგი მომენტები: 1. პ., როგორც სიუჟეტის ჩანართი ეპიზოდი, მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი რგოლი, მაგალით. „პალიასტომის ტბაში" ტბის აღელვება, რომელმაც მამა-შვილის დაღუპვა გამოიწვია. პ., როგორც მოქმედების გაშლის ფონი მხატვ. ნაწარმოებში. მაგ., ა. „კაკო ყაჩაღის", „ბახტრიონის" შესავალი და სხვა. 2. პ., როგორც გმირთა განწყობილების, ძლიერი ემოციების გამოსახატავი ხერხი. ამ შემთხვევაში მწერალი ან უპირისპირებს ერთმანეთს ბუნების სურათსა და ადამიანის განცდებს, ან აკავშირებს, ამსგავსებს თუ უთანხმებს ბუნების მოვლენებს გმირის განწყობილებას და ამით აძლიერებს წარმოსახვის მომენტს. ნ. ბარათაშვილის განწყობილება ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ" 3. პ., როგორც ესთეტიკური გრძნობის განვითარების საშუალება. მწერალი ბუნებას გვიხატავს თავისთავად როგორც სილამაზის განსახიერებას და ამით ადამიანში იწვევს მოწონებასა და ესთეტიკურ სიამოვნებას. 1. რისამე ადგილის საერთო ხედი, ბუნების სურათი; 2. სურათი, Ნახატი, რომელზედაც ბუნებაა ასახული. მყინვარის სურათი „მგზავრის წერილებში", ნ. ბარათაშვილის „მორბის არაგვი, არაგვიანი." ბუნების აღწერის კლასიკური ნიმუშია ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" XII თავი.

ᲞᲔᲠᲒᲐᲛᲔᲜᲢᲘ — (ლიტ. თეორ.) დასაწერად გამზადებული, საგანგებოდ დამუშავებული ტყავი. ქაღალდის დამუშავების პროცესის მოგონებამდე უპირატესი საწერი მასალა იყო პ.- ეს სახელწოდება ამ ტყავმა მიიღო იმ ქალაქის სახელწოდებიდან, სადაც მას ამზადებდნენ — პერგამა, პერგამენტი. ქაღალდის მასობრივი დამუშავების შემდეგ პერგამენტმა დაკარგა საწერლო მნიშვნელობა და იგი იქცა ისეთ

ტყავად, რომელსაც სხვადასხვა იარაღების გადასაკრავად იყენებდნენ.

დღეს პ. ისეთ გამძლე, გაჟღენთილ ქაღალდს ეწოდება, რომელსაც ცხიმოვანი ნივთიერებისა და სხვათა შესახვევად ხმარობენ. მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია არა ერთი და ორი დიდი ლიტერატურული ძეგლი, რომელიც პ.-ზეა დაწერილი. ამ მხრივ არც ქართული ლიტერატურა წარმოადგენს გამონაკლისს. ამიტომ წერდა ჩვენი ცნობილი პოეტი ტ. ტაბიძე: „შენსა ანბანსა“ და „შენს „ხილით ქებას“ უჭრელებია პერგამენტები“. „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის“.

პერიპეტია [ბერძ.] — (უსლ) უეცარი ცვლილება, მოულოდნელი გართულება ვისიმე ცხოვრებაში, რაიმე მდგომარეობაში და სხვა. „ამ ჯგუფებსა და პარტიებს შორის ბრძოლის პერიპეტიებს წარმოგვიდგენს ავტორი“ (ნ. გრიგ.).

პერიფრაზი — (უსლ) გამოთქმა, რომელიც აღწერით გადმოსცემს სხვა გამოთქმის ან სიტყვის აზრს (მაგ., „საქართველოს დედაქალაქი“ ნაცვლად „თბილისისა“, „ნადირთა მეფე“ ნაცვლად „ლომისა“).

პერმანენტული [ლათ.] — (უსლ) რაც განუწყვეტლივ გრძელდება; მუდმივი. „მე-19 საუკუნე რუსეთ-თურქეთის თითქმის პერმანენტული ომების ეპოქაა“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

პერსონაჟი [ლათ. — პერსონა, ნიღაბი, სახე]— (ქსე) ეპიკური, დრამატული და ლირიკულ-ეპიკური ჟანრის თხზულებათა მოქმედი პირი. ლირიკაში, სადაც პოეტის სუბიექტური განცდებაა გამოხატული, პ., ცვლის ლირიკული გმირი. პ. უმთავრესად ადამიანია, მაგრამ ადამიანის გარდა მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედ პირებად ხშირად ვხვდებით ბუნების მოვლენებსა და საგნებს, მცენარეებსა და ცხოველებს, რომელთაც გარკვეული ადამიანური თვისებები მიეწერება. თავისი ფუნქციის მიხედვით პ. შეიძლება იყოს, მთავარი და მეორეხარისხოვანი.

პერსონაჟთა ენა — (ლიტ. თეორ.) მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი პირის ენა, სტილი, მეტყველება საერთოდ. ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟი, როგორც მხატვ. სახე ცოცხალი, კონკრეტული პიროვნებაა. ადამიანისათვის საერთოდ დამახასიათებელი თვისებების გარდა პერსონაჟი ისეთი ნიშნების შემცველია, რომლებიც მხოლოდ მას ახასიათებს და განასხვავებს სხვა ადამიანებისაგან. რამდენადაც ადამიანის სულის სამყარო, მისი ცხოვრების შინაარსი, ხასიათი მეტყველებაში ვლინდება უპირატესად, ამიტომ თითოეული ადამიანის მეტყველებაც თავისებურია, ინდივიდუალურია. მხატვ. ნაწარმოებში გამოყვანილ მოქმედ პირს თავისი ფიზიკური და სულიერი სახე აქვს და ამის საფუძველზე თავისებურად მეტყველებს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთიანი ენა, ყველასათვის სავალდებულო ნორმა არ არსებობდეს და ამ ძირითადი პრინციპებით არ ხელმძღვანელობდეს ყოველი მოსაუბრე. მაგ., ლელთ ღუნია, ოთარაანთ ქვრივი, არჩილი, კესო, კირილე

მიმინოშვილი, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, ალუდა ქეთელაური, კვირია, გიორგი მეფე, ფარსმან სპარსი და სხვა.

მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები ლაპარაკობენ შესაბამის კუთხურ ენაზე. ამით არის მხატვრულ ნაწარმოებში განპირობებული გადახვევები სალიტერატურო ენიდან, რომლის დროს გამოიყენება დიალექტიზმები, პროფესიონალიზმები, არქაიზმები და სხვა.

პერპერა — (ქ. მწ.) ოქროს ფული.

პერსონიფიკაცია — იხ. გაპიროვნება

პესიმიზმი — (უსლ) ყველაფერში ცუდი, ბნელი მხარეების დანახვა, სევდიანობა, გულგატეხილობა, უიმედობა (საპირისპიროა ოპტიმიზმი). „თეიმურაზ ხევისთავის პესიმიზმი გადადის მელანქოლიაში" (მ. ჯავახ.).

პეტეფი შანდორ (1823-1849) — დიდი უნგრელი პოეტი, ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული ბრწყინვალე ლირიკოსი. სულ 26 წელი იცოცხლა, მაგრამ ყველა დროის უპირველესი პოეტია. მისი ლექსების თარგმანი გააკეთა გრ. აბაშიძემ.

პეტრა — (ქსე) ისტორიული ციხე-ქალაქი დას. საქართველოში — ეგრისის სამეფოში (ახლანდ. სოფ. ციხისძირი, ქობულეთის რ-ნი, აჭარის არ). შემორჩენილია ციხის ნანგრევები. ხელსაყრელი სამხ.-სტრატეგ. და სავაჭრო-ეკონომ. მდებარეობის გამო ლაზების ამ უძველეს სამოსახლო ადგილზე IV ს. ბიზანტ. ცენტრი. ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა ზღვისპირა ვიწრო გზა, რომელიც დასავლ. საქართველოს ბიზანტიის პროვინციებთან, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა. შუა საუკ. მას ქაჯეთის ციხეს უწოდებდნენ, გარკვეული სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა XIX ს.-შიც.

პეტრას ციხის აკროპოლისი ზღვისპირა კლდოვან ბორცვზე მდებარეობდა, ხმელეთის მხრიდან მას გალავნის გარდა კლდოვანი რელიეფი იცავდა (აქედანაა მისი ბერძ. სახელწოდება „პეტრა" — ქვა, კლდე), პ. მიუვალ ციხედ ითვლებოდა, მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. არქეოლოგ. გათხრებმა შიდაციხის გალავანთან ერთად გამოავლინა სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის VI-VII ს. ს. ბაზილიკის სამირკველი, რომელიც პეტრას საეპისკოპოსოს კათედრალის ნაშთია.

პეტრარკა ფრანჩესკო (1304-1374) — (ქსე) იტალიელი პოეტი. პ. აღორძინების ჰუმანისტური კულტურის მამამთავრადაა აღიარებული. მან ზედმიწევნით შეისწავლა ანტიკური მწერლობა, აგროვებდა და ამუშავებდა ძვ. ხელნაწერებს, თავის თხზულებებში ცდილობდა აღედგინა კლასიკური ლათინური.

პეტრე I დიდი (1672-1725) — (ქსე) რუსეთის მეფე (1682 წ-დან), იმპერატორი (1721 წ-დან), სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი. მეფე ალექსი მიხეილის ძის ერთადერთი ვაჟი მეორე ქორწინებიდან (ნატალია ნარიშკინასაგან). პეტრემ პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო.

ჯანმრთელი, ცნობისმოყვარე, ნიჭიერი ყრმა მეფის ინტერესები მრავალფეროვანი იყო — წიგნები, ხელოსნობა, სამხედრო თუ საზღვაო საქმე. მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მოსკოვში მცხოვრებმა უცხოელებმა, რომელთა თაოსნობითა და ყრმა მეფის დიდი ენთუზიაზმით შეიქმნა სამხედრო რაზმები. პ. I სწავლობდა ხომალდების აგებასა და მართვას, საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს ეუფლებოდა საარტილერიო საქმესა და გემთმშენებლობას, პ. I დიდ ინტერესს იჩენდა ევროპის ტექ. კულტურისადმი, იწვევდა ოსტატებსა და სწავლულებს, უცხოეთში სასწავლებლად გზავნიდა რუს თავადაზნაურთა შვილებს. პ. I-ს ზედმიწევნით სწორად ესმოდა რუსეთის განვითარების პერსპექტივები.

დიდი გარდაქმნები მოახდინა კულტურისა და განათლების სფეროში: დაარსდა საერთო სკოლები, გაჩნდა სამედ. ქირურგიული, მათემატიკური, სანავიგაციო, საინჟინრო და საარტილერიო სასწავლებლები, საზღვაო აკადემია, გაიხსნა პირველი რუს. მუზეუმი (კუნსტკამერა) საჯარო ბიბლიოთეკითურთ. 1700 წ. შემოიღეს ახ. კალენდარი, რომლის მიხედვით ახალი წელი დაიწყო 1 იანვარს, ნაცვლად 1 სექტემბრისა. 1703 გამოვიდა პირველი რუსული გაზეთი. 1725 წ. გაიხსნა პეტერბურგის მეცნ. აკადემია. პ. I-ის უშუალო ინიციატივით ჩატარდა რამდენიმე გეოგრ.-კარტოგრ. ექსპედიცია.

პ. I-მა შემოიკრიბა ნიჭიერი, ერთგული მოღვაწენი, რომელთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა ქართველ ბატონიშვილს ალექსანდრე არჩილის ძეს. იგი თან ახლდა პ. I-ს საზღვარგარეთ. მიიღო შესაფერისი განათლება და დაინიშნა რუს. არტილერიის პირველ სარდლად (ფელდცეხმაისტერი).

პეტრე იბერი (411-491) — (ქსე) გამოჩენილი ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი. ერისკაცობაში მურვანი (სირიული წყაროებით — ნაბარნუგი), იყო იბერიის მეფის ბუზმარის შვილი, ბაკურ დიდის შვილიშვილი. მის აღმზრდელად კოლხეთიდან მოუწვევიათ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მითრიდატე ლაზი. მურვანი ამალითურთ (423 კაცი) ბიზანტიის კეისრის თეოდოსიუს II-ის მოთხოვნით მძევლად წარგზავნეს კონსტანტინოპოლს. აქ ქართველი უფლისწულის სწავლა-აღზრდის საქმეს მითრიდატე ლაზთან ერთად ხელმძღვანელობდა კეისრის მეუღლე დედოფალი ევდოკია. მურვანს ბავშვობიდანვე დიდი ნიჭი გამოუჩენია და ბრწყინვალე განათლება მიუღია, შეუთვისებია „ყოველივე სწავლულება, საეკლესიო და საფილოსოფოსო“ („ქართლის ცხოვრება“).

ცნობების თანახმად, მურვანი ბიზანტიაში უსმენდა ცნობილ სწავლულებსა და ფილოსოფოსებს. მისი ბიოგრაფის, ზაქარია ქართველის გადმოცემით, უფლისწულს თავისი განსწავლულობით, ბერძნულის ცოდნითა და გონებამახვილობით განცვიფრებაში მოჰყავდა მეფე და სასახლის ფილოსოფოსები. იერუსალიმში ყოფნის დროს მას შესანიშნავად

აუთვისებია სირიული ენა და მწერლობა. სამშობლოდან მოწყვეტილ მურვანს არ აკმაყოფილებს იმპერატორის სასახლე, მისი დიოფიზიტური იდეოლოგია, გაბატონებული წრეების ცხოვრების წესი, რის გამოც იგი რამდენიმე ქართველთან ერთად გაიპარა სასახლიდან და პალესტინაში გადასახლდა, სადაც ეწეოდა დიდ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მოღვაწეობას. პ. ი. გახდა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი V ს. II ნახ. ფილოს. თეოლოგ. აზროვნებისა. 452 წ. პ. ი. მაიუმის ეპისკოპოსად დანიშნეს. ზაქარია რიტორი მას „მსოფლიოში განსაცვიფრებლად სახელგანთქმულ ადამიანს" უწოდებდა, იოანე რუფუსი კი — „ჩვენს პავლეს" და „მეორე მოციქულ პავლეს" და „მეორე მოსეს", ხოლო ზაქარია ქართველის გამოთქმით: „იგი იყო მშვენება და დიდება საქართველოსი და მცველი მთელი ქვეყნისა". იერუსალიმში პ. ი.-მა ააშენა ქართველთა მონასტერი და შექმნა სკოლა, რომლის ბირთვს სირიაში მყოფი ქართველები შეადგენდნენ. ამ სკოლაში სწავლამიღებული ქართველები VI ს. სამშობლოში დაბრუნდნენ, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა მოსვლის სახელითაა ცნობილი.

შ. ნუცუბიძემ და ე. ჰონიგმანმა იგი აღიარეს „არეოპაგიტის" ავტორად. პ. ი.-ის თეორ. მოღვაწეობა დამაკავშირებელი ხიდია ანტიკურობის ქრისტიანობასთან. იხ.დიონისე არეოპაგელი.

პეტრიწონის მონასტერი — (ქსე) ბაჩკოვოს მონასტერი, შუა საუკ. ქართული მონასტერი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა საზღვარგარეთ — ბიზანტიის იმპერიაში (ახლ. ბულგარეთის ტერ-ზე, ქ. პლოვდივის მახლ. სოფ. ბაჩკოვოში) 1103 წ. დააარსა ბიზანტ. გამოჩენილმა პოლიტ. და სამხ. მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, მანვე შეუდგინა მონასტერს „ტიპიკონი" (წესდება) ქართულ და ბერძნულ ენებზე. სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ღვთისმშობლის (მთავარი ტაძარი), იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის ეკლესიები, აგრეთვე საძვალე. პ. მ.-ის ირგვლივ მდებარე მიწები და დასახლებები მის საკუთრებას შეადგენდნენ, რაც ხელს უწყობდა მონასტრის ეკონომიურ სიძლიერეს და დაწინაურებას. ის იყო შუა საუკ. ცნობილი კულტ. საგანმ. კერა. პეტრიწონის სემინარის, იქაურ მწიგნობრულ საქმიანობას, ტრად. აზრით, თითქმის 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტ.-ფილოსოფ. სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართ. მწერლობა ბიზანტიურს, დოგმატ.-ფილოს. წიგნების თარგმნითა და კომენტარებით დიდად შეუწყო ხელი ქართულ ფილოსოფ. აზროვნების განვითარებას. 1204 წ. პ. მ. ჯვაროსნებმა დაარბიეს და გაძარცვეს, მიუხედავად ამისა, სამონასტრო ცხოვრება შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. რუს.-თურქ. ომის (1077-1870 წ. წ.) დროს რუსული არმიის ნაწილმა კაპიტან ვ. ჯორჯაძის მეთაურობით თურქთაგან დარბევას გადაარჩინა. გრიგოლ ბაკურიანის ძის დროინდელ შენობათაგან შემორჩა მხოლოდ საძვალე, სხვა შენ-

ობები XVII ს. მთლიანად გადააკეთეს. საძვალეში დაკრძალულნი არიან ძმები აბაზ და გრიგოლ ბაკურიანის ძენი. საძვალის კედელზე ორივე ძმის გამოსახულებაა. პ. მ.-ში შემონახულია 1311 წ. ქართულწარწერიანი ღვთისმშობლის ხატი, მთავარი ეკლესიის გუმბათის ჯვარს ქართული წარწერა აქვს (პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით აკად. ა. შანიძე წარწერას XIV ს.-ით ათარიღებს.).

პიგმალიონი — (ქსე) რომაელი პოეტის ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“: კვიპროსის მეფე, რომელიც ამავე დროს მოქანდაკეც იყო. მან სპილოს ძვლისაგან გააკეთა ულამაზესი ქალის ქანდაკება, რომელიც თვითონვე შეუყვარდა; სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ გააცოცხლა და პიგმალიონმა იგი შეირთო. პ. საზოგადოდ აღნიშნავს თავის შემოქმედებაზე შეყვარებულ ადამიანს.

პიესა — (ქეგლ) 1. დრამატული ნაწარმოები სცენაზე წარმოსადგენად; 2. პატარა მუსიკალური ნაწარმოები.

პიედესტალი, პედესტალი — (უსლ) მხატვრულად გაფორმებული საფუძველი, რომელზედაც დგას ძეგლი, სვეტი და მისთ. კვარცხლბეკი, პოსტამენტი. „გიორგი მეფე ისეთ პიედესტალზე დგას, საიდანაც ყოველი ზადი თვალნათლივ ჩანს.“ (ს. ხიზ.).

პიიტიკოსი — (ქ. მწ.) პოეტი, პიიტიკა — პოეტიკა.

პიკნიკი [ინგ.] — (ქეგლ) ქალაქგარეთ ჯგუფურად გასეირნება დროის გასატარებლად. „თავად თავუქვილაძის ქალები მოდას აჰყოლოდნენ, არ იკლებდნენ ბალებს, პიკნიკებს და მასკარადებს“ („პირველი ნაბიჯი“— გ. წერ.).

პილატე — (ქეგლ) ებრაელთა ქვეყნის იუდეის მმართველი, რომის ხელისუფლების წარმომადგენელი. მან იესო ქრისტე ჯვარცმის წინ გაასამართლა, რის შემდეგაც ხელები დაიბანა. აქედან მომდინარეობს გამოთქმა — „პილატესავით დაიბანს ხელს“. „მაიორი პილატესავით დაიბანს ხელებს და განზე გადგება“ („არსენა მარაბდელი“— მ. ჯავახ.).

პილიგრიმი {რუს. пилигрим<იტალ.}— (უსლ) — (მოძვ.) 1. წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი მორწმუნე; მოხეტიალე მლოცველი; (გადატ.) უცხო მგზავრი, მწირი, ყარიბი.

პინაკი — (ქ. მწ.) ჯამი, თეფში (იგულისხმება სასწორის ჯამი). „უფალი პინაკს ზედ ადგამს ფეხსა“ („აჩრდილი“ — ი. ჭავჭ.).

პიონერი {ფრ.} — (ქსე) 1. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში გზის გამკვლევი, რაიმე საქმის წამომწყები. 2. ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების წევრი (სოციალიზმის დროს); 3. პირი, რომელმაც პირველმა შეაღწია გამოუკვლეველ ქვეყანაში და დასახლდა იქ.

პირატი {ბერძ.} — (უსლ) ზღვის ყაჩაღი. მეკობრე. „ვასილი ხრიტანიუკი, ვასკა პირატი“ („ჰაკი აძბა“)

პირველი დასი — (ქსე) XIX ს. II ნახ. საქართველოს წარმომადგენლები

რევ. დემოკრ. და უტოპიურ-სოციალური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ ჟურნალ-გაზეთებში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“ და სხვა). პირველდასელთაგან ზოგი საზ. ასპარეზზე გამოჩნდა უკვე 1861 წ. „ცისკრის“ ფურცლებზე. პირველდასელები მეორედასელებთან — რადიკალ-დემოკრატებთან და ხალხოსნებთან ერთად შეადგენდნენ რევ. დემოკრ. ბანაკს, ოღონდ მათგან რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისით უდგებოდნენ ეროვნ.-სოც. და საკაცობრიო პრობლემებს, იბრძოდნენ თვითმპყრობელურ-ფეოდალურ და საერთოდ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ; ზრუნავდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინებისათვის, გაერთიანებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, მშრომელი ხალხის განთავისუფლება-გაძლიერებისა და ძვ. ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციების დემოკრატიულ საფუძველზე განვითარებისათვის. მოითხოვდნენ ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებას (უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას). იღვწოდნენ ქართული ენის, ლიტერატურის, საზ. აზროვნების განახლებისა და აყვავებისათვის.

პირველდასელები არ მოითხოვდნენ კერძო საკუთრებისა და კლასების მოსპობას, თუმცა მხარს უჭერდნენ საყოველთაო ეროვნული სოციალიზმის განმანათლებლურ — რევოლუციურ დემოკრ. უტოპიურ თეორიასა და პროგრამას. პ. დ.-ს მეთაურობდა ი. ჭავჭავაძე, რომელთანაც მსოფლმხედველობრივად ყველაზე ახლოს იდგნენ ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, უფრო გვიან — ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

პირველი მაისი — (ქსე) მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული. 1889 წლის ივლისში ჩიკაგოს მუშათა გამოსვლის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც სისხლში ჩაახშო პოლიციამ. „პირველი მაისი, / პირველი მაისი, / პირველი მაისი მოვიდა ამაყი...“ („პირველი მაისი“ - გ. ტაბ.).

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918) — (ქსე) იმპერიალისტური ომი უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. ერთი ჯგუფის ბირთვს შეადგენდა ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი (გერმანია, ავსტრია, უნგრეთი), მეორესას — ანტანტის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). თავისი ხასიათით ეს ომი იყო უსამართლო, დამპყრობლური. „{ჩვენი სოფლიდან} ზოგს თათარში უსახელებია თავი, ზოგს — იაპონიაში, ზოგს — პირველ მსოფლიო ომში“ (გ. ლეონ.).

პირიმზე — (ქეგლ) 1. პარაზიტი მცენარე. აქვს უფოთლო დაუტოტავი ღერო; წვერში იკეთებს ერთ მსხვილ წითელ ყვავილს, რომელიც ყოველთვის მზისკენაა მიქცეული; 2. ლამაზი, მშვენიერი სახის პატრონი (ქალი); 3. ქართველ მთიელთა წარმართული ღვთაება.

პირისსანახავი — (ქსე) საქორწინო საჩუქარი დედოფლისათვის ძვ. საქართველოში. პ. საპატარძლოს ქორწილში

საჯაროდ გამოცხადებით მიერთმეოდა, რის შედეგადაც ეჯიბი მას ხმლის წვერით პირბადეს ახდიდა. ამას „დედოფლის პირის ახდა“ ეწოდებოდა. პ. ჩვეულებითი ანუ დაუწერელი სამართლებრივი ნორმებით წესრიგდებოდა. პ.-ს აძლევდნენ მამამთილი, დედამთილი, მაზლები და ქმრის სხვა ნათესავები (თვით ქმარიც). პ.-ად მიეცემოდა მოძრავი და უძრავი ქონება — სამკაული, ტანსაცმელი, მიწის ნაკვეთი და სხვ. „ქოტები უბნობდნენ: „ქალის პატრონი ეუბნება: თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო“ („უსამართლო შირვანშა“ — ს. ს. ორბ“).

პ.-ს თავზეგადასაგდებსაც (თავგადასაგდებს) უწოდებდნენ იმერეთში (ქართ. ქ/თ ლ-ნი). ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცში“: „მეფე-დედოფალს სუფრაზე ცხვირის წინ ულაგებდნენ თავზეგადასაგდებს: პატარა სარკეს, მოოქრულ სათითურს, ძეწკვს, თითბრის ტაშტს, დანა-ჩანგალს, ვერცხლის მანეთებს და ათშაურიანებს, ქვიჯასაც და განგებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორისათვის ადგენდა სიას“. იხ. თავზეგადასაგდები.

პირისფერი — (ქეგლ) მკრთალი წითელი — ვარდისფერი. „ხაწმეროულებს ლამაზი წაატანა გიორგიმ, პირისფერს, ბროწეულის ყვავილსა და ხინგურისფერს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

პირის ფულის წაღება — (ქ. მწ.) შერცხვენა. პირში წყალი ჰქონდათ — სირცხვილ-ნამუსი იცოდნენ — „იხე ჩუმად და გონიერად უწინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ“ („კაცია-ადამიანი?! — ილ. ჭავჭ.).

პირმოთნე — (ქეგლ) პირფერი, მლიქვნელი, ფარისეველი.

პირმშო — (ქეგლ) პირველი შვილი.

პიროვნება — (საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია) პიროვნებად ყველაზე ხშირად გულისხმობენ ცალკეულ კონკრეტულ ადამიანს. ხშირად იხმარება ამ სიტყვის მსგავსი ცნებები „ინდივიდი“, „ინდივიდუალობა“. „ინდივიდი“ ეს არის ცალკეული ადამიანი. ჩნდება რა ქვეყანაზე როგორც ინდივიდი, ადამიანი თანდათან ფორმირდება როგორც პიროვნება. ამ პროცესს ისტორიული ხასიათი აქვს. პიროვნება შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელმაც მიაღწია ფსიქიკური და სოციალური განვითარების გარკვეულ დონეს. ეს ადამიანის განვითარების ისეთი დონეა, როცა იგი იძენს უნარს, დაისახოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნები და მიაღწიოს მათ, როცა მას უჩნდება საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულებები, საკუთარი მორალური მოთხოვნები და შეფასებები, რომელიც ადამიანს ხდის შედარებით მტკიცესა და დამოუკიდებელს მისი რწმენისათვის უცხო ზეგავლენისაგან.

პიროვნების აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია აქტიურობა. იგი გამოიხატება იმ მოქალაქეობრივ პოზიციაში, რომელიც მას უჭირავს ცხოვრებაში თავისი მდგომარეობისა და ადგილის შეცნობის შედეგად, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ადამიანი ძირითადად განისაზღვრება იმით, თუ

ადამიანის პიროვნული განვითარების მთავარი ნიშანია ის, რომ ყველაზე რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოიქცეს შინაგანი რწმენის მიხედვით, სხვებს არ დააკისროს პასუხისმგებლობა, ბრმად არ მიენდოს გარემოებას, ჩაერიოს მოვლენათა მსვლელობაში, გამოავლინოს თავისი ნებისყოფა, ხასიათი. პიროვნებას აქვს ფსიქიკური და სოციალური განვითარების ისეთი დონე, რომელიც აძლევს უნარს მართოს თავისი ქცევები და მოქმედებები. პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მხარეა ინდივიდუალობა, რაც განასხვავებს ერთ ადამიანს ყველა დანარჩენისაგან. ყოველი ადამიანი თავისებურად შეიგრძნობს და აღიქვამს გარე სამყაროს. აქვს თავისი განსაკუთრებული მეხსიერება აზროვნება, ყურადღება, თავისებური წარმოსახვის უნარი, ინტერესები, სიმპათიები, მიდრეკილებანი, ძლიერი ან სუსტი ნებისყოფა, მეტ-ნაკლები ძალის ემოციები, კარგი ან მძიმე ხასიათი და სხვა. ყველაზე ღრმა, ფაქიზი, ყველაზე ძნელად მისაწვდომი და გასაგებია ადამიანის შინაგანი „მე“. პიროვნების შინაგანი სამყარო ეკუთვნის მხოლოდ მას — ერთს. „ასეთი მისიის შესრულება ძალუძს დიდ და განსაკუთრებულ პიროვნებას, რადგან იგი აძლევს აზრსა და გამართლებას სიცოცხლის ქაოსურ მდინარებას (ს. სოგ.).

პირუთვნელი — (ქეგლ) მიუკერძოებელი.

პიტიახში — (ქსე) სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე ადრ.-ინდელ სასანიანთა ირანში, ქართლის სამეფოსა და სომხეთში. მკვლევარების აზრით პ. იყო მეფისნაცვალი, პროვინციის მმართველი. პ. ქართლში, ჩანს „ერისთავის“ პარალელურად იხმარებოდა. პიტიახშებს ნიშნავდა სპარსეთის სამეფო კარი (ვარსქენ პიტიახში — „შუშანიკის წამების“ პერსონაჟი.).

პიქტოგრაფია — (უსლ) დამწერლობის უძველესი სახეობა — საგნების, მოვლენების, მოქმედების გადმოცემა ნახატების საშუალებით; ხატოვანი დამწერლობა.

პლაგიატი — (ლიტ. თეორ.) ლიტერატურული ან სხვა ნაწარმოების მითვისება, თავის ნაწარმოებში სხვისი ნაწარმოების გამოყენება ავტორის დაუსახელებლად. ლიტერატურული ქურდობა. ასეთი ქურდობის მაგალითი მოჰყავს ს. ს. ორბელიანს თავისი ლექსიკონის ანდერძნამაგში: „ჩვენს დროში თბილისში ცხოვრობდა წარჩინებული ვინმე, კაცი ფრიად ხწავლული, განთქმული მწერალი. როდესაც მე დავიწყე შედგენა ამ სიტყვის კონისა, იგი მაძაგებდა და მკიცხავდა მე. ხოლო რომ დავასრულე, ნახა და მოეწონა, მე ვათხოვე გადასაწერად, მან გადაწერა, მაგრამ ხადაც იყო ჩაწერილი ჩემი სახელი, ამოშალა და მისგან გადაწერილში ჩაეწერა თავისი სახელი, ვითომ მას შეედგინოს“.

პლანი — (უსლ) დაშორებულობის მასშტაბი, ხარისხი. მაგ. უკანა პლანი, წინა პლანი. „ილია ჭავჭავაძე პირველ პლანზე ყოველთვის ადამიანს აყენებს“ (სახკ. სახ-ლო).

პლატონი — (ქსე) ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტური ფილოს-

ოფიის ფუძემდებელი (429-347 წ.წ. ჩვ. ერამდე). ასევე ცნობილია როგორც პოეტი, ჩვენამდე მოაღწია მისმა 25 ეპიგრამამ. „[მეფე გიორგი] ფარსმან სპარსთან ღამეული საუბრების დროს დიდი გულისყურით ისმენდა პლატონის სწავლას სულთა გარდავლენისათვის" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲖᲛᲘ, ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲣᲠᲘ — პლატონისა და მისი მიმდევრების იდეალისტური ფილოსოფია. 2. პლატონური სიყვარული — მხოლოდ სულიერ მისწრაფებებზე დამყარებული, არახორციელი, იდეალური (სიყვარული) 3. რასაც პრაქტიკული მიზნები არა აქვს, გაწყენებული.

ᲞᲚᲔᲐᲓᲐ — (უსლ) {შვიდი ბერძენი პოეტ-ტრაგიკოსის ჯგუფის სახელი} — ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი. „ძველი თაობის პლეადას „ამშვენებს" პავლე დიდებულიძე" (სახკ. სახ-ლო).

ᲞᲝ ᲔᲓᲒᲐᲠ ᲐᲚᲐᲜ (1809-1849) — (ქსე) ამერიკელი მწერალი. დაიბადა მსახიობთა ოჯახში. 2 წლისა დაობლდა, აღზარდა ვირჯინიელმა ვაჭარმა. ლექსების წერა 12 წლისამ დაიწყო. ცნობილი გახდა მოთხრობით „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი". პ.-ს ღრმად ორიგინალური შემოქმედება არსებითად რომანტიკულია. მისი შემოქმედების თავისებურებაა ფანტასტიკურ-კომიკურისა და სერიოზულის შერწყმა. მის შემოქმედებაში დახვეწილი ოსტატობითაა გახსნილი ცხოვრების უაზრობის მძაფრი შეგრძნება, ადამიანური სევდის თემაა ლექსებში: „ყორანი", „ულიალიუმი", „ანაბელ ლი", „ზარები".

საქართველოში პ.-ს შემოქმედებას ადრიდანვე იცნობდნენ. არაერთხელ ითარგმნა მისი ლექსი „ყორანი" (პირველად თარგმნა კაკა-ფშაველამ). პ.-ს შემოქმედებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ცისფერყანწელები. გ. ტაბიძემ რამდენიმე ლექსი მიუძღვნა („საუბარი ედგარზე", „ედგარი მესამედ" და სხვა). მის არაერთ ლექსს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად პ.-ს სტრიქონები.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ [ბერძ.] — (უსლ) 1. სიტყვის საშუალებით აზრის ხატოვნად გამოხატვა; სიტყვიერი შემოქმედება, უპირატესად ლექსების სახით. 2. რიტმულად მოწესრიგებული მეტყველება, ლექსები (პროზისაგან განსხვავებით).3. რომელიმე ხალხის, ეპოქის, საზოგადოებრივი ჯგუფის ლექსთა ერთობლიობა.

ᲞᲝᲔᲛᲐ — (ქეგლ) თხრობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები ლექსად. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲐ [ბერძ.] — (უსლ) 1. მეცნიერება მხატვრული ლიტერატურის შესახებ; ლიტერატურის თეორია; 2. პოეზიის თეორია. 3. რომელიმე პოეტის ან ლიტერატურული მიმართულების მხატვრულ ფორმათა თავისებურებანი.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ — (ქსე) 1. ვისიმე ან რისამე მდგომარეობა, განლაგება. 2. თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხთა შესახებ; მისდამი პრინციპული დამოკიდებულება.

ᲞᲝᲕᲘᲝᲖᲙᲐ — (ქ. მწ.) ოთხთვალა ეტლი.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ [ბერძ.] – (უსლ) კამათი, რაიმე მეცნიერული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას, პაექრობა. „მძაფრი ლიტერატურული პოლემიკის მიუხედავად ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა გრიგოლ ორბელიანის ღვაწლს" (სახკ. სახ-ლი).

ᲞᲝᲚᲘᲒᲚᲝᲢᲘ [ბერძ.] – (უსლ) ბევრი ენის მცოდნე.

ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲐ [ბერძ.] – (უსლ) ტექნიკის დარგი, მრეწველობა, რომელიც მოიცავს ბეჭდვითი პროდუქციის წარმოების ყველა სახეობას.

ᲞᲝᲚᲘᲗᲔᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] – (უსლ) რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს, მრავალღმერთიანობა (მონოთეიზმის საპირისპირო).

ᲞᲝᲚᲘᲤᲔᲛᲘ – (მით.) ცალთვალა ციკლოპი. ცხოვრობდა ფარასთან ერთად გამოქვაბულში. ოდისევსმა იგი დაათრო და შემდეგ მუგუზლით ამოსწვა ერთადერთი თვალი „გულმხეცი პოლიფემე" („ოდისევსის მოგზაურობიდან"). (გადატ.) „ათასთვალა პოლიფემის ნათელი მისდგომია ზედაზენის მთას, რომელიც დემონების საუფლოდ მიაჩნდათ ძველ იბერიელებს ოდესღაც" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს. – შესავალი).

ᲞᲝᲚᲘᲤᲝᲜᲘᲐ – (უსლ) რამდენიმე ხმის ერთდროული შეხამება ვოკალურ ან ინსტრუმენტულ ნაწარმოებში; მრავალხმიანობა. (გადატ.) „დიდოსტატის მარჯვენას" მსჭვალავს ლაიტმოტივთა პოლიფონიური სტრუქტურა" (ქ.ს.მ.ა. – ს. სიგ.).

ᲞᲝᲚᲝᲢᲘᲙᲜᲘ – (ქეგლ) მკერდზე და იღლიებში ამოსაკრავი რკინის (ფოლადის) ნაჭერი. „სარდაფში კედლებზე ეკიდა თორები და ზუჩები, ჯავშანები, უნაგირები, საბარკულენი, სამკლავენი, პოლოტიკნი და ბექთარნი („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲞᲝᲛᲞᲔᲖᲣᲠᲘ [ფრ.] – (უსლ) ზარზეიმის ხასიათისა, ეფექტისათვის გამიზნული. მაგ. პომპეზური მიღება. „[ნიკო ლორთქიფანიძე] გაურბოდა რეკლამას და პომპეზურ საღამოებს" (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ [ლათ.] – (უსლ) ვინც ან რაც საყოველთაო პატივისცემით, მოწონებით სარგებლობს, რასაც ან ვისაც ბევრი უჭერს მხარს, ფართოდ ცნობილი, ფართოდ გავრცელებული.

ᲞᲝᲠᲢᲝ-ᲤᲠᲐᲜᲙᲝ [იტალ.] – (უსლ) ფრანკო – თავისუფალი ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ნებადართულია საქონლის შეტანა და გატანა უბაჟოდ (თავისუფალი ეკონომიკური ზონა).

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ [ფრ.] – (უსლ) 1. გარკვეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ან ფოტოგრაფიული გამოსახულება; 2. პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ლიტერატურულ ნაწარმოებში; 3. (გადატ.) პიროვნების დახასიათება, აღწერა.

ᲞᲝᲠᲤᲘᲠᲘ [ბერძ.] – (ქეგლ) წითელი ფერის ძვირფასი სამეფო წამოსასხამი (მეფის ძალაუფლების სიმბოლო), ძოწეული. სისხლისფერობა. „მოასწა-

გებს მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსელთ რათა დასთხიონ სისხლი მათი, გითარცა, ქრისტემან ერისათვის" (საბა).

პოსტსკრიპტუმი [ლათ.] — (უსლ) მინაწერი წერილის ბოლოს, ხელმოწერის შემდეგ. ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასოებით P.S.

პოტენცია — (ქეგლ) ფარული შესაძლებლობა, უნარი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში. შემოქმედებითი პოტენცია. „სიტყვაში ენის სიღრმისეული პოტენცია გამოაშკარავდება" (ს. სიგ.).

პოსიერება — (ქ. მწ.) სიმსუქნე, ნოყიერება.

პრაგმატიზმი — (უსლ) 1. „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა (და არა ობიექტურ ჭეშმარიტებას); 2. ერთგვარი მიმართულება ისტორიის მეცნიერებაში; იფარგლება ამბების გადმოცემით და არ ხსნის ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონებს. „გულგრილობა კი ადამიანთა შორის პრაგმატიზმზე, გამოყენებით დამოკიდებულებებზე აგებულ ურთიერთობას შობს" (ნ. გრიგ. წ. I).

პრეზენტაცია [ლათ.] — (უსლ) წარდგენა, წარმოდგენა.

პრეზიდენტი — (უსლ) 1. ზოგი რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაური, არჩეული გარკვეული ვადით; 2. თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია ზოგი დიდი დაწესებულების ან საზოგადოების ხელმძღვანელად.

პრეისტორია — (უსლ) საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებ წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება; წინაისტორია, პრეისტორიული ხანა.

პრელუდია — (უსლ) 1. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი. 2. (გადატ.) რისამე დასაწყისი, შესავალი.

პრემიერა — (უსლ) პირველი წარმოდგენა თეატრალური პიესისა, ოპერისა, ბალეტისა.

პრესტიჟი — (ქეგლ) გავლენა, ავტორიტეტი, ნდობა.

პრიანება — (ქ. მწ.) ნდომა. „ზოგი ორმოში ნადირობს, ზოგიც — ტყეში, გააჩნია, ვის როგორ ეპრიანება, ბატონო" („დიდოსტატის მარჯვენა" - კ. გამს.).

პრივილეგია — (ქეგლ) განსაკუთრებული უფლება, შეღავათი, უპირატესობა.

პრიმიტიული — (უსლ) (თავდაპირველი, პირველყოფილი) 1. ადამიანთა საზოგადოების ადრეულ საფეხურებთან დაკავშირებული, პირველყოფილი. 2. მარტივი, არართული; 3. ნაკლებად განათლებული, ნაკლებად კულტურული. „მაღალი მთებისა და პრიმიტიული ყოფის გარემოცვაში ჯაყომ გაატარა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი" (სახკ. სახ-ლო).

პრიორიტეტი [გერმ.] — (ქეგლ) პირველობა რისამე აღმოჩენაში, გამოგონებაში, რაიმე იდეის ჩამოყალიბებაში.

პრინცესა [ფრ.] – (უსლ) დასავლეთ ევროპაში: მეფის ქალიშვილის ან პრინცის მეუღლის ტიტული.

პრინცი – დას. ევროპაში სამეფო სახლის წევრის ან მთავრის ტიტული, უფლისწული.

პრინციპი – (ქეგლ) 1. რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების და მისთანა ძირითადი ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო დებულება. 2. მოქმედების, ქცევის ძირითადი წესი, რწმენა, თვალსაზრისი.

პრისტავი [რუს.] – (ქეგლ) ბოქაული.

პრჭე – (ქეგლ) იხ. ბრჭე. ღვინის ობი.

პრობლემა [ბერძ.] – (ქეგლ) რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს გარკვევას, შესწავლას. პრობლემატიკა – ასეთ საკითხთა ერთობლიობა. „ჯაყოს ხიზნების“ – პრობლემატიკა.

პროგრესი, პროგრესული – (ქეგლ) წინსვლა, აღმავლობა. „პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლები საზოგადოებას მოუწოდებდნენ უკეთესი მერმისისკენ“ (ხანკ. ხან-ლო).

პროვინცია – (ქეგლ) დედაქალაქს, ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებული ადგილი, კუთხე. ძვ. რომაელები ასე უწოდებდნენ ამა თუ იმ ხალხის დაპყრობილ ტერიტორიას, რომელსაც რომაელი მოხელე მართავდა. „საქართველოსათვის წართმეული პროვინციების დაბრუნების წადილმა ბიზანტიასთან რჯულის ერთობა დაავიწყა გიორგის“ („დიდოსტატის მარჯვენა“ - კ. გამს.).

პროვინციალიზმი – (ქეგლ) იგივეა, რაც დიალექტიზმი, ჩამორჩენილობა, შეზღუდულობა.

პროზა – (უსლ) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თავისუფალს, პირდაპირს. თხრობითი, გაულექსავი ლიტერატურა (რომანი, მოთხრობა და მისთ.).

პროთეზი [ლათ.] (უსლ) სხეულის ხელოვნური ნაწილი (ხელი, ფეხი და სხვა).

პროკლამაცია – (უსლ) 1. სააგიტაციო ფურცელი, მოწმობა პოლიტიკური ხასიათისა. „(მონასტერში ჩხრეკის დროს) ჭერში პროკლამაციები და კრიპტოგრაფიული წერილები იპოვეს“ („არსენა მარაბდელი“ – მ. ჯავახ.).

პროკრუსტეს სარეცელი – (უსლ) იტყვიან ხელოვნურ საზომზე, რომელსაც ნაძალადევად უყენებენ ამა თუ იმ მოვლენას (ბერძ. მითოლ. ყაჩაღ პროკრუსტეს სახელის მიხედვით. ა. თავისთან იტყუებდა მგზავრებს დააწვენდა სარეცელზე, ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, მას ფეხებს აჭრიდა, ვინც მოკლე – ფეხებს უჭიმავდა.

პროლეტარი [ლათ.] – (უსლ) 1. კაპიტალისტურ საზოგადოებაში: დაქირავებული მუშა, რომელსაც წარმოების საშუალებანი არ გააჩნია; 2. ძველ რომში: მოქალაქე, ღატაკთა წოდების წარმომადგენელი.

პროლეტარიატი {გერ.} – (უსლ) პროლეტარიის კლასი, კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი კლასიდან ერთ-ერთი კლასი ბურჟუაზიის

მიერ ექსპლუატირებული მუშებისა, რომლებიც მოკლებული არიან წარმოების საშუალებებს და იძულებულნი არიან მიჰყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა ბურჟუაზიას. „ახპარეზზე გამოვიდა რევოლუციური კლასი – პროლეტარიატი" (სახკ. სახ-ლო).

ᲞᲠᲝᲚᲝᲒᲘ – (ქსე) ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი, რომელიც სიუჟეტის ნაწილს არ წარმოადგენს და მოქმედების განვითარებასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. მასში გადმოცემულია გარკვეული თვალსაზრისი ნაწარმოებში წარმოსახული მოვლენების, მოქმედი პირების თუ ავტორის მიზანდასახულობის შესახებ. გვხვდება ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებში. აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", გოეთეს „ფაუსტს", სერვანტესის „დონ კიხოტს" და სხვა.

ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔ – (უსლ) წინდახედული, წინასწარმეტყველი, შორსმჭვრეტელი. ბერძ. მითოლოგიაში: ტიტანი, რომელმაც ოლიმპოდან მოიტაცა ცეცხლი და ასწავლა ხალხს მისი გამოყენება; დასასჯელად ზევსმა მიაჯაჭვა იგი კლდეზე კავკასიაში; მას ყოველდღე არწივი უძიძგნიდა ღვიძლს, რომელიც ღამით კვლავ უმრთელდებოდა; გაათავისუფლა ჰერაკლემ (ქართულ ფოლკლორში შეესაბამება ამირანი. მიჯაჭვული ამირანის პოეტური სახე) გამოთქმა „პრომეთეს ცეცხლი" აღნიშნავს დიადისა და ძვირფასისაკენ მისწრაფებას, ხოლო სახელი „პრომეთე" – დიდს, ძლიერსა და განსაკუთრებულს.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ [ლათ.] – (უსლ) რაიმე იდეის მოძღვრების, ცოდნის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით. ფართო მასებზე იდეური ზემოქმედება.

ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ [ლათ.] – (უსლ) 1. ქალაქის დიდი, განიერი და სწორი ქუჩა; 2. რაიმე გამოსაცემი წიგნის (სამეცნიერო სახელწოდება სხვ.) შინაარსი. დაწვრილებითი გეგმა.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ – (უსლ) საერთო სახელწოდება სხვადასხვა ქრისტიანული სარწმუნოებისა (ლუთერიანობისა, კალვინიზმისა და სხვ.), რომელიც წარმოიშვა ევროპაში XVI ს. რეფორმაციის დროს, როგორც პროტესტი კათოლიციზმის წინააღმდეგ.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ [გერმ.] – (უსლ) რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების გამოხატვა. „პოეტი [ალ. ჭავჭავაძე] პროტესტს აცხადებს ამგვარი ტირანი მეფეების წინააღმდეგ" (სახკ. სახ-ლო).

ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ [ინგლ.] – (უსლ) სახელმწიფოთა დამოკიდებულების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დაიმორჩილოს უფრო სუსტი. „საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა შესულიყო". ზოგიერთი მეცნიერის აზრით ასეთი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 1783 წლის ხელშეკრულებით (ქსე).

ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲘ [ბერძ. – პირველსახე] – (ქსე) რეალური პიროვნება, ან ლი-

ტერატურული პერსონაჟი, რომელიც საფუძვლად უდევს მხატვრული სახის, ტიპის შექმნას. ცნობილია მაგ. ეგნ. ნინოშვილის, გ. ერისთავის, მ. ჯავახიშვილის, ლეო ქიაჩელისა და სხვათა მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, რომლებიც რეალურ თუ ლიტერატურულ პროტოტიპებს ემყარებიან „ერისთავის კომედიის გმირთა პროტოტიპები მწერლის ახლო ნაცნობი ადამიანები იყვნენ" (სახკ. სახ-ლო). მ. ჯავახიშვილის არსენა მარაბდელის პროტოტიპია ბაგრატ ბურნაძე – მწერლის ბიძაშვილი.

პროფანირებული [ლათ.] – (უსლ) უპატიური, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის (მაგ. იდეის, მოძღვრების, ხელოვნების ძეგლის და სხვა) მიმართ, მისი დამახინჯება, შებღალვა. „გ. ტაბიძემ დახძლია ეპიგონთა მიერ უმოწყალოდ პროფანირებული რეალისტური პოეტიკა და მას ხამყაროს ახალი, რომანტიკული ხედვა დაუპირისპირა" (გ. ასათ.).

პროფესორი [ლათ.] – (უსლ) სამეცნიერო წოდება, რომელსაც ანიჭებენ უმაღლესი სასწავლებლის ყველაზე უფრო კვალიფიციურ მასწავლებლებს (აგრეთვე მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას).

პროფილი {ფრ.}– (უსლ) 1. სახის ან საგნის გამოსახულება შესახედაობა გვერდიდან (2.3.) 4. პროფესიის, სპეციალობის, მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა; საქმიანობის მიმართულება, ხასიათი (პროფილირებული სწავლება).

პტოლომეე კლავდიოს, პტოლომეოსი (II საუკ.) – (ქსე) ძველი ბერძენი მეცნიერი. შეიმუშავა ე.წ. გეოცენტრული სამყაროს სისტემა. ცხოვრობდა ალექსანდრიაში. ძირითადი ნაშრომებია: მ წიგნად, „მეფეთა ქრონოლოგიური კანონი", 5-ტომიანი ოპტიკის შესახებ და სხვა. ალ. ქაჯქაგაძე – „ჩემი ქვეყანა პტოლომეს დროს აყვავებული." აქ გადატ. ძველ ელინისტურ ხანას აღნიშნავს.

პუბლიცისტი – (ქეგლ) მწერალი, რომელიც პუბლიცისტურ წერილებს წერს. პუბლიცისტიკა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.

პუგაჩოვი ემელიანე ივანეს ძე (1742-1775) – (ქსე) რუს გლეხთა ამბოხების გამოჩენილი მეთაური. „პუგაჩოვი განდათ-მეთქი – ყვიროდა კოჭლი რუსი" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.).

პურიზმი – (ქსე) ენაში შემოსული უცხო სიტყვათა (უფრო ნეოლოგიზმების) უკუგდება და მათი შეცვლა დედანის ხელოვნურად გაცოცხლებული (ან შეთხზული) სიტყვებით. ეს მისწრაფება ენის „გაეროვნულებისაკენ" ზოგჯერ ყოველგვარი ენობრივი ნასესხობის გაუმართლებელ უარყოფამდე მიდის. ენაში ახალი საერთაშორისო ტერმინების შემოსვლა ენის ბუნებრივ განვითარებას არ ეწინააღმდეგება და ენის „დანაგვიანებას" არ წარმოადგენს. პ.-ის ნიმუშებია ქართულში გვადრუცი (ჩემოდანი), სატუცავი (კალოში),

რონოდა (ვაგონი), წვრილმადიდი (მიკროსკოპი), ანგარანი (კანტორა), ჩალათა (კონცერტი), გლარჯმილა (პაპიროსი).

პურიტანი (ინგ. — წმინდა) — (უსლ) XVI–XVII ს. ს. მონაწილე ინგლისის ბურჟუაზიის რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ინგლისის ეკლესიის განწმენდას კათოლიკების ნაშთებისაგან. ადამიანი, რომელიც მკაცრად იცავს ზნეობას.

პუშკინი ალექსანდრე სერგეის ძე (1799-1837) — (ქსე) რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი. მამა იმხანად გაღარიბებული აზნაური სერგეი ლევის ძე ძველი სახელოვანი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო; დედა — ნადეჟდა ოსიპის ასული — პეტრე I-ის აღზრდილის აბრამ ჰანიბალის შვილიშვილი იყო. სწავლობდა ცარსკოე სელოს ახლად გახსნილ ლიცეუმში. მეგობრობდა დეკაბრისტებთან. ლიცეუმში სწავლისას დაწერა 120-მდე რომანი, ელეგია, ოდა, ბალადა, ეპიგრამა.

პ—ის ლექსები: „თავისუფლება", „ჩაადაევს", „ზღაპრები", „სოფელი" სწრაფად გავრცელდა ხელნაწერის სახით. პოემა „რუსლანი და ლუდმილა", „სამხრეთული პოემები" („კავკასიის ტყვე", „ბახჩისარაის შადრევანი", „ყაჩაღი ძმები"), პოემა — „ბოშები", ტრაგედია — „ბორის გოდუნოვი", რომანი — „პეტრე დიდის ზანგი", პოემა — „პოლტავა"; ლექსები: „წინასწარმეტყველი", „პოეტი", „პოეტი და ბრბო", პოემა „ევგენი ონეგინი"", „ბელკინის მოთხრობები", „სადგურის ზედამხედველი", „მეკუბოვე", „პატარა ტრაგედიები" („ძუნწი რაინდი", „ქვის სტუმარი", „მოცარტი და სალიერი", „ლხინი ჟამიანობის დროს"), პოემა „ბრინჯაოს მხედარი", „კაპიტნის ქალიშვილი"; ზღაპრები: „სალთან მეფის ზღაპარი", მებადურისა და ოქროს თევზის ამბავი", „ოქროს მამლის" შესახებ. სიცოცხლის მიწურულს მან სევდიან განცდებთან ერთად გადმოგვეცა თავისი პოეტური უკვდავება ლექსში „ძეგლი აღვიგე ხელთუქმნელი, მარადიული".

1829 წ. 27 მაისს თბილისში ჩამოვიდა სამხედრო გზით. სამ კვირამდე დაჰყო, გაეცნო საქართველოს ბუნებას, ისტორიას, კულტურას — ნარკვევში „მოგზაურობა არზრუმში" პ-მა გააკრიტიკა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, თანაგრძნობით ასახა ქართველ გლეხთა სილატაკე, ქართველთა „გონებრივ ნიჭს" დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

საქართველოს უძღვნა ლექსები: „საქართველოს მთებზე", „მონასტერი ყაზბეგზე", „კავკასიონი", „ზვავი". პ.-ის პოეზიამ პოეტის სიცოცხლეშივე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში. მისი ლექსები თარგმნეს ალ. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ს. რაზმაძემ, ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, რ. ერისთავმა, აგრეთვე ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, გ. გაფრინდაშვილმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პ.-ის შთამომავალთა ერთი შტო (გვარად სვანიძე) ცხოვრობს საქართველოში. პ. გარდაიცვალა დუელით მისი ცოლის

ნატალია გონჩაროვას თაყვანისმცემელ ოფიცერთან — დანტესთან.

პუტჩი — (უსლ) შეთქმულთა ჯგუფის ავანტიურისტული ცდა, მოახდინოს სახელმწიფო გადატრიალება.

პწკარედი — (ქეგლ) პწკარების (სტრიქონების) მიხედვით, სიტყვასიტყვითი თარგმანი რაიმე ტექსტისა. „ვახტანგ VI-ის თარგმანი ერთგვარ პწკარედს წარმოადგენს" (სახკ. სახ-ლო).

ჟ

ჟალტამი — (ქეგლ) იგივეა, რაც შამბი. „დაფენილი, თითქო ომში/ფშანია თუ ჟალტამა,/ველად ყრია ლურჯი კომში/და ციხფერი ატამი" („ომნიბუსით" — გ. ტაბ.).

ჟამთააღმწერელი — (ქეგლ) ისტორიული ამბების აღმწერი, მემატიანე.

ჟამი — (ქეგლ) 1. დრო, ხანი, „ჟამის მანძილიდან გაჰყურებდა არსაკიძე ტაძარს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). 2. შავი ჭირი, ეპიდემია „ჟამმა იფეთქა". „შინაური ომები სძაგდა ჟამის დღესავით მეფეებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჟამნი — (ქეგლ) ზოგი საეკლესიო ლოცვის (მწუხრის, ცისკრის და სხვა) კრებული. „[კოლონკელიძე] დილასა და საღამოს ჟამნს აკითხებდა და თავადაც იზეპირებდა ფსალმუნს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჟამობა — (ქ. მწ.) ლოცვა, გალობა, ჟამის წირვა. ხმოვნებით თქმა (ლოცვებისა)

ჟანდარმი, ჟანდარმერია — (უსლ) ბურჟუაზიულ ქვეყნებში განსაკუთრებული პოლიციური რაზმები რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად.

ჟანა დ'არკი — (ქსე) ორლეანელი ქალწული, საფრანგეთის სახალხო გმირი, რომელიც ასწლიანი ომის დროს ხელმძღვანელობდა ფრანგი ხალხის ეროვნ. განმათავ. ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. დაიბადა გლეხის ოჯახში. ფანატიკურად მორწმუნე ჟ.დ.-მა თავისი ჭკუითა და მოსაზრებულობით მეფის ნდობა დაიმსახურა და დაინიშნა საფრანგეთის ჯარების სარდლად. მან შეაღწია ინგლისელებით გარემოცულ ორლეანში და რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებით აიძულა ინგლისელები, პოზიციები დაეთმოთ. ჟ.დ.-მა ბრძოლაში საბოლოოდ გაანადგურა ინგლისელთა არმია. მეფე, არისტოკრატია და სამღვდელოება შეაშინა ჟ.დ.-ის პოპულარობამ; იგი ღალატით ჩაიგდეს ხელში და დიდი თანხის ფასად მიჰყიდეს ინგლისელებს. 1432 წ. საეკლესიო-სასამართლო პროცესზე ჟ. დ. „ჯადოქრად" და „მწვალებლად" ცნეს და ქ. რუანის ძველი ბაზრის მოედანზე კოცონზე დაწვეს. 1456 წ. კი რეაბილიტებულად გამოცხადდა, ხოლო

1920 წ. კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსოვნის დღე — 8 მაისი არის საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული.

ᲟᲐᲜᲠᲘ (გვარი, სახე) — (ლიტ. თეორ.) მხატვრული ნაწარმოების აგებულების სპეციფიკური ფორმა ლიტერატურაში, ხალხურ სიტყვიერებაში, ხელოვნებაში საერთოდ. ლიტერატურაში ცნობილია სამი ძირითადი ჟ. (გვარი): ეპოსი, დრამა, ლირიკა. თითოეული მათგანი იყოფა ჟ-ად. მაგ. ეპოსი წარმოდგენილია შემდეგი ჟ.-ბით, რომანი, მოთხრობა, ნოველა, ეპოპეა და სხვა. დრამატული გვარის ჟ-ბია კომედია, ტრაგედია, საკუთრივ დრამა. ლირიკის ჟ.-ბია: ჰიმნი, ელეგია, ოდა, ეპიგრამა და სხვა.

ცალკეულ ჟ.-ს აქვს თავისი სახეობა. მაგ., რომანის სახეებია: ისტორიული რომანი, სოციალური რომანი, სათავგადასავლო რომანი და ა. შ. დრამის სახეებია: ვოდევილი, ფარსი, ინტერმედია. გარდა ამისა დრამა შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, ლირიკული. ლირიკული ჟ.-იც იყოფა სახეებად: ეპიგრამა, ეპითალამა, ელეგია, ჰიმნი და სხვა.

მხატვრობის ჟ.-ია პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ყოფითი და ბატალური სურათები, მონუმენტური ფერწერა, ილუსტრაცია, გრაფიკა, ოფორტი, გრავიურა ლითონსა და ხეზე, ლითოგრაფია ქვაზე და სხვა. ასე, რომ გვარი ფართო ცნებაა და ჟანრი მასში შედის. სახე ჟ.-ის შემადგენელი ნაწილია. ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, კინოს, სასცენო ხელოვნების ყველა დარგს თავისი ჟ. აქვს.

ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ — (ლიტ. თეორ.) განსხვავება საერთო-სახალხო ეროვნული ენისა, თავისებური სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც ხმარობს საზოგადოების ესა თუ ის ფენა: არისტოკრატია, ბურჟუაზია, გლეხობა, ან პროფესიული ჯგუფი: ბაზრის მოვაჭრეები, ქურდები. ჟ. მხატვრულ ლიტ-ში იხმარება გმირის ენის თავისებურების გადმოსაცემად, მაგ., გ. ერისთავის კომედიების გმირებისათვის. ჟ.-ის უხვად გამოყენება მიუღებელია, იგი ანაგვიანებს სიტყვაკაზმულ მწერლობას, ლიტერატურულ ენას.

ჟ.-ს ზოგჯერ საიდუმლო ენასაც უწოდებენ, რომელსაც ქურდები, ხელოსნები, ბანდიტები ხშირად ხმარობენ ჩადენილი სიავის დასაფარავად. პირობითი ენა, რომელიც გასაგებია მხოლოდ გარკვეული ჯგუფისათვის; „რეაქციული წრეები მიისწრაფოდნენ ლიტერატურაში განემტკიცებინათ თავიანთი ხალიონური ჟარგონი" (სახკ. სახ-ლით).

ᲟᲔᲡᲢᲘ — (ქეგლ) ხელის გამომხატველობითი მოძრაობა (ჩვეულებრივი მეტყველებისას). ჟესტიკულაცია — ჟესტების გამოყენება ლაპარაკში, მეტყველებაში. „ახალგაზრდა ლექტორმა ნიკო ლორთქიფანიძეს დაცინვით ხახუა ეჩუქებინა მიხეილს ხანჯალი, რომელსაც ხელში ათამაშებდა. ეს ჟესტი საკმარისი აღმოჩნდა დუელისათვის. (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲟᲘᲣᲠᲘ — (ქეგლ) სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე, გამოფენასა და მისთ. პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად.

ᲟᲝᲜᲒᲚᲘᲝᲠᲘ — (უსლ) ცირკის მსა-

ხიობი, რომელიც მარჯვედ ათამაშებს ერთდროულად რამდენიმე საგანს.

ჟორდანია თედო დავითის ძე (1854-1914)— (ქსე) ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სას. სემინარია და მოსკოვის სას. აკადემია. იყო თბილისის სას. სასწავლებლის პედაგოგი, საეკლესიო მუზეუმების გამგე, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების მეთვალყურე, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსების ინსპექტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი, საეკლესიო-საარქეოლოგიო საბჭოს წევრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი.

ჟ.-მ ამაგი დასდო ძვ. ქართული მწერლობის შესწავლას. იკვლევდა მიქაელ მოდრეკილის, არსენ დიდი საფარელის, მამუკა თავაქალაშვილის, იოსებ თბილელის, თეიმურაზ I-ისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ქართული ბიბლიის წარმოშობას, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს. მნიშვნელოვანია ჟ.-ს „დავით გურამიშვილი და მისი დრო“, „ანტონ I — საქართველოს კათალიკოსი, ვლადიმირისა და იაროსლავის არქიეპისკოპოსი“, „ქართული გრამატიკა“ და სხვა.

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1869-1953) — (ქსე) სოციალ-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი. დაამთავრა თბილისის სას. სემინარია, სწავლობდა ვარშავის ვეტერინ. ინსტიტუტში, იყო „მესამე დასის“ დამფუძნებელი, წევრი (ფსევდ.: „კოსტრომი“, „ანი“, „ნარი“, „ნარიძე“ და სხვა).

ჟ. აღიარებდა ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ეკონომიკურ წინააღმდეგობებს, მაგრამ არ სცნობდა პროლეტარულ რევოლუციას და პროლეტარული დიქტატურის აუცილებლობას. იყო გაზეთ „კვალის“ რედაქტორი. რსდმპ II ყრილობაზე სათათბირო ხმით ისკრელთა უმცირესობას მიემხრო და კავკასიის მენშევიკების ლიდერი გახდა. „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ შექმნის იდეას უჭერდა მხარს და მასში ხედავდა ეროვნული საკითხის გადაჭრის გზას, არ სცნობდა ერთა თვითგამორკვევას, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლებას. უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი მეთაურის, საქართველოს ისტორიული წარსულის მიმართ. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მხარი დაუჭირა საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებას. 1918-1921 წ.წ. იყო მენშევიკური საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წ. მარტიდან — ემიგრანტი. ცხოვრობდა საფრანგეთში. ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, მონაწილეობდა საქართველოში 1924 წ. მენშევიკური ამბოხების მომზადებაში. „გაგიმარჯოს
ჟორდანიას მთავრობასა! — გაჰკიოდა წარამარა ჯაყო“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

ჟღალი — (ქეგლ) შავ-მოწითალო (ფერი). ჟ. ჩოხა; 2. შავ-თეთრი, მუქი ნაცრისფერი//ჭაღარა თმაში. „მოულოდნელად შეუჟღალდა ხაფეთქლები კოლონკელიძეს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ - კ. გამს.).

რა – (უსლ) ეგვიპტურ მითოლოგიაში მზის ღმერთი – სამყაროს, ადამიანებისა და ღმერთების შემქმნელი.

რაბინი – (უსლ) ებრაული კულტურის მსახური, მოძღვარი, აღჭურვილი რელიგიური, სასამართლო და აღმზრდელობითი ფუნქციებით.

რადიანი შალვა – (ქსე) ნამდვილი გვარი – შეწირული) ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგ. ფაკ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა რედაქციებში, ეწეოდა თსუ-ში პედაგოგიურ მოღვაწეობას – კითხულობდა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს. იყო ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე და შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-ის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. რ. ავტორია მრავალი სამეცნიერო და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომისა. ძირითადი გამოკვლევებია: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა", „ლიტერატურული პორტრეტები", „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები", „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი", „ახალი ქართული ლიტერატურა", „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა", „სახეები და შთაბეჭდილებანი" და სხვა. რ.-ის რედაქციით გამოიცა ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებათა კრებულები ქართულ და რუსულ ენებზე. იყო ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. მათ შორის აღსანიშნავია „ქართული ლიტერატურის ისტორია" (რუსულ ენაზე).

რადიკალიზმი, რადიკალური – (უსლ) 1. ძირეული გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას. რადიკალი – 1. „ხევისთავი უკიდურესად რადიკალი და ხალხოსანი იყო" („ჯაყოს ხიზნები"– მ. ჯავახ.). „1832 წლის შეთქმულთა რადიკალური ნაწილი საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის შემოღებას ფიქრობდა" (სახკ. სახ-ლი).

რაზა – (ქეგლ) კარის, ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცმევა კოჭაკს.

რაზიკაშვილი თედო პავლეს ძე – (ქსე) ქართველი მწერალი, ვაჟა-ფშაველას და ბაჩანას ძმა. დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია. იგი ხელთუბნის სკოლის მასწავლებელი იყო. 1905 წ. რევოლუც. საქმიანობისათვის სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მანიფესტმა მიუსწრო. გადაუწვეს სახლკარი. ერთხანს ფშავში იმალებოდა, ვერაგულად მოკლეს ხალხის მტრებმა.

1890 წ-დან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა რ-ის ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები და სხვა. განიცადა ხალხოსნების გავლენას, მაგრამ როგორც მწერალი აღიზარდა სამოციანელების, განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების პრინციპებზე. მის ნაწარმოებებში ჩაქსოვილია სამოციანელთა პროგრესული იდეები, პატრიოტიზმი, ადამიანის რაობა და მისი

ამქვეყნიური დანიშნულება, განსაკუთრებით პოპულარულია საბავშვო მოთხრობები, რომელიც ჰუმანიზმითა და და პატრიოტიზმით, ჩაგრულისადმი თანაგრძნობითაა გამსჭვალული („ნიბლია", „იის ამბავი", „გარიელა" „ფითრი", „მონადირე", „ქორის ბახალა"). რ. ხალხური სიტყვიერების შემგროვებელი იყო. შეკრიბა 3000-ზე მეტი ზღაპარი, ლეგენდა და სხვა. შეადგინა ხალხური ლექსიკონი.

რაზიკაშვილი ნიკო პავლეს ძე — იხ. ბაჩანა.

რაინდი — (ქეგლ) 1. უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილური, დიდსულოვანი ადამიანი (მამაკაცი). 2. უშიშარი, გმირი, თავდადებული მებრძოლი. 3.მიჯნური, სატრფო. 4.ფეოდალიზმის დროს სამხედრო-თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელი. მძიმედ აღჭურვილი მხედარი. „გირშელიც განხაცდელის მოყვარული იყო ბუნებით, მუდამ ხაფრთხე ენატრებოდა რაინდს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

რაინდობა — (ქსე) სამხედრო მსახურეული ფენა შუა საუკუნეების დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. რ.-ს მიეკუთვნება ყველა საერო ფეოდალი, მაგრამ უმთავრესად ის მაინც წვრილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. რ. პირველად იხსენიება X ს. ბოლოს. რ-ის ფეოდ. დიდკაცების ვასალები იყვნენ. ფეოდ. დაქსაქსულობის გაძლიერება ხელს უწყობდა რაინდთა უფლებების ზრდას, მათი პრივილეგიების განმტკიცებას. განსხვავება დიდკაცობასა და რ-ს შორის თანდათან ქრებოდა. XII ს. საერო ფეოდალების გარდა რ-ში შედიოდნენ რაინდულ სასულ. ორდენებში გაერთიანებული სას. ფეოდალებიც. რ., ჩვეულებრივ, ფეოდის (მიწის ნაკვეთის) მფლობელი უნდა ყოფილიყო. ეს განსაზღვრავდა რაინდთა მატერ. უზრუნველყოფას, შესაძლებლობას ჰქონდათ სალაშქრო ცხენები და რაინდის შესაფერი შეიარაღება (მახვილი, ფარი, მუზარადი და სხვა.)

რაინდთა მთავარ საქმიანობას ომებში მონაწილეობა შეადგენდა, ომებს შორის რაინდები ე. წ. ტურნირებში (რაინდული ასპარეზობანი) მონაწილეობდნენ. ცეცხლმსროლელი იარაღის გამოგონებამ გააქარწყლა რაინდების, როგორც მთავარი საომარი ძალის, მნიშვნელობა („ამირანდარეჯანიანი", „ვეფხისტყაოსანი").

რამაზანი, რამადანი — (ქსე) მუსლიმანური კალენდრის (ჰიჯრის) მეცხრე თვე. ისლამის დოგმის მიხედვით ამ თვეში იქნა „ზეგარდმოვლენილი" ყურანი. რ-ში მუსლიმანებმა მარხვა უნდა დაიცვან, მზის ამოსასვლიდან მზის ჩასვლამდე იკრძალება ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა, კეთილსურნელებათა ყნოსვა, რაიმე სიამოვნების მიღება.

რამი — (უსლ) მცენარე (მალაიური) ჭინჭრისებრთა ოჯახისა; გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში. და სხვა. მოჰყავთ ჩვენშიც; ბოჭკოს იყენებენ საფეიქრო, ფეხსაცმლისა და სხვა წარმოებაში.

რანგი {ფრ.} — (ქეგლ) ხარისხი, თანრიგი, წოდება.

რანთა, რანნი — XI ს. 20-იან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III (1010-1037) დიდმა დაიპყრო ჰერეთის (იხ. ჰერეთი) სამეფო, რითაც დასრულდა კახეთ-ჰერეთის შერწყმის პროცესი. ამიერიდან ჰერეთის სამეფომ შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და მოექცა ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის „რანთა და კახთა" სამეფოს შემადგენლობაში. ამის შემდგომ ჰერეთი მოიხსენიება როგორც რანთა სამეფო. მაგ. დავით აღმაშენებლის ტიტული ასეთი იყო: მეფე აფხაზთა, რანთა, კახთა...

რარიტეტები — (უსლ) ძალიან იშვიათი ნივთი (სამუზეუმო ექსპონატი, ძველი წიგნი). „ისტორიული რარიტეტები".

რასა — (ქეგლ) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფია, რომელიც გაერთიანებულია საერთო წარმოშობით. სხეულის აგებულების ერთნაირი, მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშნებით (კანის, თვალის, თმის ფერით, თავის მოყვანილობით და სხვა).

რასიზმი — (ქეგლ) ანტიმეცნიერული თეორია და რეაქციული პოლიტიკა, რომელიც ამტკიცებს — თითქოს ისტორიული აუცილებლობა იყოს „მაღალი", „სრულფასოვანი" რასების ბატონობა „დაბალ", „არასრულფასოვან" რასებზე.

რასპუტინი გრიგოლ (ნოვიხი) — (ქსე) იმპერატორ ნიკოლოზ მეორისა და მისი მეუღლის ალექსანდრას ფავორიტი. ავანტიურისტი. დაიბადა გლეხის ოჯახში. სექტანტებს მიემხრო და თავაშვებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი, რის გამოც რასპუტინი შეარქვეს. გამოჩნდა როგორც „წინასწარმეტყველი" და „წმინდა ბერი". არისტოკრატიულ წრეებშიც შეაღწია. მან შთააგონა იმპერატორი და მისი მეუღლე, რომ ლოცვით შეეძლო მოერჩინა ჰემოფილიით დაავადებული უფლისწული ალექსი და დაეცვა ნიკოლოზ II-ის მეფობა. განუსაზღვრელ გავლენას მიაღწია. თაყვანისმცემელი ქალებით გარემოცულმა ერთტომანეთა მთელს რუსეთში გაითქვა სახელი გარყვნილობით. მოკლეს, რათა ეხსნათ სახელმწიფო მისი დამღუპველი გავლენისაგან. „[თეიმურაზს] რასპუტინი გაახსენდა — ბნელი, მურდალი, ჭუჭყიანი და ხალიხი გრიშკა" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

რაყამი — (ქსე) (ძვ.) შაჰის სიგელი, წერილი, ბრძანებულება. ტერმინი XVII-XVIII ს. ს. შემოვიდა. „რაყამის საქმით" საქართველოში მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, რაც ქვეყნის ვასალური დამოკიდებულების შედეგი და გამოხატულება იყო. „ყეენის ხასხალარია თავს ირქვამს მის რაყმობასა" (დ. გურ.).

რაყიში — (ქ. მწ.) (ძვ.) მეტოქე სიყვარულში. „უბრალებ რაყიფს უშვების მომცდარად" („ვისაც გსურთ" ალ. ჭავჭ.).

რაში — (ქსე) ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი, გრძნეული ცხენი. განასხვავებენ ზღვის, ცისა და ხმელეთის რაშებს. ზღვის რ. არაჩვეულებრივი ძალისაა. შეუძლია ზღვის შესმა, მისი რძე უებარი წამალია; ცის რ. მფრინავი ცხენია. მფრინავი რ. ადამიანს არ ემორჩილება; ხმელეთის რ.

გულთმისანია, მოლაპარაკე, ადამიანის მეგობარი და მრჩეველი, იფარავს პატრონს განსაცდელისაგან, ეხმარება ბოროტებასთან ბრძოლაში. თეთრ რ.-ს ზღაპრის გმირი ზესკნელში მიჰყავს, წითელს — შუასკნელში, შავს — ქვესკნელში. „ცხენი მოსწონდათ, მაგრამ მაინც ამბობდნენ — მაინც ცხენია, ციდან ჩამოსული რაში ხომ არ არისო“ („ანდერძი“ — რ. ინანიშ.) „სკვითია ენათეხავება ქართული ზღაპრების ჯადოსნურ რაშხაც, რომელიც ფრინავს და ხაუბრობს“ (ქ.ხ.მ.ა. — ხ. ხიგ.).

ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ — (უსლ) რისამე მოწყობა რაციონალურად. ტექნიკურ და ორგანიზატორულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. (გადატ.) „გ. ტაბიძემ შეძლო ქართული ლექსის განთავისუფლება მოძველებული მაღალფარდოვნებისა და მშრალი რაციონალიზმისაგან“ (გ. ასათ.).

ᲠᲐᲮᲡᲘ — (ქ. მწ.) რაში — ცხენი (შავმოწითალო).

ᲠᲐᲮᲢᲘ — (ქეგლ) ალვირის მორთულობა ოქროთი ან ვერცხლით. „თეიმურაზმა იცნო თავადი გოგო ხურამელის საგვარეულო რახტიც“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲔᲑᲐ [ლათ.] — (უსლ) 1. უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა; 2. ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენა.

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ [ლათ.] — (ანდ. ჭილ.) ლიტერატურასა და ხელოვნებაში მხატვრული შემეცნების მეთოდი, რომელსაც ახასიათებს სინამდვილის მართალი ასახვა. ტიპობრივი სახეებისა და ტიპობრივ გარემოებათა დახატვა, კონკრეტული მოვლენების მხატვრული განზოგადება. რეალიზმი, როგორც შემოქმედების მეთოდი, როგორც სინამდვილის ობიექტური განსახიერების მხატვრული სისტემა, ჩამოყალიბდა XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში, მაგრამ განვითარების მაღალ საფეხურს ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში XIX ს-'ში მიაღწია კრიტიკული რეალიზმის სახით. ეს სახელწოდება აღმნიშვნელია იმ უარყოფითი, კრიტიკული დამოკიდებულებისა სინამდვილის მახინჯი მოვლენებისადმი, რომელსაც რეალიზმის წარმომადგენლები ამჟღავნებენ.

რეალიზმის დიდმა წარმომადგენლებმა ევროპა'ში — ბალზაკმა, სტენდალმა, ფლობერმა და სხვებმა, რომლებმაც დაამკვიდრეს ლიტერატურაში მართლის თქმის, სინამდვილის ობიექტურად ჩვენების პრინციპი, რეალიზმი ჩამოაყალიბეს როგორც შემოქმედების მეთოდი. მართლისმთქმელობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ჩვენების ნამდვილობა, კონკრეტულის განზოგადება და ტიპურის დახატვა შეიქმნა სახელმძღვანელო მიზანსწრაფვა.

ქართველმა სამოციანელებმა ხელოვნებასა და ლიტერატურას არა მარტო საზოგადოებისა და ქვეყნის, არამედ ერის სამსახური დააკისრეს კონკრეტულად „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“... ი. ჭავჭავაძის ეს პოეტური

თქმა გამოხატავდა სამოციანელთა იდეური და ლიტერატურული პროგრამის შინაარსს. ქართულ ლიტერატურას ოდითგანვე ასაზრდოებდა ერის სამსახურის მიზნები — პატრიოტიზმი. სამოციანელებმა კალამი ერის ინტერესების სამსახურში ჩააყენეს, წამოაყენეს რა მაღალ ეროვნული იდეალი და ხმლის ნაცვლად კალამს დააკისრეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახური.

ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა გარკვეული სიახლე და თავისებურება გამოავლინა და გააფართოვა ამ შემოქმედებითი მეთოდის იდეური და ამსახველობითი შინაარსი. 1. სინამდვილე უნდა აისახოს ისე, როგორც არის ობიექტურად და არა ისე, როგორც მწერლის პიროვნულ „მეს" მოესურვება, წარმოუდგება. 2. სინამდვილის ტიპური ასახვა, სინამდვილის ჩვენება ისე, რომ გამოხატავდეს არა ცალკეულს, კერძოს, შემთხვევით ფაქტს, არამედ განზოგადებულ კონკრეტულს — „ტიპურ ხასიათებს ტიპურ გარემოში". 3. ხელოვნებისა და ლიტერატურის ძირითადი ფუნქცია ქვეყნისა და ხალხის სამსახურია. ამის გამო გამოსახვის ფორმა უნდა იყოს სადა, დემოკრატიული, ყველა ჟანრი ერთნაირად საჭირო და საინტერესოა სინამდვილის განსასახიერებლად, მაგრამ ცხოვრების სირთულის გამო ბუნებრივად წინა პლანზეა წამოწეული მოთხრობა და რომანი.

კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში მხატვრული მხილებისა და განაჩენის ბასრი იარაღი ძირითადად მიმართულია სოციალური უკუღმართობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა სახეები.

კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ხარვეზები ისაა, რომ მომავლისათვის მებრძოლ დადებით გმირთა სახეები ყოველთვის არაა მკაფიოდ გამოხატული. კრიტიკულმა რეალიზმმა სინამდვილე ობიექტურად ასახა, მაგრამ განვითარების ხვალინდელი დღე ვერ აჩვენა. „რეალიზმი ქმნის ცხოვრების სურათებს, ადამიანთა ტიპებს" (სახკ. სახ-ლო).

რეალობა — (ქეგლ) ობიექტურად არსებული მოვლენა — სინამდვილე, ჭეშმარიტება.

რეალური [ლათ.] — (უსლ) 1. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი. რ. ხელფასი; 2. რისი განხორციელებაც შესაძლებელია.

რებუსი — (ქსე) 1. გამოცანა, რომელშიც გამოსაცნობი სიტყვა ან ფრაზა მოცემულია ნახატების, ნიშნების, ასოების კომბინაციით; 2. ძნელად გამოსაცნობი თავსამტვრევი რამ. „მაჯამა თავისებური თავსამტვრევი პოეტური რებუსია, ამოსაცნობი და გასაშიფრავი პოეტური შარადა" (კეკელიძე, ბარამიძე).

რეგალია — (ქსე) 1. ფეოდალურ ევროპაში იმპერატორის, მეფის, მსხვილი ფეოდალის მონოპოლიური უფლება გარკვეულ შემოსავლებზე. მთავარი იყო ფულის მოჭრის, სასამართლო, ბაზრის, ტყისა და სხვა რეგალიები; 2. მონარქიული ხელისუფლების გარეგნული ნიშნები — გვირგვინი, სკიპტ-

რა, წაღები, ხალათი, ტახტი და სხვა. 3. წარჩინების ნიშანი (ორდენი და სხვა). „წითელი წაღები გახლავთ რეგალიები ბიზანტიის კეისრებისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — ბოლოსიტყვა)

რეგენტი — (უსლ) მონარქიულ ქვეყნებში სახელმწიფოს დროებითი მმართველი (მეფის მცირეწლოვნების გამო).

რეგრესი — (ქეგლ) განვითარების შეფერხება, უკუსვლა, დაქვეითება (პროგრესის საპირისპირო).

რედაქტორი — (უსლ) 1. პირი, რომელიც წიგნის, ჟურნალის, გაზეთების გამოცემას ხელმძღვანელობს, მის შინაარსს ამტკიცებს; 2. პირი, რომელიც რედაქციას უკეთებს რაიმე ტექსტს. ტექნიკური რედაქტორი — პირი, რომელიც განაგებს გამოსაცემი წიგნის, გაზეთის პოლიგრაფიულ გაფორმებას.

რედაქცია — (უსლ) 1. ხელნაწერი ტექსტის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება და მომზადება დასაბეჭდად (რედაქტირება); 2. გამოცემის (წიგნის, ჟურნალის, გაზეთის) ხელმძღვანელობა; 3. რაიმე ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა ნაწარმოების ან მისი ცალკეული ნაწილის ვარიანტი; გარკვეული სახით დამუშავებული ტექსტი; 4. აზრის, დებულების გამოხატვის ესა თუ ის ფორმა, ფორმულირება; 5. კოლექტივი მუშაკებისა, რომლებიც აწარმოებენ პერიოდული ორგანოს (გაზეთის, ჟურნალის) გამოცემას; ჯგუფი თანამშრომლებისა, რომლებიც გამოსაცემად ამზადებენ ხელნაწერს; 6. შენობა, სადაც მუშაობს ასეთი კოლექტივი.

რედიფი — (ლიტ. თეორ.) აღმოსავლურ პოეზიაში სიტყვა ან წინადადება, რომლითაც თავდება თითოეული ტაეპი რითმის გარეთ. მაგ.: „გადავიდა შენი დრო, საიათნოვა,/ რაღად გინდა ოხოხო, საიათნოვა,/ ყველა მეუბნება: ჰო საიათნოვა!/ საით მიხვალ, ჩემკენ მო, საიათნოვა,/ დამეხსენი, აგკაცობა არ მინდა,/ ქვეყანაზე გაჟუენობა არ მინდა, ავი სიტყვის შენთან მზობა არ მინდა ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა".

სიტყვა „საიათნოვა" და ფრაზა „არ მინდა", სალექსო რითმის გარეთ მდებარეობენ და წარმოადგენენ ერთგვარ რეფრენს, მინამღერს, ამავე დროს პოეტური განმეორებაა, რომელიც ხელს უწყობს განწყობილების და წარმოსახვის მომენტის გაძლიერებას. რ. გვაქვს ხალხურ პოეზიაშიც: „წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არი, რა წამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი".

რევანდი — (ქეგლ) დიდფოთოლა, მაღალი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა, ზოგი ბოსტნეულად გამოიყენება, ზოგი — სამკურნალოდ, ზოგიც— დეკორატიულია. „რევანდის ოყნას ვუკეთებ მეფის შევარდნებს ამჟამად" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

რევანში — (ქეგლ) სამაგიეროს გადახდა, მიზღვევა ბრძოლაში ან შეჯიბრებაში დამარცხებისათვის. რევანშის აღება.

რევერანსი [ფრ.] — (უსლ) 1. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში (ქალის მიერ) თავის დაკვრა, მა-

რჯვენა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით; 2.– პატივისცემის გადაჭარბებული გამოხატვა, ზედმეტი მოწიწება.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ – (ქეგლ) საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში – გადატრიალება, საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა ძირფესვიანი გარდაქმნა, ძველი, დრომოჭმული წყობილების ძალით დამხობა და ახალი, პროგრესული წყობილების დამყარება; 2. ძირფესვიანი ცვლილება ცხოვრების, მეცნიერების, წარმოების რომელიმე დარგში. კულტურული რ. სამეცნიერო რ. სოციალისტური რ. „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" – „სიტყვა „რევოლუციამ" არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლუცია მისთვის არის გაჩენილი მშვიდობიანობა მოაქვს" („მგზავრის წერილები"– ი. ჭავჭ.).

ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐ {ლათ.} – (უსლ) მთავრობის, სახელმწიფო მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი.

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ [ფრ.] – (უსლ) ნაშრომის, მოხსენების, სტატიის და მისთ. მოკლე შინაარსი, დასკვნა.

ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ – (უსლ) დადგენილება, გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ყრილობაზე, კრებაზე, კონფერენციაზე რაიმე საკითხის განხილვის შედეგად; 2. თანამდებობის პირის განკარგულება, გადაწყვეტილება, დაწერილი საქმიან ქაღალდზე.

ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ – (ქეგლ) 1. ბგერის გაძლიერების უნარი; 2. (გადატ.) გამოხმაურება, გამოძახილი. მის გამოსვლას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. „ილ. ჭავჭავაძის დახასიათებით, ბარათაშვილმა ქართულ პოეზიას მისცა მხოლოდ რეზონანსი" (შ. რადიანი – XIX ს. ქართული ლიტერატურა).

ᲠᲔᲥᲕᲘᲔᲛᲘ (ᲠᲔᲙᲕᲘᲔᲛᲘ) – (ლიტ. თეორ.) კათოლიკურ ეკლესიაში – პანაშვიდი, მუსიკაში – სამგლოვიარო სიმღერა, პოეზიაში – სამგლოვიარო ლექსი (სიტყვის მნიშვნელობა ლათინურიდან – განსვენება სამარადისო მიენიჭათ მათ). ლიტერატურული რეკვიემის მაგალითია კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში": „ნელა, ნელა ეცემიან შარაგზაზე ფოთლები, უღონო, ფერგადასული და მესმის ალვებისა და აკაციების შტოებში მგლოვიარე ბუნების საშემოდგომო რექვიემი".

ᲠᲔᲥᲕᲘᲖᲘᲢᲘ – (უსლ) ნივთები, რომლებიც სჭირდებათ მსახიობებს წარმოდგენის მსვლელობის დროს, ანდა წარმოადგენს დეკორატიული გაფორმების ნაწილს.

ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ (ქეგლ) – ვისამე დადებითი დახასიათება.

ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ – (უსლ) ძირფესვიანი გადაკეთება, გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით; 2. რისამე აღდგენა, ახლად აგება შემორჩენილი გადმონაშთების ან აღწერის მიხედვით.

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ – (ქეგლ) მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან შეუთავსებელი რწმენა ზებუნებრივი ძალებისა (ღმერთისა, სულებისა), რომლებიც გან-

აგებენ სამყაროს; იდეალისტური ფილოსოფია, რწმენა ღმერთის, ზებუნებრივი ძალების და ტრანსცენდენტური სამყაროსი.

რელიქვია — (ქეგლ) ნივთი, რომელსაც ინახავენ როგორც განსაკუთრებულ ძვირფას სახსოვარს. ისტორიული რელიქვია. საოჯახო რელიქვია.

რემა — (ქეგლ) ცხენების ჯოგი „მთიდან მოჰყავდათ მწყემსებს გიორგი მეფის ცხენების რემა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

რემარკა [ფრ.] — (უსლ) დრამატულ ნაწარმოებში: ავტორის შენიშვნა (ჩვეულებრივ, ფრჩხილებში) რომელიც შეიცავს სცენის მოწყობილობის, პერსონაჟთა გარეგნობისა და ქცევის მოკლე დახასიათებას; 2. შენიშვნა, მინაწერი. „საერთოდ ჰუმორული კილო და ირონიული რემარკები გასდევს გურამიშვილის მთელ ხათავგადასავლო ამბავს“ (სასკ. ხახ-ლიო).

რემარკი ერიხ მარია (1898-1970)— (ქსე) ნამდვილი სახელი — ერიხ პაულ რემარკი გერმანელი მწერალი. 1933 წ. ნაცისტებმა საჯაროდ დაწვეს მისი წიგნები, რომლებშიც ძირითადად სამი თემაა განხილული: ომის საშინელებანი, ჯარისკაცთა ფრონტული ცხოვრება („დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“). ომიდან დაბრუნებული სულიერად და ფიზიკურად დასახიჩრებული „დაკარგული თაობა“, გაჭირვებული ცხოვრება, ინფლაცია, უმუშევრობა („სამი ამხანაგი“, „შავი ობელისკი“, „ზეცას არა ჰყავს ფავორიტები“, „აჩრდილები სამოთხეში“); ანტიფაშისტური თემა („გიყვარდეს მოყვასი შენი“, „ტრიუმფალური თაღი“, „ლისაბონის ღამე“, „სიცოცხლის ნაპერწკალი“).

რემინისცენცია — (უსლ) 1. ბუნდოვანი მოგონება, მოგლენა, რომელიც ადამიანს რაიმეს მოაგონებს; 2. ვისიმე შემოქმედების გავლენის ასახვა ლიტერატურულ, მუსიკალურ და სხვა ნაწარმოებში. (ანდ. ჭილ.) უნებლიე მსგავსება, დამთხვევა სიტყვებისა, გმირთა მოქმედებისა. მაგ. 1. „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“ (გრ. ორბ.). 2. „თერგი მრისხანე, თერგი მღელვარე ქაფისა ზეირთთა მიაქანებდა“ („აჩრდილი“ — ი. ჭავჭ.). „გ. ტაბიძის შთაგონების წყაროს წარმოადგენს არა „მოარული“ იდეები და რემინესცენცია, არამედ მისთვის ახლობელი მშობლიური გარემო“ (გ. ასათ.).

ეგნ. ნინოშვილის სიმონამ მოკლა ტიტიკო ცოლის გაუპატიურებისათვის; ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ გაბრო კლავს დათიკოს სატრფოს შეურაცხყოფისათვის; პუშკინი და ლერმონტოვი ორივე დუელში დაიღუპა; მიკლუხო-მაკლაიმ? — მიცკევიჩმა „ფარისი“ სამეცნიერო ექსპედიციაში დაღუპულ რაჟევსკის მიუძღვნა, ხოლო ნ. ბარათაშვილმა თავისი „მერანი“ ლეკებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილ ილია ორბელიანს.

რენეგატი [ლათ.] — (უსლ) ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა; მოღალატე, განდგომილი.

„ი. ცურტაველი მოუწოდებს ხალხს ბრძოლა გამოუცხადოს რენეგატებს, აღიყვებს მამულის ხიყვარულს". 2. „ქარსქენი ხიხხლით ხორცამდე რენეგატი იყო" (სახკ. ხახ-ლო). „ჩვეულებრივი მტრისაგან განსხვავებით მოყვრის ღიმილით შენიღბული მტერი იმითაც არის ხაშიში, რომ ბდგილობრივ მკვიდრთა შორის რენეგატთა კასტის შესაქმნელად უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის" (ნ. გრიგ. – წიგნი I).

რენესანსი – (ლიტ. თეორ.) კულტურის კვლავ აღორძინება. ეს აღორძინება დაიწყო XIV ს. ევროპის მოწინავე ქვეყნებში. რ. დიდი საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურული მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში, რითაც გამოიხატა საზოგადოების შეგნებული ინტერესი ბერძნული და რომაული კულტურისადმი. დიდი წარსული დღევანდელობის განახლების სასურველ ფაქტორად იქნა მიჩნეული.

რ. შედეგი იყო ადამიანის პიროვნული თავისუფლების, ბედნიერებისა და სიყვარულის ქადაგება, ჰუმანიზმის, როგორც მოძღვრების ჩამოყალიბება. რ. გამოვლინდა საზოგადოების ცნობიერების ყველა სფეროში, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი ლიტერატურაში, არქიტექტურაში, მხატვრობასა და სხვა. ამ ეპოქას დაუკავშირდა აგრეთვე დიდი აღმოჩენები მეცნიერებაში.

ქართულმა რ.-მა საუკუნეებით გაუსწრო ევროპულ რ.-ს. XI-XII ს. ს. საქართველო დაწინაურდა კულტურის სფეროში, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცნობიერების ყველა უბანში. ქართული რ.-ის განუმეორებელი ძეგლები ამშვენებენ საკაცობრიო ხელოვნებასა და ლიტერატურას. განსაკუთრებით მწერლობა, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ოქრომჭედლობა. რ.-ისა და ჰუმანიზმის უკვდავი ძეგლია „ვეფხისტყაოსანი". რენესანსული ხელოვნების ამოსავალი პრინციპი იყო სულიერი და მატერიალური საწყისის თანასწორუფლებიანობის აღიარება ადამიანში „ქ. გამსახურდია იტალიაში ორგზის მოგზაურობისას საგანგებოდ დაინტერესა დანტემ და იტალიური რენესანსის პრობლემებმა"

რეპერტუარი – (ქეგლ) დრამატულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ერთობლიობა, რომელსაც თეატრში ესტრადაზე უჩვენებენ.

რეპეტიტორი – (უსლ) კერძო, ფასიანი მასწავლებელი, რომელიც ეხმარება ჩამორჩენილ მოწაფეს გაკვეთილების დამზადებაში.

რეპრესია [ლათ.] – (ქეგლ) სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა; დასჯა. სადამსჯელო ღონისძიებები 1937 წელს კომუნისტური მთავრობის მიერ ჩატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა უამრავი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. „ტიციან ტაბიძე 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა".

რეპროდუქცია – (ქსე) 1. გამოსახულებათა (ნახატი, სურათი, ფოტოსურათი) აღწარმოება, გამრავლება. 2. ბეჭდვის საშუალებით აღწარმოებული ნახატი, სურათი ან ფოტოსურათი; რ-ს

ფაქსიმილურს უწოდებენ, თუ მასში ზუსტადაა მოცემული ყველაფერი. რ.-ს ანაბეჭდს აკეთებენ სხვადასხვა მასალაზე: ქაღალდზე, თუნუქზე, კოლენკორზე, ცელოფანზე.

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ [ფრ.]– (ქეგლ) სპექტაკლის, კინოფილმებისა და მისთ. დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელი,

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ [ლათ.] – (უსლ) სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით; ასეთი მმართველობის მქონე ქვეყანა.

ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐ [ლათ.] – (ქეგლ) 1. დროთავითარებაში დაზიანებული რისამე (არქიტექტურული ძეგლის, ხელოვნების ნაწარმოების) აღდგენა პირვანდელი სახით. 2. ძველი პოლიტიკური წყობილების აღდგენა.

ᲠᲔᲢᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ – (უსლ) ძველი კინოფილმების ჩვენება-განხილვა (გადატ.). „მოყვარე მტრის" (რენეგატების) მხსურთ თავის დახაზღვევად თუ გასამართლებლად, ისტორიული რეტროსპექტივით ერთგვარი საფუძველი გაიწიათ" (ნ. გრიგ. – წიგნი I).

ᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ [ლათ.] – (ქეგლ) წიგნის, სტატიის და მისთ. შინაარსის მოკლე გადმოცემა.

ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘ [ლათ.] – (უსლ) საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით დიდად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად.

ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲢᲘ – (უსლ) პირი, რომელიც რეფერატს კითხულობს. 2. (თანამ.) პირი-მომხსენებელი, კონსულტანტი გარკვეული საკითხების შესახებ.

ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ [ლათ.]– (ქეგლ) 1. რისამე გარდაქმნა, გადაკეთება, შეცვლა.

ᲠᲔᲤᲠᲔᲜᲘ – (ლიტ. თეორ.) ერთი და იმავე სიტყვების ან მთელი სალექსო სტრიქონის გამეორება ყოველი სტროფის ბოლოს. შეწყობა-შეთანხმება სალექსო სტრიქონისა, რომელიც ერთნაირი ფორმით მეორდება სასიმღერო ხანის ბოლოს. რ. როგორც ესთეტიკურ, ისე შემეცნებით გავლენას ახდენს მკითხველზე. იგი დიდი რიტმული და მუსიკალური ელემენტია. ალ. ქავჭავაძის ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას" რ-ა „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". გ. ტაბიძის ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას" — „სვეტი ნიკორწმინდა, ძეგლი ნიკორწმინდა, გშვენის — ნიკორწმინდა." ა. კალანდაძის ლექსში „საქართველოო ლამაზო..." რეფრენი შეინიშნება რიტმული პროზის დროსაც. მაგ. კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში": „კაჭკაცურად ებრძოდა წინაპრის ველზე მამალი ხოხობი ლამეს".

ᲠᲔᲥᲕᲘᲔᲛᲘ — (უსლ) სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისა და გუნდისათვის ლათინური ტექსტის (განსვენება სამარადისო მიანიჭე მათ) პირველი სიტყვის მიხედვით. „მორის ფოცხიშვილის [ლექსი და სიმღერა] „ვაწუქოთ ერთმანეთს ტიტები" ქართველობის სულის მოსაბრუნებელ საყოველთაო რექვიემად იქცა" (სახკ. სახ-ლო).

ᲠᲔᲩᲘᲢᲐᲢᲘᲕᲘ – (უსლ) დეკლამაციური ხასიათის მელოდია, რომელიც

უახლოვდება ჩვეულებრივ მეტყველებას, ფართოდ იყენებენ ოპერაში, კანტატაში, ორატორიაში.

რეცენზია [ლათ.] – (ქეგლ) ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის, წარმოდგენის, კინოსურათისა და მისთ. კრიტიკული შეფასება.

რეალი – (ქ. მწ.) ბრინჯაო, საილენძი.

რიდე – (ქ. მწ.) პირბადე, თავზე მოსახვევი, ჩალმა.

რიდი ტომას მაინ (1818-1883)– (ქსე) ინგლისელი მწერალი. სახელი გაითქვა სათავგადასავლო რომანებით. ამ რომანთაგან მნიშვნელოვანია „კვარტერონი ქალი", „თეთრი ბელადი", „ოცეოლა, სემინოლების ბელადი". რ-მა შექმნა ავანტიურისტულ-დეტექტიური ჟანრის კლასიკური ნაწარმოები „უთავო მხედარი". „რიონისპირა პეიზაჟი ჩემს გონებაში აცოცხლებდა მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს" (ტ. ტაბ. – ავტობიოგრაფია)

რითმა – (ლიტ. თეორ.) ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორება, ბგერათა შეწყობა-შეთანხმება სალექსო სტრიქონში. რ. შეიძლება იყოს როგორც სალექსო სტრიქონის ბოლოს, ასევე დასაწყისსა ან შუაში: ა)კიდური ან გარეგანი (თავრითმა და ბოლორითმა) და ბ)შუა რითმა. რ. პოეტურ მეტყველებაში ქმნის რიტმულობას, კეთილხმოვანებას, მუსიკალობას საერთოდ. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართულ ლექსთწყობაში, სადაც არა მარტო რიტმული, არამედ კომპოზიციური და დიდი მუსიკალური მნიშვნელობის კომპონენტია. ქართულ ლექსთმეტყველებას არ უყვარს ურითმობა, ამიტომაც იშვიათია ურითმო ლექსი, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე ხალხურ პოეზიაში. ქართული ლექსი სილაბურ-ტონურია. 1. რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით: ა)გარეგანი, როცა სიტყვები გარითმულია ტაეპის დასაწყისს ან დასასრულს. ბ) შინაგანი, როცა სიტყვები ტაეპის შიგნითაა გარითმული. გ) შიგნაგან-გარეგანი. დ) პანტორითმა, როცა ტაეპში გარითმულია ყველა სიტყვა; 2. რითმა შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობის მიხედვით: ა) ერთმარცვლიანი – ვაჟური რითმა. ბ)ორმარცვლიანი – ქალური რითმა. გ) სამმარცვლიანი – დაქტილური, დ) სამ მარცვალზე მეტი – ზედაქტილური. ცნებები ვაჟური, ქალური ფრანგული წარმოშობისაა (ძველ ფრანგულში ეს რითმები დაემთხვა მდედრობითი და მამრობითი სქესის გარითმულ სიტყვებს, ახლა მხოლოდ ტერმინი შემორჩა პოეტიკას); 3. რითმა ტაეპთა შეწყობის მიხედვით სტროფში: ა) მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმა – მომდევნო ტაეპებია გარითმული. ბ) ჯვარედინი. გ) რკალური. დ) შერეული; 4. თანხმიანობის მიხედვით: ა) ზუსტი. ბ) არაზუსტი. ჯერადობის მიხედვით: ა) ორჯერადი, ბ) სამჯერადი, გ) ოთხჯერადი, დ) მონორითმი; 6. გარითმულ სიტყვათა მნიშვნელობის მიხედვით: ა) მაჯამური (ომონიმური) ბ) ტავტოლოგიური; 7.

ფორმის მიხედვით: ა) მარტივი და რთული, ბ) კვეთილი. 8. რითმას, რომელიც განსაზღვრულ წესს არ ემორჩილება, ნებისმიერი ეწოდება; 9. მსგავს ბგერათა რაოდენობის მიხედვით: ა) მდიდარი — თუ ბევრია თანახმიანი ბგერა, ბ) ღარიბი — (მიახლოებითი რითმები) „რითმისაგან ლექსი დაეწან, რითმით ლექსი გამოვჩარხე" (ი. გრიშ.) „ჩვენი საუბარი თანამედროვე პოეზიას გადასწვდა... სიტყვა გლადიატორივით კვდება სცენაზე. პოეზიაში სიტყვა რითმების აკრობატიკამ დაჩრდილა" („დილიდან ღამილი" — კ. გამს.)

რიქ-ზაინი — სამღერი ჯოხი, ერთი მუქა (საბა); ბავშვთა თამაშობა ჯოხით, ჩილიკობა, რიკ-ტაფელა (ქეგლ). „რიკ ზაინის დრო გარდუა ველარ გამკრავს, ჩამბილდების".

რისკი [ფრ.] — (ქეგლ) ალალბედზე მოქმედება, ბედის ცდა, სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა.

რიტმი — (ლიტ. თეორ.) თანაზომიერი ერთეულების კანონზომიერი გამეორება. პერიოდულად რიტმულად ცემს გული, საათის მექანიზმი, რიტმულია სამხედრო მარშირება, ფეხის შეწყობა, მოძრაობა ცეკვის დროს, სიმღერები. რიტმულია შრომის პროცესი. რიტმულია პოეტური მეტყველება, მუსიკა. რიტმი პოეზიაში არის თანაზომიერი სამეტყველო ერთეულების კანონზომიერი პერიოდული გამეორება. ეს გამეორება ვლინდება ბგერების, რითმების, მუხლების, პაუზების ტაეპების, სტროფებისა და ცალკეული პოეტური ერთეულებისა და კომპონენტების გამეორებით. მაგ. „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,/ მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,/ მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,/ თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

მეტყველების რიტმული ერთეულები გამოიყოფა ერთმანეთისაგან რითმებად. პაუზები, ტერფები, მუხლები, ტაეპები, რითმები ცალ-ცალკე და ზოგჯერ ყველა ერთად ხელს უწყობს სიტყვათა კანონზომიერ და მუსიკალურ შეწყობას, გამეორებას. ამიტომაც მათ რიტმის გამაძლიერებელ კომპონენტს უწოდებენ. რიტმულობა ქმნის მუსიკალობას, სასიამოვნო თანაზომიერებას მოსასმენად.

რიტმი თანაზომიერი მონაცვლეობაა აჩქარებისა და დაყოვნებისა, აწეული ტონალობისა და მოშვებულობისა, რითაც იქმნება მუსიკალური ინტონაციები. რიტმი და რითმა ლირიკული ნაწარმოების კომპოზიციურად შემკვრელია.

რიტმული პროზა — (ლიტ. თეორ.) „პროზა" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თავისუფალს, უბრალოს. იგულისხმება შეუზღუდავი მეტყველება. პროზაული ნაწარმოები თავისუფალია ლექსითი მეტყველებისათვის დამახასიათებელი შეზღუდვებისაგან. რიტმულობა მოითხოვს ბგერათა ზუსტ ორგანიზაციას, რაც დამახასიათებელია ლექსის მეტყველებისათვის. მიუხედავად ამისა, გვხვდება პროზაული ნაწარმოები, რომელშიც არის ერთგვარი რიტმული კანონზომიერება. პროზის რიტმულობის თვალსაზრისით საყურადღე-

ბოა ვ. ბარნოვისა და კ. გამსახურდიას შემოქმედება. რიტმული პროზის განხილვისას შეიმჩნევა, რომ თხრობაში ლექსის ნატეხია ჩავარდნილი. 1. „ყველაფერს შენ შემოგწირავ, შენ განაცელებ, შორენა, ჩემს გულს, სისხლს, ჩემს ხუნთქვას უკანასკნელს, ოღონდ ნუ დამტოვებ მარტო" 2. „შენ ხარ-ჯიხვი იყავით, ხულო, და ტურებმა როგორ შეგბედესო, შენ მთის მგელი იყავით, მგლებს რა ხელი ჰქონდათო შენთან? შენ შევარდენი იყავით და წუნკალმა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა?" („დიდოსტატის მარჯვენა"– კ. გამს.).

რიტორი – (ქ. ეწ.) მჭევრმეტყველი.

რიტორიკა, რიტორი, რიტორიკა – (ბერძ.) მჭევრმეტყველების თეორია – ორატორული ხელოვნებისა და ფართო გაგების მხატვრული სიტყვის ნოვატორული თეორია. 1. „ოდესღაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და / ფესვ ღრმა-ჰყო, შტონი უჩინა ზედ ხილი მოიწეოდა" („დავითიანი" – დ. გურ.); 2. „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შეხავლით უნდა დაიწყოს კაცმაო" („კაცია-ადამიანი?" – ილ. ჭავჭ.).

რიტუალი – (ქსე) ხარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებები. „გადია ეკამ ახწავლა კ. გამსახურდიას მთვარის მოქცევის საიდუმლო, წარმართული რიტუალები" (ქ.ს.მ.ა. – ს. სიგ.).

რიქშა – (ქსე) მსუბუქი ორბორბლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი. რ. პატენტირებულია იაპონიაში.

რობაქიძე გრიგოლ ტიტეს ძე – (საქ. ენც. ტ. I) დაიბადა 1880 წლის 1 ნოემბერს თერჯოლის რაიონის სოფ. სვირში. მამა – ტიტე იყო ეკლესიის მედავითნე, ხოლო დედა – ქეთევან ბოქორიშვილი – დიასახლისი. გრიგოლი სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ კი 1901 წლიდან იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1902-1906 წლებში გრიგოლი ტოვებს უნივერსიტეტს და სწავლას აგრძელებს გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1931 წლიდან საბოლოოდ მკვიდრდება გერმანიაში თავის მეუღლე ლენა ფიცკინასთან ერთად. საქართველოში იგი აღარ დაბრუნებულა პოლიტიკური მოტივების გამო და გარდაიცვალა ჟენევაში 1962 წლის შემოდგომაზე. გრიგოლ რობაქიძეს უკვდავება მოუპოვა ბრწყინვალე რომანებმა: „გველის პერანგი" „ფალესტრა" (ორივე ქართულ ენაზეა დაწერილი) გერმანიაში კი მწერალი გერმანულ ენაზე წერდა თავის შედევრებს. „გრ. რობაქიძე იქცა ნამდვილ ხიმბოლოდ ქართული ლიტერატურისა, რომელმაც კვლავ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ლიტერატურაში. რაბინდრანათ თაგორი პირველი სახელი იყო, რომელიც ხოუკუნოვანი დუმილის შემდეგ გაისმა ევროპაში აღმოსავლეთიდან. მას მოჰყვა გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ბევრად უფრო გამოხატავდა თავდაპირველ საწყისს, ვიდრე ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი. გრ. რობაქიძემ მოგვიტანა ჩვენ, დახავლეთ ევროპელთ ქართული მიწა, მისი სისხლი, სუნთქვა და ფერები" („სიბრძნის სიმყუდროვე" – რუდოლფ კარმენი)

ᲠᲝᲖᲔᲢᲔᲑᲘ [ფრ.] – (უსლ) გაშლილი ვარდის მსგავსი ორნამენტი. „ხარკმლების ირგვლივ შემოვლებულ როზეტებსა და ჩუქურთმებში ოსტატური მიმიკრით ჩახლართული იყო დაწყვილებული გველების ხატებანი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲠᲝᲙᲐᲞᲘ – (მით) (ცრუმორწ.) 1. იგი ქალღმერთი არაა, კუდიანების უფროსია. წარმოდგენილი ჰყავდათ ბებერი დედაკაცის სახით, რომელიც საწნახელზეა გადამჯდარი. 2. (გადატ.) უშნო, ავი, ყბედი დედაბერი, ასკილის შოლტით. ტაბაკელაში მოთარეშე ავსული ღმერთმა შეიპყრო, რკინის პალო ჩაასო და ზედ ჯაჭვით მიაბა. როკაპი მთელი წელი ეჯაჯგუნება ამ პალოს და ბოლოს ბოლოქანქარა ჩიტი დააჯდება, როკაპი უროს მოუქნევს და პალო ისევ ჩაესობა. „ყველაზე მაღლა საწნახელზე გადამჯდარი როკაპის ხმა გაისმოდა" („თავადის ქალი მაია"– ლ. ქიაჩ.).

ᲠᲝᲙᲕᲐ, ᲠᲝᲙᲐᲕᲡ – (ქეგლ) ცეკვავს, ბუქნავს, ხტის. „როკავდნენ აბჯრიანი, ზუჩიანი ვაჟკაცები" („დიდოსტატის მარჯვენა" - კ. გამს.).

ᲠᲝᲙᲝᲙᲝ {ფრ.} – (უსლ) არქიტექტურული და დეკორატიული სტილი, რომელიც წარმოიშვა მე-18 ს. საფრანგეთში; დამახასიათებელია ნატიფი და რთული ფორმები.

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ [ფრ.] – (უსლ) 1. დიდი მოცულობის თხრობითი, ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს რთული სიუჟეტი. 2. სამიჯნურო ურთიერთობა ქალსა და ვაჟს შორის. რომანული – ქალ-ვაჟს შორის სიყვარულთან დაკავშირებული.

ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲘ – (უსლ) 1. ლექსის სიტყვებზე დაწერილი პატარა ვოკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან ფორტეპიანოს ან სხვა საკრავის თანხლებით. 2. მელოდიური ხასიათის პიესა ვიოლინოს ან ფორტეპიანოსათვის. 3. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი.

ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ – (ლიტ. თეორ.) მხატვრული შემოქმედების მეთოდი. იგი წარმოიშვა XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში, ფართოდ გავრცელდა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ხელოვნებაში, მეცნიერებაში. რ.-ის წარმოშობას საფუძვლად დაედო: ა) ფეოდალური არისტოკრატიის სასოწარკვეთილება, გოდება წარსულზე – 1780 წ. ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ისტორიული დიდების დაკარგვის გამო; ბ) ბურჟუაზიის უკმაყოფილება, რომ მან ერთბაშად ვერ დაამარცხა ფეოდალები და ვერ შეიქმნა ქვეყნის ბატონ-პატრონი; გ) წვრილი ბურჟუაზიისა და ხელოსნების წუხილი, რომ სამანქანო წარმოება ავიწროებს მას; დ) საზოგადოების დემოკრატიული ფენების იმედგაცრუება იმის გამო, რომ რევოლუციით ვერ მიიღო ის, რასაც მოელოდა. უკმაყოფილოთა საზოგადოების ყველა ფენა, მაგრამ საფუძველი და მისწრაფება სხვადასხვაა. უკმაყოფილებას იწვევს დღევანდელი დღე, აწმყო, და ამ უკმაყოფილების სათავეა საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1709 წ.), რომლის შედეგებით მსოფლიო ლიტ-

ერატურაში დამკვიდრდა რ., არსებული ვითარებით უკმაყოფილონი სულს იბრუნებენ წარსული დიდების მოგონებით, აწმყოთი იმედგაცრუებულნი წარმტაცი ფერებით ხატავენ გარდასულ დროებას. ამიტომაც ლიტერატურაში წინა პლანზე წამოვიდა წარსულისა და შორეულის იდეალიზაციის მოტივი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა პასიური, კონსერვატორული რ. (შატობრიანი, ნოვალისი, ჟუკოვსკი). რ. საღამოსა და ბინდის პოეზიადაა მიჩნეული, რაც ცხოვრების არარაობაზე მიუთითებს.

მწერლების მეორე ნაწილი წარსულზე საერთოდ არ ლაპარაკობს, უკმაყოფილოა თანამედროვე მდგომარეობით, აწმყოს შედეგებით, მაგრამ იმედისა და ხსნის პერსპექტივა მომავლის მოლოდინით აქვთ შეფერადებული. უკეთესი მერმისის რწმენა, მომავლის იმედი მეტად დიდ ადგილს იკავებს მათ შემოქმედებაში და ყალიბდება პროგრესული რ. (ჰიუგო, ლერმონტოვი, მიცკევიჩი, ბაირონი, ბარათაშვილი).

ამრიგად, რ.-ში ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულება: ა) პასიური, კონსერვატიული რ. და ბ) პროგრესული, რევოლუციური რ. მართალია, რ.-ს აქვს საერთო, ზოგადი, ერთიანი ნიშან-თვისებები, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისად ისტორიული ვითარებისა, თავისებური ხასიათი მიიღო. მაგალითად, საქართველოში არავითარი რევოლუცია არ მომხდარა XIX ს. დასაწყ. ქართული რ. ნაციონალურ ნიადაგზე წარმოიშვა. ქართული რ. წარმოშვა ქართველი ხალხის სოციალურმა და ეროვნულმა ტკივილმა და მის განვითარებას ხელი შეუწყო დიდმა ლიტერატურულმა ტრადიციამ. მართალია, ქართველ რომანტიკოსებს არ ჩამოუყალიბებიათ რომანტიზმის თეორიული პრინციპები, მაგრამ შემოქმედების პრაქტიკით გაამდიდრეს მისი შინაარსი (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი).

რ.-ის წარმოშობას მსოფლიო ლიტერატურაში ნიადაგი მოუმზადა სანტიმენტალიზმმა. ს. ლიტერატურული ფონი იყო რომანტიკული მგრძნობელობის განვითარებისათვის. რ.-ის პოეტიკით წინა პლანზეა თავისუფალი ოცნება, ფანტასტიკა, მგრძნობელობის პრიმატი. რომანტიკოსებმა ახალი გააზრება მისცეს ზოგიერთ ჟანრს, წინ წამოსწიეს პოემა, შექმნეს ახალი პოემა, ლირიკა და ლირიზმი, როგორც შინაგანი ტკივილების, აწეული გრძნობა-განწყობილების, მაღალი ემოციური გრძნობის გამოვლენის ფორმა.

რ.-ის პოეტიკა ჩამოაყალიბა ვ. ჰიუგომ („კრომველის წინასიტყვაობა", „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", „ერნანი" და ლექსთა კრებული „აღმოსავლური"). რ.-ისათვის დამახასიათებელია სინამდვილიდან მოწყვეტა, ინდივიდუალიზმი, გამოხატოს შემთხვევითი, გამონაკლისი. შემოქმედებითი თავისუფლების აღიარება, ესთეტიკურ კანონებზე მაღლა პოეზიის დაყენება, ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომა, ფსიქოლოგიური ნიუანსების ჩვენება.

რომანტიკოსი მწერლებისათვის წუხილის დროს სულის მოსაბრუნებელი ადგილია ბუნება, სადაც არავითარი სა-

ზოგადოებრივი წინააღმდეგობა არაა, სიმშვიდეა სრული. ამიტომაც მიილტვიან ისინი ბუნების წიაღისაკენ. რომანტიკოსებისათვის ბუნებისადმი ტრფიალი ნიშანდობლივი თვისებაა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი). რ. დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო მსოფლიო მწერლობისათვის. იგი წინ აყენებდა პიროვნების ინტერესებსა და გრძნობებს; ახასიათებდა არსებული სინამდვილისაგან განზე გადგომა, ინდივიდუალიზმი; თავის შემოქმედებაში იყენებდა ისტორიულ და ხალხურ-პოეტურ თემებს. 2. მხატვრული მეთოდი, რომელიც გამსჭვალულია ოპტიმიზმით და მიისწრაფვის ნათელი სახეებით გვიჩვენოს ადამიანის მაღალი დანიშნულება; 3. რისამე იდეალიზაცია. რ.-ის შესწავლის ისტორიამ გვიჩვენა, რომ ძირითადი ნიშნების გამოყოფის მიხედვით რ.-ის ზუსტი განმარტების ცდებმა წარუმატებლად ჩაიარა. რ.-ის კონცეფციისათვის ცხოვრებისადმი ინტერესის გაქრობის დაბრალება უსაფუძვლო აღმოჩნდა. პირიქით, ცხოვრების საიდუმლოების, არსისა და თვისებების გახსნისაკენ რ.-ის მისწრაფება მის არსებით თვისებად წარმოდგება. რ.-თვის სამყაროში არაფერია მყარი და უცვლელი, თვითკმარი და დასრულებული. აქ ყველაფერი მოძრაობს, იმუხტება შინაგანი დინამიზმით და განიცდება როგორც დიალექტიკური ერთიანობა. „ქართული რომანტიზმი გაბატონებულ მიმდინარეობად მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან გვევლინება" (ხასკ. ხახ-ლო).

რომანტიკა — (ქეგლ) ის, რაც შეიცავს ადამიანის ამაღლებულ იდეებს და გძნობებს. თავისუფლებისათვის ბრძოლის რ., შემოქმედებითი ძიების რ.

რომაპაპი — (ქ. მწ.) რომის პაპი.

რონოდა — (ქეგლ) გაგონი.

როსინანტი — (უსლ) ხუმრობით იტყვიან გაძვალტყავებულ, ჯაგლაგ ცხენზე (სერვანტესის რომანის მთავარი გმირის დონ კიხოტის ცხენის სახელის მიხედვით).

როტა — (ქ. მწ.) ჯარისკაცთა ასეული.

როტვა — (ქ. მწ.) უაზრო ლაპარაკი, ბოდვა.

როტშილდები — (ქსე) ფინანსური ჯგუფი, რომელსაც დასაბამი მისცა XVIII ს. მაინის ფრანკფურტელმა ბანკირმა მაიერ ამშელ როტშილდმა. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ბანკებს როტშილდის 5 ვაჟი მართავდა. რ.-ის ფინანსურ დამოკიდებულებაში მოექცა ევროპის ბევრი ქვეყანა. რ.-ის იმპერია იყოფა ინგლისისა და საფრანგეთის შტოებად. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი მონოპოლიური ჯგუფის გავლენის სფეროში მოექცა ნავთობის მრეწველობაც (მათ თავიანთი სარეწები ჰქონდათ ბაქოსა და ბათუმში XIX ს-ის დასასრულს). „სოფლიდან აყრილ მოსახლეობას ნება ჰქონდა დასახლებულიყო მხოლოდ როტშილდის ქარხნის გაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზე" (ნ. გრიგ. — წიგნი I).

როქი — (ქ. მწ.) ჯამაგირი, ფასი. როქის სპა — დაქირავებული ჯარი.

როხიო — (ქეგლ) უხეში, უშნო, დიდი (ხმა). ცუდად, დაუკვირვებლად მოლაპარაკე. უადგილოდ ნათქვამი სიტყვა.

როჭიკი (საბა) — ულუფა სამეუფოთა გამოსაზრდელი, სულიერი მთავრობის ნიჭი. ულუფა — სხვათა ენაა, ქართულად გაკვეთილი ჰქვიან და როჭიკი. სასიამოვნოდ ლაპარაკობს, ჭიკჭიკებს (ე. ი. ქადაგებს), მეროჭიკე ბერები, ანუ საქადაგოდ წასული ბერები. „მწირი ვარო ტაოელი, არტანუჯის ციხიდან მოვდივარო ფეხით, გუდამაყარში მივდივარო საროჭიკოდ". (ქ. მწ.) სარჩო, ხელფასი, სანოვაგე.

რუბიკონი — (უსლ) რუბიკონის გადალახვა — ურყევი გადაწყვეტილების მიღება, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. მდინარის სახელწოდება. რუბიკონი იულიუს კეისარმა გადალახა თავისი ჯარით — მიუხედავად სენატის აკრძალვისა და დაიწყო სამოქალაქო ომი. „შენ ოცდაათჯერ გადახვედი ამ ფონს სწვავდი ხიდებს, სცვლიდი რუბიკონს" („XX საუკუნე" — გ. ტაბ.).

რუდიმენტი — (უსლ) რუდიმენტული ორგანო. (გადატ.) რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი. „გ. ტაბიძის ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას" საბოლოოდ დაძლეულია სიმბოლისტური პოეტიკის რუდიმენტები" (გ. ასათ.).

რუდუნება — (ქეგლ) შრომა, გარჯა, ზრუნვა, ღვაწლი. „გრიგოლ ხანძთელს ხორციელი, გვემითი რუდუნებით და სულიერი სიმტკიცით უნდოდა სათნოებაზე დაფუძნებული სიცოცხლე დაემკვიდრებინა ტაო-კლარჯეთის ულამაზეს, მაგრამ ძნელბედობით გაუკაცრიელებულ მხარეში". „მამამზის მუდარაში სიწრფელე და რუდუნება ისმოდა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება — (ქსე) 1104 წ. მოიწვია დავით აღმაშენებელმა რუისსა და ურბნისის მახლობლად (ახლანდელ. ქარელის რ-ნი). კრების მოწვევას ბევრი მიზეზი ედო საფუძვლად: სამეფოს წინაშე იდგა ამოცანა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, აღმოეფხვრა ის დარღვევები, რასაც ქართულ ეკლესიაში ჰქონდა ადგილი (ხელდასხმის წესის დარღვევა, საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება და სხვა). კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის ერთგული მოხელე გიორგი ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი.

კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები — ე. წ. ძეგლთწერა, რომლის ძალითაც გადააყენა ულირსი მღვდელმთავრები; მათი ადგილი სამეფო ხელისუფლების ერთგულმა პირებმა დაიკავეს. მოწესრიგდა ხელდასხმის წესი და მოგვარდა საეკლესიო ცხოვრების ბევრი სხვა

საკითხი. რ.-უ. ს. კ. დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამიერიდან დიდი ფეოდალები მღვდელმთავრების სახით ძლიერ მოკავშირეებს კარგავდნენ. რეფორმამ ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება-ცენტრალიზებას.

რუმბი — (ქეგლ) ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი. „ახლა გინდ შეიტანე და გინდ გამოიტანე ეგ თქვენი რუმბივით გახიებული ფალავანი" („ბაში-აჩუკი" — აკ. წერ.).

რუსთაველის პრემია — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის. დააარსა საქ. სსრ მინისტრთა საბჭომ, 1965 წელს.

რუსტამი — (ქსე) „ნაპოლეონის მამლუქად" წოდებული ქართველი როსტომ რაზმაძე. ბავშვობაში სამშობლოდან გატაცებული, მონად მიჰყიდეს კაიროს შეიხს, რომელმაც აღზარდა მამლუქად ჯარში სამსახურისათვის და ნაპოლეონ ბონაპარტეს აჩუქა. მისი ეგვიპტის კამპანიის დროს (1798 წ.) რ. გახდა ნაპოლეონის მცველი და გამოირჩეოდა განსაკუთრებული ერთგულებით, იყო მისი ბრძოლების მონაწილე და დაინიშნა საპატიო ლეგიონის ოფიცრად. დაოჯახებამ ხელი შეუშალა გაჰყოლოდა ნაპოლეონს კ-ლ ელბაზე, რის გამოც განიცადა დევნა. ცხოვრობდა ცოლის სამშობლოში — დურდანში. დასწრებია ნაპოლეონის ნეშტის გადმოსვენებას პარიზში.

რჩეულიშვილი გურამ მიხეილის ძე — (ქსე) ქართველი მწერალი, დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი, პირველი მოთხრობები, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდათ, „ცისკარში" გამოაქვეყნა 1957 წ. სულ ოთხიოდე წელი იღვაწა სამწერლო სარბიელზე. 26 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა. მოთხრობათა პირველი კრებული „სალამურა" გამოქვეყნდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ 1961 წ. მისი ძირითადი კრებულებია: „მოთხრობები, პიესა", რომელმაც საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. მისი პროზისათვის ნიშანდობლივია თემატიკის ნაირფეროვნება და ინტერესთა ფართო წრე; ლაპიდარული სტილი, ტევადი, დაწურული დიალოგები, თხრობის სიზუსტე. რ.-ის გმირების ახალგაზრდულ სიფიცხესა და ქედუხრელობას, გნების სიმძაფრესა და პირველად აღმოჩენის დაუოკებელ ჟინს ჰარმონიულად ერწყმის დიდი ადამიანური სითბო და შემწყნარებლობა („გნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში"). მისმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართულ პროზას. მოთხრობები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ჩეხურ, რუსულ ენებზე.

სააკაძე გიორგი (1570-1620)— (აკ. გელ. „სიბრძნის სიმფონია“) დიდი ქართველი ეროვნული გმირი, შეუპოვარი მეომარი, მოღვაწე, ბუმბერაზი და ძალმოსილი ვაჟკაცი, ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი სარდალი, რომელმაც მაშრიყ-მაღრიბის ქვეყნებში სიმამაცის სასწაულები მოახდინა. რთული ისტორიული პიროვნება, რომლის ღვაწლის გარშემო დავა დღესაც გრძელდება. ანა ანტონოვსკაიას მრავალტომიანი რომანის გარდა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ეძღვნა უწინ და ჩვენს დროშიც (იოსებ სააკაძე „დიდმოურავიანი“, ანტ. ფურცელაძე „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, ჯანსულ ღვინჯილია „გიორგი სააკაძის პიროვნება“, გ. ჭუმბურია „გიორგი სააკაძე“ და სხვ.). აისახა ფოლკლორში.

საადგილმამულო ბანკი – საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ადგილ-მამულის მფლობელთ და გარკვეული გადით აძლევდა სესხს მამულის დამგირავებელ პირებს. „ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა თავადაზნაურთა სადგილმამულო ბანკს“ (სასკ. სახ-ლო).

საარი – სიმღერა, რომელსაც დილით ასრულებენ დუდუკის ან ზურნის თანხლებით. „დილის საარი ქარს აღარ მოაქვს“ („ძვ. თბილისის ლიტ-ლი ბოჰემა“ – ი. გრიშ.).

საბარკული – (ქ. მწ.) ბარკლის, ბარძაყის დასაფარავი საომარი ჩასაცმელი. „სარდაფში კედლებზე ეკიდა საბარკლენი, სამკლავენი, პოლოტიკნი და ბექთარნი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.)

საბაჟო – (ქეგლ) სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ სახელმწიფოში საქონლის შეტანა-გატანას და ახდევინებს დადგენილ ბაჟს.

საბერველი – (ქეგლ) დაკეცილი ტყავის გვერდების მქონე მოწყობილობა, რომლითაც ჩვეულებრივ ცეცხლს უბერავენ გასაღვივებლად (სამჭედლოში).

საბინინი მიხეილ (1845-1900)– („სიბრძნის სიმფონია“– აკ. გელოვანი) – შესანიშნავი მოღვაწე, „საქართველოს სამოთხის“, „საქართველოს დ..დების“ და სხვა ისტორიულ ქმნილებათა გამომცემელი, საქართველოში დასახლებული ტვერელი მღვდლისა და ქართველი ქალის (მირზაშვილის) შვილი, ქართული სულისკვეთებით აღზრდილი, თავს ქართველად თვლიდა. მისი მეგობრები იყვნენ: მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, აგროვებდა იშვიათ სიძველეებს და დიდი ზრუნვით გამოსცემდა. დიდი გაჭირვებით გამოსცა მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური წიგნი „საქართველოს სამოთხე“, რასაც დიმ. ჯანაშვილი „ქართლის ცხოვრების“ გვერდით აყენებდა.

საბურნუთე – (ქეგლ) ბურნუთის კოლოფი (იხ. ბურნუთი).

საბუხარი (საფუხარი) – (ქ. მწ.) ხელთათმანი ფრინველის (მიმინოს, შევარდნის) გამწვრთნელთათვის, ან მონადირისათვის.

ᲡᲐᲑᲫᲔᲚᲘ – (ქეგლ) ბზის, აგრეთვე საქონლის სხვა საკვების შესანახი ნაგებობა, ჩვეულებრივ წნული ან ფიცრული. „საბძელს რა დიდი რამ უნდა? – ბოძი, ლატანი, კარით“ – ხალხური.

ᲡᲐᲒᲐᲗᲐ – (ქეგლ) სალათა, სალათას ძილი.

ᲡᲐᲒᲓᲔᲑᲔᲚᲘ – (ქეგლ) შორიდან სასროლი გრძელი თოკი, ქამანდი, საბელი.

ᲡᲐᲒᲔᲑᲔᲚᲘ – (ქეგლ) ქვეშაგები, ლოგინი. „საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ“ („შუშანიკის წამება“ – ი. ცურტ.)

ᲡᲐᲒᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ – (ქ.მწ.) გოდება, ხმამაღლა ტირილი, მოთქმა, ვაება. საგოდებელი – სადაც ტირიან, მოთქვამენ. სატირელი. „საგოდებელი გადაიარა არსაკიძემ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲡᲐᲓᲐᲤᲘ – (ქეგლ) ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა, წარმოადგენს სხვადასხვაფრად მოელვარე ნივთიერებას, იყენებენ წვრილმანი ნივთებისა და სამკაულების გასაკეთებლად. მარგალიტის ნიჟარა. სადაფის ღილები. „კორნები მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲡᲐᲓᲔᲑᲘ – (კუთხ.) ქვაბი, ქოთანი. „ხევში უხიერი ქოთი და სადები იყო“ (დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲡᲐᲓᲘᲐᲡᲞᲐᲜᲝ – (ქ. მწ.) სამოციქულო. „წარმოემართა სადიასპანოდ თა ცხენითა მონაი თვისი“. იხ. დესპანი.

ᲡᲐᲓᲘᲐᲪᲝ – (ქეგლ) 1. დიაცისათვის განკუთვნილი, დიაცის შესაფერისი; 2. შინნაქსოვი კაბა (იციან ხევსურეთში).

ᲡᲐᲓᲘᲖᲛᲘ – (უსლ) სხვისი წვალებით, ტანჯვით სიამოვნების მიღება ფრანგი მწერლის მარკიზ დე სადის სახელის მიხედვით, რომელმაც თავის რომანებში აღწერა სადისტური უკუღმართობები. „მეორედაც სადისტურად აწამა შუშანიკი პიტიახშმა“ (სახკ. სახ-ლო).

ᲡᲐᲓᲠᲝᲨᲝ – (ქეგლ) ძვ. საქართველოში სამხ. ტერიტორიული ერთეული. საქართველო 7 სადროშოდ იყო დაყოფილი.

ᲡᲐᲓᲣᲙᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ – (ქსე) იუდეველთა ერთ-ერთი მთავარი პოლიტ.-რელიგ. დაჯგუფება. აერთიანებდა (ახ. წ. I ს-ის ბოლო) სამღვდელოებას, სამხედრო მოსამსახურე დიდკაცობას. სცნობდნენ მხოლოდ დაწერილ კანონებს, ე. წ. თორას. უარყოფდნენ ღვთის განგებას, ანგელოზებს, სულის უკვდავებას, მკვდრეთით აღდგომას, მხარს უჭერდნენ რომაელთა ბატონობას იუდეაში („პასუხის პასუხი“ „ფარისეველთა, სადუკეველთა“ – ილ. ჭავჭ.).

ᲡᲐᲖᲔᲞᲣᲠᲝ – (ქ. მწ.) წარჩინებული, დიდებული.

ᲡᲐᲖᲘ ᲡᲐᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ – (ქეგლ) აღმოსავლური სიმებიანი საკრავი. „საზანდარმა ღამე ააცახცახა, ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა“ (გ. ლეონ.).

ᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ – (ქ. მწ.) საჭმელი.

ᲡᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲝ – (ქეგლ) სხვა ქვეყანაში, ან სხვა ადგილას მცხოვრებ თა-

ნამემამულეთა გაერთიანება მატერიალური და კულტურული ურთიერთდახმარების მიზნით. ქართველთა სათვისტომო რუსეთში, საფრანგეთში.

ᲡᲐᲛᲘ — (ქ. მწ.) გიშერი.

ᲡᲐᲗᲚᲘ [არაბ.-სპარს.] — (ქეგლ) ტოლჩა, საკიდარი, ქვაბი, ვედრო. წყლის სათლი.

ᲡᲐᲗᲡᲔᲕᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) ბადე.

ᲡᲐᲘᲐᲗᲜᲝᲕᲐ — (ფსევდ. სეედნოვა — პანგის უფალი, პატრონი) (1712-1801) — (ქსე) სომეხი პოეტი, აშუღი. ცხოვრობდა საქართველოში. მამა ალეპოელი მნათე იყო, დედა — თბილისელი, ავლაბრელი სომეხი. (ხელმოკლეობის გამო განათლება ვერ მიიღო. ლექსებს თხზავდა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. ლექსებს წერდა ქართული ასოებით. ქართულს მშობლიურ ენად თვლიდა, ხოლო თბილისს — სამშობლოდ. ხელოსანი იყო, თუმცა ძირითად პროფესიად აშუღობა მიაჩნდა. ჯერ თბილისში მოღვაწეობდა, შემდეგ — თელავში. 1762 -1765 წლებში სამეფო კარის საზანდარი იყო. 1765 წ. ერეკლე II-მ სასახლიდან დაითხოვა. გაძევების მიზეზი უცნობია. საიათნოვა მწვავედ განიცდიდა გაძევებას, სამართალს ითხოვდა. 1768 წელს ბერად შედგა ახპატში, დრო და დრო თბილისს უბრუნდებოდა. ლეგენდის თანახმად დაიღუპა 1795 სექტემბერში, აღა-მახმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს.

ᲡᲐᲙᲐᲚᲛᲐᲡᲝᲓ — (ქ. მწ.) საიხოვნელად. იხ. კალმასობა.

ᲡᲐᲙᲐᲠᲒᲧᲛᲝ — (ქ. მწ.) საკარგყმო, მეფის მოხელეთათვის მიცემული სამფლობელო სამსახურის ფასად. გადასთან — საკარგყმო: კაი ყმის, კარგი ვაჟკაცის სადღეგრძელო, ჯილდო. „საკარგყმო დამალევინეთ, მოგიტანთ მკლავსა მტრისასა" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა)

ᲡᲐᲙᲐᲠᲪᲮᲚᲣᲚᲘ — (ქეგლ) ძვ. მოჩუქურთმებული ხის სკამი ერთგვარი, ოჯახის უფროსის ან პატივსაცემი პირისათვის. „გარინდებული ზის ფარხმალი ჩუქურთმიან საკარცხლულზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲐᲙᲘᲠᲔ — (ქეგლ) ადგილი, ორმო, სადაც კირს წვავენ. საკირეში ჩააგდებს — დაწვავს, დატანჯავს. „საკირეში დაწვეს ამბროსის ცხედარი" (ამ შემთხვევაში ინფექციის წყაროს მოსპობის მიზნით). („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲐᲙᲛᲝᲘᲐᲨᲘ [ფრ.] — (უსლ) ხელში დასაჭერი სამგზავრო ჩანთა.

ᲡᲐᲙᲛᲔᲕᲔᲚᲘ — (ქეგლ) სურნელოვანი ფისი, რომელსაც აკმევენ მღვდელმსახურების დროს. „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲐᲙᲝᲓᲔᲔᲑᲘ — (ქეგლ) ფშავ-ხევსურეთში ხატის ნაგებობის ნაწილი, სადაც ლუდს ინახავენ. „საკოდეებიდან გამოუქონდათ დასტურებს ნაკურთხი ლუდი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠᲘ — (ქ. მწ.) რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული. საკრალური რიცხვებია: სამი,

შვიდი, ცხრა, ასი და ა. შ. ცამეტი, ხალხური წარმოდგენის თანახმად სიკვდილის რიცხვია. „დამადეთ გულზე ცამეტი ტყვია" – (ტ. ტაბიძე). „ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი" (გ. ტაბ).

საკურთხეველი – (ქეგლ) კანკელით გამოყოფილი ეკლესიის ნაწილი. (მით. ლექ.) ამაღლებული სამსხვერპლო ადგილი, სადაც სისხლიანი ან უსისხლო მსხვერპლშეწირვა ხდებოდა, ცეცხლი ინთებოდა, საკმეველი იკმეოდა, ცეცხლში წმ. ნაწილები იწვოდა და ჩვეულებრივ მაღლა ასული კვამლის სვეტის მიხედვით ირკვეოდა მიიღო თუ არა ღმერთმა მსხვერპლი. (გადატ.) წმინდა, სალოცავი ადგილი.

სალარო (>ლარი) – (ქეგლ) ფულის შესანახი ყუთი, კარადა, შენობა, ოთახი, დაწესებულება, სადაც წარმოებს ფულის ოპერაციები (დღეს გამოიყენება ბანკი). (ძველად) საგანძური, განძის შესანახი სათავსი, განძი, სიმდიდრე. „მარგალიტების სალარო ჩემი უფსკრული გულია". აკ. წერეთელი „ზღვაო აღელდი, აღელდი". გადატანითი მნიშვნელობით მეტაფორად არის ნახმარი.

სალბისურამან – საგმირო-სარაინდო რომან „ყარამანიანის" მთავარი პერსონაჟი, ინდოეთის მეფის ასული, ყარამანის სატრფო, ამაყი და ულამაზესი ტიპიური ამორძალი. „როგორიც ყარამანი შენა ხარ, იმისთანა სალბისურამან ის არის" („კაცია-ადამიანი!?"– ილ. ჭავჭ.).

სალბუნი – (ქ. მწ.) მალამო.

სალმასური – (ქეგლ) იგივეა, რაც ზეზის სამოსი. სირმით შეგრეხილი ძაფისაგან დამზადებული ქსოვილი. „ხალმასურის თორი ეცვა მეფეს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

სალმობა – (ქ. მწ.) ტკივილი, სენი, ავადმყოფობა.

სალონი [ფრ.] – (უსლ) კომფორტულად მოწყობილი საერთო ადგილი მგზავრთათვის: გემზე, თვითმფრინავში, მატარებელში, ავტობუსში და სხვა. 2. მხატვრულ ნაკეთობათა და ხელოვნების ნაწარმოებთა მაღაზია. 3. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგ-ში: მწერალთა, ხელოვანთა და საზ.-პოლიტ. მოღვაწეთაგან შემდგარი წრე, რომელიც სისტემატურად იკრიბება ვისიმე სახლში (მანანა ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის სალონი). თანამედროვე მხატვართა სურათების გამოფენა.

სალოსი – (ქ. მწ.) გიჟი (გაბრიელ სალოსი – „თორნიკე ერისთავი"). „ხალხი გახალოსებულა, ყველანი ღვთის კაცები არიან, არაყი და როზგი უყვართ" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.). „თეიმურაზს უცებ გრიშკა რასპუტინი გაახსენდა – ჭუჭყიანი გრიშკა სალოსი" („ჯაყოს ხიზნები"– მ. ჯავახ.).

სალხინებელი – (ქეგლ) კათოლიკური ეკლესიის მოძღვრებით – ადგილი, სადაც გარდაცვლილთა სულები განიწმინდებიან ცოდვათაგან (სამოთხეში მოხვედრამდე).

სამანი [სპარს.] – (ქეგლ) საზღვარი, მიჯნა, მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად.

ს

სამარაგდო – (ქ.მწ.) ზურმუხტი, სამარაგდისფერი – ზურმუხტისფერი ცა.

სამაროვანი – (ქ. მწ.) საფლავი.

სამარტვილე – (ქ. მწ.) მოწამეთა სამარხი.

სამარქაშო – (საბა) მარქაფა ჯინიბი, მეორე ცხენი ტკაზმული (სათადარიგო) გვარიანი და კეთილი ცხენი – ჰუნე და ჯინიბი, რომელ არს მარქაფა. „აბჯრისმტკვირთველმა მარქაფა შეაგება ზუადს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

სამება – (ქეგლ) ქრისტიანული რელიგიის მიხედვით – სამპიროვანი ღმერთი, რომელიც აერთებს „მამას", „ძეს" და „სულიწმიდას". ბიბლიაში ეს სიტყვა არ იხმარება. პირველად იგი თავს იჩენს რწმენის სიმბოლოებში, რომლებიც შედგენილია ეკლესიის არსებობის პირველ ასწლეულში, რათა გასაგები გახდეს აზრი, რომ ღმერთი – ეს არის მამა, ძე და სულიწმიდა.

სამეფო სპანი – (ქ. მწ.) ეწოდებოდა ქართველი მეფის ხელქვეით საგანგებო ლაშქარს.

სამთავრო – (ქ. მწ.) ცნობილი ეკლესია მცხეთაში. „(მხედრებმა) სამთავროს მოედანი გაიარეს ქენებით" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

სამთვარიო – (ქ. მწ.) მთვარის მოქცევის შესასწავლი სახელმძღვანელო, ასტროლოგიური.

სამკვიდრო – (ქ. მწ.) საცხოვრებელი ადგილი, სამფლობელო („იხვი და მყვარი").

სამკლავე, სამხრე – (ქ. მწ.) მკლავზე შესაბმელი სამკაული (ან მკლავის დასაფარი საომარი ჩასაცმელი). „ხარდაფში კედლებზე ეკიდა საბარკლენი, სამკლავენი, ბოლოტიკნი და ბექთარნი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

სამოგვის წუღები – (საბა) ტარსიკონი. (ქ. მწ.) თხის ტყავისა, მაღალხარისხოვანი ნატი, თალათინი, ზამში. „ტარსიკონის ჩექმები ეცვა შიოჯნას" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.). (იხ. მოგვი).

სამოელი – (ქსე) ამ სახელით ცნობილია ქართლის 4 კათალიკოსი: კათალიკოსი V ს.-ის 70-80-იან წლებში; წარმოშობით ბერძენი, ვახტანგ გორგასალმა მოიწვია ბიზანტიიდან პეტრესთან და სხვა ეპისკოპოსებთან ერთად. ჯერ ქართლის ეპისკოპოსი იყო, შემდეგ – კათალიკოსი. ქართლში მოწვევამდე, ბიზანტიასა და საქართველოს შორის საომარი კონფლიქტის დროს, სამოელისა და პეტრეს დიპლომატიური მისიის შედეგად კონსტანტინოპოლში მიღწეულ იქნა მხარეთა დაზავება. სამოელი პირადად იცნობდა შუშანიკს და თანაუგრძნობდა მას.

სამოქალაქო ომი – (ქსე) 1918-1920 წლებში რუსეთში უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია და სამოქალაქო ომი. საბჭოთა რუსეთში ეს იყო საერთაშორისო იმპერიალიზმის ჩარევა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უცხოელ იმპერიალისტთა მიერ რუსი შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების დარაზმვა და ერთობლივი თავდასხმა

სოციალისტური რესპუბლიკის დასამხობად და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების აღსადგენად. „ეს მოხდა ქალაქ სოხუმში 1918 წელს, როცა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უსასტიკესი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა" („პაკო აძბა" — ლ. ქიაჩ.).

სამოციანელები — (ქსე) XIX ს. 60-იანი წლების ქართული ლიტ.-საზოგ. დაჯგუფება. ს.-ის უმრავლესობას უმაღლესი განათლება რუსეთსა და ევრ. სასწ. ჰქონდათ მიღებული (იხ. „თერგდალეულები"). ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ რუსული დემოკრ. აზროვნების, ევროპის ქვეყნების ეროვნ.-განმათავ. მოძრაობას, რამაც ხელი შეუწყო ს.-ის საზ.-პოლიტ. შეხედულებათა და ლიტ.-ესთეტ. პლატფორმის ჩამოყალიბებას. პირველ ხანებში ისინი თანამშრომლობდნენ ჟურნალ „ცისკარში" ი. ჭავჭავაძის მეთაურობით „საქართველოს მოამბეში" (პ. ნაკაშიძე, აკ. და გ. წერეთლები, პ. უმიკაშვილი და სხვ.). ს. ემსახურებოდნენ რეალისტური ლიტ.-ის დამკვიდრებას, იბრძოდნენ ხელოვნებისა და მწერლობის დემოკრატიზაციისათვის. მათ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ქართ. სალიტ. ენის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რაც ემყარებოდა დებულებას — „ხალხია ენის კანონების დამდები" (ილ. ჭავჭ.). ს.-მა დაამკვიდრეს ქართ. ლიტ-ში კრიტიკული რეალიზმი, ხელი შეუწყვეს ბევრი კულტ. საგანმანათ. დაწესებულებისა და ორგანიზაციის შექმნას.

სამრეკლო — (ქსე) ტაძარზე დაშენებული ან ცალკე აღმართული მაღალი კოშკისებრი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია ზარების ჩამოსაკიდებლად.

სამრელო (ხევს.) — (ანდ. ქილ) სამირეულო, ქოხი, სახლი, სადაც ქალები დედათა წესის შესრულების დროს ცხოვრობდნენ. „[ყველისციხის პატრონი] სიბრალულით აღვსილი უყურებდა სოფლების ბოლოს ნაკელით სავსე სამრელოებში დამწყვდეულ თეთრუანსა და მშობიარე დიაცებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სამსალა — (ქ. მწ.) საწამლავი, შხამი.

სამსჭვალი — (ქ. მწ.) ლურსმანი. „სიტყვა „ერთგული" სამსჭვალივით შეერჭო მამამზეს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სამუმი [არაბ.-ხორშაკი, ცხელი ქარი] — (ქსე) მშრალი, ცხელი ქარი ჩრდ. აფრიკაში და არაბ. უდაბნოებში. უმთავრესად დას. და სამხ.-დას. მიმართულებისა, აქვს ძლიერი შქვალის ხასიათი. გადააქვს დიდი რაოდენობით ქვიშა და მტვერი (მტვერ-ქვიშის ქარიშხალი). უმეტესად გაზაფხულსა და ზაფხულში იცის. (გადატ.) „საქართველოზე სამუმებმა გადაიარეს და სამუმებთან იყო ქნარი გიგანტური" („წერილი მეგობრისადმი" — გ. ტაბ.).

სამურველი — (ქეგლ) კბილებიანი რკინის ხელსაწყო ცხენის, საქონლის დაურევებისათვის — დავარცხნისათვის. „სიტყვა სამურველი კი არ არის, მოხაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ადგილიდან მოსძრა-მოსძრას კაცმა" („ოთარაანთ ქვრივი"— ილ. ჭავჭ.).

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი — (ქსე) ქართველ მაჰმადიანთა მიერ საქართველოსთან შესაერთებლად შექმნილი ორგანიზაცია. 1918 წ. აპრილში ბათუმში თურქეთის საოკუპაციო ჯარის შესვლის შემდეგ პროგრესულმა მოღვაწეებმა აჭარა დატოვეს. ისინი თბილისში ჩავიდნენ. ამ პერიოდში თბილისში დაარსდა ს.ს.გ.კ., რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. აბაშიძე; წევრებად: ჰ. აბაშიძე (მოადგილე), ს. დიასამიძე (მდივანი), მ. თხილაიშვილი, კ. შერვაშიძე, ზ. აბაშიძე, ს. ბეჟანიძე, ქ. ნოღაიდელი, ი. ქათამაძე და სხვა.

ს. ს. გ. კ-ის მიზანი იყო აჭარის საქართველოსთან შეერთება, აჭარის მოსახლეობაში ქართ. ეროვნ. შეგნების განმტკიცება. პანისლამისტებისა და სედაიმილეთელების წინააღმდეგ გაერთიანდნენ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება, ოსმალოფილები (სედაიმილეთელები), მუსავატელები, დაშნაკები, დენიკინელები და სხვა რეაქციონერები. აჭარის ან მესხეთის მოსახლეობასთან დასაახლოებლად და მათში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გასაშლელად კომიტეტმა თავისი ორგანო — გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო" დააარსა, რ-მაც ბევრი მოწოდება და პროკლამაცია გამოსცა. 1919 წ. 31 აგვისტოს ს. ს. გ. კ-მა მოიწვია ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რ-მაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო) მ. აბაშიძის თავმჯდომარეობით, ერთხმად დადგინდა საქართველოსთან აჭარის შეერთება ავტონომიის საფუძველზე და გაიგზავნა თავისი დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციაზე. კომიტეტი და მისი შემადგენლობა აჭარის შეერთებას საქართველოსთან დიდი მოწონებით შეხვდა. მენშევიკური მთავრობის რწმუნებული აჭარაში კომიტეტს ავიწროებდა. გაზეთი დახურეს. კომიტეტი ებრძოდა მენშევიკების ასეთ პოლიტიკას. ს. ს. გ. კ-მა (შემდეგში მეჯლისი) 1921 წ მაისამდე იარსება.

„სამუსლიმანო საქართველო" — (ქსე) ყოველდღიური ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ორგანო; გამოდიოდა 1919-1921 წ.წ. ბათუმში. აშუქებდა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს გაერთიანების საკითხებს. სხვადასხვა დროს გაზეთს რედაქტორობდნენ პ. ხიმშიაშვილი და მ. აბაშიძე.

სამსხვერპლო — (ქეგლ) 1. წარმართებთან მსხვერპლის შესაწირავი ადგილი. 2. მართლმადიდებელი ეკლესიის საკურთხეველში — მაგიდა, რომელზედაც მღვდელი მსახურების დროს ასრულებს ზიარების წესს; 3. რაც მსხვერპლად უნდა შეიწიროს, მსხვერპლის გაღების მიზნით. „ეგ სამსხვერპლოა, ბერდიავ, ძლიან მოკლული ქისტისა" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

სამღვდელოება — (ბიბლ.) რელიგიური კულტის მსახურთა განსაკუთრებული ჯგუფი, შუამავალი ღმერთისა და ადამიანებს შორის. იცავს სარწმუნოებას, განმარტავს დოგმებს,

ქადაგებს სათნოებას, მშვიდობას, მოყვასის სიყვარულს. ასრულებს საიდუმლოებათა მაგიურ სამსახურს (ნათლობა, ქორწინება, ზიარება და სხვ.) მართლმადიდებლური ეკლესია არჩევს თეთრ და შავ ს.—ს. შავი ს. — ბერები ამიერ სოფლით განდგომილან, სავანეებში დაყუდებულან და სავსებით მიუძღვნიათ თავი ღმერთისათვის; თეთრი ს. ასე არ ამძიმებს თავის თავს. ჩვეულებრივ აქვს ქორწინების, ოჯახის მოკიდების, ნადიმობის, ნადირობის უფლება და ა. შ. დადგენილია მკაცრი იერარქიული კიბე, ზემო თუ ქვემო საფეხურებზე მდგომი განათლებისა და დამსახურების მიხედვით. განირჩევიან სამღვდელონი და ყოვლად სამღვდელონი. „გიორგი მერჩულე აშუქებს ისეთ ქვეთემებს, როგორიცაა: მღვდელმონაზონთა და ერისკაცთა ურთიერთდამოკიდებულება, თვით სასულიერო წოდებაში და ე. წ. თეთრი (სამრევლო) და შავი (მეუდაბნოე) სამღვდელოების ცხოვრების წესებს. გრიგოლ ხანძთელი იყო შავი სამღვდელოების, მეუდაბნოე ბერ-მონაზვნობის მოტრფიალე" (სახკ. სახ-ლო).

სამწდეური — (ძვ.) ღვინის სასმელი ჭურჭელი (თასი, აზარფეშა, ყანწი და მისთ.) „[კასაეთლას] აოცებდა მეინახეთა მდუმარება სრული, სამწდეურნი ბაგრატეულნი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სამწყსო — (ქ.მწ.) მრევლი „მწყემსო კეთილო, ჩემს წმინდა სამწყსოს შემოგავედრებ შენსა საუფლოს" („ბედი ქართლისა" ნ. ბარათ.).

სამყარო (ასტრ.) — (ქსე) მთელი ქვეყანა, მსოფლიო, უსასრულო და უსაზღვრო დროსა და სივრცეში, უსასრულოდ ნაირნაირი მოვლენებითა და ფორმებით, რომლებსაც მატერია ღებულობს განვითარებისა და ევოლუციის პროცესში. ს. არსებობს ობიექტურად, ადამიანის გონებისაგან დამოუკიდებლად. იგი მატერიალურია, რასაც მოწმობს მისი მრავალმხრივი მეცნიერული კვლევა.

სამცხე, სამცხე-საათაბაგო — (ქსე) ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში. მოიცავს ახლანდელი ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონებისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიულ ნაწილებს (ისტ. რეგიონები: ყველისხევი, წურწყაბი, ფოცხოვისა და ჯაყისწყლის მიმდებარე ტერიტორიების დიდი ნაწილი). სახელწოდება „სამცხე" წარმოსდგება მესხთა ტომის სახელისაგან (სა-მესხე, სა-მცხე). არის მოსაზრება, რომ ამ მხარეს ადრე ეწოდებოდა ოძრხე. სამცხის ისტ. საზღვრებია: დას.-ით - არსიანის მთები, ჩრდ.-ით - ფერსათის (ლატოს) მთები, სამხ,-ით - ერუშეთის მთები, კასრის სერი, გუმბათისა და ვანის მთები, აღმ.-ით - ჭობისხევი (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი). XII-XIV ს. ს. ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანაა. აშენდა ტაძრები: საფარა, ზარზმა, ბიეთი, ჭულე.

XIII ს. 80-იან წლებში სამცხის სამთავროს ფარგლებში შედიოდა ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, აჭარა, „კარული ქვეყანა" (ყარსის რეგიონი) და სპერი. სამთავროს საზღვრები ტაშისკარიდან არზრუმამდე და შავ ზღვამდე ვრცელდე-

ბოდა. ძირითადი რეზიდენცია იყო ქ. ახალციხე.

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘ — (ქეგლ) პურის ჭამა ნაშუადღევს სადილსა და ვახშამს შორის. ამ ჯერზე მისაღები საჭმელი.

ᲡᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔ — (ქ. მწ.) ძვ. ჭურჭელი წმინდა ნაწილების შესანახად.

ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲑᲘ — (ძვ) ქალაქის (კუთხის) ახლომახლო მდებარე ადგილები, მიდამოები, საზღვრები. „[ექვთიმეს] ეს ყველაფერი დმანისის, უფლისციხისა და გელათის სანახებში ჰქონდა ნაპოვნი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲐᲜᲓᲐᲚᲝᲖᲘ — (ქ. მწ.) ფერადი საღებავი.

ᲡᲐᲜᲓᲘ ᲟᲝᲠᲟ — (ქსე) (ნამდვილი სახელი და გვარი — ავრორა დიუპენი. ქმრის გვარი დიუდევანი) (1004-1076) ფრანგი მწერალი ქალი. 1031 წ. თავის მეგობარ ჟ. სანდოსთან ერთად გამოაქვეყნა რომანი „როზი და ბლანში". სახელი გაუთქვა პირველივე დამოუკიდებელმა რომანმა „ინდიანა" (1032 წ. ქართ. თარგ. 1949 წ.); ამ წიგნში, ისევე როგორც მომდევნო რომანებში „ვალენტინი" (1032 წ.), „ლელია" (1033 წ.), „ჟაკი" (1034 წ.) და სხვა, დასმული პრობლემები არ სცილდება ოჯახური კონფლიქტების და ინდივ. ამბოხის ჩარჩოებს. 30-იან წლებში ს. დაუახლოვდა მემარცხენე რესპუბლიკელებს. გაეცნო უტოპიური სოციალიზმის იდეებს, მოგვიანებით ს. წერდა ინტიმური ხასიათის რომანებს. მას ეკუთვნის მრავალი რომანი, მოთხრობა, წერილი (რომანი „მოპრა" — 1037 წ., დილოგია „კონსუელო" — 1942-1943 წ. წ. „გრაფინია რუდოლშტადტი" — 1947 წ. და სხვა) და მემუარები — „ჩემი ცხოვრების ამბავი" (1055 წ.) და სხვა.

ს.-ის შემოქმედებას საქართველოში XIX ს.-დან იცნობენ. 1000 წ. დ. ყიფიანმა გამოაქვეყნა „გრიბულ ზღაპრული მოთხრობა ჟორჟ სანდისა", 1004 წ. „ივერიის" ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი „ლელია", რომელიც თარგმნა ნ. ერისთავმა; ა. გარსევანიშვილმა დაწერა სტატია „საფრანგეთის მწერალი ქალი ჟორჟ სანდი"

ᲡᲐᲜᲗᲣᲠᲘ — (ქ. მწ.) ერთგვარი საკრავი — ჩანგი.

ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ დავითის ძე — (ქსე) (1025-2002) ქართველი მწერალი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1960 წ) პროფესორი (1066 წ.). 1940 წ. დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი. 1075 წ-დან თსუ-ის ძვ. მსოფლიოს ისტ. კათედრის გამგეა. ს.-ის პირველი წიგნი „პონტოს ხამეფო" 1956 წ. გამოქვეყნდა, პირველი პიესა „გაიუს გრაჰკუსი" 1957 წ. დაიდგა. ს.-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ოთხტომიანი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „უქარქაშო ხმლები" (1976-1971 წ. წ.), ეკუთვნის აგრეთვე წიგნები „ანტიკური ქვეყნების ისტორია", „ამბავი კოლხი ასულისა" (ორივე 1953 წ.), „რომის იმპერია — პრინციპატი" (1968 წ.), „მაიუსი და ს.;.ია" (1969 წ.), „რომის იმპერია — დომინანტი" (1072.), „კვერთხი ეშმაკთა" (1076 წ.), „არესის სამსხვერპლოსთან" (1077 წ.), პიესები და სხვა.

სანსკრიტი — [ინგლ.] ძვ. ინდური სამწერლო ენა. ამჟამად მკვდარ ენად ითვლება. „ქილილა და დამანა" თავდაპირველად დაიწერა სანსკრიტულ ენაზე" (სახკ. სახ-ლო).

სანტიმენტალიზმი [ფრ.— გრძნობა] — (ქსე) მიმართულება XVIII ს. ლიტ.-სა და ხელოვნებაში. ჩაისახა ინგლისში, 20-იან წლებში. ტერმინი „ს."ლიტ-ში დამკვიდრდა ლ. სტერნის წიგნის „სანტიმენტალური მოგზაურობის" გამოსვლის შემდეგ (1768 წ.). ს.-სათვის დამახასიათებელი იყო გრძნობის კულტი, ემოციური მხარის ხაზგასმა. ს. თითქმის ყველა ჟანრში დამკვიდრდა: პოეზიაში, პროზაში, დრამაში. სანტიმენტალური რომანი ძირითადად წერილების ან დღიურების სახით იწერებოდა. ინგ., ფრანგ., გერმ. ს.-მა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ევრ. რომანის განვითარებაზე (ლ. სტერნი, ო. გოლდსმითი, ჟ. ჟ. რუსო, ი. ვ. გოეთე და სხვა. რუსეთში ს. მოგვიანებით განვითარდა (ნ. კარამზინის მოთხრობები „საწყალი ლიზა", „იულია").

საქართველოში ს.-ის ტენდენციები XIX ს. 60-იანი წლებიდან იგრძნობა. ქართ. პოეზიასა და პროზაში გაჩნდა ს-თვის დამახასიათებელი გადაჭარბებულად მგძნობიარე დღიურები, მოგზაურობის ჩანაწერები, ელეგიური სტილი, მელოდრამული განწყობილებანი. სანტიმენტალური ხასიათის ნაწარმოებებად მიჩნეულია დავით ბატონიშვილის „ახალი შიხი", გ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურგამდის". გ. რჩეულიშვილის „ნათხარი სოფელი", მწყემსის სიყვარული" და სხვა. „მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზია იკიდებს ფეხს, ლიტერატურაში თავს იჩენს ახალი მიმართულება — სანტიმენტალიზმი" (სახკ. სახ-ლო).

სანჯახი, სანჯაყი — (ქ. მწ.) ადმინისტრაციული ერთეული თურქეთში XX ს.-ის ოციან წლებამდე, ვილაეთის ნაწილი, ოლქი, მხარე.

საოლავე — (ქეგლ) 1. ქანჩის ზევით სახსარი, სადაც ცხენს ბორკილს ადებდნენ. „ატირებული თაყაი ცხენს ხელით ეფერებოდა საოლავეებზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). 2. თეალის სურმა (საბა).

საოსტიგნო — საკუქნაო (ოსტიგანი — მეკუქნავე). ბერების სასადილო დარბაზი, გინდა სამყოფელი. „[კათალიკოსი] სტეფანოზ ბერის საოსტიგნოში ბერებისა და მორჩილების თვალწინ სჭამდა მხალეულსა და სამარხოს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

საოფლე — ესე არს სნება, გარდამდები (საბა). საორმოცო, მუცლის ტიფი, სახადი, შავი ჭირი, ჟამი.

საპალნე (ფალანი არაბულია< საფალნე, საპალნე. იხ.ფალანი) — (ქეგლ) 1. ცხენის სახედრისა და მისთანა ასაკიდი ტვირთი. „აქლემი ისე არ დაკარგება, ვირის საპალნე არ აიკიდოსო"; 2. ღვინის საწყაო, უდრის 30 ჩაფს. „ოთარაანთ ქვრივი სამ საპალნე ღვინოს მაინც გაჰყიდდა ყოველ წლივ" (აქ საპალნე 360 ლიტრი) საპალნით

ზომავდნენ ღვინოს, აბრეშუმს, ბამბას, ფართალს, მარილს და სხვა. ჩანს, აქლემის საპალნე ყოფილა 224-204 კგ. ცხენისა — 147-147 კგ. ვირისა — 65 კგ. ს.-ის ნახევარს ცალი ერქვა, მეოთხედს — ცალბარი. ს. ირანიდან დამკვიდრდა საქართველოში და შეადგენდა 300-340 კგ-ს.

საპირისწამლე — (ქეგლ) პატარა ჭურჭელი კაჟიანი თოფის ფალიაზე წამლის მოსაყრელად.

საპიტიახშო — (ქსე) იხ. პიტიახში

საჟამნო — ჟამნის ქვედ. იხ. ჟამნი.

საჟენი — (ქეგლ) ძვ.. რუსული სიგრძის საზომი, უდრის 3 არშინს (2 მეტრსა და 13 სმ-ს). იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

სარაზი — (ქ. მწ.)სარაზავი, საკეტი.

სარანგი — ბოლუქბაში. წესრიგის, მშვიდობიანობის დამცველი მოხელე. „რაოდენთამე კაცდაზედა დაწესებული უფროსი ქალაქსა შინა, ზავთად და შესაშინებლად ბოროტთა და ავაზაკთა" („ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონიდან). „მე ვარ სარანგი" — აცხადებს კ. გამსახურდია ერთ-ერთ წერილში. „ხოლო მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა" („ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითის" — უცნობი ავტ.)

სარაცინი — არაბთა სახელწოდება, არაბულად: შარაკაი, შემდეგ ამ სიტყვისაგან მივიღეთ სარაცინები. ნიშნავს: აღმოსავლელებს. უძველესი დროიდან არაბებს აღმოსავლეთის შვილებს ეძახდნენ. „[ტაძრის] არქიტექტურა — არა უადრეს სარაცინების შემოსევის" (გრ. რობ.).

სარაჯი [არაბ.] — (ქეგლ) შადრევნით მოწყობილი აუზი — (ქ. მწ.) ღარი ანუ მილი, რომლითაც შემოჰყავთ წყალი აუზში.

სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848-1911)— (ქსე) ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, საზ. მოღვაწე, ქიმ. და ფილოს. მეცნ. დოქტორი. 1868 წ. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნ-ის საბუნებისმეტყველო ფაკ-ზე. ერთი წელი სწავლობდა მიუნხენის უნ-ტში, რომელიც 1871 წ. დაამთავრა და მიიღო ქიმ. და ფილოს. დოქტორის ხარისხი. 1872-1878 წ. წ. პოლიტეხნიკისა და ჰალეს უნივ-ში სწავლობდა სას. სამ. მეცნიერებას. 1880 წ. გაემგზავრა საფრანგეთში მევენახეობისა და მეღვინეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვ. შესასწავლად.

საფრანგეთში ყოფნისას ს. დაინტერესდა კონიაკის წარმოებით. აქ შეძენილმა ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური გარემო და ვაზის მრავალი ჯიში კარგ პირობებს ქმნის კონიაკის წარმოებისათვის; 1885 წ. ს-მა თბილისში შექმნა ს.-ის კონიაკის ქარხანა, რომელიც მუშაობდა სამამულო ნედლეულის ბაზაზე. იმავე წელს მისივე ინიციატივით მწყობრში ჩადგა არყის, ლიქიორისა და კონიაკის ქარხნები. აგრეთვე მრავალი საწყობი თბილისში,

მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში.

ს-ის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა. ს-ის სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის“, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და სხვა ეროვნ. წამოწყების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან. „უანგარო ქართველ მოღვაწეთა შორის უნდა გაახსოვდეს სახელი ისეთი დიდი მეცენატისა და ქველმოქმედისა, როგორიც იყო დავით სარაჯიშვილი“ (ნ. გრიგ. ტ. I).

ᲡᲐᲠᲔᲪᲔᲚᲘ – (ქ. მწ.) საწოლი.

ᲡᲐᲠᲙᲐᲖᲛᲘ [ბერძ.] – (ქსე) მხატვრული ასახვის პროცესში კერძო პირის ან ცხოვრების მანკიერი მხარეების, უარყოფითი საზ-ვი მოვლენების მწარე ღვარძლიანი დაცინვა. მას გესლის, ზიზღის გამომხატველ ირონიასაც უწოდებენ. ს. დაუნდობლად ააშკარავებს სიმახინჯესა და გულქვაობას, ბოროტებასა და ფარისევლობას, ამორალიზმისა და მიზანთროპიას, აქაც, ისევე როგორც ყოველ კომიკურ ნაწარმოებში, კრიტიკა გამოიხატება სიცილის საშუალებით, რომელიც წარმოსახულ მოვლენას აფასებს დადებითი პოზიციიდან. ს-ის კომიკური ფერები ძალზე მკაცრია, სჭარბობს აღშფოთებისა და გულისწყრომის ტონი. ს. ფართოდ არის გავრცელებული როგორც მხატვრულ ლიტ-ში, ისე საორატორო ხელოვნებაშიც. ს-ს მიმართავდნენ ციცერონი, ვერგილიუსი, ა. პუშკინი, კ. რილეევი, ნ. ნეკრასოვი, ილ. ჭავჭავაძე და სხვა.

ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲔᲗᲘ – (ქ. მწ.) მთას ეწოდება; მცხეთიდან დას-ით მდებარეობს. „წვებოდა ღამე ზედაზენსა და სარკინეთის მთებზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲝᲖᲘ (ებრ. – სარა – ჩემი ქალბატონი; კინოს – ძაღლი) – „სარას ძაღლი“ არაბებზე შერქმეული ზედწოდება. სარამ (აბრაამის მეუღლემ) სახლიდან გააგდო თავისი მოახლე აგარი და მისი შვილი ისმაილი, რომელიც შემდეგში გახდა არაბული ტომების პატრიარქი, მას 12 ვაჟი ჰყავდა, ამიტომაც შეერქვა არაბებს დაცინვით სარკინოზები, ანუ სარას ძაღლები. „ტფილისი იმჟამად სარკინოზებს ეპყრათ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲡᲐᲠᲙᲝᲤᲐᲒᲘ [ბერძ. – ხორცის შთამთქმელი] – (ქსე) კუბო, მცირე აკლდამა ძვ. ხალხებში; ფართო გაგებით ნებისმიერი არქიტ. და მხატვრულად გაფორმებული კუბო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ. ეგვიპტური, ეტრუსკული, ელინისტური, ძვ. რომაული. ადრინდ. შუა საუკ. ს.-ს ხშირად ამკობდნენ რელიეფებითა და არქიტ. დეკორით. ანტ. ეპოქის ს.-ების ტიპი ვითარდებოდა რენესანსისა და ბაროკოს ეპოქაში. „სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა“ („სასთულათანი“ – გ. ტაბ.).

ᲡᲐᲠᲝ – (ქსე) მარადმწვანე წიწვოვანი ხე კვიპარისებრთა ოჯახისა. იგივეა, რაც კვიპაროსი. „ტანად სარო და პირად მზე“. „ნახა სარო, მორჩი ტანი“ („ვეფხისტყაოსანი“– შ. რუსთ.)

სარფა — (ქეგლ) სარგებლობა, გამორჩენა, ხეირი. სარფიანი — სარფის მომცემი, სახეირო, სარგებლიანი.

სარქალი — (ქეგლ) უფროსი მწყემსი, რომელსაც ირჩევენ მწყემსები ბინაზე ყოფნის დროს. „ყველა სარქალი რამდენიმე მწყემსითურთ თავის საზღვართან წინ უხვდებოდა ოძელაშვილს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

სარჩა — (ქ. მწ.) ისრის სახეობა. იხ. ისარი.

სარჩელი — (ქ. მწ.) საჩივარი, მოსარჩლე — მოჩივანი.

სასოება — (ქ. მწ.) იმედი. „ჩირიკი უკანასკნელი სასოება იყო ჩიკოტელასი" („ჩირიკი და ჩიკოტელა" — გ. ლეონ.).

სალუქი, სასალუქო — (ქ. მწ.) კოხტა, მოხდენილი, ნაზი, ფაქიზი, ნატიფი. მოსართავი, მოსაკაზმავი, საგარეო ტანსაცმელი. „[ფატმანს] დია ჰქონდა სასულუქო დახაბურ-ჩასაცმელი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

სასწაული — (ქსე) ღვთიური, იმქვეყნიური ძალით გამოწვეული ზებუნებრივი მოვლენები რელიგიურ და მითოლოგიურ წარმოდგენებში. (გადატ.) განსაცვიფრებელი და არაჩვეულებრივი მოვლენა.

სატანა (ძვ. ებრ.) — (ქეგლ) სხვადასხვა სარწმუნოებაში ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ეშმაკი.

სატევარი — (ქსე) ხანჯალი, ყამა, ახლო მანძილზე საბრძოლო და სანადირო ცივი იარაღი. ძველთაგანვე იყო გავრცელებული აღმ. ქვეყნებში. ქართული ს. ორფხიანი, წვეტიანი, ბრტყელი, ღარიანი მოკლე მახვილია. იგი გამოირჩეოდა ფორმის სისადავით, პროპორციულობით და სინატიფით. ს.-ის აღმნიშვნელი ტერმინი „ხანჯალი" საქ-ში სპარსულიდან შემოვიდა XVII ს.

სატელიტი — (უსლ) სახელმწიფო ან მთავრობა, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში ემორჩილება სხვა სახელმწიფოს. „ბიზანტია ქრისტეს სახელით ცდილობს ჩაგვრის უღელი დაადგას საქართველოს, თავის სატელიტად აქციოს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სატირა [ლათ სიტყვ-ით — ნარევი] — (ქსე) მხატვრული ასახვის პროცესში გამოაშკარავება და მკაცრი გაკიცხვა იმისა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების სოც., მორალურ და ესთეტიკურ იდეალებს. ს. უარყოფს ყოველგვარ დრომოჭმულ, წარმავალ, მანკიერ მოვლენას და სიცილის საშუალებით გვიჩვენებს მათ შინაგან სიცარიელესა და ცხოვრების განვითარების ძირითად ტენდენციებთან შეუსაბამობას.

სატირული ნაწარმოები უდიდეს საზ. მოვლენად იქცევა მისი სცენაზე დადგმის შემდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია არისტოფანეს, მოლიერის, ბომარშეს, ა. სუხოვო-კობილინის, ვ. მაიაკოვსკის, პ. კაკაბაძის კომედიების დადგმები.

სატირი [ბერძ.] — (ქსე) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება, დიონისეს მხლებელი, შფოთიანი, ავხორცი არსება, რ-საც თხის ფეხები, ყურები და კუდი აქვს.

სატრაპეზო — იხ. ტრაპეზი.

სატრაპი — (უსლ) ძვ. სპარსეთის მმართველი, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა; 2. თვითნება, დესპოტი მმართველი. მაგ. მეფის სატრაპები. „დანებით დგანან ვით სატრაპები, ყასბები ტოგით შემოსილები" („თბილისის სასაკლაო" — გ. ლეონ.).

საუპატიო — (ქსე) შეურაცხყოფის განსაკუთრებული საზღაური, პატივის შელახვისათვის დაწესებული ჯარიმა, რაც დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ ეკისრებოდა ძვ. საქართველოში. „საუპატიოს ართმევდნენ ჩვენზე ცუდ მზრახველ ერებსა" („თორნიკე ერისთავი" — აკ. წერ.).

საუძლურე — (ქ. მწ.) საუძლურე, სასნეულო, საავადმყოფო, ქსენონი — „არ გაჰყევ {შიოლას} და საუძლურეში ამოიყოფ თავს" („ფუფალა" — გ. ლეონ.).

საფარის მონასტერი — (ქსე) ძვ. ქართული კულტ. საგანმან. კერა, ხუროთმოძღვრების ძეგლი. სამცხის მფლობელ ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია. დაარსებულია არაუგვიანეს X ს.-სა. მდებარეობს ახალციხიდან 10-12 კმ-ზე. კომპლექსის ყველაზე ადრინდ. შენობაა X ს. მიძინების ერთნავიანი ეკლესია (ამ ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები ინახება საქ.-ოს ხელოვნ. მუზეუმში.

საფერხე — (ქეგლ) საჯდომი პირუტყვი (ცხენი). „წელში ორჯერ თუ დაებმის ჩემი საფერხე გომშია" („ბახტრიონი" — ვაჟა).

საფიხვნო — (ქსე) საფიხვნო (ხევსურეთი), საანჯმნო (თუშეთი), ერობა (ხევი), სანახშო (რაჭა) — მამაკაცთა თავშესაყრელად განკუთვნილი ნაგებობა ან ადგილი. საფიხვნოში მყოფთ ფეხონი ერქვა, ხოლო ერთად სხდომასა და ბაასს — ფეხნობა. საფიხვნოს ნაგებობა ხევსურეთში მხოლოდ შატილშია შემონახული. ეს არის ღია შენობა, თითქმის ყველა სოფელში იყო და მის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა მეზობლების შეხვედრა, სჯაბაასი, დასვენება-გართობა. აქ ზელდნენ ტყავს, გრეხდნენ თოკს, ამოასხამდნენ ქალამნებს, თლიდნენ თითისტარებს და ა. შ. საფიხვნოში საუბარი იყო საგმირო საქმეებზე, მტერ-მოყვარეზე, ქცევის ნორმებზე, წეს-ჩვეულებებზე, აგვარებდნენ პატარ-პატარა სასოფლო საქმეებს (სათიბში გასვლის ვადების განსაზღვრა, მწყემსობის რიგის დადგენა, დაზიანებული ხიდის შეკეთება და სხვა). უფრო მნიშვნელოვანი საქმეები წყდებოდა საგანგებოდ დადგენილ სოფლის საყრილობო ადგილებში, რ-ის ფუნქცია და ორგანიზაცია სხვებისაგან განსხვავდებოდა. „ალუდა ქეთელაური კაცაა დავლათიანი, საფიხვნოს თავში დაჯდების სიტყვა მაუდის გზიანი" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

საფირონი — (ქეგლ) ლურჯი ან ცისფერი ძვირფასი ქვა, ლურჯი იაგუნდი. ს.-ის ბეჭედი.

საფსალმუნე — (ქ. მწ.) ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, სადაც ფსალმუნებს კითხულობენ, გალობენ.

საფურცლე — (ქსე) ისტ. სოფელი

ალმ. საქართველოში, არაგვის ხეობაში. ახლანდ. სოფ. ნატახტრის (მცხეთის რ-ნი) ძვ. სახელწოდება.

საფუხარი, საბუხარი — (დიალ-ექტ.) ხელთათმანი, ორთითი, საჩვენე-ბელ თითზე გაკეთებული მეშის საფა-რველი მიმინოს დასასმელად. (ქეგლ) ტყავის ხელთათმანი. „მარჯვენა ხელზე ხაფუხარი გქონდა გაკეთებული, თეთრი შევარდენი გიჯდა" („დადიანის ახული და მათხოვარი" — ნ. ლორთქ.).

საქართველო — (ქსე) ქვეყანა (ტე-რიტორია) და სახელმწიფო, რომელიც ძირითადად ქართველებით არის დასახ-ლებული. თავდაპირველად (X ს.) ტე-რმინი „ს." ეთნოგრაფიულ-კულტურუ-ლი ცნება იყო და გულისხმობდა ქართ-ის ტომისა და ქართლის კულტურული ეგიდით ყველა ქართველური და ზოგიერთი არაქართველური ტომის კულტურულ ერთობლიობას. ისტ. გა-ნვითარების შემდგომ ეტაპზე ტერმინმა უფრო ფართო კულტ.-პოლიტ. შინაარ-სი შეიძინა და გამოხატავდა როგორც ქართველურ, ისე არაქართველურ ტომთა ეთნ.-კულტ.-რელიგ.-სოც.-ეკ-ონ.-პოლიტ. ერთობლიობას, რ-ის საბოლოო ფორმა — ერთიანი სახე-ლმწიფო XI ს. დასაწყ. ჩამოყალიბდა. XII-XIV ს. ს. საქართველოდ იწო-დებოდა უკვე მთლიანი ქრისტ. და ნაწილობრივ მუსლ. კავკასია. XV ს. სახელმწიფოს ცალკე სამეფო-სამთავ-როებად დაშლის შემდეგ ტერმ. „ს." დაკარგა პოლიტ. შინაარსი. უცხოელთ-ათვის ტერმ. „ს." (რუს. „გრუზია", სომხ. „ვრასტან", სპარს.-თურქ. „გურჯ-ისტან", გერმ. „გეორგიენ" და სხვა) უფრო მეტად ეთნ.-გეოგრ. ცნებაა, თუმცა სპარსელები მეტწილად ქვეყნის ალმ. მხარეს ქართლსა და კახეთს გულ-ისხმობდნენ, ხოლო ოსმალები — იმერეთს, გურიას, სამეგრელოს. 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფოს, მომდევნო ხანებში კი, სხვა ქართ. პოლიტ. ერთ-ეულთა რუსეთის იმპერიასთან შეერ-თების შემდეგ ს. ეთნ.-გეოგრ.-კულტ. ცნება გახდა; ადმ.-ტერიტორიად (პოლ-იტიკური შინაარსით) იგი 2 გუბერნიას (თბილისისა და ქუთაისის) და 2 ოლქს მოიცავდა. მენშევიკების ბატონობის წლებში (ოფიციალურად 1918 წ. 26 მაისიდან) „ს."-ს პოლიტიკური ში-ნაარსი ჰქონდა — იგი ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. 1921 წ. 25 თებერვლიდან საბჭოთა სოცი-ალისტური რესპუბლიკა გახდა, ხოლო 1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკა.

„საქართველოს მოამბე" — (ქსე) ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატ-ურული ჟურნალი, „თერგდალეულების" ორგანო; გამოდიოდა 1863 წ. თბილისში. გამოვიდა 12 ნომერი. რედ.-გამომც. ი. ჭავჭავაძე. ჟურნალი ემსახურებოდა ქა-რთველი სამოციანელების პოლიტ., ლიტ.-ესთეტ. იდეათა გავრცელებას; იბრძოდა საზ. ცხოვრების ძირეულად გარდაქმნისათვის, ამხილებდა ბატონყ-მური წყობილების ჩამორჩენილობას. მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ეროვნ. განმათ. მოძრაობას („ს. მ" მი-ზანი და დანიშნულება ჩამოყალიბებუ-ლია ილ. ჭავჭავაძის სარედაქციო წერ-ილში „საქართველოს მოამბეზედ"). ემ-

სახურებოდა ქართველი ერის მთლიანობის აღდგენას, სოც. უთანასწორობის მოსპობას, შრომისა და პიროვნების თავისუფლების მოპოვებას, ხელოვნებისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციას. ჟურნალი კატეგორიულად მოითხოვდა საზ. ცხოვრების ამოძრავებასა და განვითარებას. იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ს. აბაშიძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის, პ. ნაკაშიძის, კ. თულაშვილის, ი. ოქრომჭედლიშვილის, დ. ყიფიანის და სხვათა ნაწარმოებები. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, სტატიები ენათმეცნიერულ, ეკონომიურ, პედაგოგიურ საკითხებზე; თარგმანები და სხვა. „ს. მ." მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული პრესისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში.

„საქართველოს სამრეკლო" — (ქსე) ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი. I ნომერი გამოვიდა 1923 წ. თბილისში (ერთადერთი ნომერი) რედ. კ. გამსახურდია. დაბეჭდილია კ. გამსახურდიას, ი. ტატიშვილის, კ. აბაშიძის, ა. ჭუმბურიძის, ი. მოსაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა სტატიები და ლექსები.

საქართველოს სამხედრო გზა — (ქმე) ისტორიული სახელწოდება გზისა, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზე გადადის ჯვრის უღელტეხილით (2395 მ) და ქ. თბილისს ქ. ვლადიკავკაზთან (ყოფილი ორჯონიკიძე) აკავშირებს. სიგრძე 206 კმ. თბილისიდან მიყვება მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, სოფ. მუხათგვერდთან ხიდით მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს გადადის, სოფ. წიწამურის შემდეგ გრძელდება მდ. არაგვის მარჯვ. მხარეს — მუხრანის ვაკეზე და დაბა ჟინვალიდან შედის მდ. მთიულეთის არაგვის ვიწრო ხეობაში. გაივლის დაბა ფასანაურს, სოფ. მლეთიდან იწყება ზემო მლეთის ალმართი, რომელიც ჯვრის უღელტეხილით მთავრდება, უღელტეხილიდან გზა ეშვება მდ. ბიდარის ვიწრო ხეობაში, გადის სოფ. ალმასიანთან, სადაც თავს იყრის ბიდარის თრუსოსა და უხათის ხეობები, შემდეგ მიჰყვება მდ. თერგის მარჯვ. მხარეს, გაივლის სოფლებს — კობს, სიონს, გარბანს და დაბა ყაზბეგს. ყაზბეგიდან გზა ხიდით გადაინაცვლებს მდ. თერგის მარცხენა მხარეს. მდ. ჩხერის შესართავთან იწყება დარიალის ხეობა. აქედან გზა გველეთის ხიდით კვლავ მდ. თერგის მარჯვენა მხარეს გადადის, გაივლის სოფლებს ზემო ლარსსა და ჩიმსა, შედის შედარებით ფართო ბალთის ხეობაში, რომელიც კლდოვან ქედს კვეთს. აქედან გზა ჯერ სამოვრებიან, შემდეგ ტყიან ქედს კვეთს და მთავრდება ქ. ვლადიკავკაზთან. „სამხედრო გზა ულამაზესია მხოლოდ დიდ გზათა შორის, ხოლო დარდიმანდი, ცხენთა შორის უსაჩინოესი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

საქნიერი — (კ. გამს. ერთტომ. ლექსიკ.) ხორცი, რომლითაც მიმინოს მიიტყუებენ ხოლმე მონადირენი. „არსაკიძემ მიმინოს საქნიერი შეაჩეჩა კლანჭებში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

საყულბაქე (ყულბაქი) — (ქ. მწ.) სავაჭრო დუქანი.

საღარი — (ქეგლ) შუბლთეთრა ცხენი. 1. „საღარი მაგათ მამიკლეს, ვისაც დღეს უნდა უტიოთ" („ბახტრიონი"). 2. „ეთერს აქ მობრძანებისთვის ცხენი უბრძანეთ საღარი" („ეთერი" — ზღაპარი).

საღმრთო შური — (ქ. მწ.) კეთილი შური — მიბაძვის სურვილი.

საყდარი — (ქ. მწ.) 1. ქრისტიანული ტაძარი, ეკლესია. „უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო" („კაცია-ადამიანი?! — ი. ჭავჭ.); 2. ტახტი. სკამი (საბა) თანამოსაყდრე — ტახტის მოზიარე.

საყევარი — გუთნისთავის, ხარების წინა უღლეულების (ან ურემში მეორე უღელი ხარის) მოსაბმელი ჭაპანი, ჯაჭვი, ძელი და მისთ. „მე ის პატარა ბიჭი ვარ, თქვენს კევრზე რომ ვიჯექი; თქვენი გუთნის საყევარო უღელზე" (გ. ლეონ.).

საჩინო — (ქ. მწ.) გამოჩენილი „ზენონ იყო შვილი საჩინოსა ვისმე კაცისა" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება").

საცეხვავი — რითაც უნდა ცეხვონ (დასავლეთში — ჩამური). „საცეხვავის დარი დათვლეულები გაემართათ რუზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

საძაგლიშვილი გიორგი (კირიონ II) — (ქ. მწ. ლექსიკ. ცნობ.) სასულიერო მოღვაწე (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი) მწიგნობარი, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი. სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, თანამშრომლობდა „ივერიაში", „მოამბეში", „ნოვოე ობოზრენიეში" და სხვა. აქვეყნებდა ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ, კრიტიკულ სტატიებს, რომელთაგან აღსანიშნავია „ძველი ხელნაწერი მეტეხის ოთხთავისა", „აპოკრიფები საზოგადოდ და ქართული განსაკუთრებით", „ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა", „მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", „უცხო ტომთა სიტყვები ქართულ ენაში" და სხვ. აგრეთვე ნაშრომები გიორგი მთაწმინდელზე, თამარ მეფესა და დავით აღმაშენებელზე.

საძვალე, საძუალე — (ქსე) (საგოდებელი, აკლდამა, საფლავი) ძვალთშესალაგი, სარკოფაგი. საგანგებო სათავსი, უპირატესად ტაძრებისა და ეკლესიების იატაკქვეშ ან ცალკე მათთან ახლოს, საკულტო ადგილებში კი — მიწის ქვეშ, რომელშიც კრძალავდნენ ოჯახის, გვარის წევრებს; ს. მრავალგზის და ხანგრძლივად გამოსაყენებელი, ჩვეულებრივ მოზრდილი, კარიან-ტახტრევნიანი საკრძალავია, აგებული ან კლდეში გამოკვეთილი, რომლის გაღება და კვლავ დახურვა შეიძლებოდა. ს. ჰქონდათ ძვ. ეგვიპტეში, სადაც მას, ისევე როგორც მუმიებს, სფინქსები იცავდნენ. საქართველოში ს. განსაკუთრებით გავრცელდა ადრინდელი ფეოდალური ხანიდან. თავისებური ს.-ები იყო აგრეთვე ე. წ. კრიპტონი და ოსუარიუმები. „პაპისეულ საძვალეში დაულევ ჭიაბერი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

საწეერთული — (ქეგლ) იგივეა

რაც მარგალი (ქალის), ნიფხავი, შეიდიში. 1. „მეფემ ცხენი იყარა, საწმერთულის ტოტი კუწია და აკოცა წვივზე შორენას“ .2 „შორენას ვერცხლის უზანგებამდის ხწვდებოდა ბროწეულის ყვავილისფერი საწმერთულის ტოტი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘ — (ქ. მწ.) იხ. ოქროს საწმისი“

ᲡᲐᲥᲠᲔᲗᲔᲚᲘ — (ქეგლ) ხის ამოსაჭრელი სადურგლო იარაღი. „იქვე ეკიდა ეროვბი, საქრეთლები, გონიო“. („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲐᲭᲣᲠᲘᲡᲘ — (ქსე) მამაკაცი, რომელსაც სასქესო ჯირკვლები ამოკვეთილი აქვს. დაკოდილი. კასტრაციაქმნილი კაცი. ს.-ები ცნობილი იყვნენ ძვ. ასურეთსა და სპარსეთში, ბიზანტიაში ,მოგვიანებით - თურქეთში. დასაჭურისებულ მამაკაცს ევალებოდა ჰარამხანის მეთვალყურეობა. თავის ბატონებთან სიახლოვის წყალობით ისინი აღმოსავლეთის ქვეყნების მბრძანებლების კარზე ხშირად აღწევდნენ მაღალ მდგომარეობას და სახელმწიფო საქმეებში ნდობით აღჭურვილი პირები ხდებოდნენ. (საჭურისი რუქა — „სიბრძნე სიცრუისა“ — საბა)

ᲡᲐᲭᲣᲠᲭᲚᲔ — (ქსე) (სამრთ. ისტ.) ძვირფასეულობა, განძი და სიმდიდრის საცავი, ხაზინა ძვ. საქართველოში. ს.-ის შინაარსიდან სახელწოდების მიხედვით „ჭურჭელი“ — ძვირფასი ნივთები, მოძრავი განძეულობა იგულისხმება. ს.ში ფული „ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური, მეფისათვის „შემოძღვნებული“ „თვალნი და მარგალიტნი“ ინახებოდა. ხელმწიფის კარის გარიგებაში სამეფო „სახლის საჭურჭლე“ იხსენიება. ქვეყნის მთავარი ს. სატახტო ქალაქში — ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი (1122 წ-დან) თბილისში იყო. ს. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა.

ᲡᲐᲮᲐᲑᲐᲖᲝ — (ქ. მწ.) პურის საცხობი.

ᲡᲐᲮᲐᲓᲘ — (ქეგლ) 1. გადამდები სნეულება (წითელა ყვავილი, ქუნთრუშა და სხვა), რომელიც ერთხელ მოხდის შემდეგ აღარ ემართებათ. 2. იგივეა, რაც საოფლე, შავი ჭირი, მუცლის ტიფი, საორმოცო გადამდები სნეულება. „ცუდი კვება და ხახადი მუხრს ავლებს მუშახელს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „კიკო ბაქრაძე ერთხელ სადღაც ხახადს გადაეყარა და შინ საორმოცო სნება შემოიტანა“ („ბაში-აჩუკი“ — აკ. წერ.).

ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ — (ქეგლ) ბიბლიის ნაწილი (ახალი აღთქმის პირველი ოთხი წიგნი), რომელიც შეიცავს ლეგენდებს იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სახარება — ოთხთავი. თითოეული ამ წიგნთაგანია მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება.

ᲡᲐᲮᲚᲘᲙᲐᲪᲘ— (ქეგლ) მამაკაცი, იმავე ოჯახს და გვარს ეკუთვნის (ძმა, ბიძაშვილი, მოგვარე) „წიხქვილს ხეალ ან ზეგ ავარიკრიკებ, სახლიკაცების გულს გახახეთქად“ („რაინდები“ — ნ. ლორთქ.).

ᲡᲐᲮᲛᲘᲚᲘ — (ქეგლ) რაშ·აც ცეცხლს ანთებდნენ (ღუმელი, ქურა). ცეცხლი

(სიყვარულისა). „ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილთ ვის არ ხლებიან“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

ᲡᲐᲡᲔᲓᲐᲠᲘ — (ქეგლ) იგივეა რაც ვირი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝ — (ქსე) თანამდებობა ძვ. საქართველოში, მოხელის „გასაგებელი“ (საბა). „სახელო“ ხელიდან წარმოსდგება. „სახელოთა სჯანი“, ანუ მართვა-გამგეობის საქმეთა წარმართვა მეფის საზრუნავს შეადგენდა. გაერთიანების ხანის საქართველოში ცენტრ. სამოხელეო აპარატი დარგებად იყო დაყოფილი (ვეზირები, სავაზირო). შემუშავდა სახელოთა სიმბოლოები, ნიშნები, რომელთაც გადასცემდა მეფე უწყებათა მთავარ მოხელეებს (მაგ. ოქროს ლომისთავიან არგანსა და ხმალს — ამირსპასალარს, „თვალედ“ ბეჭედს — „მოლარეთუხუცესს). „დასტურლამალით“ განსაზღვრულია სახელოების განაწესი, მათი „წესითა შემსგავსებითა“ გამგებლობა. დიდი სახელოები მსხვილ ფეოდალებს ეპყრათ (ხშირად ერთ კაცს რამდენიმე სახელო ეკავა). სახელო მოხელის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, მის ერთგვარ საკუთრებად იყო მიჩნეული და ზოგჯერ კიდეც იყიდებოდა. ჩვეულებრივ ს. მემკვიდრეობით გადადიოდა („ვეფხისტყაოსანში“ ტარიელმა მამის სიკვდილის შემდეგ მისი თანამდებობა დაიჭირა — ამირბარობა), რასაც აჯის საფუძველზე მეფე წყალობა-ბოძების სპეციალური აქტით დაამტკიცებდა „სახელოს გაცემის“ საბუთს. მეფის სახლთუხუცესი წარმოადგენდა. დაკანონებული იყო სახელოს „სისხლი“ — მოხელის დაჭრისა და მკვლელობის საგანგებო საზღაური. საფეოდალოებში სახელმწიფოსაგან განკერძოებული სახელოები არსებობდა. „მეფემ ლალისთვლიანი ბეჭედი წამოიძრო და თალაგვას გაუკეთა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „მიწყალობებს მათ სახელო, მომცეს ჯაბადარბაშობა“ (დ. გურ.).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲐ — (ქსე) სახელმწიფოს ძირითადი, ოფიციალური ენა. ქართული ენა, სახელმწიფო ენაა საქართველოში.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — (ქსე) მოქალაქეთა წახალისების ერთ-ერთი ფორმა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მოპოვებული უდიდესი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ — (ქსე) მოიცავს ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ფოტოხელოვნებას. ს. ხ. მხატვრულ სახეებს ქმნის ხელშესახები ფორმით, რ-შიც ობიექტური სინამდვილის მოცულობაც, საგნობრივი სახეც ამოცნობადია, ე. ი. არასახვითი ხელოვნებისაგან განსხვავებით ს. ხ. მეტყველებს თვალსაჩინო სახეებით.

ᲡᲐᲮᲝᲙᲘᲐ ᲗᲔᲓᲝ ტიმოთეს ძე (1868-1956) — (ქსე) ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. 1884 წ-დან სწავლობდა თბილისის სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისათვის. 1888 წ-დან სწავლობდა ჯერ ჟენევის უნ-ში, შემდეგ

პარიზის სორბონის უნ-ში. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1000 წ. ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“. 1901 წ. თანამშრომლობდა რომში მ. თამარაშვილთან, 1002 წ. საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგარულ გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი იყო. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზი“). განსაკუთრებით კი „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, რომლებისთვისაც პარიზიდან აგზავნიდა წერილებს. 1906 წ. ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან გაიქცა, მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა. 1026 წ-დან საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში, აქტიურად იღვწოდა ლიტერატურულ და პედაგოგიურ სარბიელზე. ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია სახოკიას თარგმანები: ბოკაჩოს „დეკამერონი“, მოპასანის, ვოლტერის, ზოლას, დოდეს, ანდერსენის და სხვათა თხზულებანი. სახოკიამ შეკრიბა და გამოაქვეყნა „ქართული ანდაზები“ (1967 წ.), „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“ და სხვა.

ᲡᲐᲮᲣᲜᲓᲐᲠᲘ — (ქეგლ) ნადირობის დროს მეხუნდართა ჩასასაფრებელი ადგილი.

ᲡᲐᲯᲐᲠᲔ — (ვაჟა — მც. ლექსიკ.) ნაგებობა ხატში, სადაც ინახება ხატის ჭურჭელი და სხვა ნივთები. საჯარეში მარტო ხატის მსახურთ შეეძლოთ შესვლა. „ხაჯარეხ დიაცხ რა უნდა, არ თუ ეშინიხ დაჟიხა“ („ბახტრიონი“). „ხამნი წავიდეხ ხაჯარეხ, შაალეხ ბელლიხ კარია“ („გალაშქრება ლაშარიხ ჯვრიხა“).

ᲡᲐᲯᲘᲚᲓᲐᲝ — (ქეგლ) საჯილდაო ქვა — მძიმე ქვა, ლოდი, რომლის აწევაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს ახალგაზრდა კაცები. გ. შატბერაშვილის „საჯილდაო ქვა“. (გადატ.) ღონისა და ნიჭის გამოცდა. იხ. ჯილდაობა.

ᲡᲐᲯᲘᲜᲘᲑᲝ — (საბა) ჯინიბი ცხენსა ჰქვია. (ქეგლ) საჯინიბო — ცხენის თავლა.

ᲡᲐᲯᲣᲠᲣᲛᲔᲝ — (კილო-თქმ. სიტყ. კონა) ჯურუმი — დანაშაულზე წანართმევი (საბა). (ხევს.) საჯარიმო, ჯარიმა. „[ყველისციხის პატრონი] უთვალთვალებდა საჯურუმოსთან მიყვანილ გოჯებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲔᲤᲐᲓᲐ [არაბ.]— (ქეგლ) შავი ფერის ნივთიერება — გოგირდში არეული დამწვარი ტყვია ან სპილენძი და ვერცხლი. იყენებენ ვერცხლის ან ოქროს ნაკეთობებზე სახეების გამოსაყვანად. მოსავადებული. (შდრ. ზარნიში) „ლუარსაბს წელში გაყრილი ჰქონდა ხევადიანი დამბაჩა“ („კაცია ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ᲡᲔᲕᲐᲜᲘ — (ქსე) გოგჩა. ტბა სომხეთში, უდიდესია კავკასიაში. ფართ. 1200 კმ2. საშ. სიღრმე 20,5 მ, მაქს. — 03 მ. მდებარეობს ამიერკავკასიის ვულკ. მთიანეთში, დაახლოებით 1900 მ სიმაღლეზე. „გოგჩა ტბა ვრცელი ხმოვანებით ზღვისა მბაძავი“ (ალ. ჭავჭ.).

ᲡᲔᲚᲘ, ᲡᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ — (ქეგლ) 1. სელი არის ერთწლიანი მცენარე, რომლის თესლისაგან ზეთს ამზადებენ,

ხოლო ბოჩკოსაგან ქსოვილს. 2. ძვირფასი სკამი, სავარძელი. „ხელზე დაჯდა პირმანჯგულიანი სასახლარი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲔᲚᲩᲣᲙᲔᲑᲘ — (ქსე) შუა აზიაში მომთაბარე ტომები, რომლის დამაარსებლად სელჩუკს თელიან და რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1040 წელს. მისი პირველი სულთანი იყო თოღრულ-ბეგი, რომლის მემკვიდრეების ალფა-არსალონის, მელიქ-შაჰის სულთნობის წლებში დამპყრობლური ომების შედეგად შეიქმნა დიდი სელჩუკთა იმპერია (1040-1194), რომლის შემადგენლობაში მოექცა ქვეყნები შუა აზიიდან პალესტინამდე. ძირითადად კი ერაყისა და ირანის ტერიტორიას მოიცავდა. XI-XIII სს. მანძილზე საქ-ს ემეზობლებოდა და ახლო პოლიტ.-ეკონომ. და კულტ. ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲐ, ᲡᲔᲛᲐᲡᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ {ბერძ.} — (ქსე) ლექსიკოლოგიის დარგი (განშტოება), რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრივ მიმართებას), მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. ზოგჯერ ს. უფრო ფართოდაც ესმით, როგორც სიტყვის შინაარსეული მხარის შემსწავლელი მეცნიერება. ს. ფართო გაგებით შეისწ. ვლის სიტყვის გრძნობით ელფერს, სტილისტურ ღირებულებას. „გ. ტაბიძის „სიტყვა ნაწყვეტი“ გულისხმობს შორეულ ასოციაციებს, ახალი კუთხით წარმოაჩენს ჩვეულებრივ საგნებს, თვით ცალკეული სიტყვის თავისებურ სემანტიკურ გააზრებას“ (გ. ასათ.).

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐ [ლათ. — სანერგე: გადატ. — სკოლა] — (ქსე) ზოგიერთი დაწესებულების სახელწოდება. ს. ჰქვია ქრისტ. სასულ. სასწავლებლებს. რევოლუციამდე რუსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში — დაწყ. სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლებელი (სამასწავლებლო ან საოსტატო ს.-ები). „1817 წელს თბილისში სასულიერო სემინარიაც დაარსდა“ (სასკ. სახ-ლო).

ᲡᲔᲛᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲘ — (უსლ) მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებათაგანი — „დაკიდული ბაღები“ ბაბილონში, რომელთა მოწყობაც მიეწერება ასირიის ლეგენდარულ დედოფალს სემირამიდას. იხ. „მსოფლიოს შვიდი საოცრება“.

ᲡᲔᲛᲘᲢᲔᲑᲘ, ᲡᲔᲛᲘᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ — (უსლ) ტომები, ხალხები, რომლებიც სემიტურ ენებზე ლაპარაკობენ; არაბული, სირიული, ებრაული, ეთიოპური, ასურული, ბაბილონური, არამეული, ფინიკიური და სხვა. მომდინარეობს (ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილის სემის სახელიდან). „ჩვენ სემიტები ვართ, მაშასადამე, ჩვენ უფრო მუსლიმანური ან ებრაული მატერიალისტური რელიგია გვედგება“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲡᲔᲜᲐ — (ქეგლ) სახლში სამეურნეო დანიშნულების სათავსი, სადაც ინახავენ რძის ნაწარმს და სხვა სურსათსანოვაგეს (ხევსურეთში, ხევში). „დაბნელებულ სენას ოდნავ ანათებდა მბჟუტავი კვარი“ („ხევისბერი გოჩა“— ალ. ყაზბ.).

ᲡᲔᲜᲐᲙᲐᲞᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) ძვ. ოთახის

(სენაკის) მცველი მეფის ან დიდებულის კარზე.

სენაკი — (ქეგლ) ცალკე ოთახი ბერისათვის, მონაზვნისათვის, განდეგილისათვის.

სენატორი — (ქეგლ) სენატის წევრი. 1. სახელმწიფო საბჭო. მმართველობის უმაღლესი ორგანო ძველ რომში. 2. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში და ზოგ სხვა ქვეყანაში. „კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი სენატორი იყო" (ნ. გრიგ. — წიგნი I).

სენტ-ეგზიუპერი ანტუან დე — (ქსე) ფრანგი მწერალი, II მსოფლიო ომის წლებში (1939-1045) სამხედრო მფრინავი იყო. დაიღუპა სადაზვერვო ფრენის დროს. 1926 წ. გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „მფრინავი". მის ცნობილ რომანებში: „სამხრეთის საფოსტო" (1929 წ.), „ღამის გაფრენა" (1931 წ., ფემინის პრემია), „ადამიანთა მიწა" (1939 წ., ფრანგ. აკად. დიდ ლიტ. პრემია) ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს დოკუმენტური რეპორტაჟი და ლირიკა, ფსიქოლოგ. ანალიზი და ფილოს. მსჯელობა ადამიანის დანიშნულებაზე. მისი სტილისტური ხელწერა ლაკონური და მკაცრია; მოულოდნელი ასოციაციები ენაცვლება ცოცხალ მეტაფორებს, მოსწრებულ აფორიზმებს. ამ ნაწარმოებებში ურთულესი ფილოს. და ეთიკური პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული სახეთა მთელ სისტემასთან და ნათელი, გამჭვირვალე ფორმითვლინდება. სიუჟეტური ეპიზოდები მოჰყვება ავტორის ფიქრებს და მსჯელობებს, თავისებური პოეტური პროზა ენაცვლება ცოცხალ დიალოგებს. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ს.-ის ალეგორიულმა ზღაპარმა „პატარა უფლისწული" (1043 წ.).

სენტენცია [ლათ. — აზრი, მსჯელობა] — (ქსე) ზნეობრივი ხასიათის სხარტი გამოთქმა, დამრიგებლური შინაარსის მოკლე შეგონება; ს. დამახასიათებელია დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და იგავ-არაკული ხასიათის ნაწარმოებისათვის. ხშირად იყენებენ აგრეთვე ორატორულ ხელოვნებასა და ცოცხალ, სასაუბრო ენაში. ს-ით მდიდარია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". დ. გურამიშვილის „სწავლა-მოსწავლეთა" და სხვა. „ახეა, ჩემო, ურმით დადის ბედისწერა ამქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო, მაინც წამოგეწევა ბოლოს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სეპარატიზმი [ფრ.] — (უსლ) სწრაფვა გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ.

სერაპიონ ზარზმელი — (ქსე) IX ს. ქართველთა საეკლესიო მოღვაწე, ზარზმის მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი (აქედან მიიღო ზედწოდება — ზარზმელი). მისი ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერა ბასილი ზარზმელმა. ს. ზ. წარმოშობით სამხ. საქართველოდან — კლარჯეთიდან იყო. ადრე დაობლდა, როცა წამოიზარდა, მიატოვა სახლი და დაემკვიდრა პარეხის მონასტერში, დაემოწაფა მიქაელ პარეხელს. პარეხში ს. ზ.-მა ბრწყინვ-

ალე საეკლესიო განათლება მიიღო; შემდეგ მიქაელის დავალებით გაემგზავრა სამცხეში თავის ძმასთან იოვანესთან და ოთხ სხვა თანამოღვაწესთან ერთად. იქ დააარსა ზარზმის მონასტერი — შემდგომში ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა, სადაც მოღვაწეობდა ღრმა მოხუცებულობამდე და სადაც არის დასაფლავებული.

ᲡᲔᲠᲐᲡᲙᲘᲠᲘ [თურქ.] — (ქსე) ოსმალეთის იმპერიაში თავდაპირველად არმიის მთავარსარდალი, XIX ს. — სამხედრო მინისტრი. XVI ს. ბოლოდან ს.-ის ტიტულს ატარებდნენ დიდი ვეზირის მოადგილეები, რომლებიც ჯარებს ხელმძღვანელობდნენ. სერასკირის ტიტული გაუქმდა XX ს. დასაწყისში „ზარი დახცეხ ხერახკირხა" („ქართველი ქალი" — აკ. წერეთ.).

ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛᲘ — (უსლ) (ძვ.) ქრისტიანულ რელიგიაში: ექვსფრთიანი ანგელოზი უმაღლესი ხარისხისა. (მით.) დიდი ადგილი უჭირავს ხელოვნებაში. არის ოთხფრთიანიც. იხ. ქერუბიმი. „ხერაფიმიხ ფრთა, ხეედიანი ჩემი ხანთელი ამ ბარათებზე ხაუკუნიხ ალად ენთება" („მგლოვიარე ხერაფიმები" — გ. ტაბ.).

ᲡᲔᲠᲐᲞᲘᲢᲘ — (ქსე) ქართველი დიდებულის პიტიახშ ზევახის უმცროსი ასული (II ს.) ცოლად ჰყავდა ქართლის (იბერია) მეფის ხსეფარნუგის ეზოსმოძღვარს იოდმანგანს. გარდაიცვალა 21 წლისა. მოხსენიებულია არმაზის ბილინგვაში და რომლის საფლავიც არმაზის გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი. „მარიტახ მერე აღარ გამკვირვებია არც ყინწვიხიხ ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა ხერაფიტა" („მარიტა" — გ. ლეონ.).

ᲡᲔᲠᲕᲐᲜᲢᲔᲡ ᲡᲐᲐᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲘᲒᲔᲚ ᲓᲔ — (ქსე) ესპანელი მწერალი. დაიბადა გაღარიბებული იდალგოს მრავალშვილიან ოჯახში. მოწაფეობის პერიოდში შეუთხზავს პირველი ლექსები. 1569 წელს რომში გაჰყვა პაპის საგანგებო ელჩს. იტალიაში დაიწყო სამხედრო სამსახური, სადაც 5-6 წელი დაჰყო. გაეცნო ქვეყნის კულტურას, შეისწავლა ენა, გაიღრმავა ჰუმანისტური ცოდნა. 1571 მონაწილეობდა თურქებთან ბრძოლაში. მძიმედ დაიჭრა მკლავში და ხეიბარი დარჩა. სამშობლოში რომ ბრუნდებოდა მეკობრეებმა ჩაიგდეს ტყვედ და მონად მიჰყიდეს ალჟირის ფაშას. 5 წლის მძიმე ტყვეობის შემდეგ მშობლებმა გამოისყიდეს. ოჯახის სიღატაკემ კვლავ აიძულა ს. ჯარში ემსახურა, მადრიდში დაიწყო პიესების წერა, მაგრამ სიღარიბემ და დამცირებამ დაათმობინა ლიტ-ული ასპარეზი. 1587 წელს გადასახლდა ანდალუსიაში, სადაც „უძლეველი არმადისათვის" სურსათის შემგროვებელ სააგენტოში კომისრად მსახურობდა. მოიარა მრავალი ქალაქი და სოფელი. გაეცნო ესპანეთის ყველა ფენისა და კუთხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს; უჭირდა ხარჯის აღრიცხვა, ანგარიში ეშლებოდა, ედებოდა ვალები, ამიტომ სამჯერ ციხეში ჩასვეს, ბოლოს ნახევრად მონაზვნური რელიგიური ძმობის წევრი გახდა, სიკვდილის წინ კი „სრული ხელდასხმა" მიიღო და მონასტერში ძმობის ხარჯზე დაასაფლავეს. მისი საფლავი დაკარგულია. პორტრეტს ჩვე-

ნამდე არ მოუღწევია, ხოლო ის, რაც ახლა მის პორტრეტად არის მიჩნეული, ინგლისელ მხატვარს ჯ. კენტს დაუხატავს „სამოძღვრებო ნოველების“ პროლოგში მწერლისავე საკუთარი გარეგნობის აღწერის საფუძველზე. ეპოქა, რომელშიც სერვანტესი ცხოვრობდა ესპანეთის კულტურის ისტორიაში „ოქროს საუკუნის“ სახელით არის ცნობილი. ამ ეპოქის უდიდესი მოვლენაა სერვანტესის შემოქმედებაც.

ᲡᲔᲠᲗᲣᲙᲘ [ფრანგ.] — (უსლ) მამაკაცის ძველებური ორბორტიანი ზედა სამოსი, წელში გამოყვანილი და გრძელკალთებიანი. „ნიკო ლორთქიფანიძეს თეთრი ხერთუკი ეცვა და შავი პალხტუხი ეკეთა“ (ნ. გრიგ. წ. I).

ᲡᲔᲠᲘ, ᲡᲔᲠᲝᲑᲐ — (ქეგლ) საღამო ჟამს პურის ჭამა, ვახშამი. საერთოდ პურის ჭამა, ნადიმი, ლხინი („საიდუმლო სერობა“).

ᲡᲔᲤᲐ — (ქეგლ) გრძელი კარავი (ჩვეულებრივ ფოთლიანი ტოტებით გადახურული) — თალარი, ფანჩატური მართავენ სახელდახელოდ ცის ქვეშ, ნადიმის, ქელეხის დროს.

ᲡᲔᲤᲔ — (ქსე) 1. სენიორის — მეფის, უფლის, მეუფის საკუთრება V-XII ს. ს. საქართველოში. სეფის სინონიმია ამ პერიოდში: „სამეფო“, „საუფლო“, „სამეუფო“. აქედან არის ნაწარმოები ტერმინი „სასეფო“ — სამეფო.

V-XVII ს. ს. წერილობით ძეგლებში (ბიბლიისა და ოთხთავის უძველესი თარგმანები, „ნინოს ცხოვრების“ ადრინდ. რედაქციები, „ქართლის ცხოვრება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, ისტ. დოკუმენტები) სეფე გვხვდება როგორც ცალკე, ისე კომპოზიციებში: სეფეწული (დიდგვაროვანი, დიდებულისშვილი), სეფეკაცი, სეფეშვილი (სამეფო მიწაზე მოსახლე კაცი, სამეფო გასალი), სეფექალი (დედოფლის მხლებელი, მოახლე ქალი), სეფე გლეხი (სამეფო გლეხი), სეფე ქვეყანა, სეფე მიწა (სამეფო მიწა, სამეფო დომენი), სეფე დროშა (სამეფო დროშა), სეფე ზვარი (სამეფო ზვარი), სეფე მწიგნობარი (სამეფო მწიგნობარი), სეფე მეაბჯრე (მეფის მეაბჯრე), სეფე კარავი (სამეფო კარავი), სეფე ტაბაკი (სამეფო მაგიდა), სეფისკვერი (ზეციური მეუფის — ღმერთის პური) და სხვა. „თორმეტი თორიანი რაინდი ხეფე-დროშას ახლდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲔᲤᲘᲡᲙᲕᲔᲠᲘ — (ქსე) ზიარებისათვის განკუთვნილი ლიტურგიული პური გამტკეცილი ფქვილისაგან გამომცხვარი. საბას მიხედვით — „დიდებულთ კვერი“. ზიარებისას ს.-ის ჭამა და ღვინის შესმა განასახიერებდა ქრისტეს ხორცთან და სისხლთან მორწმუნის სიმბოლურ შერწყმას. დიოფიზიტების ს.-ს, მონოფიზიტებისა ს.-გან განსხვავებით, საფუვრიანი ცომისაგან ამზადებენ. „ფოქრიაჲ, შენ აიაზმის წყალი და ხეფისკვერი მოიტანე“ („არსენა მარაბდელი“ — მ. ჯავახ.).

ᲡᲔᲤᲥᲐ — (ქ. ეწ.) ისარი.

ᲡᲔᲥᲢᲐ — (უსლ) 1. რელიგიური ჯგუფი, რომელიც განდგომილია ეკლ-

ესიისგან. 2. სხვებისაგან განცალკევებული, კარჩაკეტილი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გამოირჩევიან დოგმატური შეხედულებებით. „დრუზების სექტამ ღმერთად გამოაცხადა ალ-ჰაქიმი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

სექტანტი – (უსლ) რელიგიური სექტის წევრი; ვიწრო, დოგმატურ შეხედულებათა მქონე ადამიანი. „ზოგს უკვირს რატომ საქართველოში სექტანტობა არ იყოო?" („ჯაყოს ხიზნები" – მ. ჯავახ.).

სესნია – (ბიბლ.) მოსახელე.

სვასტიკა – (უსლ) სწორკუთხად მოხრილი ბოლოების მქონე ჯვარი – ორნამენტული მოტივი, რომელიც გვხვდება ძვ. ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიისა და ზოგი სხვა ქვეყნის ხელოვნებაში, ფაშისტებმა თავიანთ ემბლემად გამოიყენეს (შდრ. ბორჯღალი). (ქსე) არსებობს ოთხმხრიანი, სამმხრიანი და მრავალმხრიანი სვასტიკა. სვასტიკის მხრები კუთხოვანია ან მომრგვალებული. მომრგვალებულ მკლავებიან სვასტიკას ქართულად ბორჯღალს უწოდებენ. სვასტიკას სხვადასხვა საკულტო და სიმბოლური მნიშვნელობა მიეწერებოდა. მზის ბრწყინვალებისა და ცეცხლის სიმბოლო ბედნიერებისა და კეთილდღეობის ცნებასაც ითავსებდა. მზის მარადიული ბრუნვის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. პოპულარული იყო ბერძნულ-რომაულ სამყაროში, საიდანაც იგი ქრისტიანულმა ხელოვნებამ შეითვისა. ხშირია სვასტიკის გამოსახულება საქ.-ის ადრინდელ კულტურის თიხის ჭურჭელზე, ოქროს სამკაულების ორნამენტიკაში. სვასტიკის მრავალმკლავა ვარიანტი (ბორჯღალი) ქართული დარბაზის, დედაბოძის, კერის ქვების, კიდობნებისა და სხვა ნივთების უმნიშვნელოვანესი ორნამენტია.

სვე – (ქეგლ) ბედი, ბედისწერა. „ხელმწიფენი, რომელით სვესაც ვეშურეთ" („ფიქრნი მტკვრის პირზედ"). „მეფე ღმრთისაგან სვიანი" („ვეფხისტყაოსანი"– შ. რუსთ.).

სვეტიცხოველი – (ქსე) XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საპატრიარქო ტაძარი. მდებარეობს თბილისიდან 20 კმ-ზე, მცხეთაში; ს. ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის. იგი საუკუნეების მანძილზე ქრისტ. საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ IV ს. გაქრისტიანებულ მირიან მეფეს წმ. ნინოს რჩევით აქ პირველი ეკლესია აუშენებია, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია. 1070-1971 წწ. სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს (ხელ-ლი – არქიტ. გ. ცინცაძე) მიკვლეული იქნა მისი საძირკვლის კვალი; ასევე მთლიანად შემოიხაზა იმ ბაზილიკის გეგმა, რომელიც იქვე აშენა, წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა V ს. II ნახევარში. XI ს. დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკიძე მიიწვია, მშენებლობა 1010 წ. დაიწყო და 1029 წ. დამთავრდა.

ს.-ის ტაძარი გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხედია. ჯვრის სახე სივრცეში შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს გაწედილი 4 მკლავით. გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარმა მრავალი ცვლილება განიცადა, ძვ. ფრესკების დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო კედლების შეთეთრებამ ინტერიერს გამოაკლო მისი მხატვრული მთლიანობის აუცილებელი სხვა ორგანული ელემენტებიც, იგი დღესაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. მცხეთობა).

ᲡᲕᲘᲐ — (ქეგლ) ხვიარა ბალახოვანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა, მის გირჩისებრ ყვავილებს იყენებენ ლუდის დასამზადებლად და ლუდისათვის საგანგებო გემოს მისაცემად.

ᲡᲕᲘᲜᲐᲥᲡᲐᲠᲘ — (ქ. მწ.) წმინდანთა ცხოვრების ან წესების მოკლედ მოთხრობა.

ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲙᲐᲜᲐᲜᲔᲚᲘ — (ქსე) სახარების მიხედვით, იესო ქრისტეს რჩეული 12 მოწაფეთაგანი. ანდრია პირველწოდებულთან ერთად ქრისტეს მოძღვრება იქადაგა საქართველოში. იგი საქართველოში ეწამა და ახალი ათონის მთაზე დაუკრძალავთ.

ᲡᲕᲘᲜᲢᲠᲝ — (ქეგლ) ტყის ბალახოვანი მცენარე, იკეთებს გრძელყუნწიან ოქროსფერ ყვავილებს. იხმარება საჭმელად. „ხვინტრო იგი ხარობს თურმე იმერეთში" („ხვინტრო" - გ. ტაბ.).

ᲡᲕᲘᲠᲘᲜᲒᲘ — (ქ. მწ.) ყვავილის ან კეთრის შედეგად გამოსული მუწუკი. „ეზოს მოძღვარს ხვირინგებმა გამოაყარა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲗᲕᲚᲘᲡᲐ — (საბა) ოქტომბერი.

ᲡᲘᲐᲡᲐᲛᲣᲠᲝ — (ქეგლ) საშუალო ზომის მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა; აქვს მურა-მოშავო ძვირფასი ბეწვი. სიასამურის მოსასხამი.

ᲡᲘᲐᲛᲐ — (ქსე) განიერლულიანი, მხარზე სატარებელი თოფის ერთ-ერთი ძვ. სახეობა. ს.-ს სროლისას სპეც. შტატივზე (ორკაპი, კაკვი) ამაგრებდნენ. შტატივს ქვეითნი მიწაზე აყრდნობდნენ, ხოლო მხედრები უნაგირის კეხზე მართავდნენ. ს.-ს ადრე წამლითა და ქვით, ხოლო მომდევნო ხანებში ტყვიით ტენიდნენ და ლულიდან ან ლულის ქვედა ნაწილში დატანებული სვრელიდან უკიდებდნენ ცეცხლს. XVI ს. I ნახ. ს.-ს უკეთებდნენ სასხლეტ რესორზე აგებულ ჩახმახს, უფრო მოგვიანებით კი — კაჟის ბატარეას. „დაბალ ბოძზე ჯვარიერთ გახიდულა გადატეხილი სიათა თოფი" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

ᲡᲘᲗᲐᲙᲐᲜᲘ||ᲡᲐᲗᲘᲙᲐᲜᲘ — (საბა) მამამთავართ საჯდომი ადგილი, საყარძელი. „ჯაყომ თავნის ჩრდილში ხევისთავთა საგვარეულო სათიკანი დაიდგა" („ჯაყოს ხიზნები").

ᲡᲘᲒᲚᲘᲡᲞᲔ — (ქ. მწ.) ურცხვობა, უნამუსობა.

ᲡᲘᲗᲕᲐ — სთვა — ძაფის შეგრეხა, შესთვა — შეგრეხილი, დართული ძაფით ნაქარგი (საბა). „ირმის თავები იყო

საწმერთულზე სითვით ამოქარგული" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სიმბოლიზმი [ბერძ.] — (ქსე) ნიშნავს პირობით ნიშანს. ლიტ. მიმდინარეობა. იგი წარმოიშვა საფრანგეთში. ზოგჯერ მოდერნიზმს ან ნეორომანტიზმს უწოდებენ. ს.-ის განმსაზღვრელია სინამდვილის უარყოფა, ხელოვნებისა და სინამდვილის გათიშვა ერთმანეთისგან. სიმბოლისტის აზრით ხილული ქვეყანა უხილავი იდეების უხეში ანარეკლია, მიღმა (იდეური, ოცნების, ღვთისმსახურებრივი სამყარო), ქვეყანა კი ოცნების, მშვენიერების უცნაური სფეროა, რომელთანაც მიახლოება სიმბოლოების საშუალებით ხერხდება. მიღმა, ანუ იდეალისტური ქვეყანა გონებისათვის მიუწვდომელია. მხოლოდ სიმბოლოებს, პირობით ნიშნებს გადავყავართ იმ ქვეყანაში. პოეტმა ამ სიმბოლოებით უნდა დაამყაროს კავშირი რეალურ და ირეალურ ქვეყანას შორის. ეს ქვეყანა უვარგისია, ცხოვრება გვდევნის, ამიტომ ამქვეყნიური სინამდვილე კი არ არის საინტერესო, არამედ ის, რაც მას ჰგავს, პირობითი ნიშანი ანუ სიმბოლო. ს. როგორც დეკადენტობის მკაფიო გამოხატულება ემყარება თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ქადაგებს მისტიციზმს, ინდივიდუალიზმს, ეროტიზმს. „გ. ტაბიძე თავისი პოეტიკით მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მიმდინარეობასთან, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურაში სიმბოლიზმის სახელით არის ცნობილი" (გ. ასათ.). „ალ. ბლოკი წერდა: სიმბოლისტი პოეტი არის, უპირველეს ყოვლისა, მფლობელი საიდუმლო ცოდნისა, რომლის თანახმად ხდება მისი საიდუმლო მოქმედება. ამ საიდუმლოს, რომელსაც შემდეგ იგებს ქვეყანა, ის უცქერის, როგორც თავის საკუთრებას. ეს არის მისი პოეტური საუნჯე. სიმბოლისტების ამ რწმენას მთლიანად იზიარებს გ. ტაბიძე ლექსში „მე და ღამე" (ს. ჭილაია, გ. ტაბიძე, ტ. I, 1960 წ.).

სიმპათია [ბერძ.] — (უსლ) კეთილი განწყობილება, თანაგრძნობა, შინაგანი სწრაფვა ვინმესადმი (საპირისპიროა ანტიპათია). „ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთგვარი სიმპათიით ხატავს ხოჯის სახეს. (სახ. სახ-ლო).

სიმპოზიუმი {ბერძ. — წვეულება, ნადიმი} — (ქსე) 1. ძვ. ბერძნებსა და რომაელებთან — ქეიფი მუსიკითა და გართობით, რასაც მოჰყვებოდა სჯა-ბაასი, საუბარი. 2. თათბირი, ჩვეულებრივ, საერთაშორისო რაიმე სპეციალურ (ძირითადად სამეცნიერო) საკითხებზე.

სიმულაცია — (უსლ) რისამე (მაგ. ავადმყოფობის) მოგონება ვისამე მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით.

სიმფონია {ბერძ.} — (უსლ) 1. მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის; ჩვეულებრივ შედგება სამი ან ოთხი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მუსიკის ხასიათითა და ტემპით; 2. ბგერათა ჰარმონიული შეხამება, თანაჟღერა. 3. რაიმე ნაწარმოების ტექსტში ნახმარ სიტყვათა სრული სია; კონკორდანსი. „სვეტიცხოველი არის ცაში ატყორცნილი სიმფონია ლოდებისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲘᲔᲭᲚᲔ – (ქ. მწ.) სიგამხდრე.

ᲡᲘᲜᲐ – (ქეგლ) დაჟანგული სინამოდებული (სპილენძი). სპილენძის მწვანე ჟანგი, იგივეა რაც მაგთული, თუნუქი, რვალი, სპილენძი.

ᲡᲘᲜᲐᲒᲝᲒᲐ – (ბიბლ.) ებრაელთა სამლოცველო.

ᲡᲘᲜᲓᲣᲠᲘ {თურქ.} – (ქეგლ) წითელი მინერალი ერთგვარი; მისგან იღებენ ვერცხლისწყალს; ძვ. იყენებდნენ აგრეთვე საღებავის დასამზადებლად. ამ მინერალისგანაა მიღებული წითელი საღებავი. „საწმერთულებს თვალი წაატანა გორგომ, პირისფერს, ბროწეულის ყვავილისა და სინგურისფერს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲡᲘᲜᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘ {ბერძ.} – (ქეგლ) იუდეაში: უხუცესთა საბჭო უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება; 2. კრება, თათბირი, საბჭო. ირონიულად, გადატანით. „ქალთა სინენდრიონი" (გ. ლეონ.).

ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ – (უსლ) 2. შეერთება, განზოგადება, სინთეზზე დამყარებული. (გადატ.) შერწყმული: განზოგადებული. „დავით კლდიაშვილის მიერ დახატული ტიპები ამ ადამიანთა სინთეზური სახეებია, რომელთაც მწერალი პირადად იცნობდა" (სახკ. სახ-ლო).

ᲡᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ – (ქსე) ძვ. ქართული მწიგნობრობის კერა საზღვარგარეთ. მდებარეობს არაბ. ნ.-კ.-ის დას.-ით, სინის ნ.-კ.-ის სამხ. სექტორში. სინის მთის ეკატერინეს მონასტერში (ზღვის დონიდან 1528 მ. დაარსებულია IV ს.) უძველესი დროიდან მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, ქართველები და სხვა. იქ დაცულია ბიზანტ. ხელოვნების უმდიდრესი კოლექცია. თითო-ოროლა ქართველი სინის მთაზე VI ს.-დან ცხოვრობდა. ქართველთა სათვისტომო კი – IX ს. დაარსდა. X ს. არაბთა ძალმომრეობით შეწუხებულმა და პალესტინის სავანეებიდან იქ გადახვეწილმა ქართვ. ბერებმა სინის მთაზე მწერლობის მძლავრი კერა შექმნეს. ისინი არსებითად პალესტინის ქართ. კულტ. ტრადიციებს აგრძელებდნენ. იქ საქმიანობდნენ მწიგნობრები, პოეტები, კალიგრაფები, წიგნთა მმოსველები (იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, მიქაელ კათამონელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულეანისძე და სხვა). მათი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნსაცავი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს იქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტ. ინტერესებს. X ს. მათ ჰქონდათ არა მხოლოდ ბიბლ-კა, არამედ სამკითხველო დარბაზი და სპეც. კატალოგიც. სინის მთის ქართ. ხელნაწერებიდან ზოგი დღესაც იქ არის დაცული, ზოგი კი თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, პრაღის, გრაცის, აშშ-სა და სხვა ბიბლიოთეკებში ინახება.

ᲡᲘᲜᲝᲓᲘ – (ქ. მწ.) მართლმადიდებელთა უმაღლესი საეკლესიო ორგანო. „1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საკათალიკოს ნაცვლად შეიქმნა საეგზარხოსო, რომელიც ემორჩილებოდა რუსეთის სინოდს" (ნ. გრიგ. წიგნი 1).

ᲡᲘᲝᲜᲘ — (ქსე) 1. ბორცვი იერუსალიმში. ბიბლ. ტრადიციით, იქ იყო მეფე დავითის რეზიდენცია და ღვთაება იაჰვეს ტაძარი. იუდაიზმში სიტყვა „სიონი“ სიმბოლურად „ღვთისმოშიშ“ ადამიანს აღნიშნავს. 2. ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში საეკლესიო წმინდა ჭურჭელი, რომელშიც სეფისკვერი ინახება. ამზადებენ ვერცხლისაგან და მინიატურულად ქრისტ. ეკლესიის ფორმას იმეორებს. ქართ. ეკლესიაში ამ ჭურჭელს სანაწილეს უწოდებენ; დგამენ საკურთხეველში ტრაპეზზე. 3. მრავალი ქართული ეკლესიის სახელწოდებაა.

ᲡᲘᲝᲜᲘ — (ქსე) სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი. ისტ. ცნობების თანახმად, ქართლის ერისმთავრებს VI ს. II ნახ. დაუწყიათ საეპისკოპოსო კათედრალის — დიდი ეკლესიის ანუ სიონის მშენებლობა.

ᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ — (უსლ) 1607 წ. ქ. ბაზელში (შვეიცარია) დაარსდა „მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია, რომელმაც თავის მიზნად გამოაცხადა მსოფლიოს ყველა ებრაელის გადასახლება პალესტინაში და იქ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა. პროპაგანდას უწევს ყველა ებრაელის კლასობრივ თანამშრომლობას.(იერუსალიმთან არსებული სიონის მთის სახელწოდების მიხედვით).

ᲡᲘᲞᲘ — (ქ. მწ.) მაგარი ქვა. „სიპისა აქვის ღარები“-ვაჟა.

ᲡᲘᲠᲐ — რიგი, კატეგორია.

ᲡᲘᲠᲐᲯᲘ — (ქეგლ) ღვინით მოვაჭრე. სირაჯხანა — ღვინის სავაჭრო.

ᲡᲘᲠᲘ — (ქეგლ) (ძვ.) იგივეა, რაც ჩიტი (ჭივჭივი). სასირე — ფრინველის დასაჭერი ბადე. „გაუმაძღარი ხირი მიეტანა მძორს და მოიზრა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲘᲠᲘᲜᲝᲖᲘ [ბერძ.] — (ქეგლ) მით. ზღვის არსება, რომელიც თავისი სიმღერით სიბლავდა, სახიფათო ადგილებში იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს. წარმოდგენილი ჰყავდათ ქალის თავის მქონე ფრინველის ან თევზის სახით. სირინოზის ხმა — მომხიბლველი, მომაჯადოებელი ხმა. „მარტო ერთნი სირინოზნი ამ აკვანს გარს ეხვევიან" მარტო იგინი გრძნეულნი დასტრფიან და დამღერიან“ („ბაზალეთის ტბა“ — ი.ჭავჭ.).

ᲡᲘᲠᲩᲐ — (ქეგლ) ერთგვარი სასმისი, კათხა.

ᲡᲘᲡᲘᲤᲔ, ᲡᲘᲖᲘᲤᲔ — სიზიფეს შრომა (უსლ) ითქმის დაუსრულებელ და უნაყოფო მძიმე შრომაზე [საბერძნეთის (კორინთოს) მითოლოგიური მეფის სახელის მიხედვით; ღმერთების გადაწყვეტილებით მას მაღალ მთაზე უნდა აეგორებინა მძიმე ქვა, რომელიც მწვერვალზე ატანისთანავე უკან გორდებოდა].

ᲡᲣᲖᲐᲜᲐ, ᲡᲣᲖᲐᲜᲘ [სპარს.] — (ქეგლ) ფერადი ნაქარგი ქსოვილი რამეზე გადასაფარებლად, კედელზე გასაკრავად და სხვა. სუზანის სუფრა. აბანოს სუზანი. „ამოალაგა დიაცმა სატაური აბანოს

სუზანები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სიუზერენი — (უსლ) შუა საუკ. დას. ევროპაში: მსხვილი ფეოდალი, რომელსაც მეფის უფლებები ჰქონდა მასზე დამოკიდებული გასალების მიმართ.

სიუჟეტი [ფრ. — საგანი] — (ქსე) ნაწარმოების ფაბულის მხატვრული დამუშავება. მისი ესთეტიკური ორგანიზაცია და დროსა და სივრცეში გაშლა. ს.-ს შეიძლება ვუწოდოთ ფაბულის გაცოცხლება, მისი დამოუკიდებელი მოძრაობა. ს. მოიცავს ამბებს, ეპიზოდებს, სცენებს, სიტუაციებს, პერსონაჟთა თავგადასავალს, ხასიათთა ჩამოყალიბებას, მოტივების სისტემას. ს.-ში უკავშირდება პერსონაჟი ამბავს, სხვა პერსონაჟს ან პერსონაჟებს და ეს ნიშნავს მასში ადამიანთა ურთიერთობის გამოხატვას. ს.-ში შეიძლება მოცემული იყოს ერთი ამბავი, შეიძლება ერთზე მეტიც. ზოგი მკვლევრის აზრით, ს. გამოხატავს „სინამდვილის კონცეფციასაც", რაც არ არის სწორი, რადგან ავანტიურისტულ, დეტექტიურ, რომანტიკულ და დეკადენტურ ნაწარმოებებში არ იხატება, ან ნაკლებად იხატება „სინამდვილის კონცეფცია".
ხშირად ძნელდება კვანძის შეკვრის მომენტის მოძებნა ნაწარმოებში, რადგან ფაბულური დრო ყოველთვის არ ემთხვევა სიუჟეტურ დროს. ამ მომენტის მიგნება გადამწყვეტ როლს თამაშობს მწერლის მიერ არჩეული მხატვრული იდეის გარკვევაში. [„ხევისბერ გოჩაში" მოქმედების შეუნელებელი დინამიკა მკითხველს აძულებს, შეუნელებელი ინტერესით მიჰყვეს სიუჟეტის განვითარებას (ხასკ. ხას-ლო).

სიურეალიზმი — (უსლ) XX ს. ბურჟუაზ. ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ერთ-ერთი უკიდურესი ფორმალისტური მიმართულება, რომელიც უარყოფს გონებისა და ცდის როლს ხელოვნებაში და შემოქმედების წყაროს ეძებს ქვეცნობიერების სფეროში (სიზმრებში, ჰალუცინაციებში, ინსტინქტებში და მისთ).

სიურპრიზი [ფრ.] — (უსლ) მოულოდნელი საჩუქარი, მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი.

სიფრო — (ქ. მწ.) სუფრა, ტაბლა. „ჩქარა მოიტანეს სიფროები, გააგხეს ფუნთუშებით და ჭედილების ხორციი" („ხევისბერი გოჩა" - ალ. ყაზბ.).

სიქადული — (ქ. მწ.) ქადილად ნათქვამი (საბა). იმედი, სასიქადულო — საამაყო, საიმედო.

სიქველე, ქველმოქმედება — (ქ მწ.) სიკეთე.

„სიქსტინის მადონა" — რაფაელის განთქმული სურათია. ინახება დრეზდენის გალერეაში. „თვალზე გამოფენილი კნეინებს სასიყვარულო ლანდებით სავსე თვალები სიქსტინის მადონასავით ალეპყრობით ლაჟვარდ ცაში" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

სიღნალი — (ქ. მწ.) საფარი, თხრილი, სანგარი. „ოსმალ-მესხების სიღნალებში არაფერი შეცვლილა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ᲡᲘᲧᲛᲘᲚᲘ — (ქ. მწ.) შიმშილი.

ᲡᲘᲫᲕᲐ — (საბა) უქორწინოს ბოზობა, ხოლო ჯვარდაწერილთა — მრუშობა. სიძვის დიაცი — ბოზი, კახპა. „ვაზირებმა იცოდნენ: სიძვის დიაცებთან ქეიფობდა კონსტანტინე ნიკეაში იმ დღეს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲙᲐᲠᲐᲛᲐᲜᲒᲘ — (საბა) „ესე არს ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქროის თმითა და ჩიგინითა". (ოქროქსოვილი) ფარჩა, ხავერდი. „მელქისედეკმა ახალნაგებ ტაძარში დაჰკიდა ოქსინონი, სკარამანგი და სხვანი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲙᲔᲞᲢᲘᲪᲘᲖᲛᲘ [ბერძ.] — (უსლ) 1. იდეალისტურ-ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას. 2. კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში. „ბიზანტიასთან მიმართება აიძულებს მეფე გიორგის ფხიზლად შეხედოს სჯულს, გამოიჩინოს ერთგვარი სკეპტიციზმი" (ქსმა) — ს.სიგუა.

ᲡᲙᲔᲢᲩᲘ — (უსლ) სახუმარო შინაარსის მცირე საესტრადო პიესა.

ᲡᲙᲕᲘᲗᲔᲑᲘ — (ქ. მწ.) ძველ აზიურ მომთაბარე ტომთა კრებითი სახელია. ისინი ცხოვრობდნენ სკვითიაში დუნაის ქვემო წელიდან ვოლგამდე, შავი და კასპიის ზღვების დაბლობებზე. გარკვეულ როლს თამაშობდნენ ბერძნულ მითოლოგიაში. „სკვითმა წაგვართვა სამშობლო" (ხალხური).

ᲡᲙᲘᲞᲢᲠᲐ — (ქეგლ) {ბერძ.} სამეფო კვერთხი — მეფის ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი, „სათამაშოების ნაცვლად სკიპტრა შეაჩეჩეს ხელში გიორგის". „მისცა სკიპტრა და შემოსა" („ვეფხისტყაოსანი"- შ. რუსთ.).

ᲡᲙᲚᲐᲢᲔ — (ქ. მწ.) მაუდი, ძვირფასი ქსოვილი.

ᲡᲙᲝᲠᲔ — (ქ. მწ.) ფრინველთა განავალი. „მეც დავდივარ, სკორეს გადავაცლი ხოლმე ვახტანგ გორგასლისა და ერეკლე II -ის საფლავებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲡᲙᲣᲚᲞᲢᲣᲠᲐ — (უსლ) ქანდაკება, ქანდაკების ხელოვნება „სახელმწიფური შეკვეთის შედეგია ფიდიასისა და პრაქსიტელის სკულპტურა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ᲡᲙᲣᲠᲞᲣᲚᲝᲖᲣᲠᲘ — (უსლ) 1. ზედმიწევნით ზუსტი, დაწვრილებითი; 2. წვრილმანური.

ᲡᲛᲝᲙᲘᲜᲒᲘ — (ინგ.) შავი მაუდის პიჯაკი, რომელსაც ღია გული და აბრეშუმით გაწყობილი გრძელი გადანაკეცები აქვს. „თეიმურაზმა უკან მოიხედა და დაინახა როგორ დაკარგა ყველაფერი: „საუცხოოდ მორთული ექვსოთახიდან სოფლის ჭუჭყიან დუქნამდე, რედინგოტ-სმოკინგიდან სელის ხალათამდე" („ჯაყოს ხიზნები" - მ. ჯავახ.)

ᲡᲜᲝᲑᲘ — (უსლ) ადამიანი, რომელიც ცდილობს ზუსტად დაიცვას მოდა და ე. წ. კარგი ტონის წესები; პირი, რომელსაც დახვეწილი გემოვნების, მანე-

ამით მოაქვს თავი. ტერმინი დამკვიდრდა ინგლისელი მწერლის თეკერეის სატირული წიგნის სათაურიდან „სნობების წიგნი“. მწერალი დაცინვით სნობს უწოდებს მას: 1.ვისაც დახვეწილი მანერებისა და კარგი გემოვნების პრეტენზია აქვს და ამით ქედმაღლობს; 2. ვინც ყველაფერში ბაძავს მაღალი საზოგადოების მოდებს და ქცევას, ბონტონის (კარგი ტონის) მოთხოვნებს; 3. ვინც მდიდრებსა და ცნობილ პიროვნებებს ფეხქვეშ ეგება, ღარიბ ნათესავებს კი არც ესალმება 4. მდიდრულ სადილებს უმართავს ცნობილ ადამიანებს და მთელ შემოსავალს ერთ ლხინში ხარჯავს; 5. ფულს სესხულობს და არ (ან ვერ) იხდის, რცხვენია სიღარიბისა და პატიოსანი შრომისა; 7. თუ მდიდარი გახდა ტრაბახობს სიმდიდრითა და მაღალი წარმოშობით. სნობიზმი ბოროტებაა, ან პათოლოგიური პატივმოყვარეობა და არა ახირება, მოდურობა.

ᲡᲝᲓᲝᲛᲘᲡ (ᲡᲝᲓᲝᲛ-ᲒᲝᲛᲝᲠᲘᲡ) ᲪᲝᲓᲕᲐ — გარყვნილება, მამათმავლობა. „სოდომის ცოდვისთვის სხვადასხვა სახელით იყო დაწესებული ბიზანტიაში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). სოდომი და გომორი ბიბლიური ქალაქებია, რომელთაც ცოდვათა გამო ღმერთმა ცეცხლის წვიმა აწვიმა და დააქცია. აქედან მოდის გამოთქმა „მოვა სოდომ-გომორი“. „ქალაქებში — სოდომსა და გომორში ჯერაც არგაგონილი ცოდვა ტრიალებდა“ (ნ. გრიგ. წიგნი I).

ᲡᲝᲚᲘᲓᲘ — (ქეგლ) ბიზანტიური ოქროს ფული. „გამობრუნდა გახარებული ფარსმანი, შემრჩებაო ათი ათასი ოქროს სოლიდის ხაღირალი პატიოსანი თელები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘ — (ქსე) (ძვ. ებრ. შელომო) ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 1065-028 წ.წ. დავითის ძე და თანამმართველი 065-967 წ. წ. მემკვიდრეობით მიიღო ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო. ქვეყანა დაჰყო 12 ადმ. ოლქად, რომელთა საზღვრები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვეოდა ცალკეული ტომების ტერიტორიებს. ჩაატარა არმიის რეორგანიზაცია. ქვეით ჯარს ცხენოსანთა მძლავრი კორპუსი დაუმატა. შექმნა რთული ადმ. აპარატი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა. ეწეოდა დიდ სამშენებლო საქმიანობას. ააშენა იაჰვეს ტაძარი და სამეფო რეზიდენცია, იერუსალიმში ააგო ციხესიმაგრეები. გაცხოველებული ალებ-მიცემობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. ს.-ის მეფობის დროს აყვავდა იერუსალიმის სამეფო: „და ქმნა მეფისაგან ვერცხლი იერუსალიმს შინა, ვითარცა ქვა და კედრის ხე ქმნა, ვითარცა ლელვი, რომელ ველსა ზედა არს“. ტრადიცია ს.-ს მიაწერს ბიბლიის წიგნების („ქებათა ქება“, „სოლომონის იგავები“, „ეკლესიასტე“) ავტორობას.

„სოლომონ ბრძენი“ მოარულ გამოთქმად იქცა. იტყვიან ძალიან ჭკვიან და ბრძენ კაცზე. როცა მსუნაგმა მელამოძღვარმა თუთუს მისი „დანაშაულის“ სამხილად მოუდო „ეგ თომარ-ჯილა ვინ დაგხურაო“, ეშმაკმა თუთუმა უპასუხა: „სოლომონ ბრძენმა თავის ხელით დამხურაო“ („მელა მოძღვრად“ — საბა). „დარეჯანს ვითომც სოლომონ ბრძენის წიგნი წაეკითხოს“.

ႱႭႩႰႠႲႤ (470-399 ძვ. წ.) — (ავ. გელ.) გენიალური ბერძენი ფილოსოფოსი. ფილოსოფიის მამა „ატიკის პირველი ბრძენი". მოაზროვნე, რომელმაც კვლევის ობიექტად აქცია უპირველესად ადამიანი, მისი ბუნება, ცოდნა, მორალი. სწორუპოვარი მოსაუბრე. როგორც ნაფიცი მსაჯულთაგანი ერთადერთი აღუდგა წინ სიკვდილის განაჩენს. თვითონ მას კი სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს (უსამართლო მბრძანებელთა წინააღმდეგ ახალგაზრდობის ამხედრებისათვის) თავდაცვის ნაცვლად გადაიკიდა სასამართლო, უარი თქვა გაქცევაზე, რაც პლატონმა და სხვა მოწაფეებმა შესთავაზეს. საუბარში დალია შხამი. „უკანასკნელი" დიდი ბერძენი ბრძენის სიკვდილი ისტორიულ მოვლენად იქცა „სიკეთე სხვა არაფერია თუ არა სიამოვნება, ბოროტება კი ტანჯვაა" — ამბობდა იგი.

ႱႭႪႭႫႭႬ I — (ქსე) 1735-1704. იმერეთის მეფე. ალექსანდრე V-ს ძე. ს. I-ის მიზანი იყო ცენტ. ხელისუფლების განმტკიცება, დასავლეთი საქართველოს გაერთიანება, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა და ოსმალთა მძლავრობისაგან ქვეყნის განთავისუფლება. მეფის ამ გეგმებს ვერ ურიგდებოდნენ დიდი თავადები, როსტომ რაჭის ერისთავმა და ლევან აბაშიძემ 1752 წ. იგი იმერეთიდან გააძევეს, მაგრამ 1753 წ. ს. I-მა მოახერხა ტახტის დაბრუნება. ოდიშის მთავრის მხარდამჭერის მოსაპოვებლად ს. I გაეყარა თავის პირველ ცოლს და ოტია დადიანის ასულ მარიამზე იქორწინა. მეფემ შემოიკრიბა დიდი თავადების მიერ შევიწროებული წერეთლები, წულუკიძეები, ჯაფარიძეები, იაშვილები და აგიაშვილები. მას მხარს უჭერდა ეკლესია და წვრილი აზნაურობა. სოლომონ I-მა გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაათავისუფლა სამეფო გადასახადისაგან და მისი მხარდამჭერიც მოიპოვა. ს. I-მა აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, ამის გამო ოსმალებმა კავშირი შეკრეს ქართველ თავადთა ერთ ჯგუფთან და იმერეთზე გაილაშქრეს. 1757 წ. ხრესილის ბრძოლაში ს. I-მა დაამარცხა მტერი და ამ ბრძოლაში დაღუპული ლევან აბაშიძის მამული თავისად გამოაცხადა. ამავე წელს ს. I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში სამხედ. დახმარების ხელშეკრულება დადეს, რითაც ს. I-ის ხელისუფლება კიდევ უფრო გაძლიერდა. 1759 წ. დეკემბერში ს. I-ის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო და საერო კრებებზე იმერეთის, ოდიშისა და გურიის სას. საერო ხელისუფლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პირობა დადეს. გაძლიერებული ს. I-ის დასამორჩილებლად ოსმალებმა 1760 წ-დან არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს. 1760-1763 წ. წ. მეფემ სამჯერ დაამარცხა ოსმალები. 1765 წ. კი ოსმალებმა გაიმარჯვეს. 1760 წ. ჩხართან ბრძოლის შემდეგ ს. I-მა დაიბრუნა ტახტი. 1769 წ. სექტემბერში ს. I-მა ფიცით მინდობილი როსტომ რაჭის ერისთავი ოჯახიანად შეიპყრო; ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, ყმა-მამული ჩამოართვა და რაჭის საერისთავო გააუქმა. რაჭის ერისთავების სამფლობელო სამეფო საკუთრებად გამოცხ-

ადდა. 1708 წ. 23 იანვარს ს. I-მა პეტერბურგში ელჩად გაგზავნა მაქსიმე ქუთათელი (აბაშიძე) და მფარველობა და ოსმალთა წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. რუსეთის მთავრობამ ს. I ერეკლე II-თან ერთად დახმარება აღუთქვა. 1769 წ. სექტემბრის ბოლოს გენ. გ. ტოტლებენი იმერეთში შემოვიდა. მისი დახმარებით ს. I-მა ოსმალთაგან გაათავისუფლა ცეცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის ციხეები და თვით ქ. ქუთაისი. ამის შემდეგ ს. I-მა 1771 წ. თურქოფილი გიორგი V გურიელი გადააყენა და მთავრად მისი ძმა, მამია IV დასვა.

ს. I—ის ცენტრისტულმა პოლიტიკამ ფეოდალთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. 1700 წ. მათ მოაწყვეს შეთქმულება, რომლის მიზანი იყო ს. I-ის გადაყენება და მისი მემკვიდრის — ალექსანდრეს გამეფება. მეფემ შეთქმულება დაამარცხა და მკაცრად დასაჯა. 60-იან წლებში კაცია II დადიანმა იმერეთის მეფის სუვერენიტეტი აღიარა. ს. I-გან მოკავშირის ჩამოშორების მიზნით ოსმალები 1779 წ. მიწურულს თავს დაესხნენ ოდიშს.

ს. I მიეშველა დადიანს. იმერეთისა და სამეგრელოს ლაშქარმა რუხის ბრძოლაში 1770 წ. დაამარცხა მტერი. ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად ს. I-მა რამდენჯერმე ილაშქრა ქვემო გურიაში. 1784 წ. მარტში მისმა დამარცხებამ ქვემო გურიის განთავისუფლების გეგმა ჩაშალა. ამის შემდეგ ს. I მალე გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

სოლომონ II (1772-1815) — (ქსე) იმერეთის მეფე (1709-1810) სოლომონ I-ის ძმის არჩილის ძე დავითი. იმერეთის ტახტზე სოლომონ II-ის სახელით გამეფდა სოლომონ I-ის პატივსაცემად. 1810 წელს რუსეთის მთავრობამ ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუსეთის მმართველობა შემოიღო. ს. II ახალციხეს შეაფარა თავი, საიდანაც ოსმალეთში გადავიდა. ემიგრაციაში იგი ცდილობდა უცხო ძალის გამოყენებით იმერეთის მეფობის აღდგენას, მაგრამ უშედეგოდ. დასაფლავებულია ტრაპიზონში წმ. გიორგის სახელობის ბერძნების ეკლესიის გალავანში, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის გადაწყვეტილებით მისი ნეშტი 1998 წელს გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს ქუთაისში, „ჰხაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდეთ მებრძოლთა მათ ჩემთა" — თეიმურაზს გაახსენდა საფლავის წარწერა ტრაპიზონში დამარხულ ქართველთა მეფე სოლომონისა" („ჯაყოს ხიზნები" — მიხ. ჯავახ.).

სომხითი — X საუკუნიდან ქვემო ქართლის აღმნიშვნელი., ქართულ საისტორიო წყაროებში იხმარებოდა ტერმინი „სომხითი". „[მელიქ-შამ] მოაოხრა სომხითი და წავიდა" („ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითის" — უცნობი ავტორი)

სონეტი [იტალ.] — (ქსე) მყარი სალექსო ფორმა. შეიცავს 14 ტაეპს და ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში 2 ოთხტაეპედია (კატრენები), მეორეში კი — 2 სამტაეპედი (ტერციტები), ძირითადად ს.-ის 3 სახეობაა გავრცელებული: 1. „იტალიური". 2. „ფრანგული". 3. „ინგლისური" (შექსპირული). გიდრე ამ „მყარ" კომპოზ. ნიშნებს შე-

იძენდა, იწერებოდა 16-17 ან 20-ტაეპოვ-ანი ს.-ებიც. ს.-ების კომპოზ. მოდელს იყენებდნენ დანტე, ფ. პეტრარკა, უ. შექსპირი, ა. შლეგელი, ა. პუშკინი, ა. მიცკევიჩი, პ. ვერლენი, ს. მალარმე, ა. რემბო, ვ. ბრიუსოვი; საქართველოში — გ. ტაბიძე, გ. გაფრინდაშვილი, ა. იაშვილი და სხვა.

სოსანი — (ქ. მწ.) შროშანი, სუმბული.

სოსლანი დავით — იხ. დავით სოსლანი.

სოფელი — (ქ. მწ.) ქვეყანა. „სოფელი იმად არა ღირს" (გრ. ორბ.).

სოფიზმი — (უსლ) ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი დასკვნა, რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებლად შერჩევას და სხვა. „ერთგვარ გაუგებრობას იწვევს რომანში ფარსმან სპარსის სოფისმური პარადოქსები".

სოფლით აღსვლა — (ქ. მწ.) გასვლა, გარდაცვალება.

სოფლისა შესაქმე — (ქ. მწ.) სამყაროს, ქვეყნიერების შექმნა.

სოფოკლე (496-406 ძვ. წ.) — („სიბრძნის სიმფონია") დიდი ბერძენი ტრაგიკოსი პოეტი, მრავალგზის გამარჯვებული (ლეგენდის თანახმად ტაშის ქუხილისაგან დაიღუპა). დაწერა 127 დრამა, გადარჩა 7 („ანტიგონე", „ელექტრა", „ოიდიპოს მეფე", „ოიდიპოს კოლონოში", „ფილოქტეტე").

სოციალური — (ქეგლ) რაც ადამიანთა ცხოვრებასა და მათ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული.

სოხანე — (ქეგლ) მიწის იატაკი. „[მამამზე და ბორდოხანი] დღე და ღამე მიშველ ხოხანეზე იყვნენ პირქვე დამხობილნი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სპა (ქ.მწ) — ჯარი.

სპარსანგელოზი — (ვაჟა- მც. ლექს.) მხედრობის, ლაშქრობის ღვთაება — სპასანგელოზი. ცნობილია სალოცავი წვერის სპარსანგელოზისა (წვერის მთა სოფ. სნოსთან, ყაზბეგის რ-ნი). „— გოჩავ, დიდებულის წვერის სპარსანგელოზის მადლმა დამნაშავე არა ვარ" („ხევისბერი გოჩა"— ალ. ყაზბ.).

სპასალარი {სპარს. სეფაჰსალარ — სარდალი}— (ქსე) სამხედრო უწყების მოხელე ძვ. საქართველოში. ს. ადგილ. მხედართმთავარი იყო. ყოველ კუთხესა თუ თემს (ქუეყანას") თავისი ს. უნდა ჰყოლოდა. ლეონტი მროველის ცნობით, ს.-ნი ფარნავაზ მეფემ „ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა" („მიმსგავსებულად სამეფოსა სპასთასა"). მეწინავე ჯარს „სამცხის სპასალარი" სარდლობდა. ს. სპასპეტის, ამირსპასალარის სახელისუფლოში შედიოდა. სარდალი ქართული ლაშქრისა. „სპასალარმა იცოდა, რომ ფხოველნი მთაში გაზრდილ მუხლმაგარ ცხენებზე იხსდნენ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სპასპეტი — (ქ. მწ.) სარდალი.

ᲡᲞᲐᲡᲞᲔᲢᲘ – (ქ. მწ.) სარდალი.

ᲡᲞᲔᲙᲐᲚ'Ი – (ქ. მწ.) – ძვირფასი თვალი.

ᲡᲞᲔᲠᲘ – (ქსე) მხარე ისტ. სამხ.-დას. საქართველოში, ქართლის (იბერია) სამეფოს უკიდურესი სამხ.-დას. პროვინცია მდ. ჭოროხის ზემო დინების აუზში (ახლანდ. თურქეთის პროვინცია ისპერი). მკვლევართა დიდი ნაწილი ს.-სა და მის მოსახლეობას მიიჩნევს აღმოსავლელი ქართული ეთიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული წრის შემადგენელ ნაწილად. ს.-ის ტერიტ. უძველეს ხანაში მნიშვნელოვნად სჭარბობდა მის საზღვრებს შუა საუკუნეებში, რაც აქ მოსახლე აღმოსავლელი ქართველი ტომების პოლიტ. გავლენის გაერთიანებასთან იყო დაკავშირებული; ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) მათ სასპერებს უწოდებს (ტერმინი შეიძლება ნაწარმოები იყოს მხარის სავარაუდო სახელწოდებისაგან „სასპეროდან“). ს.-ის ტერიტ. შავ ზღვამდე აღწევდა (აქედან სახელწოდება „სპერის ზღვა“). ქართლის სამეფოს წარმოქმნის (ძვ. წ. IV-III ს. ს.) დროისათვის სპერი (მდ. ჭოროხის ზემო წელი) მის ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა (სტრაბონი ს. -ს „სპარიადრის მთიანეთის“ სახელით იხსენიებს). ძვ. წ. II ს. დასაწყ. ს. სხვა ძვ. ქართულ პროვინციებთან (ტაო, გუგარეთი) ერთად სომხ. სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, შემდგომ პერიოდში იგი კვლავ ქართლს ეკუთვნოდა. IV-V ს. ს. ისევ სომხეთი ფლობდა. VI ს. ბოლოს სამცხის მთავარმა ბექა მანდატურთუხუცესმა ს.-ში დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. XV-XVI ს. ს. საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ – (უსლ) რაც დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული საგნის ან მოვლენისათვის, თავისებური, განსაკუთრებული. 1. „დ. კლდიაშვილმა თითქოს ერთბაშად მიაგნო თავისი შემოქმედების ძირითად თემას, მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას“. 2. „მხატვრული ლიტერატურა სინამდვილის შეცნობის სპეციფიკური ფორმაა“ (სახკ. სახ-ლო).

ᲡᲞᲘᲙᲔᲠᲘ [ინგლ.] – (ქსე) (სიტყვასიტყვით – ორატორი) ქვედა პალატის (ან ერთპალატიანი პარლამენტის) თავმჯდომარე ქვეყნის პარლამენტში. ს.-ის თანამდებობა პირველად დაწესდა ინგლისში (1377 წ.), შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც. მაგ. ავსტრალიაში, კანადაში, ახ. ზელანდიაში, ინდოეთში. ს. ხელმძღვანელობს პარლამენტში კამათს, ახსნა-განმარტებებს აძლევს სხვადასხვა საპროცედურო წესს და სხვა.

ᲡᲞᲘᲠᲘᲢᲘ'ᲖᲛᲘ – (ქსე) მისტიკური მიმდინარეობა, რომლის მიმდევრებს სწამთ მიცვალებულთა სულების არსებობა და შესაძლებლად მიაჩნიათ მათთან კავშირის დამყარება. იგი უკავშირდება რელიგიურ რწმენას სულის არსებობის შესახებ. სულებთან დაკავშირება შეეძლოთ მხოლოდ რჩეულთ (ქურუმებს, მოგვებს ან მისნებს). რიტუალი სრულდება ღრმა საიდუმლოებით მოცულ გარემოში. ახლა სპირიტ-

დეკრები ცდილობდნენ „ექსპერიმენტუ-ლად“ დაამტკიცონ სიკვდილის შემდეგ სულის არსებობა.

ᲡᲞᲚᲘᲜᲘ [ინგლ.] — (უსლ) სევდა, ნაღველი, მოწყენილობა (ძე. ხსნიდნენ ელენთის დაავადებით). „მე მიღალატეს ძველმა რითმებმა / ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს/ თუმცა მე მათიან მიყვარდა 'შებმა/ ეხლა რა ჟუჟო ხელინს, — უხმო ჯალათის“ („ხიბერე“ -გ. ტაბ.).

ᲡᲞᲠᲐᲩᲔᲜᲘ — (ქ. მწ.) სარდალი (მეომარსაც ნიშნავს;

ᲡᲠᲐ — (ქეგლ) სასახლე (მეფისა).

ᲡᲠᲡᲕᲘᲚᲘ — (ქეგლ) სირსველი, კანის დაავადება ერთგვარი „ხირცა მძოარი“ (საბა). იცის კანზე წვრილი გამონაყარი, რომელიც ზოგჯერ იქერცლება. „ვითარცა სრსვილმა ხამოვარი პპოოხ შენიანა“ („შუშანიკის წამება“ — ი. ცურტ.).

ᲡᲢᲐᲛᲠᲐ (ძე.) — (ქეგლ) ძვირფასი ქსოვილი, სქელი ფარჩა, ოქროქსოვილი, სირმით, ოქრომკედით ნაქსოვი ფარჩა. „გამობრუნდა გახარებული ფარხმანი უკან: შეიმოსნიებათ ათასი შუშა მუხკუსი, სტავრა, ოქსონო და არაბული შტრახხი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ — (ქსე) (ნამდვილი გვარი ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე (21. XII 1879 გორი — 5 III 1953, მოსკოვი), კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელ-ლი, მოღვაწე. მარქსიზმ-ლენინიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი. დაიბადა მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 წ. დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და შევიდა თბილისის სას. სემინარიაში. რუსი მარქსისტების გავლენით ჩაება რევ. მოძრაობაში. იყო „მესამე დასის“ წევრი. ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას, რისთვისაც სემინარიიდან გარიცხეს. არალეგალურად დაიწყო ცხოვ-რება და გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი, რის გამოც ხშირად იყო დაპატიმრებული და გადასახლებული.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დაბრუნდა პეტროგრადში. აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციაში. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური და აქტიურად იბრძოდა ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის.

სკკპ XX ყრილობამ (1956 წ.) გააკრიტიკა სტალინის პიროვნების კულტი. დაკრძალულია მოსკოვში წითელ მოედანზე.

ᲡᲢᲐᲜᲡᲘ, ᲡᲢᲐᲜᲪᲐ [ფრ.<იალტ. სიტყვასიტყვით — სადგომი ოთახი; შეჩერება] — (ქსე) ოთხტაეპიანი სტროფებისაგან შედგენილი ლექსი; ს. საერთო თემით არის გამთლიანებული, მისი ყოველი სტროფი დასრულებულია როგორც შინაარსის (აზრის, სახის), ისე ფორმის მხრივ.. ყველა სტროფის რითმული სქემა ერთნაირია (მაგ... ჯვარედინია), მაგრამ რითმა არ მეორდება. თითოეული სტროფის ბოლოს აუცილებელია პაუზა. ქართ. პოეზიაში ცნობილია გ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვ. ს.-

ები. გ. ტაბიძის „სტანსები“. „სტანსები შელლისა“.

სტელა {ლათ.<ბერძ. — ბოძი, სვეტი} — (ქსე) ქვასვეტი. ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტი, რაზედაც არის წარწერა ან რელიეფური გამოსახულება. ძველად, კერძოდ, ანტ. საბერძნეთში, იყენებდნენ საფლავის ქვად, სამიჯნე ნიშნად, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის უკვდავსაყოფად. თანამედროვე ხელოვნებაში გამოიყენება საფლავის ქვად, ასევე სხვადასხვა მნიშენელობის მქონე ძეგლად (წიწამურში, ილიას მკვლელობის ადგილზეა აღმართული).

სტენდალი — (ქსე) (ნამდვილი სახელი და გვარი — ანრი მარი ბეილი) ფრანგი მწერალი. ს.-ს მეტად რთული შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. სიცოცხლეში არც კრიტიკოსთა აღიარება მოუპოვებია და არც პოპულარობა მკითხველთა შორის.

მწერლის შედევრად და მსოფლიო ლიტ-რის კლასიკურ ნაწარმოებებადაა მიჩნეული რომანები „წითელი და შავი“ (1030 წ.) და „პარმის სავანე“ (1839 წ.). რომანში „წითელი და შავი“, რომლის ქვესათაურია „XIX საუკუნის ქრონიკა“, გამოიხატა საფრ. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია.

ს.-ის ნაწარმოებთა პირველი ქართული თარგმანები ეკუთვნის გ. ქიქოძეს; 1928 წ. მან თარგმნა „იტალიური ქრონიკები“, ხოლო 1937 წ. „წითელი და შავი“.

სტერეოტიპული — (უსლ) ლითონის მთლიანი საბეჭდი ფორმა, აქედან — დაბეჭდილი. (გადატ.) უცვლელად გამეორებული, შაბლონური, დაშტამპული (ადამიანის ტიპზე იტყვიან).

სტვირი — (ქეგლ) ხალხური ჩასაბერი საკრავი, დამზადებული მცენარის ღრუ ღეროსაგან. იგივეა, რაც გუდა-სტვირი. „რა ვარ? — სტვირი ვარ.“ (ა. კალან.).

სტილი — (ანდ. ქილ.) არის შემოქმედის ინივიდუალური ხელწერა, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სახეობრივი სისტემის ერთიანობა, ამა თუ იმ მხატვრული მიმართულების აღმნიშვნელი ტერმინი. „ახალი ლიტერატურული სტილის წარმოშობასა და განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენები“ (სასკ. სახ-ლო).

თავდაპირველად ეწოდებოდა მახვილწვეტიან ჯოხს, რომლითაც ძველი ბერძნები და რომაელები წერდნენ გასანთლულ დაფაზე. განვითარების შემდეგ საფეხურზე სტილი ლამაზ ხელს, ნაწარმოების კალიგრაფიულ ხასიათს აღნიშნავდა, რითაც ცნობდნენ, ასხვავებდნენ ამა თუ იმ პირის ხელნაწერს. სტილი იმთავითვე დამწერლობასთან არის დაკავშირებული. სტილის სამწერლობო ფუნქციის საფუძველზეა წარმოშობილი საენათმეცნიერო და პოეტური სტილისტიკა, რომელთა შინაარსი განპირობებულია აზრის ენობრივი გამოსახვის სხვადასხვა ფორმის არსებობით.

სტილი არის იდეურ-თემატური, ენობრივი და მხატვრული გამოსახვის ყველა კომპონენტის ერთიანობის გამოვლ-

ენის თავისებურება, ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, სტილი მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, არქიტექტურისა და სხვათა შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთგვარობას გამოხატავს ყოველთვის. სტილში წარმოდგენილია ხელოვანის იდეური მრწამსი, ესთეტიკური შეხედულება, გამოსახვის მხატვრული სისტემის ხასიათი, თავისებურება შემოქმედისა.

ყველა მწერალს აქვს თავისი სტილი, რომელიც შეიცავს: ა)იდეური მისწრაფების შინაარსს, იდეურ რწმენას; ბ) გამოსახვის საშუალებათა თავისებურებას, შემოქმედის ინდივიდუალობას, წერის ოსტატობას, რომელიც შემცველია ისეთი ნიშან-თვისებებისა, რომელიც არ გააჩნია მეორე მწერალს. მაგ., ი.ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი იდეურად, შემოქმედების მოტივებით ერთ პოზიციაზე დგანან, მაგრამ განსხვავებული აქვთ სამწერლო ენობრივი სტილი. ასეთივე მიმართებაა ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას და სხვა მწერალთა შორის. ამ ინდივიდუალურობის გარეშე არ წარმოიდგინება არც ერთი მწერალი თუ შემოქმედი.

მაღალი იდეებისა და კეთილშობილური აზრის მწერალი, რომელსაც აქვს დიდი მხატვრული ალღო, სიტყვათა და წინადადებათა პოეტური ორგანიზაციის ძალა, შესწევს ამბის თხრობის, სიუჟეტის მხატვრული გაშლის ოსტატობა, ქმნის თავის სტილს, ზოგჯერ წარმტაცსა და მიმზიდველს (კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე). ეს იქნება იდეურისა და მხატვრულის ერთობლიობა. უფრო მეტიც, დიდი მწერალი თავად ქმნის ახალ სტილს, სათავეში უდგება ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, მაგრამ ყოველივე ეს განპირობებულია მწერლის ნიჭით, ეპოქის ვითარებით. სტილი იცვლება ეპოქის ხასიათის შესაბამისად.

სტილი არაა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების კუთვნილება. მას ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში და სიტყვათხმარებაში წარმოდგენილია ასეთი ფორმით: კლასიკური სტილი, ბიზანტიური სტილი, ქართული სტილი და სხვა. ყოველი სტილი, რა სფეროსაც უნდა განეკუთვნებოდეს იგი, წარმოადგენს ნიშან-თვისებათა ერთგვარობის გამოხატულებას. მაგ., ნაციონალური სტილი ლიტერატურისა, ხელოვნებისა, არქიტექტურისა, ჩაცმულობისა თუ სუფრისა და ლხინისა, შეიცავს ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციებისათვის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობას. ასევე ეპოქის სტილი შეიცავს ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთგვარობას.

— სტილი თვითონ ადამიანია — თქვა ცნობილმა ბუნებისმეტყველმა ბიუფონმა. ეს გამოთქმა გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მიუთითებს იმაზე, რომ სტილი გამოხატავს ადამიანის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას, რომ იგი გარკვეული მთლიანობაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანის ყოფასთან.

რაკი სტილის ცნება და შინაარსი მწერლობის, ლიტერატურისმცოდნეო-

ბის, ხელოვნებისა და ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება, მისი ხასიათის განსაზღვრასა და გააზრებაში ყველაზე უფლებამოსილია ლიტერატურისმცოდნეობა და ესთეტიკა. სტილი იდეურ-შინაარსეული და მხატვრული გამოსახვის საშუალებათა მთლიანობაა მწერლობაში, ხელოვნებაში; იგი გამოხატავს სპეციფიკურ საშუალებათა მხატვრული კანონზომიერების ერთიანობას.

ამრიგად, სტილი, შინაარსეული და მხატვრულ გამომხატველობით საშუალებათა ერთობლიობაა.

სტილისტიკა — (ქეგლ) 1. ლიტერატურის თეორიის დარგი, რომელიც სწავლობს მხატვრული ენის თავისებურებებს; 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გამომსახველობით საშუალებებს. ს. ორი სახისაა: საენათმეცნიერო და პოეტური, რომელსაც მხოლოდ მეტყველების მხატვრული სფერო აინტერესებს და ფართოდაა წარმოდგენილი ექსპრესიულ მეტყველებაში (პოეტური სტილისტიკა, პოეტური სემანტიკა, პოეტური ლექსიკა, პოეტური სინტაქსი, პოეტური ფონეტიკა).

სტიმული {ლათ.} — (უსლ) რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი. „მეურმის სიმღერა სტიმული გახდა აჯანყების მეთაურის გადამწყვეტი მოქმედებისათვის" (სასკ. სახლი).

სტიქიონი — (ბიბლ.) ბუნების მძლავრი მოვლენა. „ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია და ასტიქიონება გამარჯვებაა — ამბობდა აკაკი" (სასკ. სახლი).

სტომაქი [ბერძ.] — კუჭი, მუცელი. 1. „მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიახ, მიდნება! ზედაც არ ემჩნევა ჩემს სტომაქსა" („კაცია-ადამიანი?! — ი. ჭავჭ.). 2. „ხილს ნუ სჭამ, სტომაქს გაგიფუჭებსო — არიგებდა ვარდან მზრდელი ფარსმანს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სტრატეგია — (ქეგლ) ომის წარმოების მეცნიერება, ომის წარმოების ისტორია. „როცა ისინი მარცხდებოდნენ, ჯარის სიმცირეს, ან სტრატეგიულ მარცხს, რომელიმე სარდალს ან მეფეს აჰკიდებდნენ ხოლმე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სტრატეგი [ბერძ.] — (ქეგლ) სარდალი. „წარმჩინებული სტრატიგები, კატეპანები და სტრატიოტები დატოვეს ბრძოლის ველზე ბიზანტიელებმა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

სტრატელატი — (ქ. მწ.) სარდალი.

სტრატიოტი [ბერძ.] — მხედარი, ჯარისკაცი. იხ. სტრატეგი.

სტროფი [ბერძ. — მობრუნება] — (ქსე) — ლექსში გარკვეული ნიშნებით გაერთიანებული რამდენიმე სტრიქონი (ტაეპი); ლექსის კომპოზიციური წევრი, ტაეპთა რიტმულ-ინტონაციური და სინტაგმურ-ინტონაციური კავშირი (ძვ. ქართ. — მუხლი, თანამედროვე — ხანა), რომელიც ჩვეულებრივ, განმეორებადია. ს.-ის ტოპოლოგიური ტაეპების გამამთლიანებელი თემატური მომ.ნ-

ტი, მეტრული ერთიანობა, სილაბიზმი და რითმა.

ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ – (ქეგლ) სუბიექტის (ადამიანის) დამახასიათებელი – პირადული (არაობიექტური, მიკერძოებითი) სუბიექტური შეხედულება. „ზოგი მწერალი ამ საკითხს მეტად სუბიექტურად წყვეტს“ (სასკ. სახ-ლთ).

ᲡᲣᲓᲐᲠᲐ – (ქეგლ) თეთრი ქსოვილი მიცვალებულის გასახვევად. „პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა მას მკერდზე სუდარა გადააფარა“ („პასუხის პასუხი“ – ილ. ჭავჭ.)

ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘ – (უსლ) უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.

ᲡᲣᲙᲘ – (ქეგლ) საკლავის ზურგიდან ხერხემლის ორივე მხარეს გრძლად ამოჭრილი რბილი ხორცი. „კარგი ღორის სუკებია, კარგი“ („კაცია-ადამიანი?! – ი. ჭავჭ.).

ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ სამსონის ძე – (ქსე) ქართველი მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგ. ფაკ-ტი. 1973 წ.დან გამომც. „ნაკადულის“ დირექტორია, 1982 წლიდან – ჟურნ. „მნათობის“ მთავარი რედაქტორი. პირველი ლექსები 1946 წ. „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოაქვეყნა; ლექსთა პირველი წიგნი 1951 წ. გამოსცა. ს.-ს ეკუთვნის პოეტური კრებულები „ჩემი ქუჩის დღესასწაული“ (1958 წ.), „საგზალი“ (1959 წ.), „ოთხივე მხრიდან“ (1975 წ.), „სიჩუმე“ (1978 წ.) „ლექსები (1980 წ.). მის პროზაულ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“ (1957 წ.), „ბიჭი და ძაღლი“ (1960 წ.), „ოქროს თევზი“ (1966 წ.), „სალამურას თავგადასავალი“ (1969 წ.), „ლუკა“ (1972 წ.), „თეთრი ცხენი“ (1984 წ.); კრებულები, მოთხრობები, რომანი.

ᲡᲣᲚᲗᲐᲗᲐᲜᲐ – (ქეგლ) მიცვალებულის სულის მოსახსენებელი საგალობელი.

ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘ – (ქ. მწ.) მაჰმადიანური ქვეყნის ხელმწიფე, მეფე.

ᲡᲣᲚᲘ – ღვთაებრივი საწყისი, რომელიც ადამიანს ღმერთთან ანათესავებს. გამოვლინდება გონიერებაში თავისუფლებასა და უკვდავებაში. სული ესაა ადამიანის ფსიქიური მოქმედების განსახიერება ზებუნებრივი უხილავი ძალა. (ბიბლ. ენც.) ბიბლიაში ადამიანი განხილულია როგორც ერთი მთლიანი. მასში არაფერია ნათქვამი „უკვდავ სულზე“, რომელიც ჩაკეტილია ხრწნად, ცოდვილ სხეულში. ეს იდეა, რომელსაც მრავალი ქრისტიანი იზიარებდა ნასესხებია ბერძნული ფილოსოფიიდან.

ძველ აღთქმაში სულში იგულისხმება მთლიანად ადამიანი. როდესაც ფსალმუნის მგალობელი ამბობს „ადიდე, სულო ჩემო, უფალი“, ის მოუწოდებს მთელ თავის არსებას, თავის თავს, მიაგოს უფალს ქება-დიდება.

ახალ აღთქმაშიც ამავე მნიშვნელობით იხმარება. ეს სიტყვა გვიჩვენებს, რომ ადამიანი რაღაც უფრო დიდია, ვიდრე უბრალოდ ხორცი. ფიზიკური სხეულის გარდა ის ფლობს ცნობიერებას, ნებასა და პიროვნებას. იესო

ამბობს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ; უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვა შეუძლია გეენაში და სხეულისაც. ახალ აღთქმაში ფიზიკურ სხეულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი სხეული „სულის ტაძარს" წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ იგი ღვთის განდიდებისათვის გამოვიყენოთ."

ᲡᲣᲚᲘᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲤᲔᲜᲐ — (ქსე სულთმოფენა, ქრისტიანული საუფლო დღესასწაული, იმართება ქრისტეს აღდგომის 50-ე დღეს. სახარების თანახმად, იერუსალიმში ქრისტეს მოწაფეებზე სულიწმიდა ცეცხლის ენებად გადმოსულა და მოციქულებს შესძენიათ უნარი ქრისტიანობა ექადაგათ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ხალხში, მოეხდინათ სასწაულები და სხვა.

ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ — (ქეგლ) შინაგანი განწყობილება, ძლიერი სურვილი, მისწრაფება, გულისთქმა (გმირული, რაინდული სულისკვეთება).

ᲡᲣᲛᲑᲣᲚᲘ — (ქეგლ) ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს თეთრ, ლურჯ, ან ვარდისფერ სურნელოვან ყვავილებს, მოჰყავთ ქოთნებში, ორანჟერეებში. „მწირი ვეღარ ცნობს მშვენიერ სუმბულს, რომელსაც დაუკარგავს ხამო ფეროვნება და სურნელება" (სასკ. სახ-ლი).

ᲡᲣᲜᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲘᲢᲔᲑᲘ — იხ. ისლამი.

ᲡᲣᲠᲐ — (უსლ) მუსლიმანთა წმინდა წიგნის — ყურანის ცალკეული თავი. „მუეძინი ხალვთი სურებს კითხულობდა" („არსენა მარაბდელი"— მიხ. ჯავახ.).

ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ — (ქსე) შუა საუკ. ციხესიმაგრე ქართლში. ახლანდ. ხაშურის რ-ნის დაბა სურამის თავზე. ციხის აგების თარიღი არ არის ცნობილი, ფეოდ. ქალაქი სურამი კი XII ს-დან არსებობს. XVII ს. I მეოთხედში ირანის აგრესიის პირობებში გიორგი სააკაძემ ქართლის სხვა ციხეებთან ერთად ს. ც. გაამაგრა. შემდგომში ერთხანს ს. ც. ოსმალთა ხელში იყო. XVIII ს. 40-იან წლებში ს. ც. ირანის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის — გივი ამილახვარის ძირითადი დასაყრდენი იყო; 1745 წ. გივი ამილახვარი დანებდა თეიმურაზ II-ს და ს. ც. დაანგრიეს. მალე იგი კვლავ აღადგინეს. XVIII ს. 70-იან წლებში ს. ც. ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედი ქართველებისა და რუსების ჯარის საყრდენი სიმაგრე იყო. მან შემდგომშიც შეინარჩუნა მნიშვნელობა: XIX ს. დასაწყ. დაღესტნელი ფეოდ. თავდასხმის დროს მას თავს აფარებდა მახლობელი მოსახლეობა („სურამის ციხე" — დ. ჭონქ.).

ᲡᲣᲠᲝᲒᲐᲢᲘ {ლათ} — (უსლ) 1. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქციის ზოგიერთი თვისება აქვს; 2. ყალბი, ფალსიფიცირებული რამ. „ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართული. შექმნა თავისებური სუროგატი — ენა ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ხუნ-

ებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“ (სასკ. სახ-ლო).

ႱႳႰႼႷႳႬႨႱႨ – თებერვალი

ႱႳႱႠႫႡႠႰႨ – (ქეგლ) 1. მრავალწლიანი მცენარე. აქვს ფართო სურნელოვანი ფოთლები. მოჰყავთ ბაღებში, უპირატესად კახეთში. 2. რეჰანის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდებაა (საქართველოს ზოგ კუთხეში). „...და შენხ კაბას კი ერთი მორჩი შერჩა ხუხამბარის.“ (ა. კალან.).

ႱႳႴႤႥႠ – (ბიბლ.) ბატონობა: „შრომის სუფევა მოვა მაშინა“...

ႱႳႴႨႦႫႨ – მაჰმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც VIII ს. წარმოიშვა. 1. „სუფიების მოძრაობას მიემხრო ფარსმანი ქაიროში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ႱႳႴႪႨႭႰႨ – (უსლ) მოკარნახე (თეატრში). „ბეგლარ ახოსპირელი არ გამოცხადდა წარმოდგენაზე ავადმყოფობის გამო. მოძებნეს იოსებ გრიშაშვილი და ჩასვეს ალაჩოხში – სუფლიორის ჯიხურში“ (ი. გრიშაშვილის ბიოგრაფია). ।

ႱႳႴႰႠႿႨ – (ქ. მწ.) სუფრის ზედამხედველი (ზაალ ბარათაშვილი ერეკლე მეფის ნასუფრაჯალია).

ႱႴႨႬႵႱႨ {ბერძ.} – (უსლ) 1. ძველ ეგვიპტეში: უზარმაზარი ქვის ფიგურა – ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომი (ფარაონის ძლიერების განსახიერება). 2. ბერძ. მითოლოგიაში: ფრთოსანი არსება, რომელსაც ტანი ლომისა აქვს, თავი და მკერდი – ქალისა; კლავდა მგზავრებს, რომლებიც ვერ გამოიცნობდნენ მათთვის მიცემულ გამოცანას. 3. საიდუმლოებით მოცული ვინმე ან რაიმე, ვინც ან რაც წარმოადგენს გამოცანას, გაუგებარია სხვებისათვის. „აჰყევ კიბეებს, სადაც სფინქსი ქვებს ეფერება და შიშს გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება“ („მარმარილო“ – გ. ტაბ.).

ႱႵႭႪႠႱႲႨႩႠ – (უსლ) შუა საუკ. გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ცდილობდა თეორიულად გაემართლებინა ეკლესიის დოგმატები სპეკულაციური, ფორმალურ-ლოგიკური არგუმენტებით. 2 ფორმალური, ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა. უსაგნო მსჯელობა ასოკირკიტობა, მედავითნობა. „ილია ჭავჭავაძეს, როგორც ახალი იდეების წარმომადგენელს, აღარ აკმაყოფილებდა ანტონ პირველის სქოლასტიკურ-არქაული სტილი“ (სასკ. სახ-ლო).

ႱႵႭႪႨႭ [ბერძ.] – (უსლ) შენიშვნა, განმარტება, დამატებითი ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ძირითადი ტექსტის ქვეშ, გვერდის ბოლოში.

ႱႻႠႪႨ – (ქეგლ) რძალი, სარძლო.

ႱႻႪႨႱႠႨႰႨ – (ქ. მწ.) საგალობელი. „კოლონკელიძეს სძლისპირებს უგალობდნენ მოახლენი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

Ს

ᲡᲡᲐᲚᲗᲐ – (ქსე) ყინწაური, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, XIII ს. ეკლესია. მდებარეობს ხულოს რ-ში. ეკლესიის ინტერიერში მოხატულობის ფრაგმენტებია. გარშემო გვიანდ. შუა საუკ. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებია, მათ შორის მარანი და სხვა. მდ. სხალთაზე შუა საუკ. ხიდია.

ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ – მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნების შემცველ სჯულის ფირფიტებს სჯულის კიდობანში ინახავდნენ. „დავითმა ააშენა ახალი კრებულის კარავი და მასში დაასვენა სჯულის კიდობანი" („ბიბლიური მოთხრობები" – ი. გოგ.).

Ტ

ᲢᲐᲑᲐᲙᲘ, ᲢᲐᲑᲚᲐ [არაბ.] – (ქეგლ) 1. ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში; ჩვეულებრივ ხმარობენ ხორბლის სარკველად; 2. იგივეა, რაც ტაბლა, დაბალი მაგიდა, ძელისა, ვერცხლისა ან ოქროსი – მისართმევი ხონჩა. „ტაბაკი მანდატურთუხუცესმა [sic] — ტაბაკი მანდატურთწინამძღოლმა და ამირეჯიბმა დადგეს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲢᲐᲑᲐᲜᲩᲐ – (ქ. მწ.) დამბაჩა.

ᲢᲐᲑᲘᲙᲘ – (ქეგლ) ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი უღელში წყვილ-წყვილად არის ჩაყრილი საქონლის შესაბმელად. „ჯაყო ტაბიკის თითს როკის მოიხვნ გააშვერდა და იტყოდა" („ჯაყოს ხიზნები" – მ. ჯავახ.).

ᲢᲐᲑᲚᲐᲙᲘ – მცირე ნალარა (საბა).

ᲢᲐᲑᲣ [პოლინეზ.]– (უსლ) პირველყოფილ ხალხებში რაიმე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა. რომლის დარღვევაც ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენების მიხედვით იწვევს ზებუნებრივი ძალებისაგან მოვლენილ სასჯელს. მაღალგანვითარებული ხალხების ეთნოგრაფიულ ყოფაში ტაბუს ფორმა სახეუცვლელი და დაშორებულია პირვანდელი ფორმისა და ფუნქციისგან. ასეთია, მაგ. ქართველთა შორის სამონადირეო ალკვეთები ხალხური რიტუალების შესრულებისას (გველი – „უხსენებელი," ჭიანჭველა – „შავფეხა").

ᲢᲐᲒᲐᲜᲘ – (ქეგლ) პატარა კოდი (ხის ჭურჭელი წყლისათვის). „მთვარე გომბორზე წაიქცა რძით გავსებული ტაგანი" („იერის ლამე" – გ. ლეონ.). „ჩემო ხელის მომკიდეო, ტაგანაი მომკიდეო" („ხევისბერი გოჩა" – ალ. ყაზბ.).

ᲢᲐᲔᲞᲘ – (ლიტ. თეორ.) სალექსო სტრიქონი. ლექსის რიტმული ერთეული, რომელიც შეიცავს ტერფისა და მუხლის მწკრივს, ანუ რიტმულ პერიოდს. სალექსო სტრიქონი ანუ ტაეპი ქართული ლექსის ძირითადი საყრდენია, საზომია. ტაეპის რამდენიმე სახეა

წარმოდგენილი. ქართული კლასიკური ლექსის ტაეპები შეიძლება იყოს 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 16 და 20-მარცვლიანი.

ტავტოლოგია [ბერძ.] — (ანდ. ჭილ.) ერთი და იმავე სიტყვების, გამოთქმებისა და აზრის გამეორება. გამეორება ორგვარია: ა)პოეტური გამეორება, რომელიც დიდი ესთეტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობის შემცველია; ბ) საჭიროების გარეშე, მომაბეზრებელი გამეორება სიტყვებისა და აზრებისა, რომელიც მოკლებულია სისხარტეს, ემოციურობას.

ტაიჭი — (ქეგლ) კარგი საჯდომი ცხენი. ბედაური, არაბული ცხენი. „ტაიჭი მოუთქს მერანსა" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ტალად დგომა — რაინდის მიერ დარაჯად დადგომა თავის თანამგზავრთა დასაცავად. „მხოლოდ პაპა ხუმბატის ნაამბობიდან თუ ხმენია ფარხმანს ფალავნური შეტაკებების, ტალად დგომის, გოდოლების შემუსვრის ამბები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — წიგნის ლექსიკონი).

ტალავარი, ტალავერი — (საბა) საჩრდილობელი, სვეტა. (ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში" ტ. ტანსაცმელს ნიშნავს. ხევსურულ დიალექტში ტანისამოსია). 1. „ფოთლების ტალავარიდან ღვთისავარის ცალმა თვალმა გამოანათა" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.). 2. „- რაიდ შეგიტყვის? ტალავერ არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ" („მგზავრის წერილები" — ი. ჭავჭ.).

ტალი, ტალ-ძვესი — (ქეგლ) კაჟი, მინერალი, რომელიც ლითონის გაკვრით ნაპერწკლებს ისვრის. ტალ-კვესი — (ქსე) კვეს-აბედი, რკინის ან ფოლადის ოთხკუთხა ან მომრგვალებული ფორმის იარაღი, რომელიც იხმარებოდა კაჟის ნატეხიდან ნაპერწკლის მისაღებად გვერდულად ჩამოკვრის საშუალებით. ნაპერწკლით ცეცხლი ღვივდებოდა კაჟზე დადებულ აბედზე, საიდანაც იგი გადაჰქონდათ სხვა საწვავზე (იხ. აბედი). „თოფს დაუპირა ტალით" (ხალხური).

ტალანი — (ქეგლ) გრძელი გასასვლელი დერეფანი. „ამახობაში ციხის ტალანებში ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტალანტი — (ქ. ემ.) ვერცხლის ან ოქროს ფული; 2. (გადატ.) სიმდიდრე. „ტალანტი მონაზონისაი მარხვა არს" (გრ. ხანძთ.); 3. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. „დიდოსტატის მარჯვენაში" ერთმანეთს უპირისპირდება დიდად ტალანტიანი ფარსმანი და აგრეთვე ტალანტიანი არსაკიძე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ტამერლანი — თემურ ლენგის რუსული ტრანსკრიპცია. „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სისხლით ყოფილა ხელი ლამბრეგისა" (გ. ლეონ.).

ტანსარო — საროსავით (კვიპაროსივით მაღალი), ტანადი.

ტანტალოსი — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში ლიდიის მეფე, რომელსაც ღმერთებმა მიუსაჯეს საუკუნო

ტანჯვა — იდგა ყელამდე წყალში მწიფენაყოფიანი ხეხილის ქვეშ, მაგრამ ვერც ხილს ჭამდა და ვერც წყალს სვამდა. ტანტალოსის ტანჯვა — იტყვიან აუტანელ ტანჯვაზე, როდესაც ვინმე ახლოს არის სასურველ მიზანთან, მაგრამ ვერ აღწევს მას.

ტაო-კლარჯეთი — იხ. კლარჯეთი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" წარმოადგენს საყურადღებო ისტორიას არა მარტო საქართველოს ეკლესიისას VIII-IX საუკუნეებში... საქართველოს სინაზე, ტაო-კლარჯეთში, არამედ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრებისასაც" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" — სახ. გამოც.).

ტარაბუა, ტანაჯორი — (ქეგლ) 1. შულოს ამოსახვევი ჩარხი — საშულოვე. ტარაბუა დაესხმება, იგივეა, რაც თავბრუ დაესხმება. 2) ერთგვარი მწერი, რომელიც სულ ბრუნავს, ზურგით დაცურავს (შულოს ამოსახვევივით) გუბეში, მორევში. ზოგჯერ განმარტავენ როგორც ბზრიალას, ჩიკორს. „კაცი ჩემგან განატყორცნი ბრუნავს ვითა ტანაჯორი" („ვეფხისტყაოსანი" შ. რუსთ.). „ტარაბუები კბენდნენ მხარგაკრულ ფარხმანს". „ძაღლი ძლივხლა ახელდა თელგამიან თვალებს და ულმობლად იგერიებდა ტარაბუას კუდით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტარანტასი [რუს.] — (უსლ) გრძელი ოთხთვალიანი სამგზავრო ეტლი ერთგვარი. „მელიტონ ბარათაშვილის ტარანტასიც შებმულია" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ტარანტები — (ქ. მწ.) ციხეთა კედლების შესამუსრავი იარაღი. „დიდძალი აბჯრის ალაფი ჩაუვარდა ქართულ ჯარს ხელში ფარანგები, აქლემები, ჯორები, ლოდსატყორცნები და ციხეთა მმუსრველი ტარანტები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტარიგი — (ქეგლ) (ძვ.) 1. ბატკანი ერთ წლამდე; 2.(გადატ.) რაც მსხვერპლად უნდა შესწირონ, შესაწირავი. ტარიგად — შესაწირავად („საღლეგრძელო" — გრ. ორბ.)

ტაროსი — (ქ. მწ.) დარი, ამინდი.

ტარსიკონის ჩექმები — (ქეგლ) თხის ტყავის ჩექმები. „ტარსიკონის ჩექმები ფეხზე ვერცხლის უზანგებამდე ხწვდებოდა შორენას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტარტაროზი — (ქსე) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ქვესკნელის უბნელესი ნაწილი, შავეთი. ჰესიოდეს მიხედვით, მესამე კოსმოგონიური პრინციპი. უმძიმეს ცოდვილთა დასასჯელი: სამმაგი მწუხრით, პოსეიდონის ნაჭედი სპილენძის კედლითა და ცეცხლის მდინარით გარემოცული საიქიო. ჰომეროსთან ტ. იმდენადვეა დაშორებული დედამიწიდან, რამდენადაც ზეცა, და სიკვდილივით ბნელია. ტ. ჰადესის ქვედა სკნელია, სადაც ურანოსმა მიაჯაჭვა ციკლოპები და ასხელა გოლიათები. ტ. ქრისტიანული ტრადიციით — ჯოჯოხეთი; ეშმაკი (ტარტაროზი).

ტარუღა [მონღ.]— (ქსე) მოურავი. სახელწოდება შემოვიდა ირანიდან.

XVI-XVII ს. ს. ტ. პოლიციის უფროსი იყო და გადასახადის აკრეფაშიც მონაწილეობდა. ტარუღი — (ქ. მწ. VII ტომი) ქალაქის უფროსი. „რა ყადი ტარუღასთან მივიდა, მიუვიდა იგი კაცი და იჩივლა“ („ვირად ცნობილი ყადი“ — საბა).

ტარჯოხი და ძასაი — ქართველი პატრიოტები, რომელნიც აწამა ბუღა თურქმა. („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — წიგნის ლექსიკონი).

ტატუირება [ფრ.] — (უსლ) ადამიანის სხეულზე რისამე დახატვა კანზე ჩხვლეტისა და მასში საღებავის შეყვანის გზით. 2. ამგვარად გაკეთებული ნახატი. სახე. „ვახილი ხრიტანიუკს დატატუირებული ჰქონდა სხეული“ („პაკი ალბა“ ლ. ქიაჩ.).

ტაქსა [ფრ.] — (უსლ) ნიხრი.

ტაშისკარის ბრძოლა (1609 წ.) — (ქსე) ბრძოლა ქართლის სამეფოსა და ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარს შორის. 1900 წ. ივნისში ქართლში შეიჭრა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელმაც რამდენიმე სოფელი ააოხრა და გაძარცვა, მოსახლეობის ნაწილი დაატყვევა, სწრაფად მიადგა მანგლისს, საიდანაც სცადა სოფ. ცხირეთისაკენ გაჭრა, სადაც მეფე ლუარსაბ II ებულებოდათ. თევდორე კველთელმა (ბერი თევდორე) მოატყუა მტერი და სხვა მიმართულებით წაიყვანა. ამასობაში ქართველებმა ლაშქარი შეკრიბეს და გ. სააკაძის და ზ. ციციშვილის სარდლობით მტერი უკუაქციეს. გორისაკენ გაბრუნებულთ მდ. მტკვარზე ხიდი აყრილი დახვდათ; მაშინ ახალციხისკენ იბრუნეს პირი. მტკვარი გადალახეს და სოფ. ტაშისკართან დაბანაკდნენ. ქართველთა ლაშქარმა გ. სააკაძის სარდლობით მტერს ახალციხისკენ გასასვლელი გზა გადაუჭრა, თავს დაესხა და თითქმის მთლიანად გაანადგურა (ქართველებს დიდძალი ნადავლი და ტყვე დარჩათ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი გ. სააკაძემ).

ტაძრეული — (ქეგლ) ამალა ქართველი მეფისა. „საახალწლოდ მცხეთაში იყო ტაძრეულითურთ მეფე გიორგი“(„დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ტაჯგანალი, ტაჯგანაგი — (ქ ეწ.) მათრახი.

ტევრი — (ქეგლ) ხშირი, უდაბური ტყე. (მეტაფ.) „ატირტმანდა ქორბუდიან ირმების ტევრი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „ტევრი გვიწალდია“ („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ — მ. ლებან.).

ტემლაკი [პოლონ.]— (უსლ) ხმლის ვადაზე გამობმული ფოჩიანი მარყუჟი იარაღის ხმარებისას მაჯაზე წამოსაცმელად (რუსეთის არმიაში ზოგჯერ წ ჩინების აღმნიშვნელი იყო). „ჩინს მომცემენ ტემლაკებსა“ („არხენას ლექსი“ — სალს.).

ტემპერამენტი — (უსლ) 1. ფსიქიკური წყობის თავისებურებანი, რომლებიც ვლინდება გარესამყაროსთან ადამიანის ურთიერთობაში, მის ქცევაში. 2. ძლიერი აღგზნებადობა. „პაოლო იაშვილი მგზნებარე ტემპერამენტის, კაცკა-

ცური ხმის. წრფელი გრძნობისა და დახვეწილი ოსტატობის ხელოვანი იყო" (ხახკ. ხას-ლო). „ჯაზის წვენის ხიფიცხე დაპყვა ქართულ ხასიათსა და ტემპერამენტს. კ. გამსახურდიას პერსონაჟებშიც მჟღავნდება მამა-პაპათა ხასიათი, ტემპერამენტი" (ს. ხიც.).

ტენდენცია [გერმ.]— (უსლ) რისამე განვითარების მიმართულება, მისწრაფება, მიდრეკილება რაიმესადმი; 2. დედააზრი, იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს რაიმე მხატვრულ ან მეცნიერულ ნაწარმოებს; 3. წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მსმენელს. ტენდენციური – ტენდენციის გამომხატველი, ცალმხრივი, მიკერძოებითი. „თემურაზის პოეზიაში ალიბექდა მისი ეპოქის ალმოსავლეთის ლიტერატურული ტენდენციები" (კეკელიძე-ბარამიძე).

ტენორი – (უსლ) მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა. ასეთი ხმის მქონე მომღერალი.

ტერაკოტა – (ქსე) მოუჭიქავი, გამომწვარი თიხისგან დამზადებული ფერადი კერამიკული ნაკეთობა, რომლებსაც მხატვრული და უტილიტარული დანიშნულება აქვთ (ჭურჭელი ლარნაკები, ქანდაკება, სათამაშოები, მოსაპირკეთებელი ფილები). გავრცელებული იყო საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე.

ტერება – (ქ. მწ.) (ძვ) პატრონობა. „ფატმან წამგვარა გრძნეულთა ღმერთიმცა მას ეტერებოს" („ვეფხისტყაოსანი"— შ. რუსთ.).

ტერმინი – (უსლ) სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეულ ცნებას.

ტერორი [ლათ.]– (უსლ) პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით (მოკვლითაც კი).

ტერტერა – (ქეგლ) სომხების მღვდელი. 1. „სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ" („კაცია-ადამიანი?!" – ი.ჭავჭ.). 2. „ვინაც არავინ არ სწყალობს წყევლას უგზავნის ტერტერა" („დამხეტყეე, ცაო".– ვაჟა).

ტერფი – (ანდ. ქილ.) ლექსის უმცირესი ძირეული რიტმული ერთეული, რომელიც თანმიმდევრულად მეორდება ტაეპში. ქართულ ლექსში შემდეგი სახის ტერფებია: 1. ქორე – ორ მარცვლიანი. „გახსოვს/ ტურფავ /ჩვენს დიდ/ ბაღში (ილ. ჭავჭ.). 2. დაქტილი – სამმარცვლიანი: „თიბათვე/ გაჭიდა/ აქრელდა/ ქათიბი" (გ. ტაბ.). 3. პეონი – ოთხმარცვლიანი: „შაირობა/ პირველადვე/ სიბრძნისაა/ ერთი დარგი" (შ. რუსთ.). 4. ლოგაედური – ზემოაღნიშნული ტერფებია გაერთიანებული, შერეული: „ივდა/ ზამთარი/ ბრილის/ ტახტზედა" (დ. გურამ.)

ტერცინა – (ლიტ. თეორ.) {იტალ.} სამტაეპიანი სტროფი ჯვარედინრითმიანი. თითოეული სტროფის შუა ტაეპი გარითმულია შემდეგი სტროფის კიდურ ტაეპებთან და გრაფიკულად ასე გამოიხატება aba, bcb, cdc... ტერცენი-

თაა დაწერილი დანტეს „ღვთაებრივი კომედია".

ტესტი [ინგ.] — (უსლ) სტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა, რომელსაც აძლევენ ცდის პირს მისი გონებრივი განვითარების, მიდრეკილებათა და პიროვნების სხვა მხარეების გამოსარკვევად.

ტეტიათა მოტრფიალენი — (ან.დ. ჭილ.) სახალხო მწერლების ზედმეტსახელი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, პუბლიცისტიკაში. ტეტიას აღმ. საქ-ში, ქართლში გლეხს უწოდებენ. ვინაიდან ხალხოსნების მოღვაწეობის ასპარეზი ქართლის სოფლები იყო უპირატესად და მეორე მხრივ, მათი შემოქმედების შინაარსს ძირითადად ქმნიდა გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრების აღწერა და ჩვენება, ამ ნიადაგზე ქართველ ხალხოსნებს კრიტიკოსმა ხომლელმა (რომანოზ ფანცხავა) „ტ. მ." უწოდა (სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური).

ტეტრალოგია — (უსლ) ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს. კ. გამს. ისტორიული რომანი „დავით აღმაშენებელი".

ტექსტოლოგია — (ანდ. ჭილ.) ფილოლოგიის დარგი, რომელიც კრიტიკულად სწავლობს ლიტერატურული ძეგლებისა და ისტორიული დოკუმენტების ტექსტებს მათი მეცნიერულად გადმოცემის მიზნით. ქართული მეცნიერული ტ. განვითარდა XX ს-ის დასაწყისში (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, ილ. აბულაძე, ე. მეტრეველი). 1057 წ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა ტ-ის განყოფილება, ხოლო საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან 1002 წლიდან არსებობს „ვეფხისტყაოსნის" აკად. ტექსტის დამდგენი კომისია და მთავარი რედაქცია.

ტვენი მარკ (სამუელ კლემენსი) (1037-1910) — (ქსე) ამერიკელი მწერალი. ამერიკული კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი. მუშაობა ადრეული ასაკიდან დაიწყო: იყო ასოთამწყობის შეგირდი, ლოცმანი, ოქროს მაძიებელი. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს. მის შემოქმედებაში დომინირებდა რომან-ზღაპარი. გამოირჩევა ავტობიოგრაფიული შეფერილობის „ტომ სოიერის თავგადასავალი", „უფლისწული და მათხოვარი". მონობის პრობლემებია დასმული რომანში „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი". ტვენს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, პამფლეტი, რომანი, სტატია, ნარკვევი, ძალზე საინტერესო „ავტობიოგრაფია". ტ. შესანიშნავი დეკლამატორი იყო, საჯაროდ კითხულობდა თავის მოთხრობებს, ლექსებს. მთელ მის შემოქმედებას ნათელ ფერად გასდევს ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

ტვიფარი — (ქეგლ) შტამპი, ბეჭედი. „მელის ტვიფარით დადაღეს ფარსმანი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტიარა [ბერძ.] — (უსლ) 1. ძვ. აღმოსავლეთში: მეფეების, ქურუმების თავსაბურავი (როგორც ძალაუფლების სიმბოლო); 2. რომის პაპის გვირგვინი. 3. მღვდელმთავრის ქუდი. „ცამცამებდნენ ტიარის ალმასები, ოქროს ომფორი. ისეთი ლაპლაპი გაჰქონდა ტიარასა და ომფორს, როგორც პატრიციუსების მოოქროვილ მუზარადებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტივი — (ქსე) ერთიმეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე გადასაცურებლად. მტკვარსა და ლიახვზე მრავალ სოფელთან იყო გამართული სატივეები. ტ. სატრანსპორტო საშუალებადაც გამოიყენებოდა.

ტიკი — (ქეგლ) ოთხში (გუდად) ამოღებული, შიგნიდან მოკუპრული (ფისწასმული) ცხვრის, თხის ან ხარის ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არაყის ჩასასხმელად. „მგზავრებმა არაგვის პირად დაიხვენეს, ტიკი გახსნა გაბომ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტიკინა — (ქეგლ) დედოფალა „ზოგის ხელში ტიკინაც გაღმერთდება" („ჯაყოს ხიზნები"— მ. ჯავახ.).

ტინი — (ქ. მწ.) კლდე, სიპი, პიტალო, სალი კლდე. „ისეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა ტინთა ცვილებრ დაადნობდის" (საბა).

ტირიფი — (ქსე) ფოთოლმცვენი მცენარეა... იზრდება დაბლობში, მდინარეთა ნაპირების გასწვრივ და ჭალის ტყეებში. უმეტესად გავრცელებულია წნორი ანუ თეთრი ტირიფი. აზიიდან ინტროდიცირებულ ძეწნას, რომელიც ორიგინალური ვარჯით გამოირჩევა, „მტირალა ტირიფი"ჰქვია.

ტიპი [ბერძ.]— (უსლ) 1. საგნების, მოვლენების გარკვეული ჯგუფის ნიმუში: მოდელი, ფორმა; 2. ხელოვნებაში მხატვრული სახე, რომელშიც განზოგადებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თვისებები; 3. იტყვიან უცნაური ან უარყოფითი თვისებების მქონე ადამიანზე. (ლიტ. თეორ.) — მხატვრული ნაწარმოების გმირი, რომლის სახეში მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვით თავმოყრილია ადამიანთა განსაზღვრული ეპოქის, ამა თუ იმ სოციალური წრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ტიპის შექმნაში დიდ როლს ასრულებს არა მარტო გარემო, არამედ მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია, მხატვრული გამონაგონი. ტიპში გარკვეული სოციალური ჯგუფის ძირითადი თვისებების ხასიათის, ქცევისა და განწყობილების ერთობლიობაა წარმოდგენილი. მწერალი სინამდვილის ღრმა ცოდნის, ცხოვრების მახვილი დაკვირვების საფუძველზე გამოგონილ სახეში თავს უყრის ყველა დამახასიათებელ თვისებას და ქმნის „ტიპურ ხასიათებს ტიპურ გარემოში". ლუარსაბ თათქარიძე, კაკო ყაჩაღი, გაბრო, დათიკო, სიმონა ძალაძე და სხვა ტიპები არიან, რადგან ისინი შეიცავენ ყველა იმ თვისებებს, რომლებიც გააჩნდა იმ დროს მსგავს ვითარებაში მყოფ ადამიანებს. ზოგი მათგანი დადებითი, ზოგი — უარყოფითი.

ტიპი კონკრეტული ადამიანის მხატვრულად განზოგადებული სახეა, მაგრამ

იგი რომელიმე ცალკეული პიროვნების, ან პიროვნებების ფოტოგრაფიული ასლი კი არაა, არამედ შევსებული, განზოგადებული სახეა. მწერალი ტიპს პოულობს ცხოვრების სინამდვილეში და ხატავს მრავლიდან ერთს, ერთიდან — ხვალინდელ მრავალს. ამ მხრივ საინტერესოა ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ის ერთ-ერთი ვარიანტი. როცა მგზავრი — ავტორი ილ. ჭავჭავაძე ერთ მყრალ გუბეს წააწყდა, რომელშიც (როგორც მას ქართველები სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან) ორფეხა ცხოველები „ცხოვრობენ“. მგზავრმა ერთი-ერთს ხელი წაავლო ყურზე და ნაპირზე გამოათრია. კაცი-ადამიანი აყვირდა და უსაყვედურა: „ რაღა მე წამავლე ხელი, შე უღმერთოვ, ათასი სხვაა ჩემისთანა?! — აბა უფრო მაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგავხარ და ათასი შენა?! რაც ბევრს ემგვანები, უფრო კარგია, აქეთ მობრძანდი, აქეთ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ!“

ილიას თხზულების ეს ნაწყვეტი გვეხმარება ტიპურობის განმარტებაში. ტიპური ხასიათების, ტიპური გარემოს მაღალმხატვრულად ჩვენება მწერლისა და ნაწარმოების მაღალ ღირსებაზე მიუთითებს. (ქსე) ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე, რომელ. ც მწერალმა დახატა, როგორც მრავლის მსგავსი ნიმუში, როგორც გარკვეული სოც. წრის ადამიანთა გამოხატულება არის ტიპი რადგან ზოგადი მხოლოდ კერძოს სახით ვლინდება, ამიტომ ლიტ-ული ტიპი ერთსა და იმავე დროს ზოგადიცაა და მკვეთრად ინდივიდუალიზებულიც, ცოცხალი ადამიანური ხასიათიც.

ტიპიკონი — (ქსე) საეკლესიო წესების კრებული. ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიული წიგნი. ტ. მღვდელმსახურთა სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებებს უძრავ და მოძრავ დღესასწაულთა შესახებ. ამას ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის და ა. შ. ტ.-ს ბოლოში დართული აქვს პასქალური ცხრილები. საქართველოს ეკლესია X-ს-მდე პალესტინურ ტ. იყენებდა. ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრების შემდეგ ქართველებმა თარგმნეს ტ.-ის კონსტანტინოპოლური რედაქცია. ტ.-ის გადმოღება მოხდა დავით აღმაშენებლის დროს (საბაწმინდური რედაქცია). XVIII ს. ანტონ I კათალიკოსმა ქართული ტ. შეასწორა სლავურის მიხედვით. წყაროებში დასახელებულია ილარიონ ქართველის გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე მთაწმინდელის, გრიგოლ ბაკურიანის ძის და სხვა რიტორული ტ.

ტირადა [ფრ.] — (ლიტ. თეორ.) ქედმაღლური, აწეული პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, რეპლიკა, მონოლოგი. ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რუსი ოფიცრის ლაპარაკი ილიასთან. ტირადის კლასიკური ნიმუშია.

ტირანი — (უსლ) 1. სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს

თვითნებურად და ძალადობით; დესპოტი; 2. მკაცრი, ულმობელი ადამიანი; 3. ძვ. საბერძნეთში: ერთპიროვნული მმართველი (და არა მარტო საბერძნეთში). ტირანია – თვითნებობაზე და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; დესპოტიზმი. „პოეტი [ალ. ჭავჭავაძე] პროტესტს აცხადებს ამგვარი ტირანი მეფეების წინააღმდეგ" (სასკ. სახ-ლო). „XIX საუკუნის დასასრულს ტირანიის ხუსხი აუტანელი გახდა" (ნ. გრიგ. წ. 1).

ტიტანი, ტიტანები – (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში უკვდავი არსებები, გიგანტები, რომლებიც შეებრძოლნენ ოლიმპელ ღმერთებს; 2. იტყვიან ძალიან დიდ მოაზროვნეზე, გენიოსზე. ტიტანური – მეტისმეტად ძლიერი, უზარმაზარი ფიზიკური ან ზნეობრივი ძალის, განსაკუთრებით დიდი ჭკუის, ტალანტის მქონე. „ტიტანური პიროვნების ხულიერი დრამა" (გ. ახალ.).

ტიტული – (უსლ) 1. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდებულება; 2. ჟიგნის სათაური, წიგნის პირველი გვერდი, რომელზედაც მოთავსებულია სათაური, ავტორის გვარი, გამოცემის წელი და სხვა.

ტკეჩი და ყავარი – (ქსე) ნაპობი თხელი (3-5 მმ)ხის თამასები (ფირფიტები), რომელსაც აკრავენ კედლებსა და ჭერზე ბათქაშის წინ (ტკეჩის სიგრძეა 1-1,5 მ, სიგანე – 12-30 მმ) და სახურავის დასაფარავად (ყავრის სიგრძეა 0,4-1 მ, სიგანე – 90-130 მმ). შპონის დახეხილ თამასებს ბათქაშისათვის საბათქაშე ლარტყას უწოდებენ.

ტლე – (ქეგლ) (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი. ქვევრში ღვინის დანალექი, იგივე ტლე სახელია ბალახეულისა, რომელსაც წყლით ასველებენ და სიცხიან ავადმყოფს adebენ კომპრესის ნაცვლად. „გირშელს ფილადელფოს ბერი ყოველ დილით ტლეებს ადებდა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ტოგა – (ქსე) ძვ. რომის არისტოკრატთა ზედა ტანსაცმელი – გრძელი თეთრი წამოსასხამი.

ტოილო – (ქეგლ) იგივეა, რაც ბორკილი. ცხენის დასაბამი გრძელი თოკი ან ჯაჭვი. „როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი გარს უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, ახევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას თავის შემოქმედების ნაყოფი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს. – წიგნის ლექსიკონი).

ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1028-1910) – (ქსე) რუსი მწერალი. დაიბადა მდიდარ და დიდგვაროვან ოჯახში. მშობლები ადრე გარდაეცვალა. იასნაია პოლიანაში მიიღო საფუძვლიანი შინაური განათლება. 1044-1847 წ. წ. სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტში. 1052 წ. უფროს ძმასთან ერთად გაემგზავრა კავკასიაში, სადაც თერგის ოლქის ერთ-ერთ სამხ. ბანაკში განაწესეს. 1052 წ. თბილისში დაწერა მოთხრობა „ბავშვობა" (ამავე წელს დაიბეჭდა „სოვრემენნიკში"), რომელ-

მაც შემდგომ „ყრმობასა" (1852-1854 წ. წ.) და „სიჭაბუკესთან" (1855-1857 წ. წ.) ერთად ავტობიოგრაფიული ტრილოგია შეადგინა.

60-იანი წლებისათვის თანდათანობით გამოირკვა ტ.-ს სოც., ფილოსოფიური, ეთიკური კონცეფცია. გამოაქვეყნა რომანი „ოჯახური ბედნიერება" (1858-1859 წ. წ.), მოთხრობები „კაზაკები (1853-1863 წ. წ.), „პოლიუშკა" (1861-1863 წ. წ.), რომლებშიც უარყოფდა ბურჟუაზიულ ცივილიზაციასა და პროგრესს. 1863-1869 წლებში მან შექმნა გრანდიოზული ოთხტომიანი რომან-ეპოპეა „ომი და მშვიდობა" (პუბლიკაცია დაიწყო 1865 წ.). ავტორი 1812 წ. სამამულო ომს წარმოადგენს რუსი ხალხის ერთობლივ ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ.

ტ. 70-იანი წლების შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესია რომანი „ანა კარენინა" (გამოქვეყნდა 1876-1877 წ. წ.), რომელშიც რეალისტურად აისახა რეფორმების შემდგომი რუსეთის ცხოვრება.

იდეოლოგიური წინააღმდეგობები გამოვლინდა ტ.-ს მხატვრულ ნაწარმოებებში: „კრეტცერის მონეტა" დრამა „მეუფება წყვდიადისა", კომედია „განათლების ნაყოფი", რომანი „აღდგომა" და სხვა.

კავკასიაში ყოფნის დროს ტ.-ზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზამ, დარიალის ხეობამ. მან ინახულა გერგეტის სამების მონასტერი. ამ პერიოდის ჩანაწერებში ხშირად მოიხსენიება საქართველო და ქართველები. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია კავკასიის თემისადმი მიძღვნილი მოთხრობა „ჰაჯი მურატი" (1800-1904 წ. წ., გამოქვეყნდა 1912 წ.), რომელშიც თავისუფლებისმოყვარე მთიელის შეუბღალავი სახე დაუპირისპირა დესპოტ მეფეს და მის კავკასიელ მსახურებს.

სიცოცხლის მიწურულს ტ. მწვავედ განიცდიდა წინააღმდეგობას მის მიერ ნაქადაგებ იდეებსა და პირად ცხოვრებას შორის, რომლის გამოც ხშირად ჰქონდა უთანხმოება ოჯახის წევრებთან. 1910 წ. მან სამუდამოდ მიატოვა იასნაია პოლიანა და სამხრეთისაკენ გასწია. გარდაიცვალა გზაში.

ტ. თხზულებათა თარგმნა საქართველოში 1873 წ-დან დაიწყო. მის შემოქმედებას წერილები უძღვნეს ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა და სხვა. გაჟაფშაველა მწერლის გარდაცვალებას გამოეხმაურა ლექსით: „ლევ ტოლსტოის სიკვდილზე".

ᲢᲝᲚᲩᲐ [სპარს.] — (უსლ) ლითონის ან ფაიფურის პირლია, ყურიანი ჭურჭელი.

ᲢᲝᲜᲘ — (უსლ) 1. მოლაპარაკე ადამიანის ხმის ჟღერადობის სიმაღლე ან სიძლიერე. 2. ლაპარაკის, ნათქვამის იერი, ნიუანსი.

ᲢᲝᲢᲔᲛᲘ — (ქსე) (ჩრდ. ამერ. ინდიელთა ტომის ენაზე „ტოტ-ტომი" — მისი გვარი) პირველყოფილი ხალხების რწმენით ბუნებრივი ობიექტი (ცხოველი, მცენარე, უსულო საგანი), რომელსაც ნათესაური კავშირი აქვს გარკვეულ სოც. ჯგუფთან. ტოტემიზმი

არის წარმოდგენების, წეს-ჩვეულებებისა და მითების კომპლექსი გვაროგნულ საზ-ში, რომელიც ემყარება ნათესაობის რწმენას სოც. ჯგუფსა და ბუნებას შორის. ტოტემი ძირითადად არის ცხოველი, შეიძლება იყოს მცენარე, უფრო იშვიათად წვიმა, ქუხილი, ელვა და ა. შ. ტოტემის მოკვლა, შეჭმა ან მისთვის ზიანის მიყენება სასტიკად აკრძალულია, ტოტემიზმის გადმონაშთები მიკვლეულია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. განვითარებული სოც. გარემოს ზეგავლენით ტოტემიზმის სახეცვლილი გადმონაშთები დამოწმებულია საქართველოს მთიელთა წარმოდგენაში. მაგ., „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა". ვეფხვი ძველ მთიელთა შეხედულებით ითვლებოდა ტოტემად, რომლის მკვლელსაც უნდა დაეტოვებინა სამზეო. წარმართულ საქართველოში ტოტემად ითვლებოდა ცხენიც. 2 (ქეგლ) დალი, ყენჩელი (ამ შემთხვევაში წარმართული). „კუდაშვერილ ხარებს ტოტემის ნიშნებით ჰქონდათ დადაღული ფერდები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტრაგედია [ბერძ.] — (ლიტ. თეორ.) დრამატული ჟანრის სასცენო კომპოზიციის ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ნაჩვენებია ძირითადად დიადი მიზნებისათვის თავდადებული, უდრეკი ნებისყოფის ადამიანის ბრძოლა გადაულახავი დაბრკოლების წინააღმდეგ, უთანასწორო ბრძოლაში მთავარი გმირის დაღუპვის გარდუვალობა. ტ. წარმოიშვა საბერძნეთში. პირველად ის წარმოადგენდა თხის ტყავში გადაცმულთა სიმღერას. დიონისეს სწირავდნენ თხას. მსხვერპლის შემწირველნი თხის ტყავში იყვნენ გადაცმული და მღეროდნენ. აქედან სახელწოდება „ტრაგედია" — თხის სიმღერა. სახალხო დღესასწაულის ფორმიდან იგი თეატრალურ სანახაობად და დიდ ხელოვნებად გადაიქცა („ტრაგედია უგმიროდ" — ნ. ლორთქ.). 2. (ქეგლ) ~ საშინელი ამბავი, უბედური შემთხვევა, მძიმე განცდა, ტანჯვა.

ტრაგიკომედია — (ლიტ. თეორ.) დრამატული ჟანრის, სასცენო კომპოზიციის ისეთი ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ტრაგიკული, ასევე კომიკური ანუ სამწუხარო და სასაცილო სიტუაციები. ტ. მოიცავს ტრაგედიისა და კომედიის ელემენტების ერთობლიობას; მელოდრამა.

ტრადიცია — (უსლ) ისტორიულად ჩამოყალიბებული თაობიდან თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები. „ძიძიშვილობის მიმართ ტრადიციულმა მოვალეობამ აიძულა პაკო აძბა უჯუშის დანაშაული დაებრალებინა" („პაკო აძბა" — ლ. ქიაჩ.).

ტრამა — (ქ. მწ.) ტრამალი, მოტიტელებული, ნათხარი ადგილი.

ტრანშეა [ფრ.] — (უსლ) 1. ვიწრო, ღრმა თხრილი, რომელიც მთლიან ხაზად აერთებს თავდაცვითი პოზიციების ყველა საცეცხლე წერტს; 2. გრძლად გაჭრილი თხრილი. „იქ ტრანშეების ლაბირინთებში, ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი" („ჩვენ, პოეტები საქართველოსი" — გ. ტაბ.).

ტრაპეზი {ბერძ.} — (ქეგლ)1. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში. 2 (-) 3. მაგიდა, სუფრა, ტაბლა; 4. ნადიმი, სადილი, წვეულება. „[ცახაგალა] ტრაპახობდა კიდევაც პაპ ბენედიქტ VII-ს ტრაპეზზედაც ხელით ჭამდით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტრაპიზონი, ტრაბზონი, ტრაპეზუნტი — (ქსე) ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთ'ში. ტრაპი'ზონის ვილაეთის ადმ. ცენტრი. ნავსადგური შავი ზღვის ნაპირზე. დააარსეს სინოპელმა ბერძნებმა დაახლ. ძვ. წ. VII ს. (ან VIII ს.) შუა წლებში) ანტ. პერიოდში მნიშვნელოვანი ნავსადგური და სავაჭრო ცენტრი იყო. შედიოდა პონტოს სამეფოს (ძვ. წ. II ს-დან), რომის პროვინცია პონტოსა და ბითინიის (ძვ. წ. 63 წ-დან) შემადგენლობაში, ახ. წ. V ს-დან XII ს-ის დასაწყისამდე ბიზანტია'ში. 1205-1461 წლებ'ში ტრაპი'ზონი იმპერიის დედაქალაქი იყო. 1461 წ. დაიპყრეს თურქოსმალებმა და ოსმ. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა).

ტრაქტატი [ლათ.] — (ქეგლ) 1. მეცნიერული შრომა, რომელ'შიც განხილულია რაიმე ცალკეული საკითხი, პრობლემა; 2. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება. გეორგიევსკის ტრაქტატი.

ტრივიალური — (ლიტ. თეორ.) გაუბრალოებული, გაცვეთილი, მობეზრებული, უშერი, უხამსი ნაწარმოების შინაარსი თუ პერსონაჟის მოქმედება, რომელიც მოკლებულია სიახლეს, ორიგინალობასა და ესთეტიკურობას, უფრო ხშირად ვულგარულიცაა. ტ. შეიძლება იყოს აზრი, განსჯა და დასკვნები. „ნახევარი საუკუნის დისტანციიდან ახლით ბახუსი, შეხაძლოთ, ტრივიალურ ჭეშმარიტებად მოგვეჩვენოს" (გ. ასათ.).

ტრილოგია — (ლიტ. თეორ.) ერთი ავტორის სამი სხვადასხვა ნაწარმოები, რომელიც ერთი ძირითადი იდეური შინაარსის, ერთი მთავარი პოეტური ჩანაფიქრის მხატვრულ განსახიერებას წარმოადგენს. კ. გამსახურდიას „მთავარის მოტაცება"; ილ. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი", „კაცია-ადამიანი?!." „გლახის ნაამბობი" — ერთი პოეტური ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელებაა. ტრილოგიის სამივე წიგნს შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა სახელწოდება.

ტრიოლეტი [ფრ.] — (ანდ. ქილ.)— რვატაეპიანი ლექსი, რომლებ'შიც პირველი ტაეპი სამჯერ მეორდება (I, IV, VII ტაეპები) აქედანაა მისი სახელწოდებაც ტრიოლეტი. VIII ტაეპი იმეორებს მეორეს. ტრიოლეტ'ში რითმა ორი სახისაა: I, III, IV, V, VII ტაეპები ერთ რითმას ატარებენ: II, VI და VIII — მეორეს. გრაფიკულად ტ-ის რითმული წყობა ასეთი იქნება:

„გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა
და ჩემი სული სამოთხეში მიჰყავს გოდებით,
ზამთრის ვარდები დაემსხვრევა ბაღის კარებთან
გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა.
უშნო წარსულის სიმახინჯე მიყვის გარედან
საშინელებას მირაჟებით მე ველოდები
გლოვის ზარებით მამაქანებს თეთრი კარეტა
და ჩემი სული სამოთხეში მიჰყავს გოდებით" —
(ტ. გრან).

ი. გრიშაშვილის „ტრიოლეტები შეითანხმაზარში" — (ტრიოლეტი) მოხეტიალე ჯამბაზი უნდა იყოს. „ტრიოლეტივით დავყიალობ გაღმა-გამოღმა".

ტრიპტიქი — (უსლ) 1. სამად მოკეცილი ხატი. 2. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული სამი სურათი, ბარელიეფი და მისთ. უფრო ხშირად ტ.-ის სახით გვევლინება ერთი იდეურ-თემატური რკალით გამთელებული სამი ლექსი. პ. იაშვილის ტრიპტიქია: „მალარმე", „ვერლენი", „ვერჰარნი".

ტრირემა [რომ-ბერძ.]— (უსლ) ძვ. საბერძნეთში: ხომალდი, რომელსაც სამ იარუსად ჰქონდა ნიჩბები. „ფარსმანი უთვალთვალებდა ნაპირისაკენ მიმავალ ტრირემას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტრიუმფი — (უსლ) დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება, ამით გამოწვეული ზეიმი. „ქადაგად დავარდნილები ათასგვარ სიზმრებსა და გამოცხადებას ამცნობდნენ ტრიუმფით მიმავალ „მოხაყდრე ტრისტესას" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტროას ცხენი, ტროას საჩუქარი — დამღუპველი საჩუქარი — დანაელებსა და ტროელებს ომი ჰქონდათ. ათ წელიწადს ტროა ალყაშემორტყმული იყო, მაგრამ ბერძნებმა ვერ აიღეს. ოდისევსის რჩევით ბერძნებმა ალყა მოხსნეს და უზარმაზარი ხის ცხენი რჩეული მეომრებით დადგეს ქალაქის მისადგომებთან. ტროელებმა ეს ცხენი საჩუქრად მიიჩნიეს და ქალაქში შეიტანეს. ღამით მეომრები გამოცვივდნენ, დაესხნენ ქალაქს, დაარბიეს, ამოხოცეს მამაკაცები და ტყვედ წაიყვანეს ქალები. ამ საჩუქარს დანაელთა საჩუქარსაც ეძახიან.

ტროპარი — (ბიბლ.) წასაკითხავი მუხლი. წმინდანთა სახელობის ლოცვა (კონდაკთან ერთად). ამა თუ იმ წმინდანის მეოხების თხოვნით. კანონის ზოგი მუხლი, სტრიქონი.

ტროპი — (ლიტ. თეორ.) გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული ყველა სიტყვა და წინადადება. ტ.-ის სახეებია: შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, მეტონიმია, სინეკდოქე, ეპითეტი, ჰიპერბოლა, ლიტოტესი, სიმბოლო, ირონია, ალეგორია, პერიფრაზი; ტ.-ის შედარებით მარტივი სახეებია: შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა.

ტ.-ის ყველა სახე პოეტური სამკაულია და პოეტურ-ემოციური დიდი ძალის მქონე გამოსახვის საშუალება. მას გარდა მხატვრულ-სამკაულებრივი თვისებისა, აქვს წმინდა ენობრივი მნიშვნელობა. იგი ქმნის სიტყვის მრავალმნიშვნელიანობას და ამით ამდიდრებს ლექსიკას. ტ.-ს დაკისრებული აქვს ამსახველობითი, შემეცნებითი, ესთეტიკური და ემოციური ფუნქცია. ტროპული მეტყველების ესთეტიკურ ფუნქციას სწავლობს პოეტური სემანტიკა.

ტრუბადური [ფრ.] — (ქსე) პოეტი-მომღერალი. XII-XIII ს. ს. პროვანსში ტ.-ები სიმღერებს ქმნიდნენ და თავადვე მღეროდნენ. მათი ლირიკა გამოირჩეოდა დახვეწილი ფორმითა და მუსიკალობით.

ტ

ტუზემცები — მე-19 საუკუნეში რუსები ტუზემცებად მოიხსენიებდნენ კავკასიელებს, კერძოდ, ქართველებს: „ეს წყეული „ტუზემცები", ნამეტან კი თავადები არსენაზე უფრო კადნიერები იყვნენ" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ტუნიკა — (ქსე) ძვ. რომაელების სამოსი, რომელსაც ტოგის ქვეშ იცვამდნენ.

ტყავქაბა — (ქ. მწ.) ტყავის კაბა, მამაკაცის ჩასაცმელი.

ტყირპი — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც ელენთა; 2. არანორმალური კანქვეშა სიწითლე სხეულის რომელიმე ნაწილში. „უხიამო მზერა ესროლა ფარსმანმა ტყირპიან სახეს, მოხარშულ კიბოსავით გაწითლებოდა ღებრონის ტყირპი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ტყეპა — (ქ. მწ.) გლოვა, თავში ცემა. „მხამს გოტყეპდე ხაჯხე მჯიღით ვარხამიხა ხაჯხე მჯიღო" (დ. გურ.).

ტყრუშული — (ქეგლ) მსხვილი წნელის ორმხრივ წნული ღობე. „ეზოს ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე" („კაცია-ადამიანი?! — ილ. ჭავჭ.).

უ

უაზნო — (ქ. მწ.) მონა, არათავისუფალი.

უაილდი ოსკარ ფინგალ ოფლაერტი უილზ (1854-1900) — (ქსე) ინგლისელი მწერალი. წარმოშობით ირლანდიელი. უაილდის, როგორც ესთეტის, პოზიცია გამოხატულია მის ცნობილ ზღაპრებში („ბედნიერი უფლისწული", „ვარსკვლავბიჭუნა", 1888 წ. და სხვა), ბრწყინვალე, გონებამახვილურ კომედიებში („ლედი უინდერმირის მარაო" 1892 წ., „უმნიშვნელო ქალი" 1893 წ., „იდეალური ქმარი" 1895 წ. და სხვა) და მის ძირითად ნაწარმოებში „დორიან გრეის პორტრეტი" (1891 წ.).

უ.-ის დრამა „სალომე" (ა. იაშვილის თარგმანის მიხედვით) 1922-1923 წ. წ. დადგა ს. ახმეტელმა. 1984 წ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა რ. შტრაუსის ოპერა „სალომე" (უ.-ის პიესის მიხედვით).

უასაკო — (ქ. მწ.) ხანმოკლე, წუთიერი, უხანო, წარმავალი. 2. უსხეულო, არამატერიალური. „რათგან ვარდი ამას იტყვის უხულო და უასაკო" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.). „მრწამს, რომ არს ენა რამ ხაიდუმლო, უასაკოთა და უხულთ შორის" (ნ. ბარათ.).

უბადო —(ქ. მწ.) (ძვ.) ცუდი, ავი, უხეირო, უბედური.

უბელო — (ქეგლ) უუნაგირო, შეუკაზმავი ცხენი. „ფეხშიშველი მონები ისხდნენ უბელო ჭაკებზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

უბადრუკი — (ქ. მწ.) საცოდავი.

უგბილი — (ქ. მწ.) თავის ჭკუაზე დაყინებული (საბა). შეუსმენელი, უგნური, ბილწი, ბოროტი, უეიცი, ბრიყვი.

უგერგილო — (ქეგლ) (ძვ.) უშნო, უფხო, მოუხერხებელი, მოუქნელი. „საქმეს უგერგილოდ აკეთებს".

უდებება — (ქ. მწ.) (ძე.) სიზარმაცე. „არავის უდებთაგანს არ შეიწყნარებდა" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება").

უებარი — (ქეგლ) ძალიან კარგად მოქმედი (წამალი).

უებრო — (ქეგლ) უბადლო, შეუდარებელი. ვისაც ტოლი (მისებრ) არა ჰყავს.

უეზდი — (ქ. მწ.) მაზრა.

უვერტიურა — (უსლ) 1. ოპერის, ბალეტისა და სხვა საორკესტრო ნაწარმოებთა მუსიკალური შესავალი; 2. ერთნაწილიანი საორკესტრო ნაწარმოები. „პოემაში („ბედი ქართლისა") ერთგვარ უვერტიურას წარმოადგენს მოხუცი ერეკლეს ლოცვა" (სასკ. სახლო).

უზადო — (ქეგლ) უნაკლო.

უზაკველი — (ქ. მწ.) უბოროტო, უეშმაკო, კეთილი, ალალ-მართალი.

უზალთუნი [თურქ. - ასი ალთუნი]— (ქსე) ვერცხლის მონეტის სახელწოდება. — (თეთრი). ვერცხლის უზალთუნი. (გადატ.) „მას აზამბარი მიჟუსაჯოთ კიდევ ორწილად, რომ წითელ ვაშლში არ მალავდეს თეთრ უზალთუნებს" („ქორწილი ჩვენს უბანში" — ი. გრიშ.).

უზანგი — (ქეგლ) უნაგირის ნაწილი ფეხის შესადგმელი რკინის რკალი — ავჟანდი.

უზბაში — (ქ. მწ.) ასისთავი.

უზმა — (ქ. მწ.) უჭმელი.

უზუნდარა [სპ.] — (ქეგლ) ძვ. აღმოსავლური ქალთა ცეკვა ერთგვარი. „მაშ, შენი გულისთვის ერთ უზუნდარას ჩამოვუვლი, ან ტარანტელას, ან კარმენის ცეკვას" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

უზურპაცია [ლათ.] — (უსლ) რისამე უკანონოდ ხელში ჩაგდება ან სხვისი უფლებების ძალადობით მითვისება.

უზურში — (ქეგლ) მხედველობაში ჰყავს, ვარაუდობს, უზურში ჰყავს (აქვს). „ჩვენ ბატონებს ვებრძოდით და უზურში მიწის დაჩემება, თავისუფლება, ძმობა და პატიოსნება გვქონდა („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

უიარაღო (კონსტანტინე დავითის ძე თათარაშვილი — 1072-1929) — ქართველი მწერალი. 1096 წელს მღვდლად ეკურთხა. სიკვდილმისჯილი რევოლ. ჯარისკაცების გამოსარჩლებისათვის ეკლესიიდან განდევნეს. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში („მოამბე", „ჯეჯილი", „კვალი" და სხვ.) იძულებული გახდა გასცლოდა საქართველოს (1912-1919) სწავლობდა ბრიუსელში. საქ-ში დაბრუნების შემდეგ თსუ-ის გეოლოგიის კათედრის ასისტენტია. მისი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა „მამელუქი".

უკომპრომისო — (ქეგლ) დათმობის გარეშე წარმოებული, მიღწეული, უშეღავათო. უკომპრომისო ბრძოლა.

ულაყი — (ქეგლ) მამალი ცხენი, ან ვირი. „მიქროლავს ქედფიცხელი ულაყი, რათა დალუპვას გადაარჩინოს თავისი ჯალაგი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ულო — (ქეგლ) ძნის შესაკრავი დაგრეხილი სველი ნამჯა. „[განმგეთუხუცესმა] ულოსავით დაგრეხილ, თეთრ ულვაშებზე ჩამოისვა პეშვი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ულუსი [მონღ.— თურქ.] — (უსლ) მონღოლი ან მაჰმადიანი მომთაბარე ტომების ბანაკი. საქართველოში იხმარებოდა მონღოლის, ზოგჯერ მაჰმადიანის მნიშვნელობით. „ალაზნის გაღმა-გამოღმა თხუთმეტი ათასი ულუსი სახლობს" („ბაში-აჩუკი" — აკ. წერ.).

უმარული — (ქეგლ) უმარილი, ვერცხლისწყალზე ძლიერი მჟავას მოქმედებით დამზადებული თეთრი ფხვნილი, წყალში გახსნილს ხმარობდნენ ქალები სახეზე წასასმელად. „ჭარბად წაცხებულ უმარულს ვერ დაეფარა ჩიტის ნაკვალევივით წვრილი ნაოჭები დედოფლის სახეზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

უმბარი — (ქ. მწ.) (ძვ.) მოუხარშავი, უმი.

უმიკაშვილი პეტრე იოსების ძე — (ქსე) (1838-1904) ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი. დაამთავრა პეტერბურგის უნ-ში (1864 წ.). 1883 წ-მდე მასწავლებლად იყო თბილისის ქართულ გიმნაზიაში, 1884-1888 წ. წ. მუშაობდა შავი ქვის წარმოებაში ზესტაფონსა და ბათუმში. უ.-ს ეკუთვნის ლიტ.-პუბლიც. ნარკვევები, თარგმანები, პიესები და სხვა. 1874 წ. დაიბეჭდა „ლექსები სახალხო სიმღერისაგან შედგენილი". გამოაქვეყნა „არსენას ლექსი", „ეთერიანი", „ქართული ანდაზები" და სხვა. შექმნა ქართ. ფოლკლორის მდიდარი კოლექცია, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ა. ხახანაშვილის და სხვათა შეკრებილი ნიმუშები. ამ კოლექციის ნაწილი (ლექსები, გამოცანები, ანდაზები) 1937 წ. გამოაქვეყნა ფ. გოგიჩაიშვილმა.

უმოძღვრო — (ქ. მწ.) ალსარების უთქმელი, უზიარებელი. „იერუსალიმს უმოძღვრო კაცს არ მიეხვლებათ" („მელი მოძღვრად" — საბა).

უმწიკვლო — (ქეგლ) უბიწო, შეურყვნელი, წმინდა, უანგარო, პატიოსანი.

უნებს — ძვ. (ქ. მწ.) ნებავს, სურს, უნდა.

უნდილი — (ქეგლ) დაუმწიფებელი, მკვახე. (გადატ.) უფხო, მოუხერხებელი ადამიანი.

უნოტიო — (ქ. მწ.) მშრალი (საპირისპირო — ნოტიო).

უნჯი (საუნჯე) — (ქეგლ) განძი, სიმდიდრე, ქონება.

უორდროპი მარჯორი სქოტ — (ქსე) ინგლისელი მთარგმნელი, ქართული კულტურისა და მწერლობის დიდი

პოპულარიზატორი. მიიღო მრავალმხრივი განათლება, ფლობდა 7 ენას. დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული ენა. მრავალი ქართული ნაწარმოები თარგმნა ინგლისურად. მათ შორის აღსანიშნავია: „ქართული ხალხური ზღაპრები", ი.ჭავჭავაძის „განდეგილი", „წმ. ნინოს ცხოვრება" (ჯ. ო. უორდროპთან ერთად) და სხვა. საქ-ოს ისტორიითა და ქართ. მწერლობით უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა დაინტერესების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა „ვეფხისტყაოსნის" მ. უორდროპისეულმა სრულმა პროზაულმა თარგმანმა (გამოაქვეყნა მისმა ძმამ ჯ. ო. უორდროპმა ლონდონში მ. უ.-ის სიკვდილის შემდეგ, 1912 წ.), რითაც მკითხველ საზოგადოებას პირველად გააცნო რუსთაველის პოემა ინგლისურ ენაზე.

უ.-მა ორჯერ იმოგზაურა საქართველოში (1894-1895-1896 წ. წ.) უშუალოდ გაეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას, დაუახლოვდა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ი. ჭავჭავაძესთან. უ.-ის გარდაცვალების შემდეგ ოქსფორდში, ბოდლერის ბიბლიოთეკაში მისმა ძმამ — ჯ. ო. უორდროპმა დააარსა უ.-ის სახელობის ქართულ ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფონდი.

ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲞᲘ ᲯᲝᲜ ᲝᲚᲘᲕᲔᲠ — (ქსე) (1864-1948) ინგლისელი დიპლომატი, მთარგმნელი. ქართული კულტურის მოამაგე, მ. ს. უორდროპის ძმა. იყო ინგლისის წარმომადგენელი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. ბევრს მოგზაურობდა. საქართველოში დაინტერესდა ქართული მწერლობით, შეისწავლა ქართული ენა. დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეს. თარგმნა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" (ლონდონი, 1894 წ.), „ვისრამიანი" (ლონდონი, 1914 წ.), გამოსცა ნარკვევი „საქართველოს სამეფო", „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი", ხოლო 1912 წ. — „ვეფხისტყაოსნის" უორდროპისეული თარგმანი კომენტარებითა და წინასიტყვაობით.

ᲣᲝᲮᲭᲘᲜᲝ — (ქ. მწ.) დაუსრულებელი; ოხჭანი — დასასრული.

ᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ — (ქეგლ) ვისაც არაფერი აქვს. უქონელი, ღარიბი. უპოვრება — სიღარიბე.

ᲣᲞᲠᲘᲐᲜᲝ — (ქეგლ) უმჯობესი, უკეთესი. „რადგან ყოველივე დიდისა (ზაალისა) პატარას დარჩა, ამიტომ შვილიშვილზე მისი დიდი ბეჭედიც, კვერთხიც და ყველა ჯვარ-მედალიც უპრიანი იქნებოდა" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ᲣᲟᲛᲣᲠᲘ — (ქეგლ) (ძვ. ცრუმორწ.) 3. საზარელი, შემაძრწუნებელი სიზმარი — მაჯლაჯუნა; 4. ერთგვარი სენი — გაცივებისაგან ტანში მტვრევა. „მიწაზე ნუ წვები, უჟმურს შეეყრები — აფრთხილებდა ვარდან მზრდელი ფარსმანს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). „ორბირის ქარის ერთად გწოვეთ ჩვენ უჟმურები" (ტ. ტაბ.).

ᲣᲠᲐ [ფრ.]— (ქეგლ) მამალი (ულაყი) ცხენი. (გადატ.) გაუხედნავი.

ᲣᲠᲑᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ [ფრ.]– (უსლ) მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი. ლიტერატურაში: ქალაქური ცხოვრების ქება-დიდება, მანქანის კულტი, ქალაქური ცხოვრების იდეალიზაცია.

ᲣᲠᲓᲝ – (ქ. მწ.) შემოსეული მტრის ლაშქარი. „ნუგზარი მივიდა იმ ადგილას, სადაც ურდოს შუაგულში ცეცხლის პირას ნაბადი იყო დაგებული“ („ხევისბერი გოჩა“–ალ. ყაზბ.)

ᲣᲠᲓᲣᲚᲘ – (ქეგლ) კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი. კარს ურდული გაუყარა.

ᲣᲠᲕᲐ – (ქეგლ)წუხილი ვისიმე, რისამე გამო.

ᲣᲠᲕᲐᲓᲘ – (ქეგლ) საცოლის გამოსასყიდი, რომელსაც სასიძო უხდიდა ქალის მშობლებს. „ელგუჯა თავის თავს ვალდებულად თვლის, გავის ურვადი გადაუხადოს“ (სახკ. სახ-ლო).

ᲣᲠᲕᲔᲑᲐ – (ქეგლ) წმენდა, გასუფთავება, დაუხანა (ცხენისა, ძროხისა). დაურვება – მოვლა-პატრონობა (მკვდარი დამიურვეთ).

ᲣᲠᲘᲐ, ᲰᲣᲠᲘᲐ – (ქეგლ) ებრაელი, მოსეს სჯულის აღმსარებელი. ძვ. ბიბლიური სახელწოდება ებრაელებისა; მოგვიანო ხანებში მიიღო შეურაცხმყოფელი, დამცინავი ელფერი. „ვარმცა ურია მელევი“ („ვეფხისტყაოსანი“). „რადგან ურიანი მცბიერნი ხარაკტერისანი არიან, მელათა ამსგავსებენ – მელევი – მელის მიმბაძველი“ (ანტ. კათალიკოსის ლექსიკონი). იხ. ებრაელები.

ᲣᲠᲘᲐᲓᲜᲘᲙᲘ – (უსლ) 1. მეფის რუსეთის არმიის კაზაკთა ჯარის ოფიცერი. 2. მეფის რუსეთის საშაზრო პოლიციის დაბალი ჩინი. „გაპარსულმა ურიადნიკმა იმ დღიდან ლურჯას ქერი მოუხმო“ („არსენა მარაბდელი“– მ. ჯავახ.).

ᲣᲠᲔᲣᲚᲘ – (ქ. მწ.) მეურმის სიმღერა.

ᲣᲡᲐᲞᲘᲠᲝ – (ქ. მწ.) საპირე უქონელი. „ყარყუმნი უსაპირონი“ ე. ი. მოსასხამს გარედან საპირეს ნაცვლად ყარყუმის ბეწვი ჰქონდათ.

ᲣᲡᲐᲡᲝ – (ქ. მწ.) უიმედო. „უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკვდარად“ (ა. ჭავჭ.).

ᲣᲡᲘᲔᲠᲘ – (ქეგლ) გაუვალი, უღრანი, უდაბური. „წაბლის ხევში დაიწყო უსიერი“ („დილოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲣᲡᲢᲐᲑᲐᲨᲘ – (ქეგლ) ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი.

ᲣᲡᲢᲐᲠᲘ – (ქსე) წერილის სახეობა, – მოკითხვის წიგნი, ბარათი ძველ საქართველოში.

ᲣᲡᲣᲠᲛᲐᲒᲘ – (ქართ. კილო-თქმათა სიტყვის კონა) ბინძური, უწმინდური ცხოველი, საჭმელად უვარგისი, ავი, ბოროტი. ~ საზიზღარი, საძაგელი, ბოროტი. „და ჩაეყაროს უსურმაგს ბორიტს თვალებში ნაცარი“ („ბახტრიონი“ – ვაჟა).

ᲣᲡᲪᲘ – (ძვ.) (ქ. მწ.) დასაკლავად გამზადებული მსხვილფეხა საქონელი.

ᲣᲢᲔᲕᲐᲜᲘ – (ქეგლ) სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა 143 ნაბიჯს. „ახოლდე უტევანიც არ ჰქონდა ჩავლილი მეფეს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲣᲢᲘᲚᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ – (უსლ) პრაქტიკული, გამოყენებითი.

ᲣᲢᲝᲞᲘᲐ [ბერძ.] – (ქეგლ) ფანტასტიკური რამ, განუხორციელებელი ოცნება

ᲣᲤᲐᲚᲘ – (ქეგლ) ღმერთი, ბატონი, მბრძანებელი. „უფალო, რაისა აგრე იქმ?" „არა გერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და არცა უფალი იგი მათი" („შუშანიკის წამება"– ი.ცურტ.).

ᲣᲤᲘᲪᲡᲚᲔᲡᲘ – (ქ. მწ.) უსასტიკესი.

ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ – (ქსე) უფლის (მეფე-უფლის, ან ფეოდალ-უფლის) ვაჟიშვილის აღმნიშვნელი ტერმინი ანტიკურ და შუა საუკ. საქართველოში. მეფის ძე თანამედროვე ქართულში. უ.-ს ჰქონდა ცალკე სამფლობელო, ყმა-მამული – „საუფლისწულო" (მეფის ვაჟს – სამეფო დომენში, ფეოდალის ვაჟს – საფეოდალოში).

„ვეფხისტყაოსანში": თინათინს მიართვეს მისი საუფლისწულევი ქონება. რაც გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ – (ქსე) ციხე-ქალაქი კლდეში გამოკვეთილი, გორის მახლობლად. დაარსებულია უფლოსის მიერ. „არს უფლის ციხე მტკურისა კიდესა... აწ არს შემუსრული... არამედ შენობა უცხო კლდისაგან გამოკვეთილი. პალატნი დიდდიდნი ქანდაკებულნი კლდისგანვე; გვირაბი ჩასვრეტით ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლეთ აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ დიდნი, არამედ აწ შეუვალ არს" (ვახუშტი) 1. „გახულ თვეს მეფე ტაძრეულთ უფლისციხეში დაყოვნდა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.). 2. „გამოღმა ნაცრისფერ კლდეში უფლისციხეს მეხამე თუ მეთხე ათასწლეულით ხძინავს" („ჯაყოს ხიზნები" – მ. ჯავახ.).

ᲣᲤᲚᲝᲡᲘ – (ქ. მწ.) ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი.

ᲣᲥᲘᲛᲔᲠᲘᲝᲜᲘ – (ქსე) ისტორიული ციხესიმაგრე დას. საქ-ში, ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა. წყაროებში პირველად VI ს. იხსენიება. არის მოსაზრება, რომ მდებარეობდა ცხენისწყლის ხეობის გასწვრივ მაგისტრალზე, რ-იც მუხურისს ლეჩხუმსა და სვანეთთან აკავშირებდა (ვარაუდობენ, რომ მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე შემორჩენილი ციხესიმაგრის ნანგრევები უ.-საა) სხვა მოსაზრებით უ. ქუთაისში გორაზე შემორჩენილი ძველი ციხესიმაგრეა.

„ᲣᲥᲘᲛᲔᲠᲘᲝᲜᲘ" – (ქსე) ქართული ლიტ-სა და ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი, გამომცემელი – მხატვრული მწერლობის ქუთაისის კავშირის გამომცემლობა.

ᲣᲥᲛᲔ – (ქეგლ) დღე, როდესაც არ საქმობენ, ისვენებენ, არასამუშაო დღე. დასვენების დღე. „უხაქმური კაცისათვის მუდამ უქმეა."

უ

უღელი — (ქეგლ) 1. გათლილი ხე წყვილი ხარის ან კამეჩის ქედზე დასადგმელი ურემში ან გუთანში შესაბმელად. 2. წყვილი ხარი ან კამეჩი. „მამაჩემს იმ ცხენში მიუცია ახლად გამოქნილი უღელი კამეჩი თავისი ურმით" („ანდერძი" — რ. ინან.).

უჟე — (ქ. მწ.) საფლობი ტალახი.

უში — (ქ. მწ.) ოხერა, სულისთქმა.

უცენზურო — (ქეგლ) საზოგადოებაში მიუღებელი, უშვერი, საგინებელი (სიტყვა).

უცები (ქ. მწ.) უცოდინარობა. „შვილო უცებო დედ-მამას განამწყარებსა" („ხწავლამოხწავლეთი" — დ. გურ.).

უხამსი — (ქეგლ) უდიერი, უწესო, უმსგავსო (ქცევა).

უხამური — (ქ. მწ.) ფეხჩაუცმელი, ფეხშიშველი. უ-ხამლ-ური (ხამლი — წაღა, ფეხსაცმელი).

უხსენებელი — (ქეგლ) ვინც არ უხსენებიათ; ვისაც, რასაც არ იხსენებენ. იხმარება გველის აღსანიშნავად. იხ. ტაბუ.

უჯიათი — (ქეგლ) გაუგონარი, შეუსმენარი, თავნება, ჯიუტი, კერპი.

ფ

ფაბულა [ლათ.] — (ქსე) ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის სქემატური, მოკლე შინაარსი, ძირითადი ქარგა. იგი ემყარება ამბის შინაგან, ლოგიკურ თანმიმდევრობას და სიუჟეტის აგების უშუალო საფუძველს წარმოადგენს. „წიგნი „სიბრძნე სიცრუისა" წარმოადგენს იგავ-არაკების კრებულს, სადაც იგავ-არაკები გაშლილია ფაბულური მოთხრობის დონეზე, მსგავსად „სიბრძნე ბალავარისა", „ათას ერთი ღამისა" (სახკ. გამოცემა).

ფადიშაჰი — (ქსე) მონარქის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. „ყადიშა ინდოეთის მეფე" (საბა).

ფათერაკობა — (ქ. მწ.) მუხთლობა, ღალატი, ხიფათი, შემთხვევა, უბედობა

ფათერაკი — (ქსე) უბედური შემთხვევა, ხიფათი, მარცხი.

ფაზარი — (ქ. მწ.) ძვირფასი ქვა; სამკურნალო (მინერალური წარმოშობისა). არსებობს აგრეთვე ცხოველური წარმოშობისა, რომელსაც პოულობენ ზოგიერთი ცხოველის კუჭში, ამასთან სამკურნალოდაც იყენებენ. „ამისთანა მკურნალს ვაქებ მილეხავდეს ფაზარ-ზურის" (დ. გურ.). იხ. ხვითო.

ფაქირი [არაბ.] — (უსლ) 1. ღარიბი ? "ექიალე ბერი, დერვიში; 2. ინ-

დოეთში: მოხეტიალე ბერი, რომელიც ფოკუსებს აკეთებს, გაწვრთნილ ცხოველებს აჩვენებს და სხვა. „ქაიროში გაიცნო ფარხმანმა ინდოელი ფაკირები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ფალანგი — (ქ. მწ.) კარავი. „მენადირეთუხუცესმა ლახტის ფალანგი შეალო“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ფალანი — (ქეგლ) საპალნის ასაკიდად ზურგზე დასადებელი ქეჩა, კურტანი.

ფალაური ენა — (ქსე) საშ. სპარს. ენა) სასანიანთა ირანის (III-VII ს. ს.) ენა.

ფალუს — (უსლ) ფალოსს — მამაკაცის სასქესო ორგანოს, როგორც ბუნების მწარმოებლური ძალის სიმბოლოს თაყვანს სცემდნენ ძვ. ხალხები („ფალოსის კულტი“). „მადამ ფალუს“ — მიმართავს თეიმურაზ ხევისთავი თავის ცოლყოფილს მარგოს“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ფალუსტაკი — (ქეგლ) ტკბილეული, მოხალული ფქვილი ერთგვარი — ერბოში ასვრემილი თაფლით (ან შაქრით) შეზავებული. „უთხარით ლოთებს, რომ აკურთხა მღვდელმა ალავი, რომ ხიძეს მისცეს ფალუსტაკი დაუხალავი“ („ქორწილი ჩვენს უბანში“ — ი. გრიშ.).

ფამილარული, ფამილარობა — [ლათ.]— (უსლ) მეტისმეტად შინაურული, მოურიდებელი ქცევა. „ნიკო ლორთქიფანიძეც ფამილარობის ან გადაჭარბებული ქების უფლებას არავის მისცემდა“ (ნ. გრიგ. — წიგნი I).

ფანატიკი [ბერძ.] — (ქეგლ)რაიმე რწმენით (რელიგიით) უკიდურესად გატაცებული ადამიანი, ბრმად მორწმუნე. ფანატიკოსი ბერი.

ფანტასტიკა [ბერძ. — წარმოსახვა] — გამოგონილი, დაუჯერებელი, არარეალური. „თხზულება „ამირანდარეჯანიანი“ აგებულია ფანტასტიკურ სიტუაციებზე“ (კეკელიძე-ბარამიძე).

ფანტასმაგორია, (უსლ) ფანტასტიკური წარმოდგენა რისამე შესახებ, ბოდვითი ჩვენებანი, არარეალური, მოჩვენებითი რამ. „მთელი ტექსტი „იოანეს გამოცხადებისა“ რთული ფანტასმაგორიაა“ (ს. ხიგუა).

ფანჩატური — (ქეგლ) ფოთლიანი ტოტებით დაფარული საჩრდილობელი, უკედლებო//ტალავარი. „შექეიფიანებული ლუარსაბი წავიდა და ფანჩატურში დაწვა“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ფარანგი — იხ. ფალანგი.

ფარეში [არაბ.] — (ქსე) შინამოსამსახურე ძვ. საქართველოში. სასახლეში დედოფალს, უფლისწულებს და აგრეთვე სხვა დიდებულებს თავ-თავიანთი ფ.-ები ჰყავდათ.

ფარეხი — (ქეგლ) ცხვრის ფარის სადგომი. „ახე უთხრა უფალმა დავითს: „ფარეხიდან, ცხვრის ფარიდან წამოგიყვანე, რომ ერის წინამძღოლი ყოფილიყავი“ („ბიბლიური ისტორია“ — ი. გოგებ.).

ფარფანა [სპარს.] — (ქეგლ) ღამის პატარა პეპელა ერთგვარი; სინათლეს

ეტანება და მის გარშემო ფარფატებს. „ფარვანასავით თავს ევლება.“

ფარისევლობა (ქეგლ) — ფლიდობა, თვალთმაქცობა, ცბიერება. „კლდემ კაცთა მოდგმის ფარისევლობა დაგმო“ („კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“ — ვაჟა).

ფარისეველნი — (ქსე) საზოგადოებრივ რელიგიური მოძრაობა იუდეაში ძვ. წ. II და ახ. წ. I ს-ში. ფარისევლებს შეადგენდნენ საშუალო და წვრილი მონათმფლობელნი, ვაჭრები, ხელოსნები, მეცნიერ-მწიგნობრები. ხალხზე დიდ გავლენას ახდენდნენ და ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას. ფ-მა შექმნეს ე.წ. ზეპირი მოძღვრება. იუდაიზმის შემდგომი განვითარების იდეოლოგიური საფუძველი. (გადატ.) თვალთმაქცი, მლიქვნელი (ფარისევლის ამგვარი დახასიათება მოდის ბიბლიიდან). „ხოლო გვწამს ღმერთი დამთრგუნველნი ფარისეველთა სადუკეველთა გამაკიცხველი და გამდევნელი“ („პასუხის პასუხი“ — ი. ჭავჭ.). 2. „მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოუყვანეს იესოს მრუში დედაკაცი, რომელიც მოსეს კანონით უნდა ჩაექოლებინათ“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ფარმანი [სპ.] — (ქ. მწ.) ბრძანების, პირობის ქაღალდი. „და ფარმანი მიბოძეთ“. იხ. ფირმანი, დასტურის წიგნი.

ფარნავაზ I — (ქსე) ლეონტი მროველის მიხედვით ქართლის (იბერიის) სამეფოს I მეფე და ფარნავაზთა დინასტიის დამაარსებელი. მეფობდა ძვ. წ. IV ს. მიწურულსა და III ს. I ნახ. ამავე ავტორის მიხედვით ფ. I ქართლის ტომის ბელადის სამარა მცხეთელი მამასახლისის ძმისწული იყო. მან დაამარცხა მცხეთის დამპყრობელი აზონი, ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად (მარგვეთის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის), რომელთა სათავეში ერისთავები ჩააყენა. ფ. I-მა ქართლის მთაზე ალმართა სამეფოს მთავარი ღვთაების არმაზის კერპი. ძვ. ქართ. ტრადიცია ფ. I-ს ქართული დამწერლობის შემოღებას მიაწერს. „შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქენ ერთმთავრობა“ (გრ. ორბ.)

ფარსავი — (ქ. მწ.) კეთილი, სასარგებლო.

ფარსი [ფრ.] — (უსლ) 1. სახალხო თეატრის სახეობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში დას. ევროპაში; 2. მსუბუქი კომედია, ვოდევილი ერთგვარი უხამსი შინაარსისა; 3. ცინიკური ხუმრობა, მასხრობა. — (ლიტ. თეორ.) მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოები, კომედიის სახეობა, მსუბუქი სახუმარო, გამრთობი სასცენო კომპოზიციის ნაწარმოები, წარმოდგენა. მისი შინაარსი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა უპირატესად.

ფარსული — ფარსი — ისტორიული ოლქი სამხრეთ ირანში — სპარსული, ფარსული. „ქაირში შეისწავლა ფარსმანმა ხუროთმოძღვრება, ალქიმია და ფარსული. აქაც გაიცნო ინდოელი ფაკირები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲤᲐᲠᲦᲣᲚᲘ — (იხ. მანიაკი) ძვირფასთვლიანი ყელსაბამი. „დადიანის ახული ძვირფასი თვლებიდან ხან ჯვარს, ხან ფარღულს დააწყობდა" („დადიანის ახული და მათხოვარი" — ნ. ლორთქ.).

ᲤᲐᲡᲐᲓᲘ [ფრ.] — (უსლ) შენობის წინა, მთავარი მხარე, რომელიც ჩვეულებრივ ქუჩაში გამოდის. „ხვეტიცხოვლის ტაძრის ოთხივე ფასადის რელიეფები გადატვირთული იქნებოდა ხირაქლემების, გრიფონების ფიგურებით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲤᲐᲡᲘᲡᲘ — (ქმე) ძვ. და შუა საუკუნ. ხანის ქალაქი და ნავსადგური საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე; კოლხეთის სამეფოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. „რომ დავიცავ ფაზისის ცას, საირმეთა ეშხს დავიცავ!" („მშობლიურო, ჩემო მიწავ!" — გ.ტაბ.).

ᲤᲐᲡᲙᲣᲜᲯᲘ — (ქსე) 1. ქართული ზღაპრის ჯადოსნური პერსონაჟი — გრძნეული ფრინველი. 1. „თვალი გართულია ფრთიან ფასკუნჯებით" („ნიკორწმინდა" — გ. ტაბ.). 2. „ღრუბლები ზღაპრული ფასკუნჯებით წამოიშალნენ" („დიონისოს ღიმილი"). „ფასკუნჯი" 1.დეკადენტურ-სიმბოლისტური მიმდინარეობის ჟურნალი. გამოდიოდა 1900-1000 წ.წ. „დეკადენტურ-სიმბოლისტურ მოტივებს პირველად ფართოდ გაუღო კარი ჟურნალმა „ფასკუნჯმა" (სახკ. სახ-ლო).

ᲤᲐᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲤᲐᲢᲣᲛᲘ [ლათ.] — (უსლ) ბედისწერის (ფატუმის) არსებობის, წინასწარ განმსაზღვრელი ბედის გარდუვალობის რწმენა. ფატალური — საბედისწერო, გარდუვალი. „მე მჯერა ჩვენს ცხოვრებას რომ რაღაც ბნელი ფატუმი განაგებს" (კ. გამს. — ტ. V).

ᲤᲐᲣᲜᲐ [ლათ.] — (უსლ) რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის ცხოველთა ყველა სახეობის ერთობლიობა, ცხოველთა სამყარო.

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ — (ქსე) რეფორმაციის პერიოდის გერმანული ლეგენდის გმირი. ისტორიული პიროვნება — გეორგ იოჰანეს ფაუსტი, რომელიც ცხოვრობდა დაახლ. 1480-1540წ. წ. იყო ალქიმიკოსი, ასტროლოგი, ექიმი, შავი მაგიის მიმდევარი და სხვა. იგი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად თქმულებების მიხედვით მან ეშმაკს დაუთმო სული, რათა სამაგიეროდ დაეკმაყოფილებინა ცოდნის სურვილი და მოეპოვებინა ზებუნებრივი ძალა. ლიტერატურულად დამუშავებულ თქმულებათაგან უპირველესია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის მაინის ფრანკფურტში გამოცემული იოჰან შპისისეული რედაქცია (1587 წ.) „დოქტორ იოჰან ფაუსტის ამბავი". ლეგენდის პირველი დრამ. ლიტერ-ული დამუშავება ეკუთვნის კ. მარლოს. ყველაზე მნიშვნელოვანია გოეთეს ტრაგედია „ფაუსტი". იგივე თემა დაამუშავა ლესინგმა, მიულერმა, ჰაინემ, თ. მანმა.

ფ. არის მარადიული შემოქმედებითი მაძიებლობის, ჭეშმარიტების განუწყვეტელი ძიებისა და შინაგანი გარდაქმნისა თუ განვითარების სიმბოლო. „ფაუსტური ადამიანი" წარმოადგენს შემეცნებისა და მოქმედების მეშვეობით საბოლოო მიზნისაკენ მუდმივი მისწრაფების განსახიერებას.

ᲤᲐᲤᲐᲜᲐᲙᲘ — (ქსე) ქართული ქუდის (მამაკაცის) ერთ-ერთი უძველესი სახეობა. ნაბდის ან ტყავის ბრტყელი თავსაბურავი, რომელიც მხოლოდ თავის თხემს ფარავდა. ჰქონდა წრის ფორმა და თასმებით მაგრდებოდა ნიკაპქვეშ. „იმერელი უნდა გახლდეხთ, გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა" („ბაში-აჩუკი" — აკ. წერ.).

ᲤᲐᲥᲡᲘᲛᲘᲚᲔ [ლათ.]— (ქხე) 1. ხელნაწერის, საბუთის, ხელმოწერილის და სხვა ზუსტი პირი, რომელიც გადაღებულია ფოტომექანიკური წესით; 2. ვისიმე ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი.

ᲤᲐᲨᲐ — (ქ. მწ.) უმაღლესი რანგის მოხელეთა წოდება ოსმალეთში, ეგვიპტესა და ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში. „ათაბაგად ქცეულმა ჯაყელებმა ფაშობა მიიღეს" („არსენა მარაბდელი"— მ. ჯავახ.).

ᲤᲐᲨᲐᲢᲘ — (ქეგლ) დედალი ცხენი (ერი), ჭაკი. „უკანა ფეხებზე შეაღიმართა მგლისფერი აჯილა, ტორები შემოახვია ჩალისფერ ფაშატს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ {იტალ. — კონა, შეკვრა, გაერთიანება}— (ქსე) პოლიტიკური მიმართულება, წარმოიშვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. გამოხატავს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული და აგრესიული ძალების ინტერესებს, აშკარა ტერორისტულ დიქტატურას. ფაშისტური იდეოლოგია შეიქმნა ჟ.ა. დე ლაპუჟის, ნიცშესა და ო. შოპენჰაუერის ანტიდემოკრატიული კონცეფციების, პანგერმანიზმის, ანტისემიტურ და სხვა დოქტრინების ბაზაზე. ფ.-ის იდეოლოგია შეიცავს სამხედრო ექსპანსიის, რასობრივი უთანასწორობის, „ფოჟდიზმის" („ფიურერობის პრინციპი"), „კლასობრივი ჰარმონიის" („ხალხის გაერთიანების" და „კორპორაციულობის" თეორია), „ტოტალური სახელმწიფოს" თეორიებს. ეს იდეები ყველაზე უფრო კონცენტრირებული ფორმით ჩამოყალიბდა ად. ჰიტლერის წიგნში — „ჩემი ბრძოლა" („მაინ კამპფ"). პირველი ფაშისტური ორგანიზაციები შეიქმნა იტალიაში 1919 წ., მეთაური („დუჩე") ბ. მუსოლინი. გერმანიაში ფაშისტური პარტია ღრმა პოლიტიკური კრიზისის .ვითარებაში ჩამოყალიბდა. 1933 წ. იანვრიდან ფაშისტების ბელადი („ფიურერი") ად. ჰიტლერი რაიხსკანცლერი გახდა. რამდენიმე თვეში ფაშისტებმა მოაწყვეს რაიხსტაგის დაწვის ინსცენირება. კომუნისტების, დემოკრატებისა და ლიბერალების წინააღმდეგ სისხლიანი ტერორის მეოხებით, მოწინააღმდეგეების ფიზიკ. განადგურებით ჰიტლერმა და მისმა მომხრეებმა ქვეყანაში ფაშისტური დიქტატურა დაამყარეს. ფაშისტური ტიპის რეჟიმი დამყარდა პორტუგალიაში, ესპანეთში და აღმ. და ცენტრ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ფაშისტურმა გერმანიამ შეკრა კავშირი ფაშისტურ იტალიასთან, იაპონიასთან და 1939 წ. სექტემბერში პოლონეთზე თავდასხმით გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი.

ᲤᲐᲪᲔᲠᲘ — (ვაჟა) წყალში ჩადგმული ლასტი (თევზის საჭერად) (იხ.

ორსის ამაოება) „აგონდება ფარსმანს თავისი ბავშვობა, ხასირე ბადეება, კალმახის ფაცერება, მხიარული ლაშქრობა გნების კვერაში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲤᲔᲔᲠᲘᲐ [ფრ.] — (უსლ) თეატრალური ან საცირკო წარმოდგენის ჟანრი, ზოგჯერ ზღაპრულ-ფანტასტიკური შინაარსისა. ხორციელდება სხვადასხვა ეფექტებით, სცენური ტრიუკებით, გარდაქმნებით (მაგ., საგნების გარდაქმნა ცხოველებად, ადამიანის გაქრობა-გაუჩინარება მაყურებელთა თვალწინ), რისთვისაც იყენებენ სპეც. სადადგმო საშუალებებს (სინათლე, ხმაური, ეფექტები და სხვა).

ᲤᲔᲘᲜᲓᲐᲮᲘ, ᲤᲘᲐᲜᲓᲐᲮᲘ — (ქ. მწ.) ხალიჩა.

ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲘ — (ქეგლ) ქსოვილის დამამზადებელი ოსტატი, საფეიქრო წარმოების მუშა-მქსოველი. „ხუფრის ბოლოდან ფეიქარმა ნახყიდამაც დროზე გამოხტაცა ბანი" („არსენა მარაბდელი"- მ. ჯავახ.).

ᲤᲔᲘᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘ — (ქართ. მწ.) წინასწარმეტყველი (მუსლიმან.) „თეიმურაზ მეფე ფიქრობდა: აქ ფეილამბერია თავდები და იქ კი — ჯვარი და ხახარება" („ბაშიაჩუკი" — აკ. წერ.).

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ [ფრ. — ფურცელი} — (ლიტ. თეორ.) პუბლიცისტური სამეცნიერო და ლიტერატურული ხასიათის მახვილგონივრად დაწერილი საგაზეთო ჟანრის ვრცელი წერილი. ფ. ზოგჯერ მსუბუქია, სხარტი და დამცინავ-მამხილებელი შინაარსის შემცველი. იგი იწერება როგორც პროზად, ისე ლექსად.

ლიტერატურაში ფ.-ის შესანიშნავი ავტორები არიან: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვა. „აკაკი თავისი შესანიშნავი ფელეტონებით, პუბლიცისტური წერილებით, კრიტიკული შენიშვნებით ასაზრდოებდა ქართულ პრესას" (სასკ. სახ-ლო).

ᲤᲔᲚᲝᲜᲘ — (ქ. მწ.) მღვდლის სამოსი.

ᲤᲔᲜᲘᲥᲡᲘ [ბერძ.] — (უსლ) ზოგი ძველი ხალხის მითოლოგიაში ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თითქოს თავს იწვავს და კვლავ აღდგება თავისი ფერფლისაგან, ცოცხლდება (მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლო). „იაგორა თითქოს ფენიქსივით განახლდაო, ალტაცებული მწვანე ბალახში ეხვეოდა" (გ. ლეონ.). „13 საუკუნე გიკლავდა დღეისს ქალაქო ფენიქსო, ყრუ ღამეები გარფოლოშეს" (გ. ტაბ. „13 საუკუნე").

ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ [ბერძ.} — (ქსე) არაჩვეულებრივი, გამორჩეული მოვლენა, რომელიც იშვიათად გვხვდება. ხშირად ხმარობენ ამ სიტყვის ფენომენური ნიჭის, მეხსიერების აღსანიშნავად. „ენა უაღრესად რთული ფენომენია, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან" (შ. რადიანის XIX ს. ქართ. ლიტ-რა). „ქრისტიანული რელიგია, როგორც თავისთავადი ფენომენი „დიდოსტატის მარჯვენაში" არ ახახულა" (ს. ხიც.).

ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ – (ბიბლ. ენც.) მას შემდეგ რაც პეტრე მოციქულმა იესო მესიად აღიარა, იესომ განაგრძო თავის მოწაფეებთან საუბარი იმის შესახებ, რომ მას მოუწევს სიკვდილი, შემდეგ კი – აღდგომა. მალე პეტრესთან, იაკობთან და იოსებთან ერთად ის ავიდა თაბორის მთაზე. იქ მოციქულებმა დაინახეს, როგორ იცვალა ფერი იესომ და როგორ ესაუბრებოდა ღვთიურ დიდებით გაბრწყინებულ მოსეს და ელიას. ფერისცვალება მოასწავებდა დიდებას, რომელიც ქრისტეს მომავალში ელოდა. ეს დღესასწაული უკვე არსებობდა IV ს. კონსტანტინე დიდის დედას წმ. ელენეს თაბორის მთაზე აუგია ფერისცვალების მონასტერი. ფერისცვალების დღეს ხდება ყურძნის, ხილისა და ხორბლის კურთხევა. „დავითი უკურთხებელ ყურძენსა სჭამს. ფერისცვალებამდის არ მოიცდის ხოლმე“ („კაცია-ადამიანი?!“ – ი. ჭავჭ.).

ᲤᲔᲠᲣᲛᲐᲠᲘᲚᲘ – იხ. უმარილი.

ᲤᲔᲠᲮᲘᲡᲐ – (ქეგლ) ერთგვარი ძველებური ჯგუფური ცეკვა სიმღერით (იციან ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში. „ფერხისას ცეკვა დაიწყეს უკვე“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲤᲔᲡᲘ – (ქეგლ) ფუნჯიანი ქუდი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის (იხურავენ ახლო აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში).

ᲤᲔᲢᲕᲘ – (ქეგლ) პურეული მცენარე, აქვს წვრილი, პრიალა მარცვალი. მისგან ამზადებენ ბურღულს, ხმარობენ აგრეთვე საქონლისა და ფრინველის საკვებად. „მამინო აბრიალებდა ფეტვისფერ თვალებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲤᲔᲢᲘᲨᲘ, ᲤᲔᲢᲘᲨᲘᲖᲛᲘ [ფრ.] – (ქსე) უსულო საგანი, რომელსაც აქვს მორწმუნეთა აზრით ზებუნებრივი ძალა, რის გამოც იგი რელიგიური თაყვანისცემის ობიექტად იქცევა. – ბრმა თაყვანისცემა. რელიგიური თაყვანისცემა მატერიალური საგნებისა. სხვადასხვა ხალხის წარმოდგენაში სხვადასხვაგვარია ფ.-დმი დამოკიდებულება. ფ. შეიძლება იყოს ქვის, ან ხის ნაჭერი, ცხოველის ან სხვა არსების გამოსახულება (კერპი). ფ.-ის გამოვლენა სხვადასხვაგვარად ვლინდება სხვადასხვა რელიგიაში (მაგ., ქრისტიანობაში წმინდა ნაწილები, ისლამში „შავი ქვისა“ და წმინდა ადგილების თაყვანისცემა). „თავადის ქალმა, მაიამ, ხიმენი გააფეტიშა“ („თავადის ქალი მაია“ – ლ. ქიაჩ.).

ᲤᲔᲨᲘ – (ქ. ეწ.) მოფერებითი (კნინობითი) ფორმაა ფეხისა: „ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა და ბუდეშური მის ფეშებს ლამაზად მოჰფინა“ (ნ. ბარათ.).

ᲤᲔᲨᲐᲜᲒᲘ ᲤᲐᲨᲕᲘᲑᲔᲠᲢᲧᲐᲫᲔ (ხითარიშვილი)– XVII ს. ქართველი პოეტი. „ფაშვიბერტყა“ პოეტის მამის შერქმეული სახელია. ფ. ფ. იმერეთის სამეფოს კარის მდივანმწიგნობარი იყო. არჩილ II-ის შემდეგ მან მწიგნობრობა ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი) კარზე განაგრძელა. რაღაც დანაშაულის გამო მისთვის ცხვირი მოუჭრიათ. 1664-1665

წ.წ. დაწერა საისტორიო პოემა "შაჰნავაზიანი", რომელშიც მოცემულია ვახტანგ V-ის, მარიამ დედოფლისა და უფლისწულის ხოტბა. პოემა დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი შაირით.

ფეშქაში — (ქ. მწ.) საჩუქარი.

ფესშო — (ქ. მწ.)დაკლული ცხოველის გვერდი, ნახევარი მხარე. „თაყა შავს კუნძზე დაფუფქულ ღორს ჰფეშხოვებდა" (გ. ლეონ.).

ფესკავშა — (ქეგლ) თეთრფეხა ცხენი. „გონდება ფარხმან პაპა ხუმბატის ფეხკავშა იაბო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ფითრი — (ქეგლ) ნახევრად პარაზიტი მცენარე, აქვს სქელი მწვანე ფოთლები; იკეთებს ბლის კურკისოდენა შავ წებოვან ნაყოფს. პარაზიტობს მსხალზე, ვერხვზე, ფიჭვზე და სხვა. „მსხლებს ფითრი მოხდებოდა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ფილაქმანი — (ქ.მწ.) ლოდსატყორცნი.

ფილენჯის ქარი [არაბ.] — (ქეგლ) ავადმყოფობა ერთგვარი; დამახასიათებელია კრუნჩხვები — ორგანიზმის ერთი რომელიმე ნაწილის დამბლა. „თრიაქ ფარუხს ვაძლევ მიმინოებს ფილენჯისაგან განსაკურნავად" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ფილისტერი — (ქსე) შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი, რომლის ინტერესები შემოფარგლულია ყოველდღიური წვრილმანებით. მეშჩანი, ობივატელი (ითქმის ლუარსაბ თათქარიძეზე). „გულმოკლული იორამი ჩიოდა: ან რა ქვეყანა გართ? — ხამგლეთი, ფილისტერების ქვეყანა, მშიერმუცელა? (გ. ლეონ.)

ფილოლოგია [ბერძ. — სიყვარული]— (ქსე) ჰუმანიტარულ დისციპლინათა ერთობლიობა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის სულიერ კულტურას ამა თუ იმ ხალხის ენისა და ლიტერატურის მეშვეობით. უპირატესად დაწერილი სიტყვის, წერილობითი ტექსტების განმარტებაზე. მათ ენობრივ და სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით. ფ., როგორც მეცნიერება, უძველეს დროში აღმოცენდა. იგი გულისხმობდა ლინგვისტს, ლიტერატურის კრიტიკოსს საქართველოში, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ორიგინალური დამწერლობისა და დიდი კულტურის ისტორიის ტრადიციების მქონე ენისა და ლიტერატურის ქვეყანაში. ფ. ძველთაგანვე იყო განვითარებული. ფ.ის, როგორც საკუთარი კვლევა-ძიების მეთოდებით აღჭურვილი მეცნიერების ფუძემდებლად ითვლებიან XI-XII ს. ს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, შემდეგში არჩილ II, ს. ს. ორბელიანი, ვახტანგ VI. მამუკა ბარათაშვილი, ანტონ I, იოანე ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, პ. იოსელიანი, მარი ბროსე, თეიმურაზ ბატონიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი და ნ. მარი, ალ.ხახანაშვილი და ქართველი სამოციანელები. ქართული ფილოლოგიური სკ-

ოლის შექმნა და მისი მიღწევები დაკავშირებულია ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, გ. წერეთლისა, ა.შანიძისა და სხვათა სახელებთან.

ფილოსოფია [ბერძ. — სიბრძნის სიყვარული]— (ქეგლ) ფ.-ის საგანს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონები წარმოადგენს. ფ.-ის ძირითადი საკითხია — ცნობიერების ყოფიერებისადმი მიმართების საკითხი, რომლის გადაჭრას ცდილობენ სხვადასხვა მიმართულებები ფილოსოფიაში. „თავისი განცდები ბარათაშვილმა ღრმა ფილოსოფიურ ასპექტში გარდატეხა" (სახკ. სახ-ლო).

ფილოსოფიური ქვა — იხ. ალქიმია.

ფირდოუსი ჰაქიმ აბუ ლ-ყასემ ტუსი — (ქსე) (934-940-1020-1030) სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი, ირანის ეროვნული ეპოსის „შაჰნამეს" ავტორი. მისი ნამდვილი სახელი უცნობია, ფირდოუსი ნიშნავს „სამოთხელს": მიიღო ბრწყინვალე განათლება, მოღვაწეობა დაიწყო სამანიდთა კარზე, ადრევე დაინტერესდა ძვ. ისტ. ლიტ.-ლეგენდებით, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბუ-მანსურისეული პროზაული „შაჰნამე", რომლის გალექსვას 30 წელი მოანდომა. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია, რამაც კვალი დააჩნია თვით ნაწარმოებსაც.

ფ.-ს მიეწერება აგრეთვე პოემა „იოსები და ზელიხა", რომელშიც აღწერილია იოსებ მშვენიერის ჭეშმარიტი ამბავი. „შაჰნამე" (მეფეთა წიგნი) 100000 სტრიქონისაგან შედგება. XVI-XVII ს. ს. გაჩნდა „შაჰნამეს" ქართული ვერსიები. თუმცა ქართველები უფრო ადრე იცნობდნენ ფ.-ს, მაგრამ ძვ. თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ფირმანი [სპ.]— (ქეგლ) ირანის შაჰის, ოსმალეთის სულთნის და ზოგი სხვა მაჰმადიანური ქვეყნის მმართველის ბრძანებულება. ~ ნებართვა, საშვი, დასტური. „ერთი კაცია იქ, რომლის ხიტყვა გრძელძალიანთ მიხესათვის ბექედია, ფირმანია ხწორედ" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ).

ფიროსმანაშვილი ნიკო ასლანის ძე (1862-1918) — (ნიკო ფიროსმანი) ქართველი მხატვარი. ცნობები ფ.-ის შესახებ უმეტესად შეკრებილია მისი გარდაცვალების შემდეგ. დაიბადა გლეხის ოჯახში, რომელიც ადრევე გადასახლდა შულავერში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ფ. თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლად. ბავშვობიდან იჩენდა დიდ ინტერესს ხატვისადმი, სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში გახსნა ფერწერის სახელოსნო და აბრების შეკვეთებს ღებულობდა. რკინიგზაზე კონდუქტორად მუშაობდა, ვაჭრობაშიც სცადა ბედი. თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს. მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას თავი ვერ დააღწია. ფ. მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც უცნობი დარჩა. ფ.-ის აღმოჩენისა და პოპულარიზაციაში

დიდი წვლილი მოუძღვით ძმებს ზდანევიჩებს, მხატვრებს დ. შევარდნაძეს, ლ. გუდიაშვილს, დ. კაკაბაძეს. პოეტმა გ. ლეონიძემ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვა მისი ბიოგრაფიისათვის. ფ.-ის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვართა პირველ დიდ გამოფენაზე თბილისში. 1010 წ. იბეჭდებოდა მის შესახებ პრესაში, გამოიცა მისდამი მიძღვნილი კრებული. განსაკუთრებით 50-იან წლებში გაცხოველდა ინტერესი, შეიქმნა ბიოგრაფიული ფილმი, დაიწერა მისდამი მიძღვნილი პიესები, მუსიკ. ნაწარმოებები, დაიდგა ძეგლი. მისი ნახატების გამოფენა მოეწყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მხატვრის მშობლიურ სოფ. მირზაანში გაიხსნა სახლ-მუზეუმი. ფ.-ის თემატიკას გარკვეული კვალი დააჩნია სოც. გარემომ. მის მხატვრულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ქეიფის სცენებს, რომელიც არსებითად თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა, მიკიტნების, ზოგჯერ თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენს („ბეგოს კომპანია", „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან", „თავადების ქეიფი მინდვრად", ხუთი თავადის ქეიფი"). ზოგჯერ ქეიფის სცენები გაშლილია პეიზაჟის ფონზე — „სვირი", „ვირის ხიდი", „კახეთის ეპოსი", „ქეიფი რთველში". თემატიკურად სცენებს ენაცვლება ნატურმორტები და აბრები. ფ.-ს იზიდავდა სოფლის ბუნება და ცხოვრება („რთველი," „დღეობა ბოლნისში", „გლეხის ქალი ვაჟით", „გლეხკაცი ვაჟით", „წყალზე მიმავალი ბავშვებიანი დედაკაცი", „კალოობა" — საქ. ხელოვნ. მუზეუმი); პეიზაჟები „ბათუმი", „ფუნიკულიორი" (თბილისის ხელოვნების მუზეუმი). განსაკუთრებული პოეტური ძალით არის აღბეჭდილი ფ.-ის მიერ თბილისელი ხელოსნების, მედუქნეების, კინტოების, ბოპემის წარმომადგენელთა, აგრეთვე მუშების პორტრეტები („გოგონა საპაერო ბურთით", „მდიდარი კინტოს შვილი", „მეეზოვე", ორი მუშა", „აქტრისა მარგარიტა", „ორთაჭალის ტურფები", „მუშა სო[illegible]ო", „მებადური" — დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში) სოციალური დაპირისპირება მკაფიოდ არის ნაჩვენები ცნობილ სურათში „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით".

მხატვარი ხშირად მიმართავს ცხოველთა გამოსახულებაში გარკვეულ სიმბოლურ-მორალური აზრის ჩაქსოვას. შთამბეჭდავია „ირემი", „ჟირაფი", „თეთრი ღორი გოჭებით", „შავი ტახი", „თეთრი დათვი", „არწივს კურდღელი დაუჭერია". ფ.-ს იზიდავდა ისტორიული თემებიც: „რუსთაველი", „თამარ მეფე", „ერეკლე II", „გიორგი სააკაძე". ფ. ჩვეულებრივ მუშამბაზე წერდა. ფ-ს შესწევდა ყველაფერში არსებითის, ტიპურის დანახვისა და განზოგადების უნარი, არც ფერადობის სიჭრელე ხიბლავდა; განურჩევლად ზომისა ფ.-ის ნახატებს შინაგანი მნიშვნელობა და მონუმენტურობა ახასიათებს. მისი შემოქმედება ძვ. ქართული კედლის მხატვრობას ენათესავება. როდესაც ფ.-ის მემკვიდრეობას ვეცნობით, ნათელი ხდება მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნება, რჩება შთაბეჭდილება, რომ მას სავსებით ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჰქონდა და შეგნებულად

თანმიმდევრულად ქმნიდა თავის მხატვრულ სამყაროს. ფ. ეროვნულ ნიადაგზე ორგანულად აღმოცენებული მხატვარია. „მე ფიროხმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“.

ᲤᲘᲠᲣᲖᲘ – (ქსე) ნახევრად ძვირფასი ქვა, ცისფერი ან მომწვანო ცისფერი, მქრქალია. იყენებენ საიუველირო საქმეში, ფ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოა ირანში (ქ. ნიშაბური). ნიშაბურის ფირუზი“.

ᲤᲘᲡᲢᲘᲙᲐᲣᲠᲘ – (ქსე) ბისტიკაური, ქართული ლექსთწყობის ერთ-ერთი უძველესი სახე, რომლის დამკვიდრება მიეწერება ვინმე ქართველ პოეტს ფისტიკას (ბისტიკას), ფისტიკა შეურქმევიათ, რადგან თვალბისტიანი, ბრმა ყოფილა. ფ. ოცმარცვლიანი ოთხტაეპიანი სტროფია, რომელსაც მხოლოდ გარეგანი რითმა აქვს. თუმცა ლექსთწყობის ეს სახე ფისტიკამდეც შეინიშნება. VII ს. თარგმნილი „პროკოფის ზღაპრობანი“. ჩახრუხაძის „თამარიანი“ ფ.-ის ფორმითაა დაწერილი, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ 771-ე სტროფი, ამ საზომს ვხვდებით „ქილილა და დამანაში“. „შეკრა წითელი ახი ათასი პირად მზეამ და ტანად ხაროშან“ („ვეფხისტყაოსანი“- შ. რუსთ.).

ᲤᲘᲢᲘ – (ქეგლ) თაფლგამოცლილი ფიჭა – „გაჯუპე თავი როგორც ფიტია“ („ბახტრიონი“ – ვაჟა).

ᲤᲘᲥᲐᲚᲘ – (ქეგლ) ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად (გამოიყენებოდა მოსაპირკეთებლად) – (ქ. მწ.) ქვის ფირფიტა. ბროლ-ფიქალი – სახის მეტაფორა. „ცისფერი ფიქალისაგან უნდა გაკეთდეს პერანგი ტაძრისა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲤᲘᲪᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ – საქართველოს მთიანეთის მკვიდრნი ძმად შეფიცვის დროს ღვინოში ჩააყრიდნენ დათლილ ვერცხლს და სვამდნენ. ამას ფიცვერცხლის ჭამას უწოდებენ. „ფიცვერცხლი ხჭამეს მეფემ და ფხოველებმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ – კ. გამს.).

ᲤᲚᲐᲡᲘ – (ქ. მწ.) ძაძა. (გადატ.) ძონძი.

ᲤᲚᲘᲒᲔᲚᲘ – (უსლ) სასახლის გვერდზე მიშენებული ან დიდი სასახლის ეზოში დადგმული პატარა საცხოვრებელი შენობა. „ნიკო ფალავანდიშვილის ძმა იესე იქვე ფლიგელში ცხოვრობდა“ („არსენა მარაბდელი“- მ. ჯავახ.).

ᲤᲚᲝᲑᲔᲠᲘ ᲒᲣᲡᲢᲐᲕ (1821-1880) – (ქსე) ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსი. მისი რომანები აგებულია ბიოგრაფიულ ქარგაზე, სადაც მთავარი გმირის გარშემო იყრის თავს ყველა ისტორიული და სოციალური მოვლენა. მისი აზრით ყოველი გარდაქმნა, ამბოხი განწირული იყო, პირადი ბედნიერება – მიუღწეველი; იგი ხსნას სულიერ სფეროში ეძებდა და სინამდვილის შეცნობის უმაღლეს ფორმად ხელოვნებას სახავდა. ამიტომ აღიარა თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

მას ეკუთვნის ორი რომანი „ქალბატონი ბოვარი“ – პროვინციული ზნეობანი“, რომელშიც ასახა ბურჟ. სა-

ზოგადოებაში ოჯახურ ურთიერთობათა რღვევის კანონზომიერებანი და რომანი „სალამბო“. ფილოსოფიური დრამა „წმინდა ანტუანის ცდუნება“. მასში გამოჩნდა ფ.-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობათა სიმწვავე, ფატალიზმისა და სკეპტიციზმის გაღრმავება. მისი სატირული ნაშრომია „მიღებულ ჭეშმარიტებათა ლექსიკონი“ და სამი მოთხრობა — „წმინდა იულიანეს ლეგენდა“, „უბრალო გული“, „იროდიადა“ (ქართული თარგმანი), „ჰეროდია“ და პიესა „კანდიდი“.

ფლორა — (უსლ) რაიმე ადგილის, ან გეოლოგიური პერიოდის მცენარეთა ყველა სახეობის ერთობლიობა, მცენარეთა სამყარო [ყვავილების, გაზაფხულისა და სიყმაწვილის რომაული ქალღმერთის flora-ს სახელის მიხედვით).

ფლური — ოთხგრამიანი ოქრო —(ქ. მწ.) ოქროს ფული (ორი შაური, შეიდი აბაზი). „რისთვისაც მამანი იღვწოდნენ უწინ, დღეს, შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“ („ბირდილი“ — ი. ჭავჭ.).

ფოკუსი — (უსლ) გარდატეხილი ან არეკლილი სხივების გადაკვეთის წერტილი; 2. გადაკვეთის წერტილი, რომელშიც ფოტოგადაღების დროს საგანი მაქსიმალურად მკაფიო გამოსახულებას იძლევა; 3. რისამე შუაგული ცენტრი. „რომანში განვითარებულ მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ფოლიანტი — (ქსე) დიდი ფორმატის სქელი, ჩვეულებრივად ძველებური წიგნი. (ეტრატი) 1. ცალკეული ფურცელი სხვადასხვა საწერი მასალისაგანაა გაფორმებული, რომლითაც საყურადღებო ისტორიული ცნობები თუ ბრძნული აზრებია მოწოდებული, როგორც პროზაული, ასევე პოეტური. დიდ ქართულ კულტურაში ცნობილია დავით აღმაშენებლის ფოლიანტები (საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის თავზე არქიტექტორის მიერ გამოსახულია დავით აღმაშენებელი ფოლიანტით ხელში). 2. ფოლიანტი გერმანული გააზრებით დიდი ფორმატის მნიშვნელოვანი ცნობებისა და დასკვნების შემცველი სქელტანიანი წიგნია. ეს ცნება უპირატესად პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება მეცნიერებაში, ხოლო მწერლობაში იხმარება როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. „ვზივარ ძველ წიგნებსა და ფოლიანტებს შორის, ნეტარ ავგუსტინესა და ფრანცისკო ასიზელის გამო ვბაასობთ“ („დიონისოს ღიმილი“ — კ. გამს.).

ფოლკლორი [ინგლ.} — (ქსე) ხალხური შემოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი. ახლა იგი აღნიშნავს ხალხურ პოეტურ (ზეპირსიტყვიერ) შემოქმედებას, ხალხურ მუსიკას, ხალხურ თეატრალურ სანახაობებს, ხალხურ გამომსახველობით ხელოვნებას.

ფოლორცი — (ქეგლ) მოედანი, ქუჩა, შუკა. „შაითანბაზარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი“ (ე.წ. თათრის მოედანი ძველ თბილისში) („აშაშხანისკენ“ — ი. გრიშ.).

ფონა, ფონი — (ქ. მწ.) 1. წყალი (თხელი ადგილი წყალში გასასვლ-

ელი). „ნუ ეძალები წყალდიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო"; 2.ძირითადი ფერი, რომელზედაც დახატულია რაიმე. 3. (გადატ.) გარემო პირობები, გარემოცვა, სადაც რამე ხდება. მაგ. რომანის ისტორიული ფონი. „ბუნების მხატვრული ახსნა „ბაში-აჩუკში" წარმოადგენს მოქმედების ფონს" (სახკ. ხას-ლო).

ფორო, ფორე – (საბა) მოედანი.

ფორფოსტი – (ქსე) ავანპოსტი, მოწინავე პოსტი. სადარაჯო პოსტი მტრის პოზიციის პირისპირ. „ბიზანტია იყო ნამდვილი ფორპოსტი დასავლეთური დიდი ცივილიზაციისა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს. – ბოლოსიტყვა).

ფორუმი – (ლიტ. თეორ.) ადგილი ძვ. რომში, სადაც თავს იყრიდა ხალხი და იმართებოდა მსჯელობა, ბაასი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. დღეისათვის ფორუმი ნიშნავს საქვეყნო საქმის საბჭოს, მეცნიერთა ბჭობას, რომლებიც იხილავენ მეცნიერების ამა თუ იმ საინტერესო პრობლემებს. (პოეტთა მსოფლიო ფორუმი შედგა ბორჯომში, რუსთაველის 800 წლის იუბილეს დღეებში) „სახარაზო იორამის კლუბი იყო მისი ფორუმი" (გ. ლეონ.).

ფორტუნა [ლათ.] – (ქსე) ძვ. რომაულ რელიგიასა და მითოლოგიაში ბედნიერების, სიუხვის, შემთხვევით წარმატების ქალღმერთი. გამოსახავენ სიუხვის რქით ხელში, თვალებახვეულს, ბურთზე ან ბორბალზე მდგომს. გადატ. მნიშვნელობით („ფორტუნას წყალობა", „ფორტუნას ბორბალი") არის ბრმა შემთხვევა, წარმატება.

ფორტლი(თა) – (ფოლგა) ოქროს საღებავით შესრულებული „ოქროითა, ვერცხლითა შემკობილნი, თვალითა და მარგალიტით მოოჭვილნი, ოქროს ფორტლითა დაწერილნი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ფრანტი – (უსლ) ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი, მოდის მიმდევარი მამაკაცი. „მიკირტუმას არ მოსწონს „ჯიბეცარიელი ფრანტი" (სახკ. ხას-ლო).

ფრეილინა (უსლ) მეფის კარზე დედოფლის ან პრინცესას მხლებელი ქალი. (ფრეილინა იყო მერი შერვაშიძე) „ლაჩარი იყო ქვეყნის ბედი. ღელავდა ქალხი/ ფრეილინების და დედოფლის ყინს მიანება" („ათოობდა ხალხის მწუხარება" – გ. ტაბ.).

ფრესკა [იტალ.] – (უსლ) წყლის საღებავით დახატული სურათი ახლად შეღებილ (ჯერ კიდევ სველ) კედელზე ჭერზე. „უდაბნო იცქირებოდა მღვდელმთავრების ფრესკებიდან, ყველაზე მეტად ერთმა ფრესკამ ალაშფოთა მეფე გიორგი". („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).– (ქსე) საქართველოში შემორჩენილი ფრესკებიდან ყველაზე ადრეული თარიღდება VII-IX ს. ს. (ატენის, ვარძიის, ყინწვისის, ბეთანიის, ტიმოთესუბნის ბერთუბნის ფრესკები). მონუმენტური მხატვრობის მრავალრიცხოვანი ძეგლები შემორჩა შუა საუკუნეებიდან. XVII-XIX ს. ს. ფრესკული მხატვრობა მკვეთრად დაეცა. XX ს. ინტერესი კედლის მხატვრობისადმი კვლავ ცოცხლდება (კაფე „ქიმერიონის" მოხატულობა) – ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე

ნ. იგნატოვი, ა. ბანძელაძე, რ. სტურუა, ლ. ცინცქილაძე (თუმცა მათი ნამუშევრები განსხვავდება ფრესკებისაგან).

ფრთიანი სიტყვა — (ლიტ. თეორ.) მოწესრიგებული გამოთქმა, აზრის მახვილად გამოხატვა, რომელსაც ახასიათებს ლაკონიურობა, გამოსახვის მკაფიოობა, სიცხადე, აღქმის სისწრაფე. ჰომეროსის თქმით ასეთი სიტყვები სწრაფად მოსწყდება ხოლმე მთქმელის პირს და მიფრინავს მსმენელის ყურისაკენ. „ბატებმა რომი იხსნეს"; „გათიშე და იბატონე"; „ყოფნა, არყოფნა — საკითხავი აი ეს არის". ფ. ს სიტყვებია ანდაზები, აფორიზმები, ნაკვესები, ზმები. ფ. ს. ხატოვანი თქმის სინონიმური ცნებაა.

ფრიადი — (ქ. მწ.) მეტად, დიდი.

ფრიზი [ფრ.] — (უსლ) (არქიტ.) არშია, ბორდიური კედლისა, ხალიჩისა, პარკეტისა. „გუმბათის ფრიზებში, კარიბჭეების სიახლოვეს შიშველ ფიგურებს ღვინით სავსე ყანწები ეჭირათ ხელში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ფსალმუნები — (ლიტ. თეორ.) ებრაელთა მეფე-პოეტის — დავითის საგალობელი (XII ს. ჩვ. წ. აღ-მდე). ამ საგალობლებს ანუ ფსალმუნთა კრებულებს ქართულად „დავითნი" ჰქვია. „დავითნი" დაყოფილია კანონებად ანუ თავებად. აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკში" მოთხრობილია: „ზაალის მეუღლეს მუხლებზე გადაეშალა „დავითნი" და ჭირის კანონს კითხულობდა". ფართო მნიშვნელობით — ფსალმუნი ნიშნავს საერთოდ საგალობელს.

ფსევდო [ბერძ. სიცრუე] — (ქსე) რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ცრუს, საეჭვოს, ზოგჯერ — ყალბს ან მიმსგავსებულს. მაგ. ფსევდომეცნიერება, ფსევდო-დიონისე-არეოპაგელი და სხვა.

ფსევდო-დიონისე-არეოპაგელი — (ქსე) იგივე პეტრე იბერიელი, იგივე ცრუ დიონისე არეოპაგელი — ბიზანტიაში მძევლად წაყვანილი ქართველი უფლისწული, გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი. I საუკუნეში საბერძნეთში ცხოვრობდა ერთი კაცი, დიონისე, რომელიც ათენის არეოპაგის, ანუ სამსჯავროს წევრი იყო. იგი პავლე მოციქულის სულიერი შვილი ყოფილა და სულ მალე ათენის ეპისკოპოსიც (ეპისკოპოსი ბერძნულად ზედამხედველს ნიშნავს) გამხდარა. ამ პიროვნებამ ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და სწორედ მას მიეწერებოდა საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფიური შრომები. მისი ვინაობა დიდხანს გაურკვეველი იყო. შალვა ნუცუბიძემ და ერნსტ ჰონიგმანმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაარკვიეს, რომ საქართველოში ცნობილი „არეოპაგიტული შრომების" ავტორია პეტრე იბერიელი (V—VI ს. ს..) იხ. პეტრე იბერი.

ფსევდონიმი — (ქსე) ხელმოწერა ან შერქმეული სახელი, რომელსაც ატარებენ მწერლები, ჟურნალისტები, პოლიტიკური მოღვაწეები, მსახიობები და სხვა. ცვლის ნამდვილ სახელგვარს. ფ.-ით სარგებლობენ სხვადასხვა

მიზნით: ცენზურისათვის თვალის ასახვევად, არაკეთილხმოვანი გვარის დასამალავად, თანამოგვარეთაგან გამოსარჩევად და სხვა ზოგიერთ ავტორს ძირითადი ფ.-ის გარდა კიდევ რამდენიმე ფ. ჰქონდა. მაგ., გრიშაშვილს (ი. მამულაშვილი) — „გრილი", „სით," თავიდან მესამე, „ნიაზა აისელი," „ფირუზა" და სხვა; ვაჟა-ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილი), სტენდალს, ჟორჟ სანდს (ავრორა დიუდევანი).

ფუთი [რუს.] — (უსლ) წონის რუსული საზომი ერთეული, უდრის 16,3 კგ-ს. „ხულ ოთხი ფუთი ვართ! ექვსი გირვანქა ენა გვაქვს! არ გაგვაფუჭოთ." (გ. ლეონ.).

ფუნდუკი — (ქ. მწ.) სასტუმრო, ქარვასლა, მგზავრთა ღამის სათევი სახლი. „ბოლნისის მთის ძირას, გზის დასავალთან, ერთი კარგი ფუნდუკი აეშენებინათ" („დიდვაჭარი და მეფუნდუკე" — ხაბა).

ფურაჟი — (ქეგლ) ცხენის თუ სხვა საქონლის საკვები, ალაფი.

ფურგონი — (უსლ) გადახურული სატვირთო ოთხთვალა საზიდარი. „ტრაქტორისათვის ფურგონი გამოებათ უკან" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — შესავალი).

ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე — (ქსე) ქართველი მწერალი. 1854 წ.-დან თბილისში ცხოვრობდა. იყო „ცისკრის" რედაქტორი 1868 წ-დან და ჟურნ. „მნათობის" რედაქტორი (1869 წ.). ფ.-ის ესთეტიკა ჩამოყალიბდა 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა საფუძველზე.

ფუტი [ინგლ. სიტყვასიტყვით — ტერფი] — (ქსე) 1. ინგლისურ საზომთა სისტემის სიგრძის ერთეული; დაახლ. გოჯი.

ფუტურიზმი — (ლიტ. თეორ.) დაცემულობის განწყობილების გამომხატველი ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტ-ში. ფ. წარმოიშვა XX ს. იტალიაში; მის მამამთავრად პოეტი მარინეტი ითვლება. მარინეტმა 1909 წ. გამოაქვეყნა იტალიელ ფუტურისტთა მანიფესტი, რომლითაც ჩამოყალიბდა ფ.-ის კრედო. ფ.-ის იდეური არსის განმსაზღვრელია ძვ. კულტურული ღირებულების გადაფასება, ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებული ნორმების დარღვევა. ქალაქური ცხოვრების, მანქანური წარმოების დინამიზმისა და სისწრაფის კულტი, ომის გაჩაღების ქადაგება; მარინეტი წერდა, „ჩვენ გვინდა ვადიდოთ აგრესიული მოძრაობა, დავაქციოთ მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ვიბრძოლოთ მორალის, ფეტიშის წინააღმდეგ. ჩქარი სიარული, საშიში ნახტომები, სილა და მეხი, ჩვენ გვინდა ვაქოთ ომი — ერთადერთი ჰიგიენა ქვეყნისა".

ფ-მა უარყო სიყვარულისა და ჰუმანურობის პოეზია და ეტრფოდა ამორალიზმს, დაცემულობას, დამპყრობლობას. ფ-ის სანატრელი გმირია უკიდურესად ინდივიდუალური „მე". ფ-ის პოეტიკაში დარღვეულია სიტყვათა ჩვეულებრივი რიგი წინადადებებში, მეტყველების დაკანონებული წესები.

ძველებური მხატვრული ფორმები, ლექსიკა და სინტაქსი არ გამოადგება საშრეწველო ქალაქის მანქანურ ორომტრიალში მცხოვრებ პოეტს. მას უნდა ჰქონდეს სიტყვის აბსოლუტური თავისუფლება; მხატვრული მეტყველების ნაცვლად წინ წამოწეულია თავისუფალი ლექსი, ნებისმიერი რიტმი. წყვეტილ-წყვეტილი სიტყვები, წინადადებები, ამოძახილები, ზმნების გამოტოვება წინადადებაში და მრავალწერტილი, მათი აწეული, ნერვული მდგომარეობის გამომხატველია.

ფუტურისტული ნაწარმოები უაზროა (ზაუმური), უშინაარსო, უიდეო, და სიტყვათა წყობა უჩვეულო, გაუგებარი. ფუტურიზმმა სათანადო გამოძახილი ჰპოვა ქართულ ლიტ-ში. მისი საწყისები „ცისფერყანწელების" ანტირეალისტურ მისწრაფებებში ჩანს. საქართველოში პირველი ფუტურისტული ჟურნალია „H_2SO_4", რომელიც 1924 წ. დაარსდა. „ფუტურისტთა წარმომადგენლები მოითხოვდნენ მოესპოთ XX ს-მდე შექმნილი ხელოვნების ძეგლები, გაენადგურებინათ მუზეუმები, ფერფლად ექციათ ბიბლიოთეკები".

ფუა – 1. მდინარის პირას გამომდინარე წყარო; 2. მდინარის პატარა შენაკადი. „იყოს თვალსაწიერზე ნაპირები ალაგ ქვიშრობში გამონაცურა ფუებით!" (გ. ლეონ.)

ფშატი – საშუალო სიმაღლის ხე, აქვს ვიწრო მოვერცხლისფერო ფოთლები; იკეთებს პატარა ზომის ყვითელ ყვავილებს, ისხამს მოგრძო-მოყვითალო კურკიან ტკბილ ნაყოფს.

ფშვინვა – (ქ. მწ.) სასიცოცხლო ძალა სხეულში, სხეულის მასულიერებელი. „ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა" („ხადღეგრძელო" – გრ. ორბ.).

ფსა – (ქეგლ) 1. ნემსივით წვრილი წანაზარდი თავთავის კილოზე. 2. თევზის წვრილი ძვალი; 3. ბასრი პირი მჭრელი იარაღისა „თავდაზნექილი თავთავები ფსიან ნამგალს უცდიდნენ" (გ. ლეონ.). „ჯავოს ხამართებელივით გალესილი ცხოვრების ფსა ჰქონდა" („ჯავოს ხიზნები" – მ. ჯავახ.) „წიგნი კი არა, ფარი ქართველთა, ამოღებული ხმალი ფსიანი" („თუ „დედაენით" არ ხარ გაზრდილი" – ი. ნონეშ.).

ფსოველი ჯარჯი (დავით ციგროშვილი) – (ქსე) დუშეთის რაიონი, ქართველი პოეტი. დაამთავრა თსუ. მას ეკუთვნის ლექსების კრებული – „ლექსები", „სამი წელიწადი", „ძველი წიგნებიდან ამოკრებილი ლექსები", „ჩაძირული არქიპელაგი", მოთხრობა „რამეთუ მიწა ხარ".

ფსოვი, ფსოეთი – (ქსე) ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე აღმ. საქართველოში, არაგვის ხეობაში; ფშავისა და ხევსურეთის უძველესი სახელწოდება. IV ს. ქართველთა განმანათლებელმა ნინომ ფსოველებს სხვა ქართველებთან ერთად ქრისტიანობა უქადაგა. XI ს. ფსოვი კვეტარის საერისთავოში შედიოდა. თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ფსოვი დიდოეთთან ერთად აჯანყდა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. XV ს. ისტ. ფსოვის ტერიტორია მოიხსენიება ფშავად და ხევსურეთად. ხევსურეთის მოსაზღვრე არაქართული მოსახლეობა ხევსურებს „ფხიას" უწოდებს, რაც ფსოვის სახელწოდების შემორჩენილ ფორმას წარმოადგენს.

ქააბა [არაბ. — კუბი] — (ქსე) კუბის ფორმის შენობა. მუსლიმანთა წმინდა ტაძარი მექაში. იგი აღმართულია ზემზემის წმ. წყლის წყაროს გვერდით. ქ.-ს ტაძრის ერთადერთი კედლის ნიშში მოთავსებულია „შავი ქვა“ (როგორც ჩანს, მეტეორიტი) — ყველა მუსლიმანის წმიდა სალოცავი. ქ.-ს და „შავი ქვის“ კულტი ისლამში წარმართობიდან მოდის. ისლამამდე ქ.-ში სხვადასხვა არაბული ტომის 360 კერპი იდგა. 630 წლის შემდეგ კერპები გაანადგურეს და ქ. მხოლოდ მუსლიმანთა მთავარ ტაძრად და ჰაჯის (პილიგრიმობის) ადგილად იქცა. ქ. წარმოადგენს ყიბლას (მხარე, საითკენაც მიმართულია მუსლიმანი ლოცვის დროს) ყველა მუსლიმანისათვის. „თქვა მან კაცმან: რადგან ცოლი ახეთი მლოცავი მივის, მეცა ქაბას წავალ და ორივენი დაუცადებლად სამოთხეში შევალთო“ („გრძნეული ცოლის პატრონი“ — ს. ს. ორბ.).

ქადა — (ქეგლ) ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ცხიმში არეული მოხალული ფქვილი. „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“.

ქადაგი — (ქსე) ღვთაების რჩეული პირი, ითვლება შუამავლად ადამიანებსა და ღვთაებებს შორის. სწამდათ, რომ ქადაგში ღვთაება ისადგურებდა და მისი პირით ამცნობდა ხალხს თავის ნება-სურვილს. ქადაგობის ინსტიტუტი განსაკუთრებით კარგად არის შემონახული აღმ. საქ.-ოს მთიანეთში, სადაც ქ.-ს ხატის მსახურთა წრეში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. იგი აქტიურად მონაწილეობდა თემის, როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში ქ.-ს საქართველოში მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს დასვამდნენ. ქ. უწინასწარმეტყველებდა მეთემეებს, თუ რა ელოდათ მომავალი წლის მანძილზე (მტრის თავდასხმა, ლაშქრობები, მოსავლიანობის ავ-კარგი, ავადმყოფობა). ქ. თვითონვე ასახელებდა ხატის მსახურებს, რომლებიც იმ წელს უნდა გაძღოლოდნენ თავიანთ სალოცავებს. მესისხლეობის შემთხვევაში ქ.-ის ნებით წყვეტდნენ საკითხს. „კარს უხსდნენ ქადაგ-მკითხავნი“ („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“). „ქადაგი იგივე ქურუმია, წარმართულ-ქრისტიანული რიტუალების მეღაღე“ (ქ.ს.მ.ა. — ს. სიგ.).

ქავი — (ქეგლ) ციხის გალავანი. „ნუმც ხარობს ქავის კარით“ (ეაჟა).

ქათიბი — (ქ. მწ.) რბილი ბეწვი.

ქათინაური [არაბ.] — (ქეგლ) პირფერული ქება, კომპლიმენტი.

ქალამანი — (ქეგლ) ხამი ტყავის მარტივი, შინ ნაკეთი ფეხსაცმელი, ასევე ტყავის თასმით ამოსხმული (იცვამდნენ ძველად). „დარში ნაბადს ნუ დაგდებ, ავდარში — ქალამანსაო“.

ქალაღაია [სპარს.] — (ქეგლ) ქალის თავზე მოსახვევი თხელი აბრეშუმი.

ქალდეა, ქალდეველები — (ქსე) მომთაბარე სემიტი ტომები. ძვ. წ. I ათასწლეულში ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურის სანაპიროზე, მდ. ტიგრისა და ევფრატის ქვემო დინების რაიონში. „ერთ დროს ფეხმოკიდებული იყო ისტორ-

თული კონცეფცია ქართველთა ქალდეური წარმოშობის შესახებ (ტ. ტაბ.).

ქალტა — ირმების ჯოგი. „კოლონკელიძემ ციხის ეზოში გაიყვანა მეფე. აჩვენა ქალტა ირმებისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქამანდი [სპარ.] — (ქეგლ) ცხოველის დასაჭერი ყულფიანი სასროლი თოკი. „ზვიადს წესად ჰქონდა ბრძოლაში მტრის ცხენის დაშავება პოროლით ან ქამანდით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქამანჩა [სპარს.] — (ქეგლ) აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, რომელსაც უკრავენ ქამანით" (ხემით).— (ქ. მწ.) ქიანური.

ქამელეონი — (ქსე) ერთგვარი ხვლიკი, რომელიც გავრცელებულია აფრიკასა და ავსტრალიაში და უპირატესად ცხოვრობს ხეზე. იგი ადგილმდებარეობის შესაბამისად ხშირად იცვლის ფერს. ქ.-ს გადატ. მნიშვნელობით უწოდებენ უპრინციპოსა და ორპირ პიროვნებას, რომელიც წარამარა იცვლის აზრს, შეხედულებას. უკაცურობის, მოღალატეობის, ორპირობის, მლიქვნელობის, ყოველგვარ გარემოსთან შეგუების სიმბოლო. კაცი, სახე-ქამელეონი. „ახეთი ხალხი ქამელეონივით ხახწრაფოდ გამოიცვლებიან კიდეც და გუშინდელი რენეგატები ახლა ერისკაცებად მოგვევლინებიან" (ნ. გრიგ. — წიგნი I).

ქამხა — (ქ. მწ.) აბრეშუმის ქსოვილი. „გავიხდი ქამხა-ატლახსა" („ეთერი" — ზღაპარი).

ქანდაკება — (ქსე) სკულპტურა, პლასტიკა. სახვითი ხელოვნების დარგი. მოიცავს მრგვალ და რელიეფურ გამოსახულებებს, რომელიც შექმნილია გამოკვეთით, გამოთლით, ჩამოსხმით, ან ძერწვით. უფრო იშვიათად. ქ. ფიგურას გამოსახავს სივრცეში მისი რეალური მოცულობით. ქ.-ის გამომსახველობითი საშუალებებია — მოძრაობის გადმოცემა, პოზა, ჟესტი. შუქ-ჩრდილის მოდელირება, ფორმათა რელიეფურობა. ქ. ორი სახისაა: მრგვალი და რელიეფური. დანიშნულების მიხედვით: მონუმენტური, მონუმენტურ-დეკორატიული და დაზგური. ყოველ მათგანს აქვს მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებანი და სპეციფიკური კანონები.

ქარაგმა [ბერძ. — ნიშანი, ნაკვალევი, კალმის მონასმი]— „ასონაკლების ნიშანი" (საბა) (ძვ.) ხელნაწერებში, წარწერებში შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი, იყენებდნენ საწერი მასალის ეკონომიისა და სამუშაოს შემსუბუქების მიზნით ხშირად ხმარებული სიტყვის წერისას. ტერმინი „ქარაგმა" ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად X ს. ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის „იადგარშია" ნახმარი. ქ.-ის გრაფიკული გამოსახულებაა სწორი და ჰორიზონტალური ხაზი თავსა და ბოლოში დასმული წერტილებით (V-X ს. ს.). ისტორიულ დოკუმენტებში ქარაგმებად გამოყენებულია სწორი ან გახრილი ხაზები: —^~ ეპიგრაფიკულ ძეგლებში სწორი ხაზი, რომელიც ქვაზე ამო-

საკვეთად ყველაზე მოსახერხებელია. თუ შემოკლებული სიტყვა გრძელია, ან მომდევნო სტრიქონზე გადადის, სიტყვას ორი ქარაგმა ეწერება. (გადატ.) ამოსაცნობი სიტყვა, საიდუმლოება. „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუწი“ (ი. გრიშ.).

ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ [სპარს.] — (ქეგლ) 1. საპალნიანი საკიდარი ცხოველები, უპირატესად აქლემები. „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის:“ 2. ადამიანები, ცხოველები, ხაზიდრები, რომლებიც გამწკრივებული მიდიან: გემების ქარავანი, სატვირთო მანქანების ქარავანი და ა. შ. „დღეს ხაღამოზედ, მზე რომ გადაიხრება, ქარავანი უნდა დაიძრახო“ („ხახრჩობელაზედ“— ილ. ჭავჭ.).

ᲥᲐᲠᲐᲤᲘ — (ქეგლ) მაღალი კლდე. „დედაკაცის კივილზე ქარაფზე ახული კაცები იხევ ხევისაკენ შემობრუნდნენ“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲥᲐᲠᲒᲐ [სპარს.] — (ქეგლ) მოწყობილობა მოსაქარგავი ქსოვილის გადასაჭიმავად. (გადატ.) მხატვრული ნაწარმოების ჩონჩხი; ამბავი.

ᲥᲐᲠᲒᲐᲚᲘ [სპარს.] — (ქეგლ) ხელოსანი, რომელმაც შეგირდობა დაამთავრა.

ᲥᲐᲠᲕᲐ [სპარს.] — (ქეგლ) მაგარი, გამჭვირვალე, ფისოვანი ნივთიერება ყვითელი ფერისა, ქარვის კრიალოსანი.

ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐ [სპარს.] — (ქეგლ) ქარავნის, გაჭრების გასაჩერებელი, ღამის გასათევი ადგილი — ფუნდუკი. სასტუმრო. 2. სავაჭრო სახლი, სადაც გამართული იყო საქონლის საწყობები და მაღაზიები. „კოშკების, სასახლეების, ქარვასლების ზეთაგვები მოიხატნენ ცაზე“ („დიდოსტატის მარჯვენა“- კ. გამს.).

ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲣᲗᲝ — (ქეგლ) იგივეა, რაც ფაზარხურო, ხუთო — ქვა, რომელიც კურნავდა შხამით მოწამლულს. „იმ ქვ:ულ ბოხჩაში [ფუფალას] ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო“ (გ. ლეონ.).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ — (ქსე) ერი. ძირითადი მოსახლეობის რაოდენობა 3433 ათასი კაცი (1979 წ. აღწერით). ცხოვრობენ აგრეთვე ჩრდ.-აღმ. თურქეთსა და ირანის ზოგიერთ პროვინციაში (გილანი მაზანდარანი, ფერეიდანი). საერთო-ეროვნული და სამწერლობო ენა — ქართული, განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს, რ-შიც ქართულის გარდა შედის ზანური და სვანური ენები. რელიგია — ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) მცირე ნაწილი მაჰმადიანია (ინგილოები, აჭარლები). ქ. ამჟამად 3 მონათესავე ეთნიკურ-ლინგვისტურ ჯგუფად იყოფიან: აღმოსავლეთ ქართულ, მეგრულ და სვანურ ჯგუფებად. თითოეული წარმონაქმნი რთული ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგად უფრო მცირე ერთეულთა შერწყმის გზით. მაგ., აღმ. ქართული ჯგუფი მოიცავს უფრო მცირე ეთნოგრაფიულ ჯგუფებს: ქართლელებს, კახელებს, ინგილოებს, ქიზიყელებს, თუშებს, ფშავებს, ხევსურებს, მთიულებს, მოხევეებს, იმერლებს, რაჭველებს.

ლეჩხუმელებს, აჭარლებს, გურულებს, მესხებს, ჯავახებს. ისტ. წყაროებში მრავალ ალმ. თუ დას. ქართველ ტომთა სახელწოდებაა შემონახული (იბერ-ივერიელები, გუგარები, შავშ-კლარჯები, ტაოელები, მაკრონები, ხალდ-ხალიბები, სკვითები, მარგველები, მისიმიანელები, ჰენიოხები და ა. შ.), რომლებიც მონაწილეობდნენ ქართველი ერის წარმოქმნის პროცესში. ქართველთა წინაპრებს ამიერკავკასიის ტერ-ზე სამხრეთიდან მოსულად მიიჩნევდნენ. ამჟამად ანთროპოლ. ლინგვისტიკის, არქეოლოგ. ეთნოგრ. და ისტ. გეოგრაფიის მონაცემების საფუძველზე დადგენილია მათი ადგილ-წარმომავლობა. ამასთანავე, მრავალსაუკუნოვან პროცესში დასაშვებად მიიჩნევენ ქართველ ტომთა მიგრაციას, ან არაქართველურ ტომთა ინფილტრაციას, რასაც ცხადჰყოფს ენობრივი მონაცემები. როგორც ჩანს, უძველეს დროშივე ქართველურ ტომებს მოუხდენიათ ადგილობრივი ჩაჩნების (ვეინახური) თუ დაღესტნური ტომების ნაწილის, ასევე ხეთების, ხურიტებისა და ურარტელების მნიშვნელოვანი ნაკადის ასიმილაცია. კიდევ უფრო ძველად, ერთიანი ქართველური ფუძე ენის არსებობის ხანაში, ქართველთა წინაპრებს ხანგრძლივი კონტაქტი უნდა ჰქონოდათ ინდოევროპულ დიალექტზე მოლაპარაკე ტომებთან.

ანთროპოლოგიურად ქ. ევრაზიული რასის წარმომადგენლები არიან. ეს რასა თავის მხრივ ორ მეორად ანუ მცირე რასად იყოფა. ქ. წინა აზიური ანთროპოლ. ტიპის წარმომადგენლები არიან. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველთა შორის, თავის მხრივ შეინიშნება ადგილობრივი ნაირსახეობები. გამოყოფილია ხუთი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ადგილ. სახესხვაობა. აჭარლების, გურულებისა და მეგრელების ჯგუფებში დადგენილია შავიზღვისპირული ტიპი, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავის ნაკლები ბრაქიტკეფალურობა, სხეულის საშუალოზე მეტი სიმაღლე, სახის ნაკლები სიგანე, შედარებით სქელი ტუჩები, ძლიერ განვითარებული თმოვანი საფარველი, შედარებით ღია ფერის თმა, მკვეთრად პროფილირებული სახე და ჰორიზონტალური ან ოდნავ ზეაწეული ცხვირის ფუძე. დასავ. საქართველოს დანარჩენ ჯგუფებში — იმერლების, ლეჩხუმელების, არამაღალმთიანი რაჭველებისა და ასევე მეგრელების, გურულების, აჭარლების არაშავიზღვისპირულ ჯგუფებში დადგენილია დას. ქართველთა ანთროპოლ. ტიპი, რომელიც შავიზღვისპირულისაგან განსხვავდება ოდნავ ფართო სახით, უფრო მუქი თმით, ცხვირის გამოდრეკილ ფორმით, ცხვირის ჰორიზონტალური ფუძით და შედარებით სქელი ტუჩებით. აღმოსავლეთი საქართველოს ბარში ძირითადად ქართლელებისა და კახელების ჯგუფებში დადგენილია აღმ. ქართველთა ანთროპოლ. ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უფრო ფართო შუბლი, ფართო ქვედა ყბა, შედარებით დაბალი სახე, საშუალოზე მუქი თვალები და თმა, მკვეთრად გამოხატული წარბები და წვერი, ცხვირის შედარებით

ნაკლებად გამოდრეკილი ფორმები. მესხურ, ჯავახურ და ზოგიერთ ქართველურ ჯგუფებს შორის დადგენილია სამხრ.-ქართ. ტიპი — მკვეთრი ბრაქიკეფალია. (მოკლე თავის ქალას მქონე. საპირისპიროა დოლიქოკეფალია — გრძელი თავის ქალის მქონე) დაბალი ტანი, დაბალი და ვიწრო ცხვირი, საშუალოზე მუქი თმა, მკვეთრად გამოდრეკილი ცხვირი, დაქანებული შუბლი, ხშირი წარბები და წვერი.

საქართველოს მთიანეთში სვანების, რაჭველების, ხევსურების, მოხევეების, მთიულების, გუდამაყრელების, ფშავლების, თუშებისა და სხვა ჯგუფებში დადგენილია კავკასიონის ტიპი, რომელსაც ახასიათებს მკვეთრი ბრაქიკეფალია, თავისა და სახის დიდი ზომა, მაღალი და ფართო ცხვირი, თხელი ტუჩები საშუალოზე მუქი თმა და საშუალოზე ღია ფერის თვალები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — (ქსე) კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია; დააარსეს მოწინავე ქართველებმა 1079 წ. თბილისში. საზოგადოების შექმნის იდეა ჩაისახა ვიწრო წრეში (კ. მამაცაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი, ვ. თელაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე, გ. მაღალაშვილი და სხვა). აღნიშნულმა წრემ დ. ყიფიანს, ნ. ცხვედაძეს, ი. გოგებაშვილსა და ვ. თელაშვილს დაავალა წესდების შედგენა და მის დამტკიცებაზე ზრუნვა. 1878 წ. 30 იანვარს გ. ორბელიანის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე წაიკითხეს წესდების პროექტი, რომლის წარმოდგენა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში დაევალათ დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძესა და ბ. ლოლობერიძეს, 1879 წ. 31 მარტის წესდებით საზოგადოება 1907 წ. მარტამდე მოქმედებდა.

საზ-ბის პირველი (დამფუძნებელი) სხდომა გაიმართა 1879 წ. 15 მაისს. საზ-ბისა და გამგეობის პირველ თავ-რედ აირჩიეს დ. ყიფიანი, მოადგილედ — ილ. ჭავჭავაძე, წევრებად — ნ. ცხვედაძე ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, დ. სარაჯიშვილი და რ. ერისთავი. 1885 წ-დან საზ-ბას უცვლელად თავ-რეობდა ი. ჭავჭავაძე. დიდი შრომა გასწია საზოგადოებამ ბათუმის ქართული სკოლის ორგანიზაციისათვის, რადგან იგი უნდა ყოფილიყო ქართული ენის საყრდენი და გამავრცელებელი ახლად შემოერთებული აჭარის გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების გახსნას ბორჩალოში, საინგილოში, მესხეთ-ჯავახეთში. საზოგადოებამ მრავალი ქართული ხელნაწერი შეაგროვა ეკლესია-მონასტრებისაგან, ბევრი იყო კერძო შეწირულობაც. შედგა ძვირფასი მანუსკრიპტების მდიდარი ფონდი, ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილმა ადადიანმა საზოგადოებას შესწირა სამეგრელოს მთავართა ბიბლიოთეკა.

საზ-ბის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნასა და დაბეჭდვას. იბეჭდებოდა ი.გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველ-

ების, არითმეტიკის, საქართველოს ისტორიის და სხვა სახელმძღვანელოები. ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშები, მაშინდელ ქართველ მწერალთა თხზულებები, თარგმნილი ლიტერატურა.

საზ-ის ინიციატივით დაარსდა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, დაიდგა ძეგლი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. 1893 წ. განჯიდან თბილისში გადმოასვენეს ნ. ბარათაშვილის ნეშტი; 1895 წ. მოეწყო საქართველოში პირველი იუბილე რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის 50-ე წლისთავზე; აღინიშნა ა. პუშკინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე; მარი ბროსეს დაბადების 100-ე წლისთავი.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ ცარიზმის სასტიკი რეჟიმის დროს იღვაწა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და საერთოდ კულტ. ტრადიციათა არა მხოლოდ დასაცავად, არამედ გასავითარებლადაც. 1922 წ-დან მას „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება" უწოდეს, ხოლო 1926 წ. — „მწიგნობარი", 1927 წ. 24 აპრილს საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

ქართლოსი — მითიური წინაპარი ქართველთა. „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსიანთა ნათესავთაგანი" (ლ. მროველი).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი — (ქეგლ) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონი (1950-1964 წ. წ. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა). შეიცავს 112940 სიტყვას. ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1945 წ. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში პირველად. მასში მოცემულია სისტემური დოკუმენტაცია. ლექსიკონისათვის შეიქმნა სადოკუმენტაციო ფონდი — XIX ს. და თანამედროვე ქართველი მწერლების თხზულებებიდან ამოწერილი სიტყვების კარტოთეკა (იგი განუწყვეტლივ ივსება; 1982 წ-თვის შეიცავდა 3 მილიონ ბარათს). ძირითადი ლექსიკოგრაფიული სიახლეა ის, რომ ლექსიკონში ზმნები შეტანილია აწმყოსა და მყოფადის ფუძით, რამაც შესაძლებელი გახადა სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ზმნის სიმდიდრე (მოქმედებითი და ვნებითი გვარი, სასუბიექტო და საობიექტო ქცევა, კაუზატივი). ამით ქართ. ზმნამ ლექსიკონში დაიკავა ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის ქართულ მეტყველებაში. ლექსიკონის დამუშავებაში ენათმეცნიერთა გარდა მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ქ. ე. გ. ლ.-ის გამოცემა აღინიშნა სახელმწიფო პრემიით (1986 წ. გამოიცა ერთტომეული).

ქართული ლექსი — (ლიტ. თეორ.) ქართული ლექსთწყობა სილაბურ-ტონურია, რაც ხელს უწყობს ლექსის რითმულ მუსიკალობას. აქ არ არის არც გრძელი და არც მოკლე მარცვალი, როგორც ბერძნულსა და ლათინურში, არც მკვეთრი და თავისუფალი მახვილი, როგორც რუსულში. მართალია, ქართულ ენას მკვეთრი,

თავისუფალი მახვილი არ ახასიათებს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ქართული გამოთქმა აქცენტაციას მოკლებული იყოს. ქართულ ენაში მახვილთა ერთგვარი კანონზომიერება მაინც არის დადგენილი. ორმარცვლიან სიტყვებს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის; სამ და მეტ მარცვლებს — ბოლოდან მესამეზე. მასთან ოთხზე მეტმარცვლიანი სიტყვები ორ მახვილს ღებულობენ.

ქარტა — (ქ. მწ.) ქაღალდი, ფურცელი, სიგელი, წერილი.

ქარტია [ბერძ.] — (ქეგლ) ზოგი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი.

ქარქაში — (ქეგლ) ხმლის, ხანჯლის, დანის და მისთ. ბუდე.

ქაშანი, ქაშანური — (ქეგლ) ქალაქი ირანის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ცნობილია მოჭიქული (ემალის) ქაშანურის ჭურჭლით. „ოთარაანთ ქვრივს თაროზე ჩამოუწკრიეებია ხუფთა ჭურჭელი ქაშანურიხა" („ოთარაანთ ქვრივი" — ი. ჭავჭ.).

ქაშვეთი — (ქსე) ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში, აგებულია 1904-1910 წ. წ. ძვ. ეკლესიის ადგილზე. ადრე აქ იდგა დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული უძველესი ტაძარი, რომელიც XVIII ს. ამილახვრების აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა. XIX ს. მიწურულს ისიც დაზიანდა. შენობის პროექტი შეადგინა არქიტ. ლ. ბელფელდმა, რომელმაც ნიმუშად სამთავისის ტაძარი გამოიყენა. მაღალტექნიკურად შესრულებული მდიდრული ჩუქურთმა ნეოფანდე აგლაძეს ეკუთვნის. ქ. კარგად არის შეხამებული ადგილმდებარეობასთან და თავისი სილუეტით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის ცენტრის ანსამბლში. 1947 წ. ტაძარი მოხატა ლ. გუდიაშვილმა (ქაშუეთი — ქვაშვეთის ეტიმოლოგია, არსებობს ლეგენდა ქაშვეთზე).

ქაჩაჩი (საბა) — ცხენის, ვირისა და მისთანათა გაუპოხელი ჩლიქი.

ქაჯი — (ქ. მწ.) ფერია, გრძნეული.

ქედსუდა [სპარს.] — (ქსე) ქევხა, ქეხა, მამასახლისი გვიანდელი აღმ. საქართველოში.

ქექქევი — (ქ. მწ.) გოგმანი.

ქეთევან დედოფალი (წამებული) (1570-1624) — (ქ. მწ. ლექს.— ცნობ.) პოეტი. მუხრანბატონის ასული თეიმურაზ პირველის დედა, კახეთის მეფის — ალექსანდრეს უფროსი ვაჟის დავითის მეუღლე. 1614 წელს ქეთევანი თავისი ორი შვილიშვილით — ალექსანდრეთი და ლევანით, მძევლად წაიყვანეს შირაზში. 1624 წელს შაჰის ბრძანებით დედოფალი აწამეს. დედის მოწამეობრივი აღსასრული აღწერა თეიმურაზ პირველმა. ქეთევან წამებულის თემა აისახა არამარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთის ლიტერატურაში.

ქეიბური — დიდი საბრძოლო ისარი (იხ. ქიბურჯი).

ქენება — (ქ. მწ.) ხვეწნა, მუდარა.

ქენჯნა — (ქ. მწ.) ტანჯვა.

ქერექი — (ქეგლ) მწერითა ფრთა (საბა). იგივეა, რაც ქერცლი. „არხაკიძის ნახატზე ქერექისდარი ჯაჭვი ეცვა იაკობის ღმერთს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქერუბიმი [ებრ. — ხარი]— (მით.) უმაღლესი რანგის ანგელოზი. პირველი მნიშვნელობით მითიური ცხოველი. ებრ. სიმბოლიკაში: ადამიანის, ხარის, ლომისა და არწივის გარეგნობისა. ძალისა და ძალაუფლების სიმბოლო, სამოთხის მცველი. ისე იცავდა იგი ედემს, როგორც გრიფები ოქროს. შემდეგ იეჰოვას ტახტის ტარება დაეკისრა. იყო შავი ქ.-ი ჯოჯოხეთისა (დანტე); ბოლო გაგებით ესაა ბიბლიური ანგელოზი (სერაფიმის „სხივოსნის" მაგვარი), უფრო კი პატარა ანგელოზი, ბიჭი ან გოგო. ამ გაგებით მიახატა რაფაელმა მშვენიერი ხუჭუჭთმიანი ბიჭუნები სიქსტინის მადონას („ქერუბიმების მომესმის გლოვა"). „ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და ხევდიანი, როგორც ყინწვისის ანგელოზი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქეშიკი — (ქ. მწ.) პირადი მცველი, მსახური (შაჰის ქეშიკი).

ქეჩო — (ქეგლ) ზოგი ცხოველის კისრის ზედა ნაწილი. აგდებით იტყვიან ადამიანის კისერზე: „ქეჩოდან მოყოლებული ფეხის ფრჩხილამდე აზნაურები ვართ" („ჯაყოს ხიზნები").

ქეცი — (ქეგლ) კანის გადამდები დაავადება. იწვევს კანის ფხანას, აქერცვლას და თმის ბალნის ცვენას. „ფხანა ქეცმაც იცის. ნუ გაიქეციანებ გულსა და ფხანაც საჭირო არ იქნება" („თიარაანთ ქვრივი" — ი. ჭავჭ.).

ქვაწვია — (ქეგლ) ძალიან ხელმოჭერილი, ძუნწი.

ქვებუდანი — (ქეგლ) ჩუმი ვერაგი, ქვეშქვეშა, გაიძვერა.

ქველი — (ქეგლ) მოწყალე, კეთილი, მხნე, გულადი. „რაკი ქველ საქმეს იმრავლებ, მეც წამიყვანე" („მელი მოძღვრად" — საბა).

ქვესკნელი — ყოველი დროისა და ხალხის მითოლოგიაში ცნობილი ცნება, რაც გამოხატავს სიკვდილის წინაშე უძლური ადამიანის დარდს მიღმა ქვეყნიურ (საიქიოს) სიცოცხლის რწმენას. ქართ. მითოლოგიაში გარჩეულია გარესკნელი, ზესკნელი და ქვესკნელი: შავეთი, აჩრდილთა სამეფო, საიქიო, სულეთი, მიცვალებულთა სასუფეველი. მითოლოგიის მიხედვით იგი ისეთივე მრავალფეროვანი „ქვეყანაა", როგორც დედამიწა (ელიზიუმი, ელისეის ველები, ქრისტიანული ჯოჯოხეთი, სამოთხე, სალხინებელი). „კუბოს ფიცარზე ძვლების რახუნით მკვდართა გუგუნით კრთოდა ქვესკნელი" („ორი ზარი" — გ. ტაბ.). „სულეთს შევიდეს ხმლიანი ლაღი ლაღისა ცხენითა" („კაი ყმა" — ვაჟა).

ქვეტექსტი — (ქეგლ) რაიმე ტექსტის, გამონათქვამის შინაგანი, დაფარული აზრი.

ქვიჯა — (ქეგლ) იგივეა, რაც როდ-

ინი. „მეფე-დედოფალს ხუფრაზე ულაგებ-დნენ თავზეგადახაგდებს... ქვეჯასაც“ („თავ-ხაფრიანი ღედაკაცი“— ნ. ლორთ..).

ქმრეშა — (ქ მწ.) ლომს ჰგავს, ფე-ტეია (საბა).

ქიზურჯი — ისარი მცირე (საბა). „ერისთავებმა ისრებიც მოართვეს მეფეს, მსხვილნი ბოძალნი—დიდ ნადირთათვის, ქეი-ბურნი—მხეცთათვის, ხარშა და ქიზურჯი—ფრი-ნველთათვის“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — ქ. გამს.).

„ქილილა და დამანა“ — ერთი ჩარჩოით შემოფარგლული, ლექსნარევი პროზით დაწერილი არაკების კრებული მთელ მსოფლიოში გავრცელებული მოარული სიუჟეტი ლომის, ხარისა და ორი ტურის (ქილილა და დამანა) შესახებ. იგი ქართულად თარგმნილია სპარსულიდან (ჰუსაინ ვაეზ ქაშეფი) ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი თარგმნის პირველი ცდა ეკუთვნის თეიმურაზ I-ის მამას, დავით I-ს, რომელმაც თარგმნა დასაწყისი ნაწილი „კუ და მორიელის“ არაკამდე. ვახტანგ VI-ის ბრძანებით ძეგლის თარგმნა განაგრძო ჯერ ანონიმმა სპარსელებმა (თბილისში), შემდეგ კი ანონიმმა სომეხმა ისპაჰანში. მათი თარგმნის ენა პრიმიტიულია, თხრობა — შემოკლებული, მხატვრული ოსტატობა — დაბალი. „ქილილა და დამანას“ პირველი რედაქციის გამართვა შემდეგ სცადა თვით ვახტანგ VI-მ, მანვე დაიწყო პროზით გადმოღებული სტროფების გალექსვა. მაგრამ ქირმანში გადასახლებისას გადაწყვიტა ხელახლა თავიდან ეთარგმნა „ანვარე სოჰაილი“. თარგმანი „გასაჩალხად“ გაუგზავნა ჯერ ონანა მდივანს, შემდეგ კი ს. ს. ორბელიანს (1717 წ.). ონანამ მხოლოდ ლექსები გაწყო, ხოლო საბამ ძირეულად გადაამუშავა მთელი ტექსტი, როგორც პოეტური, ისე პროზაული. თხზულების ეს მესამე რედაქცია კანონიკურ ტექსტად არის მიჩნეული, გამოცემულია 3-ჯერ.

ქიმერა — (მით.) ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელსაც ჰქონდა ლომის თავ-მკერდი და გველეშაპის ბოლო, ან სამი თავი: ლომის, თხის და დრაკონის. ჰესიოდეს მიხედვით ეს საზარელი უწმინდური გუდავს და სპობს ყოველ ცოცხალ არსებას, აპარტახებს ქვეყანას. მითის მიხედვით იგი გაზარდა მეფე ამისუდაროსმა და ბელეროფონტმა მოკლა ფრთოსანი რაშის პეგასის დახმარებით. არაა სწორი „ქიმერები“. ურჩხული ქ. ერთია. ხელოვნებაში ამ სახეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. გამოსახულია ბრინჯაოს თასებზე. გოტიკურ ტაძართა სამკაულია ყოველდღიურ მეტყველებაში: საზღაპრო ურჩხული, ფანტაზიის დაუჯერებელი ნაყოფი, მაცდური რამ სახე. 1. „მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ქიმერებივით მოხჩანდნენ დაუჯერებელი ცაცხვების სილუეტები“. 2. „ხძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“ („ლურჯა ცხენები“ — გ. ტაბ.).

ქირდვა — (ძვგლ) ავუგის თქმა ვინმეზე, დაცინვა, გაკიცხვა, გაკილვა. „გიორგი მეფის ქირდვას მოახწავებდა ეს სიტყვები კათალიკოსის მიერ ნათქვამი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ქირმანული შალი — (ქეგლ) ძველებური ძვირფასი მატყლის ქსოვილი, სახეებიანი (სპარსეთის ქალაქის სახელის მიხედვით).

ქისტები — (ქეგლ) ჩაჩნებისა და ინგუშების საერთო სახელი თუშების, ფშაველებისა და ხევსურების მეტყველებაში. პანკისის ქისტები — კახეთში, პანკისის ხეობაში ჩაჩნეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებული ქისტები.

ქისტი — მუშტი, მჯიღი. „ეგრე ჩვენი გლეხკაცი ხაალერხოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა ახალმოყვანილ პატარძალსა" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ქიშპი — (ქ. მწ.) მოქიშპე, ავის მდომი.

ქნარი — (ქეგლ) სიმებიანი სამუსიკო საკრავი ერთგვარი, თითების გამოკვრით აჟღერებენ.

ქობა — (ქეგლ) ტანსაცმლის კიდეზე შიგნიდან ზოლად შემოვლებული სარჩული.

ქოეაგი [სპარს.]— (ქეგლ) მოსარჩლე, დამცველი, მფარველი. „მწერლობა გმირობის გამოხარჩლებაა მხოლოდ მინქმალული გმირობის ქომაგია მწერალი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქონგური — (ქეგლ) ციხის ან გოდოლის დაკბილული ზეთავი. ციხესიმაგრის გალავანზე, კოშკებზე დაშენებული დაკბილული სვეტი. „უხიტყვოდ შეეცქეროდი ბნელში მთვლემარე ტაძარს და მის გარშემო კბილოვან ქონგურებს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქონდაქარი — (ქეგლ) იგივეა, რაც ჯალათი.

ქორაში — (ქ. მწ.) ხე, რომლისგანაც ამზადებენ ისრებს. ფოთლოვანი ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა, მაღალი ტანისა. „ეს დევებიეთ ქორაფკბი როგორ აწედილან" („მთის წყარო" — ვაჟა).

ქორეპისკოპოსი — (ქეგლ) მთავარი ეპისკოპოსის თანაშემწე. უმრევლო ეპისკოპოსი. „მძევლებსა და ზავის პირობას შეკვრას მოითხოვსო მეფე გიორგი, რათა შემდეგ საერთო ჯარით გაილაშქროსო კახეთ-პერეთის ქორ-ეპისკოპოზის წინააღმდეგ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ქორიკოზი — (ქ. მწ.) კახეთის მთავრის ტიტული. „მონაცვლე მეფისა, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელის-დება, არამედ გამოითარგმნების მწყემსად (საბა). „კახეთის ქორიკოზი".

ქორონიკონი — (ქეგლ) წელთაღრიცხვის ძველი სისტემა, რომელიც მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში. კერძოდ, საქართველოში, ქართული ქორონიკონის ციკლი ანუ მოქცევა შეიცავდა 532 წელს. „ხოლო იყო გარდაცვალებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ასდაშვიდსა წელსა, ქორონიკონსა ოთხმეოცდაერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაი ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა, დასაბამითგან გარდასულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოცდაშვიდთოთხმეტისა წელსა" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"). ქართული „ქორონიკონით" სამყაროს შექმნიდან 12 მოქცევა (ციკლი) დამთავრდა 780 წელს.

„ქორონიკონსა თხმეოც და ერთსა“ რომ დღევანდელ სისტემაზე გადავიყვანოთ, ქორონიკონის წელთა რაოდენობას 780. 81+780=861, ე. ი გრიგოლი გარდაიცვალა 861 წელს. „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა ქორონიკონის კენტი და ლუწი“ (ა. გრიშ.). იხ. წელთაღრიცხვა.

ქოსა — (ქეგლ) ბუნებრივად უწვერულვაშო მამაკაცი. „ქოსა და დაღრეჯილი მამაკაცებიც ერიენ მათ შორის“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ქოსი (საბა) — საილენძის დიდი საყვირი. „მეციხოვნეთა ქოსსა პკრეს ორანს ციხეში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ქოსეენი — (ქეგლ) ნასუქი ღორი ან ცხვარი.

ქოქოლა — ქალთა წყევლა. ერთგვარი ჟესტი უკმაყოფილების გამოსახატავად. საკუთრივ ძირი, გვარეულობა: ყვავილი ქოქით (ძირიანად) ამოვიღე“. შენი ქოქი გაწყდა. შენი გვარეულობა ამოწყდეს.

ქრესტომათია — (ქეგლ) სახელმძღვანელო, რომელშიც შერჩევით არის შეტანილი ლიტერატურული თხზულებანი ან მათი ნაწყვეტები.

ქრთილი — (ქ. მწ.) ქერი.

ქრისტეშობისთვე — დეკემბერი.

ქრისტეს მოსაყდრე — მაცხოვრის მაგიერი, იგულისხმება კათალიკოსი, პატრიარქი.

ქრიზოტრიკლინი — ოქროს სასახლე ბიზანტიის კეისრისა კონსტანტინოპოლში, ავგუსტეონის, აწინდელი აზიზიეს მოედანზე. „ხრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზში მიიღო ბასილიმ ელჩები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ქსენონი — (ქ. მწ.) სასნეულო სახლი (საბა), საავადმყოფო.

ქუბი — 1. ღორი დედალი.
2. იხ. ქობა. „თავზე დაადგა ტაძარს მუქლურჯი ცარგვალი, რომლის ქუბებს გალავნის ქონგურების ნაჩრდილები ისე ხატავდნენ, როგორც გიშრისა და იასპის ალურებს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „გზა იყო უდაბური, უხახო, უპირქუბო, მიპქონდათ კიდევ კუბო“ („ათოვდა ზამთრის ბაღებს“ — გ. ტაბ.).

ქულაჯა — (ქეგლ) მამაკაცის ზედა სამოსელი ძვირფასი ქსოვილისა, ბეწვმოვლებული. (აქ. მეტაფორაა) „წრუწუნას ხავერდის ქულაჯაზე გადაესხა ცოტაოდენი ღვინო“ (ვაჟა).

ქუმელი — (ქეგლ) თაფლში მოზელილი ფქვილი. „თებრონიამ ქუმელი შემოიტანა ჯამით“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ქურდ-კანტალა — ქურდ-ბაცაცა. „ერის ქურდ-კანტალას ღოღდველსა ცუდი დაუდგა წამით“ („ალუდა ქეთელაური“ — ვაჟა).

ქურუმი — (უსლ) წარმართებში — კულტის მსახური, რომელიც ასრულებდა მსხვერპლის შეწირვის რიტუალს. „პირამიდაზე გამოხატულ ქურუმებს მარცხენა მხარზე აქვთ ავაზას ტყავი გადაკიდებული“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). 2. (გადატ.) პირი, რომელიც

თავდადებით ემსახურება მეცნიერებას, ხელოვნებას და მისთ. „ვაჟა ლექსების წერის დროს ნამდვილი ქურუმი იყო... ხურათ-იდეათა მეხაიდუმლე, უწმინდესი მლოცველი და მსხვერპლის შემწირველი“.

ქურციკი — (ქ. მწ.) ჯეირანი.

ქუში — ცხენის სნეულება, უზომო ქშენა. (კ. გამს.).

ქუჩი — (ვაჟა) თმასავით წმინდალეროიანი ბალახია, იზრდება კლდეებში, ხრიოკ ადგილებში. „გადაიკრიფნენ ღრუბელნი ქუჩი გაწირეს ცრიანი“ („ბახტრიონი“ — ვაჟა).

ქცევა — (ქეგლ) მიწის საზომი ერთეული დასავლეთ საქართველოში, უდრის 000 კვ საჟენს (ჰექტარის 2/5-ს). „იხყიდება საყოველთაო ვაჭრობით: სამოცდაათი ქცევა ეზო, სამასი ქცევა სახნავი, ორმოცი ქცევა სახარდანე...“ (სასკ. სახ-ლო)

ღ

ღაბაბი [არაბ] — (ქეგლ) ნიკაპქვეშ ჩამონაზარდი (უპირატესად სიმსუქნისგან). „ლუარსაბის სამკეცად ჩამოსული ღაბაბი“. ზოგი ცხოველის (ხარის, კამეჩის) ჩამონაზარდი ყელზე. ქათმის ნისკარტქვეშ ბიბილოსმაგვარი ჩამონაზარდი.

ღადარი — (ქეგლ) ნაკვერჩხლიანი ნაცარი. ღადარში გამომცხვარი მჭადი. „მამიდამ კეცს თუნუქი დაახურა და ზედ ცხელი ღადარი დააყარა“ („მე ვხედავ მზეს“ — ნ. დუმბ.).

ღადო — (ქ. მწ.) (ძვ.)კლდოვანი მთა. (ქეგლ) ზღვის ტალღა.

ღაზლი — (ქეგლ) [არაბ.] 1. მატყლის მსხვილი ძაფი. ღაზლის წინდები. თავშალი. „დე, მოვიხურო შენი ღაზლი? („ცაბუნია“) 2. თხის ბალნის მსხვილი ნართი, თოკად დაგრეხილი.

ღალა — (ქეგლ) 1. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის (უპირატესად იხდიდნენ ჭირნახულის ან ფულის სახით). 2. გამოსავალი, ბარაქა (მიწის, ჭირნახულისა). 3. ნაწველი: წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა. რძის ღალა. „ძროხას ღალა სულ აღარ ჰქონდა.“ 4. თაფლისათვის საჭირო ნექტარი, რასაც ფუტკარი იღებს ყვავილისაგან.

ღალღა — (ქეგლ) მომცრო, რუხმოყავისფრო ფრინველი ქათმისა. აქვს გრძელი და სწორი ნისკარტი.

ღაწვი — (ქეგლ) იგივეა, რაც ლოყა. „ერთხთავის მეუღლე ღაწვებს იხოკავდა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ღ

ღაწვისთავი – (ქეგლ) ღაწვის (ლოყის) ძვლის თავი თვალს ქვემოთ.

ღერღეტი – (ქ. მწ.) ბატი.

ღვარჭნილი – (ქ. მწ.) ღვლარჭნილი, დაგრეხილი, დახლართული. „და ფრიადისა ცემისაგან ხმალმანცა დაღვარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი" (უცნობი ავტორი).

ღვინობისთვე – (ქეგლ) ოქტომბერი.

ღილ-კილო – (ქეგლ) 1. ღილი და კილო. ღილ-კილო შეიხსნა; 2. (საუბრ.) აბრეშუმის გრეხილის ნაქსოვი პატარა ღილი.

ღირღილოვანი – (ქ. მწ.) (ძვ.) ქვიანი.

ღმერთი – (ბიბლ. მეგზ.) ბიბლიის ღმერთი უზენაესი სულიერი პიროვნებაა, რომელიც ჩვენი ცნობიერების საზღვრებს მიღმა იმყოფება, მაგრამ ადამიანთა მოდგმას თავის თავს უცხადებს სამყაროს შექმნის მეოხებითა და მსოფლიო ისტორიაში მონაწილეობით. მან შექმნა ყველა სულდგმული და თავად სიცოცხლეც, რომელიც მხოლოდ მისი წყალობით გრძელდება. ძველი აღთქმიდან ვგებულობთ როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, ახალ აღთქმაში ღმერთი უწინარეს ყოვლისა, გვეცხადება იესოს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის სახით.

ბიბლია ღვთის შესახებ მოგვითხრობს და ამ მონათხრობიდან გამომდინარეობს, რომ ღმერთი ყოვლისმხილველია, ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფი. ის წმინდა სიმყოვნია, მოსიყვარულე და გამკიცხავი. ღვთის არსებობა ბიბლიაში განხილულია როგორც ფაქტი, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება. ის იწყება უბრალოდ: „დასაბამიდან ქმნა ღმერთმა".

ღოროტოტო – (ქეგლ) საყვირისებური ჩასაბერი საკრავი ერთგვარი.

ღრიანკალი – (ქეგლ) მორიელი.

ყ

ყაბალახი [თურქ.] – (ქეგლ) რბილი ქსოვილის წოწოლა გრძელი ტოტებიანი თავსაბურავი, ჩვეულებრივ მამაკაცისა.

ყაბაჩა – (ქ. მწ.) მოკლე კაბა ქალისა ზევიდან წამოსასხამი.

ყაბახი [თურქ.} – (ქეგლ) 1. სამიზნედ დადგმული ძვირფასი ლითონის თასი, რომელსაც მოჯირითენი ცხენდაცხენ ისარს ესვრიან ჩამოსაგდებად, ვინც ჩამოაგდებს ჯილდოდ ამ თასს იღებს.; 2. ადგილი, სადაც იმართება ნიშანში

სროლა, „მიყვარს ყაბახის არემარე, თვალ-ად ხაამო, მაისის ღამე, მიბუნდეილი, გრძელი, ხაამო" („ღამე ყაბახზედ" — ნ. ბარათ.).

ყაბული — (ქეგლ) [არაბ.] ყაბულს არის — თანახმაა, თანხმობას აცხადებს.

ყადაღა — (ქეგლ) სასამართლო ორგანოების მიერ კერძო პირის ან ორგანიზაციის კუთვნილი ქონების გამოყენების აკრძალვა. საქონელს ყადაღა ადევს.

ყადი [არაბ.] — (ქეგლ) მუსლიმანთა სასულიერო მსაჯული მოსამართლე. I. „გლახა და მდიდარი შეიცილნენ და ყადთ-ან წავიდნენ ხაჩივლელად" („გლახა და მდ-იდარი"— ს. ს. ორბ.).

ყადრი [არაბ.] — (ქეგლ) ფასი, ღი-რებულება, დაფასება, მნიშვნელობა. ფულის ყადრი იცის.

ყაენი [თურქ.] — (ქეგლ) მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყან-აში (ისტ.). მონღოლთა ყაენი. ყაენობა — 1. ყაენის ბატონობა; 2. (იხ. ყეენობა).

ყამარი — (ქეგლ) ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად „ფაცხა მეგრული, ოდა გურული იხლით და ყავრით გადახურული" („ფაცხა მეგრული, ოდა გუ-რული" — გ. ტაბ.).

ყავლი — (ქეგლ) განსაზღვრული, დათქმული დრო რაიმე პირობისა, ვადა. „აქიმის მიერ დათქმული ყავლი ჯერაც არ იყო გასული, არსაკიძემ შენებლობას მი-აშურა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ყაზარმა [იტალ.]— (უსლ) სამხედრო ნაწილის საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა.

ყაზარმობა — (ქეგლ) {ისტ.} ქართ-ველ თავად-აზნაურთა 1832 წ. შეთქმუ-ლების მონაწილეთა ყაზარმებში ცხოვ-რების პერიოდი (სასჯელის მოხდისას). „გადასახლებულები ღიმილით იგონებდნენ ყაზარმობას" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ყაზახი, ყაძახი [თურქ.]— (ქეგლ) გლეხი. ყაზახები (ქეგლ) იგივეა, რაც კაზაკები. „ალგეთის ხეობა ჯარით გაივსო. ასი ყაზახი მორეკეს, ხალდათებიც გაურიეს და გლეხებიც მიაყოლეს".

ყაზვინი — (ქსე) ქალაქი ჩრდ. დას. ირანში. ელბრუსის სამხ. მთისძირას. ცნობილია სასანიანთა დროიდან შუა საუკ. ყაზვინზე გადიოდა ირანიდან ამ-იერკავკასიაში მიმავალი სავაჭრო გზა. „და მტერი აოხრებისა ღვთის რისხვად ყაზვინს თავს დასცეს!" („ხადღეგრძელო" — გრ. ორბ.)

ყაზილარი — (ქეგლ) (კუთხ.) იგი-ვეა, რაც ლაწირაკი.

ყაიდა [არაბ.] — (ქეგლ) 1. როგორ-იმე წესი, რიგი, ხასიათი ძველი ყაიდის კაცი. ქალაქურ ყაიდაზე ჩაცმული კაცი. 2 . დაფა-ზურნის დაკვ-რის ესა თუ ის კილო. ჰანგი.

ყაითანი — (ქეგლ) წნული ზონარი, ჩვეულებრივ რამეზე მოსავლებად. „დე-იდა ჩახტაურა ხოფლის ქალებს ყაითნის საქმეს, საკერავს ასწავლიდა" (გ. ლეონ.).

ყაირათი [არაბ.] — (ქეგლ) იგივეა რაც მომჭირნეობა.

ყაისი — (ქ. მწ.) ჭერამი, გარგარი. „ხაბიას მეფეს კაი ღვინოება, ხილება, ნარინჯი, ლიმონი გამოეგზავნა. მაგრამ ბალი და ყაისი მისთანა არსად მინახავს" („მოგზაურობა ევროპაში" — ს. ს. ორბ.).

ყალამი [არაბ.] — (უსლ) 1. ლერწმის კალამი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული არაბული ანბანის მქონე ხალხებს შორის. 2. ითქმის მხატვრის ფუნჯზე.

ყალამქარი [არაბ.] — (ქეგლ) დაჩითული ბამბის ქსოვილი ერთგვარი შინაური წარმოებისა. ყალამქრის ბოხჩა

ყალბი [არაბ.]— (ქეგლ) არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული.

ყალიონი —(ქ. მწ.) დიდი სამხედრო ნავი, გალიონი. — (ქეგლ) [არაბ.-სპარს.] იგივეა რაც ჩიბუხი. ყალიონს ეწევა.

ყალმუხი — (ქეგლ) იხ. კალმუხი.

ყამა [თურქ.] — (ქეგლ) მრგვალწვერა სატევარი.

ყანაოზი — (ქეგლ) აბრეშუმის ქსოვილი ერთგვარი. ყანაოზის ახალუხი.

ყანდი [სპარს.]— (ქეგლ) დაწმენდილი, თეთრი შაქარი.

ყანთარი [არაბ.] — (ქეგლ) სასწორია ერთგვარი.

ყანწი — (ქეგლ) ღვინის სასმელი რქა ძროხის, ჯიხვის და მისთ. ყანწებით ღვინის სმა. 2. მამლის დეზი.

ყარაბაღული — (ქეგლ) ყარაბაღიდან მომდინარე (ამჟამად მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანში).

ყარაია, ყარაიაზი — (ქსე) მტკვრისპირა ველი ახლანდ. ქ. რუსთავის სამხ.-აღმ. ისტორიულად ცნობილი იყო, როგორც საძოვრები და ქართველ მეფეთა სანადირო ადგილი. გვიანდ. შუა საუკუნ. აქ თურქმანული მესაქონლე ტომები დასახლდნენ, რომლებიც XIX ს. I ნახევარში ქვემო ქართლში გადავიდნენ. ამის შემდეგ ყარაიას საზამთრო საძოვრებად იყენებენ ქართველი მთიელები (ხევსურები). „რასა ჰყვირიან ირმები მის მთასა ყარაიასა?" (გ. ლეონ.).

ყარაკული — (ქეგლ) იგივეა რაც კრაველი.

ყარამანი — (ქეგლ) სამირო-სათავგადასავლო რომანის „ყარამანიანის" მთავარი პერსონაჟი, ზღაპრული გმირი. „როგორც ყარამანი შენა ხარ, იმისთანა ხალხისურამან ის არის" („კაცია-ადამიანი?!"— ი. ჭავჭ.).

ყარანფილი — (ქ. მწ.) მიხაკი.

ყარაჩოხელი — (გადატ.) დარდიმანდი, მოქეიფე, ხელგაშლილი კაცი.

ყარიბი — (ქ. მწ.) უცხოელი, მოხეტიალე, მწირი, ეული. — (ქეგლ) უცხოობაში მყოფი, გადახვეწილი უთვისტომო, საწყალი, ღარიბი. „მოიგონებდეთ ყარიბს მგონისაც, თქვენდა მბობარსა" („ბედი ქართლისა" — ნ. ბარათ.).

ყარსი — (ქსე) ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში. უძველესი ქალაქია. უძვ. წყაროებით კარი ეწოდებოდა. X-XI ს. ს. სომხეთის სახელმწიფოს ცენტრია. შემდეგ ბიზანტია დაეუფლა. 1074 წ. თურქ-სელჩუკებმა აიღეს. 1205წ. ქართულმა ლაშქარმა დაიკავა. მეფე თამარმა იგი სამეფო ქალაქად აქცია და მმართველად ივანე ახალციხელი დანიშნა. ყ.-ს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1239 წ. მონგოლებმა აიღეს. XIX ს. რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ყ. ძლიერი ციხესიმაგრე და ბრძოლების მთავარი ობიექტი იყო. 1828 წ. შტურმით აიღეს და 1878 წ. საზავო ხელშეკრულებით ყ. რუსეთს გადაეცა. „რუსებმა ხელთ იგდეს ფოთი, ჯავახეთი, ახალციხე, ყარსი" („არსენა მარაბდელი" — მ.ჯავახ.).

ყარყარა — (ქსე) ვერცხლის სანადიმო ჭურჭელი. მრგვალმუცლიანი, ქუსლიანი, მაღალი და უჩვეულოდ დაგრეხილყელიანი, რომლიდანაც სასმელი სასიამოვნო რაკრაკით გადმოდის. „სარწყული, სმაში ხმის გამომცემი (საბა) სხვა და სხვა ტევადობის, სადა ან ჭედური წესით ორნამენტირებული ყარყარები დამახასიათებელი იყო თბილისური ყოფისათვის. (გადატ.) ლამაზი, მოხდენილყელიანი. „ხაქართველოს ყელყარყარა ლამაზები, მიანებეთ ერთი წუთით ხაქმეხ თავი" (ი. ნონეშ.).

ყარყატი — (ქ. მწ.) მაღალფეხებიანი და გრძელკისერა ქაობის ფრინველი, ბაყაყიჭამია.

ყარყუმი [არაბ.] — (ქეგლ) მომცრო ტანის ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა, აქვს ძვირფასი თეთრი ბეწვი. ბეწვეულის წამოსასხამი. „ყარყუმი უხამრონი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ყასაბი [არაბ.] — (ქეგლ) საქონლის დამკვლელი ან ხორცის გამყიდველი.

ყასიდად [არაბ.] — (ქეგლ) არაგულწრფელად, ტყუილად, მოსაჩვენებლად. „ვინა ხარო? — შეეკითხა ყასიდად" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ყაფაზი [არაბ.] — (ქეგლ) 1. კედლებზე გამართული თაროები, დაყოფილი ოთხკუთხედებად, უჯრა-უჯრა.

ყაფანი [არაბ.] — (ქეგლ) ბაზრის დიდი სასწორი, ადგილი, სადაც ასეთი სასწორი იყო გამართული.

ყაწიბი — (ქეგლ) 1. თასმა ხმლის მხარიღლივ ჩამოსაკიდებლად ვერცხლის ბალთებით შემკული. 2. ჩოხის მასრები, მოვერცხლილი და ვერცხლის ძეწკვებით შემკული. 3. თვით ვერცხლის ბალთა, სამკაული, რომელსაც იკერებენ სარტყელზე, ჯუბაზე და სხვა. „ყაწიმები გიხდებოდა, შაელეგო" (ხალხური).

ყაჯარი — (ქეგლ) უნაგირზე გადასაფარებელი მოოქრული ქსოვილი. „ჯეჯიმები, ჩახსაკრავები, მუთაქის პირები, დიბაზე ნაკერი ყაჯრები ხომ სულ დეიდა ჩახტურას ხელიდან გამოდიოდა" („სახელის მილოცვა" — გ. ლეონ.).

ყაჭი — (ქეგლ) 1. ნაცარტუტში გამოხარშული აბრეშუმის ჭიის პარკი (ძაფად ართავენ); 1. (კუთხ.) იგივეა

რაც აბრეშუმი. ყაჭის ჭია; 3. (კუთხ.) აბრეშუმის ჭია. „ზედ ყაჭ-აბრეშუმს გადმოეყუენ საჩრდილობელსა მზისასა" („ეთერი" — ზღაპარი).

ყეენობა — (ქეგლ) წარმართობის დროიდან მომდინარე ძვ. ქართული ხალხური თამაშობა-წარმოდგენა შვ-ილიერებისა და აგრეთვე მოსავლი-ანობის დღესასწაული. იმართებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს. (ქსე) მისი საწყისები სამიწათმოქმედო, განა-ყოფიერების კულტის მისტერიულ წარმოდგენებშია. შემდეგ ყ.-მ ჩამოი-ცილა რელიგიური შინაარსი და ხალ-ხურ სანახაობად იქცა, რომელიც გამო-ხატავდა ქართველი ხალხის ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ. XIX ს. I ნახ-დან ყ. ცარიზმის წინააღმდეგ მიმარ-თულ სანახაობად იქცა. შეიცავდა: ყეენის მოკაზმვის ყეენის ჯარის შემოსევის, ქალაქის თუ სოფლის დარბევის, სასამართლოს, ქართველთა სარდალსა და ყეენს შორის ბრძოლის, დამარცხებული ყეენის მდინარეში გად-აგდების სცენებს. ქალაქში ყ.-ს ხელო-სნები მართავდნენ, სოფელში — გლეხობა. ყ.-ის ტრადიც. მოქმედი პი-რები არიან: ყეენი (მეფე), დედოფალი, ვეზირები, მოსამართლე, ხუმარა, მტ-რის ჯარისკაცები, ქართველთა მეთ-აური — სარდალი, განმათავ-ისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი. ყ. დიდხანს შემორჩა კახეთში, მესხეთში, სვანეთში (რეზო ჩხეიძის ფილმში „რაიკომის მდივანი").

ყევარი — (ქეგლ) ორი უღელი ხარ-კამეჩი; ყევარი ხარი (2 წყვილი — 4; ხარ-კამეჩი — მამრი-კამეჩი: დედალ, მეწველ კამეჩს უღელში არ აბამდნენ.).

ყვავილი — (ქსე) ადამიანისა და ცხოველის მწვავე ინფექციური დაავ-ადება. ახასიათებს კვანძოვან-ბუშტუკ-ოვანი გამონაყარი, რომელიც ნაწიბურებს ტოვებს. 1. „ჩოფურა იყო იგი [არსაკიძე], ახლად მოხდილი უნდა ჰქონოდა ყვავილი, ხვარინგები ზედ აჩნდა ჯერაც". 2. „შორენამ მყისვე შეამჩნია ყვავილის მიერ ოდნავ დაკ-ენკილი სახე ვაჟს" („დიდოსტატის მარჯვ-ენა" — კ. გამს.).

ყველიერი — (ქსე) ხალხური ად-რესაგაზაფხულო დღესასწაული. გრძე-ლდებოდა ერთი კვირას და წინ უსწ-რებდა ქრისტიანულ საგაზაფხულო მარხვას (დიდ მარხვას). ყ. არაქრის-ტიანული წარმოშობისაა, მაგრამ ეკლ-ესია არ დევნიდა და როგორც ოფიც. მოძრავ ქრისტიანული დღესასწაული გამოითვლებოდა აღდგომის მიხედვით. დიდ მარხვამდე ერთი კვირით ადრე დგებოდა ხორცეულის აღების შაბათი. ამ დღიდან იკრძალებოდა ხორცის ჭამა. მთელი სახლი და ჭურჭელი სუფთავდ-ებოდა, რადგან არ შეიძლებოდა სადმე ხორცის ან ცხოველური ცხიმის ნაშთი დარჩენილიყო. ყ.-ის კვირაში ტარდე-ბოდა კარნავალი, ბერიკაობა, ყეენობა, რომელიც სხვადასხვა სახით მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. კვირის ყოველი დღისათვის იმართე-ბოდა გარკვეული რიტუალი, რომლის მიზანი იყო ზამთრის გაცილება, ახალი სამეურნეო წლის შეგებება. ეს დღესა-სწაული სრულყოფილი სახით სვანე-თშია შემორჩენილი. ყ.-ის დროს

მიღებული და სავალდებულო იყო უპირატესად რძის პროდუქტების გამოყენება (სწორედ აქედან მოდის დღესასწაულის სახელწოდება). ყ.-ის დღესასწაული მსოფლიოს ხალხებში გავრცელებული საგაზაფხულო დღესასწაულების მსგავსი მოვლენაა. ევროპაში ამ დღესასწაულზე იმართებოდა საერთო-სახალხო კარნავალი, ღვინის სმა და თავისუფალი თავაწყვეტილი მხიარულება, ე. წ. ქუჩური ლხინი. ყ. „მასლენიცის" სახელით ფართოდაა გავრცელებული სლავურ ხალხებში. ყ. ბუნების გამოღვიძებისა და აღორძინებისადმი მიძღვნილი ხალხური დღესასწაული იყო.

ყვერული – (ქეგლ) დაკოდილი მამალი, ქათამი. „და როგორც იხვის ბჲიტებს, ყვერულს მოუსხამენ ხოლმე, დასდევს მერმე თავის შვილობილებს საქურისო ქათამთაგანი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ყვირილობა – (ქეგლ) იხ. მყვირალობა.

ყვრიმალი – (ქეგლ) ლოყის ზემო ნაწილი. „არსაკიძემ მაგრად მიიკრა ქალი და აკოცა ყვრიმალში" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ყია – (ქ. მწ.) (საბა) ყელის ყანყრატო. საყლაპავი მილი.

ყიამეთი [არაბ.] – (ქეგლ) ცუდი, საშინელი (ზამთარი, სიცივე, ღამე).

ყიამყრალი – (ქეგლ) (საუბრ.) ცუდი ავი ენის პატრონი, – ავყია.

ყიბლამა – (ქ. მწ.) კომპასი.

ყივჩაღები და ყივჩაღთა გადმოსახლება საქართველოში 1118 წ. – (ქსე) თურქულენოვანი ტომი შუა საუკ. (რუსეთში „პოლოვცებს" ეძახდნენ, ევროპაში – „კუბაებს") პირველსაცხოვრისი ვოლგის აღმ. ჰქონდათ. XI ს. შავიზღვისპირეთში გადასახლდნენ. მისდევდნენ მომთაბარე მესაქონლეობას, ცხოვრობდნენ კარვებში (იურტები). ჰქონდათ წარმართული რწმენა. გავრცელებული იყო სისხლის აღების წესი. 40 ათასი ოჯახი საქართველოში გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა ქართული ლაშქრის გაძლიერების მიზნით. ამის შედეგად დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებას მიაღწია; შემოიერთა კახეთი, ლორე, გიში, რუსთავი, სამშვილდე და სხვა. ყივჩაღები განთქმული მხედრები, მობილური და ადვილად შესანახი ხალხი იყო. დავით IV, როგორც ჩანს, ადრევე სარგებლობდა ყივჩაღთა დახმარებით. მისი მეორე ცოლი იყო ყივჩაღთა მთავრის (ხანის) ათრაქა შარაღანის ძის ასული.

საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღებს დავითმა მისცა ცხენები, იარაღი, დასებად დაჰყო, სპასალარები დაუნიშნა და შესაფერ ადგილებში – სანაპიროებში ჩაასახლა (ჰერეთი, ქვემო ქართლი, ჩრდ. სომხითი). მათგან ერთდროულად 40 ათასი მოლაშქრე გამოდიოდა. მოსაზღვრე სახელმწიფოთა რბევით ირჩენდნენ თავს. ნაწილი გაქრისტიანდა. „ახალი" დაქირავებული ყივჩაღები გიორგი III-ისა და თამარის დროსაც ჩანან. ცენტრალური ხელისუ-

ფლება მათ იყენებდა ფეოდალთა ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად. XIII ს. 30-იან წლებში ყივჩაღთა მასა მონღოლთა ლაშქარს შეერია. „შემომეყარა ყივჩაღი" (ხალხური).

ყიზილბაში [თურქ.] — (ქ. მწ.) „წითელთავა", „წითელქუდა". ასე უწოდებდნენ სეფევიდების დინასტიის დასაყრდენ თურქულ ტომებს ირანში; ქართულში სპარსელი დამპყრობლის მეტსახელადაც იქცა.

ყიზილბაშობა — (ქსე) ნადირშაჰის მიერ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი ქართლ-კახეთში 1735-1747 წ. წ.), რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი წყობილების შეცვლას სპარსულით. ნადირშაჰმა ქართველი მეფედიდებულნი პოლიტ. სარბიელს ჩამოაშორა და მმართველად გამაჰმადიანებული ქართველები დანიშნა კახეთში — ალექსანდრე ბაგრატიონი (თეიმურაზ I-ის ძმის, დავით II-ის ვაჟი), ხოლო ქართლში — ალმასხანი (ორბელიანი) და ალიყული-ხანი (ამირეჯიბი). 1741 წ. ხარკის დადების მიზნით აღმ. საქართველოში აღწერეს ყველა სოფელი და ნასოფლარი, თითოეული ძირი ხე, ვაზი, შინაური ცხოველი და მოსახლეობას შეაწერეს გადასახადი. მძიმე გადასახადის გამო მოსახლეობამ საკუთარი ნაამაგარის განადგურება დაიწყო. მძიმე გადასახადებმა მოსახლეობა საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან. გახშირდა აჯანყებები და გაქცევა-აყრა. შაჰი იძულებული გახდა ჯერ მოეცონა, ხოლო შემდეგ ხარკისაგან სრულიად გაეთავისუფლებინა კახეთი და შემდეგ ქართლი.

ყინწვისის ანგელოზი — (ქსე) ყინწვისი, სოფელი ქარელის რაიონში. სოფლიდან დაახლ. 10 კმ-ზე არის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სამონასტრო ანსამბლი, რომლის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩა XIII ს. დასაწყისში. წმ. ნიკოლოზის ჯვარ-გუმბათოვანი, გეგმით მართკუთხა ტაძარი. 12-სარკმლიანი გუმბათის ყელი. ტაძარი შიგნიდან მოხატულია ფრესკებით, მართალია, ფრესკები დაზიანებულია, მაგრამ რაც გადარჩა მხატვრული ღირსებით ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი ძეგლია. ჩრდ. კედელზე გამოსახული არიან: გიორგი III, თამარ მეფე და გიორგილაშა. საკურთხევლთან ღვთისმშობლის მონუმენტური ფრესკაა. ჩრდ. კედელზე მაცხოვრის აღდგომის კომპოზიციდან აღსანიშნავია ანგელოზის გამოსახულება. მომხიბლავია ფრესკების კოლორიტის ჰარმონიულობა. ფონისთვის გამოყენებულია მოცისფრომწ. ლურჯო ტონი, შარავანდედისათვის — ოქრო. ფიგურები პლასტიკურია, სამოსის ნაოჭები მსუბუქი, სახეები — მეტყველი. „ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და ხელდიანი, როგორც ყინწვისის ანგელოზი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ყირმიზი [თურქ.]— (ქეგლ) წითელი.

ყირამალა — (ქეგლ) თავით ძირს, თავდაყირა. ყირამალა გადატრიალდა. ყირიმალა გადადის — ყირაზე გადადის.

ყირიმი, სირიმი — (ქეგლ) ინგლისური კაჟიანი თოფი ერთგვარი (ყირიმის სახანოდან შემოჰქონდათ საქართველოში) „ძველი ფრანგული და ყირიმული ხარიხებად გადაეკეთებინათ და ზედ ბადლოები ჩამოეკიდნათ“ („ჯაყოს ხიზნები“— მ. ჯავახ.).

ყისმათი [არაბ.] — (ქეგლ) ბედი, იღბალი.

ყისტი — მუშტი, მჯიღი — ქისტი. „ყველამ წაჰკრა თითო ყისტი“ (დ. გურ.).

ყიფიანი დიმიტრი (1814-1887) — (ქ. მწ. ლექს.-ცნობ.) ლიტერატორი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს ქ. ვოლოგდაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. იყო თბილისის ქალაქის თავი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი. კავკასიის მმართველთა რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადაასახლეს სტავროპოლში და ვერაგულად მოკლეს იქვე. ამ ფაქტს დაუკავშირდა აკაკის ცნობილი ლექსი „განთიადი“. თავის დროს დ. ყიფიანი იყო ერთ-ერთი მოწინავე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, აგრეთვე მოღვაწეობდა საგანმანათლებლო ასპარეზზეც. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი და მისი პირველი თავმჯდომარე, სათავადაზნაურო ბანკის, ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების მოთავე. მან არაერთი თხზულება უძღვნა ქართული გრამატიკის საკითხებს. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. აქვს თარგმნილი შექსპირის, ვ. ჰიუგოს, მოლიერის, მიტჩილის, ბომარშეს და სხვათა ნაწარმოებები.

ყიშლაღი [თურქ.] — (უსლ) საზამთრო საძოვარი, სადგომი — სოფელი შუა აზიაში.

ყმა — (ქეგლ) 1. ბატონყმობის დროს — მემამულის (ბატონის მიწაზე მცხოვრები გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალებანი, ამუშავებდა მემამულის მიწას და აძლევდა მას ღალას. 2. ბატონყმობის დროს — ბატონის ქვეშევრდომი, ხელქვეითი, ყმა 2. რომელიმე ხატის, სალოცავის მლოცველი ფშავ-ხევსურეთში; 4. (გადატ.) მორჩილი, მსახური, ხელქვეითი. ყმად გაიხადა.

ყოლბი — (ქ. მწ.) წრე, რკალი.

ყომარბაზი [არაბ.] — (ქეგლ) ყომარი — კოჭის ან კამათლის ერთგვარი მოთამაშე ფულზე. „რაც დიდ ბაზრებში ყომარბაზობის დროს უნდა წამოგცდეს, ისე უნდა იყვირო, როგორც წყლისა და თაფლის გამყიდველები ყვირიან ქალაქში“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ყომრალი [თურქ.] — (ქეგლ) მუქი, ნაცრისფერი, რუხი, ლეგა. ყომრალი ჩოხა. ყომრალი კაცი (გადატ.). „ჩიკოტელა უხალხო, ყომრალი, ცადაღრუბლული კაცი იყო, მზვარბარი“ („ჩორიკი და ჩიკოტელა“— ვ. ლეონ.).

ყონაღი [თურქ.] — (ქეგლ) სტუმრობით დამეგობრებული პირი.

ႷႭႰႤ — (ქეგლ) ქვისა და მისთანა გროვა. უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი. „[ჩიკოტელას] სიზმრად ენახა, რომ თავის სახლის კარაპანში მარილის ქვის ყორეები ელაგა" („ჩირიკი და ჩიკოტელა" — გ. ლეონ.).

ႷႭႰႶႠႬႨ [თურქ. „კურგან" — ციხე-სიმაგრე] — (ქეგლ) მეზობლების მიწებს შორის გაკეთებული სასაზღვრო ნიშანი, ქვების გროვა მიწაში, — სამანი. 2. საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი. 3. სამარხი, მიცვალებულის დასაკრძალავი ორმო, მოედანი, ნაგებობა. გორსამარხები (ყორღანელი ველი) „ყორღანებიდან გნილი აჰრინდა, ყაბარდოს ველი გადაარა" (გ. ლეონ.)

ႷႭႩႨ {თურქ.} — (ქეგლ) დაუკოდავი მამალი ცხვარი, ვერძი, ერკემალი. 2. მოჩხუბარი, ფალავანი. „ლომიანა მამლებსა და ყოჩებს სწვრთნიდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ႷႰႫႠ — (ვაჟა) — ვაჟკაცი, ქაბუკი, რაინდი, „კაი ყმა"; 2. ყმაწვილი, ბავშვი, ყრმობა.

ႷႭႳႪႨ — (ქ.მწ.) მსახური, ღმერთის ყული, ღვთის მსახური.

ႷႭႳႪႸႨ [თურქ.] — (ქეგლ) იგივეა, რაც მარყუჟი.

ႷႭႳႰႠႬႨ [არაბ. კურან— წაკითხვა]— (ქეგლ) მუსლიმანთა რელიგიის ისლამის დოგმებისა და დებულებების „წმინდა წიგნი". ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის (მექასა და მედინაში 610-632 წ. წ.) წარმოთქმული ქადაგებანი. ისლამის თანახმად ადამიანისათვის გასაგებ ენაზე მუხამედ წინასწარმეტყველის მიერ ამეტყველებული „ალაჰის სიტყვა" მუჰამედის სიცოცხლეშივე ზეპირად გადაიცემოდა. ყ.-ის სრული ტექსტი პირველად მუჰამედის სიკვდილის (632 წ.) შემდეგ ჩაწერეს, იმის გამო, რომ იმდროინდელ არაბულში დიაკრიტიკული ნიშნები არ იყო და ხმოვნები არ იწერებოდა, ყურანის სწორი წაკითხვა სადავო გახდა, ტექსტის სტრუქტურა, ორთოგრაფია და კითხვის წესი საბოლოოდ დააკანონა 1032 წ. კაიროს გამოცემამ. ტექსტში შევიდა 114 გამოცხადება —სურა (თავი). „ღმერთმანი ტყუილია! ყურანის მადლს ვფიცავ ტყუილია-მეთქი" („მართალი აბდულა" — მ. ჯავახ.).

ყ. შინაარსობრივად შეიცავს ლოცვებს, შელოცვებს, წყევლას, ესქატოლოგიურ („წინასწარმეტყველებას ქვეყნის აღსასრულის" შესახებ) სურებს, ძვ. იუდაისტური და ქრისტიანული მითოლოგიიდან ნასესხებს; მასალებს არაბული ფოლკლორიდან, ოჯახთან, ქორწინებასთან, დამნაშავის დასჯასთან, ომის ნადავლის განაწილებასთან და სხვა ვალდებულებებს, რომლითაც დააკანონეს სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა, ქალის არათანასწორუფლებიანობა.

ყ.პირველი პროზაული წერილობითი ძეგლია არაბულ ენაზე. სურები შედგენილია გარითმული პროზით. ადრეული ქადაგებები ლირიკულია და დიდი როლი ითამაშა ერთიანი არაბული ენის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაზე. ყ.-ს ახლავს კომენტარები ორაზროვანი სიტყვებისა და გაუგებარი მოვლენების ასახსნელად.

ႷႭႳႰႶႠႬႨ — იხ. ყორღანი.

შ

შავი ჭირი — იხ. ჟამი

შავრაზმელი — (ქეგლ) მეფის რუსეთში — უკიდურესი რეაქციონერი, შოვინისტი, მონარქისტი.

შავშეთი — (ქსე) მხარე, ისტ. სამხრ.-დას. საქართველოში (ახლა თურქეთის ტერ.-ია). შემოსაზღვრული არსიანის მთით არტანუჯის კლდის მასივით და მდ. ჭოროხით. სახელწოდება შ. მოდის ამავე დასახელების დაბიდან, რომელიც მისი ადმინდ. ცენტრი იყო.

შათირი — (ქეგლ) [არაბ.] (ძვ.) იგივეა რაც შიკრიკი, იურინდა.

შაირი [არაბ.]— I. თექვსმეტმარცვლიანი ოთხტაეპიანი ლექსი. (იხ. ქართული ლექსი).

შაკიკი [არაბ.] — (ქეგლ) თავის ერთი მხარის დროგამოშვებითი ტკივილი, გამოწვეული ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით. შაკიკის შელოცვა.

შალვა ქსნის ერისთავი — (ქსე) ქსნის საერისთავოს ერისთავი. კახეთის აჯანყების (1659 წ.) ერთ-ერთი მეთაური აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ქვეყნისათვის მტრის ახალი შემოსევა რომ აეცილებინა შ. ქ. ე.-მა ბიძინა ჩოლოყაშვილთან და ელიზბარ ერისთავთან ერთად სპარსეთის შაჰს ეახლა. შაჰმა ისინი განჯის ხანს გადასცა: განჯის ხანმა კი იმ თურქმანულ ტომებს, რომლებიც კახეთის აჯანყების დროს ამოწყვიტეს. ქართულმა ეკლესიამ ქართველი გმირები წმინდანებად შერაცხა. შ. ქ. ე. დაკრძალულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში — იკორთის მონასტერში. „ელიზბარ, შალვა, ბიძინა, მტრისაგან დატანჯულები" („ხოდღესრძელო"—გრ. ორბ.).

შამანი [ფრ.] — (ქეგლ) ზოგ ხალხებში მკურნალ-ჯადოქარი, რომელიც თითქოს სულების დახმარებით კურნავს ავადმყოფებს.

შამბი — (ქეგლ) მაღალი და მსხვილი ბალახი.

შამილი — (ქსე) (1797-1871) კავკასიის მთის (დაღესტანი, ჩაჩნეთი) ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაური (1834-1859). დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო მუსლ. სას. პირებისაგან. იყო მჭევრმეტყველი, ნიჭიერი და მამაცი ადამიანი. XIX ს. 20-იან წლებში შ. ჩაება ჩრდ. კავკასიაში ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. იყო ღაზი — მაჰომედის და ჰამზატ-ბეგის თანამებრძოლი. 1834 წ. მთიულებმა იმამად აირჩიეს. შ.-მა შექმნა სამხედრო-თეოკრატ. სახელმწიფო-იმამატი (1841 წ.). შ. აერთიანებდა სამოქალაქო და სასულიერო ძალაუფლებას. სახელმწიფოში ადათური სამართალი შეცვალა შარიათმა. სახელმწიფო ენად ითვლებოდა არაბული. რეზიდენცია იყო აული ახულგო, რომელიც მეფის ჯარებმა დიდი მსხვერპლის ფასად 1839 წ. აიღეს. შ. ჩეჩნეთში გადავიდა. მას მიემხრო ჰაჯი-მურატი — ავარიის ყოფილი მმართველი (1850 წ. მისმა ჯარებმა გაძარცვეს წინანდალი ტყვედ წაიყვანეს ალ. ჭავჭავაძის გაჟი დავითი): მაგრამ რუსთა რეგულარული ჯარების მოახლოებისთანავე უკან დაიხიეს და დაღესტანს დაუბრუნდნენ.

შ. ცდილობდა კავშირი დაემყარებინა

ოსმალეთთან, ინგლისთან, მაგრამ უშედეგოდ. ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ მეფის ჯარებმა შ. სამი მხრიდან შეავიწროეს. 1859 წ. 25 აგვისტოს დაატყვევეს. იმამატმა არსებობა შეწყვიტა. შ. ოჯახითურთ კალუგაში გადაასახლეს. 1870 წ. მას ნება დართეს მექაში გამგზავრებულიყო. გარდაიცვალა ქ. მედინაში (არაბეთი). „ალექსანდრე მუდამ გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს თავის ნამდვილ შვილს შამილს და ღრმად სწამდა, რომ ეს ნაზი ოდესმე უკუაგდებდა ძალიან შორს წამოსულ რუსებს" („არსენა მარაბდელი"–მ. ჯავახ.).

შანა – (ქეგლ) (ძვ.) რაიმე ნივთი (უპირატესად ლითონისა), რომელსაც შეულოცავენ ხოლმე და ყელზე (ან მაჯაზე) აბამდნენ ავი თვალისაგან დასაცავად.

შანდალი [არაბ.-სპ.] – (ქეგლ) სანთლის ჩასადგმელი, სასანთლე. „ფიქრიამ ორი ხუთსანთლიანი შანდალი აანთო, ბაზმახთაც მოუკიდა" („არსენა მარაბდელი"– მ. ჯავახ.).

შანთი – (ქეგლ) სხეულის ამოსაწვავი, დასადაღავი, გახურებული რკინა.

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე – (ქსე) (1887-1987) აკადემიკოსი, ქართ. მეცნიერების დამს. მოღვაწე. სომხეთის მეცნ. დამსახ. მოღვაწე. პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აკადემიკოსი, შილერის სახ. იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ინგლ. „ფილოლოგთა საზოგადოების" საპატიო წევრი, საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ.-ის თავ.-რე და ვიცე-პრეზიდენტი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1913 წ.). იქვე დატოვეს ფილოლოგიის კათედრაზე. შ. თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. სხვადასხვა დროს იყო უნ.-ტის სომხური და ქართული ენის კათედრის გამგე, ძვ. ქართული ენის კათედრის გამგე. ი. ყიფშიძესთან და გ. ახვლედიანთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს.

შ.-ის ნაშრომები შეეხება ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტ. ქართული დიალექტოლოგიის, ქართული ლექსიკოლოგიის, ტექსტოლოგიის, ეპიგრაფიკის, ფოლკლორისტიკის, რუსთველოლოგიის, არმენისტიკის, ალბანოლოგიისა და სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემატიკას. მისმა მონოგრაფიამ „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში" (1920 წ.), საფუძველი ჩაუყარა ქართული ზმნების ბუნებისა და აგებულების ახალი თვალსაზრისით შესწავლას. ამას მოჰყვა გამოკვლევები, რომლებშიც გამოვლენილი და დადგენილია ზმნის რამდენიმე ახალი, მანამდე უცნობი კატეგორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფუძემდებლური ნაშრომები „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის" (1924 წ.), „ქართული ზმნის საქცევი" (1927 წ.), „ქართული გრამატიკა, მორფოლოგია" (1930 წ.), რომელიც წარმოადგენს ახალი ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკას. მან დიდი როლი შეასრულა ახალი სალიტერატურო ქართულის მყარი საფუძვლის შექმნისა და შემდგომი

კვლევის საქმეში. შ.-მ ახ. ნიადაგზე დააფუძნა ძვ. ქართ. ენის წერილობითი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციის საქმე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენა-გამომზეურება. ქართული ბიბლიური ტექსტების, ქართული ოთხთავის რედაქციების აკად. გამოცემა და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის შ.-ს „მეფუხისტყაოსნის" ტექსტის დადგენაში, აგრეთვე ქართული დიალექტოლოგიის განვითარებაში. მისმა კაპიტალურმა წიგნმა „ქართული ხალხური პოეზია — ხევსურეთი" სათავე დაუდო ქართ. მეცნ. ფოლკლორისტიკას. 1939 წ.-დან საშუალო სკოლებში ისწავლება შ.-ის შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა" წლების მანძილზე იყო თანამედროვე ქართ. სალიტერ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სამეცნიერო კადრების აღზრდაში.

შანტაჟი [ფრ.] — (ქეგლ) სახელის გამტეხი ფაქტების (ნამდვილის თუ მოგონილის) გამჟღავნების მუქარა (რამე სარგებლობის მიღების მიზნით).

შარბათი — (ქ. მწ) ტკბილი წვენი, ყაყინი.

შარადა — (ლიტ. თეორ.) ისეთი გამოცანა, რომელიც აგებულია სიტყვის ბგერობრივი და შინაარსეული გააზრების ორმხრიობის პრინციპზე. შ. უპირატესად ემყარება სიტყვების თამაშს და უახლოვდება კალამბურს. შ. შეიძლება იყოს როგორც ლექსითი, ასევე პროზაული.

შარავანდედი — (ქეგლ) (ძვ.) 1. სხივი, შუქი, ბრწყინვალება ნიმბი. 2. სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა (საბა). „შარავანდედიანი ბახილი კეისარი კლიტეებზ აბარებდა აღმოსავლეთის მოსაქცევად წარგზავნილ წმ. მამებს" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

შარლატანი [ფრ.] — (ქეგლ) მცოდნედ, სპეციალისტად თავის გამსაღებელი, უვიცი, მატყუარა, გაიძვერა.

შარნა — (ქართ. კილ.-თქმ. სიტყვკონა) (გურ., იმერ., ლეჩხუმ.) ნიშანი ვაჟის მიერ საცოლისათვის მირთმეული საჩუქარი ნივთი. „[მაჭანკალმა] ნამალევათ შორიდან დაანახა ქალი, მოაწყო „ქალის ნახვა" და მიაცემინა შარნა („თავხაფრიანი დედაკაცი" — ნ. ლორთ.).

შარჟი — (ლიტ. თეორ.) ადამიანის სახის მიმსგავსებული, მაგრამ დამახინჯებული გამოხატვა, სასაცილო იერის მიცემა მისი ტანადობისა და სახის მოყვანილობისათვის. პიროვნების რომელიმე მხარის მიმსგავსებული დახატვის მეოხებით მაყურებელი იცნობს თუ ვისი სახეა გამოხატული.

შატბერდი — (ქსე) შუა საუკ. ქართული კულტურის უმნიშვნ. კერა (ე. წ. „საქართველოს სინა"). რელიგიური ცენტრი — მონასტერი ისტ. სამხ.-დას. საქართველოში, კლარჯეთში (ახლ. თურქ. ტერიტ.). მეცნიერებაში შ.-ის ლოკალიზაციის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. აკადემიკოსმა ნ. მარმა შ.-ად მიიჩნია ართვინის ვალაიეთის სოფ. ფორთაში არსებული გუმბათოვანი ტაძარი, თუმცა სხვა მეცნიერებმა

იგი ხანძთის ტაძრად მიიჩნიეს. შ.-ის მონასტერი დააარსა გრ. ხანძთელმა (IX ს. II ნახ.). აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: სოფრომ შატბერდელი, გაბრიელ შატბერდელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე ბერაი, დავით და იოანე ჯიბასძენი და სხვები. ჩვენამდე მოღწეულია შ.-ში გადაწერილი ე. წ. შ.-ის კრებულები (X ს. 70-იანი წლები). მასში მოთავსებულია ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ოდიშის ოთხთავი (897 წ.), ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.), პარხლის ოთხთავი (973 წ.), უდაბნოს მონასტრის მრავალთავი (X ს.).

შაური — (ქ. მწ.) აბაზის 1/4.

შაქი — (ქეგლ) შიშაგი — დედალი ცხვარი „ვიდრე ერთს გამოწველიდეს დედა, რომელიმე თოხლი შეუვარდება ჯიქანში შაქს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

შაჰი — (ქსე) მონარქის, მეფის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანასა და ინდოეთში. ტიტული პირველად სასანიანთა სახელმწიფოში გამოიყენეს.

შაჰ-ნავაზი — ქართლის მეფე ვახტანგ V. „ქართლის მეფე ვახტანგი, შაჰნავაზად წოდებული, გადაიწვიეს რომ მისი შვილი არჩილი იმერეთის მეფედ დაესვათ“ („ბაში-აჩუკი“ — აკ. წერ.).

„შაჰნამე“ — (ქსე) „მეფეთა წიგნი“, ძვ. ირანელ მეფეთა ისტ. ქრონიკების, ეპიკური თხზულებების, მითოლოგიური გადმოცემებისა და ლეგენდების კრებული (იხ. ფირდოუსი).

შეგირდი — (ქეგლ) იგივეა, რაც მოწაფე. „დიდოსტატის მარჯვენაში“ დაპირისპირებულია უპრინციპო და უსამშობლო ფარსმანი და ტალანტიანი არსაკიძე, მისი შეგირდი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

შედარება — (ანდ. ქილ.) გამოსახვის სტილისტიკური ხერხი მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი ფორმა. შედარება ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია, შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან შინაგანად დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე. ყოველ შედარებაში შესადარებელი დახასიათებულია შედარებულის თვისებებით. შედარების მხატვ. ფუნქციაა საგანი, მოვლენა, ადამიანის სახე, ცხოვრების სურათი თვალსაჩინოდ დაგვიხატოს. „ყმაწვილი ქალი ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით“ (ი. ჭავჭ.) შედარების კლასიკური ნიმუშია ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მყინვარისა და თერგისა, გოეთესი და ბაირონისა, დღისა და ღამისა („ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა“). შედარება ორგვარია: 1. მარტივი, რომელიც ერთს შედარებულსა და შესადარებელს გულისხმობს: „ხანდისხან ცის ელვა და ფერი მწუხარე იყო ვით შემოდგომა“ (გ. ტაბ.); 2. გაშლილი, ორმხრივი, რითაც საგნის თუ მოვლენის სრული დახასიათებაა წარმოდგენილი. „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“ (შ. რუსთ.).

შედევრი [ფრ.] – (ქეგლ) სანიმუშო ნაწარმოები, ხელოვნების ოსტატობის უდიდესი მიღწევა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის, არამედ საერთოდ აგიოგრაფიული ჟანრის ხასხულიერო მწერლობის შედევრია" („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"– სახკ. გამოცემა).

შედლუხი – (ქეგლ) [თურქ.] თოფის ხშირი საზეიმო სროლა.

შეზარხოშება – (ქეგლ) სასმელისაგან კარგ გუნებაზე დაყენება, გამხიარულება.

შეთქმულება 1832 წლისა – (ქსე) ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. შეთქმულების იდეა მომწიფდა პეტერბურგში მყოფ ქართველ ბატონიშვილთა წრეში 1025 წ. მისი პირველი თაოსნები იყვნენ: დიმიტრი ბატონიშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ერისთავი, დავით ჯორჯაძე, დიმიტრი ერისთავი, გახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი. 1026 წ. შეთქმულთა მეორე უჯრედი ჩამოყალიბდა მოსკოვში, სადაც ცენტრალური ფიგურა იყო ოქროპირ ბატონიშვილი. 1027 წ.-იდან შეთქმულების ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა და მასში ჩაბმული აღმოჩნდა საქართველოს დედაქალაქის მოწინავე თავადაზნაურული ინტელიგენცია (გ. ერისთავი, გ. ორბელიანი, ა. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, თ. ამილახვარი, მ. და ლ. ორბელიანები, გ. ავთანდილაშვილი, ი. ფალავანდიშვილი, თამარ ბატონიშვილი და სხვ.), აგრეთვე რუსი მოხელეები დ. პაუშენკო, მელნიკოვი, საფრ. საკონსულოს მდივანი ლეტელიე. შეთქმულთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა დიდ ქართველ განმანათლებელს ს. დოდაშვილს. თვალსაჩინო ფიგურა იყო მღვდელი ფ. კიკნაძე, – ფარული საზოგადოების წესდების, – „აკტი გონიერის" ავტორი. თანდათანობით შეთქმულებაში ჩაებნენ თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები საქ-ოს სხვადასხვა კუთხიდან. 1020-1831 წ.წ. ინტენს. მზადების პერიოდში შეთქმულნი აზუსტებდნენ შეიარაღებული გამოსვლის პროგრამას; მათ ჰქონდათ წერილობითი კოდი, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. შეთქმულების მონაწილეთა იდეოლოგია უფრო ზომიერი იყო და სოც. სფეროში არსებით ცვლილებებს არ ითვალისწინებდა. მემარცხენე ფრთას სურდა საშინაო საკითხებში დამოუკიდებელი საქ-ლო, რომლის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია პარლამენტური იქნებოდა.

შეთქმულთა ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა ს. დოდაშვილი ყველაზე რადიკალურად იყო განწყობილი. იგი მონარქიზმს და ბატონყმობას ბოროტებად თვლიდა და საქ-ოს პროგრესს დემოკრ. ყაიდაზე მის გარდაქმნაში ხედავდა. რუსეთთან დამოკიდებულების საკითში შეთქმულთა არც ერთი ფრთა სეპარატიზმს არ გამოხატავდა. მათი იდეალი იყო გეორგიევსკის 1703 წ. ხელშეკრულების ზუსტი დაცვა.

შეთქმულთა იდეების პროპაგანდა მიმდინარეობდა საიდუმლო შეკრებებზე, ლიტ. სალონებში. დიდ როლს ასრუ-

ლებდა ჟურნ. „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“. აქ დაიბეჭდა გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“, რომელიც ხალხს სამშობლოს გამოხსნისათვის ბრძოლაში თავგანწირვისთვის განაწყობდა; აქვე უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ცენზურამ დააკავა გ. ორბელიანის ლექსი „გიგი ამილახვრის აღსარება“. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები იდეურად ამზადებდა ქართველ საზოგადოებას ეროვნ.-განმათავ. ბრძოლებისათვის.

გამოსვლის დღედ შეთქმულებმა დათქვეს 20 ოქტომბერი, თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევის დღე. მათ იმედი ჰქონდათ რომ, მთავრობა ზამთრის პირობებში კავკასიაში დამატებითი ჯარების გამოგზავნას ვერ მოახერხებდა. შემუშავდა პრაქ. მოქმედების გეგმა — „პირველი ღამის განკარგულება“. მაგრამ თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევა გადაიდო, შეთქმულნიც არ აღმოჩნდნენ ჯეროვნად მომზადებულნი და ამის გამო გამოსვლის თარიღმა ერთი თვით გადაიწია. 1832 წ. 9 დეკემბერს შეთქმულება გასცა მისმა ერთმა მონაწილემ ი. ფალავანდიშვილმა. 10 დეკემბერს მთავარმართებლის — ბარონ როზენის განკარგულებით შეთქმულების მთავარი მონაწილენი დააპატიმრეს. მეფის მთავრობამ დანიშნა საგამოძიებო კომისია, რომელმაც 1833 წ. სექტემბერში დაასრულა მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში დაპატიმრებულნი ავლაბრის ყაზარმებში ჰყავდათ გამომწყვდეული. შეთქულების 145 მონაწილე საგამომძიებო კომისიამ 10 კატეგორიად დაყო. პირველ 3 კატეგორიას, როგორც თაოსნებსა და აქტ. მონაწილეთ ყველაზე მკაცრი სასჯელი ელოდა. 1834 წ. 10 თებერვალს სამხ. სასამართლომ თბილისში ყველა ბრალდებული პეტრესბურონდელი „სამხედროს წესების“ მიხედვით გაასამართლა. 13 მთავარ დამნაშავეს (ელ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, დ. ერისთავი, ნ. ორბელიანი, დ. ორბელიანი, მოლა ზამანი, მ. ორბელიანი, დ. პუშენკო, ვ. ორბელიანი, ს. რაზმაძე, ი. ერისთავი, ზ. ჩოლოყაშვილი) „თხად განკვეთა“ მიესაჯა.

ნიკოლოზ I-მა, რომელიც ანტიმონარქიული შეთქმულების ყველა მონაწილეს უმკაცრესად უსწორდებოდა, ამჯერად მიზანშეწონილად სცნო სასჯელის შემსუბუქება. ამას უკარნახებდა კავკას. მთიელებთან რთული საბრძოლო ვითარება, ევროპის საზ.-ვი აზრი და კოლონ. პოლიტიკის პერსპექტიული გეგმები. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ შეთქმულთა ერთსულოვნებისა და მკაცრი კონსპირაციულობის გამო საგამოძიებო კომისიამ ვერ შეძლო დაესაბუთებინა შეთქმულების ანტიმონარქისტული, კავკასიაში რუს. მულობელობისათვის საშიში ხასიათი; მთავარ დამნაშავეს სიკვდილით დასჯა რუს. გუბერნიებში სხვადასხვა ვადით გადასახლებით შეეცვალათ.

შეთქმულთათვის ყველაზე მტკივნეული იყო აჯანყებაში ხალხის მონაწილეობის პრობლემა. მათ სურდათ თავიანთი ყმა გლეხები გამოეყვანათ მეფის ჯარების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ძალები, რომელთაც არაფერი იცოდნენ შეთქმულთა განზრახვის შესახებ, არ იყო საიმედო.

1832 წ. შეთქმულება ვერ განხო-

რციელდა, მაგრამ ქართ. საზ.-პოლიტ. მოძრაობის კულტ. ისტორიაში მას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ის იყო ქართველი ხალხის ეროვნ.-განმათავის. ბრძოლის პირველი ეტაპის მნიშვნელოვანი მოვლენა. ისევე როგორც რუსეთში თავადაზნაურული რევოლუციონერების — დეკაბრისტების აჯანყებამ, ქართველ თავადაზნაურ-რევოლუციონერთა შეთქმულებმა სათავე დაუდო ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნ.-განმათ. მოძრაობას საქ.-ში. მასში ჩაბმული იყო XIX ს. 30-იანი წლების საქ.-ის მოაზროვნე თაობა, ჩვენი ქვეყნის ყველაზე სასიქადულო მოღვაწენი. შეთქმულების იდეოლოგიით იყო გამსჭვალული პოეტ ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. შეთქმულების იდეოლოგია ასაზრდოებდა მომდევნო თაობასაც; იგი გააგრძელა, ახალ დონეზე აიყვანა და ხალხის მასების მისწრაფებებს დაუკავშირა ეროვნ.-განმათავ. მოძრაობის მესვეურთა ახალმა თაობამ — „თერგდალეულებმა“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით.

ШЕИДИШИ

შეიდიში — (ქეგლ) ქალის აბრეშუმის გრძელი ქვედა საცვალი, რომელსაც ბოლოები მოქარგული ჰქონდა (იხ. საწმერთული). „იმის ქვეშით შეიდიში კოჭამდე დაუშვენა“ („არსენას ლექსი“— ხალხ.).

შეიხი [არაბ. მოხუცი, უხუცესი] — (ქსე) მომთაბარე არაბებში გვარის, ტომის ან ტომთა კავშირის მეთაური, წინამძღოლი. მუსლიმანურ ქვეყნებში შ.-მა საერთოდ პატივსაცემი კაცის მნიშვნელობა მიიღო. შ.-ს უწოდებდნენ სას. მეთაურებს, სწავლულებს, მუსლიმან კანონმდებლებს, ღვთისმეტყველებს. შ.-ებად იწოდებიან აგრეთვე მუსლ. სექტების ხელმძღვანელები, დერვიშთა ორდენების მეთაურები. არაბეთის ნახ.-კ.-ლისა და სპარსეთის ყურის რაიონში შ.-ს ეძახიან წვრილი სამთავროების მმართველებს.

შელი პერსი ბიშ (1792-1822) — (ქსე) ინგლისელი პოეტი. დაიბადა ბარონეტის ოჯახში, სწავლობდა იტონის არისტოკ. კოლეჯში, შემდეგ ოქსფორდის უნ.-ტში, საიდანაც მალე გარიცხეს რადიკალიზმისა და ათეიზმისათვის. 1818 წ.-იდან ოჯახური დრამის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა ინგლისი და იტალიაში დასახლებულიყო, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა ზღვაში ქარიშხლის დროს. იტალიაში იგი დაუმეგობრდა ბაირონს, რომელთანაც პოეტურ პაექრობაში ბევრი შესანიშნავი ლექსი დაწერა. შ.-მ შექმნა მეტად საინტერესო პოლიტ. ლირიკა „ოდა თავისუფლებას“ (1820 წ.), „ელინები“ (1821 წ.) და სხვა. ბაირონთან ერთად დაიწყო ახალი ეტაპი ინგლისურ პოეზიაში. პლატონის ფილოს. გავლენით მთავარ რეალობად აცხადებდა სულიერს, ინტელექტუალურს, უმაღლეს ჭეშმარიტებად — სილამაზეს, პანთეისტური პოზიციებიდან იცავდა „წმინდა ათეიზმს“. ღრმა ლირიზმითაა გამსჭვალული მისი სამიჯნურო ლირიკა („სიყვარულის ფილოსოფია“ 1819 წ., „საქორწინო სიმღერა“ 1821 წ., „ჯეინს“ 1822 წ.). შ.-ის პოეტური კრედო კარგადაა გადმოცემული პოემაში „ალასტორი ანუ მარტოობის სული“. შ.-ის

შემოქმედებას საქართველოში ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაეცნენ. ირ. ევდოშვილმა თარგმნა მისი „ოზიმანდია“ (1904 წ.) და „სიმღერა ინგლისელებს“ (1905 წ.), რ. ბერიაშვილმა „ტოროლა“ და „ზღვის პირას“ მოგვიანებით გ. გაჩეჩილაძემ „ოზიმანდია“, „მშვიდობის ღამე“, „დღე ხვალინდელი“ და სხვა. პიესა „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930 წ.) დადგა კ. მარჯანიშვილმა, ხოლო 1936-1937 წ.წ. ვ. აბაშიძემ.

შელოცვა — (ქეგლ) სიტყვები, რომლის წარმოთქმაც თითქოს განდევნის, დათრგუნავს ავ სულს და ავადმყოფს გამოაჯანსაღებს. „შელოცვა რადიოთი“ — ნ. ლორთქიფანიძე.

შენარაზედა — (ქ. მწ) (ხელოვნური ფორმა) ჩარაზულია. „ხად ხიმართლე მისგან შენარაზედა“.

შენამსჭვალები — (ქ. მწ) გამსჭვალული. „აგრეთვე გულიც მხოლოდ მისა შენამსჭვალებო“ (ნ. ბარ.)

შენგელაია დემნა — (ქსე) (1896-1980) ქართველი მწერალი. საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969 წ.). მისი პირველი დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო რომანი „სანავარდო“. რომანი „ბათა ქექია“ მოიცავს ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას ბატონყმობის გადავარდნიდან XX ს. 20-იან წლებამდე. ბათა ქართული გლეხის ტიპური, ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო სახეა. მასში შერწყმულია მძიმე ცხოვრებასთან ჭიდილში გამომუშავებული სიბრძნე და ეშმაკობა, ცოცხალი ჭკუა, ოპტიმიზმი, მახვილგონიერება, სიცოცხლის მძაფრი სიყვარული და გმირული სული. ქართული ანდაზების, იდიომების, ხალხური იუმორის გამოყენება რომანს უაღრესად ეროვნულ ხასიათს ანიჭებს. ფერწერული სახეები, სიტყვის რიტმული ფენომენი, ფრაზისა და პასაჟების შინაარსის გამძაფრება, ხალხური მეტყველების უმდიდრესი სალაროს შემოქმედებითი ფლობა ქმნის შ.-ს მაღალმხატვრული სტილის საფუძველს. „დემნა შენგელაიას მოთხრობაში გადმოცემულია სამოქალაქო ომის აუღელვებელი ეპიზოდები“ (სახელით სახ.-ლიო).

შეპოლოკებული — (ქეგლ) (კუთხ.) ერთმანეთზე უხეიროდ შედგმული; შესკუპებული, ბიჯგებზე შედგმული. „ამ ლაპარაკით გადმოვიდა ბოსტნიდან (ეკვირინე), დაეშვა ქვევით და, ბოჯგებზე შეპოლოკებულ პატარა მოწნულს რომ მიუახლოვდნენ თქვა: — ეს სასიმინდეა, შვილო“ („ქამუშაძის გაჭირვება“ — დ. კლდ.)

შერისხვა — (ქეგლ) გაწყრომა, გაჯავრება, დაწყევლა, შეჩვენება.

შესაქმე — (ქ. მწ) დაბადება. „შესაქმე ფრთხილად უშვებს გაურკვეველ სიმრავლეს ღვთაების წიაღში“. „უეცრად ეხდება ფარდა შესაქმის მეხამე თავის შებურვილ აზრს“ („ჩაკლული სული“ — გრ. რობ.).

შესმენა — (ქ. მწ) დაბეზღება. „შესმენილ იქმნა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფეთმეფის წინაშე ხუროთმოძღვართუხუცესი ფარსმან სპარსი“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

შესმენილი — (ქეგლ) 1. შეგნებული, გაგებული, მიხვედრილი. 2. შეწყნარებული, მიღებული. თხოვნა შესმენილ იქნა.

შესხმა — (ქ. მწ) ხოტბა.

შეურაცხი — (ქ/მწ) არადმსაგდები, უბრალო „სამოხელი იგი შეურაცხი ემოსა მოხუცებულსა მას" (გრ. ხანძთელი)

შეურობა, შეურობილი — (ქ/მწ) შეწუხება, შეწუხებული.

შექსპირი უილიამ (1564-1616)— (ქსე) ინგლისელი დრამატურგი, პოეტი. საფუძვლიანი განათლება მიუღია სტრეტფორდის ერთადერთ კლასიკურ სასწავლებელში. 18 წლისამ ცოლად შეირთო 7 წლით უფროსი ქალი ან ჰეთუეი, რომელთანაც სამი შვილი ეყოლა. 1585 წ. შ.-მა მიატოვა ოჯახი და ლონდონს გადასახლდა (ერთ-ერთ მოხეტიალე დასს გაჰყვა). 1590-იან წლებში მოღვაწეობდა ლონდონის თეატრალურ დასში მსახიობად და დრამატურგად. სიცოცხლის უკანასკნელი 4 წელი შ.-მა კვლავ სტრატფორდში გაატარა.

შ.-ის ადრინდელი შემოქმედების წამყვანი ჟანრი პოეზია იყო. ინგლისელები შ.-ს დღესაც უდიდეს პოეტად მიიჩნევენ. მისი „სონეტები" მსოფლიო პოეზიის საგანძურშია შესული. სონეტები გამოხატავს შ.-ის მსოფლმხედველობას და მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ თავისებურებებს წუთისოფლის სიმოკლისა და მარადისობის, სილამაზის ფარდობითობისა და მარადიული მშვენიერების, ვერაგობისა და სიყვარულის მუდმივ ურთიერთჭიდილს.

შ.-ის შემოქმედება სამ პერიოდად იყოფა. I პერიოდში დაიწერა „ჰენრი მეექვსე", „შეცდომათა კომედია", „რიჩარდ მესამე", „ჭირვეულის მორჯულება", „რომეო და ჯულიეტა", „ჰენრიხ მეოთხის", II ნაწილი, „უინძორელი მხიარული ქალები", და სხვა. II პერიოდში ე. წ. დიდი ტრაგედიები: „იულიუს კეისარი", „ჰამლეტი", „ოტელო", „მეფე ლირი", „მაკბეტი", „ანტონიუსი და კლეოპატრა"; III პერიოდში: „ზამთრის ზღაპარი", „ქარიშხალი".

ისტორიული პიესებიდან გამოირჩევა „რიჩარდ მესამე". „რომეო და ჯულიეტა"მსოფლიო ლიტერატურაში სიყვარულის უძლეველობისა და მარადიულობის აპოთეოზადაა მიჩნეული. გადმოცემულია ახალგაზრდა მიჯნურთა ღრმად გააზრებული, გაცნობიერებული სულიერი ტანჯვა. გარეგანი ფაქტორები ხელს უშლის და ელობება მათ სიყვარულს.

ჰამლეტური პრობლემა შ.-ის შემოქმედების ცენტრალურ პრობლემადაა აღიარებული. ამ ტრაგედიაში ყველაზე ღრმად აისახა შ.-ის ჰუმანისტური მსოფლაღქმა. ადამიანის ძალისა და ინტელექტუალური შესაძლებლობისადმი რწმენა და ამასთან, ადამიანის გარკვეული შეზღუდულობა. „ჰამლეტი" ყველაზე სრულად, ამომწურავად გამოხატავს შ.-ის ჰუმანიზმს. დიდ ფილოსოფიურ განზოგადებას აღწევს შ. „მეფე ლირში", სადაც კვლავ ჩნდება განსჯისა და ანალიზის თემა.

შ.-ის შემსწავლელი მეცნიერება ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი უბანია. შ.-ის სცენაზე წარმოდგენის ისტორიაც თეატრალური ხელოვნების უმდიდრეს ფურცელს წარმოადგენს. საქართველოში შ. იცნობენ XIX ს. დასაწ.-დან. პირველად მას თარგმნიდნენ რუსულად (გ. ერისთავი,

ლ. არდაზიანი). ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილმა „მეფე ლირმა“ საფუძველი ჩაუყარა შ.-ის ქართულად თარგმნის კლასიკურ ტრადიციას. ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილმა ტრაგედიებმა ქართული ლიტ.-ული აზროვნების, სტილის დახვეწილი მთარგმნელობითი პრინციპი დანერგა.

შ.-ის წარმოდგენა ქართულ სცენაზე დაკავშირებულია ლ.მესხიშვილთან, კ. მარჯანიშვილთან. შ.-სეული სპექტაკლები შექმნეს ქართულ თეატრში უ. ჩხეიძემ, ვ. ანჯაფარიძემ, ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, რ. სტურუამ, რ. ჩხიკვაძემ.

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ [ლათ. საკრამენტა] — „უფლისაგან დაწესებული“ საკულტო მოქმედებანი ქრისტ. ეკლესიაში. იხ. ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სანანული (აღსარება), მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა. (რწმენა, ღმერთები) 1.„[დედაკაცების პასუხით] დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას“ („ხევისბერი გოჩა“ — ალ. ყაზბ.).

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ — 1. ეგვიპტის დიდი პირამიდა; 2. ალექსანდრიის შუქურა; 3. ბაბილონის დაკიდებული ბაღები; 4. როდოსის კოლოსი; 5. მავზოლუსის აკლდამა ჰალიკარნასში; 6. არტემიდეს ტაძარი ეფესოში. 7. ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში. „პირამიდებზე წარწერა ამოიკითხა ფარხაანმა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲨᲘᲑᲐᲥᲘ — (ქეგლ) შარდის სადენი ხის მილი, აკვანში გასაკეთებელი.

ᲨᲘᲑᲘ — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც ძეწკვი ვერცხლის ან ოქროსი. 2. გოდრის, საბძლის, ლობის და მისთ. თავზე გადასაგლები წნული სიმტკიცისათვის. 3. ქსოვილში გაყოლებული წნული ჭრელი ზოლებად. შიბები ფარდაგის თავსა და ბოლოში, წნულის სახის ნაკერი ტანსაცმელზე, ქუდზე. შიბებით შემკული გულისპირი, თუშური ქუდი. 4. კლდის წიბო. „მოყმემ თქვა პირშიშველამა — შიბნ გავიარე კლდისანი“ („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ — ხალხ.).

ᲨᲘᲚᲔᲠᲘ ᲘᲝᲰᲐᲜ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ (1759-1805) — (ქსე) გერმანელი დრამატურგი, პოეტი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, გერმანული კლასიკური ლიტ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა შექსპირის დრამატურგიამ. მის პირველ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს ქარიშხლისა და შეტევის“, თავისუფლების პათოსი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი. იმავე იდეებს მიჰყვება დრამა „ყაჩაღები“, რომელმაც დასაბამი მისცა ლირიკულად მძაფრ, პოლიტიკურად მიზანდასახულ ახალ ტიპს დრამატურგიაში. განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა დრამას „ვერაგობა და სიყვარული“.

ვაიმარში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით დაიწყო შ.-ის შემოქმედების ახალი ეტაპი. 1700 წ. გაიცნო გოეთე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შ.-ის ესთეტიკური მრწამსის დადგენაზე. შ-მა განიცადა კანტის ფილოსოფიური გავლენა („ვალენშტაინი“, „მარიამ სტიუარტი“, „ორლეანელი ქალწული“, „მესინელი სარძლო“, „ვილჰელმ

ტელი") შ-მა შექმნა დრამის განსაკუთრებული სახე — აშკარად დემოკრატიული და ამაღლებული, ღრმად იდეური და პათეტიკური; ოსტატურად შეათავსა ფილოსოფიური, სოც.-პოლიტ. აზრი და ემოციურობა.

შ.-ის დრამატურგია პოპულარობით სარგებლობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყაჩაღების" დადგმა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში. კ. მარჯანიშვილის დადგმა „დონ კარლოსი".

შიმელა — (ფშავ.) ნორჩი ხე, ძალიან სწორი ხე.

შიმუნვარი — (ქეგლ) დედოფლის ან დიდგვაროვანი მანდილოსნის მხლებელი ქალი, მოახლე. „ბორდოხანი პირველ გოდოლთან დახვდა მელქისედეკს შიმუნვარებითა და მოახლეებით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

შიმშერი — (ქ. მწ.). ხმალი.

შინში — (ვაჟა) დეიდაშვილი. „შატილს ცოლ-შვილი უტირეთ, გუდანს — შინში და ქალები" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

შიო მღვიმელი — (ქსე) საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა, შიო მღვიმის მონასტრის დამაარსებელი. დაიბადა ანტიოქიაში. 20 წლისა განთქმული მეუდაბნოეს იოანე ზედაზნელის მოწაფეა. თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა და ბერად აღიკვეცა. VI ს. შუა წლებში შ. მ. თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში მოვიდა. ცხოვრობდა მცხეთაში, შემდეგ ზედაზნის მთაზე. 4 წლის შემდეგ იგი გამოეყო ძმობას და სარკინეს მთაზე დააარსა შიომღვიმის მონასტერი. მისივე ინიციატივით აქ აგეს პირველი ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახლობისა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები შ. მ.-მა გაატარა 12 მ სიღრმის მღვიმეში (აქედან „მღვიმელი"). ანდერძის თანახმად იქვე დამარხეს.

შირაზი — (ქსე) ქალაქი სამხ. დას. ირანში. ცნობილია ხალიჩებით, ვარდის ზეთის წარმოებით, მოზაიკური და ვერცხლის ნაკეთობებით. შ. საადის და ჰაფეზის სამშობლოა. შ.-ის ჩრდ.-აღმოსით 50 კმ-ის დაშორებით არის პერსეპოლის ციხესიმაგრის ნანგრევები; ფართის მუზეუმი (ირანული გამოყენებითი ხელოვნება) და საადის მავზოლეუმი. აქ აწამეს ქეთევან დედოფალი. „წითელი ვარდით გზა ეფინება: ცოდვილიანი ნანობს შირაზს!" („მას ალავერდის დიდებულ ტაძარს" — ან. კალ.).

შირვანი — (ქსე) ისტორიული ქვეყანა ახლანდელი აზერბაიჯანი. პოლიტ. ცენტრი — ქ. შემახა. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. ირანის მიერ შ.-ის კოლონიზაციის ხანაში ცნობილი გახდა სახელი „შირვანი" და შესაბამისად წოდება „შირვანშაჰი". შ. შემდეგ არაბმა იეზიდებმა მიითვისეს. გონივრული პოლიტიკით მოიგერიეს თურქსელჩუკთა შემოტევები. და სახელმწიფო შეინარჩუნეს. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი სწორედ შირვანს ამოუდგა მხარში. მისმა რამდენიმე ძლევამოსილმა ლაშქრობამ ქვეყანა თურქთაგან იხსნა. საქართველოს

სოუზერენობით ორი ქვეყნის მრავალმხრივი, მჭიდრო ურთიერთობა შემდგომშიც გაძლიერდა. ამავე ხანაში გაჩნდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი". მონღოლთა ბატონობამ შ.-იც დიდად დააზარალა. XIV ს. შ. გაძლიერდა; აქ გაფართოვდა აბრეშუმით ვაჭრობა, მაგრამ თურქი ტომების შემოსევებმა წელში გატეხა (1500 წ.). 1538 წ. სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

შირმა — (უსლ) 1. დასაკეცი გადასატანი ტიხარი; წარმოადგენს ანჯამებით ერთმანეთზე გადაბმულ რამდენიმე ჩარჩოს, რომლებზედაც ქსოვილია გაკრული; თეჯირი. 2. იტყვიან იმაზე, ვისაც ან რასაც საფარად იყენებენ.

შლეგი [თურქ.] — (ქეგლ) გიჟი, შმაგი, გადარეული, ფეთიანი.

შლეიფი — (ქ. მწ.) კაბის გრძელი კალთა ძირს რომ მისთრევს.

შობა — (ქსე) ქრისტიანობაში, ქრისტიანულ ეკლესიაში თორმეტთაგან ერთი საუფლო დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 25 დეკემბერს ძვ. სტილით. ქრისტე ბეთლემში დაბადებულა. ქრისტეს მშობლები იოსები და მარიამი ნაზარეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ბეთლემში გადასულან და ვინაიდან ადგილი ვერ უპოვიათ, დროებით თავი გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ, სადაც მწყემსები ცუდ ამინდში ნახირს აბინავებდნენ. იესო ქრისტე იმ ღამეს დაბადებულა და ბაგაში ჩაწვენილი პირველად მწყემსებს მოუნახულებიათ. სწორედ ამ უკანასკნელთ უმცნიათ ხალხისათვის ქრისტეს დაბადება. ხოლო შემდეგ — მოგვებს. „მეორე დღეს შობა თენდებოდა და ეხტატეს ძალიან უნდოდა შობადღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო" („ხათაგური" — გაფა).

შოვინიზმი [ფრ.] — (ქსე) ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას, ერთიმეორეს უპირისპირებს სხვადასხვა ერის ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ ქედმაღლობას, შუღლსა და სიძულვილს (ნაპოლეონის ჯარისკაცის შოვენის გვარის მიხედვით, რომელიც ასეთ იდეებს ქადაგებდა). „თერგდალეულთა პატრიოტიზმი არ ვარდება ნაციონალიზმსა და შოვინიზმში" (ხახ. ხახ-ლი).

შოუ — (უსლ) ინგლისსა და აშშ-ში წარმოდგენა, სპექტაკლი.

შპარგალკა [რუს.] — (უსლ) დაწერილი ქაღალდის ფურცელი ან წიგნაკი, რომლითაც მოსწავლე ჩუმად სარგებლობს გამოცდის დროს.

შრამელი — (კილ.-თქ. სიტ. კონა) 1. ყოველგვარი შენობა, სადაც სიმშრალეა (საცხოვრებელი სახლი, ბეღელი, მარანი, საბძელი, სასიმინდე, ფარდული). (ლეჩხ). 2. მიწური, ძელი ან ბერწი პირუტყვი. „შველმა ერთი შეხედა, შეკუნტრუშდა და

შრამელებისაკენ გაქანდა ჭენებით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲨᲢᲐᲢᲡᲙᲘ — (ქ. მწ..) სამოქალაქო, არასამხედრო უწყების მოხელე. შტატსკი სოვეტნიკი.

ᲨᲢᲐᲮᲡᲘ — (საბა) ესეცა ნივთთაგანი არს მურისა უწლოსი, სახე მტვერისა ყვავილთაგან და მწვერვალთა მურისათა რა დასწურავენ ავრეზთა განადენი არს შტახსი, ხოლო უზრქესი ავრეზთა შიგან დანარჩომი არს მური. + მური — შტახსისა ნაწურთა უზრქესი სუნელი. ხის სურნელოვანი წვენი. უმაღლესი ხარისხის მურის ზეთი (იხ. მური) „გამობრუნდა გახარებული ფარსმანი უკან: შემრჩებათ ათასი შუშა მუხკუხი, ხტაკრა, ოქსინო და არაბული შტახსი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲨᲢᲠᲘᲮᲘ — (უსლ) 1. ხაზი, რომელიც წარმოადგენს ნახატის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. 2. (გადატ.) რისამე დამახასიათებელი თვისება.

ᲨᲣᲑᲘ — (ქსე) ლახვარი ხის გრძელ ტარზე დაგებული ლითონის წვეტიანი უძველესი საომარი იარაღი („ჰორონლის"). შუბით აღჭურვილ ჯარისკაცს შუბოსანი ერქვა.

ᲨᲣᲙᲐ — (ქეგლ) 1. (ძვ.) ვიწრო ქუჩა. 2 (კუთხ.) იგივეა, რაც ორღობე. „მიდიოდნენ ვიწრო შუკებში („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲨᲣᲚᲢᲔᲑᲘ [იუშ.] — ხატის მსახური. ჯვრის დღესასწაულის დროს სოფლის მიერ გამოყოფილი მორიგე, რომელიც ლუდს ადუღებდა, საკლავს კლავდა და სხვა. „შულტები და დასტურნი თუნის ქვეშ ეყარნენ მიყრალნი." („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲨᲣᲜᲘ — (ქეგლ) დედალი ჯიხვი. „დაიჭერს შუნის თიკანსა" (ხალხ.).

ᲨᲣᲠᲗᲮᲘ — (ვაჟა) მოზრდილი ფრინველი ქათმისებრთა ოჯახისა, გარეგნობით ინდაურსა ჰგავს. სტვენა იცის, იქშევა. „გათენებისას ქოუხში შურთხმა დარეკა ზარით" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ᲨᲣᲠᲘ, ᲨᲣᲠᲝ — (ქეგლ) 1. ტყეში ხეებს შუა ჩაღრმავებული ადგილი. 2. მორებისა და მისთანა თავქვე დასაცურებელი ღარები (აქ შედარებაა) „შურისდარი ბილიკებიდან ბლავილით დაიძრნენ ცხვრის ფარები". „დედოფალს შურივით აჩნდა წვრილი ხაზები ხახეზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲨᲣᲨᲐᲑᲐᲜᲓᲘ [სა.] — (ქეგლ) შემინული აივანი.

ᲨᲣᲨᲞᲐᲠᲘ — (ქსე) უძვ. ქართული ხალხური საკულტო ცეკვა. მთვარის მსახურებისადმი მიძღვნილი ფერხული. „რა კარგი ხარ, რა კარგი, კოხტა, ნაზი, შუშპარა". იგივეა, რაც ცეკვა.

ჩაბალახი [სპარს.] — (ქეგლ) 1. (ძვ) ჯაჭვის ქუდი მეომრისა. 2. იგივეა, რაც ყაბალახი. 3. მუზარადი, რკინის საომარი ქუდი.

ჩადრი [სპარს.] — (ქეგლ) მუსლიმანებში — ქალის გრძელი მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახესაც ფარავდა.

ჩადუნა — (ვაჟა) გვიმრის ერთ-ერთი სახეობა. „ჩადუნიაში ჩავრაკრაკდები" („მთის წყარო" — ვაჟა).

ჩაილური — (ქეგლ) ჩაილურის წყალი დალია — გაქრა, დავიწყებას მიეცა ჩაილური სოფლის სახელია, ხოლო ჩაილურის წყალი, ანუ უბრალოდ ჩაილური — პატარა მდინარისა. ძველად, როცა ლეკები საქონელს მოიპარავდნენ, თუ მდინარე ჩაილურზე მოასწრებდნენ გადაყვანას, უკვე დაკარგულად ითვლებოდა. აქედან მოდის ეს გამოთქმაც. „საბედნიეროდ მეფის მთავრობის ამ ვერაგულმა „პროექტმა" ჩაილურის წყალი დალია" (ნ. გრიგალ. წიგნი 1).

ჩაინვორდი [ინგლ.] — (უსლ) კროსვორდის ნაირსახეობა — ერთმანეთის მიყოლებით სიგრძივ განლაგებული უჯრედები უნდა შეივსოს ისე, რომ თითოეული მომდევნო სიტყვა იწყებოდეს წინამავალი სიტყვის დაბოლოებით.

ჩალადაჯი — (ქეგლ) საქლავის ბექთშუა ნაწილი, ქედის ქვემოთ. „დათო! ხორცი მოიტანე ბაზრიდან? რა ნაჭერია? — ჩალადაჯი" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ჩალური — (ქეგლ) ჩალით დახურული (შენობა). ჩალური ქოხი. „ეზოში იდგა პატარა ჩალური" („კაცია ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ჩალხანა — (ქეგლ) მომცრო ყურიანი, თუჯის ან სპილენძის, ცეცხლზე ჩამოსაკიდებელი ქვაბი. როგორიც (რაც) ალხანა, ისეთი (ის) ჩალხანაო! (ხალხ.) როგორც ერთია, ისეთივეა მეორეც.

ჩალვადარი [სპარს.] (ძვ) — (ქეგლ) პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებდა. „როგორც ცხენი, ისე თვით ლაზიკაც შეიქნენ მეჩალვადრეების წინამორბედნი" („რაინდები" — ნ. ლორთქ.).

ჩალიჩობს [თურქ.] — (ქეგლ) ცდილობს რისამე გაკეთებას, ვაინაჩრობს, ცოდვილობს.

ჩალხი — (ქ. მწ.) ჩარხი. ბაკმი.

ჩალმა [თურქ.] — (ქეგლ) თავზე შემოსახვევი საბურველი მამაკაცისა მუსლიმანურ ქვეყნებში. „[ფარსმან] შავი მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ჰქონდა შემოგრაგნილი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჩამიჩი [თურქ.] — (ქეგლ) შემჭკნარი (ჩვეულებრივ თონეში შემწვარი) ყურძენი; ქიშმიში, ჩამიჩის ჩურჩხელა.

ჩამური — (ქეგლ) ერთგვარი საცეხველი — როდინისებურად ამოღრუტნული დიდი ქვა ლომის, ბრინჯის და მისთ. საცეხვავად (იციან გურიაში). იხ. საცეხვავი.

ჩამჩა [თურქ.] — (ქეგლ) დიდი ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად და დასასხმელად. ხის ჩამჩა.

ᲩᲐᲜᲐᲮᲘ [თურქ.] — (ქეგლ) 1. გულამოღებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი გარკვეული ზომისა მარცვლეულისათვის (ან ფქვილისათვის). 2. ამ საწყაოს წონისა (დაახლ. ნახევარი ფუთი). ერთი ჩანახი ლობიო. 3. ცხვრის ხორცით, ბადრიჯნითა და პომიდერით გაკეთებული საჭმელი; ამზადებენ ცალ-ცალკე ულუფებად ღუმელში შედგმული თიხის ჯამებში.

ᲩᲐᲜᲒᲘ — (ქ. მწ.) სიმებიანი საკრავი, არფა.

ᲩᲐᲠᲐᲓᲝᲕᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) კანის ავადმყოფობით დაავადებული.

ᲩᲐᲠᲒᲐ [სპარს.] — 1.ზურნის მეოთხე თვალი. 2.სპარსულ-აზერბაიჯანული მუსიკის მეოთხე კილო. „და ჭიანურზე დაკრული ჩარგა“ („გამოთხოვება ძველ თბილისთან“ — ი. გრიშ.).

ᲩᲐᲠᲓᲐᲮᲘ [სპარს.] (ძვ)— (ქეგლ) 1. სასახლის ბანის ნაწილი სვეტზე დადგმული და გუმბათით დახურული. „დიდი და მცირე ციხის ჩარდახზე გამოეფინა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). 2. ურმის ქალებზე გადაყვანილი კამარა ფარდაგით დახურული (შიგ მსხდომთა მზისაგან დასაცავად) „არ ჩანს ურმები მოჩარდახული ღამის მთეელებით ბოლნისის გზაზე“ (ი. გრიშ.). 3. ყუთის მაგვარი უიატაკო მინაშენი თუშური ან ხევსურული ციხე-კოშკის კედელზე. (გაფა) ციხე-ქვითკირის ზედა სართული.

ᲩᲐᲠᲔᲥᲐ (ძვ) — (ქეგლ) 1. სითხის (უპირატესად ღვინის, არყის) საზომი ერთეული; უდრის დაახლოებით ერთ ლიტრს. ჩარექა არაყი. ორი ჩარექა ღვინო. 2. თიხის ჭურჭელი, რომელშიც ამ ოდენობის ღვინო ეტევა, ჩარექიანი.

ᲩᲐᲠᲔᲥᲘ [სპარს.] (ძვ.) — (ქეგლ) 1. საწყაოს ან საზომის ერთი მეოთხედი. ერთი ჩარექი მიწა. 2. იგივეა, რაც ჩარექა.

ᲩᲐᲠᲩᲘ [თურქ.] — გადამყიდველი, ქორვაჭარი, სპეკულანტი. „ჩვენს ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა“ (გ. ლეონ.) „ჯაყო უწინდელ ჩარჩზე უარესია“ („ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახ.).

ᲩᲐᲤᲐᲠᲘ — (ქეგლ) 1. დაბალი ჩინის პოლიციელი (სოფლად) 2. შიკრიკი, მცველი.

ᲩᲐᲤᲘ — (ქეგლ) თიხის მოზრდილი ცალყურა. დაბალყელიანი და ფართოპირიანი ჭურჭელი. ღვინის საწყაო დაახლოებით ერთი ფუთის ტევადობისა. „ორმოციოდე ჩაფი ღვინო“ („ხამანიშვილის დედინაცვალი“ — დ. კლდ.).

ᲩᲐᲤᲮᲣᲢᲘ — (ქეგლ) ლითონის თავსაბურავი მეომრისა. იგივეა, რაც ჩაბალახი. „[გირშელს] თავზე ძველთაძველი ჩაფხუტი ეხურა“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ᲩᲐᲥᲣᲠᲐ — (ქეგლ) გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი. — მოკლე წელზეეითა ჩოხა და ვიწროტოტებიანი, თავვანიერი, ხვანჯრიანი შარვალი.

ჩ

ჩაღანა – (ქ. მწ.) ერთგვარი საკრავი ინსტრუმენტი, სიმებიანი. „ჩაღანა და ჩანგი ტკბილი" („ვეფხისტყაოსანი" – შ. რუსთ.).

ჩახრუხაული – (ქეგლ) ქართული ლექსის ფორმა – თხუტმეტმარცვლიანი სტროფი ოცმარცვლიანი ტაეპითა და შინაგანი რითმით.

ჩახსაკრავი – (ქეგლ) პაიქის შემოსაჭერი ბაფთა, ლეკვერთხი. „დავითი ცხენიდან ჩამოხტა, გაიხწორა მოშვებული ჩაღსაკრავი" („კაცია-ადამიანი?!" – ი. ჭავჭ.).

ჩერია – (ქეგლ) იგივეა, რაც თითისტარი.

ჩერო – (ქეგლ) იგივეა, რაც ჩრდილი.

ჩერქეზები – (ქეგლ) ჩრდ.-დას. კავკასიაში მცხოვრები ტომების (ყაბარდოელების, ადიღელების) საერთო სახელწოდება.

ჩითმერდინი – (ქეგლ) დაჩითული (ჭრელი) მერდინი. „რაკი კნეინა თვალს გაახელდა, გადმოუხორდებოდა ტახტიდან, გადაიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა" („კაცია-ადამიანი" – ი. ჭავჭ.).

ჩინარი [სპარს.] – (ქეგლ) იგივეა, რაც ალვის ხე. „როგორც ჩინარი, ისე პოეტი მიხთვის ხიმაღლე არის წამება" („გ. ტაბ. „იხევ ეფემერა").

ჩინი – 1. (ქეგლ) თვალის ჩინი, მხედველობა. 2. (ქ. მწ.) „ჩინს ქვასა ზედა სწერია" – ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ჩინეთში ქვაზე სწერია, ან ჩინურ ქვაზე სწერია. ჩინურ ქვაში ამ შემთხვევაში გულისხმობენ ჩინურ ფაიფურს, რომლისგან გაკეთებულ ნივთებს თუ ძეგლებს აწერდნენ სამახსოვრო ტექსტებს.

ჩინოვნიკი [რუს.] – (ქეგლ) 1. რევოლუციამდელ რუსეთში მოხელე; 2. (გადატ.) თანამდებობის პირი, რომელიც დაკისრებულ საქმეს ფორმალურად, უსულგულოდ ასრულებს. „[თათქარიძის] ენა ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული" („კაცია-ადამიანი?!" – ი. ჭავჭ.).

ჩირაღდანი [სპარს.] – (ქეგლ) 1. ჯოხი, რომელზედაც ნავთში ამოვლებული ჩვარი ახვევია; ხმარობენ გასანათებლად. 2. სანათი, ლამპარი, კანდელი.

ჩიქილა – (ქეგლ) იგივეა, რაც ლეჩაქი. „ჩიქილის ტოტში შეხვია ბროლის თითებით ოლიოლითა" („სტუმარ-მასპინძელი" – ვაჟა).

ჩიქოვანი სიმონ (1902-1966) – (ქსე) ქართველი პოეტი, პირველი ლექსი 1924 წელს გამოაქვეყნა, 1934 წლიდან იყო საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და 1944-1951 წ.წ. თავმჯდომარე. რედაქტორობდა ჟურნ. „მნათობს". განვლო რთული შემოქმედებითი გზა. იყო „ფუტურისტ-ლეფელების" ჯგუფის ლიდერი. მის პოეზიაში ადრიდანვე შეიმჩნეოდა სიმტკიცე, პატრიოტიზმი. პოეტური კრებული „გამარჯვება", პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე" და მრავალ სხვა ლექსში იგრძნობა ისტორიული წარსულით შთაგონება, პატრიოტიზმი. („ვინა სთქვა", „თეიმურაზ პირველი", „ნიკოლოზ ბ-‥ათაშვილის სავანეში", „განჯის დღიური", „წიწამური" და სხვა).

ჩიჩილაკი — (ქეგლ) ჯოხი (მეტწილად თხილისა) ბურბუშელასებრი ანათალებით, მორთული ტკბილეულითა და ხილით (იცოდნენ საახალწლოდ საქართველოს ზოგ კუთხეში).

ჩიჩქი — (ქეგლ) სულ მცირე რამ, ერთი ბეწო, ერთი ციცქნა; პაწაწინა ნაჭერი (ხორცისა). ერთი ჩიჩქი ხორცი. „ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი" („სტუმარ-მასპინძელი" — ვაჟა).

ჩიხირთმა — (ქეგლ) ქათმის ან ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი, შეზავებული ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით, ნახვითა და ძმრით.

ჩიხტი, ჩიხტა — (ქეგლ) ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი — თავზე დასადები ბრტყელი რკალი, რომელზედაც თავსაკრავია გადაკრული. ჩიხტი-კოპი — ჩიხტი და კოპი. „თეიმურაზმა იცნო მარგოს ხარტყელიც, ჩიხტიც, მანდილიც" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ჩობნობა — (ქ. მწ.) მწყემსობა.

ჩოგანი — (ქ. მწ.) ცხენბურთში სახმარებელი თავფართო ჯოხი ბურთის ასაღებად და გასასროლად. „ჩოგნით ტაცება ქაბუკ-მხედართ გამოსაცდელად" („გოგჩა" — ალ. ჭავჭ.).

ჩოთირი — (ქეგლ) 1. თაკილი, უხერხულობა. 2. იგივეა, რაც ლიტინი.

ჩორთი — (ქეგლ) ცხენის სირბილი, როდესაც ფეხებს ასე ადგამს, როგორც სიარულის დროს. „ლურჯა ბედაური ხწრაფი ჩორთით მიაქანებდა დამარცხებულთა უკანასკნელ იმედს არსენა ოძელაშვილს" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ჩორი — დარუბანდია. იხ. დარუბანდი. „უკვეთუ არა მიხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ, ანუ კარად კარაულითა" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.).

ჩოფურა [თურქ.] — (ქეგლ) იგივეა, რაც ნაყვავილარი. „ჩოფურა იყო [არხაკიძე], ახლადმოხდილი უნდა ჰქონოდა ყვავილი, ხვირინგები ზედ აჩნდა ჯერაც" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჩოჩიალა — (ქეგლ) ჩოჩიალა ურემი (კუთხ.). იგივეა, რაც აჩაჩა ურემი. „ჩოჩიალა ურემმა ეზოდან გადაიტანა მზითევი" („თავსაფრიანი დედაკაცი" — ნ. ლორთ.).

ჩრაქვი — (ქეგლ) არყის ხის ქერქი, რომელსაც კვარის მაგივრად (სანათად) ხმარობდნენ (ფშავ-ხევსურეთში). „დაფაცურობს შუაცეცხლთან დედა, ჩრაქვით გააღვივებს ცეცხლს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჩუბინაშვილი დავით იესეს ძე (1814-1891) — (ქსე) ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. 1839 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნ-ის აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტი. 1844 წლიდან ასწავლიდა ქართულ ენას ამავე უნივერსიტეტში. დიდი შრომა გასწია ძვ. ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემისათვის. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემაში, დაურთო ლექსიკონი. მან დაასაბუთა ქართული საერო მწერლობის დიდი აღმავ-

ჩ

ლობის ისტორიული კანონზომიერება. შეადგინა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. „თავისი მოღვაწეობით სახელი მოიხვეჭა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ჩუბინაშვილმა, რომელმაც შეადგინა „რუსულ-ქართული ლექსიკონი" (სახკ. სახ-ლო).

ჩუბინი (ძვ.) — (ქეგლ) მარჯვე, აუცდენელად მსროლელი.

ჩუგლუგი — (ქეგლ) 1. (ძვ.) მცირე წერაქვი. 2. (ისტ.) ნაჯახის მსგავსი გრძელტარიანი საომარი იარაღი. „ფარნავაზმა ჩუგლუგით შეანგრია კარი".

ჩუქურთმა — (ქეგლ) მხატვრული (სკულპტურული ან გრაფიკული) სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურებისაგან, ცხოველთა ან მცენარეთა გამოსახულებებისაგან. — ორნამენტი. ქართული ჩუქურთმა — ჩუქურთმის მჭრელი.

ჩაუში — (ქეგლ) ოსმალო სარდლების ზემდეგი, უნტერ-ოფიცერი. „როცა ხანიტრები იგვიანებდნენ, მაშინ სარდარში ჩაუში და ასკერი ჩამოდიოდა" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ჩხვერა — (ქეგლ) რქენა, ჩხვლეტა. „რქით მიწისა ჩხვერ, ჰბუბუნებ" („ხიმ-ღერა").

ჩხიბი — (ქ. მწ.) ჯადო. „ფარსმანი იყო შეხანიშნავი ექიმი, უცნაური მკურნალი და მჩხიბავი" („დიდოსტატის მარჯვენა"—კ. გამს.).

ჩუხჩარხი — (ქეგლ) საქართველოს სამეფო კარის საპატიო მოხელეთა ერთ-ერთი წოდებულობა. „დილიდანვე ეწვივნენ მეფეს ეზოსმოძღვარი და ჩუხჩარხი..." („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ც

ცალპირი — (ქეგლ) რისამე ერთი, ცალის სისქისა — ცალმაგი. ცალპირად — ცალპირი წესით, ისე რომ ცალპირს შეიცავდეს. ცალპირად ნაშენი კედელი. ცალპირად ნაქსოვი (გამხდარი) კაცი.

ცალყბა — (ქეგლ) სასხვათაშორისო, უგულო, გულგრილი. ცალყბა ღიმილი.

ცარგვალი — (ქეგლ) (პოეტ.) ცის გუმბათი, კამარა. „თავზე დაადგა ტაძარს მუქლურჯი ცარგვალი" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ცარიზმი — (უსლ) სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნოდა თვითმპყრობელ მეფეს (რევოლუციამდელ რუსეთში). „ცარიზმის სისხლიანმა რეპრესიებმა დაარბია და დიდი ზიანი მოაყენა მოსახლეობას" (სახკ. სახ.-ლო).

Ც

ᲪᲐᲪᲘᲐ — (ქეგლ) 1. ადამიანი, რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენას ნაცვლად. 2. მარცხენა ხელი. ცაცია შემოჰკრა სახეში. მაგარი ცაცია აქვს.

ᲪᲔᲖᲣᲠᲐ — (უსლ) პაუზა ლექსის სტრიქონში და მუსიკალურ მელოდიაში. სალექსო სტრიქონის შუაში მყოფი რიტმული პაუზა. ც. ორგვარია: ა) მთავარი ცეზურა, რომელიც სალექსო სტრიქონის ყოფს ორად; „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი". ბ) მცირე, პაუზა — შესვენება, რომელიც სიტყვას ყოფს სიტყვისაგან.

ᲪᲔᲜᲖᲘ [ლათ.] — (ქეგლ) მოქალაქის პოლიტიკური (ან სამსახურებრივი) უფლების განსაზღვრის ესა თუ ის სახეობა. ქონებრივი ცენზი. განათლების ცენზი.

ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ [ლათ.] — (უსლ) დასაბეჭდად, რადიოთი ან ტელევიზიით გადასაცემად, თეატრში ან კინოში დასადგმელად და ა. შ. განკუთვნილი ნაწარმოების გასინჯვა სახელმწიფო ზედამხედველობითი ორგანოების მიერ. „ჟურნალ „ცისკარს" გამოსვლა მოუხდა მკაცრი ცენზურის პირობებში" (სასკ. სახ-ლო).

ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ [გერმ.] — (უსლ) ზომათა მეტრული სისტემის წონის ერთეული; უდრის 100 კილოგრამს.

ᲪᲔᲠᲐᲓ — (ქეგლ) ირიბად, ალმაცერად, გეზად. ცერად უყურებს — იგივეა, რაც ალმაცერად უყურებს. საქმე ცერად წაუვიდა — საქმე ცუდად წაუვიდა.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲣᲕᲘ — ადგილის სახელწოდება ბულგარეთში, სადაც ბასილი II-მ თხუთმეტი ათას ბულგარელს თვალები დასთხარა.

ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ — (ქეგლ) ცეცხლის მიჩნევა ღვთაებად, ცეცხლის თაყვანისცემა, ბუნების პირველყოფილი თაყვანისცემის ერთ-ერთი ფორმა მაზდეანობა. მოგვობა.

ᲪᲕᲔᲓᲐᲜᲘ — (ქეგლ) სქესობრივად ბუნებით უძლური მამაკაცი. "ბუნებით ცვედანნი, სიყრმეშივე დაბერებულნი, სილოთ სიბერეში ყრმასავით ცუნდრუკა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲪᲕᲘᲚᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც სანთელი (მნ. 1). თაფლის სანთელი, წმინდა სანთელი. „ეხეთის სიტყვის სიტკბო ჰქონდა ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის" („სიბრძნე სიცრუისა"— საბა). ცვილისფერი — გაყვითლებული, სანთლისფერი. ცვილისფერი ლოყები. ცვილურად — სანთლის მსგავსად.

ᲪᲘᲑᲐ — (საბა) ასაკმცირე ძაღლი (ლეკვი). „მან კაცს ერთი ციბა ჰყაავდა, ჰკითხა ციბას: რა გატირებსო?" („ანჩხლი ცოლის პატრონი" — საბა).

ᲪᲘᲓᲐ —(ქეგლ) მანძილი გაშლილი სალოკი თითის წვერიდან ცერის წვერამდე. იხმარებოდა სიგრძის საზომ ერთეულად. ერთი ციდა — იტყვიან ძალიან პატარაზე.

ᲪᲘᲔᲑᲐ — (ქეგლ) ავადმყოფობა, რომელიც ხასიათდება პერიოდული შე-

ც

ტეევებით — ძლიერი შეციევებით და მერე დიდი სიცხით. ციებ-ცხელება, მალარია. „ჩემს თვალწინ ციებისაგან იჟლიტებოდა მთელი სოფლები" (ტ. ტაბ. — ავტობიოგრაფია)

ცივილიზაცია [ლათ.] — (უსლ) 1. საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ. 2. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება. „ბიზანტია იყო ნამდვილი ფორპოსტი დასავლეთური დიდი ცივილიზაციისა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს. — ბოლოსიტყვა).

ციკლოპი — (მით.) კიკლოპი. ველური კაციჭამია ბუმბერაზი, ერთადერთი თვალით შუბლზე. პოლიფემი. (გადატ.) „[ორბეთის] ზევით საოცარი ციკლოპური წმინდა გიორგია" („არსენა მარაბდელი" — მ. ჯავახ.).

ცილი — (ქეგლ) იგივეა, რაც ცილისწამება, ტყუილი. ცილს დასწამებს — ტყუილს მოუგონებს რასმე (ავს, ბოროტს) განზრახ დააბრალებს. „ხად ცილი, ზაკვა ძულებადა ხდის / წმინდა სიყვარულს მოყვასისასა" („განდეგილი" — ი. ჭავჭ.).

ცინიზმი [ბერძ.] — (უსლ) აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი, ისეთი რამისადმი, რაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. თავხედური გულახდილობა. ცინიკოსი — პირი, რომელსაც ცინიზმი ახასიათებს. უსირცხვილო ადამიანი. „სულხანი ამიშელებს მაძღრის ცინიზმს: „მაძღარი კაცი მოშყმარს პურს წვრილად უფშვნიდა და ზედა აყვედრიდა, რად ღორულად ხჭამსო!" (სახკ. სიბ-ლო). „დოსტების მიმართ ცინიკურად განწყობილ მეფე გიორგის უცნაურად ეშინოდა შორენასი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ცირეკიძე სანდრო გიორგის ძე (1894-1923) — (ქსე) ქართველი მწერალი. 1913 წ.-დან სწავლობდა ჯერ პეტერბურგის, შემდეგ კიევის უნ.-ში. XX ს. 10-იანი წლებიდან მისი ლიტ. კრიტ. წერილები იბეჭდებოდა ქართ. პრესაში. 1916 წ-დან იყო „ცისფერყანწელების" ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მწერლის მხატვრული დაოსტატება, ახლებური ფორმის ძიება გამოვლინდა მინიატურების კრებულში „მთვარეულები" (ქუთაისი, 1921 წ.) რედაქტორობდა ჟურნ. „შვიდღოსანს". 1919 წ. ქუთაისში დააარსა გამომც. „კირჩხიბი", გამოსცა ახალი მწერლობის ანთოლოგია, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის კრებულები, სტ. მალარმეს ქართული თარგმანები. ც.-მ წვლილი შეიტანა მცირე ზომის ქართული პროზის განვითარებაში.

ცისარტყელა — (ქეგლ) შვიდფერი რკალი ცაზე; ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით. ლიტ-ში გამოიყენება მეტაფორად.

ცისკარი — (ქეგლ) 1. ყველაზე კაშკაშა პლანეტა, რომელიც დილაობით მოჩანს აღმოსავლეთით, ხოლო საღ-

ამოობით — დასავლეთით, — ვენერა. ცისკრის ვარსკვლავი. 2. განთიადი, ალიონი. აისი. 3. (ეკლ.) დილის, განთიადის წირვა. ცისკრის წირვა.

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ" — (ქსე) ქართული ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1852-1853 წ. წ. (რედ. გ. ერისთავი), 1857-1875 (რედ. ივ. კერესელიძე). ჟურნალი ემსახურებოდა ქართული ლიტერატურისა და საზ. ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვას. „თერგდალეულების" სამოღვაწეო საქმიანობის დაწყებას. იბეჭდებოდა მხატვრ. პუბლიც., კრიტ., ისტ.-ეთნოგრ. ლიტერატურის, ძველი მწერლობის ნიმუშები. ჟურნალში გაიმართა დისკუსია ძველ და ახალ თაობას შორის. დაიბეჭდა ერთი მხრივ ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ს. აბაშიძის და სხვათა წერილები, რომლებიც ემსახურებოდა ლიტ-ის ხალხურობას, ახალი სალიტერატურო ენის დადგენის საკითხებს. მეორე მხრივ, ბ. ჯორჯაძის, გ. ბარათაშვილის, რ. ერისთავისა და სხვათა წერილები, მიმართული „თერგდალეულთა" ესთეტიკისა და ლიტ. საზ. მრწამსის წინააღმდეგ. 1863 წ. „Ც." ეკამათებოდა ახალი თაობის ჟურნალ „საქართველოს მოამბეს". მან დიდი როლი ითამაშა ლიტ-ულ ინტერესთა განვითარების საქმეში.

„ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲧᲐᲜᲬᲔᲚᲔᲑᲘ" — (ქსე) „ცისფერი ორდენი" — 1915-1918 წ. წ. მიჯნაზე შექმნილი ქართული ლიტერატურული დაჯგუფება. სახელწოდება მიიღო თავისი პირველი ბეჭდური ორგანოსაგან „ცისფერი ყანწები". ჯგუფის წევრები: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე, ს. კლდიაშვილი, ა. არსენიშვილი, ნ. მიწიშვილი, შ. აფხაიძე, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე, ი. ყიფიანი, ლ. ჯაფარიძე, შ. კარმელი და სხვა. გამოცემები „ცისფერი ყანწები", „მეოცნებე ნიამორები", „შვილდოსანი", „ბარიკადი", „ბახტრიონი". დეკლარაციებში (პ. იაშვილის „პირველთქმა", ტ. ტაბიძის „ცისფერი ყანწები", ვ. გაფრინდაშვილის, შ. აფხაიძის და სხვათა წერილები). „Ც." თავს სიმბოლიზმის მიმდევრებად აცხადებდნენ. სარბიელზე გამოსვლისთანავე ბოჰემურმა განწყობილებებმა, „წმინდა ხელოვნებისადმი" ლიტერატურული პოზიორობისადმი სწრაფვამ, ქართველ კლასიკოსთა მიმართ მკრეხელურმა გამონათქვამებმა ერთგვარი სკანდალური სახელი მოუხვეჭა ჯგუფს. თუმცა შეუმჩნეველი არ დარჩენილა „Ც"-ის პოეზიის მხატვრული ღირსებანიც. ჯგუფი უჩვეულო მოვლენა იყო ქართულ სინამდვილეში, თუმცა, როგორც მცდარად მიიჩნევენ, „უნიადაგო" არ ყოფილა. მისი აღმოცენება დაემთხვა ღრმა ისტორიულ კატაკლიზმებს, რამაც სამყაროს ტრაგიკული აღქმა გაამძაფრა და „Ც."-ის ლექსებს რთული პოეტური აზროვნებისა და დეკადენტურ განწყობილებათა კვალი დაამჩნია.

„Ც"-მა დიდხანს ვერ უერთგულეს ორთოდოქსულ სიმბოლიზმს. ეკლექტიზმი (ფუტურიზმისა და დადაიზმისაკენ გადახრა), თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური იდეის უქონლობა, რაც მთავარია ღრმა პატრიოტიზმი, რეალ-

ისტური მსოფლაღქმა, 20-იანი წლების დასაწყისიდანვე გამჟღავნებული თაყვანისცემა ქართველი კლასიკოსებისადმი არ იძლევა სიმბოლიზმთან „Ⴚ."-ის გაიგივების საფუძველს. დღეს აღიარებულია „Ⴚ."-ის ჯგუფის მიღწევები, გაცხადებულია მისი დადებითი როლი XX ს. ქართული პოეზიის განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფაქტობრივად დაშალა „ცისფერი ორდენი", 1931 წ. გაუქმდა მათივე დადგენილებით.

ႺႨႲႠႣႤႪႨ [ფრ.] – (უსლ) 1. ციხესიმაგრის გალავნის შიგნით არსებული ყველაზე უფრო გამაგრებული ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია დამოუკიდებელი თავდაცვისათვის. 2. რისამე მთავარი დასაყრდენი პუნქტი, ბურჯი.

ႺႨႲႠႲႠ – (უსლ) რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი.

ႺႨႺႠႰႨ – (ქეგლ) ქათმის ჯიშის ფრინველი; აქვს მუქი ნაცრისფერი, თეთრკოპლებიანი ბუმბული. „ქათმები ჩიტებივით დაფრინავდნენ ტოტიდან ტოტზე. ციცარი გახართობად" („თავხაფრიანი დედაკაცი" – ნ. ლორთქ.).

ႺႨႺႾႥႨ – (ქეგლ) 1. ხის დიდი კოვზი საჭმლის მოსარევად, ამოსაზელად. „ქოთნის ამბავი ციცხვს ჰკითხეო". (ანდ.) 2. ლითონის დიდი ჭურჭელი სხვადასხვა მექანიზმში, წარმოებაში.

ႺႨႾႤ-ႣႠႰႡႠႦႨ [ისტ.] – (ქეგლ) გამაგრებული სასახლე მეფისა (ან დიდი ფეოდალისა).

ႺႫႤႪႨ, ႰႺႫႤႪႨ – (ქეგლ) ფერდის ქონი. „ფრთას აწიბდა დათვი ცმელში, უხვამდა იხვს ბატს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ႺႭႴႨ – (ქეგლ) მძიმე გადამდები დაავადება ცხოველებისა და ადამიანებისა; აზიანებს ნერვულ სისტემას. (გადატ) ცოფებს ყრის – მრისხანებს, გაცოფებულია, გაცეცხლებულია. „იზახდა და ყვიროდა ვითარცა ცოფი" („შუშანიკის წამება" – ი. ცურტ.).

ႺႰႨႠႲႨ – (ქეგლ) (გადატ.) უმწეო, ღრუბლიანი. „ჩიკოტელა იყო გაყინწული, ჯოყართვით ცრიატი" („ჩირიკი და ჩიკოტელა" – გ. ლეონ.).

ႺႳႬႣႰႳႵႠ – (ქეგლ) დაუდეგარი, ქარაფშუტა. „საერთოდ დინჯი და უშიშარი რაინდი უცნაურად აეცუნდრუკებინა შიშს" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ႺႳႰႲႠႥႨ – (ქსე) ისტორიული ქალაქი აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლში, მდინარეების ქციისა და მაშავერას შუა დაბლობზე. ვარაუდით მდებარეობდა გაგის ციხის მიდამოებში (მარნეულის რაიონი). ძვ. სომეხ ისტორიკოსს – უხტანესს აქვს ცნობა, რომ ადრე Ⴚ.-ად ცნობილ ქალაქს X ს. გაჩიანი ეწოდებოდა. V ს. Ⴚ.-ში იყო ქართლის პიტიახშის რეზიდენცია; აქვე დაარსდა საეპისკოპო კათედრალი. ქალაქში და მის რეგიონში ცხოვრობდა ქართველი და სომეხი მოსახლეობა. Ⴚ. კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ სწავლობდნენ ქართულ და სომხურ მწიგნობრობას. ც-ში მოღვ-

ც

აწეობდნენ იაკობ ცურტაველი (ხუცესი), მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი (VII ს.), აქ უსწავლია სომეხ ისტორიკოსს ლაზარ ფარპეცს (V ს.).

ცხედარი — (ქეგლ) 1. მკვდარი ადამიანის სხეული 2. ძველქართულში საწოლი - თანამეცხედრე, მეუღლე, ცოლი.

ცხვედაძე ნიკო ზებედის ძე (1845-1911) — (ქსე) ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. დაამთავრა თბილისის სას. სემინარია და მოსკოვის სას. აკადემია. 1869 წ-დან თბილისის სას. სემინარიის მასწავლებელი. ც. იყო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქართული სკოლები გაიხსნა ვლადიკავკაზში, ბაქოსა და ბათუმში. ც. აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო კომისიაში, რომელმაც მიიღო თბილისის საქალაქო სკოლების რეორგანიზაციის ცხვედაძის მიერ შედგენილი პროექტი. 1898 წ. ც. სათავეში ჩაუდგა თბილისის ქართულ გიმნაზიას, სინამდვილეში მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის გათვალისწინებული შენობის აგების საქმეს. შენობის ასაგები თანხა მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა. 1877 წ. იმოგზაურა დას. ევროპაში, რომელიც აღწერილია სტატიებსა და წერილებში.

ცხრა ძმა ხერხეულიძე — (ქსე) მარაბდის ბრძოლაში (1625 წ. 1 ივნისი) გმირულად დაღუპული მებრძოლები. გადმოცემით დაკრძალულნი არიან იქვე, სოფ. ძველი მარაბდის განაპირას წმ. მარინეს ეკლესიის მახლობლად. ც. ძ. ხ.-ის მამაცური თავდადების ამბავი ფართოდ არის ასახული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. „ცხრა ძმა ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას, მოკაზმული ხმლით და მუზარადით" (ს. ჩიქ.).

ცხრო — (ქეგლ) ციებ-ცხელება.

ძ

ძაბუნი — (ქ. მწ.) სუსტი.

ძალი — (ქეგლ) მუსიკალური საკრავის სიმი, ალყა, ლარი. „შენს სადიდებლად მომართეს ბევრმა ჩონგურის ძალები" („მთვარეო ბევრმა გიმღერა" — ვაჟა).

ძალაყინი — (ქეგლ) წვერიანი რკინის კეტი; იყენებენ სანგრევად და აგრეთვე ბერკეტად.

ძაღლთაავირი — (ქეგლ) 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი — კაცრჭამია, ბოროტი სული. 2. (ლანძღ.) დაუნდობელი, ავი კაცი.

ძაძა — (ქეგლ) სამგლოვიარო სამოსელი (თალხი და შემოუქობავი). ძაძით მოსილი ქალი.

ძელზე გასმა — (ქეგლ) დასჯა, ჩამოხრჩობა.

ძეგლიგი — (ვაჟა) თოფია ძველებური, კაჟიანი. „გულზედ ძეგლიგი დაადვა, მკლავზედ ფრანგული ხმალიო" („ალუდა ქეთელაური"— ვაჟა).

ძელი — (ქ. მწ.) ხე (ძელიცხოველი).

ძელის ძვრა — ადრიან შუა საუკუნეებში ზარების უქონლობის გამო ჩაქუჩით ურახუნებდნენ ფიცარზე, ამას ძელისკვრა ეწოდებოდა. „ძელსა ჰკრეს მთავართა ხანათლოის უბანში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ძელმიწური (სამხ.) — (ქეგლ) ძელებით ამოშენებული მიწური. საცეცხლე წერტი.

ძელქვა — (ქეგლ) დიდი ხე თელისებრთა ოჯახისა; აქვს მონაცრისფერო-მომწვანო ქერქი, დატოტვილი ვარჯი, წვრილი ფოთლები; მერქანი ძალიან მაგარი აქვს; ნაყოფი პატარა ზომის კაკალია.

ძველი და ახალი აღთქმა — (ბიბლ. მეგზ.) პავლე მოციქული ერთგან მოსეს წიგნებს (თუ მთელ ებრაულ ტექსტს) უწოდებს „ძველი აღთქმას". იქვე იგი თავის თავსა და მის თანამოღვაწეთ უწოდებს „ახალი აღთქმის მსახურთ". მეორე საუკუნის ბოლოს საეკლესიო მწერლები ამ სახელწოდებებით — „ძველი აღქთქმა" და „ახალი აღთქმა", იხსენიებდნენ წმ. წერილის წიგნების ძველებრაულ და ქრისტიანულ ტექსტებს.

ძილქუში — (ქეგლ) ძილქუში დააწვება (საუბ.) —ღრმა ძილი შეიპყრობს, მაგრად დაეძინება.

ძლისპირი, ძილისპირი — (ქეგლ) ძველი ქართული საგალობო ტერმინი. 1. პირველი საეკლესიო საგალობელი საგალობელთა ჯგუფში. მის კილოზე უნდა შესრულებულიყო მისი მიმყოლი საგალობლები. საგალობლის პირველი სტროფი განსაზღვრავდა რიტმულ-მელოდიურ წყობას, მთელი ჰიმნისას (ძალი — სიმი, პირი — ნაპირი, დასაწყისი ე. ი. პირაელი). 2. ხასულიერო სიმღერა, რომელიც ეკლესიაში არ სრულდებოდა. „ძველ ძლისპირებსა და ხელნაწერებს აგროვებდა მოხუცი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ძმადე — (ქეგლ) დედოფლის, პატარძლის გამყოლი კაცი, ძმობილი. (კილ.-თქ. სიტ. კონა) ნეფე-პატარძლის ხელისმომკიდე, ნეფის ძმობილი. იგივე მეჯვარე. „მერე ძმადეებმა სამჯერ შეუცვლეს ბეჭედი, თავს დაახურეს ოქროს კავებიანი გვირგვინი" („თავსაფრიანი დედაკაცი"— ნ. ლორთქ.).

ძნიად — (ქეგლ) იგივეა, რაც ძნელად.. „ვით ძნიად წნორი ბერფუყი" („სწავლა მოსწავლეთა" — დ. გურ.).

ძოლან — (ქ. მწ.) წელან. „ეგ სამხვაწრია ბერდიავ, ძოლან მოკლული ქისტისა" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ძოწი — (ქ. მწ.) წითელი მარჯანი. „ძოწეულითა მოსილი პირად ბროლბადახშისანი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ძუა — (ქეგლ) ცხენის კუდის ბეწვი.

ძუძუმტე — (ქეგლ) ვინმესთან ერთად ერთი ძუძუთი გაზრდილი. იგივეა, რაც მორდუ. „ძუძუმტეებმა ჭიაბერისეული

ხმალი რა დაინახეს, ხმამაღლა ტირილითა და ზარით ეახლენ ორდოხანს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲫᲦᲕᲔᲜᲘ — (ქეგლ) საჩუქრად მირთმეული რამ ჩვეულებრივ ხილეული, ნამცხვარი, სასმელი და მისთ.).

წ

ᲬᲐᲒᲕᲠᲐ — (ქ. მწ) წაყვანა, წართმევა.

ᲬᲐᲗᲘ — (საბა) აფთიშუბა, დიდი აფთი; აფთი მახვილია ბრტყელი და ტარგრძელა. (ქეგლ) საბრძოლო კეტი. „ხარდაფში კედლებზე ეკიდა თორები და ზუჩები და წათები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲬᲐᲚᲐᲛᲘ — (ქეგლ) ვაზის ნასხლავი. „ალაგ-ალაგ კოცონები ენთო ბაღის კუთხეებში, ლიწინ-ლიწინი გაჰქონდა წალამს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.). „ლუარსაბს მარანი ჰქონდა წალმით დახურული" („კაცია-ადამიანი?! — ი. ჭავჭ.).

ᲬᲐᲛᲘᲡ-ᲧᲝᲤᲐ — (ქ. მწ.) თვალით ნიშნობა. „მეფემ ღამე ნებისა უხურვა ხტუმრებს, ზვიადს წამუყო და წინ დაისვა ხასხალარი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲬᲐᲠᲐᲤᲘ — (ვაჟა) შვეული კლდე: „თავქვემორბინალთ ხევსურთა წინ კლდე დაუხვდა წარაფი" („სტუმარ-მასპინძელი" — ვაჟა).

ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐ — (მით.) კერპთაყვანისმცემლობა, ტოტემიზმი, ანიმიზმი, ფეტიშიზმი და მისთ. პოლითეისტური რელიგია ან რელიგიები ზოგადად — საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი, რომელსაც გარკვეული მეცნ. მნიშვ. არა აქვს და უფრო რელიგ. ან პოეტური გაგებით შეესატყვისება ქრისტიანობის წინარე დროის მრავალღმერთიანობას. ამ გაგებით გამოხატავს დიდი მსოფლიო რელიგიების ქედმაღლურ დამოკიდებულებას უძველესი ტოტემური, ანიმისტური, ტომობრივი, არაქრისტიანული რელიგიური რწმენებისადმი, მაგრამ ღვთისმეტყველნი ივიწყებენ, რომ თვით „უმაღლესი", „ცივილიზებული" რელიგიების კულტი, საწესო ღვთისმსახურება სწორედ ამ წარმართული საკულტო წესების გადმონაშთებიდან განვითარდა და გართულდა. წარმართნი იყვნენ ბერძნებიც და რომაელებიც.

ჯვაროსნულ ლაშქრობამდე წარმართის ეძახდნენ მაჰმადიანურ რელიგიასაც. დღეისათვის წარმართული (პოლითეიზმი) უპირისპირდება მონოთეიზმს. წ. კერპთა თაყვანისცემას ემყარება. მასთან ბრძოლა თვით ქრისტიანობის ყოვლის შემძლე მესვეურებს გაუჭირდათ. კონსტანტინე დიდმა რომ კერპთა თაყვანისცემა ქალაქებში აკრძალა, ძველმა კერპებმა თავი სოფლებს შეაფარეს. მერე მთებს, გამოქვაბულებს. წარმართული საგალობლები სულიერი

ქულტურის ძეგლებია, კერპები — სახვითი ხელოვნების ნიმუშები. ამ კერპების უდიდესი ნაწილი ქრისტიანობამ დალეწა, დაწვა ყველა მხარეში. ასე მოუვიდა ძველ საქართველოში არმაზის ბრწყინვალე კერპს, რომელიც თითქოს ნინო კაპადოკიელის სიწმინდემ დაამსხვრია.

წარმართულ საქართველოში მთავარი ღვთაება იყო მთვარე, ასევე მორიგე, ნაყოფიერების ღვთაება — ქვირია, მონადირეთა — აფთასი, დალი, ოჩოპინტრე. „წარმართმა გხატე კლდეებზე, ათას მისნური ქარაგმით" („ხარი" — შ. ნიშნ.).

ᲬᲐᲠᲡᲐᲬᲧᲛᲔᲜᲓᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) დასაღუპავი.

ᲬᲐᲠᲦᲕᲜᲐ — (ქეგლ) ბიბლიური ლეგენდით — წყალდიდობა, რომელმაც თითქოს მთელი დედამიწა დაფარა (ადამიანის დასასჯელად — მისი ცოდვების გამო). (გადატ.) თავსხმა, ღვარცოფი, ნიაღვარი. „პირველ ათასწლეულის მიწურულში ქრისტიანულ ქვეყნებში ხელმეორედ წარღვნას ელოდნენ" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲬᲐᲦᲐ — (ქეგლ) მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი, ჩექმა.

ᲬᲐᲬᲐᲚᲘ — (ქსე) ეწოდება მოზიარდ ნურე ქალ-ვაჟთ, რომელთაც ალერსის ნება აქვთ, მაგრამ დაქორწინება — აკრძალული. ეს ადათი წააგავს უკრაინულ „დოსვიტკის" და შოტლანდიურ „ვალენტინებს". „თავის წაწალთან გათენებული ღამეები მოაგონდა არსაკიძეს. ალბათ მაშინაც ილოდნენ ყმაწვილები რომ წაწლობდნენ ფხოუში, შეშინებია გურანდუხტს, ამიტომაც დაუთქვამთ ძუძუმტეობა იქავნო" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ — აქ სამი ზუსტი ქრონოლოგიური ცნობაა მოცემული: ერთი გრიგოლის გარდაცვალებისა და ორი ნაწარმოების დაწერისა. მასში ნათქვამია, რომ გრიგოლი გარდაცვლილა წელთაღრიცხვის ქორონიკული სათვალავის 81-ე წელს, რადგან ქორონიკონის სისტემა 532 წლიან ციკლს მოიცავდა და ძველების ანგარიშით 780 წელს დამთავრებულა 12 ასეთი მოქცევა-ციკლი, გრიგოლი გარდაცვლილა მეცამეტე მოქცევის 81-ე წელს, ე. ი. 780+81=861 წელს. ნაწარმოები კი დაწერილია გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს (861+90).

წელთაღრიცხვის მეორე („დასაბამითგანის") სისტემა პირველთან („ქრონიკონთან") შედარებით ერთი წლის სხვაობას იძლევა, 6554-5604=90 წელს (ძველად სხვადასხვა ქვეყანაში „დასაბამითგან", ანუ ქვეყნის, ადამის, ადამიანთა გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე სხვადასხვა დროს — 5500, 5000, 5492 წელს დებდნენ, საქართველოში კი მიღებული იყო 5604 წელი). „ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდაერთსა" (დ. გურ.). „ნუთუ არ მეყო, რაც დახაბამით / გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე" („განახლდა გული" — გ. ტაბ.).

ᲬᲔᲜᲒᲝ — (ქეგლ) კაკლის (ნაყოფის) გარეთა გარსი მომწვანო ფერისა, მის ნახარშს ყავისფერ საღებავად იყენებენ. წენგოსაგან შეღებილი ხელები.

წერა-მწერალი — (ვაჟა — მც. ლექს.) ცრურწმენით: ადამიანის ბედ-იღბლის იმთავითვე განმსაზღვრელი. „მაგრამ გასწდება ჯანღი რამ/ კურუმად, შავის ფერითა, / დაეფარება სანახავს/ წერა-მწერალის წერითა“ („სტუმარ-მასპინძელი“ — ვაჟა).

წერაქვი — (ქეგლ) ორი წვეტიანი პირის (ან ერთ მხარეს მჭრელი ფრთ-ის) მქონე იარაღი, რომელსაც შუაზე ტარი აქვს დადგმული. იყენებენ მიწის სათხრელად, ქანების სანგრევად. „და მორწა... მერე წერაქვი, ლაღუმი, ამტერიეთ კლდე“ („კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“ — ვაჟა).

წესის აგება — იგივეა, რაც ანდერძის აგება, წესის გადახდა. (ძვ. რელიგ.)შესრულება ზნე-ჩვეულებისა, რომელიც დაკავშირებულია მიცვალ-ებულის კულტთან. „ლუარსაბი გრძნობს, რომ ანდერძიც აუგეს“ („კაცია-ადამიანი?!“ — ილ. ჭავჭ.).

წვერავს — (ვაჟა — მც. ლექს.) წვერს ახვედრებს. „მოციქულობდნენ ტყ-ვიანი, შუბები შუბებს ხწვერავდნენ“ („კაი ყმა“ — ვაჟა)

წვერა — (ქეგლ) მდინარის თევზი, მოვერცხლისფერო, ულვაშებიანი.

წვივსაკრავი — (ქეგლ) პაიჭებზე შემოსაჭერი ზონარი.

წვნიკი — (ქ. მწ.) ძალიან წვრილი. წვნიკი თოვლი.

წიგნი მოწამეთანი — (ქ. მწ.) მოწამეთა შესახებ დაწერილი წიგნები.

წიდა — რკინისა და ილექროს (ლი-თონის) ნადნობი (საბა).

წითელი წაღები — ბიზანტიელი იმპერატორის ერთ-ერთი რეგალია. ტახტზე ასვლისას წითელ წაღებს იცვამდა კეისარი, როცა მას გვირგვინს ახდიდნენ, წაღებსაც გახდიდნენ. ქართ-ველ კურაპალატებსაც, თამარ მეფესა და დავით აღმაშენებელს, ეცვათ. „აღმ-აშენებელს, მხატვართა კაპრიზის მეოხებით ცმოდეთ წითელი წაღები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს. — ბოლოსიტყვა). „ბასილი კეისარმა ქრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზში ტახტზე დასვა იმა, წითელი წაღები გაიხადა და ჩააცვა ფეხზე“ („დი-დოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

წითელი პარასკევი — (ქსე) დიდი პარასკევი, ქრისტიანულ რელიგიაში უწოდებენ დღეს როცა ებრაელებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე.

წითელი ჯვარი — 1863 წ. შვეიცარიელმა კომერსანტმა ანრი დაუნანმა გადაწყვიტა შეექმნა ორგ-ანიზაცია, რომელიც დახმარებას გაუ-წევდა ბრძოლის ველზე დაჭრილებსა და ავადმყოფ ჯარისკაცებს. ამ ორგან-იზაციის ემბლემად აირჩიეს წითელი ჯვარი თეთრ ფონზე. ემბლემა შვეი-ცარიისა და მისი დროშისადმი პატივ-ისცემას გამოხატავდა. მისი შექმნის მიზანი იყო დაჭრილთა და სამედიცინო პერსონალის დაცვის უზრუნველყოფა ომის დროს. ამ ემბლემის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს და უკარგავს ნდობას წი-თელ ჯვარს. თურქებმა ჯვარში რე-

ლიგიური სიმბოლო დაინახეს და შეცვალეს იგი ნახევარმთვარით. მალე წითელმა ჯვარმა გაავრცელა თავისი მოღვაწეობა წყალდიდობის, მიწისძვრის, ეპიდემიის და შიმშილის მსხვერპლთა დასახმარებლად მთელს მსოფლიოში.

ᲬᲘᲚᲐᲛᲣᲠᲘ — (ქეგლ) ჩიჩილაკის ბურბუშელა (ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ფაფახი ან ტყავკაბა, რომელსაც ცხვრის ბეწვები წილამურებივით აქვს, ქურქი. „წილამურებიანი ტყავკაბა ეცვა მამამზეს". „უცნობმა წილამურებიანი ფაფახი მოიხადა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ — (ქეგლ) 1. იგივეა, რაც წინამძღოლი 2. (ძვ.) აღმზრდელი, მასწავლებელი. 3. მამათა მონასტრის უფროსი, გამგებელი. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი.

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ილია (1834-1920) — (ქსე) ქართველი საზოგადო მოღვაწე. პუბლიცისტი, პედაგოგი. 1855 წ. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. უსახსრობის გამო უმაღლესი განათლება ვერ მიიღო. დაამთავრა აგრონომ. კურსები. 1883 წელს საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და საზოგადოების დახმარებით გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ხორეშანა გვერდწითელის ფსევდონიმით აქტიურად თანამშრომლობდ ჟურნალ-გაზეთებში. იბრძოდა ცარიზმის ბიუროკრატ. და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 55 ჰა სახნავ-სათესი მიწა და ტყე, 20 ათასი ლიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი საწნეხითა და ქვევრებით, შენობა კლასებისა და მუზეუმისათვის, სახლი მოსწავლეთათვის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, პურის საცხობი და სახელოსნოები. სკოლას ჰქონდა საკუთარი სახელმძღვანელოები და მანქანა-იარაღები. სკოლას ფუძე დაუღოცა ი. ჭავჭავაძემ, რომლის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ნაჩვენები იყო მეცნ. ცოდნის ძალა და ზოგადი პროფ. განათლების როლი საზ-ბის განვითარებაში, სკოლაში მოსწავლეებს ღებულობდნენ განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. სწავლება 6-წლიანი იყო. ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე. სკოლის სასწ. მეურნეობაში ყველა სამუშაოს მოსწავლეები ასრულებდნენ. 1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ᲬᲘᲜᲓᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც გირაო, ბელგა. (დაწინდვა — დანიშვნა, ბელგის მიცემა).

ᲬᲘᲜᲬᲘᲚᲘ — (ქეგლ) საკრავი — ლითონის თეფში, რომელსაც მეორე ამნაირივე თეფშის დაკვრით ახმაურებენ.

ᲬᲘᲜᲬᲘᲚᲐ — (ქეგლ) წვრილი, პატარა ზარები.

ᲬᲘᲠᲕᲐ — (ქეგლ) მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, რომელიც დღისით სრულდება.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — კანონიკური ვერსიით იგი კაპადოკიელი მეფე დიოკლეტიანეს საყვარელი მხედართმთავარი იყო. განუდგა მეფეს, როგორც ქრისტია-

ნობის სასტიკად მდევნელს და ხალხში ქრისტეს ქადაგება დაიწყო. მისი სიტყვის ძალით ირწმუნა ქრისტე დედოფალმა ალექსანდრამ. ეს იყო გიორგი კაპადოკიელის გამარჯვება დიოკლეტიანეზე. იგი სასტიკად აწამეს მეფის ბრძანებით 302 წელს. ქრისტიანული ეკლესია წ.გ.-ის უწოდებს დიდმოწამეს ან მთავარმოწამეს და ძლევამოსილს. წ.გ.-ის სახელთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული, რომელთაგან უდიდესად ითვლება მეფის ასულის გველეშაპისაგან დახსნის სასწაული. ხატებსა და ფრესკებზე ხშირად გამოხატავდნენ წმ. გიორგის წამების სცენებს, მაგრამ გაცილებით ხშირად გვხვდება ის ახალგაზრდა, პირტიტველ მეომრად წარმოდგენილი, შუბით ხელში ფარითა და ხმლით აღჭურვილი, ან თეთრ ცხენზე ამხედრებული, როცა ის გველეშაპს ან ურჩხულს შუბით გმირავს. ლომი წმ. გიორგის ერთ-ერთი ეპითეტი იყო. ამიტომ საქართველოს დროშა, კერძოდ, სვანეთის დროშა, წმინდა გიორგის დროშაა. იხ. გიორგობა.

წნორი – (ქეგლ) ტირიფის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა. „მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს" (გ. ლეონ.).

წოვათუშები – (ქეგლ) ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ტომი, ცხოვრობდნენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემოალვანაში; ლაპარაკობენ წოვა-თუშურად და ქართულად.

წრიაპი – (ქეგლ) კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი. იხმარება ციცაბოზე და ყინულზე სიარულის დროს. „მოყმე ფეხწრიაპიანი" („ჯარჯი" – ხალხური)

წრფელი – (ქ. მწ.) მართალი.

წული – (ქ. მწ.) ვაჟი.

წუმწუმა – (ქეგლ) გოგირდი. იგივეა, რაც ასანთი.

წუნი – (ქეგლ) ნაკლი, ზადი. დეფექტი.

წურბელა – (ქეგლ) სისხლისმწოველი ჭია. ზოგიერთ სახეობას იყენებენ სამკურნალოდ – სისხლის გამოსაღებად. (გადატ.) სხვისი შრომით მცხოვრები, პარაზიტი ადამიანი. „ბიუროკრატი, მექრთამე მოხელეები წურბელასავით სისხლს სწოვდნენ ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ" (სახკ. ხახ-ლო).

წუღა – (ქეგლ) რბილი უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი. „მწირმა დაფხრეწილი ხარიფვის წუღები გაიხადა" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

წუწურაქი – (ქეგლ) ძუნწი, ხელმოჭერილი.

წყალობა – (ქ. მწ.) მოწყალება, შეწყალება. „მე მოწყალებას არ ვიძლევი – თქვა ქალმა" („დადიანის ასული და მათხოვარი" – ნ. ლორთქ.).

წყალჯავარი – (ქ. მწ.) ეშხი, მოხდენილობა, მიმზიდველობა.

წყრთა – (ქსე) სიგრძის საზომი ერთეული. საქ-ში გავრცელებული იყო XVI ს-დან. შინაარსობრივად გამოხატავდა მანძილს იდაყვიდან შუა თითის წვერამდე. ს. ს. ორბელიანის განმარტებით წყრთა იყო ნახევარადლი (დაახლ. 50,6 სმ.) სიგრძის მსგავსი ერთეული.

ᲭᲐᲚᲐᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (გიორგი-მაქსიმეს ძე ქორჩაქიძე — 15. VI 1887 წ. სოფ. ფერსათი, ბაღდადის რ-ნი. გარდ. 1.IV. 1938 წ. ქ. მინსკში. დაკრძალულია სენაკში) — პოეტი. მისი ლექსები 1908 წლიდან იბეჭდებოდა „დროებაში", სახალხო გაზეთში", „ივერიაში", „მნათობში" და სხვა კრებულებში. პირველი კრებული გამოქვეყნდა 1913 წელს. იგი ქართველ „სამოციანელთა" მიმდევარი იყო. მისი შემოქმედება გამსჭვალულია შრომისა და სამშობლოს სიყვარულით („ქება შრომას", „ფაცხა", „სიმღერა გარდახვეწილისა გორდის მთაზე", „მოლაღური გალიაში", „მენავე", „ადამიანი". სატრფიალო ლექსებია: „სატრფო", „ქართველო ქალო", „ფარვანა", „სიმღერა". ზოგიერთი პოპულარული ლექსი სიმღერადაც იქცა.

ᲭᲐᲠ-ᲑᲔᲚᲐᲥᲐᲜᲘ — ჭარის ლეკები, ლეკების ერთი შტო, რომელიც დასახლებულია ზაქათალას რაიონში (აზერბაიჯანი). „ერთხელ ერეკლე მეფეს ომი ჰქონდა ჭარის ლეკებთან" (ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" — ი. გოგ.).

ᲭᲐᲠᲘ — (ვაჟა) განაძრობი კანი (გველისა) „კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია, გველის ჭარის მსგავსი" („ჩხიკვთა ქორწილი" — ვაჟა).

ᲭᲐᲚᲘ — (ქეგლ) ჩამოსაკიდებელი გასანათებელი მოწყობილობა, რომელზედაც რამდენიმე ელექტროლამპა ან შანდალია. ბროლის ჭალი.

ᲭᲐᲨᲜᲐᲒᲘᲠᲘ — (ქეგლ) (ძვ.) ჭაშნიკის გამსინჯველი, ღვინის შემრჩევი, მეჭაშნიკე, გემოსმნახველი (თანამდებობა მეფის „კარზე). „ბოლოს ლოყებღაღადრეო, გრძელულვაშიანი, ნიკაპგამოპუტული ჭაშნაგირი იდგა. მოჰქონდათ ხაჭაპური მრავალნაირი, ხელისგულზე იხსამდა, თავად ხაიჯავდა ყველაფერს, მოიღებდნენ ღვინოს, პირველი მოსვამდა ჭაშნიკს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

„ᲭᲐᲨᲜᲘᲙᲘ" — მამუკა ბარათაშვილის წიგნი „ქართული ლექსთწყობის შესახებ". იხ. ბარათაშვილი მამუკა.

ᲭᲐᲮᲠᲐᲙᲘ — (ქეგლ) ხრახნიანი მოსაჭერი მოწყობილობა.

ᲭᲔᲓᲘᲚᲐ — (ქეგლ) დაკოდილი მამალი ცხვარი. „ჩქარა მოიტანეს ხოცრობა, გაავსეს ფუნთუშებით და ჭედილების მსუქანის ხორცით" („ხევისბერი გოჩა" — ა. ყაზბ.).

ᲭᲔᲠᲐᲮᲘ — (ქეგლ) რიყის ქვა, რიყე. „[ბერამ] ძლივს გაარჩია ჭერახებიდან დაყრილი დაბორკილი ტუსაღები" („მიწაა" — შ. არაგვ.).

ᲭᲔᲠᲮᲝ — (ვაჟა) ხევსურული სახლის მეორე სართული „თავთავის სახლებს მიპმართეს ჭერხოთით კარიანითა" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ — (ქეგლ) მართალი, ნამდვილი, უტყუარი. ჭეშმარიტება — სინამდვილე, სიმართლე.

ᲭᲕᲘᲠᲘ — (ქ. მწ.) რაიმეში გამოტანებული სხივი, მჭვირს — სხივად მიდგას, ჭვირს — ასხივებს, ანათებს.

ᲭᲘᲐᲙᲝᲙᲝᲜᲐ — (ქეგლ) აღდგომის წინა ოთხშაბათს (ღამით) დანთებული

კოცონი (თითქოს კუდიანების დასაფრთხობად), რომელზედაც ხტებოდნენ ხოლმე („ქაჯანა" — ნ. ლომ.).

ᲭᲘᲐᲜᲣᲠᲘ — (ქეგლ) ხემიანი საკრავი ერთგვარი. — (ქ. მწ.) სიმებიანი საკრავი, რომელსაც ქამანჩის (ხემის) გასმით უკრავენ. „გაგაოცებდა რუმბების ხიხქე / და ჭიანურზე დაკრული ჩარგა" (ი. გრიშ.).

ᲭᲘᲕᲭᲐᲕᲘ — (ქეგლ) პატარა, მოყვითალო ჩიტი ბეღურასნაირთა რიგისა. „სწორედ იმ წელს საქართველოს ჭივჭავი შემოესია" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲭᲘᲚᲘ — (ანდ. ჭილ.) საწერი მასალა, პაპირუსის შესატყვისი ქართული ტერმინია.

ᲭᲘᲜᲭᲘᲚᲐ — (ქეგლ) დოქის მოყვანილობის პატარა სალვინე ჭურჭელი თიხისა.

ᲭᲘᲜᲭᲠᲐᲥᲐ — (ქ. მწ.) ეკალ-ბარდებში მძრომი პატარა ჩიტი, ღობემძვრალა.

ᲭᲘᲠᲮᲚᲘ — (ქეგლ) მცენარეზე და სხვა საგანზე წიწვივით შეყინული ორთქლი.

ᲭᲘᲭᲜᲐᲣᲠᲘ (ᲭᲘᲭᲜᲐᲣᲮᲢᲘ) — (ქ. მწ.) (ძვ.) აბრეშუმი.

ᲭᲙᲣᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲣᲠᲘ, ᲐᲜᲣ „ᲖᲐᲣᲛᲣᲠᲘ" — (ლიტ. თეორ.) რუსი ფუტურისტების მიერ შემოღებული ტერმინი, ლექსი, შედგენილი ისეთი სიტყვებისაგან, რომლებსაც ნივთიერი მნიშვნელობა არა აქვთ. რუსი ფუტურისტების გავლენით ასეთი ენა შემოიღეს ქართველმა ფუტურისტებმაც (იხ. ფუტურიზმი). „ბადე ბაიდებს, ბუდე ბაიდებს / ცირა მუხლზე გულფილტებს დაიდებს, / აიდა ბაიდებს, აიდა ბაიდებს, ცირა ცაბა, / ცირა წარბი წარბენილი ცის კუთხედი, / ცალკუთხედი, ხიდბაგირი ოდელიოდოცა, / ცირა ბაიდით შორს გადაფრინდა" (ს. ჩიქ.).

ᲭᲚᲘᲥᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც ჩლიქი.

ᲭᲚᲐᲙᲕᲘ — (ქ. მწ.) ხახვის ერთ-ერთი სახეობა.

ᲭᲚᲔᲥᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც ტუბერკულოზი. ავადმყოფობა, რომელიც სიგამხდრეს, სისუსტეს იწვევს. (გადატ.) „როცა ხული ჭლექდება — ხიერცის დღეობა მაშინ არის" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ᲭᲝᲜᲐ — (ქეგლ) (ლიტ. თეორ.) 1. ძვ. ჩვეულება — აღდგომის წინა დღეს მისალოცად კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ საგანგებო სიმღერას. ჭონაზე სიარული. 2. ამ დროს შესასრულებელი სიმღერა. „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩამყავ კალათასა, ორი კვერცხი ამოიღე ღმერთი მოგცემს ბარაქასა" (ხალხური). ლექსი იწყებოდა და მთავრდებოდა სიმღერით „ქრისტე აღდგა".

ᲭᲝᲜᲘ — (ქეგლ) მკერავი. ბეწვის ქუდის მკერავი.

ᲭᲝᲠᲝᲮᲘ — (ქეგლ) 1. მდინარისაგან შეყრილი ქვიშა. 2. მდინარე აჭარაში (ხელვაჩაურის რ-ნში).

ჭ

ჭოჭინა — (ქეგლ) ბორბლებიანი მოწყობილობა; მასში აყენებენ ჩვილ ბავშვს, რომ ფეხი აიდგას, ისწავლოს სიარული.

ჭრაქი — (ქეგლ) უმარტივესი გასანათებელი მოწყობილობა, შედგებოდა ნავთის (ქონის) ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან. იყენებენდნენ ძველად

ჭროღა — (ქეგლ) მოყავისფრო ჭრელი (თვალები).

ჭრტინვა, ჭრტრიალი — (ქ. მწ.) ყვირილი, ხმაური.

ჭუა — (ქ. მწ.) ჭია.

ჭრტიალი — (ქ. მწ.) ელვარება.

ხ

ხაბაზი [არაბ.] — (ქეგლ) პურის მცხობელი, მეპურე.

ხაბარდა — 1. წინასწარი ცნობა, გაფრთხილება („ხაბარდა და სტარანეცა“) 2. განიერი კაბა, რომლის ქობაც მავთულის რკალზე იყო გაკეთებული. იგივეა, რაც კრინოლინი. „იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მოიტანდნენ სახელოვან „ხაბარდასა“, სწორედ გითხრათ ზოგჯერ სოფლის ორღობეებშიც ვერ გაეტეოდა ეგ განათლებული კრინოლინი“ („კაცია-ადამიანი?!“ — ი. ჭავჭ.).

ხაბიზგინა — (ქეგლ) ოსური ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ნიგოზი, ყველი, ხაჭო, ან კარტოფილი. „ძიძას ხაბიზგინები გაუქრეს“ („ხევისბერი გოჩა“ — ა. ყაზბ.).

ხაბო — (ქ. მწ.) მდინარის ნაპირი.

ხადილი — (ქეგლ) ჩათვლა, მიჩნევა, შერაცხვა რადმე. 2. წვეულება, ლხინი.

ხადუში — (ქეგლ) საჭურისი, ან მოახლე.

ხავიწი — (ქეგლ) 1. ერბოში მოშუშული ფქვილი. 2. ფაფა, რომელსაც ცხიმი ბლომად აქვს.

ხაზარები — (ქეგლ) ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხი, რომელმაც VI-X ს. ს. შექმნა ძლიერი სახელმწიფო დონიდან აზოვის ზღვამდე. (ქსე) მომთაბარე თურქულენოვანი ხალხი, რომელიც ალმ. ევროპაში გაჩნდა ჰუნების შემოსევის (IV ს.) შემდეგ. VI ს. 00-იან წლებში დაიმორჩილა თურქთა სახაკანომ. დაცემის შემდეგ თურქ მომთაბარე ხალხებს შეერივნენ. „[ძელიცხოველი] დაკარგულა სწორედ ამ

ხ

დღეს, როცა ხაზარებმა პირველად ძილეს ტფილისი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲐᲖᲘᲜᲐ [არაბ.] — 1. სახელმწიფოს ქონება (ფულითა თუ სხვა სახით წარმოდგენილი). 2. თოფის და სხვა სასროლი იარაღის ნაწილი, სადაც გაზნა იდება. „თოფი ხაზინიანი" („ოთარაანთ ქვრივი" — ი. ჭავჭ.).

ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘ — (ქეგლ) ხაზინის გამგე.

ᲮᲐᲗᲣᲜᲘ — ცოლი, ქალბატონი.

ᲮᲐᲘᲐ, ᲮᲐᲘᲐᲗᲘ — (კილ.-თქ. სიტ. კონ.) აბრეშუმის წვრილი ძაფი. „ძიძიას გაუწყდა ხაიაზე ჩამოკიდებული მოთმინება" („ხევისბერი გოჩა" — ა. ყაზბ.).

ᲮᲐᲙᲘ — (ქეგლ) მოყავისფერო მწვანე ფერი (ქსოვილის).

ᲮᲐᲚᲐᲡᲘ — (ქ.მწ.) შეურეველი, წმინდა.

ᲮᲐᲚᲐᲔᲘ, ᲮᲐᲚᲛᲔᲑᲘ — (ქეგლ) იგივეა, რაც დერგი. (კილ.-თქ. სიტ. კონ.) დიდი ქოთანი, უმთავრესად ყველის შესანახად. დერგი, ჭურჭელი მწნილის, ყველის ან სხვა რამისათვის. „მე ვერ მოვყვები ჭენებით, შვილო, ხალმები დამემტვრა ხურჯინში" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ ფრიდონ (1925) — (ქსე) ქართველი პოეტი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაამთავრა ბათუმის პედ. ინსტიტუტი და მოსკოვის მ. გორკის სახ. ლიტ. ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტ. კურსები. 1957 წლიდან საქ. მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანია. პირველი კრებული „მზის ქვეყანაში" 1940 წელს გამოაქვეყნა. ხალვაშის პოეზიას ასაზრდოებს სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი, სამხ. საქ-ოს ისტორიული ბედი, ერთიანობის იდეა. პოეტური კრებულები: „მუხა და ქარი", „გენაცვალე", „ლექსები და პოემები", „ნუგეში", „მამულიშვილობა" „ერთტომეული". პიესები: „ხიხანის ძახილი", „ვაზის ტირილი", „გადარჩენილი უკვდავება".

ᲮᲐᲚᲘ — (ქეგლ) წერტილივით ლაქა კანზე, ოდნავ ამობურცული. 2. ხალიჩა. 3. ქუმელი. იხ. ქუმელი. 4. კაკლის დასაბერტყი ჯოხი.

ᲮᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘ — (ქსე) სამხ.-აღმ. შავიზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდება ანტიკური ხანის მწერლობის ცნობებში. ხალიბებად იხსენიებიან ქართველური ტომები: კოლხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მაკროკეფალები, ხალდები და სხვა.

ანტიკურ სამყაროში ხალიბებს თვლიდნენ „რკინის გამომგონებლად" და გამოცდილ მეტალურგებად, რაც ბერძნულ ტერმინს „ხალიფს" (რკინა) უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა შესაძლებელია თვით სახელწოდება „ხალიბი" იყოს განვითარებული ამ ტერმინიდან.

ᲮᲐᲚᲘᲤᲐ [არაბ.] — (უსლ) უმაღლესი ტიტული მუსლიმანთა ფეოდალური მმართველობისა, რომელსაც ეპყრა სასულიერო და საერო ხელისუფლება.

ამ ტიტულის მქონე პიროვნება („ხალიფა და არაბი“ — საბა).

ხალხოსნობა — (ქეგლ) ნაროდნიკების ქართული სახელწოდება. იხ. ტეტიათა მოტრფიალენი.

ხამი — (ქეგლ) 1. დაუმუშავებელი, გამოუყენებელი, მოუქნელი ძაფი, მიწა, ტყავი. 2. ჩამბის ქსოვილი, შინ დართული მსხვილი ძაფისაგან. შეუღებავი უბრალო ტილო, ხამის პერანგი.

ხამლი — (ქეგლ) (ძვ.) ფეხსაცმელი, წაღა (მეხამლე, უხამლო). 1. „არსაკიძემ წითელი ხამლით მხარშეკრული მიმინო აიყვანა ორმოს ფსკერიდან“ 2. „უშორშარაისძის ხამლის ხამოსი პატარა აღმოჩნდა გორშელისათვის“ (შენიშვნა: აქ უნდა იყოს „ხამი“; „ლ“ ბგერა გაჩენილია ფონეტიკური მოვლენის საფუძველზე, როგორც ეს ხშირად ხდება კ. გამსახურდიასთან — სარჩა — ხარჩა, ქიმურჯი-ქიბურჯი).

ხამს — (ძვ.) მართებს, შეეფერება, ჯერ არს. „მეფე ხარ და ხამს...“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.). „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.).

ხანაგა [სპარს.] — (ქეგლ) (ძვ.) თავშესაფარი სახლი დავრდომილთა და ობოლთათვის. „[ფარსმანი] მათხოვართა ხანაგებში ათევდა ღამეს“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ხანი — (ქეგლ) 1. დროის მონაკვეთი. „დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ“. 2. [თურქ.] მეფე, მთავარი ზოგიერთი თურქი თუ მონღოლი ხალხისა „რამაზის კაცი მეშინისა, ვინ ხატაეთის ხანია“ („ვეფხისტყაოსანი“ — შ. რუსთ.)

ხანა — 1. (ქეგლ) დროის მეტ-ნაკლებად დიდი მონაკვეთი, რომელიც გამოიყოფა რაიმე დამახასიათებელი ნიშნის, მოვლენის მიხედვით — პერიოდი, ეპოქა. ქვის ხანა, აღორძინების ხანა. 2. [სპ.] იხმარებოდა ლექსის სტროფის (კუპლეტის სახელად).

ხანდაქი [არაბ.] — (ქეგლ) თხრილი, სანგარი. „ველზე გამართული ხანდაკებიდან ამოცვივდნენ ოყხები“ („დიდოსტატის მარჯვენა“ — კ. გამს.).

ხანმეტი — (ქეგლ) სახელწოდება ქართული ენის უძველესი ძეგლებისა და წარწერებისა (V-VII ს.ს.), სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად იხმარებოდა „ხ“ (ხპოვე, ხიხილე, ხრქუა). ხანმეტი მრავალთავი, ხანმეტი ძეგლები, ხანმეტი წარწერა.

ხაო — (ქეგლ) დაბალი და ხშირი ბუსუსი ზოგი ქსოვილის კარგ პირზე. ხაოიანი პირსახოცი.

ხარაზი — (ქეგლ) წუღა-მესტების მკერავი, ფეხსაცმლის მკერავი ან შემკეთებელი. „მამა მყავდა ხარაზი და ნალბანდობის რა მრჯიდაო“ („მგელი და ვირი“ — აკ. წერ.).

ხარატი, ხარატული, მოხარატებული — სახარატო ჩარხზე გამოთლილი, გამოჩარხული, მოხარატებული, ჩუქურთმიანი. „ხარატით ნაკეთები და გრეხ-

ილ-ხვეულით შემკული მუხის ბოძები და-ლურსმნულნი და დაჭდეულნი არიან" („ჯაყოს ხიზნები" — მ. ჯავახ.).

ᲮᲐᲠᲐᲩᲝ [სპარს.] — (ქეგლ) შენობის კედლებთან გამართული ხის (ან ლითონის) ღეროების დროებითი ნაგებობა სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოებისათვის,

ᲮᲐᲠᲐᲯᲐ — (ქეგლ) ხარკი, გადასახადი მიწისა.

ᲮᲐᲠᲒᲐ — (ქ. ეწ.) მატყლის, ბალნის კარაგი.

ᲮᲐᲠᲓᲐᲜᲘ — (ქეგლ) სარი, ჭიგო. „ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა" („ჯაჭვგაუხდელი" — გრ. აბაშ.).

ᲮᲐᲠᲔᲑᲐ — (ბიბლ.) რელიგიური დღესასწაული ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა (25 მარტს, ახ. სტ. 7 აპრილს) წიგნის კითხვით გართულ მარიამს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა: „გიხაროდენ, მომადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის" ე. ი. შობ იესოს, მაცხოვარს, კაცობრიობის დამხსნელსო. და უბიწომ შვა სულიწმინდის მოვლინებით — იესო.

ᲮᲐᲠᲘᲞᲐᲠᲘᲐ — (ქეგლ) ცისკრის ვარსკვლავის ხალხური სახელწოდება.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — (ქ. ეწ.) კიბის საფეხური.

ᲮᲐᲠᲘᲮᲐ — (ქეგლ) 1. რისამე გადასაკიდებლად, გადასალობად გადებული ლატანი ხარიხაზე დაკიდებული ჩურჩხელები. 2. რიკულებზე გადებული ძელი. (ქ. ეწ.) მისაყრდნობელი, მოაჯირი. „მობუზულნი იხხდნენ ხარიხებზე ქორები და შევარდნები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲐᲠᲫᲘ — (ქეგლ) გადასახადი, რომელსაც გამარჯვებული ახდევინებდა დამარცხებული ქვეყნის ხალხს. — (ქ. ეწ.) სამეუფო ხარჯი (საბა). გადასახადი. „ხარკს თუ იტყვით, აბა რა სახსენებელია, ხარკად ხამოცი ზონა ახალგაზრდა ქალი?" („ბაში-აჩუკი" —. აკ. წერ.).

ᲮᲐᲠᲝ — (ქეგლ) 1. ღრმა ორმო საპატიმროდ, ჯურღმული. 2. (ქ. ეწ.) მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი (ან ბეღლის განყოფილება) (საბა) ქვითკირის ორმო. „ახე ვცხოვრობდით იმ ხაროში მზის შუქს დანატრებულნი. ჩვენთვის არც დილა იყო და არც ხაღამო. მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით რომ გათენდა" (დ. გურ.).

ᲮᲐᲠᲤᲣᲮᲘ — (ქსე) თბილისის ერთ-ერთი ძვ. უბანი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ხარფუხი ისტორიული უბნის — სეიდაბადის გვიანდელი სახელია; სახელწოდება სომხურია და ნიშნავს ხვლას, სურდოს, გაციებას. აქ, თაბორის მთის ძირში მდგარა საკულტო ქვა, რომელზედაც ხატი იყო დასვენებული. აქ მოჰყავდათ ავადმყოფი ბავშვები და ხატი კურნავდა მათ.

ᲮᲐᲠᲩᲐ — იხ. ისარი, სარჩა.

ᲮᲐᲠᲭᲐ — (ქეგლ) ხასა, საყვარელი, სიძვის დიაცი. „კოლონკელიძის მხოლოდ შობილი ქალი ხურხისხეულ ხახახლეში გადაიყვანა და ხარჭად ჰყავხო მეფეს" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲐᲡᲐ – (ქეგლ) საყვარელი. „მარგო იმ დღიდან გადაიქცა ჯაყოს ხასად“ („ჯაყოს ხიზნები“ – მ. ჯავახ.).

ᲮᲐᲡᲘ – (ქეგლ) თამამი, გაბედული, მოურიდებელი (ქცევა) – (ქ. მწ.) მეფესთან დაახლოებული პირი, ხასნი, ხასნები – დარბაზის ერი, რჩეული, ძვირფასი.

ᲮᲐᲢᲘ – (ქ. მწ.) ნახატი, სახე.

ᲮᲐᲢᲐᲔᲗᲘ – (ქ. მწ.) თურქთა ტომებით დასახლებული ქვეყანა ჩინეთის ჩრდ. ნაწილში.

ᲮᲐᲨᲛᲘ – (ქეგლ) 1. ჭაობის ორთქლი, ციება, ციებ-ცხელება. (ქ. მწ.) ავი, მავნე ჰავა.. „ჰაერი ხაშმის შმორის ხუნითა და ხიცხის ბოლით გაგუდული. ციების მოქნარებით გაორთქლილ გარემოს ნაძრევი ზრობის ფერი გადაეკვრია“ („ჰაკი აძბა“ – ლ. ქიაჩ.).

ᲮᲐᲤᲐᲓ – (ქ. მწ.) უეცრად. „ჩვენც ხაფად წაგეკიდენით...“ („ვეფხისტყაოსანი“ – შ. რუსთ.).

ᲮᲐᲤᲘ – (ქეგლ) ძლიერი, მჭექარე, ზარდამცემი (ხმა).

ᲮᲐᲤᲗᲐᲜᲘ, ხიფთანი – (ქეგლ) ჯავშნის ქვეშ ჩასაცმელი დაბამბული კურტაკი.

ᲮᲐᲮᲐᲚᲘ – (ქეგლ) 1. გობის მსგავსი მოწნული ჭურჭელი (წნელისა ან ტკეჩისა–ხორაგისა და ხილეულისათვის. „თუ ვენახში ვესტუმრებოდით ჩირიკს, ხახალით მოგვეგებებოდა – მებაღის ნობათით“ (გ.ლეონ.).

ᲮᲐᲮᲘᲚᲘ – (ქ. მწ.) კაწვრა. „იხახდეს ღაწვთა“.

ᲮᲔᲓᲘ – (ქეგლ) ადგილი, რომელიც მხედველობის არეშია მოქცეული.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ – (ქსე) – მხარე აღმოსავლ. საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის კალთებზე. მოიცავს არდოტის, შატილის, არხოტის ხეობებს (პირიქითა ხევსურეთი დუშეთის რაიონის შატილის საბჭო; პირაქეთა – ბახმაროსა და გუდანის საბჭოები) ადრინდელი სახელწოდება ფხოვი.

ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ – (ქეგლ) 1. ხევის მოთავე, წინამძღოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ საკულტო საქმეებში ხევში (საქართველოს ერთ-ერთ მთიან კუთხეში). 2. მთავარი მღვდელმსახური ხატში – ხუცესი, დეკანოზი (ფშავ-ხევსურეთში). „აქ არც ხევისბრის ხმა ისმის, არსად ფშაური ღრეობა“ („ბახტრიონი“).

ᲮᲔᲗᲔᲑᲘ – (ქეგლ) მცირე აზიის მკვიდრი მოსახლეობა უძველეს ხანაში. ხეთების სახელმწიფო.

ᲮᲔᲘᲑᲐᲠᲘ – (ქეგლ) ფიზიკური ნაკლის მქონე, დასახიჩრებული, დაშავებული ადამიანი – სახიჩარი.

ᲮᲔᲚ-ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲕᲚᲐ – (ვაჟას მც. ლექს.) საკლავის სისხლის სხურება (განწმენდის მიზნით) „ხევისბერმა მუდამ წელიწადს ჯერ თითონ უნდა დაკლას საკუთარი საკლავი ხატში და იმის სისხლი მიაცხოს ხელებზე, შუბლზე. ამ ჩვეულებას ეწოდება ხელ-მხარის განათვლა“ (ვაჟა) „თუმცა ვაჟას ხელ-მხარი განათლული

ჰქონდა, მაგრამ ხევისბერობას კი არასოდეს არ აპირებდა" (ბიოგრაფია).

ᲮᲔᲙᲝᲠᲫᲣᲚᲐ — ადგილია მცხეთიდან 7 ვერსის დაშორებით, სადაც წყალგემრიელი ნაკადული არის. „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია" (ხალხური).

ᲮᲔᲚᲐᲝᲑᲐ — (ქეგლ) ხელით თევზაობა.

ᲮᲔᲚᲐᲓᲐ — (ქეგლ) ფართოპირიანი და მრგვალმუცლიანი მომცრო ჭურჭელი ღვინისა. საწყაო ორი ლიტრის ტევადობით.

ᲮᲔᲚᲐᲠᲒᲜᲝᲡᲐᲜᲘ — (ქ. მწ.) იხ. არგნოსანი.

ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲝᲜᲐ (XVIII ს. ბოლო, XIX ს. დასაწყ.) — (ქ. მწ.) მწგნობარი, მკლევარი. იზრდებოდა მეფე ერეკლეს კარზე. სწავლობდა თელავის სემინარიაში. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პრაქტიკულ და მეცნიერულ მიზნით. შემდეგ მოსკოვს გაჰყვა ფარნაოზ ბატონიშვილს. 1800-1812 წ. წ. სწავლობდა პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ აკურთხეს ჯერ დიაკვნად, შემდეგ — მღვდლად. როგორც კარის მოძღვარი სამსახურს უწევდა რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილებს. იყო პეტერბურგის ქართული სალიტერატურო სკოლის აქტიური წევრი. მას დიდად აფასებენ (სახოტბო იამბიკოებითაც ამკობდნენ) თეიმურაზ და მირიან ბატონიშვილები, პეტრე ლარაძე და სოლომონ რაზმაძე. მისი ღვაწლი და განსწავლულობა აღწერა იოანე ბატონიშვილმა თავის ცნობილ „კალმასობაში". ხ.-ს, ფრიად მაშვრალ მოღვაწეს, ორმოცზე მეტი დასახელების ნაშრომი ეკუთვნის. მათგან უმთავრესია „ოცდათოთხმეტი შეკითხვათა წიგნი" (ძირითადად ფილოსოფიის საკითხებს შეიცავს, მაგრამ ესთეტიკისა და თეორიულ-ლიტერატურულ საკითხებსაც ეხება), „ღვთისმეტყველება სამნაწილედი" (განხილულია ეთიკური ნორმები), ბიბლიურ წიგნთა განმარტებანი, ლექსიკონი და ქადაგებანი.

ᲮᲔᲚᲒᲐᲡᲮᲡᲜᲘᲚᲘ — (ქ. მწ.) სისხლგაღებული ხელიდან (მკურნალობის მიზნით).

ᲮᲔᲚᲓᲐᲡᲮᲛᲐ — კურთხევა საეკლესიო თანამდებობაზე (მომდინარეობს ბიბლიური დავითის მირონცხებიდან, როცა სამოელმა მოიხმო დავითი და თავზე მირონი დაასხა).

ᲮᲔᲚᲔᲬᲘᲤᲔᲑᲐ — (ბიბლ.) შეუძლიამ უფლება აქვს რისამე.

ᲮᲔᲚᲔᲣᲠᲘ — (ქეგლ) ნამგლით მომკილი პური, რაც ერთ ხელში თავსდება.

ᲮᲔᲚᲗᲣᲥᲛᲜᲔᲚᲘ — (ქეგლ) რაც ადამინის ხელით არ არის შექმნილი, რის შექმნაც ადამინის ხელს არ შეუძლია, ხელთუქმნელი მშვენიერება.

ᲮᲔᲚᲘ — (ქ. მწ.) 1. სხეულის ნაწილი. 2. ჭურჭლის, იარაღის სახელური, ტარი. 3. წყება, ცვლა, კომპლექტი (ერთი ხელი ქვეშაგები). 4. ხელობა, თანამდებობა. 5. გიჟი, სულელი.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔ — (ქეგლ) იგივეა რაც მეჯვარე. „ჩემო ხელისმომკიდეო, ტაგანაი მომკიდეო" („ხევისბერი გოჩა" — ალ. ყაზბ.).

ᲮᲔᲚᲛᲐᲜᲘᲚᲘᲚᲘ — (ქეგლ) იგივეა რაც ხელსახოცი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ — (ქეგლ) 1. ხელოვნების მუშაკი (მუსიკოსი, მხატვარი, მსახიობი) 2. თავისი ხელობის, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე — დახელოვნებული.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ — (ქსე) სინამდვილის შეცნობის სპეციფიკური ფორმა. ეს ფორმა შემეცნებისა სახეობრივია, ამიტომ ხელოვნება სახეებით აზროვნებაა. ხელოვნების დარგებია: მხატვრული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა, ქანდაკება, კინო და თეატრი.

ილია ჭავჭავაძის თქმით: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრის: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოთქვამენ იდეას, მხოლოდ იმითი განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსახატავად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა ხაზსა, პოეზია სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიას ჰქვიან, რადგან სიტყვის შემწეობით ასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა. ხელოვნების დამახასიათებელი თვისებაა სინამდვილის წარმოსახვა გრძნობადი სახეების ფორმაში. „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲔᲚᲨᲔᲝᲪᲐᲠᲣᲚᲘ — (ბიბლ) მიზანმიუღწეველი, გაწბილებული.

ᲮᲔᲚᲨᲠᲣᲚᲘ — (ქეგლ) ვინც შეჩვეულია წვრილ-წვრილ ქურდობას.

„ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ" — ის, გარიგება ხელმწიფის კარისა. „ადრე მოსწყინდა მეფეს „ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲔᲚᲡᲐᲥᲛᲐᲠᲘ — (ქ. მწ.) ნახელავი, ხელსაქმე, ხელით გაკეთებული.

ᲮᲔᲚᲥᲛᲔᲜᲣᲚᲘ — (ქ. მწ.) გონებადაკარგული.

ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘ — (ქეგლ) რქიანი საქონლის ზოგადი სახელი (იმერეთში).

ᲮᲕᲐᲓᲘ — (ქ. მწ.) მამალი. „ძუ იყოს თუნდა ხვადია" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.).

ᲮᲕᲐᲜᲗᲥᲐᲠᲘ — ხონთქარი, სულთანი, ოსმალეთის მეფე.

ᲮᲕᲐᲜᲯᲘ — (ქეგლ) ხლართი, ნასკვი, ხრიკი.

ᲮᲕᲐᲡᲢᲐᲒᲘ [სპარს.] — (ქეგლ) (ძვ.) მოძრავი ქონება, მსხვილფეხა საქონელი. „გაზაფხულზე თავს დასხმიან კოლოკელიძეს და ხვასტაგი წაუსხამთ კიდევაც" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲕᲐᲢᲘ — (საბა) მეტად ძლიერი სიცხე. „აფურთხებენ აქლემები ხვატისაგან დახეთქილ მიწაზე" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲮᲕᲐᲠᲐᲖᲛᲘ, ᲮᲕᲐᲠᲐᲖᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲮᲕᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲘ — 1. (ქსე) ისტორიული ოლქი და უძველესი სახელმწიფო შუა აზიაში, მდ. ამურდარიის ქვემო წელში. ძვ. წ. IV-III ს.ს. ხვარაზმის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა დაიწყო. აქ მოღვაწეობდა ცნობილი იბნ სინა (ავიცენა). 1220 ჩინგის ყაენის ჯარის შემოსევის შედეგად ხვარაზმშაჰის სახელმწიფო დაიშალა. 1380 წელს თემურლენგმა მთელი ხვარაზმი დაიმორჩილა.

ხვარაზმელები (ჯალალედინი) შემოესია საქართველოს XIII ს-ის 20-იან წლებში. ქართველებს ოსების, ლეკების და ყივჩაღების რაზმები ჰყავდათ მაშველად. მიუხედავად ამისა მაინც დამარცხდნენ. ხვარაზმელებმა აათხრეს და გაძარცვეს თბილისი, დააქციეს ეკლესიები, გაჟლიტეს მოსახლეობა. მემატიანის ცნობით დახოცილთა რიცხვმა ასი ათასს მიაღწია. ხვარაზმელებმა დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ.

ხვარაზმელების თარეში საქართველოში ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ძალიან მძიმე იყო ქვეყნისათვის ამ თარეშის შედეგები: დარბეული და გაძარცვული ქალაქები და სოფლები, დალუპული ან გაფანტული მოსახლეობა. ხვარაზმელთა შემოსევებმა ერთგვარად გაუადვილეს მონგოლებს ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა. 2. (ქ. მწ.) ხვარაზმში ნაკეთები იარაღი, რომელიც განთქმული იყო.

ᲮᲕᲐᲨᲘᲐᲚᲘ — (ქ. მწ.) საიდუმლო.

ᲮᲕᲔᲓᲐ — (ქეგლ) რკინის ურო. „მონადირე ხულიკალმახის გამოქვაბულში ახასკელის კეთებაში ხვედა გაუცვდა“ („ეთერი“ — ზღაპარი).

ᲮᲕᲘᲗᲝ — (ქეგლ) ნატვრის თვალი. (ვაჟა) იგივეა, რაც გველის თვალი. ცრურწმენით ვითომც ზოგ გველს აქვს ძვირფასი თვალი, რომელსაც იშვიათად გამოიტანს ხვრელიდან და ათამაშებს. ვინც ამ თვალს წაართმევს გველს და შეინახავს, იგი დიდ ბედნიერებას და სიმდიდრეს ეწევა. „სოფელს უხარიან, თამარის კუბო უპოვნიათო, უხარიან იმიტომ, ეს ამბავი მისთვის გველის თვალის პოვნასა ჰგავს“ (ვაჟა). შესაძლოა, ეს იყო სამკურნალო თვისების ქვა. გველდახვეული ქვა — ამირანის გორიდან. — (მით. ლექ-ნი) სამკურნალო დანიშნულების წმ. ქვა ძვ. საქ-ში („ხვითო — ქვა გესლით მკურნალი, გესლისა მარგებელი„ — საბა). ჰქონდათ მაგიური ძალა, და საუნჯის გაგებაც („ხვითოსავით ინახავს“). ასეთი დანიშნულების ქვები გვხვდება აღმოსავლეთშიც და საქართველოშიც; კერძოდ, სვანეთში. გადმოცემით ირმის რქისძირი, სხვა ვერსიით მარგალიტი, რასაც გველი ინახავს და ათამაშებს ხოლმე (აქედან გესლის წამლის გაგება — მედიცინის ემბლემა) სახალხო მკურნალნი წყალში ლესავდნენ და მერე იმ წყალს asხამდნენ სნეულს, დაჭრილს. „იმისთანა მკურნალს ვაქებ, მილესავდეს ფაზარ-ხუთოს“ (დ. გურ.). „ნუ ეწერ, რომ ბაღში აყვავედა ნუში, / რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს, / რომ საქართველოს ამ გაზაფხულში / როგორც ყოველთვის წააგავს ხვითოს“ (მ. ზელ.). 2. (გადატ.) დაცინვით ვითომ

კარგი, ძვირფასი ვინმე ან რამე. კარგად ვიცით, რა ხვიულოც ბრძანდება!

ხვიერი — (ქეგლ) წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ძირვიწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის.

ხელიკისუერი — (ქეგლ) მომწვანო ნაცრისფერი. „დილით ხელიკისფერია იგი (სვეტიცხოველი) მოუღალავი მზით გაშუქებული."

ხიზანი — (ქეგლ) ლტოლვილი. „გზ-ადაგზა ხიზანი და აბჯრის ალაფი აილო ზვიადმა" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ხირიმი — იგივეა, რაც ყირიმი. ხირ-იმული თოფი —ყირიმული თოფი. იხ. ყირიმი.

ხიშთანი — (ქეგლ) გრძელკალთიანი ზედა სამოსი მამაკაცისა.

ხიშტი [სპარს.]— (ქეგლ) წვეტიანი საძგერებელი იარაღი, ჩვეულებრივ თოფის ლულაზე ჩამოცმული.

ხლდომა — (ქ. მწ.) ხტომა.

ხლისტები — (ქსე) დამახინჯებული რუს. „ხრისტი"; საეკლესიო სახელწო-დება „ღვთის შვილები". რელიგიური სექტა, წარმოიშვა რუსეთში XV ს-ის მიწურულს. ხლისტები არ ცნობენ სამ-ღვდელოებას, „წმიდა" და საეკლესიო წიგნებს, თაყვანს არ სცემენ წმინდ-ანებს, მაგრამ მართლმადიდებელ ეკლ-ესიებში სიარული ნებადართული აქვთ. ხლისტების მოძღვრების თანახმად ადა-მიანს შეუძლია უშუალოდ დაამყაროს კონტაქტი „სულიწმინდასთან"; ნების-მიერ ადამიანში შეიძლება გადმოვიდეს „სულიწმინდა". ასე რომ ხლისტებს ცოცხალი „ქრისტები" და „ღვთის მშო-ბლები" ჰყავთ. ხლისტების იდეოლოგი-აში მთავარი ადგილი ასკეტიზმის იდე-ას უჭირავს. ისინი ერთად ლოცულობენ ცეკვების თანხლებით, რაც საბოლოოდ რელიგ. ექსტაზში გადადის. ხლისტები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან.

ხმეჭა — (ქ. მწ.) მოწყენა.

ხმიადი — (ქეგლ) უსაფუვროდ გამოცხობილი პური.

ხნარცვი — (ქ. მწ.) ორმო.

ხოგაის მინდი — (მით. ლექ-ნი) ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი უნათლესი სახე, ვაჟა-ფშაველას მინდას პროტოტიპი („გველის მჭამელი"), იდუმალებით მოცულ თქმულებათა გმირი, ნახევრად ღმერთი, ჩვენი ჰეროსი, რომლის დაქადებასა და გვიან სიკვდილში" ერევიან ბუნების ძალნი, ცა და მზე. „ხოგაის მინდი კვდებოდა, / მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, / ცა ჭექდა, მიწა გვრვინავდა, / სული გვიანა ძხვდებოდა, /ჩამოდიოდა ვარსკვლავი, / მთვარე უკუღმა დგებოდა..."

ეს გმირი მამაკაცთაგან რამდენადმე უახლოვდება მედეას და მისებრ მაგიურ ძალას, ჯადოქრობის ნიჭი, ბუნების ენ-ის გაგებისა და განკურნების უნარიც აქვს. ეს მოტივი აამაღლა საკაობრიო მნიშვნელობამდე ვაჟა-ფშაველამ და მოგვცა ღრმა ფილოსოფიური აზრით

დატვირთული სახე, რაც თვით იქცა მითოლოგიის საკუთრებად.

ხოდაბუნი — (ქეგლ) დიდი ფართობის კარგი სახნავ-სათესი მიწა, დიდი ახო ტყეში.

ხოეალდი — (საბა) „დიდი ნავი". დიდი საზღვაო გემი.

ხომლი — (მით. ლექ-ნი) ვარსკვლავთკრებული, ზოდიაქო. ვარსკვლავთკრებულნი — თანავარსკვლავედები, ვარსკვლავური ცის რუკა, ზოდიაქო, გმირთა ხომლები, მხეცთა წრე — ესეც ერთგვარი მითოლოგიური ბიბლიოთეკაა, სადაც მითოსი და მეცნიერება ჰარმონიულ თანხმობაშია. ვარსკვლავთა, ხომლთა სახელები (დათვი, ძორი, ძრიანკალი, მშვილდოსანი, თევზი, სფინქსი, ხარი, გუთანი და სხვ.) რომელიც მითებთან აკავშირებდა ხომლებს ან პირუკუ, ქმნიდა მითს ვარსკვლავთა სახელებიდან, ხომლთა შესატყვისი მითებს თხზავდა. „საცაა ხომლი ჩაქრება ცაზე, მთვარის ნათელი დნება და ქვდება" („გეტარა" — გ. ტაბ.).

ხონთქარი [სპარს.] — (ქეგლ) ოსმალეთის მეფე, სულთანი. იხ. ხვანთქარი.

ხონჩა [სპარს.] — მოგრძო ტაბაკი, ოდნავ გულამოღებული. „მელქისედეკმა უთენია უკვლია. საწოლის დარბაზს მოადგა ოქროთითა, ვერცხლითა და ბროწეულობით გაესილი ხონჩით" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ხორასნული — (ქეგლ) ხმალი ერთგვარი (ირანის ქალაქ ხორასნის მიხედვით).

ხორგო — (ქეგლ) დიდი საწნახელი ერთგვარი. „ჩემი ხორგო და მარანი" (ლ. ასათ.)

ხორველა — (ქეგლ) ქოლერა.

ხორომი — (ქ. მწ.) გროვა, შეკვრა, კონა. „ხორომი ჯიხვებისანი" (ხალხ.).

ხორუმი — (ქეგლ) ქართული (გურულ-აჭარული) თავისებური რიტმის მქონე ჯგუფური ცეკვა მამაკაცებისა.

ხორშაკი — (ქეგლ) ცხელი ქარი. „ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი" („შუშანიკის წამება" — ი. ცურტ.).

ხოშარაული ნადირა სადირის ძე — (ქსე) ხევსური სახალხო გმირი, 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე, ხევსურთა ჯარის წინამძღოლი. გადმოცემის მიხედვით აჯანყების სხვა მეთაურებთან ერთად შეუპყრიათ და შაჰისათვის მიუგვრიათ სპარსეთში, სადაც წამებით მოუკლავთ. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი,

ხოშკაკალა — (ქ. მწ.) წვრილი სეტყვა.

ხოჯა [სპარს.] — (ქეგლ) საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე).

ხრდალი — (ქ. მწ.) ჭაკი ცხენი. (გადატ.) მშიშარა; ჯაბან-ხრდლურად — მშიშარასავით.

ხრილი — (ქეგლ) ფქვილის მტვერი (წისქვილის ქვებზე) ჩურჩხელაზე.

ტკბილის კვერზე თეთრად მოდებული შაქარი. „და თუმც მის (პატარძლის) ბეჭებს არ ამშვენებს ქალ-ღაია, და არც სახე აქვს თეთრი ხრილით გადაფიფქული" („ქორწილი ჩვენს უბანში" ი. გრიშ.).

ხრმალ-დარაბა — (ქ. მწ.) ფარხმალი.

ხრტიალი — (ქ. მწ.) ხრიალი, ხროტინი.

ხუთო [ძგ.] — (ქეგლ) ქვა, რომელიც ვითომდა კურნავდა შხამით მოწამლულს. იხ. ხვითო.

ხულა — (ქეგლ) ცალკე მდგომი საკუჭნაო. „შენ გომურის მაგივრად ხულაში დაგამწყდევ" (კაცია-ადამიანი?! — ი. ჭავჭ.).

ხული — (ქ. მწ.) უბრალო სახლი, კარავი.

ხუაშაქ ცოქალი — (ქსე) XII ს. II ნახ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე დიდგვაროვანი აზნაურის რატი ერისთავთერისთავის დედა. თამარ მეფემ იგი კრავაი ჯაყელთან ერთად მოციქულად მიუგზავნა აჯანყებულ ყუთლუ-არსლანს. მანდილოსანთა მისია წარმატებით დამთავრდა.

ხუმარა — (ქეგლ) 1. ენამოსწრებული, ოხუნჯი. 2. ძველად მეფის ან დიდებულის სასახლეში —მსახური, რომელიც პატრონს და მის სტუმრებს ართობდა ოხუნჯობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით. „ყველას მეფის ხუმარა ხჯობს / არვინ არის იმისთანა" („თორნიკე ერისთავი" — აკ. წერ.).

ხუმევა — (ქ. მწ.) გამოყენება.

ხუნაგი — (ქეგლ) იგივეა, რაც დიფტერია.

ხუნდი — (ქეგლ) 1. ფეხის ბორკილი — ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი მსხვილი ძელი. 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე; 3. მტრედების მართვე.

ხურო — ქეგლ) ხელოსანი, რომელიც აკეთებს ხის ნაწილების ან ხის შენობას აშენებს. — (ქ. მწ.) ხის ოსტატი, დურგალი.

ხუნძები — (ქეგლ) ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ტომი დაღესტანში.

ხუნწი — (ვაჟა) მოცხარი (Смародина).

ხურჯინი [სპარს.]— (ქეგლ) ორთვლიანი ნაქსოვი ჩანთა მხარზე გადასაკიდები (ან ცხენის უნაგირის ტახტაზე ჩამოსაკიდებელი), ჩვეულებრივ სურსათ-სანოვაგის საზიდად. ძველი ხურჯინივით გადაეკიდა — თავმომაბეზრებლად ჩააცივდა, არ მოეშვა.

ხუშტურიანი — (ქეგლ) ჟინიანი, ახირებული. „ხუშტურიანნი იყვნენ გიორგი მეფის ძველი აგაზები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ᲯᲐᲔᲐ, ᲯᲐᲔᲐᲖᲘ – (ქ. მწ.) დედალი აქლემი.

ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ, ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲑᲐᲨᲘ – თოფხანა, იარაღის საწყობი, ჯაბადარბაში – იარაღის საწყობის გამგე. „ჯაბადარს დაუძახეს და თოფხანა გაუხსნეს" („არსენა მარაბდელი" – მ. ჯავახ.).

ᲯᲐᲑᲐᲜᲘ – (ქეგლ) მშიშარა, მხდალი, ლაჩარი.

ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ – (ქეგლ) 1. ადამიანი, რომელსაც თითქოს ჯადოთი შეკვრა შეუძლია, ჯადოსანი, გრძნეული. 2. რისამე დიდი ოსტატი. ცეკვის ჯადოქარი. სიტყვის ჯადოქარი.

ᲯᲐᲒᲚᲐᲒᲘ – (ქეგლ) უხეირო ცხენი.

ᲯᲐᲓᲔᲒᲝᲑᲐ – (ქ. მწ.) გრძნეულობა, ჯადოქრობა.

ᲯᲐᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ – (ქეგლ) ფოლადის ხმალი, საგანგებოდ ნაწრთობი. „მხოლოდ სპასალარს ერტყა დარბაზობის დროს ფოლადის ჯავარდენი" („დიდოსტატის მარჯვენა" – კ. გამს.).

ᲯᲐᲕᲐᲠᲘ – (ქეგლ) 1. პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი. 2. ძვირფასი თვლის ელვა-კრთომა. 3. მომხიბვლელობა, მოხდენილობა, შნო, ლაზათი, წყალ-ჯავარი.

ᲯᲐᲚᲐᲑᲘ – (ქ. მწ.) ცოლ-შვილი, ოჯახი, სახლეულობა.

ᲯᲐᲚᲐᲗᲘ – (ქეგლ) პირი, რომელსაც სისრულეში მოჰყავს სიკვდილის განაჩენი, აწამებს. (გადატ.) მტარვალი, სისხლისმწოველი.

ᲯᲐᲚᲐᲚᲔᲓᲘᲜᲘ – (ქსე) ხვარაზმშაჰი. 1220 წლიდან მამის სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ხვარაზმელთა ბრძოლას მონგოლ-თათართა წინააღმდეგ. დაიპყრო ამიერკავკასია. მონგოლ-თათრებმა დაამარცხეს აზერბაიჯანში. გაიქცა მესოპოტამიაში და იქ მოკლეს ქურთებმა. იხ. ხვარაზმი.

ᲯᲐᲚᲐᲛᲑᲐᲠᲘ – (ქეგლ) 1. ორი გრძელი ძელი ხის ტოტებით შეერთებული, იყენებდნენ რისამე გადასაზიდად ან საკაცედ. 2. ბლოკის სახის მქონე მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ სიმძიმეთა ასაწევად.

ᲯᲐᲛᲑᲐᲖᲘ – (ქეგლ) 1. თოკზე მოსიარულე, მუშაითი. 2. მასხარა, კლოუნი.

ᲯᲐᲜᲓᲐᲑᲐ [არაბ.] – (ქეგლ) ჯოჯოხეთი, მოუსავლეთი, უბედურება (ზოგჯერ იხმარება სიტყვა დოზანასთან ერთად). სად ჯანდაბაში დაიკარგა საფულე? სად ჯანდაბაში მიდის? ჯანდაბას – რაც არის არის. ჯანდაბას იმისი თავი და ტანი.

ᲯᲐᲜᲘᲨᲘᲜᲘ – (ქ. მწ) მოადგილე, ნაცვალი (მეფისა); ქვეყნის, მხარის გამგებელი (ქსე) შაჰის მიერ ირანში გაწვეული ქართლის მეფის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დატოვებული პირი. 1703 წ. ირანის შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ქართლის მეფობა გიორგი XI-ს დაუმტკიცა და ირანის სპასალარობა და ყანდარის ბეგლარბეგობა უბოძა, ქართლში კი მის ჯანიშინად მისივე ძმი-

სწული ვახტანგ VI დანიშნა. ჯანიშინი სახელმწიფოს სრულუფლებიანი გამგებელი იყო.

ჯარა [არაბ.] — (ქეგლ) პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს ართავენ, ძაფს ძახავენ, ახვევენ მასრაზე. (გადატ.) „ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა". („თორნიკე ერისთავი" — აკ. წერ.).

ჯარგვალი — (ქეგლ) იგივეა, რაც ძელური, გაუთლელი მორებისაგან აგებული ნაგებობა.

ჯაფარა — (ქეგლ) იგივეა, რაც ჩხიკვი.

ჯაყი — (ქეგლ) სირცხვილი, აუგი.

ჯერგა — (ქეგლ) მონადირეთა მიერ სანადირო ადგილის ალყაში მოქცევა.

ჯერქვალი — (ქ. მწ.) ბოროტი.

ჯენტლმენი [ინგლ.] — (უსლ) კაცი, რომელიც ზუსტად იცავს არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებსა და ნორმებს. 2. ითქმის ზრდილობიან, თავაზიან მამაკაცზე, აგრეთვე იმაზე, ვინც გამოირჩევა დახვეწილი მანერებითა და ჩაცმა-დახურვით.

ჯეჯიმი [სპარს.] — (ქეგლ) 1. ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი. „ჯეჯიმები ჩასხაკრავები, მუთაქის პირები, ხომ სულ დეიდა ჩახტაურას ხელიდან გამოდიოდა" („სახელის მილოცვა" — გ. ლეონ.).

ჯვალო — (ქეგლ) უხეში ქსოვილი. „ჯვალოს ჩოხა ეცვა მელქისედეკს, ხავხებით გახუნებული" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჯვარი — (ქსე) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. დგას მთაზე, საქართველოს ძვ. დედაქალაქის — მცხეთის პირდაპირ, იქ, სადაც მდ. არაგვი ერთვის მტკვარს. ტაძრის სახელწოდებას ისტ. საფუძველი აქვს. ქრისტიანობის მიღების პირველი წლებიდანვე ამ ადგილს მეფე მირიან III-მ ხის მაღალი ჯვარი აღმართა, რომელსაც გარდა ქართველებისა თაყვანს სცემდნენ კავკასიის სხვა ქრისტ. ერებიც. VI ს. II ნახევარში ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის გვერდით პატარა ეკლესია ააშენა. ამ პატარა სამლოცველოს დღეს ჯვრის მცირე ტაძარს ანუ „მცირე ჯვარს" უწოდებენ. იმავე VI ს. მიწურულს გუარამის ძემ ერისთავმა სტეფანოზ I-მა მცირე ტაძრის გვერდით ააგო დიდი ტაძარი, რომელიც ზედ გადაეხურა ხის ჯვარს (ჯვარის კვარცხლბეკი დღემდეა დარჩენილი ეკლესიაში). შენობას თავზე 8 წახნაგოვანი ყელზე დამყარებული გუმბათი აქვს. მნახველს ხიბლავს შენობის პროპორციულობა ხუროთმოძღვრულ სივრცეში. ჯვრის ტაძარი ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულიად გამასახიერებელი ნაწარმოებია.

ჯვარისტვირთელი — (ქ. მწ.) პროცესიის წინამძღოლი ჯვრით ხელში.

ჯვარისწერა — (ქეგლ) საეკლესიო წესით დაქორწინება. ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი „საოცარი ამბავი იყო

ლუარსაბისა და დარეჯანის ჯვარისწერა" („კაცია-ადამიანი?!" — ი. ჭავჭ.).

ჯვარცმა — (ქ. მწ.) ჯვარზე გაკრული ქრისტეს გამოსახულება (სურათი, ან ქანდაკება). (გადატ) „ყველა მისი საიდუმლოება გაცემული იყო და ყველგან უკვე მზადდებოდა მისთვის ახალი გოლგოთა, ახალი ჯვარცმით" („გ. ლეონ.).

ჯვრის მონასტერი (იერუსალიმში) — (ქსე) შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ, პალესტინაში (ახლ. ისრაელში). იგი დააარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი — პროხორე შავშელმა საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით XI ს. 30-50-იან წლებში გადმოცემით მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც თითქოს ქრისტე აცვეს. ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართველ სავანეთა აღიარებული ცენტრი გახდა. 1071 წელს მონასტერი ნაწილობრივ დაანგრიეს თურქსელჩუკებმა. XII ს. დამდეგს დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით განაახლეს და მოხატეს. თამარის მეფობის ხანაში არაერთხელ გაუწიეს დახმარება, ხოლო 1192 საგანგებო ელჩობა მიავლინეს მისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1273 წ. მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა. 1305 წელს მეფე დავით VII-ს მცდელობით იგი ქართველებს დაუბრუნდა. მონასტერი აღადგინეს და განაახლეს. 1400 წელს კვლავ დაარბიეს. მონასტერს სხვადასხვა დროს დახმარება გაუწიეს ზაზა ფანასკერტელმა—ციციშვილმა, მზეჭაბუკ ათაბაგმა, სერაპიონ კუმურდოლმა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი), სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა, ქართლის მეფე გიორგი XI-მ. XVII ს. დასასრულს ჯვრის მონასტერი სხვა ქართულ სავანეებთან ერთად იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა. 1855 აქ გაიხსნა ბერძნული სას. სემინარია. ბერძენი სამღვდელოება ჩქმალავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირს და ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს. 1948-1950 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარის ნაწილი იდგა. 1960 წელს ჯ. მ. იმყოფებოდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

ჯ. მ. დაარსებიდანვე გაიშალა ლიტ-ულ-საგან-ლო მუშაობა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები კალიგრაფები. მიქაელ დვალი, იოანე დვალი, აქ ყოფილა არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ I გულაბერისძე, შოთა რუსთაველი (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი. ჯ. მ. ფართოდაა აღწერილი და შესწავლილი (ტ. გაბაშვილი, გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, პ. უსპენსკი, რ. ჟანენი, კ. კეკელიძე, ა. ცაგარელი, ნ. მარი, რ. ბლეიკი) ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები დაცულია იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, სინას მთაზე, თბილისში, ქუთაისში, სანკტპეტერბურგში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში და სხვაგან).

ჯილე [არაბ.] — (უსლ) იგივეა, რაც დარანი.

ჯილდაობა — (გაჟა) იგივეა, რაც ყაბახი. (მით.) სავაჟკაცო ქვით მოყმეთა ძალის გამოცდა, ძვ. ქართ. სპორტული ასპარეზობის ნიმუში. ჭაბუკები მძიმე საჯილდაო ქვას სწევდნენ წელამდე, ან მხრებამდე. ტაძრიდან გამოსყვენებული ხატის „დასწრებით", შორს სტყორცნიდნენ. საამისოდ საგანგებო მრგვალ ქვას ან ფიქალს. გამარჯვებული ჯილდოს იღებდა. ეს იყო სპორტული ვარჯიშიც მხედრული წვრთნაც და სარიტუალო წესიც. ქვის ტყორცნის სიშორის მიხედვით მსჯელობენ წლის მოსავალზე და სხვა. ეს მოვლენა ამირანის მითშიც შემორჩა და იახსარკოპალას ამბავშიც. საჯილდაო ქვა — ღონისა და ნიჭის გამოცდა.

ჯინი [არაბ.] — არაბულ ფოლკლორში გონიერი, ფანტასტიკური არსება, რომელიც შედგება ცეცხლისა და ჰაერისაგან და, რომელსაც აქვს უნარი გადაიქცეს ადამიანად ან ცხოველად. სული, დემონი (ზღაპრული ჯინი). (ქ. მწ.) ფერია, კეთილი სული. (გაჟა) წნელისაგან დაწნული საწოლი. ლასტი. „მე კარჩი ველარ გამოვალ, ძმად უნდა გყვან:ვე ჯინასა" („გოგოთურ და აფშინა").

ჯენიბი [არაბ.] — მარქაფა ცხენი.

ჯინჯილი — (ქეგლ) ჯაჭვი, ბორკილი.

ჯიღა — (ქეგლ) თავსამკაული თვალმარგალიტით შემკული თმაში გასაბნევი ფრთა, ან გვირგვინის შვერილი. ჯიღა თვალები — მსხვილი და მოხდენილი ბრიალა თვალები. ჯიღა წარბები — ხშირი, ლამაზი, მოხდენილი წარბები.

ჯომარდი — (ქეგლ) მამაცი.

ჯორი — (ქეგლ) ფაშატი ცხენისა და ულაყი ვირის ნაჯვარი, იყენებენ ტვირთის საზიდავად, საჯდომად.

ჯორჯაძე (ერისთავი) ბარბარე (1833-1885) — (ქ. მწ. ლ-ნი-ცნობარი) პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი. რაფიელ ერისთავის და, „მამების" წარმომადგენელი ორ თაობას შორის გამართულ პოლემიკაში (ცნობილია მისი 10": წ. დაწერილი წერილი „ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ". იყო რომანტიკული განწყობილების პოეტი. მის ლექსებში ჩანს ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება აწმყოსადმი, წარსულის იდეალიზება, მარტოობის სევდიანი განწყობილებები (რასაც უმძაფრებდა დიდი ხნის განმავლობაში სამშობლოს გარეთ ცხოვრება ქმრის სამსახურის გამო). ზოგიერთ პატრიოტულ ლექსში რეალისტურ ტენდენციებსაც ამჟღავნებდა. მისმა დრამატულმა თხზულებებმა „შური", „რას ვეძებდი, რა გიპოვე" გარკვეული როლი შეასრულა ქართული თეატრის განვითარების საქმეში. შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი „დასაწყისი სწავლისა", აგრეთვე — „ქართული სამზარეულო და საოჯახო ნ.:ადი ცნობანი" (1874 წ.)

ჯოყარი — (გაჟა) მცენარის გამხმარი ღერო. „ჩიკოტელა იყო გაყინწულა

ჯ

ჯოყარივით ცრიატი" („ჩირიკი და ჩიკოტელა" — გ. ლეონ.).

ჯოჯო — (ქეგლ) ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი, ბინადრობს კლდოვან ადგილებში. 2. (გადატ.) იტყვიან ტანდაბალ და გონჯ ქალზე.

ჯრუჭის მონასტერი — (ქსე) XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს საჩხერის რაიონში, მდ. ჯრუჭულას სათავესთან. რაჭის ერისთავებისა და წერეთელთა სათავადო სახლის საცილობელი ტერიტორია. რის გამო იგი ციხე-სიმაგრის დანიშნულებას ასრულებდა.

ჯუანშერი — (ქსე) — XI ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი მინაწერის თანახმად მიეკუთვნება ამ კრებულებში შესული V—VIII ს. ს. ამსახველი თხზულება ვახტანგ გორგასალის ცნობილი საისტორიო თხზულება მთლიანად უნდა ეკუთვნოდეს XI ს-ის ისტორიკოსს ლეონტი მროველს.

ჯუბა — (ქეგლ) 1. დაბამბული კურტაკი. 2. შინაური შალის კაბა. 3. უსახელო (ან მოკლესახელოიანი) ჩასაცმელი წინ გახსნილი.

ჯუფთი — (ქ. მწ.) ტოლი, მეუღლე. „მას ყმასა მისცეს ქალი ჯუფთად". დაჯუფთება — დაწყვილება.

ჯუღაშვილი იოსებ — იხ. სტალინი.

ჯუღურა — (ქეგლ) ვისაც სახე დამახინჯებული (დაჭრილი, ნაყვავილარი) აქვს. „ჩემს ჯუღურსა და ხაბახა" („ბახტრიონი"— ვაჟა).

ჯუჯა — (ქეგლ) ძალიან პატარა ტანის ადამიანი.

ჯღანი — (ქეგლ) დახეული, გაცვეთილი ფეხსაცმელი. უშნოდ შეკერილი ან დაკერებული. დაბანდული ქალამანი.

ჯღრო — (ქ. მწ.) მიყრილი, მიხერგილი რამ.

ჯღრდე — (ვაჟა) აჩხორილი, ერთმანეთში არეული, მიხერგილი. „რამდენ ხხვა მაჰკალ, შენს ქავზე ხელებ ჯღრდეხავით ჰკიდია" („ალუდა ქეთელაური" — ვაჟა).

ჰ

ჰაგიოგრაფია — (უსლ) (ბერძ. — წმინდანი) ქრისტიანული ლიტერატურის დარგი, რომელშიც მოცემულია წმინდანთა ცხოვრების აღწერა.

ჰადესი — ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ქთონური ღვთაება ქვესკნელის მბრძანელი, ქვესკნელი, მიცვალებულთა სულების სამეფო.

ჰაემეტი — (ქეგლ) სახელწოდება ძველი ქართული ენის ძეგლებისა, სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად იხმარებოდა

ჰ (ჰუნდა, ჰშინოდა, მოჰუწოდა) ტერმინი „ჰაემეტობა" შემოიღო აკ. შანიძემ „ხანმეტის ანალოგიით. ჰაემეტობა გვხვდება X–XI სს. ხელნაწერებში (იხ. ხანმეტობა)

ჰაზირა აბრამ აბრამოვი (1845–1922) – (ქსე) თბილისელი მგოსანი, დაირის დაკვრის ოსტატი, აშუღი, საიათნოვას ცნობილი მემკვიდრე.

ჰაინე ჰაინრიხ (1797–1856)– (ქსე) გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. დაიბადა ებრაელის ოჯახში. სწავლობდა გეტინგენის, ბერლინის, ბონის უნივერსიტეტებში. ისმენდა ჰეგელის ლექციებს. 1852 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო ქრისტიანული (პროტესტანტული) რწმენა.

ჰ.-ს შემოქმედებას საქართველოში პირველად ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი გამოეხმაურნენ. განსაკუთრებით აიტაცეს მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, თარგმნეს რამდენიმე ლექსი „სიმღერების წიგნიდან", შემდეგ კი სხვა. ჰ.-ს სატრფიალო ლირიკის თარგმანები ეკუთვნის იოსებ ბაქრაძეს. მათგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა „ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ", რომელიც შემდეგ სიმღერად გავრცელდა. ჰ.-ს შემოქმედებას ქართულ ენაზე მიეძღვნა მრავალი მონოგრაფია.

ჰალუცინაცია (ლათ.) – (უსლ) მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა, რომელიც გამოწვეულია ტვინის მოქმედების დარღვევით (ეჩვენებათ არსებული საგნები, ხმები).

ჰამადანი – (ქსე) ქალაქი დას. ირანში (ძველი ეკბატანა), აქემენიდების დინასტიის საზაფხულო რეზიდენცია, 1220 წელს დაანგრიეს მონღოლებმა. არის იბნ სინას მავზოლეუმი, ქამალ ალმულქის აკლდამა. იხ. ეკბატანა.

ჰამსუნი კნუტ (1859-1952) – (ქსე) ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას. 1898 წელს იმოგზაურა ფინეთში ბრესტში, ირანში, თურქეთში, საქართველოში. ამ მოგზაურობის ერთგვარი ანგარიში იყო პიესა „დედოფალი თამარი" და შთაბეჭდილებები „ზღაპრულ ქვეყანაში".

ჰამსუნმა პირველი დიდი პოპულარობა მოიპოვა მოთხრობით „შიმშილი". მისი საუკეთესო რომანებია „მისტერიები", „პანი", „ვიქტორია", „მიწის მადლი" (ნობელის პრემია). ჰ. გერმანოფილობას ამჟღავნებდა. გერმანიაში აღიარეს მსოფლიო მასშტაბის მწერლად. II მსოფლიო ომის დროს მან აშკარად გამოავლინა თავისი სიმპათიები გერმანული ნაციზმის მიმართ, რისთვისაც ნორვეგიაში სამშობლოს მოღალატეობა დასწამეს.

ჰანიბალი ბარკა (ძვ. წ.-ით 247-183) – (ქსე) კართაგენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი. კარგი განათლება მიიღო, ფლობდა 4 ენას.

ჰ. ძველი დროის გამოჩენილი მხედართმთავარი იყო. სამხედრო ხელოვნების ისტორიაში დატოვა მნიშვნელოვანი კვალი.

ჰარამხანა [არაბ. — აკრძალული სახლი) — (უსლ) მდიდარი მუსლიმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი სახლი, ბინა.

ჰარილე, ჰარელი — რბილი ჯირი (ტყავი) (საბა) „ჰარილეხავით რბილი და ტყვიალი იყო შორენას ბუნება სრულად" („დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.)

ჰარმონია [ბერძ — თანაზომიერი] — (უსლ) მთელის ნაწილების სწორი შეხამება, შეთანხმებულობა, თანაზომიერება, ერთსულოვნება.

ჰაშიში [არაბ.] — (უსლ) ალმაგზნებელი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც იღებენ ინდური კანაფისაგან.

ჰაჯი [არაბ.] — (ქსე) 1. მუსლიმანთა წმინდა ადგილის მოსალოცად წასვლა მექაში ქააბის ტაძარში ზულჰიჯას (ჰიჯარის მთვარის თვე) 8-12 რიცხვში. უკავშირდება მსხვერპლთშეწირვის, ყურბან-ბაირამის დღესასწაულს. ითვლება მუსლიმანთა ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად. მოსალოცავად ნამყოფი მუსლიმანის საპატიო წოდება. იხ. მუჰაჯირი) „ჰაჯი-უსუპ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით" („გამზრდელი"— ა. წერ.).

ჰეგემონია [ბერძნ.] — (უსლ) ხელმძღვანელობა, ბელადობა, ბატონობა.

ჰეგზამეტრი — (უსლ) ძველ ბერძნულ ლექსთწყობაში ექვსმუხლიანი დაქტილური ტაეპი.

ჰედონიზმი (ბერძ. — სიამოვნება) .— (უსლ) ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

ჰელენური (ელინური) — იხ. ელადა.

ჰელიოსი — (ქსე) მზის ღვთაება ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, კოლხეთის მეფის აიეტის მამა.

ჰელო, ჰელა (საბა) ესე მოასპარეზეთა და მოუძღვრებელ/მოუნდუკეთა ადგილი არს სასვენებელი, რამეთუ ორთა მხარეს, ადგილთა დანიშვნენ სასვენებელსა სადგურთა. „ხადოლე ცხენი თუ გაძლე, ჰელოზე ხხვა მოახწრებს უცილოდ" (დიდოსტატის მარჯვენა"— კ. გამს.).

ჰემინგუეი ერნესტ მილერ (1899-1961) — (ქსე) ამერიკელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. იყო რეპორტიორი. მისი შემოქმედების ხასიათი და შინაარსი განსაზღვრა ომმა, „დაკარგული თაობის" ბედმა, ცხოვრების ჭეშმარიტ ფასეულობათა ძიებამ. მისი ორი დიდი რომანი „აღმოსდების მზე" და „მშვიდობით, იარაღო!" ღრმა ტრაგიზმით აგვიწერს ადამიანთა სულიერ დრამას, ომის დაშლეული გავლენას მათს ბედზე. ნარკვევების კრებული „სიკვდილი ნაშუადღევს", „აფრიკის მწვანე ქედები", მოთხრობების კრებული „გამარჯვებული არაფერს

ილებს“. მის შემოქმედებით გამარჯვებად მიიჩნევა ნოველები „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, რომანი „ქონა თუ არქონა“, პიესა „მეხუთე კოლონა“, ფილმი „ესპანეთის მიწა“, რომანი „ვისთვის რეკს ზარი“.

ჰ. მონაწილეობდა II მსოფლიო ომშიც. აქაც იყო სამხედრო კორესპონდენტი. ომის შემდეგ განიცდის სულიერ და შემოქმედებით კრიზისს. 50-იან წლებში დიდი გამარჯვება ხვდა წილად. მის მოთხრობას „ბერიკაცი და ზღვა“ (მოხუცი და ზღვა“) (პულიცერის პრემია და ნობელის პრემია მიენიჭა). მასში გამოვლინდა ჭეშმარიტი ჰუმანისტური იდეალი, რასაც ჰ. მთელი თავისი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე ეძებდა. ბელეტრისტული მოგონებები „განუყრელი დღესასწაული“ შექმნა უკვე მძიმედ დაავადებულმა. მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჰ.—მ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მწერლობაზე. განსაკუთრებით ნოველის განვითარებაზე. მწერალმა სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება. მისი ნაწარმოებები ითარგმნა მრავალ ენაზე. ქართულად თარგმნილია თითქმის ყველა თხზულება.

ჰერა — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთი, ზევსის უფროსი და და მეუღლე, ქორწინებისა და ერთგული ცოლების მფარველი (რომაულ მითოლოგიაში — იუნონა).

ჰერაკლე — (უსლ) ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის შვილი, ნახევრად ადამიანი, ნახევრად ღმერთი, როგორც ქართ. ამირანი) ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული, არაჩვეულებრივი ღონიერი გმირი (ლათინურად ჰერკულესი). „ჰერაკლეს გმირობანი“

ჰერაკლე, ჰერკულესი — (ქსე) ადამიანთა შემწე და ბოროტების დამთრგუნველი, რომელმაც იმთავითვე ეკლიანი გზა ამჯობინა განცხრომას. ჰ.-ს ხიფათიანი და საგმირო საქმენი ჩვილობიდანვე დაუწყია. აკვანშივე მიუხრჩვია ჰერასაგან მოგზავნილი ორი გველი, პიჭაპუკეში მოუკლავს კითერონის ლომი, რომლის ტყავი მერე მთელი სიცოცხლე უტარებია. ჰერას დავალებით 12 გმირობა ჩაიდინა, რომელთა უმრავლესობა დაკავშირებულია ქვეყნად ქაოსის ნაშთების მოსპობასთან (ნემეის ლომის მოკვლა; ჰიდრას მოკვლა, ერიმანთოსის ტახის დამარცხება, სპილენძისფრთიანი და ნისკარტიანი ფრინველების დახოცვა, კრეტის ხარის შეპყრობა; დიომედეს კაციჭამია ფაშატების დაჭერა. ზოგი გმირობა დაკავშირებულია კაცთაგან მიუწვდომელის მოპოვებასთან (არტემიდას ოქროსრქიანი ირმის შეპყრობა, ამაზონთა დედოფლის სარტყლის ხელში ჩაგდება; ჰესპერიდების ოქროს ვაშლების მოპოვება; სამტანიანი ბუმბერაზის — გერიონის ძროხების ჩამორეკვა; ცერბერის ამოყვანა ჰადესიდან და საყოველთაოდ ცნობილი ავგეას თავლების გაწმენდა. 12 გმირობის შემდეგ განთავისუფლებული ჰერაკლე კვლავ ჩაიდენს ცოდვას — მეგობარი შემოაკვდება, რის

გამოც იძულებულია კვლავ ემსახუროს ამჯერად ლიდიის დედოფალს. აქაც არ ივიწყებს თავის გაფკაცურ ცხოვრებას (შეიპყრო მზაკვარი ქონდრისკაცები). გაილაშქრა ილიონის წინააღმდეგ, დაამარცხა ანტეოსი, დაჭრა ღმერთები ჰადესი და არესი. დაეხმარა ღმერთებს გიგანტების დამარცხებაში, მოკლა კენტავრი, ცოლად შეირთო ეტოლის მეფის ასული დეიანირა, რომელმაც გაუგზავნა კენტავრის მოწამლულ სისხლში ამოელებული მდიდრული ტანსაცმელი. ჰ.-მ ტანჯვით სიკვდილის კოცონზე თავის დაწვა ამჯობინა. ზევსს ჰ. კოცონიდან აუტაცებია, მარადიული სიჭაბუკის ქალღმერთ ჰებეზე დაუქორწინებია და უკვდავებაც მიუნიჭებია.

ჰერეთი — (ქსე) ისტორიული მხარე აღმ. საქართველოში. წყაროებში პირველად V ს. იხსენიება. უძველეს ხანაში კავკასიის ალბანეთის სამეფოში შედიოდა. X—XIV ს. ს. წყაროთა მიხედვით ჰ. მოიცავდა შიგნითა კახეთისა და გაღმა მხარის ტერიტორიას (მდ. ალაზნის ველი) საინგილოს ჩათვლით. XV ს.-დან ტერმინი ჰ. აღარ იხმარება და მას ენაცვლება კახეთი.

ჰერმესი — (მით. ლექს.) ზევსისა და ატლანტას ასულის — ნიმფა მაიას ძე, რომელიც ოლიმპოელთა კრებულის მშვენება გახდა, აპოლონთან ერთად. ნახევრად დიდებული, ნახევრად ოინბაზი, რომელიც შიკრიკობას ხალისით კისრულობს და არც ქურდობას თაკილობს, მუდამ ხალისიანია და დაუზარებელი, მრავალთა შემწე და ქომაგი, მავნე ძალებისაგან სახლის მფარველი. მჭერმეტყველების ოსტატია, ხელოვნებათა მცოდნე და მფარველი, თავიდან ბუნების სტიქიურ ძალთა განსახიერება, უფრო კიდევ გაქრობისა და ქურდობის ღმერთი. შუამავალი, ციურ და მიწიერ საქმეთა მომგვარებელი, ადამიანებს სამსხვერპლოზე ცეცხლის დანთება და მსხვერპლის შეწირვა ასწავლა. იგი მიწისქვეშა ღმერთებსაც უახლოვდება, რადგან მას ევალება ჰადესში სულების გაცილება. ფრთოსანი სანდლები აცვია, ფიქრივით სწრაფია, მახვილსაც კარგად ხმარობს, მუსიკაც უყვარს. კუს ბაკანზე ლარები დაჭიმა, ქნარი დაამზადა. ჯერ კიდევ აკვნის ბავშვი იყო, როცა ღამით ადგა, გამოიპარა, აპოლონის ჯოგიდან 50 რჩეული პირუტყვი მოიპარა და პილოსის გამოქვაბულში დამალა. თვითონ ისევ აკვანში ჩაწვა და არტახებში გაეხვია. ხარების პატრონი აპოლონისაგან ისე ოსტატურად იცავდა თავს, მთელი ოლიმპო გააოცა, ხარების პატრონის გულიც მოიგო — აჩუქა თავისი გამოგონება — თავისი ქნარი. ჰ. ხარები მაინც დაინარჩუნა. ხარების გარდა აპოლონმა დაასაჩუქრა სიმდიდრისა და ბედნიერების სამდანაყოფიანი კვერთხით, კერიკიონით. ისწავლა მისნობა და გახდა ღმერთების შიკრიკი. მის გამოსახულებას აგვირგვინებს სამგზავრო ქუდი, სანდლები და ჯადოსნური კვერთხი, რითაც ღმერთებსა და ადამიანებს თავის ნებაზე აძინებს. „ქოხს და დაღრეკილი მამაკაცებიც ერიან მათ შორის... ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად რომ ირყევიან ისეთები" („დიდოსტატის მარჯვენა" — კ. გამს.).

ჰეროდოტე — (ქსე) (ძვ. წ. 485-424) ძვ. ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად“ წოდებული. წარჩინებულთა წრიდან იყო. ცხოვრობდა კუნძულ სამოსზე, ათენში. ბევრი უმოგზაურია მცირე აზიის სანაპიროებზე, საბერძნეთში, მაკედონიასა და სიცილიაში, ეგვიპტეში, არაბეთში, სკვითიასა და კოლხეთში. ავტორია ბერძნულ-სპარსული ომების ისტორიისა, რომელსაც „ისტორია“ ან „მუზები“ ეწოდება. ჰ-ს ნაწარმოებები სალაპარაკო, სადა, ამასთანავე დიდად მხატვრული ენითაა დაწერილი. იგი ანტიკურობისათვის დამახასიათებელ პოლითეიზის აღიარებს და ზნეობრივი წესრიგის დასამყარებლად ღვთაება მიაჩნია. სჯერა ბედისწერის, ყველაფერი ელინური გულწრფელად უყვარს, მაგრამ არაღწერს (ბარბაროსულის) მიმართ ობიექტური დამოკიდებულება აქვს. ჰ-ს „ისტორია“ ძირითადად სანდო წყაროს წარმოადგენს. ბევრი ქვეყნის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ტომების, საქართველოს ისტორიისათვის; ახსენებს კავკასიონის ქედს, მდინარე ფასისს, ევქსინის პონტოსა და კასპიის ზღვას; კოლხეთი ძველი სახელით (აია) იხსენიება. დაინტერესებულია ეთნოგენეზის საკითხებითაც. მისი აზრით მიდიელებს კოლხი მედეას მიხედვით ეწოდათ სახელი. შავგრემანი და ხუჭუჭთმიანი კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან, რის საბუთადაც მათ ენას, ცხოვრების წესს, სელის დამუშავების ხერხებს იშველიებს. მოცემულია ცალკეული ტომების (კოლხების, სასპერების, მაკრონების) ლოკალიზაცია. არის ცნობები ქართულ ტომთა სხვა ხალხებთან ურთიერთობის შესახებ. მაგ. ტროის ომში ერთ ბანაკში არიან ტროელები და კოლხები ბერძნების წინააღმდეგ; აქემენიდთა სახელმწიფოს სატრაპიებში სხვა ტომებთან ერთად ქართველებიც არიან მოხსენიებული. ჰ. ეთნოგრაფიულ ცნობებსაც გვაწვდის: კავკასიის მთიელები მალალხარისხოვნად ქსოვენ, ღებავენ, ხატავენ, ხოლო კოლხური სელი საყოველთაოდ არის აღიარებული, მაკრონები და კოლხები იცავენ წინდაცვეთის წესს.

ჰეროიკა [ბერძ. — გმირი] — (უსლ) რისამე გმირული შინაარსი, გმირული მხარე. მაგ. შრომის ჰეროიკა.

ჰეტერა — იხ. გეტერა.

ჰექტარი — (ქეგლ) მიწის ფართობის საზოგადო ერთეული, უდრის 100 არს, ანუ 10000 კვ მ-ს.

ჰიმნი [ბერძ.] — (ქსე) 1. საგმირო სიმღერა, რომელიც მიღებულია როგორც სახელმწიფოებრივი ან კლასიკური ერთიანობის სიმბოლო. 2. სახოტბო გალობა, ღვთის სადიდებელი სიმღერა.

ჰიმნოგრაფია [ბერძ.] სასულიერო პოეზიის დარგი, რომელიც მოიცავს სარიტუალო და ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელ საგალობლებს, ჰიმნებს. ქართულ ჰ.-ს საფუძველი ჩაეყარა VII ს.-დან. თავდაპირველად ჰ.-ები ბერძნულიდან ითარგმნებოდა. ქართული ჰ.-ის განვითარების შემდგომი ეტაპია X ს.-ის ე. წ. იადგარები, რომელთა განვი-

თარების უმაღლესი საფეხურია მიქაელ მოდრეკილის უნიკალური ჰ.-ული კრებული. ქართველი ჰიმნოგრაფებია: ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ნიკოლოზ I გულაბერის ძე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე შავთელი და სხვა. აგრეთვე აღორძინების ხანის ჰიმნოგრაფები: ანტონ I კათალიკოსი, ს. ს. ორბელიანი, გრიგოლ დოდორქელი და სხვა. ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედების ობიექტი მხოლოდ ქართველ მოწამეთა მოღვაწეობა იყო.

ჰიპერბოლა [ბერძნ. — გადამეტება, გადაჭარბება] — საგნის, მოვლენის, მოქმედების თუ ქცევის გადაჭარბებულად წარმოდგენა, მხატვრული გაზვიადება. ჰ. ტროპის სახეა, გამოსახვის სტილისტური ხერხია. ჰ. ხაზს უსვამს პოეტური სახის გრანდიოზულობას, ამლიერებს შთაბეჭდილებას, წარმოსახვის ემოციურ მომენტს. მხატვრულ გაზვიადებაში ავტორი საგანგებოდ არჩევს საგნებსა და სიტყვებს, რომლებითაც მკითხველის ყურადღების მიპყრობა იქნება შესაძლებელი. ჰ.-ს იყენებს როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე ხალხური პოეზია. 1. „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძერას ვუზამ, ადიდებულსა დიდ მტკვარსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ" (ხალხური). 2. „კაცი კაცსა შემოვტყორცნე ცხენ-კაცისა დავდგი გორი" („ვეფხისტყაოსანი" — შ. რუსთ.). 3. „დავით თქვა: „იყავნ ქალაქნი" და აღმოცენდნენ ქალაქნი, დაჰკრა წერაქვი და აღჩნდნენ ტაძარნი ტურფად ნაშენნი" („სადღეგრძელო"— გრ. ორბ.).

ჰიპერბოლური შეიძლება იყოს შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, გაპიროვნებაც. ჰიპერბოლურობა მაშინ არის მაღალპოეტური, როცა იგი არ სცილდება მხატვრულ ზომიერებას. (ანდ. ჭილია)

ჰიპნოზი [ბერძნ.— ძილი] — (უსლ) თავისებური, ძილთან მიახლოებული მდგომარეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შთაგონებით არის გამოწვეული.

ჰიპოთეზა [ბერძნ.] — (უსლ) რაიმე მოვლენის ასახსნელად გამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

ჰიპოსტასი — წმინდა სამების პირი — მამა, ძე და სულიწმიდა.

ჰიტლერი (ნამდვილი გვარი — შიკლგრუბერი) ადოლფ (1889—1945) — (ქსე) გერმანიის ფაშისტური (ნაციონალ-სოციალისტური) პარტიის ლიდერი. გერმანიის რაიხსკანცლერი, შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი (1041 წ-დან) მთავარი სამხედრო დამნაშავე.

1020 წ-დან პარტიის ფიურერი. ფაშისტური პუტჩის ჩახშობის შემდეგ 5 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ციხეში დაწერა „ჩემი ბრძოლა" ("Mein Kampf), რომელშიც რასიზმის, რევანშიზმისა და უკიდურესი იმპერიალისტური რეაქციის ინტერესებს გამოხატავდა. 1033 წ. ჰ. რაიხსკანცლერის პოსტზე დანიშნეს, რამაც გზა გაუხსნა ფაშისტური დიქტატურის დამყარებას შანტაჟისა და ტერორის გამოყენებით. „ნაცისტური წესრიგი" უსასტიკესად

ახშობდა ყოველგვარ ოპოზიციას, განსაკუთრებით კომუნისტების წინააღმდეგობას. გერმანული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად ჰ.-მა დაიწყო გაცხარებული სამზადისი ომისათვის. მოახდინა შეიარაღებული ინტერვენცია ესპანეთში, შეიერთა ავსტრია, მოახდინა ჩეხოსლოვაკიის ოკუპირება, შექმნა აგრესორი ქვეყნების ბლოკი, თავს დაესხა პოლონეთს და 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს. 1945 წლის 9 მაისს საბჭოთა ჯარების შესვლამ ბერლინში ჰ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მან თავი მოიკლა.

ᲰᲘᲣᲒᲝ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲛᲐᲠᲘ (1802-1885) – (ქსე) ფრანგი მწერალი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. მოწაფეობის წლებშივე წერდა კლასიკურ ოდებს და ლიტერატურულ კონკურსებში იღებდა ჯილდოებს. რომანტიკოსთა და კლასიკოსთა ბრძოლის საბაბი გახდა მისი დრამა „კრომველი“ (1827), რომლის წინასიტყვაობა რომანტიკოსებმა თავიანთ მანიფესტად აღიარეს. მასში მწერალმა ჩამოაყალიბა რომანტიზმის ესთეტიკის ძირითადი პრინციპები — შემოქმედების სრული თავისუფლება, კლასიციზმის „სამი ერთიანობის“ ტრადიციის უარყოფა.

ჰ. მხურვალედ გამოეხმაურა 1830 წლის ივლისის რევოლუციას. ამ პერიოდში შეიქმნა პირველი მნიშვნელოვანი რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, რომელშიც აირეკლა რევოლუციის ცოცხალი შთაბეჭდილება. მისი ნაწარმოებებია: „საბრალონი“, „ზღვის გუშაგნი“, „კაცი რომელიც იცინის“, ლექსთა კრებული „ჭვრეტანი“, ნარკვევი „უილიამ შექსპირი“, რომანი „ოთხმოცდაცამეტი წელი“, პოეტური კრებული „პაპად ყოფნის ხელოვნება“, „საუკუნეთა ლეგენდა“.

საქართველოში ჰ.-ის შემოქმედება ადრიდან იყო ცნობილი. მისი რამდენიმე ლექსი თარგმნა ალ. ჭავჭავაძემ. ჰ.-ს შემოქმედებას დიდად აფასებდნენ ჩვენი კლასიკოსები.

ᲰᲝᲑᲘ [ინგლ.] — (უსლ) რაიმეთი გატაცება; აჩემებული საქმიანობა, რომელსაც სამუშაოდან თავისუფალ დროს მისდევენ გართობის, დასვენების მიზნით (თევზაობა, ნადირობა, ფილატელისტობა)

ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘ — (ქსე) ბერძენთა სამყაროს და მთელი ევროპის უძველესი და უპირველესი პოეტი — მგოსანი, პოეტთა პატრიარქი. გადმოცემით ბრმა ბერიკაცი, რომლის სამშობლო კუთხის პატივს შვიდი ქალაქი ცილობდა (დაბადების ადგილი და თარიღი უცნობია. ვარაუდობენ ძვ. წ. IX—VIII ს.ს. შორის).

თავისი დიდი ეპოსით „ილიადა“ და „ოდისეა“, აგრეთვე, მის სახელთან დაკავშირებული ჰიმნებით მსოფლიო პოეზიის სათავეებთან დგას. მისგან მომდინარეობს ხატოვანი თქმა „ფრთიანი სიტყვა“ ე. ი. სიტყვა, რაც მთქმელის ბაგიდან მსმენელის ყურამდე მიფრინავს.

ჰ. იყო მთელი ანტიკურობისათვის უდიდესი პოეტი „ელადის მასწავლებელი“, არა მარტო პოეზიის, არამედ ისტორიოგრაფიის, ფილოსოფიის, გეოგრაფიის და მეცნიერების თითქმის ყველა სფეროს მამამთავარი. ქართულ

ლიტერატურაში ჰ.-ს დიდი ხანია ღირსეული ადგილი აქვს. ძვ. ქართულ ლიტერატურაში იგი არართგზისაა მოხსენიებული, როგორც ჩინებული პოეტი. „გრიგოლ ორბელიანმა ყაზბეგს ქართველთა ჰომეროსი უწოდა“ (სახკ. სახ-ლო).

ჰომერული სიცილი — (უსლ) თავშეუკავებელი, ხმამაღალი სიცილი, ხარხარი. გამოთქმა დაკავშირებულია ღმერთების სიცილთან, რომელიც აღწერილია ძველი ბერძენი პოეტის ჰომეროსის „ილიადაში“.

ჰორაციუსი — (ქეგლ) ცნობილი რომაელი პოეტი. ცხოვლობდა ძვ. წ. I საუკუნეში.

ჰოროლი — (ქეგლ) იგივეა, რაც ოროლი, შუბი. „ხელი მოჰკიდოთ ორივემ ოროლს“ („თორნიკე ერისთავი“ — აკ. წერ.).

ჰოროსკოპი [ბერძნ.]— (ქსე) ნახაზი, რომლითაც ასტროლოგიაში „ბედს წინასწარმეტყველებენ.“ 12 „სახლში“ განალაგებენ პლანეტებს ადამიანის დაბადების ან რომელიმე მოვლენის მომენტში ცაზე მათი განლაგების შესაბამისად და ცდილობენ განჭვრიტონ ადამიანის ბედი ამა თუ იმ მოვლენის შემდეგ, რასაც თითქოს ციური მნათობები განსაზღვრავენ.

ჰონები — იმიერკავკასიელი მომთაბარე ტომები. „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა?“ („შუშანიკის წამება“— ი. ცურტ.).

ჰუბუტი — (საბა) ვარსკვლავთ ადგილსა რასმე ეწოდების არაბთა ენითა. ხელმწიფეთ საჯდომი, ტახტი.

ჰუმანიზმი [ლათ. — ადამიანური] — დიდი სიყვარული და პატივისცემა ადამიანისა და ადამიანურობისა, კეთილადამიანური ქცევა საერთოდ. გულშემატკივრობა, გამომჟღავნება განწყობილებისა, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ მზად ხარ, მხარი დაუჭირო დაბეჩავებულს, დაჩაგრულს, ჭირში მყოფს. ჰ. წარმოიშვა რენესანსის ხანაში, XIV—XVI ს. ს. როგორც აღმავალი ბურჟუაზიის მსოფლმხედველობა, პროგრესული მიმდინარეობა, რომელმაც ყურადღების ცენტრში დააყენა ადამიანის თავისუფლება. ჰ-ის დიდი წარმომადგენლები არიან ლიტერატურაში: შექსპირი, პეტრარკა, ბოკაჩო, ჰიუგო, პუშკინი, ტოლსტოი, ჩეხოვი, რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვა. ამ დიდ მწერლებს არაერთი მხატვრული სიტყვა უთქვამთ ადამიანური სიყვარულისა და კეთილშობილების შესახებ.

რენესანსი და ჰუმანიზმი საქართველოში XII ს. დაიწყო, როცა ქართულმა დიდმა კულტურამ მაღალადამიანური იდეები წამოაყენა. ჰ. საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა დიდი ლიტერატურის თვისებაა. „ბარათაშვილის ჰუმანიზმი მიმართულია ადამიანის პიროვნების საუკეთესო მხარეების გამომჟღავნებისაკენ“ (სახკ. სახ-ლო).

ჰუმანისტი — (უსლ) ჰუმანიზმით გამსჭვალული ადამიანი, კაცთმოყვარე;

ჰუმანიზმის მიმდევარი; ჰუმანური — ადამიანური, კაცთმოყვარული.

ჰუნე, ონე, უნე — (საბა) გვარიანი და კეთილად წვრთნილი ცხენი. „და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს" (მერანი" — ნ. ბარათ.).

ჰუნები — (უსლ) თურქთა ტომები, რომლებმაც I ს-ში (ძვ. წ. აღ.) არალის ზღვის რაიონში შექმნეს სამეფო, უკანასკნელი წინამძღოლის ატილას სიკვდილის შემდეგ (453 წ.). მათი სამხედრო კავშირი დაიშალა.

ჰუპერტი ჰუგო (1902-1982) — (ქსე) ავსტრიელი პოეტი, მთარგმნელი, მის შემოქმედებაში საქართველო ერთ-ერთი წამყვანი თემაა. ჩვენში იგი ჩამოვიდა 1940 წელს და დაიწყო მზადება „ვეფხისტყაოსნის" სათარგმნელად. 1954 წელს დაასრულა თარგმანი. 1955 წელს პოემა გამოვიდა მისივე წინასიტყვაობით, 1970 წელს მეორედ გამოსცა. 1980 წელს — მესამედ, ხოლო 1982 წელს — მეოთხედ. საქართველოსადმია მიძღვნილი მისი ლირიკული კრებული „ყარიბი ქართული არგანი". მ. ვენაში აქვეყნებდა საქართველოსადმი მიძღვნილ წერილებს: „რეპორტიორის თვალით დანახული რუსთაველი", „ღირსპატივსაცემი თბილისი". ავსტრიის სხვადასხვა ქალაქში კითხულობდა მოხსენებათა ციკლს საერთო სახელწოდებით —„საქართველო — კალიფორნია შავი ზღვის პირას". 1966 წ. პუბლიცისტი მონაწილეობდა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში. გამოვიდა სიტყვით. მის ხამწიგნიან მეჯუარებში ჩართულია ლექსი „კავკასიაში" ირაკლი აბაშიძის მოტივების მიხედვით.

ჰურიები [არაბ.] — (უსლ) ყურანის მიხედვით: მუსლიმანურ სამოთხეში მცხოვრები მარად ნორჩი ლამაზი ქალები. ანგელოზები.

ჰუსარი [უნგ.] — (უსლ) მეფის რუსეთისა და ზოგი სხვა ქვეყნის არმიებში მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი ან ოფიცერი, რომელსაც უნგრული ფორმა ეცვა.

გამომცემლობის რედაქტორი ომარ მეგრელიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ენვერ ბუქიძე
კორექტორი ვაიდე ფერსელიძე
ოპერატორები ირაკლი ბერიძე
ნიკა კასიძე
არჩილ ბუქიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.04.2002
ქაღალდის ზომა 60X90 1/16

ფასი სახელშეკრულებო
წიგნი დაიბეჭდა ავტორის ხარჯებით

გამომცემლობა „ალიონი",
ქ. ბათუმი, მარჯანიშვილის 2